ტესტები მოიძია და შეადგინა
სოლომონ თეზელიშვილმა

ფსიქოლოგიური ტესტების

დიდი ენციკლოპედია

თბილისი 2012

ანოტაცია: გონების წარმატებული თვისებაა, რომ ბევრითი და ბ. ნოვარი წერთნით მოქნილობა მიანიჭო ტვინს, რათა მან შეძლოს მრავლის არჩევიდან ერთ-ერთის და ჭეშმარიტი ხერხის შეცნობა, სადაც მთელი სიცხადით შეიგრძნობ გარე სამყაროს, იდეების და ფაქტების სწორ წარმართვას, წარსულსა და აწყმოს და იპოვებ ცხოვრების ნამდვილობაში სწორ ბუნებრივ შერწყმას, შენს ადგილს. გონების გამარჯვებაა არ შეუშინდე ამ გზაზე არსებულ სიმძიმეს, ხოლო პატიოსნება აღიარო წარსულის შეცდომები და ახალი სწორი მიზნის მისაღწევად არ დაიშურო არც ენერგია და არც იმ ცუდი ხერხების და მეთოდების უარყოფა, რომლითაც ცდებოდი ამ მოვლენებში. მხოლოდ ამის შემდეგ ხორციელდება ადამიანის არსებობის უზენაესი გვირგვინი, ვინ ვარ მე, ან რა ადგილი შემიძლია დავიკავო ცხოვრების რეალობაში.

ამ წიგნში მოწოდებული მასალა დაგეხმარებათ, ყველაზე ახლოს მივიდეთ ცხოვრების ამგვარ სინამდვილესთან, რითაც მოხდება სწრაფი რეალიზაცია თქვენი ძალების და თქვენ შეიცნობთ საკუთარ თავს ამ რთულ, ცვალებად და ქარტეხილიან გზაზე. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მსოფლიოს საუკეთესო ტესტები და გონების სავარჯიშოები, რაც საბოლოო ჯამში გეხმარებათ თქვენი ხასიათის აქცენტებში, შესაძლებლობების ჯერ კიდევ გამოუყენებელ რესურსებში და მრავალი სხვა ხასიათის გადაკეთაში.
წიგნი შედგენილია ცნობილი ტესტური მასალის ავტორ-შემდგენელის ა. კარელინის მიერ, რომელიც მცირეოდენი შესწორებებით და ინტერპრეტირებით წარმოვადგინეთ.

აქ წარმოდგენილი მასალა არის არის მსოფლიო ტესტების ნაკრები, რომლებიც ხუთიევე კონტინენტზე არის გავრცელებული.

ტესტების გამოკითხვით და ჩატარებით ადამიანმა შეიძლება რამდენიმე ათეული წლის ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინოს, მოფიქრალმა ადამიანმა უნდა იცოდეს, სად არის წყალქვეშა მეჩეჩები. ხშირად, მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, ბევრ დარგში არ გვყოფნის გამოცდილება. ამიტომ ვალდებულნი ვართ ხასიათის სუსტი თვისება ისევე უნდა ვიცოდეთ, როგორც კარგი. ტესტებით მუშაობა ამაღლებს ჩვენს მიზანსწრაფულობას და შემართებას დასახული მიზნისკენ, ხედვა ხდება ვრცელი და განჭვრეტადი. კონფუცი ამბობდა, რომ სამ გზას მიეყევართ ცოდნისაკენ: გზა ფიქრისკენ არის უკეთილშობილესი გზა, გზა მიბაძვისა არის უადვილესი გზა და გზა გამოცდილებისა, ეს არის უმძიმესი გზა, მაგრამ სწორედ ეს გზაა ტესტების სამყარო. **სოლომონ თეზელიშვილი.**

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი: ს. თეზელიშვილი
რედაქტორი: ი. შულაია
კორექტორი: ი. ჭუმბურიძე
დიზაინი და დაკაბადონება: პ. ნავდარაშვილი

© ს. თეზელიშვილი
ISBN 978-9941-0-4722

შესავალი

თითოეული ადამიანი იმ სოციუმის გამოძახილია, რომელსაც ქმნის სახელმწიფო და იქ არსებული სასიცოცხლო გარემო-საზოგადოება, სადაც ის აღიზარდა და მიიღო ამ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ჩვევები და თვისებები. ამ გარემოში აღზრდილი ადამიანებს აქვს ბევრი განმასხვავებელი თვისებები, მაგრამ აქვთ ისეთი სახასიათო შტრიხები, რომლებიც მხოლოდ ამ საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი და რაღაც ერთი, მთლიანი საერთო-ღირებულება ბუნებისაა. არ არსებობს აბსოლუტური იდენტურობა, ისევე როგორც თითების ანაბეჭდები. ჩანს, ეს უზენაესმა იზრუნა ჩაედო ყველაში ის ინდივიდუალობა, რომლითაც შემდგომ მათ უნდა დაემტკიცებინათ მათი ნიჭის თუ ხასიათის წამახვილებული თვისებები, მიდრეკილებები და განსხვავებები.

ადამიანის ყველა თვისებათა შორის მისი წარუმატებლობის დიდი და შესაძლო ზონა აგრესიულობის ხარჯზე მოდის, რომლის მოზრდილი ოდენობა უსაფუძვლო ეჭვიდან იღებს საფუძველს. მის ქვეცნობიერში ყოველთვის ჩაბუდებულია ეს მთელმარე და საშიში ნაღმები. ყოველივე ამის გამო შიშის გრძნობა ჩამოყალიბდა იმგვარი რეფლექსით, რომ მას — ადამიანს ხშირად უხდება აგრესიული შეტევითი ხასიათის გამოვლინება, რითაც იგი ამტკიცებს, რომ ღალატობს თავის შინაგან სინამდვილეში არსებულ სწორ ხაზს და მუდმივად ღალატის, ეჭვის, შიშის და სხვა მანკიერი რეფლექსის მატარებლად იქცა. ყოველივე ამის შემდეგ იქმნება კრიმინალი და დამნაშავე.

ჩვენ არ შევუდგებით დანაშაულის ანატომიის შესწავლა-ანალიზს, რადგან ეს კრიმინოლოგების საქმეა, მაგრამ ვეცდებით წარმოვაჩინოთ ხასიათთა ის ცხოველური გამოვლინებები, რაც ჩრდილავს და აბნელებს ადამიანში ნათელ აზროვნებას. კრიმინოგენური ფაქტორების სიხშირე საზოგადოების მისწრაფებების ბარომეტრია და ამ არასასიამოვნო მოვლენების არსებობა გამოკითხულთა წრეში ზედმიწევნით განამტკიცა, სადაც ნაჩვენებია, რომ რესპოდენტთა დიდი უმრავლესობისათვის უმთავრესია პირადი კეთილდღეობა.

აგრესიულობის მომძლავრებას ბევრი ფსიქოლოგი იმითაც ხსნის, რომ ჩვენ ხალხს გაუჩნდა მცირე, დაუცველი ერის კომპლექსი. ეს განცდა ხშირად თავისით იჩენს არაადეკვატურ კომპენსაციაში, როცა ადამიანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი გაცილებით მეტს წარმოადგენს, ვიდრე მას ხედავენ. ამის გამო იგი ბევრს უაზროდ ფაციფუცობს, ზედმეტს ლაპარაკობს ანუ ტრაბახობს და ყველას წინაშე დებს ისეთ ამბიციას, რასაც შემდგომში კონფლიქტი ელის საზოგადოებაში.

არნახულად სწრაფმა კომუნიკაციებმა ადამიანთა თვისებები გახადა ძალზე მახლობელი სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციებსა და ჩვევებს შორის. ყველა ქვეყნის წარმომადგენელს თავის გონებაში ჩამოყალიბებული, თუ აღზრდილი ბუნებით უყურებს სამყაროს და აქ უფრო მეტია გაკვირვება, არმიღება და ანტიპათია, ვიდრე მოწონება. გთხოვთ ამ ტრადიციებში ნუ იგულისხმებთ წარსულ და შორეულ საუკუნეებში არსებულ ძვირფას ტრადიციებს, ისეთს, რომელმაც გვასწავლა დედის და მეგობრების სიყვარული, ვაზისა და კერიის მოვლა. აქ, მხედველობაშია უფრო ქუჩური ტრადიციების მანკიერი ზეგავლენა, სუფრაზე ამბიციური ფლობა საკუთარი თავისა და სხვა ყოველგვარ ჯანსაღ საფუძველს მოკლებული სურვილები. წინამდებარე ტესტები და ზოგადი უნარის ასამაღლებელი სავარჯიშოები სწორედ ამაში შეგიწყობთ ხელს, რათა აიმაღლოთ თქვენი თვისებები, გახდეთ რაც შეიძლება უფრო მეტისთვის მისაღები და ზოგადად უფრო მეტად და ზუსტად შეიგნოთ თავი, ვიდრე აქამდე გრძნობდით და ცნობდით საკუთარ თავს, ღირსებებს, თუ იმ მავნე ჩვევებსა და გამოვლინებებს, რაც თქვენთვის ან შეუცნობია, ან შეცნობილი მაგრამ თქვენს მიერ ჯერ კიდევ ვერ გადალახული.

შინაგანი სამყაროს წვდომა და სწორი ემოციები

(შინაგანი სამყაროს ზოგადი მიმოხილვა და მათი თავისებურებები, დინამიკა)

1) მხოლოდ საკუთარი თავის სხვისი გონებიდან ყურებით შევძლებთ პირადი თვისებების და თვალთახედვის მიახლოებით ზუსტ შეცნობას. ამისათვის საჭიროა ამ ფიქრში და ბრძოლაში საკუთარი გრძნობების მეტი უარყოფა და მავნე თვითბუნებისგან განყენება და ამასთანავე უნდა გავაანალიზოთ და განვაზოგადოთ სამყაროს ზეგავლენის ფონი როგორი მოცულობის არის ჩვენს ცნობიერებაზე. ამრიგად სწორი ემოციური შემეცნების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შენში მუდმივად ებრძოლე სუბიექტურ და შენთვის ტკბობად ემოციებს. ყველა განცდა უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი ობიექტურობით და სამყაროსთვის მისაღები — მაღალი

ზნეობით დაბალანსებული. თუ ეს წესი, ჩვეულად აქციე, მხოლოდ მაშინ შეგიძლია შეფასების ამოცანის კრიტერიუმები შესრულებულად ჩაითვალოს და ამის შემდეგ შენ შეიცნობ სამყაროს მიახლოებით და ყველაზე იდეალური პარამეტრებით.

ყველა ემოციის გონებაში გატარებისას ადამიანს არ ძალუძს თანაბარი ძალით განთავისუფლდეს პირადული ელემენტისგან. არსებობს ემოციები დამანგრეველი, გამაუცხოებული, რომელიც აიძულებს ადამიანს გადაიტანოს შიშის, განცალკევების და სიმარტოვის გრძნობა. ასეთია სიძულვილი, შიში, ეჭვიანობა, ამპარტავნობა, შური და სხვ., და არსებობს ემოციები გამაერთიანებელი, დამაახლოებელი, დამათბობელი, რომლითაც ადამიანი საკუთარ თავს აღიქვამს რაიმე დიდის ნაწილად, ასეთია: სიყვარული, მეგობრობა, პატრიოტიზმი, თანაგრძნობა, გულმოწყალობა, ღირსეულისთვის თავის გაწირვა და სხვ. საერთოდ კი, ჩვენი გონება სტრუქტურულად ისეა მოწყობილი, რომ ყველა განცდას თავის უბნები გააჩნია და იქ ბინადრობს. იმ უბნებს, რომელსაც ჩვენ უმეტესად ეავარჯიშებთ და წარვმართავთ ბუნებრივია ჩვენი გონების აქტიური და ძირითადი მხედრები არიან. მაგრამ თვით გრძნობების მოგზაურობა ამ სივრცეში ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს, რადგან უნდა განვასხვავოთ როდის არის დათმობა და გულმოწყალება გამართლებული და როდის უმწეობა და უსუსურობა. თუ იესო ქრისტემ თავისი აზრი გამოთქვა ფარისეველების შესახებ და ვაჭრები ტაძრიდან გააძევა, ეს დიადი მისტერიის საუკეთესო ნაწილია, მაგრამ იქ სადაც ვერაგი მტერის შეცდომების უგუნურ მაგალითს აჩვენებენ, იქ ხანჯლის დარტყმას უნდა ელოდო ზურგში.

2) ჩვეულებრივი მორალი აპრიორულად გარეგნული ნიშნებით ყოფს წმინდა და არაწმინდა ემოციებად ჩვენს გრძნობებს, რაზეც ნ. როზანოვი ამბობს, რომ: **„ასკეტიზმში სიბილწის იდეა ყოველთვის მომდინარეობს სქესობრივი გაუკუღმართებიდან და არა ნორმალური სქესობრივი ურთიერთობებიდან, ხორციელი სურვილები შეიძლება ისეთივე წმინდა იყოს, როგორც სხვა ყველაფერი, რაც ბუნებაში ხდება“**. მაშასადამე, ჩვენში ბევრი რამ ისეა დამკვიდრებული და ფესვგადგმული, რაც ამორალურში შედის, მაგრამ თუ დავაკვირდებით, ჩვენი ემოცია სულაც არ არის ამ შემთხვევაში სწორად მიმართული. ყოველივეს ჩვენ მაშინ გავიგებთ სწორად, როდესაც სამყაროს ზნეობრივად, რაციონალურად, ფრთხილად და ყოველგვარი სუბიექტიზმის გარეშე აღწონით. აი, სწორედ მაშინ ხდება სამყაროს ზუსტი წვდომა.

უწმინდური ემოცია უნდა იყოს მხოლოდ ის განცდა, რომელიც ჩვენ მღვრიე და ჩაზნექილ სარკეში გვახედებს. ე.ი. არ იძლევა სამყაროს აღქმის ადექვატურ და გამანვითარებელ სურათს. მაგ. შეიძლება იყოს ისეთი მწყურვალება ცოდნისა, რაც უანგაროა და იძლევა საშუალებებს, რათა მეტი სიკეთე და განათლება დამკვიდრდეს დედამიწაზე და ცოდნა იმგვარი, სადაც არ არის ანგარება, სხვისი ჩაგვრა, ამპარტავნება და სხვა ამგვარი.

„დაე იყავით ვითარცა ბავშვები...“ და „ნეტარი არიან გულით სუფთანი...“ ამ სახარებისეულ სიტყვებში ლაპარაკია უანგარო ცოდნაზე და ემოციების განწმენდაზე ყოველივე ბიწისგან.

ადამიანის ცხოვრების უძირითადესი მიზანი კი, სწორედ ისაა, რომ ჩამოაყალიბოს ემოციების მიმართ სწორი დამოკიდებულების სისტემა, მაშინ მორალი აღარ მოგვეჩვენება სათნოებაში ჩაკეტილ მოსაწყენ ვარჯიშად. რადგან არსებობს ემოციები, რომელიც ზრდის ჩვენს ცოდნას და პირიქითაც, რომელიც ზრდის ჩვენს უცოდინარობას, ანუ შეცდომაში შეგყავართ მცდარ მიდგომებს საკითხებთან.

ჩვენ გონებაში დაბუდებული ბევრი მანკიერება-მრისხანება, სიძულვილი, ეჭვიანობა და სხვა ამგვარი გონებას უბნელებს ადამიანს, ხოლო შიში ჭკუიდან შლის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წარმოუდგენლად დიდი პოტენციური ენერგიის შემცველია შემოქმედებითი ტკბობა.

3) ამ ძალას გააჩნია ძლიერი ბიძგი მსოფლიოს ევოლუციის და მისი პროგრესის, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება კაცობრიობის სრულყოფას. ევოლუცია კი, შეიძლება მომდინარეობდეს როგორც გაუცნობიერებლად, ისე შეგნებულად. ამიტომ ჩვენ ამ ემოციებს და ბიძგებს უნდა შევხედოთ სხვა თვალსაწიერიდან, ზოგადი სიბრტყიდან. შემოქმედებითი ტკბობის დროს იმდენად მაცდურია იმ გზაზე ნაპოვნი „აბები“, რომ, რომელ ფიქრის ტყეში ალმოჩნდებით ღმერთმა უწყის. შესაძლებელია სწორი იდეით დაწყებულმა შემოქმედებამ დასასრული მანკიერების ხოტბის აღაელენაში დაასრულოს ამბავი. ამიტომ თქვა გილიოტინაზე თავის მოკვეთის წინ მარატის მკვლელმა შარლოტა კორდემ „ჰოი, თავისუფლებავ, რამდენი ბოროტება ხდება შენი სახელით“, ამ დროს ძალადობის მოტივაცია არის თავისუფლება, ქრისტიანობის ქადაგება იწყება მახვილით, ჭეშმარიტი ქრისტიანნი ინკვიზიციის კოცონზე ხვდებიან და ა.შ.

დღევანდელი მსოფლიო კულტურა, რომლის მედროშე თითქმის ყოველთვის ევროპული ფასეულობები იყო, უკანასკნელ საუკუნეებში წაიდა უფრო ინტელექტუალური განვითარების გზით და აი

შეიქმნა მძიმე საომარი ბომბები და ამასთანავე უფრო მეტი ყურადღება დამკვიდრდა ადამიანის უფლებების ირგვლივ. ამ პერიოდში ერთდროულად და პარალელურად ვითარდება თავისუფლების პრინციპები და სახელმწიფოთა ჩუმი ფარული ჩაგვრა ერთმანეთისა ემბარგოებით, აკრძალვებით, სხვა ქვეყნების მხრიდან წაყრუებით და სხვა ამგვარით. საბოლოო ჯამში ეს კულტურა თანაბარი მიღწევებით ხასიათდება ახალი ქვემეხების და ქირურგის ახალი აპარატის შექმნაშიც. ერთი სიტყვით თუ ველური ადამიანი დაუნდობლად და შემზარავად უჩვეოდა თავს კონკურენტ ადამიანს, დღევანდელი იმპერიების ქიმიური იარაღები ჩუმად, უმტკივნეულოდ და სამარადისოდ აძინებს ადამიანებს. მოკლედ,ადამიანი ისევე ისეთი ველურია,ოღონდ მისი სისასტიკის ფორმებია სახეშეცვლილი.

4) რომ არა ეს ყოველთვის „მოსაწყენი" მორალის არსებობა, ადამიანები ჩაიდენდნენ ბევრად მეტ ბოროტებას, მაგრამ მათ ეს აკავებს, როგორც თვალშეუდგამი ჯებირი. უამრავი რამით ვინტერესდებით, ბევრ რამეში იმდენად ღრმად ვიჭრებით, რომ ვერ ეგრძნობთ შეუსაბამოს ჩვენს სულიერ და მიწიერ ცხოვრებაში. გვიყალიბდება ორი ცხოვრება: ერთში უჩვეულოდ მომთხოვნი და მკაცრი ვართ, მეორეში საოცრად დამთმობი და კომპრომისზე წამსვლელი. ადვილად ვურიგდებით ასეთ გაორებას და ფაქტიურად ვახდენთ ღირებულებების ფალსიფიკაციას. და რა თქმა უნდა გვაქვს ჩვენს ყოფაში უაზროდ დამკვიდრებული აზრები „პირადად მე ხომ არ მომიგონია ყველაფერი, ყველა ასე იქცევაო", „მე ერთმა რა უნდა გავაკეთო მარტო" და ა.შ. მოკლედ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მექანიზმები.

ჩვენ კი წერილის ზევით ნაწილში შევთანხმდით, რომ დღევანდელი კაცობრიობა ვითარდება ინტელექტუალიზმის ხაზით; მისი შემეცნების ორგანიზაცია კი ამგვარად მიმდინარეობს: მეცნიერება დაფუძნებულია დაკვირვებებზე, გამოთვლასა და ცდებზე და ფილოსოფია ეყრდნობა განსჯასა და დასკვნების გამოტანას გონებით მჭვრეტ მეთოდებზე. განსაკუთრებულ ემოციურ შემეცნებაში მიმდინარეობს ხელოვნებისა და რელიგიის წვდომა და უჭირს რა რელიგიის ბოლომდე შეცნობა, ადამიანი ამ უკმარისობას მისი უმცროსი დისგან — ხელოვნებისგან ივსებს. როდესაც რელიგიური რწმენის სწავლება „კულტების" ხასიათს ღებულობს, მთლიანად ეფუძნება ადამიანის ემოციური ბუნება დიდებულ სატაძრო შენობებს, გალობას, მსხვერპლშეწირვებს და მის საერო და სამოქალაქო ანალოგზე — ხელოვნებაზე. ყოველივე და განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს ადამიანთა ემოციებზე, რომლითაც დააცხრო ეს ენებები და სამყაროს მუდმივი იდუმალების ვერშეცნობის კომპენსაცია ამით მოახდინოს.

5) ხელოვნების ფსიქოლოგია იმდენად ზრდის ადამიანის თვალსაწიერს, რომ ამ დროს წარმოშობილი ოცნებისმიერი სწრაფვა არის ერთ-ერთი ძლიერი არტერია სამყაროს წვდომისა. ამავე დროს საკმარისია ადამიანმა თავი დაანებოს ამ იდუმალების წვდომას და მაშინ იწყება გადასელა მოსაწყენ, ზარმაც ტკბობად განზომილებაში, რაც არის კიდეც ერთ-ერთი დამამუხრუჭებელი ადამიანის ჭეშმარიტი განვითარებისა. თუ ხელოვნების იდეა სამყაროს მშვენიერ გარდაქმნაში იდუმალების ძიებაა, ეს იდუმალება რელიგიაში ღმერთისა და ჭეშმარიტების შეცნობაშია, რაც სახარებაში ასეა მოცემული: „...ეძიებდე ცათა სასუფეველს და მის ჭეშმარიტებას".

ამგვარად, სამყაროს შემეცნების ფორმებად შეგვიძლია გამოვიყენოთ მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია და ხელოვნება. თუ მეცნიერების მეთოდი არის ცდა, ფილოსოფიის გონებით ჭვრეტა, ხოლო რელიგია და ხელოვნება ადამიანს აიძულებს სამყარო ჩხრიკოს ესთეტიკის მორალის და შთაგონების სფეროში, ოღონდ დოზები ასეთია, რელიგია მოითხოვს მეტ მორალს და ღვთაების შთაგონებას, ხელოვნება — ოცნებას, სილამაზეს და ესთეტიკას. ოთხივე ეს დარგი კი, თაეის აპოგეას აღწევს მაშინ, როდესაც ადამიანის გონებაში აქტიურდება ინტუიციური შემეცნება, ჭვრეტა და ხედვა, რაც საბოლოო ჯამში არის გრძნობისა და ანალიზის სინთეზი.

ზოგადად კი, ყოველგვარი შემეცნების მიზანი საბოლოო ჯამში უნდა იყოს ინტუიციურ შემეცნებამდე მისვლა, სადაც შერწყმულია ერთმანეთში მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია და ხელოვნება, რომლისგანაც წარმოიშვება ერთი მთლიანი თეოსოფია, ანუ ღვთაებრივი სიბრძნე, რომელიც არის კაცობრიობის ზოგადი ფსიქოლოგიის პროგრესის შემცველი ძირითადი ელემენტი და მსოფლიო ისტორიის გამანვითარებელი.

თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი მუდმივად ხვდება საკუთარი არჩევანის სისწორეში დაურწმუნებლობის მდგომარეობაში. ის არაა დარწმუნებული, რომ სწორედ ირჩევს პროფესიას, რომ უშეცდომოდ განსაზღვრავს ცხოვრების თანამგზავრს, მას არ შეუძლია იყოს აბსოლუტურად დარწმუნებული კიდევ უფრო მცირე უპირატესობებშიც კი.

ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია სწორედ აღწეროს თავისი მდგომარეობა და სულიერი თვისებები და როგორც წესი, არ ცდილობს ამის გაკეთებას თვით ჩაღრმავებისადმი მიდრეკილების უქონლობის, ან მასში ჩადებული ფსიქოლოგიური კომპლექსების გამო. გარშემომყოფთა აზრის ნდობა, ასევე, არ შეიძლება ყველა შემთხვევაში, რამდენადაც გვერდიდან შემოთავაზებული შეხედულება ჯერაც არ იძლევა დაკვირვების სიზუსტისა და სანდოობის გარანტიას. გამოკითხული პირი შეიძლება ნეგატიურად იყოს განწყობილი კვლევის ობიექტის მიმართ, რაც აუცილებლად აისახება მის მიერ მოცემულ დახასიათებაში, საპირისპირო შემთხვევაში, როცა ის კვლევის ობიექტის მიმართ განიცდის საუკეთესო გრძნობებს, მისი გამოხმაურება მიჩქმალავს პიროვნების ნეგატიურ მხარეებს და პირველ პლანზე წამოსწევს დადებით თვისებებსა და ღირსებებს. ტესტების დანიშნულებაა ადამიანს დაეხმაროს სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და თავისი უნარებისა თუ ნიჭის ობიექტური განსაზღვრის რთულ საქმეში.

ტესტები შედარებით ახალი გამოგონებაა, მათი პროფესიული შემუშავება და აქტიური გამოყენება დაიწყო მხოლოდ XIX ს-ში, ხოლო მისი პოპულარობის პირველი გამონათება ემთხვევა პირველი მსოფლიო ომის დროს. თავდაპირველად უშუალოდ მედიცინაში იქნა გამოყენებული, მოგვიანებით მან მნიშვნელოვნად გააფართოვა გამოყენების სფერო და დაიწყო მისი გამოყენება პედაგოგიკაში, მოგვიანებით კი ფსიქოლოგიაშიც.

ზოგიერთი ტესტი იმდენად ცნობილი გახდა, რომ მათი სახელწოდებები იციან ისეთმა ადამიანებმაც, რომლებიც თავიანთი საქმიანობით საკმაოდ შორს არიან ფსიქოლოგიისგან (მაგალითად, აიზენკის ტესტი ან იუნგის კითხვარი). მრავალი მკვლევარის აზრით, ტესტებს, თუნდაც, თუ მათ არ გააჩნდეთ პრეტენზია აბსოლუტურ უტყუარობაზე, შეუძლიათ მინიმუმამდე დაიყვანონ კონფლიქტები ადამიანებს შორის და უზრუნველყონ შედარებითი სიმშვიდე ოჯახის ან სამუშაო კოლექტივის ჩარჩოებში. ამჟამად, სამუშაოს მიმცემები სულ უფრო ხშირად სთავაზობენ ტესტებს თავიანთ პოტენციურ თანამშრომლებს მათი ცოდნისა და ხასიათის თავისებურებების შემოწმების ძირითადი ხერხის სახით, სამუშაოს შესასრულებლად მაქსიმალურად შესაძლო ფსიქოლოგიური კომფორტისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.

ტესტების შედეგებს, რომლებიც პრაქტიკულად ყოველთვის მოულოდნელია, შეუძლიათ ადამიანებში გამოიწვიონ სრულიად სხვადასხვაგვარი ემოცია — სასიამოვნო გაკვირვებიდან განრისხებით უარყოფამდე, როგორც თავად ტესტის შედეგისა, ასევე თვითონ ტესტირებისა. ადამიანის უნარების შესწავლის ხერხის სახით. ახლახანს გერმანიაში დაფუძნდა საზოგადოება, რომლის წევრებიც გახდნენ ყოველგვარი ტესტირების აშკარა მოწინააღმდეგენი, იმაში დარწმუნებულნი, რომ ასეთი მეთოდით სამართლის დადგენა მაინც არ მოხერხდება, ხოლო მიღებული ინფორმაცია გარკვეულწილად მაინც აცხადებს პრეტენზიას ადამიანის სიცოცხლის ინტიმური დეტალების გახმაურებაზე. თუმცა, ამ თვალსაზრისს ემხრობა მხოლოდ მცირედი, მაშინ როცა დანარჩენები დარწმუნებით ანდობენ თავიანთ პირად ცხოვრებას და კარიერას — ტესტირების შედეგებს.

არსებობს ტესტების რამოდენიმე ძირითადი ნაირსახეობა: პროფესიული, პიროვნული და ინტელექტუალური. გარდა ამისა, ტესტები შეიძლება დაიყოს ინფორმაციის ვერბალურად (სიტყვიერი) და გრაფიკულად (ნახატები) მი-

წოდების ხერხის მიხედვით, მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება ჩვეულებრივი კითხვარი, რომელიც გულისხმობს პასუხის რამოდენიმე ვარიანტის არსებობას, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს სწორს, ხოლო დანარჩენები სრულად, ან ნაწილობრივ არ ხვდებიან ამ კატეგორიის ქვეშ. როგორც წესი, გრაფიკული ტესტები გამოიყენება დაკვირვებისა და ყურადღების შემოწმებისას, ასევე ინტელექტის საკვლევ ტესტებში.

წარმოდგენილი ტესტების მრავალფეროვნება დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისთვისაც კი ფუფუნებას წარმოადგენს, რამდენადაც ტესტები ეძღვნება სრულიად საპირისპირო ნივთებს — ხასიათის თვისებებს, ადამიანის პიროვნების თავისებურებებს, სახალისო წვრილმანებსა და დეტალებს, რომლებიც კოლეგებისა და ოჯახის წევრების გამჭოლი მზერის მიღმა რჩება. „ფსიქოლოგიური ტესტების დიდ ენციკლოპედიაში“ ჩართული აღმოჩნდა ისეთი ტესტები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ყოველმხრივ და სხვადასხვაგვარად იქნეს გამოკვლეული ადამიანის ხასიათი, მისი მისწრაფებები, რაც ზოგჯერ გამოცანად რჩება თავად მისთვის და გარშემომყოფებისთვის, ასევე ახსნილ იქნეს მრავალი ქცევა და ფსიქოლოგიური თავისებურებები, რომლებიც გაუგებრად და უცნაურად გვეჩვენება. ტესტირების კლინიკურ ნიმუშებთან ერთად მოცემულ კრებულში შევიდა მრავალი ორიგინალური ტესტი, რომლებმაც უნდა დაიპყრონ მხოლოდ მკითხველთა გულები.

ზოგიერთ ტესტზე შეგიძლიათ გაიცინოთ, ზოგიერთი კი დაგაფიქრებთ, ხოლო ნაწილი კი, ჩვენის რწმენით, გახდება თქვენი უახლესი თანამგზავრი, რომლითაც გაიელით ცხოვრებას და ასევე, ერთგვარი თერმომეტრი, რომელთა მეშვეობითაც მუდმივად შეგეძლებათ შეამოწმოთ თქვენი სულიერი მდგომარეობა და არჩეული გზის სისწორე.

ფსიქოდიაგნოსტიკა მიზნად ისახავს ფსიქოლოგიური ცოდნის სამი დარგის: **საგნობრივის** (ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს მოცემულ მოვლენებს), **ფსიქომეტრიკის** (მეცნიერება დიაგნოსტირებად ცვლადებში ინდივიდუალური განსხვავებების გაზომვის შესახებ) და **ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენების პრაქტიკის** ჩამოთვლას.

პრაქტიკული ფსიქოდიაგნოსტიკა გულისხმობს სასარგებლო ჩვევებსა და ინტუიციას, მდიდარ კლინიკურ და ყოფით გამოცდილებას. გარდა ამისა, პრაქტიკული ფსიქოდიაგნოსტიკა გულისხმობს ფსიქოდიაგნოსტიკური ინსტრუმენტების გამოყენების წესების კრებულს, ფსიქოდიაგნოსტიკური მუშაობის ეთიკური და პროფესიული ნორმების ცოდნას. ასე, მაგალითად, პრაქტიკოსმა ფსიქოდიაგნოსტიკოსმა უნდა იცოდეს და შეეძლოს გამოკვლევის ჩატარების პირობების კვალიფიცირება და მათი გათვალისწინება ინდივიდუალური მონაცემების ნორმატივებთან შედარებისას. მაგალითად, თუ გამოკვლევის აჩქარებისას ვითარების რაიმე ელემენტებმა დააფრთხეს ცდის პირი და გამოკვლევის სიტუაცია მისთვის იქცა ექსპერტიზის სიტუაციად, ამ გარემოებამ შეიძლება შეუძლებლად აქციოს ინდივიდუალური შედეგის ნორმებთან შედარება, თუ ეს უკანასკნელი მიღებულ იქნა სანდო კონტაქტის სიტუაციაში და პირიქით, თუ ნორმები მიღებულია ექსპერტიზის სიტუაციაში, ხოლო კონკრეტულ გამოკვლევას გააჩნია სანდო ხასიათი, ნორმებთან შეჯერება ასევე ხდება არაკორექტული. ყოველივე ეს არა მხოლოდ უნდა იცოდეს პრაქტიკოსმა ფსიქოდიაგნოსტიკოსმა, მან ასევე უნდა გაარკვიოს, თუ როგორ უნდა აღიქვას სიტუაცია გამოსაკვლევმა პირმა. პრაქტიკული ფსიქოდიაგნოსტიკა, ასევე, გულისხმობს კლიენტის მოტივაციის გათვალისწინებას გამოკვლევაზე და მისი შენარჩუნების ხერხების ცოდნას, გამოსაკვლევი პირის მდგომარეობის მთლიანობაში შეფასებას, მისთვის საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ცოდნასა და ჩვევებს, ფაქტზე დამოკიდებულებებს, რომელთაც უნებურად შეუძლიათ ზიანის მიყენება გამოსაკვლევი პირისთვის, დამკვეთისთვის ინფორმაციის მიწოდების უნარის და სხვა მრავალის მიხედვით.

1. ფსიქოდიაგნოსტიკური პროცედურების კლასიფიკაცია

ამჟამად არსებობს ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკების რამოდენიმე, საკმაოდ დასაბუთებული კლასიფიკაცია, ხოლო მათ შორის, ჩვენის აზრით, ყველაზე სრულად შეიძლება ჩაითვალოს ვ. სტოლინის მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაცია და სხვ.

ერთი, გამოყოფენ დავალებებზე დაფუძნებულ დიაგნოსტიკურ მეთოდებს, რომლებიც გულისხმობენ სწორ პასუხს ან ისეთ დავალებებზე დაფუძნებულს, რომელთა მიმართებაშიც არ არსებობს სწორი პასუხები. პირველ ტიპს განეკუთვნება ინტელექტის მრავალი ტესტი, სპეციალური უნარების, ზოგიერთი პიროვნული თვისებების ტესტები (მაგალითად, რავენის ტესტი, უიტკინის ველდამოკიდებულება-ველდამოუკიდებლობის განსაზღვრის დიაგნოსტიკური პროცედურა, ლუჩინსის რიგიდულობის ტესტი და სხვ). **მეორე ჯგუფის** დიაგნოსტიკური მეთოდიკები შედგება დავალებებისგან, რომლებიც ხასიათდებიან მხოლოდ ამა თუ იმ პასუხის სიხშირით (და მიმართულებით), მაგრამ არა მისი სისწორით. ასეთია პიროვნული კითხვარების უმრავლესობა (მაგალითად, რ. კეტელის 16 PF ტესტი).

მეორე, ანსხვავებენ ვერბალურ და არავერბალურ ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდიკებს.

პირველები ასე თუ ისე განპირობებულია გამოსაკვლევ პირთა მეტყველებითი აქტიურობით; ამ მეთოდიკების შემადგენლები აპელირებენ მეხსიერების, წარმოსახვის, შეხედულებათა სისტემის მიმართ, მათი ენით გაშუალედებული ფორმით. მეორენი მოიცავენ ცდის პირთა მეტყველებით უნარს მხოლოდ ინსტრუქციების გაგების თვალსაზრისით, თავად დავალების შესრულება კი ეყრდნობა არავერბალურ უნარებს – პერცეპტულს, მოტორულს.

მესამე საფუძველი, რომელიც გამოიყენება ფსიქოდიაგნოსტიკური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისთვის, ესაა იმ ძირითადი მეთოდური პრინციპის დახასიათება, რომელიც საფუძვლად დაედო მოცემულ ხერხს. ამ საფუძვლის მიხედვით ჩვეულებრივ გამოიყოფა:

1) ობიექტური ტესტები;

2) სტანდარტიზებული თვითანგარიშები:

ა) ტესტ-კითხვარები;

ბ) ღია კითხვარები, რომლებიც გულისხმობენ შემდგომ კონტენტ-ანალიზს;

გ) სკალის ტექნიკა, რომელიც აგებულია ჩ. ოსგუდის სემანტიკური დიფერენციალსა კლასიფიკაციის მეთოდიკის ტიპის მიხედვით;

დ) როლურ-რეპერტუარული გისოსების ტიპის ინდივიდუალურ-ორიენტირებული ტექნიკა;

3) პროექციული ტექნიკა;

4) დიალოგის (ინტერაქტიული) ტექნიკა (საუბრები, ინტერვიუ, დიაგნოსტიკური თამაშები);

5) ფსიქოფიზიოლოგიური, აპარატული მეთოდიკები, რომლებიც გულისხმობენ ფიზიოლოგიური ან აპარატულად რეგისტრირებული ქცევითი მაჩვენებლების ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას.

ობიექტური ტესტები — ესაა ის მეთოდიკები, რომლებშიც შეიძლება სწორი პასუხი ე.ი. დავალების სწორი შესრულება.

სტანდარტიზებული თვითნგარიშის მეთოდიკების ყველა ჯგუფისთვის საერთოს წარმოადგენს ცდის პირის ვერბალური უნარების გამოყენება, ასევე მისი აზროვნებისადმი, წარმოსახვისადმი, მეხსიერებისადმი მიმართვა.

ტესტ-კითხვარები გულისხმობენ პუნქტების (კითხვების, მტკიცებების) ნაკრებს, რომელთა მიმართებაშიც ცდის პირს გამოაქვს დასკვნა (როგორც წესი, გამოიყენება პასუხების ორ-ან სამი-ალტერნატიული არჩევანი). ერთი და იგივე ფსიქოლოგიური ცელადი წარმოდგენილია პუნქტების ჯგუფით (არანაკლებ 6-7). ტესტ-კითხვარის პუნქტები შეიძლება იყოს პირდაპირი, რომლებიც უშუალოდ აპელირებენ ან სუბიექტის გამოცდილების (მაგალითად: „გეშინიათ თუ არა სიბნელის?“) ან ცდის პირის აზრების, დასკვნების მიმართ, რომლებშიც ირიბად ვლინდება მისი პირადი გამოცდილება ან განცდა (მაგალითად: „ადამიანთა უმრავლესობა პატიოსანია“). კითხვარები იგება, როგორც ერთგანზომილებიანი ან მრავალგანზომილებიანი, რომლებიც მოიცავენ მთელ რიგ ფსიქოლოგიურ ცელადებს.

ღია კითხვარები არ ითვალისწინებენ ცდის პირის სტანდარტიზებულ პასუხს; დამუშავების სტანდარტიზაცია მიიღწევა თავისუფალი პასუხების სტანდარტულ კატეგორიებთან მიკუთვნების გზით.

სკალის ტექნიკა გულისხმობს ამა თუ იმ ობიექტის (სიტყვიერი მტკიცებების, სახვითი მასალის, კონკრეტული პირის და ა.შ.) შეფასებას მათში სკალით მოცემული თვისების (მაგალითად, „თბილი-ცივი“, „ძლიერი-სუსტი“) გამოხატულების მიხედვით. ჩვეულებრივ, გამოიყენება სამ-, ხუთ- და შვიდწერტილოვანი სკალები. სკალირების განსაკუთრებული ვარიანტი — ესაა სუბიექტური კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობს ობიექტების სუბიექტური სტრუქტურიზაციის გამოვლენას.

რეპერტუარული გისოსების ტიპის ინდივიდუალურ-ორიენტირებული (იდეოგრაფიული) ტექნიკა შეიძლება ფორმით ემთხვეოდეს სკოლის გამოკითხვის მეთოდებს, პგავდეს საუბარს ან ინტერვიუს. მათი ძირითადი განსხვავება ტესტ-კითხვარებისგან მდგომარეობს იმაში, რომ შესაფასებელი პარამეტრები (ღერძები, გაზომვები, კონსტრუქტები) გარედან არაა მოცემული, არამედ გამოიყოფა მოცემული კონკრეტული ცდის პირის ინდივიდუალური პასუხების საფუძველზე. ამ მეთოდების განსხვავება ინტერვიუს მეთოდისგან მდგომარეობს იმაში, რომ რეპერტუარული გისოსები საშუალებას იძლევიან განხორციელდეს თანმედროვე სტატისტიკური აპარატის გამოყენება და საიმედოს ხდიან დიაგნოსტიკურ. დასკვნებს სუბიექტის ინდივიდუალურ თავისებურებებთან მიმართებაში.

პროექციული ტექნიკა ეფუძნება იმას, რომ არასაკმარისია სტრუქტურირებული მასალა, რომელიც გამოდის სტიმულის სახით, მთლიანად ექსპერიმენტის შესაბამისი ორგანიზების დროს წარმოქმნის ფანტაზიას, წარმოსახვის პროცესებს, რომლებშიც ვლინდება სუბიექტის ესა თუ ის მახასიათებლები. კლინიკურ გამოყენებაში პროექციული ტექნიკა ხშირად იგება ინტუიციაზე და ფსიქოდიაგნოსტის თეორიულ მომზადებაზე, რომლებიც აუცილებელია მონაცემთა ინტერპრეტაციის ეტაპზე. პროექციული ტექნიკის კლეევითი გამოყენება, როგორც წესი, გულისხმობს კონტენტ-ანალიტიკური პროცედურების გამოყენებას, რომლებიც ახორციელებენ მონაცემთა დამუშავების სტანდარტიზაციას.

დიალოგური ტექნიკა გულისხმობს, რომ ფსიქოდიაგნოსტი შედის კონტაქტში გამოსაკვლევ პირთან და აღწევს საუკეთესო დიაგნოსტიკურ შედეგებს ამ კონტაქტის სპეციფიკური თავისებურებების ხარჯზე, რაც არის დიაგნოსტიკური ამოცანის რელევანტური. ასე, მაგალითად, ნდობით აღსავსე კონტაქტი აუცილებელია ოჯახური სირთულეების, ბავშვის პიროვნული განვითარების ხასიათის დიაგნოსტიკის დროს და სხვა, მრავალ შემთხვევაში, რომლებშიც დიაგნოსტი ერთდროულად გამოდის კონსულტანტის ან ფსიქოთერაპევტის როლში. დიაგნოსტიკური პათოფსიქოლოგიური გამოკვლევის სიტუაცია გვკარნახობს ურთიერთობის აგებას ექსპერტიზის პრინციპით.

დიაგნოსტიკური ტექნიკა შეიძლება იყოს ვერ-

ბალური (ინტერვიუ, საუბრები) და არავერბალური (მაგალითად, ბავშვთან თამაში შეიძლება გამოვიდეს, როგორც არავერბალური დიასგნოსტიკური პროცედურა).

სხვადასხვა მეთოდური ხერხები, რომელთა საფუძველზეც იგება ესა თუ ის მეთოდიკა, შეიძლება განვათავსოთ ერთ სკალაზე, თუ კლასიფიკაციის ერთიან საფუძვლად ავიღებთ დიაგნოსტიკურ პროცედურაში თავად ფსიქოდიაგნოსტის ჩართულობასა და ფსიქოდიაგნოსტიკის შედეგზე მისი გავლენის ხარისხს.

აპარატულ მეთოდიკებს და ობიექტურ ფსიქოლოგიურ ტესტებს გააჩნია ფსიქოდიაგნოსტის ფსიქოდიაგნოსტიკის პროცედურაში ნაკლები ჩართულობა, ფსიქოდიაგნოსტის პიროვნების, მისი, როგორც ფსიქოლოგის გამოცდილების მინიმალური გავლენა დიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგებზე. ფსიქოდიაგნოსტის ჩართულობის თითქმის ასეთივე მცირე ხარისხი გააჩნია სტანდარტიზებული თვითანგარიშების ზოგიერთ ფორმას – მრავალ კითხვარსა და სკალის ტექნიკას. შეიძლება ითქვას, რომ ამ მეთოდიკებში ფსიქოლოგის პირადი თვისებები აისახა მეთოდიკის შემუშავების ეტაპზე, ხოლო გამოკვლევის პროცედურა, ისევე როგორც მისი შედეგის ფიქსაცია არის რუტინული ოპერაცია, რომლის შესრულებაც პრინციპში შეიძლება ლაბორანტის (არაფსიქოლოგის) მეშვეობით, ან ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის პროგრამით. დიაგნოსტიკური ტექნიკა, პირიქით, ხასიათდება ფსიქოდიაგნოსტის ფსიქოდიაგნოსტიკის პროცესში ჩართულობის მაქსიმალური ხარისხით, მისი გამოცდილების, პროფესიონალური ჩვევების, უნარების მაქსიმალური გაელენით, ურთიერთობის სფეროში, ფსიქოდიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგებზე. ეს თვისებები გააჩნია სხვადასხვა სახის საუბარს, ინტერვიუს, დიაგნოსტიკურ თამაშებს. მაგალითად, პათოფსიქოლოგიური ექსპერიმენტი, როგორც განსაკუთრებული ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდი ცნობილია ფსიქოდიაგნოსტის ჩართულობის მაღალი ხარისხით: უნდა შეიქმნას ექსპერტიზის მოტივი (გამოსაკვლევმა პირმა უნდა გაიგოს, რომ მისი პასუხების საფუძველზე გაკეთდება მისთვის მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური დასკვნა), ცალკეული ცდების შედეგები ინტერპრეტირებული ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენადაა გამოხატული ეს მოტივი (ფსიქოდიაგნოსტის აზრით). არანაკლებ ცხადია ფსიქოდიაგნოსტის გაელენა დიაგნოსტიკური დასკვნის შედეგებზე, რომლის გამოტანაც ხდება ფსიქოლოგიური კონსულტაციის კლიენტთან საუბრის საფუძველზე. საკუთარი რეაქციებით, საპასუხო რეპლიკებით, თავდაჭერის უნარით ფსიქოდიაგნოსტს შეუძლია, როგორ შექმნას ოპტიმალური პირობები დიაგნოსტიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად, ასევე სრულად დაამახინჯოს ეს ინფორმაცია, მისი აზრი.

ყველა დანარჩენ ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდს უკავიათ შუალედური მდგომარეობა ორ პოლუს შორის, რომლებიც წარმოიქმნა ობიექტური ტესტებითა და დიალოგური მეთოდებით.

მრავალგანზომილებიანი ტესტ-კითხვარები, რომლებიც გულისხმობენ პროფილის ანალიზს და ცალკეული სკალების ინტერპრეტაციას სხვათა მნიშვნელობებისა და მთლიანად, პროფილის ხასიათის მიხედვით, მოითხოვენ ფსიქოდიაგნოსტიკის კლინიკურ გამოცდილებას და მაშასადამე, ისინი თავისუფალნი არ არიან დიაგნოსტის პიროვნების გაელენისგან ფსიქოდიაგნოსტიკური დასკვნის ეტაპზე. ეს გავლენა არანაკლებ თვალსაჩინოა გამოკვლევის შედეგების კოდირების აუცილებლობისას, რაც მიღებულია ღია კითხვარების, ან პროექციული ტექნიკის მეშვეობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ფსიქოდიაგნოსტის მიერ ატმოსფეროს შექმნას, რაც ხსნის ცდის პირის წარმოსახვის, შემოქმედების უნარს.

ამდენად, უნარების და ფსიქიკური ფუნქციების დიაგნოსტირება ხდება ძირითადად მეთოდებით, რომლებშიც ფიქოდიაგნოსტის გაელენა გამოხატულია მინიმალურად (ძირითადად ობიექტური ტესტებითა და ტესტ-კითხვარებით). პიროვნული თვისებების დიაგნოსტირება უპირატესად ხდება ტესტ-კითხვარებით; კოგნიტური ორგანიზაციებით და სხვა ინდივიდუალური თვისებები უპირატესად საშუალო დონის მეთოდიკებით (დიაგნოსტიკის პროცესზე ფსიქოდიაგნოსტის გავლენის ხარისხის მიხედვით) – რეპერტუალური გისოსებით, პროექციული ტექნიკით.

მოტივაციის, დამოკიდებულების დიაგნოსტირება უპირატესად ხდება პროექციული ტექნიკით. დიალოგური მეთოდიკების წონა, რომელთაც გააჩნიათ ფსიქოდიაგნოსტის ჩართულობის მაქსიმალური ხარისხი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთდამოკიდებულებების, ურთიერთობის დიაგნოსტიკის დარგში (ისეთი თვისებების, რომელთა აქტუალიზაცია მოითხოვს ურთიერთობის რეალური სიტუაციების შექმნას).

2. ფსიქოდიაგნოსტიკური ამოცანები

თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში ფსიქოდიაგნოსტიკური ამოცანების დაყენება და არჩევა გულისხმობს კლიენტის სიტუაციისა და ექსპერტიზის

სიტუაციის გამიჯვნას. პირველ შემთხვევაში ადამიანი თავად მიმართავს ფსიქოლოგს დახმარებისთვის, ის სიამოვნებით მიდის თანამშრომლობაზე, ცდილობს შეასრულოს ინსტრუქციები, რაც შეიძლება ზუსტად შეასრულოს ინსტრუქციები, შეალამაზოს საკუთარი თავი ანუ მოახდინოს შედეგების ფალსიფიკაცია. მეორე შემთხვევაში ადამიანმა იცის, რომ ექცევა ექსპერტიზის ქვეშ, ცდილობს გამოცდის ჩაბარებას, ხოლო ამისთვის საკმაოდ შეგნებულად აკონტროლებს თავის ქცევას და პასუხებს ისე, რომ გამოიყურებოდეს მაქსიმალურად მოგებულად, მიაღწიოს მიზანს, ხშირად, გადახრებისა და აშლილობების სიმულაციის ფასად.

ფსიქოდიაგნოსტიკური ამოცანები (და მთლიანად ფსიქოდიაგნოსტიკის სიტუაციები) განსხვავდება ასევე იმ თვალსაზრისით, თუ ვინ და როგორ გამოიყენებს დიაგნოსტიკურ მონაცემებს და როგორია ფსიქოდიაგნოსტის პასუხისმგებლობა გამოსაკლევი პირის სიტუაციაში ჩარევის ხერხების არჩევაში. ყველაზე დამახასიათებელია ასეთი სიტუაციები.

1. მონაცემები გამოიყენება მოსაზღვრე სპეციალისტის მიერ არაფსიქოლოგიური დიაგნოზის დასასმელად ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ფორმულირებისთვის. ეს სიტუაცია ტიპიურია მედიცინაში ფსიქოდიაგნოსტიკური მონაცემების გამოყენებისთვის. ფსიქოლოგს გამოაქვს დასკვნა აზროვნების, მეხსიერების, ავადმყოფის პიროვნების სპეციფიკური თავისებურებების შესახებ, ხოლო ექიმი სვამს სამედიცინო დიაგნოზს. ფსიქოლოგი პასუხისმგებელი არაა არც დიაგნოზზე, არც იმაზე, თუ კერძოდ რომელი მკურნალობა ჩაუტარდება ავადმყოფს ექიმის მიერ. იმავე სქემით ხდება ფსიქოდიაგნოსტიკური მონაცემების გამოყენება სასამართლოს მოთხოვნით ფსიქოდიაგნოსტიკის, კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის, მუშაკის პროფესიული კომპეტენტურობის ფსიქოდიაგნოსტიკის ანუ ადმინისტრაციის მოთხოვნით პროფგამოსადეგობის ფსიქოდიაგნოსტიკის დროს.
2. მონაცემები გამოიყენება თავად ფსიქოდიაგნოსტის მიერ ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასასმელად, თუმცა ჩარევა გამოსაკვლევი პირის სიტუაციაში ხდება სხვა პროფილის სპეციალისტის მიერ. ასეთია, მაგალითად, ფსიქოდიაგნოსტიკის სიტუაცია სასკოლო მოუსწრებლობის მიზეზების ძიებასთან მიმართებაში: დიაგნოზს გააჩნია ფსიქოლოგიური (ან ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური) ხასიათი, ხოლო ცხოვრებაში მისი რეალიზაციის სამუშაოს ასრულებენ მასწავლებლები, მშობლები, აღმზრდელები. თუ დიაგნოზის საფუძველზე, ფსიქოლოგისთვის ცნობილი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღება ხდება ავტომატურად, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იურიდიული (და ადმინისტრაციული) პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილებაზე ეკისრება ფსიქოლოგს, თუმცა ამგვარი სიტუაცია, რასაკვირველია, ფსიქოლოგს აკისრებს მაღალ მორალურ პასუხისმგებლობას.
3. მონაცემები გამოიყენება თავად ფსიქოდიაგნოსტის მიერ ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასასმელად, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენს მისთვის საფუძველს (ან საფუძველს მისი კოლეგა-ფსიქოლოგის მოქმედებებისთვის) ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზების შემუშავებისთვის. ასეთია ფსიქოდიაგნოსტიკის სიტუაცია ფსიქოლოგიური კონსულტაციის პირობებში.
4. დიაგნოსტიკური მონაცემები გამოიყენება თავად გამოსაკვლევი პირის მიერ თვითგანვითარების, ქცევის კორექციის მიზნით და ა.შ. ამ სიტუაციაში ფსიქოლოგს ეკისრება პასუხისმგებლობა მონაცემთა კორექტულობაზე, დიაგნოზის ეთიკურ, დეონტოლოგიურ ასპექტებზე და მხოლოდ ნაწილობრივ იმაზე, თუ როგორ იქნება გამოყენებული ეს დიაგნოზი კლიენტის მიერ.

ზემოთმოყვანილ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით ფსიქოდიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად:

1) სტანდარტიზებულ, საზომ მეთოდებად, რომლებიც მოიცავენ ობიექტურ ტესტებს და სტანდარტიზებულ თვითანგარიშს;
2) საექსპერტო ან გაგების მეთოდებად (ტრადიციულად ისინი ხშირად ფიგურირებენ კლინიკური მეთოდების სახელწოდებით). აქ შედის პროექციული და დიალოგის მეთოდები.

მეთოდების პირველი კატეგორიის საფუძველში დევს საკმაოდ მკაცრი და მკაფიო ფორმაში ფორმულირებული წესების დაცვა. ეს მეთოდები უზრუნველყოფენ დიაგნოზს (და მის საფუძველზე პროგნოზს) მხოლოდ ალბათობის სიზუსტით, ეს დიაგნოზი არის უფრო საიმედო ცდის პირთა ჯგუფის მიმართ, ვიდრე ცალკეული ცდის პირისადმი.

საექსპერტო მეთოდები უმეტესწილად ეფუძნება ფსიქოდიაგნოსტის პროფესიონალურ გამოცდილებას, მის ფსიქოლოგიურ ინტუიციას. ეს მეთოდები შეუცვლელია ყველგან, სადაც შემუშავებული არაა (ან უცნობია) სტანდარტიზებული პროცედურები. ისინი ხშირად უფრო ეფექტურია ფსიქიკურ მოვლენებთან მიმართებაში, რომლებიც ცუდად ექცევიან

ობიექტივაციის ქვეშ (სუბიექტური განცდების, პიროვნული აზრების, გამოცდილების სიღრმისეული ფენების მიმართ), საკმაოდ ცელადი მოელენების მიმართ, რომელთათვისაც რთულია შექმნას ფიქსირებული ოპერაციონალური მოდელი (როგორიცაა: მიზნების, მდგომარეობების, განწყობილების, მრავალგეგმიური დამოკიდებულებების დინამიკა ჯგუფში). თუ მათ იყენებს მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტი, ისინი ხდებიან უფრო სამედო საშუალება ინდივიდუალური დიაგნოსტიკის შემთხვევაში. გარდა ამის, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღრმა საექსპერტო ანალიზი – აუცილებელი პირველადი ეტაპია ყოველგვარი სტანდარტიზებული პროცედურის შემუშავებაში. სტანდარტიზაციის მიხედვით საექსპერტო მეთოდიკები ასევე ექვემდებარებიან რაოდენობრივ დასაბუთებას.

გაზომვის მეთოდების უპირატესობები – პროცედურის ობიექტური ხასიათი, ხელახლა შემოწმების შესაძლებლობა – უზრუნველყოფილია არა ავტომატურად, არამედ ფსიქომეტრიული მოთხოვნების შესრულების წყალობით. ესაა, **ჯერ ერთი,** რეპრეზენტაციულობა ე.ი. სტანდარტიზაციის არჩევის ტესტური ნორმების შესაბამისობა იმ პოპულაციის ტესტურ ნორმებთან, რომელზეც ხდება ტესტის გამოყენება. **მეორეც,** გაზომვის პროცედურის საიმედობა, სიზუსტე და მდგრადობა, მისი დამოუკიდებლობა ვარირებადი შემთხვევითი ფაქტორებისგან. **მესამეც,** ვალიდურობა (მათ შორის, უტყუარობა) – მეთოდიკის შესაბამისობაა გასაზომ კონცეპტთან. თუ ეს მოთხოვნები არაა შესრულებული, ტესტების გამოყენება არანაკლებ თავისუფალი პროცედურაა, ვიდრე ექსპერტის სტიქიური ჩაწვდომა გამოსაკვლევ პირთან მიმართებაში. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში შედეგი ბრმა დამოკიდებულებაშია შემთხვევითი და გვერდითი გარემოებების კომპლექსზე. საშიშია თაეად არა ტესტები, არამედ მათი გამოყენება თეორიისა და ფსიქომეტრიკის გარეშე, როცა სტანდარტული პროცედურა ფაქტიურად ასრულებს ყრუ მესერის როლს, რომელიც შემოუარგლავს ფსიქოდიაგნოსტს რეალური ცდის პირისგან. ამ შემთხვევაში ტესტი წარმოადგენს ცდის პირის ქცევის საკმაოდ ინფორმაციულ ნიშნებზე – მის მანერებზე, დავალებებზე, მუშაობის ხერხებზე და ა.შ. დაკვირვების აუცილებლობისგან ფსიქოლოგის განთავისუფლების შესაძლებლობის შესახებ ილუზორული შთაბეჭდილების წყაროს სფეროში.

ფსიქომეტრიკის ცოდნა გულისხმობს გამომყენებლის აუცილებელ კრიტიკულობას მეთოდიკების შეზღუდულობის გაგებაში, იმ ვარაუდების გაგებაში, რომლებიც გაკეთდა ამა თუ იმ შეფასებითი სკალის, ტესტის, კითხვარის, ამოცანების სისტემის შემუშავებისას და ა.შ.

ფსიქოდიაგნოსტიკური პროცედურების სპეციფიკა ჩვეულებრივ ფიზიკურ გაზომვებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ აქ, თავად გაზომვის პროცედურა ურთიერთქმედებას განიცდის გაზომვის ობიექტთან, უფრო მეტიც, წარმოიქმნება ამ ურთიერთქმედებაში და დამოკიდებულია მის მახასიათებელზე და ირღვევა, თუ ეს მახასიათებლები იცვლება. ფიზიკურ გაზომვებში ობიექტი მნიშვნელოვანწილად პასიურია და არ ახდენს გავლენას თავის მხრიდან ფიზიკურ ხელსაწყოზე. ადამიანი კი, პირიქით, ყოველთვის აქტიურია და მას შეუძლია ისეთი ტაქტიკის გამოყენება, რომელსაც ფსიქოდიაგნოსტი საერთოდ არ ითვალისწინებს მეთოდიკის შემუშავებისას. ტესტის მუშაობის დიაპაზონი საკმაოდ ვიწროა და ფაქტიურად დაიყვანება იმ პოპულაციამდე, რომელზეც მოხდა ტესტის ემპირიულ-სტატისტიკური შემუშავება, რაც უზრუნველყოფს მის საიმედობას, ვალიდურობას, ტესტური ნორმების რეპრეზენტაციულობას.

ახალ პოპულაციაზე ან ახალი მიზნებით (მიზნებზეა დამოკიდებული ტესტირების სიტუაციაში ცდის პირთა განწყობა) ტესტის კორექტული გამოყენებისთვის გამომყენებელმა უნდა ჩაატაროს წინასწარი ფსიქომეტრიკული ექსპერიმენტების სერია, რომლებიც მიმართულია ახალ პირობებში ტესტის საიმედოობის, ვალიდურობისა და რეპრეზენტაციულობის ხელახლა შემოწმებაზე. ერთი პოპულაციიდან მეორეზე ტესტის გადატანამ შემოწმების გარეშე, როგორც მინიმუმ ტესტური ქულების (ტესტური ნორმების სიმტკიცის) განაწილების არაერთგვაროვნობისა, შეიძლება მიგვიყვანოს სერიოზულ დიაგნოსტიკურ შეცდომებამდე ან უნაყოფო დანახარჯებამდე ფუჭ ფსიქოდიაგნოსტიკაზე.

ფსიქომეტრიკის მოთხოვნების მკაცრი დაცვა განსაკუთრებით აუცილებელია საზღვარგარეთ შემუშავებული ტესტების გადატანისას. მრავალი ფსიქოლოგი მიდრეკილია მზა სახით განიხილოს უცხოური მეთოდიკები, მაშინ, როცა რეალური ენობრივი და სოციოკულტურული განსხვავებები იმდენად ძლიერია, რომ უცხოური მეთოდიკის სრული ემპირიული ადაპტაცია თავისი მოცულობით არ ჩამორჩება ორიგინალური მეთოდიკის შემუშავებას. ეს, პირველ რიგში, ეხება ფასეულობათა ორიენტაციების სკალებს, ქარაქტეროლოგიურ (სახასიათო) კითხვარებსა და სხვა პიროვნულ ტესტებს.

3. მოთხოვნები ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკებისა და მათი გამომყენებლების მიმართ

პრაქტიკული ფსიქოლოგიური კვლევების გავრცელება წარმოების, მედიცინის, განათლების სხვადასხვა სფეროში, რომლებიც მოითხოვენ ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკების გამოყენებას, მკაფიოდ აყენებს საკითხს ამგვარი პრაქტიკის ნორმატიული რეგულაციის შესახებ.

1. გაზომვის მეთოდებმა (ტესტებმა) უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) მეთოდიკის მიზნები, საგანი და გამოყენების სფერო უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული. საგანი, დიაგნოსტიკური კონსტრუქტი (კონცეპტი) უნდა იყოს ჩამოყალიბებული თეორიულ ცნებებში და თეორიულ დონეზე განეკუთვნებოდეს რელევანტური კონცეპტების სისტემას. უნდა იყოს მკაფიოდ გამოყოფილი გამოყენების სფერო, რომლის ქეშაც იგულისხმება განსაკუთრებული სოციალური გარემო ან საზოგადოებრივი პრაქტიკის სფერო (წარმოება, მედიცინა, ოჯახური ცხოვრება და ა.შ.), **ც.(ცდის)პ.(პირი),** კონტინგენტი (სქესი, ასაკი, განათლება, პროფესიონალური გამოცდილება, თანამდებობრივი მდგომარეობა). უნდა იყოს კონკრეტიზებული შედეგების გამოყენების მიზნები: პროფესიული საქმიანობის წარმატების პროგნოზისთვის, ფსიქოლოგიური ჩარევისთვის, სამართლებრივი, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებისთვის, კოლექტივის სტაბილურობის პროგნოზისთვის და ა.შ.

ბ) ჩატარების პროცედურა უნდა იყოს მოცემული ერთმნიშვნელოვანი ალგორითმის სახით, რომელიც გამოსადეგია სპეციალური ფსიქოლოგიური ცოდნის არმქონე ლაბორანტისთვის ან ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანისთვის (ეგმ) გადაცემისთვის, რომელიც გამოიყენება დავალებების წამოსაყენებლად და პასუხების ანალიზისთვის;

გ) დამუშავების პროცედურა უნდა მოიცავდეს ტესტური ქულას დაანგარიშებისაა და სტანდარტიზაციის სტატისტიკურად დასაბუთებულ მეთოდებს (სტატისტიკური ან კრიტერიული ტესტური ნორმების მიხედვით). დასკვნებს (დიაგნოსტიკურ მსჯელობას) ტესტური ქულას საფუძველზე უნდა ახლდეს თან მითითება ამ დასკვნების სტატისტიკური სანდოობის საალბათო დონეზე;

დ) ტესტური სკალები უნდა შემოწმდეს რეპრეზენტაციულობაზე, საიმედოობასა და ვალიდურობაზე გამოყენების მოცემულ სფეროში. სხვა შემმუშავებლებსა და კვალიფიცირებულ გამომყენებლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა განმეორდეს სტანდარტიზაციული კვლევები თავის სფეროში და შემუშავდეს კერძო სტანდარტები (ნორმები);

ე) თვითანგარიშზე დაფუძნებული პროცედურები უნდა იყოს აღჭურვილი სანდოობაზე კონტროლის საშუალებებით, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას ავტომატურად გაიცხრილოს არასაიმედო ოქმები;

ვ) გარკვეული უწყების (გამოყენების სფეროს) სათაო მეთოდურმა ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს ტესტზე შეგროვებული მონაცემების ბანკი და ყველა სტანდარტული მეთოდიკის პერიოდული კოლექცია.

2. საექსპერტო მეთოდები ეფუძნება ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა:

ა) მეთოდიკების გამოყენების მიზნის, საგნისა და სფეროს მკაფიო ფორმულირება. დამატება: გამოყენების ინსტრუქციას თან ახლავს მითითება ექსპერტთა მოთხოვნილ კვალიფიკაციაზე, მათ აუცილებელ რაოდენობაზე დამოუკიდებელი შეფასებების მეთოდით საიმედო მონაცემების მისაღებად;

ბ) ინსტრუქციის არსებობა ჩატარებაზე, რამაც გაიარა ექსპერტების მიერ მონაცემთა (ტექსტების, ნახატების, აუდიო-ან ვიდეოჩანაწერების და ა.შ.) ზოგიერთი ეტალონური ნაკრების მიმართ, მათი შესრულების ერთმნიშვნელოვნობაზე სპეციალური გამოცდები;

გ) შედეგების დამუშავების პროცედურის არსებობა, რომელიც მოიცავს დამუშავების შუალედური ეტაპების ისეთ დოკუმენტირებას, რაც საშუალებას იძლევა გადამოწმებული იქნეს საბოლოო შედეგი სხვა ექსპერტის მიერ;

დ) გამომყენებელ-შემმუშავებლების მიერ მონაცემთა ეტალონურ ნაკრებზე საექსპერტო შეთანხმების გაზომეის ნორმატიული კელევის აღდგენის (განმეორების) შესაძლებლობა;

ე) მონაცემთა ბანკის წარმოება სათაო ორგანიზაციის მიერ, რაც უზრუნველყოფს გამომყენებელთა მომზადებასა და გადამზადებას (მეთოდიკის გადახედული სტანდარტების შესაბამისად).

ნებისმიერი მეთოდიკა, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს, არ შეიძლება ჩაითვალოს პროფესიონალურ ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდიკად. მეთოდიკებმა უნდა გაიარონ ატესტაცია სათაო მეთოდური ორგანიზაციების

ჩარჩოებში, რომელთა ვალდებულებებშიც შედის ატესტირებული ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკების ბიბლიოთეკების შედგენა. ატესტაცია გაუელელი მეთოდიკების მთელი ინსტრუქციული ლიტერატურა არ შეიძლება ჩაითვალოს გამოსადეგად პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში გამოყენებისთვის. ეს არ გამორიცხავს კვლევის მიზნით არაატესტირებული მეთოდიკების გამოყენების შესაძლებლობებს.

მოთხოვნები

სხვადასხვა მოთხოვნები წაეყენებათ გამომყენებლებს, რომლებიც წარმოადგენენ პროფესიონალ ფსიქოლოგებს და არაფსიქოლოგ-გამომყენებლებს.

ფსიქოლოგმა-გამომყენებელმა:

ა) უნდა იცოდეს და პრაქტიკაში იყენებდეს ფსიქოდიაგნოსტიკის ზოგად თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ფლობდეს დიფერენციალური ფსიქომეტრიკის საფუძვლებს, თვალი ადევნოს ფსიქოდიაგნოსტიკის მიმდინარე მეთოდურ ლიტერატურას, დამოუკიდებლად აწარმოოს კართოტეკა და მოცემულ სფეროში გამოყენებული მეთოდიკების პირადი ბიბლიოთეკა;

ბ) უნდა აგებდეს პასუხს ტესტირების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, უზრუნველყოფს რა მათ შესაბამისობას მეთოდიკის რეპრეზენტაციულობასა და პროგნოსტულ ვალიდურობასთან, თავიდან უნდა აიცილოს შესაძლო შეცდომები, რომელთაც უშვებენ არაპროფესიონალები, რომლებიც არ იცნობენ შეზღუდვებს ამა თუ იმ ტესტის გამოყენებაში;

გ) უნდა გამოიყენოს უპირატესი უფლება არაპროფესიონალ გამომყენებლებთან შედარებით მოცემულ სფეროში ფსიქოდიაგნოსტიკის ჩატარებაზე, ოქმების გამოყენებაზე პროფესიულ-ეთიკური პრინციპებისა და ფსიქოლოგიის ინტერესების შესაბამისად. ფსიქოლოგი სარგებლობს მეთოდური მასალების მიღების უპირატესი უფლებით, მათ შორის, მათი ინდივიდუალური პროფესიული საკუთრების სახით მოპოვების მეშვეობით. ფსიქოლოგი უზრუნველყოფს დიაგნოზის საიმედოობის აუცილებელ დონეს, იყენებს რა პარალელურ სტანდარტიზირებულ და არასტანდარტიზირებულ მეთოდიკებს, ასევე დამოუკიდებელი საექსპერტო შეფასებების მეთოდსაც;

დ) არ უნდა იხელმძღვანელოს ბატარეაში (გამოკვლევის პროგრამაში) მეთოდიკების შერჩევისას სუბიექტური უპირატესობებით და წინასწარ შექმნილ აზრებით მეთოდიკების შეფასებაში, არამედ ამოიღოდეს დიაგნოსტიკის მაქსიმალური ეფექტურობის მოთხოვნებიდან-მაქსიმუმ საიმედოობა დანახარჯების მინიმუმის დროს;

ე) მეთოდიკების გამოყენების პარალელურად წარმართოს სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა, შეგროვებული მონაცემებით ანალიზებს რა მოცემულ სფეროში მეთოდიკის გამოყენების ეფექტურობას. ასეთი სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის წარმართვა შედის ფსიქოლოგის ვალდებულებების ძირითად წრეში, რომელიც მუშაობს კვლევით და პრაქტიკულ დაწესებულებებში. ამ ნაშრომში ფსიქოლოგი ოპერატიულ კონტაქტებს ამყარებს სათავო მეთოდურ ორგანიზაციასთან, გადასცემს რა მას ოქმების ასლებს (მონაცემთა ბანკის შეგროვებისთვის) და იღებს რა ინსტრუქციულ მეთოდურ მასალებს;

ვ) უნდა უზრუნველყოს ყველა მოთხოვნის ზუსტი დაცვა გამოკვლევის სტანდარტული მეთოდიკების ჩასატარებლად. ქულების დათვლა, ინტერპრეტაცია, პროგნოზი კეთდება მეთოდურ მითითებებთან მკაცრ შესაბამისობაში. ფსიქოლოგს უფლება არა აქვს უარი თქვას გარკვეული პერიოდის მანძილზე მიღებული მეთოდიკის გამოყენების სტანდარტზე. ყველა რეკლამაციას და წინადადებებს მეთოდიკის გამოყენების თაობაზე ფსიქოლოგი აგზავნის მეთოდურ ცენტრში და მოითხოვს მათ აღრიცხვას მეთოდიკის მორიგი გადახედვისას;

ზ) უნდა უზრუნველყოს ფსიქოდიაგნოსტიკური ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მიღებულია ცდის პირისგან პირადი ნდობის საფუძველზე. ფსიქოლოგი აუცილებლად აფრთხილებს ცდის პირს იმის თაობაზე, თუ ვის და რისთვის შეუძლია მისი შედეგების გამოყენება: ფსიქოლოგს უფლება არა აქვს ცდის პირისგან დამალოს ის, თუ რა გადაწყვეტილებები შეიძლება გამოტანილ იქნეს ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის საფუძველზე;

თ) უნდა შეინახოს პროფესიული საიდუმლო: არ გადასცეს ის იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ უფლებამოსილება აწარმოონ ფსიქოდიაგნოსტიკური პრაქტიკა, საინსტრუქციო მასალები, არ გაუმჟღავნონ პოტენციურ ცდის პირებს ამა თუ იმ ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკის საიდუმლო, რომელსაც ეფუძნება მისი ვალიდურობა;

ი) აუცილებლად ყველაზე საალბათოსთან ერთად უნდა განიხილოს ალტერნატიული დიაგნოსტიკური ჰიპოთეზაც (მონაცემთა ინტერპრეტაცია), ფსიქოდიაგნოსტიკაში ისეთი პრინციპის გამოყენებით, რომელიც არის სამართალწარმოებაში

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ანალოგიური;

კ) უნდა შეატყობინოს ფსიქოლოგთა საზოგადოების რეგიონალურ ან ცენტრალურ ორგანოებს მის მიერ ყველა შენიშნული ფსიქოდიაგნოსტიკის ნორმატიული (საპროცედურო და ეთიკური) პრინციპების დარღვევის შესახებ. ფსიქოლოგი უფლებამოსილია პირადად აღუდგეს წინ ფსიქოდიაგნოსტიკის არაკორექტულ და არაეთიკურ გამოყენებას.

ცალკეული თეორიული და ფსიქომეტრიულად დასაბუთებული მეთოდიკები, რომლებიც არ მოითხოვენ სპეციალურ ცოდნას ინტერპრეტაციის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპეციალისტების მიერ ფსიქოლოგიის მოსაზღვრე დარგებში: მასწავლებლების, ექიმების, სოციოლოგების, ინჟინრების, ეკონომისტების მიერ და სხვ.

ამასთან, არაფსიქოლოგმა-გამომყენებელმა:

ა) წინასწარ კონსულტაცია უნდა გაიაროს მოცემულ პრაქტიკულ დარგში მომუშავე ფსიქოლოგებთან იმის შესახებ, თუ რომელი მეთოდიკები შეიძლება იქნეს გამოყენებული დადგენილი ამოცანების გადასაწყვეტად. ატესტირებული მეთოდიკების არსებობისას გამომყენებელმა უნდა გამოიყენოს სწორედ ატესტირებული მეთოდიკები;

ბ) უნდა აირჩიოს სხვა მეთოდიკა ან გაიაროს შესაბამისი მომზადება ან ფსიქოდიაგნოსტიკის ჩასატარებლად უნდა მოიწვიოს ფსიქოლოგი, ან უარი თქვას ფსიქოდიაგნოსტიკის ჩატარებაზე, თუ ფსიქოლოგები გამომყენებელს აფრთხილებენ იმის თაობაზე, რომ მეთოდიკის სწორი გამოყენება მოითხოვს ზოგად ცოდნას ფსიქოდიაგნოსტიკის შესახებ ან სპეციალურ მომზადებას (მეთოდიკის დაუფლებაზე);

გ) ავტომატურად საკუთარ თავზე უნდა აიღოს ვალდებულება პროფესიული საიდუმლოს ყველა მოთხოვნის დაცვაზე, იღებს რა წვდომას პ-მეთოდიკებზე;

დ) დაიცვას ყველა ეთიკური ნორმატივი გამოკვლევის ჩატარებისას ცდის პირთან და ნებისმიერ მესამე პირთან მიმართებაში. მას უფლება არა აქვს ბოროტად გამოიყენოს ნდობა და ვალდებულია გააფრთხილოს ცდის პირი იმის თაობაზე, თუ როგორ იქნება გამოყენებული ინფორმაცია;

ე) არ უნდა გამოიყენოს მეთოდიკები, რომლებიც უზრუნველყოფილი არაა ერთმნიშვნელოვანი სტანდარტული ინსტრუქციით, საიმედოობისა და ვალიდურობის აუცილებელი მაჩვენებლებით, რაც მოითხოვს მაღალპროფესიონალური საექსპერტო მეთოდების პარალელურ გამოყენებას;

ვ) ხელი უნდა შეუწყოს ფსიქოლოგებს დაიცვან პროცედურული და ეთიკური ნორმატივები, მიიღონ ზომები მეთოდიკების არაკორექტული გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

ყველა მოყვანილი მოთხოვნა შესაბამისობაშია ფსიქოლოგების მუშაობაში მიღებულ საერთაშორისო პროფესიონალურ-ეთიკურ სტანდარტებთან. ამ სტანდარტების ძირითადი იდეები მოკლედ შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შემდეგი პრინციპების სახით:

1) პასუხისმგებლობა;

2) კომპეტენტურობა;

3) ეთიკური და იურიდიული უფლებაუნარიანობა;

4) ფსიქოლოგიის კვალიფიცირებული პროპაგანდა;

5) კონფიდენციალობა;

6) კლიენტის კეთილდღეობა;

7) პროფესიული კოოპერაცია;

8) კლიენტის ინფორმაცია გამოკვლევის მიზნების შესახებ;

9) კვლევის მორალურ-პოზიტიური ეფექტი;

10) მოქალაქეობრიობა და პატრიოტიზმი.

4. ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტირების თავისებურებები

ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდი გამოირჩევა გარკვეული სპეციფიკით ფსიქოლოგიის ტრადიციული კვლევის მეთოდებთან — არაექსპერიმენტულთან (აღწერით) და ექსპერიმენტულთან მიმართებაში. მის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს საზომსაცდელი მიმართულება, რომლის ხარჯზეც მიიღწევა შესასწავლი მოვლენის რაოდენობრივი (და თეისობრივი) კვალიფიკაცია. ეს შესაძლებელია გარკვეული მოთხოვნების შესრულების ხარჯზე.

ამ მოთხოვნებიდან უმნიშვნელოვანესია გაზომვის ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია, რომლის საფუძველში დევს ნორმის ცნება, რამდენადაც ინდივიდუალური შეფასება (მაგალითად, ამა თუ იმ სახის დავალების შესრულების წარმატებულობა) შეიძლება მიღებულ იქნეს სხვა გამოსაკვლევი პირების შედეგებთან შეჯერების გზით. მეთოდიკის სტანდარტიზაციის წყალობით მიიღწევა სხვადასხვა ცდის პირთან მიღებული შედეგების შეჯერება, ელინდება ასეთი შეფასებების სხვადასხვა ტესტურ მეთოდიკებში შეჯერების შესაძლებლობა. ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკაში გამოიყოფა სტანდარტიზაციის ორი ფორმა:

1) ჩატარების პროცედურის დამუშავება და რეგლამენტაცია, ინსტრუქციის, გამოკვლევის

ბლანკების, შედეგების რეგისტრაციის ხერხების, გამოკვლევის ჩატარების პირობების უნიფიკაცია, ცდის პირთა კონტინგენტების დახასიათება;

2) შეფასებების ნორმალური (ან ხელოვნურად ნორმალიზებული) სკალის ახალ სკალად გარდაქმნა, რომელიც ეფუძნება არა შესწავლილი მაჩვენებლის რაოდენობრივად ემპირიულ მაჩვენებლებს, არამედ მის ფარდობით ადგილს ცდის პირთა არჩევაში შედეგების განაწილებაში.

ფსიქომეტრიკაში პირველადი შეფასებების ყველაზე გავრცელებულ გარდაქმნებს წარმოადგენს ცენტრირება და ნორმირება საშუალო-კვადრატული გადახრების მეშვეობით. ცენტრირების ქვეშ იგულისხმება ნიშანის სიდიდეთა ხაზოვანი ტრანსფორმაცია, რომლის დროსაც განაწილების საშუალო სიდიდე არის ნულის ტოლი.

ნორმირების ფუნქციის სახით ჩვეულებრივ გამოდის Z-მაჩვენებელი (სტანდარტული მაჩვენებელი), რომელიც გამოხატავს ინდივიდუალური შედეგის გადახრას ერთეულებში, რომლებიც ამასთანავე არის ერთეული ნორმალური განაწილების სტანდარტული გადახრის პროპორციული.

სკალის ამგვარი გარდაქმნების შესაძლებლობის წყალობით, ფსიქოდიაგნოსტიკაში ტრადიციულად მიღებული და სკალის საფუძველზე აგებული Z-მაჩვენებლები ხდებიან შეფარდებადნი და შესაძლებელია გადასვლა ერთი სკალიდან მეორეზე სხვა მაჩვენებლებით.

ყველაზე არსებითია ასევე გაზომვის ინსტრუმენტის **საიმედოობისა და ვალიდურობისადმი** წაყენებული მოთხოვნები და გამოკვლევის პროცედურის მკაცრი რეგლამენტაცია, რომელიც მდგომარეობს ინსტრუქციის ზუსტ დაცვაში, სასტიმულო მასალის წაყენების მკაცრად განსაზღვრულ ხერხებში, ცდის პირის საქმიანობაში მკვლევარის ჩაურეველობაში და ა.შ.

საიმედოობა – მეთოდიკის განუყოფელი მახასიათებელი, რომელიც ასახავს ფსიქოდიაგნოსტიკური გაზომვების სიზუსტეს და ასევე ტესტის შედეგების სიმყარეს გარეშე შემთხვევითი ფაქტორების მოქმედების მიმართ.

ფსიქოლოგიური კვლევის შედეგი ჩვეულებრივ ექცევა გაუთვალისწინებელი ფაქტორების დიდი რაოდენობის (ისეთების, როგორიცაა ემოციური მდგომარეობა და გადაღლა, თუ ისინი არ შედიან საკვლევი მახასიათებლების წრეში, განათება, ტემპერატურა და შენობის სხვა თავისებურებები, რომელშიც ტარდება გამოკვლევა, გამოკვლევაზე ცდის პირთა მოტივირებულობის დონე და სხვ). გამოკვლევის სიტუაციის ნებისმიერი ცვლილება აძლიერებს ერთის გავლენას და ასუსტებს სხვა ფაქტორების ზემოქმედებას ტესტის შედეგზე.

ტესტური გამოკვლევის შედეგების ზოგადი გაშლა (დისპერსია) შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მიზეზების 2 ჯგუფის: თავად გასაზომი თვისებისთვის დამახასიათებელი ცვლადობისა და გაზომვის პროცედურის არასტაბილურობის ფაქტორების-გაელენის შედეგი.

ფართო გაგებით, საიმედოობის ქვეშ იგულისხმება იმის დახასიათება, თუ რამდენად წარმოადგენენ ცდის პირებში ტესტური შედეგებით გამოვლენილი განსხვავებები ნამდვილი განსხვავებების ასახვას გასაზომ თვისებებში და რამდენად შეუძლიათ მათ იყვნენ შემთხვევითი შეცდომების შედეგი.

უფრო ვიწრო გაგებით, საიმედოობის მახასიათებლების განსაზღვრის მეთოდებთან მიმართებაში მაჩვენებლების ამ ჯგუფის ქვეშ იგულისხმება ტესტის შედეგების შეთავსების ხარისხი, რომლებიც მიიღება მისი პირველადი და განმეორებითი გამოყენებისას იმავე ცდის პირებთან მიმართებაში დროის სხვადასხვა მომენტში, ტესტური დავალებების სხვადასხვა (მაგრამ ხასიათის მიხედვით შეთავსებადის) ნაკრების გამოყენებით ან გამოკვლევის პირობების სხვა ცვლილებების დროს.

ცდის პირთა შეფასებების განაწილება ტესტის შესრულებისას, რომელიც ზომავს ერთ თვისებას, იდეალურ შემთხვევაში ის ემთხვევა ე.წ. ნორმალურ განაწილებას და ამასთან, დისპერსია იქნება ჭეშმარიტი (ე.ი. მხოლოდ გასაზომი ნიშანის ვარიაციულობის ამსახველი). თითოეულ ცდის პირს უჭირავს გარკვეული ადგილი ტესტის შეფასებების მხრივ და თეორიულად ეს ადგილი შერჩევის თითოეული წევრისთვის იქნება მუდმივი. განსახილველ შემთხვევაში ტესტის განმეორებითი შესრულება იმავე პირების მიერ უნდა იძლეოდეს ადგილების განაწილებას შეფასებათა სკალაზე, რაც არის პირველის იდენტური. მაშინ, მეთოდიკა, როგორც საზომი ინსტრუმენტი ზუსტი და მაქსიმალურად საიმედოა. ცდის პირთა რეალური შეფასებები და რანგული ადგილები იცვლება განმეორებითი გამოკვლევისას და მათი განაწილება ამა თუ იმ ხარისხით განსხვავდება საწყისისგან. ამასთან, ახალი განაწილების დისპერსია მეტია საწყისზე გაზომვის შეცდომების დისპერსიის სიდიდით.

ტესტის შედეგზე გავლენის მქონე პირობების მიხედვით გამოიყოფა საიმედოობის მახასიათებელთა შემდეგი ტიპები.

1. **რეტესტური საიმედოობა** განისაზღვრება ცდის პირთა ერთი და იმავე ტესტით განმეორებითი

გამოკვლევის გზით. ეს მაჩვენებელი იანგარიშება პირველი ან მეორე გამოკვლევის შედეგების შესაბამისობით ან ცდის პირთა რანგული ადგილების შენარჩუნებით შერჩევაში რეტესტის დროს. საიმედოობის კოეფიციენტი შეესაბამება მიღებულ შედეგებს შორის კორელაციის კოეფიციენტს.

2. **პარალელური ფორმების საიმედოობა** განისაზღვრება ტესტის ურთიერშენაცვლებადი ფორმების მეშვეობით. ამასთან, ერთი და იგივე ცდის პირები გამოკვლეული ხდება თაეიდან დავალებების ძირითადი ნაკრების გამოყენებით, ხოლო შემდეგ – ანალოგიური, დამატებითი ნაკრების გამოყენებით. საიმედოობის კოეფიციენტი შეიძლება განისაზღვროს სხვა ხერხითაც: ცდის პირები იყოფიან ორ თითქმის თანაბარ ჯგუფად, შემდეგ ერთ-ერთ მათგანს სთავაზობენ ტესტის ა ფორმას, მეორეს კი – ბ ფორმას. გარკვეული დროის (ჩვეულებრივ, არაუმეტეს ერთი კვირისა) შემდეგ ხდება განმეორებითი ტესტირება, მაგრამ პირიქით. გამოკვლევის ასეთი პროცედურა მოკლებულია რეტესტული საიმედოობის ხერხის ნაკლოვანებების მნიშვნელოვან ნაწილს. რამდენადაც პარალელურ ფორმაში გამოიყენება შინაარსობრივად სხვა მასალა, მცირდება ვარჯიშისა და ცალკეული გადაწყვეტილებების დამახსოვრების შესაძლებლობა. მოცემული მეთოდის უმნიშვნელოვანეს უპირატესობას წარმოადგენს დროში ინტერვალის შემცირება განმეორებითი გამოკვლევის წინ. პირველადი და განმეორებითი ტესტირების შედეგებს შორის კორელაციის კოეფიციენტი, რომელიც აფასებს, როგორც ტესტის დროებით სტაბილურობას (საკუთრივ, საიმედოობას), ასევე ტესტის ორივე ფორმის შედეგების შესაბამისობის ხარისხსაც, წარმოადგენს საიმედოობის მოცემული მახასიათებლის ძირითად მაჩვენებელს. თუ ფორმები უშუალოდ გამოიყენება ერთმანეთის მიყოლებით, კორელაცია ასახავს მათ ურთიერთშენაცვლებადობას.

3. **ტესტის ნაწილების საიმედოობა** – ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკების საიმედოობის მესამე მახასიათებელი. ამ მაჩვენებელს ავლენენ ტესტის ერთეული პუნქტების (დავალებების) ან ტესტური დავალებების ცალკეული ერთობლიობების შედეგების სამყაროს ანალიზის გზით.

ტესტის ნაწილების საიმედოობის ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს დაყოფის მეთოდი, რომლის არსიც დაიყვანება ცდის პირის მიერ ტესტის 2 თანაბარი ფასეულობების მქონე ნაწილის დავალებების შესრულებამდე.

მეთოდის დასაბუთებას წარმოადგენს დასკვნა იმის შესახებ, რომ სრული ტესტის მიხედვით, შეფასებების ნორმალური ან ნორმალურთან მიახლოებული განაწილების დროს, ტესტის ნაწილებიდან ნებისმიერი შემთხვევითი ნაკრების შესრულება იძლევა ანალოგიურ განაწილებას (იმ პირობით, რომ ხშირია ერთნაირი სახის დავალებები, მთლიანად ტესტთან მიმართებაში).

ამ მეთოდით საიმედოობის შეფასებისთვის შეირჩევა სხვადასხვა სირთულის სახისა და ხარისხის მიხედვით ეკვივალენტური ამოცანების 2 ჯგუფი. ტესტის დავალებების მოცულობის დაყოფა შეფარდებად ნაწილებად მიიღწევა დავალებების განაწილებით ლუწად და კენტად (იმ შემთხვევაში, თუ დავალებები მკაფიოდ რანჟირებულია სუბიექტური სირთულის ხარისხის მიხედვით); პუნქტების განაწილებით სირთულისა და დისკრიმინაციულობის ინდექსების მნიშვნელობათა სიახლოვისა თუ ტოლობის პრინციპის მიხედვით (დაყოფის ასეთი პრინციპი გამოსადეგია მიღწევის ტესტებისთვის, რომლებშიც სავალდებულოა ცდის პირთა პასუხი ყველა პუნქტზე); ამოცანების დაყოფით თითოეული ნაწილის ამოხსნის დროის მიხედვით (სისწრაფის ტესტებისთვის).

ცდის პირთათვის შერჩევაში იანგარიშება ამოხსნების წარმატების შეფასებები (ცალ-ცალკე ტესტის ნაწილებიდან თითოეულისთვის), შეფასებების პირველი და მეორე რიგების საშუალო კვადრატული გადახრები და შესადარებელი რიგების კორელაციის კოეფიციენტები. ბუნებრივია, რომ ეს კოეფიციენტები იქნება მხოლოდ ტესტის ნახევრის საიმედოობის დამახასიათებელი.

ამ ტიპის მიხედვით საიმედოობის დახასიათებას გააჩნია რიგი უპირატესობა პარალელური ფორმების ზემოთგანხილულ რეტესტულთან და საიმედოობასთან შედარებით, განმეორებითი გამოკვლევის აუცილებლობის არარსებობის წყალობით (იხსნება მრავალი გარეშე ფაქტორის გავლენა, მაგალითად, ვარჯიშები, ამოხსნების დამახსოვრება და ა.შ.). ამავე დროს, ტესტის შედეგის სიმყარის დადგენის შეუძლებლობა გარკვეული დროის შემდეგ მოითხოვს ამ მეთოდის კომბინირებას ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკის საიმედოობის მახასიათებლის სხვა ტიპებთან.

ვალიდობა – ტესტის კომპლექსური მახასიათებელი, რომელიც მოიცავს ცნობებს საკვლევი მოვლენების სფეროსა და მათთან მიმართებაში დიაგნოსტიკური პროცედურის რეპრეზენტაციულობის თაობაზე.

ყველაზე მარტივი და ზოგადი ფორმულირებით **ვალიდობა** — ესაა ცნება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ტესტი ზომავს და თუ რამდენად კარგად აკეთებს ის ამას.

პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ტესტების მიმართ სტანდარტულ მოთხოვნებში ვალიდურობა განისაზღვრება, როგორც ცნობების კომპლექსი იმის თაობაზე, თუ პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებების რომელ ჯგუფებთან მიმართებაში შეიძლება დასკვნების გაკეთება და ასევე მათი დასაბუთებულობის ხარისხის თაობაზე კონკრეტული ტესტური შეფასებების ან შეფასების სხვა ფორმების საფუძველზე.

ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკაში ვალიდობა მეთოდიკის შესახებ ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მოიცავს ცნობებს ტესტის შედეგების გამოსაკვლევი პიროვნების შესახებ სხვა ცნობებთან შესაბამისობის ხარისხის თაობაზე, რაც მიღებულია სხვადასხვა წყაროდან (თეორიული მოლოდინებიდან, დაკვირვებიდან, საექსპერტო შეფასებებიდან, სხვა მეთოდიკების შედეგების მიხედვით, რომელთა უტყუარობაც დადგენილია და ა.შ.), დასკვნის საკვლევი თვისების განვითარების პროგნოზის, პიროვნების თავისებურებების ან ქცევის შესასწავლი სფეროს გარკვეულ ფსიქოლოგიურ კონსტრუქტებთან კავშირის დასაბუთებულობის შესახებ. ვალიდობა ასევე აღწერს მეთოდიკის კონკრეტულ მიმართულებას (ცდის პირთა კონტიგენტი ასაკის, განათლების დონის, სოციალურ-კულტურული მიკუთვნებულობის და ა.შ.) და დასკვნების დასაბუთებულობის ხარისხს ტესტის გამოყენების კონკრეტულ პირობებში. ცნობების ერთობლიობაში არის ინფორმაცია საქმიანობის გამოყენებული მოდელის ადექვატურობის შესახებ. მასში შესასწავლი ფსიქოლოგიური თავისებურების ასახვის თვალსაზრისით, ტესტში ჩართული დავალებების (სუბტესტების) ერთგვაროვნობის ხარისხის, მთლიანად ტესტის შედეგების რაოდენობრივი შეფასებისას მათი შეჯერების თაობაზე.

ვალიდობის ცნებაში შედის ტესტის შესახებ სრულიად მრავალფეროვანი ინფორმაციის დიდი რაოდენობა. ამ ცნობების სხვადასხვა კატეგორიები და მათი მიღების ხერხები ქმნიან ვალიდობის ტიპებს.

დიაგნოსტიკური (კონკურენტული) ვალიდობა ასახავს ტესტის უნარს მოახდინოს ცდის პირთა დიფერენციაცია შესწავლილი ნიშნის მიხედვით.

შემდგომში, საკვლევი ფსიქოლოგიური თავისებურების განვითარების დასაბუთებულობისა და სტატისტიკური საიმედოობის ხარისხის მახასიათებელი ცნობები **შეადგენენ მეთოდიკის პროგნოსტიკულ ვალიდობას.** მისი მეშვეობით შეიძლება განისაზღვროს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკვლევი ნიშანი ცდის პირის მომავალში საქმიანობის თვალსაზრისით, კანონზომიერად ცვლადი გარემოებების გათვალისწინებით, განვითარების სხვა დონეზე გადასვლისას.

მეთოდიკების უმრავლესობა, განსაკუთრებით, უნარებისა და ინტელექტის ტესტების უმრავლესობა ნაკლები ხდება დიაგნოსტიკური და პროგნოსტიკული ვალიდობის საგანზე, **რომელთაც ხშირად აერთიანებენ ზოგადი ცნების ემპირიული ვალიდობის ქვეშ.** ამით ხაზგასმულია მიდგომის ზოგადობა მათი განსაზღვრის მიმართ, რომელიც ხორციელდება ტესტის მიხედვით ქულებისა და კრიტერიუმის ვალიდობიზაციის სახით, არჩეული გარეშე პარამეტრის მაჩვენებლების სტატისტიკური კორელირების გზით. ვალიდობის კრიტერიუმი გამოდის საკვლევი ფსიქოლოგიური თავისებურებების საზომის, მაჩვენებლის სახით და წარმოადგენს დამოუკიდებელ მაჩვენებელს ტესტისგან, რომელსაც გააჩნია უშუალო ფასეულობა პრაქტიკის სფეროების გამოყენებისთვის. უშუალო კრიტერიუმების სახით ხშირად გამოიყენება პედაგოგების, თანამშრომლების, ხელმძღვანელების მიერ იმ პირთათვის მიცემული საექსპერტო შეფასებები და მახასიათებლები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა ვალიდობიზირებული ტესტის მეშვეობით.

მრავალ შემთხვევაში ძალიან რთულია ან შეუძლებელიც კია **ვალიდობიზაციის ადექვატური კრიტერიუმების შერჩევა.** ამასთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თეორიული ვალიდურობის ტიპში შემავალი მახასიათებლების კომპლექსი. ტესტის შემუშავებისა და გამოყენებისას შეიძლება ჩამოყალიბდეს რიგი ჰიპოთეზა იმის შესახებ, თუ როგორ იქნება კორელირებული საკვლევი ტესტი სხვა ტესტთან, რომელიც ზომავს ცდის პირთა ნათესაურ ან ურთიერთსაპირისპირო ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. ეს ჰიპოთეზები წამოყენებული ხდება საზომი თვისებების, როგორც ფსიქოლოგიური კონსტრუქტის შესახებ თეორიული წარმოდგენების საფუძველზე. ჰიპოთეზების დამტკიცება მოწმობს მეთოდიკის თეორიულ დასაბუთებულობას ან მისი კონსტრუქციული ვალიდობის ხარისხის შესახებ. ტესტის მეშვეობით მიღებული შედეგების თეორიულ მოლოდინებთან და კანონზომიერებებთან შესაბამისობის დასამტკიცებლად გამოიყენება მრავალფეროვანი ინფორმაცია, მათ შორის, ვალიდობის სხვა ტიპებთან მიმართებაშიც.

შინაარსობრივი ვალიდობა — ცნობების კომპლექსი ტესტის დავალებების რეპრეზენტაციულობის შესახებ გასაზომ თვისებებთან და თავისებურე-

ბებთან მიმართებაში. ამ მიმართულებით მეთოდის ვალიდიზაციის დროს ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ტესტის შინაარსში შესასწავლი ფსიქოლოგიური ფენომენის საკვანძო მხარეების ასახვა. თუ ქცევის სფერო ან უნარი ძალიან რთულია, შინაარსობრიეი ვალიდობა მოითხოვს ტესტის დავალებებში საკვლევი მოვლენის ყველა უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტის წარმოდგენას.

ვალიდობის ტიპების კლასიფიკაცია საკმაოდ პირობითია და ხშირად მისი სხვადასხვა კრიტერიუმისთვის გამოიყენება განსაზღვრის ზოგადი მეთოდები, გარდა ამისა, ერთი და იგივე საწყისი მონაცემები შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს ვალიდობის სხვადასხვა ტიპის თვალსაზრისით.

ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკაში არ არსებობს უნივერსალური მიდგომა ვალიდობის დახასიათების მიმართ. ვალიდობის კომპლექსში შემავალი ცნობები შეიძლება შეფასდეს თვისობრივად და რაოდენობრივად (ვალიდობის კოეფიციენტის მეშვეობით), ხშირად შესაძლებელია მათი აღწერაც. თუმცა, მეთოდიკის გამოყენების კონკრეტულ პირობებთან მიმართებაში სირთულის, კომპლექსურობის, სიტუაციურობის ძალით შეუძლებელია ვალიდობის მთლიანობაში გაზომვა, მასზე მხოლოდ მსჯელობა შეიძლება. რეალური ვალიდობა მჟღავნდება მხოლოდ ტესტებთან მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილების დაგროვების შედეგად.

ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდის წინაშე მდგარ ამოცანებს შორის სავალდებულოს წარმოადგენს შესწავლილი მოვლენის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია.

ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდი მთლიანობაში კონკრეტიზირებულია სამ ძირითად დიაგნოსტიკურ მიდგომაში, რომლებიც პრაქტიკულად გამოყენებადია ყველა არსებით დიაგნოსტიკურ მეთოდიკასთან (ტესტებთან) მიმართებაში.

1. ობიექტური მიდგომა, რომლის დროსაც დიაგნოსტიკა ხორციელდება საქმიანობის შესრულების ხერხის (თავისებურებისა) და წარმატების (შედეგობრიობის) საფუძველზე.
2. სუბიექტური მიდგომა, რომლის დროსაც დიაგნოსტიკა ხორციელდება საკუთარი თავის შესახებ შეტყობინებული ცნობების, პიროვნების თავისებურებების თვითაღწერის, ამა თუ იმ სიტუაციაში ქცევის საფუძველზე.
3. პროექციული მიდგომა, რომლის დროსაც დიაგნოსტიკა ხორციელდება გარეგნულად ნეიტრალურ, უპიროვნო მასალასთან ურთიერთქმედების თავისებურებების ანალიზის საფუძველზე, რომელიც მისი ცნობილი გაურკვევლობის (სუსტად სტრუქტურირებულობის) ძალით ხდება პროექციის ობიექტი.

ობიექტურმა მიდგომამ ადამიანური ინდივიდუალობის გამოვლინებების დიაგნოსტიკის მიმართ გამოიწვია **2 ტიპის მეთოდიკის** (ტესტების) წარმოქმნა, რომელთა დაპირისპირებაც გახდა ტრადიციული. **ესაა პიროვნებისა და ინტელექტის ტესტები. პირველი მიმართულია** პიროვნების ინტელექტუალური თავისებურებების გაზომვაზე, **მეორე** — მისი ინტელექტუალური განვითარების დონის დადგენაზე. უეჭველია, რომ პიროვნული გამოვლინებებისა და ინტელექტის სფეროების ასეთ განცალკევებას გააჩნია შეზღუდული, მაგრამ ამასთან, მნიშვნელოვანი ფსიქოდიაგნოსტიკური აზრი. **ერთის მხრივ,** პიროვნულ გამოვლინებებზე, ხოლო მეორეს მხრივ, ინტელექტზე შედარებითი დამოუკიდებლობის შენარჩუნება საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამ ფსიქოლოგიური წარმონაქმნების არსს. დასასრულს, მათი ფუნქციური თავისებურების ცნობილმა აქცენტირებამ ხელი შეუწყო დიაგნოსტიკური მეთოდიკების შემუშავება, რომელთა ფასეულობაც უდაოა.

მოცემულ კლასიფიკაციაში ობიექტური მიდგომის მიმართ განკუთვნილი **პიროვნების ტესტები** შეიძლება დაიყოს მოქმედების **მიზნობრივი პიროვნული ტესტები და სიტუაციურ ტესტებად.** ინტელექტუალური განვითარების დონის დიაგნოსტიკა წარმოდგენილია ინტელექტის მრავალრიცხოვანი ტესტებით. გარდა ამისა, გამოიყოფა ტესტების კიდევ ორი მნიშვნელოვანი ჯგუფი: **სპეციალური უნარების ტესტები და მიღწევების ტესტები.** სუბიექტური მიდგომა წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი კითხვარებით, ხოლო პროექციული-პიროვნების კვლევის მრავალფეროვანი პროექციული მეთოდიკებით.

1. პიროვნების მოტივაციური სფეროსა და მიმართულობის კვლევა

მოტივის ქვეშ იგულისხმება ის, თუ რა აქეზებს ადამიანის საქმიანობას, რისთვის ხდება ის. მოტივაციას უჭირავს წამყვანი ადგილი პიროვნების სტრუქტურაში და წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ცნებას, რომელიც გამოიყენება ქცევის მოძრავი ძალების ახსნისთვის. მოტივის როლში შეიძლება გამოვიდეს მოთხოვნილებები, ინტერესები, მისწრაფებები, ემოციები, განწყობა, იდეალები. საშამულო ფსიქოლოგების ნაშრომებში მოტივი იგულისხმება, როგორც გაცნობიერებული მოთხოვნილება და როგორც მოთხოვნილების საგანი და ასევე გაიგივებულია მოთხოვნილებასთან.

ნაყოფიერს წარმოადგენს მოტივების შესწავლა ადამიანის საქმიანობის და ცნობიერების სტრუქტურის კვლევასთან დაკავშირებით. განსახილველ მიდგომაში მოტივი განისაზღვრება როგორც ისეთი რამ, რაც ადამიანის მიერ ასახულ რეალობაში ამოძრავებს და წარმართავს მის მოქმედებას. მოტივში კონკრეტიზირებულია, გასაგებულია მოთხოვნილებები. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ განსაზღვრავს მოტივს, არამედ იცვლება და მდიდრდება კიდეც, მათი დაკმაყოფილებისკენ მიმართული ობიექტების წრის ცვლილებასა და გაფართოებასთან ერთად. ამავდროულად ხდება მოთხოვნილებების დაკმაყოფილებათა ხერხების განვითარება. განსაკუთრებით მკაფიოა მოტივაციის როლი ადამიანთა მოთხოვნილებების ფორმირებაში მოტივების წარმოქმნისას, რომლებიც არ გვხვდება ცხოველებში და პირველად ჩნდებიან მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში.

ადამიანის მოტივების საგნობრივი და სოციალური ბუნების გაგება გვაძლევს საშუალებას ხაზი გავუსვათ მათი ფარდობით დამოუკიდებლობას ღრმა ინსტინქტურ მისწრაფებებზე. ადამიანი მარიონეტი არაა ინსტინქტების „ხელში“. ნებისმიერი სწრაფვის დაკმაყოფილება განპირობებულია ირიბად რაიმე ხერხით, ხოლო ის კი, სწორედ სოციალურად მოცემულია. ამაზე მიზეზით, არა იმდენად სუბიექტური ემოციური განცდები განსაზღვრავენ მოტივაციის სფეროს, რამდენადაც ადამიანის მოქმედების მოტივების განვითარება ამდიდრებს და გარდაქმნის თავად ემოციებსა და გრძნობებს.

თუ მოტივის ქვეშ იგულისხმება გაცნობიერებული მოთხოვნილება ე.ი. მოთხოვნილება, რომელმაც იპოვა თავისი საგანი, მოტივთა არსებობის პირველადი ფორმა იქნება ნივთიერი საგნები, რომლებიც პასუხობენ ადამიანის უმარტივეს მატერიალურ მოთხოვნილებებს. განვითარების პროცესში მოტივებად ასევე იქცევიან იდეალური საგნები, რომლებიც გამოდიან ამა თუ იმ წამქეზებლური წარმოდგენების ან გაცნობიერებული მიზნების (მოტივი-მიზნები) ფორმით. ადამიანის მოქმედება ჩვეულებრივ გამოწვეულია რამოდენიმე მოტივით, რომელთაგან ზოგიერთი წარმოადგენს ძირითადს, წამყვანს, ხოლო ზოგიერთი კი — დაქვემდებარებულს, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ დამატებითი სტიმულაციის ფუნქციას ასრულებს. წამყვანი მოტივები სურვილის ფუნქციასთან ერთად მოქმედებას, მის ობიექტებსა და პირობებს ანიჭებენ ამა თუ იმ სუბიექტურ და პიროვნულ აზრს.

მოტივები შეიძლება იყვნენ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაში ერთმანეთთან. მათ შეუძლიათ გააძლიერონ ან შეასუსტონ ერთმანეთი, მოვიდნენ ასევე წინააღმდეგობაში ერთმანეთთან და მოქმედების რეალიზაციის არსებულ შესაძლებლობებთან. მოტივაცია, როგორც ადამიანის წაქეზების პროცესი განახორციელოს ესა თუ ის მოქმედება და საქციელი, ხშირად წარმოადგენს რთულ აქტს, რაც მოითხოვს ალტერნატივების, გადაწყვეტილებების არჩევისა და მიღების ანალიზსა და შეფასებებს. ეს პროცესი ფსიქოლოგიურად რთულდება იმითაც, რომ ადამიანის მიერ ყველა რეალური მოტივი როდი ხდება გაცნობიერებული აქტუალურად. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მოქმედებების მომზადებისა და შესრულებისას ხშირად მოტივები ვლინდებიან მას შემდეგ, რაც უკვე განხორციელდა შესაბამისი მოქმედება.

მოტივების განვითარება გამოხატულებას პოულობს არა მხოლოდ მათ გამდიდრებაში, არამედ მოტივების გარკვეული იერარქიის დადგენაშიც — პიროვნების მთავარი ცხოვრებისეული მოტივების გამოყოფაში. ეს უკანასკნელი აზრს აძლევს ადამიანის აქტიურობის სხვადასხვა გამოვლინებას, განსაზღვრავს სუბიექტის ცხოვრების დინების ძირითად მიმართულებას მრავალფეროვან და მუდმივად ცვლად პირობებში. სწორედ მოცემული გარემოება იძლევა საშუალებას **განისაზღვროს ადამიანის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი — პიროვნების მიმართულება — მოტივის ცნების მეშვეობით.** პიროვნების მიმართულება შეიძლება განვიხილოთ,

როგორც წამყვანი, მყარი მოტივების ერთობლიობა, რომლებიც ახდენენ პიროვნების მოქმედების ორიენტირებას და შედარებით დამოუკიდებლები არიან არსებულ გარემოებებზე. პიროვნების მიმართულობა ხასიათდება მისი ინტერესებით, მიდრეკილებებით, შეხედულებებით, იდეალებით, რომლებშიც გამოიხატება ადამიანის მსოფლმხედველობა.

პიროვნების მიმართულობა განსაზღვრავს ადამიანის ინიციატიურ ქცევას, აიძულებს სხვადასხვა ინდივიდს ერთსადაიმავე სიტუაციაში დაისახონ სხვადასხვა ამოცანები და ჩამოაყალიბონ მიზნების არაშემთხვევითი თანამიმდევრობა. მიმართულობის შემადგენლობაში შეიძლება გამოიყოს 2 ძირითადი წარმონაქმნი:

1) **მოთხოვნილებები და მათი მოდიფიკაციები — მოტივები, განწყობა, იდეალები, ოცნებები;**
2) **პიროვნების დამოკიდებულებები და მათი მოდიფიკაციები — შინაგანი პოზიციები, დასკვნები, სოციალური შეფასებები და მოლოდინები.**

პიროვნების მიმართულობის სტრუქტურის სირთულე განსაზღვრავს ადამიანის ფსიქიკის ამ უმნიშვნელოვანესი წარმონაქმნის დიაგნოსტიკის ფორმებისა და ხერხების მრავალფეროვნებას. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მოთხოვნილება და მათი მოდიფიკაცია როდი შედის პიროვნების მიმართულობის სტრუქტურაში, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებმაც პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში შეიძინეს თვითმოძრაობის, თვითგანვითარების ხასიათი. სწორედ ისინი წარმართავენ და უჭერენ მხარს ინიციატიურობას, ადამიანის ქცევის არჩევითობას. გარემომცველი სინამდვილისადმი პიროვნების ყველა დამოკიდებულება როდია ჩართული მის მიმართულობაში, არამედ მხოლოდ ის დამოკიდებულებები, რომლებიც უკავშირდებიან ინდივიდის საქმიანობის ყველაზე განზოგადებულ მოტივებს.

ფსიქოდიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს ავტორები საუსებით მართებულად უსვამენ ხაზს იმას, რომ **მოტივის შემადგენლობაში შეიძლება გამოიყოს რაღაც სპეციფიკური, ინდივიდუალური განმსაზღვრელი, კონკრეტული უნიკალური სიტუაციით განსაზღვრული** და რაღაც მყარი, რომლისთვისაც მოცემული კონკრეტული საგანი ან მოვლენა არის არაუმეტეს ხორცშესხმის ერთ-ერთი შესაძლო ფორმისა. ასეთი მყარი საგნობრივი შემადგენლობა ახასიათებს არა იმდენად თავად მოთხოვნილების საგანს, რამდენადაც პიროვნებას, ამ მოთხოვნილების განმცდელს.

ჯ. ატკინსონი გვთავაზობს განვიხილოთ მოტივაცია, როგორც პიროვნული დეტერმინანტების ე.ი. პიროვნების მყარი მოტივებისა და უშუალო სიტუაციის მახასიათებლების (ე.ი. სიტუაციური დეტერმინანტების) ერთიანობა.

შედარებით მყარ შემადგენლობის მქონე ურთიერთობების მოტივები შეიძლება დავასახელოთ განზოგადებული მოტივების სახით კონკრეტული მოტივებისაგან განსხვავებით, რომელთა საგნობრივი შინაარსი ვიწროდ სპეციფიკურია. განზოგადებული მოტივები გამოდიან პიროვნების მყარი მახასიათებლების როლში. ისინი წარმოადგენენ დინამიკურ წარმონაქმნებს და სიტუაციურ დეტერმინანტებთან ურთიერთქმედებისას ხდებიან აქტუალურნი ანუ ლატენტური მდგომარეობიდან გადადიან აქტუალურ, რეალურად მოქმედ მდგომარეობაში. მოტივის აქტიეიზაცია ქმნის მოქმედების გარკვეულ ტენდენციას — იშლება მოტივაციური პროცესი, რომელიც მიმართულია ამ მოტივაციური დამოკიდებულების გარკვეული მოტივაციური ურთიერთობის რეალიზაციაზე. ამ მოტივაციური დამოკიდებულების რეალიზაციის დროს ადამიანი საწყისს სიტუაციას გადააქცევს სასურველად.

მიზნის მიღწევის მოთხოვნილების შეფასების სკალა

მიზნის მიღწევის მოტივაცია — სწრაფვა შედეგების გაუმჯობესებისკენ, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა, შეუპოვრობა მიზნების მიღწევაში, სწრაფვა დასახული მიზნის ნებისმიერ ფასად მიღწევისკენ — წარმოადგენს პიროვნების ერთ-ერთ უმთავრეს თვისებას, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის მთელს ცხოვრებაზე.

მრავალრიცხოვანმა კვლევებმა გვიჩვენეს მჭიდრო კავშირი მიზნის მიღწევის მოტივაციის დონესა და წარმატებას შორის. ეს შემთხვევითი როდია, რამეთუ დამტკიცებულია, რომ ამ მოტივაციის მაღალი დონის მქონე ადამიანები ეძებენ მიზნის მიღწევის სიტუაციებს, დარწმუნებული არიან წარმატებულ შედეგში, ეძებენ ინფორმაციას თავიანთი წარმატებების შესახებ დასკვნებისთვის, მზად არიან საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა, შეუპოვრები არიან გაურკვეველ სიტუაციებში, ავლენენ სიმტკიცეს მიზნისკენ სწრაფვაში, იღებენ სიამოვნებას საინტერესო ამოცანების გადაწყვეტისგან, არ იკარგებიან შეჯიბრების სიტუაციაში, გვიჩვენებენ დიდ სიმტკიცეს წინააღმდეგობებთან დაპირისპირებისას.

მიზნის მიღწევის მოტივაციის დონის გაზომვა შეიძლება შემუშავებული სკალით — მცირე ტესტ-კითხვარის მეშვეობით. ეს სკალა შედგება 22 დასკვნისგან, რომელთა შესახებაც შესაძლებელია პასუხის 2 ვარიანტის — „დიახ" ან „არა" შერჩევა.

პასუხები, რომლებიც ემთხვევა გასაღებისას (კოდის მიხედვით)და ჯამდება (თითო ქულა თითოეულ ასეთ პასუხზე).

დასკვნები

1. ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში წარმატება უფრო დამოკიდებულია შემთხვევაზე, ვიდრე გაანგარიშებაზე.
2. თუ მე დაეკარგავ საყვარელ საქმეს, ჩემთვის ცხოვრება ყოველგვარ აზრს დაკარგავს.
3. ჩემთვის ნებისმიერ საქმეში მნიშვნელოვანია არა მისი შესრულება, არამედ საბოლოო შედეგი.
4. ვფიქრობ, რომ ადამიანები უფრო იტანჯებიან სამსახურში წარუმატებლობისგან, ვიდრე ახლობლებთან ცუდი ურთიერთდამოკიდებულებებისგან.
5. ჩემის აზრით, ადამიანების უმრავლესობა ცხოვრობს შორეული და არა ახალი მიზნებით.
6. ცხოვრებაში მქონდა უფრო მეტი წარმატება, ვიდრე წარუმატებლობა.
7. ემოციური ადამიანები უფრო მეტად მომწონს, ვიდრე ქმედითნი.
8. ჩვეულებრივ სამუშაოშიც ვცდილობ სრულყო მისი ზოგიერთი ელემენტი.
9. წარმატების შესახებ ფიქრებით მოცულმა შეიძლება დაეიეწყო უსაფრთხოების ზომებიც.
10. ახლობლები ზარმაც ადამიანად მთელიან.
11. ვფიქრობ, რომ ჩემს წარუმატებლობებში უფრო დამნაშავეა გარემოებები, ვიდრე თავად მე.
12. ჩემში უფრო მეტია მოთმინება, ვიდრე შესაძლებლობები.
13. მშობლები საკმაოდ მკაცრად მაკონტროლებდნენ.
14. სიზარმაცე და არა წარმატებაში ეჭვის შეტანა მაიძულებს ხშირად უარი ვთქვა საკუთარ განზრახვებზე.
15. ვფიქრობ, რომ საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი ვარ.
16. წარმატებისთვის გარისკვაც შემიძლია, თუნდაც მაშინ, თუ შანსები მცირეა.
17. მე გულმოდგინე ადამიანი ვარ.
18. როცა ყველაფერი კარგად მიდის, ენერგია მიმლიერდება.
19. მე რომ ჟურნალისტი ვიყო, უფრო დავწერდი ადამიანების ორიგინალური გამოგონებების შესახებ, ვიდრე შემთხვევებზე.
20. ჩვეულებრივ, ახლობლები არ იზიარებენ ჩემს გეგმებს.
21. ცხოვრებისადმი ჩემი მოთხოვნები უფრო დაბალია, ვიდრე ჩემი ამხანაგების.
22. ვფიქრობ, რომ ჩემში მეტია შეუპოვრობა, ვიდრე შესაძლებლობები.

მრავალი ადრე აღწერილი ტესტ-კითხვარებისგან განსხვავებით მიზნის მიღწევის მოთხოვნილების სკალას გააჩნია დეცილური (კედლური) ნორმები, ამიტომ, კონკრეტული შედეგის შეფასება შეიძლება შემდეგი ცხრილის მეშვეობით (ცხრ. 1).

ცხრილი 1

	მიზნის მიღწევის მოტივაციის დონე		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
	1 2 3	4 5 6 7	8 9 10
ქულების ჯამი	2-9 10 11	12 13 14 15	16 17 18-19

კოდი: პასუხები „დიახ" მე-2, მე-6, მე-7, მე-8, მე-14, მე-16, მე-18, მე-19, 21-ე, 22-ე კითხვებზე; პასუხები „არა" 1, მე-3, მე-4, მე-5, მე-9, მე-11, მე-12, მე-13, მე-15, მე-17, მე-20 კითხვებზე.

მოწონების მოტივაციის შეფასების სკალა

მიზნის მიღწევის მოტივაციისგან განსხვავებით, მოწონების მოტივაციის მნიშვნელოვანი გარემომცველი ადამიანების მოწონების დამსახურებისკენ სწრაფვის დონე გაცილებით, უფრო ნაკლებად განაზღვრავს წარმატებას საქმეში და მოქმედებებში. თუმცა, ის საკმაოდ არსებით გაელენას ახდენს სხვა რამეზე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანზე – საერთოდ სხვა ადამიანებთან და კერძოდ ცხოვრების მომავალ თანამგზავრთან ურთიერთდამოკიდებულებების ხარისხზე.

მოწონების მოტივაციის დონის განსაზღვრას გთავაზობთ დ. კრაუნისა და დ. მარლოუს სკალის დაკავშირებული ვარიანტის მეშვეობით, რომელიც შედგება დასკვნებისგან, რომლებზეც შესაძლებელია პასუხების 2 ვარიანტი – „დიახ" ან „არა". პასუხები, რომლებიც ემთხვევა გასაღებს, კოდირებულია 1 ქულით. საერთო ჯამი (min=0, max=19) მეტყველებს მოწონების მოტივაციის გამოხატულებაზე.

დასკვნები:

1. ყურადღებით ვკითხულობ თითოეულ წიგნს, სანამ მას დავაბრუნებ ბიბლიოთეკაში.
2. არ ემერყეობ, როცა ვინმეს სჭირდება დახმარება გასაჭირში.
3. ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდები იმას, თუ როგორ მაცვია.

4. სახლში მაგიდასთან ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც სასადილოში.
5. არასდროს არავის მიმართ არ განმიცდია ანტიპათია.
6. იყო შემთხვევა (შემთხვევები), როცა მივატოვე რაიმე საქმე, რადგანაც არ ვიყავი დარწმუნებული საკუთარ ძალებში.
7. ზოგჯერ მიყვარს არდამსწრეზე აუგის თქმა.
8. ყოველთვის ყურადღებით ვუსმენ მოსაუბრეს, ვინც არ უნდა იყოს ის.
9. იყო შემთხვევა, როცა მოვიფიქრე დამაჯერებელი მიზეზი თავის გასამართლებლად.
10. ხდებოდა ისე, რომ მისარგებლია ადამიანის შეცდომით.
11. ზოგჯერ იმის ნაცვლად, რომ ადამიანს ვაპატიო, ვცდილობ სამაგიერო იგივე ხერხით გადავუხადო.
12. იყო შემთხვევები, როცა ჯიუტად ვიდექი იმაზე, რომ ჩემებურად გაეკეთებინათ რამე.
13. არ გამაჩნია შინაგანი პროტესტის გრძნობა, როცა მთხოვენ დახმარებას.
14. არასდროს არ მწყინს, როცა გამოთქვამენ ჩემს საპირისპირო აზრს.
15. ხანგრძლივი მგზავრობის წინ ყოველთვის საგულდაგულოდ ვფიქრობ, თუ რა წავიღო თან.
16. იყო შემთხვევები, როცა შემშურებია სხვების წარმატების.
17. ზოგჯერ მალიზიანებენ ადამიანები, რომლებიც თხოვნით მომმართავენ.
18. როცა ადამიანებს უსიამოვნებები აქვთ, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მათ საკადრისი მიეზღათ.
19. არასდროს ღიმილით არ მითქვამს არასასიამოვნო რამ.

კოდი: პასუხები „დიახ“ კითხვებზე 1,2,3,4,5, 8,13,14,15,19; პასუხები „არა“ მე-6, მე-7, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-16, მე-17, მე-18 კითხვებზე.

მეთოდი „დაუსრულებელი წინადადებები“

დაუსრულებელი წინადადებების მეთოდი დიდი ხანია გამოიყენება ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში. არსებობს მისი მრავალი ვარიანტი.

ჩვენ გვათაზობთ ამ მეთოდის ვარიანტს, რომელიც შემუშავებულია ლ. საკრისა და ვ. ლევის მიერ. ის მოიცავს 60 დაუსრულებელ წინადადებას, რომელიც დაყოფილია 15 ჯგუფად, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ სახით გამოსაკვლევი პირის ოჯახისადმი, თავისი ან საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისადმი, სექსუალური დამოკიდებულებისადმი, სამსახურებრივ მდგომარეობაში ზემდგომებისა და ხელქვეითებისადმი დამოკიდებულებების სისტემას. წინადადებების ზოგიერთ ჯგუფს გააჩნია დამოკიდებულება ადამიანის მიერ განცდილ შიშებთან და საშიშროებასთან, მის საკუთარი ბრალეულობის გაცნობიერების გრძნობასთან, მოწმობს მის დამოკიდებულებასაც წარსულისა და მომავლის მიმართ, ეხება ურთიერთდამოკიდებულებებს მშობლებთან და მეგობრებთან, საკუთარ ცხოვრებისეულ მიზნებს.

ტესტირებას (დამუშავების გარეშე) სჭირდება 20 წთ-დან რამოდენიმე საათამდე (ცდის პირის პიროვნების მიხედვით).

ინსტრუქცია

„ტესტის ბლანკზე საჭიროა წინადადების დასრულება ერთი ან რამოდენიმე სიტყვით“

ტესტის ბლანკი

1. ეფიქრობ, რომ მამაჩემი იშვიათად ----------
2. თუ ყველა ჩემს წინააღმდეგაა, მაშინ----------
3. მე ყოველთვის მსურდა----------
4. ხელმძღვანელი პოსტი რომ მეკავოს ----------
---
5. მომავალი მეჩვენება----------
6. ჩემი უფროსობა ----------
---
7. ვიცი, რომ სისულელეა, მაგრამ მეშინია--------
8. ეფიქრობ, რომ ნამდვილი მეგობარი----------
9. როცა ბავშვი ვიყავი----------
10. ჩემთვის ქალის (მამაკაცის) იდეალს წარმოადგენს ----------
---
11. როცა ქალს მამაკაცის გვერდით ვხედავ ----------
---
12. სხვა ოჯახების უმრავლესობასთან შედარებით ჩემი ოჯახი----------
13. ყველაზე უკეთ ვმუშაობ----------
14. დედაჩემი და მე ----------
15. ყველაფერს გავაკეთებდი, რომ დამევიწყებინა ----
---
16. მამაჩემს, რომ მოესურვებინა----------
17. ვფიქრობ, რომ საკმაოდ უნარიანი ვარ, რათა ----
---
18. შეიძლება ძალიან ბედნიერი ვყოფილიყავი, რომ -
---
19. თუ ვინმე ჩემი ხელმძღვანელობით მუშაობს -----
---
20. ვიმედოვნებ, რომ ----------

21. სკოლაში ჩემი მასწავლებლები----------
22. ამხანაგების უმრავლესობამ არ იცის, რომ მე მეშინია ----------
23. არ მიყვარს ადამიანები, რომლებიც----------
24. ოდესღაც ----------
25. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდა ბიჭების (გოგონების) უმრავლესობა ----------
26. ცოლქმრული ცხოვრება მიმაჩნია----------
27. ჩემი ოჯახი მექცევა, როგორც----------
28. ადამიანები, რომლებთანაც ვმუშაობ----------
29. დედაჩემი ----------
30. ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა იყო----------
31. მე ვისურვებდი, რომ მამაჩემი----------
32. ჩემი ყველაზე დიდი სისუსტე მდგომარეობს იმაში, რომ ----------
33. ცხოვრებაში ჩემი ფარული სურვილი იყო ----------
34. ჩემი ხელქვეითები ----------
35. დადგება ის დღე, როცა----------
36. როცა ჩემი უფროსი მიახლოვდება ----------
37. მსურს აღარ მეშინოდეს----------
38. ყველაზე მეტად ის ადამიანები მიყვარს, რომლებიც ----------
39. კლავე ახალგაზრდად რომ ვიქცე ----------
40. მიმაჩნია, რომ ქალების (მამაკაცების) უმრავლესობა ----------
41. მე რომ ნორმალური სქესობრივი ცხოვრება მქონდეს ----------
42. ჩემთვის ცნობილი ოჯახების უმრავლესობა ----------
43. მიყვარს ადამიანებთან მუშაობა, რომლებიც ----------
44. მიმაჩნია, რომ დედების უმრავლესობა ----------
45. როცა ახალგაზრდა ვიყავი, დანაშაულის გრძნობა მქონდა, თუ ----------
46. ეფიქრობ, რომ მამაჩემი----------
47. როცა არ მიმართლებს, მე----------
48. ყველაზე მეტად ცხოვრებაში მსურს ----------
49. როცა სხვებს დავალებებს ვაძლევ----------
50. როცა მოხუცი ვიქნები----------
51. ადამიანები, რომელთა უპირატესობასაც ვაღიარებ ჩემზე ----------
52. ჩემმა სიფრთხილემ არაერთხელ მაიძულა ----------
53. როცა არა ვარ, ჩემი მეგობრები ----------
54. ჩემი ბავშვობის ყველაზე ცოცხალ მოგონებას წარმოადგენს ----------
55. ძალიან არ მომწონს, როცა ქალები (მამაკაცები) ----------
56. ჩემი სქესობრივი ცხოვრება ----------
57. როცა ბავშვი ვიყავი, ჩემი ოჯახი ----------
58. ადამიანები, რომლებიც ჩემთან მუშაობენ ----------
59. მე მიყვარს დედა, მაგრამ----------
60. ყველაზე უარესი ისაა, რომ ამის გაკეთება მომისდა ----------

წინადადებების თითოეული ჯგუფისთვის გამოყვანილია მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებების მოცემულ სისტემას, როგორც დადებითს, უარყოფითს ან გულგრილს.

წინადადებების მაგალითები და პასუხების ვარიანტები შეფასებით:

ჩემთვის ცნობილი ოჯახების უმრავლესობა:

1) უბედურია, არამეგობრული .....— 2;
2) ნერვიულია, მაგრამ ძალიან მეგობრულია.....— 1;
3) ყველა ერთნაირია .....0.

მომავალი მეუღლე/ა

1) პირქუშად, ცუდად, უცნაურად .....— 2;
2) ბუნდოვნად, უსახურად .....— 1;
3) გაურკვევლად, უცნობად .....0.

გასაღები

ასეთი რაოდენობრივი შეფასება აადვილებს გამოსაკვლევ პირში დამოკიდებულებების დისჰარმონიული სისტემის გამოვლენას. თუმცა, რასაკვირველია, უფრო მნიშვნელოვანია დამატებული წინადადებების თვისობრივი შესწავლა.

N	წინადადებათა ჯგუფი	N დავალება			
1	დამოკიდებულება მამის მიმართ	1	16	31	46
2	დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ	2	17	32	47
3	არარეალიზებული შესაძლებლობები	3	18	33	48
4	დამოკიდებულება ხელმძღვანელობის მიმართ	4	19	34	49
5	დამოკიდებულება მომავლის მიმართ	5	20	35	50
6	დამოკიდებულება ზემდგომი პირების მიმართ	6	21	36	51
7	შიშები და საშიშროებები	7	22	37	52
8	დამოკიდებულება მეგობრების მიმართ	8	23	38	53
9	დამოკიდებულება საკუთარი წარსულის მიმართ	9	24	39	54
10	დამოკიდებულება საპირისპირო სქესის პირების მიმართ	10	25	40	55
11	სექსუალური დამოკიდებულებები	11	26	41	56
12	დამოკიდებულება ოჯახის მიმართ	12	27	42	57
13	დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ	13	28	43	58
14	დამოკიდებულება დედის მიმართ	14	29	44	59
15	დანაშაულის გრძნობა	15	30	45	60

„დაუსრულებელი წინადადების" მეთოდით გამოკვლევას წინ უნდა უსწრებდეს კონტაქტის დამყარება გამოსაკვლევი პირთან გულწრფელი, ბუნებრივი პასუხების მისაღებად. თუნდაც, თუ ტესტირებადი პირი განიხილავს კვლევას, როგორც დადებით პროცედურას და ცდილობს რა თავისი ღრმა განცდების დამალვას, იძლევა ფორმალურ, პირობით პასუხებს, გამოცდილი ფსიქოლოგი შეძლებს მიიღოს მთელი მასა ინფორმაციისა, რაც ასახავს პიროვნული ურთიერთობების სისტემას.

იუმორისტული ფრაზების ტესტი (ა. გ. შმელევი, ა. ს. ბაბინა)

იუმორისტული ფრაზების ტესტი (ი ფ ტ) – პიროვნების მოტივაციური სფეროს დიაგნოსტიკის ორიგინალური კომპაქტური მეთოდიკა, რომელიც აერთიანებს სტანდარტიზებული გაზომვის ტესტისა და ინდივიდუალიზირებული პროექციული ტექნიკის უპირატესობებს.

ი ფ ტ რელევანტურ პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს (ავტორთა აზრით), უპირველეს ყოვლისა, დიაგნოსტიკა ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და კორექციის მიზნით.

მეთოდიკის საფუძველში დევს მრავალმნიშვნელოვანი სტიმულების – იუმორისტული ფრაზების – თავისუფალი თემატური კლასიფიკაციის ხერხი.

დიდი კლასის წარმოქმნა წარმოადგენს ზემნიშვნელოვანი (დომინირებადი) მოტივაციის არსებობის მტკიცებას, რომლის საგნობრივი შინაარსიც შეესაბამება ამ კლასის საგნობრივ შინაარსს.

სასტიმულო მასალა შედგება 100 იუმორისტული ფრაზისგან, რომელთაგან 40 ფრაზა წარმოადგენს მრავალმნიშვნელოვანს (ცდის პირები საკუთარი ინტერპრეტაციის მიხედვით მათში ხედავენ ხან ერთ, ხან მეორე თემას 10 ძირითადი თემიდან).

ძირითადი თემები

1) აგრესია – თავდაცვა;
2) სქესთა ურთიერთდამოკიდებულებები;
3) დამღუპველი მიდრეკილებები (ლოთობა);
4) ფული;
5) მოდა;
6) კარიერა;
7) ოჯახური უსიამოვნებები;
8) სოციალური უსიამოვნებები;
9) უნიჭობა ხელოვნებაში;
10) ადამიანური სისულელე.

იუმტ ნაკრები

1. მწერალს კალამი ჰქონდა. მას ფრთები აკლდა მხოლოდ.

2. რაც უფრო შორს გსურს გადახტომა, მით უფრო დაბლა უნდა დაიხარო.

3. ბედნიერება ფულში კი არა, მის რაოდენობაშია.

4. მოდის კივილი ყველაზე გასაგები უცხო ენაზეა.

5. ქალის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლე დედამიწაზე, მითუმეტეს სიბნელეში.

6. სათანადოდ რომ ჩავწვდეთ ადამიანის სულს, ყველაზე უკეთესია მისი ამოღება.

7. სულელი, სრულყოფისას ხდება მრგვალი.

8. ვისთანაც წახვალ, მაგას გადაეყრები (რასაც დასთეს, იმას მოიმკი).

9. მითხარი, რითი ხარ მდიდარი და მე გეტყვი, ვინ ხარ შენ.

10. სკანდალის ინიციატივა ეკუთვნის ქმარს, ხმოვანი გაფორმება – ცოლს.

11. „მოთმინება და შრომა ყველაფერს გააშრალებს" – შეახსენა ეეგენი საზონოვმა მეუღლეს, რომელიც აშრალებდა ჭურჭლის მთას.

12. ბუნებაში ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია, ამიტომ, უმჯობესია არ იცხოვრო კავშირების გარეშე.

13. ყელში არ ემწდარვარ არავის, ბოთლის გარდა.

14. ზღვაზე რწევა გამოსახულია მხატვრის მიერ ისეთი მსგავსებით, რომ გული მერეოდა სურათის ერთ შეხედვაზეც კი.

15. იდგა მშვიდი ბართლომეს ღამე.

16. ლელვის ფოთოლი წყდება.

17. ტანსაცმელი! ჩემი კომპასი მიწისაა, ხოლო წარმატება – ჯილდოა სიმამაცეზე.

18. არ იყო კაპიკიც და არც იქნება.

19. მიწიერი მიზიდულობის ძალა განსაკუთრებით ძლიერ შეიგრძნობა, როცა ზემოთ ადიხარ სამსახურებრივ საფეხურზე.

20. უცნაური სურათი გადაიშალა პატივცემული კლასიკოსის მზერის წინა: ეს იყო მისი რომანის ეკრანიზაცია.

21. თუ მიგაჩნია, რომ კარიერა უკვე გაიკეთე, ეს ნიშნავს იმას, რომ შენ არ ხარ ნამდვილი კარიერისტი.

22. ვოცნებობდი აზრის გაფრენაზე, მაგრამ მაინც ვერ მოვესწარი ზაფხულის ამინდს.

23. შევსვი ალკოჰოლიკებში.

24. „შეიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი" – უხსნიდა მოხუცი ჯალათი ახალგაზრდას.

25. ცხოვრებისგან ვიღებდი ყველაფერს, რაც მოდაში შემოდიოდა.

26. ფული მით უფრო მეტი ბოროტებაა, რაც უფრო ნაკლებია ის.

27. მე თქვენთან მოწყენილი ვარ, მე თქვენთან დაძინებს მსურს.

28. მას თავში აზრი მოუვიდა, მაგრამ არ დახვდა რა იქ არაუინ, წავიდა.

29. ორი ბოროტებიდან არჩევისას, ორივე აიღე: შემდეგ ესეც არ იქნება.

30. ის ქმარს უშიშინებდა, როგორც გაზიანი წყალი,

31. მე 100 გრ-ზე მეტს არ ვსვამ, მაგრამ 100 გრ დალევისას ვხვდები სხვა ადამიანი, ეს სხვა კი ძალიან ბევრს სვამს.

32. ნუ გეშინიათ ამ ყუმბარის, ის ხელისაა.

33. ბაუშვები – სიცოცხლის ყვავილებია. თუმცა, ნუ მისცემთ მათ მოშვების უფლებას.

34. „არა მარტო პურითაა ცოცხალი ადამიანი" – კიკინებდნენ აგზნებული მყიდველები ხორცის რიგში.

35. რამდენი ბრწყინვალე აზრი იღუპება ხვეულების ლაბირინთებში!

36. ერთადერთი, რაც მასში მამაკაცურია, მას არ შეეძლო აღმოეჩინა ჩვეულებათა გამო.

37. „ადვილი არაა მწერლის შრომა" – ამბობს ევგენი საზონოვი, ყოველდღე მიაქვს რა მაკულატურის მისაღებ პუნქტში 20 კგ თავისი კოლეგების ნაწარმოები.

38. მიყვებით რა მოდას, თვალი ადევნეთ იმას, რომ მან გზიდან არ გადაუხვიოს.

39. ფული ფულია! ამ ფრაზაში ღრმა აზრია, მაგრამ არაა მძიმე.

40. მეომართა საყვარელი ფრაზაა: „მოწოდება კარგია, ხოლო წოდება უკეთესი".

41. პოეტი მთაში მიდიოდა, მაგრამ ეს მთა არ იყო პარნასი.

42. მოდის სტრიპტიზი: მაქსი, მიდი, მინი, შიშველი მეფე.

43. მხოლოდ მძიმე ქისა იძლევა საშუალებას მისდიო მოდას.

44. „მახრჩობს" – ე.ი. ეუყვარვარ" (დეზდემონა).

45. გონების ძმების დაჟინებით ძიებაში ის გამოსაფხიზლებელში აღმოჩნდა.

46. იპოვე ცხოვრებაში ადგილი – უპოვე ცოლსაც.

47. წერდა პრინციპულად და სალაროს პოზიციებიდან.

48. დისერტაციის დაცვა უკეთ მოხდება, თუ ბანკეტი ამის თაობაზე ჩატარდება 2-3 სთ-ით ადრე მის დაწყებამდე.

49. ღმერთმა შექმნა ქალები სულელებად, რათა მათ მამაკაცები ჰყვარებოდათ.

50. რატომა აქვთ ხშირად შეუზღუდავი შესაძლებლობები შეზღუდულ ადამიანებს?

51. ჩხუბისას ისინი ერთმანეთს სკამებს ესროდნენ, მაგრამ ეს ზიანს არ აყენებდა არც მათ ოჯახურ ცხოვრებას და არც სკამებს: ოჯახი მყარი იყო, სხვათაშორის ავეჯიც.

52. თუ ჭკვიანი ადამიანი მთაში მიდის ე.ი. მატერიალურადაა დაინტერესებული.

53. „მე შენს გარდა არაფერი დამრჩენია" – გამოუტყდა კაცი ქალს ხელფასამდე 3 დღით ადრე.

54. შტერები ადამიანებში არ გადიან. მათ აგდებენ.

55. ყასაბი თავის კეთილდღეობას სხვის ძვლებზე აგებდა.

56. მისი თავი რამედ ღირდა... თახვის ქუდთან ერთად.

57. „დალევა ნიშნავს ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას" – უთხრა ივდითმა ასირიელ მხედართმთავარ ოლოფერნოს თავის მოკვეთისას, როგორც კი მას ჩაებინა ღვინოთი და მისი ალერსით გაბრუებულს.

58. ზოგჯერ პეგასებზე უთავო მხედრები დანავარდობენ.

59. მხოლოდ ძალიან კარგ ხასიათზე ეძახდა ის ქმრის ხელფასს ფულს.

60. ისინი, ვისაც ჩაის ფულს აძლევენ, კონიაკს სვამენ.

61. „გასაოცარია – შხამით!“ – თქვა სალიერმა.

62. მოდის დარღვევა მეფეების მიერ ხდება მოდა მათი ხელქვეითებისთვის.

63. არაფხიზელი შეხედულება საგნებზე გეეხმარება მათ გარეშეც გავიდეთ ფონს.

64. შეფის ცოლი გაცილებით უფრო სიმპათიურია, ვიდრე ცოლის შეფი.

65. თუ ჭკვიანი ცოლი გყავს, შეჭამ ნაყოფს შემეცნების ხიდან, ხოლო თუ სულელი – სიცოცხლის ხიდან.

66. მაღაზიის ფხიზელი მფლობელი გულმოდგინედ სინჯავდა ყველაფერს, რაც გამყიდველებს დახლქვეშ ჰქონდათ გადამალული.

67. როცა ის საუბრობდა მელაზე, ქმარი მას მგლური სახით უყურებდა.

68. არა მხოლოდ შენ უნდა ჩაეტიო ხელფასში, არამედ შენი მეგობრებიც უნდა ჩაატიო იქ.

69. ქალისთვის სამსახურებრივ კიბეზე უფრო ადვილია ასვლა მოკლე კაბით.

70. ყველაზე ძვირი გვიჯდება ის, რომლის მიღწევაც არანაირ ფულად არაა შესაძლებელი.

71. როცა მუზები დუმან, პოეტთა ცოლები საუბრობენ.

72. კარგია, როცა ქალს ქმარი ჰყავს, მაგრამ უფრო უკეთესია, თუ ის სხვისია.

73. მოთხრობაში იმდენი მტვერია, რომ მისგან არყის გამოხდაც შეიძლება.

74. ოცნებობს შემოსავლიან სალბო ადგილას მოწყობაზე.

75. გამოსაფხიზლებელთან კვლავაა გახსნილი დედისა და შვილის ოთახი.

76. ამ სასადილოში არა მხოლოდ ჭიის მოკვლაა შესაძლებელი.

77. ქალები მას ათრობდნენ, განსაკუთრებით მაში, როცა მათ საზოგადოებაში ის არაყს სვამდა.

78. მოდის ბოლო ყივილი ხშირად დახლქვეშ ისმოდა.

79. თუ სულ უნდა იფიქრო, რითი უნდა იარსებო?

80. სწრაფად ადიოდა სამსახურებრივ კიბეზე: ერთი ხელი აქ იყო, მეორე – იქ.

81. მოდა თავის ქალას ფორმაზე მას ძვირი დაუჯდა.

82. რაც უფრო ნაყოფიერია შემოქმედება, მით უფრო საჭიროა მაცივარი.

83. თავს იტენდა, მაგრამ კისერი მოიმტვრია.

84. აქ, კი შთამომავლობისთვის ვმუშაობ“ – ამაყად მიანიშნებდა ეგვენი საზონოვი, მიუთითებდა რა სტუმრებს დიუანზე.

85. საყოველთაო მიზიდულობის კანონი შაბლონისკენ.

86. ყველანაირ მოდაზე უფრო მეტად ოტელი დეკოლტეს ანიჭებდა უპირატესობას.

87. ინტელიგენტები მუდმივნი კვდებიან.

88. ცხვრებმა იციან ცხოვრება: მათში ყველაზე ცუდი ცხვარიც კი კრაველში დადის.

89. რამდენი დანტესი გაიყინება უწუმრად ჯერ კიდევ!

90. დაეწყებული მწერალი დაეწყებას ღვინოში ეძებდა.

91. ბევრი სიყვარულით ირთავს ცოლს, რადგან არა აქვს შესაძლებლობა დაქორწინდეს ანგარებით.

92. მოდელიორები მოწოდებულნი არიან ჩაცვან ქალებს. ისინი კი სულ ცდილობენ გახადონ მათ.

93. ნუ პირფერობ ბოთლის გარეშე.

94. ოტელოს როლიც კი უფრო კარგი შესასრულებელია, თუ არის პირადი დაინტერესება.

95. ქალებისადმი ცნობისმოყვარეობა არ უნდა იყოს ამაო.

96. ნუ გათამამდები ბოროტად გამოყენების წინაშე!

97. თუ ცოლი არ მისდევს მოდას, შეიძლება მას არც კი მიადევნო თვალი.

98. ნებისმიერი ჯამაგირი როდია ძლიერი.

99. რაც უფრო სასიამოვნოა ფორმები, მით უფრო სულერთია შინაარსი.

100. გრაფომანია – ეს სულის მოთხოვნილებაა თუ ოჯახის ბიუჯეტის?

ჩატარების პროცედურა

ცდის პირს სთავაზობენ იუმორისტული ფრაზების შემცველი ბარათების კლასიფიკაციას თემატურ კლასიფიკაციაზე ინსტრუქციის მიხედვით: „ბარათები გაანაწილეთ ჯგუფებად ისე, რომ ერთ ჯგუფში იყოს ბარათები ერთ თემაზე“.

ტესტური ქულის დაანგარიშება

დიაგნოსტიკისთვის საკმარისია ბარათების რაოდენობის დათვლა შესაბამის კლასში, რათა გარკვეული ქულა მიეწეროს სამოტივაციო თემას. 10 მიღებული მაჩვენებელი შეიძლება იყოს ვიზუალიზირებული პროფილის სახით. სტანდარტიზებული ტესტებისგან განსხვავებით ი ფ ტ მაჩვენებლების შედარება ხდება ინდივიდუალური პროფილის შიგნით, ელინდება მოტივაციური ტენდენციების რიგითი სტრუქტურა: რომელი თემები დომინირებს, რომელია მეორეხარისხოვანი და ა.შ.

მეთოდიკა „ფასეულობითი ორიენტაციები“ (მ. როკიჩი)

ორიენტაციათა ფასეულობების სისტემა განსაზღვრავს პიროვნების მიმართულობის შინაარსობრივ მხარეს და შეადგენს მისი დამოკიდებულებების საფუძველს გარესამყაროს, სხვა ადამიანების, საკუთარი თავის მიმართ, მსოფლმხედველობის საფუძველს და ცხოვრებისეული აქტიურობის მოტივაციის ბირთვს, ცხოვრებისეული კონცეფციის და ცხოვრების ფილოსოფიის საფუძველს.

ამჟამად, ორიენტაციათა ფასეულობების შესწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდიკას წარმოადგენს მ. როკიჩის მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება ფასეულობათა ჩამონათვალის პირდაპირ რანჟირებას.

მ. როკიჩი გამოყოფს ფასეულობათა 2 კლასს:

1) **ტერმინალურს**. დარწმუნება იმაში, რომ გარკვეული, ინდივიდუალური არსებობის საბოლოო მიზანი ღირს იმად, რათა მისკენ მიისწრაფვოდე;
2) **ინსტრუმენტულს**. იმის რწმენა, რომ პიროვნების მოქმედების გარკვეული სახე ან თვისება წარმოადგენს უპირატესს ნებისმიერ სიტუაციაში.

ეს დაყოფა შეესაბამება ტრადიციულ დაყოფას ფასეულობა-მიზნებად და ფასეულობა-საშუალებებად.

რესპოდენტს სთავაზობენ ფასეულობების 2 სიას (თითოეულში 18) ან ქალალდის ფურცლებზე ანბანური თანამიმდევრობით, ან ბარათებზე. სიებში ცდის პირი თითოეულ ფასეულობას აკუთვნებს რანგულ ნომერს, ხოლო ბარათებს ათავსებს მნიშვნელობის მიხედვით. მასალის მიწოდების ბოლო ფორმა იძლევა უფრო საიმედო შედეგებს. თავიდან ხდება ტერმინალური, შემდეგ კი, ინსტრუმენტული ფასეულობების ნაკრები.

ინსტრუქცია. ახლა თქვენ წარმოგიდგენენ 18 ბარათისგან შემდგარ ნაკრებს ფასეულობების აღნიშვნით. თქვენი ამოცანაა მათი დალაგება მნიშვნელობის მიხედვით — თქვენთვის, როგორც პრინციპებისა, რომლითაც ხელმძღვანელობთ ცხოვრებაში.

თითოეული ფასეულობა დაწერილია ცალკე ბარათზე. ბარათის ყურადღებით შესწავლისა და იმის შერჩევის შემდეგ, თუ რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მოათავსეთ ის პირველ ადგილას. შემდეგ აირჩიეს მნიშვნელობის მიხედვით მეორე ფასეულობა და მოათავსეთ ის პირველის შემდეგ. იგივე გაიმეორეთ დანარჩენ ბარათებთან მიმართებაშიც. ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება ბოლო და დაიკავებს მე-18 ადგილს.

იმუშავეთ აუჩქარებლად, საზრიანად. თუ მუშაობის პროცესში შეცვლით თქვენს აზრს, შეგიძლიათ შეასწოროთ პასუხები, შეუცვლით რა ადგილს ბარათებს. საბოლოო შედეგი უნდა ასახავდეს თქვენს ნამდვილ პოზიციას.

სასტიმულო მასალა

სია — ა (ტერმინალური ფასეულობები)

1) აქტიური ქმედითი ცხოვრება (სიცოცხლის სისავსე და ემოციური გაჯერებულობა);
2) ცხოვრებისეული სიბრძნე (ჯანსაღი აზრი და მსჯელობა, რაც მიიღწევა ცხოვრებისეული გამოცდილებით);
3) ჯანმრთელობა (ფიზიკური და ფსიქიკური);
4) საინტერესო სამუშაო;
5) ბუნებისა და ხელოვნების სილამაზე (მშვენიერების განცდა ბუნებასა და ხელოვნებაში);
6) სიყვარული (სულიერი და ფიზიკური სიახლოვე საყვარელ ადამიანთან);
7) მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება (მატერიალური სირთულეების არარსებობა);
8) კარგი და ერთგული მეგობრების არსებობა;
9) საზოგადოებრივი მოწოდება (გარშემომყოფთა, კოლექტივის, სამსახურში ამხანაგების პატივისცემა);
10) შემეცნება (საკუთარი განათლების, მსოფლმხედველობის, ზოგადი კულტურის განვითარების შესაძლებლობა, ინტელექტუალური განვითარება);
11) ნაყოფიერი ცხოვრება (საკუთარი შესაძლებლობების, ძალებისა და უნარების მაქსიმალურად სრული გამოყენება);
12) განვითარება (მუშაობა საკუთარ თავზე, მუდმივი ფიზიკური და სულიერი სრულყოფა);
13) გართობა (სასურველად დროის გატარება, ვალდებულებების არარსებობა);
14) თავისუფლება (დამოუკიდებლობა მსჯელობასა და ქცევებში);
15) ბედნიერი ოჯახური ცხოვრება;
16) სხვათა ბედნიერება (სხვა ადამიანების, მთელი ხალხის, მთლიანად კაცობრიობის კეთილდღეობა, განვითარება და სრულყოფა);
17) შემოქმედება (შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობა);
18) საკუთარი თავის რწმენა (შინაგანი ჰარმონია, თავისუფლება შინაგანი წინააღმდეგობებისგან, ეჭვებისგან).

სია — ბ (ინსტრუმენტული ფასეულობები):

1) აკურატულობა (სისუფთავე), უნარი ნივთები წესრიგში გქონდეს, წესრიგი საქმეებში;
2) ზრდილობიანობა (კარგი მანერები);
3) მაღალი მოთხოვნები (მაღალი მოთხოვნები ცხოვრებისადმი და მაღალი მისწრაფებები);
4) გულმხიარულობა (იუმორის გრძნობა);
5) შემსრულებლობა (დისციპლინირებულობა);
6) დამოუკიდებლობა (უნარი იმოქმედო დამოუკიდებლად, შეუპოვრად);

7) შეურიგებლობა საკუთარ თავში და სხვებში ნაკლოვანებების მიმართ;
8) განათლებულობა (ცოდნის სიერცე, მაღალი ზოგადი კულტურა);
9) პასუხისმგებლობა (მოვალეობის გრძნობა, უნარი შეასრულო სიტყვა);
10) რაციონალიზმი (უნარი ჯანსაღად და ლოგიკურად იაზროვნო, მიიღო მოფიქრებული და რაციონალური გადაწყვეტილებები);
11) თვითკონტროლი (თავშეკავებულობა, თვითდისციპლინა);
12) სიმამაცე საკუთარი აზრის, შეხედულებების დაცვაში;
13) მტკიცე ნება (უნარი დაიცვა საკუთარი აზრი, არ შეუშინდე წინააღმდეგობებს);
14) მოთმინება (სხვათა აზრებისა და შეხედულებების მიმართ, უნარი აპატიო სხვებს შეცდომები და ცდომილება);
15) შეხედულებების სიერცე (უნარი გაიგო სხვისი აზრი, პატივი სცე სხვაგვარ გემოვნებას, ჩვევებს, წესებს);
16) პატიოსნება (სამართლიანობა, გულწრფელობა);
17) ეფექტურობა საქმეებში (შრომისმოყვარეობა, ნაყოფიერება მუშაობაში);
18) გულისხმიერება (მზრუნველობა).

მეთოდიკის უპირატესობებს წარმოადგენს უნიერსალურობა, მოხერხებულობა და ეკონომიურობა გამოკვლევის ჩატარებაში და შედეგების დამუშავებაში, მოქნილობა-შესაძლებლობა მოხდეს, როგორც სასტიმულო მასალის (ფასეულობების სიების), ასევე ინსტრუქციის ვარირება. მის არსებით ნაკლოვანებებს წარმოადგენს სოციალური სასურველობის გავლენა, არაგულწრფელობის შესაძლებლობა. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ დიაგნოსტიკის მოტივაცია, ტესტირების ნებაყოფლობითი ხასიათი და კონტაქტის არსებობა ფსიქოლოგსა და ცდის პირს შორის. რეკომენდირებული არაა მეთოდიკის გამოყენება შერჩევისა და ექსპერტიზის მიზნით.

აღნიშნული ნაკლოვანებების დაძლევისა და ფასეულობათა ორიენტაციის სისტემაში უფრო ღრმა შეღწევისათვის შესაძლებელია ინსტრუქციის ცვლილებები, რომლებიც იძლევიან დამატებით დიაგნოსტიკურ ინფორმაციას და საშუალებას, გაკეთდეს უფრო დასაბუთებული დასკვნები. ასე, მაგალითად, ძირითადი სერიის შემდეგ შესაძლებელია ვთხოვოთ ცდის პირს მოახდინოს ბარათების რანჟირება შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემისას.

1. რა წესით და რა ხარისხითაა (პროცენტებში) რეალიზებული მოცემული ფასეულობები თქვენს ცხოვრებაში?
2. როგორ განალაგებდით ამ ფასეულობებს, ისეთი რომ გახდეთ, როგორზეც ოცნებობდით?
3. როგორ გააკეთებდა ამას ადამიანი, რომელიც სრულყოფილია ყველა მიმართულებით?
4. როგორ გააკეთებდა ამას ადამიანების უმრავლესობა თქვენის აზრით?
5. როგორ გააკეთებდათ ამას 5 ან 10 წლის წინათ?
6. ... 5 ან 10 წლის შემდეგ?
7. როგორ მოახდინეს ბარათების რანჟირება თქვენმა ახლობლებმა?

ფასეულობათა იერარქიის გაანალიზებისას ყურადღება უნდა გაუმახვილოთ მათ დაჯგუფებაზე შინაარსობრივ ბლოკებად სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით. ასე, მაგალითად, გამოიყოფა კონკრეტული და აბსტრაქტული ფასეულობები, პროფესიული თვითრეალიზაციის და პირადი ცხოვრების ფასეულობები და ა.შ. ინსტრუმენტული ფასეულობები შეიძლება დაჯგუფდეს ეთიკურ ფასეულობებში, ურთიერთობის ფასეულობებში, საქმის ფასეულობებში; ინდივიდუალისტურ და კონფორმისტულ ფასეულობებში, ალტრუისტულ ფასეულობებში; თვითდამკვიდრების და სხვათა მიღების ფასეულობებში და ა.შ. ეს ფასეულობათა ორიენტაციების სისტემის სუბიექტური სტრუქტურირების ყველა შესაძლებლობა როდია. ფსიქოლოგი უნდა შეეცადოს დაიჭიროს ინდივიდუალური კანონზომიერება. თუ ვერ გამოვლინდება არცერთი კანონზომიერება, შეიძლება ვიეარაუდოთ რესპონდენტში ფასეულობათა სისტემის ჩამოუყალიბებლობა ან არაგულწრფელი პასუხებიც კი.

გამოკვლევა უმჯობესია ჩატარდეს ინდივიდუალურად, მაგრამ შესაძლებელია ჯგუფური ტესტირებაც.

პიროვნების მიმართულების განსაზღვრა
(საორიენტაციო ანკეტა)

ამჟამად, პიროვნული მიმართულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საორიენტაციო ანკეტა, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ბ. ბასის მიერ 1967 წ.

ანკეტა შედგება 27 პუნქტი-დასკვნისგან, რომელთაგან თითოეულზე შესაძლებელია პასუხების 3 ვარიანტი, რაც შეესაბამება პიროვნების მიმართულობის 3 სახეს. რესპონდენტმა უნდა აირჩიოს 1 პასუხი, რომელიც უმეტესად გამოხატავს მის აზრს ან შეესაბამება რეალობას და კიდევ ერთი, რომელიც ყველაზე შორსაა მისი აზრისგან ანუ ყველაზე ნაკლებად შეესაბამება რეალობას. პასუხი „ყველაზე მეტად" იღებს ორ ქულას, „ყველაზე ნაკლებად" – 0 ქულას, აურჩეველს – 1 ქულა, 27 პუნქტის მიხედვით შეგროვებული ქულები ჯამდება თითოეული სახის მიმართულობისთვის ცალკ-ცალკე.

მეთოდიკის მეშვეობით ვლინდება შემდეგი მიმართულებები:

1. მიმართულება საკუთარ თავზე (მე-ზე) – ორი-

ენტაცია პირდაპირ დაჯილდოებასა და დაკმაყოფილებაზე სამუშაოსა და თანამშრომლების მიუხედავად, აგრესიულობა სტატუსის მიღწევაში, მიდრეკილება მეტოქეობისადმი, ძალაუფლებიანობა, გაღიზიანებადობა, შფოთვა, ინტროვერტირებულობა.

2. მიმართულება ურთიერთობაზე (უ) – ნებისმიერი პირობის დროს სწრაფვა დამყარებული იქნეს ურთიერთობები ადამიანებთან, ორიენტაცია ერთობლივ საქმიანობაზე, დახმარების გაწევა ადამიანებისთვის, ორიენტაცია სოციალურ მოწონებაზე, დამოკიდებულება ჯგუფზე, მიჯაჭვულობის და ადამიანებთან ემოციური დამოკიდებულებების მოთხოვნა.

3. მიმართულება საქმეზე (ს) – საქმიანი პრობლემების გადაწყვეტით დაინტერესება, სამუშაოს, რაც შეიძლება უფრო უკეთ შესრულება, ორიენტაცია საქმიან თანამშრომლობაზე, უნარი საქმის ინტერესებში დაიცვა საკუთარი აზრი, რაც სასარგებლოა საერთო მიზნის მისაღწევად.

ინსტრუქცია. კითხვარის ფურცელი შედგება 27 პუნქტისგან. თითოეულ მათგანზე შესაძლებელია **პასუხების სამი ვარიანტი – ა, ბ, გ.**

1. პასუხებიდან თითოეულ პუნქტზე აირჩიეთ ის, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს თქვენს თვალსაზრისს მოცემულ საკითხზე. შესაძლებელია, რომ პასუხების რომელიმე ვარიანტი მოგეჩვენოთ თანაბარფასეულად. ამის მიუხედავად გთხოვთ მათგან აირჩიოთ მხოლოდ ერთი, კერძოდ ის, რომელიც უმეტესწილად პასუხობს თქვენს აზრს და ყველაზე მეტად ფასეულია თქვენთვის.

ასო, რომელიც აღნიშნავს პასუხს (ა, ბ, გ) დაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამისი პუნქტის ნომრის (1-27) გვერდით რუბრიკის ქვეშ „ყველაზე მეტად".

2. შემდეგ პასუხებიდან თითოეულ პუნქტზე აირჩიეთ ის, რომელიც ყველაზე შორსაა თქვენი შეხედულებისგან, ყველაზე ნაკლებადაა ფასეული თქვენთვის. პასუხის აღმნიშვნელი ასო კვლავ დაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამისი პუნქტის ნომრის გვერდით, სტრიქონში, რუბრიკის ქვეშ „ყველაზე ნაკლებად".

3. ამგვარად, თითოეულ კითხვაზე პასუხისთვის თქვენ იყენებთ ორ ასოს, რომელთაც წერთ შესაბამის სტრიქონში. დანარჩენი პასუხები არსად არ იწერება.

ეცადეთ იყოს მაქსიმალურად გულმართალი. პასუხის ვარიანტებს შორის არაა „კარგი", ან „ცუდი", ამიტომ არ ეცადოთ მიხვდეთ, თუ რომელი პასუხი წარმოადგენს „სწორს" და „საუკეთესოს" თქვენთვის.

დროდადრო აკონტროლეთ თავი, ახდენთ თუ არა პასუხების სწორად ჩაწერას, პუნქტების გვერდით იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩენთ შეცდომას, გამოასწორეთ ის, მაგრამ ისე, რომ გამოსწორება ჩანდეს მკაფიოდ.

ტესტური მასალა

1. ყველაზე მეტ სიამოვნებას ვიღებ:

ა) ჩემი სამუშაოს მოწონებისგან;

ბ) იმის გაცნობიერებისგან, რომ სამუშაო კარგადაა შესრულებული;

გ) იმის გაცნობიერებისგან, რომ მე გარს მეგობრები მახვევია;

2. მე რომ ფეხბურთის (ფრენბურთს, კალათბურთს) ვთამაშობდე, ვისურვებდი ვყოფ:

ა) მწვრთნელი, რომელიც ამუშავებს თამაშის ტაქტიკას;

ბ) ცნობილი მოთამაშე;

გ) გუნდის არჩეული კაპიტანი.

3. ჩემის აზრით, საუკეთესო პედაგოგს წარმოადგენს ის, ვინც:

ა) ავლენს ინტერესს მოსწავლეების მიმართ და თითოეულთან მიმართებაში გააჩნია ინდივიდუალური მიდგომა;

ბ) იწვევს ინტერესს საგნისადმი, ასე რომ მოსწავლეები სიამოვნებით იღრმავებენ ცოდნას ამ საგანში;

გ) კოლექტივში ქმნის ისეთ ატმოსფეროს, რომლის დროსაც არავის არ ეშინია საკუთარი აზრის გამოთქმის.

4. მე მომწონს, როცა ადამიანები:

ა) შეხარიან შესრულებულ სამუშაოს;

ბ) სიამოვნებით მუშაობენ კოლექტივში;

გ) ცდილობენ შეასრულონ სამუშაო სხვებზე უკეთ.

5. მე ვისურვებდი, რომ მეგობრები:

ა) იყვნენ გულისხმიერნი და ეხმარებოდნენ ადამიანებს, როცა ამისთვის არსებობს შესაძლებლობები;

ბ) იყვნენ ჩემი ერთგულნი;

გ) იყვნენ საინტერესო და ჭკვიანი ადამიანები.

6. საუკეთესო მეგობრებად ვთვლი მათ:

ა) ვისთანაც კარგ ურთიერთდამოკიდებულებებს ვამყარებ;

ბ) ვისაც შემიძლია დავეყრდნო;

გ) ვისაც შეუძლია ცხოვრებაში ბევრის მიღწევა.

7. ყველაზე მეტად მე არ მიყვარს:

ა) როცა რაღაც არ გამომდის;

ბ) როცა ფუჭდება ურთიერთობები ამხანაგებთან;

გ) როცა მაკრიტიკებენ;

8. ჩემის აზრით, ყველაზე ცუდია, როცა პედაგოგი:

ა) არ მალავს, რომ ზოგიერთი მოსწავლე მას არ

ესიმპათიურება, დასცინის და ხუმრობს მასზე;

ბ) იწვევს მეტოქეობის სულისკვეთებას კოლექტიეში;

გ) არასაკმარისად იცის თავისი საგანი.

9. ბავშვობაში ყველაზე მეტად მომწონდა:

ა) დროის მეგობრებთან გატარება;

ბ) შესრულებული საქმეების შეგრძნება;

გ) როცა რაიმეზე მაქებდნენ.

10. მე ვისურვებდი დავმსგავსებოდი იმათ, ვინც:

ა) წარმატებას მიაღწია ცხოვრებაში;

ბ) ნამდვილადაა გატაცებული თავისი საქმით;

გ) გამოირჩევა მეგობრულობითა და კეთილისასურველობით,

11. პირველ რიგში, სკოლა:

ა) უნდა ასწავლიდეს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომელთაც ცხოვრება აყენებს;

ბ) უპირველეს ყოვლისა, ანვითარებდეს მოსწავლის ინდივიდუალურ უნარებს;

გ) უნდა ანვითარებდეს იმ თვისებებს, რომლებიც გამოსადეგია ადამიანებთან ურთიერთქმედებისას.

12. მე რომ უფრო მეტი თავისუფალი დრო მქონდეს, მე მას სიამოვნებით გამოვიყენებდი:

ა) მეგობრებთან ურთიერთობისთვის;

ბ) დასვენებისა და გართობისთვის;

გ) საყვარელი საქმეებისა და თვითგანათლებისთვის.

13. ყველაზე მეტ წარმატებას ვაღწევ, როცა:

ა) ვმუშაობ ადამიანებთან, რომლებიც მესიმპათიურება;

ბ) მაქვს საინტერესო სამუშაო;

გ) ჩემი ძალისხმევა კარგად ანაზღაურებადია.

14. მიყვარს, როცა:

ა) სხვა ადამიანები მაფასებენ;

ბ) განვიცდი კმაყოფილებას კარგად შესრულებული სამუშაოსგან;

გ) სასიამოვნოდ ვატარებ დროს მეგობრებთან.

15. ჩემს გაზეთში რომ დაეწერათ, ვისურვებდი:

ა) ესაუბრათ რაიმე საინტერესო საქმეზე, რაც უკავშირდება სწავლას, სპორტს ან სხვა საქმეს, რომელშიც მონაწილეობა მომიხდა;

ბ) დაეწერათ ჩემს საქმიანობაზე;

გ) აუცილებლად ესაუბრათ იმ კოლექტიეზე, რომელშიც ვმუშაობ.

16. ყველაზე უკეთ ვსწავლობ, თუ პედაგოგი:

ა) ჩემს მიმართ იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას;

ბ) შეძლებს გამოიწვიოს ჩემში ინტერესი საგნისადმი;

გ) აწყობს შესასწავლი პრობლემების კოლექტიურ განხილვას.

17. ჩემთვის არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე:

ა) პირადი ღირსების შეურაცხყოფა;

ბ) წარუმატებლობა მნიშვნელოვანი საქმის შესრულებისას;

გ) მეგობრების დაკარგვა.

18. ყველაზე მეტად ვაფასებ:

ა) წარმატებას;

ბ) ერთობლივი კარგი მუშაობის შესაძლებლობას;

გ) ჯანსაღ, პრაქტიკულ გონებასა და საზრიანობას.

19. არ მიყვარს ადამიანები, რომლებიც:

ა) საკუთარ თავს სხვებზე უარესად თელიან;

ბ) ხშირად ჩხუბობენ და კონფლიქტში არიან.

20. სასიამოვნოა, როცა:

ა) მუშაობ ყველასთვის მნიშვნელოვან საქმეზე;

ბ) გყავს ბევრი მეგობარი;

გ) იწვევ აღტაცებას და ყველას მოსწონხარ.

21. ჩემის აზრით, ხელმძღვანელი, პირველ რიგში, უნდა იყოს:

ა) მისაწვდომი;

ბ) ავტორიტეტული;

გ) მომთხოვნი.

22. თავისუფალ დროს სიამოვნებით წავიკითხავდი წიგნებს:

ა) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიძინო მეგობრები და შეინარჩუნო კარგი ურთიერთობები ადამიანებთან;

ბ) ცნობილი და საინტერესო ადამიანების ცხოვრების შესახებ;

გ) მეცნიერებისა და ტექნიკის ბოლო მიღწევების შესახებ.

23. მე რომ მუსიკის ნიჭი მქონდეს, ვისურვებდი ვიყო:

ა) დირიჟორი;

ბ) კომპოზიტორი;

გ) სოლისტი.

24. მსურს:

ა) მოვიფიქრო საინტერესო კონკურსი;

ბ) გავიმარჯვო კონკურსში;

გ) მოვახდინო კონკურსის ორგანიზება და ვუხელმძღვანელო მას.

25. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ვიცოდე:

ა) თუ რისი გაკეთება მინდა;

ბ) როგორ მივაღწიო მიზნებს;

გ) როგორ შეეკრიბო ადამიანები მიზნის მისაღწევად.

26. ადამიანი უნდა მისწრაფვოდეს იმისკენ, რომ:

ა) სხვები იყვნენ კმაყოფილნი მისით;

ბ) უპირველეს ყოვლისა, შეასრულო ამოცანა;

გ) საჭირო არ გახდეს მისთვის შენიშვნის მიცემა შესრულებულ სამუშაოზე.

27. ყველაზე უკეთ ვისვენებ თავისუფალ დროს:

ა) მეგობრებთან ურთიერთობაში;

ბ) გასართობი ფილმების ყურებისას;

გ) ნებისმიერი საყვარელი საქმით დაკავებისას.

გახაღები

N	მე	უ	ს	N	მე	უ	ს
1	ა	გ	ბ	15	ბ	გ	ა
2	ბ	გ	ა	16	ა	გ	ბ
3	ა	გ	ბ	17	ა	გ	ბ
4	გ	ბ	ა	18	ა	ბ	გ
5	ბ	ა	გ	19	ა	ბ	გ
6	გ	ა	ბ	20	გ	ბ	ა
7	გ	ბ	ა	21	ბ	ა	გ
8	ა	ბ	გ	22	ბ	ა	გ
9	გ	ა	ბ	23	გ	ა	ბ
10	ა	გ	ბ	24	ბ	გ	ა
11	ბ	გ	ა	25	ა	გ	ბ
12	ბ	ა	გ	26	გ	ა	ბ
13	გ	ა	ბ	27	ბ	ა	გ
14	ა	გ	ბ				

ემოციების მნიშვნელობის შეფასების სკალა

როგორია ისინი, ის ემოციები და მდგომარეობები, რომელთაც მართლაც შეუძლია ჩვენთვის სიამოვნების მინიჭება?

ამის განსაზღვრა შეიძლება ემოციური უპირატესობების რანჟირების მეშვეობით (მეთოდიკა შემოთავაზებულია ბ.ი. დოდონოვის მიერ) ე.ი. იმის თვისებური განლაგების გზით, რა მოგწონს პირველად, მეორედ, ... მეათედ.

რანგის ნომერი (1-10) უნდა მოთავსდეს თითოეული შესაფასებელი ემოციური მდგომარეობის გვერდით,ის ასევე დაგეჭირდება კარში(დანაყოფში) „შეთავსებადობის ძიებაში".

ინსტრუქცია. მოახდინეთ რანჟირება მნიშვნელობის მიხედვით.

ცხრილი 2

გრძნობების აღწერა	რანგი
1. უჩვეულოს, საიდუმლოს, განუცდელის გრძნობა, რაც ელინდება უცნობ გარემოში, ვითარებაში.	
2. სასიხარულო ღელვა, მოუთმენლობა კოლექციონირების ახალი საგნების, ნიუთების შეძენისას, სიამოვნება იმ აზრისგან, რომ მალე ისინი მეტი გახდება.	
3. სასიხარულო აღგზნება, ამაღლებული განწყობა, გატაცება, როცა საქმე კარგად მიდის, როცა ხედავ, რომ აღწევ კარგ შედეგებს.	
4. სიამოვნება, სიამაყე, სულიერი ამაღლებულობა, როცა შეგიძლია დაამტკიცო საკუთარი ფასეულობა ან უპირატესობა მეტოქეებზე, როცა შენით გულწრფელად არიან აღტაცებულნი.	
5. მხიარულება, უდარდელობა, კარგი ფიზიკური თვითშეგრძნება, გემრიელი საკვებით, დასვენებით, უზადო გარემოთი, ცხოვრების უსაფრთხოებითა და უშფოთველობით ტკბობა.	
6. სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობა, როცა ხერხდება რაიმე კარგის გაკეთება შენთვის ძვირფასი ადამიანებისთვის.	
7. ცხოველი ინტერესი, სიამოვნება ახლის შეცნობისას, გასაოცარი სამეცნიერო ფაქტების გაცნობისას. სიხარული და ღრმა კმაყოფილება მოვლენების არსის გარკვევისას, საკუთარი ვარაუდებისა და წინადადებების დამტკიცება.	
8. საბრძოლო განწყობა, რისკის გრძნობა, მისით ტკბობა, აზარტი, მწვავე შეგრძნებები ბრძოლის, საშიშროების წუთებში.	
9. სიხარული, კარგი განწყობა, სიმპათია, გულღიაობა იმ ადამიანებთან ურთიერთობისას, რომლებიც გიყვართ და რომელთაც პატივს სცემ, როცა ხედავ მეგობრობას და ურთიერთდახმარებას, როცა იღებ დახმარებას და მოწონებას სხვა ადამიანების მხრიდან.	
10. თვისებური ლამაზი და ტკბილი გრძნობა, რაც ჩნდება ბუნების ან მუსიკის, სურათების, ლექსების და ხელოვნების სხვა ნაწარმოებების აღქმისას.	

რეაქტიული და პიროვნული შფოთვის დონის შეფასების სკალა

(ჩ.დ. სპილბერგი, ი.ლ. ხანინი)

მოცემული ტესტი წარმოადგენს მოცემულ მომენტში შფოთვის (რეაქტიული შფოთვა, როგორც მდგომარეობა) და პიროვნული შფოთვის (როგორც ადამიანის მყარი მახასიათებელი) თვითშეფასების დონის საიმედო საინფორმაციო ხერხს. ის შემუშავებულია ჩ.დ. სპილბერგის (აშშ) და ადაპტირებულია ი.ლ. ხანინის მიერ.

პიროვნული შფოთვა ახასიათებს მყარ მიდრეკილებას დროულად აღიქვას სიტუაციათა დიდი წრე, როგორც საშიში, მოახდინოს რეაგირება ასეთ სიტუაციებზე შფოთვის მდგომარეობით. რეაქტიული შფოთვა ხასიათდება დაძაბულობით, მოუსვენრობით, ნერვიულობით. ძალიან მაღალი რეაქტიული შფოთვა იწვევს ყურადღების დარღვევას, ზოგჯერ ზუსტი კოორდინაციის დარღვევა. ძალიან მაღალი პიროვნული შფოთვა პირდაპირ კორელირებს ნევროტული კონფლიქტის არსებობასთან, ემოციურ და ნევროზულ შეტევებთან და ფსიქოსომატურ დაავადებებთან.

თუმცა, შფოთვა არ წარმოადგენს ნეგატიურ თავდაპირველ თვისებას. შფოთვის განსაზღვრული დონე – აქტიური პიროვნების ბუნებრივი და სავალდებულო თავისებურება. ამასთან, არსებობს „სასარგებლო შფოთვის" ინდივიდუალური ოპტიმალური დონე.

თვითშეფასების სკალა შედგება ორი ნაწილისგან, რომლებიც ცალკ-ცალკე აფასებენ რეაქტიულ (რშ, 1-20 გამონათქვამები) და პიროვნულ (პშ, 21-40 გამონათქვამები) შფოთვას.

ბლანკი პასუხებისთვის

თვითშეფასების სკალა

გვარი _____ თარიღი _____

ინსტრუქცია: „ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული ქვემოთმოყვანილი წინადადება და გადახაზეთ შესაბამისი ციფრი მარჯვნივ იმის მიხედვით, თუ როგორ გრძნობთ თავს მოცემულ მომენტში. ნუ დაფიქრდებით დიდხანს საკითხებზე, რამდენადაც არაა სწორი ან არასწორი პასუხები".

A – არა, ეს ასე არაა.
B – ვფიქრობ, ასეა.
C – მართალია.
D – საესებით მართალია.

	A	B	C	D
1. მშვიდად ვარ	1	2	3	4
2. მე არაფერი მემუქრება	1	2	3	4
3. მე დაძაბული ვარ	1	2	3	4
4. მწუხარებას განვიცდი	1	2	3	4
5. თავს თავისუფლად ვგრძნობ	1	2	3	4
6. მოწყენილი ვარ	1	2	3	4
7. მაღელვებს შესაძლო წარუმატებლობები	1	2	3	4
8. თავს დასვენებულად ვგრძნობ	1	2	3	4
9. საკუთარი თავით უკმაყოფილო ვარ	1	2	3	4
10. განვიცდი შინაგან კმაყოფილებას	1	2	3	4
11. საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ	1	2	3	4
12. ვნერვიულობ	1	2	3	4
13. ადგილს ვერ ვპოულობ	1	2	3	4
14. აღელვებული ვარ	1	2	3	4
15. არ ვგრძნობ შებოჭილობას, დაძაბულობას	1	2	3	4
16. კმაყოფილი ვარ	1	2	3	4
17. შეშფოთებული ვარ	1	2	3	4
18. ძალიან აღელვებული ვარ და თავს ცუდად ვგრძნობ	1	2	3	4
19. მხიარული ვარ	1	2	3	4
20. სასიამოვნოდ ვარ	1	2	3	4

ბლანკის წინაპირი

რშ და პშ ანგარიშება ფორმულით:

$$\text{რშ} = \Sigma_1 - \Sigma_2 + 35,$$

სადაც Σ_1 – ბლანკზე გადახაზული ციფრების ჯამია სკალის პუნქტებზე 3, 4, 6, 7, 9, 12, 13, 14, 17, 18; Σ_2 – დანარჩენი გადახაზული ციფრების ჯამია (პუნქტები 1, 2, 5, 8, 10, 11, 15, 16, 19, 20).

$$\text{პშ} = \text{რშ} = \Sigma_1 - \Sigma_2 + 35,$$

სადაც Σ_1 – ბლანკზე გადახაზული ციფრების ჯამია სკალის პუნქტებზე 22, 23, 24, 25, 28, 29, 31, 32,

34, 35, 37, 38, 40; Σ_2 – დანარჩენი ციფრებია ჯამია პუნქტებზე 21, 26, 27, 30, 33, 36, 39.

ინტერპრეტაციისას შედეგი შეიძლება შეფასდეს ასე: 30-მდე – **დაბალი შფოთვა;** 31-45 – **ზომიერი შფოთვა;** 46 და მეტი – **მაღალი შფოთვა.**

მნიშვნელოვანი გადახრები **ზომიერი შფოთვის** დონისგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, მაღალი შფოთვა გულისხმობს მიდრეკილებას ადამიანში შფოთვის მდგომარეობის წარმოქმნისადმი, მისი კომპეტენტურობის შეფასების სიტუაციებში. ამ შემთხვევაში, უნდა შემცირდეს სიტუაციისა და ამოცანების სუბიექტურობა, მნიშვნელობა და აქცენტი გადატანილ იქნეს საქმიანობის გააზრებასა და წარმატებაში თავდაჯერებულობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე.

დაბალი შფოთვა, პირიქით, მოითხოვს პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას და ყურადღებას საქმიანობის მოტივების მიმართ. თუმცა, ზოგჯერ პიროვნების მიერ **მაღალი შფოთის** აქტიური განდევნის ძალიან დაბალი შფოთვა მიზნად ისახავს საკუთარი თავის „უკეთეს ჭრილში" ჩვენებას.

სკალის წარმატებით გამოყენება შეიძლება თვითრეგულაციის, საქმიანობის მართვისა და ფსიქოკორექციის მიზნით.

ბლანკი პასუხებისთვის

_____

_____

თვითშეფასების სკალა

გვარი _____ თარიღი _____

ინსტრუქცია: „ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული ქვემოთმოყვანილი წინადადება და გადახაზეთ მარჯვნივ შესაბამისი ციფრი იმის მიხედვით, თუ როგორ გრძნობთ თავს ჩვეულებრივ. ნუ დაფიქრდებით დიდხანს საკითხებზე, რამდენადაც არაა სწორი ან არასწორი პასუხები".

A – არა, ეს ასე არაა.
B – ვფიქრობ, ასეა.
C – მართებულია.
D – სავსებით მართებულია

	A	B	C	D
21. მე განვიცდი კმაყოფილებას	1	2	3	4
22. ძალიან სწრაფად ვიღლები	1	2	3	4
23. ადვილად შემიძლია ატირება	1	2	3	4
24. ვისურვებდი ვიყო ისეთი ბედნიერი, როგორც სხვები	1	2	3	4
25. ხშირად ვაგებ იმის გამო, რომ არასაკმარისად სწრაფად ვიღებ გადაწყვეტილებებს	1	2	3	4
26. ჩვეულებრივ თავს მხნედ ვგრძნობ	1	2	3	4
27. მშვიდი, ცივსისხლიანი და მობილიზებული ვარ	1	2	3	4
28. მოსალოდნელი სირთულეები ჩვეულებრივ ძალიან მაშფოთებს	1	2	3	4
29. საკმაოდ ძლიერ განვიცდი წვრილმანებს	1	2	3	4
30. მე სავსებით ბედნიერი ვარ	1	2	3	4
31. ყველაფერი ძალიან ახლოს მიმაქვს გულთან	1	2	3	4
32. მაკლია საკუთარი თავის რწმენა	1	2	3	4
33. ჩვეულებრივ თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ	1	2	3	4
34. ეცდილობ თავი ავარიდო კრიტიკულ სიტუაციებს	1	2	3	4
35. სევდა მაწუხებს ხოლმე	1	2	3	4
36. კმაყოფილი ვარ	1	2	3	4
37. ყოველგვარი წვრილმანი იქცევს ჩემს ყურადღებას და მაღელვებს	1	2	3	4
38. ისე ძლიერ განვიცდი იმედგაცრუებებს, რომ შემდეგ დიდი ხანი ვერ ვიეიწყებ მათ	1	2	3	4
39. მე გაწონასწორებული ადამიანი ვარ.	1	2	3	4
40. ძლიერ შეშფოთებული ვარ, როცა ეფიქრობ საკუთარ საქმეებსა და საზრუნავებზე.	1	2	3	4

ბლანკის უკანა მხარე

თვითშეფასების სკალა

გვარი _____ თარიღი _____

ინსტრუქცია: „ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული ქვემოთმოყვანილი წინადადება და ხაზი გადაუსვით შესაბამის ციფრს მარჯვენივ იმის მიხედვით, **თუ როგორ გრძნობ თავს მოცემულ მომენტში.** ნუ დაფიქრდებით დიდხანს საკითხებზე, რამდენადაც არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხები".

A — არა, ეს ასე არაა.

B — ვფიქრობ, ასეა.

C — მართებულია.

D — სავსებით მართებულია

ცხრილი 3

		A	B	C	D
1.	თავს თავისუფლად	1	2	3	4
2.	ვგრძნობ	1	2	3	4
3.	ვნერვიულობ თავს შებოჭილად არ ვგრძნობ	1	2	3	4
4.	კმაყოფილი ვარ	1	2	3	4
5.	შეშფოთებული ვარ	1	2	3	4

რშ მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება ფორმულით:"

$$რშ = \Sigma_1 - \Sigma_2 + 15,$$

სადაც Σ_1 — გადახაზული ციფრების ჯამია 2.5 პუნქტის მიხედვით;

Σ_2 — ჯამია 1, 3, 4 პუნქტების მიხედვით.

მაჩვენებლის სიდიდე იცვლება 5-დან 20-მდე.

2. პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობებისა და თვისებების დიაგნოსტიკა

დეპრესიის სკალა

კითხვარი შემუშავებულია დეპრესიული მდგომარეობებისა და დეპრესიასთან ახლოს მყოფი მდგომარეობების დიფერენციალური დიაგნოსტიკისთვის, სკრინინგ-დიაგნოსტიკისთვის მასობრივი კვლევების დროს და წინასწარი, ექიმამდელი დიაგნოსტიკის მიმართ. ტესტი ადაპტირებულია ტ.ი. ბალაშოვის მიერ, სრული ტესტირება დამუშავებასთან ერთად იკავებს 20-30 წთ.

ცდის პირი აღნიშნავს პასუხებს ბლანკზე.

დეპრესიის დონე (დდ) იანგარიშება ფორმულით:

$$დდ = \Sigma_{პრ.} + \Sigma_{უპ}.$$

სადაც $\Sigma_{პრ.}$ — გადახაზული ციფრების ჯამია N 1, 3, 4, 7, 8., 9, 10, 13, 15, 19 „პირდაპირი" გამოთქმების მიმართ; $\Sigma_{უპ}$ — ციფრების ჯამია, რომლებიც „უკუგადახაზულია" N 2, 5, 6, 11, 12, 14, 16, 17, 18, 20 გამოთქმების მიმართ.

მაგალითად: N 2 გამოთქმასთან გადახაზულია ციფრი 1, ჯამში 4 ქულას ვწერთ; N 5 გამოთქმასთან გადახაზულია პასუხი 2, ჯამში 3 ქულას ვწერთ; N 6 გამოთქმასთან გადახაზულია პასუხი 3 — ჯამში ვწერთ 2 ქულას; N 11 გამოთქმასთან გადახაზულია პასუხი 4 — ჯამში ვწერთ 1 ქულას და ა.შ.

შედეგად ვიღებთ დდ, რომელიც მერყეობს 20-დან 80 ქულამდე.

თუ დდ არ აღემატება 50 ქულას, დიაგნოსტირებული ხდება მდგომარეობა დეპრესიის გარეშე. თუ დდ აღემატება 50 ქულას და 59 ქულაზე ნაკლებია, კეთდება დასკვნა სიტუაციური ან ნევროტული გენეზისის მსუბუქი დეპრესიის შესახებ. დდ-ის 60-დან 69 ქულამდე მაჩვენებლის დროს ხდება სუბდეპრესიული მდგომარეობის ან შენიღბული დეპრესიის დიაგნოსტირება.

ჭეშმარიტი დეპრესიული მდგომარეობა დიაგნოსტირებულია მაშინ, თუ დდ აღემატება 70 ქულას.

ბლანკი პასუხებისთვის

დეპრესიის სკალა

გვარი ———————— თარიღი ————

ინსტრუქცია: „ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული ქვემოთმოყვანილი წინადადება და ხაზი გადაუსვით შესაბამის ციფრს მარჯვენივ იმის მიხედვით, თუ როგორ გრძნობთ თავს ბოლო ხანებში. საკითხებზე დიდხანს არ დაფიქრდეთ, რამდენადაც არაა სწორი ან არასწორი პასუხები".

A — არასდროს ან იშვიათად.

B — ზოგჯერ

C — ხშირად

D — თითქმის ყოველთვის ან მუდმივად.

	A	B	C	D
1. თავს დათრგუნულად ვგრძნობ	1	2	3	4
2. დილით თავს ყველაზე უკეთ ვგრძნობ	1	2	3	4
3. ხდება ხოლმე ტირილის ან ტირილამდე მისვლის პერიოდები	1	2	3	4
4. ღამით ცუდი ძილი მაქვს.	1	2	3	4
5. მადა ჩვეულებრივზე უფრო ცუდი არ მაქვს	1	2	3	4
6. მსიამოვნებს მიმზიდველი ქალების ყურება, მათთან საუბარი, მათ გვერდით ყოფნა	1	2	3	4
7. ვხედავ, რომ ყველაფერს ვკარგავ	1	2	3	4
8. მაწუხებს შეკრულობა	1	2	3	4
9. გული ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად მიცემს	1	2	3	4
10. ვიღლები ყოველგვარი მიზეზის გარეშე	1	2	3	4
11. ისევე აშკარად ნათლად ვაზროვნებ, როგორც ყოველთვის	1	2	3	4
12. ადვილად ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია	1	2	3	4
13. თავს მშფოთვარედ ვგრძნობ და ერთ ადგილას ჯდომა არ შემიძლია	1	2	3	4
14. მომალის იმედი მაქვს	1	2	3	4
15. უფრო გაღიზიანებული ვარ, ვიდრე ჩვეულებრივ	1	2	3	4
16. ადვილად ვიღებ გადაწყვეტილებებს	1	2	3	4
17. ვგრძნობ, რომ სასარგებლო და საჭირო ვარ	1	2	3	4
18. საკმაოდ სრული სიცოცხლით ვცოცხლობ	1	2	3	4
19. ვგრძნობ, რომ სხვა ადამიანები უკეთ გახდებიან, თუ მოკვდები	1	2	3	4
20. ამ დრომდე მახარებს ის, რაც ყოველთვის მახარებდა	1	2	3	4

„შ და დ" მეთოდიკა

მიზანი: "შფოთვისა" და "დეპრესიის" მდგომარეობის გამოვლენა, რაც განპირობებულია ნერვული პროცესების გაუწონასწორებლობით.

მუშაობის მიმდინარეობა

პასუხი უნდა გაეცეს ანკეტის კითხვებს, რომელსაც თან ახლავს შემდეგი **ინსტრუქცია:** „გთხოვთ პასუხი გასცეთ კითხვების სერიას, რომლებიც დაგეხმარება გამოავლინო თქვენი მდგომარეობა. გთხოვთ, გულწრფელად უპასუხოთ კითხვებს"

თუ კითხვაში აღნიშნულია მდგომარეობა, რომელიც თქვენ:

არასდროს არ გქონიათ, დაიწერეთ – 5 ქულა;

თუ ძალიან იშვიათად გხვდებათ – 4 ქულა;

თუ დროდადრო გხვდებათ – 3 ქულა;

თუ ისინი ხშირია – 2 ქულა;

თუ ისინი თითქმის მუდმივია ან ყოველთვისაა – 1 ქულა.

თუ კითხვა თქვენთვის გაუგებარია, მიმართეთ განმარტებისთვის.

კვლევა ინდივიდუალურია ან კოლექტიური.

ტესტირებადი პირები იღებენ პასუხების ბლანკებს, მათი ყურადღება ექცევა იმას, რომ ისინი არ უშვებდნენ შეცდომებს ბლანკის შევსების დროს.

კითხვარი:

1. ამჩნევთ თუ არა, რომ გახდით უფრო ნელი და უსიცოცხლო, და რომ არ გაქვთ უწინდელი ენერგიულობა?
2. გიძნელდებათ დაძინება, თუ რაიმე გაწუხებთ?
3. გრძნობთ თუ არა თავს დათრგუნულად და სევდიანად?
4. გაქვთ თუ არა ღელვის გრძნობა (თითქოს რაღაც უნდა მოხდეს), თუმცა არ გაგაჩნიათ განსაკუთრებული მიზეზები?
5. ამჩნევთ თუ არა, რომ ახლა გრძნობთ მეგობრობისა და ალერსის ნაკლებ მოთხოვნილებას, ვიდრე ადრე?
6. მოგდით თუ არა აზრი, რომ თქვენს ცხოვრებაში ნაკლებია სიხარული და ბედნიერება?
7. ამჩნევთ თუ არა, რომ გახდით უფრო გულგრილი, არ გაქვთ უწინდელი ინტერესები და მისწრაფებები?
8. გქონიათ ისეთი აღელვების მომენტები, რომ ერთ ადგილზეც კი ვერ ჩერდებით?
9. ლოდინი გაღელვებთ და გაშფოთებთ?
10. გაქვთ კოშმარული სიზმრები?
11. განიცდით აღელვებას ან შფოთვას ვინმეზე ან რამეზე?
12. გაქვთ იმის გრძნობა, რომ გულგრილად გექცევიან, არავინ არ ცდილობს გაიგოთ და გაგრძნობინოთ თანაგრძნობა და თავს მარტოსულად გრძნობთ?
13. ყურადღება მიგიქცევიათ იმაზე, რომ ხელები და ფეხები ხშირად მშფოთვარე მოძრაობაში გაქვთ?
14. გრძნობთ თუ არა თავს მოუთმენლად, მოუსვენრად?
15. ხშირად გსურთ მარტო ყოფნა?

16. ამჩნევთ, რომ ახლობლები გულგრილად ან არაკეთილგანწყობილადაც კი გექცევიან?
17. თავს შებოჭილად და არადამაჯერებლად გრძნობთ საზოგადოებაში?
18. მოგდით თავში აზრები, რომ მეგობრები ან ახლობლები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე თქვენ?
19. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ დიდხანს მერყეობთ?
20. გაქვთ გრძნობა, რომ მრავალ უსიამოვნებაში თავად ხართ დამნაშავე?

მიღებული მონაცემების დამუშავება

მიღებული ტესტირებადი ქულები იღებენ გარკვეულ რიცხობრივ მნიშვნელობებს, რომლებიც მითითებულია ცხრილებში.

ცხრილებში მითითებული მნიშვნელობების მიხედვით თვითშეგრძნების ქულა იცვლება დიაგნოსტიკური კოეფიციენტით. ხელახლა კოდირების შემდეგ ხდება დიაგნოსტიკური კოეფიციენტების ალგებრული ჯამების გაანგარიშება (დადებითი ან უარყოფითი ნიშნის გათვალისწინებით) თითოეული სკალისთვის ცალკ-ცალკე.

კოეფიციენტების ალგებრული ჯამი, რომელიც მეტია +1,28 მოწმობს კარგ ფსიქიკურ მდგომარეობას, –1,28 ნაკლები ჯამი მეტყველებს გამოხატულ ფსიქიკურ დაძაბულობაზე, შფოთვაზე, დეპრესიაზე. შუალედური მნიშვნელობები (-1,28-დან + 1,28-მდე) მეტყველებს მონაცემთა გაურკვევლობაზე. ჩვეულებრივ, მოსაზღვრე მნიშვნელობები ხასიათდება კოეფიციენტებით -5,6-დან – 1,28-მდე.

ცხრილი 4

შფოთვის დიაგნოსტიკური კოეფიციენტების მნიშვნელობა

ნიშნების ნომრები		ქულები			
1		2	3	4	5
2	-1,38	-0,44	1,18	1,31	0,87
4	-0,8	-1,3	-0,6	0,37	1,44
8	-1,6	-1,34	-0,4	-0,6	0,88
9	-1,11	0	0,54	1,22	0,47
10	-0,9	-1,32	-0,41	-0,41	1,2
11	-1,19	-0,2	1,04	1,03	0,4
13	-0,78	-1,48	-1,38	0,11	0,48
14	-1,26	-0,93	-0,4	0,34	1,24
17	-1,23	-0,74	0	0,37	0,63
19	-1,92	-0,36	0,28	0,56	0,1

შფოთვის მოსაზღვრე მდგომარეობა ვლინდება აგზნების ზღვარის შემცირებაში სხვადასხვა სტიმულის მიმართ, გაუბედაობაში, მოუთმენლობაში, მოქმედების არათანამიმდევრობაში. შფოთვის ნევროტული რეაქცია, როგორც ღელვა საკუთარ და ახლობლების ჯანმრთელობაზე, ადამიანებთან ურთიერთობაში ვლინდება იმაში, რომ ადამიანი არადამაჯერებლად იქცევა.

დეპრესია ვლინდება ნევროტულ რეაქციებში – ცხოვრების ტონუსის და ენერგიის შესუსტებაში, განწყობილების ფონის შემცირებაში, გარშემომყოფებთან კონტაქტების შემჭიდროებასა და შეზღუდვაში, უსიხარულობისა და მარტოობის გრძნობის არსებობაში.

ცხრილი 5

დეპრესიის დიაგნოსტიკური კოეფიციენტების მნიშვნელობა

ნიშნების ნომრები	ქულები				
	1	2	3	4	5
1	1,58	-1,45	0,41	0,7	1,46
3	1,51	-1,53	0,34	0,58	1,4
5	1,45	-1,26	1	0	0,83
7	1,3	-1,5	0,15	0,8	1,22
6	1,38	-1,62	0,22	0,32	0,75
12	1,34	-1,34	0,5	0,3	0,72
15	1,2	-1,23	0,36	0,56	-0,2
16	1,08	-1,08	1,18	0	0,46
18	1,2	-1,26	0,37	0,21	0,42
20	1,08	-0,54	0,1	0,25	0,32

„ბაბ" (САН) კითხვარი

ესაა საბლანკო ტესტი, რომელიც გათვალისწინებულია გუნების, აქტიურობისა და განწყობილების ოპერატიული შეფასებისთვის (ამ ფუნქციური მდგომარეობების პირველი ასოების მიხედვით არის შექმნილი კითხვარის სახელწოდება).

შეფასების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ცდის პირებს სთხოვენ თავიანთი მდგომარეობა შეუსაბამონ ნიშნებს მრავალსაფეხურიან სკალაზე. ეს სკალა შედგება საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების 30 წყვილს შორის განთავსებული ინდექსებისგან (3210123), რომლებიც ასახავენ მოძრაობას, ფუნქციების მიმდინარეობის სისწრაფესა და ტემპს (აქტიურობას), ძალას, ჯანმრთელობას, დაღლილობას (თვითგრძნობა), ასევე ემოციური მდგომარეობის მახასიათებლებს (განწყობილებას). ცდის პირმა უნდა აირჩიოს და აღნიშნოს ციფრი, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს მის მდგომარეობას გამოკვლევი მომენტში.

დამუშავების დროს ამ ციფრების ხელახლა კოდირება ხდება შემდეგნაირად: ინდექსი 3, რომელიც

შეესაბამება არადამაკმაყოფილებელ თვითშეგრძნებას, დაბალ აქტიურობასა და ცუდ განწყობილებას მიიღება ერთ ქულად; შემდეგი – 2 ინდექსი – 2 ქულად; ინდექსი 1 – 3 ქულად და ასე 3 ინდექსამდე სკალის საპირისპირო მხრიდან, რომელიც შესაბამისად 7 ქულად მიიჩნევა (გაითვალისწინეთ, რომ სკალის პოლუსები მუდმივად იცვლება). ასე რომ, დადებითი მდგომარეობები ყოველთვის იღებენ მაღალ ქულებს, ხოლო უარყოფითი მდგომარეობები – დაბალს. ამ „მოყვანილი“ ქულებით ანგარიშება საშუალო არითმეტიკული, როგორც მთლიანად, ასევე ცალკ-ცალკე აქტიურობის, თვითშეგრძნებისა და განწყობილების მიხედვით. მაგალითად, საშუალო შეფასებები მოსკოველი სტუდენტებიდან არჩევისთვის უდრის:

გუნება – 5,4; აქტიურობა – 5,0; განწყობილება – 5,1. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფუნქციური მდგომარეობის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი ცალკეული მაჩვენებლების მნიშვნელობები, არამედ მათი თანაფარდობაც. საქმე იმაშია, რომ დასვენებულ ადამიანთან აქტიურობის, განწყობილებისა და ბუნების შეფასებები ჩვეულებრივ თითქმის ტოლია, ხოლო, დაღლილობის ზრდასთან ერთად თანაფარდობა მათ შორის იცვლება გუნებისა და აქტიურობის ფარდობითი შემცირების ხარჯზე განწყობილებასთან შედარებით.

„გაგ“ მეთოდიკის ტიპური რუკა

გვარი, ინიციალები _____

სქესი _____

ასაკი _____

თარიღი _____

დრო _____

1. გუნება კარგია	32	101	23	გუნება ცუდია
2. თავს ძლიერად ვგრძნობ	32	101	23	თავს სუსტად ვგრძნობ
3. პასიური	32	101	23	აქტიური
4. ნაკლებად მოძრაიი	32	101	23	მოძრაიი
5. მხიარული	32	101	23	მოწყენილი
6. კარგი განწყობილება	32	101	23	ცუდი განწყობილება
7. შრომისუნარიანი	32	101	23	გატეხილი
8.ძალების აღსავსე	32	101	23	დაუძლურებული
9. ნელი	32	101	23	სწრაფი
10. უმოქმედო	32	101	23	ქმედითი
11. ბედნიერი	32	101	23	უბედური
12.სიცოცხლით აღსავსე	32	101	23	პირქუში
13. დაძაბული	32	101	23	დასუსტებული
14. ჯანმრთელი	32	101	23	ავადმყოფი
15. უხალისო	32	101	23	ხალისიანი
16. გულგრილი	32	101	23	აღელვებული
17. აღტაცებული	32	101	23	სევდიანი
18. მხიარული	32	101	23	მოწყენილი
19. დასვენებული	32	101	23	დაღლილი
20. ცოცხალი	32	101	23	ძლაგამოლეული
21. მძინარა	32	101	23	აღგზნებული
22.დასვენების სურვილი	32	101	23	მუშაობის სურვილი
23. მშვიდი	32	101	23	შეშფოთებული
24. ოპტიმისტური	32	101	23	პესიმისტური
25. ამტანი	32	101	23	დაძაბუნებული
26. მხნე	32	101	23	უსიცოცხლო
27.ძნელია გააზრება	32	101	23	გაიზრება ადვილია
28. დაფანტული	32	101	23	ყურადღებიანი
29.იმედებით სავსე	32	101	23	იმედგაცრუებული
30. კმაყოფილი	32	101	23	უკმაყოფილო

კითხვარის კოდი

კითხვები გუნება – 1, 2, 7, 8. 13, 14, 19, 20, 25, 26.

კითხვები აქტიურობაზე – 3, 4, 9, 10, 15, 16, 21, 22, 27, 28.

კითხვები განწყობილებაზე – 5, 6, 11, 12, 17, 18, 23, 24, 29, 30.

ტესტ-კითხვარი „განწყობილების შეფასება“

„გაგ“ კითხვარის გამოყენება ხშირად გაძნელებულია მრავალი ადამიანისთვის დამახასიათებელი საკუთარი ფუნქციური მდგომარეობის საკმაოდ ფაქიზი დიფერენცირების ძალით, თუმცა, ტესტ-კითხვარი „განწყობილების შეფასება“ მიმზიდველია, როგორც თავისი სიმოკლით, ასევე კითხვებისა და პასუხების მარტივი ფორმით. ამ კითხვაში შემოთავაზებულია 21 ფრაზა (კითხვა), რომლებზეც გაცემულ უნდა იქნეს პასუხების სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი: „დიახ“, „არა“, „პირიქით“ (საპირისპირო გრძნობა). პასუხების მიხედვით ხდება აზრის შედგენა იმის შესახებ, თუ რა განწყობილება სჭარბობს გამოკვლევის მომენტში — ჩვეულებრივ, ეიფორული ან ნეგატიური (ასთენიკური).

შედეგების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

განწყობილება: 9 ქულა — 20 პასუხი „არა“; 8 ქულა — 19 პასუხი „არა“; 7 ქულა — 18 პასუხი „არა“; 6 ქულა — 16-17 პასუხი „არა“; 5 ქულა — 13-15 პასუხი „არა“, 4 ქულა — 10-12 პასუხი „არა“, 3 ქულა — 8-9 პასუხი „არა“; 2 ქულა — 6-7 პასუხი — „არა“; 1 ქულა — 5 და ნაკლები პასუხი „არა“.

ასთენიკური მდგომარეობა: პასუხები „დიახ“ კითხვებზე 2, 3, 4, 5, 7, 9, 10, 11, 13, 14, 15, 18, 19, 20; პასუხები „პირიქით“ კითხვებზე 1, 6, 8, 12, 16, 17. რაც უფრო ნაკლებია აღნიშნული პასუხები, მით უფრო უკეთესია მდგომარეობა: 9 ქულა — 1-2 პასუხი; 8 ქულა — 3 პასუხი; 7 ქულა — 4 პასუხი; 6 ქულა — 5-6 პასუხი; 5 ქულა — 7-8 პასუხი; 4 ქულა — 9-10 ქულა; 3 ქულა — 11-13 პასუხი; 2 ქულა — 14-15 პასუხი,

ეიფორიის მდგომარეობა: პასუხები „დიახ“ კითხვებზე 1, 6, 8, 12, 16, 17; პასუხები „პირიქით“ კითხვებზე 2, 3, 4, 5, 7, 9, 10, 11, 13, 14, 15, 18, 19, 20. რაც უფრო მეტია აღნიშნული პასუხები, მით უფრო გამოხატულია ეიფორიული მდგომარეობა (მოვლენების არაადექვატურად აღფრთოვანებული შეფასება): 9 ქულა — 6 პასუხი და ნაკლები; 8 ქულა — 7 პასუხი; 7 ქულა — 8-9 პასუხი; 6 ქულა — 10-11 პასუხი; 5 ქულა — 12-13 პასუხი; 4 ქულა — 14-15 პასუხი; 3 ქულა — 16-17 პასუხი; 2 ქულა — 18-19 პასუხი; 1 ქულა — 20 პასუხი და მეტი.

კითხვების ნაკრები

1. თავს განსაკუთრებულად მხნედ ვგრძნობ.
2. მეზობლები (სხვა მოსწავლეები და ა.შ.) ძალიან მომბეზრდა.
3. რაღაც მძიმედ ვგრძნობ თავს.
4. მალე მექნებოდეს სიმშვიდის გრძნობა (მალე დასრულდებოდეს გაკვეთილი, მეცადინეობები, მეოთხედი და ა.შ.).
5. ნეტა, არ შემაწუხებდნენ.
6. ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ მთებსაც კი დავძრავ.
7. ტესტის მიხედვით შეფასება არასასიამოვნოა, იწვევს უკმაყოფილების გრძნობას.
8. გასაოცარი განწყობილებაა: მინდა ცეკვა და სიმღერა, თითოეული იმ ადამიანის კოცნა, ვისაც ვხედავ.
9. ჩემს ირგვლივ ბევრი ხალხია, რომელთაც შეუძლიათ არაკეთილსინდისიერად მოქცევა, ცუდის გაკეთება. ნებისმიერი ადამიანისგან ულირს საქციელს უნდა მოელოდე.
10. ირგვლივ ყველა შენობა, ქუჩებში ყველა ნაგებობა საოცრად შეუფერებლად მიმაჩნია.
11. ყველას, ვისაც ვხედები, შემიძლია, ვეუხეშო.
12. სიხარულით დაედივარ, თითქოს ფეხებსაც ვერ ვგრძნობ.
13. არავის ნახვა არ მინდა, არავისთან საუბარი არ მსურს.
14. ისეთი განწყობილება მაქვს, რომ მინდა ვთქვა: „ჯანდაბამდის წასულხართ!“.
15. მინდა ვთქვა: „ნუ მაწუხებთ, თავი დამანებეთ!“.
16. ყველა ადამიანი საკმაოდ კეთილსასურველად, კარგად მეჩვენება, ყველა მესიმპათიურება გამონაკლისის გარეშე.
17. ვერავითარ სირთულეებს ვერ ვხედავ. ყველაფერი ადვილია! ყველაფერი მისაწვდომია!
18. ჩემი მომავალი ძალიან სევდიანად წარმომიდგენია.
19. უარესიც ხდება, მაგრამ იშვიათად.
20. არ ვენდობი ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც.
21. ავტომანქანები ქუჩაში მკვეთრად იძლევიან სიგნალს, მაგრამ სამაგიეროდ ეს ხმები აღიქმება, როგორც სასიამოვნო მუსიკა.

მეთოდიკა „ემოციონალური მდგომარეობების თვითშეფასება“

ემოციონალური მდგომარეობების თვითშეფასებისთვის საკმაოდ მარტივ კითხვარს წარმოადგენს მეთოდიკა, რომელიც შემუშავებულია ამერიკელი ფსიქოლოგების ა. უესმანისა და დ. რიკსის მიერ (მოცემულ შემთხვევაში მოყვანილია მისი შეკვეცილი ვარიანტი).

ამ მეთოდიკაში გაზომვა ხდება 10 ქულიანი (კედლის) სისტემით. ცდის პირს ეძლევა **ინსტრუქცია:** „დასკვნების თითოეულ ნაკრებში აირჩიეთ ის, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს თქვენს მდგომარეობას ახლა. თითოეული ნაკრებიდან არჩეული

დასკვნის ნომერი ჩაწერეთ შესაბამის სტრიქონში პასუხებისთვის".

ინსტრუქცია შემდეგი მაჩვენებლები:

$მ_1$ (მაჩვენებელი) – თ (თვითშეფასება) „სიმშვიდე-შფოთვა (ინდივიდუალური თვითშეფასება – $ი_1$ – უდრის ცდის პირის მიერ მოცემული სკალიდან არჩეული დასკვნის ნომერს. ანალოგიურად მიიღება ინდივიდუალური მნიშვნელობები $მ_2$, $მ_3$, $მ_4$ მაჩვენებლების მიხედვით);

$მ_2$ – თ „ენერგიულობა – დაღლილობა";

$მ_3$ – თ „ამაღლებული განწყობილება – დათრგუნული განწყობილება";

$მ_4$ – თ „საკუთარი თავის რწმენა-უძლურების გრძნობა";

$მ_5$ – თ ჯამური 9, მდგომარეობის შეფასება ოთხი სკალის მიხედვით:

$ი_5 = ი_1 + ი_2 + ი_3 + ი_4$, სადაც $ი_1$, $ი_2$, $ი_3$, $ი_4$ – ინდივიდუალური მნიშვნელობებია შესაბამისი სკალების მიხედვით.

დასკვნების სია ყველა სკალის მიხედვით „სიმშვიდე – შფოთვა"

10. სრული და სრულფოფილი სიმშვიდე. მტკიცედ ვარ დარწმუნებული საკუთარ თავში.
9. განსაკუთრებულად გულცივი, საოცრად დარწმუნებული ვარ საკუთარ თაუში და არ ეღელავ.
8. სრული კეთილდღეობის შეგრძნება, დარწმუნებული ვარ და თავს ძალდაუტანებლად ვგრძნობ.
7. მთლიანობაში დარწმუნებული და თავისუფალი ვარ შფოთვისგან.
6. არაფერი განსაკუთრებულად არ მაღელვებს. თავს მეტ-ნაკლებად ძალდაუტანებლად ვთვლი.
5. რამდენადმე შეშფოთებული ვარ, თავს შებოჭილად, გარკვეულად აღელვებულად ვგრძნობ.
4. განვიცდი გარკვეულ შეშფოთებას, შიშს, აღელვებას ან გაურკვევლობას, ნერვიული, აღელვებული, გაღიზიანებული ვარ.
3. მნიშვნელოვანი დაურწმუნებლობა. საკმაოდ ტრავმირებული ვარ გაურკვევლობით. მეშინია.
2. უდიდესი შფოთვა, ღელვა, შიშით მოცული ვარ.
1. შიშისგან სრულიად შევიშალე. გონება დაკარგე. შეშინებული ვარ გადაუჭრელი სირთულეებით.

„ენერგიულობა – დაღლილობა"

10. აწყვეტა, რამაც არ იცის დაბრკოლება. ცხოვრებისეული ძალა კიდიდან ხტება.
9. უკიდურესი ცხოვრებისეული ძალა, უდიდესი ენერგია, ძლიერი სწრაფვა მოქმედებისკენ.
8. დიდი ენერგია, მოქმედების ძლიერი მოთხოვნილება.
7. თავს ძალიან მხნედ ვგრძნობ, მნიშვნელოვანი ენერგია მაქვს მარაგში.
6. თავს საკმაოდ მხნედ ვგრძნობ.
5. ოდნავ დავიღალე. სიზარმაცე. ენერგია არ მყოფნის.
4. საკმაოდ დაღლილი ვარ. აპათიური (მიძინებული). მცირე ენერგია მაქვს მარაგში.
3. დიდი დაღლილობა. უსიცოცხლო. ენერგიის მწირი რესურსები.
2. საშინლად დაღლილი ვარ. თითქმის ღონეგამოცლილი და პრაქტიკულად არ შემიძლია მოქმედება. თითქმის არ დამრჩა ენერგიის მარაგი.
1. აბსოლუტურად გამოვიფიტე. არ შემიძლია უმნიშვნელო ძალისხმევის მოკრებაც კი.

„ამაღლებული განწყობილება – დათრგუნული განწყობილება"

10. ძლიერი ამაღლებული განწყობა, აღფრთოვანებული მხიარულება.
9. ძალიან აგზნებული ვარ და ამაღლებული განწყობილება მაქვს. აღტაცებული ვარ.
8. აგზნებული ვარ, აღფრთოვანებული.
7. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. სიცოცხლისუნარიანი ვარ.
6. თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ, წესრიგში ვარ.
5. ოდნავ დათრგუნულად ვგრძნობ თავს.
4. განწყობილება დათრგუნული და რამდენადმე ნაღელიანია.
3. დათრგუნული და ძალიან დანაღელიანებული ვარ. განწყობილება გარკვეულად ნაღელიანია.
2. ძალიან დათრგუნული ვარ. თავს უბრალოდ საშინლად ვგრძნობ.
1. უკიდურესი დეპრესია და იმედგაცრუება. დათრგუნული ვარ. ყველაფერი შავია და რუხი.

„საკუთარი თავის რწმენა – უძლურების გრძნობა"

10. ჩემთვის არაფერი არაა შეუძლებელი. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მოვისურვებ.
9. საკუთარი თავის მეტი რწმენა მაქვს. დარწმუნებული ვარ საკუთარ მოქმედებებში.
8. ძალიან ვარ დარწმუნებული საკუთარ უნარებში.
7. ვგრძნობ, რომ ჩემი შესაძლებლობები საკმარისია და ჩემი პერსპექტივები კარგია.

6. თავს საკმაოდ კომპეტენტურად ვგრძნობ.
5. ვგრძნობ, რომ ჩემი შესაძლებლობები და უნარები რამდენადმე შეზღუდულია.
4. თავს საკმაოდ უუნაროდ ვგრძნობ.
3. დათრგუნული ვარ საკუთარი სისუსტითა და შესაძლებლობების ნაკლებობით.
2. თავს უმწეოდ და უბედურად ვგრძნობ. დავიღალე საკუთარი არაკომპეტენტურობისგან.
1. მაქვს სისუსტისა და ფუჭი ძალისხმევის დამთრგუნველი გრძნობა. არაფერი არ გამოდის.

ლუშერის ტესტი

კარგადაა ცნობილი, რომ ფერის ზემოქმედებამ ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს, როგორც ფიზიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური ეფექტი. ეს გარემოება დიდი ხანია გათვალისწინებულია ხელოვნებაში, ესთეტიკაში, წარმოების ჰიგიენაში. რამდენადაც, ფერის მიმართ ემოციური დამოკიდებულება შეიძლება დახასიათდეს ან მისი უპირატესობით (არჩევით) ან უგულებელყოფით ან მასზე უარის თქმით (ნეგატიური შეფასებით), ის გათვალისწინებულია ფსიქოდიაგნოსტიკაშიც.

ლუშერის ტესტი ეფუძნება იმის ვარაუდს, რომ ფერის შერჩევა ასახავს ხშირად ცდის პირის მიმართულობას გარკვეულ საქმიანობაზე, განწყობილებას, ფუნქციურ მდგომარეობას და პიროვნების ყველაზე მყარ თვისებებს.

უცხოელი ფსიქოლოგები ზოგჯერ ლუშერის ტესტს იყენებენ პროფორიენტაციის მიზნით კადრების შერჩევისას, საწარმოო კოლექტივების დაკომპლექტებისას, ეთნიკურ, გერონტოლოგიურ კვლევებში, ქორწინების პარტნიორთა არჩევის რეკომენდაციების დროს. ფერთა მნიშვნელობები მათ ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციაში განისაზღვრებოდა სხვადასხვა ცდის პირების მრავალრიცხოვანი კონტიგენტის მრავალმხრივი გამოკვლევის დროს.

ფერთა დახასიათება (ლუშერის მიხედვით) მოიცავს 4 ძირითად და 4 დამატებით ფერს.

ძირითადი ფერები

1) **ლურჯი** ახდენს სიმშვიდის, კმაყოფილების სიმბოლიზირებას;

2) **მოლურჯო-მომწვანო** — საკუთარი თავის რწმენის გრძნობა, შეუპოვრობა, ზოგჯერ სიჯიუტეც;

გ) **ნარინჯისფერ-მოწითალო** — ნებელობითი ძალისხმევის ძალა, აგრესიულობა, შეტევითი ტენდენციები, აგზნება;

დ) **ღია ყვითელი** — აქტიურობა, სწრაფვა ურთიერთობისკენ, ექსპანსიურობა, მხიარულება.

ოპტიმალურ მდგომარეობაში კონფლიქტის არაარსებობისას ძირითადი ფერები უპირატესად უნდა იკავებდნენ პირველ 5 პოზიციას.

დამატებითი ფერები

5) იისფერი;
6) ყავისფერი;
7) შავი;
8) ნულოვანი.

ნულოვანი ახდენს ნეგატიური ტენდენციების სიმბოლიზირებას, როგორიცაა შფოთვა, სტრესი, შიშის განცდა, იმედგაცრუება. ამ ფერების (როგორც ძირითადის) მნიშვნელობა უმეტესად განისაზღვრება მათი ურთიერთგანლაგებით, პოზიციებზე განაწილებით, რაც ნაჩვენები იქნება ქვემოთ.

ინსტრუქცია (ფსიქოლოგისთვის)

აურიეთ ფერადი ბარათები და დადეთ ფერადი ზედაპირით ზემოდან. თხოვეთ ცდის პირს 8 ფერიდან აირჩიოს ის, რომელიც მას ყველაზე მეტად მოსწონს. ამასთან, საჭიროა იმის განმარტება, რომ მან უნდა აირჩიოს ფერი, როგორც ასეთი და არ ეცადოს მის მიკუთვნებას ნებისმიერ ფერთან ტანსაცმელში, თვალის ფერით და ა.შ. ცდის პირმა უნდა გამოყოს ყველაზე სასურველი ფერი 8 ფერიდან. ბარათი არჩეული ფერით უნდა გადაიდოს გვერდზე, მოხდება რა მისი ფერით ქვემოთ დადება. თხოვეთ ცდის პირს დარჩენილი 7 ფერიდან აირჩიოს ყველაზე სასიამოვნო. არჩეული ბარათიც უნდა იქნეს გადაბრუნებული ფერით ქვემოთ და მოთავსდეს პირველისგან მარჯვნივ. გაიმეორეთ პროცედურა. გადაიწერეთ ბარათების ნომრები განლაგებული წესით.

2-3 წუთის შემდეგ კვლავ გადმოაბრუნეთ ბარათები ფერადი მხრით ზემოთ და გაიმეორეთ იგივე პროცედურა. ამასთან, განმარტეთ, რომ ცდის პირმა არ უნდა გაიხსენოს განლაგების წესი პირველი შერჩევისას და შეგნებულად შეცვალოს წინამორბედი წესი. მან უნდა აირჩიოს ფერები, თითქოს მათ პირველად ირჩევს.

პირველი არჩევა ახასიათებს სასურველ მდგომარეობას, მეორე — ნამდვილს.

კვლევის მიზნის მიხედვით შესაძლებელია შესაბამისი ტესტირების შედეგების ინტერპრეტაცია.

ტესტირების შედეგად ვიღებთ 8 პოზიციას:

1 და მე-2 — აშკარა უპირატესობა (აღინიშნება + +);

მე-3 და მე-4 — უპირატესობა (აღინიშნება * *);

მე-5 და მე-6 — ფერისადმი გულგრილობა (აღინიშნება = =);

მე-7 და მე-8 — ფერისადმი ანტიპათია (აღინიშნება — —).

კვლევების 36 000 მეტი შედეგის ანალიზის საფუძველზე მ. ლუშერმა მოგვცა არჩეული პოზიციების მიახლოებითი დახასიათება:

1 — პოზიცია ასახავს მიზნის მიღწევის საშუალებებს (მაგალითად, ლურჯი ფერის არჩევა მეტყველებს მშვიდად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე მოქმედების განზრახვაზე);

მე-2 პოზიცია გვიჩვენებს მიზანს, რომლისკენაც მიისწრაფვის ცდის პირი;

მე-3 და მე-4 პოზიციები ახასიათებენ ფერისადმი უპირატესობას და ასახავს ცდის პირის მიერ ნაძდეილი სიტუაციის შეგრძნებას, რომელშიც ის იმყოფება ან მოქმედებების სახეს, რომელსაც მას სიტუაცია კარნახობს.

მე-5 და მე-6 პოზიციები ახასიათებენ ფერისადმი გულგრილობას, მისადმი ნეიტრალურ დამოკიდებულებას. ისინი თითქოსდა მოწმობენ იმას, რომ ცდის პირი თავის მდგომარეობას, განწყობილებას, მოტივებს არ უკავშირებს მოცემულ ფერებს. თუმცა, გარკვეულ სიტუაციაში ეს პოზიცია შეიძლება შეიცავდეს ფერის გაშლილ განმარტებას, მაგალითად, ლურჯი ფერი (სიმშვიდის ფერი) გადაიდება დროებით, როგორც შესაბამისი მოცემულ სიტუაციაში;

მე-7 და მე-8 პოზიციები ახასიათებენ ფერისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას, სწრაფვას დაითრგუნოს რაიმე მოთხოვნილება, მოტივი, განწყობილება, რაც აისახება მოცემული ფერით.

არსებული ფერების ჩანაწერი ხორციელდება ნომრების ჩამოთვლით უპირატესობის წესით, პოზიციების მითითებით. მაგალითად, წითელი, ყვითელი, ლურჯი, რუხი, მწვანე, იისფერი, ყავისფერი და შავი ფერის არჩევისას იწერება:

\+ + * * = = — —;

3 4 1 0 2 5 6 7.

ზონები (+ +, * *, = =, — —) წარმოქმნიან 4 ფუნქციურ ჯგუფს.

ტესტირების შედეგების ინტერპრეტაცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, არჩევის შედეგების განმარტების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს ძირითადი ფერების მდებარეობის შეფასება. თუ მათ უკავიათ მე-5 შემდგომი პოზიცია, მათ მიერ დახასიათებული თვისებები, მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არაა, მაშასადამე, ადგილი აქვს შფოთვას, ნეგატიურ მდგომარეობას.

განიხილება ძირითადი ფერების ურთიერთმდებარეობა. როცა, მაგალითად, 1 და მე-2 **(ლურჯი და მწვანე)** გეერდიგეერდაა განლაგებული, ფუნქციური ჯგუფის წარმოქმნით ხაზგასმულია მათი საერთო შტრიხი — სუბიექტური მიმართულება შიგნით. მე-2 და მე-3 ფერების **(მწვანე და წითელი ფერის)** ერთობლივი მდებარეობა მიუთითებს ავტონომიურობაზე, დამოუკიდებლობაზე გადაწყვეტილებების მიღებაში, ინიციატივიანობას. მე-3 და მე-4 **(წითელი და ყვითელი)** ფერების შეხამება ხაზს უსვამს გარეთ მიმართულობას. 1 და მე-4 **(ლურჯი და ყვითელი)** ფერების შეხამება ერთ ფუნქციურ ჯგუფში ხაზს უსვამს დამოკიდებულების ხელსაყრელ ბალანსს გარემოსა და სუბიექტურ მიმართულობაზე **(ლურჯი ფერი)** და ავტონომიურობაზე, გარეთ მიმართულობაზე **(წითელი ფერი). მწვანე და ყვითელი** (2 და 4) ფერების შეხამება განიხილება, როგორც შიგნით სუბიექტური სწრაფვის, ავტონომიურობის, გარეთკენ სწრაფვის შეუპოვრობის, გარემოზე დამოკიდებულების დაპირისპირება.

მ. ლუშერის აზრით, ძირითადი ფერები ახდენენ შემდეგი ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების სიმბოლიზირებას:

1 (ლურჯი) — დაკმაყოფილების, სიმშვიდის, მყარი დადებითი მიჯაჭვულობის მოთხოვნილება;

2 (მწვანე) — თვითდამკვიდრების მოთხოვნილება;

3 (წითელი) — აქტიური მოქმედებისა და წარმატების მიღწევის მოთხოვნილება;

4 (ყვითელი) — პერსპექტივის, უკეთესის იმედის, ოცნებების მოთხოვნილება.

თუ ძირითადი ფერები 1-5 პოზიციებშია, ითვლება, რომ ეს მოთხოვნილებები უმეტესწილად დაკმაყოფილდება და აღქმული ხდება, როგორც დაკმაყოფილებული; თუ ისინი 6-8 პოზიციებშია ადგილი აქვს გარკვეულ კონფლიქტს, შფოთვას, დაუკმაყოფილებლობას არახელსაყრელი გარემოებების გამო. უარყოფილი ფერი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სტრესის წყარო. მაგალითად, უარყოფილი ლურჯი ფერი ნიშნავს დაუკმაყოფილებლობას, სიმშვიდის, მიჯაჭვულობის უქონლობას.

შრომისუნარიანობის შეფასებების შესაძლებლობას ფერთა არჩევის ანალიზის დროს მ. ლუშერი ითვალისწინებდა შემდეგი გზავნილებიდან გამომდინარე.

მწვანე ფერი ახასიათებს ნებელობითი გამოვლინებების მოქნილობას მოქმედების რთულ პირობებში, რითიც ხდება შრომისუნარიანობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

წითელი ფერი ახასიათებს ნებისყოფას და კმაყოფილების გრძნობას მიზნის მიღწევისკენ სწრაფვით, რაც ასევე ხელს უწყობს შრომისუნარიანობის შენარჩუნებას.

ყვითელი ფერი ასახავს წარმატების იმედს, სპონტანურ კმაყოფილებას საქმიანობაში მონაწილეობისგან (ზოგჯერ მისი დეტალების მკაფიო გაცნობიერების გარეშე), ორიენტაციას შემდგომ მუშაობაზე.

თუ ყველა ეს 3 ფერი რიგის დასაწყისშია და ყველა ერთადაა, უფრო საალბათოა ნაყოფიერი საქმიანობა, უფრო მაღალი შრომისუნარიანობა. თუ ისინი რიგის მეორე ნახევარში იმყოფებიან და ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან, პროგნოზი ნაკლებად ხელსაყრელია.

შფოთვის მაჩვენებლები

თუ ძირითადი ფერი მე-6 ადგილზეა, ის აღინიშნება – ნიშნით და ყველა დანარჩენი, რაც მის შემდეგაა (მე-7 და 8 პოზიციები) აღინიშნება ამავე ნიშნით. ისინი უნდა განეიხილოთ, როგორც უარყოფილი ნიშნები, როგორც შფოთვის, ნეგატიური მდგომარეობის მიზეზი.

ლუშერის ტესტში ასეთი შემთხვევები დამატებით აღინიშნება A ასოთი ფერის ნიშნის ზემოთ და „–“ ნიშნით, მაგალითად:

A	A	A
–	–	–
0	1	6

კომპენსაციის მაჩვენებლები

სტრესის, შფოთვის წყაროს არსებობისას, რომელიც გამოიხატება რომელიმე ძირითადი ფერით, რაც განლაგებულია **მე-6 და მე-8 პოზიციაზე**, ფერი რომელიც თავსდება 1 პოზიციაზე, განიხილება, როგორც კომპენსაციის მაჩვენებელი (მაკომპენსირებელი მოტივი, განწყობილება, ქცევა). ამ შემთხვევაში 1 ადგილას მყოფი ციფრის ზემოთ იწერება C ასო. მეტ-ნაკლებად ნორმალურ მოვლენად ითვლება, როცა კომპენსაცია გადის ერთი ძირითადი ფერის ხარჯზე. ამავე დროს, თავად სტრესისა და კომპენსაციის მაჩვენებლის არსებობის ფაქტი ყოველთვის მოწმობს მდგომარეობის არასაკმარის ოპტიმალურობას.

იმავე შემთხვევაში, როცა კომპენსაცია ხდება დამატებითი ფერების ხარჯზე, ტესტის შედეგები განიმარტება, როგორც ნეგატიური მდგომარეობის, ნეგატიური მოტივების, გარშემო სიტუაციისადმი ნეგატიური დამოკიდებულების შედეგები.

შფოთვის ინტენსიობის მაჩვენებლები ხასიათდება პოზიციით, რომელიც უკავიათ ძირითად ფერებს. თუ ძირითადი ფერი იკავებს მე-6 ადგილს, შფოთვის გამომწვევი ფაქტორი ითვლება შედარებით სუსტად (ეს აღინიშნება ერთი ძახილის ნიშანით); თუ ფერი მე-7 პოზიციას იკავებს ისმება ორი ძახილის ნიშანი (!!); თუ ძირითადი ფერი მე-8 პოზიციაზეა, ისმება სამი ნიშანი (!!!). ამგვარად, შეიძლება დასმულ იქნეს 6-მდე ნიშანი, რომლებიც ახასიათებენ სტრესის, შფოთვის წყაროებს.

!	!!	!!!
–	–	–
A	A	A
–	–	–
4	2	1

ამგვარად, ფასდება არახელსაყრელი კომპენსაციის შემთხვევები. თუ კომპენსაციას ემსახურება რომელიმე ძირითადი ფერი ან იისფერი, არ ხდება არანაირი ნიშნის დასმა. თუ რუხს, ყავისფერს ან შავ ფერს უკავია მე-3 პოზიცია, ხდება 1 ძახილის ნიშნის დასმა, თუ მე-2 პოზიცია, ისმება 2 ნიშანი (!!), თუ 1 პოზიცია, ხდება 3 ნიშნის (!!!) დასმა. ამგვარად, ის შეიძლება იყოს 6, მაგალითად:

!!!	!!	!
C	C	C
+	+	+
6	0	7

ითვლება, რომ რაც უფრო მეტია „!“ ნიშანი, მით უფრო არახელსაყრელია პროგნოზი.

ტესტირების მიღებული შედეგების გათვალისწინებით მიზანშეწონილია ფსიქიკური მდგომარეობების რეგულაციისა და თვითრეგულაციის ღონისძიებების, აუტოგენური ვარჯიშის ორგანიზება. განმეორებითმა ტესტირებამ ასეთი ღონისძიებების შემდეგ (სხვა მეთოდიკებთან ერთად) შეიძლება მოგვცეს ინფორმაცია შფოთვის, დაძაბულობის შემცირების შესახებ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ტესტირების შედეგებს ინტერპრეტაციისას გააჩნია ფერის შეფასებას, ბოლო, **მე-8 პოზიციაზე** (ან მე-4 ფუნქცი-

ურ ჯგუფში ორი ფერის არსებობისას ნიშნით „–“. თუ ფერები ამ პოზიციაში აღნიშნულია ძახილის ნიშნებით, მაშასადამე, დიდია ცდის პირში შფოთვის მდგომარეობის განვითარების ალბათობა.

ყურადღება მიაქციეთ **1 და მე-8 პოზიციების** თანაფარდობას, აღგილი აქვს თუ არა კომპენსაციას, აგებული ხომ არაა ის ნორმალური სქემით.

ასევე შეიძლება გაანალიზებულ იქნეს ფერების დამოკიდებულება **მე-2 და მე-3 პოზიციებში** (სასურველი მიზანი და ფაქტიური სიტუაცია). ხომ არაა მათ შორის კონფლიქტი? მაგალითად, წითელი ფერი **მე-2 და რუხი ფერი მე-3** პოზიციაში ახდენს კონფლიქტის სიმბოლიზირებას, მიზანს, მოტივებსა და თავისი რეალური მდგომარეობის თვითშეფასებას შორის.

ლუშერის ტესტის შედეგების გაანალიზებისა და ინტერპრეტაციისას მიღებული ფსიქოდიაგნოსტიკური ინფორმაცია უნდა შევადაროთ ანკეტირების, დაკვირვების, საუბრების, ცდის პირთა შესახებ დოკუმენტების შესწავლის მასალებს. პიროვნების მხოლოდ ასეთი მრავალმხრივი შესწავლისას შეიძლება რაიმე სერიოზული დასკვნის გაკეთება პიროვნების თვისებების, მისი ფსიქოლოგიური თავისებურებების შესახებ.

იგივე უნდა ითქვას ტესტის შედეგების გამოყენების პერსპექტივების შესახებ მდგომარეობის, კერძოდ კი, ემოციური მდგომარეობის, დაძაბულობის, შფოთვის შესაფასებლად.

თუმცა, ფერთა ტესტის მაჩვენებლებისა **(6,7,0 ფერების არჩევა 1 პოზიციაში)** და ანკეტირებისა და დაკვირვების მონაცემების დამთხვევა საშუალებას იძლევა მეტი დამაჯერებლობით ვისაუბროთ ცდის პირებში სხვადასხვა ნეგატიური მდგომარეობების განვითარების შესახებ.

ლუშერის მიხედვით ფერთა წყვილების ინტერპრეტაცია

„ + + „ პოზიცია

პირველი ფერია ლურჯი

+1 +2 (ლურჯი და მწვანე) – კმაყოფილების, სიმშვიდის გრძნობა, სწრაფვა მშვიდი ვითარებისკენ, კონფლიქტში, სტრესში არმონაწილეობის სურვილი.

+1 +3 (ლურჯი და წითელი) – მთლიანობის გრძნობა, აქტიური და არა ყოველთვის გაცნობიერებული სწრაფვა მჭიდრო დამოკიდებულებებისადმი. სხვების მხრიდან ყურადღების მოთხოვნილება.

+1 +5 (ლურჯი და იისფერი) – მცირე ღელვა, დახვეწილი გარემოცვის მოთხოვნილება, ესთეტიკურისკენ სწრაფვა.

+1 +6 (ლურჯი და ყავისფერი) – ღელვის გრძნობა, მარტოობის შიში, სწრაფვა კონფლიქტისგან, სტრესისგან თავის არიდებისა.

+1 +7 (ლურჯი და შავი) – ნეგატიური მდგომარეობა, სწრაფვა სიმშვიდისკენ, დასვენებისკენ, ასევე მისადმი დამოკიდებულებით უკმაყოფილება, სიტუაციისადმი ნეგატიური დამოკიდებულება.

+1 +0 (ლურჯი და რუხი) – ნეგატიური მდგომარეობა, სტრესისგან განთავისუფლების მოთხოვნილება, სწრაფვა სიმშვიდისკენ, დასვენებისკენ.

პირველი ფერია მწვანე

+2 +1 (მწვანე და ლურჯი) – პოზიტიური მდგომარეობა, სწრაფვა აღიარებისკენ, მოქმედებისკენ, რაც უზრუნველყოფს წარმატებას.

+2 +3 (მწვანე და წითელი) – აქტიური სწრაფვა წარმატებისკენ, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებისკენ, საქმიანობაში დაბრკოლებების დაძლევისკენ.

+2 +4 (მწვანე და ყვითელი) – მცირე ღელვა, სწრაფვა აღიარებისკენ, პოპულარობისკენ, შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი.

+2 +5 (მწვანე და იისფერი) – მცირე ღელვა, სწრაფვა აღიარებისკენ, პოპულარობისკენ, სუპერშთაბეჭდილებების სურვილი, მომატებული ყურადღება გარშემომყოფების რეაქციებზე მის ქცევებთან დაკავშირებით.

+2 +6 (მწვანე და ყავისფერი) – დაუკმაყოფილებლობის, დაღლილობის გრძნობა, გარშემომყოფთა მხრიდან საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების მნიშვნელობის გადაფასება.

+2 +7 (მწვანე და შავი) – წყენის, ბოროტების გრძნობა, სწრაფვა შეცოდების, ავტორიტარულობის მიმართ დამოკიდებულებებში.

+2 +0 (მწვანე და რუხი) – დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, სწრაფვა აღიარებისკენ, შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი.

პირველი ფერია წითელი

+3 +1 (წითელი და ლურჯი) – საქმიანი შემართება, აქტიური სწრაფვა საქმიანობისკენ, შთაბეჭდილებებისკენ, სიამოვნებებისკენ.

+3 +2 (წითელი და მწვანე) – საქმიანი შემართება, აქტიური სწრაფვა მიზნისკენ, ყველა სირთულის დაძლევა, სწრაფვა საკუთარი საქმიანობის მაღალი შეფასებისადმი.

+3 +4 (წითელი და ყვითელი) – საქმიანი,

ოდნავ მომატებული შემართება, ოპტიმიზმი, კონტაქტებისადმი სწრაფვა, საქმიანობის სფეროს გაფართოება.

+3 +5 (წითელი და იისფერი) — მომატებული აგზნება, არა ყოველთვის ადექვატური გატაცება, შთაბეჭდილების მოხდენის სწრაფვა.

+3 +6 (წითელი და ყავისფერი) — ნეგატიური განწყობილება, მწუხარება წარუმატებლობის გამო, ხელსაყრელი სიტუაციის დაკარგვის სურვილის არქონა.

+3 +7 (წითელი და შავი) — ნეგატიური განწყობილება, ბოროტება, სწრაფვა არახელსაყრელი სიტუაციისთვის თავის არიდებისა.

+3 +0 (წითელი და რუხი) — დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, მიმართულება სარისკო მოქმედებაზე.

პირველი ფერია ყვითელი

+4 +1 (ყვითელი და ლურჯი) — განწყობილება ზოგადად დადებითია, სწრაფვა პოზიტიური ემოციური მდგომარეობისკენ, ამტანობისკენ.

+4 +2 (ყვითელი და მწვანე) — განწყობილება ზოგადად დადებითია, არსებული ამოცანების გადაწყვეტის მართებული გზების ძიების სურვილი, სწრაფვა თვითდამკვიდრებისკენ.

+4 +3 (ყვითელი და წითელი) — რამდენადმე მომატებული საქმიანი შემართება, სწრაფვა ფართო აქტიურობისადმი.

+4 +5 (ყვითელი და იისფერი) — მცირე ეიფორია, სწრაფვა მკაფიო მოელენების მიმართ, შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი.

+4 +6 (ყვითელი და ყავისფერი) — ნეგატიური განწყობილება, წუხილი და ემოციური დასვენების მოთხოვნილება.

+4 +7 (ყვითელი და შავი) — საკმაოდ ნეგატიური განწყობილება, ნებისმიერი პრობლემისთვის თავის არიდების სწრაფვა, მიდრეკილება აუცილებელი, ნაკლებად ადექვატური გადაწყვეტილებების მიმართ.

+4 +0 (ყვითელი და რუხი) — ნეგატიური დათრგუნული მდგომარეობა, უსიამოვნო სიტუაციიდან გამოსვლის სწრაფვა, ბუნდოვანი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს.

პირველი ფერია იისფერი

+5 +1 (იისფერი და ლურჯი) — გაურკვეველი განწყობილება, სწრაფვა თანხმობისა და ჰარმონიისკენ.

+5 +2 (იისფერი და მწვანე) — სიფრთხილე, შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი.

+5 +3 (იისფერი და წითელი) — გარკვეული აგზნება, გატაცება, აქტიური სწრაფვა შთაბეჭდილების მოხდენისკენ.

+5 +4 (იისფერი და ყვითელი) — აგზნება, ფანტაზირება, სწრაფვა მკაფიო მოვლენების მიმართ.

+5 +6 (იისფერი და ყავისფერი) — აგზნება, მიმართულია ძლიერ ემოციურ განცდებზე.

+5 +7 (იისფერი და შავი) — ნეგატიური მდგომარეობა.

+5 +0 (იისფერი და რუხი) — დაძაბულობა, სწრაფვა გამიჯნოს საკუთარი თავი კონფლიქტებისგან, სტრესისგან.

პირველი ფერის ყავისფერი

+6 +1 (ყავისფერი და ლურჯი) — დაძაბულობა, მარტოობის შიში, არახელსაყრელი სიტუაციიდან დაღწევის სურვილი.

+6 +2 (ყავისფერი და მწვანე) — ღელვის გრძნობა, სწრაფვა საკუთარ თავზე მკაცრი კონტროლისკენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები.

+6 +3 (ყავისფერი და წითელი) — აქტიური სწრაფვა ემოციური განტვირთვისკენ.

+6 +4 (ყავისფერი და ყვითელი) — დადებითი პერსპექტივების რწმენის დაკარგვა, დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების ალბათობა („ჩემთვის სულერთია").

+6 +5 (ყავისფერი და იისფერი) — დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, სწრაფვა კომფორტისკენ.

+6 +7 (ყავისფერი და შავი) — ნეგატიური მდგომარეობა, იმედგაცრუება, სწრაფვა სიმშვიდისკენ, აქტიურობისგან წასვლის სურვილი.

+6 +0 (ყავისფერი და რუხი) — საკმაოდ ნეგატიური მდგომარეობა, რთული პრობლემებისგან თავის დაღწევისკენ სწრაფვა და არა მათთან ბრძოლა.

პირველი ფერია შავი

+7 +1 (შავი და ლურჯი) — საკმაოდ ნეგატიური მდგომარეობა, პრობლემებისგან თავის დაღწევისკენ სწრაფვა („თავს დამანებებდნენ ნეტავი").

+7 +2 (შავი და მწვანე) — აგზნება, მრისხანე დამოკიდებულება გარშემომყოფების მიმართ, არა ყოველთვის ადექვატური სიჯიუტე.

+7 +3 (შავი და წითელი) — ძლიერი აგზნება, შესაძლებელია აფექტური ქცევები.

+7 +4 (შავი და ყვითელი) — საკმაოდ ნეგატიური მდგომარეობა, სასოწარკვეთილება, სუიციდური აზრები.

+7 +5 (შავი და იისფერი) – დაძაბულობა, ოცნებები ჰარმონიაზე.

+7 +6 (შავი და ყავისფერი) – აგზნება, არარეალური ამოცანების დაყენება, მშფოთვარე აზრების მოშორების, არახელსაყრელი სიტუაციების არიდების სურვილი.

+7 +0 (შავი და რუხი) – უიმედობის გრძნობა, ყველაფრისთვის შეწინაღმდეგების სურვილი, არაადექვატურობა.

პირველი ფერია რუხი

+0 +1 (რუხი და ლურჯი) – ნეგატიური მდგომარეობა, მშვიდი სიტუაციის სურვილი.

+0 +2 (რუხი და მწვანე) – ნეგატიური მდგომარეობა, გარშემომყოფთა მხრიდან მტრობის შეგრძნება და გარემოსგან გამიჯვნის სურვილი.

+0 +3 (რუხი და წითელი) – ნეგატიური მდგომარეობა, მაღალი მოთხოვნები გარშემომყოფთა მიმართ, არა ყოველთვის ადექვატური აქტიურობა.

+0 +4 (რუხი და ყვითელი) – ნეგატიური მდგომარეობა, პრობლემებისგან დაღწევის სურვილი და არა მათი გადაჭრა.

+0 +5 (რუხი და იისფერი) – ღელვის გრძნობა, სიფრთხილის გრძნობა, ამ გრძნობის დაფარვის სურვილი.

+0 +6 (რუხი და ყავისფერი) – საკმაოდ ნეგატიური მდგომარეობა, ყოველივე რთულისგან, ძნელისგან, ამაღელვებლისგან თავის დაღწევის სურვილი.

+0 +7 (რუხი და შავი) – საკმაოდ ნეგატიური მდგომარეობა, წყენა, დათრგუნულობის გრძნობა, არაადექვატური გადაწყვეტილებების ალბათობა.

„ – „ პოზიციები

პირველი ფერია რუხი

–0 –1 (რუხი და ლურჯი) – დაუკმაყოფილებლობის , ემოციური დაძაბულობის გრძნობა.

–0 –2 (რუხი და მწვანე) – ემოციური დაძაბულობა, არახელსაყრელი სიტუაციიდან დაღწევის სურვილი.

–0 –3 (რუხი და წითელი) – გაღიზიანება, უძლურების გრძნობა.

–0 –4 (რუხი და ყვითელი) – შფოთვა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა.

–0 –5 (რუხი და იისფერი) – მცირე კონტროლირებადი აგზნება.

–0 –6 (რუხი და ყავისფერი) – შფოთვა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, მაგრამ ამასთან, მაღალი მომთხოვნელობა, საკუთარი პიროვნების აღიარების მიღწევის სურვილი.

–0 –7 (რუხი და შავი) – საკუთარი პიროვნების რაიმე სახით შეზღუდვის უარყოფა, აქტიური სწრაფვა საქმიანობისკენ.

პირველი ფერია ლურჯი

–1 –2 (ლურჯი და მწვანე) – ძლიერი დაძაბულობა, სწრაფვა ნეგატიური სტრესული მდგომარეობისგან განთავისუფლებისკენ.

–1 –3 (ლურჯი და წითელი) – ძლიერი დაძაბულობა, უძლურების გრძნობა, ემოციური მდგომარეობიდან გამოსვლის სურვილი.

–1 –4 (ლურჯი და ყვითელი) – სტრესთან მიახლოებული მდგომარეობა, ემოციური, ნეგატიური განცდები, უძლურების გრძნობა.

–1 –5 (ლურჯი და იისფერი) – სტრესთან მიახლოებული მდგომარეობა, ურთიერთდამოკიდებულებების სირთულე.

–1 –6 (ლურჯი და ყავისფერი) – ემოციური დაუმაყოფილებლობა, თვითშეზღუდვა, მხარდაჭერის ძიება.

–1 –7 (ლურჯი და შავი) – სტრესთან მიახლოებული მდგომარეობა, ემოციური დაუმაყოფილებლობა, ფსიქოგენური სიტუაციიდან გამოსვლის სურვილი.

–1 –0 (ლურჯი და რუხი) – რამდენადმე დათრგუნული მდგომარეობა, შფოთვა, უპერსპექტივობის შეგრძნება.

პირველი ფერია მწვანე

–2 –1 (მწვანე და ლურჯი) – დათრგუნული მდგომარეობა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, არასასიამოვნო სიტუაციიდან გამოსვლის სურვილი.

–2 –3 (მწვანე და წითელი) – ძლიერი აგზნება, მძიმე განცდები, გარემოსთან დამოკიდებულებას თელის მტრულად, შესაძლებელია აფექტური ქცევები.

–2 –4 (მწვანე და ყვითელი) – ფრუსტრაციასთან მიახლოებული მდგომარეობა, სასოწარკვეთილების, გაუბედაობის გრძნობა.

–2 –5 (მწვანე და იისფერი) – სტრესულთან მიახლოებული მდგომარეობა, შელახული ღირსების გრძნობა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა.

–2 –6 (მწვანე და ყავისფერი) – სტრესულთან მიახლოებული მდგომარეობა, არაადექვატურად მოპატებული თვითკონტროლი, უსაფუძვლო სწრაფვა აღიარებისკენ.

–2 –7 (მწვანე და შავი) – ფრუსტრაციის მდგომარეობა ამბიციური მოთხოვნების შეზღუდვის გამო, არასაკმარისი მიზანსწრაფულობა.

–2 –0 (მწვანე და რუხი) – ფრუსტრაციის მდგომარეობა, გაღიზიანება რიგი წარუმატებლობების გამო, ნებელობითი თვისებების დაქვეითება.

პირველი ფერია წითელი

–3 –1 (წითელი და ლურჯი) – დათრგუნული აგზნება, გაღიზიანება, მოუთმენლობა, ნეგატიური დამოკიდებულებებიდან გამოსავალის ძიება, რაც ახლობელ ადამიანებთანაა ჩამოყალიბებული.

–3 –2 (წითელი და მწვანე) – სტრესის მდგომარეობა არაადექვატური თვითშეფასებისგან.

–3 –4 (წითელი და ყვითელი) – მიუნდობლობა, შფოთვა, გარემოს არაადექვატური შეფასება, სწრაფვა თვითგამართლებისკენ.

–3 –5 (წითელი და იისფერი) – სტრესის მდგომარეობა ურთიერთგაგების მიღწევის წარუმატებელი მცდელობების გამო, დაურწმუნებლობის, უძლურების გრძნობა, თანაგრძნობის სურვილი.

–3 –6 (წითელი და ყავისფერი) – ძლიერი დაძაბულობა, რაც ზოგჯერ გამოწვეულია სექსუალური თვითშეზღუდვით, მეგობრული კონტაქტების არარსებობა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა.

–3 –7 (წითელი და შავი) – სტრესის მდგომარეობა ღრმა იმედგაცრუების გამო, ფრუსტრაცია, შფოთვის, უძლურების გრძნობა კონფლიქტური პრობლემის გადაჭრის გამო, მაფრუსტრირებელი სიტუაციიდან ნებისმიერი გზით გამოსვლის სურვილი, იმაში ეჭვის შეტანა, რომ ეს მოხდება.

–3 –0 (წითელი და რუხი) – შეკავებული აგზნება, დაკარგული პერსპექტივის გრძნობა, ნერვიული გამოფიტვის გრძნობა.

პირველი ფერია ყვითელი

–4 –1 (ყვითელი და ლურჯი) – იმედგაცრუების გრძნობა, სტრესთან მიახლოებული გრძნობა, ნეგატიური ემოციების დათრგუნვის სურვილი.

–4 –2 (ყვითელი და მწვანე) – გაუბედაობის, შფოთვის, იმედგაცრუების გრძნობა.

–4 –7 (ყვითელი და შავი) – დაძაბულობა, დაურწმუნებლობის, სიფრთხილის გრძნობა, გარედან კონტროლის თავიდან აცილების სურვილი.

–4 –0 (ყვითელი და რუხი) – დაძაბულობა, რაღაც მნიშვნელოვანის დაკარგვის შიში, შესაძლებლობების ხელიდან გაშვების გრძნობა, დაძაბული მოლოდინი.

პირველი ფერია იისფერი

–5 –1 (იისფერი და ლურჯი) – დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომელიც ახდენს სტიმულირებას აქტიურობისკენ, თანამშრომლობისკენ სწრაფვა.

–5 –2 (იისფერი და მწვანე) – სტრესული მდგომარეობა განუხორციელებელი თვითდამკიდრების გამო.

–5 –3 (იისფერი და წითელი) – სტრესული მდგომარეობა აქტიურ, ზოგჯერ დაუფიქრებელ მოქმედებებში წარუმატებლობის გამო.

–5 –4 (იისფერი და ყვითელი) – სიფრთხილე, ეჭვიანობა, იმედგაცრუება, ჩაკეტილობა.

–5 –6 (იისფერი და ყავისფერი) – სტრესი, რომელიც გამოწვეულია სასურველი ურთიერთდამოკიდებულებების დარღვევით, სხვებისადმი მომატებული მომთხოვნელობა.

–5 –7 (იისფერი და შავი) – დაძაბულობა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებში შეზღუდვის გამო, ურთიერთგაგებისკენ, აზრის ღია გამოხატვისკენ სწრაფვა.

–5 –0 (იისფერი და რუხი) – მოუთმენლობის გამოვლენა, მაგრამ ამავე დროს სწრაფვა თვითკონტროლისკენ, რაც იწვევს გარკვეულ ემოციურ აგზნებას.

პირველი ფერია ყავისფერი

–6 –1 (ყავისფერი და ლურჯი) – ნეგატიური მდგომარეობა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამსახურების (რეალური და საეარუაღო) არასაკმარისი აღიარების გამო, თვითშეზღუდვისა და თვითკონტროლისკენ სწრაფვა.

–6 –2 (ყავისფერი და მწვანე) – ნეგატიური მდგომარეობა ზედმეტი თვითკონტროლის გამო, გამოყოფის შეუპოვარი სურვილი, იმის ეჭვის, რომ ეს მოხერხდება.

–6 –3 (ყავისფერი და წითელი) – სტრესული მდგომარეობა ეროტიკული და სხვა ბიოლოგიური მოთხოვნილებების დათრგუნვის გამო, თანამშრომლობისკენ სწრაფვა სტრესიდან გამოსვლისთვის.

–6 –4 (ყავისფერი და ყვითელი) – დაძაბულობა დარწმუნებულობისა და უზრუნველობის ნიღბის ქვეშ შფოთვის დამალვის სურვილის გამო.

–6 –5 (ყავისფერი და იისფერი) – ნეგატიური მდგომარეობა გრძნობითი ჰარმონიისადმი დაუკმაყოფილებელი სწრაფვის გამო.

–6 –7 (ყავისფერი და შავი) – დაქვემდებარებიდან გამოსვლის სურვილი, ნეგატიური დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი აკრძალვების მიმართ.

–6 –0 (ყავისფერი და რუხი) – სტრესული მდგომარეობა ბიოლოგიური სექსუალური მოთხოვნილებების დათრგუნვის გამო.

პირველი ფერია შავი

–7 –1 (შავი და ლურჯი) – ღელვის მდგომარეობა დახმარების, მხარდაჭერის მიღების დაფარულ ყურადღებასთან დაკავშირებით.

–7 –2 (შავი და მწვანე) – ფრუსტრაციასთან მიახლოებული მდგომარეობა სასურველი მოქმედებების თავისუფლების შეზღუდვის გამო, დაბრკოლებებისგან თავის დაღწევის სურვილი.

–7 –3 (შავი და წითელი) – სტრესული მდგომარეობა, რაც გამოწვეულია იმედგაცრუებით მოსალოდნელ სიტუაციაში, ემოციური აგზნება.

–7 –4 (შავი და ყვითელი) – სტრესული მდგომარეობა შემდეგი წარუმატებლობების შიშის გამო, უარის თქმა გონიერულ კომპრომისებზე.

–7 –5 (შავი და იისფერი) – იდეალიზირებული სიტუაციის ძიება.

–7 –6 (შავი და ყავისფერი) – სტრესული მდგომარეობა არასასურველი შეზღუდვების, აკრძალვების გამო, შეზღუდვებისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი.

–7 –0 (შავი და რუხი) – არახელსაყრელი სიტუაციიდან გამოსვლის სურვილი.

პირველი ფერია რუხი

–0 –1 (რუხი და ლურჯი) – გარკვეული დაძაბულობა, ნეგატიური გრძნობებისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი.

–0 –2 (რუხი და მწვანე) – ნეგატიური მდგომარეობა ზედმეტ დაძაბულობასთან, გადაღლასთან დაკავშირებით.

–0 –3 (რუხი და წითელი) – დათრგუნვადი ღელვა, აფექტური მოქმედებების შესაძლებლობა, გაღიზიანებადობა.

–0 –4 (რუხი და ყვითელი) – შფოთვის, დაურწმუნებლობის გრძნობა.

–0 –5 (რუხი და იისფერი) – დაძაბულობა გრძნობითი განცდების დათრგუნვასთან დაკავშირებით.

–0 –6 (რუხი და ყავისფერი) – არახელსაყრელი სიტუაციიდან გამოსვლის სურვილი, რამდენადმე მომატებული თვითშეფასება.

–0 –7 (რუხი და შავი) – არახელსაყრელი სიტუაციიდან გამოსვლის სურვილი, მომავალში კარგი პერსპექტივების იმედი.

ვ. ლუშერმა შეადგინა სპეციალური ცხრილი, რომელშიც აღნიშნულია ფერთა შეხამება სხვადასხვა პოზიციებში, რაც ეარაუდობს ცდის პირთა მიერ განცდილი კონფლიქტების ასახვას (ამ კონფლიქტების მოტივთა, მიზეზთა შეხების გარეშე).

განვიხილოთ ფერთა ნაკრების ორი პირველი და ორი ბოლო პოზიცია, რომლებიც ასახავენ სერიოზულ კონფლიქტებს:

1,2 პოზიციები			7, 8		
0	4	XX	0	1	XX
0	6	XX	0	2	XXX
0	7	XXX	0	3	XX
1	7	XX	0	4	XX
2	7	XX	1	2	XXX
3	7	XX	1	3	XXX
4	0	XX	1	4	XXX
4	6	XX	2	0	XX
4	7	XX	2	1	XXX
6	0	XX	2	3	XXX
6	4	XX	2	3	XXX
6	7	XXX	3	0	XX
7	0	XXX	3	1	XXX
7	1	XX	3	2	XXX
7	2	XX	3	4	XXX
7	3	XX	3	5	XX
7	4	XX	4	1	XXX
7	5	XX	4	2	XXX
7	6	XX	4	2	XXX
			5	3	XX
			6	3	XX
			7	3	XX

შფოთვის გამოვლენის პიროვნული სკალა
(ჯ. ტეილორი, 1953).

კითხვარი გათვალისწინებულია შფოთვის დონის გასაზომად (მტკიცებები შედის MMPI შემადგენლობაში დამატებითი სკალის სახით). ადაპტირებულია ტ.ა. ნემჩინის მიერ (1966 წ).

კითხვარი შედგება 50 მტკიცებისგან. ხელსაყრელი გამოყენებისთვის თითოეული მტკიცება გამოსაკელევ პირს ეძლევა ცალკეულ ბარათზე. ინსტრუქციის თანახმად, გამოსაკვლევი პირი მარჯვენივ და მარცხნივ დებს ბარათებს იმის მიხედვით, ეთანხმება თუ არა ის მათში არსებულ მტკიცებებს. ტესტირება გრძელდება 15-30 წთ.

ტესტური მასალა

1. ჩვეულებრივ მე მშვიდი ვარ და ჩემი წყობიდან გამოყვანა ადვილი არაა.

2. ჩემი ნერვები მოშლილია არა იმაზე მეტად, როგორც სხვების.

3. იშვიათად მაწუხებს ყაბზობა.

4. იშვიათად მაწუხებს თავის ტკივილები.

5. იშვიათად ვიღლები.

6. თითქმის ყოველთვის ვგრძნობ თავს სრულიად ბედნიერად.

7. საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ.

8. პრაქტიკულად არასდროს არ ვწითლდები.

9. მეგობრებთან შედარებით თავს სრულიად მამაც ადამიანად ვთვლი.

10. სხვებზე უფრო მეტად არ ვწითლდები.

11. იშვიათად მაქვს აჩქარებული გულისცემა.

12. ჩვეულებრივ ჩემი ხელები საკმაოდ თბილია.

13. სხვებზე მეტად მორცხვი არ ვარ.

14. საკუთარი თავის რწმენა მაკლია.

15. ზოგჯერ მეჩვენება, რომ არაფრის მაქნისი ვარ.

16. ზოგჯერ ისეთი ღელვის მომენტები მაქვს, რომ ერთ ადგილას ჯდომა არ შემიძლია.

17. კუჭი ძლიერ მაწუხებს.

18. არ მყოფნის ძალა ავიტანო ყველა შემდგომი სირთულე.

19. მინდა ისეთივე ბედნიერი ვიყო, როგორც სხვები.

20. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემს წინ ისეთი სირთულეებია აღმართული, რომელთაც ვერ გადავლახავ.

21. ხშირად კოშმარები მესიზმრება.

22. ვამჩნევ, რომ ჩემი ხელები ცახცახებს, როცა რაიმეს გაკეთება მინდა.

23. საკმაოდ მშფოთვარე და წყვეტილი ძილი მაქვს.

24. საკმაოდ მაშფოთებს შესაძლო წარუმატებლობები.

25. შიშის განცდა მიწევდა იმ შემთხვევებში, როცა ზუსტად ვიცოდი, რომ არაფერი არ მემუქრება.

26. მიძნელდება სამუშაოზე ან რაიმე დავალებაზე კონცენტრირება.

27. მე დიდი დაძაბულობით ვმუშაობ.

28. ადვილად ვიბნევი.

29. თითქმის ყოველთვის განვიცდი შფოთვას რაიმეზე ან ვინმეზე.

30. ყველაფერს ზედმეტად სერიოზულად აღვიქვამ.

31. ხშირად ვტირი.

32. ხშირად მაწუხებს ღებინება ან გულისრევა.

33. თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად მაწუხებს კუჭის აშლილობა.

34. ხშირად მეშინია, რომ ეს-ესაა უნდა გავწითლდე.

35. ძალიან მიძნელდება რაიმეზე კონცენტრირება.

36. ჩემი მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ მაღელვებს.

37. ხშირად ვფიქრობ ისეთ საგნებზე, რომლებზეც არავისთან არ ვისურვებდი საუბარს.

38. მქონდა პერიოდები, როცა შფოთვა ძილს მიფრთხობს.

39. დროდადრო, როცა დაბნეული ვარ, ძლიერ ეოფლიანდები, რაც ძალიან მეხამუშება.

40. ცივ დღეებშიც კი ადვილად ეოფლიანდები.

41. დროდადრო ისეთი აგზნებული ვხდები, რომ მიძნელდება დაძინება.

42. მე ადვილად ფეთქებადი ადამიანი ვარ.

43. დროდადრო თავს სრულიად უსარგებლოდ ვგრძნობ.

44. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემი ნერვები ძლიერ დაძაბულია და მალე, წყობიდან გამოვალ.

45. ხშირად ვიჭერ თავს იმაზე, რომ რაღაც მაშფოთებს.

46. გაცილებით უფრო მგრძნობიარე ვარ, ვიდრე სხვა ადამიანების უმრავლესობა.

47. თითქმის ყოველთვის განვიცდი შიმშილის გრძნობას.

48. თავს ჩვეულებრივ უხერხულად ვგრძნობ უცნობი ადამიანების გარემოცვაში.

49. ჩემთვის სიცოცხლე უკავშირდება უჩვეულო დაძაბულობას.

50. ლოდინი ყოველთვის მანერვიულებს.

კითხვარის მიხედვით კვლევის შედეგების შეფასება ხდება გამოსაკვლევი პირის პასუხების რაოდენობის დათვლის გზით, რაც მოწმობს შფოთვას.

თითოეული პასუხი „დიახ“ მე-14, მე-15, მე-16, მე-17, მე-18. მე-19, მე-20, მე-21, მე-22, მე-23, მე-24, მე-25, მე-26, მე-27, მე-28, მე-29, მე-30, მე-31, მე-32, მე-33, მე-34, მე-35, მე-36, მე-37, მე-38, მე-39, მე-40, მე-41, მე-42, მე-43, მე-44, მე-45, მე-46, მე-47, მე-48, მე-49, 50-ე გამონათქვამებზე და პასუხი „არა“ 1, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 გამონათქვამებზე ფასდება 1 ქულით.

ჯამური შეფასება: 40-50 ქულა განიხილება, როგორც შფოთვის ძალიან მაღალი დონის მაჩვენებელი; 25-40 ქულა მოწმობს შფოთვის მაღალ დონეს; 15-25 ქულა – საშუალო (დაბალისკენ ტენდენციით) დონეს; 0-5 ქულა – შფოთვის დაბალ დონეს.

1975 წელს ვ.გ. ნორაკიძემ შეაყვსო კითხვარი სიცრუის სკალით, რაც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ დემონსტრაციულობაზე, არაგულწრფელობაზე პასუხებში. იმ კითხვარის ვარიანტი მოყვანილია ქვემოთ.

შფოთვის სკალა

1. დიდხანს შემიძლია მუშაობა დაუღლელად.
2. ყოველთვის ვასრულებ დანაპირებს, არ ვუწევ რა ანგარიშს იმას, მოხერხებულია თუ არა ეს ჩემთვის.
3. ჩვეულებრივ ჩემი ხელები და ფეხები თბილია.
4. იშვიათად მტკივა თავი.
5. საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვარ.
6. ლოდინი მანერვიულებს.
7. ზოგჯერ მეჩვენება, რომ გამოუსადეგარი ვარ.
8. ჩვეულებრივ, თავს საკმაოდ ბედნიერად ვგრძნობ.
9. არ შემიძლია კონცენტრირება ერთ რამეზე.
10. ბავშვობაში ყოველთვის დაუყოვნებლივ და უტყუად ვასრულებდი იმას, რასაც მავალებდნენ.
11. თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად კუჭი მეშლება.
12. ხშირად ვიჭერ თავს იმაზე, რომ რაღაც მაშფოთებს.
13. ვფიქრობ, რომ უფრო მეტად არ ვარ ნერვიული, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობა.
14. ძალიან მორცხვი არ ვარ.
15. ჩემთვის სიცოცხლე თითქმის ყოველთვის უკავშირდება დიდ დაძაბულობას.
16. ზოგჯერ ხდება, რომ ვსაუბრობ ისეთ საგნებზე, რომლებშიც არ ვერკვევი.
17. სხვებზე უფრო ხშირად არ ვწითლდები.
18. ხშირად მწყდება გული წერილმანების გამო.
19. იშვიათად ვამჩნევ თავს გულის აჩქარებულ ცემას ან ჭოშინს.
20. ყველა ადამიანი როდი მომწონს, ვისაც ვიცნობ.
21. არ შემიძლია დაძინება, თუ რაღაც მაშფოთებს.
22. ჩვეულებრივ მშვიდი ვარ და ძნელია ჩემი განაწყენება.
23. ხშირად მაწუხებს ღამის კოშმარები.
24. ყველაფერს საკმაოდ სერიოზულად აღვიქვამ.
25. როცა ვნერვიულობ, ვოფლიანდები.
26. მშფოთვარე და წყვეტილი ძილი მაქვს.
27. თამაშებში უპირატესობას ვანიჭებ მოგებას, ვიდრე წაგებას.
28. მე უფრო მგრძნობიარე ვარ, ვიდრე სხვა ადამიანების უმრავლესობა.
29. ხდება ისე, რომ თამამი ხუმრობები და გონებამახვილობა სიცილს იწვევს ჩემში.
30. ისევე კმაყოფილი მინდა ვიყო ცხოვრებით, როგორც, ალბათ სხვები არიან.
31. კუჭი ძალიან მაწუხებს.
32. მუდმივად მაწუხებს საკუთარი მატერიალური და სამსახურებრივი საქმეები.
33. სიფრთხილით ვუდგები ზოგიერთ ადამიანს, თუმცა ვიცი, რომ მათ არ შეუძლიათ ჩემთვის ზიანის მოტანა.
34. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემს წინ ისეთი სირთულეებია თავმოყრილი, რომელთაც ვერ დაეძლევ.
35. ადვილად ვიბნევი.
36. დროდადრო ისეთი აგზნებული ვარ, რომ ეს დაძინებაში ხელს მიშლის.
37. უპირატესობას ვანიჭებ თავის არიდებას კონფლიქტებისგან და რთული მდგომარეობებისგან.
38. ზოგჯერ მაწუხებს გულისრევა და პირღებინება.
39. არასდროს არ დამიგეიანია პაემანზე თუ სამსახურში.
40. დროდადრო თავს უსარგებლოდ ვგრძნობ.
41. ზოგჯერ გამოლანძღვის სურვილი მიჩნდება.
42. თითქმის ყოველთვის განვიცდი შფოთვას რაიმესთან ან ვინმესთან დაკავშირებით.
43. მაღელვებს შესაძლო წარუმატებლობები.
44. ხშირად ვშიშობ, რომ გავწითლდები.
45. ხშირად სასოწარკვეთა მიპყრობს.
46. მე ნერვიული და ადვილად ფეთქებადი ადამიანი ვარ.
47. ხშირად ვამჩნევ, რომ ხელები მიკანკალებს, როცა რაიმეს გაკეთება მინდა.
48. თითქმის ყოველთვის განვიცდი შიმშილის გრძნობას.
49. საკუთარ თავის რწმენა მაკლია.
50. ადვილად ვოფლიანდები ცივ ღღეებშიც კი.
51. ხშირად ვოცნებობ ისეთ საგნებზე, რომელთა შესახებაც უმჯობესია სხვებმა არაფერი იცოდნენ.
52. იშვიათად მტკივა მუცელი.
53. ვთვლი, რომ მიძნელდება კონცენტრირება რაიმეზე ამოცანაზე ან სამუშაოზე.
54. მაქვს ისეთი ძლიერი შფოთვის პერიოდები, რომ დიდხანს არ შემიძლია ერთ ადგილას ყოფნა.
55. ყოველთვის ვპასუხობ წერილებს წაკითხვისთანავე.
56. ადვილად მწყდება გული.
57. პრაქტიკულად არასდროს ვწითლდები.
58. გაცილებით უფრო ნაკლები სხვადასხვაგვარი შიში გამაჩნია, ვიდრე ჩემს მეგობრებსა და ნაცნობებს.
59. ხდება ისე, რომ ხვალისთვის გადავდებ იმას, რაც უნდა გავაკეთო ღღეს.

60. ჩვეულებრივ ემუშაობ დიდი დაძაბულობით.

1 ქულით ფასდება „დიახ" პასუხები მე-6, მე-7, მე-9, მე-11, მე-12, მე-13, მე-15, მე-18, 21-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე, 37-ე, 38-ე, მე-40, 42-ე, 44-ე, 45-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე, 50-ე, 53-ე, 54-ე, 56-ე, მე-60 გამოთქმებზე და პასუხები „არა" 1, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-14, მე-17, მე-19, 22-ე, 39-ე, 43-ე, 52-ე, 57-ე, 58-ე გამოთქმებზე.

ცრუდ ითვლება „დიახ" პასუხები მე-2, მე-10, 55-ე პუნქტებზე და „არა" მე-16, მე-20, 27-ე, 29-ე, 41-ე, 51-ე, 59-ე პუნქტებზე.

კითხვარის ორივე ვარიანტი გამოიყენება ინდივიდუალური და ჯგუფური გამოკვლევისას, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ამოცანები და შეიძლება შესულ იქნეს სხვა ტესტირების ბატარეაში.

„PEN" კითხვარი
(ჰანს და სიმბილა აიზენკი)

ყველაზე პოპულარულია „EPI" კითხვარი, რომელიც შემოთავაზებულია ავტორის მიერ 1963 წელს. EPI სკალებზე ფსიქოტიზმის სკალის დამატებამ გამოიწვია „PEN" კითხვარის წარმოქმნა 1968 წელს, რომლის ადაპტირებული ვარიანტიც აქაა მოყვანილი.

კითხვარში შედის 101 კითხვა, რომლებზეც ცდის პირებმა უნდა უპასუხონ „დიახ" ან „არა" (პასუხების ბლანკში უნდა აღინიშნოს შესაბამისი „+" ან „–" ნიშნები). კითხვარი ისეთ ფსიქიკურ თვისებებს, როგორიცაა ნეიროფსიქიკური ლაბილობა, ექსტრავერსია და ფსიქოტიზმი. მეორადად შეიძლება პიროვნების შემდგომი თვისებების არსებობის გამოყვანა, როგორიცაა ემოციურ-ნებელობითი სტაბილობა და ტემპერამენტის მიკუთვნება კლასიკურ ტიპებისთვის – ქოლერიკი, სანგვინიკი, ფლეგმატიკი, მელანქოლიკი. კითხვარი გვიჩვენებს კავშირს ტემპერამენტის ამ 4 ტიპსა და პიროვნების ფაქტორულ-ანალიტიკური აღწერის შედეგებს შორის. პასუხების დრო შეზღუდული არაა, თუმცა რეკომენდირებული არაა გამოკვლევის პროცედურის გაწელვა.

გამოკვლევის წინ ცდის პირს ეძლევა ბლანკი პასუხებისთვის და ხდება ინსტრუქციის წაკითხვა. გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფშიც.

ინსტრუქცია

თქვენ შემოგთავაზებენ საკუთარ ხასიათთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მტკიცებებს. თუ ეთანხმებით მტკიცებას, მისი ნომრის გვერდით დასვით + („დიახ"), თუ არა – ნიშანი „–" („არა"), დიდხანს ნუ იფიქრებთ, აქ არაა სწორი ან არასწორი პასუხები.

კითხვარის ტესტური მასალა

1. თქვენ ბევრი სხვადასხვა ჰობი გაქვთ.
2. თქვენ წინასწარ ფიქრობთ იმას, რისი გაკეთებაც გინდათ.
3. თქვენ ხშირად გაქვთ განწყობილების აწევა და დაწევა.
4. თქვენ პრეტენზია გქონდათ ოდესმე შექებაზე იმასთან დაკავშირებით, რაც სინამდვილეში სხვა ადამიანმა გააკეთა.
5. თქვენ მოსაუბრე ადამიანი ხართ.
6. აგაღელეებდათ ვალებში ჩავარდნა.
7. თავი გიგრძვნიათ უბედურ ადამიანად რაიმეზე განსაკუთრებული მიზეზების გარეშე.
8. ოდესმე მოგრეევიათ სიხარბე, რათა მიგეღოთ იმაზე მეტი, რაც გერგებოდათ.
9. ღამით კარს საგულდაგულოდ კეტავთ.
10. თავს სიცოცხლით სავსე ადამიანად თვლით.
11. თუ დაინახავთ, რომ იტანჯება ბავშვი, ცხოველი, ძლიერ შეწუხდებით.
12. ხშირად განიცდით იმის გამო, რომ თქვით ან გააკეთეთ ის, რაც არ უნდა გეთქვათ ან გაგეკეთებინათ.
13. ყოველთვის ასრულებთ პირობას, თუნდაც ეს პირადად მოუხერხებულია თქვენთვის.
14. სიამოვნებას მიიღებდით პარაშუტიდან გადმოხტომით.
15. შეგიძლიათ თუ არა გრძნობები მიუშვათ და სრულად იმხიარულოთ ხმაურიან კომპანიაში.
16. თქვენ გამაღიზიანებელი ხართ.
17. ოდესმე ბრალი დაგიდიათ ვინმესთვის იმაში, რაშიც თქვენ იყავით დამნაშავე.
18. მოგწონთ ახალი ადამიანების გაცნობა.
19. თქვენ გჯერათ შიშის სარგებლობის.
20. თქვენი განაწყენება ადვილია.
21. ყველა თქვენი ჩვევა კარგია და სასურველი.
22. ცდილობთ ჩრდილში იყოთ საზოგადოებაში.
23. მიიღებდით თუ არა საშუალებებს, რომელთაც შეუძლიათ ჩაგაყენონ უჩვეულო ან საშიშ მდგომარეობაში (ალკოჰოლი, ნარკოტიკები).
24. ხშირად განიცდით ისეთ მდგომარეობას, როცა ყველაფერი მოგბეზრდათ.
25. მომხდარა ისე, რომ აგიღიათ სხვისი ნივთი,

თუნდაც ისეთი წერილმანი, როგორიცაა ქინძისთავი ან ღილი.

26. მოგწონთ ხშირად ვინმესთან სტუმრად სიარული და საზოგადოებაში ყოფნა.

27. სიამოვნებას განიჭებთ იმათი წყენინება, ვინც გიყვართ.

28. ხშირად გაწუხებთ დანაშაულის გრძნობა.

29. მოგიხდათ ოდესმე საუბარი იმაზე, რაშიც ცუდად ერკვევით.

30. ჩვეულებრივ უპირატესობას ანიჭებთ წიგნებს, ადამიანებთან შეხვედრებს.

31. თქვენ აშკარა მტრები გყავთ.

32. თავს ნერვიულ ადამიანს უწოდებდით.

33. ყოველთვის იხდით ბოდიშს, როცა სხვას ეუხეშებით.

34. ბევრი მეგობარი გყავთ.

35. მოგწონთ გათამაშებების მოწყობა და ხუმრობა, რასაც ზოგჯერ მართლაც შეუძლიათ ტკივილის მიყენება ადამიანებისთვის.

36. თქვენ მოუსვენარი ადამიანი ხართ.

37. ბავშვობაში ყოველთვის უსიტყვოდ და დაუყოვნებლივ ასრულებდით იმას, რასაც გიბრძანებდნენ.

38. თავს უდარდელ ადამიანად თელით.

39. ბევრს ნიშნავს თუ არა თქვენთვის კარგი მანერები და სისუფთაე.

40. ღელავთ თუ არა რაიმე საშიშ მოვლენაზე, რომელიც შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა.

41. გაგიტეხიათ ან დაგიკარგავთ სხვისი ნივთი.

42. ჩვეულებრივ, პირველი იჩენთ ინიციატივას გაცნობისას.

43. შეგიძლიათ თუ არა ადვილად გაიგოთ ადამიანის მდგომარეობა, თუ ის გიზიარებთ საზრუნავს.

44. ხშირად ნერვები უკიდურესად გაქვთ დაძაბული.

45. დააგდებთ თუ არა უსარგებლო ფურცელს იატაკზე, თუ ხელთ არა გაქვთ კალათა.

46. უმეტესად ჩუმად ხართ სხვა ადამიანების საზოგადოებაში.

47. თვლით თუ არა, რომ ქორწინება მოძველებულია და ის უნდა გაუქმდეს.

48. ზოგჯერ თავი შეგცოდებიათ.

49. ზოგჯერ ბევრს ტრაბახობთ.

50. ადვილად შეგიძლიათ სიხალისის შეტანა საკმაოდ მოსაწყენ კომპანიაში.

51. გაღიზიანებენ თუ არა ფრთხილი მძღოლები.

52. თქვენ ღელავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე.

53. ოდესმე გისაუბრიათ ცუდად სხვა ადამიანზე.

54. გიყვართ ხუმრობებისა და ანეკდოტების მეგობრებისთვის მოყოლა.

55. თქვენთვის საკვები პროდუქტების უმრავლესობა ერთნაირია გემოთი.

56. გაქვთ თუ არა ზოგჯერ ცუდი განწყობილება.

57. ოდესმე თავხედურად გილაპარაკიათ მშობლებთან ბავშვობაში.

58. თქვენ მოგწონთ ადამიანებთან ურთიერთობა.

59. თქვენ განიცდით, თუ იგებთ, რომ დაუშვით შეცდომები სამუშაოზე.

60. თქვენ უძილობა გტანჯავთ.

61. თქვენ ყოველთვის იბანთ ხელებს ჭამის წინ.

62. უპირატესობას ანიჭებთ შეხვედრაზე დანიშნულ დროზე ადრე მისვლას.

63. თავს აპათიურად, დაღლილად გრძნობთ რაიმე მიზეზის გარეშე.

64. როდისმე გითაღლითიათ თამაშში.

65. თქვენ მოგწონთ სამუშაო, რომელიც მოითხოვს სწრაფ მოქმედებებს.

66. დედათქვენი კარგი ადამიანია (კარგი ადამიანი იყო).

67. ხშირად გეჩვენებათ თუ არა, რომ სიცოცხლე საშინლად მოსაწყენია.

68. ოდესმე გისარგებლიათ სხვა ადამიანის შეცდომით თქვენი მიზნებისთვის.

69. ხშირად საკუთარ თავზე მეტს იღებთ, ვიდრე დრო გაძლევთ ამის შესაძლებლობა.

70. არსებობენ თუ არა ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თავი აგარიდონ თქვენ.

71. თქვენ ძალიან გაღელვებთ საკუთარი გარეგნობა.

72. თქვენ ყოველთვის ზრდილობიანი ხართ, არასასიამოვნო ადამიანებთანაც კი.

73. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ადამიანები საკმაოდ დიდ დროს კარგავენ მომავლის უზრუნველსაყოფად, დებენ რა დანაზოგს, აზღვევენ რა საკუთარ თავს და სიცოცხლეს.

74. გქონდათ თუ არა ოდესმე სურვილი მომკვდარიყავით.

75. შეეცდებოდით გადასახადის გადახდის თავიდან არიდებას დამატებითი ხელფასიდან, თუ დარწმუნებული იქნებით, რომ ამაში ვერასდროს გამხელენ.

76. თქვენ სიცოცხლის შეტანა შეგიძლიათ კომპანიაში.

77. ცდილობთ არ ეუხეშოთ ადამიანებს.

78. თქვენ დიდი ხანი განიცდით მომხდარი კონფუზის შემდეგ.

79. ოდესმე დაგიჟინიათ ის, რომ თქვენებურად ყოფილიყო.

80. თქვენ ხშირად მიდიხართ ვაგზალზე ბოლო წუთას, მატარებლის გასელის წინ.

81. თქვენ ოდესმე განზრახ გითქვიათ რაიმე არასასურველი ან საწყენი ადამიანისთვის.

82. თქვენ ნერვები გაწუხებდათ.

83. თქვენთვის არასასიამოვნოა ადამიანებს შორის ყოფნა, რომლებიც ამხანაგებზე ხუმრობენ.

84. თქვენ ადვილად კარგავთ მეგობრებს საკუთარი ნებით.

85. ხშირად განიცდით მარტოობის გრძნობას.

86. ყოველთვის ემთხვევა თუ არა თქვენი სიტყვები საქმეს.

87. მოგწონთ თუ არა ზოგჯერ ცხოველთა წვალება..

88. თქვენ ადვილად ნაწყენდებით შენიშვნებზე, რომლებიც გეხებათ პირადად თქვენ და თქვენს სამუშაოს.

89. ცხოვრება რაიმე საშიშროების გარეშე საკმაოდ მოსაწყენად მოგეჩვენებოდათ.

90. თქვენ ოდესმე დაგიგვიანიათ პაემანზე ან სამუშაოზე.

91. თქვენ მოგწონთ ფუსფუსი და გამოცოცხლება თქვენს ირგვლივ.

92. გინდათ, რომ ადამიანს თქვენი ეშინოდეთ.

93. სწორია თუ არა, რომ ზოგჯერ ენერგიით სავსე ხართ და ზოგჯერ კი, სრულიად უსიცოცხლო ხართ.

94. ზოგჯერ ხვალისთვის გადადებთ იმას, რაც უნდა გააკეთოთ დღეს.

95. გთვლიან თუ არა ცოცხალ და ხალისიან ადამიანად.

96. ხშირად გეუბნებიან თუ არა ტყუილს.

97. თქვენ ძალიან მგრძნობიარე ხართ ზოგიერთი მოვლენის, ვითარების, საგნის მიმართ.

98. თქვენ ყოველთვის მზად ხართ აღიაროთ საკუთარი შეცდომები.

99. ოდესმე შეგბრალებიათ ცხოველი, რომელიც ხაფანგში გაება.

100. გიძნელდებათ თუ არა ანკეტის შევსება.

კითხვარის დამუშავებისას იანგარიშება ცდის პირის პასუხების „გასაღებთან" დამთხვეულთა რაოდენობა.

გასაღები

1. ფსიქოტიზმის სკალა:

პასუხები „არა" („–") მე-2, მე-6, მე-9, მე-11, 39-ე, 43-ე, 59-ე, 63-ე, 67-ე, 78-ე, მე-100 გამონათქვამებზე;

პასუხები „დიახ" („+") მე-14, 23-ე, 27-ე, 31-ე, 35-ე, 47-ე, 51-ე, 55-ე, 71-ე, 85-ე, 88-ე, 93-ე, 97-ე გამონათქვამებზე.

2. ექსტრავერსია – ინტროვერსიის სკალა

პასუხები „არა" („–") 22-ე, 30-ე, 46-ე, 84-ე გამონათქვამებზე;

პასუხები „დიახ" („+") 1, მე-5, მე-10, მე-15, მე-18, 26-ე, 34-ე, 38-ე, 42-ე, 50-ე, 54-ე, 58-ე, 62-ე, 66-ე, 70-ე, 74-ე, 77-ე, 81-ე, 90-ე, 92-ე, 96-ე გამონათქვამებზე.

3. ნეიროტიზმის სკალა:

პასუხები „დიახ" („+") მე-3, მე-7, მე-12, მე-16, მე-2, 24-ე, 28-ე, 32-ე, 36-ე, 4-ე, 44-ე, 48-ე, 52-ე, 56-ე, 72-ე, 75-ე, 79-ე, 83-ე, 89-ე, 94-ე, 98-ე გამონათქვამებზე.

4. გულწრფელობის სკალა:

პასუხები „არა" („–") მე-4, მე-8, მე-17, 25-ე, 29-ე, 41-ე, 45-ე, 49-ე, 53-ე, 57-ე, 65-ე, 69-ე, 76-ე, 80-ე, 82-ე, 91-ე, 95-ე გამონათქვამებზე:

პასუხები „დიახ" („+") მე-13, 21-ე, 33-ე, 37-ე 61-ე, 73-ე, 87-ე, 99-ე გამონათქვამებზე.

მეთოდიკა შეიცავს სკალებს: ექსტრავერსია-ინტროვერსია, ნეიროტიზმი, ფსიქოტიზმი და სპეციფიკური სკალა, რაც გათვალისწინებულია ცდის პირის გულწრფელობის, მისი გამოკვლევისადმი დამოკიდებულების შეფასებისთვის. ჩამოთვლილი სკალები ზომავენ შემდეგ თავისებურებებს. **ექსტრავერსია** ვლინდება ურთიერთობის, აქტიურ, ოპტიმისტურ, დამაჯერებელ და იმპულსურ ქცევაში; **ინტროვერტებისთვის დამახასიათებელია** არასაურთიერთობო, პასიური, მშვიდი, მოფიქრებული, განსჯითი ქცევა. მაღალი ნეიროტიზმის მქონე ადამიანს ახასიათებს ზემგრძნობიარე რეაქციები, დაძაბულობა, შფოთვა, საკუთარი თავითა და გარესამყაროთი უკმაყოფილება, რიგიდულობა. **ნეიროტიზმის დაბალი დონის** მქონე ინდივიდი მშვიდია, უდარდელი, ურთიერთობაში ძალდაუტანებელი, იმედიანი. **ფსიქოტიზმის სკალა მეტყველებს** ასოციალური ქცევისადმი, ემოციური რეაქციების არაადექვატურობისადმი, იმ პირების მაღალი კონფლიქტურობისადმი მიდრეკილებაზე, რომელთაც გააჩნიათ მაღალი შეფასებები მოცემულ სკალაზე.

მაღალი შეფასებები ექსტრავერსია-ინტროვერსიის სკალაზე შეესაბამება ექსტრავენტირებულ ტიპს, დაბალი-ინტროვენტირებულს. საშუალო მაჩვენებელი

შეადგენს 7-15 ქულას.

მაღალი მაჩვენებლები ნეიროტიზმის სკალაზე მეტყველებს მაღალ ფსიქიკურ არამდგრადობაზე. საშუალო მაჩვენებლები შეადგენს 8-16 ქულას.

მაღალი მაჩვენებლები ფსიქოტიზმის სკალაზე მიუთითებს მაღალ კონფლიქტურობაზე. საშუალო მაჩვენებლები შეადგენს 5-12 ქულას.

თუ გულწრფელობის სკალაზე ქულების რაოდენობა აღემატება 10, გამოკვლევის შედეგები ითვლება არასაიმედოდ და ცდის პირმა უნდა უპასუხოს კითხვებს უფრო გულწრფელად.

მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში სხვადასხვა სპეციალობაზე პროფშერჩევის მიზნით, გამოკვლეულში მოცემული მეთოდიკის გამოყენების შედეგებმა გვიჩვენა, რომ გამოკვლეულ პირებზე, რომელთაც ფსიქოტიზმის სკალით გააჩნიათ 10-ზე მეტი შეფასება, რეკომენდირებული არაა მუშაობა სახალხო მეურნეობის ჩამოთვლილ დარგებში და სპეციალობით, რომელიც შედის ტიპში „ადამიანი" – ადამიანი". შესაძლებელია მისი ინდივიდუალური გამოყენება და ჯგუფშიც.

კეტელის ტესტი
(16 PF – კითხვარი)

აზროვნების მრავალფაქტორული კითხვარი გამოქვეყნებულია რ.ბ. კეტელის მიერ 1949 წელს და იმ დროიდან ფართოდ გამოყენება ფსიქოდიაგნოსტიკურ პრაქტიკაში. ეს ტესტი უნივერსალურია, პრაქტიკულია, იძლევა მრავალმხრივ ინფორმაციას ინდივიდუალურობის შესახებ. კითხვები ატარებს საპროექტო ხასიათს, ასახავენ ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიტუაციებს.

ამჟამად, 16 PF-კითხვარის სხვადასხვა ფორმა წარმოადგენს პიროვნების ექსპრეს-დიაგნოსტიკის ყველაზე პოპულარულ საშუალებას. ისინი გამოიყენება ყველა სიტუაციაში, როცა საჭიროა ადამიანის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნა. კითხვარი ახდენს პიროვნების თვისებების დიაგნოსტირებას, რომელთაც რ.ბ. კეტელი უწოდებს კონსტიტუციურ ფაქტორებს. დინამიკური ფაქტორების-მოტივების, მოთხოვნილებების, ინტერესების, ფასეულობების შესწავლა მოითხოვს სხვა მეთოდების გამოყენებას. ამის გათვალისწინება საჭიროა ინტერპრეტაციისას, რამდენადაც პიროვნული თვისებებისა და განწყობის რეალიზაცია ქცევაში დამოკიდებულია სიტუაციის მახასიათებლებსა და მოთხოვნილებებზე.

ჩვენ მოგვყავს კითხვარის შემცირებული ვარიანტი, რომლის გამოყენებაც საჭიროა დროის დეფიციტის პირობებში. ის შეიცავს 105 კითხვას. გამოკვლევის დრო მერყეობს 20-დან 50 წთ-მდე. კითხვართან მუშაობის ხერხი გადმოცემულია ინსტრუქციაში ცდის პირისთვის. პასუხების შეტანა ხდება სპეციალურ კითხვარის ფურცელზე, ხოლო შემდეგ მათი დათვლა ხდება სპეციალური გასაღების მეშვეობით. „a" და „c" პასუხების გასაღებთან დამთხვევა ფასდება 2 ქულით, ხოლო „b" პასუხებისა – 1 ქულით. კითხვების თითოეულ გამოყოფილ ჯგუფში ქულების ჯამი საბოლოოდ იძლევა ფაქტორის მნიშვნელობას. გამონაკლისს წარმოადგენს B ფაქტორი – აქ,პასუხის ნებისმიერი დამთხვევა გასაღებთან იძლევა 1 ქულას. ამგვარად, მაქსიმალური შეფასება თითოეული ფაქტორის მიხედვით 12 ქულა, B ფაქტორის მიხედვით – 8 ქულა, მინიმალური – 0 ქულა.

ინსტრუქცია

თქვენს წინაშე რიგი კითხვებია, რომლებიც დაგეხმარებიან განსაზღვროთ თქვენი პიროვნების გარკვეული თვისებები. აქ, არ შეიძლება სწორი ან მცდარი პასუხები. ადამიანები განსხვავდებიან და თითოეულს შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა. ეცადეთ პასუხები იყოს გულწრფელი და ზუსტი.

დაწერეთ თქვენი გვარი და სხვა მონაცემები თქვენზე პასუხების ფურცლის ზედა ნაწილში.

თითოეულ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა აირჩიოთ 3 საეარაუდო პასუხიდან 1-ის, რომელიც უმეტესწილად შეესაბამება თქვენს შეხედულებებს, აზრს საკუთარ თავზე. პასუხები უნდა გაიცეს შემდეგი სახით: პასუხების ბლანკზე შესაბამის ბარათზე აღნიშნეთ მკაფიო ჯვარი (მარცხენა ბარათი შეესაბამება „a" პასუხს, შუა – „b", ხოლო მარჯვენივ ბარათი – „c" პასუხს).

თავად კითხვარში არაფერი არ დაწეროთ და ხაზი არ გაუსვათ!

თუ თქვენთვის რაღაც გაურკვეველია, შეეკითხეთ ექსპერიმენტატორს. როცა პასუხებს გასცემთ კითხვებზე, სულ უნდა გახსოვდეთ 4 შემდეგი წესი.

1. საჭირო არაა დიდი დროის დაკარგვა პასუხების მოფიქრებაზე. გაეცით ის პასუხი, რომელიც პირველად მოგივათ თავში.

რასაკვირველია, კითხვები ხშირად ჩამოყალიბებულია არა ისე დაწვრილებით, როგორც გსურთ. ასეთ შემთხვევაში, პასუხის გაცემისას, ეცადეთ წარმოიდგინოთ საშუალო, ყველაზე ტიპიური სიტუაცია, რომელიც შეესაბამება კითხვის არსს და ამის საფუძველზე აირჩიეთ პასუხი.

პასუხი, რაც შეიძლება ზუსტად უნდა იქნეს გაცემული, მაგრამ არა ძალიან ნელა, დაახლოებით 5-6 პასუხი 1 წთ. ყველა პასუხზე უნდა დაიხარჯოს არა უმეტეს 30 წთ.

2. ეცადეთ საკმაოდ ხშირად არ გამოიყენოთ შუალედური, გაურკვეველი პასუხები „არ ვიცი", „რალაც საშუალო" ტიპის და ა.შ.

3. აუცილებლად უპასუხეთ ყველა კითხვას მიყოლებით, გამოტოვების გარეშე.

შესაძლოა ზოგიერთი კითხვა თქვენთვის არა შესატყვისი აღმოჩნდეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეცადეთ იპოვოთ საუკეთესო პასუხი, ყველაზე ზუსტი. ზოგიერთი კითხვა შეიძლება მოგეჩვენოთ პირადულად, მაგრამ შეიძლება იყოთ დარწმუნებული, რომ თქვენი პასუხები არ გახმაურდება. პასუხები შეიძლება გაიშიფროს მხოლოდ სპეციალური გასაღების მეშვეობით, რომელიც ექსპერიმენტატორს აქვს. ამასთან, პასუხები თითოეულ კითხვაზე საერთოდ არ იქნება განხილული: ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ განზოგადებული მაჩვენებლები.

4. პასუხები გაეცით გულწრფელად და პატიოსნად

ნუ ეცდებით მოახდინოთ კარგი შთაბეჭდილება პასუხებით, ისინი უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ამ შემთხვევაში:

1) შეგეძლებათ უკეთ გაიცნოთ საკუთარი თავი;

2) ძალიან დაგვეხმარებით ჩვენს მუშაობაში (წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისათვის მეთოდიკის შემუშავებაში).

გთხოვთ: არ გადაფურცლოთ გვერდი, სანამ ნებართვას არ მიიღებთ.

ტესტური მასალა

1. მე ვფიქრობ, რომ ჩემი მეხსიერება ახლა უკეთესია, ვიდრე ის იყო უწინ:

a) დიახ;
b) ძნელი სათქმელია;
c) არა.

2. საკმაოდ შემეძლო მარტო ცხოვრება, ადამიანებისგან შორს:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

3. მე რომ მეთქვა, რომ ცა ქვემოთაა და ზამთარში „ცხელა", დამნაშავესთვის უნდა მეწოდებინა:

a) ბანდიტი;
b) წმინდანი;
c) ღრუბელი.

4. როცა დასაძინებლად ვწვები:

a) სწრაფად ვიძინებ;
b) რაღაც საშუალო;
c) ძნელად ვიძინებ.

5. მანქანას რომ ვატარებდე გზაზე, სადაც სხვა ბევრი ავტომობილია, უპირატესობას მივანიჭებდი:

a) გამეტარებინა მანქანების უმრავლესობა;
b) არ ვიცი;
c) გამესწრო ყველა, წინ მიმავალი მანქანისთვის.

6. კომპანიაში სხვებს ვუთმობ ხუმრობისა და ყოველგვარი ისტორიის მოყოლის საშუალებას:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

7. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერში, რაც გარს მახვევია, არ იყოს უწესრიგობა:

a) სწორია;
b) ძნელი სათქმელია;
c) არაა სწორი.

8. კომპანიებში ადამიანთა უმრავლესობას უხარია ჩემი ნახვა;

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

9. უფრო დავკავდებოდი:

a) ფარიკაობითა და ცეკვებით;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) კალათბურთითა და ჭიდაობით.

10. მართობს ის, რომ ის, რასაც ადამიანები აკეთებენ, სულაც არ ჰგავს იმას, რასაც ისინი შემდგომ ყვებიან ამის თაობაზე:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

11. რაიმე შემთხვევაზე კითხვისას ვინტერესდები ყველა წვრილმანით:

a) ყოველთვის;
b) ზოგჯერ;
c) იშვიათად.

12. როცა მეგობრები ხუმრობენ ჩემზე, ჩვეულებრივ ვიცინი ყველასთან ერთად და სულაც არ შწყინს:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

13. თუ ვინმე მეუხეშება, შემიძლია სწრაფად დავივიწყო ეს:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

14. უფრო მომწონს ახალი ხერხების მოფიქრება რაიმე სამუშაოს შესრულებაში, ვიდრე გამოცდილი ხერხების გამოყენება:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

15. როცა რაიმეს ვეცდები, უპირატესობას ვანიჭებ ამის დამოუკიდებლად გაკეთებას, ვინმეს დახმარების გარეშე:

a) სწორია;
b) ზოგჯერ;
c) არა.

16. ვფიქრობ, რომ ნაკლებად მგრძნობიარე და ადვილად ფეთქებადი ვარ, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობა:

a) სწორია;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) არაა სწორი.

17. მალიზიანებენ ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ სწრაფად გადაწყვეტილებების მიღება:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

პირველი სვეტის დასასრული პასუხების ბლანკში

18. ზოგჯერ, თუმცა კი მცირე ხნით, გამიჩენია გაღიზიანების გრძნობა ჩემი მშობლების მიმართ:

a) დიახ;
b) არ ვიცი;
c) არა.

19. ჩემს ფარულ გრძნობებს გაუმჟღავნებდი:

a) ჩემს კარგ მეგობრებს;
b) არ ვიცი;
c) ჩემს დღიურს.

20. ვფიქრობ, რომ „არაზუსტი" სიტყვის საპირისპირო აზრობრივად, ესაა:

a) გაუფრთხილებელი;
b) ჯეროვანი;
c) მიახლოებითი.

21. ყოველთვის მყოფნის ენერგია, როცა ეს მჭირდება:

a) დიახ;
b) ძნელი სათქმელია;
c) არა.

22. ყველაზე მეტად მალიზიანებენ ადამიანები, რომლებიც:

a) თავიანთი უხამსი ხუმრობებით ადამიანებს აწითლებენ;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) მიქმნიან უხერხულობას იგვიანებენ რა დანაპირებ შეხვედრაზე.

23. ძალიან მსიამოვნებს სტუმრების მოწვევა და მათი გართობა:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

24. ვფიქრობ, რომ:

a) ყველაფერი როდი უნდა გაკეთდეს ერთნაირად გულდასმით;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) ნებისმიერი სამუშაო უნდა გაკეთდეს გულდასმით, თუ მას ხელი მოჰკიდეთ.

25. ყოველთვის მიწევს უხერხულობის დაძლევა:

a) დიახ;
b) შესაძლოა;
c) არა.

26. მეგობრები ხშირად:

a) მეკითხებიან რჩევას;
b) ერთსაც და მეორესაც ერთნაირად აკეთებენ;
c) რჩევებს მაძლევენ.

27. თუ მეგობარი მატყუებს წვრილმანებში, უფრო ვიღებ ისეთ სახეს, რომ ეს არ შემიმჩნევია, ვიდრე გამხელ მას:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

28. მომწონს მეგობარი:

a) რომლის ინტერესებსაც გააჩნია საქმიანი და პრაქტიკული ხასიათი;
b) არ ვიცი;
c) რომელიც გამოირჩევა კარგად გააზრებული შეხედულებებით ცხოვრებაზე.

29. არ შემიძლია გულგრილად მოვისმინო, როგორ გამოთქვამენ სხვა ადამიანები იმათ საპირისპირო აზრებს, რომლებისაც მტკიცედ მწამს:

a) სწორია;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) არაა სწორი.

30. მაღელვებს ჩემი წარსული შეცდომები და ქცევები:

a) დიახ;
b) არ ვიცი;
c) არა.

31. ერთნაირად კარგად რომ შემეძლოს ესეც და ისეც, უპირატესობას მივანიჭებდი:

a) ჭადრაკის თამაშს;
b) მიჭირს რაიმეს თქმა;
c) ქალაქობანას თამაშს.

32. მომწონს გულღია, გულისხმიერი ადამიანები:

a) დიახ;
b) არ ვიცი;
c) არა.

33. იმდენად ფრთხილი და პრაქტიკული ვარ, რომ ნაკლები არასასიამოვნო მოულოდნელობები მხვდება, ვიდრე სხვა ადამიანებს:

a) დიახ;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) არა.

34. შემიძლია დავიწყო საზრუნავი და ვალდებულებები, როცა მჭირდება:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

მეორე სვეტის დასასრული პასუხების ბლანკში

35. მიძნელდება იმის აღიარება, რომ არასწორი ვარ:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

36. საწარმოში ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდა:

a) მანქანებთან და მექანიზმებთან მუშაობა და ძირითადად წარმოებაში მონაწილეობის მიღება;
b) ძნელი სათქმელია;
c) ადამიანებთან საუბარი, საზოგადოებრივი მუშაობა.

37. რომელი სიტყვა არ უკავშირდება დანარჩენ ორს:

a) კატა;
b) ახლოს;
c) მზე.

38. ის, რაც გარკვეულწილად ფანტავს ჩემს ყურადღებას:

a) მაღიზიანებს;
b) რაღაც საშუალო;
c) სრულიადაც არ მაღელვებს.

39. ბევრი ფული რომ მქონდეს:

a) ვიზრუნებდი იმაზე, რომ არ გამომეწვია შური ჩემდამი;
b) არ ვიცი;
c) ვიცხოვრებდი ყოველგვარი შებოჭვის გარეშე.

40. ჩემთვის ყველაზე ცუდი სასჯელია:

a) მძიმე საშუშაო;
b) არ ვიცი;
c) ვიყო მარტოობაში ჩაკეტილი

41. ადამიანებმა ამჟამინდელზე უფრო მეტად უნდა მოითხოვონ მორალის კანონების დაცვა:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

42. მეუბნებოდნენ, რომ ბავშვობაში ვიყავი:

a) მშვიდი და მიყვარდა მარტო დარჩენა;
b) არ ვიცი;
c) ცოცხალი და მოძრავი.

43. მომწონებოდა პრაქტიკული ყოველდღიური მუშაობა სხვადასხვა დანადგარებთან და მანქანებთან:

a) დიახ;
b) არ ვიცი;
c) არა.

44. ვფიქრობ, რომ მოწმეების უმრავლესობა ამბობს სიმართლეს, თუნდაც, თუ ეს მათთვის ადვილი არა:

a) დიახ;
b) ძნელი სათქმელია;
c) არა.

45. ზოგჯერ ვერ გადამიწყვეტია ცხოვრებაში საკუთარი იდეების გატარება, რადგანაც ისინი განუხორციელებლად მეჩვენება:

a) სწორია;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) არაა სწორი.

46. ვცდილობ ხუმრობებზე ვიცინო არა ისე ხმამაღლა, როგორც ამას ადამიანთა უმრავლესობა აკეთებს:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

47. არასდროს არ ვგრძნობ თავს ისე უხერხულად, რომ ტირილი მინდოდეს:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

48. მუსიკაში ვტკბები:

a) მარშებით სამხედრო ორკესტრების შესრულებით;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

49. უპირატესობას მივანიჭებდი ზაფხულის 2 თვის გატარებას:

a) სოფელში 1 ან 2 მეგობართან ერთად;
b) მიჭირს თქმა;
c) ტურისტულ ბანაკში ჯგუფის ხელმძღვანელად.

50. გეგმების შედგენაზე დახარჯული ძალისხმევა:

a) არასდროს არაა ზედმეტი;
b) ძნელი სათქმელია;
c) არ ღირს ამად.

51. ჩემს მიმართ ნაცნობების მიერ გამოთქმული გამონათქვამები და დაუფიქრებელი ქცევები არ მაწუხებს და არ მწყინს:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

მესამე სვეტის დასასრული პასუხების ბლანკში

52. როცა ყველაფერი გამომდის, ეს საქმეები მარტივი მეჩვენება:

a) ყოველთვის;
b) ზოგჯერ;
c) იშვიათად.

53. უმჯობესია ვიმუშაო:

a) დაწესებულებაში, სადაც მომიწევს ადამიანების ხელმძღვანელობა და ყოველთვის მათ შორის ყოფნა;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) არქიტექტორად, რომელიც მყუდრო ოთახში ამუშავებს თავის პროექტს.

54. სახლი ისე უხდება ოთახს, როგორც ხე:

a) ტყეს;
b) მცენარეს;
c) ფურცელს.

55. ის, რასაც ვაკეთებ არ გამომდის:

a) იშვიათად;
b) ზოგჯერ;
c) ხშირად.

56. საქმეების უმრავლესობაში:

a) უპირატესობას ვანიჭებ გარისკვას;
b) არ ვიცი;
c) უპირატესობას ვანიჭებ უეჭველობას.

57. როგორც ჩანს, ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ საკმაოდ ბევრს ვამბობ:

a) ეს უფრო ასეა;
b) არ ვიცი;
c) ვფიქრობ, რომ არა.

58. უფრო მომწონს ადამიანი:

a) დიდი ჭკუის, თუნდაც ის არასაიმედო და არამუდმივი იყოს;
b) ძნელი სათქმელია;
c) საშუალო უნარებით, მაგრამ სამაგიეროდ, რომელსაც შეუძლია ყველა ცდუნებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

59. გადაწყვეტილებებს ვიღებ:

a) უფრო სწრაფად, ვიდრე მრავალი ადამიანი;
b) არ ვიცი;
c) უფრო ნელა, ვიდრე ადამიანების უმრავლესობა.

60. ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს:

a) ოსტატობა და დახვეწილობა;
b) ძნელი სათქმელია;
c) ძალა და სიძლიერე.

61. ვთვლი, რომ თანამშრომლობისადმი მიდრეკილი ადამიანი ვარ:

a) დიახ;
b) რაღაც საშუალო;
c) არა.

62. უფრო მეტად მომწონს დახვეწილ, ფაქიზ ადამიანებთან საუბარი, ვიდრე გულღიებთან და სწორსაზოვნებთან:

a) დიახ;
b) არ ვიცი;
c) არა.

63. უპირატესობას ვანიჭებ.

a) პირადად ჩემთან დაკავშირებული საკითხები გადაეჭრა თავად;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) მეგობრებისთვის რჩევის კითხვას.

64. თუ ადამიანი არ მპასუხობს უმალვე, როცა მას რამეს ვეტყვი, ვგრძნობ, რომ ვთქვი რაღაც სისულელე:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არა სწორი.

65. სკოლის წლებში ყველაზე მეტი ცოდნა მივიღე:

a) გაკვეთილებზე;
b) ძნელი სათქმელია;
c) წიგნების კითხვისას.

66. თავს ვარიდებ საზოგადოებრივ სამუშაოსა და ამასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას:

a) სწორია;
b) ზოგჯერ;
c) არაა სწორი.

67. როცა გადასაწყვეტი საკითხი ძალიან რთულია და ჩემგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ვცდილობ:

a) დაეკავდე სხვა საკითხით;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) კიდევ ერთხელ ვცადო ამ საკითხის გადაწყვეტა.

68. მიჩნდება ძლიერი ემოციები: შფოთვა, მრისხანება, სიცილის შეტევა და ა.შ. თითქოსდა, გარკვეული მიზეზების გარეშე:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

მეოთხე სვეტის დასასრული პასუხების ბლანკში

69. ზოგჯერ, ჩვეულებრივზე უფრო ცუდად ვაზროვნებ:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

70. მსჯელობას ადამიანისთვის სამსახურის გაწევა მასთან შეხვედრაზე იმ დროს მისვლის დათანხმებით, როცა ეს მისთვისაა მოსახერხებელი, თუნდაც ეს ჩემთვის გარკვეულწილად არასასურველია:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

71. ვფიქრობ, რომ სწორი რიცხვი, რომელმაც უნდა გააგრძელოს რიგი 1, 2, 3, 5, 6 – იქნება:

a) 10;
b) 5;
c) 7.

72. ზოგჯერ მაქვს მცირეხნიანი გულისრევები და თავბრუსხვევები გარკვეული მიზეზების გარეშე:

a) დიახ;
b) არ ვიცი;
c) არა.

73. უმჯობესია უარი ვთქვა ჩემს შეკვეთაზე, ვიდრე ოფიციანტს ზედმეტი შეშფოთების საგანი მივცე:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

74. ვცხოვრობ დღევანდელი დღით უმეტესად, ვიდრე სხვა ადამიანები:

a) სწორია;
b) ძნელი სათქმელია;
c) არაა სწორი.

75. სალამოზე მომწონს:

a) მონაწილეობის მიღება სასიამოვნო საუბარში;

b) მიჭირს პასუხის გაცემა;

c) დაეთვალიერო, როგორ ისვენებენ ადამიანები და უბრალოდ დავისვენო თვითონაც.

76. გამოვთქვამ საკუთარ აზრს იმის მიუხედავად, თუ რამდენი ადამიანი შეეწინააღმდეგება მის მოსმენას:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

77. წარსულში მოხვედრა რომ შემეძლოს, ყველაზე მეტად ვისურვებდი შეხვედრას:

a) კოლუმბთან;
b) არ ვიცი;
c) პუშკინთან.

78. იძულებული ვარ თავი შევიკავო იმისგან, რომ არ მოვაგვარო სხვათა საქმეები:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

79. მაღაზიაში მუშაობისას, უპირატესობას მივანიჭებდი:

a) ვიტრინების გაფორმებას;
b) არ ვიცი;
c) ვიყო მოლარე.

80. თუ ადამიანები ჩემზე ცუდად ფიქრობენ, არ ვცდილობ მათ გადარწმუნებას და ვაგრძელებ ისე მოქცევას, როგორც საჭიროდ ვთვლი:

a) დიახ;
b) ძნელი სათქმელია;
c) არა.

81. თუ ვხედავ, რომ ჩემი ძველი მეგობარი გაცივდა ჩემთან და თავს მარიდებს, ჩვეულებრივ:

a) უმალ ვფიქრობ: „ცუდ ხასიათზეა";
b) არ ვიცი;
c) ვეღლავ, თუ რა არასწორი საქციელი ჩავიდინე.

82. ყველა უბედურება ხდება იმ ადამიანების გამო:

a) რომლებიც ცდილობენ ყველაფერში შეიტანონ ცვლილებები, თუმცა უკვე არსებობს ამ საკითხების დამაკმაყოფილებელი გადაჭრის ხერხები;
b) არ ვიცი;
c) რომლებიც უარყოფენ ახალ, დიდი იმედის მომცემ წინადადებებს.

83. დიდ სიამოვნებას ვიღებ ადგილობრივი ახალი ამბების მოყოლისგან:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

84. აკურატული, მომთხოვნი ადამიანები ჩემთან ვერ თანხმდებიან:

a) სწორია;
b) ზოგჯერ;
c) არაა სწორი.

85. მიმაჩნია, რომ ნაკლებად გამაღიზიანებელი ვარ, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობა:

a) სწორია;
b) არ ვიცი;
c) არაა სწორი.

მესუთე სვეტის დასასრული პასუხების ბლანკში

86. შემიძლია უფრო ადვილად არ გავუწიო ანგარიში სხვა ადამიანებს, ვიდრე ისინი მე:

a) სწორია;
b) ზოგჯერ;
c) არაა სწორი.

87. ხდება ისე, რომ დილას არავისთან არ მსურს საუბარი:

a) ხშირად;
b) ზოგჯერ;
c) არასდროს.

88. თუ საათის ისრები ერთმანეთს ხვდებიან ზუსტად ყოველი 65 წუთის შემდეგ, რომელიც გაზომილია ზუსტი საათებით, ეს საათი:

a) ჩამორჩება;
b) სწორია;
c) წინ მიდის.

89. მოწყენილი ვარ:

a) ხშირად;
b) ზოგჯერ;
c) იშვიათად.

90. ადამიანები ამბობენ, რომ მომწონს ცელაფერის გაკეთება ჩემებური, ორიგინალური ხერხით:

a) სწორია;
b) ზოგჯერ;
c) არაა სწორი.

91. ვთვლი, რომ საჭიროა ზედმეტი ღელვისთვის

თავის არიდება, რადგანაც ისინი დამღლელია:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

92. სახლში თავისუფალ დროს:

a) ეჭორაობ და ვისვენებ;
b) მიჭირს პასუხის გაცემა;
c) დაკავებული ვარ ჩემთვის საინტერესო საქმეებით.

93. ფრთხილად და მორიდებით ვეკიდები ახალ ადამიანებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

94. ვთვლი, რომ რასაც ადამიანები ლექსებით ამბობენ, შეიძლება ასევე ზუსტად გამოიხატოს პროზით:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

95. ვეჭვობ, რომ ადამიანები, რომლებთანაც მეგობრული დამოკიდებულება მაქვს, შეიძლება სულაც არ აღმოჩნდნენ მეგობრები ჩემს ზურგს უკან:

a) დიახ, უმრავლეს შემთხვევაში;
b) ზოგჯერ;
c) არა, იშვიათად.

96. ვფიქრობ, რომ ყველაზე დრამატული მოვლენებიც კი ერთი წლის შემდეგ ჩემს სულში არანაირ კვალს არ დატოვებს:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

97. ვფიქრობ, რომ საინტერესო იქნებოდა ვიყო:

a) ნატურალისტი და ვიმუშაო მცენარეებთან;
b) არ ვიცი;
c) სადაზღვევო აგენტი.

98. უმიზეზო შიში და სიძულვილი მიპყრობს ზოგიერთი ნივთის, მაგალითად, გარკვეული ცხოველების, ადგილების მიმართ და ა.შ.

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

99. მიყვარს იმაზე მსჯელობა, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი სამყაროს გაუმჯობესება:

a) დიახ;
b) ძნელი სათქმელია;
c) არა.

100. უპირატესობას ვანიჭებ თამაშებს:

a) სადაც საჭიროა გუნდში თამაში ან პარტნიორის ყოლა;
b) არ ვიცი;
c) სადაც ყველა თავისთვის თამაშობს.

101. ღამით ფანტასტიკური ან უცნაური სიზმრები მესიზმრება:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

102. თუ სახლში მარტო ვრჩები, გარკვეული დროის შემდეგ ვგრძნობ შიშსა და შფოთვას:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

მეექვსე სვეტის დასასრული პასუხების ბლანკში.

103. მე შემიძლია მეგობრული დამოკიდებულებით შეცდომაში შევიყვანო ადამიანები, თუმცა სინამდვილეში ისინი როლი მომწონს:

a) დიახ;
b) ზოგჯერ;
c) არა.

104. რომელი სიტყვა არ განეკუთვნება დანარჩენ ორს:

a) ფიქრი;
b) ხედვა;
c) სმენა.

105. თუ მარიას დედა არის ალექსანდრეს მამის და, ვინ არის ალექსანდრე მარიას მამისთვის?

a) ბიძაშვილი;
b) დისწული (ძმისწული);
c) ბიძა.

ფაქტორების ინტერპრეტაცია

A ფაქტორი – „ჩაკეტილობა – გულღიაობა“

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი ხასიათდება არაგულღიაობით, ჩაკეტილობით, გარკვეული რიგიდულობითა და ზედმეტი სიმკაცრით ადამიანების შეფასებაში. ის სკეპტიკურადაა განწყობილი, ცივია გარშემომყოფებთან მიმართებაში, უყვარს მარტოობაში ყოფნა, არ ყავს ახლო მეგობრები, რომლებთანაც შეუძლია იყოს გახსნილი.

მაღალი შეფასებების დროს ადამიანი გახსნილი და გულკეთილი, გულღიაა. მას ახასიათებს ბუნებრიობა და ძალდაუტანებლობა ქცევაში, ჯურაღღება, სიკეთე, გულჩვილობა ურთიერთობებში. ის სიამოვნებით მუშაობს ადამიანებთან, აქტიურია კონფლიქტების მოგვარებაში, მიმნდობია, არ ეშინია კრიტიკის, განიცდის მკაფიო ემოციებს, ცოცხლად რეაგირებს ნებისმიერ მოვლენებზე.

მთლიანად, ფაქტორი ორიენტირებულია მცირე ჯგუფებში ადამიანის გულღიაობის გაზომვაზე.

B ფაქტორი — ინტელექტი

დაბალი შეფასებების დროს ადამიანს ახასიათებს კონკრეტულობა და აზროვნების გარკვეული რიგიდულობა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს აზროვნების ემოციურ დეზორგანიზაციას. მაღალი შეფასებების დროს შეინიშნება აზროვნების აბსტრაქტულობა, საზრიანობა და სწრაფი შესწავლის უნარი. არსებობს გარკვეული კავშირი ვერბალური კულტურის დონესთან და ერუდიციასთან.

C ფაქტორი — „ემოციური არამდგრადობა — ემოციური მდგრადობა“

დაბალი შეფასებების დროს გამოხატულია დაბალი ტოლერანტობა ფრუსტრაციის მიმართ, გრძნობებზე დამოკიდებულება, ინტერესთა ცვლადობა, მიდრეკილება განწყობილების ლაბილობის მიმართ, გაღიზიანებულობა, დაღლადობა, ნევროტული სიმპტომები, იპოქონდრია.

მაღალი შეფასებების დროს ადამიანი თაუშეკავებული, შრომისუნარიანი, ემოციურად მომწიფებული, რეალისტურად განწყობილი. მას უკეთ შეუძლია მიჰყვეს ჯგუფის მოთხოვნებს, ხასიათდება ინტერესთა მუდმივობით. მას არ გააჩნია ნერვული დაღლა.

უკიდურეს შემთხვევებში ადგილი შეიძლება ჰქონდეს ემოციურ რიგიდულობას და არამგრძნობიარობას. ზოგიერთი ნაშრომის მიხედვით ფაქტორი უკავშირდება ნერვული სისტემის ძალას, ლაბილობას და შეფერხების პროცესის სიჭარბეს.

E ფაქტორი — „დაქვემდებარებულობა — დომინანტურობა“

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი მორცხვია, მიდრეკილია გზა დაუთმოს სხვა ადამიანს. ის ხშირად დამოკიდებულია, საკუთარ თავზე იღებს დანაშაულს, შფოთავს თავის შესაძლო შეცდომებზე. მას ახასიათებს ტაქტიკურობა, უსიტყვობა, თავაზიანობა, დამორჩილება სრულ პასიურობამდე.

მაღალი შეფასებების დროს ადამიანი ძალაუფლებისმოყვარეა, დამოუკიდებელია, დარწმუნებულია საკუთარ თავში, ჯიუტია აგრესიულობამდე. ის დამოკიდებულია მსჯელობებსა და ქცევაში, მიდრეკილია თავის აზრი კანონად ჩათვალოს მისთვის და გარშემომყოფებისთვის. კონფლიქტებში ბრალს დებს სხვებს, არ აღიარებს ძალაუფლებასა და ზეწოლას სხვათა მხრიდან, უპირატესობას ანიჭებს მართვის ავტორიტარულ სტილს, მაგრამ იბრძვის უფრო მაღალი სტატუსისთვისაც; კონფლიქტურია, თავისებურია.

F ფაქტორი — „თავშეკავებულობა — ექსპრესიულობა“

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი ხასიათდება კეთილგონიერებით, სიფრთხილით, საზრიანობით, სიტყვაძვირობით. მისთვის დამახასიათებელია ყველაფრის გართულება, გარკვეული შეშფოთება, პესიმისტურობა სინამდვილის აღქმაში. ღელავს მომავალზე, ელოდება წარუმატებლობებს. გარეშემომყოფებს ის ეჩვენება მოსაწყენი, უსიცოცხლო და ზედმეტად თავდაჭერილი.

მაღალი შეფასებების დროს ადამიანი სიცოცხლის მოყვარულია, იმპულსურია, უდარდელია, მხიარულია, მოსაუბრეა, მობრავია, ენერგიულია, მისთვის სოციალური კონტაქტები ემოციურად მნიშვნელოვანია. ის ექსპანსიურია, გულწრფელია ადამიანებს შორის ურთიერთობებში. ემოციურობა, ურთიერთობის დინამიკურობა იწვევს იმას, რომ ის ხშირად ხდება ლიდერი და ენთუზიასტი ჯგუფურ საქმიანობაში, მას სჯერა წარმატების.

მთლიანად, ამ ფაქტორით შეფასება ასახავს ურთიერთობის დინამიკურობასა და ემოციურ შეფერილობას.

G ფაქტორი — „გრძნობებისადმი დაქვემდებარება — ქცევის მაღალი ნორმატიულობა“

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი მიდრეკილია არამუდმიობისკენ, ექცევა შემთხვევისა და გარემოებების გავლენის ქვეშ. არ იყენებს ძალისხმევას ჯგუფური მოთხოვნებისა და ნორმების შესრულების მხრივ. ის ხასიათდება უპრინციპობით, არაორგანიზებულობით, უპასუხისმგებლობით, მოქნილი შეხედულებებით სოციალურ ნორმებთან დაკავშირებით. ნორმებისგან გავლენის თავისუფლებამ შეიძლება გამოიწვიოს ანტისოციალური ქცევა.

მაღალი შეფასებების დროს შეინიშნება ქცევის ნორმებისა და წესების გაცნობიერებული დაცვა, შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში, სიზუსტე, პასუხისმგებლობა, საქმიანი მიმართულება.

მთლიანად, ფაქტორი განსაზღვრავს, თუ რა საზომით არეგულირებენ სხვადასხვა ნორმები და აკრძალვები ადამიანის ქცევასა და დამოკიდებულებებს.

H ფაქტორი — „გაუბედაობა — გაბედულება"

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი მორცხვია, არაა დარწმუნებული საკუთარ ძალებში, თავშეკავებულია, მორცხვია, უპირატესობას ანიჭებს ჩრდილში ყოფნას. დიდ საზოგადოებას მას ურჩევნია 1-2 ადამიანი, მეგობარი. გამოირჩევა საშიშროებისადმი მაღალი მგრძნობელობით.

მაღალი შეფასებების დროს ადამიანს ახასიათებს სოციალური გაბედულება, აქტიურობა, საქმის უცნობ გარემოებებთან და ადამიანებთან დაჭერის მზადყოფნა. ის მიდრეკილია რისკისკენ, თავი თავისუფლად უჭირავს. მთლიანად, ფაქტორი განსაზღვრავს რეაქტიულობას სოციალურ სიტუაციებში საფრთხეზე და განსაზღვრავს აქტიურობის ხარისხს სოციალურ კონტაქტებში.

I ფაქტორი — „გულქვაობა მგრძნობელობა"

დაბალი შეფასებების დროს ადამიანს ახასიათებს სიმამაცე თავდაჯერებულობა, განსჯადობა, მხედველობათა რეალისტურობა, პრაქტიკულობა, გარკვეული სიმკაცრე,სიკუშტე,გარშემომყოფთათვის გულქვა დამოკიდებულება.

მაღალი შეფასებების დროს შეინიშნება სირბილე, მდგრადობა, დამოკიდებულება, სწრაფვა მფარველობისაკენ, რომანტიზმისკენ მიდრეკილება, ნატურის არტისტულობა, ქალურობა, სამყაროს აღქმის მხატვრულობა. შეიძლება ვისაუბროთ სიმპატიისადმი, თანაგრძნობისადმი, თანაგანცდისა და გაგებისაკენ მიდრეკილებაზე სხვა ადამიანებთან მიმართებაში.

L ფაქტორი — „მიმნდობელობა — ეჭვიანობა"

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი ხასიათდება გულღიაობით, მიმნდობელობით, ადამიანი თავისუფალია შურისგან, ადვილად ამყარებს ადამიანებთან ურთიერთობას და კარგად მუშაობს კოლექტივში.

მაღალი შეფასებების დროს ადამიანი ეჭვიანია, შურიანია, ხასიათდება ეჭვიანობით, მას ახასიათებს დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე. მისი ინტერესები მიმართულია საკუთარ თავზე, ის ჩვეულებრივ ფრთხილია თავის ქცევებში, ეგოცენტრულია.

მთლიანად, ფაქტორი მეტყველებს ადამიანებისადმი ემოციურ დამოკიდებულებაზე.

M ფაქტორი — „პრაქტიკულობა — განვითარებული წარმოსახვა"

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი წარმოადგენს პრაქტიკულს, კეთილსინდისიერს. ის ორიენტირებულია გარე რეალობაზე და მისდევს საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, მისთვის დამახასიათებელია გარკვეული შეზღუდულობა და ზედმეტი ყურადღება წვრილმანების მიმართ. მაღალი შეფასებების დროს შესაძლებელია ვისაუბროთ შინაგან სამყაროზე ორიენტირებულ განვითარებულ წარმოსახვაზე, ადამიანის შემოქმედებით პოტენციალზე.

N ფაქტორი — „სწორხაზოვნება — დიპლომატიურობა"

დაბალი შეფასებების დროს ადამიანს ახასიათებს სწორხაზოვნება, გულუბრყვილობა, ბუნებრიობა, უშუალობა ქცევაში. მაღალი შეფასებების დროს ადამიანი ხასიათდება ანგარიშიანობით, გამჭრიახობით, გონიერული და სენტიმენტალური მიდგომით მოვლენებისა და გარშემომყოფები ადამიანების მიმართ.

O ფაქტორი — „საკუთარ თავში დარწმუნებულობა — შფოთვა"

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი უშფოთველია, ცივია, მშვიდია, დარწმუნებულია საკუთარ თავში. მაღალი შეფასებების დროს ადამიანს ახასიათებს შფოთვა, დეპრესიულობა, შთამბეჭდაობა, გულჩვილობა.

Q_1 ფაქტორი — „კონსერვატიზმი — რადიკალიზმი"

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი ხასიათდება კონსერვატიულობით, მდგრადობით ტრადიციული სირთულეების მიმართ, მან იცის, თუ რისი უნდა სჯეროდეს და რაზე პრინციპების სისუსტის მიუხედავად, არ ეძებს ახალს, ეჭვით უყურებს ახალ იდეებს, მიდრეკილია მორალიზაციისა და დარიგებისკენ. ის ეწინააღმდეგება ცვლილებებს და არ ინტერესდება ანალიტიკური და ინტელექტუალური შეხედულებებით.

მაღალი შეფასებების დროს ადამიანი კრიტიკულადაა განწყობილი, ხასიათდება ინტელექტუალური ინტერესების არსებობით, ანალიტიკური აზროვნებით, ცდილობს იყოს კარგად ინფორმირებული. ის უფრო მიდრეკილია ექსპერიმენტირებისკენ, მშვიდად აღიქვამს ახალ, დროში არაგამძლე შეხედულებებსა და ცვლილებებს, არ ენდობა აუტორიტეტებს, სარწმუნოდ არაფერს იღებს.

Q_2 ფაქტორი — „კონფორმიზმი — ნონკონფორმიზმი"

დაბალი შეფასებების დროს ადამიანი დამოკიდებულია ჯგუფზე, მისდევს საზოგადოებრივ აზრს, უპირატესობას ანიჭებს მუშაობასაც და გადაწყვეტილებების მიღებასაც სხვა ადამიანებთან ერთად, ორიენტირებულია სოციალურ მოწონებაზე. ამასთან, მას ხშირად არ გააჩნია გადაწყვეტილებების მიღების ინიციატივა.

მაღალი შეფასების დროს ადამიანი უპირატესობას ანიჭებს საკუთარ გადაწყვეტილებებს, დამოუკიდებელია, მიდის მის მიერ არჩეულ გზაზე, თავად იღებს გადაწყვეტილებებს და მოქმედებს, თუმცა, ის ყოველთვის არაა დომინანტური ე.ი. გააჩნია რა საკუთარი აზრი, ის არ ცდილობს თავს მოახვიოს გარშემომყოფებს.

არ შეიძლება ითქვას, რომ მას არ უყვარს ადამიანები, უბრალოდ მას არ სჭირდება მათი მოწონება და მხარდაჭერა.

Q_3 ფაქტორი – „დაბალი თვითკონტროლი – მაღალი თვითკონტროლი"

დაბალი შეფასებების დროს შეინიშნება არადისციპლინირებულობა, საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენების შიდა კონფლიქტურობა, ადამიანი არაა აღიარებული სოციალური მოთხოვნების შესრულებით.

მაღალი შეფასებების დროს – განვითარებული თვითკონტროლი, სოციალური მოთხოვნების შესრულების სიზუსტე. ადამიანი მისდევს საკუთარ წარმოდგენას საკუთარი თავის შესახებ, კარგად აკონტროლებს თავის ემოციებსა და ქცევას, ყოველგვარი საქმე ბოლომდე მიჰყავს. მისთვის დამახასიათებელია პიროვნების მიზანმიმართულობა და ინტეგრირებულობა. ქცევის სოციალური ნორმატიულობისგან (G ფაქტორი) განსხვავებით ეს ფაქტორი ზომავს ქცევის შიდა კონტროლის დონეს.

Q_4 ფაქტორი – „მოდუნებულობა – დაძაბულობა"

დაბალი შეფასებების დროს ადამიანს ახასიათებს მოდუნებულობა, უსიცოცხლობა, სიმშვიდე, დაბალი მოტივაცია, სიზარმაცე, ზედმეტი კმაყოფილება და აუღელვებლობა.

მაღალი შეფასებას მოწმობს დაძაბულობაზე, ფრუსტრირებულობაზე, აღელვებულობაზე, აგზნებისა და შფოთვის არსებობაზე. ფრუსტრაციის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ადამიანი წარმოადგენს მაღალი მოტივაციის შედეგს. მისთვის დამახასიათებელია მისწრაფებების აქტიური დაუკმაყოფილებლობა.

MD ფაქტორი – „თვითშეფასების აქტუალურობა"

რაც უფრო მაღალია ამ ფაქტორის მიხედვით შეფასება, მით უფრო მეტად ახასიათებს ადამიანს საკუთარი შესაძლებლობების ამაღლება და საკუთარი თავის გადაფასება.

პიროვნული ფაქტორებისა და მათი ურთიერთკავშირების შინაარსის თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს ფაქტორთა შემდეგი ბლოკები.

1. ინტელექტუალური თავისებურებები: B, M, Q_1 ფაქტორები.

2. ემოციურ-ნებელობითი თავისებურებები: C, G, I, O, Q_3, Q_4 ფაქტორები.

3. კომუნიკაციური თვისებები და პიროვნებათშორისი ურთიერთქმედების თავისებურებები: A, H, F, E, Q_2, N, L ფაქტორები

მოცემული მეთოდიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ჯგუფში, ასევე ინდივიდუალურად, როგორც სხვა მეთოდიკებთან ბლოკში, ასევე იზოლირებულად. თვისობრივი და საპროგნოზო ინტერპრეტაციისთვის ექსპერიმენტატორს სჭირდება მეთოდიკასთან მუშაობის გარკვეული გამოცდილება.

პასუხების ბლანკი



გასაღები



მინესოტას მრავალგანზომილებიანი პიროვნული კითხვარი (MMPI)

MMPI შემოთავაზებულია ამერიკელი ფსიქოლოგების მიერ 1940-1950 წ.წ. MMPI ადაპტაცია ჩვენს საბჭოთა კავშირში მოხდა 1960-იან წლებში ვ.ნ. ბეხტერევის სახელობის ინსტიტუტში ფ.ბ. ბერეზინისა და მ.პ. მიროშნიკოვის მიერ.

კითხვარის ტექსტი

1. მომწონს ტექნიკის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალები
2. კარგი მადა მაქვს.
3. ხშირად, სპორტული ვარჯიშის შემდეგაც კი, დილით მხნე და დასვენებული ვიღვიძებ.
4. ვფიქრობ, რომ მომიხდებოდა მუშაობა ბიბლიოთეკაში.
5. ადვილად ვიღვიძებ ხმაურისგან.
6. გაზეთებში მიყვარს ფელეტონები და შენიშვნები შემთხვევების შესახებ.
7. ჩვეულებრივ (სპორტული ვარჯიშებით დაკავების გარდა) ჩემი ხელები და ფეხები თბილია.
8. ჩემი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა საინტერესო საქმეებით.
9. ახლა თითქმის ისევე შრომისუნარიანი ვარ, როგორც ყოველთვის.
10. საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ ხშირად ვგრძნობ ყელში ბურთის მოწოლას.
11. ხშირად ვიხსენებ სიზმრებს, რადგანაც ისინი მიხდება.
12. მომწონს დეტექტიური მოთხრობები და საიდუმლო ისტორიები.
13. ჩვეულებრივ დიდი დაძაბულობით ვვარჯიშობ.
14. თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად ფაღარათი მაქვს.
15. ზოგჯერ თავში ისეთი ცუდი აზრები მაქვს, რომ უმჯობესია არც კი ვისაუბრო მათზე.
16. მიმაჩნია, რომ სპორტულ ცხოვრებაში ჩვეულებრივ არ მიმართლებს.
17. მამაჩემი კარგი ადამიანია.
18. იშვიათად მაწუხებს ყაბზობა.
19. როცა ახალ სპორტულ გუნდში გადავდივარ, მაინტერესებს, თუ ვინაა კიდევ პრეტენდენტი ამ ადგილზე.
20. ჩემი სქესობრივი ცხოვრება მაკმაყოფილებს.
21. დროდადრო მაქვს სიცილისა და ტირილის შეტევები, რომელთაც ვერ ვიკავებ.
23. ზოგჯერ მაწუხებს პირღებინებისა და გულისრევის შეტევები.
24. სპორტულ გუნდში არც ერთ მეგობარს და მწვრთნელსაც კი არასდროს შეუძლია გამიგოს.
25. მსურს მომღერალი ვიყო.
26. ვიცი, რომ უმჯობესია არაფერი ეთქვა, როცა აღელვებული ვარ.
27. ზოგჯერ მინდა, რომ გუნდში ამხანაგებმა წააგონ შეჯიბრებების დროს, თუმცა არ ვიცი, რატომ მინდა ეს.
28. როცა ვინმე ბოროტად მექცევა, ვგრძნობ, რომ უნდა გადაეუხადო მას სამაგიერო იმავე პრინციპით.
29. კეირაში რამოდენიმეჯერ გულძმარეა მაქვს.
30. დროდადრო მინდა გამოვლანძღო მწვრთნელი, თუმცა, ის პრინციპში ამის საბაბს არ მაძლევს.
31. ხშირად ღამის კოშმარები მაწუხებს.
32. ვთვლი, რომ მიძნელდება კონცენტრირება რომელიმე საკარჯიშოზე ან საკარჯიშო დავალებაზე.
33. მჭონდა ძალიან უცნაური და თავისებური განცდები, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ.
34. ძალიან ხშირად ვახველებ.
35. წინააღმდეგობას რომ არ მიწევდნენ, გაცილებით დიდ წარმატებებს მივაღწეველი სპორტში.
36. იშვიათად ვღელავ საკუთარ ჯანმრთელობაზე.
37. არასდროს არ მქონია უსიამოვნებები ჩემი ქცევის გამო, რომელიც უკავშირდებოდა სქესობრივ (სექსუალურ) ცხოვრებას.
38. ბავშვობაში ერთხანს პატარა ქურდობებს ჩავდიოდი.
39. ხდება ისე, რომ მიჩნდება სურვილი გუნდში კონფლიქტი წარმოვშვა.
40. ვისურვებდი დროის დიდი ნაწილი ვმჯდარიყავი და მეოცნება, ვიდრე რაიმე სხვათი ვყოფილიყავი დაკავებული.
41. მჭონდა პერიოდები, როცა მთელი დღეები, კვირეები ან თვეები არაფერი შემეძლო გამეკეთებინა, რადგანაც თავის საქმეში ჩართვას ვერ ვახერხებდი.
42. ოჯახის წევრებს არ მოსწონთ, როცა სპორტით ვარ დაკავებული.
43. მშფოთვარე და წყეტილი ძილი მაქვს.
44. თითქმის ყოველთვის მტკივა თავი.
45. ყოველთვის როდი ვამბობ სიმართლეს.
46. სპორტული მსაჯი რომ ვიყო, შეცდომებს არ დავუშვებდი.
47. კეირაში ერთხელ ან უფრო ხშირად ხილული მიზეზების გარეშე მოულოდნელად ვგრძნობ სიცხეს მთელს ტანში.

48. როცა ადამიანებს შორის ვიმყოფები, შეშფოთებული ვარ იმით, რომ ძალიან უცნაური რამეები მესმის.

49. უკეთესი იქნებოდა, რომ შეჯიბრების წესები თითქმის არაფერში არ ზღუდავდეს სპორტულ ინიციატივას.

50. ზოგჯერ ეგრძნობ, რომ ეკვდები.

51. ფიზიკურად თავს ისე კარგად ეგრძნობ, როგორც უნარიანი სპორტსმენები.

52. ხშირად გვერდს ვუელი ჩემს ამხანაგებს გუნდში, თუ ისინი პირველები არ გამომელაპარაკებიან.

53. მჯერა სასწაული განკურნების.

54. მოეწონავარ ადამიანების უმრავლესობას, რომლებიც მიცნობენ.

55. ჩვეულებრივ არ მაწუხებს ტკივილები გულსა და გულმკერდში.

56. ბევრჯერ მჭონია კონფლიქტები ამხანაგებთან გუნდში, მწვრთნელთან, თუმცა არაფერში ვიყავი დამნაშავე.

57. მე გულღია ადამიანი ვარ, ამას ჩემი მწვრთნელი აღნიშნავს.

58. კარგ ამინდში ჩვეულებრივ განწყობილება მიუმჯობესდება.

59. ხშირად მიწევს მწვრთნელებისგან განკარგულებების მოსმენა, რომლებიც სპორტში ჩემზე ნაკლებად ერკვევიან.

60. გაზეთებში ყოველთვის არ ვკითხულობ მოწინავეებს.

61. ცხოვრების სწორი წესი არ მჭონია.

62. ჩემი სხეულის სხვადასხვა ნაწილში ხშირად ვგრძნობ ჟრუანტელს, წვას, გაშეშებას.

63. სირთულეს არ განვიცდი დეფეკაციის დროს.

64. ზოგჯერ ისე დავიჟინებ რამეს, რომ ამხანაგები სპორტულ გუნდში რისხდებიან, თუმცა მე მართალი ვარ.

65. მიყვარს მამაჩემი.

66. ზოგჯერ ჩემს ირგვლივ ვხედავ ადამიანებს, მხეცებსა და საგნებს, რომელთაც სხვები ვერ ხედავენ.

67. მსურს ისეთივე კმაყოფილი ვიყო ჩემი ცხოვრებით, როგორც არიან კმაყოფილნი სხვები.

68. თითქმის არ მაქვს ტკივილები კეფის არეში.

69. ზოგჯერ მიზიდავენ ჩემივე სქესის ადამიანები.

70. მომწონს გუნდში ამხანაგებისადმი ჩემი განწყობის გამოთქმა.

71. ვფიქრობ, რომ ადამიანები ხშირად ამუქებენ თავიანთ უბედურებებს იმისთვის, რომ გამოიწვიონ თანაგრძნობა და მიიღონ დახმარება.

72. ხშირად მაწუხებს უსიამოვნო შეგრძნებები კუჭის არეში.

73. შემეძლო ვყოფილიყავი დიდი სპორტსმენი, რომ არა სხვადასხვა გარემოება და არაკეთილმოსურნეთა მიერ ხელის შეშლა.

74. ხშირად მინდოდა ქალად ყოფნა. (ხოლო თუ ქალი ხართ, არასდროს არ გინანიათ ეს?).

75. დროდადრო ვარ აჟი და გაღიზიანებული.

76. დროის დიდი ნაწილი დათრგუნულ განწყობილებაზე ვარ.

77. მიყვარს კითხვა სიყვარულზე.

78. მიყვარს პოეზია.

79. არანაირი არაობიექტური სპორტული მსაჯი ვერ გამომიყვანს წყობიდან.

80. ზოგჯერ ცხოველებს ვაწვალებ.

81. ვფიქრობ, რომ მომეწონებოდა ტყის მცველის სამუშაო.

82. ადვილია ჩემი კამათში მოგება.

83. თითოეულს, ვინც უნარიანია და ვისაც სურს გულმოდგინედ შრომა ვარჯიშებზე, შეუძლია ბევრის მიღწევა სპორტში.

84. ვამჩნევ, რომ ხშირად შეჯიბრებებზე იქმნება სიტუაციები, როცა ადვილია წარმატების იმედის დაკარგვა, თუმცა ბევრიც ვივარჯიშე.

85. დროდადრო ისე ძლიერ მიზიდავს სხვისი ხელთათმანები, ტუფლები და სხვა ნივთები, რომ ძალიან მინდა მათი დაუფლება, თუმცა ისინი არ მჭირდება.

86. შეჯიბრებებზე არ მაქვს ჩვეულებრივ დამაჯერებლობა, თუმცა ბევრს და შეუპოვრად ვვარჯიშობდი.

87. მსურს ყვავილების სპეციალისტი ვიყო.

88. ვფიქრობ, რომ სიცოცხლე იმად ღირს, რომ იცოცხლო.

89. საჭიროა საკმაოდ დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომ ადამიანთა უმრავლესობა ჭეშმარიტებაში დარწმუნდეს.

90. ხდება ისე, რომ ხვალისთვის გადავდებ იმას, რაც უნდა გაკეთდეს დღეს.

91. არ ვბრაზდები, თუ ჩემზე ხუმრობენ.

92. ვისურვებდი ვიყო მედდა (მედძმა).

93. ვთვლი, რომ მრავალი ადამიანი არ შეიკავებდა თავს სიცრუისგან, ეს რომ ხელსაყრელი იყოს.

94. სპორტულ აზარტში შემიძლია უხეშობა, რაზეც შემდეგ ეწუხვარ.

95. ყოველთვის მზად ვარ მონაწილეობა მივიღო საზოგადოებრივ მუშაობაში ჩვენს სპორტულ კოლექტივში.

96. ძალიან იშვიათად ვჩხუბობ ოჯახის წევრებთან.

97. დროდადრო განვიცდი ძლიერ სურვილს გავაკეთო რაღაც მავნე ან შოკისმომგვრელი.

98. მჯერა, რომ ბოლოსდაბოლოს სამართლიანობა გაიმარჯვებს.

99. მიყვარს, როცა სპორტული წარმატების შემდეგ, მას ბობოქრად აკლნიშნავთ.

100. ყოველთვის შემიძლია თავს ვაიძულო გარკვეული გადაწყვეტილების მიღება.

101. ვთვლი, რომ ქალს უნდა ჰქონდეს ისეთივე თავისუფლება სქესობრივ ურთიერთობებში, როგორც მამაკაცს.

102. შეჯიბრებებზე ყველაზე მეტად მიძნელდება საკუთარ თავთან ბრძოლა.

103. არასდროს ან თითქმის არასდროს არ მაქვს კუნთების კრუნჩხვა ან შეკრთომა.

104. ხშირად გულგრილი ვარ იმის მიმართ, ვიგებთ სპორტულ შეჯიბრებას თუ ვაგებთ.

105. დროდადრო, როცა თავს ცუდად ვგრძნობ, გაღიზიანებული ვარ და შემიძლია ვეუხეშო მწვრთნელს.

106. დროის დიდ ნაწილს თავს ისე ვგრძნობ, რომ თითქოს რაღაც საძაგელი ან დანაშაულებრივი ქმედებაც კი ჩავიდინე.

107. თითქმის ყოველთვის თავს სრულიად ბედნიერად ვგრძნობ.

108. უფრო მეტად მეჩვენება, რომ ჩემი თავი ან ცხვირი რაღაცითაა ამოვსებული.

109. ზოგიერთ მწვრთნელს ისე უყვარს განკარგულებების გაცემა, რომ მინდა პირიქით მოხდეს, თუნდაც ვიცოდე, რომ ისინი მართლები არიან.

110. მწვრთნელებსაც და ამხანაგებსაც ხშირად აქვთ რაღაც ჩემს საწინააღმდეგოდ.

111. არაფერი სარისკო არ გამიკეთებია ჩემს სპორტულ საქმიანობაში მხოლოდ რისკისადმი სიყვარულის გამო.

112. ხშირად აუცილებლად მიმაჩნია ის, რასაც მართებულად ვთვლი.

113. ვთვლი, რომ სპორტული ეთიკის დაცვა სპორტსმენისთვის საეალდებულოს წარმოადგენს.

114. მე მჯერა ჩემი სპორტული მომავლის.

115. თუ აღტაცებული ვარ სპორტული მეტოქით, მზად ვარ წავაგო მასთან პატივისცემის ნიშნად.

116. სპორტული თამაშები მეტ სიამოვნებას მანიჭებენ, როცა სანაძლეო მაქვს დადებული.

117. ვფიქრობ, რომ ადამიანების უმრავლესობა ღირსეულად იქცევა, რამდენადაც ისინი უფრთხილდებიან თავიანთ პრესტიჟს.

118. ხდებოდა ისე, რომ სკოლაში დირექტორთან მიბარებდნენ გაცდენების გამო.

119. ჩემი მეტყველება, თუნდაც ვღელავდე ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივ (არ ხდება დაჩქარებული, არ ნელდება, არ ელინდება გაურკვეველობა).

120. სახლის პირობებში, მაგიდასთან ჩემი მანერები ისეთივე კარგი როდია, როგორც სტუმრად ყოფნისას.

121. ვფიქრობ, რომ ჩემს წინააღმდეგ მწვრთნელებს ხშირად აქვთ ნეგატიური გეგმები, თუმცა არ ვიცი, რატომ.

122. ჩემის აზრით, დაახლოებით ისეთივე უნარიანი და მიხვედრილი ვარ, როგორც ჩემს გარშემო მყოფი ადამიანების უმრავლესობა.

123. ვთვლი, რომ ვიღაც მდევნის.

124. ვფიქრობ, ადამიანთა უმრავლესობა ისარგებლებს რამე უღირსი ხერხით სარგებლის მისაღებად, ვიდრე შეურიგდება მის დაკარგვას.

125. კუჭი ძალიან მაწუხებს.

126. მომწონს დრამატული სპექტაკლები.

127. ვიცი, რომ გუნდში ყოველთვის არის რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავენ.

128. სისხლის დანახვა არ მაშინებს და გული არ მიმდის.

129. ხშირად არ შემიძლია გავიგო, თუ რატომ ვარ ასე გაბრაზებული და ბუზღუნა.

130. არასდროს არ მქონია სისხლიანი პირლებინება და ნახველავი.

131. არ მეშინია, რომ რამე შემეყრება.

132. მიყვარს ყვავილების მოკრეფა და ოთახის ყვავილების გახარება.

133. არასდროს არ მიმიღია თავისთვის უჩვეულო რამის გაკეთების უფლება სქესობრივ ცხოვრებაში.

134. დროდადრო ჩემი აზრები უფრო სწრაფად გაირბენს ხოლმე, ვიდრე მე მათ გადმოცემას შევძლებ.

135. რომ შემეძლოს კინოში ბილეთის გარეშე შესვლა და დარწმუნებული ვიყო, რომ ამას ვერავინ შეამჩნევს, ალბათ, ასეც გავაკეთებდი.

136. ვთვლი, რომ ჩემი ოჯახური ცხოვრება ისევე კარგია, როგორც ჩემი ნაცნობების უმრავლესობის.

137. თუ ვინმე რაღაც უსიამოვნებას მიკეთებს, ჩვეულებრივ ვინტერესდები ამის ფარული მიზეზებით.

138. კრიტიკა ან გაკიცხვა მწვრთნელის მხრიდან ყოველთვის შეურაცხმყოფს.

139. დროდადრო ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ზიანი უნდა მივაყენო საკუთარ თავს ან გარშემომყოფებს.

140. მიყვარს საჭმლის მომზადება.

141. ჩემი სპორტული ქცევა უმეტესად კონტროლდება ჩემს გუნდში მიღებული ნორმებით.

142. დროდადრო თავს გარკვეულად უსარგებლოდ მივიჩნევ.

143. ბავშვობაში შევდიოდი კომპანიაში, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში ერთსულოვნად იყო შეკრული.

144. მინდა ჯარში ვიმსახურო.

145. ხშირად მინდა ჩხუბში ჩაბმა.

146. ძალიან მიყვარს ტურიზმი და ბედნიერი არ ვარ მანამ, სანამ სადმე არ ვიხეტიალებ ან არ ვიმოგზაურებ.

147. ხშირად ბევრს ეკარგავ გაუბედაობის გამო.

148. არ შემიძლია, როცა მომაცდენენ მნიშვნელოვანი საქმისგან.

149. რეგულარულად დღიურს ვაწარმოებდი.

150. თამაშებში უპირატესობას ვანიჭებ მოგებას, ვიდრე წაგებას.

151. ვიღაცას ჩემი მოწამვლა უნდა.

152. ხშირად, როცა ვიძინებ, არანაირი აზრი არ მაწუხებს.

153. ბოლო, რამდენიმე წლის განმავლობაში დროის უმეტეს ნაწილს თავს კარგად ვგრძნობ.

154. არასდროს არ მჭონია კრუნჩხვა და შეტევა.

155. არც ესუქდები და არც ეხდები, თუნდაც თუ ამას არ ვაკეთებ განზრახ.

156. მჭონია პერიოდები, როცა რაღაცას ვაკეთებდი, შემდეგ კი არ ვიცოდი, თუ კერძოდ, რას ვაკეთებდი.

157. ეთელი, რომ სპორტულ კოლექტივში ყოველთვის ბევრ ვინმეს ფარულად შურს ჩემი.

158. ადვილად ვტირი.

159. ახლა ისე კარგად ვერ ვგებულობ წაკითხულს, როგორც ადრე.

160. არასდროს არ მიგრძვნია თავი უკეთ, ვიდრე ახლა.

161. ზოგჯერ ტკივილს ვგრძნობ თხემის არეში.

162. ყოველთვის ვწუხვარ და ვღიზიანდები, თუ მიწევს დამარცხების აღიარება.

163. იშვიათად ვიღლები.

164. მიყვარს ჩემი სპორტის სახეობის თეორიაზე მასალების კითხვა.

165. მომწონს მნიშვნელოვან პირებთან ნაცნობობა, რადგანაც ეს თითქოს წონას მმატებს და თავს უფრო მეტ პატივს ვცემ.

166. შიშს განვიცდი, როცა დიდი სიმაღლიდან ქვემოთ ვიყურები.

167. დიდად არ ამაღელვებდა, თუ ჩემს რომელიმე ნათესავს სასამართლო უსიამოვნებები ექნებოდა.

168. ძალიან ხშირად არანაირად არ შემიძლია გავუგო გუნდის ამხანაგებს, თუმცა ყველა მათგანს ესმის ერთმანეთის.

169. არ მეშინია საქმე მჭონდეს ფულთან.

170. არ მაღელვებს, თუ რას ფიქრობს ჩემზე მწვრთნელი.

171. მეხამუშება კომპანიაში მასხრობა, თუნდაც ამას სხვები აკეთებდნენ.

172. ხშირად მიწევს საკუთარ თავთან ჭიდილი, რათა არ ვაჩვენო ჩემი სიმორცხვე.

173. სკოლა მიყვარდა.

174. გული არასოდეს წამსელია.

175. თავბრუსხვევა არასდროს მჭონია.

176. განსაკუთრებით ძლიერ შიშს არ განვიცდი გველების წინაშე.

177. დედაჩემი კარგი ადამიანია.

178. ვეარაუდობ, რომ კარგი მეხსიერება მაქვს.

179. მაღელვებს სექსუალური საკითხები.

180. მიჭირს უცნობ ადამიანებთან საუბრის გაბმა.

181. როცა მბეზრდება ვარჯიში, ვცდილობ მოვიფიქრო რამე, რათა გამოვცოცხლდე.

182. მეშინია ჭკუიდან შეშლის (გაგიჟების).

183. არ მიყვარს დახმარება სპორტულ ვარჯიშში, დაე, თითოეულმა თაკისით იბრძოლოს წარმატებისთვის.

184. ხშირად მესმის უცნობი მხრიდან მომავალი ხმები.

185. ჩემი სმენა სხვებისას არაფრით არ ჩამოუვარდება.

186. ხშირად ვამჩნევ, რომ საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ ხელები მიკანკალებს.

187. ემოციური სიტუაციების მიუხედავად, მე ვინარჩუნებ მოძრაობების მაღალ კოორდინაციას.

188. ჩემი თვალები არ იღლება ხანგრძლივი კითხვისას.

189. დროის უდიდეს ნაწილში ზოგადად დაღლილობას ვგრძნობ.

190. ძალიან იშვიათად მტკივა თავი.

191. დროდადრო საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ ოფლით ვიფარები, რაც ძალიან მთრგუნავს.

192. არ განმიცდია სირთულეები წონასწორობის დაცვაში სიარულის დროს.

193. არასდროს მჭონია ასთმისა და ჭინჭრის ციების შეტევა.

194. მჭონია შეტევები, როცა არ შემეძლო საკუთარი მოძრაობების ან მეტყველების მართვა, ამასთან, ვაცნობიერებდი ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდებოდა.

195. ყველა ის ადამიანი როდი მომწონს, რომელთაც ვიცნობ.

196. სპორტი მიზიდავს ასევე ქალაქებში მოგზაურობით, რომლებშიც ადრე არასდროს ვყოფილვარ.

197. ვიღაც ჩემს გაჭურდვას ცდილობს.

198. ძალიან იშვიათად ვოცნებობ.

199. ბავშვები უნდა გაეცნონ სქესობრივი ცხოვრების ყველა ძირითად საკითხს.

200. მწვრთნელები ხშირად ცდილობენ ჩემი აზრებისა და იდეების მისაკუთრებას ვარჯიშზე ოსტატობის გზაზე.

201. არ მინდა ასეთი მორცხვი ვიყო.

202. ვფიქრობ, რომ განწირული ადამიანი ვარ.

203. ჟურნალისტი რომ ვიყო, ძალიან მომეწონებოდა თეატრალური ახალი ამბების გაშუქება.

204. მომეწონებოდა სპორტული ჟურნალისტის საშუშაო.

205. ზოგჯერ შეუძლებლად მიმაჩნია იმისგან თავის შეკავება, რომ რამე არ ავილო.

206. ვემხრობი ზნეობრიობის, მორალისა და სპორტული ეთიკის პრინციპებს უფრო მკაცრად, ვიდრე სხვა სპორტსმენების უმრავლესობა.

207. მიყვარს სხვადასხვაგვარი გართობა.

208. მიყვარს ფლირტაობა.

209. ვთელი, რომ არ შეიძლება ჩემი საქციელის პატიება.

210. მიმაჩნია, რომ ყველა ჩემპიონი ჩვეულებრივი ხალხია, არა ჩემზე უკეთესები. უბრალოდ მათ გაუმართლათ.

211. შემიძლია დღისით ძილი, ხოლო ღამით უძილობა.

212. ჩემი ოჯახის წევრები მექცევიან უფრო როგორც ბავშვს, ვიდრე ზრდასრულ ადამიანს.

213. სიარულისას მეშინია ტროტუარზე ნაპრალებს არ დაებიჯო.

214. კანზე არასდროს არ მქონია გამონაყარი, რომელიც შემაშფოთებდა.

215. ბოროტად ვიყენებდი ალკოჰოლს.

216. ჩემს ოჯახში ძალიან მცირეა სიყვარული და მეგობრული ურთიერთობების სითბო სხვა ადამიანებთან შედარებით.

217. ხშირად ვიჭერ საკუთარ თავს იმაზე, რომ რაღაც მაშფოთებს.

218. განსაკუთრებით არ მაღელვებს ტანჯული ცხოველების სახე.

219. ვფიქრობ, რომ მომეწონებოდა საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საქმიანობა.

220. მე მიყვარს დედა.

221. მე მეცნიერება მაინტერესებს.

222. ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენს მეგობრებს ვთხოვო დახმარება, თუნდაც ვიცოდე, რომ მათ სამაგიეროს ვერ გადავუხდი.

223. ძალიან მიყვარს ნადირობა.

224. ჩემი მშობლები ხშირად იყვნენ განწყობილნი იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებთანაც ვურთიერთობ.

225. ზოგჯერ წინააღმდეგი არა ვარ ცოტა წავიჭორაო.

226. ჩვეულებრივ ძალიან მაღიზიანებენ გუნდის ამხანაგების ჩვევები.

227. მეუბნებოდნენ, რომ ძილში დავდივარ.

228. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ შემიძლია გადავწყვიტო რამე უჩვეულო სიმსუბუქით.

229. მინდა ხშირად შევხვდე ნაცნობებსა და მეგობრებს სპორტდარბაზის გარეთ.

230. ვამჩნეედი უმნიშვნელო გულის ფრიალსა და მკვეთრად გახშირებულ სუნთქვას ინტენსიური ფიზიკური დატვირთვის გარეშე.

231. მიყვარს სექსუალურ თემებზე საუბარი.

232. ყოველთვის ვიცავ მოვალეობის გრძნობას, რომელიც ბავშვობიდანაა ჩემში აღზრდილი.

233. ყოფილა ისე, რომ ზოგიერთ ადამიანს გზაზე გადაეუდექი არა იმიტომ, რომ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ პრინციპის სახელით.

234. ადვილად მიპყრობს მრისხანება, მაგრამ ასევე სწრაფად ემშვიდდები.

235. სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ვარ სპორტული კოლექტივისა და მწვრთნელების გავლენისგან.

236. ხშირად მიპყრობს მძიმე ფიქრები.

237. მაქვს ისეთი ძლიერი აღელვების პერიოდები, რომ დიდხანს არ შემიძლია ერთ ადგილას ყოფნა.

238. სიყვარულში იმედი გამიცრუვდა.

239. არასდროს არ ვღელავ საკუთარ გარეგნობაზე.

240. ხშირად ისეთ საგნებზე ვოცნებობ, რომლებზეც უმჯობესია არავის მოეუყვე.

241. ვფიქრობ, უფრო მეტად ნერვიული არა ვარ, ვიდრე სხვა სპორტსმენების უმრავლესობა.

242. თითქმის არ მაწუხებს არანაირი ტკივილები.

244. ჩემი ქცევა არასწორად აღიქმება გარშემოყოფების მიერ.

245. ვარჯიშებზე მწვრთნელები ყოველგვარი მიზეზის გარეშე მეჩხუბებიან.

246. კისერზე ხშირად მაქვს წითელი ლაქები.

247. მაქვს საფუძველი შურის გრძნობა მქონდეს თქვენი სპორტული კოლექტივის ზოგიერთი წევრის მიმართ.

248. ზოგჯერ ყოველგვარი მიზეზის გარეშე

ან გარემოებების საპირისპიროდ თავს უჩვეულოდ ბედნიერად ეგრძნობ.

249. მჯერა, რომ ნებისმიერი ფარული ქცევაც კი არ დარჩება დაუსჯელი.

250. არ განესჯი იმათ, ვინც ცდილობს ცხოვრებისგან მიიღოს ყველაფერი, რაც კი შეუძლია.

251. მჭონია ცნობიერების გადახრის პერიოდები, როცა არ ვიცოდი, თუ რა ხდებოდა ირგვლივ.

252. არავის განსაკუთრებით არ აღელვებს ის, თუ რა შეიძლება შეემთხვეს სხვებს.

253. შემიძლია კარგი ურთიერთობები მჭონდეს გუნდში ამხანაგებთან, რომელთა ქცევებსაც არ ვიწონებ.

254. მიყვარს ისეთ კომპანიებში ყოფნა, სადაც ერთმანეთზე ხუმრობენ.

255. ზოგჯერ კარგ შეფასებებს ვაძლევ ადამიანებს, რომლებზეც მცირე რამ ვიცი.

256. გაზეთებსა და ჟურნალებში განსაკუთრებით მაინტერესებს იუმორის გვერდი.

257. ჩვეულებრივ შეჯიბრებებში წარმატების იმედი მაქვს.

258. მჯერა სამართლიანობის საბოლოო გამარჯვების.

259. ჩემთვის ნებისმიერ საქმეში ყველაზე რთული — ესაა დაწყება.

260. სკოლაში კარგად არ ვსწავლობდი.

261. მხატვარი რომ ვიყო, ყვავილების ხატვა მომეწონებოდა.

262. მაღელვებს ფიქრი იმაზე, რომ მჭონდეს კარგი გარეგნობა.

263. ძალიან ადვილად ვოფლიანდები ფიზიკური დატვირთვის გარეშე, ცივ დღეებშიც კი.

264. სრულიად დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში თითოეულ შეჯიბრზე, მომზადების დონის მიუხედავად.

265. უსაფრთხოა არავის არ ენდო.

266. კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად აღგზნებული და გაღიზიანებული ვარ.

267. როცა კომპანიაში ვარ, ვიტანჯები სასაუბრო თემის არჩევით.

268. რაღაც წარმტაცს, ამაღელვებელს თითქმის ყოველთვის გამოვყავარ დათრგუნული მდგომარეობიდან.

269. არ მიძნელდება ვაიძულო სხვა ადამიანები ეშინოდეთ ჩემი და ზოგჯერ ამას ხუმრობით ვაკეთებ.

270. როცა სახლიდან გამოვდივარ, არ ვღელავ იმაზე, დავკეტე თუ არა კარი და ფანჯრები.

271. არ განვსჯი ადამიანს იმათ მოტყუებაზე, ვინც ტყუვდება.

272. დროდადრო ძალიან მინდა შეჯიბრებებზე გასვლა, გამარჯვების მიღწევა.

273. ზოგიერთ ადგილას ჩემი კანი მგრძნობიარე არაა.

274. ჩემი მხედველობა არ შეცვლილა და ისეთივე დარჩა, როგორც წინა წლებში.

275. ვიღაც ჩემს აზრებს მართავს.

276. მე მიყვარს ბავშვები.

277. ზოგჯერ ისე მომწონდა და მართობდა თაღლითის მოხერხებულობა, რომ ვიწყებდი მის თანაგრძნობას.

278. ხშირად ვგრძნობ, რომ მწერთნელი მიყურებს განმსჯელის სახით, თუმცა არ ვიცი, რატომ.

279. ყოველდღიურად ბევრ წყალს ვსვამ.

280. ადამიანების უმრავლესობა მეგობრობას ამყარებს იმიტომ, რომ მეგობრები გამოადგებათ.

281. ხშირად ვერ ვამჩნევ, რომ ყურებში რამე რეკავდეს.

282. ხდება ხოლმე, რომ განვიცდი სიძულვილს ჩემი ოჯახის წევრების მიმართ, რომლებიც ჩვეულებრივ მიყვარს.

283. ჟურნალისტი რომ ვიყო, ძალიან მომეწონებოდა სპორტული ახალი ამბების გაშუქება.

284. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს არყოფნაში ჩემზე საუბრობენ.

285. ხდება ისე, რომ უხამსი ხუმრობები და გონებამახვილობა სიცილს იწვევს ჩემში.

286. არასდროს არ ვარ ისეთი ბედნიერი, როგორც მაშინ, როცა მარტო ვრჩები.

287. გაცილებით უფრო ნაკლებ შიშსა და ღელვას განვიცდი შეჯიბრებების წინ გუნდის ამხანაგებთან შედარებით.

288. მაწუხებს გულისრევისა და ღებინების შეტევები.

289. მაშფოთებს ის, რომ დამნაშავე შეიძლება გაანთავისუფლონ ადვოკატის მოხერხებული არგუმენტების წყალობით.

290. ჩვეულებრივ დიდი დაძაბულობით ვევარჯიშობ.

291. ცხოვრებაში რამდენიმეჯერ მიგრძენია, რომ ვიღაც მაიძულებდა ქცევის ჩადენას ჰიპნოზის მეშვეობით.

292. მე არასდროს არ ვაბამ საუბარს პირველი ადამიანებთან.

293. ვიღაც ცდილობს ჩემს აზრებზე ზეგავლენას.

294. არასდროს არ მჭონია სერიოზული კონფლიქტები სპორტში.

295. მომწონს ზღაპრები ღრმა, ფარული აზრით.

296. მაქვს პერიოდები, როცა უჩვეულოდ მხიარული ვარ რაიმე მიზეზის გარეშე.

297. ვისურვებდი, რომ არ მაღელვებდეს სექსუალური ხასიათის საკითხები.

298. როცა რამდენიმე ადამიანი უსიამოვნო ისტორიაში ებმება, უმჯობესია პირობის დადება, რომ შემდეგ დაილაპარაკებენ.

299. ეფიქრობ, რომ უფრო ღრმად და ფაქიზად შეიგრძნობ, ვიდრე ადამიანების უმრავლესობა.

300. არასდროს არ მიყვარდა თოჯინებით თამაში.

301. ცხოვრება და სპორტი ჩემთვის თითქმის ყოველთვის უკავშირდებიან დაძაბულობას.

302. არასდროს არ მქონია უსიამოვნებები ჩემი ქცევის გამო, რაც დაკავშირებული იყო სქესობრივ (სექსუალურ) ცხოვრებასთან.

303. ისე მაწუხებს ზოგიერთი რამ, რომ ამაზე ლაპარაკიც არ შემიძლია.

304. სკოლაში მიძნელდებოდა საუბარი მთელი კლასის წინაშე.

305. თუნდაც ადამიანებს შორის ყოფნის დროსაც, თავს ჩვეულებრივად მარტოდ ვგრძნობ.

306. ჩემთვის საკმარისია ის ყურადღება და მონაწილეობა, რომელსაც იჩენს მწვრთნელი ჩემს მიმართ.

307. უარს ვამბობ ზოგიერთ თამაშში მონაწილეობაზე იმიტომ, რომ ცუდად ვთამაშობ მათ.

308. დროდადრო ძალიან მინდოდა საკუთარი სახლის დატოვება.

309. მეჩვენება, რომ ადამიანებთან ისე კარგად ვაწყობ ურთიერთობებს, როგორც სხვები.

310. ჩემი სქესობრივი ცხოვრება მაკმაყოფილებს.

311. ბავშვობაში, ერთხანს წერილმანი ქურდობები ჩამიდენია.

312. არ მიყვარს, როცა ჩემს ირგვლივ ადამიანები არიან.

313. ადამიანი, რომელიც ფასეულ ნივთებს უმეთვალყურეოდ ტოვებს და ამით იწვევს ცდუნებას, დაახლოებით ისევე დამნაშავეა მათ ქურდობაში, როგორც ქურდი.

314. ზოგჯერ საკმაოდ ცუდ რამეებზე ვფიქრობ, რომ მათზე ვისაუბრო.

315. ვთელი, რომ ცხოვრება არ მინდობს.

316. ვთელი, რომ თითქმის ყველას შეუძლია იცრუოს, რათა თავიდან აიცილოს უსიამოვნებები.

317. მე უფრო მგრძნობიარე ვარ, ვიდრე სხვა სპორტსმენების უმრავლესობა.

318. სპორტის გარეთ ჩემი ყოველდღიური ცხოვრება საკმაოდ არანაკლებ საინტერესო საქმეებით.

319. ადამიანების უმრავლესობას არ მოსწონს საკუთარი ინტერესების დათმობა სხვათა გამო.

320. ჩემი მრავალი სიზმარი სექსუალური შინაარსისაა.

321. თუ ხდება სტარტის გადაცილება, ადვილად ვიბნევი.

322. მუდმივად მაწუხებს ჩემი სპორტული და სწავლის საქმეები.

323. მჭონია ძალიან თავისებური და უცნაური განცდები.

324. არასდროს ვყოფილვარ შეყვარებული.

325. ჩემი ოჯახის ზოგიერთ წევრს ჩაუდენია ქცევები, რომლებიც მაშინებდნენ.

326. ზოგჯერ მაქვს სიცილისა და ტირილის შეტევები, რომელიც მაშინებს.

327. დედა და მამა ხშირად მაიძულებდნენ მომეხადა ბოდიში მაშინაც კი, როცა, ჩემის აზრით, ეს გონიერული არ იყო.

328. მიძნელდება რამე სამუშაოზე კონცენტრაცია.

329. თითქმის არასდროს არ დამსიზმრებია სიზმარი.

330. არასდროს, არც ვარჯიშებზე, არც შეჯიბრებებზე არ განმიცდია უჩვეულო სისუსტე რომელიმე კუნთში.

331. ადამიანებს ჩემი საწინააღმდეგო არაფერი რომ არ ჰქონდეთ, მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწევდი სპორტში.

332. ზოგჯერ მიმდის ან მეცვლება ხმა მაშინაც კი, როცა გაციებული არ ვარ.

333. როგორც ჩანს, ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მიგებს.

334. ზოგჯერ ვგრძნობ თავისებურ და სპეციფიკურ სუნს.

335. არ შემიძლია ერთ რამეზე კონცენტრირება.

336. ადვილად ვხდები მოუთმენელი და გაღიზიანებული ადამიანებთან ურთიერთობისას.

337. თითქმის ყოველთვის განვიცდი შფოთვას რაიმესთან ან ვინმესთან დაკავშირებით.

338. გარკვეულია, რომ წილად მხვდა დასაშვებზე მეტი საზრუნავი და საფიქრალი.

339. ხშირად სიკვდილი მინდა.

340. დროდადრო იმდენად გაღიზიანებული ვარ, რომ ეს დაძინებაში მიშლის ხელს.

341. ზოგჯერ ჩემი სმენა იმდენად მგრძნობიარეა, რომ ეს შაღიზიანებს.

342. უმალვე ვივიწყებ იმას, რასაც მეუბნებიან.

343. ჩვეულებრივ, მოქმედების წინ ვჩერდები და ვფიქრობ უმნიშვნელო საქმეებზეც კი.

344. ხშირად ქუჩას ვკვეთ იმისთვის, რომ თავი ავარიდო ვინმესთან შეხვედრას, რომელსაც ვხედავ.

345. ხშირად მაქვს შეგრძნება, რომ გარემო თითქოს არარეალურია.

346. მაქვს ჩვევა გადავთვალო შემთხვევითი საგნები, როგორიცაა, მაგალითად, ფანჯრები, ფარანები და სხვ.

347. ისეთი მტრები მყავს, რომლებიც ნამდვილად ისურვებდნენ ზიანის მიყენებას ჩემთვის.

348. მაფრთხობენ ის ადამიანები, რომლებიც უფრო მეგობრულად მიდგებიან, ვიდრე მოველოდი.

349. ზოგჯერ უჩვეულო და უცნაური აზრები მომდის.

350. როცა მარტო ერჩები, უცნაური რამეები მესმის.

351. ყოველთვის მიპყრობს შფოთვა და ღელვა, როცა სახლიდან უნდა წავიდე შეკრებებსა და შეჯიბრებებზე, თუნდაც ეს მცირე ხნით იყოს.

352. მაშინებს ზოგიერთი საგანი ან ადამიანი, თუმცა ვიცი, რომ მათ არ შეუძლიათ ზიანი მომაყენონ.

353. არ ვცბუნდები, როცა შევდივარ ოთახში, სადაც შეკრებილნი არიან ადამიანები და საუბრობენ.

354. მეშინია დანისა და სხვა ბასრი ან მჩხვლეტავი საგნების გამოყენების.

355. დროდადრო მომწონს ტკივილის მიყენება ადამიანებისთვის, რომლებიც მიყვარს.

356. მიძნელდება ვარჯიშების შესრულებაზე კონცენტრირება სხვა სპორტსმენებთან შედარებით.

357. ხშირად მითქვამს უარი რაიმეს გაკეთებაზე, რამდენადაც არ მჯეროდა საკუთარი შესაძლებლობების.

358. ცუდი, უფრო ხშირად კი, საშინელი სიტყვები მომდის თავში და არ შემიძლია მათი თავიდან მოშორება.

359. დროდადრო რაიმე მცირე მნიშვნელობის აზრი მომდის თავში და მაღელვებს რამდენიმე დღე.

360. არაობიექტური მსაჯობისას ხშირად ვკარგავ წარმატების ყველა იმედს და წინასწარ ვაგებ.

361. მიდრეკილი ვარ ყველაფერი საკმაოდ სერიოზულად მივიღო.

362. უფრო მგრძნობიარე ვარ, ვიდრე სხვა სპორტსმენების უმრავლესობა.

363. ზოგჯერ მსიამოვნებს განვიცადო ტკივილი ადამიანისგან, რომელიც მიყვარს.

364. მწვრთნელები უსამართლოდ მეუბნებიან შეურაცხმყოფელ და უხეშ სიტყვებს.

365. თავს მშვიდად არ ვგრძნობ ჩაკეტილ ოთახში.

366. ადამიანებს შორისაც კი თავს ჩვეულებრივ მარტოდ ვგრძნობ.

367. ცეცხლის არ მეშინია.

368. ზოგჯერ თავს ვარიდებ ადამიანებს, რამდენადაც მეშინია გავაკეთო ან ვთქვა ისეთი რამ, რასაც შემდეგ ვინანებ.

369. რელიგიის საკითხები არ მაღელვებს.

370. ვერ ვიტან, როცა მიწევს აჩქარება ვარჯიშის დროს.

371. ზედმეტად მორცხვი არ ვარ.

372. მიდრეკილი ვარ მქონდეს ერთდროულად რამდენიმე მისწრაფება, ვიდრე მივსდიო ერთს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

373. დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს სპორტის არსის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა.

374. დროდადრო, ჩემის აზრით, ჩემი გონება უფრო ნელა მუშაობს, ვიდრე ჩვეულებრივ.

375. როცა თავს ბედნიერად და ენერგიულად ვგრძნობ, ცუდ ან დაწეულ განწყობილებაზე მყოფს შეუძლია უმალ გამიფუჭოს ხასიათი.

376. როგორც წესი, პოლიციელები პატიოსანი ადამიანები არიან.

377. საღამოს წვეულებებზე უპირატესობას ვანიჭებ განზე ყოფნას ან საუბარს ერთ-ერთ სტუმართან.

378. მომწონს, როცა ქალები ეწვევიან.

379. იშვიათად ვარ ცუდ განწყობილებაზე.

380. როცა ვინმე ამბობს უაზრო ან უმეცარ რამეს იმაზე, რაშიც კარგად ვერკვევი, ვცდილობ მის გამოყვანას შეცდომისგან.

381. ხშირად მეუბნებიან იმას, რომ ფეთქებადი ვარ.

382. მინდა არ ვიფიქრო იმაზე, რასაც ვამბობ და რამაც შეიძლება შეურაცხყო და გული დასწყვიტა სხვა ადამიანებს.

383. ადამიანებს ხშირად იმედი უცრუვდებათ ჩემთან მიმართებაში.

384. არავის არ შემიძლია მოვუყვე ყველაფერი ჩემზე.

385. ელვა – ჩემი ერთ-ერთი შიშია.

386. მიყვარს ადამიანების უცოდინრობაში ყოფნა იმასთან დაკავშირებით, თუ რის გაკეთებას ვაპირებ.

387. ერთადერთი სასწაულები, რომლებიც ჩემთვისაა ცნობილი – ესაა ფოკუსები, რომელთაც ადამიანები ერთმანეთს უკეთებენ.

388. მეშინია სიბნელეში მარტო დარჩენის.

389. ჩემი სპორტული გეგმები ხშირად იმდენად ძნელად შესასრულებელია, რომ მათზე უარს ვამბობ.

390. ხშირად თავს ცუდად ვგრძნობ, არ ვარ რა გაგებული, როცა ვცდილობ ვინმე დავიცვა შეცდომების დაშვებისგან.

391. მიყვარს ცეკვებზე სიარული.

392. საშინლად მეშინია ჭექა-ქუხილის.

393. ცხენები, რომლებიც ცუდად მიიწევენ, უნდა გაიშოლტონ.

394. შეჯიბრებაზე ყოველთვის ველოდები მწვრთნელის რჩევას, საკუთარი ცოდნის კი ნაკლებად მჯერა.

395. მომავალი საკმაოდ გაურკვეველია, რომ სერიოზული გეგმები დავაწყო.

396. ხშირად შეჯიბრებებზე მაშინაც კი, როცა ყველაფერი კარგად მიდის ჩემთვის, ვგრძნობ, რომ ჩემთვის ყველაფერი სულერთია.

397. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემს წინაშე სპორტული წარმატებების მისაღწევად ისეთი სირთულეებია თავმოყრილი, რომელთაც ვერ დავძლევ.

398. ხშირად ვფიქრობ: მინდა კლავე ბავშვი ვიყო.

399. შეჯიბრების ორგანიზებაში ნებისმიერი გაუმართობა ჩვეულებრივ არ არღვევს ჩემში მზადყოფნის გრძნობას.

400. შესაძლებლობა, რომ მქონდეს კარგია შემეძლოს მთელი სამყაროსთვის ძალიან სასარგებლო საქმეების განხორციელება.

401. თუ მოწინააღმდეგე გამოვიდა ჩვეულებრივზე უფრო წარმატებით, ეს არ მაშინებს.

402. ხშირად საკითხი დილისთვის უნდა გადავდო, რათა მივილო გადაწყვეტილება.

403. მშვენიერია ჩვენს დროში ცხოვრება, როცა ესოდენ მრავალი მოვლენა მოხდა.

404. ადამიანებს ხშირად არ ესმოდათ ჩემი განზრახვების, როცა ვცდილობდი მათ გამოსწორებას და ვყოფილიყავი სასარგებლო.

405. არ მაქვს სირთულეები ყლაპვის დროს.

406. ხშირად შემხვედრია ადამიანები, რომლებიც სპორტის ჩემს სახეობაში სპეციალისტებად ითვლებოდნენ და ჩემზე მეტი არ იცოდნენ.

407. ჩვეულებრივ, შეჯიბრებების წინ მშვიდი ვარ და ადვილი არაა ჩემი განაწყენება, თუნდაც თუ ყველაფერი ისე არ იწყება, როგორც იგეგმებოდა ან სტარტზე წარუმატებლობაა.

408. მიდრეკილი ვარ დავმალო ჩემი გრძნობები და დამოკიდებულებები ზოგიერთი საგნის მიმართ იმ დონემდე, რომ ადამიანებს შეუძლიათ მაწყენინონ და არც კი ჰქონდეთ ამაზე ეჭვი.

409. დროდადრო ძლიერ ვიქანცები, რადგანაც ბევრს ვიღებ საკუთარ თავზე.

410. გარკვეულად სიამოვნებას მომანიჭებდა თაღლითის გაცურება მისივე ხერხით.

411. როცა ვიგებ რომელიმე სპორტმენის წარმატებაზე, რომელსაც ვიცნობ, ამას აღვიქვამ, როგორც საკუთარ წარუმატებლობას.

412. არ მეშინია მივმართო ექიმს ავადმყოფობის ან დაქვეითებულობის თაობაზე.

413. მკაცრ სასჯელს ვიმსახურებ საკუთარი ქცევების გამო.

414. მიდრეკილი ვარ ისე განვიცადო უსიამოვნებები, რომ ამ აზრს თავიდან ვერ ვიშორებ.

415. შესაძლებლობა რომ მქონდეს, ცნობილი სპორტსმენი ვიქნებოდი.

416. თავს უხერხულად ვგრძნობ, თუ ვინმე მაკვირდება ვარჯიშზე, თუნდაც ვიცოდე, რომ ყველაფერს კარგად გავაკეთებ.

417. ჩვეულებრივ ისე მალიზიანებს სუბიექტი, რომელიც ცდილობს ჩემზე წინ გაძვრეს ურიგოდ, რომ ამას პირში მივახლი.

418. ზოგჯერ მეჩვენება, რომ გამოუსადეგარი ვარ.

419. ხშირად ვაცდენდი გაკვეთილებს სკოლაში.

420. მჭონია ძალიან უჩვეულო მისტიკური განცდები.

421. ჩემს ოჯახში არიან ძალიან ნერვიული ადამიანები.

422. მრცხვენია იმ სამუშაოსი, რომელსაც ჩემი ოჯახის ზოგიერთი წევრი ასრულებს.

423. მიყვარს (მიყვარდა) თევზაობა.

424. თითქმის მუდმივად განვიცდი შიმშილის გრძნობას.

425. ხშირად ვხედავ სიზმრებს.

426. ზოგჯერ მკვეთრი და ხისტი ვიყავი ადამიანებთან, რომლებიც უხეშად და მომაბეზრებლად იქცეოდნენ.

427. მაცბუნებს უხამსი ანეკდოტები.

428. მიყვარს მოწინავე სარედაქციო სტატიების კითხვა გაზეთებში.

429. მიყვარს სერიოზულ თემებზე ლექციები.

430. მიზიდავს საპირისპირო სქესის პირები.

431. ნაკლებად მაღელვებს შეჯიბრებებზე შესაძლო წარუმატებლობები.

432. მე მტკიცე შეხედულებების ადამიანი ვარ.

433. მიეჩვიე მყავდეს წარმოსახვითი ამხანაგები — ერთგული მეგობრები, რომლებიც სინამდვილეში არ არიან.

434. მომეწონებოდა ავტომრბოლელობა.

435. ჩვეულებრივ უპირატესობას მივანიჭებდი ქალებთან ურთიერთობას.

436. ჩვეულებრივ ადამიანები მოითხოვენ უმეტესად თავიანთი უფლებების პატივისცემას, ვიდრე მათ შეუძლიათ სხვათა უფლებების პატივისცემა.

437. არაფერი ცუდი არაა იმაში, რომ გეერდი აუარო კანონს, თუ მას სინამდვილეში არ არღვევთ.

438. არიან ადამიანები, რომლებიც ისე არ მიყვარს, რომ გულის სიღრმეში მიხარია, როცა მათ უსიამოვნებები აქვთ.

439. ლოდინი მანერვიულებს.

440. ვცდილობ დაეიმახსოვრო საინტერესო ისტორიები, რათა ისინი სხვებს გადავცე.

441. მიყვარს მაღალი ქალები.

442. მქონია პერიოდები, როცა ძილი დამიკარგავს შფოთვის გამო.

443. მიდრეკილი ვარ უარი ვთქვა ჩანაფიქრზე, თუ სხვებს ეჩვენებათ, რომ ეს არ დამიწყია სათანადოდ.

444. არ ვარ მიდრეკილი მცდარი აზრების გამომთქმელი ადამიანები დავმოძღვრო.

445. ყმაწვილობაში (ან ბავშვობაში) მიყვარდა ამაღლებული განცდები.

446. მიყვარდა დომინოს ან ბანქოს თამაში.

447. მზად ვარ ყველაფრისთვის, რომ სპორტში გავიმარჯვო.

448. უხერხულად ვარ, თუ ქუჩაში, ავტობუსში ან მაღაზიაში ვინმე მიყურებს.

449. ძალიან მიყვარს საზოგადოებრივი ღონისძიებები, ოღონდ ვიყო ადამიანებთან.

450. მიყვარს ბევრი ხალხის ღელეა და დაძაბულობა (მაგალითად, შეჯიბრებაზე).

451. ჩემი საზრუნავი ქრება, როცა ხალისიანი ადამიანების კომპანიაში ვხედები.

452. მომწონს ადამიანებზე ხუმრობა.

453. ბავშვობაში არ ვცდილობ ეყოფილიყავი ქუჩის კომპანიის წევრი.

454. შემეძლო ბედნიერი ვყოფილიყავი, სრულ მარტოობაში პატარა სახლში, ტყეში ან მთებში.

455. კომპანიაში ჩვეულებრივ არ ვმონაწილეობ საერთო ყბედობაში ან საუბარში.

456. ვთელი, რომ ადამიანი არ უნდა დაისაჯოს იმ წესების დარღვევაზე, რომელთაც ის არაგონივრულად თელის.

457. ვთელი, რომ სპორტსმენმა არც უნდა გაინჯოს ალკოჰოლური სასმელები.

458. მამაკაცი, რომელიც ყველაზე მეტს მამეცადინებდა ბავშვობაში (მამა, მამინაცვალი, ბაბუა), ძალიან მკაცრი იყო ჩემთან მიმართებაში.

459. ცუდი ჩვევები მაქვს, რომლებიც ისე ძლიერია, რომ ფუჭია მათთან ბრძოლა.

460. ზომიერად ვიყენებ ალკოჰოლს (ან საერთოდ არ ვსვამ).

461. მიძნელდება ვარჯიშის შეწყვეტა, რომელსაც შეუდექი, თუნდაც მცირე ხნით.

462. არანაირ სირთულეს არ განვიცდი, როცა ვიწყებ მოშარდვას ან საჭიროებისას, შარდის შეკავებისას.

463. ბავშვობაში მომწონდა კლასის თამაში ან თოკზე გადახტომა.

464. არასდროს არ მქონია არანაირი ხილვა.

465. სიცოცხლის მანძილზე რამოდენიმეჯერ შეიცვალა მისწრაფება სპორტის სხვადასხვა სახეობის მიმართ.

466. არასდროს ვიღებ წამლებს ან ძილის საშუალებებს ექიმის დანიშნულების გარეშე.

467. ხშირად ვიმახსოვრებ რიცხვებს, რომელთაც არანაირი კავშირი არა აქვთ ჩემთან (მაგალითად, ავტომანქანების ნომრებს).

468. ხშირად ვამჩნევ, რომ ადამიანები შურითა და უნდობლობით ეკიდებიან ჩემს კარგ იდეებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ პირველებმა არ მოიფიქრეს ისინი.

469. ხშირად ვწუხვარ, რომ ასეთი გაღიზიანებული და ჯუჯღუნა ვარ.

470. ყოველივე, რაც სექსს უკავშირდება ჩემში ზიზღს იწვევს.

471. სკოლაში ძალიან ხშირად მქონდა ცუდი ნიშნები ყოფაქცევაში.

472. ძალიან მიყვარს ცეცხლის ყურება.

473. ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია, თავს ვარიდებ ადამიანების შუაგულში ყოფნას.

474. სხვებზე ხშირად არ ვშარდავ.

475. ვამბობ სიმართლის მხოლოდ იმ წილს, რომელიც არ დამაზიანებს.

476. მოწოდებული ვარ უდიდესი მისია შევასრულო.

477. გასაჭირში რომ მოვხვედრილიყავი ჩემს მეგობრებთან ერთად და ჩვენი დანაშაული ერთნაირი რომ ყოფილიყო, მთელს დანაშაულს საკუთარ თავზე ავიღებდი, ვიდრე მათ გავცემდი.

478. არასდროს განსაკუთრებით არ მიღელვია ჩემი ოჯახის წევრების უსიამოვნებების გამო.

479. სიამოვნებით ვეცნობი უცნობ ადამიანებს.

480. მეშინია სიბნელის.

481. შემიძლია თაეი ავაღმყოფად წარმოვაჩინო, რომ გამოვძვრე რაიმე სიტუაციიდან.

482. ავტობუსებში, ტრამვაებში და ა.შ. ხშირად გამოველაპარაკები ხოლმე უცნობ ადამიანებს.

483. სასწაულების მჯერა.

484. ნაკლოვანებები მაქვს, რომლებიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უმჯობესია მიეიღოთ ისინი, როგორც არის და ვეცადო ვაკონტროლო, ვიდრე სრულიად აღმოვფხვრა.

485. როცა მამაკაცი ქალების საზოგადოებაშია, მისი აზრების მიმართულება ჩვეულებრივ მის სქესს უკავშირდება.

486. არასდროს არ მქონია სისხლი შარდში.

487. მიდრეკილი ვარ სწრაფად ვთქვა უარი

საავარჯიშო სამუშაოზე, რომელიც არ ეწყობა.

488. მინდა ჩემი ბედი კეთილგანწყობილი იყოს ჩემს მიმართ.

489. თანაუგრძნობ ადამიანებს, რომლებიც მიდრეკილნი არიან თავი მიანდონ თავიანთ მწუხარებას და დარდს.

490. მიყვარს წიგნებისა და სტატიების კითხვა ზნეობრიობის, მორალის, სპორტული ეთიკის თემებზე.

491. მალიზიანებს დამაჯერებელი მოუთმენლობა და ფანატიურობა სპორტსმენებში.

492. მაშინებს აზრები შესაძლო უბედურებებისა და კატასტროფების შესახებ.

493. უპირატესობას ვანიჭებ საავარჯიშო საქმიანობას, რომელიც მოითხოვს დიდ ყურადღებას და არა ისეთს, რომლის დროსაც შეიძლება ვიყო არაკონცენტრირებული.

494. მეშინია ჩაკეტილ ან პატარა, ჩაკეტილ შენობაში ყოფნის.

495. ჩვეულებრივ თავს გულწრფელად და ღიად წარმოვაჩენ იმ ადამიანებთან, რომელთა გამოსწორებასაც ვცდილობ.

496. არასდროს არ მჭონია გაორება თვალებში.

497. მიყვარს სათავგადასავლო მოთხრობები.

498. ყოველთვის კარგია იყო გულწრფელი და გულღია.

499. უნდა ვაღიარო, რომ დროდადრო უმიზეზოდ მალიზიანებს საგნები, რომელთაც სინამდვილეში მნიშვნელობა არა აქვთ.

500. ადვილია ჩემი გატაცება კარგი იდეით.

501. ჩვეულებრივ, თავად ვერკვევი საავარჯიშო დავალებაში და არ ველოდები, რომ ამიხსნან.

502. უპირატესობას ვანიჭებ იმას, რომ ადამიანებმა იცოდნენ ჩემი თვალსაზრისი.

503. ჩემთვის დამახასიათებელია არაა დიდი მოწონების (ან არამოწონების) გრძნობის გამოხატვა გარშემომყოფთა ქცევების თაობაზე.

504. არ ვცდილობ დავმალო ჩემი ცუდი აზრი ან სიძულვილი ადამიანის მიმართ. დაე, მან იცოდეს ამის შესახებ.

505. მჭონია პერიოდები, როცა თავს ვგრძნობ ენერგიით ისე სავსედ, რომ მეჩვენება, რომ არ მჭირდება ძილი მიყოლებით რამოდენიმე დღის განმავლობაში.

506. თუ ჩემი სპორტული მოწინააღმდეგე ჩემს წინ ძალიან წარმატებით გამოდის, ვკარგავ საკუთარ თაყის რწმენას.

507. ხშირად ემუშაობდი მწვრთნელების ხელმძღვანელობით, რომელთაც ისე შეეძლოთ საქმეების მოგვარება, რომ შეცდომებს აბრალებდნენ სპორტსმენებს და სარგებლობდნენ კარგი მუშაკების რეპუტაციით.

508. ვფიქრობ, რომ ყნოსვა სხვებზე ნაკლები არ მაქვს.

509. დროდადრო ზედმეტი თავშეკავებულობის გამო მიძნელდება საკუთარ უფლებებისთვის ბრძოლა.

510. ყოველგვარი ჭუჭყი მაშინებს ან იწვევს სიძულვილს.

511. ჩემს ცხოვრებაში ოცნებები დიდ ადგილს იკავებს, რაზეც არავის ვესაუბრები.

512. არ მიყვარს აბაზანის მიღება.

513. უფრო მომწონს მწვრთნელთან მუშაობა, რომელიც იძლევა მკაცრ და მკაფიო მითითებებს, ვიდრე იმ მწვრთნელთან, რომელიც იძლევა დიდ დამოუკიდებლობას.

514. მომწონს ქალები, რომელთაც მამაკაცური თვისებები აქვთ.

515. ჩემს ოჯახში ყოველთვის გვქონდა ყველაფერი აუცილებელი (მაგალითად, საკმარისი საკვები, ტანსაცმელი და ა.შ.).

516. ჩემი ოჯახის ზოგიერთი წევრი ფეთქებადი და გამაღიზიანებელი ხასიათის მქონეა.

517. არ შემიძლია არავითარი კარგის კეთება.

518. ხშირად განვიცდი ბრალის გრძნობას იმასთან დაკავშირებით, რომ გამოვხატე სხვებისადმი ჩემი თანაგრძნობა უფრო მეტად, ვიდრე ის სინამდვილეში განვიცადე.

519. რაღაც არახელსაყრელი ხდება ჩემს სასქესო ორგანოებთან დაკავშირებით.

520. როგორც წესი, დაჟინებით ვიცავ საკუთარ აზრს.

521. ვარ რა ადამიანების ჯგუფში, არ ვარ უხერხულად, როცა მთავაზობენ დისკუსიის დაწყებას ან საკუთარი აზრის გამოხატვას იმ საკითხზე, რომელიც კარგად ვიცი.

522. ამ მაღლევებს გარემოება, რომ სპორტში მოწინააღმდეგეს სრულიად არ ვიცნობ.

523. პრაქტიკულად არასდროს არ ვწითლდებაი.

524. არ მეშინია შევეხო კარის სახელურს სენის გადადების შიშის გამო.

525. ზოგიერთი ცხოველი ნერვებზე მოქმედებს.

526. მომავალი უიმედოდ წარმომიდგენია.

527. ჩემი ოჯახის წევრები და ახალი ნათესავები ერთმანეთთან კარგ დამოკიდებულებებში არიან.

528. სხვებზე უფრო ხშირად არ ვწითლდები.

529. მომწონს კარგად ჩაცმა.

530. ხშირად მეშინია გაწითლების (ფიზიკური დატვირთვების გარდა).

531. ადამიანებს შეუძლიათ ადვილად შეცვალონ ჩემი წარმოდგენა მაშინაც კი, როცა ვფიქრობ, რომ უკვე გარკვეული შეხედულებები გამაჩნია.

532. შემიძლია ავიტანო ისეთივე ტკივილი და ტანჯვა, როგორც სხვებმა.

533. მე არ მაწუხებს ხშირი გულძმარვა.

534. რამოდენიმეჯერ გაუბედაობის გამო უარი მითქვამს მცდელობაზე შემესრულებინა შენიშნული სავარჯიშო დაევალება.

535. თითქმის ყოველთვის ვგრძნობ სიმშრალეს პირში.

536. მაღიზიანებს და მაბრაზებს, როცა მაჩქარებენ.

537. მომეწონებოდა აფრიკაში ლომებზე ნადირობა.

538. ვფიქრობ, რომ მომეწონებოდა ქალის კაბის მკერავის სამუშაო.

539. არ მეშინია თაგვების.

540. ჩემი სახე არასდროს არ იყო პარალიზებული.

541. ჩემი კანი მეჩვენება ძალიან მგრძნობიარედ შეხებების მიმართ.

542. არასდროს არ მქონია შავი კუპრისებრი განავალი.

543. კვირაში რამოდენიმეჯერ მაქვს გრძნობა, რომ შეიძლება მოხდეს რაღაც საშინელი.

544. დროის დიდ ნაწილს შეუკიბრებებისა და წვრთნების გარეთ თავს დაღლილად ვგრძნობ.

545. ზოგჯერ მაქვს სიზმრები, რომლებიც კლავე და კვლავ მეორდება.

546. მომწონს წიგნების კითხვა ისტორიულ თემებზე.

547. მიყვარს საღამოს წვეულებები და კომპანიები.

548. არ მომწონს ფილმები სექსუალური სცენებით.

549. უპირატესობას ვანიჭებ თავის არიდებას კონფლიქტებისგან და რთული მდგომარეობებისგან.

550. მომწონს კარის საკეტების შეკეთება.

551. ზოგჯერ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ სხვებს შეუძლიათ თქვან ის, რასაც ვფიქრობ.

552. მიყვარს კითხვა მეცნიერების შესახებ.

553. მეშინია დავრჩე მარტო ფართო, ღია ადგილას.

554. მე რომ მხატვარი ვიყო, ბაგშვების ხატვა მომეწონებოდა.

555. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ დაღუპვასთან ახლოს ვარ.

556. მე ძალიან ყურადღებიანი ვარ საკუთარი ტანსაცმლის მიმართ.

557. მომეწონებოდა მდივნად მუშაობა.

558. მრავალი ადამიანი შეიძლება დაადანაშაულო ცუდ სექსუალურ ქცევაში.

559. ხშირად მაქვს ღამის შიშები.

560. მაღელვებს ის, რომ მავიწყდება, თუ სად ედებ ნივთებს.

561. ძალიან მიყვარს ცხენით ჯირითი.

562. ადამიანი, რომელთანაც ბავშვობაში ყველაზე მეტად ვიყავი მიჯაჭვული და რომელსაც ვეთაყვანები, იყო ქალი (დედა, და).

563. უფრო მომწონს სათვგადასაელო მოთხრობები, ვიდრე მოთხრობები სიყვარულზე.

564. მიდრეკილი ვარ უარი ვთქვა საკუთარ განზრახვაზე, თუ სხვები მიიჩნევენ, რომ არ ღირს ამის გაკეთება.

565. როცა მიწისგან ძალიან მაღლა ვიმყოფები, სურვილი მაქვს გადმოვხტე.

566. კინოში სასიყვარულო სცენები მომწონს.

მინი-მულტ კითხვარი

„მინი-მულტ“ კითხვარი წარმოადგენს MMPI შეკვეცილ ვარიანტს, შეიცავს 71 კითხვას, 11 სკალას, მათგან 3-შეფასებითს. პირველი 3 შეფასებითი სკალა ზომავს ცდის პირის გულწრფელობას, ტესტირების შედეგების უტყუარობის ხარისხსა და კორექციის სიდიდეს, რომელიც შეტანილი ხდება ზედმეტი სიფრთხილით. დანარჩენი 8 სკალა წარმოადგენს საბაზისოს და აფასებს პიროვნების თვისებებს. **პირველი სკალა** ზომავს ასტენონევროტული ტიპის ცდის პირის პიროვნების თვისებას. **მეორე სკალა** მეტყველებს ცდის პირის მიდრეკილებაზე პიროვნების განვითარების სოციოპათიური ვარიანტების მიმართ. კითხვარის ამ ვარიანტში **მეხუთე სკალა** არ გამოიყენება, **მეოთხე სკალის შემდეგ მოდის მეექვსე. მეექვსე სკალა** ახასიათებს ცდის პირის წყენადობას, მის მიდრეკილებას აფექტური რეაქციების მიმართ. **მეშვიდე სკალა** გათვალისწინებულია პიროვნების მშფოთვარე-იჭვნეული ტიპის დიაგნოსტიკისთვის. **მერვე სკალა** განსაზღვრავს ემოციური გაუცხოების ხარისხს, სოციალური კონტაქტების დამყარების სირთულეს. **მეცხრე სკალა** გეიჩევენებს სიახლოეეს პიროვნების პიპერთიმიურ ტიპთან, ზომავს აქტიურობასა და აგზნებადობას.

გამოკითხვის ჩატარების დრო არ იზღუდება.

ინსტრუქცია

ახლა გაეცნობით მტკიცებებს, რომლებიც ეხება თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ხასიათს.

წაიკითხეთ თითოეული მტკიცება და გადაწყვიტეთ, სწორია თუ არა ის თქვენთან მიმართებაში. დრო არ დაკარგოთ მოფიქრებაზე. ყველაზე ბუნებრივია ის გადაწყვეტილება, რომელიც თავში პირველი მოგივათ.

კითხვარის ტესტი

1. თქვენ კარგი მადა გაქვთ.

2. დილაობით ჩვეულებრივ გრძნობთ, რომ გამოიძინეთ და დაისვენეთ.

3. თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრია საინტერესო.

4. თქვენ მუშაობთ დიდი დაძაბულობით.

5. დროდადრო თავში ისეთი ცუდი აზრები მოდის, რომ უმჯობესია მათზე არც ვისაუბრო.

6. იშვიათად გაწუხებთ ყაბზობა.

7. ზოგჯერ ძალიან გინდოდათ სამუდამოდ წასულიყავით სახლიდან.

8. დროდადრო გაქვთ შეუკავებელი სიცილისა და ტირილის შეტევები.

9. დროდადრო გაწუხებთ გულისრევა და ღებინება.

10. ისეთი შთაბეჭდილება გაქვთ, რომ თქვენ ვერაფინ გიგებთ.

11. ზოგჯერ სურვილი გაქვთ შეიგინოთ.

12. ყოველ კვირა კოშმარები გესიზმრებათ.

13. სხვა ადამიანების უმრავლესობაზე მეტად გიჭირთ კონცენტრაცია.

14. თქვენს თავს უცნაური რამეები ხდებოდა (ხდება).

15. ცხოვრებაში გაცილებით მეტს მიაღწევდით, ადამიანები თქვენს წინააღმდეგ რომ არ იყვნენ განწყობილნი.

16. ბავშვობაში, ერთხანს ქურდობდით.

17. ყოფილა ისე, რომ რამოდენიმე დღე, კვირა ან მთელი თვეები არაფერი გაგიკეთებიათ, რადგანაც გიძნელდებოდათ საკუთარი თავის სამუშაოში ჩაბმა.

18. თქვენ მშფოთვარე და წყვეტილი ძილი გაქვთ.

19. როცა ადამიანებს შორის იმყოფებით, უცნაური რამეები გესმით.

20. ნაცნობი ადამიანების უმრავლესობა უსიამოვნო ადამიანად არ გთვლით.

21. გიხდებოდათ ვინმესადმი დამორჩილება, რომელმაც თქვენზე ნაკლები იცოდა.

22. ადამიანების უმრავლესობა კმაყოფილია თავისი ცხოვრებით უფრო მეტად, ვიდრე თქვენ.

23. ძალიან ბევრი ამუქებს თავის უბედურებას, რათა მიიღონ თანაგრძნობა და დახმარება.

24. ზოგჯერ ბრაზდებით.

25. გარკვეულად გაკლიათ თვითდაჯერებულობა.

26. ხშირად გაქვთ ტოკვა კუნთებში.

27. ხშირად გაქვთ გრძნობა, რომ რაღაც არასწორი ან ცუდი გააკეთეთ.

28. ჩვეულებრივ კმაყოფილი არ ხართ თქვენი ბედით.

29. ზოგიერთს ისე უყვარს უფროსობა, რომ გინდათ ყველაფერი საპირისპიროდ გააკეთოთ, თუმცა იცით, რომ ისინი მართლები არიან.

30. თელით, რომ თქვენს წინააღმდეგ რაღაცას გეგმავენ.

31. ადამიანების უმრავლესობას შეუძლია წარმატების მიღწევა არა პატიოსანი გზით.

32. ხშირად გაწუხებთ კუჭი.

33. ხშირად არ შეგიძლიათ გაიგოთ, თუ რატომ იყავით ცუდ ხასიათზე და გაღიზიანებული წინა დღით.

34. დროდადრო თქვენი აზრები ისე სწრაფად მიდიოდა, რომ ვერ ასწრებდით მათ გამოთქმას.

35. თელით, რომ თქვენი ოჯახური ცხოვრება თქვენი ნაცნობების უმრავლესობის ცხოვრებას არ ჩამორჩება.

36. დროდადრო დარწმუნებული ხართ საკუთარ უსარგებლობაში.

37. ბოლო წლებში თქვენი მდგომარეობა ძირითადად კარგი იყო.

38. გქონიათ პერიოდები, რომელთა დროსაც რაღაცას აკეთებდით და შემდეგ ვერ იხსენებდით, თუ რას.

39. თელით, რომ ხშირად დაუმსახურებლად გსჯიდნენ.

40. თავი არასდროს გიგრძენიათ უკეთ, ვიდრე ეხლა ხართ.

41. თქვენთვის სულერთია, თუ რას ფიქრობენ სხვები თქვენზე.

42. მეხსიერებასთან ყველაფერში წესრიგში გაქვთ.

43. გიჭირთ საუბრის შენარჩუნება ადამიანთან, რომელიც ეს-ესაა გაიცანით.

44. დროის უმეტეს ნაწილს ზოგად სისუსტეს გრძნობთ.

45. იშვიათად გტკივათ თავი.

46. ზოგჯერ გიჭირდათ წონასწორობის შენარჩუნება სიარულის დროს.

47. ყველა ნაცნობი როდი მოგწონთ.

48. არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ მოგპარონ იდეები და აზრები.

49. თელით, რომ ჩადიოდით მიუტევებელ

საქციელს.

50. თვლით, რომ ძალიან მორცხვი ხართ.

51. თითქმის ყოველთვის რამეზე შფოთავთ.

52. მშობლები ხშირად არ იწონებდნენ თქვენს გაცნობებს.

53. ზოგჯერ, მცირედს წაიჭორავებთ ხოლმე.

54. დროდადრო გრძნობთ, რომ უჩვეულოდ გიადვილდებათ გადაწყვეტილებების მიღება.

55. გაქვთ ძლიერი გულის ფრიალი და ხშირად სული გეხუთებათ.

56. ფეთქებადი ხართ, მაგრამ არაგულღვარძლიანი.

57. გაქვთ ისეთი შფოთვის პერიოდები, რომ გიძნელდებათ ერთ ადგილას ყდომა.

58. თქვენი მშობლები და ოჯახის წევრები ხშირად კრიჭაში გიდგებიან.

59. თქვენი ბედი განსაკუთრებით არ გაინტერესებთ.

60. არ განსჯით ადამიანს, რომელიც წინააღმდეგი არაა თავის ინტერესებში გამოიყენოს სხვისი შეცდომები.

61. ზოგჯერ ენერგიით სავსე ხართ.

62. ბოლო წლებში მხედველობა გაგიუარესდათ.

63. ყურებში ხშირად გაქვთ შუილი ან ხმაური.

64. თქვენს ცხოვრებაში იყო შემთხვევები (შეიძლება მხოლოდ ერთეი), როცა გრძნობდით, რომ თქვენზე ჰიპნოზი მოქმედებს.

65. გაქვთ პერიოდები, როცა უჩვეულოდ მხიარული ხართ განსაკუთრებული მიზეზის გარეშე.

66. საზოგადოებაში ყოფნის დროსაც კი, თავს მარტოდ გრძნობთ.

67. თვლით, რომ თითქმის ყველას შეუძლია იცრუოს, რათა თავიდან აიცილოს უსიამოვნებები.

68. თქვენ უფრო მკაფიოდ შეიგრძნობთ, ვიდრე ადამიანების უმრავლესობა.

69. დროდადრო თქვენი თავი ჩვეულებრივზე უფრო ნელა მუშაობს.

70. ხშირად ადამიანებში იმედი გიცრუვდებათ.

71. ბოროტად იყენებთ სპირტიან სასმელებს.

მეთოდიკას თან ერთვის სპეციალური ბლანკი, სადაც ერთ მხარეს ფიქსირდება ცდის პირის პასუხები. თუ ცდის პირი ეთანხმება მტკიცებას, კითხვის ნომრის შემცველ უჯრაში ის სვამს „+“ ნიშანს („დიახ“, „სწორია“), თუ არა – „–“ ნიშანს („არა, არაა სწორი“). ბლანკის უკანა მხარეზე ექსპერიმენტატორი აგებს ცდის პიროვნების პროფილს კორექციის სკალის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამატებს რა სკალის ბლანკში კორექციის სკალის შესაბამის მნიშვნელობას. ამ მნიშვნელობების ცხრილი მოცემულია ბლანკზე.

K სკალის მნიშვნელობა ემატება 1, 4, 7, 8, 9 საბაზისო სკალებს. მაგალითად, თუ K სკალაზე მიღებულია 9 ქულა, 1 სკალის მნიშვნელობას ცხრილიდან გამომდინარე ემატება 5 ქულა, მე-4 სკალის მნიშვნელობას – 4 ქულა, მე-7 და მე-8 სკალების მნიშვნელობას – 9-9 ქულა, მე-9 სკალის მნიშვნელობას – 2 ქულა.

სკალების აღწერა

1. სიცრუის სკალა (L) აფასებს ცდის პირის გულწრფელობას.

2. უტყუარობის სკალა (F) აელენს არასანდო პასუხებს. რაც მეტია მნიშვნელობა ამ სკალაზე, მით ნაკლებად სანდოა შედეგები.

3. კორექციის სკალა (K) ასწორებს შეცდომებს, რომელთა შეტანაც ხდება ცდის პირის ზედმეტი სიფრთხილითა და კონტროლით ტესტირების დროს. ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლები მეტყველებს ქცევის გაუცნობიერებულ კონტროლზე. K სკალა გამოიყენება საბაზრო სკალების კორექციისთვის, რომლებიც დამოკიდებულია მის სიდიდეზე.

საბაზისო სკალები

1. იპოქონდრია (Hs). ცდის პირის სიახლოვე ასტენონევროტულ ტიპთან. მაღალი შეფასებების მქონე ცდის პირები არიან ნელი, პასიური, ყველაფერს იჯერებენ, ემორჩილებიან ძალაუფლებას, ნელად ახდენენ შეგუებას, ცუდად იტანენ გარემოს ცელილებას, ადვილად კარგავენ წონასწორობას სოციალურ კონფლიქტებში.

2. დეპრესია (D). მაღალი შეფასებები გააჩნიათ მგრძნობიარე, სენზიტიურ პირებს, რომლებიც მიდრეკილნი არიან შფოთვისკენ, ასევე მორცხვ, მშიშარა პირებს.

საქმეებში ისინი გულმოდგინედ, კეთილსინდისიერნი, მაღალი მორალისანი არიან, მაგრამ მათ არ შეუძლიათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, არ აქეთ თავდაჯერებულობა, მცირედი წარუმატებლობისას ისინი სასოწარკვეთაში ვარდებიან.

3. ისტერია (Hy). აელენს კონვერსივირებული ტიპის ნეიროლოგიური დაცვითი რეაქტიებისკენ მიდრეკილ ადამიანებს. ისინი იყენებენ სომატური დაავადების სიმპტომებს, როგორც პასუხისმგებლობისგან თავის არიდების საშუალებას. ყველა პრობლემა წყდება დაავადებაში გადასვლით. ასეთი ადამიანების ძირითად თავისებურებებს წარმოადგენს უფრო მნიშნელოვნად წარმოჩენის უნარი, ვიდრე სინამდვილეში არიან, მათზე ყურადღების მიქცევის სურვილი ნებისმიერ ფასად, აღტაცების წყურვილი.

ასეთი ადამიანების გრძნობები ზედაპირულია და ინტერესები კი არაღრმა.

4. ფსიქოპათია (Pd). ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლები მოწმობს სოციალურ დეზადაპტაციას. ასეთი ადამიანები აგრესიულები, კონფლიქტურები არიან, უგულებელყოფენ სოციალურ ნორმებსა და ფასეულობებს. მათი განწყობილება არამდგრადია, ისინი წყენისადმი მიდრეკილნი, აგზნებადნი და მგრძნობიარენი არიან. შესაძლებელია დროებითი ამაღლება ამ სკალაზე, რაც გამოწვეულია რაიმე მიზეზით.

5. პარანოიალობა (Pa). ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ადამიანების ძირითადი თვისებაა მიდრეკილება ზეფასეული იდეების ფორმირებისკენ. ესენი არიან ცალმხრივი, აგრესიული და გულღრძო ადამიანები. ვინც მათ არ ეთანხმება, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ის ან სულელია ან მტერი. ისინი აქტიურად ნერგავენ თავიანთ შეხედულებებს, ამიტომ მათ ხშირი კონფლიქტი აქვთ გარშემომყოფებთან. საკუთარ უმცირეს წარმატებებს ისინი ყოველთვის ზედმეტად აფასებენ.

6. ფსიქასთენია (Pt). ახდენს მშფოთვარეეჭვნეული ტიპის პირების დიაგნოსტირებას, რომელთაც ახასიათებთ შფოთვა, შიში, გაუბედაობა, მუდმივი ეჭვი.

7. შიზოიდურობა (Se). ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე პირებს ახასიათებთ ქცევის შოზოიდური ტიპი. მათ შეუძლიათ ფაქიზად შეიგრძნონ და აღიქვან აბსტრაქტული ხატები, მაგრამ ყოველდღიური სიხარული და მწუხარება მათში არ იწვევს ემოციურ გამოძახილს. ამგვარად, შიზოიდური ტიპის ზოგად თვისებას წარმოადგენს მაღალი მგრძნობელობის შერწყმა ემოციურ სიცივესთან და გაუცხოებასთან პიროვნებათაშორის ურთიერთობებში.

8. ჰიპომანია (Ma). ამ სკალაზე მაღალი შეფასებების მქონე პირებისთვის დამახასიათებელია ამაღლებული განწყობილება გარემოებების მიუხედავად. ისინი აქტიურები, ენერგიულები და გულმხიარულები არიან. მათ უყვართ სამუშაო ხშირი ცელილებებით, სიამოვნებით კონტაქტობენ ადამიანებთან, თუმცა მათი ინტერესები ზედაპირული და არამყარია, მათ აკლიათ ამტანობა და შეუპოვრობა.

ყველა სკალის მიხედვით, მაღალ შეფასებებს პიროვნების პროფილის აგების შემდეგ წარმოადგენს 70-ზე მაღალი შეფასება. დაბალ შეფასებად ითვლება 40-ზე დაბალი შეფასება.

გამოკითხვა რეკომენდირებულია ჩატარდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფში და ამასთან, თითოეულ ცდის პირს ჰქონდეს კითხვარის ტესტი და პასუხების ბლანკი, ექსპერიმენტატორის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლიათ კითხვები დაუსვან ცდის პირებმა.

ტესტის ბლანკი

გვარი, სახელი, მამის სახელი ————————

ასაკი —— სქესი ———— განათლება ———

თარიღი ————

(„სწორია“ პასუხის დროს ნომერის გვერდით გადახაზეთ „ს“ კვადრატი, „არაა სწორის“ დროს – „ა“ კვადრატი).

	ს	ა
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
11		
12		
13		
14		
15		
16		
17		
18		
19		
20		
21		
22		
23		
24		
25		
26		
27		
28		
29		
30		
31		
32		
33		
34		
35		
36		
37		
38		
39		
40		
41		
42		
43		
44		
45		
46		
47		
48		
49		
50		
51		
52		
53		
54		
55		
56		
57		
58		
59		
60		
61		
62		
63		
64		
65		
66		
67		
68		
69		
70		
71		

L
F
K
1
2
3
4
5
6
7
8
9

გასაღები

სკალები	პასუხები	№ კითხვა
L	არაა სწორი (ა)	5, 11, 24, 47, 53
F	ა	22, 24, 61
	სწორია (ს)	9, 12, 15, 19, 30, 38, 48, 49, 58, 64, 69, 71
K	ა	11, 23, 31, 33, 34, 36, 40, 41, 43, 51, 56, 61, 65, 67, 69, 70
1 (Hs)	ა	1, 2, 6, 37, 45
	ს	9, 18, 26, 32, 44, 46, 55, 62, 63

სკალები	პასუხები	№ კითხვა
2 (D)	ა	1, 3, 6, 11, 28, 37, 40, 42, 60, 61, 65
	ს	9, 13, 18, 22, 25, 36. 44
3 (Hy)	ა	1, 2, 3, 11, 23, 28. 29, 31, 33, 35, 37, 40, 41, 43, 45, 50, 56
	ს	9, 13, 18, 26, 44, 46, 55, 57, 62
4 (Pd)	ა	3, 28, 34, 35, 41, 43, 50, 65
	ს	7, 10, 13, 14, 15, 16, 22, 27, 52, 58, 71
6 (Pa)	ა	28, 29, 31, 67
	ს	5, 8, 10, 15, 30, 39, 63, 64, 66, 68
7 (Pt)	ა	2, 3, 42
	ს	5, 8, 13, 17, 22, 27, 36, 44, 51, 57, 66, 68
8 (Se)	ა	3, 42
	ს	5, 7, 8, 10, 13. 14, 15, 16, 17, 26, 30, 38, 39, 46, 57, 63, 64, 66
9 (Ma)	ა	43
	ს	4, 7, 8, 21, 29, 34, 38, 39, 54, 57, 60

სუბიექტური კონტროლის დონის (სკდ) კვლევის ტესტი

მოცემული ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური მეთოდიკა საშუალებას იძლევა შედარებით სწრაფად და ეფექტურად შეფასდეს ცდის პირში ჩამოყალიბებული სუბიექტური კონტროლის დონე სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე და გამოსადეგია კლინიკურ ფსიქოდიაგნოსტიკაში გამოყენებისთვის; პროფშერჩევისას, საოჯახო კონსულტაციები და ა.შ. შემუშავებულია ბეხტერევის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

პირველად ამგვარი მეთოდები აპრობირებულ იქნა 1960 წ. აშშ-ში, ყველაზე ცნობილი – დ. როტერის კონტროლის ლოკუსის სკალა, რომელიც ეფუძნება ორ პრინციპულ დებულებას.

1. ადამიანები ერთმანეთისაგან გამოირჩევიან იმის მიხედვით, თუ სად და როგორ ახდენენ ისინი კონტროლის ლოკალიზებას მისთვის მნიშვნელოვან მოვლენებზე. შესაძლებელია ასეთი ლოკალიზაციის 2 პოლარული ტიპი: **ექსტერნალური და ინტერნალური.** პირველ შემთხვევაში ადამიანი ვარაუდობს, რომ მის თავს მიმდინარე მოვლენები წარმოადგენენ გარეშე ძალების – შემთხვევის, სხვა ადამიანების და ა.შ. მოქმედების შედეგს. მეორე შემთხვევაში ადამიანი ახდენს მნიშვნელოვანი მოვლენების, როგორც საკუთარი საქმიანობის შედეგის ინტერპრეტაციას. ნებისმიერ ადამიანს ახასიათებს გარკვეული პოზიცია კონტინუუმზე, რაც განფენილია ექტერნალურიდან ინტერნალურ ტიპამდე.

2. ინდივიდისთვის დამახასიათებელი ლოკუს კონტროლი უნივერსალურია ნებისმიერი ტიპის მოვლენებთან და სიტუაციებთან მიმართებაში, რომლებთანაც მას უხდება შეხება.

კონტროლის ერთიდაიგივე ტიპი ახასიათებს მოცემული პიროვნების ქცევას წარუმატებლობების შემთხვევაშიც და მიღწევების სფეროშიც, ამასთან, ეს სხვადასხვა ხარისხით ეხება სოციალური ცხოვრების სხვადასხვა დარგს.

ექსპერიმენტულმა სამუშაოებმა დაადგინეს ქცევის სხვადასხვა ფორმისა და პიროვნების პარამეტრების კავშირი ექსტერნალობა –ინტერნალობასთან. კონფორმული და დამთმობი ქცევა უმეტესად ახასიათებს ექსტერნალური ლოკუსის ადამიანებს. ინტერნალები კი ნაკლებად არიან მიდრეკილნი დაემორჩილონ სხვების ზეწოლას, გასწიონ წინააღმდეგობა, როცა გრძნობენ, რომ მათზე მანიპულირებას ახდენენ. ისინი რეაგირებენ უფრო ძლიერ, ვიდრე ექსტერნალები პირადი თავისუფლების დაკარგვაზე. კონტროლის ინტერვალები ლოკუსების მქონე ადამიანები უკეთ მუშაობენ მარტოობაში, ვიდრე დაკვირვების ქვეშ ან ვიდეოჩაწერისას. ექსტერნალებისთვის დამახასიათებელია საპირისპირო.

ინტერნალები და ექსტერნალები განსხვავდებიან სხვადასხვა სოციალური სიტუაციის ინტერპრეტაციის, ინფორმაციის მიღებისა და მათი განმარტების მექანიზმების ხერხებით. ინტერნალები უფრო აქტიურად ეძებენ ინფორმაციას და ჩვეულებრივ უკეთ არიან ინფორმირებულნი სიტუაციის შესახებ, ვიდრე ექსტერნალები. ერთსაირ სიტუაციაში ინტერნალები დიდ პასუხისმგებლობას აკისრებენ ამ სიტუაციაში მონაწილე ინდივიდებს. ინტერნალები უფრო ხშირად თავს არიდებენ ქცევის სიტუაციურ განმარტებებს, ვიდრე ექსტერნალები.

ინტერნალობა-ექსტერნალობის პიროვნებათშორის ურთიერთობებთან დამაკავშირებელმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ინტერნალები უფრო პოპულარულები, კეთილსასურველები, საკუთარ თავში დარწმუნებულები არიან და ავლენენ დიდ მოთმენას. არსებობს

მაღალი ინტერნალობის კავშირი დადებით თვითმეფასებასთან, რეალური და იდეალური მე-ს ხატების მეტ შეთანხმებულობასთან. ინტერნალებში აღმოჩენილია ექსტერნალებთან შედარებით უფრო აქტიური პოზიცია თავიანთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით: ისინი უკეთ არიან ინფორმირებულნი თავიანთი მდგომარეობის შესახებ, უფრო ზრუნავენ საკუთარ ჯანმრთელობაზე და უფრო ხშირად მიმართავენ პროფილაქტიკურ დახმარებას.

ექსტერნალობა კორელირებს შფოთვასთან, დეპრესიასთან, ფსიქიკურ დაავადებებთან.

ინტერნალები უპირატესობას ანიჭებენ ფსიქოკორექციის არადირექტიულ მეთოდებს; ექსტერნალები სუბიექტურად არიან კმაყოფილნი ქცევითი მეთოდებით.

ყოველივე ეს იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ პიროვნული მახასიათებლის გამოყოფა, რომელიც აღწერს, თუ რა ხარისხით გრძნობს ადამიანი თავს საკუთარი საქმიანობის აქტიურ სუბიექტად და რა ხარისხით – სხვა ადამიანების მოქმედებისა და გარე გარემოებების პასიურ ობიექტად, ეფუძნება არსებულ ემპირიულ კლევებს და მას შეუძლია ხელი შეუწყოს პიროვნების გამოყენებითი ფსიქოლოგიის პრობლემების შემდგომ შესწავლას.

პიროვნების აღწერა განზოგადებული ტრანსსიტუაციური მახასიათებლების მეშვეობით წარმოადგენს არასაკმარისს. ადამიანების უმრავლესობას ახასიათებს ქცევის თავისებურებების მეტ-ნაკლებად ფართო ვარიაბელობა კონკრეტული სოციალური სიტუაციების მიხედვით. კერძოდ, სუბიექტური კონტროლის თავისებურებები შეიძლება შეიცვალოს ადამიანში იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოუდგენია მას სიტუაცია – რთულად თუ მარტივად, სასიამოვნოდ თუ არასასიამოვნოდ და ა.შ. ამიტომ, კონტროლის ლოკუსის გაზომვა უფრო პერსპექტიულია აგებულ იქნეს, არა როგორც ერთგანზომილებიანი მახასიათებელი, არამედ როგორც მრავალგანზომილებიანი პროფილი, რომლის კომპონენტებიც უკავშირდებიან განზოგადების სხვადასხვა ხარისხის სოციალური სიტუაციების ტიპებს.

სკკ კითხვარი შედგება 44 პუნქტისაგან. დ. როტერის სკალისგან განსხვავებით მასში ჩართულია პუნქტები, რომლებიც ზომავენ ექსტერნალობა-ინტერნალობას პიროვნებათშორის და ოჯახურ ურთიერთობებში; მასში ასევე ჩართულია პუნქტები, რომლებიც ზომავენ სკკ ავადმყოფობასთან და ჯანმრთელობასთან მიმართებაში.

კითხვარის შესაძლო გამოყენებათა სპექტრის გაფართოებისთვის ის მოცემულია 2 ვარიანტში, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოირჩევიან ცდის პირთა პასუხების ფორმატით. A ვარიანტი, რომელიც გათვალისწინებულია კვლევითი მიზნებისთვის, მოითხოვს პასუხს 6 ქულიანი სკალით (-3, –2, –1, +1, +2, +3), რომელშიც პასუხი „+3“ ნიშნავს „სრულიად ვეთანხმები“, –3“ – „სრულიად არ ვეთანხმები მოცემულ პუნქტს“. B ვარიანტი, რაც გათვალისწინებულია ფსიქოდიაგნოსტიკისთვის, მოითხოვს პასუხებს ბინარული სკალით „ვეთანხმები – არ ვეთანხმები“.

კითხვარის ტექსტი

1. სამსახურში წინსვლა უფრო დამოკიდებულია გარემოებების წარმატებულ დამთხვევაზე, ვიდრე პირად უნარებსა და ძალისხმევაზე.

2. განქორწინების უმრავლესობა ხდება იმიტომ, რომ ადამიანებმა არ ისურვეს ერთმანეთთან შეგუება.

3. ავადმყოფობა – შემთხვევის საქმეა; თუ გიწერია ავადმყოფობა, ვერაფერს ვერ იზამ.

4. ადამიანები მარტონი არიან იმიტომ, რომ თავად არ ავლენენ ინტერესსა და კეთილმეგობრულ განწყობას გარშემომყოფთა მიმართ.

5. ჩემი სურვილების განხორციელება ხშირად დამოკიდებულია გამართლებაზე.

6. სულერთია ძალისხმევის გამოყენება იმისთვის, რომ მოიპოვო სხვა ადამიანების სიმპათია.

7. გარემოებები, შრობლები და კეთილდღეობა გავლენას ახდენენ ოჯახურ ბედნიერებაზე არანაკლებ, ვიდრე მეუღლეთა ურთიერთობები.

8. ხშირად ვგრძნობ, რომ ნაკლებად ვახდენ გავლენას იმაზე, თუ რა ხდება ჩემს თავს.

9. როგორც წესი, ხელმძღვანელობა უფრო ეფექტურია, როცა სრულად აკონტროლებს ხელქვეითთა მოქმედებებს და არ ეყრდნობა მათ დამოუკიდებლობას.

10. სკოლაში ჩემი ნიშნები უფრო ხშირად დამოკიდებული იყო შემთხვევით გარემოებებზე (მაგალითად, მასწავლებლის განწყობილებაზე), ვიდრე ჩემს საკუთარ ძალისხმევაზე.

11. როცა ვაწყობ გეგმებს, ზოგადად მჯერა, რომ შევძლებ მათ განხორციელებას.

12. ის, რაც ბევრ ადამიანს ეჩვენება წარმატებად ან გამართლებად, სინამდვილეში წარმოადგენს ხანგრძლივი მიზანმიმართული ძალისხმევის შედეგს.

13. ვფიქრობ, რომ ცხოვრების სწორ წესს შეუძლია უფრო მეტად დაეხმაროს ჯანმრთელობას, ვიდრე ექიმებმა და წამლებმა.

14. თუ ადამიანები არ შეესაბამებიან ერთმანეთს, როგორც არ უნდა ცდილობდნენ ისინი ოჯახური ცხოვრების შეწყობას, ამას მაინც შეძლებენ.

15. ის კარგი, რასაც ვაკეთებ, ჩვეულებრივ ღირსეულად ფასდება სხვების მიერ.

16. ბავშვები ისეთები იზრდებიან, როგორც მათ შრობლები ზრდიან.

17. ვფიქრობ, რომ შემთხვევა ან ბედი არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ჩემს ცხოვრებაში.

18. ვცდილობ არ დაეგეგმო საკმაოდ შორეული მომავალი, რადგანაც ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აეწყობა გარემოებები.

19. სკოლაში ჩემი ნიშნები უფრო მეტად დამოკიდებული იყო ჩემს ძალისხმევასა და მომზადების ხარისხზე.

20. ოჯახურ კონფლიქტებში უფრო ხშირად ვგრძნობ თავს დამნაშავედ, ვიდრე საპირისპირო მხარე.

21. ადამიანთა ცხოვრება დამოკიდებულია გარემოებების დამთხვევაზე.

22. უპირატესობას ვანიჭებ ისეთ ხელმძღვანელობას, რომლის დროსაც შესაძლებელია დამოუკიდებლად განსაზღვრო, თუ რა და როგორ გაკეთდეს.

23. ვფიქრობ, რომ ჩემი ცხოვრების წესი არანაირად არ წარმოადგენს ჩემი ავადობების მიზეზს.

24. როგორც წესი, სწორედ გარემოებების არახელსაყრელი დამთხვევა უშლის ხელს ადამიანებს მიაღწიონ წარმატებას საქმეში.

25. ბოლოსდაბოლოს ორგანიზაციის ცუდ მართვაზე პასუხისმგებელი არიან თავად ადამიანები, რომლებიც იქ მუშაობენ.

26. ხშირად ვგრძნობ, რომ არაფრის შეცვლა არ შეიძლია ოჯახში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში.

27. თუ ძალიან მოვინდომებ, შემიძლია ნებისმიერი ადამიანი ჩემდამი კარგად განვაწყო.

28. მოზარდ თაობაზე გაელენას ახდენს იმდენი გარემოება, რომ მშობელთა ძალისხმევა მათ აღზრდაზე ხშირად სულერთია.

29. რაც ჩემს თავს ხდება ჩემი ხელების ნახელაია.

30. ძნელია იმის გაგება, თუ რატომ იქცევიან ხელმძღვანელები ასე და არა სხვაგვარად.

31. ადამიანმა, რომელმაც ვერ შეძლო წარმატების მიღწევა თავის სამუშაოში, როგორც ჩანს არ გამოავლინა საკმარისი ძალისხმევა.

32. ყველაზე ხშირად შემიძლია ჩემი ოჯახის წევრებისგან იმის მიღება, რაც მინდა.

33. ჩემს ცხოვრებაში მომხდარ უსიამოვნებებსა და წარუმატებლობებში უფრო დამნაშავე იყვნენ სხვა ადამიანები, ვიდრე მე.

34. ყოველთვის შეიძლება ბავშვის გაციებისგან დაცვა, თუ მას მიხედავ და სწორად ჩააცვამ.

35. რთულ გარემოებებში უპირატესობას ვანიჭებ დალოდებას, ვიდრე პრობლემები თავისთავად არ მოგვარდება.

36. წარმატება წარმოადგენს შეუპოვარი მუშაობის შედეგს და ნაკლებადაა დამოკიდებული შემთხვევასა თუ გამართლებაზე.

37. ვგრძნობ, რომ ჩემზე ყველაზე მეტადაა დამოკიდებული ჩემი ოჯახის ბედნიერება.

38. ყოველთვის მიძნელდება გაიგო, თუ რატომ მოეწონვარ ზოგ ადამიანებს და არ მოეწონვარ ზოგიერთს.

39. ყოველთვის უპირატესობას ვანიჭებ გადაწყვეტილების მიღებას და მოქმედებას დამოუკიდებლად და არა სხვა ადამიანების დახმარების ან ბედის იმედად ყოფნას.

40. სამწუხაროდ, ადამიანის დამსახურებები ხშირად აუღიარებელი რჩება მისი ყველა მცდელობის მიუხედავად.

41. ოჯახურ ცხოვრებაში არის ისეთი სიტუაციები, რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია ძლიერი სურვილის ქონის დროსაც კი.

42. უნარიანმა ადამიანებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება, ამაში მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულონ.

43. მრავალი ჩემი წარმატება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სხვა ადამიანების დახმარების წყალობით.

44. ჩემს ცხოვრებაში წარუმატებლობების უმრავლესობა მოხდა უცოდინრობისა თუ სიზარმაცის გამო და ნაკლებად იყო დამოკიდებული გამართლებასა თუ გაუმართლებლობაზე.

შევსებული პასუხების დამუშავება უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემული გასაღებების მიხედვით, პასუხების პუნქტებად შეკრებით სვეტებში „+“ თავისი ნიშნით და პასუხების შეკრებით პუნქტებად სვეტებში „–“ საპირისპირო ნიშნით.

როგორც კვლევებმა გვიჩვენა, პასუხებს კითხვარის ყველა პუნქტზე გააჩნია საკმარისი გაფანტულობა: სკალის არც ერთი მხარე არ იყო შერჩეული შემთხვევების 15%-ზე უფრო იშვიათად. ცალკეული ცდის პირის მიერ კითხვარის შეესების შედეგები გარდაიქმნება ერთეულების სტანდარტულ სისტემად და შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თეალსაჩინოდ.

სკდ კითხვარის მაჩვენებლები ორგანიზებულია (საქმიანობის რეგულაციის სისტემის იერარქიული სტრუქტურის პრინციპის შესაბამისად) იმგვარად, რომ ის მოიცავს ინდივიდუალური სკდ განზოგადებულ მაჩვენებელს, რომელიც ინვარიაციულია საქმიანობის კერძო სიტუაციებთან მიმართებაში, ზოგადობის საშუალო დონის 2 მაჩვენებელს და რიგ სიტუაციურ მაჩვენებლებს.

1. O_1

+	-
2	1
4	3
11	5
12	6
13	7
15	8
16	9
17	10
19	14
20	18
22	21
25	23
27	24
29	26
31	29
32	30
34	33
36	35
37	38
39	40
42	41
44	43

2. O_2

+	-
12	1
15	5
27	6
32	14
36	26
37	43

3. O_3

+	-
2	7
4	24
20	33
31	38
42	40
44	41

4. O_4

+	-
2	7
16	14
20	26
32	28
37	41

4. O_5

+	-
19	1
22	9
25	10
42	30

6. O_6

+	-
4	6
27	38

s	s
+	-
13	3
34	23

1. ზოგადი ინტერნალობის სკალა ($и_1$). იმ სკალაზე მაღალი მაჩვენებელი შეესაბამება სუბიექტური კონტროლის მაღალ დონეს ნებისმიერ მნიშვნელოვან სიტუაციაზე. ასეთი ადამიანები თვლიან, რომ მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენების უმრავლესობა იყო მათი საკუთარი მოქმედებების შედეგი, რომ მათ შეუძლიათ მათი მართვა და ამგვარად, ისინი გრძნობენ საკუთარ პასუხისმგებლობას ამ მოვლენებზე და იმაზე, თუ როგორ ყალიბდება მთლიანობაში მათი ცხოვრება. სკალაზე დაბალი მაჩვენებელი შეესაბამება სუბიექტური კონტროლის დაბალ დონეს. ასეთი ცდის პირები არ ხედავენ კავშირს საკუთარ მოქმედებებსა და მათი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს შორის, თავს არ თვლიან უნარიანად აკონტროლონ მათი განვითარება და თვლიან, რომ მათი უმრავლესობა წარმოადგენს შემთხვევის ან სხვა ადამიანების მოქმედებების შედეგს.

2. ინტერნალობის სკალა მიღწევების დარგში ($и_2$). ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლები შეესაბამება სუბიექტური კონტროლის მაღალ დონეს ემოციურ – დადებით მოვლენებსა და სიტუაციებს. ასეთი ადამიანები თვლიან, რომ მათ თავად მიაღწიეს ყოველიეეს, რაც იყო და არის მათ ცხოვრებაში და რომ მათ შეუძლიათ წარმატებით მიაღწიონ თავისას მომავალში. დაბალი მაჩვენებლები $и_2$ სკალაზე მოწმობს იმას, რომ ადამიანი თავის წარმატებებსა და მიღწევებს მიაწერს გარემოებებს – გამართლებას, ბედნიერ ბედს ან სხვა ადამიანების დახმარებას.

3. ინტერნალობის სკალა წარუმატებლობების დარგში ($и_3$). ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლები მეტყველებს სუბიექტური კონტროლის განვითარებულ გრძნობაზე უარყოფით მოვლენებთან და სიტუაციებთან დაკავშირებით, რაც ვლინდება მიდრეკილებაში თავი დაიდანაშაულოს მრავალგვარ უსიამოვნებებსა და ტანჯვაში. $и_3$ დაბალი მაჩვენებლები მოწმობს იმას, რომ ცდის პირი მიდრეკილია ამგვარ მოვლენებზე პასუხისმგებლობა მიაწეროს სხვა ადამიანებს ან ჩათვალოს ისინი გაუმართლებლობის შედეგად.

4. ინტერნალობის სკალა ოჯახური ურთიერთობების დარგში ($и_4$). $и_4$ მაღალი მაჩვენებლები ნიშნავს, რომ ადამიანი თავს პასუხისმგებლად თვლის მის ოჯახურ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებზე. $и_4$ დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ სუბიექტი პარტნიორებს თვლის მის ოჯახში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი სიტუაციების მიზეზად.

5. ინტერნალობის სკალა საწარმოო ურთიერთობების დარგში ($и_5$). მაღალი $и_5$ მოწმობს იმას, რომ ადამიანი თავის მოქმედებებს თვლის საკუთარი საწარმოო საქმიანობის ორგანიზების, კოლექტივში

ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში, თაეის წინსვლაში და ა.შ. მნიშვნელოვან ფაქტორად. დაბალი მაჩვენებელი i_{χ} მიუთითებს იმაზე, რომ ცდის პირი მიდრეკილია უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს გარე გარემოებებს – ხელმძღვანელობას, სამსახურში ამხანაგებს, გამართლებას ან გაუმართლებლობას.

6. ინტერნალობის სკალა ჯანმრთელობასთან და ავადმყოფობასთან მიმართებაში (i_{χ}). i_{χ} მაღალი მაჩვენებლები მოწმობს იმას, რომ ცდის პირი თავს გრძნობს პასუხისმგებლად საკუთარ ჯანმრთელობაზე: თუ ის ავადაა, ამაში თავს იდანაშაულებს და ვარაუდობს, რომ გამოჯანმრთელება ბევრადაა დამოკიდებული მის მოქმედებებზე. დაბალი i_{χ} მქონე ადამიანი ავადმყოფობას თვლის შემთხვევის შედეგად და იმედოვნებს, რომ გამოჯანმრთელება მოვა სხვების, პირველ რიგში, ექიმების მოქმედების შედეგად.

სკალ სკალების ვალიდობა დემონსტრირებულია მათი კავშირებით პიროვნების სხვა მახასიათებლებთან, რომლებიც გაზომილია კეტელის პიროვნული კითხვარის დახმარებით. ადამიანი დაბალი სუბიექტური კონტროლით (მიდრეკილია თავისი წარმატებები და წარუმატებლობები ჩათვალოს გარემოებების შედეგად) ემოციურად არამდგრადია (ფაქტორი – C), მიდრეკილია არაფორმალური ქცევისკენ (ფაქტორი – G), ნაკლებად გულღიაა (ფაქტორი $+Q_1$), მას ცუდი თვითკონტროლი აქვს (ფაქტორი – Q_3) და მაღალი დაძაბულობა (ფაქტორი – $+Q_4$). ადამიანს სუბიექტური კონტროლის მაღალი მაჩვენებლით გააჩნია ემოციური სტაბილურობა (ფაქტორი +C), შეუპოვრობა, გაბედულება (+G), გულღიაობა (ფაქტორი – Q_1), მაღალი თვითკონტროლი (ფაქტორი $+Q_3$) და თავშეკავებულობა (ფაქტორი – Q_4).

ინტელექტი (ფაქტორი B) და მრავალი ფაქტორი, რომელიც უკავშირდება ექსტრავერსია-ინტრავერსიას არ კორელირებს არც i_{χ}-თან, არც სუბიექტური კონტროლის სიტუაციურ მახასიათებლებთან.

სუბიექტური კონტროლი პოზიტიურ მოვლენებზე (მიღწევებზე, წარმატებებზე) უმეტესწილად კორელირებს ძალასთან (ფაქტორი +C), თვითკონტროლთან (ფაქტორი – Q_3), სოციალურ ექსტრავერსიასთან (ფაქტორები +A; – Q_2), ვიდრე სუბიექტური კონტროლი ნეგატიურ მოვლენებზე (უსიამოვნებებზე, წარუმატებლობებზე). გარდა ამისა, ადამიანები, რომლებიც არ გრძნობენ პასუხისმგებლობას წარუმატებლობებზე ხშირად უფრო პრაქტიკულები არიან (ფაქტორი – M), ვიდრე ამ დარგში ძლიერი კონტროლის მქონე ადამიანები, რაც არაა დამახასიათებელი პოზიტიურ მოვლენებზე სუბიექტური კონტროლისთვის.

ტესტი გათვალისწინებულია ინდივიდუალური და ჯგუფური გამოკვლევისთვის. **სკდ** კითხვარის გამოყენება შესაძლებელია სოციალურ-ფსიქოლოგიური და მედიკო-ფსიქოლოგიური პრობლემების ფართო წრის გადაწყვეტისთვის. სუბიექტური კონტროლის დონე იზრდება პიროვნებაზე ფსიქოკორექციული ზემოქმედების პროცესში. ამიტომ, შესაძლებელია **სკდ** გამოყენება ფსიქოლოგიური კორექციის მეთოდების ეფექტურობის შეფასებისთვის.

ექსპერიმენტული მეთოდიკები

„მიზიდულობათა დონე“ და „მოყირჭების პროცესი“

კონკრეტულ ვითარებაში ადამიანის ქცევის თავისებურებების ექსპერიმენტული კვლევა შემოთავაზებულია გერმანელი ფსიქოლოგის კურტ ლევინის (1890-1947) სკოლაში.

კ. ლევინი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ქცევის წყაროს წარმოადგენს არა ასოციაციები, არამედ მოთხოვნილებები. მოთხოვნილებების ქვეშ კ. ლევინი გულისხმობდა არა ბიოლოგიურ მისწრაფებებს, არამედ ფსიქოლოგიურ წარმონაქმნებს – კვაზი მოთხოვნილებებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ადამიანის ცხოვრებისეული მიზნებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ის ხაზს უსვამდა, რომ მიზნები და განზრახვები დინამიკურ თვისებებთან ერთად ერთ რიგში დგანან მოთხოვნილებებთან, რომ ისინი (კვაზიმოთხოვნილებები) სპეციფიკურია ადამიანისთვის.

კ. ლევინის მოძღვრებაში მოთხოვნილებების შესახებ დაყენებულია საკითხი მოთხოვნილებასა და მისი დაკმაყოფილების საგანს შორის კავშირის თაობაზე. მან გვიჩვენა, რომ ადამიანი ყოველთვის არსებობს გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციაში (მისი ტერმინოლოგიით „ფსიქოლოგიურ ველში“), სადაც თითოეული ნივთი, საგანი გამოდის არა თავისთავად, არამედ ადამიანის მოთხოვნილებებთან და სურვილებთან მიმართებაში. კ. ლევინმა მიუთითა ამ ურთიერთობების დინამიკურობაზე, იმაზე, რომ ნებისმიერი ადამიანური მოქმედება ცვლის „ძალებისა და სიტუაციის თანაფარდობას“ და ახლებურად განსაზღვრავს მის ქცევას.

ამიტომ, ნებისმიერი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიური კვლევა მოითხოვს ადამიანის გარემო სინამდვილესთან ურთიერთქმედების ანალიზს. **კ. ლევინი** ხაზს უსვამდა, რომ ადამიანი ყოველთვის ჩართულია მის გარემომცველ სიტუაციაში, თავად გარემო უნდა განიხილებოდეს მის მიმართებაში მოქმედ ადამიანთან დაკავშირებით. ამ ურთიერთობების სახე დინამიკურია და დამოკიდებულია მოთხოვნილებების სტრუქტურაზე.

თუმცა, მოთხოვნილებების, როგორც ადამიანის საქმიანობის მამოძრავებელი ძალის პრობლემას კ. ლევინი წყვეტს გეშტალტფსიქოლოგიის პოზიციიდან. კ. ლევინისთვის მოთხოვნილება ნიშნავს გარკვეულ შიდაფსიქოლოგიურ დინამიკურ, დაძაბულ ან დაძაბულ სისტემას, რომელიც განმუხტვისკენ მიისწრაფვის. სისტემის ამ დაძაბულობის განმუხტვაში მდგომარეობს კიდეც, კ. ლევინის აზრით, მოთხოვნილების დაკმაყოფილება. კ. ლევინი ვერ ხედავდა მოთხოვნილებების საზოგადოებრივ-შრომითი განპირობებულობას, ის იგნორირებას უკეთებდა მათ შინაარსობრივ ხასიათს. ზუსტად ასევე ცნება „ფსიქოლოგიური ველი" არ ნიშნავდა მისთვის რეალურ ობიექტურ გარემოს, ის წარმოადგენდა ფენომენალურ სამყაროს, რომელიც არსებითად არის ამა თუ იმ დაძაბული სისტემების ასახვა. კ. ლევინის აზრით, დინამიკური დაძაბული სისტემების სტრუქტურისა და მათი ფსიქოლოგიურ ველთან ურთიერთდამოკიდებულების გამორკვევა უნდა იყოს კიდეც ნებელობითი მოქმედების ახსნა. ნებელობითი მოქმედების ბუნებაზე ასეთ შეხედულებაში განსაკუთრებული მკაფიოობით გამოვლინდა მისი იდეალისტური პოზიციები. კ. ლევინი ვერ ხედავდა მოთხოვნილების საზოგადოებრივ განპირობებულობას, მან ვერ დაინახა ისიც, რომ ნებელობითი მოქმედება, თუმცა კი თავის წყაროებში უკავშირდება მოთხოვნილებებს, არ გამომდინარეობს უშუალოდ მათგან, არამედ არაპირდაპირაა განპირობებული ადამიანის ცნობიერებით.

მეთოდოლოგიური შეცდომების მიუხედავად, კ. ლევინის მოძღვრებამ დადებითი როლი ითამაშა ფსიქოლოგიის ისტორიაში. მან ფსიქოლოგიურ კვლევებში შემოიღო ადამიანის შესწავლის ახალი პარამეტრები: ექსპერიმენტულად აჩვენა, რომ კვლევის საგნების სახით შესაძლებელია ადამიანის ქცევის მოთხოვნილებებისა და მოტივების აღება. თუმცა, განსაკუთრებით დიდია კ. ლევინისა და მისი სკოლის როლი პიროვნების ფსიქოლოგიის დარგში კვლევის ექსპერიმენტული ხერხების შემუშავებაში. კ. ლევინისა და მისი მოწაფეების (ტ. დემბოს, მ. ოვსიანკინას, ა. კარსტენის, ფ. ხოპეს) ნაშრომები საშუალებას იძლევა ექსპერიმენტულად გამოირკვეს ურთიერთობები, რომელიც არსებობს პიროვნებასა და გარემოს შორის და თავად პიროვნებაშია. აქვე შედის პიროვნების მიზიდულობათა და თვითშეფასების დონესთან დაკავშირებული პრობლემები. კ. ლევინი თვლიდა, რომ მიზიდულობათა დონე ყალიბდება კონკრეტული საქმიანობის პროცესში. მის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს წარმატებისა და წარუმატებლობის გაელენა; მიზიდულობათა დონე წარმოადგენს პიროვნების უმნიშვნელოვანეს წარმონაქმნს, მას უკავშირდება სუბიექტის თვითშეფასება, აქტიურობა და მისი ეფექტური ცხოვრების რთული სტრუქტურა. კ. ლევინის აზრით, ხასიათის მრავალი თვისების ფორმირება დამოკიდებულია ადამიანის მიზიდულობათა დონეზე.

ექსპერიმენტული სამუშაოების მეორე ჯგუფი მიმართულია მოქმედების სურვილის შენარჩუნებისა და აღდგენის შესაძლებლობის კვლევაზე. კ. ლევინმა ექსპერიმენტულად გვიჩვენა, რომ ნებისმიერი მოქმედება, ხანგრძლივად და მონოტონურად მიმდინარეც კი, შესაძლებელია, თუ ის ჩართულია ადამიანის მოთხოვნილებების სისტემაში.

მიზიდულობათა დონის კვლევა

ექსპერიმენტის მიზანი

ექსპერიმენტი მიმართულია ექსპერიმენტულ სიტუაციაში ცდის პირის მიზიდულობათა დონის დინამიკისა და თვითშეფასების გამოვლენაზე. ის წარმოადგენს ფ. ხოპეს მეთოდური ხერხის ვარიანტს. ცდის პირს სთავაზობენ რიგ დავალებებს (14-დან 18-მდე), რომლებიც ერთმანეთისაგან გამოირჩევიან სირთულის ხარისხით.

ყველა დავალება მოთავსებულია ბარათებზე, რომლებიც განლაგებულია ცდის პირის წინ მათი ნომრების ზრდის წესით. დავალების სირთულის ხარისხი შეესაბამება ბარათის რიგითი ნომრის სიდიდეს.

ამ მეთოდიკის მეშვეობით ჩატარებულმა კვლევებმა (ფ. ხოპე, მ. იუკნატი, მ. ნეიმარკი, ტ. ბეჟანიშვილი, ბ. სერებრიაკოვი) გვიჩვენა, რომ როგორც წესი, ცდის პირები წარმატებული გადაწყვეტის შემდეგ ირჩევენ უფრო რთულს და პირიქით, რიგი წარუმატებელი გადაწყვეტის შემდეგ კი მიმართავენ უფრო ადვილ ამოცანებს: პირველი დავალების შესრულების ხარისხი გავლენას ახდენს შემდეგის არჩევაზე.

მეთოდიკა

ექსპერიმენტული მასალა

შემოთავაზებული დავალებები შეიძლება შინაარსით იყოს საკმაოდ განსხვავებული ცდის პირთა საგანმანათლებლო დონისა და პროფესიის მიხედვით. მაგალითად, ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს შეიძლება შეეთავაზოთ მათემატიკური ამოცანები, ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებს კი ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ ცოდნას ლიტერატურის, ხელოვნების დარგში; დავალებები შეიძლება იყოს თავსატეხების ტიპის და ა.შ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ დავალებების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ცდის პირთა ზოგადსაგანმანათლებლო დონეს. მხოლოდ ამ პირობის დროს მათში ხდება

სერიოზული დამოკიდებულების გამომუშავება ექსპერიმენტის სიტუაციის მიმართ.

ცდის ჩასატარებლად საჭიროა ბარათის დამზადება ზომით 12X7 სმ, რომლებზეც უნდა აღინიშნოს მკაფიოდ ციფრები 1-დან 14-მდე და წამზომი.

ცდის პროცედურა

ბარათები 2 რიგად ლაგდება. ცდის პირისთვის ინსტრუქციის წაყენების შემდეგ სთავაზობენ ამოცანის არჩევას. თითოეული შემდგომი ამოცანის შესრულების შემდეგ ექსპერიმენტატორი ცდის პირს ყოველს ჯერზე სთავაზობს: „ახლა აიღეთ იმ სირთულის ამოცანა, რომელიც გსურთ“. ექსპერიმენტატორი აფიქსირებს ამოცანის ამოხსნის დროს და ყოველი ამოცანის შემდეგ ამბობს: „ეს დავალება დროში შეასრულეთ. გიწერთ პლუსს“ ან „დროში ვერ ჩაეტიეთ. გიწერთ მინუსს“.

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა ბარათები, რომელთა უკანა მხარეზეც დავალებებია დაწერილი. ბარათებზე ნომრები აღნიშნავს დავალებათა სირთულის ხარისხს. დავალებები განლაგებულია მზარდი სირთულით. თითოეული ამოცანის ამოხსნაზე განკუთვნილია გარკვეული დრო, რომელიც თქვენთვის უცნობია. მე მათ ვაკვირდებით წამზომის მეშვეობით. თუ არ ჩაეტიეთ განკუთვნილ დროში, ჩავთელი, რომ დავალება არაა შესრულებული. დავალებები უნდა აირჩიოთ დამოუკიდებლად.

ამგვარად, ცდის პირს ეძლევა უფლება დამოუკიდებლად აირჩიოთ დავალების სირთულე. ექსპერიმენტატორს სურვილისამებრ არ შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს დრო, რომელიც განკუთვნილია დავალებების შესრულებაზე, ამით ცდის პირში ნებისმიერად ხდება წარმატების ან წარუმატებლობის განცდა.

შედეგების დამუშავება

მიღებული მონაცემების შეტანა ხდება წინასწარ მომზადებულ ოქმში (იხ. დანართი). ექსპერიმენტის მონაცემები ასევე შეიძლება გამოისახოს მრუდის სახით: აბსცისის ღერძზე თავსდება ცდის რიგითი ნომრები (მორიგი ამოცანის არჩევა), ორდინატთა ღერძზე – ბარათები არის არჩეული ნომრები. („+“) ნიშნით აღინიშნება წარმატებით შესრულებული ამოცანები, („–“) ნიშნით – წარუმატებლად შესრულებული.

ექსპერიმენტატორი დაწვრილებით იწერს ცდის პირის ყველა გამონათქვამს, მის რეაქციებს და ასევე თავის საკუთარ შენიშვნებს.

მას შემდეგ რაც ცდა დამთავრებულია, ცდის პირს უნდა დავუსვათ კითხვა: „რითი ხელმძღვანელობდით დავალების არჩევისას?“

დასკვნები

მიღებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გაკეთება ექსპერიმენტის სიტუაციაში მიზიდულობათა დონის ფორმირების თავისებურებების და ასევე მიზიდულობათა დონისა და თვითშეფასების სიმტკიცის შესახებ.

დანართი

ოქმის ნიმუში
ექსპერიმენტატორი:
ცდის პირი:
ცდის ჩატარების თარიღი:
A – არჩეული ამოცანის N
B – შესრულება („+“ ან „–“).
C – ცდის პირის გამონათქვამი.

ცხრილი 6

A	B	C
3	++	
5	++	
8	++	
9	–	დიახ, მარცხი განვიცადე
4	++	
7	++	
6	++	
10	–	სამწუხაროდ, მხოლოდ რთულები დარჩა. მეორეს აღება – ძალიან ადვილია, ვცდი მე-12
11		
12		

„მოყირჭების“ პროცესის კვლევა

ექსპერიმენტის მიზანი

თვალი მივადევნოთ, თუ როგორ იცვლება ცდის პირის მოქმედება მონოტონური დავალების ხანგრძლივი შესრულებისას, ჩნდება თუ არა ფსიქიკური „მოყირჭების“ ნიშნები (ა. კარსტენის მიხედვით).

მეთოდიკა

ცდის პირს სთავაზობენ ისეთი დავალების შესრულებას, როგორიცაა მაგალითად, ხაზების გავლება, წრეების ხატვა. ამასთან, ცდის პირის წინ დევს ქაღალდის სუფთა ფურცლების დიდი ოდენობა.

ინსტრუქცია

გთხოვეთ, გაავლოთ ხაზები ასე – ექსპერიმენტატორი ხაზავს რამოდენიმე ერთნაირ ხაზს (IIII)

ან წრეს (0000). თუ ცდის პირი კითხულობს, თუ რამდენი ხაზი უნდა გაავლოს მან, ექსპერიმენტატორი სრულიად მიუკერძოებლად პასუხობს: „რამდენიც გნებავთ, აი, თქვენს წინ ქაღალდი დევს".

ცდის პროცედურა

ა. კარსტენისა და ი.მ. სოლოვიოვის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ თავიდან ცდის პირები საკმაოდ ფაქიზად ასრულებენ მისთვის შეთავაზებულ დავალებას: თუმცა, მცირე ხნის (5-10 წთ) შემდეგ, მათ ვარიაციები შეაქვთ დავალებებში. ე.ი. მათთვის შეუმჩნეველად ცდის პირები ცვლიან დავალების შინაარსს. ეს ვარიაციები ატარებს დავალების გარე სტრუქტურის ცვლილების ხასიათს: ხაზები ან წრეები ხდება მეტი ან ნაკლები, ცდის პირები ცვლიან სამუშაოს ტემპს ან ხაზებს აკლებენ გარკვეული რიტმით (მაგალითად, 00 000 00 000). ზოგჯერ ცდის პირები მიმართავენ თანმხლებ მოქმედებებს: ისინი იწყებენ ღიღინს, სტვენას, ფეხების ბაკუნს. ეს ვარიაციები მოწმობს იმას, რომ მოცემული მოქმედების შესრულებისკენ სწრაფვა იწყებს მილევას, როგორც ა. კარსტენი გამოხატავს, დგება ფსიქიკური მოყირჭების მოვლენა.

ა. კარსტენის აზრით, ამგვარი მოვლენები ე.ი. დავალებაში ვარიაციების წარმოქმნა არა მხოლოდ მოწმობს მას, რომ დავალების შესრულების სურვილი თანდათან ქრება, ვარიაციები კი უპირატესად ატარებს პროფილაქტიკური მოქმედებების ხასიათს.

ექსპერიმენტატორი გულდასმით იწერს ცდის პირის სპონტანურ გამონათქვამებს, მისი რეაქციების ხასიათს, მიმიკას, გამომხატველობით მოძრაობებს. ამასთან, ის აფიქსირებს ოქმში ახალი ვარიაციების წარმოქმნის დროს.

გარკვეული დროის (ჩვეულებრივ, 10-15 წთ) შემდეგ, როცა ხშირდება ვარიაციები და მათი გამოვლენა ატარებს გამოხატულ ხასიათს, ხდება ახალი ინსტრუქციის მიწოდება: „ეს მონოტონური დავალება მოგეცათ იმისთვის, რომ გამოკვლეულიყო თქვენი ამტანობა. თუ გსურთ, გააგრძელეთ თქვენი სამუშაო".

ცდის პირთა რეაქცია ახალ ინსტრუქციაზე განსხვავებულია. ზოგიერთი ცდის პირი ბრაზდება („ადრე რატომ არ მითხარი") და ტოვებს სამუშაოს. სხვებში ეს ინსტრუქცია იწვევს სიტუაციის ხელახლა გააზრებას. „მაშინ სხვა საქმეა" – ხშირად ისმის პასუხი.

დავალების ასეთი ხელახალი გააზრება იწვევს იმას, რომ ვარიაციები ხდება იშვიათი, ნაკლებად გამოხატული,. ხოლო ზოგჯერ კი სრულიადაც ქრება.

ახალი ინსტრუქციის შემდეგ ექსპერიმენტატორი გულდასმით იწერს ცდის პირის რეაქციასა და გამონათქვამებს და როგორც ადრე, აღნიშნავს ვარიაციების დადგომის დროსა და ხასიათს.

ცდის დასრულების დრო დადგენილი არაა. როგორც წესი, ცდის პირები თავად წყვეტენ სამუშაოს: „მეტი არ შემიძლია". თუმცა, ზოგიერთი თვითონ არაა მიდრეკილი შეწყვიტოს ცდა. საქმე იმაშია, რომ ხშირად ისინი იცვლიან აზრს დავალებაზე. ამას მოწმობს, როგორც სპონტანური გამონათქვამი, ასევე ცდის პირთა თვითანგარიშიც. „მსურდა მენახა, თუ ვის მობეზრდებოდა უფრო სწრაფად, თქვენ (ე.ი. ექსპერიმენტატორს) თუ მე ან „მინდოდა ჩემი თავის შემოწმება, თუ რამდენად დიდხანს შემიძლია ამ მოსაწყენი საქმიანობის შესრულება".

ცდის ხანგრძლივობა ვარირებს 10 წთ-დან 1 სთ-მდე.

დასკვნები

მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ. თუ რამდენად სწრაფად დგება ფსიქიკური მოყირჭება მონოტონური სამუშაოს შესრულებისას, სამუშაოში შეტანილი ვარიაციების ხასიათის და ასევე იმის შესახებ, თუ როგორ ცვლის ცდის პირის მოქმედების ხასიათს ინსტრუქციის შემოღება.

პიროვნული დიფერენციალი

პიროვნული დიფერენციალის **(პდ)** მეთოდიკა შემუშავებულია თანამედროვე რუსული ენის ბაზაზე და ასახავს მათ კულტურაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს პიროვნების სტრუქტურის შესახებ. პდ მეთოდიკა ადაპტირებულია ვ. მ. ბეხტერევის სახელობის ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. მისი შემუშავების მიზანს წარმოადგენდა პიროვნების გარკვეული თვისებების, მისი თვითშეგნების, პიროვნებათშორისი დამოკიდებულებების შესწავლის კომპაქტური და ვალიდური ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კლინიკურ-ფსიქოლოგიურ და ფსიქოდიაგნოსტიკურ მუშაობაში, ასევე სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში.

პდ სკალების შერჩევის პროცედურა

პდ ჩამოყალიბებულია თანამედროვე რუსული ენის სიტყვების რეპრეზენტაციული არჩევის გზით, რომლებიც აღწერენ პიროვნების თვისებებს, შიდა ფაქტორული სტრუქტურის, პიროვნების თავისე-

ბური მოდელის შემდგომი შესწავლით, რომელიც არსებობს კულტურაში და ვითარდება თითოეულ ადამიანში სოციალური და ენის გამოცდილების ათვისების შედეგად.

ს.ი. ოჟეგოვის რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან შერჩეულ იქნა 120 სიტყვა, რომლებიც აღნიშნავენ პიროვნების თვისებებს. ამ საწყისი ნაკრებიდან შერჩეულ იქნა თვისებები, რომლებიც უმეტესად ახასიათებენ სემანტიკური დიფერენციალის კლასიკური ფაქტორების პოლუსებს:

1) შეფასებებს;

2) ძალას;

3) აქტიურობას.

შემთხვევითი სახის თვისებების საწყისი ნაკრები დაიწყო 6 სიად 20-20 თვისებით. გამოიყენებოდა თვისებების კლასიფიკაციის 3 პარალელური მეთოდი თითოეული ამ სიის შიგნით..

1. ცდის პირთა მიერ (100 ქულიანი სკალით) იმის ალბათობის შეფასება, რომ ადამიანს, რომელსაც გააჩნია A პიროვნების თვისება, ასევე გააჩნია B პიროვნების თვისებები. ინდივიდუალური შეფასებების ალბათობის გასაშუალების შედეგად მიღებულ იქნა პიროვნების თვისებების დაკავშირებულობის შესახებ წარმოდგენების განზოგადებული მაჩვენებლები, რომლებიც შეადგენენ პიროვნების ე.წ. იმპლიციტურ სტრუქტურას, რაც დამახასიათებელია მთლიანად მთელი არჩევისთვის.

2. თვითშეფასებებს შორის კორელაციები პიროვნების თვისებების მიხედვით. ცდის პირები ავსებდნენ თვითშეფასებათა 6 ბლანკს, რომელთაგან თითოეული შედგენილია პიროვნების 20 თვისებისგან და მოითხოვდა მათი არსებობის შეფასებას ცდის პირისგან 5 ქულიანი სკალით.

3. პიროვნების 120 თვისება ფასდებოდა 3 სკალით (7-ქულიანი), რომელიც წარმოადგენდა სემანტიკური დიფერენციალის ფაქტორებს. ხდებოდა შეფასებების გასაშუალოება. პდ –ში შერჩეულია 21 პიროვნული თვისება. რამოდენიმე შემთხვევაში საწყისი სია არ შეიცავდა საჭირო ანტონიმური წყვილის ერთ-ერთ წევრს და იქნა შევსებული. პდ სკალები ცდის პირის მიერ ივსებოდა ინსტრუქციით შეეფასებინათ საკუთარი თავი პიროვნების შერჩეული თვისებების მიხედვით.

პდ ფაქტორების ინტერპრეტაცია

პდ გამოყენებისას თავისშეფასებათა კვლევისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება **შეფასების (შ) ფაქტორს.** შედეგები მოწმობენ თვითპატივისცემის დონეზე. ამ ფაქტორის მაღალი მნიშვნელობები მეტყველებს იმაზე, რომ ცდის პირი თავს აღიქვამს, როგორც პიროვნება, მიდრეკილია თავი გააცნობიეროს, როგორც პოზიტიური, სოციალურად სასურველი მახასიათებლების მატარებელი, რომელიც გარკვეული აზრით კმაყოფილია საკუთარი თავით.

შ ფაქტორის დაბალი მნიშვნელობები მიუთითებენ ადამიანის საკუთარი თავისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებაზე, მის უკმაყოფილებაზე საკუთარი ქცევით, მიღწევების დონით, პიროვნების თავისებურებებით, საკუთარი თავის მიღების არასაკმარისი დონით. ამ ფაქტორის განსაკუთრებით დაბალი მნიშვნელობები თვითშეფასებებში მოწმობს შესაძლო ნევროტულ ან სხვა პრობლემებზე, რომლებიც უკავშირდებიან საკუთარი პიროვნების მცირე ფასეულობის შეგრძნებას.

პდ ურთიერთშეფასებების გასაზომად გამოყენებისას შ ფაქტორი განიმარტება, როგორც მიმზიდველობის, სიმპათიის დონის მოწმობა, რომელსაც ფლობს ერთი ადამიანის მეორეს აღქმისას. ამასთან, ამ ფაქტორის დადებითი (+) მნიშვნელობები შეესაბამება უპირატესობის მინიჭებას, რომელიც შეფასების ობიექტისადმი არსებობს, უარყოფითის (-) და მის უარყოფას.

თვითშეფასებებში ძალის (ძ) ფაქტორი მოწმობს პიროვნების ნებელობითი მხარეების განვითარებას, იმას, თუ როგორ ხდება მათი გაცნობიერება თავად ცდის პირის მიერ. მისი მაღალი მნიშვნელობები მეტყველებს საკუთარი თავის რწმენაზე, უუნარობაზე მიჰყვე ქცევის მიღებულ ხაზს, გარე გარემოებებსა და შეფასებების დამოკიდებულებაზე. განსაკუთრებით დაბალი შეფასებები მოწმობენ და მიუთითებენ ასთენიზაციასა და შფოთვაზე. ურთიერთშეფასებებში (ძ) ფაქტორი ავლენს დომინირება-დაქვემდებარების დამოკიდებულებებს, თუ როგორ ხდება მათი აღქმა შეფასების სუბიექტის მიერ.

აქტიურობის (ა) ფაქტორი თვითშეფასებებში ინტერპრეტირებულია, როგორც პიროვნების ექსტრავერტირებულობის ნიშანი. დადებით (+) მნიშვნელობები მიუთითებენ მაღალ აქტიურობაზე, გულღიაობაზე, იმპულსურობაზე; უარყოფითი (-) მნიშვნელობები – ინტროვერტირებულობაზე, გარკვეულ პასიურობაზე, მშვიდ ემოციურ რეაქციებზე. ურთიერთშეფასებებში აისახება ადამიანების მიერ პიროვნული თავისებურებების აღქმა.

პდ მეშვეობით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის, რომ მათში აისახება ადამიანის სუბიექტური, ემოციურ-აზრობრივი წარმოდგენები საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების შესახებ, მისი დამოკიდებულე-

ბები, რომლებიც შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამებოდნენ საქმეების რეალურ მდგომარეობას, მაგრამ ხშირად მათ გააჩნიათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

პდ მეთოდის გამოყენება

პდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ინფორმაციის მიღება ცდის პირის საკუთარი თავისადმი ან სხვა ადამიანებისადმი დამოკიდებულებების სუბიექტური ასპექტების შესახებ. ამ მხრივ პდ შეედრება ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდების 2 კატეგორიას — პიროვნულ კითხვარებსა და სოციომეტრულ სკალებს. პიროვნული კითხვარებისგან ის გამოირჩევა სიმოკლითა და პირდაპირობით, მიმართულობით თვითშეგნების მონაცემებზე. კითხვარების მეშვეობით მიღებული პიროვნების ზოგიერთი ტრადიციული მახასიათებელი შეიძლება მიღებულ იქნეს პდ მეშვეობით. თვითპატიჟისცემის, დომინანტობა — შფოთვისა და ექსტრავერსიას-ინტროვერსიის დონეზე წარმოადგენს საკმარის მაჩვენებელს ისეთ კლინიკურ ამოცანებში, როგორიცაა ნევროზების, მოსაზღვრე მდგომარეობების დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მდგომარეობის დინამიკის კვლევა რეაბილიტაციის დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მდგომარეობის დინამიკის კვლევა რეაბილიტაციის პროცესში, ფსიქოთერაპიის ეფექტურობის კონტროლი და ა.შ. მეთოდის სიმოკლე საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ის არა მხოლოდ დამოუკიდებლად, არამედ კომპლექსში სხვა დიაგნოსტიკურ პროცედურებთან ერთად.

სოციომეტრული მეთოდებისგან პდ გამოირჩევა დამოკიდებულებების მახასიათებელთა მრავალგანზომილებიანობითა და მათი დიდი განზოგადებულობით. როგორც ურთიერთშეფასებების მიღების მეთოდი პდ შეიძლება რეკომენდირებული იქნეს 2 დარგში — ჯგუფურ და ოჯახურ ფსიქოთერაპიაში გამოსაყენებლად.

ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში პდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პიროვნების ისეთი მხარეებისა და მთლიანად ჯგუფური პროცესის კვლევისთვის, როგორიცაა ჯგუფის წევრების მიერ ერთმანეთის მიღების დონის ზრდა, რეალური და მოსალოდნელი შეფასებების მიახლოება, ფსიქოთერაპევტზე დამოკიდებულების შემცირება და ა.შ. ოჯახური ფსიქოთერაპიაში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ოჯახის წევრებზე (მაგალითად, ბავშვზე) სხვადასხვა შეხედულების ერთმანეთს შორის შეჯერების შესაძლებლობა, რომელსაც წარმოადგენს პდ და ასევე ოჯახის წევრების (მაგალითად, მეუღლეების) ემოციური მიმზიდველობის დომინირება-დაქვემდებარების სტატუსის და აქტიურობის დონის დიფერენცირებული შეფასების შესაძლებლობა. სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს შეფასების საგნების ვარირება (მაგალითად, „როგორ უნდა იყოს მამა“, „იდეალური ქალი“, „ჩემი ცოლი ფიქრობს, რომ მე...“) იდეალურსა და რეალურს, მოსალოდნელსა და რეალურს შორის მანძილის შემდგომი გაანგარიშებით და ა.შ. პდ შეიძლება დაგვეხმაროს ცოლ-ქმრული ურთიერთდამოკიდებულებებით უკმაყოფილების (არასაკმარისი ემოციური მიმზიდველობა, პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება და ა.შ.) ნამდვილი ბუნების განსაზღვრაში, ოჯახის კონფლიქტში ბავშვის როლის გარკვევაში.

პდ ბლანკი და გასაღები

სახელი, გვარი, მამის სახელი ———————

სქესი ———————

ასაკი ———————

ბ	1	+	მომხიბლველი	3210123		არამიმზიდველი
ძ	2		სუსტი	3210123	+	ძლიერი
ა	3	+	ლამარაკის მოყვარული	3210123		უტყვი
ბ	4		უპასუხისმგებლო	3210123	+	კეთილსინდისიერი
ძ	5	+	ჯიუტი	3210123		დამთმობი
ა	6		ჩაკეტილი	3210123	+	გახსნილი
ბ	7	+	კეთილი	3210123		ეგოისტური
ძ	8		დამოკიდებული	3210123	+	დამოუკიდებელი
ა	9	+	ქმედითი	3210123		პასიური
ბ	10		გულქვა	3210123	+	გულისხმიერი
ძ	11	+	შეუპოვარი	3210123		გაუბედავი
ა	12		უსიცოცხლო	3210123	+	ენერგიული
ბ	13	+	სამართლიანი	3210123		უსამართლო
ძ	14		შიდუნებული	3210123	+	დაძაბული
ა	15	+	მოუსვენარი	3210123		მშვიდი
ბ	16		მტრული	3210123	+	მეგობრული
ძ	17	+	დარწმუნებული	3210123		არადარწმუნებული
ა	18		უემური	3210123	+	გულღია
ბ	19	+	პატიოსანი	3210123		არაგულწრფელი
ძ	20		დამოკიდებული	3210123	+	დამოუკიდებელი
ა	21	+	გამაღიზიანებელი	3210123		ულრტყინული

3. რეპერტუარული პიროვნული მეთოდიკები

რეპერტუარული გისოსების აგების ტექნიკის შესახებ

ფსიქოლოგები ხშირად თქვიან, რომ ეფექტური თეორიული ან ექსპერიმენტული მუშაობისთვის საკმარისია მხოლოდ ერთი იდეა ან მეთოდი. ამასთან, მათ ავიწყდებათ ის, რომ თითოეული კონკრეტული იდეის უკან დგას მრავალი წინადადება და კიდევ უფრო მეტი ასეთი წინადადება დგას მეთოდის

უკან. მეთოდის საფუძველში ჩადებული ვარაუდები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს იდეის საფუძველში მყოფ ვარაუდებს. ასე, მაგალითად, ფსიქოლოგები ხშირად იყენებენ გისოსების მეთოდს მისი წარმომქმნელი თეორიის კონტექსტის გარეთ. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება, როგორც განწყობის, მნიშვნელობების, პიროვნებისა თუ კონცეპტების გაზომვის გარკვეული ხერხი, რომელმაც მიიღო სემანტიკური დიფერენციალის ძვირადღირებული ნაირსახეობის სტატუსი მდიდარი მკვლევარებისთვის. (სემანტიკური დიფერენციალის სტანდარტული ვარიანტი არ მოითხოვს თითოეული შემთხვევისთვის მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური დამუშავების მეთოდიკას შესრულების თითოეული შემთხვევისთვის, როგორც მაგალითად, ფაქტორული ანალიზის შემთხვევაში. როგორც წესი, მაშინ როცა რეპერტუარული გისოსები გულისხმობენ ასეთი მეთოდების გამოყენებას და ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში, ეს დამუშავება ხდება ეგმ მეშვეობით).

თუმცა, გისოსების მეთოდის დაკვირვებით მიმღები ფსიქოლოგები იძულებულნი იქნებიან აღიარონ პირადი კონსტრუქტების თეორიის მრავალი ვარაუდის ნამდვილობა, თუნდაც, თუ ისინი არ გაცნობიან ამ თეორიას, როგორც ასეთს. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მის ისეთ ასპექტებს, რომელთაც უშუალოდ ეყრდნობა რეპერტუარული გისოსების ტექნიკა, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი.

რას ზომავენ გისოსები?

კონსტრუქტების თეორიის საფუძველში ექსპლიციტურად დევს იდეა იმის შესახებ, რომ თითოეული ადამიანი წარმოადგენს მკვლევარს. დ. კელი რეზონულად ვარაუდობს, რომ ჩვენ მივისწრაფით ვიპოვოთ აზრი დედამიწაზე, საკუთარ თავში და იმ სიტუაციებში, რომლებშიც ვხვდებით. ამისათვის თითოეული ჩვენგანი კლავ და კლავ ქმნის და გარდაქმნის სხვადასხვა იმპლიციტურ თეორიას, რომლებიც, კარგები თუ ცუდები, შეადგენენ კიდეც ჩვენი პირადი კონსტრუქტების სისტემას. ამ სისტემის მიხედვით, ჩვენ ვცხოვრობთ, განვჭრეტთ მოვლენებს, ვაგებთ საკუთარ ქცევას, ეუსვამთ სხვადასხვაგვარ კითხვებს საკუთარ თავსა და სხვებს. ასევე სისტემიდან გამომდინარე, ჩვენ ვაფასებთ ჩვენიეე მოქმედებების შედეგებს და ვახდენთ ჩვენი ინტერპრეტაციის ხერხების კორექტირებას. ამგვარად, ჩვენ წარმოვადგენთ მკვლევარებს, რომლებიც აყენებენ ჰიპოთეზებს (ვარაუდებს) საკუთარი თეორიების (საკუთარი კონსტრუქტების სისტემის) საფუძველზე. ჩვენ ამ ჰიპოთეზებს ვაქცევთ ექსპერიმენტული შემოწმების ქვეშ (მათ ეუწყობთ ჩვენს ქცევას, ასე ვთქვათ, აქტიურად ვრისკავთ მათზე დაყრდნობით). ჩვენ შეგვიძლია თვალსაჩინოდ დავინახოთ ჩვენი ექსპერიმენტების შედეგები (შევიგრძნოთ ჩვენი ქცევის შედეგები). ჩვენ შეგვაქვს ცვლილებები ჩვენს თეორიაში (ვცვლით ჩვენსავე აზროვნებას, ვიცვლებით თავადაც) და ყველაფერი თავიდან მეორდება.

დ. კელიმ შეიმუშავა რეპერტუარული გისოსების ტექნიკა პირადი კონსტრუქტების სისტემათა შესწავლის მეთოდის სახით, როგორც სხვის ტყვეში გაძრომის, მისი თვალებით სამყაროს დანახვის, მის მდგომარეობაში შესვლის ხერხი.

გისოსები ავლენენ კონსტრუქტებს

დ. კელი იყენებდა ცნების — „კონსტრუქტის" რამოდენიმე განსაზღვრას. აი, ერთ-ერთი მათგანი: **კონსტრუქტი — ესაა ის, „რითაც ორი ან მეტი ობიექტი ჰგავს ერთმანეთს და მაშასადამე, ისინი გამოირჩევიან მესამე ობიექტისგან ან რამოდენიმე სხვა ობიექტისგან"**. ამ განსაზღვრამ თავისი უშუალო ასახვა ჰპოვა გისოსების აგებისთვის კონსტრუქტების გამოვლენის ერთ-ერთ პროცედურაში. **სხვა ადგილას დ. კელი კონსტრუქტს უწოდებდა „ცხადის საზღვრებისგან გასვლის ხერხს"**. ამ განსაზღვრაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ახალი აბსტრაქციის წარმოქმნისას ჩვენ ვიღებთ ახალი „ფაქტების" შენიშვნის შესაძლებლობას, რომლებიც ჩვენთვის არ არსებობდა აბსტრაქციების ძველ სისტემაში.

თავის ყველა განსაზღვრაში დ. კელი ჯიუტად უსვამდა ხაზს კონსტრუქტების ბიპოლარობას. ის თვლიდა, რომ რაიმეს მტკიცებისას, ჩვენ ამავდროულად ყოველთვის უარვყოფთ რაღაცას. ამით ცნება „კონსტრუქტი" განსხვავდება ცნებისგან „კონცეპტი".

სწორედ კონსტრუქტების ბიპოლარობა ხდის შესაძლებელს რეპერტუარული გისოსების აგებას. რას მიიღებთ, თუ ვეცდებით ცნებების გამოყენებას გისოსის აგებისთვის? მაგალითისთვის ავიღოთ ცნება „პატიოსნება". ზოგიერთ ჩვენს ნაცნობს შეიძლება ეუწოდოთ პატიოსანი, დაეტოვებთ რა სხვებს მოცემული ცნების მოცულობის ფარგლებს მიღმა. მოდით, იგივე განვახორციელოთ ცნებასთან „სიმკაცრე"—ს მიმართებაში. ჩვენ კვლავაც ეუწოდებთ მკაცრს ზოგიერთ ნაცნობს, ასევე დავტოვებთ რა დანარჩენებს „მკაცრი"-ს ცნების მოცულობის ფარგლებს მიღმა. შედეგად ჩვენ შეგვიძლია

ვიმსჯელოთ კლასში ჩართულობის ან ჩაურთველობის შესახებ და გავაკეთოთ დასკვნა პირველ კატეგორიაში მოხვედრილი და მეორეში მოხვედრილი თუ არმოხვედრილი ადამიანების შესახებ. ამასთან, ჩვენ ვერ ვაღგენთ ურთიერთდამოკიდებულებებს კონცეპტებს შორის, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ მათ ნაწილობრივ დამთხვევაზე.

ამასთან, შესაძლებელია მარტივი ბიპოლარული გისოსის გამოყენება და თითოეული მოცემული ელემენტის მიკუთვნება კონსტრუქტის ამა თუ იმ პოლუსისთვის ან ელემენტების რანჟირება ერთი პოლუსიდან მეორესკენ ან მათი შეფასება 7-ქულიანი სკალით. თითოეულ შემთხვევაში სწორედ კონსტრუქტების სიმწყობრე, ბიპოლარობა გვაძლევს შესაძლებლობას ასე თუ ისე იქნეს მიღებული მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებების მატრიცა.

გისოსების უნარის წყალობით გამოაელინონ სწორედ კონსტრუქტების ურთიერთდამოკიდებულებები შეიძლება მოიხსნას იმის შეფასების პრობლემა, თუ რამდენად მართლზომიერს ან არამართლზომიერს წარმოადგენს მოცემული ადამიანის კონსტრუქტების სისტემა.

თუ შემოვიფარგლებით ერთპოლუსიანი ცნებების მუშაობით, მოგვიწევს დავკმაყოფილდეთ ზეჩართეის ან ჩაურთველობის ტიპის დასკვნებით. თუმცა, იმის თქმა, რომ ადამიანის ცნებები მოიცავენ საკმაოდ ბევრს ან მცირეს, ნიშნავს იმის დაშვებას, რომ არსებობს ცნებაში ობიექტების ჩართულობის ჭეშმარიტი დონე (განისაზღერება თუ არა ის ნორმატიული სტანდარტებითა თუ ლოგიკის გარკვეული სისტემით).

გისოსებთან მუშაობისას ჩვენ შეგვიძლია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოელენილი ურთიერთკავშირები კონსტრუქტებს შორის, სურვილის ქონისას შევადაროთ ნორმატულ სტანდარტებს ან ჩვენს მიერ დადგენილ ნებისმიერ სხვა სტანდარტს. თუმცა, სულაც არაა საჭალდებულო მხოლოდ ამით შემოფარგლა: ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ადამიანის კონსტრუქტების სისტემა თავისთავად, შემდეგ გადავალთ რა უფრო რთული პრობლემების შესწავლაზე.

გამოსადეგობის დიაპაზონი

ცნება „გისოსი" მჭიდროდ უკავშირდება ცნებას „გამოსადეგობის დიაპაზონი". დ. კელი თელიდა, რომ კონსტრუქტი (ან კონსტრუქტთა ქვესისტემა) ყოველთვის მუშაობს კონტექსტში და მოცემულ ადამიანს მოცემულ მომენტში შეუძლია მისი გამოყენება ელემენტების გარკვეული ნაკრების მიმართ. ამ მოელენის აღმოჩენა შეიძლება სასაუბრო მეტყველებაში: ავეჯზე ჩვენ ვამბობთ, რომ ის ძველებურია ან თანამედროვეა, ხოლო რიცხვებზე — ისინი მარტივია ან შედგენილი, თუმცა ჩვენ არ ვმსჯელობთ ძველებურ და თანამედროვე რიცხვებზე ან მარტივ და შედგენილ ავეჯზე. რასაკვირველია, არის გამოსადეგობის დიაპაზონის გაფართოების შემთხვევები (მაგალითად, პოეზიაში), მაგრამ, როგორც წესი, ჩვენი კონსტრუქტების გამოსადეგობის დიაპაზონი საკმაოდ შეზღუდულია. კონსტრუირების ბუნების შესახებ აი დებულებიდან დ. კელიმ გამოიყვანა გისოსების აგების მთავარი წესი: ყველა ელემენტი უნდა იყოს გისოსის შემქმნელი ადამიანისთვის მოცემული კონსტრუქტის გამოსადეგობის დიაპაზონის ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში გისოსის შეუსება გადაიქცევა აბსურდულ საქმიანობად. მაგალითად, ადამიანი თავის ნაცნობებს ყოფს მიმზიდველებად და არამიმზიდველებად. თუმცა, ჩვენ არ მიეცით მას ჩვენთვის შეტყობინების შესაძლებლობები, თუ რაა მისთვის მიმზიდველი-არამიმზიდველი. ეს კონსტრუქტი, რომლის გამოსადეგობის დიაპაზონი მოიცავს მხოლოდ ქალებს და ერთადერთი, რაც მას რჩება — ესაა ნაცნობი ქალების ნაწილის მიმზიდველებისთვის მიკუთვნება, ხოლო დანარჩენი ქალებისა და ყველა მამაკაცის — არამიმზიდველებისთვის. ჩვენ ვაიძულეთ ის ამისკენ, რამდენადაც მას არ დავუტოვეთ არჩევის შესაძლებლობა. შედეგად კი, „მიმზიდველი" კონსტრუქტის გისოსის სხვა კონსტრუქტებთან თანაშეფარდებისას ჩვენ აუცილებლად ვიღებთ დამახინჯებულ წარმოდგენას მისი კონსტრუქტების სისტემის შესახებ.

ინდივიდუალობის შედეგი

ეს დებულება მიუთითებს უბრალოდ იმაზე, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონსტრუირების ხერხის მიხედვით. ადამიანი რეაგირებს არა სტიმულზე, არამედ იმაზე, რასაც ის აღიქვამს, როგორც სტიმული. გისოსების გამოყენების მიზანია მნიშვნელობათა ინდივიდუალური სისტემების კვლევის შესაძლებლობების გაფართოება, იმათთან გააზრებით, რომლითაც ვცხოვრობთ. ყველაზე საყოველთაოდ მიღებული კონსტრუქტებიც კი (მაგალითად, მათემატიკაში ან ბუნებისმეტყველებაში გამოყენებული) ინდივიდუალურია იმ გაგებით, რომ თითოეული ჩვენთაგანი მათ აზრს ანიჭებს და ხდის მას კონსტრუქტების საკუთარი სისტემის ნაწილად. „საყოველთაოდ მიღებული" კონსტრუქტები ყველას მიერაა აღიარებული, ისინი იძლევიან შესაძლებლობას უკეთ იქნეს განჭვრეტილი გარკვეული მოვლენები და გააჩნიათ მეტ-ნაკლებად ფიქსირებული

მნიშვნელობა, როგორც ეს ხაზგასმულია დ. კელის ზოგადობის შედეგში. ამგვარად, არც კონსტრუქტების თეორია, არც გისოსები არაა მიმართული უშუალოდ იმ ბუნდოვანი კონსტრუქტების (გრძნობებისა და დამოკიდებულებების სფეროდან) კვლევაზე, რომელთაც ჩვეულებრივ უწოდებენ პირადს.

ზოგადობის შედეგი

იმ ხარისხით, რითაც ერთი ადამიანის კონსტრუქტების სისტემა ჰგავს მეორეს კონსტრუქტების სისტემას, მისი ფსიქოლოგია ემსგავსება მეორე ადამიანის ფსიქოლოგიას. ზოგადობის შედეგი — ინდივიდუალობის შედეგის საპირისპირო პოლუსია, მთლიანი თეორიის კონტექსტში კი ეს შედეგი მოგვაგონებს იმას, რომ გისოსები ეფექტურია მაშინ, როცა ისინი საშუალებას იძლევიან თვალი მივადევნოთ მოცემული კონსტრუქტის კავშირების ყველა ხაზს (მისი იმპლიკაციის ყველა ხერხს). კონსტრუქტებს შორის ზუსტი ურთიერთკავშირების დონეზე, 2 ადამიანში ცდის რაიმე სფეროს პროცესები შეიძლება აღმოჩნდეს საკმაოდ მსგავსი, თუმცა, თუ ყურადღებას მივაქცევთ ამ კონსტრუქტების იმპლიკაციების ხერხებს, გამოელინდება რადიკალური განსხვავებები. ამათანაე ისინი ჩანს ჯგუფურ დონეზეც.

სოციალობის შედეგი

ის გვამცნობს: **„იმ ხარისხით, რითაც ადამიანს შეუძლია კონსტრუირების ხერხების ხელახლა შექმნა, რომელთაც იყენებს სხვა ადამიანი, მას ძალუძს მონაწილეობის მიღება სოციალურ პროცესში, რომელიც მოიცავს მეორესაც“**. ამ დებულების მნიშვნელოვანი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ სხვა ადამიანის კონსტრუირების ხერხების ხელახლა შექმნა ნიშნავს არა მარტო ამ ხერხების გაგებას ან მათ მიბაძვას. თუ მე ვამტკიცებ, რომ ხერხები, რომელთა მეშვეობითაც თქვენ ახდენთ მოვლენების ინტერპრეტირებას, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მე არა მარტო ვახდენ თქვენი კონსტრიურების მეთოდის კოპირებას, არამედ თავადაც ვქმნი მათ ხელახლა. სამწუხაროდ, ესაა კონსტრუქტების თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი თეორია.

ორგანიზაციის შედეგი

ის გვამცნობს: **„თითოეული ადამიანი მოვლენების პროგნოზირების მეტი ეფექტურობისთვის ქმნის კონსტრუქტების იერარქიულ სისტემას, რომელიც მოიცავს მათ შორის რიგობრივ დამოკიდებულებებს“**. ამით დ. კელი ხაზს უსვამდა, რომ კონსტრუქტები არის სუბორდინაციული (დაქვემდებარებული) და სუპერორდინატული (კლასის მიხედვით აღმატებული). ამის ილუსტრირება შეიძლება შემდეგი სახით: სატრანსპორტო საშუალებები მოიცავს ხომალდებს, ხომალდები — ნავებს, ნავები — კარაჰჭებს და ა.შ. ყოფით მეტყველებაში ამას უწოდებენ მნიშვნელოვან აზრებს, მთავარ იდეას, ძირითად თვისებებს დეტალებისა დაწვრილმანების საპირისპიროდ. გისოსების გამოყენების სტანდარტული ხერხების გამოყენებისას შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ კონსტრუქტები უნდა განვიხილოთ და აღვწეროთ ეკლიდური გეომეტრიის ტერმინებში ე.ი. განლაგებულია ერთ სიბრტყეზე და არა პირამიდის სახით.

კონსტრუქტების ტიპები

კონსტრუქტების თეორია გულისხმობს მათ შემდეგ კლასიფიკაციას: წინასწარ განმსაზღვრელს (თუ ეს სიცრუეა, ეს სიცრუეა და მეტი არაფერი), კონსტელაციურს (თუ ეს სიცრუეა, ეს უღირსი საქციელია, დასჯადია, მორალური გახრწნის აშკარა ნიშანია და ა.შ.) და პროპოზიციონალურია (შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ ეს ყველაფერთან ერთად, სიცრუეა). გისოსების მეთოდი ძირითადად გამოყენებული რომ ყოფილიყო კონსტრუქტების თეორიის ჩარჩოებში, შეიძლებოდა ყოველგვარი სირთულის გარეშე მიგვედევნებინა თვალი სპეციალურად კონსტრუქტების გამოყენების სხვადასხვა ხერხის კელეციისთვის შემუშავებული გისოსების ფორმათა განვითარებისთვის. თუმცა, იმის შედეგად, რომ გისოსები ხშირად ფართოდ გამოიყენება თეორიასთან მათი პირდაპირი კავშირის ფარგლებს გარეთ, ეს ასპექტი დარჩა ნაკლებად შესწავლილი.

კონსტრუქტები მოძრაობაში

მკვლევარები არა მხოლოდ ხშირად მიმართავდნენ გისოსების გამოყენებას კონსტრუქტების თეორიის კონტექსტის მიღმა, არამედ იყენებდნენ მათ ასევე სხვა თეორიების კონტექსტში. თეორიული ვარაუდები, რომლებიც დევს ფსიქოლოგების მიერ გამოყენებული ტესტების უმრავლესობის საფუძველში დაიყვანება პიროვნების უცვლელი და მუდმივი თვისებების არსებობის აღიარებამდე, რომლებიც წარმოადგენენ კიდეც პირველხარისხოვან ინტერესს მკვლევარებისთვის. **დ. კელი კი ამტკიცებდა, რომ „ადამიანი — ეს მოძრაობის ფორმაა“** და მან შემოგვთავაზა მოძრაობაში კონსტრუქტების აღწერის რამოდენიმე ხერხი. აქტიურად იყო გამოკვლეული ისეთი წარმოდგენები, რომლებიც

ეწინააღმდეგებიან კონსტრუქტების თეორიის ზოგიერთ პრინციპებს (მაგალითად, წარმოდგენა კოგნიტური სირთულე-სიმარტივის შესახებ). ამ წარმოდგენებიდან გამომდინარე, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ მთლიანად კონსტრუქტების თეორიას გააჩნია ერთი-ერთადერთი სტრუქტურული თვისება, მაშინ როცა კონსტრუქტების თეორია უშვებს სხვადასხვა ქვესისტემის სტრუქტურულ მრავალფეროვნებას. გისოსები რომ დამუშავებულიყო მხოლოდ კონსტრუქტების თეორიის ჩარჩოებში, უფრო ადვილი იქნებოდა მოძრავი კონსტრუქტების დიაგნოსტიკისა და კორექციის არსებული მეთოდების მოდიფიცირება.

დასასრულს ავღნიშნავთ, რომ გისოსები — ესაა მეთოდი და არა ტესტი და მათი გამოყენება გულისხმობს ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტას, რაც ხდება ექსპერიმენტის დაგეგმვისას. რა საკითხიც არ უნდა წყდებოდეს ექსპერიმენტულ დონეზე, გისოსის გამოყენება აუცილებლად დააყენებს მკვლევარის წინაშე რიგ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა გამოყენებული ელემენტების ბუნება, კონსტრუქტების გამოვლენის ხერხები, ცდის პირის შეფასებითი ოპერაციების ტიპი (მაგალითად, პოპულარული კონსტრუქტის რანჟირება, კლასიფიკაცია ან ერთ-ერთი პოლუსისადმი განკუთვნება). გარდა ამისა, არსებობს გისოსის მეშვეობით მიღებული მონაცემების ანალიზის მრავალი მეთოდი და ასევე ინტერპრეტაციის მრავალი დასაშვები ხერხი.

თუმცა, ფსიქოლოგები ხანდახან ძალიან იტაცებენ გისოსების გამოყენებას, როგორც ინდივიდუალური შემთხვევების კვლევისას ფსიქოთერაპიის პროცესში, ასევე ცდის პირთა დიდი არჩევის შესწავლისას. შედეგად, ისინი ხშირად უძლურნი არიან გაუმკლავდნენ მიღებული მონაცემების დიდი მოცულობას.

გისოსების უდიდესი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ერთი კონკრეტული ცდის პირისგან მიღებულ მონაცემებთან მიმართებაში შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკური მეთოდების მთელი არსენალი, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება ჯგუფური მონაცემების ანალიზისთვის. ასეთია, მაგალითად, კლასტერული ანალიზის მეთოდები, განსხვავებათა T-კრიტერიუმები, კორელაციების მნიშვნელობისა და კონსისტენტურობის შეფასების ზომები, თანხმობის კოეფიციენტი (ზოგჯერ სტატისტიკურ ლიტერატურაში ამ კოეფიციენტს უწოდებენ კონკორდაციის კოეფიციენტს) და რიგი სხვა სტატისტიკური ღონისძიება. მათ შეუძლიათ გამოავლინონ კონსტრუქტების ფარული სტრუქტურა და შინაარსი, რომლებმაც განაპირობეს ესა თუ ის პასუხი გისოსების შევსებისა. ჯგუფური სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ცალკეული ცდის პირის შედეგების დამუშავებისას საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მნიშვნელოვანი კავშირები და დადგინდეს, რომ კონკრეტული გისოსი როდი ივსება შემთხვევითი სახით. თუმცა, პასუხებს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირების (სიტყვის „მნიშვნელოვანი" სტატისტიკური გაგებით) სტრუქტურის გამოვლენის შესაძლებლობა არ ამცირებს სირთულეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას მათი ფსიქოლოგიური მნიშვნელობის ინტერპრეტაციისას.

თუმცა კი, გისოსის მეთოდი ლოგიკურად გამომდინარეობს კონსტრუქტების თეორიიდან, არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ საჭიროა მათი გამოყენება ამ თეორიის ჩარჩოებში. ერთადერთი, რაზეც შეიძლება დაჟინებით საუბარი — ესაა ის, რომ გისოსების მეთოდის გამომყენებელი ფსიქოლოგი ნათლად აცნობიერებდეს მის საფუძველში მყოფ თეორიულ წინამძღვრებს და ისინი აცნობოს კოლეგებს. ამგვარად, მეცნიერს შეეძლება კიდევ ერთხელ გადაამოწმოს პირადი კონსტრუქტების თეორია.

დ. კელის როლური კონსტრუქტების რეპერტუარული ტესტი

რეპერტუარული გისოსი არის დ. კელის მიერ შემუშავებული როლური კონსტრუქტების რეპერტუარული ტესტის (რკრტ) წარმოებული, „იმის შესაცნობად, თუ რა დგას სიტყვებს უკან".

ახლა ჩვენ შევეხებით დ. კელის მეთოლოგიის ძირითად დებულებებს, რომელიც მის მიერ შემოთავაზებულია ადამიანის პირადი ფსიქოლოგიური სივრცის მათემატიკური აღწერის დასაბუთებისთვის. დ. კელის ძირითადი ვარაუდი იყო შემდეგი: მათემატიკური დამოკიდებულებები ადამიანის მსჯელობებს შორის ასახავს მსაჯულებათა საფუძველში მყოფ ფსიქოლოგიურ პროცესებს.

არსებობს როლური კონსტრუქტების რეპერტუარული ტესტის კონკრეტული ფორმების მრავალი ნაირსახეობა. ზოგიერთი მათგანი დაწვრილებით განვიხილოთ. აღვწეროთ გისოსი ის ტიპი, რომელიც დ. კელიმ შემოგვთავაზა.

როლების რეპერტუარი

პირველი, რაც უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომელიც ავსებს გისოსის ამ ფორმას ესაა თავისი ნაცნობების სახელების ჩასმა ცხრილში მოყვანილ როლურ სიაში.

ცდის პირის ინსტრუქტირება ხდება შემდეგი

სახით: „თქვენით დაწყებული დაწერეთ ჩემს მიერ აღწერილი ყველა პირის სახელი. შემდეგ მათი სახელები ჩაწერეთ შესაბამის გრაფებში. თუ თქვენ არ შეგიძლიათ გაიხსენოთ მოცემული ადამიანის სახელი, დაწერეთ მისი გვარი ან რამე ისეთი, რაც საშუალებას მოგცემთ უმალ გაიხსენოთ ის“.

ცდის პირს ეძლევა ინფორმაცია, რომ სახელები თავისთავად არ წარმოადგენენ ინტერესს ექსპერიმენტატორისთვის. გისოსის მიწოდება ცდის პირისთვის ხდება იმ სახით, რომლითაც ის წარმოდგენილია ცხრილებში.

დ. კელიმ ლოგიკურად დაასაბუთა 3 ტრიადის არჩევა, რომელთანაც მუშაობს ცდის პირი. ეს ტრიადები (ან კლასები) დაყოფილია 7 ჯგუფად:

მე
1. მე თვითონ.

ოჯახი
2. დედა.
3. მამა.
4. ძმა.
5. და.

ახლობლები
6. ქმარი (ცოლი).
7. ყოფილი შეყვარებული.
8. მეგობარი ბიჭი (გოგო).
9. ყოფილი მეგობარი ბიჭი (გოგო).

სიტუაციური პერსონაჟები
10. მინისტრი.
11. ექიმი.
12. მეზობელი.

დამოკიდებულებები
13. ადამიანი, რომელიც თქვენ უარგყოფთ.
14. ადამიანი, რომელსაც ებრალებით.
15. ადამიანი, რომელიც თქვენთვის წარმოადგენს საფრთხეს.
16. ადამიანი, რომელიც გიზიდავთ.

ავტორიტეტი
17. მისაღები მასწავლებელი
18. უარყოფილი მასწავლებელი
19. უფროსი.

ფასეულობები
20. წარმატებული ადამიანი.
21. ბედნიერი ადამიანი.
22. მაღალზნეობრივი ადამიანი.

საფუძვლები თითოეული ტრიადის არჩევისთვის:

1. ფასეულობათა კლასი

ცდის პირს სთხოვენ შეადარონ ადამიანები, რომლებიც გამოხატავენ წარმატებას, ბედნიერებასა და ზნეობრიობას და დაასახელონ კონსტრუქტთა შესაბამისი პოლუსები.

2. ავტორიტეტების კლასი

ცდის პირს სთხოვენ შეადარონ ერთმანეთს ადამიანი, რომლის იდეასაც ის იღებდა, ადამიანი, რომლის იდეებსაც ის უარყოფდა, თუმცა მისგან მოელოდნენ, რომ ის მათ მიიღებდა და ადამიანი, რომლის მხარდაჭერაც მას ძალიან სჭირდებოდა ცხოვრების გარკვეულ პერიოდში.

3. დამოკიდებულებების (ვალენტობების) სისტემა

ცდის პირს სთხოვენ შეადარონ ერთმანეთს ადამიანი, რომელიც უარყოფდა ცდის პირს მისთვის გაუგებარი მიზეზებით, ადამიანი, რომელსაც სჭირდება ცდის პირი და ადამიანი, რომელსაც ცდის პირი იცნობს არც ისე კარგად, მაგრამ სურს უკეთ გაიცნოს. ესაა უფრო ფანტომები და არა რეალური ადამიანები, ამიტომ ივარაუდება, რომ მათი შედარებისას ცდის პირი დაეყრდნობა პროეცირებად შინაარსს.

4. ახლობელთა კლასი

ესაა ყველაზე რთული კლასი, რომელიც მოიცავს მეუღლეს, ყოფილ შეყვარებულსა და მეგობარს. ეს კლასი აელენს პიროვნულ კონფლიქტებს, როგორც ცდის პირის ურთიერთობებში მისთვის ახლობელი ორი საპირისპირო სქესის ადამიანთან, ასევე ცდის პირის საპირისპირო სქესის ახლობელ ადამიანსა და იმავე სქესის ადამიანს შორის ურთიერთობებში.

5. ოჯახის კლასი

მასში ჩართულია მამა, დედა და ძმა. ცდის პირმა უნდა ჩამოაყალიბოს კონსტრუქტი, რომელიც განსაზღვრავს მის ურთიერთდამოკიდებულებებს ოჯახის წევრებთან.

6. დის კლასი

აქ, ცდის პირს სთავაზობენ მოახდინონ საკუთარი დის ხატის რეკონსტრუირება. ამ ტრიადის გამოყენება წარმოადგენს შესაძლებლობას დაინახო მისაღები მასწავლებლის სახით ბედნიერ ადამიანთან მისი შედარებისას, ასევე დის, როგორც ბედნიერი ადამიანის და მისაღები მასწავლებლის შედარებისას.

7. დედის კლასი

აქ, დედასთან შედარებისთვის აირჩევა ადამიანი, რომლის მიმართაც იმედი გაუცრუვდა ცდის პირს და მისაღებია მასწავლებელი.

8. მამის კლასი

აქ, პერსონაჟების სახით მამასთან შედარებისთვის აირჩევა უფროსი და წარმატებული ადამიანი.

9. ძმის კლასი

შედარებისთვის პერსონაჟების სახით ირჩევა ადამიანი, რომელიც უარყოფს ცდის პირს და თავად ცდის პირის მიერ უარყოფილი მასწავლებელი.

10. დის კლასი

შედარებადი პერსონაჟები იგივეა, რაც წინამორბედ ტრიადაში (ძმის კლასი).

11. კარგი დამოკიდებულების კლასი

მასში შედის და, ადამიანი, რომელიც ეცოდება ადამიანს და მაღალზნეობრივი ადამიანი.

12. საფრთხის კლასი

მასში შედის ძმა, ყოფილი მეგობარი და ადამიანი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ცდის პირისთვის.

13. მეუღლის კლასი

მეუღლე შედარებული ხდება ადამიანთან, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს ბედნიერ ადამიანთან.

14. ქონწინების პირველი კლასი

დედის შედარება ხდება მეუღლესთან და ყოფილ შეყვარებულთან.

15. ქორწინების მეორე კლასი

მამის შედარება ხდება ანალოგიურ პირებთან.

16. მეგობრების კლასი

მასში შედის მეგობარი, ყოფილი მეგობარი და ადამიანი, რომელიც იზიდავს ცდის პირს.

17. ხიბსების კლასი (ზოგადი ცნება, რომელიც მოიცავს ძმებსაც და დებსაც.

თვითონ მე, ძმა და და.

18. მიღწევის მოტივაციის კლასი

მასში შედის უფროსი, ადამიანი, რომელმაც მიაღწია წარმატებას და მაღალზნეობრივი ადამიანი.

19. უპირატესი მშობლის კლასი

მასში შედის მამა, დედა და ადამიანი, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს ცდის პირისთვის.

20. მოთხოვნილებების კლასი

მე-ს შედარება ხდება ადამიანთან, რომელიც ეცოდება ცდის პირს და მისთვის მიმზიდველ ადამიანთან. ასეთი შედარება საშუალებას აძლევს კლინიცისტს შესწავლილ იქნეს ცდის პირის მოთხოვნილებების სუბიექტური და ობიექტური მიმართულების თანაფარდობა.

21. კომპენსაციების კლასი

მასში შედის ყოფილი მეგობარი, ცდის პირის უარმყოფელი პირი და ადამიანი, რომელიც ეცოდება ცდის პირს. ეს კლასი კლინიცისტს აძლევს შესაძლებლობას გაარკვიოს, თუ როგორ რეაგირებს ცდის პირი ადამიანებთან ახალ ურთიერთობების დაკარგვაზე.

22. იდენტიფიკაციის კლასი

ეს ძირითადი კლასია. მასში შედის მე, მეუღლე და მეგობარი. ზოგჯერ, ეს კლასი იძლევა შესაძლებლობას მიღებულ იქნეს ცნობები ცდის პირის ოჯახური პრობლემების შესახებ.

ცხრილი 7



ცხრილი 8

1. პირველ გრაფაში თქვენი სახელი დაწერეთ
2. დაწერეთ თქვენი დედის სახელი. თუ თქვენ იზრდებოდით დედინაცვალთან, მისი სახელი დაწერეთ.
3. დაწერეთ თქვენი მამის სახელი. თუ თქვენ იზრდებოდით მამინაცვალთან, მისი სახელი დაწერეთ.
4. დაწერეთ თქვენი ძმის სახელი (რომელიც ყველაზე ახლოსაა თქვენთან ასაკით). თუ ძმა არ გყავთ, დაწერეთ თითქმის თქვენი ტოლი ბიჭის სახელი, რომელიც ძმობას გიწევდათ მოზარდობის პერიოდში.
5. დაწერეთ თქვენი დის სახელი (რომელიც ყველაზე ახლოსაა თქვენთან ასაკით). თუ და არ გყავთ, დაწერეთ თითქმის თქვენი ტოლი გოგოს სახელი, რომელიც დობას გიწევდათ მოზარდობის პერიოდში.

მეექვსე პუნქტიდან დაწყებული ჩასვით ნაცნობი ადამიანების სახელები, მაგრამ არ განმეორდეთ, აირჩიეთ ახალი ადამიანი ყოველ ჯერზე.

6. თქვენი ცოლი (ქმარი) ან თუ უცოლო ხართ (არ ხართ გათხოვილი), შეყვარებული.
7. თქვენი შეყვარებული, იმის უშუალო წინამორბედია, რომელიც ზემოთ დაწერეთ.
8. ამჟამად თქვენთვის ყველაზე ახლობელი, იმავე სქესის ადამიანი.
9. თქვენივე სქესის ადამიანი, რომელიც ახალ მეგობრად მიგაჩნდათ, მაგრამ იმედი გაგიცრუვდათ.
10. მინისტრი, მღვდელი ან რაბინი, რომელთანაც ისურვებდით გაგეზიარებინათ ინტიმური რელიგიური გრძნობები.
11. თქვენი ექიმი.
12. ამჟამად თქვენი მეზობელი, რომელსაც სხვებზე უკეთ იცნობდით.
13. ადამიანი, რომელთანაც დაკავშირებული იყავით, მაგრამ რომელმაც, რაღაც მიზეზების გამო არ შეგიყვარათ.
14. ადამიანი, რომლის მიმართაც გაგაჩნიათ სიბრალულის გრძნობა ან რომლის დახმარების სურვილიც გაქვთ.
15. ადამიანი, რომლის თანდასწრებითაც თავს უხერხულად გრძნობთ.
16. ადამიანი, რომელიც ამასწინათ გაიცანით და რომლის უკეთ გაცნობის სურვილიც გაქვთ.
17. მასწავლებელი, რომელმაც თქვენზე ყველაზე ძლიერი გავლენა მოახდინა, როცა მოზარდი იყავით.
18. მასწავლებელი, რომლის შეხედულებებიც თქვენ წინააღმდეგობას იწვევდა.
19. სამუშაოს მიმცემი, მმართველი ან ოფიცერი, რომლის ხელმძღვანელობითაც გადაიტანეთ მძიმე დრო.
20. ყველაზე იღბლიანი ადამიანი იმათ შორის, რომელსაც პირადად იცნობთ.
21. ყველაზე ბედნიერი ადამიანი იმათ შორის, რომელთაც პირადად იცნობთ.
22. ყველაზე მაღალზნეობრივი ადამიანი იმათ შორის, რომელთაც პირადად იცნობთ.

გისოსი

კონსტრუქტები ელინდება შემდეგი სახით: ცდის პირებს ეკითხებიან, რითი ჰგავს პირველ სტრიქონში (იხ. გისოსი ცხრილში 7) წრით აღნიშნული სამი ადამიანიდან ორი „ერთმანეთს და ამით გამოირჩევა მესამესგან". როცა ცდის პირი მიიღებს გადაწყვეტილებას, მას სთხოვენ ჯვრები განათავსოს წრეში, რომელიც იმ ორ ადამიანს შეესაბამება, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან. მესამე ადამიანის შესაბამისი წრე, რომელიც გამოირჩევა მათგან რჩება ცარიელი. შემდეგ ცდის პირს სთავაზობენ გრაფაში „კონსტრუქტები. გამოვლენილი პოლუსი" (იხ. გისოსი ცხ. 9) სიტყვის ან მოკლე ფრაზის ჩამატებას, რომელიც განმარტავს, თუ კერძოდ რითი ჰგვანან ეს ადამიანები ერთმანეთს. აზრობრივად საპირისპირო მახასიათებლები იწერება სათაურის ქვეშ „ნაგულისხმევი პოლუსი". ამის შემდეგ ცდის პირი ნიშნით აღნიშნავს ამ მნიშვნელოვან მახასიათებლის მქონე (გამოვლენილი პოლუსის მიხედვით) ყველა სხვა პირს. ამგვარადვე ივსება გისოსის დანარჩენი სვეტებიც.

ანალიზი

ცხრილში 3 წარმოდგენილია დ. კელის გისოსის ნიმუში. მის მაგალითზე ჩვენ მოვახდენთ მის მიერ შემოთავაზებული ანალიზის ზოგიერთი ვარიანტის

ილუსტრირებას. დ. კელი სტატისტიკური დამუშავების ჩატარებამდე გვთავაზობდა გისოსის შესწავლას „შეუიარაღებელი თვალით“ და იმის გარკვევას, თუ რას გვამცნობს ცდის პირი უშუალოდ.

დ. კელი აღნიშნავდა, რომ მოცემულ გისოსში (ცხრ. 9) ზოგჯერ გვხვდება თავისი ბუნებით სიტუაციური და არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ან სოციალური კონსტრუქტები. ამის მიუხედავად, საესებით საალბათოა, რომ ცდის პირი მათ იყენებს უფრო ზოგადი თვალსაზრისით. ასევე შესაძლებელია ის, რომ რასაც ჩვენ განმეორებად კონსტრუქტებს ვუწოდებთ ცდის პირისთვის განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა. თუმცა, მაგალითად, მე-14 და მე-15 ტრიადების აღწერისას, ის იყენებს ერთსადა იმავე ვერბალურ იარლიყს, მაგრამ მას სხვადასხვაგვარად იყენებს. დედა მე-14 ტრიადაში განეკუთვნება პოლუსს „არა გოგო“ (შესაძლებელია, ცდის პირს მხედველობაში აქვს ის, რომ ის არაა ახალგაზრდა), ხოლო მე-15 ტრიადაში ის აერთიანებს სხვა პირთან პრინციპით „ორივე გოგო“ (შესაძლოა, ცდის პირის მხედველობაში აქვს მისი სქესი). საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ასევე ის, რომ დის სახით ცდის პირმა აირჩია მამაკაცი, რომელიც მისთვის დის როლს თამაშობდა მის ცხოვრებაში.

ეგმ-ის დახმარებით სახით მიმართვის გარეშე ასევე შეიძლება დავიანგარიშოთ სტრიქონების თითოეული წყვილის დამთხვევის ზომა. თუ აიღებთ ქაღალდის ფურცელს, მოათავსეთ ის გისოსის პირველი სტრიქონის ქვეშ და მასზე აღნიშნეთ ყველა ისარი და ჯვა(ჩიტისმაგვარი აღნიშვნა), შემდეგ ეს ფურცელი ერთი სტრიქონით ქვემოთ ჩამოსწიეთ და დაითვალეთ ნიშნების (ჯვრების) დამთხვევათა რაოდენობა 1 და 2 სტრიქონებში. იმის გათვალისწინებით, რომ შემთხვევითი დამთხვევების რაოდენობა უდრის ყველა შესაძლო დამთხვევის ნახევარს (მოცემულ შემთხვევაში 19), შეიძლება დაანგარიშებულ იქნეს დამთხვევის ან დაუმთხვევლობის ალბათობა. ყველა სტრიქონის შეჯერებისას შეიძლება გავარკვიოთ, თუ კერძოდ როგორაა დაკავშირებული ერთმანეთთან კონსტრუქტები. ეს მეთოდი იძლევა საშუალებას გამოვლინდეს, თუ როგორ ხედავს ცდის პირი მოცემულ ადამიანს სხვა ადამიანებთან შედარებით. დ. კელი აღწერს ანალიზის არაპარამეტრული ფაქტორის მეთოდს. ძირითადი განზომილებების გამოსაყვანად, რომელთაც ცდის პირები იყენებენ სოციალური სამყაროს მოსაწესრიგებლად. თუმცა, შეიძლება შემოვიფარგლოთ დამთხვევათა ქულების მატრიცას შესწავლით, მაგალითად, იმის გასარკვევად, თუ რომელ კონსტრუქტს გააჩნია ყველა დანარჩენ კონსტრუქტთან დამთხვევის მაქსიმალური ქულა ანუ რომელ ელემენტს გააჩნია ყველა სხვა ელემენტთან დამთხვევის მაქსიმალური ქულა. თუმცა, თუ თქვენ, დავუშვათ, გსურთ შეისწავლოთ გისოსის ფაქტორული სტრუქტურა ან გაანალიზოთ გისოსების დიდი რაოდენობა, უმჯობესია მიმართოთ ეგმ დახმარებას.

ამ ტიპის გისოსთან მუშაობისას დ. კელი შეხვდა შემდეგ პრობლემას: ზოგჯერ ცდის პირი ახასიათებს თითქმის ყველა ადამიანს კონსტრუქტის მხოლოდ ერთი პოლუსის მეშვეობით. ყურადღება მიაქციეთ 12 კონსტრუქტს [ცხრ. 9] – მხოლოდ 3 ადამიანს არ სჯერა განსაკუთრებით განათლების. დ. კელიმ სტატისტიკური დამუშავებისას შემოგეთავაზა ასეთი კონსტრუქტების გისოსიდან გამორიცხვა. თუმცა, დ. ბანისტერმა შეიმუშავა ალტერნატიული მეთოდი: ცდის პირს სთავაზობენ ელემენტების თანაბრად განკუთვნებას გამოვლენილი და ნაგულისხმევი პოლუსების მიმართ. ეს საშუალებას იძლევა დამუშავებაში ჩაერთოთ ყველა კონსტრუქტი, თუმცა არსებითად ზღუდავს ცდის პირის თავისუფლებას.

სარანგო გისოსი

ეს მეთოდი წამოაყენა ფილიდა სალმონმა, ხოლო პირველად აღწერა დ. ბანისტერმა. ის საშუალებას იძლევა მოიხსნას კონსტრუქტის არასიმეტრიულობის პრობლემა და მრავალი მკვლევარი (განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებში) თვლის მას ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდად.

როგორც ჩანს, ამ მეთოდის ყველაზე მიმზიდველი თავისებურება წარმოადგენს სტატისტიკური დამუშავების შესაძლო პროცედურების მრავალფეროვნებას, რომელთაგან ყოველი როდი მოითხოვს ეგმ გამოყენებას. ცდის პირის მთავარი ამოცანაა ელემენტების რანჟირება იმათგან დაწყებული, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან გამოვლენილ პოლუსს და იმათი დასრულებით, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან ნაგულისხმევ პოლუსს (მაგალითად, ყველაზე გულუხვიდან ყველაზე ძუნწამდე).

გისოსების პოპულარობის ზრდის მიხედვით გაჩნდა ტენდენცია ექსპერიმენტიდან გამორიცხულ იქნეს როლური სია. რასაკვირველია, როლური სია სულაც არაა პროცედურის ხელშეუხებელი ელემენტი. მისი გამოყენება უკავშირდება გარკვეულ სირთულეებს. ასე, მაგალითად, ამერიკელებისგან განსხვავებით, ევროპელებისთვის მინისტრი უჩვეულო ფიგურაა, რომელსაც ხშირად არა აქვს დამოკიდებულება ცდის პირის პირად გამოცდილე-

კელის როლური კონსტრუქტების რეპერტუარული ტესტის ბლანკის შევსების მაგალითი.

ოჯახი	ახლობლები	ვალენტობა	ავტორიტეტები	ფასეულობები
1. მე	6. მეულლე	10. უარყოფილი ადამიანი	14. მისაღები მასწავლებელი	17. ბედნიერი ადამიანი
2. დედა	7. ყოფილი შეყვარებული	11. საწყალი ადამიანი	15. უარყოფილი მასწავლებელი	18. ზნეობრივი ადამიანი
3. მამა	8. მეგობარი	12. დამმუქრებელი ადამიანი	16. უფროსი	
4. ძმა		13. მიმზიდველი ადამიანი		
5. და	9. ყოფილი მეგობარი			

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	გას.		
			○			✓			✓							⊗	⊗		1	არ სჯერა ღმერთის	ძალიან რელიგიურია
			○				✓							○					2	ერთნაირი განათლების	სრულიად განსხვავებული განათლების
✓		✓	✓	✓	✓	○		✓	⊗		✓	⊗							3	არასპორტული	სპორტული
	✓				⊗	⊗					○	○							4	ორივე გოგოა	ბიჭია
✓	⊗	⊗					○	○	○										5	მშობლები	სხვა შეხედულებების ადამიანები
			✓				○	○											6	კარგად მოგებენ	სრულიად ვერ მიგებენ
		✓	✓			○													7	ცუდ რამეებს ასწავლის	კარგ რამეებს ასწავლის
			✓							○					○				8	ბევრს მაღწიეს	მცირედს მაღწიეს
																			9	უმაღლესი განათლება	განათლება არა აქვს
																			10	არ უყვარს სხვები	სხვები უყვარს
✓	✓	✓					✓												11	ძლიერ რელიგიურია	რელიგიური არაა
✓	✓	✓	⊗			✓	✓		✓	✓	⊗	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	12	სჯერა უმაღლესი განათლების	არ სჯერა უმაღლესი განათლების
	✓	✓			○				✓	✓	⊗								13	უფრო გულღიები არიან	გულღიები არ არიან
	○				⊗	⊗			○	○									14	ორივე გოგოა	გოგოები არ არიან
	✓	○			⊗	⊗							-						15	ორივე გოგოა	გოგოები არ არიან
✓	✓	✓	✓	✓			⊗								○	○			16	ორივე ძალიან მორალისაა	ძალიან მორალის არიან
													○						17	მსგავსად აზროვნებს	აზროვნებს სხვაგვარად
				✓										○					18	ერთი ასაკის არიან	სხვადასხვა ასაკის არიან
				✓						✓	○		✓	✓	✓	✓	✓	✓	19	ჩემზე მიმსგავსებულად ფიქრობენ	ჩემზე სხვადასხვაგვარად ფიქრობენ
				✓		✓	⊗	⊗	✓	✓	✓	○				○			20	ორივე მეგობარია	მეგობრები არ არიან
							✓								✓	✓	✓	✓	21	კარგადაა გაგებული	ცუდადაა გაგებული
			✓		○	✓													22	ორივე აფასებს მუსიკას	არ ესმით მუსიკა

ბასთან. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა წესის დაცვა, რომლის შესრულებისთვისაც იქმნება კიდეც როლური სიები – ელემენტებმა უნდა მოახდინონ კონსტრუირების შესასწავლი სფეროს რეპრეზენტაცია. ეს წესი ეხება ნებისმიერ ელემენტს. თუ ჩვენ გვაინტერესებს ცდის პირთა წარმოდგენა ადამიანებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ, ელემენტების სახით საჭიროა ავირჩიოთ ადამიანები ან მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებები. ამასთან, ყოველთვის უნდა დავრწმუნდეთ ელემენტების რეპრეზენტაციულობაში. შესაძლებელია' ელემენტების რეპრეზენტაციულობის გარკვევა უშუალოდ ცდის პირთა, ისეე როგორც ის, მოხვედება თუ არა თითოეული ელემენტი კონსტრუქტების გამოყენების გამოსადეგობის დიაპაზონში. ამგვარად, თუ პროცედურის გამარტივებისთვის ექსპერიმენტიდან გამოვრიცხავთ როლურ სიას, ეს არ ნიშნავს გისოსში გამოყენებული ელემენტების ადექვატურობისა და რეპრეზენტაციულობის შემოწმებაზე უარის თქმას.

ელემენტები და კონსტრუქტები

დავუშვათ, რომ გსურთ გაარკვიოთ ცდის პირის დამოკიდებულება გარკვეული სიტუაციების (მაგალითად, სტრესული სიტუაციების, რომლებიც ახდენენ ენაბლუობის პროვოცირებას) მიმართ. ამ შემთხვევაში, ელემენტების სახით უნდა გამოვიყენოთ სწორედ ეს განსაკუთრებული სიტუაციები, ქვემოთმოყვანილი სარანგო გისოსში ელემენტებს წარმოადგენენ სიტუაციები, რომლებშიც მოცემული ცდის პირს ეწყება ენაბლუობა. გამოყენებული

კონსტრუქტები ნაწილობრივ გამოვლენილია ტრიადების მეთოდით, ხოლო ნაწილობრივ კი, მოცემულია, რამდენადაც მათი მნიშვნელობა დადგენილია ინტერვიუს დროს.

თითოეული ელემენტი (ე) დაწერილია ცალკე ბარათზე. თითოეული ბარათის რიგითი ნომერი (1-დან 11-მდე) აღინიშნება უკანა მხარეზე, რათა ცდის პირმა მოახდინოს ბარათების რანჟირება ელემენტებზე მსჯელობით და არა მათი რიგის დამახსოვრებით. მოცემულ შემთხვევაში გამოიყენებოდა შემდეგი ელემენტები:

E_1 მე ვსაუბრობ მაგნიტოფონის მიკროფონში.
E_2 მე ვსაუბრობ მეგობრებთან ან ნაცნობებთან.
E_3 მე ვსაუბრობ უცხო ადამიანებთან.
E_4 მე ვსაუბრობ ერთ ადამიანთან.
E_5 მე ვსაუბრობ რამოდენიმე ადამიანთან.
E_6 მე ვსაუბრობ ადამიანების დიდ ჯგუფთან.
E_7 მე ვსაუბრობ ხანდაზმულ მამაკაცებთან.
E_8 მე ვსაუბრობ ახალგაზრდა მამაკაცებთან.
E_9 მე ვსაუბრობ ხანდაზმულ ქალებთან.
E_{10} მე ვსაუბრობ ტელეფონზე.
E_{11} მე ვსაუბრობ ახალგაზრდა ქალებთან

თითოეული კონსტრუქტი ასევე ჩაწერილია ბარათზე და ნომრითაა აღჭურვილი (ის დაწერილია ბარათის სახის მხარეზე). მოცემულ შემთხვევაში გამოიყენებოდა შემდეგი კონსტრუქტები:

სიტუაცია K_1, რომელშიც თქვენ საქმე გაქვთ უფროსობასთან ან თქვენზე უფროს ადამიანთან.

სიტუაცია K_2, რომელშიც თქვენთვის ძნელია გაიგოთ ან ახსნათ პარტნიორის რეაქციები.

სიტუაცია K_3, რომელშიც ენა გებმევათ.

სიტუაცია K_4, რომელშიც საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ.

სიტუაცია K_5, რომელშიც თქვენ აღშფოთებული ხართ თქვენივე ენაბლუობით.

სიტუაცია K_6, რომელშიც თქვენ უხერხულად ხართ ან შფოთავთ.

სიტუაცია K_7, როცა ვინმე კრიტიკულად გიდგებათ.

სიტუაცია K_8, რომელშიც გსურთ კარგი შთაბეჭდილების მოხდენა.

სიტუაცია K_9, რომელშიც, როგორც ელოდებით, ადამიანები უფრო ცუდად განეწყობიან თქვენს მიმართ, თუ ენა დაგებმევათ.

გისოსი

რანგული გისოსის შედგენა ხდება შემდეგი სახით. 11-ივე ბარათი ელემენტებთან ერთად იდება მაგიდაზე ცდის პირის წინ. ასევე მას წარედგინება ბარათი K_1 კონსტრუქტით. ცდის პირს სთხოვენ დაასახელონ ან მიუთითონ ელემენტი, რომელიც ყველაზე უკეთ აღიწერება ამ კონსტრუქტით. მოცემულ შემთხვევაში მას ეკითხებიან, თუ რომელი ელემენტი აღწერს ყველაზე უკეთ სიტუაციას, რომელშიც მას საქმე აქვს უფროსობასთან ან ასაკით უფროს ადამიანთან. ცდის პირმა მიუთითა მე-10 ელემენტზე (მე ვსაუბრობ ტელეფონზე). ამ ელემენტის შემცველი ბარათი მაგიდიდან აიღება, ცდის პირს კი სთხოვენ კვლავ იპოვონ დარჩენილ 10 ბარათს შორის ისეთი, რომელიც იქნებოდა K_1 კონსტრუქტის შესაბამისი. ცდის პირი მიუთითებს მე-7 ელემენტზე (მე ვსაუბრობ ხანდაზმულ მამაკაცებთან). ექსპერიმენტატორი იღებს ამ ბარათსაც, მაგიდაზე რჩება მხოლოდ 9. მას კვლავ სთხოვენ იპოვონ ისეთი ბარათი (დარჩენილი 9-დან), რომელიც სხვებზე მეტად შეესაბამება K_1. პროცედურა მეორდება იქამდე, სანამ მაგიდაზე დარჩება მხოლოდ 1 ბარათი. როცა 11 ბარათი რანჟირებულია ამ კონსტრუქტით (K_1), ექსპერიმენტატორი კვლავ დებს ბარათებს მაგიდაზე, აუცილებლად აურევს რა მათ,ამის გაკეთება საჭიროა იმისთვის,რომ გამოირიცხოს შემთხვევითი კორელაციების წარმოქმნის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ ცდის პირი მიუთითებს ბარათებზე იმ წესით, რომლითაც ისინია განლაგებული. საბოლოო ჯამში, 9 კონსტრუქტის მიხედვით 11 ელემენტის რანჟირების შემდეგ ვიღებთ ცხრ. 10-ში წარმოდგენილ გისოსს.

ცხრილი 10

სარანგო გისოსში 11 ელემენტის რანჟირება ცდის პირის მიერ (მატრიცა შედგება ელემენტთა ნომრებისგან)

	კონსტრუქტები									
		1	2	3	4	5	6	7	8	9
ელემენტები	1	10	10	10	2	11	10	10	11	10
	2	7	1	1	5	6	3	3	10	6
	3	3	3	6	4	10	6	6	6	5
	4	9	7	5	11	9	5	9	7	3
	5	1	9	3	9	3	1	7	3	11
	6	8	8	7	7	7	9	5	5	9
	7	6	4	9	8	8	11	11	9	8
	8	11	11	8	3	4	8	8	8	7
	9	5	5	2	1	5	7	4	4	4
	10	4	6	11	6	1	4	2	1	2
	11	2	2	4	10	2	2	2	2	1

ახლა, ჩვენ გვაქვს ელემენტების რანჟირებათა მატრიცა, რომელთა გარდაქმნაც შეიძლება თითოეულ კონსტრუქტზე თითოეული ელემენტის რანგების ნომრებად, რაც საშუალებას იძლევა

მოხდეს სტატისტიკური ანალიზი რანჟირებებს შორის. ელემენტთა რანგული ნომრები მოყვანილია ცხრილში 11. ისინი მიღებულია შემდეგი სახით: ცხრ. 11 მოთავსებულია პირველ კონსტრუქტზე პირველი ელემენტის რიგითი ნომერი. ეს ელემენტი არჩეულია მეხუთედ რიგის მიხედვით. ამგვარად, ახალ მატრიცაში პირველი ელემენტის სტრიქონისა და 1 კონსტრუქტის სვეტის გადაკვეთაზე ვწერთ ციფრს 5. პირველ კონსტრუქტზე მეორე ელემენტმა მიიღო სარანგო ნომერი 11 და ა.შ. ამდენად, კონსტრუქტები მატრიცაში განლაგებულია სვეტების მიხედვით, ხოლო ელემენტები სტრიქონებად, თავად მატრიცაც შეიცავს თითოეული ელემენტის სარანგო მდგომარეობას თითოეულ 9 კონსტრუქტზე.

ანალიზი

სარანგო გისოსის გაანალიზება შეიძლება რამდენიმე ხერხით, როგორც ეგმ გამოყენებით, ასევე მის გარეშე. ხელით ანგარიშში მოხერხების ერთ-ერთი მეთოდი აღიარებულია დ. ბანისტერის მიერ. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა თვალსაჩინო ფორმით იქნეს წარმოდგენილი ურთიერთდამოკიდებულებები კონსტრუქტებს შორის. რანჟირებათა თითოეული წყვილისთვის იანგარიშება რანგული კორელაციის კოეფიციენტი. შემდეგ გამოიყოფა 2 კონსტრუქტი, რომლებიც ხსნიან დისპერსიის დიდ ნაწილს. ეს კონსტრუქტები წარმოქმნიან კიდეც ძირითად განზომილებებს, ამასთან, მეორე ღერძი წარმოქმნის კონსტრუქტს, რომელიც წარმოადგენს მეორის სიმძლავრის მიხედვით (ასახსნელი დისპერსიის პროცენტის გაგებით) და სტატისტიკურად დამოუკიდებელს პირველისგან. ამ მეთოდის დახმარებით დეტალურად ხდება მთელი მატრიცას ანალიზი, რომელიც მოყვანილია ცხრილში 11.

რანგული კორელაციის კოეფიციენტი (სპირმენის p) იანგარიშება ფორმულით:

$$p = \frac{1 - 6\Sigma d^2}{n^3 - n}$$

ცხრილში 6 მოყვანილია მე-11 ცხრილში წარმოდგენილ გისოსში 1 და მე-2 კონსტრუქტების რანგული კორელაციის კოეფიციენტები. დაითვალეთ სხვაობა ელემენტების თითოეული წყვილის რანგულ ნომრებს შორის, აიყვანეთ თითოეული სხვაობა კვადრატში და შეკრიბეთ ისინი. შემდეგ გაამრავლეთ კვადრატების ჯამი 6-ზე (192) და გაყავით n^3-n სხვაობაზე, სადაც n-ელემენტების რაოდენობაა (n=11). ეს სხვაობა შეადგენს 1320. მიღებული ციფრი აკლდება ერთეულს (p=0,855). ასეთ ფორმაში წარმოდგენილი რანგული კორელაციის კოეფიციენტების შეჯამებისთვის, საჭიროა მათი კვადრატში აყვანა, თუ თითოეულ კოეფიციენტს შემდეგ გაამრავლებთ 100-ზე, განთავისუფლდებით წილადებისგან. მიღებულ მაჩვენებელს ეწოდება ურთიერთკავშირის ქულა. კვადრატში აყვანა ყველა კოეფიციენტს ხდის დადებითად, ამიტომ უნდა შევინარჩუნოთ კოეფიციენტის თავდაპირველი ნიშნის მნიშვნელობა, რამდენადაც ის მოიცავს ფსიქოლოგიურ აზრს. მაგალითად, რანგული კორელაციის კოეფიციენტი სიკეთესა და ეგოიზმს შორის უდრის 0,9, ხოლო მათ შორის ურთიერთკავშირის ქულა უდრის 81. ამ კონსტრუქტების ფსიქოლოგიური აზრის შესწავლისას ის ფაქტი, რომ მათ შორის კავშირს გააჩნია უარყოფითი და არა დადებითი ხასიათი, იძენს დიდ მნიშვნელობას. ცხრ. 13 მოყვანილია მე-11 ცხრილში წარმოდგენილი კონსტრუქტების თითოეულ წყვილს შორის რანგული კორელაციის კოეფიციენტები და ასევე მათ შორის ურთიერთკავშირის ქულები.

ცხრილი 11

რანგულ გისოსში თითოეული ელემენტისთვის გარკვეული რანგის მიწერა (მატრიცა შეიცავს **რანგების ნომრებს)**

	კონსტრუქტები									
		1	2	3	4	5	6	7	8	9
ელემენტები	1	5	2	2	9	10	5	11	10	11
	2	11	11	9	1	11	11	10	11	10
	3	3	3	5	8	5	2	2	5	4
	4	10	7	11	3	8	10	9	9	9
	5	9	9	4	2	9	4	6	6	3
	6	7	10	3	10	2	3	3	3	2
	7	2	4	6	6	6	9	5	4	8
	8	6	6	8	7	7	8	8	8	7
	9	4	5	7	5	4	6	4	7	6
	10	1	1	1	11	3	1	1	2	1
	11	8	8	10	4	1	7	7	1	5

თუ შეეჯამებით თითოეული კონსტრუქტისთვის ურთიერთკავშირის ქულებს (ნიშნის გათვალისწინების გარეშე), მივიღებთ მოცემული კონსტრუქტის მიერ განმარტებული ზოგადი დისპერსიის რიცხობრივ გამოხატულებას. მე-7 ცხრილში 1, 2 და 3 კონსტრუქტებისთვის მთლიანად მოყვანილია რანგული კორელაციის ყველა კოეფიციენტი და ურთიერთკავშირის ქულები. თქვენ ხედავთ, რომ თანაფარდობა 2-1 მოყვანილია 1 და 2 კონსტრუქტების სვეტებში, ხოლო თანაფარდობა 3-1 და 3-2 მეორ-

დება 3 კონსტრუქტის სეტში. მონაცემთა რაოდენობის შესამცირებლად დანარჩენი კონსტრუქტების მიხედვით მოყვანილია მხოლოდ არაგანმეორებადი თანაფარდობები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაგალითად, 8 კონსტრუქტისთვის ურთიერთკავშირის ქულების ჯამი მოიცავს ამ კონსტრუქტის წინამორბედთან ურთიერთკავშირის ქულებს.

ცხრილი 12

სპირმენის რანგული კორელაციის კოეფიციენტების გაანგარიშების წესი

კონსტრუქტები		d (სხვაობა)	d^2 (სხვაობის კვადრატი)
1	2		
5	2	3	9
11	11	0	0
3	3	0	0
10	7	3	9
9	9	0	0
7	10	3	9
2	4	2	4
6	6	0	0
4	5	1	1
1	1	0	0
8	8	0	0

$$\Sigma d^2 = 32$$

$$p=1-\frac{6\Sigma d^2}{n^3-n}=1-\frac{6\times 32}{1131-11}=1-\frac{192}{1320}=1-0{,}145$$

$$p=0{,}885$$

ახლა შესაძლებელია ყველა კონსტრუქტის განლაგება 2 ღერძის სივრცეში. პირველი ღერძი წარმოქმნის კონსტრუქტს, რომელსაც გააჩნია ურთიერთკავშირის ქულების ყველაზე დიდი ჯამი და მაშასადამე, ის ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება დანარჩენ კონსტრუქტებს. მეორე ღერძი წარმოქმნის სიმძლავრის მიხედვით მეორე კონსტრუქტს, მაგრამ, რომელიც არ კორელირებს პირველთან მნიშვნელოვან დონეზე. როგორც ჩანს მე-13 ცხრილიდან, კონსტრუქტი 7 ხსნის დისპერსიის ყველაზე მეტ ნაწილს. ის წარმოქმნის კიდეც პირველ ღერძს ნახატზე 1. კონსტრუქტს 3 გააჩნია პირველი კონსტრუქტის შემდეგ ურთიერთკავშირის ქულების ჯამი და არ კორელირებს მასთან მნიშვნელოვან დონეზე (მაგალითად, $p<0{,}05$). კონსტრუქტები 6, 9, 1, 4 და 8 არ იყო გამოყენებული მეორე ღერძის სახით და თუმცა მე-4 კონსტრუქტის გამოყენება შეიძლებოდა ამ მიზნისთვის, არჩეულ იქნა მე-3 კონსტრუქტი, მისი მეტი ფსიქოლოგიური მნიშვნელობის შედეგად.

ეგმ გამოყენების გარეშე დამუშაების სხვა ხერხი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მანძილი თითოეულ ელემენტსა და კონკრეტულ კონსტრუქტს შორის. დაეუშვათ, რომ ჩვენ გვაინტერესებს ენაბლუობის მაპროვოცირებელი სიტუაციები. მაშინ თაეიდან სასარგებლოა დადგინდეს განსხვავებები პაციენტის მიერ სიტუაციების აღქმაში და მხოლოდ შემდეგ შეუდგეთ მის მკურნალობას.

ელემენტებს შორის აღსაქმელი მანძილის ზომის (მოცემულ შემთხვევაში, სიტუაციები ენაბლუობის პროვოცირების ხარისხის მიხედვით) დათვლის პროცედურა მდგომარეობს შემდეგში:

1. ამოიწერეთ კორელაციის კოეფიციენტები ყველა კონსტრუქტსა და თქვენ ენა გებმევათ-კონსტრუქტს შორის (ჩვენს შემთხვევაში, ესაა მე-3 კონსტრუქტი). აღნიშნეთ, რომ ამ კონსტრუქტის საკუთარ თავთან კორელაციის კოეფიციენტი უდრის 1,00.

2. გადაიყვანეთ კორელაციის კოეფიციენტები ურთიერთკავშირის ქულებში (pX100).

3. ამოიწერეთ ერთი ელემენტის რანგული მდგომარეობა ერთ კონსტრუქტთან მიმართებაში. მე-5 ცხრილიდან ჩანს, რომ ის იკავებს მე-5 მდგომარეობას.

4. პირველ ან მესამე კონსტრუქტებს შორის ურთიერთკავშირის ქულა გაყავით 5-ზე (34:5=6,8).

5. შემდეგ ამოიწერეთ ერთი ელემენტის რანგული მდგომარეობა მეორე კონსტრუქტთან მიმართებაში. მას უკავია მეორე მდგომარეობა.

6. გაყავით მეორე და მესამე კონსტრუქტებს შორის ურთიერთკავშირის ქულა 2-ზე (23:2=11,5).

7. გაიმეორეთ ეს პროცედურა მანამ, სანამ დათვლილი იქნება ქულები ერთი ელემენტისთვის ყველა კონსტრუქტთან მიმართებაში. შეკრიბეთ ეს ქულები. თქვენ მიიღებთ მოცემული სიტუაციისთვის ენაბლუობის პროვოცირების მაჩვენებელს. კერძოდ, პირველი სიტუაციისთვის ის უდრის 80,1. ყველა **დანარჩენი სიტუაციისთვის მაჩვენებლები მოცემულია მე-14 ცხრილში.**

ამგვარი ზომების დაანგარიშებისას ძალიან მნიშვნელოვანია ცენტრალურის სახით ისეთი კონსტრუქტის არჩევა, რომელიც ყველაზე სრულად ასახავს ჩვენთვის საინტერესო მოვლენას. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ვიკვლევთ ენაბლუობის მაპროვოცირებელ სიტუაციებს, ამიტომ, ცენტრალურის სახით არჩეულ იქნა მე-3 კონსტრუქტი – თქვენ ენა



ნახ. 1. კონსტრუქტების განთავსება ორი მთავარი ღერძის სივრცეში ურთიერთკავშირების ქულების შესაბამისად.

გებმევათ. თითოეულ სიტუაციას (ელემენტს) ეწერება ქულა, რომელიც ითვალისწინებს ამ ელემენტის პოზიციასაც მე-3 კონსტრუქტთან მიმართებაში და მოცემული ელემენტის პოზიციას ყველა დანარჩენ კონსტრუქტთან დაკავშირებით (მას შემდეგ, რაც ისინი ,,აწონ-დაწონილ'' იქნა, რაც ასახავს ზუსტად ამ კონსტრუქტების დამოკიდებულებას მესამე კონსტრუქტთან). ამგვარად, მოცემული მეთოდი იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს იმის ხარისხი, რომელშიც თითოეული სიტუაცია ახდენს ენაბლუობის პროვოცირებას (ამასთან, მთელ ქსელში ყველა კავშირის გათვალისწინებით). მიღებული შედეგები ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველაზე სტრესული აღმოჩნდა ტელეფონზე საუბრის სიტუაცია. განსხვავება ამ სიტუაციასა და რანგით შემდეგს შორის (უცნობ ადამიანებთან საუბარი) საკმაოდ დიდია.

ცხრილი 13

რანგული კორელაციის კოეფიციენტები, ურთიერთკავშირის ქულები და ურთიერთკავშირის ქულების ჯამი მე-11 ცხრილში მოყვანილი რანგული გისოსის რანგული ელემენტების თითოეული წყვილისთვის. კორელაციის სრული ნაკრები მოყვანილია მხოლოდ პირველი, მეორე და მესამე კონსტრუქტებისთვის

კონსტრუქტები	p	p^2X100	კონსტრუქტები	p	p^2X100
1–2	0,86	74	2–1	0,86	74
1–3	0,58	34	2–3	0,48	23
1–4	-0,74	-55	2–4	-0,64	-41
1–5	0,42	18	2–5	0,13	2
1–6	0,54	29	2–6	0,44	19
1–7	0,64	41	2–7	0,31	10
1–8	0,44	19	2–8	0,14	2
1–9	0,32	10	2–9	0,03	0
		280			171
3–1	0,58	34	4–5	-0,46	-21
3–2	0,48	23	4–6	-0,70	-49
3–4	-0,73	-53	4–7	-0,52	-27
3–5	0,10	1	4–8	-0,41	-17
3–6	0,81	66	4–9	-0,40	-16
3–7	0,46	21			279
3–8	0,26	7			
3–9	0,45	20			
		225			
5–6	0,46	21	6–7	0,72	52
5–7	0,71	50	6–8	0,54	29
5–8	0,88	77	6–9	0,77	59
5–9	0,69	48			
		238			324
7–8	0,74	55	8–9	0,78	61
7–9	0,85	72			
		328			267
		9=286			

ცხრილი 14

სიტუაციებით პროვოცირებული ენაბლუობის მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშებულია მე-11 ცხრილში მოყვანილი რანგული გისოსის მონაცემების მიხედვით

	ელემენტები											
კონსტრუქტები	p^2X100	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1–3	34	6,8	3,1	11,3	3,4	3,8	4,9	17,0	5,7	8,5	34,0	4,3
2–3	23	11,5	2,1	7,7	3,3	2,6	2,3	5,8	3,8	4,6	32,0	2,9
3–3	100	50,0	11,1	20,0	9,1	25,0	33,3	16,7	12,5	14,3	100,0	10,0
4–3	-53	-5,9	-53,0	-6,6	-17,7	-26,5	-5,3	-8,8	-7,6	-10,6	-4,8	-13,3
5–3	1	0,1	0,0	0,2	0,1	0,1	0,5	0,2	0,1	0,3	0,3	1,0
6–3	66	13,2	6,0	33,0	6,6	16,5	22,0	7,3	8,3	11,0	66,0	9,4
7–3	21	1,9	2,1	10,5	2,3	3,5	7,0	4,2	2,6	5,3	21,0	3,0
8–3	7	0,7	0,6	1,4	0,8	1,2	2,3	1,8	0,9	1,0	3,5	7,0
9–3	20	1,8	2,0	5,0	2,2	6,7	10,0	2,5	2,9	3,3	20,0	4,0
ენაბლუობის პროვოცირების მაჩვენებელი		80,1	-26,0	82,5	10,1	32,9	77,0	46,7	29,2	37,7	263,0	28,3
ენაბლუობის პროვოცირების მაჩვენებელთა რანგები		3	11	2	10	7	4	5	8	6	1	9

თუმცა, აღვნიშნავთ, რომ დამუშავების ამ მეთოდის ვალიდობა ჯერაც არასაკმარისადაა დადგენილი.

განვიხილოთ მაჩვენებლების კიდევ ერთი ტიპი, რომელთა მიღებაც შეიძლება დამუშავებისას ეგმ გამოყენების გარეშე. ის გამოიყენება ე.წ. ჯგუფური გისოსების ანალიზისთვის. ცდის პირებს მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენენ პაციენტების გარკვეული ჯგუფის წევრები. გისოსის ელემენტების სახით ასევე გამოიყენება ჯგუფის წევრები, მათ შორის, ის, ვინც ავსებს გისოსს. ასე მაგალითად, თუ ჯგუფი შედგება 8 ადამიანისგან, ელემენტების სახით გამოიყენება ჯგუფის 7 წევრი და თითოეული ცდის პირის მე. ჯგუფური გისოსის გამოყენება არა მხოლოდ იძლევა საშუალებას მიღებულ იქნეს მრავალი ცნობა დროში კონსტრუირების პროცესების ცვლილების შესახებ (იმ შემთხვევებში, როცა გისოსი ივსება რამდენიმეჯერ), არამედ იძლევა გარკვეულ წარმოდგენასაც ჯგუფის წევრების პიროვნებათშორისი აღქმის შესახებ. იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფის

ცხრილი 15

ელემენტები (ჯგუფის წევრები)	ჯგუფის წევრები								
		1	2	3	4	5	6	7	8
	ა	1	1	1	1	1	1	2	1
	ბ	2	6	8	6	6	8	7	8
	გ	3	8	7	7	5	6	1	6
	დ	8	3	3	5	7	4	5	5
	ე	4	4	4	3	4	3	6	3
	ვ	6	2	2	2	3	5	3	2
	ზ	5	7	6	8	8	7	8	7
	თ	7	5	5	4	2	2	4	4

თითოეული წევრი ახდენს დანარჩენების რანჟირებას ყველა კონსტრუქტის მიხედვით, შეიძლება დავიანგარიშოთ პიროვნებათშორისი აღქმის ქულა. იმისათვის, რომ

განისაზღვროს, თუ რამდენად ემთხვევა მოცემული ცდის პირის მიერ საკუთარი თავის აღქმა მისი სხვების მიერ აღქმას, საჭიროა მხოლოდ მის მიერ მიწერილი რანგული მდგომარეობის შედარება მისთვის დანარჩენების მიერ მიწერილ რანგულ მდგომარეობასთან.

მე-15 ცხრილში მოყვანილია ჯგუფის 8 წევრის რანჟირების შედეგები. ელემენტები (ა-დან თ-მდე) რანჟირებული იყო კონსტრუქტის — პგაეს ლიდერს — მიხედვით. თითოეული ცდის პირისთვის ერთ-ერთი რანჟირებული ელემენტი იყო თავად ის. ეს შემთხვევები აღნიშნული იყო ვარსკვლავიით. ასე, მაგალითად, ცდის პირი 5 (ელემენტი ა) თავს ხედავს ჯგუფის ლიდერად, მას ლიდერად ხედავს ასევე თითქმის ყველა ცდის პირი. დიდი განსხვავებები არ ვლინდება მაშინ, თუ როგორ აღიქვამს თავს ცდის პირი 6 (ელემენტი ზ) და იმათ შორის, თუ როგორ აღიქვამენ მას დანარჩენები. ამისგან განსხვავებით, ცდის პირი 7 მას ლიდერად თვლის. საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ როგორ ახდენს ეს გავლენას ქცევაზე ჯგუფის შიგნით. საერთო ქულის გაანგარიშებისთვის ელემენტის რანგის საშუალო მნიშვნელობას (1,1 ა ელემენტისთვის) უნდა გამოვაკლოთ იმ რანგის ნომერი, რომელიც ცდის პირმა საკუთარ თავს მიუწერა (1,1-1=0,1).

რანჟირების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი შეიძლება მრავალი სხვა ხერხითაც. უფრო მეტიც, უეჭველია, გაჩნდება ანალიზის სულ უფრო ახალი და ახალი მეთოდები. თუმცა, ანალიზის რა მეთოდიც არ უნდა იყოს გამოყენებული, ის არ გაძლევთ უფლებას თავისთავად ნაგულისხმევად ჩათვალოთ ის, რომ რანჟირებული ელემენტები თავსდება პოლუსებს შორის თანაბრად. კონტრასტირებული პოლუსი ხშირად შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სავარაუდოდ.

შეფასებითი გისოსის

ამჟამად მკაფიოდ იზრდება ინტერესი შეფასებითი გისოსის მიმართ. იმის ნაცვლად, რომ რანჟირებულ იქნეს ელემენტები კონსტრუქტების მიმართ, ცდის პირი აფასებს სკალაზე თითოეულ ელემენტს, რომელიც მოცემულია კონსტრუქტის 2 პოლუსით. ეს მეთოდი უშვებს ცდის პირის პასუხების გაცილებით მეტ თავისუფლებას, ვიდრე რანგული გისოსის მეთოდი.

აღვწეროთ შეფასებითი გისოსის შევსების ერთ-ერთი ხერხი. სკალები (კონსტრუქტები) თავსდება ქაღალდის სუფთა ფურცელზე. თითოეული ასეთი ფურცელი ემსახურება ერთი ელემენტის შეფასებას **(ნახ. 2)**.

შეფასებების მატრიცას გააჩნია რვა ელემენტი რვა კონსტრუქტზე წიგნიდან „პიროვნების



ნახ. 2. დ. კელის ელემენტის შეფასების მაგალითი შეფასებითი გისოსის რვა 11 ქულიანი სკალა-კონსტრუქტების მიხედვით

ცხრილი 16

8 ელემენტის შეფასების მატრიცა 8 კონსტრუქტის მიხედვით წიგნიდან „პიროვნების თეორია“

	ფროიდი	ერიქსონი	მიურეი	სკინერი	ოლპორტი	კელი	მასლოუ	როჯერსი
თავისუფლება	11	8	10	11	5	6	2	1
რაციონა-ლურობა	10	3	2	6	1	1	2	1
ჰოლიზმი	3	1	3	11	3	3	1	1
მემკვიდრეობი-თობა	3	10	6	11	6	9	5	4
სუბიექტურობა	5	8	4	11	5	1	2	1
პროაქტიურობა	4	3	4	11	1	6	1	1
ჰომეოსტაზი	1	9	2	6	10	6	10	11
შემეცნებითობა	1	4	6	1	4	11	11	11



ნახ. 3. ცხრ. 10-ის კონსტრუქტებისა და ელემენტების განთავსება ორი განზომილების სივრცეში, რომელიც გაანგარიშებულია მთავარი კომპონენტების მეთოდის მეშვეობით, კონსტრუქტებისა და ელემენტების ფაქტორული დატვირთვების შესაბამისად

თეორიები".

მას შემდეგ, რაც ცდის პირი შეაფასებს ყველა ელემენტს, მონაცემები ერთიანდება ერთიან მატრიცაში (იხ. ცხრ. 10-ის ელემენტები).

აქ მოყვანილი გისოსი აღებულია ლ. ჰელესა და დ. ზიგლერის წიგნიდან, რომელიც ეძღვნება პიროვნების თეორიის ანალიზს. წამყვანი სპეციალისტები პიროვნების ფსიქოლოგიის დარგში ფასდებოდა 8 პარამეტრით, რომელიც წარმოადგენდა, წიგნის ავტორთა აზრით, პიროვნების თეორიის საფუძველში მყოფ თეორიულ ვარაუდებს. ამგვარად, ელემენტი (მეცნიერი) ფასდება 8 კონსტრუქტიდან თითოეულის მიხედვით (თეორიული ვარაუდებით).

კონსტრუქტებისა და ელემენტების გრაფიკული გამოსახულება ორი მთავარი კომპონენტის სივრცეში მოყვანილია ნახატზე 3.

თუმცა კი ასეთი გამოსახვა საშუალებას იძლევა თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ურთიერთდამოკიდებულებები კონსტრუქტებსა და ელემენტებს შორის, ამის მიუხედავად, გაცილებით მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლება მათი ინტერკორელაციებიდან. ეს თანაბრად ეხება რანგულ გისოსებსაც იმ შემთხვევაში, თუ ხდება იმ განზომილებათა ანალიზი, რომელთა კოორდინატთა ღერძებზეც თავსდება კონსტრუქტები და ელემენტები. კონსტრუქტების ინტერკორელაციები წარმოდგენილია ცხრილში 17, ხოლო ელემენტების კი – ცხრილში 18.

როგორც ჩანს ცხრილიდან 17, ლ. ჰელე და დ. ზიგლერი თვლიან, რომ თეორიები, რომლებიც აქცენტს აკეთებენ ადამიანის თავისუფლებაზე დეტერმინიზმის საპირისპიროდ, არ აქვთ საფუძ-

ცხრილი 17

ცხრილი 16-ის მონაცემების საფუძველზე გამოთვლილი კონსტრუქტების ინტერკორელაციების მატრიცა

კონსტრუქტების ინტერკორელაცია		1	2	3	4	5	6	7	8
თავისუფლება დეტერმინიზმი	1	X	0,69	0,58	0,34	0,69	0,68	0,82	0,82
რაციონალურობა/ ირაციონალურობა	2	0,69	X	0,40	0,13	0,49	0,42	0,64	0,73
ჰოლიზმი/ ელემენტარიზმი	3	0,58	0,40	X	0,54	0,70	0,90	0,30	0,56
მემკვიდრეობითობა/ გარემომცველი სამყარო	4	0,34	0,13	0,54	X	0,61	0,67	0,10	0,21
სუბიექტურობა/ ობიექტურობა	5	0,69	0,49	0,70	0,61	X	0,62	0,18	0,85
პროაქტიურობა/ რეაქტიურობა	6	0,68	0,42	0,90	0,67	0,62	X	0,46	0,45
ჰომეოსტაზი/ ჰეტეროსტაზი	7	0,82	0,64	0,30	0,10	0,18	0,46	X	0,48
შემეცნებითობა/ არაშემეცნებითობა	8	0,82	0,73	0,56	0,21	0,85	0,45	0,48	X

ცხრილი 18

ცხრ. 16-ში მოცემული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული ელემენტების ინტერკორელაციათა მატრიცა

ელემენტების ინტერკორელაცია		1	2	3	4	5	6	7	8
ფროიდი	1	X	0,03	0,35	0,30	0,40	0,37	0,61	0,67
ერიქსონი	2	0,03	X	0,35	0,17	0,78	0,12	0,31	0,26
მიურეი	3	0,35	0,35	X	0,18	0,06	0,69	0,03	0,10
ოლპორტი	4	0,30	0,17	0,18	X	0,01	0,21	0,79	0,77
სკინერი	5	0,40	0,78	0,06	0,10	X	0,30	0,61	0,62
კელი	6	0,37	0,12	0,69	0,21	0,30	X	0,06	0,05
მასლოუ	7	0,61	0,31	0,03	0,79	0,61	0,06	X	0,99
როჯერსი	8	0,67	0,26	0,10	0,77	0,62	0,05	0,99	X

ველში ვარაუდები შემეცნებითობის – (-0.82) და პომეოსტაზის (-0.82) შესახებ, თუმცა ისინი ეყრდნობიან წარმოდგენებს სუბიექტურობის (0,69), რაციონალიზმის (0,69) და აქტიურობის (0,68) შესახებ (აქტიურობა მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ მოქმედების მიზეზი ჩადებულია თავად ადამიანში).

იმპლიკაციური გისოსები

დ. ხინკლის იმპლიკაციური გისოსი

იმპლიკაციური გისოსი რანგულისა და შეფასებითისგან იმით გამოირჩევა, რომ მასში არაა ელემენტები ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, თუ არ ჩავთვლით იმპლიციტურად არსებულ ელემენტს მე თავად. დ. ხინკლმა გამოიკვლია ინდივიდის მიერ თითოეული კონსტრუქტისთვის მიწერილი მნიშვნელობა, რომელიც გამოხატული იყო სხვა კონსტრუქტების ტერმინებში. ამისათვის ის სთხოვდა ცდის პირს მიეთითებინა, თუ რა რასთან ერთად ხდება.

ცხრ. 19 მოყვანილი იმპლიკაციური გისოსის შევსებისას ხინკლი ცდის პირს სთავაზობდა შემდეგ ინსტრუქციას:

„მოდით, განვიხილოთ ეს კონსტრუქტი (კონსტრუქტი 1). დავუშვათ, რომ თქვენ შეიცვალეთ. ერთხელაც, დილით იღვიძებთ და ხვდებით, რომ თქვენ ყველაზე უკეთ აღწერთ კონსტრუქტის ამ პოლუსს, მაშინ როცა გუშინ უკეთ შეგესაბამებოდათ საპირისპირო პოლუსი. ამდენად, თქვენ გააცნობიერეთ, რომ შეიცვალეთ ერთი მიმართულებით, კიდევ რა შეიცვლება თქვენში (შეხედეთ დარჩენილ 19 კონსტრუქტს)? გამოიწვევს კი ამ კონსტრუქტით ცვლილება სხვა კონსტრუქტების მიხედვით ცვლილებას? შესაძლებელია მათი განჭვრეტა? გახსოვდეთ, რომ მოცემული კონსტრუქტით ცვლილება ესაა მიზეზი მაშინ, როცა ცვლილებები სხვა კონსტრუქტების მიხედვით – 1 კონსტრუქტის ცვლილებით გამოწვეული შედეგებია. ამდენად, მსურს გავარკვიო, რომელი კონსტრუქტის მიხედვით შეიძლება ველოდოთ ცვლილებებს, თუ შეიცვალეთ 1 კონსტრუქტთან მიმართებაში. მოცემულ კონსტრუქტთან მიმართებაში საკუთარი მდგომარეობის ცოდნის შემდეგ შეგიძლიათ განსაზღვროს თქვენი მდგომარეობა დანარჩენ კონსტრუქტებთან დაკავშირებით?"

თითოეული კონსტრუქტი ორჯერ გეხვდება წყვილში თითოეულ დანარჩენთან: 1 კონსტრუქტი 1 თაეიდან გამოდის წყვილში მე-2-თან ერთად, შემდეგ მე-2 კონსტრუქტი 1 კონსტრუქტთან წყვილში და ა.შ.

გისოსისების სხვა ფორმების მსგავსად, იმპლიკაციურ გისოსში თითოეული ელემენტი ჩაწერილია ცალკე ბარათზე და აუცილებლად არის დანომრილი (პირის მხარეზე ან უკან – მნიშვნელობა არა აქვს). რასაკვირველია, დანომრილი ბარათების გამოყენება არ წარმოადგენს დიდ ეშმაკობას. არსებობს მრავალი სხვა, შეიძლება უფრო უკეთესი ხერხები „ექსპერიმენტის ჩატარებისა, მაგრამ ჩვენ გიზიარებთ დამაკმაყოფილებელი პროცედურის ძიების საკუთარ გამოცდილებას".

როგორც ჩანს ცხრ. 19-დან, ც.პ. გვამცნო, რომ ცვლილება 1 კონსტრუქტთან მიმართებაში გამოიწვევს ცვლილებებს მე-2, მე-5, მე-6, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15 და მე-20 კონსტრუქტებთან მიმართებაშიც. ცხრილში „ბ" ასოთი აღნიშნულია რეციპროკული ურთიერთობები: მე-2 კონსტრუქტი ახდენს მე-5 იმპლიცირებას, ხოლო მე-5 ახდენს მე-2-სას. იმპლიკაციური გისოსების ანალიზის ზოგიერთი სახე განხილული იქნება ქვემოთ (ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის გამზომავი გისოსების აღწერის შემდეგ). თუმცა, გარკვეული ინფორმაციის მიღება შეიძლება უმალ გისოსიდან (მაგალითად, ცნობები იმპლიკაციების საერთო რაოდენობაზე). თუ გისოსი სავსეა ნიშნებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ც.პ. იყენებს სისტემას, რომელშიც დომინირებს ერთი სუპერორდინატული კონსტრუქტი – „ეს ან შაეია ან თეთრი". თუ ..... თითქმის არაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სისტემას აკლია მიზეზობრივი კავშირების მთლიანობა. ცხრ. 19-ში მოყვანილი გისოსი, ამ გაგებით, იკავებს შუალედურ მდგომარეობას. თუმცა, „შუალედური" – წმინდა „კლინიკური შეფასება", რამდენადაც ამჟამად არ არსებობს ფორმალური ნორმატივები.

შეუსებული იმპლიკაციური გისოსის ნიმუში

		გამოვლენილი კონსტრუქტები										იერარქიზებული კონსტრუქტები											იმპლიკაციების საერთო რაოდენობა
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20		
თანამგრძნობი - შეუბრალებელი	1	´ბ				´ბ	✓					✓	✓	✓	✓	✓					´ბ	1	9
ყურადღებიანი-სხვათა გრძნობების მიმართ უყურადღებო	2	´ბ		✓		´ბ		✓	✓			´ბ	´ბ	´ბ	´ბ	´ბ					´ბ	2	11
გულწრფელი-არაგულწრფელი	3								✓			´ბ				´ბ						3	3
ნათლად მოაზროვნე-უნიათო	4																	´ბ	´ბ	´ბ		4	3
გულღია-გულჩათხრობილი	5	´ბ	´ბ				✓				✓										´ბ	5	6
წინასწარ ცუდად განწყობილი-მომთმენი	6									´ბ		´ბ	´ბ	´ბ	´ბ	´ბ					´ბ	6	7
ნერვული-გაწონასწორებული	7										´ბ											7	1
საშიშო-არასაშიშო	8							´ბ								✓						8	2
ჭკვიანი-სულელი	9						´ბ									´ბ	´ბ					9	3
საკუთარ თავში დარწმუნებული-საკუთარ თავში დაურწმუნებელი	10	✓	✓				✓	´ბ														10	4
სხვების გაგებაზე კონცენტრირებული-საკუთარ თავზე კონცენტრირებული	11		´ბ	´ბ		✓	´ბ	✓	✓	✓			´ბ	´ბ	´ბ	´ბ	✓				´ბ	11	13
კეთილი-ბოროტი	12		´ბ			✓	´ბ		✓			´ბ		´ბ	´ბ	´ბ					´ბ	12	8
გაიგო ახალი ადამიანებზე — უცხო სული წყვდიადია	13		´ბ	✓		✓	´ბ	✓				´ბ	´ბ		´ბ	´ბ					✓	13	10
ჩაწვდე საგნებს გონებით — ვერ ჩაწვდე საგნებს გონებით	14		´ბ	✓		✓	´ბ		✓			´ბ	´ბ	´ბ		´ბ					´ბ	14	10

ცხრილი 19-ის გაგრძელება

		გამოვლენილი კონსტრუქტები										იერარქიზებული კონსტრუქტები										იმპლიკაციების საერთო რაოდენობა
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	
ვითარდება ადამიანის საზოგადოება — საზოგადოების განვითარება შეუერხდა ან იმყოფება კონფლიქტში	15		´ბ	´ბ			´ბ			´ბ		´ბ	´ბ	´ბ	´ბ						✓	15	9
საკუთარ თავთანაა მართალი — ატყუებს საკუთარ თავს	16			✓						´ბ						✓						16	3
ფიქრი ადვილია — ფიქრი ძნელია	17				´ბ						✓							´ბ	✓			17	4
შეიძლება ადვილად ურთიერთობა — ურთიერთობა ძნელია	18				´ბ											✓		´ბ		✓		18	4
გიღებენ თქვენ — ფიქრობენ, რომ სულელი ხარ	19				´ბ				—									✓	✓			19	3
თავს უფლებას აძლევენ გამოთქვან აზრი მისი შედეგების მიუხედავად — არ აძლევს თავს ამის უფლებას	20	´ბ	´ბ			´ბ	´ბ					´ბ	´ბ		´ბ							20	7
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20		
იმპლიკაციების საერთო რაოდენობა		4	9	6	3	7	10	5	4	5	3	9	8	7	8	12	2	3	3	3	9		
კონსტრუქტის იმპლიკაციების რანგი		13–5	4	10	17	8–6	2	11–6	13–5	11–6	17	4	6–5	8–5	6–5	1	20	17	17	17	4		

გისოსი, რომელიც ზომავს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას

ეს გისოსი ასევე შემუშავებულ იქნა დ. ხინკლის მიერ. სხვა ჰიპოთეზებთან ერთად მას სურდა შეემოწმებინა ჰიპოთეზა იმის შესახებაც, რომ სუპერორდინატული კონსტრუქტები, სუბორდინატულთან შედარებით, უფრო მტკიცენი არიან ცვლილებებისადმი და რომ ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა პირდაპირ უკავშირდება კონსტრუქტის სუპერორდინატულობის ხარისხს იმპლიკაციურ გისოსში. ხინკლის მიხედვით, კონსტრუქტის იმპლიკაციების სუპერორდინატულობის დონე განისაზღვრება იმპლიკაციების რაოდენობის მარტივი დაანგარიშებით თითოეულ სვეტში (იმპლიკაციურ გისოსში), ხოლო იმპლიკაციების რაოდენობი

დაანგარიშება თითოეულ სტრიქონში საშუალებას იძლევა განისაზღვროს სუბორდინატული იმპლიკაციები.

ცხრილი 20

ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის შეფასებული გისოსის მაგალითი (დ. ხინკლი)

	კონსტრუქტები																			
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1			×			×		×	×		×	×	×	×	×			×		×
2						ე		ე				შ								შ
3						×		×	×			×		×	×					×
4					×	×	×	×	×	×	×	×	×	×	×	×	×	×	×	×
5						×		×	×		×	×	×	×	×	×			×	×
6								×				×	შ	შ	შ					×
7								×	×		×	×	×	×	×			×	×	×
8											•	×								×
9												×	×		×				შ	×
10											×	×	×	×	×	×	×	×	×	×
11												×	×	×	×				×	×
12																				შ
13														შ	×					×
14																				×
15																				×
16																		×		×
17																		×	×	×
18																			×	×
19																				×
ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ქულები	8	14	11	0	5	12	3	16	11	1	8	17	11	12	13	6	2	6	7	17
რანგები	11,5	4	9	20	16	6,5	17	3	9	19	11,5	1,5	9	6,5	5	14,5	18	14,5	13	1,5

ცხრ. 20 მოყვანილი გისოსი, რომელიც ზომავს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას, მიღებულია ყველა კონსტრუქტის ერთმანეთთან შეპირისპირების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი შედარება ხდებოდა ერთხელ: 1 კონსტრუქტის დანარჩენ 19-თან შედარების შემდეგ, ის მეტად აღარ გამოიყენებოდა. ამგვარად, მე-19 კონსტრუქტის შედარება ხდებოდა მხოლოდ მე-20 კონსტრუქტთან, ანუ, ივსებოდა მატრიცას ნახევარი. იმის გარკვევის შემდეგ, თუ თითოეული კონსტრუქტის რომელ პოლუსზე ისურვებდა საკუთარი თავის ნახვას ც.პ. დ.ხინკლი სთავაზობდა მას შემდეგ ინსტრუქციას: „შეხედეთ ამ ორ კონსტრუქტს. ნიშნით აღნიშნულია ის პოლუსი, რომელზეც ისურვებდით საკუთარი თავის მოთავსებას. ახლა დავუშვათ, რომ ამ კონსტრუქტთაგან ერთერთის მიმართ ისურვებდით არ შეცვლილიყავით? გახსოვდეთ, რომ იძულებული გახდებით შეიცვალოთ სხვა კონსტრუქტის მიმართ. 2 ცვლილებისგან რომელია თქვენთვის ნაკლებად სასურველი? სასურველი იქნებოდა არჩევანი გაგეკეთებინათ ყველა იმ შემთხვევაში, როცა ეს შესაძლებელია. მხოლოდ 2 შემთხვევაშია შეუძლებელი არჩევანი. ჯერ ერთი, მაშინ, როცა ორივე ცვლილება თანაბრად არასასურველია. უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელია მათ შორის განსხვავებათა პოვნა და არჩევანის გაკეთება. მეორეც, როცა ლოგიკურად შეუძლებელია ცვლილება სხვასთან მიმართებაში, მაცნობეთ, თუ შეხვდებით ამ ორი შემთხვევიდან ერთ-ერთს. გაქვთ შეკითხვები?

მე-20 ცხრილში მოყვანილ გისოსში, რომელიც ზომავს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას, ჯვარი აღნიშნავს იმას, რომ სვეტში კონსტრუქტი უპირისპირდება ცვლილებას; გამოტოვება ნიშნავს იმას, რომ სტრიქონში კონსტრუქტი უპირისპირდება ცვლილებას, ასო „შ" აღნიშნავს დამოუკიდებელი ცვლილებების შეუძლებლობას, ხოლო "ე" იმას, რომ ორივე ცვლილება თანაბრად არასასურველია (ეკვივალენტურია).

ამ მატრიცას უშუალო დამუშავება მოიცავს სტრიქონებში ყველა გამოტოვების და სვეტებში მათი შესაბამისი ჯვრების რაოდენობის გაანგარიშებას (გამოტოვებები და ჯვრები მიუთითებენ იმას, რომ კონსტრუქტი წინააღმდეგობაში მოდის ცვლილებებთან). ასე მაგალითად, 1 კონსტრუქტს გააჩნია 8 გამოტოვება სტრიქონში, მაშასადამე, ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის ქულა უდრის 8. მე-2 კონსტრუქტს გააჩნია 14 გამოტოვება სტრიქონში და სვეტში არც ერთი ჯვარი არაა, ამდენად, მისთვის წინააღმდეგობის ქულა უდრის 14. მე-3 კონსტრუქტს სტრიქონში აქვს 10 გამოტოვება და 1 ჯვარი სვეტში, მაშასადამე, მისთვის ქულა უდრის 11. ცხრ. 20 ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ყველა ქულა მოყვანილია მატრიცას ქვედა ნაწილში. თუ მოვახდენთ კონსტრუქტების რანჟირებას ამ ქულების შესაბამისად, შეიძლება

გამოელინდეს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის მედგრად გამწევი კონსტრუქტები. მე-20 ცხრილში კონსტრუქტების რანგები მოცემულია ყველაზე ქვედა სტრიქონში ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ქულების ქვეშ.

ცხრილი 21

ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ქულათა რანგები (ცხრ. 20) და იმპლიკაციების საერთო რაოდენობა მატრიცას სვეტებში (ცხრ. 19)

	კონსტრუქტები									
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
რანჟირება:										
ა) მატრიცას სვეტებში იმპლიკაციების საერთო რაოდენობის მიხედვით	13,5	4	10	17	8,5	2	11,5	13,5	11,5	17
ბ) ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ქულების მიხედვით	11,5	4	9	20	16	6,5	17	3	9	19
	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა) იმპლიკაციების საერთო რაოდენობა მატრიცას სვეტებში	4	6,5	8,5	6,5	1	20	17	17	17	4
ბ) ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ქულები	11,5	1,5	9	6,5	5	14,5	18	14,5	13	1,5

მე-19 და მე-20 ცხრილების გამოყენებისას შესაძლებელია შემოწმდეს დ. ხინკლის ზოგიერთი ჰიპოთეზა იმპლიკაციურ და ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გამზომავ გისოსებთან მიმართებაში. ასე, მაგალითად, ამ ცხრილების მონაცემები ამტკიცებენ ვარაუდს, რომელიც მოწმდება თავად დ. ხინკლის კვლევაში: „კონსტრუქტების რანგული წესი გისოსში, რომელიც ზომავს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას, დადებით კორელაციაში იქმნება იმპლიკაციური გისოსის კონსტრუქტების რანგულ წესთან".

ცხრილში 21 მოყვანილია 20 კონსტრუქტის რანგული წესი:

1) რანჟირება იმპლიკაციების სუპერორდინატულობით;

2) რანჟირება ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ქულების მიხედვით.

სპირმენის რანგული კორელაციის კოეფიციენტი იმპლიკაციების რაოდენობასა და ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ხარისხს შორის უდრის 0,70. N=20 დროს ეს კორელაცია არის მაღალი მნიშვნელობის მქონე (p=0,534; p<0,01). იმპლიკაციების რაოდენობასა და მე-8 კონსტრუქტის წინააღმდეგობრიობის ქულას შორის დიდი განსხვავება რომ არა, ამ ორ მაჩვენებელს შორის კორელაცია იქნებოდა 0,75 ტოლი. დ. ხინკლი ამტკიცებს, რომ ჩვენ ყველაზე ნაკლებად მოგვწონს ისეთი ცვლილებები, რომლებიც იწვევენ ახალ ცვლილებებს. დიდი ცვლილებების პერსპექტივა საკმაოდ შემაშფოთებელია. დ. ხინკლმა ასევე წამოაყენა და დაამტკიცა ვარაუდი იმის შესახებ, რომ იმპლიკაციების ოდენობა იმპლიკაციური გისოსის პირველი 10 სვეტისთვის იქნება ბოლო 10 სვეტისთვის იმპლიკაციების ოდენობაზე ნაკლები. ზუსტად ასევე იმპლიკაციური გისოსის პირველ 10 სტრიქონში უნდა იყოს ნაკლები იმპლიკაცია (ანუ სუბორდინაციული იმპლიკაციები სუპერორდინატული კონსტრუქტებისთვის), ვიდრე ბოლო 10-ში. მოცემულ შემთხვევაში, მათი რაოდენობა შესაბამისად უდრის 48 და 72. გისოსი, რომელიც ზომავს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას ამტკიცებს დ. ხინკლის ჰიპოთეზას, როგორც კონსტრუქტების სისტემათა სტრუქტურასთან, ასევე სუპერორდინატულ და სუბორდინატულ კონსტრუქტებთან მიმართებაში. ეს ჰიპოთეზები ასევე დამტკიცდა კელსოლისა და სტრონგმენის კვლევაში. შესაძლებელია იმპლიკაციების რაოდენობის დაანგარიშება კონსტრუქტებისთვის, რომელთა მიხედვითაც ცდის პირები თავს განაკუთვნებენ არასასურველ პოლუსს. მოცემული ცდის

პირისთვის (ცხრ. 13) სუპერორდინატული იმპლიკაციების საშუალო რიცხვი, რომლის მიხედვითაც მე აღმოჩნდა არასასურველ პოლუსზე (4. 7, 10,

ცხრილი 22

დ. ხინკლის ბიპოლარული იმპლიკაციური გისოსი



17, 18) უდრის 3,4 ხოლო იმ კონსტრუქტებისთვის, რომელთა მიხედვითაც მე აღმოჩნდა უპირატეს პოლუსზე — 6,9. უფრო ძლიერ განსხვავებებს აღმოვაჩენთ, თუ შევადარებთ წინააღმდეგობის ქულებს ამ კონსტრუქტების ცვლილებებს. საშუალო ქულა უპირატეს პოლუსზე მე-ს კონსტრუქტებისთვის უდრის 11,2, ხოლო არასასურველ პოლუსზე მე-ს კონსტრუქტებისთვის — 2,4. ეს, რასაკვირველია, სრულიად ახსნადია. თუ გვსურს ვიყოთ რაიმე, რასაც არ წარმოვადგენთ, ძლიერ წინააღმდეგობას არ გაეუწევთ ცვლილებებს ამ მიმართულებით. როცა საქმე გვაქვს გისოსებთან, ვიცი რა ზოგიერთი ძირითადი წესი, ადვილია აღმოვაჩინოთ მათგან გადახრებიც. ასეთი ანომალიის მაგალითი შეიძლება იყოს მე-8 კონსტრუქტი (საიმედო-არასაიმედო). ის არ ექვემდებარება წესს, რომელიც გვაუწყებს, რომ ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ქულები და სუპერორდინატული იმპლიკაციები ერთმანეთს უკავშირდებიან დადებითი კორელაციით. მე-8 კონსტრუქტი ძლიერ წინააღმდეგობას უწევს ცვლილებებს (რანგული ნომერი 3) და ამავე დროს მას სულ 4 იმპლიკაცია გააჩნია (რანგული ნომერი 13). გარდა ამისა, 4 სუპერორდინატულ იმპლიკაციას შორის არაა რეციპროკული, ხოლო სუბორდინატულ იმპლიკაციებს შორის ის მხოლოდ 2. ასეთ შემთხვევებში ცდის პირს უნდა ეკითხოთ ამგვარი განსხვავების მიზეზების შესახებ. ჩვენს მაგალითში ცდის პირმა თქვა, რომ ის ყოველთვის განიცდიდა სირთულეს ამ კონსტრუქტთან. მას აღიზიანებს ადამიანები, რომლებიც იგვიანებენ ან არ ასრულებენ თავიანთ დანაპირებს (რაც, რასაკვირველია, გაუგებარია სხვებისთვის). ეს კონსტრუქტი, როგორც ჩანს იყო ბავშვობაში ათვისებული პატერნის — ყოველთვის დაეცვა წესრიგი და ყველაფერი დროულად გაეკეთებინა — ნაწილი. როგორც დ. კელი იტყოდა ცდის პირს არ შეეძლო ამ კონსტრუქტის „გარდაქმნა" მოცემული დროის მოთხოვნების შესაბამისად ანუ არ დასვა კითხვა: „არის კი ეს ახლა ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ბავშვობაში იყო?".

ბიპოლარული იმპლიკაციური გისოსი

არსებობს კიდევ ერთი იმპლიკაციური გისოსი, რომელსაც დ. ხინკლმა უწოდა იმპლიკაციური დილემა. 2 კონსტრუქტის პოლუსს შეუძლია ერთმანეთთან შემდეგ ურთიერთობებში შესვლა: მაგალითად „რეალიზმსა" და „იდეალიზმს" ჩვენთვის შეიძლება ჰქონდეს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები.

თუ ჩვენ განვიხილავთ 2 ბიპოლარული კონსტრუქტის ურთიერთკავშირის ყველა შესაძლო ტიპს, მიუხედებით, რამდენად გამარტივებულად ასახავენ მათ დამთხვევის ქულებს ანუ კორელაციის კოეფიციენტები. ორთოგონალური ან ორმაგი დილემის გამოვლენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთვის ცნობილია ორიენტაციის იმპლიკაცია, რომლებიც აღწერილ და გამოყენებულ იქნა ფრანსელას მიერ მეტყველების ცვლილებებსა და კონსტრუქტების ცვლილებას შორის კავშირის კვლევისას ენაბლუების თერაპიის მიმდინარეობისას. ცხრილში 23 მოყვანილია ბიპოლარული იმპლიკაციური გისოსის მაგალითი.

მისთვის კონსტრუქტები ვლინდებოდა ტრიადების მეთოდით. ყოველ ტრიადას ქმნიდა ორი ნაცნობი ცდის პირი და თავად ის (დ. კელის თვითიდენტიფიკაციის მეთოდი). ეს გისოსი ჩართულ იქნა იმ ქალების მიერ შევსებული გისოსების ბატარეაში, რომელთაც აწუხებდათ სიმსუქნე. გამოკვლევის დროს ვლინდებოდა თითოეული ცდის პირის წარმოდგენები საკუთარი თავის, როგორც ადამიანის შესახებ, რომელსაც აწუხებს სიმსუქნე. კონსტრუქტების გამოვლენის შემდეგ ისინი მოექცნენ ზემოთ აღწერილი იერარქიზაციის პროცედურის ქვეშ.

ბიპოლარულ იმპლიკაციურ გისოსებში შესაძლებელია სხვადასხვა ინსტრუქტისა და მიწოდების ხერხების გამოყენება. ენაბლუ-ცდის პირებთან მუშაობისას ფრანსელა მიეიდა დასკვნამდე დ. ხინკლის ინსტრუქციის ზედმეტი სირთულის შესახებ. დ. ხინკლის ცდის პირები იყვნენ კოლეჯის ამერიკელი სტუდენტები, ხოლო ფრანსელას ცდის პირები კი — სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომლებიც ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თავიანთი უნარით.

ფრანსელას კვლევაში ცდის პირს ეძლეოდა შემდეგი დავალება. თითოეული კონსტრუქტი იწერებოდა ბარათზე, ამასთან, გამოვლენილი პოლუსი აღინიშნებოდა „ა" ასოთი, ხოლო კონტრასტული კი — „ბ", მოცემულ პროცედურაში გამოყენებული 11 ბარათი მაგიდაზე იდებოდა ცდის პირის წინ. ექსპერიმენტატორი ამზადებდა იდენტური ბარათების მეორე ნაკრებსაც, რომელიც ორ ნახევრად იჭრებოდა და თითოეულ ნახევარბარათზე წარმოდგენილი იყო კონსტრუქტის მხოლოდ 1 პოლუსი. ნახევარბარათების წაყენების მუდმივი წესი არ იყო, რამდენადაც პროცედურის დროს ხდებოდა მათი არევა.

ცდის პირს ეძლევა 1 ნახევარბარათი და ის უნდა დაფიქრდეს მასზე წარმოდგენილ პოლუსზე (მაგალითად, გულციცი). შემდეგ, მას

სთხოვენ დაუშვას, რომ „ყველაფერი, რაც იცით რომელიღაც ქალზე ისაა, რომ ის გულციცია". შეხედეთ თქვენს წინ განლაგებულ ბარათებს. რომელი წარმოდგენილი თვისებები შეიძლება აღმოვაჩინოთ გულცივ ქალში? (ცდის პირი ათვალიერებს ბარათებს. როცა ის პოულობს თვისებას, რომელიც,

ცხრილი 23

შეუსებული ბიპოლარული გისოსი (ასო „ბ“ აღნიშნავს პოლუსებს, რომლებიც ახდენენ ერთმანეთის იმპლიცირებას)

		1ა	ბ	2ა	ბ	3ა	ბ	4ა	ბ	5ა	ბ	6ა	ბ	7ა	ბ	8ა	ბ	9ა	ბ	10ა	ბ	11ა	ბ		იმპლიკაციების რაოდენობა
მგრძნობიარე სხვების გრძნობების მიმართ	1ა			✓ბ			✓ბ	✓ბ			✓ბ			✓ბ		✓ბ					✓			1ა	7
გულცივი	ბ					✓ბ			✓ბ	✓ბ					✓ბ		✓ბ		✓ბ	✓		✓ბ		ბ	8
ჭარბი წონით	2ა	✓ბ												✓			✓ბ		✓ბ					2ა	4
გამხდარი	ბ	✓				✓							✓ბ	✓		✓ბ				✓			✓	ბ	8
მოუთმენელი	3ა		✓ბ						✓ბ				✓ბ		✓ბ						✓ბ	✓ბ		3ა	7
უყვარს ყველაფერზე დაფიქრება	ბ	✓ბ						✓			✓ბ	✓ბ		✓ბ		✓ბ		✓ბ		✓ბ			✓ბ	ბ	9
ისეთი, როგორსაც ვისურვებდი ვიყო ხასიათით	4ა	✓ბ									✓ბ	✓ბ				✓ბ				✓ბ			✓ბ	4ა	8
ისეთი, როგორსაც არ ვისურვებდი ვყოფილიყავი ხასიათით	ბ		✓ბ							✓							✓ბ				✓ბ	✓ბ		ბ	6
იყენებს ადამიანებს საკუთარ ინტერესებში	5ა		✓ბ												✓ბ				✓ბ					5ა	6
არ იყენება ადამიანებს საკუთარ ინტერესებში	ბ	✓ბ											✓ბ		✓ბ								✓ბ	ბ	8
შეუძლია მოლუნდეს და დასვენება	6ა			✓									✓ბ		✓ბ								✓ბ	6ა	8
სულ გადარბენაზეა	ბ	✓									✓ბ	✓ბ			✓ბ			✓ბ				✓		ბ	7
ხასიათით მგავს	7ა	✓ბ					✓ბ				✓ბ	✓ბ											✓ბ	7ა	5
ხასიათით არ მგავს	ბ		✓ბ			✓ბ				✓ბ			✓ბ							✓ბ		✓ბ		ბ	9
მოსწონს გარშემომყოფებს	8ა	✓ბ			✓ბ		✓ბ	✓ბ			✓ბ	✓ბ			✓ბ	✓		✓ბ						8ა	8
არ მოსწონს გარშემომყოფებს	ბ		✓ბ	✓ბ															✓ბ					ბ	6
ისეთი, როგორიც გავხდები, როცა დავიბრუნებ ნორმალურ წონას	9ა						✓ბ				✓					✓ბ				✓ბ			✓ბ	9ა	5
ისეთი, როგორიც არ გავხდები, როცა დავიბრუნებ ნორმალურ წონას	ბ		✓ბ	✓ბ						✓ბ							✓ბ				✓ბ	✓ბ		ბ	7
უფრო არ შემომთავაზებს გასეირნებას	10ა						✓ბ	✓ბ				✓			✓ბ			✓ბ						10ა	6
უფრო შემომთავაზებს გასეირნებას	ბ			✓					✓ბ		✓			✓					✓ბ			✓ბ		ბ	7
გაუფრთხილებელი	11ა		✓ბ			✓ბ			✓ბ						✓ბ		✓ბ		✓ბ					11ა	6
ფრთხილი	ბ	✓					✓ბ	✓ბ			✓ბ	✓ბ		✓ბ		✓ბ		✓ბ			✓			ბ	9

როგორც მას ეჩვენება შეიძლება აღწერდეს გულცივ ქალს, ექსპერიმენტატორი სთხოვს მას დაასახელოს კონსტრუქტის ნომერი და ბარათზე დაწერილი ასო („ა" ან 2 ბ2). მოცემულ შემთხვევაში ცდის პირმა დაასახელა ბარათები 3ა, 4ბ, 5ა, 7ბ, 8ბ, 9ბ, 10ა, 11ა.

დამუშავება

ამჟამად, არ არსებობს ბიპოლარული იმპლიკაციური გისოსის დამუშავების ყველა მიმართულებით დამაკმაყოფილებელი მეთოდი. კორელაციის კოეფიციენტების პირდაპირი დათვლა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემების მიერ გამოწვეული გარკვეული შეზღუდვების გამო. არსებობს პროგრამა კომპიუტერული დამუშავებისთვის-ორ რიგში ნიშნების დამთხვევის ან დაუმთხვეველობის ბინომიალური ალბათობის გამოთვლა. თუმცა, სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გვჭირდება კონსტრუქტების პოლუსებს შორის კავშირის მხოლოდ 1 გარკვეული ტიპის გათვალისწინება, ხოლო გამოტოვება სინამდვილეში შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ გამოკვლეული კონსტრუქტი განსაზღვრულად არ უკავშირდება მოცემულ მახასიათებელს და იმასაც, რომ გამოკვლეული კონსტრუქტი არაა მოცემული მახასიათებლის რელევანტური.

ამჟამად, მუშავდება გისოსების ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც მოგვცემენ ამ სირთულის დაძლევის შესაძლებლობას. იმ ბარათების ნაცვლად, რომლებზეც კონსტრუქტის პოლუსები აღნიშნულია „ა" და „ბ" ასოებით, შეიძლება ამავე პოლუსებით მოცემული ანალოგიური სკალის გამოყენება. ამ შემთხვევაში ცდის პირი მისი მეშვეობით აღნიშნავს იმ ხარისხს, რომელშიც მოცემული შედარებადი კონსტრუქტი უკავშირდება, მაგალითად, კონსტრუქტს „გულცივი". ამის მიუხედავად, ამ მეთოდის საბოლოო შემუშავებამდე ანალიზი მაინც დაეყრდნობა ნიშნების დამთხვევის ან დაუმთხვევლობის დაანგარიშებას.

თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ ფასეული ცნობები უბრალოდ დავათვალიერებთ რა ნიშნების განაწილებას გისოსში ან მათი შეჯამებით. ასე მაგალითად, ფრანსელამ ენაბლუების გამოკვლევის დროს იმპლიკაციური გისოსის (მე, როგორც ენაბლუ) მეშვეობით აღმოაჩინა, რომ გამოულენილი იმპლიკაციების თანაფარდობა შესაძლო იმპლიკაციების საერთო რაოდენობასთან საშუალებას იძლევა დიფერენცირებულ იქნეს ენაბლუები, რომელთა მდგომარეობაც გარკვეულწილად გაუმჯობესდა თერაპიის დროს და ასევე ისინი, რომლებმაც დროზე ადრე შეწყვიტეს მკურნალობა. ამგვარად, როცა ცდის პირებში განხილული თანაფარდობა დიდია, მკურნალობის წარმატება ნაკლებად საალბათოა, ასეთ ადამიანებში წარმოდგენა საკუთარ თავზე, როგორც ენაბლუზე საკმაოდ მკაცრად ახდენს კონსტრუქტების მთელი სისტემის დეტერმინაციას.

შეიძლება ველოდოთ იმას, რომ მე-ს დამახასიათებელი კონსტრუქტის პოლუსი უფრო მნიშვნელოვანია ცდის პირისთვის და მაშასადამე, მას მეტი იმპლიკაციები გააჩნია, ვიდრე პოლუსს, რომელსაც დამოკიდებულება არა აქვს ცდის პირის მე-სთან. მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს გამონაკლისები ამ წესიდან. ენაბლუს მიერ შევსებულ გისოსში მე დამახასიათებელ პოლუსს გააჩნია 3 იმპლიკაცია (ეს პოლუსი განისაზღვრება, როგორც ფარისეველები და მლიქვნელები). ცდის პირი თვლიდა, რომ ის ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და მისი მრავალი კონსტრუქტი უკავშირდებოდა წარმოდგენებს პატიოსნებისა და გულწრფელობის შესახებ. იყო რა ენაბლუ მას ყოველთვის არ ჰქონდა შესაძლებლობა ესაუბრა იმაზე, რასაც ფიქრობდა და როგორც შეიძლება დავასკვნათ ამ კონსტრუქტის ანალიზიდან, ის ხშირად ხვდებოდა ადამიანების უპატიოსნებას პიროვნებათშორის ურთიერთობებში.

იმპლიკაციური გისოსები და გისოსები, რომლებიც ზომავენ ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას ფართოდ გამოიყენება მხოლოდ ბოლო ხანებში.

დამოკიდებულების გისოსი

დ. კელის მიერ „სიტუაციური შესაძლებლობების რეპერტუარული ტესტის" სახელწოდების ქვეშ აღწერილი გისოსი ნაკლებად გამოიყენება ამჟამად, რაც არ ამცირებს მის ღირსებებს. სისხარტისთვის ამ მეთოდს უწოდებენ დამოკიდებულების გისოსს. ამ ტიპის გისოსით მუშაობისას ცდის პირი ამყარებს კავშირს ადამიანებსა და სიტუაციებს შორის. სიტუაციების სახით აირჩევა სტრესის სიტუაციები, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ჩვენგანი. ადამიანები აირჩევა ცდის პირთა ნაცნობების წრიდან, რომელთა დასახმარებლად ხმობაც მას შეუძლია ანუ რომელთაც შეიძლება დაეყრდნოს მძიმე წუთებში... დ. კელისთვის (სწორედ ისაა ამ გისოსის ავტორი) საკვირველია, რომ ის გათვალისწინებული არაა რომელიმე ზოგად სკალასთან ადამიანის დამოკიდებულება-არდამოკიდებულების ზომების შეფასებებისთვის. **„თითოეული ადამიანი დამოკიდებულია სხვებზე; პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ გამოვლინდეს მოცემული ადამიანისთვის დამახასიათებელი დამოკიდებულებების განაწილება".**

დ. კელიმ ასე აღწერა ეს გისოსი: **„გაიხსენეთ**

თქვენი ცხოვრების უწვეულოდ რთული მომენტები, შემდეგ კი, საკუთარ თავს ჰკითხეთ, რომელი თქვენს მიერ დასახელებული ადამიანი გაგიწევდათ დახმარებას გულწრფელი, რომ ალმოჩენილიყვნენ. მიღებული მატრიცა იძლევა ცნობებს ადამიანის პიროვნებათშორისი დამოკიდებულებების განაწილების შესახებ — სვლება თუ არა ის სირთულეებს, რომელშიც, მისი აზრით, ვერავინ დაეხმარება მას, თუნდაც, თუ ის მიმართავს დახმარებისთვის ერთ-ორ აზრს ცველა შემთხვევაში ან მას არ შეუძლია გაერკვეს ადამიანების არჩევაში, რომლებთანაც ეძებს დახმარებას".

კონკრეტულ ექსპერიმენტში ცდის პირს წაეყენება როლური სია და სიტუაციების ნაკრები, რაც ამ სიის ადექვატურია დადებითად. ცდის პირი მასში სვამს შესაბამის სახელებს და ასევე წერს ადგილსა და დროს, როცა აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში. შემდეგ ის ჯვარით აღნიშნავს იმ ადამიანებს, რომელთაც მან მიმართა დახმარებისთვის მოცემულ სიტუაციაში. დ. კელის მიერ მოყვანილი ასეთი გისოსის შევსების მაგალითი შეიძლება ვიპოვოთ ცხრილში 17.

ასეთი გისოსის დათვალიერებისას უმალ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია იმაზე, მიმართავს თუ არა ცდის პირი დახმარებისთვის ყველას და თითოეულს თუ ყოველთვის მიმართავს დახმარებისთვის 1-2 პირს. დ. კელის აზრით, ორივე სტრატეგია მიუთითებს „არადიფერენცირებული დამოკიდებულების" არსებობაზე, რაც მოწმობს ცუდ ადაპტაციას. მაინც უმჯობესია, თუ ცდის პირი ისწავლის დიფერენცირებულად დახმარებისთვის მიმართვას სხვადასხვა ადამიანს.

დ. ხინკლმა შემოგვთავაზა მეთოდიკის მოდიფიკაცია და საპირისპირო კითხვის დასმა: **„რა სიტუაციებში და კერძოდ ვინ მოგმართავთ დახმარებისთვის ან ჰქონდეს თქვენი იმედი?"** მაგალითად, ფსიქოთერაპევტის ან კონსულტანტი ფსიქოლოგისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს იმის გაგება, რომ პაციენტი არაის არ მიმართავს დახმარებისთვის ან მიმართავს მასზე მხოლოდ ერთ ადამიანს მაშინ, როცა ადამიანების უდიდესი რაოდენობა თავად მასთან მიდის დახმარებისთვის (ან მას ასე ეჩვენება). ასევე საინტერესოა იმის გაგება, რომ არ შედიან რეციპროკულ ურთიერთობებში ამ 2 გისოსის კონსტრუქტები (მე მივმართავ — მე მომმართავენ).

დამოკიდებულების გისოსი მოითხოვს შემდგომ დამუშავებას. ძალიან ადვილი როდია გადაწყვიტოთ, მიმართავდით დახმარებისთვის X, ის რომ გვერდით აღმოჩნდეს, როცა უბედურება გეწვეოდათ.

ადამიანები იცვლებიან. ადამიანი, რომელზეც დაყრდნობა შეიძლებოდა 18 წლის ასაკში, შეიძლება სხვად ქცეულიყო (ისევე, როგორც თქვენ). 20 წლის შემდეგ თქვენ აღარ მიმართავთ მას დახმარებისთვის. როგორც ჩანს საჭიროა გისოსის შემუშავება მოცემული ადამიანისთვის ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდების შესწავლისთვის (მაგალითად, ქონებამდე. ან ქორწინების პერიოდში). სხვა სახის სირთულეებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ ისე გაგიღიმათ ბედმა, რომ 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდით შედარებით მშვიდად და არ დაგჭირვებიათ ვინმესთვის მიგემართათ დახმარებისთვის. ამ შემთხვევაში შეიძლება დამოკიდებულების გისოსის გამოყენება, სადაც კითხვები იწყება სიტყვით: „რომ": „რომ მოხდება ისეთი უბედურება, ვის მიმართავდით იმ დროს გარშემომყოფებისგან დახმარებისთვის?"

გისოსების ყველა განხილული ტიპი წარმოადგენს დავალებებს დახარისხებაზე, რაც ცდის პირს აძლევს შესაძლებლობას გამცნოს გარკვეული რაშის მიერ სამყაროს აღქმაზე. კონსტრუქტების გამოვლენილი კავშირის ინტერპრეტაციისთვის საჭირო არაა ნორმატიული მონაცემებისთვის მიმართვა: არ არსებობს ფიქსირებული შინაარსი და გარკვეული ფორმები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ სწორად მოცემულ კონტექსტისთვის. დასასრულს, ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნები ეფუძნება ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ გისოსის შიგნით გამოვლენილი მათემატიკური დამოკიდებულებები ასახავენ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებებს ცდის პირის კონსტრუქტების სისტემის შიგნით. ეს ფსიქოლოგიური დამოკიდებულებები უკავშირდებიან კონსტრუქტების ინდივიდუალური სისტემის საკმაოდ სტაბილურ და უცვლელ წარმონაქმნებს. ამასთან დაკავშირებით გისოსის შედეგების ინტერპრეტაციისას საჭიროა დაცულ იქნეს სტატისტიკის წესები. თუ კორელაციის ყველა კოეფიციენტი რანგულ გისოსში, რომელიც 8 ელემენტს შეიცავს არ აღემატება 0,4. არ შეიძლება კონსტრუქტებს შორის დამოკიდებულებების დასაბუთებული ინტერპრეტაციის მიცემა, თუმცა თავისთავად ეს ფაქტი უკვე წარმოადგენს საინტერესოს ფსიქოლოგისთვის. ეს უკანასკნელი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ზოგადი დასკვნით სისტემის შედარებით არასაკმარისი სტრუქტურირების შესახებ. ამასთან, შესაძლებელია, რომ ცდის პირი გამოკვლევის მომენტში განიცდის გარკვეულ ცხოვრებისეულ სირთულეებს, მაშინ ესაა ხერხი რომელიც გვამცნობს, რომ ის საჭიროებს დახმარებას ან შესაძლოა, ამით სურს გვამცნობს, რომ

ცხრილი 24

კელის სიტუაციური შესაძლებლობების რეპერტუარული ტესტი

ურთიერთობები, რაც შეესაბამება:	თარიღი, ადგილი	1. მეგობარი	2. მამა	3. დედა	4. ის	5. ის	6. უფროსი	7. უცნობი კოლეგა მდგომარეობის მიხედვით	8. უფროსი კოლეგა მდგომარეობის მიხედვით	9. მინისტრი	10. ნათესავი	11. მეზობელი	12. ნაცნობი	13. ნდობით აღჭურვილი პირი	14. ექიმი	15. კონსულტანტი	16. მე თვითონ
ა. ფინანსებს			X	X							X			X		X	
ბ. მეგობრებს				X	X									X		X	
გ. პოლიციას		გამოტოვებულია															
დ. მეზობელს		გამოტოვებულია															
ე. ექვიანობას		გამოტოვებულია															
ვ. მშობლებს		X			X		X							X		X	
ზ. ძმებსა და დებს		გამოტოვებულია															
თ. მარტოობას		X			X		X							X		X	
ი. მრისხანებას		X	X	X	X						X			X		X	
კ. სიკვდილის შიშს		გამოტოვებულია															
ლ. სირცხვილს				X			X							X		X	
მ. დევნას			X	X			X							X		X	
ნ. წინააღმდეგობას		X	X	X			X							X		X	
ო. ავადმყოფობას		გამოტოვებულია															
პ. სუიციდურ აზრებს		გამოტოვებულია															
ჟ. გაუგებრობას							X							X		X	
რ. ნებიერობას							X							X		X	
ს. სიმხდალეს		გამოტოვებულია															

ურთიერთობები, რაც უკავშირდება:	თანრიგი, ადგილი	1. მეგობარი	2. მამა	3. დედა	4. ძმა	5. და	6. უფროსი	7. უმცროსი კოლეგა მდგომარეობის მიხედვით	8. უფროსი კოლეგა მდგომარეობის მიხედვით	9. მეზობელი	10. ნათესავი	11. მეზობელი	12. ნაცნობი	13. ნდობით აღჭურვილი პირი	14. ექიმი	15. კონსულტანტი	16. მე თვითონ
ტ. სისულელეს		X		X			X							X		X	
უ. ვინმესთვის წყენინებას			X		X		X							X		X	
ფ. დანაშაულის გრძნობას			X		X		X							X		X	
ქ. დაბნეულობას		X				X								X		X	
ღ. წარუმატებლობას					X		X							X		X	
ყ. ქალებს		გამოტოვებულია															
შ. პასიურობას					X		X							X		X	
ჩ. დახმარების მოთხოვნილებას		გამოტოვებულია															

ის უარს ამბობს შეავსოს გისოსი. შემდგომში, ფსიქოლოგებისთვის საჭირო იქნება განსაზღვრონ სტატისტიკური დამოკიდებულების ის დონე, რომელიც საკმარისია იმისთვის, რომ ცდის პირმა დაიწყოს მოქმედება. თუ A კონსტრუქტი (სიტუაციის აღმწერი) გულისხმობს ან უკავშირდება B კონსტრუქტს (ახდენს მოქმედების იმპლიცირებას), სტატისტიკური კავშირის რა დონეზე (0,5 ან 0,7 ან 0,9) შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მოცემული ცდის პირი ჩაიდენს B მოქმედებას A სიტუაციაში?

შესაძლებელია რეპერტუარული გისოსების გამოყენება ადამიანის მდგომარეობის დინამიკის შეფასებითვის, მაგალითად, სამუშაო დღის ან რომელიმე რთული ან დამღლელი საქმიანობის შესრულების პროცესში.

პერსპექტივის ეს მეთოდი თვითანალიზისა და თვითშემეცნების ეფექტური საშუალების სახით საშუალებას იძლევა გამოელინდეს წინააღმდეგობების შეფასებებში, ადამიანის ფასეულობებისა და განწყობის კონფლიქტები.

რეპერტუარული გისოსები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეფექტური ინსტრუმენტის სახით საექსპერტო შეფასებაში, სადაც არა მხოლოდ არის შესაძლებლობა კლასიფიცირებულ იქნეს შეფასების ობიექტები ან მიღებულ იქნეს უპირატესობების სკალა, არამედ რეკონსტრუირებულ იქნეს სუბიექტური სკალების სისტემა, გაგებულ და განმარტებულ იქნეს თითოეული შეფასების წარმოქმნა და გათვალისწინებულ იქნეს თითოეული ექსპერტის ინდივიდუალური თვალსაზრისი. პედაგოგიკაში შესაძლებელია რეპერტუარული გისოსების გამოყენება სხვადასხვა საგნისა და სწავლების მეთოდებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულებების შესწავლისა და დიაგნოსტიკისთვის, მასწავლებლების მიერ მოსწავლეების აღქმის პარამეტრების გამოვლენის საშუალებისა და შეფასებებისა და თვითშეფასებების სიზუსტისა და ადექვატურობის ამაღლების მეთოდის სახით.

პროფორიენტაციასა და პროფკონსულტაციაში ამ მეთოდის მეშვეობით შესაძლებელია გამოვლინდეს სხვადასხვა პროფესიის შესახებ ადამიანის წარმოდგენების ინდივიდუალური სისტემა, გამოვლინდეს ამა თუ იმ პროფესიის უპირატესობის მიზეზი, აღმოჩენილ იქნეს კონფლიქტური წარმოდგენები

და არაადექვატური შეფასებები. კოლექტივთან მუშაობისას ესაა ურთიერთშეფასებების მიღების, პიროვნებათშორისი აღქმის სიზუსტის კვლევის, ჯგუფის წევრების მიერ ჯგუფური მიზნებისა და ამოცანების გაგების განსხვავებათა შესწავლის ეფექტური საშუალება.

რეპერტუარული გისოსის მეთოდის უპირატესობები და ღირსებები სრულად მჟღავნდება მაშინ, როცა არის შესაძლებლობა კვლევის ჩატარებისას სწრაფად დამუშავდეს შედეგები და მოხდეს მათი გაანალიზება, რათა ცდის პირთან შემდგომი შეხვედრისას შესაძლებელი იყოს წარმოქმნილი ვარაუდების დაზუსტება და შემოწმება, შედგენილ იქნეს სხვა ტიპის რეპერტუარული გისოსი და მოხდეს მისი შესრულება ან შეესებულ იქნეს წინამორბედი, შეიცვლება რა ელემენტების რეპერტუარი ან კონსტრუქტების შერჩევა. დღეს, პერსონალური კომპიუტერების ფართო გავრცელებასთან დაკავშირებით ეს მეთოდი ხდება განსაკუთრებით პერსპექტიული.

4. მოტივაციური, ინტელექტუალური, პიროვნებათშორისი ასპექტები

პიროვნების კვლევის პროექციული მეთოდები

არსებული პროექციული მეთოდიკების რაოდენობა საკმაოდ მაღალია და აგრძელებს კიდეც ზრდას. ლიტერატურა პროექციულ მეთოდიკაზე ვრცელია, ცალკეულ ტესტებზე სამუშაოების რაოდენობა 4000 გასცდა. მათი მთავარი თავისებურება შეიძლება აღინიშნოს, როგორც შედარებით არასტრუქტურირებული ამოცანა ანუ ამოცანა, რომელიც უშვებს შესაძლო პასუხების თითქმის შეუზღუდავ მრავალფეროვნებას. იმისათვის, რომ ინდივიდის ფანტაზიამ შეძლოს თავისუფლად გამოვლენა, მოცემულია მხოლოდ მოკლე, ზოგადი ინსტრუქციები. ამ მიზეზით ტესტური სტიმულები ჩვეულებრივ ბუნდოვანია ან არაერთმნიშვნელოვანია. ჰიპოთეზა, რომელზეც იგება ამგვარი დავალებები, მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდის მიერ ტესტური მასალის ან სიტუაციის სტრუქტურების აღქმისა და ინტერპრეტაციის ხერხი უნდა ასახავდეს მისი ფსიქიკის ფუნქციონირების ფუნდამენტალურ ასპექტებს. ამდენად, ივარაუდება, რომ ტესტურმა მასალამ უნდა იმუშაოს, როგორც გარკვეული სახის ეკრანმა, რომელზეც მოპასუხე ახდენს მისთვის დამახასიათებელი აზროვნებითი პროცესების, მოთხოვნილებების, შფოთვისა და კონფლიქტების პროეცირებას.

ჩვეულებრივ, პროექციული მეთოდიკები წარმოადგენენ შენიღბული ტესტირების მეთოდიკებს, რამდენადაც გამოსაკვლევი პირი იშვიათად ეჭვობს ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის ტიპის შესახებ, რომელიც მიეცემა მის პასუხებს.

პროექციული მეთოდიკები ასევე ხასიათდება გლობალური მიდგომით პიროვნების შეფასების მიმართ. ყურადღების ფოკუსირება ხდება პიროვნების, როგორც ასეთის ზოგად სურათზე და არა მისი ცალკეული თვისებების გაზომვაზე. დასასრულს, პროექციული მეთოდიკები მათი მომხრეების მიერ განიხილება, როგორც ყველაზე ეფექტური პროცედურები პიროვნების ფარული, შენიღბული ან გაუცნობიერებელი მხარეების აღმოსაჩენად. უფრო მეტიც, მტკიცდება, რომ რაც უფრო ნაკლებადაა სტრუქტურირებული ტესტი, მით უფრო მგრძნობიარეა ის ამგვარი შენიღბული მასალის მიმართ. ეს გამომდინარეობს ვარაუდიდან, რომ ამის მიუხედავად საალბათოა, რომ ის გამოიწვევს დაცვით რეაქციას აღმქმელში.

პროექციული მეთოდები წარმოიქმნა კლინიკურ პირობებში და ძირითადად რჩება კლინიცისტის ინსტრუმენტად. ზოგიერთი მათგანი განვითარდა თერაპიული მეთოდებისგან (მაგალითად, მკურნალობა ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით), რომლებიც გამოიყენებოდა ფსიქიკურად დაავადებულთა მიმართ. პროექციული მეთოდიკების თეორიულ აგებებზე გავლენას ახდენს ფსიქოანალიტიკური კონცეფციები. ასევე არსებობს განცალკევებული მცდელობები პროექციული მეთოდიკების საფუძველში ჩაიდოს პიროვნების პერცეპტული თეორიები და აღქმის თეორია. რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს ის, რომ საჭირო არაა კონკრეტული მეთოდიკების შეფასება მათი თეორიული მიმართულების ან წარმოშობის ისტორიის თვალსაზრისით. მეთოდიკა შეიძლება აღმოჩნდეს პრაქტიკულად სასარგებლო ან ემპირიულად ფასეული სხვა მიზეზებით, ვიდრე იმით, რომლებიც წამოყენებულ იქნა მისი შემოღების გასამართლებლად, სპეციალისტის მიერ გამოყენებისთვის.

პროექციული მეთოდიკებისთვის დამახასიათებელ გლობალურ მიდგომასთან დაკავშირებით შეხებულია არა მხოლოდ პიროვნების ემოციური, მოტივაციური და პიროვნებათშორისი მახასიათებლები, არამედ ასევე ქცევის ზოგიერთი ინტელექტუალური ასპექტები. ამ უკანასკნელს შეიძლება განვაკუთვნოთ ზოგადი ინტელექტუალური დონე, ორიგინალობა და პრობლემური სიტუაციების გადაწყვეტის სტილი. შეიძლება დავამატოთ, რომ ნებისმიერი ფსიქოლოგიურმა ტესტმა დანიშნულების მიუხედავად შეიძლება შეასრულოს პროექციული მეთოდიკის როლი.

თემატური აპერცეპტული ტესტი (თატ)

თატ-ი განეკუთვნება პროექციული მეთოდიკების ჯგუფს. ის გამოიყენება პიროვნების იმ თავისებურებების გამოსავლენად, რომლებიც ვლინდებიან სოციალურ გარემოსა და სოციალურ ურთიერთობებში. ესაა:

1) პიროვნების **პოზიციის** თავისებურებები (ქმედითი, განჭვრეტადი, ტანჯვითი);

2) **ინტერპერსონალური** კავშირების თავისებურებები (სიმპათია, ანტიპათია, მიჯაჭვულობები);

3) **უპირატესი ტენდენციები;**

4) **მოქმედების ხერხები** (მოქმედების ორგანიზების ხერხები, პრაქტიკული აზროვნების თავისებურებები, ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტის ხერხები);

5) პიროვნების **დინამიკური მზარე** (მისი საქმიანობის რიტმი, ემოციური ლაბილურობა, რეაქციულობა).

სრული ტესტი წარმოადგენს სიტუაციური ტიპის რამოდენიმე (6-დან 30-მდე) სურათის ნაკრებს, რომლებიც ცდის პირს მიეწოდება რიგ-რიგობით. ტესტისთვის შერჩეულია სპეციალური სურათები, სადაც გამოსახული სიტუაციები პასუხობენ ორ ძირითად მოთხოვნას.

საგნებისა და მოქმედი პირების არასაკმარისად მკაფიო და ნათელი გამოსახულებების დროს, ამ სიტუაციათა კომპოზიციები თავისთავად არ წარმოადგენენ ამაგე დროს ობიექტურ-განმსაზღვრელს, რომლებიც არ უშვებენ ერთმნიშვნელოვან განმარტებას. ასეთი სურათების აღქმისას ცდის პირს ექმნება სურათის აშკარა სიცხადის თავისებური ილუზია: მკაფიო გამოსახულებები უცბად განსაზღვრავენ ცდის პირის მოქმედებების სფეროს, მის გარემოს და რეაქციის მიმართულებებს, მაგრამ ამავდროულად კომპოზიციის გაურკვეველობა (რაც გამორიცხავს ერთმნიშვნელოვან და ერთნაირ გადაწყვეტას) აიძულებს მას თავისებურად განმარტოს სურათები. ცდის პირი თითოეულ განმარტებაში დებს თავის ცოდნას, ინდივიდუალურ გამოცდილებას, მოქმედების საკუთარ ხერხს და შეფასებებს.

თითოეული წამოყენებული სურათის მიმართ მან თავისუფალი თხრობის ფორმით უნდა:

1) აღწეროს ის, თუ რა (მისი აზრით) ხდება სურათზე (ანუ მოცემულ მომენტში);

2) მოყვეს, თუ რამ (მისი აზრით) შეუწყო ხელი მოცემული სიტუაციის წარმოქმნას (რამ გამოიწვია ის);

3) განჭვრიტოს, თუ რა მოხდება შემდგომში;

4) მოყვეს გამოსახული პირების გრძნობებისა და განცდების შესახებ;

5) წარმოიდგინოს ადამიანთა აზრები.

ისევე, როგორც ყველა პროექციული ტესტი, ომბრედანოს გამოხატვით, რომელიც ახდენს პიროვნების პროეცირებას ეკრანზე, თატ-ი ასევე ასახავს პიროვნების თავისებურებებს მის პასუხებში. თუმცა, სხვა ტესტებისგან განსხვავებით თატ-ი გადმოსცემს მათ კინოფილმის მსგავსად ანუ იძლევა პიროვნების ქცევის თავისებურებების გაშლილ სურათს დინამიკურად და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

თატ-ის ვარიანტში,რომელიც შემოთავაზებულია პრაქტიკული შემუშავებისთვის და მეთოდიკასთან გაცნობის მიზნით, არის 28 სურათი.

სხვა ტესტებისგან თატ-ი გამოირჩევა იმით, რომ ის ეფუძნება პიროვნების დინამიკური წყობის ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენებს და გააჩნია რა საფუძვლის სახით საკმაოდ გარკვეული სტიმულები, ამავე დროს, იძლევა მოქმედების მიმართულების არჩევის შეუზღუდავ თავისუფლებას. მაგალითად, გ. რორშახის ტესტისგან განსხვავებით, რომელიც მუშაობს სქემით „გაურკვეველი გამაღიზიანებელი (ლაქა) – გარკვეული ხატი" (სადაც თავად სტიმულის გაურკვეველობა გვიბიძგებს მის ორგანიზებაზე) თატ-ი სქემა შეიძლება გამოვხატოთ, როგორც „გარკვეული სტიმული – თავისუფალი პასუხი". თატ პასუხი თავისუფალია და არაა შემოფარგლული არანაირი შეზღუდვებით. რორშახის ტესტში პასუხი ყოველთვის შეზღუდულია ხატის ჩარჩოებით და საპასუხო რეაქციის პროცესი სრულდება შექმნილი ხატის აღწერით. თატ-ში, პირიქით, თავიდანვე მკაფიო ხატი იწვევს ასოციაციის შეუზღუდავ ჯაჭვს და აქ, გარდა ამისა, ინსტრუქციით პირდაპირაა მითითებული წრიდან გამოსასვლელი და სურათები, მოქმედება ამ ხატთან დაკავშირებით და ხატის შიგნით.

დადგენილია, რომ ასეთი თავისუფლად მიმართული ასოცირება საუკეთესოდ აელენს ქცევის თავისებურებებსაც და სისტემასაც, რომელთა მიხედვითაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ყველაზე ხშირად ემსჯელობთ პიროვნებისთვის დამახასიათებელი (ძირითადად, კომუნიკაციური და დინამიკური) თვისებების, შტრიხებისა და თავისებურებების შესახებ.

სურათების ინტერპრეტაციის შედეგად ამოღებული მასალა შეიძლება დამუშავებულ იქნეს სხვადასხვა პრინციპით და ის უშვებს სხვადასხვა ექსპერიმენტული ამოცანის წამოყენებას.

ასე მაგალითად, ტომკინსმა სპეციალურად შეიმუშავა სისტემა, სადაც ქულებით იანგარიშება მაჩვენებელთა ყველა შესაძლო თანაფარდობა და თითოეულ თანაფარდობას წინასწარ მიეცა შეფასება. ასეთი მიდგომის სუსტ წერტილს

წარმოადგენს ის, რომ ამა თუ იმ შეფასების კრიტერიუმი თაეისთაეად შეიძლება გახდეს საკმაოდ თვითნებური ან პირიქით, თუ ის მკაცრია, მან შეიძლება შეასრულოს პროკრუსტეს სარეცელის როლი ფასეული ინდიეიდუალურ-მრაეალფეროეანი მასალისთეის. მაგალითად, როცა ნორმად მიღებულია 300 სიტყეისგან შემდგარი მოთხრობა და გადახრები ითელება არანორმალურად, შეუმჩნეველად შეიძლება გაიაროს პიროვნების თეისების ისეთმა ცენტრებმა, როგორიცაა ლაკონურობა და მსჯელობათა სიზუსტე.

სხვა პრინციპი მერეიმ დაასაბუთა, როგორც მოცემულის ძიების პრინციპი. მაგალითად, ექსპერიმენტულ მასალაში ეძებენ წყეილი თეისებების: აგრესიულობისა თუ თაედაცეისადმი მიდრეკილების, მანიაკალობისა თუ დეპრესიის, ოპტიმიზმისა თუ პესიმიზმის გამოვლენას და ა.შ.

ტესტს ასეეე შეუძლია შეასრულოს ისეთი ამოცანები, როგორიცაა ცნობიერების სხვადასხვა სფეროსა თუ დონეების გარკეეა: გაცნობიერებული-გაუცნობიერებელი, ღია-ფარული, განდეენადი-ჩანაცვლებადი და ა.შ.

თატ-ი უშეებს ისეთი ამოცანების დაყენებას, როგორიცაა აღსაქმელის გააზრების, ემოციური მდგრადობის ხარისხის დადგენა და ა.შ. დასასრულს, ტესტის წინ შეიძლება დაყენებულ იქნეს უფრო ეიწრო ამოცანები, მაგალითად, ისეთები, როგორიცაა სუბიექტის ქმედითობის ხარისხის დადგენა. ამ შემთხვეევაში, ამ ტიპის მსჯელობები: „ბიჭი ფიქრობს", „ბიჭი ოცნებობს", „ბიჭს სურს", „ბიჭი აკეთებს," წინასწარ უნდა შეფასდეს,როგორც ქმედითობის სხვადასხვა სტადია (და ხარისხი).

თატ მეთოდიკასთან გასაცნობად მიღებულია ანალიზის ყეელაზე გავრცელებული პრინციპი — ძირითადი პუნქტების პოვნა, რომლებიც იძლეეიან საორიენტაციო მასალას პიროვნების სტრუქტურული კომპლექსის განსაზღვრისთეის (შემდგომ, ცდის შედეგები მოწმდება სხვა ხერხებით, მაგალითად, ანამნეზის მონაცემების შეგროვების გზით).

მთლიანობაში კი, ასეთმა ანალიზმა შეიძლება მოგეცეს საკმაოდ მოცულობითი სქემა, რომელიც გამოსადეგია პიროვნების ამა თუ იმ კონკრეტული სტრუქტურის ჰიპოთეზის შესაქმნელად.

ზოგადი მეთოდური მითითებები

ანალიზის ძირითადი კატეგორიები (ნიშნები და მაჩეენებლები)

კატეგორია „თაეის დანებება"

თაეის დანებება ეწოდება ცდის პირის ქცეეას, რომელიც მიმართულია საჭირო პასუხებისგან თაეის არიდებაზე. ის უნდა განეასხეაეოთ უარისგან. თაეის დანებებისას ცდის პირი თითქოსდა ცელის ჭეშმარიტ პასუხებს სხეა პასუხების ჩასმის გზით. თაეის დანებება არის განზრახული და გაუცნობიერებელი. გამოირჩეეა თაეის დანებების ოთხი ძირითადი ტიპი.

1. აღწერითი ვარიანტი. ამ შემთხვეევაში თხრობის მთელი — ხუთნაწილიანი სქემიდან (მომენტიდან, რომელიც გამოსახულია სურათზე, სათაეეებიდან, დასასრულიდან, აზრებიდან, ემოციებიდან) ცდის პირის მიერ გამოიყენება მხოლოდ ერთი მომენტი ანუ მოცემულია მხოლოდ გამოსახულის აღწერა. ის შეიძლება იყოს ზედმეტად დეტალიზებული თითოეული წვრილმანის ხსენებით ან ძალიან მოკლე, ამ უკანასკნელ შემთხვეევაში თხრობა იღებს დაახლოებით შემდეგ სახეს: „აქ ზის ბიჭი, აი, ეიოლინო. ბიჭი ზის და... უყურებს ეიოლინოს... მე მეტი არაფერი ეიცი".

2. სიუეეტის ფორმალური აგების ვარიანტი (მისი კონკრეტული შინაარსით შეესების გარეშე). ამ შემთხვეევაში ცდის პირი ქმნის ასე ეთქეათ სიუეეტის კარკასს, არ ამატებს რა მას არც ხატოეანი სახეებით, არც დასკენებით, არც მახასიათებლებით.

მაგალითად: „აქ გამოხატულია ის, რომ ბიჭი ზის და უყურებს ეიოლინოს. ის ეიოლინოზე უკრავს. რამ მიიყეანა ამ მომენტამდე? იმან, რომ ის სწაელობს დაკრას. შემდეგ ის უკეთ დაუკრაეს, თუ გააგრძელებს სწაელას. ის იმაზე ფიქრობს, რომ ეიოლინოზე უკრავს. ის გრძნობს, რომ უნდა ისწაელოს, რათა კარგად დაუკრას..."

3. შემცელელი ვარიანტი. ცდის პირი საკუთარი სიუეეტის ნაცელად ირჩეეს გამოხატულის სქემატურად მსგაეს მზა მასალას — ლიტერატურულ ნაწარმოებს, კინოფილმის სცენარს, ისტორიულ ეპიზოდს, რადიოგადაცემას ან სატელეეიზიო ტრანსლაციას და ა.შ. მაგალითად, „ეს ჰგაეს კადრს კინოფილმიდან „ბეთჰოეენის კონცერტი". იქეე, ფილმის გმირი — მუსიკოსი ბიჭია, როცა მას უთხრეს, რომ ის მონაწილეობას მიიღებს კონკურსში და თუ დაიკაეებს პირეელ ადგილს, წაეა მოსკოეში, მაშინ ის..." და ა.შ. შემდგომში, ამას მოჰყეება აღნიშნული ფილმის შინაარსის გადმოცემა.

4. განტოტეილი ვარიანტი. ამ შემთხვეევაში, ცდის პირი ქმნის სიუეეტს, თუმცა, ის ცდილობს მისი თითოეული შებრუნებისას მოგეცეს ყეელაზე მრავალფეროეანი ვარიანტების მაქსიმალური რაოდენობა.

მაგალითად: „ეს ბიჭი 12 ან 13 წლისაა... შეიძლება მეტიც იყოს... ან ასე გამოიყურება...

შეიძლება, ის მხოლოდ 7-8 წლისაა... მის წინ ვიოლინოა. ეს მას ვილაცამ აჩუქა. ან ვიოლინო მისი არაა. შესაძლოა, მამამისისაა, შეიძლება ძმისაა. ან იქნებ საერთოდ არაა სახლში. ეს ვილაც სხვისია. ის ემზადება ვიოლინოზე დასაკრავად. ან არ სურს დაკვრა, მობეზრდა. იქნებ ღელავს მუსიკალურ სკოლაში გამოცდის წინ. შესაძლოა, დაამტერია ის და ეშინია, რომ მოხვდება..." და ა.შ.

სწორი პასუხებისგან თავის არიდებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყველა სურათთან მიმართებაში ან შერჩევითად ზოგიერთის მიმართ,

ყველა სურათზე თავის არიდება არის:

1. ცდის, ტესტის შიშის, საკუთარი ინტერესების, მიზნების, მოტივების დაფარვის განწყობის ნიშანი;

2. ურთიერთობის სირთულის, არაკონტაქტურობის ნიშანი;

3. ინტელექტუალური შეზღუდულობის (ინტელექტუალური რესურსების სიმწირის) ნიშანი;

4. ინტეგრაციისადმი დაწეული უნარის ნიშანი.

თავის არიდება, როგორც რეაქცია ცალკეულ სურათებზე შეიძლება აღნიშნავდეს, როგორც უსიამოვნო სიტუაციებს მისი სრული უცოდინრობის შედეგად (სხვისი გარემო და სფერო), ასევე არასასიამოვნო სიტუაციები მისი მნიშვნელობის შედეგად. ამ შემთხვევაში, აღნიშნული რეაქცია მოწმობს იმას, რომ სიტუაცია არასასიამოვნოა და წარმოადგენს უკვე განხორციელებული განდევნის ასახვას.

კატეგორია „პერსონაჟების პოზიცია"

ესა თუ ის ცხოვრებისეული პოზიცია (ქმედებითი, ტანჯვითი, განჭვრეტადი, აგრესიული) არის სურათზე ამა თუ იმ პერსონაჟის ადგილის მიღება პირად ან საზოგადოებრივ ურთიერთობებში, საკუთარი თავის გამოსახულ პირთან გაიგივება. პოზიცია წარმოადგენს საწყის წერტილს ცხოვრებისეული ამოცანებისა და კონფლიქტების გადასაწყვეტად. ასე მაგალითად, მიმართულება სიტუაციის ცვლილებაზე, მისგან აქტიურ გამოსავალზე, მის განვითარებაზე ან განვითარების გაფრთხილება შეინიშნება ქმედითი პოზიციის დროს, პირიქით, პასიურობა და უმოქმედობა, სხვებისთვის მოქმედების დათმობა კი — ტანჯვითი პოზიციისას. გარედან, მესამე პირის სახით შეხედვა, რომელიც არ მონაწილეობს სიტუაციაში, მაგრამ აკვირდება და იღებს თანაბრად ყველა სახის დასასრულს, დამახასიათებელია განჭვრეტითი პოზიციისთვის.

მიმართულება განადგურებაზე, რღვევაზე, კონფლიქტში შესვლაზე არის აგრესიული პოზიციის გამოხატულება.

პოზიციის ყველა სახე წარმოადგენს პიროვნების შესაბამისი ტენდენციების პირდაპირ მაჩვენებლებს. ყველა მათგანი იძლევა მასალას პიროვნების მოქმედების ხერხების შესახებ საკითხების გადასაწყვეტად. იმის დამადასტურებელ ზოგად ნიშნებს, რომ ადამიანის მიერ მიღებულია გარკვეული პოზიცია, წარმოადგენს ცდის პირის მსჯელობას მხოლოდ ერთი პირის მხრიდან (რამდენიმე მოქმედი პირის შემცველ სურათებში) და ასევე გამოთქმების ემოციონალობის მაღალი ხარისხი.

ქმედითი პოზიციის ნიშნებს წარმოადგენს: ზმნების შერჩევა უპირატესად აწმყო დროში, რომლებიც ასახავენ სწრაფვას არსებული მდგომარეობის ცვლილებისკენ, საკუთარი შესაძლებლობებით ოპერირების გზით, სხვა ადამიანის ინტერესებისა და მოქმედებების ზონის დარღვევის გარეშე. ასევე სახასიათოა აქცენტირება განჭვრეტაზე (კარგი პროგნოზი).

ტანჯვითი პოზიციის ნიშნებს წარმოადგენს გამონათქვამები გაელენებისა და ზემოქმედებების თაობაზე. მსჯელობა ხდება ჩვეულებრივ იმ პირის სახელით, რომელზეც ზემოქმედებენ.

ყურადღების ფოკუსირება ხდება დევნის ფაქტზე, ზეწოლის, დევნის უსამართლობაზე. ზემოქმედება განისჯება.

დიდი ყურადღებაა მიმართული მოცემული სიტუაციის მიზეზებზე, საწყისებზე, იმაზე, რამაც ის გამოიწვია (საწყისების კარგი ცოდნა).

აგრესიული პოზიციის ნიშანს (შინაარსობრივი მხარის გარდა) წარმოადგენს იმპერატიული კონსტრუქციების უპირატესი რაოდენობა. აქცენტირება ხდება სხვა პიროვნების მიმართ ზემოქმედებაზე. ქმედითი პოზიციისგან განსხვავებით, სახასიათოა განზრახვებში თანამიმდევრობის, მოქმედებებში გეგმებისა და სისტემის არარსებობა.

განჭვრეტითი პოზიციის ნიშნებს წარმოადგენს ემოციურად შეფერილი რეზონიორობის მომენტების შემცველი მსჯელობა.

კატეგორია „სოლიდარიზაცია"

სოლიდარიზაცია განიხილება, როგორც რომელიმე პირის გაგება, მისი შეხედულებების გაზიარება, ამ პირის თანაგრძნობა და თანამონაწილეობა მის განცდებში. ცდის პირმა შეიძლება არ მიიღოს პირის პოზიციები (ანუ არ გააიგივოს საკუთარი თავი მასთან), მაგრამ ამის მიუხედავად მისი თვისებები იქნება ცდის პირთან დაკავშირებული. ჩვეულებრივ, ამ თვისებებს ცდის პირი პირდაპირ ასახელებს.

სოლიდარიზაცია ნიშნავს, რომ გამოსახულის

მსგავს ადამიანთან ცდის პირს შეიძლება ჰქონდეს შეხების წერტილები. ამგვარად, სოლიდარიზაციის თავისებურებების მიხედვით, ჩვენ ვმსჯელობთ ინტერპერსონალური კავშირების ხასიათზე, იმ გარემოს შემადგენელი პირების წრეზე, რომელშიც მოქმედებს ადამიანი და (ირიბად) ამ გარემოს თავისებურებებზე.

კატეგორია „ადამიანი სიუჟეტური ბადიდან"

მოცემული კატეგორიის ნიშანს წარმოადგენს თხრობის მიმართულების მოულოდნელი შეცვლა, გაფანტულობა შემთხვევითი ასოციაციის მიხედვით (რომელიც სცდება ჩვეულებრივი ასოციაციების ზონას).

გამოიყოფა ცნობითი და მემორიალური გადახვევები.

ცნობითი გადახვევა – რეზონირობისკენ მიდრეკილების მაჩვენებლები. მემორიალური – ეგოცენტრულობის მაჩვენებლები. ხშირი გადახვევები ფასდება, როგორც იდეების „ჭენება".

კატეგორია „ალქმის შეცდომები"

ალქმის შეცდომად ითვლება დასახელება, მაგრამ არა გამოგონება და იმავე ტიპისა და სახის საგნების დამატება, რაც გამოხატულია სურათზე.

ალქმის შეცდომები – მტკიცე განწყობის დომინირების, გარე და შიდა მომენტებს შორის დარღვეული ბალანსის ნიშანი, რომლებიც განსაზღვრავენ აღსაქმელი ხატის თავისებურებებს (ძერა შინაგანი ტენდენციების მხარეს).

კატეგორია „დეტალების რაოდენობა"

სურათიდან აღებული დეტალების მნიშვნელოვანი რაოდენობა ფასდება, როგორც მიდრეკილება საველე ქცევის მიმართ და პირიქით, სურათის დეტალების მცირე რაოდენობა თხრობისთვის ახასიათებს პირის დამოუკიდებლობას, მის დამოუკიდებლობას და, ამავე დროს, გარშემომყოფებისადმი შემცირებულ ყურადღებას.

კატეგორია „თხრობის ზოგადი დრო"

ყველა სურათზე ხანგრძლივი (პაუზების გარეშე) თხრობა ახასიათებს ცნობიერების სფეროს, ფანტაზიისადმი მიდრეკილებას მდიდარი წარმოდგენებითა და ასოციაციებით.

შერჩევითად ხანგრძლივი თხრობა (1 სურათზე) მეტყველებს იმაზე, რომ სიტუაციამ და სიუჟეტმა, რომლებიც ნახა ცდის პირმა, ის გაიტაცეს კიდეც, 30 წთ-ზე მეტი პაუზა (თხრობის შუაში) აფექტური რეაქციების მაჩვენებელია.

მთლიანობაში ყველა დროითი მახასიათებელი, მათი ბალანსი და თანაფარდობა წარმოადგენს ცნობებს პიროვნების დინამიკური მხარის შესახებ.

ექსპერიმენტის პროცედურა

ცდის დაწყებამდე ცდის პირს არ უნდა ეცნობოს არც მაჩვენებლების სისტემის, არც ტესტის შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ტესტის ბარათები წარედგინება ცდის პირს ცალკეული ბარათის ნომრით ასახული თანამიმდევრობით, ცდის პირს ეძლევა ხუთი ნაწილისგან შემდგარი ინსტრუქცია:

1. აღწერეთ სიტუაცია, თუ რას ხედავთ ამ სურათზე;

2. თქვენი აზრით, რამ შეუწყო ხელი სიტუაციის წარმოქმნას, რა უსწრებდა მას წინ;

3. რა მოხდება შემდგომში თქვენის აზრით;

4. რა აზრები აქვთ სურათზე გამოხატულ ადამიანებს;

5. რას გრძნობენ მოქმედი პირები.

ყველა პასუხი რეგისტრირდება თავდაპირველ ოქმში (შეფასებების გარეშე) და, შეძლებისდაგვარად, სიტყვა-სიტყვით (ჩაწერა ხდება სუფთა ფურცელზე).

ექსპერიმენტული მასალის დამუშავების წესი

1. პირველად ოქმში შეტანილი ყველა შეხედულება, პასუხები და აღწერები გაანალიზებულია მათი მეორადი (სტანდარტული) ოქმის შესაბამის რუბრიკებზე განაწილების მიზნით (იხ. დანართები 1, 2, 3).

2. დამუშავებისას ცდის პირის კონკრეტული პასუხები შეეფარდება ტესტში მოცემულ განმარტებებს.

3. პასუხების საერთო რაოდენობიდან და მათი თანაფარდობიდან (დამთხვევა, წინააღმდეგობა) ხდება პროექციის სტრუქტურის გამოყვანა.

4. რომელიმე კატეგორიის პასუხების პირდაპირი უმრავლესობის საფუძველზე დგინდება პიროვნების კონკრეტული ფსიქოლოგიური ტენდენცია.

5. ხდება პიროვნების შესახებ ზოგადი დასკვნის შედგენა. ის უნდა შეიცავდეს მსჯელობას იმ გარემოზე, რომელშიც ძირითადად ხდება პიროვნების ორიენტაცია, მონაცემების ცნობიერების შემადგენელზე, პოზიციებზე, მონაცემების პიროვნების დინამიკური წყობის, ემოციური და ნებელობითი სფეროს, მოქმედების ხერხების შესახებ, დასკვნების პიროვნების ცალკეულ თვისებებსა და მის მიმართულებაზე.

ექსპერიმენტატორის ძირითადი ყურადღება, ტესტის დამუშავებისას, მიმართული უნდა იყოს საბოლოო დასკვნის დასაბუთებაზე, მის დამტკიცებით მხარეზე.

დანართი 1

ოქმის ნიმუში (1 ტიპი)
ფორმალური მახასიათებლები

სურათის N	ლატენტური პერიოდი მიწოდების დაწყებიდან თხრობის დაწყებამდე	თხრობის ზოგადი დრო	პაუზების 30 წუთზე ზემოთ რაოდენობა	დეტალების რაოდენობა	შეცდომების რაოდენობა	სიუჟეტისგან გადახვევის რაოდენობა
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						

დანართი N2

ოქმის ნიმუში (ტიპი 2)
მახასიათებლები შინაარსზე

სურათის N	თავის არიდება ა, ბ, გ, დ	სოლიდარიზაცია	კონფლიქტები	ემოციური ფონი	პოზიცია			
					ქმედითი	ტანჯვითი	განჭვრეტითი	აგრესიული
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								
11								
12								

ოქმის ნიმუში (ტიპი 3)
ინსტრუქციის შესრულების მაჩვენებლები

სურათის N	მომენტი	სათაგე	პროგნოზი (დასასრულის რაოდენობა: ხელსაყრელის, არახელსაყრელის)	ემოციები	აზრები
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					

რორშახის ტესტი

რორშახის ტესტი განეკუთვნება პროექციული ტესტების რიცხვს. ის გამოიყენება პიროვნების ცალკეული თვისებების და ფსიქიკური თვისებების დიაგნოსტიკისთვის. რორშახის ტესტის მიხედვით პიროვნების ასეთი თვისებების გამორკვევა ეფუძნება შემოქმედების უმარტივესი პროდუქტების ანალიზს, რომლებშიც აისახება (პროეცირდება) პიროვნების ზოგიერთი ინდივიდუალური თავისებურებები.

კონკრეტული პიროვნული თვისებების გამოსავლენად, ობიექტური საფუძვლის სახით, რორშახი იყენებს პერცეფციის სფეროს. ხატის ინდივიდუალური აგების მასალაზე ის ამუშავებს პიროვნების დიაგნოსტიკის სისტემას. მკვლევარი თვლის, რომ წარმოდგენების კონსტრუირების ინდივიდუალური თავისებურებების უკან დგას ცალკეული პიროვნული თვისებები. მისი აზრით, ცნობები ცალკეული თვისებების შესახებ იძლევა არჩევითობას აღქმაში და არჩეული ელემენტების ამა თუ იმ ხატში შემდგომი ინტეგრაციის ხერხს და თავად ხატის შინაარსს.

ტესტის ინსტრუმენტს წარმოადგენს 10 ბარათის ნაკრები გაურკვეველი ფორმის სხვადასხვა ფერის სიმეტრიული ლაქებით. ცდის პირისთვის თითოეული ლაქის მიწოდებისას მან უნდა უპასუხოს კითხვას: „რა არის ეს და რას ჰგავს?“

ამგვარად, ცდის პირმა თითოეულ გაურკვეველ ლაქაში (ან ლაქების ჯგუფში) უნდა დაინახოს გარკვეული საგანი, ხატი ან სურათი, რომლებიც შემდგომში განიხილება, როგორც მისი პიროვნების ცალკეული თვისებების პროექციები.

სავარაუდოდ, ასეთი ხატის ან ბუნდოვანი სურათის შექმნაში მონაწილეობს ადამიანის რიგი ფსიქიკური აქტი და ის ფსიქიკური თავისებურებები, რომლებიც ასახავენ ინდივიდუალობის ყველაზე მკაფიო ნიშანს. პირველ რიგში, ესაა აღქმის არჩევითობა, ასოციაციური პროცესების მიმდინარეობის და განწყობის თავისებურებები.

მ. რაპოპორტი თვლის, რომ ლაქის მიწოდების მომენტიდან ხატის შექმნამდე წარმოიქმნება პროცესების დაკავშირებული ჯაჭვი. თავად ლაქის ბუნდოვანება იძლევა ასოციაციებისკენ ბიძგს, რომელთაგან მხოლოდ ნაწილია გაცნობიერებული. წარმოქმნილი ბუნდოვანი ასოციაციები ერთიანდებიან რთულ ხატებში. დასასრულს, განსაზღვრული ხატი აძლევს ახალ მიმართულებას ასოციაციებს,

რის შედეგადაც იქმნება დასრულებული, ლოგიკურად დასაბუთებული სურათები.

ესაა რორშახის ტესტის ძირითადი სქემა, რომელიც მას განასხვავებს სხვა პროექციული ტესტებისგან პროექციაში სტრუქტურისა და სისტემის მხრივ. პროექციის ხასიათით, მისი ტიპის მიხედვით, რორშახის ტესტი ითვლება ყველაზე სუფთა ტესტად, რომელიც არაა დამოკიდებული გარეგან გაელენებზე. იყარაუდება, რომ ლაქის გაურკვეველობა და უფორმობა (არაკონსტრუირებული გამაღიზიანებელი) გამორიცხავენ ხატის-სურათის შექმნისკენ მიმავალი ასოციაციების ობიექტურად გარე მიმართულებას. ამიტომ რორშახის ტესტის მიხედვით, პროექციათა თავისებურებები უშუალოდ განეკუთვება სუბიექტურ ფაქტორებს. სწორედ მაჩვენებლების სისუფთაეის შენარჩუნებისთვის, რორშახის ტესტით ცდის ჩატარებისას, ექსპერიმენტატორს კატეგორიულად ეკრძალება დამაბნეველი ან დამატებითი კითხვების დასმა, ასევე საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ცდის პირის მიერ გამოთქმულ შეხედულებაზე.

ამასთან დაკავშირებით, მაგალითად თატ-გან განსხვავებით, სადაც პიროვნების დიაგნოსტირება ხდება საკმაოდ გარკვეულ გამაღიზიანებლებზე (სიტუაციური სურათები) რეაქციის საფუძველზე, რორშახის ტესტი იძლევა დიდ სივრცეს პიროვნების დამოუკიდებელი პროდუცირებისა და თავისუფალი პროექციისთვის.

რორშახის ტესტი წარმოადგენს პიროვნების იმ თვისებების ერთ-ერთ საუკეთესო ინდიკატორს, რომლებიც ვლინდებიან სინთეზურ საქმიანობაში და არაა მიმართული ასოცირების პირობებში.

რორშახის ტესტის მიხედვით მიღებული მასალა ფასდება თანამიმდევრულად შეფასებების (მახასიათებლების) ორი ტიპის: ფორმალური და შინაარსობრივი შეფასებების მიხედვით. ფორმალური შეფასებები ეფუძნება აღქმის ორგანიზების თავისებურებების ანალიზს, შინაარსობრივი კი — კონკრეტული ასოციაციების მასალის ანალიზს.

განცალკევებულ შეფასებათა პრინციპი თამაშობს არსებით როლს პიროვნების დიაგნოსტიკის დროს, რამდენადაც თითოეული მათგანის უკან დგას პასუხის ჩამომყალიბებელი სხვადასხვა მექანიზმი. ამიტომ ერთი და იგივე პასუხი თანამიმდევრულად უნდა შეფასდეს ფორმალური და შინაარსობრივი მხრიდან.

ფორმალური შეფასებით ცდის პირთა პასუხები ასახავენ აღქმის ორგანიზების ერთ-ერთ შემდეგ თავისებურებას:

1. სივრცეში ორიენტირებისა და ოპერირების თავისებურებები (ერთ შემთხვევაში ხატის შესაქმნელად აღებულია ლაქის მხოლოდ ნაწილი, მეორეში კი — მთლიანად ლაქა);

2. რეაქციების არჩევითობა (მაგალითად, განსაკუთრებით ძლიერი რეაქცია ფერზე ან უპირატესად ფერზე);

3. რეაქციის რიგითობა (მაგალითად, რიგი კატეგორიებისგან შემდგარი რეაქცია ყოველთვის იწყება ფორმიდან);

4. სტატიკურობა ან დინამიკურობა (სურათები უძრავია ან მათში შეიმჩნევა მოძრაობა).

შეფასებები შინაარსის მხრივ შედის ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთში — ადამიანები, ცხოველები, საგნები და ფანტასტიკური ხატები — და მოწმობენ ასოციაციური პროცესის იმ თავისებურებებს, რომელთა გამოვლენის შედეგად უპირატესი წარმოდგენებისა და ცნებების მოქმედების საფუძველზე ყალიბდება ერთ-ერთი ტიპიური ხატი.

ცალკეული კავშირები პასუხებს კატეგორიებსა და მათ დიაგნოსტიკურ მნიშვნელობებს შორის (ფორმალური და შინაარსობრივი შეფასებებით) მოყვანილია 1 და მე-2 დანართებში.

მეთოდური მითითებები

რორშახის ტესტის მიხედვით კვლევისას პასუხების დაშიფრის განმარტებები (პასუხების ტიპები)

ფორმალური მახასიათებლები

მ (მთლიანობა) — ასე იშიფრება მთლიანობაში ცხრილის მთელი ლაქის აღქმაზე დაფუძნებული პასუხები, ლაქის ცხრილების ფონისგან მკაფიო გამიჯვნისას.

დ(დეტალი) — ლაქის ნაწილის აღქმაზე დაფუძნებული პასუხები მისი სხვა ნაწილების გათვალისწინების გარეშე.

ფ(ფორმა) — მკაფიოდ გამოხატული ფორმა (ადამიანების, მცენარეების, ცხოველების აღწერა და სხვ.).

ფ — არამკაფიოდ აღქმული ფორმა.

ფ-ფე (ფორმა-ფერი) — პასუხები, რომლებშიც სჭარბობს ფორმა და ნახსენებია ფერი.

ბე-ფ (ფერი-ფორმა) — პასუხები, რომლებშიც სჭარბობს ფერი, მაგრამ ნახსენებია ფორმაც.

მახასიათებლები შინაარსის მხრივ

ც — კატეგორია „ცხოველები“. აქ შედის ხსენება ცხოველთა სამყაროს ნებისმიერ წარმომადგენელზე — ძუძუმწოვრებზე, ფრინველებზე, თევზებზე, ხმელეთისა და ზღვის ბინადრებზე, მწერებზე, ქვეწარმავლებზე.

ა- კატეგორია „ადამიანის ფიგურები“. ხსენება ადამიანის არსებაზე ნებისმიერი ფორმით – სქესის (მამაკაცი, ქალი, გოგონა, ბიჭუნა), ასაკის (მოხუცი კაცი, მოხუცი ქალი, ყმაწვილი), პროფესიის (მჭედელი, ბალერინა) დასახელება; ნაცვალსახელით შეცვლით (ვინც დაიხარა, აქ მოცეკვაეები...), ან ზმნიზედით (მომუშავე, მოჩხუბარი, მიმანიშნებელი...), დაჯგუფებით (ჩხუბი, დემონსტრაცია, მყურებელთა დარბაზი, რომელიც სავსეა პუბლიკით...).

ს- კატეგორია „საგნები“. ნებისმიერი დანიშნულების, ზომის, თვისების, მასალის, მდგომარეობის საგნების ხსენება.

ფან – კატეგორია „ფანტასტიკური ხატები“ – ცდის პირის მიერ ნახსენები ფანტასტიკური არსებები (ჯადოქრები, კუდიანი დედაბრები, კენტავრები, მიწისქვეშეთის მბრძანებელი) და ა.შ.

მოძ – კატეგორია „მოძრაობა“. მოიცავს მოძრაობას, პოზის ცვლილებას, ზოგჯერ რაკურსს, მდგომარეობას, იშვიათად – მიმიკურ მოძრაობებს.

დავალების დამუშავება

ექსპერიმენტული ჯგუფი. ცდაში მონაწილეობს ორი ადამიანი: ექსპერიმენტატორი და ცდის პირი. ცდის პირი შეიძლება გაეცნოს შეფასებების სისტემას მხოლოდ ცდის ჩატარების შემდეგ.

მეთოდიკა

ცდის პროცედურა. ცდა მდგომარეობს ათი ბარათის მიწოდებაში იმ თანამიმდევრობით, რომელიც ასახულია ბარათის რიგითი ნომრით. ბარათების მიწოდებას თან ახლავს ერთი სტანდარტული კითხვა: „რა არის ეს და რას ჰგავს?“

ხდება დროის რეგისტრაცია ბარათის მიწოდებასა და პასუხის გაცემის დაწყებას შორის. ასევე რეგისტრირდება თავად პასუხის დრო. მიწოდების დრო შეზღუდული არაა. ყველა მონაცემი (დროის მახასიათებლები, პასუხები, პაუზები, მერყეობა პასუხებში) შედის სტანდარტულ ოქმში.

შედეგების დამუშავება

1. ყველა პასუხი დაშიფრულია (იხ. დანართი 2 და 3).

2. ხდება სხვადასხვა კატეგორიის პასუხების რაოდენობის დათვლა.

3. იანგარიშება სხვადასხვა კატეგორიის პასუხების პროცენტი ყველა პასუხის საერთო რაოდენობიდან.

4. იანგარიშება პასუხების შეთავსება ფორმალური და შინაარსობრივი შეფასებების მიხედვით.

5. განისაზღვრება ცდის პირის ინდივიდუალური მახასიათებლები (ნორმისგან გადახრების მიხედვით).

6. ხდება დასკვნის შედგენა ცდის პირის პიროვნების თაობაზე.

დანართი 1

ოქმის ნიმუში

მახასიათებლის დასახელება (კატეგორია)	ფორმალური მახასიათებლები							შინაარსობრივი მახასიათებლები				შენიშვნა
	ა (მთელი)	დ (დეტალი)	ფ (მკაფიო ფორმა)	ხფ (არამკაფიო ფორმა)	ფფე (ფორმა-ფერი)	ფე (ფერი-ფორმა)	მოძ (მოძრაობა)	ც (ცხოველი)	ა (ადამიანი)	ს (საგანი)	ფ (ფანტაზია)	
პასუხების რაოდენობა												...
გამოხატულობა (%)												
ნორმის მაჩვენებლები	65–70%	25–30%	75–80%	25%	50%	25%	60%	30–35%	25%	1–2 პასუხი	3–4 პასუხი	...

დანართი 2

დიაგნოსტიკური მაჩვენებლები
(ფორმალური შეფასებების მიხედვით)

მ (მთელი) – მთელი ხატების დიდი რაოდენობა – უნარიანობის და ინტეგრაციისკენ სწრაფვის მაჩვენებელი, რომელიც გულისხმობს აღქმის მიმოხილვით მომცველ ტიპს, სინთეზური აზროვნების ხერხს, აბსტრაგირების უნარს.
დ(დეტალი) – 1) დეტალების სიმრავლე – ყურადღების „განაწილების", მისი სივიწროვის, აზროვნების განცალკევებულობისა და არალოგიკურობის მაჩვენებელი; 2) თეთრი შუალედების აღქმა და მათი მიხედვით ხატების შექმნა – ცდის პირის თავდაცვითი პოზიციის ან ნეგატივიზმის მაჩვენებელი.
ფ(ფორმა) – პასუხების დიდი რაოდენობა ფორმებზე მითითების სიჭარბით: 1) გრძნობაზე აზრის ბატონობის მაჩვენებელი; 2) კომპენსატორული მოვლენების მაჩვენებელი, როცა აზროვნების, მსჯელობის გზით „აქრობენ" ან ცდილობენ შეამცირონ აფექტი ან ემოცია. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაფარული შიშის, შფოთვის, ემოციების „მიშვების" შიშის დიაგნოსტირება.
მოძ (მოძრაობა) – პასუხები მოძრაობის აღნიშვნით – სუბიექტის ინტრავერსიული ტენდენციის მაჩვენებელი, ასოციაციური პროცესის სიმდიდრისა და მოქნილობის მაჩვენებელი, დამოუკიდებელი ასოციაციური მუშაობის ნიშანი ხშირად გარე იმპულსების გარეშე.
ფე (ფერი) – პასუხები ფერის მაღალი პროცენტით წარმოადგენენ ადამიანის აფექტით და ემოციებით მოცულობის მაჩვენებლებს. აფექტური პროცესების სხვა ფსიქიკურ პროცესებზე სიჭარბის მტკიცება „შევიწროებული ცნობიერების" იმპულსურობისა და კონტროლის უქონლობის ნიშანი.

დანართი 3

დიაგნოსტიკური მაჩვენებლები
(შეფასებები შინაარსის მხრივ)

ც (ცხოველი)	ც კატეგორიის პასუხების სიჭარბე მიუთითებს სუსტად გამოხატულ ინდივიდუალობას, სტერეოტიპული სტანდარტული აზროვნება.
ა (ადამიანი)	ნებისმიერი ტიპის ადამიანური ურთიერთობებისადმი (ხელსაყრელისადმი და არახელსაყრელისადმი) ინტერესის მაჩვენებელი.
ფან (ფანტაზია)	ხშირად აღნიშნული „ფან" პასუხები ფასდება, როგორც მიდრეკილება კონსტრუირებისადმი, ფანტაზიისა და კონფაბულაციისადმი.
ს (საგანი)	ხშირი პასუხები ს სიჭარბით ფასდება, როგორც აუტოზმისადმი მიდრეკილება, სირთულე ინტერპერსონალურ კავშირებში. მოქმედებების ორგანიზების სფეროში, როგორც ტენდენცია კონკრეტიზაციისადმი.

ტესტი „არარსებული ცხოველი"

კვლევის მეთოდი ეფუძნება ფსიქომოტორული კავშირის თეორიას. ფსიქიკის მდგომარეობის რეგისტრაციისთვის გამოიყენება მოტორიკის კვლევა (კერძოდ კი, სახატავი მარჯვენა დომინანტური ხელის მოტორიკის, რომელიც დაფიქსირებულია მოძრაობის გრაფიკული კვალის, ნახატის სახით).

ი.მ. სეჩენოვის აზრით, ფსიქიკაში წარმოქმნილი ნებისმიერი წარმოდგენა, ნებისმიერი ტენდენცია, რომელიც უკავშირდება ამ წარმოდგენას სრულდება მოძრაობით (სიტყვა-სიტყვით: „ნებისმიერი აზრი სრულდება მოძრაობით").

თუ რეალური მოძრაობა რაიმე მიზეზით არ ხორციელდება, კუნთების შესაბამის ჯგუფებში თავს იყრის ენერგიის გარკვეული დაძაბულობა, რაც საჭიროა საპასუხო მოძრაობისთვის (წარმოდგენა

– აზრზე). ასე მაგალითად, შიშის გამომწვევი ხატები და წარმოდგენა-აზრები სტიმულაციას აძლევენ დაძაბულობას ფეხის მუსკულატურის ჯგუფებში და ხელის კუნთებში, რაც აუცილებელი იქნებოდა შიშზე გაქცევით ან ხელების მეშვეობით დაცვის (დარტყმა, მოხრა) შემთხვევაში. მოძრაობის ტენდენციას გააჩნია მიმართულება სივრცეში: მოშორება, მიახლოება, გადახრა, გასწორება, ადგომა, დაცემა. ნახატის შესრულებისას ქაღალდის ფურცელი (ან სურათის ტილო) წარმოადგენს სიერცის მოდელს და კუნთების მდგომარეობის გარდა, აფიქსირებს დამოკიდებულებას სივრცისადმი ანუ წარმოქმნად ტენდენციას. სიერცე უკავშირდება განცდის ემოციურ ელფერსა და დროის პერიოდს: აწმყოს, წარსულს, მომავალს. სუბიექტის უკან და მარცხნივ განთავსებული სივრცე უკავშირდება წარსულ პერიოდს და უსაქმურობას (აქტიური კავშირის არარსებობას აზრ-წარმოდგენას, დაგეგმვასა და მის განხორციელებას შორის). მარჯვენა მხარე (სივრცე წინ და ზემოთ) – მომავალ პერიოდსა და ქმედითობას. ფურცელზე (სივრცის მოდელი) მარცხენა მხარე და ქვედა ნაწილი უკავშირდება უარყოფითად შეფერილ და დეპრესიულ ემოციებს, დაურწმუნებლობასა და პასიურობას. მარჯვენა მხარე (შეესაბამება მარჯვენა დომინანტურ ხელს) – დადებით ემოციებს, ენერგიულობას, აქტიურობას, მოქმედების კონკრეტულობას.

ფსიქომოტორული კავშირის ზოგადი კანონზომიერებებისა და სივრცისადმი დამოკიდებულების გარდა, ტესტის მასალის განმარტებისას გამოიყენება სიმბოლოებით და გეომეტრიული სიმბოლური ელემენტებითა და ფიგურებით ოპერირების ნორმები. „არარსებული ცხოველი" განეკუთვნება პროექციულთა რიცხვს. სტატისტიკური შემოწმებისა თუ სტანდარტიზაციისთვის ანალიზის შედეგი შეიძლება წარმოვიდგინოთ აღწერით ფორმებში. შემადგენლობის მიხედვით მოცემული ტესტი საორიენტაციაო. როგორც კვლევის ერთადერთი მეთოდი, ის ჩვეულებრივ არ გამოიყენება და მოითხოვს სხვა მეთოდებთან გაერთიანებას კვლევის ბატარეული ინსტრუმენტის სახით.

ინსტრუქცია: მოიფიქრეთ და დახატეთ არარსებული ცხოველი და უწოდეთ მას არარსებული სახელი.

მაჩვენებლები და ინტერპრეტაცია

ნახატის მდებარეობა ფურცელზე. ნორმაში ნახატი განთავსებულია ვერტიკალურად დაყენებული ფურცლის შუა ხაზზე. ქაღალდის ფურცელი უმჯობესია იყოს თეთრი ან ღია კრემისფერი, ფანქარი საშუალო სირბილის, არ შეიძლება პასტით და ფლომასტერით ხატვა.

ნახატის მდებარეობა ფურცლის ზედა კიდესთან ახლოს (რაც უფრო ახლოს, მით უფრო მკაფიოდ) განიმარტება, როგორც მაღალი თვითშეფასება, როგორც უკმაყოფილება სოციუმში მდგომარეობით, გარშემომყოფთა მხრიდან აღიარების არასაკმარისობა, პრეტენზია წინსვლასა და აღიარებაზე, თვითდამკვიდრების ტენდენცია. ქვედა ნაწილში ნახატის მდებარეობა – პირუკუ ტენდენცია: საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, დაბალი თვითშეფასება, დათრგუნულობა, გაუბედაობა, სოციუმში მდგომარეობით, აღიარებით დაუინტერესებლობა, თვითდამკვიდრების ტენდენციის უქონლობა.

ფიგურის ცენტრალური აზრობრივი ნაწილი (თავი ან მისი შემცვლელი დეტალი). **თავი მარჯვენივაა მიბრუნებული** – მყარი ტენდენცია მოქმედებისკენ, ქმედითობისკენ: თითქმის ყველაფერი, რაც მოფიქრებულია, იგეგმება, ხორციელდება ან იწყებს განხორციელებას (თუ ბოლომდე არ ხდება მიყვანილი). ცდის პირი აქტიურად გადადის საკუთარი გეგმების, მისწრაფებების რეალიზაციაზე.

თავი მიბრუნებულია მარცხნივ – ტენდენცია რეფლექსისკენ, მსჯელობისკენ. ეს არაა მოქმედების ადამიანი: ჩანაფიქრების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის რეალიზება ხერხდება ან იწყებს რეალიზაციას. ხშირია ასევე შიში აქტიური მოქმედებისა და გაუბედაობის წინაშე. (ვარიანტი – მოქმედების ტენდენციის არარსებობა ან აქტიურობის შიში – უნდა გადაწყდეს დამატებით). **ანფასის მდგომარეობა ანუ თავი მხატავზე (შენსკენაა) მომართული განმარტება, როგორც ეგოცენტრიზმი.**

თავზე განლაგებულია დეტალები, რომლებიც შეესაბამებიან გრძნობის ორგანოებს – ყურებს, პირს, თვალებს. „ყურის" მნიშვნელობა პირდაპირია: ინფორმაციით დაინტერესებულობა, საკუთარ თავზე გარშემომყოფთა აზრის მნიშვნელობა. დამატებით, სხვა მაჩვენებლებისა და მათი შეთავსების მიხედვით, განისაზღვრება ცდის პირის ცდა მოიმოქმედოს რამე დადებითი შეფასების მოსაპოვებლად ან მხოლოდ პროდუცირება შესაბამის ემოციურ რეაქციებზე (სიხარული, სიამაყე, წყენა, დარდი) გარშემომყოფთა მხრიდან შეფასებებზე, ქცევის ცვლილების გარეშე. **გაღებული პირი ენასთან ერთად ტუჩების მოხაზულობის გარეშე განიმარტება,** როგორც დიდი მეტყველებითი აქტიურობა (ყბედობა), ტუჩების მოხაზულობასთან ერთად, როგორც მგრძნობელობა, ზოგჯერ, ორივე ერთად. ღია პირი ენისა და ტუჩის მოხაზულობის გარეშე, განსაკუთრებით, გადახაზული აღნიშნავს შიშისა და შფოთვის, უნდობლობის

ადვილად წარმოქმნას. **პირი კბილებით – ვერბალური აგრესია, უმეტესად – დაცვითი (ირონება, მკვახედ, უხეშად მიმართავს მასზე შენიშვნით, გაკიცხვით მიმართვისას).** ბავშვებისა და მოზარდებისთვის დამახასიათებელია მომრგვალებული ფორმის მოხაზული ნრახატი (შიში, შფოთვა).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვალებს. ეს სიმბოლო ახასიათებს შიშის განცდას და ხაზგასმულია გუგას მკაფიო მოხაზულობით. ყურადღება მიაქციეთ წამწამების არსებობას ან მათ უქონლობას. **წამწამები ქცევის ისტეროიდულ-დემონსტრაციული მანერები მამაკაცებთან მიმართებაში.** ხასიათის ქალური თვისებები გუგასა და გარსის მოხაზულობით ერთმანეთს. წამწამები – ასევე დაინტერესება გარშემომყოფთა მხრიდან გარეგნული სილამაზითა და ჩაცმის მანერით, ამისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება.

თავის გადიდებული (მთლიანად ფიგურის შესაბამისად) ზომა მეტყველებს იმაზე,რომ ცდის პირი აფასებს რაციონალურ საწყისს (შესაძლოა ერუდიციასაც) საკუთარ თავსა და გარშემომყოფებში.

თავზე ასევე განლაგებულია დამატებითი დეტალები, მაგალითად **რქა**-დაცვა, აგრესია. სხვა ნიშნებთან – ბრჭყალებთან, ჯაგართან, ეკლებთან ერთად განსაზღვრისას – ამ აგრესიის ხასიათი: სპონტანური ან დაცვით – საპასუხო. **ფრთები** ტენდენცია თვითშელამაზებისა და თვით გამართლებისკენ, დემონსტრაციულობისკენ. **ბეწვი, ფაფარი** და ამგვარი რამ – მგრძნობელობა, საკუთარი სქესის ხაზგასმა და ზოგჯერ ორიენტირება სექსუალურ როლზე.

ფიგურის მზიდი, საყრდენი ნაწილი (ფეხები, თათები, ზოგჯერ კვარცხლბეკი). განიხილება ამ ნაწილის დასაბუთებულობა მთელი ფიგურის ზომის და ფორმის მიმართ:

1) საფუძვლიანობა, მოფიქრება, რაციონალობა გადაწყვეტილების მიღებისას, გზა დასკვნებისკენ, მსჯელობა, დაყრდნობა არსებით მდგომარეობასა და მნიშვნელოვან ინფორმაციაზე;

2) მსჯელობის ზედაპირულობა, დაუფიქრებლობა დასკვნებში და აზრების დაუსაბუთებლობა, ზოგჯერ იმპულსურობა გადაწყვეტილების მიღებაში (განსაკუთრებით ფეხების უქონლობისას).

საჭიროა ყურადღება მიეაქციოთ **ფეხების კორპუსთან დაკავშირების ხასიათს:** დაკავშირება ზუსტია, ჯეროვანია ან დაუდეგარი, სუსტად დაკავშირებული ან საერთოდ დაუკავშირებელი – საკუთარ შეხედულებებზე, დასკვნებზე, გადაწყვეტილებებზე კონტროლის ხასიათი. **ფეხების, თათების, საყრდენი ნაწილის ნებისმიერი ელემენტის ფორმის ერთტიპიანობა და ერთმიმართულობა – კონფორმულობა გადაწყვეტილებების მიღებაში, მათი სტანდარტულობა, ბანალურობა.** ფორმაში და დეტალების მდებარეობაში მრავალფეროვნება – შეხედულებებისა და მსჯელობის თავისებურება, დამოუკიდებლობა და არაბანალურობა; ზოგჯერ, შემოქმედებითი საწყისი (შესაბამისად ფორმის უჩვეულობა) ან სხვაგვარად აზროვნება (პათოლოგიასთან მიახლოებული).

ფიგურაზე ამაღლებული ნაწილები. ის შეიძლება იყოს ფუნქციური ან შემალამაზებელი (ფრთები, დამატებითი ფეხები, საცეცები, ჯაგშანის დეტალები, ბუმბული, ბაფთები კულულების მსგავსად, ყვავილოვან-ფუნქციური დეტალები). ესაა ადამიანის მოქმედების სხვადასხვა სფეროს მოცვის ენერგია, საკუთარი თავის რწმენა, გარშემომყოფთა არადელიკატური და ბუნდოვანი შეფიწროების „თვითგავრცელება“ ან ცნობისმოყვარეობა, რაც შეიძლება მეტ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი, მზის ქვეშ ადგილის დაკავება, გატაცება საკუთარი საქმიანობით, ცდის სიმამაცე (დეტალ-სიმბოლოს-ფრთების ან საცეცების მნიშვნელობის შესაბამისად და ა.შ.). შემალამაზებელი დეტალები-დემონსტრაციულობა, მიდრეკილება მიიქციო გარშემომყოფთა ყურადღება, მანერულობა (მაგალითად, ცხენი ან მისი არარსებული მსგავსება ფარშევანგის ბუმბულის ჯიღაში).

კუდები. გამოხატავენ დამოკიდებულებას საკუთარ მოქმედებებთან, გადაწყვეტილებებთან, დასკვნებთან, ვერბალურ პროდუქციასთან კუდის მარჯვნივ ან მარცხნივ (ფურცელზე) მიმართულობის მიხედვით. მარჯვნივ მიმართული კუდები-დამოკიდებულება საკუთარ მოქმედებებთან და ქცევასთან. მარცხნივ მიმართულობა – დამოკიდებულება საკუთარ აზრებთან, გადაწყვეტილებებთან; ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებთან, საკუთარ გაუბედაობასთან.

ამ დამოკიდებულების დადებითი ან უარყოფითი შეფერილობა გამოხატულია კუდის ზემოთკენ მიმართვით (დარწმუნებული, დადებითი, ფხიზელი) ან ქვემოთკენ მოძრაობით (უკმაყოფილება საკუთარი თავით, ეჭვი საკუთარ სიმართლეში, მწუხარება ჩადენილზე, თქმულზე, მონანიება და ა.შ.). ყურადღება უნდა მიეაქციოთ რამოდენიმე, ზოგჯერ განმეორებადი რგოლებისგან შემდგარ კუდს, განსაკუთრებით კი, ფაფუკ, გრძელ და ზოგჯერ დაყოფილ კუდებს.

ფიგურის კონტურები. მისი ანალიზი ხდება გამოწეული ნაწილების (ჯაგარის, ჯაგშანის, ეკლების ტიპის) ქონის ან უქონლობის, კონტურის ხაზის მკაფიოდ გამოხატვის და გამუქების მიხედვით. ესაა გარშემომყოფთაგან დაცვა, აგრესიული,

თუ ის შესრულებულია მახვილი კუთხეებით; შიშით და შფოთვით, თუ ადგილი აქვს კონტურული ხაზის გამუქებას „დათხუპვნას"; შიშით, ეჭვით, თუ სახეზეა ფარი, ხაზი გაორმაგებულია. ასეთი დაცვის მიმართულობა სივრცითი მდებარეობის შესაბამისად: **ფიგურის ზედა კონტური** – ზემდგომთა, იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა დააწესოს აკრძალვა, შეზღუდვა, იძულება ანუ ასაკით უფროსი ადამიანების, მშობლების, მასწავლებლების, უფროსების, ხელმძღვანელების წინააღმდეგ; **ქვედა კონტური** – დაცვა დაცინვის, მიუღებლობის წინააღმდეგ, აუტორიტეტის არარსებობა ქვემდგომებში, უმცროსებში, გაკიცხვის შიში; **გვერდითი კონტურები** – არადიფერენცირებული საფრთხე და ნებიემიერ სახის და სხვადასხვა სიტუაციებში თვითდაცვის მზადყოფნა; იგივე, თუ დაცვის ელემენტებით განლაგებულია არა კონტურზე, არამედ კონტურის შიგნით, თვითონ ცხოველის კორპუსზე. **მარჯვნივ** – მეტი საქმიანობის (რეალური) პროცესში, **მარცხნივ** – მეტი დაცვა საკუთარი აზრებისა, შეხედულებებისა, გემოვნებისა.

საერთო ენერგია. ფასდება გამოსახული დეტალების რაოდენობა (არის თუ არა საჭირო რაოდენობა, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა მოფიქრებულ არარსებულ ცხოველზე (სხეული, თავი, კიდურები ან სხეული, კუდი, ფრთები და ა.შ.) შევსებული კონტურით, დაშტრიხვის და დამატებითი ხაზებისა და ნაწილების გარეშე, უბრალოდ პრიმიტიული კონტური ან ადგილი აქვს არა მხოლოდ საჭირო, არამედ კონსტრუქციის გართულებელი დამატებითი დეტალების უხვად გამოხატვას). შესაბამისად, რაც უფრო მეტია შემადგენელი ნაწილები და ელემენტები (ყველაზე აუცილებელის გარდა), მით მეტია ენერგია. საპირისპირო შემთხვევაში ხდება – ენერგიის ეკონომიურობა, ორგანიზმის ასთენიურობა, ქრონიკული სომატური დაავადება. (იგივე დასტურდება ხაზის ხასიათით – სუსტი აბლაბუდასებრი ხაზი „ქაღალდზე ფანქრით ხეტიალი" მასზე დაჭერის გარეშე). საპირისპირო ხასიათი – მსხვილი ხაზი დაწოლით – არ წარმოადგენს პოლარულს; ეს არაა ენერგია, არამედ შფოთვაა. ყურადღება უნდა მიეაქციოთ მკვეთრად დაჭერილ ხაზებს, რომლებიც ჩანს ფურცლის უკანა მხარეზეც (მხატავი ხელის კუნთების კრუნჩხვითი, მაღალი ტონუსი) – მკაფიო შფოთვა. ასევე მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რომელი სიმბოლო და დეტალია ასე შესრულებული ანუ რაზეა მიჯაჭვული შფოთვა).

ხაზის სახის შეფასება (ხაზის დუბლაჟი, გაუფრთხილებლობა, შეერთების დაუხვეწაობა, ერთმანეთზე განთავსებული ხაზებიდან გადასვლები, გადახრა ვერტიკალური ღერძიდან, ხაზების სტერეოტიპულობა და ა.შ.). შეფასება ხდება ისევე, როგორც პიქტოგრამის ანალიზის დროს. ხაზებისა და ფორმების იგივე ფრაგმენტულობა, დაუსრულებლობა, ნახატის წყვეტადობა.

თემატურად ცხოველები იყოფა შესაშინებლად, ნეიტრალურად (ლომის, ბეჰემოთის, მგელის ან ფრინველის, ლოკოკინას, ჭიანჭველას ან ციყვის, ძაღლის ან კატის მსგავსი). ესაა დამოკიდებულება საკუთარ პერსონასთან და მე-სთან, წარმოდგენა სამყაროში საკუთარ მდებარეობაზე, საკუთარი თავის იდენტიფიკაცია მნიშვნელობის მიხედვით (კურდღელთან, სპილოსთან, მუმლთან, ძაღლთან და ა.შ.). მოცემულ შემთხვევაში, დასახატი ცხოველი თავად მხატავი ადამიანის წარმომადგენელია. ნახატი ცხოველის მსგავსება ადამიანთან, დაწყებული ცხოველის ორ თაზე დაყენების მდგომარეობიდან ოთხი თაის ნაცვლად და ცხოველის ადამიანის ტანსაცმელში გამოხატვა (კაბები, შარვლები, ბაფთები, სარტყელი, ქედა ტანი), ასევე დრუნჩის მიმსგავსება სახესთან, ფეხებისა და თათების – ხელებთან – მოწმობს ინფანტილობას, ემოციურ მოუმწიფებლობას, შესაბამისად ცხოველის გაადამიანების გამოხატულობის ხარისხს.

მექანიზმი ჰგავს (და პარალელურია) ცხოველების და მათი ხასიათის ალეგორიულ მნიშვნელობას ზღაპრებში, იგავებში და ა.შ. აგრესიულობის ხარისხი გამოხატულია ნახატში კუთხეების რაოდენობით, განლაგებითა და ხასიათით, მათი კავშირის მიუხედავად გამოსახულების ამა თუ იმ დეტალთან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრესიის პირდაპირი სიმბოლოები – ბრჭყალები, კბილები, ნისკარტი. ასევე ყურადღება უნდა მიეაქციოთ სექსუალური ნიშნების – ჯიქანის, დვრილების, მკერდის აქცენტირებას ადამიანის მსგავსი ფიგურის დროს და სხვ. ესაა სქესისადმი დამოკიდებულება სექსის პრობლემაზე ფიქსაციამდეც კი. წრის ფიგურა (განსაკუთრებით თუ ის არაფრით არაა შევსებული) ახდენს ჩაკეტილობისკენ ტენდენციის, გულჩათხრობილობის, შინაგანი სამყაროს დახურულობის, საკუთარ თავზე ცნობების გარშემომყოფთათვის მიცემის სურვილის არქონის და დასასრულს, ტესტირების ქვეშ ყოფნის არასასურველობის სიმბოლიზაციასა და გამოხატვას. ასეთი ნახატები ჩვეულებრივ იძლევიან მონაცემების შეზღუდულ რაოდენობას ანალიზისთვის. მიაქციეთ ყურადღება ცხოველის ტანში მექანიკური ნაწილების ჩასმის შემთხვევებს – ცხოველის კვარცხლბეკზე დაყენება, ტრაქტორის ან ტანკის მუხლუხოებზე, სამფეხზე შეყენება, თავზე პროპელერის, ჭანჭიკის

დამაგრება; თვალში ელექტრონათურის, სხეულსა და კიდურებში — სახელურების, კლავიშებისა და ანტენების ჩასმა. ეს ხშირად შეინიშნება შიზოფრენიით დაავადებულებში და ღრმა შიზოიდებში. შემოქმედებითი შესაძლებლობები ჩვეულებრივ გამოიხატება ფიგურაში შერწყმული ელემენტების რაოდენობით. ბანალურობა, შემოქმედებითი საწყისის უქონლობა იღებს მზა, არსებული ცხოველის (ადამიანების, ცხენის, ძაღლის, ღორის, თევზის) ფორმას, რომელსაც უკავშირდება მხოლოდ მზა დეტალი, რათა დახატული ცხოველი გახდეს არარსებული — კატა ფრთებით, თევზი ბუმბულით, ძაღლი ფარფულ-თათით და ა.შ. ორიგინალურობა გამოიხატება ელემენტებისგან ფიგურის აგების ფორმაში.

სახელწოდება შეიძლება გამოხატავდეს აზროვნების ნაწილების რაციონალურ შერწყმას (მფრინავი კურდღელი, „ბეპემთი-კატა", „ბუზი-ანკესი" და ა.შ.). მეორე ვარიანტი — სიტყვათწარმოქმნა მწიგნობრიე-სამეცნიერო, ზოგჯერ კი, ლათინური სუფიქსით ან დაბოლოებით („რატოლეტიუსი" და ა.შ.). **პირველი** — რაციონალურობა, კონკრეტული განწყობა ორიენტირებისა და ადაპტაციისას; **მეორე** — დემონსტრაციულობა, მიმართული საკუთარი გონების, ერუდიციის, ცოდნის დემონსტრაციაზე. გვხვდება ზედაპირულ-ხმოვანი სახელწოდებები ყოველგვარი აზრის გარეშე („ლიალიე", „ლიოშანა", „გრატეკერი" და ა.შ.), რაც გამოხატავს ქარაფშუტულ დამოკიდებულებას გარშემომყოფთა მიმართ, უუნარობას გაითვალისწინოს საშიშროების სიგნალი, ეფექტური კრიტერიუმების არსებობა აზროვნების საფუძველში, ესთეტიკური ელემენტების გადაწონა რაციონალურზე მსჯელობის დროს. აღინიშნება ირონიულ-იუმორისტული სახელწოდებები („ლიპუცა" და ა.შ.) გარშემომყოფთა მიმართ ირონიულ-ქედმაღლური დამოკიდებულებების დროს. ინფანტილურ სახელწოდებებს გააჩნიათ განმეორებადი ელემენტები („ტრუ-ტრუ", „ლუ-ლუ", „კუსკუს" და ა.შ.). ფანტაზიისკენ მიდრეკილება (ხშირად დაცვითი ხასიათის) გამოხატულია ჩვეულებრივ გრძელი სახელებით („აბერსინოტიკლირონი", „გულბარნიკლეტამიეშინია" და ა.შ.).

ტესტი „სახლი, ხე, ადამიანი"

პიროვნების კვლევის ეს პროექციული მეთოდიკა შემოთავაზებულ იქნა ჯ. ბუკის მიერ 1948 წელს. ტესტი გათვალისწინებულია, როგორც უფროსებისთვის, ასევე ბავშვებისთვის, შესაძლებელია ჯგუფური გამოკვლევაც.

მეთოდიკის არსი მდგომარეობს შემდეგში — გამოსაკვლევ პირს სთავაზობენ დახატოს სახლი, ხე და ადამიანი (სხვა). შემდეგ ხდება გამოკითხვა შემუშავებული გეგმის მიხედვით.

რ. ბერნე სხვა ტესტის გამოყენებისას ითხოვს ხის, სახლისა და ადამიანის გამოსახვას ერთ ნახატში, ერთ სცენაში. ითვლება, რომ სახლს, ხესა და ადამიანს შორის ურთიერთქმედება წარმოადგენს მხედველობით მეტაფორას. თუ ნახატს მოქმედებაში მოვიყვანთ, სავსებით შესაძლებელია იმის შენიშვნა, თუ სინამდვილეში რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში.

ინტერპრეტაციის განსაკუთრებული ხერხი შეიძლება იყოს წესი, რომელშიც სრულდება სახლის, ხისა და ადამიანის ნახატი. თუ პირველად ხე დაიხატა, ძირითადი ადამიანისთვის არის ცხოვრებისეული ენერგია. თუ პირველად იხატება სახლი, პირველ ადგილზეა უსაფრთხოება, წარმატება ან პირიქით, ამ ცნებების უგულებელყოფა.

ნიშნების ინტერპრეტაცია ტესტში „სახლი. ხე. ადამიანი"

„სახლი"

ძველი, დანგრეული სახლი. ზოგჯერ სუბიექტმა შეიძლება ასე გამოხატოს დამოკიდებულება საკუთარ თავთან.

სახლი მოშორებით — უარყოფის გრძნობა.

სახლი ახლოს — ღიაობა, მისაწვდომობა და/ან სითბოსა და სტუმართმოყვარეობის გრძნობა.

სახლის გეგმა (ზემოდან პროექცია) თავად სახლის ნაცვლად — სერიოზული კონფლიქტი.

სხვადასხვა ნაგებობა — სახლის ფაქტიური პატრონის წინააღმდეგ მიმართული აგრესია ან ბუნტი იმის წინააღმდეგ, რასაც სუბიექტი თვლის ხელოვნებისა და კულტურის სტანდარტებად.

დარაბები დახურულია. სუბიექტი ინტერპერსონალურ დამოკიდებულებებთან შეგუების მდგომარეობაშია.

ცრუ კედელში (კარების გარეშე) მიმავალი საფეხურები — კონფლიქტური სიტუაციის ასახვა, რომელიც ზიანს აყენებს რეალობის სწორ შეფასებას, სუბიექტის ხელშეუხებლობას (თუმცა, შეიძლება მას სურდეს თავისუფალი გულღია ურთიერთობა).

კედლები

უჩვეულოდ განთავსებული უკანა კედელი — თვითკონტროლის გაცნობიერებული მცდელობები, კონვენციებთან შეგუება, ამასთან, არსებობს ძლიერი მტრული ტენდენციები.

უკანა კედლის კონტური გაცილებით უფრო სქელია (მკაფიოა) სხვა დეტალებთან შედარებით. სუბიექტი ცდილობს შეინარჩუნოს (არ დაკარგოს) კონტაქტი რეალობასთან.

კედელი, მისი საფუძვლის არარსებობა – სუსტი კონტრაქტი რეალობასთან (თუ ნახატი ქვემოთაა მოთავსებული).

კედელი საფუძვლის აქცენტირებული კონტურით. სუბიექტი ცდილობს განდევნოს კონფლიქტური ტენდენციები, განიცდის სირთულეებს, შფოთვას.

კედელი აქცენტირებული ჰორიზონტალური განზომილებით – ცუდი ორიენტირება დროში (წარსულის ან მომავლის დომინირება). შესაძლოა, სუბიექტი ძალიან მგრძნობიარეა გარემოს ზეწოლისადმი.

კედელი საკმაოდ წვრილი და არაადექვატური გვერდითი კონტურით – კატასტროფის წინათგრძნობა (საფრთხე).

კედლის ბაზის კონტურები საკმაოდ აქცენტირებულია – კონტროლის შენარჩუნების გაცნობიერებული სწრაფვა.

კედელი ერთგანზომილებიან პერსპექტივაში – სულ ერთი მხარეა გამოხატული. თუ ეს გვერდითი კედელია, არის სერიოზული ტენდენციები გაუცხოებისა და ოპოზიციისა.

გამჭვირვალე კედლები – გაუცნობიერებელი სწრაფვა, სიტუაციაზე გავლენის მოხდენის (ფლობის, ორგანიზების) მოთხოვნილება, რამდენადაც ესაა შესაძლებელი.

კედელი აქცენტირებული ვერტიკალური განზომილებით – სუბიექტი, პირველ რიგში, ეძებს სიამოვნების მიღებას ფანტაზიებში და მას ნაკლები კონტაქტი აქვს რეალობასთან, ვიდრე ეს სასურველია.

კარები

მათი უქონლობა – სუბიექტი განიცდის სირთულეებს სხვების წინაშე (განსაკუთრებით ოჯახურ წრეში) გახსნის სწრაფვისას.

კარები (ერთი ან რამდენიმე) უკანა ან გვერდითი – განდგომა, უკანდახევა, თავის არიდება.

კარები ღიაა – გულღიაობის, მიღწეევების პირველი ნიშანი.

ღია კარები. თუ სახლი საცხოვრებელია ესაა ძლიერი სურვილი მიიღოს სითბო გარედან ან გულღიაობის დემონსტრირების სწრაფვა.

გვერდითი კარები (ერთი ან რამდენიმე) – გაუცხოება, განმარტოება, რეალობის მიუღებლობა. მნიშვნელოვანი შეუვალობა.

კარები ძალიან დიდია – ზედმეტი დამოკიდებულება სხვებზე ან სწრაფვა გაოცება გამოიწვიოს სოციალური კომუნიკაბელურობით.

კარები ძალიან პატარაა – საკუთარ მე-ში შეშვების სურვილის არქონა. შეუსაბამობის, არაადექვატურობისა და გაუბედაობის გრძნობა სოციალურ სიტუაციებში.

კარები დიდი ბოქლომით – მტრობა, ჩაკეტილობა, დაცვითი ტენდენციები.

კვამლი

კვამლი ხშირია – მნიშვნელოვანი შინაგანი დაძაბულობა (ინტენსივობა კვამლის სიხშირის მიხედვით)

კვამლი თხელი ჰაერით – სახლის ემოციური სითბოს ნაკლებობის გრძნობა.

ფანჯრები

ფანჯრები – პირველი სართული დახატულია ბოლში – ზიზღი პერსონალური ურთიერთობების მიმართ. სინამდვილისგან იზოლაციის ტენდენცია.

ფანჯრები ძალიანაა გაღებული. სუბიექტი იქცევა რამდენადმე სწორხაზოვნად და თავშეკავებულად. **ფანჯრების სიმრავლე გვიჩვენებს** კონტაქტებისადმი მზადყოფნას, **ფარდების უქონლობა** – საკუთარი გრძნობების დაფარვის სწრაფვის არარსებობას.

ფანჯრები ძლიერაა დახურული (ფარდებიანი) – გარემოსთან ურთიერთქმედებით შეშფოთება (თუ ეს მნიშვნელოვანია სუბიექტისთვის).

ფანჯრები მინის გარეშე – მტრობა, გაუცხოება. **პირველ სართულზე ფანჯრების არარსებობა** – მტრობა, გაუცხოება. **ფანჯრები არაა ქვედა სართულზე, მაგრამ არის ზედა სართულზე** – უფსკრული რეალურ ცხოვრებასა და ფანტაზიებში, ცხოვრებას შორის.

სახურავი

სახურავი – ფანტაზიის სფერო. ქარის მიერ **აგლეჯილი მილი და სახურავი** – სუბიექტის გრძნობების სიმბოლური გამოხატულება, რომ მათ უბრძანებენ საკუთარი ნების მიუხედავად.

სახურავი, სქელი კონტური, რაც დამახასიათებელი არაა მთელი ნახატისთვის – ფიქსაცია ფანტაზიებზე, როგორც სიამოვნების წყაროზე, რასაც ჩვეულებრივ თან ახლავს შფოთვა.

სახურავი, კიდის წვრილი კონტური – ფანტაზიაზე კონტროლის შესუსტების განცდა.

სახურავი, კიდის სქელი კონტური – ფანტაზიაზე კონტროლით ზედმეტი შეფიქრიანება.

სახურავი, რომელიც ცუდად ეთავსება ქვედა

სართულს – ცუდი პიროვნული ორგანიზება.

სახურავის კარნიზი, მისი აქცენტირება მკაფიო კონტურით ან კედლის მიღმა გაგრძელებით – გაძლიერებული დაცვითი (ჩვეულებრივ ეჭვნეულობით) განწყობა).

ოთახი

ასოციაციები შეიძლება წარმოიქმნას:

1. ოთახში მცხოვრებ ადამიანთან დაკავშირებით;

2. ოთახში ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან დაკავშირებით;

3. ამ ოთახის (რეალური ან მისთვის მიკუთვნებული) დანიშნულებასთან დაკავშირებით. ასოციაციებს შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური ან ნეგატიური ემოციური ელფერი.

ოთახი, რომელიც ვერ მოთავსდა ფურცელზე – სუბიექტის სურვილის უქონლობა გამოსახოს გარკვეული ოთახები მათთან ან მათში მცხოვრებთან არასასიამოვნო ასოციაციებთან დაკავშირებით.

ოთახი. სუბიექტი ირჩევს უახლეს ოთახს – ეჭვნეულობა.

აბაზანა ასრულებს სანიტარულ ფუნქციას. თუ აბაზანის გამოხატვის მანერა მნიშვნელოვანია, შესაძლებელია ამ ფუნქციების დარღვევა.

მილი

მილის უქონლობა. სუბიექტი გრძნობს სახლის ფსიქოლოგიური სითბოს ნაკლებობას.

მილი თითქმის უხილავია (დამალულია) – ემოციურ ურთიერთქმედებებთან საქმის დაჭერის სურვილის უქონლობა.

მილი დახატულია ირიბად სახურავთან მიმართებაში – ნორმა ბავშვისთვის; მნიშვნელოვანი რეგრესია, თუ ვლინდება უფროსებში.

წყალსადინარი მილები – გაძლიერებული დაცვა და ჩვეულებრივ იჭვნეულობა.

წყალსადენი მილები (ან წყალსადინარი სახურავიდან) – გაძლიერებული დაცვითი განწყობა (და ჩვეულებრივ მაღალი იჭვნეულობა).

დამატებები

გამჭვირვალე, მინის ყუთი. ის არის განცდის, საკუთარი თავის ყველას წინაშე მიმოხილვისთვის წარმოდგენის სიმბოლო.

ხეები. ხშირად სხვადასხვა პირის სიმბოლოა. თუ ისინი თითქოს ფარავენ სახლს, შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამოკიდებულების ძლიერ მოთხოვნილებას მშობლების დომინირებისას.

ბუჩქები. ზოგჯერ ადამიანების სიმბოლოა. თუ ისინი ხშირია სახლის გარშემო, შეიძლება ადგილი აქვს ძლიერ სურვილს თავი შემოიფარგლონ დაცვითი ბარიერებით.

ბუჩქები ქაოტურადაა განლაგებული სივრცეში ან ბილიკის ორივე მხარესაა – მიუთითებს უმნიშვნელო შეფოთვაზე რეალობის ჩარჩოებში და მისი კონტროლის გაცნობიერებული სწრაფვა.

ბილიკი (კარგი პროპორციები, თავისუფლად დახატული) – გვიჩვენებს, რომ ინდივიდი სხვებთან კონტაქტში ავლენს ტაქტს და თვითკონტროლს.

ბილიკი ძალიან გრძელია – შემცირებული მისაწვდომობა, რასაც ხშირად თან ახლავს უფრო ადექვატური სოციალიზაციის მოთხოვნილება.

ბილიკი ძალიან ფართოა თავიდან და ძლიერ ვიწროვდება სახლთან – მარტო ყოფნის სურვილის შენილბვის მცდელობა, რაც ერწყმის ზედაპირულ მეგობრულობას.

მზე. ავტორიტეტული ფიგურის სიმბოლო. ხშირად აღიქმება, როგორც სითბოსა და ძალის წყარო.

ამინდი (როგორი ამინდია გამოსახული). ასახავს გარემოსთან დაკავშირებულ სუბიექტის განცდას მთლიანობაში, რაც უფრო ცუდია, არასასიამოვნო ამინდია გამოსახული, მით უფრო საალბათოა, რომ სუბიექტი გარემოს აღიქვამს, როგორც მტრულს, შემბოჭავს.

ფერი

ფერი, მისი ჩვეული გამოყენება. მწვანე – სახურავისთვის, ყავისფერი კედლებისთვის. ყვითელი, თუ გამოიყენება მხოლოდ სახლში შიგნით შუქის გამოსახატავად, ამით გამოხატავს რა ღამეს ან მის მოახლოებას, გამოხატავს სუბიექტის გრძნობებს, კერძოდ:

1. მის მიმართ გარემო მტრულია;

2. მისი მოქმედებები უნდა იყოს დაფარული უცხო თვალისგან.

გამოყენებული ფერების რაოდენობა, კარგად ადაპტირებული მორცხვი და ემოციურად ჩამოუყალიბებელი სუბიექტი ჩვეულებრივ იყენებს არანაკლებ არ არაუმეტეს 5 ფერს. სუბიექტი, რომელიც სახლს 7-8 ფერად ღებავს, საუკეთესო შემთხვევაში წარმოადგენს ძალიან ლაბილურს; სულ რაღაც 1 ფერის გამომყენებელს ეშინია ემოციური აღგზნების.

ფერის არჩევა – რაც უფრო დიდხანს, არადამაჯერებლად, მძიმედ, ირჩევს სუბიექტი ფერს, მით მეტია პიროვნული დარღვევების არსებობის ალბათობა.

ფერი შავი – სიმორცხვე, მშიშრობა.

ფერი მწვანე – უსაფრთხოების გრძნობის ქო-

ნის, საშიშროებისგან თავის გამიჯვნის მოთხოვნილება. ეს მდგომარეობა არ წარმოადგენს ესოდენ მნიშვნელოვანს მწვანე ფერის ხის ტოტებისა და სახლის სახურავის გამოყენებისას.

ფერი ნარინჯისფერი — მგრძნობელობისა და მტრობის კომბინაცია.

ფერი მეწამული — ძალაუფლების ძლიერი მოთხოვნილება.

ფერი წითელი — მეტი მგრძნობელობა. გარემოცვიდან სითბოს მოთხოვნილება.

ფურცლის 3/4 დაშტრიხული ფერი — კონტროლის არასაკმარისობა ემოციების გამოხატვაზე.

ნახატის ფარგლებს გარეთ გასული დაშტრიხვა — დამატებით სტიმულაციაზე იმპულსური პასუხის ტენდენცია.

ფერი ყვითელი — მტრობის ძლიერი ტენდენციები.

ზოგადი სახე

ნახატის მოთავსება ფურცლის კიდეზე — არადამაჯერებლობის, საშიშროების მთავარი გრძნობა. ხშირად თან ახლავს გარკვეული დროის მნიშვნელობას:

ა) მარჯვენა მხარე — მომავალი, **მარცხენა** — წარსული;

ბ) დაკავშირებული ოთახის დანიშნულებასთან ან მის მუდმივ მაცხოვრებელთან;

გ) მიუთითებს განცდების სპეციფიკაზე: მარცხენა მხარე — ემოციური, მარჯვენა — ინტელექტუალური.

პერსპექტივა

პერსპექტივა „სუბიექტზე" (ხედვა ქვემოდან ზემოთ) — გრძნობა, რომ სუბიექტი უარყოფილია, გარიყულია, არაა აღიარებული სახლში ან სუბიექტი განიცდის ოჯახური კერის მოთხოვნილებას, რასაც თვლის მიუწედომლად.

პერსპექტივა, ნახატი გამოსახულია მოშორებით — კონვენციალური საზოგადოებისგან განცალკევების სურვილი. იზოლაციის, უარყოფის გრძნობა. გარემოცვისგან შეზღუდვის აშკარა ტენდენცია. ამ სურათის უარყოფის, განდევნის ან იმის უარყოფის, განდევნის სურათი, რის სიმბოლიზებასაც ახდენს ის. პერსპექტივა, და პერსპექტივის დაკარგვის ნიშნები (ინდივიდი სწორად ხატავს სახლის ერთ ბოლოს, მეორეში კი ხატავს სახლის ერთ ბოლოს, მეორეში კი ხატავს სახურავისა და კედლის ვერტიკალურ ხაზს — არ შეუძლია სიღრმის გამოხატვა) არის ინტეგრირების დაწყებული სირთულეების, მომავლის წინაშე შიშის (თუ ვერტიკალური გვერდითი ხაზი მარჯვნივაა) ან წარსულის დავიწყების სურვილის ნიშანი.

სამმაგი პერსპექტივა (სამგანზომილებიანი, სუბიექტი ხატავს მინიმუმ 4 ცალკეულ კედელს, რომლებზეც ორი კი არაა იმავე გეგმით) — ზედმეტი შეფიქრიანება გარემომყოფთა აზრებით მასზე. სწრაფვა გაიგოს ყველა კავშირი, უმნიშვნელოც კი, ყველა თვისება.

ნახატის განთავსება

ნახატის განთავსება ფურცლის ცენტრში. რაც უფრო მეტია ნახატი ცენტრზე, მით მეტია იმის ალბათობა, რომ:

1. სუბიექტი გრძნობს ბრძოლის სიმძიმეს და მიზნის შედარებით მიუწვდომლობას;

2. სუბიექტი უპირატესობას ანიჭებს ფანტაზიებში სიამოვნების ძებნას (შინაგანი დაძაბულობა);

3. სუბიექტი მიდრეკილია განზე გადგეს.

ნახატის განთავსება ზუსტად ფურცლის ცენტრში — დაუცველობა და რიგიდულობა (სწორხაზოვნება). მზრუნველი კონტროლის მოთხოვნილება ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნებისთვის.

ნახატის განთავსება ფურცლის ცენტრის ქვეშით, რაც უფრო დაბლაა ნახატი ცენტრთან მიმართებაში, მით უფრო საალბათოა, რომ:

1. სუბიექტი თავს გრძნობს დაუცველად და არამოხერხებულად და ეს უქმნის მას დეპრესიულ განწყობილებას;

2. სუბიექტი თავს გრძნობს შეზღუდულად, რეალობით შებოჭილად.

ნახატის განთავსება ფურცლის მარცხენა მხარეს — აქცენტირება წარსულზე. იმპულსურობა.

ნახატის განთავსება ფურცლის მარცხენა ზედა კუთხეში — ახალი განცდების თავის არიდების მიდრეკილება. წარსულში ან ფანტაზიებში გადასვლის სურვილი.

ნახატის განთავსება ფურცლის მარჯვენა მხარეს — სუბიექტის მიდრეკილება იპოვოს სიამოვნება ინტელექტუალურ სფეროებში. კონტროლირებადი ქცევა. აქცენტირება მომავალზე.

ნახატი სცდება ფურცლის მარცხენა კიდეს. ფიქსაცია წარსულზე და შიში მომავლის წინაშე. ზედმეტი შეფიქრიანება თავისუფალი ღია ემოციური განცდებით.

გასვლა ფურცლის მარჯვენა კიდეზე — მომავალში „გაქცევის" სურვილი, რათა განთავისუფლდე წარსულისგან. შიში ღია თავისუფალი განცდების წინაშე. მკაცრი კონტროლის შენარჩუნების სურვილი.

გასვლა ფურცლის ზედა კიდეზე — ფიქსირება აზროვნებასა და ფანტაზიაზე, როგორც სიამოვნებათა წყაროებზე, რომელსაც სუბიექტი არ განიცდის რეალურ ცხოვრებაში.

კონტურები ძალიან სწორია – რიგიდულობა.

კონტურები ესკიზურია, მუდმივად გამოყენებადი – საუკეთესო შემთხვევაში, წვრილმანობა, სწრაფვა სიზუსტისკენ, **უარესში** – მითითება მკაფიო პოზიციის უუნარობაზე.

ნახატის დამუშავების სქემა ტესტში „სახლი“

№	გამოყოფილი ნიშანი
1	სქემატური გამოსახულება
2	დეტალიზებული გამოსახულება
3	ქალაქის სახლი
4	მეტაფორული გამოსახულება
5	სოფლის სახლი
6	აღება ლიტერატურული ან ზღაპრის სიუჟეტიდან
7	ფანჯრები და მათი რაოდენობა
8	კარების არსებობა
9	მილი კვამლით
10	დარაბები ფანჯრებზე
11	ფანჯრების ზომა
12	სახლის საერთო სიდიდე
13	ბაღჩის არსებობა
14	ხალხი სახლში ან სახლის გვერდით
15	წინკარის არსებობა
16	ფანჯრებზე შტორის არსებობა
17	მცენარეების არსებობა (რაოდენობა)
18	ცხოველთა რაოდენობა
19	პეიზაჟური გამოსახულების (მზის, მთების, ღრუბლების არსებობა და ა.შ.) არსებობა
20	დაშტრიხვა 1, 2, 3 ინტენსივობის სკალაზე
21	ხაზების სისქე 1, 2, 3 ინტენსივობის სკალაზე
22	ღია კარი
23	დახურული კარი

„ადამიანი“

თავი – ინტელექტის (კონტროლის) სფერო. წარმოსახვის სფერო.

თავი დიდია – ადამიანის მოქმედებაში აზროვნების მნიშვნელობაზე შეხედულების გაუცნობიერებელი ხაზგასმა.

თავი პატარაა – ინტელექტუალური არაადექვატურობის განცდა.

არამკაფიო თავი – სიმორცხვე, გაუბედაობა.

თავის ქვეშა ბოლოს გამოხატვა – ინდივიდებს შორის კონფლიქტი.

დიდი თავი საპირისპირო სქესის ფიგურაში – საპირისპირო სქესის მოჩვენებითი უპირატესობა და მისი უფრო მაღალი სოციალური ავტორიტეტი.

კისერი – ორგანო, რომელიც სიმბოლოა კონტროლის (თავის) და სურვილების (სხეულს) სფეროებს შორის კავშირისა. ეს მათი მაკოორდინირებელი ნიშანია.

ხაზგასმული კისერი – ინტელექტუალური დაცვითი კონტროლის მოთხოვნილება.

ზედმეტად მსხვილი კისერი – სხეულებრივი იმპულსების გაცნობიერება, მათი გაკონტროლების მცდელობა.

გრძელი თხელი კისერი – შეფერხება, რეგრესია.

სქელი, მოკლე კისერი – დათმობები სისუსტეებისა და სურვილებისთვის, დაუთრგუნავი იმპულსის გამოხატულება.

მხრები, მათი სიდიდე – ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების მოთხოვნილების ნიშანი.

ზედმეტად დიდი მხრები – დიდი ძალის ან ძალითა და ძალაუფლებით ზედმეტი შეფიქრიანების ნიშანი.

პატარა მხრები – ნაკლები ფასეულობის, უსუსურობის შეგრძნება.

მხრები საკმაოდ მახვილია – ზედმეტი სიფრთხილის, დაცვის ნიშანი.

მხრები დახრილია – იმედგაცრუება, დარდი, დანაშაულის გრძნობა, სიცოცხლისუნარიანობის ნაკლებობა.

მხრები ფართოა – ძლიერი სხეულებრივი იმპულსები.

ტანი – ვაჟკაცურობა

კვადრატული ან კუთხოვანი ტანი – კაცურობა.

საკმაოდ დიდი ტანი – დაუკმაყოფილებელი, სუბიექტის მიერ მწვავედ გაცნობიერებადი მოთხოვნილებების არსებობა.

არანორმალურად პატარა ტანი – დამცირების, ნაკლები ფასეულობის გრძნობა.

სახე

სახის შტრიხებში შედის თვალები, ყურები, პირი, ცხვირი. ესაა გარეშე სტიმულების რეცეპტორები – სენსორული კონტაქტი სინამდვილესთან.

გამოკვეთილი სახე – სხვებთან დამოკიდებულებებზე, ასევე გარეგნობით ძლიერი შეფიქრიანება.

საკმაოდ გამოკვეთილი ნიკაპი – დომინირების მოთხოვნილება.

საკმაოდ დიდი ნიკაპი – საგრძნობი სისუსტისა და გაუბედაობის კომპენსაცია.

საკმაოდ გამოკვეთილია ყურები – შესაძლებელია სმენითი ჰალუცინაციები. გვხვდება კრიტიკის სიმართლიანობა საკმაოდ მგრძნობიარეებში.

პატარა ყურები – არანაირი კრიტიკის მიღებლობის, მისი ჩახშობის სურვილი.

დახუჭული ან ქუდის ქვეშ დამალული თვალები – ძლიერი სწრაფვა არასასურველი ვიზუალური ზემოქმედებების თავიდან აცილებისა.

თვალების, როგორც ცარიელი თვალის ბუდეების გამოხატება – ვიზუალური სტიმულების თავიდან აცილების მნიშვნელოვანი სურვილი, მტრობა.

ამოზნექილი თვალები – უხეშობა, გულქვაობა.

პატარა თვალები – საკუთარ თავში ჩაკეტილობა.

ჩასმული თვალები – სიუხვეში, გულქვაობა.

გრძელი წამწამები – კეკლუცობა, მოხიბვლისკენ, საკუთარი თავის დემონსტრირებისკენ მიდრეკილების ქონა.

სავსე ტუჩები მამაკაცის სახეზე – ქალურობა.

კლოუნის პირი – იძულებითი ალერსიანობა, არაადექვატური გრძნობები.

ჩავარდნილი პირი – პასიური მნიშვნელობა.

ფართო, გამოკვეთილი, კეხიანი ცხვირი – საზიზღარი შეხედულებები, ირონიული სოციალური სტერეოტიპებით აზროვნების ტენდენცია.

ნესტოები – პრიმიტიული აგრესია.

მკაფიოდ დახატული კბილები – აგრესიულობა.

ბუნდოვანი, მქრქალი სახე – შიში, სიმორცხვე.

სახის გამომეტყველება პირფერული – დაუცველობა.

ნილბის მსგავსი სახე – სიფრთხილე, გულჩათხრობილობა, შესაძლებელია დეპრესიონალიზაციისა და გაუცხოების გრძნობა.

მეჩხერი, მოკლე წარბები – ზიზღი, გაწაფულობა.

თმა – მამაცობის (ძალის, მომწიფებულობისა და მისკენ სწრაფვის) ნიშანი.

ძლიერ დაშტრიხული თმა – შფოთვა, რაც უკავშირდება აზროვნებას ან წარმოსახვას.

დაუშტრიხავი, შეულებავი, თავის არშიისებრი თმა – სუბიექტს მართავს მტრული გრძნობები.

კიდურები

ხელები – გარემოსადმი სრულყოფილი და მგრძნობიარე შეგუების იარაღები, ძირითადად, პერსონალურ ურთიერთობებში.

ფართო ხელები (ხელების გაშლა) – მოქმედებისკენ ინტენსიური სწრაფვა.

ხელები ფართოა ხელისგულთან ან მხართან – მოქმედებების არასაკმარისი კონტროლი და იმპულსურობა.

ტანთან არაშერწყმულად, ცალკე გამოხატული, გვერდით გაწეული ხელები – სუბიექტი ზოგჯერ თავს იჭერს მოქმედებებსა და ქცევებზე, რომლებიც მის კონტროლს გასცდა.

მკერდზე გადაჭდობილი ხელები – მტრული ან მიუნდობელი განწყობა.

ხელები ზურგს უკან – დათმობის, კომპრომისზე წასვლის (მეგობრებთანაც კი) სურვილის უქონლობა. აგრესიული, მტრული მისწრაფებების გამოვლენის კონტროლის მიდრეკილება.

გრძელი და დაკუნთული ხელები – სუბიექტს სჭირდება ფიზიკური ძალა, მოხერხება, სიმამაცე, როგორც კომპენსაცია.

საკმაოდ გრძელი ხელები – ზედმეტად ამბიციური სურვილები.

მოდუნებული და მოწნილი ხელები – კარგი შეგუება პერსონალურ ურთიერთობებში.

დაძაბული და სხეულთან მიკრობილი ხელები – რიგიდულობა, არა სიმარჯვე.

ძალიან მოკლე ხელები – სურვილების არარსებობა არაადექვატურობის გრძნობასთან ერთად.

ძალიან დიდი ხელები – სოციალურ ურთიერთობებში უკეთესი შეგუების ძლიერი მოთხოვნილებები, არაადექვატურობის გრძნობასთან და იმპულსური ქცევისკენ მიდრეკილებასთან ერთად.

ხელების უქონლობა – არაადექვატურობის გრძნობა მაღალი ინტელექტის დროს.

მარცხენა მხარეს ხელის ან ფეხის დეფორმაცია ან აქცენტირება – სოციალურ-როლური კონფლიქტი.

ხელები სხეულთან ახლოსაა – დაძაბულობა.

მამაკაცში დიდი ხელები და ფეხი – სიუხვეში, გულქვაობა.

შეკეთრებული ხელები და ფეხები – ქალურობა.

გრძელი ხელები – რაიმეს მიღწევის, ფლობის სურვილი.

გრძელი და სუსტი ხელები – დამოკიდებულება, ზრუნვის მოთხოვნილება.

გვერდზე მიმართული, რაიმეს ამღები ხელები – დამოკიდებულება, სიყვარულის, მიჯაჭვულობის სურვილი.

გვერდზე გაწეული ხელები – სირთულეები სოციალურ კონტაქტებში, შიში აგრესიული იმპულსების წინაშე.

ძლიერი ხელები – აგრესიულობა, ენერგიულობა.

თხელი, სუსტი ხელები – მიღწეულის არასაკმარისობის შეგრძნება.

ხელი, როგორც მოკრივეს ხელთათმანი – განდევნილი აგრესია.

ხელები ზურგს უკან ან ჯიბეში – დანაშაულის გრძნობა, დაურწმუნებლობა.

ბუნდოვნად მოხაზული ხელები – საქმიანობასა და სოციალურ ურთიერთობებში დამაჯერებლობის ნაკლებობა.

ხელების უქონლობა ქალის ფიგურაში – დედის ფიგურა აღიქმება, როგორც არამოყვარული, უარმყოფელი, არამხარდამჭერი.

განცალკევებული (გამოკვეთილი) თითები – განდევნილი აგრესია, ჩაკეტილობა.

დიდი თითები – სიუხეშე, გულქვაობა, აგრესია.

ხუთზე მეტი თითი – აგრესიულობა, ამბიცია.

თითები ხელისგულის გარეშე – სიუხეშე, გულქვაობა, აგრესია.

ხუთზე ნაკლები თითი – დამოკიდებულება, უძლურება.

გრძელი თითები – დაფარული აგრესია.

მუშტად შეკრული თითები – მეამბოხეობა, პროტესტი.

სხეულთან მიკრობილი მუშტები – განდევნილი პროტესტი.

სხეულისგან დაშორებული მუშტები – ღია პროტესტი.

მსხვილი, ლურსმნების (ეკლების) მსგავსი თითები – მტრობა.

ერთი ზომის, მარყუჟშემოვლებული თითები – გაცნრობიერებული ძალისხმევა აგრესიული გრძნობის წინააღმდეგ.

არაპროპორციულად გრძელი ფეხები – დამოუკიდებლობის ძლიერი მოთხოვნილება და მისკენ სწრაფვა.

საკმაოდ მოკლე ფეხები – ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მოუხერხებლობის გრძნობა.

ფეხების ტერფიდან დაწყებული ნახატი – შიში.

ტერფების უქონლობა – ჩაკეტილობა.

ფართოდ გაშლილი ფეხები – ღია უგულებელყოფა (დაუმორჩილებლობა, იგნორირება ან დაუცველობა).

არაერთგვაროვანი ზომის ფეხები – ამბივალენტურობა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაში.

ფეხების უქონლობა – სიმორცხვე, ჩაკეტილობა.

აქცენტირებული ფეხები – უხეშობა, გულქვაობა.

ტერფები – მოძრაობის ნიშანი (ფიზიოლოგიურის ან ფსიქოლოგიურის) პერსონალურ ურთიერთობებში.

არაპროპორციულად გრძელი ტერფები – უსაფრთხოების მოთხოვნილება. ვაჟკაცურობის დემონსტრირების მოთხოვნილება.

არაპროპორციულად პატარა ტერფები – შებოჭილობა, დამოკიდებულება.

პოზა

სახის ისე გამოხატვა, რომ ჩანს კეფა – ტენდენცია ჩაკეტილობისკენ.

თავი პროფილში, სხეული ანფასი – შფოთვა, გამოწვეული სოციალური გარემოცვით და ურთიერთობის მოთხოვნილება.

სკამის კიდეზე მჯდარი ადამიანი – სიტუაციიდან გამოსაელის პოვნის ძლიერი სურვილი, მარტოობის შიში, ეჭვი.

მორბენალი ადამიანი – გაქცევის, რაიმესგან დამალვის სურვილი.

ადამიანი პროპორციების ხილული დარღვევებით მარცხენა ან მარჯვენა მხარეებთან მიმართებაში – პირადი წონასწორობის უქონლობა.

ადამიანი სხეულის გარკვეული ნაწილების გარეშე – მიუთითებს უარყოფაზე, ადამიანის მიუღებლობაზე მთლიანად ან მის არარსებულ ნაწილებთან დაკავშირებით (აქტუალურად ან სიმბოლურად გამოხატული).

ადამიანი ბრმა გაქცევაში – შესაძლებელია პანიკური შიშები.

ადამიანი მწყობრ მსუბუქ ნაბიჯში – კარგი შეგუება.

ადამიანი – აბსოლუტური პროფილი – სერიოზული განყენება, ჩაკეტილობა და ოპოზიციური ტენდენციები.

ამბივალენტური პროფილი – სხეულის გარკვეული ნაწილები გამოხატულია მეორე მხრიდან დანარჩენთან მიმართებაში, სხვადასხვა მხარეს მიმზირალი – განსაკუთრებით ძლიერი ფრუსტრაცია არასასიამოვნო სიტუაციისგან განთავისუფლების სურვილი.

გაუწონასწორებელი მდგარი ფიგურა – დაძაბულობა.

თოკინები – დათმობა, გარემოცვის დომინირების განცდა.

რობოტი კაცის ფიგურის ნაცვლად – დეპერსონალიზაცია, გარე მაკონტროლებელი ძალების შეგრძნება.

ფიგურა ჯოხებისგან – შეიძლება ნიშნავდეს დაძრომას და ნეგატივიზმს.

კუდიანი დედაბრის ფიგურა – ღია მტრობა ქალების მიმართ.

კლოუნი, კარიკატურა – მოზარდებისთვის დამახასიათებელი არასრულფასოვნების და უარყოფის განცდა. მტრობა, თვითზიზღი.

ფონი. გარემოცვა

ღრუბლები – შფოთვა, საშიშროება, დეპრესია. ღობე საყრდენისთვის, მიწის კონტური – დაუცველობა.

ადამიანის ფიგურა ქარში – სიყვარულის, მიჯაჭვულობის, მზრუნველი სითბოს მოთხოვნილება.

საფუძვლის (მიწის) ხაზი – დაუცველობა. წარმოადგენს ათვლის (საყრდენის) აუცილებელ წერტილს ნახატის მთლიანობის კონსტრუირებისთვის. მას ანიჭებს სტაბილურობას. ამ ხაზის მნიშვნელობა ზოგჯერ დამოკიდებულია მისთვის სუბიექტის მიერ მინიჭებულ თვისებაზე. მაგალითად, ბიჭი სრიალებს თხელ ყინულზე. საფუძველს ხშირად ხატავენ სახლის ან ხის, იშვიათად კი, ადამიანის ქვეშ.

იარალი – აგრესიულობა.

მრავალგეგმური კრიტერიუმები

ხაზების წყვეტა, წაშლილი დეტალები, გამოტოვება, აქცენტირება, დაშტრიხვა – კონფლიქტის სფერო.

ღილები, სარტყლის ბალთა, ფიგურის გამოკვეთილი ვერტიკალური ღერძი, ჯიბეები – დამოკიდებულება.

კონტური, დაჭერა, დაშტრიხვა, განლაგება

მცირე ჩაზნექილი ხაზები, ბევრი მახვილი კუთხე – აგრესიულობა, ცუდი ადაპტაცია.

მომრგვალებული ხაზები – ქალურობა.

მტკიცე, მკაფიო და მსუბუქი კონტურების კომბინაცია – უხეშობა, გულქვაობა.

ბუნდოვანი, არამკაფიო კონტური – შიში, სიმორცხვე.

ენერგიული, დამაჯერებელი შტრიხები – დაჟინება, უსაფრთხოება.

არაერთგვაროვანი მკაფიოობის ხაზები – დაძაბულობა.

წვრილი გაგრძელებული ხაზები – დაძაბულობა.

უწყვეტი, გამოკვეთილი კონტური, რომელიც ჩარჩოში სვამს ფიგურას – იზოლაცია.

ესკიზური კონტური – შფოთვა, სიმორცხვე.

კონტურის გაწყვეტა – კონფლიქტების სფერო.

გამოკვეთილი ხაზი – შფოთვა, დაუცველობა. კონფლიქტების სფერო. რეგრესია (განსაკუთრებით გამოკვეთილ დეტალთან მიმართებაში).

დაკბილული, არათანაბარი ხაზები – კაღნიერება, მტრობა.

მტკიცე, დამაჯერებელი ხაზები – ამბიციები, თავგამოდება.

მკაფიო ხაზი – უხეშობა.

ძლიერი დაწოლა – ენერგიულობა, დაჟინება. დიდი დაძაბულობა.

მსუბუქი ხაზები – ენერგიის ნაკლებობა. მსუბუქი დაწოლა – დაბალი ენერგეტიკული რესურსები, შებოჭილობა.

ხაზები დაწოლით – აგრესიულობა, დაჟინება.

არათანაბარი, არაერთგვაროვანი დაწოლა – ციკლოთიმიურობა, იმპულსურობა, არასტაბილურობა, შფოთვა, დაუცველობა.

ცვლადი დაწოლა – ემოციური არასტაბილურობა, ლაბილური განწყობილება.

შტრიხების სიგრძე

თუ პაციენტი აგზნებადია, შტრიხები მოკლდება, თუ არა – გრძელდება.

მოკლე შტრიხები – იმპულსური ქცევა.

რიტმული დაშტრიხვა – მგრძნობელობა, თანაგრძნობა.

მოკლე, ესკიზური შტრიხები – შფოთვა, არადამაჯერებლობა.

შეკრული, მახვილი შტრიხები – დაძაბულობა, ჩაკეტილობა.

ჰორიზონტალური შტრიხები – წარმოსახვის ხაზგასმა, ქალურობა, სისუსტე.

ბუნდოვანი, მრავალფეროვანი, ცვლადი შტრიხები – დაუცველობა, დაჟინების, გულმოდგინების ნაკლებობა.

ვერტიკალური შტრიხები – სიჯიუტე, შეუპოვრობა, გაბედაობა, ჰიპერაქტიურობა.

დაშტრიხვა მარჯვნიდან მარცხნივ – ინტროვერსია, იზოლაცია.

დაშტრიხვა მარცხნიდან მარჯვნივ – მოტივაციის არსებობა.

დაშტრიხვა გამომავალი მისგან – აგრესია, ექსტრავერსია.

წაშლა – შფოთვა, საშიშროება.

ხშირი წაშლა – გაუბედაობა, საკუთარი თავით უკმაყოფილება. წაშლა გადახატვისას (თუ გადახატვა სრულყოფილია) – ეს კარგი ნიშანია.

წაშლა ნახატის შემდგომი გაფუჭებით (გაუარესებით) – ძლიერი ემოციური რეაქციის არსებობა დასახატ ობიექტზე ან იმაზე, რის სიმბოლოსაც ის წარმოადგენს სუბიექტისთვის.

წაშლა გადახატვის (ანუ გასწორების) მცდელობის გარეშე – შინაგანი კონფლიქტი ან კონფლიქტი ამ დეტალთან (ან იმასთან, რის სიმბოლოსაც ის წარმოადგენს).

დიდი ნახატი – ექსპანსიურობა, მიდრეკილება ქედმაღლობისკენ, პატივმოყვარეობისკენ.

პატარა ფიგურები – შფოთვა, ემოციური დამოკიდებულება, დისკომფორტისა და შებოჭილობის გრძნობა.

ძალიან პატარა ფიგურა თხელი კონტურით – შებოჭილობა, საკუთარი ნაკლებფასეულობისა და უმნიშვნელობის გრძნობა.

სიმეტრიის ნაკლებობა – დაუცველობა.

ნახატი ფურცლის კიდესთან – დამოკიდებულება, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა.

ნახატი მთელს ფურცელზე – საკუთარი თავის წარმოსახვაში კომპენსატორული გადაყვანა.

დეტალები

აქ, მნიშვნელოვანია მათი ცოდნა, მათი ოპერირების და ცხოერების კონკრეტულ პირობებთან შეგუების უნარი. მკვლევარმა უნდა აღნიშნოს სუბიექტის ასეთი ნივთებით დაინტერესების ხარისხი, რეალიზმის ხარისხი, რომლითაც ის მათ აღიქვამს; შედარებითი მნიშვნელობა, რომელსაც ის მათ ანიჭებს; ამ დეტალების ერთობლიობაში მოყვანის ხერხი.

არსებითი დეტალები. სუბიექტის ნახატში არსებითი დეტალების არარსებობა, რომელიც, როგორც ცნობილია, ამჟამად ან ახლო წარსულში ხასიათდებოდა საშუალო ან უფრო მაღალი ინტელექტით, ხშირად ის აჩვენებს ინტელექტუალურ დეგრადაციას ან სერიოზულ ემოციურ დარღვევას.

დეტალების სიჭარბე. „სხეულოენობის გარდაუვალობა" (თავის შეზღუდვის უუნარობა) მიუთითებს იძულებით მოთხოვნილებაზე მოაგვაროს მთელი სიტუაცია, გარემოცვაზე ზედმეტი ზრუნვა. დეტალების ხასიათი (არსებითი, არარსებითი ან უცნაური) შეიძლება გახდეს საფუძველი მგრძნობელობის სპეციფიკურობის უფრო ზუსტი განსაზღვრისთვის.

დეტალების ზედმეტი დუბლირება – სუბიექტს არ შეუძლია ტაქტიკურ და პლასტიკურ კონტაქტებში შესვლა ადამიანებთან.

არასაკმარისი დეტალიზაცია – ტენდენცია ჩაკეტილობისკენ.

განსაკუთრებით პედანტური დეტალიზაცია – შებოჭილობა, პედანტურობა.

ორიენტაცია დაყალებაში

ნახატის კრიტიკული შეფასების უნარი მისი გაკრიტიკების თხოვნისას – რეალობასთან დაუკარგავი კონტაქტის კრიტერიუმები.

დაყალების მიღება მინიმალური პროტესტით – კარგი საწყისი, რომელსაც მოსდევს დაღლა და ხატვის შეწყვეტა.

ბოდიშის მოხდა ნახატის გამო – არასაკმარისი დამაჯერებლობა.

ხატვისას ტემპისა და პროდუქტულობის შემცირება – სწრაფი გამოფიტვა.

ნახატის ახსნაწოდება – ექსტრავერსია, მოთხოვნილება და მხარდაჭერა. სიწვრილმანე.

გამოკვეთილია ნახატის მარცხენა მხარე – იდენტიფიკაცია ქალის სქესთან.

გულმოდგინე ხატვა სირთულეების მოუხედავად – კარგი პროგნოზი, ენერგიულობა.

წინააღმდეგობა, უარის თქმა ხატვაზე – პრობლემების დამალვა, საკუთარი თავის გახსნის სურვილის არქონა.

„ხე"

კ. კოხის მიხედვით ინტერპრეტაცია გამომდინარეობს კ. იუნგის დებულებებიდან (ხე – მდგარი ადამიანის სიმბოლო).

ფესვები – კოლექტიური, არაცნობიერი.

ღერო – იმპულსები, ინსტინქტები, პრიმიტიული სტადიები.

ტოტები – პასიურობა ან სიცოცხლესთან დაპირისპირება.

ხის ნახატის ინტერპრეტაცია ყოველთვის მოიცავს ბირთეს (ფესვებს, ღეროს, ტოტებს) და სილამაზის ელემენტებს (ფურცელს, ნაყოფს, პეიზაჟს). როგორც უკვე აღინიშნა, კ. კოხის ინტერპრეტაცია ძირითადად მიმართული იყო პათოლოგიური ნიშნების და ფსიქიკური განვითარების თაყისებურებების გამოყენებაზე. ჩვენის აზრით, ინტერპრეტაციაში არის რიგი წინააღმდეგობა, ასევე შეინიშნება ძნელად დასაკონკრეტებელი ცნებების გამოყენება. მაგალითად, ნიშნების ინტერპრეტაციაში, „დამრგვალებული კრონა", „ენერგიის ნაკლებობა", „თვლემა", „ცხვირით კორტნა" და იქვე „დაკვირვების ნიჭი" ან „არასაკმარისი კონცენტრაცია" – რისი? რა რეალობა დგას ამ ცნებების უკან? ეს უცნობი რჩება. ამასთან, ნიშნების განმარტება შეიცავს ყოფითი განსაზღვრებების ზედმეტ გამოყენებას. მაგალითად, „სიცარიელე", „გაბღენძილობა", „მალალფარდოვნება", „ბრტყელი", „უხამი", „წვრილმანი", „ახლო", „ფარისეველობა", „ღვლარჭნილობა", „სიფალხე", „მეტისმეტი თავდაჭ-

ერილობა", „მანჭიაობა" და იქვე – „კონსტრუქციულობის ნიჭი", „სისტემატიკის უნარი", „ტექნიკური ნიჭი", ან შეხამება „თვითდისციპლინა", „საკუთარი თავის ფლობა", „აღზრდილობა" – „გაბღენძილობა, „ყოყოჩობა", „გულგრილობა".

გესურს ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ნორმალურ ადამიანებთან ურთიერთობისას, ფსიქოლოგიური კონსულტირების პროცესში დასაშვები არაა ამგვარი ეპითეტების მათი მისამართით წარმოთქმა.

მიწის ამაღლება ფურცლის მარჯვენა მხარეს – სიფიცხე, ენთუზიაზმი.

მიწის დაშვება ფურცლის მარცხენა მხარეს – ძალების დაცემა, სურვილების არასაკმარისობა.

ფესვები

ფესვები ღეროზე ნაკლებია – დაფარულის, დამალულის ნახვის სურვილი.

ფესვები ღეროს ტოლია – უფრო ძლიერი ცნობისმოყვარეობა, რაც უკვე წარმოადგენს პრობლემას.

ფესვები ღეროზე მეტია – ინტენსიური ცნობისმოყვარეობა, შეიძლება გამოიწვიოს შფოთვა.

ფესვები შტრიხითაა აღნიშნული – ბაშვური ქცევა იმასთან დაკავშირებით, რაც საიდუმლოდ ინახება.

ფესვები ორი ხაზის სახით – გამიჯვნის უნარი და გონივრულობა რეალურის შეფასებაში; ამ ფესვების სხვადასხვა ფორმა შეიძლება უკავშირდებოდეს სიცოცხლის, დათრგუნვის ან გარკვეული ტენდენციების გამოხატვის სურვილს უცნობ ან ახლობელთა წრეში.

სიმეტრია – გარე სამყაროსთან თანხმობაში ყოფნის სურვილი. აგრესიულობის შეკავების გამოხატული ტენდენცია. მერყეობა გრძნობებთან მიმართებაში პოზიციის შერჩევაში, ამბივალენტურობა, მორალური პრობლემები.

ფურცელზე განლაგება ორმაგია – წარსულთან, იმასთან დამოკიდებულება, რასაც გამოხატავს ნახატი ანუ საკუთარ ქცევასთან. დამოუკიდებლობისა და დაცვის ორმაგი სურვილი გარემოცვის ჩარჩოებში.

ცენტრალური პოზიცია – გარშემომყოფებთან თანხმობის, წონასწორობის პოვნის სურვილი, ის მოწმობს, მკაცრი და ურყევი სისტემატიზაციის მოთხოვნილებას ჩვევებზე დაყრდნობით.

განლაგება მარცხნიდან მარჯვნივ – გარე სამყაროზე, მომავალზე მიმართულების გაზრდა. ავტორიტეტზე დაყრდნობის მოთხოვნილება; გარე სამყაროსთან თანხმობის ძიება; პატივმოყვარეობა, მიტოვებულობის გრძნობა, სხვებისთვის თავსმოხვევის სურვილი; შესაძლებელია მერყეობა ქცევაში.

ფოთლის ფორმა

მრგვალი კრონი – ეგზალტირება, ემოციურობა.

წრეები ფოთოლზე – დამამშვიდებელი და დამამკვიდრებელი შეგრძნებების ძიება, მიტოვებულობისა და იმედგაცრუების გრძნობა.

დაშვებული ტოტები – ვაჟკაცობის დაკარგვა, უარი ძალისხმევაზე.

ტოტები ზემოთკენ – ენთუზიაზმი, აღტკინება, ძალაუფლებისკენ სწრაფვა.

ტოტები სხვადასხვა მხარეს – თვითდამკვიდრების, კონტაქტების ძიება, ქაოსურობა, თვითგაფანტულობა, მგრძნობელობა გარშემომყოფებისადმი, გარემოცვასთან დაუპირისპირებლობა.

ფოთოლი – ბადე, მეტნაკლებად ხშირი – მეტი ან ნაკლები სიმარდე პრობლემური სიტუაციების თავიდან აცილებაში.

ფოთოლი ირიბი ხაზებისგან – მგრძნობელობა, გარემოს ღია მიღება.

ღია და დახურული ფოთოლი ერთ ნახატზე – ობიექტურობის ძიებები.

დახურული ფოთოლი – შინაგანი სამყაროს დაცვა ბაშვური ხერხით.

დახურული ხშირი ფოთოლი – არაგამოელენადი აგრესიულობა.

მთელთან დაუკავშირებელი ფოთლის დეტალები – შეხედულებები, რომლებიც იღებენ ნაკლებად მნიშვნელოვან დეტალებს მთლიანად მოვლენის მახასიათებლის სახით.

ტოტების გამოსვლა ღეროზე ერთი მონაკვეთიდან – დაცვის ბაშვური ძიება, ნორმა 7 წლის ბაშვისთვის.

ერთი ხაზით დახატული ფოთლები – გაქცევა რეალობის უსიამოვნებებიდან, მისი ტრანსფორმაცია და შენიღბვა.

შსხვილი ტოტები – სინამდვილის კარგი გამიჯვნა.

ფოთოლი-მარყუჟი – მომხიბვლელობის უპირატესი გამოყენება.

პალმა – სწრაფვა ადგილების ცელისკენ.

ფოთოლი – ბადე – არასასიამოვნო შეგრძნებებისთვის თავის არიდება.

მტირალა ტირიფი – ენერგიისა და მგზნებარების ნაკლებობა, სწრაფვა მტკიცე საყრდენისკენ და პოზიტიური კონტაქტების ძიება; დაბრუნება წარსულთან და ბაშვობის გამოცდილებასთან, სირთულეები გადაწყვეტილებების მიღებაში.

გადახაზვა, დაშტრიხვა – დაძაბულობა, შფოთვა.

ღერო

დაშტრიხული ღერო – შინაგანი შფოთვა, ეჭვიანობა, მიტოვების შიში; ფარული აგრესია.

ღერო გატეხილი გუმბათის ფორმით – დედის დამსგავსების, ყველაფრის ისე გაკეთების სურვილი, როგორც ის აკეთებს ან მამის დამსგავსების, მის ძალასთან შეჯიდების სურვილი, წარუმატებლობების რეფლექსია.

ღერო ერთი ხაზისგან – რეალურად ნივთების შეფასებაზე უარის თქმა.

წვრილი ხაზებით დახატული ღერო, კრონი – მსხვილი ხაზებით – თვითდამკვიდრებისა და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა.

წვრილი ხაზებით დახატული ფოთოლი – სიფაქიზე, შთაგონებადობა.

ღერო დაწოლით გამოხატული ხაზებით – გაბედულება, აქტიურობა, პროდუქტიულობა.

ღეროს ხაზები სწორია – მოხერხებულობა, საზრიანობა, შემაშფოთებელ ფაქტებზე შეუჩერებლობა.

ღეროს ხაზები მრუდია – აქტიურობა, შეფერხებული შფოთვითა და აზრებით დაბრკოლებების დაუძლეველობის შესახებ.

„ღერმოშელი“ – ფარულობის ტენდენცია ბოროტად გამოყენების გამო, გაუთვალისწინებელი შეტევები, ფარული სიშმაგე.

ღეროსთან დაუკავშირებელი ტოტები – რეალობისგან გაქცევა, რომელიც არ შეესაბამება სურვილებს, მისგან ოცნებებსა და თამაშებში გაქცევის მცდელობა.

ღია და ფოთოლთან დაკავშირებული ღერო – კარგი ინტელექტი, ნორმალური განვითარება, შინაგანი სამყაროს შენარჩუნების სურვილი.

მიწისგან მოწყვეტილი ღერო – გარე სამყაროსთან კონტაქტის ნაკლებობა; ყოველდღიური და სულიერი ცხოვრება ნაკლებად დაკავშირებულია.

ქვემოთ შემოფარგლული ღერო – უბედურების გრძნობა; მხარდაჭერის ძიება.

ქვემოთკენ გაფართოებული ღერო – საკუთარ წრეში საიმედო მდგომარეობის ძიება.

ქვემოთკენ შევიწროებული ღერო – იმ წრეში უსაფრთხოების შეგრძნება, რომელიც არ იძლევა სასურველ საყრდენს, იზოლაცია და საკუთარი მე-ს მშფოთვარე სამყაროში განმტკიცების სურვილი.

საერთო სიმაღლე – ფოთლის ქვედა მეოთხედი – დამოკიდებულება, საკუთარი თავის რწმენის ნაკლებობა, კომპენსატორული ოცნებები ძალაუფლებაზე.

ფოთლის ქვედა ნახევრის გამოყენება – ნაკლებად გამოხატული დამოკიდებულება და სიმორცხვე.

ფოთლის 3/4-ის გამოყენება – გარემოსთან კარგი შეგუება.

მთლიანად გამოყენებული ფოთოლი – სურს იყოს შენიშნული, პქონდეს სხვების იმედი, დაიმკვიდროს თავი.

ფოთლის სიმაღლე (გეერდი იყოფა რვა ნაწილად):

1/8 – რეფლექსიისა და კონტროლის ნაკლებობა. ნორმა 4 წლის ბავშვისთვის;

1/4 – საკუთარი გამოცდილების გააზრების და მოქმედებების შეფერხების უნარი;

3/8 – კარგი კონტროლი და რეფლექსია;

1/2 – ინტერიორიზაცია, საიმედოობა, კომპენსატორული ოცნებები;

5/8 – ინტენსიური სულიერი ცხოვრება;

6/8 – ფოთლის სიმაღლე პირდაპირაა დამოკიდებული ინტელექტუალურ განვითარებასა და სულიერ ინტერესებზე;

7/8 – ფოთოლი იკავებს თითქმის მთელ გეერდს – ოცნებებში გაქცევა.

გამოხატვის მანერა

მახვილი წვერო:

1. დაცვა ნამდვილი ან მოჩვენებითი საშიშროებისგან, რომელიც აღიქმება, როგორც პირადი ამოვარდნა;

2. სხვებზე მოქმედების, შეტევის ან დაცვის მოქმედების სურვილი, სირთულეები კონტაქტებში;

3. არასრულფასოვნების გრძნობის კომპენსირების სურვილი, სწრაფვა ძალაუფლებისკენ;

4. უსაფრთხო თავშესაფრის ძიება მიტოვების გრძნობის გამო, მყარი მდგომარეობისათვის, სინაზის მოთხოვნილება.

სხვების სიმრავლე (რამდენიმე ხე ერთ ფოთოლზე) – ბავშვური ქცევა, ცდის პირი არ მისდევს მოცემულ ინსტრუქციას.

ორი ხე შეიძლება იყოს საკუთარი თავის და სხვა ახლობელი ადამიანის სიმბოლო (იხ. მდებარეობა ფურცელზე და ინტერპრეტაციის სხვა მომენტები).

ხისთვის სხვადასხვა ობიექტის დამატება განმარტება კონკრეტული ობიექტების მიხედვით.

პეიზაჟი ნიშნავს სენტიმენტალობას.

ფურცლის გადაბრუნება – დამოუკიდებლობა, ინტელექტის ნიშანი, წინდახედულება.

მიწა

ერთი შტრიხით გამოხატული მიწა – კონცენტრირება მიზნებზე, გარკვეული წესის მიღება.

რამდენიმე განსხვავებული შტრიხით გამოხატული მიწა — მოქმედებები საკუთარი წესებით, იდეალის მოთხოვნილება. მიწის გამომხატავი რამდენიმე ერთობლივი ხაზი გამოხატული ერთობლიობაში და ეხება ფურცლის კიდეს — სპონტანური კონტაქტი, მოულოდნელი მოვლა, იმპულსურობა, ჭირვეულობა.

ტესტი „ავტოპორტრეტი"

პიროვნების თვითშეგნების სტრუქტურაში ჩვეულებრივ **გამოიყოფა მთავარი კომპონენტები: კოგნიტური** (საკუთარი თვისებების, უნარების, გარეგნობის, სოციალური მნიშვნელობის ხატი და ა.შ.) და **ემოციური** (თვითდამოკიდებულება, თვითშეფასება და ა.შ.). ზოგჯერ ეს შემადგენელი ნაწილები განიხილება, როგორც საკუთრივ თვითშეგნება და თვითდამოკიდებულება, **ახდენს რა მათ ინტეგრაციას მე- კონცეფციის ჩარჩოებში, რომლის ადექვატური ფორმირება წარმოადგენს პირობას ადამიანის სოციალურ გარემოსთან ოპტიმალური ადაპტაციისთვის.**

ამავე დროს, უმნიშვნელოვანესი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებს ადამიანი ამა თუ იმ წარმოდგენას საკუთარ თავზე, რა ეტალონების, შეხედულებების, დანასკვების, ხატების საფუძველზე ჯერაც ნაკლებად შესწავლილ პრობლემად რჩება...

პიროვნების თვითშეგნების, თვითდამოკიდებულების, თვითშეფასების თავისებურებების პრაქტიკული შესწავლისთვის განკუთვნილი ტესტი „ავტორიტეტი".

ტესტი ადაპტირებულია რ. ბერნსის (აშშ) მიერ, რომელიც სთავაზობდა ცდის პირებს დაეხატათ საკუთარი თავი მარტო ან ოჯახის რამდენიმე წევრთან, კოლეგებთან ერთად. „თქვენ შეგიძლიათ მიხვიდეთ სახლში, იყვიროთ ან იტიროთ — წერს რ. ბერნსი, — თუმცა ამის გაკეთება სამსახურში არ შეიძლება. ყოველივე ეს თქვენს ნახატში აისახება".

ინტერპრეტაცია 1

ელემენტები, რომლებიც შეიძლება აღმოეჩინოთ ავტოპორტრეტში, განიმარტება შემდეგი სახით.

თავი. დიდი თავი ჩვეულებრივ გულისხმობს დიდ ინტელექტუალურ პრეტენზიებს ან უკმაყოფილებას საკუთარი ინტელექტით. პატარა თავი ჩვეულებრივ ასახავს ინტელექტუალური ან სოციალური არაადექვატურობის გრძნობას.

თვალები. ნახატზე დიდი თვალები გულისხმობს ეჭვიანობას, ასევე შეფიქრიანებასა და ჰიპერმგრძნობელობას საზოგადოებრივი აზრის მიმართ. პატარა ან დახუჭული თვალები ჩვეულებრივ გულისხმობს თვითშთანთქმას და ინტროვერსიის ტენდენციას.

ყურები და ცხვირი. დიდი ყურები გულისხმობს კრიტიკისადმი მგრძნობელობას, ცხვირზე გადატანილი აქცენტი გულისხმობს სექსუალური პრობლემების არსებობას. გამოყოფილი ნესტოები მოწმობს აგრესიისადმი მიდრეკილებას.

პირი. გამოყოფილი პირი გულისხმობს პრიმიტიულ ორალურ ტენდენციებს ან შესაძლო პრობლემებს მეტყველებასთან. პირის უქონლობა ნიშნავს ან დეპრესიას ან ურთიერთობაში უსიცოცხლობას.

ხელები. გარემოსთან პიროვნების კონტაქტის სიმბოლო. გადაჭდობილი ხელები გულისხმობს მკაცრ, პასუხისმგებელ, ჩაკეტილ პიროვნებას. უსიცოცხლოდ დაშვებული ხელები გულისხმობს არაეფექტურობას. **სუსტი, ნაზი ხელები** — ფიზიკური ან ფსიქოლოგიური სისუსტე. **გრძელი, ძლიერი ხელები** — ამბიციურობა და ძლიერი ჩართულობა გარე სამყაროს მოვლენებში. **ძალიან მოკლე ხელები** გულისხმობს ამბიციურობის უქონლობას და არაადექვატურობის გრძნობას.

ფეხები. გრძელი ფეხები ნიშნავს დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას. **დიდი ფეხები** გულისხმობს არასტაბილურობას და საფუძვლის უქონლობას. დეზერტირები, მაგალითად, ხშირად ხატავენ ადამიანებს ფეხების გარეშე.

ინტერპრეტაცია 2

(ინტეგრაციულ-შეფასებითი)

ის შემუშავებულია ადამიანის ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური თავისებურებების, მისი საკუთარ თავზე, გარეგნობაზე, პიროვნებაზე და მასთან დამოკიდებულებაზე წარმოდგენების გამოსავლენად.

მასალა: ფანქარი ან კალამი, ქაღალდის ფურცელი 10X15 სმ.

ინსტრუქცია. დახატეთ თქვენი პორტრეტი.

ნახატის ანალიზის დროს გამოიყოფა გამოხატვის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ყველა ნახატის გაერთიანება შემდეგი სახით.

1. ესთეტიკური გამოსახულება. როგორც წესი, სრულდება მხატვრული ნიჭის მქონე პირების მიერ. სიმსუბუქე, ხაზების მოქნილობა, შტრიხების გამომხატველობა, ხატების ლაკონიურობა გამოარჩევს ამ ადამიანების ნახატებს.

2. სქემატური გამოსახულება შესრულებულია პროფილსა და ანფასში დახატული სახის, სხეულის სქემის, ბიუსტის სახით; ხშირად გამოხატვის ასეთ ტიპს მიმართავენ ინტელექტუალური პირები (მოაზროვნეები ი.პ. პავლოვის მიხედვით), რომელთათვისაც მნიშვნელოვანია მოვლენის შესახებ ყველაზე მეტი, ზოგადი წარმოდგენების მიღება; დეტალები და წვრილმანები მათ საჭიროებისამებრ აინტერესებთ. როგორც ჩანს, ეს გამოსახულება შეესაბამება სინთეზურ კოგნიტურ სტილს, განზოგადებისადმი ტენდენციით.

3. რეალისტური გამოსახულება შესრულებულია უფრო გულმოდგინე დეტალებით ანუ სახის, თმის, ყურების, კისერის, ტანსაცმლის მკაფიოდ გამოხატვით. ჩვეულებრივ, ასე ხატაენ დიდი პედანტურობით გამორჩეული, დეტალიზაციისკენ, ანალიტიკური კოგნიტური სტილისკენ მიდრეკილი ადამიანები.

4. მეტაფორული გამოსახულება. ადამიანი საკუთარ თავს გამოხატავს რომელიმე საგნის (მაგალითად, ჩაიდანის ან ქიმიური სიწყარის, სპორტული ინვენტარის, ცხოველის, მცენარის, ლიტერატურული პერსონაჟის სახით და ა.შ.) სახით. ასეთ გამოსახულებას ასრულებენ მხატვრული სტილის პირები, რომელთაც აქვთ განვითარებული ფანტაზია, წარმოსახვა, შემოქმედებითი ნიჭი და, რასაკვირველია, იუმორის გრძნობაც.

5. ავტოპორტრეტი ინტერიერში. ადამიანის გამოსახულება რაიმე საგნების გარემოცვაში, პეიზაჟის, ოთახის ფონზე და ა.შ. ასეთ გამოსახვისკენ მიდრეკილნი არიან სიუჟეტური აღწერის უნარის მქონე და ასევე გარე საგნობრივ გარემოცვაზე მიმართული პირები.

6. ემოციური ავტოპორტრეტი. ადამიანი თავს გამოსახავს გარკვეულ ემოციურ მდგომარეობაში, ხშირად წარმოადგენს შარეს ან ჰგავს მას. როგორც ჩანს, ასეთი სახის ნახატებისკენ მიდრეკილნი არიან უფრო მაღალი ემოციურობის მქონე პირები, რომლებიც ახდენენ საკუთარი მდგომარეობის რეფლექსირებას. ამასთან, გადასატანი ემოცია ხშირად შეიძლება იყოს იმის საპირისპირო, რომელიც ასეა გამოხატულია, მაგალითად, მოწყენილი ადამიანი ხშირად ხატაეს მომღიმარ სახეს და ა.შ.

7. პოზის ან მოძრაობის გამოსახულება. ადამიანი საკუთარ თავს გარკვეულ მოქმედების პერიოდში გამოხატავს. როგორც ჩანს, გამოხატვის ეს ტიპი დამახასიათებელია გამომხატველობითი მოძრაობების მქონე, სპორტით, ცეკვებით გატაცებული პირებისთვის და ა.შ.

8. ავტოპორტრეტის გამოსახულება ზურგიდან. სახის ნაცვლად იხატება კეფა; ჩვეულებრივ, ასეთი გამოსახულება დამახასიათებელია ინსტრუქციისადმი (მაგალითად, ექსპერიმენტატორისადმი და ა.შ.) საპირისპირო აზრის მქონე პირებისთვის ან სახის და სხვა გამოსახულებების დახატვის სურვილის არმქონე პირებისთვის.

ნახატების გამოყოფილი ჯგუფები საშუალებას იძლევიან შესრულდეს მასალის დამუშავების პირველი ეტაპი.

მოცემული ადგილის დამუშავების ხერხები შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული გამოსახულების ამა თუ იმ ტიპთან ზედაპირული განკუთვნებიდან რთულ და ზუსტ გაზომვამდე და ფოტოსთან შედარებამდე. ამ ტესტის დასამუშავებლად შემოთავაზებულია სპეციალური სქემა (იხ. ქვემოთ), რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს, გამოსახულების როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლები.

დამუშავების სქემის საფუძველზე შესაძლებელია ტესტის შესრულების ინდივიდუალური და ჯგუფური მონაცემების შედარება და ასევე, გრაფიკული მეთოდით მიღებული მონაცემების შეჯერება სხვა მეთოდიკების (პიროვნული კითხვარების, აღქმის, მეხსიერების პარამეტრების და ა.შ.) მაჩვენებლებთან.

ტესტში „ავტოპორტრეტი“ მიღებული მასალა ასევე შეიძლება განვმარტოთ რიდის სქემის მიხედვით:

1. ჩამომთვლელი ნახატი – რამდენიმე ავტოპორტრეტის გამოსახულება ერთის დახატვის ინსტრუქციის დროს – მოაზროვნე ექსტრავერტი (კ. იუნგის მიხედვით);

2. ორგანული ნახატი-გამოსახულება ცოცხალი ბუნების ფონზე მცენარეების, ცხოველების გარემოში – მოაზროვნე ინტროვერტი;

3. ჰაპტური ნახატი – საკუთარი თავის გამოხატვა გარკვეულ მდგომარეობაში (ხშირად, ავადმყოფობის მდგომარეობაში – „ტკივა თავი“, „ტკივა კბილი“ და ა.შ.) – სენსორული ინტროვერტი.

4. ემფატური ნახატი – საკუთარი თავის გარკვეულ ემოციურ ატმოსფეროში გამოხატვა, რომელიც მოდის გარედან – სენსორული ექსტრავერტი;

5. დეკორატიული ნახატი – საკუთარი თავის რომელიმე ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის ან წარმოსახვაში შექმნილი სახით გამოსახვა – ემოციური ინტროვერტი;

6. რიტმული ნახატი – გამოსახულება, რომელშიც ხაზგასმულია მოძრაობა ანუ მოძრავი, კიბეზე მიმავალი, მორბენალი ადამიანის გამოსახვა – ინტუიციური ექსტრავერტი;

7. სტრუქტურული ნახატი – საკუთარი თავის ისე გამოხატვა, როგორიც არის (თავი, ხელები, ფეხები და ა.შ.). შეიძლება გამოხატული იქნეს ერთი პირი, ბიუსტი, სრული სიმაღლით გამოხატვაც კი – ინტუიციური ინტროვერტი.

ტესტის უფრო სრული ინტერპრეტაციისთვის საჭიროა შემდგომი მუშაობა ნახატის დამუშავების დროს გამოვლენილი მაჩვენებლების სხვა მეთოდიკების მაჩვენებლებთან და დაკვირვების მონაცემებთან შეჯერების თაობაზე.

სქემა

ტესტის „ავტოპორტრეტი“ დამუშავება

№	გამოყოფილი მაჩვენებელი
1	გამოსახულება ერთი პირის სახით
2	გამოსახულება ბიუსტის სახით
3	გამოსახულება სრული სიმაღლით
4	პროფილის გამოხატვა
5	ანფასის გამოხატვა
6	სქემატური გამოსახულება
7	რეალისტური გამოსახულება
8	მეტაფორული გამოსახულება
9	ავტოპორტრეტი ინტერიერში
10	ერთ გამოსახულებაზე მეტი – 2, 3 და ა.შ.

№	გამოყოფილი მაჩვენებელი
11	ავტოპორტრეტი პეიზაჟის ფონზე
12	ავტოპორტრეტი დეკორატიულ ჩარჩოში
13	ავტოპორტრეტი ემოციურ მდგომარეობაში
14	ავტოპორტრეტი ლიტერატურული პერსონაჟის სახით
15	ავტოპორტრეტი მოძრავი გამოსახულების სახით
16	ავტოპორტრეტი საგნით ხელში
17	გამოსახულების ზომა კვ.სმ-ში
18	გამოსახულების სიმაღლე
19	გამოსახულების ორიგინალთან მსგავსების ხარისხი 1, 2, 3 სკალის მიხედვით
20	დაწოლის ხარისხი, 1, 2, 3 ხაზების სისქე
21	1, 2, 3 დაშტრიხვის არსებობა
22	1, 2, 3 გამოსახულების ემოციური გამომხატველობა
23	სახის მკაფიოდ გამოხატვის ხარისხი
24	1) თვალების არსებობა
25	2) ცხვირის არსებობა
26	3) პირის არსებობა
27	4) წარბების არსებობა
28	5) წამწამების არსებობა და ა.შ.

ტესტი „თავისუფალი ნახატი“

ცნობილია, რომ თავისუფალ სახვით საქმიანობაში არსებობს 2 ძირითადი ხერხი: ხატვა ნატურიდან და ხატვა საკუთარი ფანტაზიის, წარმოსახვაზე. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს ორი განსხვავება სავარაუდოდ განიმარტება ექსტრა- და ინტროვერსიის მოვლენებით.

კ. იუნგის ტიპოლოგიის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ძირითადი ფსიქიკური ფუნქციების (აზროვნების, ინტუიციის, შეგრძნებისა და გრძნობის) დომინირებას, გამოიყოფა პიროვნების რვა ტიპი:

1) ექსტრავერტირებული მოაზროვნე ტიპი;
2) ექსტრავერტირებული შეგრძნებითი ტიპი;
3) ექსტრავერტირებული მგრძნობიარე ტიპი;
4) ექსტრავერტირებული ინტუიციური ტიპი;
5) ინტროვერტირებული მოაზროვნე ტიპი;
6) ინტროვერტირებული შეგრძნებითი ტიპი;
7) ინტროვერტირებული მგრძნობიარე ტიპი;
8) ინტროვერტირებული ინტუიციური ტიპი.

იუნგის კლასიფიკაციის ანალოგიის მიხედვით, ნახატების მრავალფეროვნება შეიძლება დავიყვანოთ რვა სახედ (გ. რიდის მიხედვით), როგორიცაა:

1) ემფატური (იმპრესიონისტული, ექსპრესიული);

2) ჰაპტური;

3) რიტმული;

4) სტრუქტურული;

5) ორგანული;

6) ჩამომთვლელი;

7) დეკორატიული;

8) იმაგინარული (მოიცავს წიგნიდან აღებულ ან საკუთარი ფანტაზიით შექმნილ პერსონაჟებს, სიუჟეტს).

ჰ. იუნგის ფსიქოლოგიური ტიპოლოგიის მოკლე აღწერა

1. ექსტრავერტირებული მოაზროვნე ტიპი – ჩამომთვლელი ნახატი. იმ საგნების, ნიშნების გამოსახვა, რომლებიც არ უკავშირდებიან საერთო სიუჟეტს ანუ მარტივი ჩამონათვალი. ასეთი ნახატები იქმნება წინდახედული ადამიანების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ინტელექტუალურად მოფიქრებული მოტივებიდან გამომდინარე, ფაქტებზე, საყოველთაოდ აღიარებულ იდეებზე ორიენტაციით, რაც ამოდის ტრადიციებიდან, აღზრდიდან, განათლებიდან. მათი აზროვნება პოზიტიურია, მიდის ახალ ფაქტებთან ან განცალკევებული მასალის ზოგად კონცეფციებთან. მსჯელობა, ჩვეულებრივ, სინთეზურია, როგორც წესი, ემპირიული მონაცემების დაგროვება არ წყდება ბოლომდე, ხოლო განმარტება დაიყვანება გარკვეულ ზოგად ინტელექტუალურ ფორმულამდე, სადაც ყველაფერი დამოკიდებულია მოცემული ფორმულის სივრცეზე. თუ ის ვრცელია, ესაა რეფორმატორი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი, ზნეობის გუშაგი, სერიოზულ ახალშემოღებათა მქადაგებელი, თუ ის ვიწროა, შეიძლება გახდეს ბუზღუნა, ჭკუისთვის ძალის დამტანებელი და თვითკმაყოფილი კრიტიკოსი, რომელსაც სურს საკუთარი თავიც და სხვაც მოაქციოს მის სქემაში.

ამ ტიპის ადამიანების გრძნობები იცავენ ინტელექტუალურ განწყობას და მასთან შეგუებას. განსაკუთრებით ითრგუნება გრძნობების ფუნქცია, რასაც მივყავართ ფორმულამდე „მიზანი ამართლებს საშუალებებს. ემფატური (იმპრესიონისტული), ჰაპტური.

რამდენადაც ვრცელია ინდივიდუალური თვითგანწირვის არსი, მით უფრო კონსერვატიული, დეტალური, ეჭვნეულია გრძნობები.

2. ექსტრავერტირებული შეგრძნებითი ტიპი – ემფატიური ნახატი ანუ სწრაფება ატმოსფეროს გადაცემისკენ, შეგრძნებების უშუალო გამოხატვისკენ.

ამ ტიპის ადამიანებში ფასეულობის კრიტერიუმი – შეგრძნებების ესა თუ ის ძალა. ყველაზე ძლიერ იღვენება ინტუიცია. ზედმეტადაა განვითარებული ფაქტის ობიექტური გრძნობა. ხშირად ესენი მამაკაცები არიან, რომელთათვისაც შეგრძნება არის სიცოცხლის, მისი სისრულის კონკრეტული გამოვლენა.

შეგრძნებითი მოქმედების ადამიანი რეფლექსიისადმი მიდრეკილებისა და ძალაუფლებისმოყვარე განზრახვების გარეშე. **ძირითადი ტენდენციები** – სიამოვნებათა უხეში მაძიებლიდან რაფინირებულ ესთეტამდე. განდევნილი ინტუიცია შეიძლება განვითარდეს ეჭვიანობის ფანტაზიაში ან შიშის მდგომარეობაში, ფობიაში, აკვიატებულ სიმპტომებში. ნევროზით დაავადების განკურნება ყველაზე ძნელია გონივრული ხერხით. რაიმეს გაცნობიერებისთვის საჭიროა ხშირად აფექტური ზეწოლა.

3. ექსტრავერტირებული შგრძნობიარე ტიპი – დეკორატიული ნახატი

დეკორატიული ნახატისთვის დამახასიათებელია ორნამენტის, მოხატულობის, ყვავილების დახატვა და ა.შ.

ტიპი, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება ქალებს შორის, რომლებიც ხელმძღვანელობენ გრძნობით, საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ფასეულობების შესაბამისად, რაც განსაკუთრებით ძლიერ ვლინდება სიყვარულის ობიექტის არჩევაში: „უყვარს შესაფერისი მამაკაცი“, რომელიც პასუხობს მის გონივრულ მოთხოვნებს, რასაც არ გრძნობენ, მისი გააზრება არ შეუძლიათ: „არ შემიძლია ასე ფიქრი, რადგანაც ამას ვერ ვგრძნობ“. გრძნობები ხშირად კარგავენ პირად ხასიათს საყოველთაოდ მიღებულზე ორიენტაციაში.

4. ექსტრავერტირებული ინტუიციური ტიპი – რიტმული ნახატი – მოძრაობა ობიექტების გამოსახულება.

ამ ტიპის ადამიანების აზროვნება, შეგრძნებები, გრძნობები განიდევნება ინტუიციით, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ცდილობს მიაღწიოს ყველაზე მეტ შესაძლებლობებს. ინტუიცია ზოგჯერ დამხმარე საშუალებაა, რომელიც მოქმედებს ავტომატურად მაშინ, როცა ის საჭიროა სიტუაციის გადასაწყვეტად, მაგრამ ამოწურავს რა საქმიანობას, ის კარგავს ფასეულობას და უკუგდებული ხდება, როგორც ზედმეტი დანამატი. მას ახასიათებს იმის ფაქიზი შეგრძნება, რაც იქმნება და გააჩნია მომავალი. სანამ არსებობს რაიმე შესაძლებლობა, ის მასზეა მიჯაჭვული ბედისწერის ძალით. ნაკლებ ანგარიშს უწევს გარემოს კეთილდღეობას. გარშემომყოფთა ფიზიკური მდგომარეობა ასევე, მისი

საკუთარიც, არ წარმოადგენს მისთვის მტკიცე არგუმენტს. მას გააჩნია საკუთარი მორალი, რაც არ ემთხვევა ზოგადად მიღებულს. სიამოვნებით კიდებს ხელს პროფესიებს, რომლებიც ანვითარებენ მის შესაძლებლობებს.

5. ინტროვერტირებული მოაზროვნე ტიპი – ორგანული ნახატი – ორგანული ფორმების: მცენარეების, ცხოველების, ადამიანის გამოსახულება.

მოცემული ტიპის აზროვნება ორიენტირებულია სუბიექტურ ფაქტორზე. ფაქტების შეგროვება ხდება, როგორც მტკიცებულების საშუალების და არა თავისთავად. ფასეულობები უკავშირდება იმ თავდაპირველი სიმბოლური ხატის სუბიექტური იდეის განვითარებასა და გადმოცემას, რომლის აღქმაც ხდება შინაგანი ხედვით. სურს ფაქტების ისე დანახვა, რამდენადაც ისინი ავსებენ მისი იდეის ჩარჩოებს, ორიგინალობაზე პრეტენზიით. ჩვეულებრივ, სრულად უარყოფს ობიექტს ისე, რომ დამსწრე ადამიანი შეიძლება თავს გრძნობდეს ზედმეტად, არასაჭიროდ და დაბრკოლებით უარყოფილად. ტიპი რჩება ნორმალური მანამ, სანამ მე, - თავს გრძნობს არაცნობიერის დონეზე დაბლა, სანამ გრძნობები ხსნიან რაიმე უფრო მაღალს და ძალისმიერს, ვიდრე ესაა მე. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ეჭვიანობა გარდამავალი ნევრასთენიაში, ანემია, როგორც მოწინააღმდეგესთან მკაცრი ბრძოლის შედეგი, სადაც ნებისმიერი საშუალება კარგია.

6. ინტროვენტირებული შეგრძნებითი ტიპი – პაპტური ნახატი. გამოსახულება თითქოსდა შიგნიდან მომავალი შეგრძნებებისა – „ტკივა ყური", „ტკივა თავი" და ა.შ.

ორიენტირებულია იმაზე, რაც უპირატესად ხდება მოცემულ მომენტში და ობიექტური გაღიზიანებით გამოწვეული შეგრძნებების სუბიექტურ ინტენსიეობაზე ანუ ობიექტსა და შეგრძნებებს შორის არაა პროპორციული დამოკიდებულებები, ისინი სუბიექტურია. გარედან არ შეიძლება განვჭვრიტოთ, თუ რა მოახდენს მასზე შთაბეჭდილებას და რა არა. მარტივად სვამს კითხვას, თუ რისთვის არსებობენ ადამიანები, რატომ აქვთ ობიექტებს არსებობის უფლება. გამოირჩევა უცნაურობით, ქცევის სუბიექტურობით. მოცემული ტიპი გარემომყოფებზე ზემოქმედებს დამთრგუნველად, დაჰყავს რა ყველაფერი სუბიექტური შინაარსის ნორმატიეის გარკვეულ სწორ ფორმულამდე, რათა ის არ გამოიყოს და იყოს სათანადო ფარგლებში, ასეთ ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი თაეის მართვა, რაზეც პასუხობენ ძლიერი წინააღმდეგობითა და შეუპოვრობით, ზოგიერთ შემთხვევაში ხდებიან აგრესიულობისა და ძალაუფლებისმოყვარეობის მსხვერპლი სხვების მხრიდან, მისი თავდაპირველი უწყინარობის შედეგად. აღინიშნება სიღრმეში შესულის შთაბეჭდილება თეითგამოხატეის მხატვრული შესაძლებლობების უქონლობისას, ხოლო მათი არსებობისას სახეზეა არქაულად ბანალური, ყოველდღიური ფრაზები. ძლიერაა განდეენილი ინტუიცია, რომელსაც გააჩნია ექსტრაეერტული და არქაული ხასიათი.

7. ინტროვერტირებული მგრძნობიარე ტიპი – იმაჟინარული ნახატი – ლიტერატურიდან, ფანტაზიიდან აღებული პერსონაჟების გამოხატეა, რომლებიც გამოირჩევიან თეითგამოხატეის ორიგინალურობით.

მუდმივად ეძებს სინამდვილეში არარსებულ ხატებს. მიისწრაფვის შინაგანი ინტენსიეობისკენ, რომლისთეისაც ობიექტები იძლეეიან შინაგან ბიძგს. ამ გრძნობის სიღრმის მხოლოდ ეარაუდი შეიძლება, მაგრამ შეუძლებელია მისი მკაფიოდ წედომა. **ის ხდის ადამიანებს მშვიდებად, ძნელად მისაწვდომებად, რომლებიც მიმოზას მსგავსად, სიუხეშისგან ჭკნებიან.** თავდაცეისთვის წინ აყენებს უარყოფით შეხედულებებს, გრძნობებს ან გასაოცარ გულგრილობას. **ფუძემდებლურ იდეებს – ღმერთს, თავისუფლებას, უკვდაებას – გრძნობის ფასი გააჩნია. გრძნობის მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად, თუნდაც მიახლოებით, საჭიროა უჩვეულო პოეტური ან მხატვრული გამომხატველობა.** თუ გრძნობები მახინჯდება ეგოცენტრიზმით, ყველაზე მეტად ხდება შეფიქრიანებული საკუთარი მე-თი და ხდება არასიმპათიური, ინტროვერტირებულ მგრძნობელობას უპირისპირდება პრიმიტიული აზროვნება, რომელიც მონურ დამოკიდებულებაშია ფაქტებთან, უარყოფს ყოველივე ტრადიციულს. ხდება ისე, რომ ამ ტიპის ადამიანები განიცდიან მტკიცე ემოციისგან პარალიზებულობის შეგრძნებას ან მკვეთრი ცივი ასახვა შეიძლება თანამოსაუბრეს ყველაზე მოწყვლად ადგილას შეეხოს. თუ გრძნობები რაიმე მაღალითაა დაკავებული, ვიდრე ეს ეგოცენტრული მე-ა, ადამიანი ნორმაშია. მე-ს დომინირებისას გრძნობს, თუ რას ფიქრობენ სხვები, ეჭქვეშ აყენებს მათ მონაწილეობას ყოველგვარ სიმდაბლეში, ბოროტების ჩანაფიქრში, ინტრიგებსა და წაქეზებაში.

8. ინტროვერტირებული ინტუიციური ტიპი – სტრუქტურული ნახატი – გარკვეული, ნაწილებისგან შემდგარი მთელის ასახვა, რაც გამოხატავს მის ზოგად წყობას, ჩვეულებრივ, ერთი იზოლირებული საგანი.

ამ ტიპის ინტუიცია მიმართულია შინაგან სუბიექტურ ხატებზე. ყურადღებით ეპყრობა ცვლად

ობიექტს, თანაგრძნობით აკვირდება ობიექტის ცვლილების თავისებურებებს. ჩვეულებრივ, ესაა, ერთის მხრივ, მისტიკოსის, მეცნიერის და მოგზაურის განმჭვრეტელის, ხოლო მეორეს მხრივ, ფანტაზიორისა და მხატვრის ტიპი. ინტუიციის გაღრმავებას ხშირად მოსდევს შეგრძნებითი სინამდვილისგან მოწყვეტა და ადამიანი გამოცანად რჩება უახლესი გარემოცვისთვის. თუ ეს მხატვარია, მისი ხელოვნება ამაღლებს საგნებს, რომლებიც ერთდროულად მნიშვნელოვანიცაა და ბანალურიც, ბრწყინვალეც და ულიმლამოც, ამაღლებულიც და უცნაურიც. თუ ის მხატვარი არაა, ხშირად არის აუღიარებელი გენია, დაღუპული სიდიადით, რაღაც ბრძენი ნახევრადსულელი, ფიგურა ფსიქოლოგიური რომანებისთვის.

არაცნობიერ დონეზე ეს ტიპი იძენს შეგრძნებითი ექსტრავერტის თვისებებს მაკომპენსირებელი თვისებების ნაცვლად. აქედან გამომდინარეობს ზედმეტი მიჯაჭვულობა გრძნობითი შთაბეჭდილებებისადმი.

ტესტი „სამყაროს ხატი"

პროცედურა. „სამყაროს ხატის", „სამყაროს სურათის" ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლის მიზნით შემოთავაზებულია შემდეგი ინსტრუქცია.

ინსტრუქცია. დახატეთ სამყაროს სურათი ანუ სამყარო, მისი ხატი, როგორ წარმოგიდგენიათ ის.

მასალა: გამოიყენება ქაღალდის ფურცელი 250X150 სმ ზომის, ფანქრები, კალამი.

ინტერპრეტაცია. გამოსახულების თავისებურებების საფუძველზე გამოიყოფა ნახატების ხუთი ძირითადი სახე:

1. სამყაროს პლანეტარული სურათი — დედამიწის, მზის სისტემის სხვა პლანეტების გამოსახვა — სამყაროს კოგნიტური სურათი სკოლაში შეძენილი საყოველთაოდ მიღებული ნორმატიული ცოდნის სახით.

2. სამყაროს პეიზაჟური სურათი ქალაქის ან სოფლის პეიზაჟის სახით ადამიანების, ცხოველების, ხეების, ყვავილების და ა.შ. გამოსახვით — საკუთარი გარემოცვის სასურველი სურათი.

3. უშუალო გარემოცვა — ვითარება საკუთარი თავის, საკუთარი სახლის ირგვლივ, როგორიცაა ის სინამდვილეში ან ინტუიციური — ის, რაც აზრად მოგდის: **მოულოდნელი ხატები** — ლამპა, ანთებული სანთელი, რომელიც მოდის ადამიანის შეგრძნებებიდან.

4. სამყაროს არაპირდაპირ დამოკიდებული ანუ მეტაფორული სურათი — რთული აზრობრივი შინაარსის გადმომცემი, რომელიც წარმოდგენილია რომელიმე რთული ხატის სახით.

5. აბსტრაქტული, სქემატური, რომელიც გამოირჩევა წყობის ლაკონურობით გარკვეული აბსტრაქტული ხატის, ნიშნის, სიმბოლოს სახით.

სამყაროს ხატის გამოსახულებათა ჩამოთვლილი სახეებიდან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს ის, რომ მათ გააჩნიათ სხვადასხვა საფუძველი, რომლებიც გადაიქცევიან ცოდნად პლანეტარული წყობის შესახებ ან მათ გააჩნიათ ამა თუ იმ ხატის გამომწვევი საკუთარი შეგრძნებები ან სამყაროს სასურველი სურათი და ა.შ.

ტესტის ინტერპრეტაციის საფუძველში შეიძლება იყოს კ. იუნგის ზემოთ აღწერილი ფსიქოლოგიური ტიპები, გ. რიდის სქემის შესაბამისად, რაც საშუალებას იძლევა კლასიფიცირებულ ქვნეს მიღებული ნახატები.

ცხრილი 24

GGR საერთო ცხრილი ჯანმრთელი პირებისთვის (ნ.ვ. ტარაბრინას მიხედვით)

ნახატის №	OD	ED	NP
1	M'E'		
2		I	
3			
4			
5			i
6			e
7		E	
8			
9			
10		E	
11			
12		E	m
13			e
14			
15	E'		
16		EI	
17			
18	E'		
19		I	
20			
21			
22	M		

პიროვნების ფსიქოკორექციის მეთოდიკა (როზენცვეიგი)

სტრუქტურა, ფსიქოლოგიური შინაარსი და სასტიმულო მასალა

როზენცვეიგის მეთოდიკის სტრუქტურაში შედის სასტიმულო მასალა, თეორიული დასაბუთება და მეთოდიკის შინაარსის აღწერა, ორი საინტერპრეტაციო ცხრილი (ზოგადი და კონფორმულობის კოეფიციენტის გამოხატულების დაანგარიშებისთვის), პასუხების რეგისტრაციისა და გამოკითხვის შედეგების მათემატიკური დაანგარიშების ბლანკი.

ცდის პირებისთვის წაყენებული სასტიმულო მასალა მოიცავს ინსტრუქციას კვლევის პროცედურაზე და 22 ნახატოვან სიტუაციას, სადაც ასახულია ფრუსტრაციის და სტრესის გამომწვევი ყოფითი ურთიერთობის პრობლემები (დანართი 1).

როზენცვეიგის მეთოდიკის ფსიქოლოგიურ შინაარსს შეადგენს ის ფაქტორები პიროვნული ქცევისა, რომლებიც იზომება მოცემული მეთოდიკით. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს პიროვნების ქცევით რეაქციებს სტრესულ და მაფრუსტრირებელ სიტუაციებს (ე.ი. სიტუაციებში,რომლებიც იწვევენ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას, განცდებს, ბარიერის სუბიექტური დაუძლეველობის შეგრძნებებს). ამ მეთოდიკის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ფსიქოლოგიური მახასიათებლები: რეაქციების 3 ტიპი, 3 მიმართულება, კონფორმულობის კოეფიციენტი, ქცევის ფორმულა სტრესულ სიტუაციებში, დროთა განმავლობაში ქცევის განვითარების ტენდენციები. CGR რეაქციების მიმართულობის ტიპებისთვის არის სტანდარტები (დანართი 2).

პიროვნების რეაგირების დომინანტური ტიპი (OD) განსაზღვრავს პიროვნების შინაგანი დაძაბულობის (განცდის) ხარისხს სტრესულ და მაფრუსტირებელ სიტუაციებში. რაც უფრო მაღალია OD სტანდარტულ სიდიდესთან შედარებით, მით უფრო მეტადაა ადამიანში განვითარებული შთამბეჭდაობა, თანაგრძნობისა და თანაგანსაცდისადმი (ემპათიისადმი) მიდრეკილება და მით უფრო ძლიერდება ფრუსტრირებული ცდის პირი.

რეაგირების თავდაცვითი ტიპი (ED) განსაზღვრავს ემოციური დაძაბულობის შეკავების უნარს, ავლენს პიროვნების სისუსტესა და ძალას. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი (ED) მით უფრო სუსტია პიროვნება, ძლიერია მისი დაურწმუნებლობა საკუთარ ძალებში. დაბალია საკუთარი თავის ფლობის დონე, ხშირია მერყეობა გადაწყვეტილებების მიღებაში და ემოციური აწყვეტა. მაღალი ED მქონე პირებში ვლინდება აგრესიულობა, უტაქტობა, სიუხვეშე გარშემომყოფებთან ურთიერთობებში. დაბალი ED მქონე სუბიექტები ხასიათდებიან ზემოთ ჩამოთვლილი საპირისპირო თვისებებით.

რეაგირების შეუპოვარი ტიპი (NP) – რეაგირების ადექვატურობის ხარისხი და სტრესული, მაფრუსტირებელი სიტუაციის გადაწყვეტის დამოუკიდებლობა. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი სტანდარტულთან შედარებით მით უფრო ხშირად ავლენს სუბიექტი დამოუკიდებლობას და მით უფრო ადექვატურად აღიქვამს სიტუაციას, რეაგირებს გამღიზიანებლებზე.

ექსტრაპუნიტური მიმართულობა (E) – პიროვნების რეაქციების გარეთ, გარშემომყოფებზე მიმართვა. მაღალი E მქონე სუბიექტი მომთხოვნია გარშემომყოფების მიმართ, ცდილობს სიტუაციის გადაწყვეტაში ჩართოს სხვები, ხშირად აგრესიულია. E და ED შეთავსება ნიშნავს ნეგატიური ტენდენციების აშკარა დომინირებას ადამიანებთან დამოკიდებულებებში. E (და ED) განვითარების სიჭარბეში დადებითს წარმოადგენს მნიშვნელოვანი ნეგატიური მუხტი დამოკიდებულებებში.

ინტროპუნიტური მიმართულობა (I) ნიშნავს ქცევითი რეაქციების მიმართულობას საკუთარ თავზე, სიტუაციის დამოუკიდებლად გადაჭრის სურვილს; საკუთარი დანაშაულის აღიარებას, მაღალი I შეესაბამება თვითკრიტიკულობას. დაბალ I კი, პირიქით, – საკუთარი უშეცდომობის (ან არადამაჯერებლობის გაცნობიერებული დაფარვის, საკუთარი თავისადმი დაბალი მომთხოვნელობის დემონსტრაციას.

იმპუნიტური მიმართულება (M) გამოხატავს მსხვერპლის გარეშე (სხვისი ან მისი) სიტუაციის გადაწყვეტის სურვილის ხარისხს, სიტუაციის სიმწვავის გამოსწორებას, ბრალის განაწილებას სიტუაციის ყველა მონაწილეზე. ხშირად (M) გვიჩვენებს ლიბერალურ ტენდენციას ქცევაში ან ლოდინის ტაქტიკას (დრო, მოვლენათა მიმდინარეობა წყვეტს პრობლემებს), კონფლიქტების თავიდან აცილებას.

კონფორმულობის კოეფიციენტი (CGR) ნიშნავს პიროვნების ჯგუფის გავლენის (ან ზეწოლის) ქვეშ მოქცევის ხარისხს და როზენცვეიგის მეთოდიკის მიხედვით, წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის საზომს. რაც უფრო მაღალია CGR, მით უფრო

კონფორმულია სუბიექტი, დამოკიდებულია სხვებზე, ნაკლებად დამოუკიდებელია, არაორიგინალურია გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ შესრულებაში. რაც უფრო დაბალია CGR, მით უფრო ძლიერაა განვითარებული საპირისპირო თვისებები – დამოუკიდებლობა, ორიგინალურობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელსაყრელი, ეფექტური ადაპტაციისთვის საქმიანობის სახის, სპეციფიკის მიხედვით, საჭიროა განვითარებული თვისებები განვითარებული სხვადასხვა ხარისხით.

ქცევის სრული ნიმუში წარმოადგენს პიროვნების ქცევის ფორმულას სტრესულ და მაფრუსტრირებელ სიტუაციებში, რომელიც შედგება ამ რეაქციების აღმნიშვნელი, მათი რაოდენობრივი გამოხატვის კლების წესით ჩაწერილ სიმბოლოებისგან. არ არსებობს ქცევის 2 ერთნაირი ნიმუში ისევე, როგორც არაა 2 სრულიად ერთნაირი ადამიანი.

ქცევის ტენდენცია რაოდენობრივად ასახავს მეთოდიკის მაჩვენებლების ცვლილების დინამიკას დროთა განმავლობაში. ის ისახავს პროცენტებში გამოხატული ამა თუ იმ ფსიქოლოგიური მახასიათებლის გაძლიერებას ან შესუსტებას.

როზენცვეიგის მეთოდიკის ფსიქოლოგიური შინაარსი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს პიროვნული ქცევის თავისებურებები სტრესულ და მაფრუსტრირებელ სიტუაციებში:

1) მისი ტიპების გამოხატულება;

2) მიმართულობის;

3) სხვა ადამიანების გავლენის და ზეწოლის ქვეშ მოქცევის (კონფორმულობის);

4) ნებელობითი თვითრეგულაციის ჩამოყალიბებულობის;

5) სტრესულ და ყოფითი ურთიერთობის მაფრუსტრირებელ სიტუაციებში ემოციური გამოვლინებების ხარისხისა და ხასიათის;

6) რეაგირების დამოუკიდებლობისა და ადექვატურობის ხარისხის;

7) დროთა განმავლობაში ყველა ამ მაჩვენებლის ცვლილების განსაზღვრის მეშვეობით.

როზენცვეიგის მეთოდიკა ასევე იძლევა შესაძლებლობას მოხდეს პიროვნების ქცევის პროგნოზირება სტრესულ, მაფრუსტრირებელ სიტუაციებში, რამდენადაც ავლენს ამ პიროვნებისთვის ტიპიურ ქცევისა და კომუნიკაციის ტენდენციებს.

პიროვნების ან მცირე ჯგუფის გამოკვლევის პროცედურა და წესები

მოსამზადებელი ეტაპი მოიცავს ინსტრუმენტარიუმის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას, გამოკითხვის ბლანკების მომზადებას, ცდის პირისთვის ფრუსტრაციისა და სტრესის გამომწვევი სასტიმულო სიტუაციების წარმოდგენას. გამოკითხვის დასაწყისში საჭიროა:

1) გააფრთხილოს ცდის პირი გამოკვლევის შესახებ, განუმარტოს მისი მიზნები;

2) თხოვოს მას კვლევაში დახმარება (ცდის პირის სახით).

შემდეგ ხდება ინსტრუქტაჟის ჩატარება, რომელშიც შემდეგი რამ გადმოიცემა: „თქვენი მონაწილეობა კვლევაში იმ კითხვაზე პასუხში მდგომარეობს, რომელსაც წარმოთქვამს სურათზე დახატული სიტუაციის მონაწილე. თავი დააყენეთ მოპასუხეს მდგომარეობაში. პასუხს კარგად მიუდექით, ხუმრობანარევი პასუხი არ გამოდგება. ყოველ 22 კითხვას უპასუხეთ დინჯად, მაგრამ სწრაფად. თქვით არა ის, რასაც გააკეთებთ, არამედ ის, რასაც უპასუხებთ ადამიანს (რა აზრიც მოგივათ თავში კითხვის წაკითხვისთანავე და სურათის განხილვისთანავე). მე დავაფიქსირებ თქვენს პასუხს და მასზე დახარჯულ დროს“.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, პასუხებზე იხარჯება 5 წთ-დან 30-35 წთ-მდე. პასუხის ოპტიმალური დროა 15 წთ.

გამომკვლევმა პირმა:

1) აუცილებლად უნდა განაწყოს თანამოსაუბრე მისადმი:

ა) მისი სწორი, ადექვატური შეფასებით გაცნობისა და გამკვლევის ორგანიზების მომენტში;

ბ) საკუთარი ქცევის სწორი არჩევის მეშვეობით კონკრეტულ ცდის პირთან მიმართებაში. არავითარ შემთხვევაში არ მოიქცეთ ერთტიპურად ყველა ცდის პირთა, რათა არ იგრძნობოდეს თამაში ქცევაში;

2) საუბრის წინამორბედ მომენტში გაითვალისწინოს ცდის პირის სქესი, ასაკი, თანამდებობრივი მდგომარეობა, გამოცდილება, მასზე ცნობები სხვადასხვა წყაროდან (რომელიც მიღებულია თქვენს მიერ ადრე), მისი განწყობილება, ხასიათის შტრიხები, თქვენს მიერ შენიშნული მასზე პირველი დაკვირვებისას;

3) კარგად უნდა იცოდეს სიტუაციების შინაარსი და თანმიმდევრობა, მკაფიოდ – ინსტრუქცია, ზეპირად – მიღებული ინფორმაციის დამუშავების გასაღები;

4) დააკვირდეს ცდის პირის რეაქციებს სასტიმულო სიტუაციებზე პასუხის დროს, ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და დამუშავების წესები.

1. შეუძლებელია სწორი ინტერპრეტაცია, თუ არ ეფლობთ პ. 3-ში (იხ. ზემოთ) აღწერილ სპეციალისტის ვალდებულებებს მოცემულ გამოკვლევაში.

2. უნდა ვეცადოთ თითოეული პასუხის არაუმეტეს 2 რთულ ინტერპრეტაციას.

3. ინტერპრეტატორ-ფსიქოდიაგნოსტი:

1) იწერს პასუხის ბლანკზე რომელიმე პასუხის აღმნიშვნელ სიმბოლოებს;

2) შემდეგ ავსებს ანგარიშში შეცდომის ცხრილს, ანგარიშობს თითოეული სიმბოლოს განმეორებითობას, შემდეგ კი, ჯამს (ეს ჯამი ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად უნდა უდრიდეს 22);

3) ბლანკებში მოცემული ცხრილის მიხედვით მიღებული ჯამი გადაჰყავს პროცენტებში;

4) სიმბოლოებში წერს ქცევის სრულ ნიმუშს თითოეული სიმბოლოს რაოდენობრივი წარმოდგენის კლების მიხედვით;

5) CGR დაანგარიშების გასაღების მიხედვით ამოწმებს გასაღებთან დამთხვევის რაოდენობას, შემდეგ კი, ისინი მათ გადაჰყავს პროცენტებში;

6) ანგარიშობს ტენდენციებს. ამისათვის, ითვლის სიმბოლოს არსებობას (e, i, m, E, E, I, I, M, E', I', M') სიტუაციების პირველ ნახევარში (13-მდე, მათ შორის, მე-12 სიტუაციის ჩათვლით) და მეორე ნახევარში. შემდეგ, მეტ-რიცხვს აკლებს ნიშნის შენარჩუნებით, სხეაობას ყოფს ამ სიმბოლოს შეხვედრის ოდენობაზე და მიღებული რიცხვი გადაჰყავს პროცენტებში (დანართი 3).

4. საკალდებულო არაა მხოლოდ თითოეული მაჩვენებლის ცალ-ცალკე, არამედ კომპლექსში, ჰარმონიაში ინტერპრეტაცია. ეს მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის გამოიყენება შემაჯამებელ საუბარშიც და ფსიქოკორექციულ თუ განვითარებად მუშაობაში ცდის პირთან.

ცდის პირის გაცნობა გამოკითხვის შედეგებთან.

გამოკითხვის მონაცემების დამუშავებისა და ინტერპრეტაციის შემდეგ საჭიროა ცდის პირის გაცნობა შედეგთან.

1. შედეგებთან გაცნობა უნდა იქნეს დაწყებული დადებითი ინფორმაციით (რათა გამოიწვიოს დადებითი განწყობა აღქმაზე), შემდეგ მოხდეს გადასვლა იმაზე, რაც ეხება ამ ადამიანის ქცევის გამოვლენილ უარყოფით ტენდენციებს სტრესულ სიტუაციებში.

2. გაცნობისას არ უნდა მოხდეს „შპარგალკების (ციფრების შემცველი ბლანკის გარდა) გამოყენება.

3. ცდის პირთან საუბრის წინ მოფიქრებულ უნდა იქნეს თხრობის ლოგიკა და თანამიმდევრობა, პასუხები შესაძლო კითხვებზე.

4. საუბარი უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, ოპტიმისტურად, აუჩქარებლად, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ გსურთ სწრაფად განთავისუფლდეთ თანამოსაუბრესგან; რომ ცდის პირმა შეძლოს გაიგოს და დაიმახსოვროს თქვენი მონათხრობი, იგრძნოს თქვენი ყურადღება, ინტერესი და საქმის ცოდნა, სურვილი გაუჩნდეს მონაწილეობა მიიღოს მომავალ გამოკითხვებში და ხელი შეუწყოს სხვა ადამიანების გამოკითხვას.

დანართი 1

ტესტური მასალა როზენცვეიგის მეთოდიკისადმი




ეს საინტერესო, არის რაში განსხვავებაა ბუღალტრის და ეკონომისტის პროფესიებში
4.
აჰ, ასეთ შემთხვევაში მოგებისა და ზარალის შესახებ ინფორმაციას ბუღალტერი მაინც ვერ მოგაწვდით, ამისთვის ეკონომისტთან უნდა წახვიდეთ.
5.
ახლა ვნახოთ, რა ინფორმაციის წვდომა მოგვსურს, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ორიდან ერთ-ერთი ვარიანტი
6.


ბუღალტერ ლიზ არ გამოგრჩათ?
7.
ასეთ შემთხვევაში ღირს ბუღალტერის ფირმაში წასვლა, რომ ეკონომისტის მომსახურებით ისარგებლოთ.
8.
ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბუღალტერი ფირმა ეკონომისტის ფირმაში შედის, რომ მისი მომსახურებით ისარგებლოს.
9.

მსაბრალია, გვიმასავს, ბანაბრივად ღაბვასავე-ბირაბს ვაბდესებს.
10.
თუ ს ვენი ქალე ბარა, ბერგირი ჩანს, ესენარევა შევხვდებიხარ ხალი ს, მაგრამ ის ა ღაგრევა.
11.
ახლა ვენ ბიგალვაბ, თანავა კი, გვენი შევხვედრამდი ვარაჯ
12.


მაგუვარა ხარო! ს თვითონაც ისაი!
13.
მაშინ ვითონ, რაგორ ვარ მიგვინევა ვან ცალკე.
14.


15.
16.
17.


18.
19.
20.



დანართი 2

ბლანკი შედეგების დამუშავებისათვის

ცდის პირის პასუხების შეფასება

	OD	ED	ND
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			
21			
22			
23			
24			

პროფილების ცხრილი

	OD	ED	ND	ჯამი	%	St. სტანდარტი
E						
I						
M						
ჯამი						
%						
სტანდარტი	20	50	30			

ნიმუშები

E= =%

EI= =%

EE= =%

II= =%

MI= =%

ჩატარების ზოგადი ნიმუში:

ტენდენციები

1.

2.

3.

4.

5.

მიღებული მონაცემების დამუშავების ნიმუში

ცხრილი პროცენტებში გადაანგარიშებისთვის

0,5 = 2,1%	8,5 = 35,4%	16,5 = 68,7%
1,0 = 4,2%	9,0 = 37,5%	17,0 = 70,8%
1,5 = 6,2%	9,5 = 39,5%	17,5 = 72,9%
2,0 = 8,3%	10,0 = 41,6%	18,0 = 75,0%
2,5 = 10,4%	10,5 = 43,7%	18,5 = 77,1%
3,0 = 12,5%	11,0 = 45,8%	19,0 = 79,2%
3,5 = 14,6%	11,5 = 47,9%	19,5 = 81,3%
4,0 = 16,6%	12,0 = 50,0%	20,0 = 83,3%
4,5 = 18,7%	12,5 = 52,1%	20,5 = 85,4%
5,0 = 20,8%	13,0 = 54,2%	21,0 = 89,6%
5,5 = 22,9%	13,5 = 56,2%	21,5 = 89,6%
6,0 = 25,0%	14,0 = 58,3%	22,0 = 91,6%
6,5 = 27,0%	14,5 = 60,4%	22,5 = 93,7%
7,0 = 29,1%	15,0 = 62,5%	23,0 = 95,8%
7,5 = 31,2%	15,5 = 64,5%	23,5 = 97,9%
8,0 = 33,3%	16,0 = 66,6%	24,0 = 100%

ინტერპრეტაცია

პროფილების ცხრილი

	OD	ED	ND
1	E'		
2	E'/		i/
3			e
4		M/	i/
5			i
6	M'		
7		E	
8		E	
9			e/m
10		E	
11		M	
12			i/m
13		E	
14		M/	m
15	E'		
16		I/	i/
17			i
18	E'/		e/
19		I	
20		E	e
21	E'/		
22		E	

	OD	ED	NP	ჯამი Σ	%	St. სტანდარტი
E	4,5	6,0	2,0	12,5	52,1	40
I	–	1,5	4,5	6,0	25	30
M	1,5	2,5	1,5	5,5	22,9	30
ჯამი	6,0	10,0	8,0	24		
%	25,0	41,6	33,3			
სტან-დარტი	20	50	30			

C – E ნიმუშები

E = = %
I = = %
E+I = = %
I-I = = %
M+I = = %

სრული ნიმუში
E > (E'=i) M > e > (M'-I=m)
//// 0, 5 / 0, 5 / /0,5
CGR = 70,8%

პასუხები სიტუაციებზე

1. ღმერთო! ეს რა არის?
2. ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ... ვეცდები ასეთივე ვიყიდო.
3. მე ვთხოვ ქალბატონს ოდნავ გვერდზე გადგეს.
4. ვხედავ, როგორ ხარ დამწუხრებული. ვერაფერს იზამ, სხვა რამით წავალ...
5. მოდით, კიდევ ერთხელ ვნახოთ.
6. საშიში არაფერია!
7. არა.
8. რატომაც არა? წავალ.
9. როდის შეგიძლიათ შემდეგ მომცეთ?
10. არასდროს არ ვიცოდი და ვფიქრობ, რომ არ ვიცი.
11. კარგით... გპატიობ.
12. ხვალ გავცვლით...
13. თქვენ არ აფასებთ მომსვლელთა დროს!
14. იქნებ, რამე მოხდა? მოდით, დაველოდოთ ცოტა ხანი!
15. ძალიან ვწუხვარ... ისე მინდოდა მენახა!
16. მაპატიეთ, რემონტთან დაკავშირებით დაგეხმარებით...
17. სახლში მეზობლები არიან... იქნებ, კიდევ გენახათ?
18. მაპატიეთ, ჩავფიქრდი...
19. და რატომ უნდა მოგიწიოთ მან?
20. ძალიან ვწუხვარ... რომელ საავადმყოფოში წევს ის?
21. მაღლობა ღმერთს არა.

გ. ს. მ. ———————

ტენდენციები

$$E' = \frac{1,5-3,0}{4,5} = \frac{15}{45} = \frac{1}{3} \times 100\% = -33\%;$$

$$E = \frac{3-3}{6} = 0$$

$$I = \frac{0-1,5}{1,5} = 0$$

$$i = \frac{2,5-2}{4,5} = \frac{5}{45} = \frac{100}{9} \times 100\% = -11\%;$$

$$M' = \frac{1-0,5}{1,5} = 33\%$$

$$M = \frac{1,5-1}{2,5} = 20\%$$

$$m = \frac{1-4,5}{5,5} = \frac{35}{55} = -\frac{35}{55} = -\frac{7}{11} \times 100\% = -66,6\%;$$

1. CGR დაანგარიშება ხდება პასუხების შედარებით CGR გასაღებთან (ტარაბრინას მიხედვით), შემდეგ დამთხვევათა რაოდენობა ორმაგდება და მიღებული რიცხვის გადაყვანა ხდება პროცენტებში ცხრილის მიხედვით.

2. ტენდენციების დათვლა ასე ხდება:

1) იანგარიშება სიმბოლოების შეხვედრა (E', M და ა.შ.) 13 პუნქტამდე (სიტუაციამდე);

2) შემდგომ მე-13 პუნქტის შემდეგ;

3) პირველ რიცხვს აკლდება მეორე და იყოფა მათ ჯამზე;

4) შემდეგ რიცხობრივი მნიშვნელობების გადაყვანა ხდება პროცენტებში ცხრილის მიხედვით.

ნახატოვანი ტესტი „საძმიანი სიტუაციები"

ტესტი წარმოადგენს ს. როზენცვეიგის ასოციაციურ-ნახატოვანი ტექსტის მოდიფიკაციას, რომელიც შემოთავაზებულია ნ.გ. ხიტროვის მიერ. აეტორმა შექმნა ფრუსტრაციაზე რეაქციების ტიპოლოგია, რომელიც საფუძვლად უდევს პიროვნების ემოციური ქცევის შეფასებებს დაძაბულ პირობებში, გადაწყვეტილების მიღების სიტუაციაში.

პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებების კომპლექსური შესწავლა, რომელიც განეკუთვნება ადამიანის სოციალური ქცევის რეგულაციას შრომის პროცესში, საჭიროებს მისი ქცევის შეფასებებს გადაწყვეტილების მიღების სიტუაციაში, ამას მოწმობს ინჟინერთა, პირველ რიგში კი, ხელმძღვანელთა ექსპერიმენტული კვლევები.

სხვადასხვა სტატუსის მქონე ჯგუფების ინჟინერთა ეტალონური მოდელების შესწავლამ, მათი შემოქმედებითი აქტიურობის დიაგნოსტიკამ მოითხოვა ექსპერიმენტული კვლევის პროგრამაში ტესტური მეთოდიკების გამოყენებასთან ერთად, ჩართულიყო სოციალურ-ფსიქოლოგიური უნარების, პიროვნული მახასიათებლების დიაგნოსტიკის მეთოდები და ასევე პიროვნების ჯგუფური შეფასება და ტესტი „საქმიანი სიტუაციები".

მეთოდიკაში ნახატების შინაარსი შეცვლილია ისე, რომ ფრუსტრაციული რეაქციები უმეტესად არაპირდაპირ განპირობებულია სოციალური კონ-

ტექსტით და ინჟინერის პიროვნება ძირითადად ნაკლებია შრომითი საქმიანობის, მათ შორის, მმართველობითი საქმიანობის პირობებში.

მეთოდიკის ტესტური მასალა შედგება 20 ნახატისგან, რომლებიც გამოსახავენ საწარმოო პირობებში არსებულ კონფლიქტურ სიტუაციებს. თითოეულ ნახატზე ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს სიტყვებს, რომლებიც ართულებენ საქმიანობას და ახდენენ თანამოსაუბრის ფრუსტრირებას. ცდის პირის ამოცანაა პასუხი ჩამოყალიბება, რომელიც მისი თვალსაზრისით, არის კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციის ადექვატური. ექსპერიმენტის პროცედურა შემდეგია: ცდის პირებს ეძლევათ ბროშურა ნახატებით და ფურცელი პასუხებისთვის. ექსპერიმენტატორი სთხოვს მას პასუხების ფურცელში მიუთითოს გვარი, სახელი და სხვა აუცილებელი მონაცემები, შემდეგ კი გადმოსცემს ინსტრუქციის შინაარსს.

ინსტრუქცია

ბროშურაში არის 20 ნახატი, რომელთაგან თითოეულზე გამოსახულია 2 მოსაუბრე ადამიანი. ის, რასაც პირველი ადამიანი ამბობს, ჩაწერილია კვადრატში მარცხნივ. წარმოიდგინეთ, რომ პასუხს გასცემს სხვა ადამიანი ამ სიტუაციაში. ჩაიწერეთ ყველაზე პირველი პასუხი, რომელიც თავში მოგივათ პასუხების ფურცელზე შესაბამისი ნომრის ქვეშ. იმუშავეთ, რაც შეიძლება უფრო სწრაფად. თუ ცდის პირებს არა აქვთ კითხვების ექსპერიმენტის ჩატარების პროცედურაზე, მათ სთავაზობენ დავალების შესრულების დაწყებას.

ექსპერიმენტის შედეგების დამუშავების წესი, ს. როზენცვეიგის ფრუსტრაციულ-ნახატოვან ტესტში პასუხების ანალიზის ანალოგიურია: სპეციალური გასაღების მეშვეობით ცდის პირთა პასუხები მოცემული თავისუფალი ფორმით, კლასიფიცირებული ხდება ექსპერიმენტატორის მიერ ავტორის ტიპოლოგიის თანახმად. ინდივიდუალური შეფასებები შედის ოქმში და ჯამდება, საბოლოო სახით წარმოადგენს რა ცდის პირის ემოციური რეაქციების ტიპსა და მიმართულებებს.

დაბრკოლებით-დომინანტური ტიპის (OD) ცდის პირთა რეაქციების კომპლექსი, როცა მოპასუხის ყურადღება კონცენტრირებულია თავად დაბრკოლებაზე, მოიცავს შემდეგ ნიშანთვისებებს;

1. E' (დაბრკოლების არსებობის ხაზგასმა, უარის თქმა პრობლემის გადაწყვეტაზე) უკავშირდება მაღალ თვითკრიტიკულობასა და მომთხოვნელობას საკუთარ თავისადმი და მოქმედებებისადმი მაღალი სტატუსის სპეციალისტებში; რიგითი ინჟინრები მისდევენ ამ ქცევით ტაქტიკას, კოლეგების მიერ ხასიათდებიან, როგორც უინიციატივონი, არაენერგიულები, დაბალი კომუნიკაბელურობით, არ არიან მიდრეკილნი დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ამოცანა.

2. I' (მაფრუსტრირებელი სიტუაცია პიროვნების მიერ ინტერპრეტირებულია, როგორც თავისებური სახის კეთილდღეობა; ან პასუხის გამცემი განმარტავს მისი სირთულის ხარისხს სიტუაციაში მესამე პირების ჩართულობის გამო); სპეციალისტები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ სიტუაციის გადაჭრის ამ ხერხს, გარშემომყოფების მიერ აღიქმება, როგორც გონების კრიტიკულობით გამორჩეული ოპერატიული მუშაკები და რომელთაც შეუძლიათ პრობლემის სიაზლის დანახვა, თუმცა ექსპერტთა სიმპათია მათ მხარეზე არაა.

3. M' (მაფრუსტრირებელი სიტუაციის მინუსები არ აღინიშნება მისი არსებობის სრულ უარყოფამდე); ასეთი სახის შემრიგებლური პოზიცია კოლეგების მიერ მიეწერება უინიციატივო ხელმძღვანელებს, რომელთაც გააჩნიათ მთელი რიგი ორგანიზატორული ნაკლოვანებები, მაგალითად, უუნარობა დააინტერესონ ადამიანები, შექმნან შრომითი ატმოსფერო და ა.შ. ორგანიზატორული პასიურობა შეიძლება იყოს მუშაკის მაღალი პროფესიონალიზმის, ინდივიდუალურ შემოქმედებით საქმიანობისკენ მიდრეკილების შედეგი. პიროვნული მაჩვენებლებით ეს შეიძლება იყვნენ საკუთარ თავში ჩაკეტილი, თვითკმარი და დამოუკიდებელი ადამიანები ან ისინი, რომლებიც არ იყენებენ ძალისხმევას გრძნობებისადმი დაქვემდებარებული ჯგუფური მოთხოვნების შესასრულებლად.

თვითდაცვითი ტიპის (ED) ცდის პირთა რეაქციების კომპლექსი, როცა მოპასუხე პირის აქტიურობა მიმართულია საკუთარი პიროვნების დაცვაზე, მოიცავს.

1. E (მტრობა, გაკიცხვა, სარკასტული გამოსვლები, მიმართული ვინმეს გარემოცვის წინააღმდეგ); ასეთი სახის რეაქციები დამახასიათებელია თვითდარწმუნებული, რეალისტურად განწყობილი, გარშემომყოფებისადმი დაბალი მგრძნობელობის მქონე ადამიანებისთვის. ცხადია, ჩამოთვლილი მახასიათებლები ქმნიან წინაპირობას ისეთი საქმიანი თვისებების რეალიზაციისთვის, როგორიცაა ახლის დანერგვის, წარმოებაზე გულისტკივილის, ამოცანის გადაწყვეტისადმი რაციონალურად მიდგომის უნარი.

2. E (საკუთარი დანაშაულის, ჩადენილ საქციელზე პასუხისმგებლობის უარყოფა); ეს მაჩვენებელი, სპეციალისტთა აზრით, უკავშირდება უპირატესად

ხელმძღვანელის უუნარობას იმუშაონ კაღრებთან, სწორად წაახალისონ და დასაჯონ ისინი, ადამიანების უპატივცემულობას, რაც, თავის მხრივ, იწვევს გარშემომყოფთა ანტიპათიას. ამგვარი ქცევითი გამოვლინებების უკან დგას ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღებაში, სხვათა აზრის გათვალისწინების სურვილის არქონა, კონსერვატიზმი.

3. I (საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება მომხდარზე); ამგვარ ქცევას უპირატესობას ანიჭებენ გულუბრყვილო, დამთმობი, სხვებზე მზრუნველი, კეთილსასურველი, სხვებისთვის გზის დამთმობი, ასევე მორცხვი, კონფორმული, ხშირად დანაშაულის საკუთარ თავზე ამღები ადამიანები; გარშემომყოფთა აზრით, ეს ადამიანები არიან თვითკრიტიკულნი, პასუხისმგებლობის უნარის მქონენი, მაგრამ რამდენადმე შემცირებული შემოქმედებითი და რაციონალური პოტენციალით ამოცანების გადაწყვეტაში.

4. I (სუბიექტი, უშვებს რა თავის ბრალეულობას, უარყოფს პასუხისმგებლობას შემამსუბუქებელ გარემოებებზე მითითებით); ამგვარ ტაქტიკას უჭერენ მხარს სპეციალისტები დომინირებადი ვიწრო საწარმოო მიმართულებით, რომელთაც შეუძლიათ ორიენტირება სამუშაოზე, მაგრამ დაქვითებული აქვთ ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო უნარები, მათი მაღალი საკომუნიკაციო თვისებების მიუხედავად.

5. M (მაფრუსტრირებელ სიტუაციაში ჩართული რომელიმე პირის გამო პასუხისმგებლობა დაყვანილია მინიმუმამდე, სიტუაცია განიხილება, როგორც გარდაუვალი); ტოლერანტული ქცევა გართულებულ ვითარებაში უკავშირდება ისეთ პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა დამოუკიდებლობა ქცევასა და მსჯელობაში, მდიდარი წარმოსახვითა და შემოქმედებითი მიდგომით ამოცანის გადაწყვეტისადმი, ასევე კარგი სიტყვიერი მარაგითა და სპეციალისტის კულტურის მაღალი დონით.

გადამწყვეტი ტიპის (NP) ცდის პირთა რეაქციების კომპლექსი, რთცა სუბიექტის აქტიურობა მიმართულია ძნელი სიტუაციიდან კონკრეტული გამოსავლის ძიებაზე, მოიცავს:

1) e (მოთხოვნა, მოლოდინი ვინმესგან გადაწყვიტოს მაფრუსტრირებელი სიტუაცია); კონფლიქტის გადაწყვეტის ასეთი გზა გამოარჩევს ქმედით, სოციალური კონტაქტებისკენ მიდრეკილ, აქტიურ, ემოციური ლიდერობისკენ განწყობილ ადამიანებს; ექსპერტები აღნიშნავენ მათ ოპერატიულობას, ავტორიტეტულობას კოლექტივში, ინიციატიიანობას;

2) i (სუბიექტი ცდილობს თვითონ გადაწყვიტოს მაფრუსტრირებული პრობლემა); ეს ფაქტორი უკავშირდება პიროვნების მაღალ ემოციურ სტაბილურობას და მოწმობს მოვალეობის განვითარებულ გრძნობაზე, სპეციალისტის მაღალ პასუხისმგებლობის უნარზე, თუმცა, ასეთი სახის რეაქციების მაღალი პროცენტი უკავშირდება საორგანიზაციო ნიჭის რამდენადმე შემცირებულ საექსპერტო შეფასებებს, მაგალითად, სამუშაოს სწორად განაწილების უნარს, ადამიანებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უუნარობას.

3) m (გამოიხატება იმედი, რომ დრო, ბუნებრივი სახით მიმდინარე მოვლენები გადაჭრიან პრობლემას); ამ ნაყოფიერ ტაქტიკას ემხრობიან ინჟინრები განვითარებული ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული უნარით, განსაკუთრებით კი, სამუშაოს სწორად განაწილების, ასევე სამართლიანად წახალისებისა და დასჯის უნარით; მათ ასევე გამოარჩევს ისეთი პიროვნული თვისებების შეთავსება ჰარმონიულად, როგორიცაა შეუპოვრობა, პასუხისმგებლობა, სავალდებულობა, კონფორმულობა, სხვა ადამიანების აზრებისა და ინტერესებისადმი ყურადღება.

მეთოდიკა „საქმიანი სიტუაციები" წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც მიმართულია მმართველობითი საქმიანობის განხორციელების წინაპირობათა შესწავლაზე და რომელიც ახდენს დაძაბული კონფლიქტური სიტუაციის გადამწყვეტი ხერხების ინდივიდუალური კომბინაციის დემონსტრირებას. თუმცა, პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლებისა და ინჟინერის ინტელექტუალური პოტენციალის ცოდნის გარეშე არ შეიძლება ადექვატურად შეფასდეს მისი მმართველობითი საქმიანობა და მოხდეს მისი შესაძლებლობების სწორი პროგნოზი. მოცემულ მეთოდიკას გააჩნია პროგნოსტული ძალა რიგითი და წამყვანი ინჟინრების ადმინისტრაციულ-მმართველობითი თავისებურებების განსაზღვრისას, იძლევა დამატებით ინფორმაციას რეზერვში წამოყენებისას და ასევე წარმოადგენს სასარგებლო ინსტრუმენტს ხელმძღვანელის მმართველობითი საქმიანობის დონის განსაზღვრისთვის.

მეთოდიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინდივიდუალური მუშაობისთვის და ასევე ჯგუფური ექსპერიმენტის პირობებში 20-25 ცდის პირის ერთდროული მონაწილეობისას. როგორც წესი, ექსპერიმენტის ჩატარების ინდივიდუალური ფორმა მეტ ინფორმაციას აძლევს მკვლევარს, რამდენადაც არის შესაძლებლობა გამოვლინდეს პასუხის ემოციური ელფერი, დაზუსტდეს მაფრუსტრირებელ ვითარებაზე რეაგირების გარკვეული თავისებურებები. არაა გამორიცხული ზეპირი პასუხების

მიღების შესაძლებლობა მათი შემდგომი ფიქსირებით ფსიქოლოგ-ექსპერიმენტატორის მიერ. ინსტრუქცია. ითვალისწინებს დროის შეზღუდვას ცდის პირის მიერ ტესტის შესრულებისას, ინდივიდისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური, უშუალო რეაქციის გამოვლენის მიზნით. ტესტის შესრულების საშუალო დრო 25 წთ. შეადგენს.

მეთოდიკასთან მუშაობის პროცესში შექმნილია სტანდარტული პასუხების ცხრილი ანუ იმ პასუხების, რომლებიც ყველაზე ხშირია გარკვეულ სიტუაციაზე (40%-დან). ამისათვის, გამოყენებულია ქ. კრასნოგორსკის კომბინატის 120 ინჟინრიდან არჩევითი შედეგები (თანაბრადაა ქალებიც და კაცებიც); თითოეულ ქვეამონაკრებში შედიოდა სხვადასხვა თანამდებობრივი სტატუსის 20 წარმომადგენელი: რიგითები, წამყვანი ინჟინრები და ხელმძღვანელები. დაანგარიშებულ იქნა გამოყოფილი ფაქტორების სიხშირეები, რომლითაც ფასდება ცდის პირთა პასუხები ტესტის თითოეულ სიტუაციაზე. შემდგომ დაანგარიშება ხდებოდა არჩევის თანაბარი ალბათობის მოსაზრებებიდან გამომდინარე ბინომინალური განაწილების ფორმულის გამოყენებით. საანგარიშო ფაქტორების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (0,01% დონეზე) ალბათობით გამოვლენამ განაპირობა კონკრეტული სიტუაციისთვის დამახასიათებელი პასუხები.

სტანდარტული პასუხების ამგვარად მიღებული ცხრილი ემსახურება ჯგუფური ადაპტაციის ინდივიდუალური კოეფიციენტის (ჯაკ) გაანგარიშებას, რომელიც ს. როზენცვეიგის აზრით, წარმოადგენს პიროვნების კომუნიკაციური თვისებების, ემოციური რეაგირების ჩვევების მაჩვენებელს.

ტესტის „საქმიანი სიტუაციები" ვალიდობა განისაზღვრებოდა იმ ამონაკრებზე მიღებული შედეგების შეჯერებით, რომელიც შედგებოდა ქ. ვილნიუსის ერთ-ერთი საწარმოს 40 ხელმძღვანელისგან, ს. როზენცვეიგის ფრუსტრაციულ-ნახატოვანი ტესტის ჩატარების შედეგებთან ერთად, სპეციალისტთა იმავე ამონაკრებზე. კორელაციურმა ანალიზმა გამოავლინა დადებითი კავშირების მეთოდიკების იდენტურ ფაქტორებს შორის, ამასთან, ყველაზე მჭიდრო კავშირები აღმოჩენილ იქნა E, E, I ფაქტორებზე გამოვლენილ მაჩვენებლებს შორის. მოცემული ფაქტი მოწმობს იმას, რომ მეთოდიკა „საქმიანი სიტუაციები" ავლენს იმავე ნიშნებს, რასაც მის საფუძველში ჩადებული ნახატოვანი ასოციაციების მეთოდი.

ტესტის „საქმიანი სიტუაციები" ვალიდობა ასევე მტკიცდება მისი შედეგების იმ პიროვნების ჯგუფური შეფასების მონაცემებთან შეჯერების გზით, რომელიც ასახავს კოლექტივის აზრს. სამუშაო ჩატარდა ქ. კრასნოიარსკის ერთ-ერთი კომბინატის ინჟინერთა ამონაკრებზე – 111 ადამიანზე. მიღებული მონაცემები მოყვანილია ქვემოთ, ძირითადი ქცევითი რეაქციების შინაარსის აღწერაში და ამტკიცებს „საქმიანი სიტუაციის" მეთოდიკის ვალიდობას ტესტის მაჩვენებლების უმრავლესობის მიხედვით.

ცხრილი 25

ტესტში „საქმიანი სიტუაციები" პასუხების შეფასებისას გამოყენებული სიმბოლოების აზრობრივი შინაარსის აღწერა

	OD რეაქციების დაბრკოლებით-დომინანტური ტიპი (დაბრკოლებაზე ფიქსაციით)	ED რეაქციის თვითდაცვითი ტიპი (საკუთარი პიროვნების დაცვაზე ფიქსაციით)	NP რეაქციის გადაწყვეტი ტიპი (სიტუაციის გადაწყვეტაზე ფიქსაციით)
E	E'. პასუხში ხაზგასმულია ფრუსტრირების გრძნობა, ინდივიდის აქტიურობა მიმართულია დაბრკოლების შესახებ ინფორმაციის განცდაზე მაგალითი: „ეწუხვარ", „აი, მარცხი".	E. პასუხში გამოიხატება კიცხვა, მტრობა ვინმეს მიმართ გარეშეოცვაში, ბრალდებები, სარკასტული შეტევები. მაგალითი. „ეშმაკმა დალახვროს", „ჩვენ თქვენს გამო ჩაბარების თარიღი უნდა გადავწიოთ..." E. ცდის პირი აქტიურად უარყოფს თავის დანაშაულს ჩადენილი დანაშაულის გამო. მაგალითი. „არასდროს არ ვიძლევი იმის პირობას, რასაც ვერ შევასრულებ".	e. პასუხში საჭიროა, არის მოლოდინი ან აშკარად იგულისხმება ამ სიტუაციის გადაწყვეტა. მაგალითი. „ეს თქვენ გჭირდებათ ამ საკითხის გადაწყვეტა".

ცხრილი 25-ის გაგრძელება

	OD რეაქციების დაბრკოლებით-დომინანტური ტიპი (დაბრკოლებაზე ფიქსაციით)	ED რეაქციის თვით-დაცვითი ტიპი (საკუთარი პიროვნების დაცვაზე ფიქსაციით)	NP რეაქციის გადამწყვეტი ტიპი (სიტუაციის გადაწყვეტაზე ფიქსაციით)
I	I'. მაფრუსტრირებელი სიტუაცია განიმარტება, როგორც ხელსაყრელ-სასარგებლო, კმაყოფილების მომტანი ან დასჯის ღირსი მაგალითი. „ბრწყინვალე დამთხვევაა. მეც არ მაქვს დრო". ბრალდების სიტუაციებში ჩნდება პასუხები, რომლებშიც გამოიხატება მოპასუხის შეცბუნება ან წუხილი იმაზე, რომ ის გახდა უსიამოვნების მიზეზი. მაგალითი. „ვიმედოვნებ, რომ ჩემზე გაბრაზებული არ ხართ".	I. აგრესია გაკითხვის, განსჯის ფორმით ან საკუთარ თავზე მიმართულია დამცირება. მაგალითი. „მაპატიეთ, ღვთის გულისათვის", „მე მართლაც დამნაშავე ვარ მომხდარში". I. სუბიექტი აღიარებს რა თავის დანაშაულს, უარყოფს პასუხისმგებლობას, დასახმარებლად იშველიებს შემამსუბუქებელ გარემოებებს. მაგალითი. „კი, მაგრამ მე ხომ არ მინდოდა..."	i- სუბიექტი თვითონ ცდილობს მაფრუსტრირებელი პრობლემის გადაწყვეტას. მაგალითი. „საკუთარ თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას ამ სიტუაციის გამოსწორებაზე".
M	M'. მაფრუსტრირებელი სიტუაციის სირთულეები არ აღინიშნება ან დაიყვანება მის სრულ უარყოფამდე მაგალითი. „საშიში არაფერია, მე ის უკვე წაიკითხე".	M. მაფრუსტრირებელ სიტუაციაში მყოფი პირის პასუხისმგებლობა დაყვანილია მინიმუმამდე, თავიდან აცილებულია განსჯა. მაგალითი. „არაფერია, შეცდომებზე სწავლობენ".	m. პასუხში გამოიხატება იმედი, რომ დრო, მოვლენების ნორმალური განვითარება გადაწყვეტს პრობლემას, უბრალოდ ლოდინია საჭირო ან ურთიერთგაგება და ურთიერთდათმობა აღმოფხვრის მაფრუსტრირებელ სიტუაციისათვის. მაგალითი. „მოდით, მშვიდად დავილაპარაკოთ, დავფიქრდეთ".

ბლანკი შედეგების დამუშავებისათვის

ცხრილი 26

პროფილების ცხრილი

	OD	ED	ND
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			

ცხრილი 27

გვარი
თანამდებობა
t=
ობიექტი

0,5=2,5%	5,5=27,5%
1,0=5,0%	6,0=30,0%
1,5=7,5%	6,5=32,5%
2,0=10,0%	7,0=35,0%
2,5=12,5%	7,5=37,5%
3,0=15,0%	8,0=40,0%
3,5=17,5%	8,5=42,5%
4,0=20,0%	9,0=47,5%
4,5=22,5%	9,5=47,5%
5,0=27,5%	10,0=50,0%

ცხრილი 27-ის გაგრძელება

10,5=52,5%	15,5=77,5%
11,0=55,0%	16,0=80,0%
11,5=57,5%	16,5=82,5%
12,0=60,0%	17,0=85,0%
12,5=62,5%	17,5=87,5%
13,0=65,0%	18,0=90,0%
13,5=67,5%	18,5=92,5%
14,0=70,0%	19,0=95,0%
14,5=72,5%	19,5=97,5%
15,0=75,0%	20,0=100%

	OD	ED	NP	Σ	%
E					
I					
M					
Σ				ჯაკ=	
%					

ცხრილი 28

სტანდარტული პასუხების ცხრილი

	OD	ED	ND
1	E'		E
2			
3			
4			Em
5			Im
6		E	E
7		I	
8			
9		E E	
10		E	
11			E
12	I'	I	
13			
14		M'	M
15			Im
16			I
17			M
18			
19			M
20		M	E

ცხრილი 29

საშუალო შეფასებების გადატანის ცხრილი, „საქმიანი სიტუაციის" მეთოდიკის მიხედვით

ჯგუფი	n	E'	I'	M'	E	E	I	I	M	e	I	m	OD	ED	NP	E	I	M	IM
ხელმძღვანელები	ქ	11	1,42	1,24	1,24	2,66	1,18	0,61	1,26	2,28	3,42	1,8	2,85	20%	40%	40%	43,5%	25%	31,5%
	მ	153	1,06	1,27	1,06	2,47	1,16	1,76	0,88	1,93	3,74	2,57	2,97	17%	36,3%	46,7%	42,4%	27,5%	30%
		164	1,08	1,27	1,07	2,47	1,16	0,75	0,91	1,95	3,74	2,51	2,97	17%	36,5%	46,5%	42,6%	27,4%	30%
წამყვანები	ქ	28	1,26	1,48	1,18	2,12	1,11	0,71	0,84	2,14	2,96	2,53	3,24	20%	35%	45%	38%	28,4%	36,6%
	მ	57	1,36	1,19	1,29	2,63	0,85	0,48	1,05	2,34	3,08	2,14	3,39	20%	36,7%	43,3%	40%	25%	35%
		85	1,33	1,36	1,25	2,47	0,92	0,55	0,98	2,27	3,06	2,26	3,36	20%	36,3%	43,7%	39,3%	26%	34,7%
რიგითები	ქ	202	1,44	1,39	1,08	2,59	1,20	0,82	0,98	2,16	2,93	2,43	2,97	19,5%	39%	41,5%	41%	28%	21%
	მ	89	1,12	1,21	1,24	2,60	1,21	0,83	1,11	2,17	3,17	2,19	3,05	18%	40%	42%	40,7%	27%	32,3%
		291	1,34	1,33	1,13	2,59	1,21	0,82	1,02	2,17	3,00	2,36	2,99	19%	39,2%	41,8%	40%	28%	32%
ქალები		241	1,42	1,39	1,10	2,54	1,19	0,80	0,98	2,17	2,96	2,42	3,00	19,6%	38,4%	42%	40,6%	28%	31,4%
კაცები		299	1,14	1,26	1,16	2,55	1,12	0,73	0,99	2,08	3,46	2,38	3,30	17,8%	37,4%	44,8%	41,4%	26,8%	31,8%
		540	1,27	1,36	1,13	2,55	1,15	0,76	0,98	2,12	3,23	2,39	3,05	18,6%	38%	43,4%	41%	27,3%	31,7%

ცხრილი 30

ცოცხალი შეფასებების სასკალო შეფასებებში გადატანის ცხრილი
„საქმიანი სიტუაციების“ მეთოდიკის მიხედვით. ქალების ამონაკრები

სასკალო										
შეფასება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფაქტორი	ცოცხალი									
E'	0	–	0,5	1,0	1,5	2,0	2,5	3,0	3,5–4	4,5 და >
I'	0	–	0,5	1,0	1,5	2,0	2,5	3–3,5	4–4,5	5,0
M'	0	–	–	0,5	1,0	1,5	2,0	2,5–3	3,5	4,0
E	0–0,5	1,0	1,5	2,0	2,5	3–3,5	4,0	4,5–5	5,5–6	6,5
E	0	–	–	0,5	1,0	1,5	2–2,5	3–3,5	4–4,5	5,0
I	0	–	–	0,5	1,0	1,5	2,0	2,5–3	3,5–4	4,5
I	0	–	–	0,5	1,0	1,5	2,0	2,5–3	3,5–4	4,5
M	0	0,5	1,0	1,5	2,0	2,5	3–3,5	4–4,5	5–6	6,5
e	0–0,5	1,0	1,5	2,0	2,5–3	3,5	4–4,5	5–5,5	6–6,5	7,0
i	0	0,5	1,0	1,5	2,0	2,5	3–3,5	4–4,5	5–5,5	6,0
m	0–0,5	1,5	1,5	2,0	2,5–3	3,5	4–4,5	5–5,5	6–6,5	7,0

ცხრილი 31

ცოცხალი შეფასებების სასკალო შეფასებებში გადატანის ცხრილი
„საქმიანი სიტუაციების“ მეთოდიკის მიხედვით. მამაკაცების ამონაკრები

სასკალო										
შეფასება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფაქტორი	ცოცხალი									
E'	0	–	0,5	0,5	1,0	2–2,5	2,5	3–3,5	4–4,5	4,5 და >
I'	0	–	0,5	–	1,0	2,5	2,5	3–3,5	4–4,5	5,0
M'	0	–	–	0,5	1,0	2,0	2,0	2,5	3–3,5	4,0
E	0–0,5	1,0	1,5	1,5–2	2,5	4–4,5	4,0	5–5,5	6–6,5	7,0
E	0	–	–	0,5	1,0	2,5–3	2–2,5	3,5–4	4,5–5,5	6,0
I	0	–	–	0,5	1,0	2,0	2,0	2,5–3	3,5–4	4,5
I	0	–	–	0,5	1,0	2,0	2,0	2,5–3	3,5–4,5	5,0
M	0	0,5	1,0	1,5	2,0	3–3,5	3–3,5	4,0	4,5–5	5,5
e	0–0,5	1,0	1,5	2–2,5	3–3,5	4,5–5	4–4,5	5,5–6	6,5–7	7,5
i	0	0,5	1,0	1,5	2,0	3–3,5	4–4,5	5–5,5	6–6,5	6,0
m	0–0,5	1,5	1,5	2,0	2,5–3	4,5–5	4–4,5	5–5,5	6–6,5	7,0

ცხრილი 32

საშუალო ცოცხალი შეფასებებისა და სტანდარტული გადახრების ცხრილი
„საქმიანი სიტუაციის“ მეთოდიკის მიხედვით

ფაქტორი / ჯგუფი	E'	I'	M'	E	E	I	I	M	e	i	m
ქალები M δ	1,4	1,6	1,2	2,9	1,3	0,8	1,1	2,2	3,1	2,2	3,1
	1,3	1,3	1,2	1,4	1,6	1,6	1,3	1,7	1,5	1,5	1,5
მამაკაცები M δ	1,0	1,3	1,1	2,8	1,2	0,8	0,9	2,2	3,6	2,3	3,1
	1,5	1,4	1,2	1,7	2,0	1,5	1,7	1,4	1,4	1,5	1,5

ტესტური მასალა მეთოდიკისადმი „საქმიანი სიტუაციები“



ასაკით, გამოცდილებით ვერ უშლის ჩარევებისგან
6.
ალბათ, ამ სიტყვებს გარშემო დასწრებიან ასე ამბობ. რომ ამისთვის ფსიქიკურ გადატვირთვაში მოქმედ ასოციაციაში.
7.
ეს საშინელებაა, ის არაფერზე ფიქრობს, არც ერთზე ვინმე ჯანსაღ ადამიანს.
8.


არაფერი ვთქვიდეს, ასეთისთვის ნაკლებ.
9.
ეს ეს ასოციაციის დაკარგვას შიშით ხელი უკანვე.
10.
ფსიქიკი გამოცდილება ადამიანისაგან ჯერჯერობით, ეთიკურ ასპექტიდან ფაქტი ფსიქიკი გამოცდილების გამოყენების აკრძალვა.
11.


12.
13.
14.


15.
16.
17.
OTK



მოთხრობების სერია ბავშვთა სამყარო

პრაქტიკოსებს შორის გაერცელებული აპერცეფციული მეთოდები მიმართულია ან უფროსებთან მუშაობაზე (თატ) ან გათვალისწინებულია სკოლამდელი ასაკისთვის. დიდი შენიშვნებით ისინი მისაღებია 7-8 წლის ასაკის ბავშვის პიროვნების თავისებურებების დიაგნოსტიკისთვის, მაგრამ გამოსადეგი არაა 9-11 წლის ბავშვებისთვის. მოცემული ტექნიკა ავსებს მეთოდური უზრუნველყოფის ამ ნაკლოვანებას ბავშვთა პრაქტიკული ფსიქოლოგიით.

მეთოდიკის სრული ვარიანტი შედგება 10 ბარათისგან სხვადასხვა სიტუაციის გამოსახულებით, რომლებიც სრულად არაა სტრუქტურირებული. მათგან ორი ნახატი (ნახ. 1 და 4) შესრულებულია 2 ვარიანტში (ბიჭებისა და გოგონებისთვის). ნახატები 7 და 8 გათვალისწინებულია მხოლოდ დიდი ან ჰოსპიტალიზებული ბავშვებისთვის და მიმართულია აეადმყოფებისადმი და საავადმყოფოში ყოფნისადმი დამოკიდებულების კვლევაზე. საავადმყოფოს გარეთ არსებულ ბავშვებს ეძლევათ ნახატები 1-6 და 9, 10; ვ. მიხალის მიერ შემოთავაზებული მეთოდიკის შეკვეცილ ვარიანტში — ნახატები 1,2,3 და 10.

ინსტრუქცია

შეხედე ამ ნახატებს. შენ უნდა გამოიცნო, თუ რას გამოხატავენ ისინი. იცი, როგორაა საბავშვო ჟურნალებში მოთხრობები ილუსტრაციებით? წარმოიდგინე, რომ ეს ნახატები იმ მოთხრობების ილუსტრაციაა, რომლებშიც საუბარია, თუ რაა სურათებზე გამოხატული, ვინ არიან მათზე გამოსახული ადამიანები, რა ხდება მათ შორის, რა იყო ადრე და რაა ახლა, ნახატზე გამოხატულ მომენტში, თუ რა იქნება შემდგომ, შენი აზრით, რითი დასრულდება ეს ისტორია.

შეხედე, ეს ნახატებიც კი არაა, არამედ მონახაზებია — ხედავ, ისინი ბოლომდე არაა დახატული. თუმცა, ეს უფრო საინტერესოა, შეიძლება ფანტაზიის გამოყენება, მოიფიქრო, რაც გინდა.

ტესტირების შემდეგ ბავშვთან შეიძლება ხანმოკლე გასაუბრება, მაგალითად, ეკითხოთ, რომელი ნახატები მოსწონს მას ყველაზე მეტად, რომელი ნაკლებად, რატომ და რისი დამატება სურდა მას, როგორ მოიქცეოდა ის ამგვარ სიტუაციაში.

მონაცემთა ინტერპრეტაცია

დეზადაპტაციის ნიშნები

1. ადამიანები ნახ. 1-3 ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი (არ წარმოადგენენ ოჯახს, თანაკლასელებს, მეგობრებს). მათ შორის მკვეთრი კონფლიქტური დამოკიდებულებებია.

დამოკიდებულებები პერსონაჟებს შორის ზედმეტად იდეალიზებულია, არათანაბარზომიერი კონფლიქტები, რომელთა გადაწყვეტაც შეიგებით ხდება.

2. მოთხრობები სრულდება ტრაგიკულად, უიმედოდ (ჰეფი ენდი წარმოადგენს ნორმალურ ნიშანს).

უჩვეულოდ მოკლე ან გრძელი სიუჟეტი შეიძლება იყოს არადამაჯერებლობის ან შფოთვის ნიშანი მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით.

სიუჟეტის მუდმივი ცვლილება, ადრე დაწყებულ თემაზე უარის თქმა, გასწორებები — შფოთვის ნიშანი,

ზედმეტი წვრილმანები, დეტალები, სიუჟეტური ხაზის უხეში დარღვევები.

3. სრულადაა გამორიცხული ან სუსტადაა გამოხატული რეალისტური მიდგომა:

1) ნაწილობრივ ვლინდება ფანტასტიკური მოტივები განსაკუთრებული და უცნაური სიუჟეტებით;

2) სჭარბობს უბედური შემთხვევების, ავარიების, დანაშაულების, დევნის, ავადმყოფობის, კატასტროფების მოტივები და ა.შ.

4. სადისტურ-მაზოხისტური მოტივები — მოთხრობებში არის ძლიერი ექსტრა- ან ინტროპუნიტური აგრესია; ბავშვურ ქცევებზე სასჯელი საკმაოდ მკაცრია; პერსონაჟები ავლენენ არამოტივირებულ სისასტიკეს.

5. პერსონაჟები ან გამოუსწორებლად ცუდები ან სტერილურად იდეალურები, იდეალისტურები არიან.

6. სტილიზაციის უჩვეულობა — ნეოლოგიზმები, ჟარგონები, ეულგარული სიტყვები.

კარგი ადაპტაციის ნიშნები

1. პერსონაჟები (ნახ. 1.) წარმოადგენენ ოჯახის წევრებს, მოთხრობები რეალისტურია, მცირე კონფლიქტები სრულდება მშვიდობიანად და ბუნებრივად, ბავშვის სასჯელი ზომიერია. იგულისხმება, რომ ორივე მშობელს უყვარს ბავშვი ერთნაირად ძლიერად.

ძალიან იშვიათია მოთხრობები, სადაც ბავშვი იდეალურია და არ აწუხებს მშობლებს, სადაც მშობლებს შორის სერიოზული კონფლიქტებია.

2. ურთიერთობები სკოლაში (ნახ.2).

ნახატზე გამოხატული ადამიანები ეკუთვნის სკოლის სოციალურ გარემოს ან ფორმალურ ჯგუფს (ესაა სკოლის კლასი).

ზომიერი კონფლიქტები უმრავლეს შემთხვევაში წყდება მშვიდად, სასჯელი ზომიერია.

დამოკიდებულება მასწავლებლისა და მოსწავლეებისადმი დადებითი, ცუდი ნიშნები — დამსახურებული, სამართლიანი.

3. ურთიერთობები ბავშვთა ჯგუფში (ნახ.3).

პერსონაჟები განეკუთვნებიან არაფორმალურ სოციალურ ჯგუფს (ბავშვების კომპანია).

კონფლიქტები ზომიერია, ძირითადად სრულდება შერიგებით, იშვიათად გაქცევითა თუ აგრესიით.

დამოკიდებულება ჯგუფის წევრებთან ძირითადად დადებითია.

სიტუაცია ხშირად წარმოდგენილია როგორც თამაში, უფროსების ჩარევა იშვიათია.

4. ნახ. 9. განხილვისას არის შიშის, შფოთვის თემა.

ნახატზე ბავშვთან იდენტიფიკაცია ცხადია.

შიშის გამოხატეა ზომიერია, ბოლოსდაბოლოს ბავშვი მას სძლევს თავისი ძალებით, დასასრული კარგია.

მიზეზი, რომლის მიხედვითაც ბავშვი სახლში მარტოა, რეალისტურია: მშობლები სტუმრად წავიდნენ, კინოში არიან, სძინავთ.

შიშის მიზეზი რეალისტურია, არაა ექსტრემალური (მოულოდნელად გაღებული ფანჯარა, ჭექა-ქუხილის ხმა, ცივი ქარის დაბერვა).

ტესტური მასალა მეთოდიკისადმი „საქმიანი სიტუაციები"



ნახ. 1ა



ნახ. 1ბ

ნახ. 2

ნახ. 3



ნახ. 4ა



ნახ. 4ბ

ნახ. 5

ნახ. 6



ნახ. 7



ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10

მოთხრობების თემატიკა

(ტესტის ტიპური შედეგების მაგალითები)

ნახატი 1

თემები	მოთხრობების რაოდენობა	%
ოჯახი ტყეშია სასეირნოდ	9	22,5
მცირე ოჯახური კონფლიქტი (მშობლები ბავშვს ტუქსავენ, დედისა და მამის გაყრა)	15	37,5
დიდმა ბიჭმა პატარას აწყენინა	11	27,5

„ისინი ტყეში წავიდნენ, დაიწყო წვიმა. მამა, დედა და გოგონა. ისინი დასველდნენ. დგანან და ფიქრობენ, სად გაშრნენ, რა უნდა გააკეთონ. შემდეგ წვიმა შეწყდა, მზე გამოჩნდა, ისინი ოდნავ გაშრნენ და სახლში წავიდნენ“ (ანა.ხ., 11 წლის).

ნახატი 2

თემები	მოთხრობების რაოდენობა	%
მასწავლებლისა და მოსწავლის საუბარი (ნეიტრალური, მათ შორის, დაფასთან გამოძახება)	12	30
სასკოლო კონფლიქტი (მასწავლებლები, მშობლები – მოსწავლე)	8	20
ექსკურსია	4	10

„მასწავლებელი უხმობს ბიჭს. ბიჭი ფანჯარასთან უყურებს მიმდინარე მოვლენას. ბოლოსდაბოლოს ბიჭი მიდის მასთან. უკან ბიჭი და გოგონაა. ბიჭი ფანჯარაში იყურება. ბიჭი მასწავლებელთან მიდის, ის ეტყვის მას, რა გააკეთოს“ (კოსტია მ., 12 წ.).

ნახატი 3

თემები	მოთხრობების რაოდენობა	%
ბიჭმა გოგოს აწყენინა	12	30
ბავშვების ნეიტრალური საუბარი	9	22,5
სხვა კონფლიქტები ბავშვებში	9	22,5

„ეს ბიჭია, მას ალიოშა ჰქვია. ეს საშაა, ეს კი ანდრეია. ისინი ფეხბურთის თამაშს აპირებენ. მოულოდნელად გოგონამ გაიარა, მასაც მოუნდა მათთან ერთად ფეხბურთის თამაში. ალიოშა ეკითხება გოგონას, შეუძლია თუ არა მას ფეხბურთის თამაში. „შემიძლია“ და ამბობს, რომ ის სახლში ფეხბურთს თამაშობს ძმასთან. მაშინ ალიოშამ და დანარჩენმა ბავშვებმა ის სათამაშოდ მიიღეს და მსაჯად დანიშნეს“ (ტანია, 12 წლის).

ნახატი 9

თემები	მოთხრობების რაოდენობა	%
ბიჭს შეეშინდა	8	20
ბიჭს ცივა (გაციება)	7	17,5
ოთახის განიავება	4	10

„ბიჭი დასაჯეს, ძილი აიძულეს. ის გაბრაზდა, მას სურს დაამტკიცოს, რომ არ დაემორჩილება მათ. მას აზრი მოუვიდა – ფანჯრიდან გადახტომა (ეს პირველი თუ მეორე სართულია), მაგრამ მას არ სიამოვნებს, რომ მშობლებმა ეძებონ. ის დგას, ფიქრობს, თუ კარგი ბიჭია, თუ უყვარს დედა და მამა, ამას არ გააკეთებს და შემდეგ მიხვდება, რომ ასეთ მდგომარეობაში ვერსად ვერ წაუა“ (ნინა კ., 11 წლის).

ტესტი „ოჯახის ნახატი“

ისტორიული ცნობა მეთოდიკის შესახებ

მიაჩნიათ, რომ ოჯახის ნახატის გამოყენების იდეა შიდაოჯახური ურთიერთობების დიაგნოსტიკისთვის გაუჩნდათ რიგ მკვლევარებს, მათ შორისაა, ვ. ხიულსის, ა.ი. ზახაროვის, ნ. კარმანის და სხვ. ნაშრომები.

ტესტის გამოყენების მიზანი: შიდაოჯახური ურთიერთობების თავისებურებათა გამოვლენა.

ამოცანები: გამოხატულების, კითხვებზე პასუხების საფუძველზე შეფასდეს ბავშვის მიერ ოჯახში დამოკიდებულებების აღქმისა და განცდების თავისებურებები.

ინსტრუქცია I. დახატე შენი ოჯახი. ამასთან, არაა რეკომენდირებული იმის განმარტება, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ოჯახი“, ხოლო თუ გაჩნდება კითხვები „რა დავხატოთ?“ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ ინსტრუქცია. ინდივიდუალური გამოკვლევისას ამოცანის შესრულების დრო ჩვეულებრივ 30 წთ-ია. ტესტის ჯგუფური შესრულებისას დრო ხშირად შემოიფარგლება 15-30 წთ-ის ფარგლებში.

ინსტრუქცია 2. დახატე შენი ოჯახი, სადაც ყველა თავისი საქმითაა დაკავებული.

ინსტრუქცია 3. დახატე შენი ოჯახი, როგორც წარმოგიდგენია.

ინსტრუქცია 4. დახატე შენი ოჯახი, სადაც ოჯახის თითოეული წევრი გამოხატულია ფანტასტიკური (არარსებული არსების) სახით.

ინსტრუქცია 5. დახატე შენი ოჯახი მეტაფორას, გარკვეული ხატის, სიმბოლოს სახით, რომელიც გამოხატავს თქვენი ოჯახის თავისებურებებს.

ინდივიდუალური ტესტირებისას ოქმში უნდა აღინიშნოს:

1) დეტალების დახატვის თანამიმდევრობა;
2) 15 წმ-ზე მეტი პაუზა;
3) დეტალების წაშლა;
4) ბავშვის სპონტანური კომენტარები;
5) ემოციური რეაქციები და მათი კავშირი გამოხატულ შინაარსთან.

დავალების შესრულების შემდეგ უნდა ვეცადოთ მივიღოთ დამატებითი ინფორმაციის მაქსიმუმი (ვერბალური გზით).

ჩვეულებრივ შემდეგი კითხვები ისმის:

1. თქვი, ვინაა დახატული?
2. სად არიან ისინი?
3. რას აკეთებენ ისინი? ვინ მოიფიქრა ის?
4. მათ უხარიათ თუ მოწყენილები არიან? რატომ?
5. ვინაა ყველაზე ბედნიერი დახატული ადამიანებიდან? რატომ?

ბოლო ორი კითხვა ახდენს ბავშვის პროეცირებას გრძნობების ღია განხილვაზე, რომელიც ყველა ბავშვს როდი შეუძლია. ამიტომ, თუ ის მათზე არ პასუხობს ან პასუხობს ფორმალურად, საჭირო არაა ექსპლიციტური პასუხის დაჟინება.

გამოკითხვის დროს ფსიქოლოგმა უნდა გაარკვიოს ბავშვის მიერ დახატული გრძნობის არსი: გრძნობები ოჯახის ცალკეული წევრების მიმართ, რატომ არ დახატა ბავშვმა რომელიმე ოჯახის წევრი (თუ ეს მოხდა). თავიდან უნდა ავიცილოთ პირდაპირი კითხვების დასმა პასუხის გაცემაზე დაჟინების გარეშე, რამდენადაც ამან შეიძლება გამოიწვიოს შფოთვა, დაცვითი რეაქციები.

ხშირად ნაყოფიერს წარმოადგენს პროექციული კითხვები (მაგალითად: „ჩიტის ნაცვლად ადამიანი, რომ იყოს დახატული, ეინ იქნებოდა ეს?“ „ვინ გაიმარჯვებდა ძმასა და შენს შორის შეჯიბრებებში?“ და ა.შ.).

ბავშვს შეიძლება მიეაწოდოთ ექსი სიტუაცია გადაწყვეტილების ასარჩევად: სამმა მათგანმა უნდა გამოაელინოს ნეგატიური გრძნობები ოჯახის წევრების მიმართ, სამმა — პოზიტიური.

1. წარმოიდგინე, რომ გაქეს ცირკის ორი ბილეთი. ვის დაპატიჟებდი?
2. წარმოიდგინე, რომ მთელი შენი ოჯახი სტუმრად მიდის, მაგრამ ერთ-ერთი თქვენგანი ავად გახდა და სახლში უნდა დარჩეს. ვინაა ის?
3. კონსტრუქტორისგან სახლს აშენებენ (ჭრი ქალალდის კაბას თოჯინასთვის) და არ გიმართლებს. ვის დაუძახებ დასახმარებლად?
4. შენ გაქვს... ბილეთები (ერთით ნაკლ;ყი, ეიდრე ოჯახის წევრებს) საინტერესო კინოსურათზე. ვინ დარჩება სახლში?
5. წარმოიდგინე, რომ უკაცრიელ კუნძელზე მოხვედი. ვისთან ერთად ისურვებდი იქ ცხოვრებას?
6. შენ საჩუქრად საინტერესო ლოტო მიიღე. მთელი ოჯახი სათამაშოდ დაჯდა, მაგრამ ერთით მეტი ადამიანი ხართ, ვიდრე ეს საჭიროა. ვინ არ ითამაშებს?

ტესტის „ოჯახის ნახატი“ დამუშავება ხდება შემდეგი სქემით

№	გამოყოფილი ნიშნები	აღნიშნები ნიშნების არსებობის შესახებ
1	ნახატის საერთო ზომა	
2	ოჯახის წევრების რაოდენობა	
3	ოჯახის წევრთა შესაბამისი სიდიდე: მამა დედა და ძმა პაპა ბებია და ა.შ.	
4	მანძილი ოჯახის წევრებს შორის. მათ შორის რაიმე ნიშნების არსებობა	
5	ცხოველთა არსებობა	
6	გამოხატვის სახე: სქემატური გამოხატვა, რეალისტური გამოხატვა, ესთეტიკური გამოხატვა. ინტერიერში, პეიზაჟის ფონზე და ა.შ. მეტაფორული გამოხატვა მოძრაობაში, მოქმედებაში. დადებითი ემოციების გამოვლენის ხარისხი (ქულებში 1, 2, 3...)	
7	შესრულების სიფაქიზის ხარისხი	

მოცემული ინსტრუქციით დავალების შესრულების დროს ფასდება ამა თუ იმ გამოხატულ სიტუაციებში ერთობლივი ძალისხმევის არსებობა ან არარსებობა, რა ადგილს უთმობს მათ ბავშვი, რომელიც ასრულებს ტესტს და ა.შ.

ტესტის „ოჯახის ნახატი" ინტერპრეტაცია

გამოხატვის თავისებურებების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს:

1) გამოხატულებითი კულტურის განვითარების ხარისხი, სახვითი მოქმედების სტადია, რომელზეც იმყოფება ბავშვი. გამოხატვის პრიმიტიულობა ან ხატების მკაფიოობა და გამომხატველობა, ხაზების დახვეწილობა, ემოციური გამომხატველობა. ესაა ის სახასიათო თვისებები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ნახატების განსხვავება;

2) ბავშვის მდგომარეობის თავისებურებები ხატვის დროს. ძლიერი დაშტრიხვა, მცირე ზომა ხშირად მოწმობს ბავშვის არახელსაყრელ ფიზიკურ მდგომარეობას, დაძაბულობის ხარისხს, შებოჭილობას და ა.შ. მაშინ როცა დიდი ზომა, მკვეთრი ფერების გამოყენება ხშირად მეტყველებს კარგ სულისკვეთებაზე, გულღიაობაზე, დაძაბულობისა და გადაღლის არარსებობაზე;

3) შიდაოჯახური ურთიერთობების თავისებურებები და ბავშვის ემოციური თვითშეგრძნება. შესაძლებელია განისაზღვროს ოჯახის წევრებში დადებითი ემოციების გამოხატვის, მათი სიახლოვის ხარისხის მიხედვით (დგანან ერთმანეთის გვერდით ხელიხელჩაკიდებულნი, ერთად აკეთებენ რამეს ან ქაოტურად არიან გამოხატულნი ფურცლის სიბრტყეზე, ერთმანეთისგან მოშორებით არიან, ძლიერადაა გამოხატული უარყოფითი ემოციები და ა.შ.).

ნახატებში (ლ. კარმანის მიხედვით) გაანალიზებულია:

1) გრაფიკული თვისება (ხაზების სახე, ფიგურების პროპორცია, სივრცის გამოყენება, სიფაქიზე);

2) ფორმალური სტრუქტურა (ნახატის დინამიკურობა, ოჯახის წევრების განლაგება), შინაარსი (ნახატის არსის ანალიზი).

გამოკვლევის ტრადიციული ჩატარების (კითხვა და დავალების შესრულება) პარალელურად წარმოდგენილია სპეციალური კითხვები, რომლებიც ცდის პირს უბიძგებენ ოჯახში ურთიერთობების თემის განხილვისკენ (მაგალითად: „ვინაა ოჯახში ყველაზე ცუდი?") და ითვალისწინებენ პირდაპირ დადებით ან უარყოფით არჩევას (მაგალითად, „მამამ მოიფიქრა ავტომობილით მოგზაურობა, მაგრამ იქ ყველასთვის არაა ადგილი. ვინ დარჩება სახლში?") და ასევე საუბრის პროცესში ბავშვისთვის დახატული სიტუაციის არსის დამაზუსტებელი საკითხები. „ოჯახის ნახატი" მისაწვდომია დაქვეითებული ინტელექტუალური განვითარების მქონე ბავშვებისთვისაც.

„ოჯახის ნახატის" მეთოდიკა მისაწვდომი და გამოსაყენებლად მოსახერხებელია ფსიქოლოგიური კონსულტირების პირობებში, გააჩნია მნიშვნელობა ფსიქოლოგ-კონსულტანტის საქმიანობის ტაქტიკის არჩევის თვალსაზრისით პიროვნებათშორისი ურთიერთობების დარღვევათა ფსიქოლოგიური კორექციის თაობაზე, რამდენადაც იძლევა წარმოდგენას ბავშვის მიერ თავისი ოჯახის, მასში მისი ადგილის სუბიექტური შეფასების, ოჯახის სხვა წევრებთან მისი დამოკიდებულებების შესახებ. ნახატებში ბავშვებს შეუძლიათ გამოხატონ ის, რაც მათთვის ძნელი გამოსახატია სიტყვებით ანუ ნახატის ენა უფრო ღიად და გულწრფელად გადმოსცემს გამოხატულის არსს, ვიდრე ვერბალური ენა.

დავალების მიმზიდველობისა და ბუნებრიობის შედეგად ეს მეთოდიკა ხელს უწყობს ფსიქოლოგის ბავშვთან კარგი ემოციური კონტაქტის დამყარებას, ხსნის დაძაბულობას, რომელიც წარმოიქმნება გამოკვლევის სიტუაციაში. განსაკუთრებით ნაყოფიერია ოჯახის ნახატის გამოყენება უფროს და უმცროს სკოლამდელ ასაკში, რამდენადაც ამის შედეგად მიღებული შედეგები ნაკლებადაა დამოკიდებული ბავშვის უნარზე მოახდინოს თავისი განცდების ვერბალიზება, მისი ინტროსპექციის, წარმოსახვით სიტუაციაში მორგების უნარზე ანუ ფსიქოლოგიური საქმიანობის იმ თავისებურებებზე, რომლებიც არსებითია ვერბალურ ტექნიკაზე დაფუძნებული დავალებების შესრულების დროს.

ფსიქოგეომეტრიული ტესტი

ფსიქოგეომეტრია, როგორც სისტემა ჩამოყალიბდა აშშ-ში, მისი ავტორია სტიუზენ დელინგერი – მმართველობითი კადრების სოციალურ-ფსიქოლოგიური მომზადების სპეციალისტი. დიაგნოსტიკის სიზუსტე ფსიქოგეომეტრიული მეთოდის მეშვეობით აღწევს 85%!

თქვენთვის წარმოდგენილი ტესტი ესაა სამამუშლო ფსიქოგეომეტრიის აგების მცდელობა. ფსიქოგეომეტრია – პიროვნების ანალიზის უნიკალური პრაქტიკული სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა:

1) მყისიერად განსაზღვროს თქვენთვის საინტერესო ადამიანის პიროვნების ტიპი ან ფორმა (თუმცა, აქ არის განსხვავებები) და ბუნებრივია,

თქვენი საკუთარი ფორმა;

2) განისაზღვროს ნებისმიერი ადამიანის ქცევის პირადი თვისებებისა და თავისებურებების დაწვრილებითი დახასიათება ყოფით, თითოეულისთვის გასაგებ ენაზე;

3) შედგენილ იქნეს ქცევის სცენარები პიროვნების თითოეული ფორმისთვის ტიპიურ სიტუაციებში.

ინსტრუქცია

შეხედეთ ქაღალდის ფურცელზე გამოხატულ ხუთ ფიგურას (კვადრატი, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე, ზიგზაგი). მათგან ამოირჩიეთ ის, რომლის მიმართაც შეგიძლიათ თქვათ: ეს მე ვარ. ეცადეთ, შეიგრძნოთ თქვენი ფორმა. თუ განიცდით ძლიერ სირთულეს, აირჩიეთ ფიგურებიდან ის, რომელმაც პირველად მიგიზიდათ. ჩაწერეთ მისი სახელწოდება N 1 ქვეშ. ახლა მოახდინეთ დარჩენილი ოთხი ფიგურის რანჟირება უპირატესობის წესით და ჩაწერეთ მათი სახელწოდებები შესაბამისი ნომრების ქვეშ.

ამდენად, მუშაობის ყველაზე რთული ეტაპი დასრულებულია. რომელი ფიგურაც არ უნდა მოათავსოთ პირველ ადგილას, ეს თქვენი ძირითადი ფიგურაა ანუ სუბიექტური ფორმაა. ის იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს თქვენი ხასიათის მთავარი, დომინირებადი თვისებები და ქცევის თავისებურებები. ბოლო ფიგურა მიუთითებს ადამიანის ფორმაზე, რომელთანაც ურთიერთქმედება იქნება ყველაზე რთული თქვენთვის. თუმცა, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენ სრულად არცერთი ფიგურა არ შეგესაბამებათ. მაშინ, თქვენი აღწერა შეიძლება ორი ან სამი ფორმის კომბინაციით.

პიროვნების ძირითადი ფორმების მოკლე ფსიქოლოგიური დახასიათება

კვადრატი

თუ თქვენი ძირითადი ფორმა არის კვადრატი, მაშინ თქვენ დაუღალავი მშრომელი ხართ! შრომისმოყვარეობა, გულმოდგინება, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, შეუპოვრობა, რაც საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას სამუშაოს დასრულება – აი, რითი არიან, პირველ რიგში, ცნობილი ნამდვილი კვადრატები. ამტანობა, მოთმინება და მეთოდურობა ჩვეულებრივ კვადრატს ხდის მაღალი კლასის სპეციალისტად თავის დარგში. ამას ხელს უწყობს ინფორმაციის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება. ყველა ცნობა სისტემატიზირებულია, დაყოფილია თაროებად. კვადრატს შეუძლია საჭირო ინფორმაციის მომენტალურად გაცემა. ამიტომ, კვადრატებს დამსახურებულად უწოდებენ ერუდიტებს, ყოველ შემთხვევაში, თავიანთ დარგში.

აზროვნებითი ანალიზი – კვადრატის ძლიერი მხარე. თუ მტკიცედ აირჩიეთ კვადრატი – ხაზოვანი ფიგურა, ყველაზე საალბათოა, რომ განეკუთვნებით მარცხენა ნახევარსფეროს მხრივ მოაზროვნეებს ანუ იმათ, ვინც მონაცემებს ამუშავებს თანამიმდევრული ფორმატით – ა-ბ-გ-დ და ა.შ. კვადრატები უფრო ანგარიშობენ შედეგებს, ვიდრე ხვდებიან მათ. კვადრატები საკმაოდ ყურადღებიანნი არიან დეტალების, წერილმანების მიმართ.

კვადრატებს უყვართ ერთხელ და სამუდამოდ მიღებული წესი. **კვადრატის იდეალი** – გაწერილი, განჭვრეტილი ცხოვრება და მას არ უყვარს სიურპრიზები და მოვლენათა ჩვეული მიმდინარეობის ცვლილება. ის მუდმივად აწესრიგებს, მის ირგვლივ ახდენს საგნებისა და ადამიანების ორგანიზებას.

ყველა ეს თვისება ხელს უწყობს იმას, რომ კვადრატებს შეუძლიათ იყონ (და ხდებიან!) ბრწყინვალე ადმინისტრატორები, შემსრულებლები, მაგრამ... სამწუხაროდ, იშვიათად არიან კარგი მენეჯერები. ზედმეტი დეტალიზება, დამატებითი, დაზუსტებითი ინფორმაციის მოთხოვნილება გადაწყვეტილების მისაღებად ართმევს კვადრატს ოპერატიულობის უნარს. სიფაქიზე, წესრიგი, წესების დაცვა შეიძლება განვითარდეს პარალიზებულ უკიდურესობამდე. როცა დგება გადაწყვეტილების მიღების დრო, რაც განსაკუთრებით უკავშირდება რისკს, სტატუს-კვოს შესაძლო დაკარგვას, კვადრატები ნებსით თუ უნებლიეთ აჭიანურებენ მის მიღებას. გარდა ამისა, რაციონალურობა, ემოციური გულცივობა კვადრატებს ხელს უშლის სწრაფად დაამყარონ კონტაქტები სხვადასხვა პირებთან. კვადრატი არაეფექტურად მოქმედებს ამორფულ სიტუაციაში.

სამკუთხედი

ეს ფორმა ახდენს ლიდერობის სიმბოლიზაციას და მრავალი სამკუთხედი ამაში გრძნობს თავის დანიშნულებას. ნამდვილი სამკუთხედის სახასიათო თავისებურება არის მთავარ მიზანზე კონცენტრირების უნარი. **სამკუთხედები** – ენერგიული, მოუსვენარი, ძლიერი პიროვნებები, რომლებიც ისახავენ მკაფიო მიზნებს და, როგორც წესი, აღწევენ მათ.

ისინი, როგორც მათი ნათესავები – კვადრატები, განეკუთვნებიან ხაზოვან ფორმებს და ტენდენციაში ასევე წარმოადგენენ მარცხენა ნახევარსფეროსმხრივ მოაზროვნეებს, რომელთაც ღრმად

და სწრაფად შეუძლიათ სიტუაციის გაანალიზება. თუმცა, დეტალებზე ორიენტირებული კვადრატების საპირისპიროდ, სამკუთხედები კონცენტრირებულნი არიან მთავარზე, პრობლემის არსზე. მათი ძლიერი პრაგმატული ორიენტაცია მართავს აზროვნებით ანალიზს და ზღუდავს მას მოცემულ პირობებში პრობლემის ეფექტური (და ხშირად ეფექტის მქონე) გადაწყვეტის ძიებით.

სამკუთხედი — ძალიან თვითდაჯერებული ადამიანი, რომელსაც უნდა ყველაფერში მართალი იყოს! ძლიერი მოთხოვნილება იყოს მართალი და მართოს საქმეების ვითარება, გადაწყვიტოს არა მხოლოდ თავისთვის, არამედ შეძლებისდაგვარად სხვების მაგივრადაც; ეს კი მას ხდის სხვებთან მუდმივად მოპაექრე, კონკურენტ პიროვნებად. **ნებისმიერ საქმეში დომინირებადი განწყობა** — განწყობა გამარჯვებაზე, მოგებაზე, წარმატებაზე! ის ხშირად რისკავს, არის მოუთმენელი და სულსწრაფი იმათ მიმართ, ვინც მერყეობს გადაწყვეტილებების მიღებაში.

სამკუთხედებს ძალიან არ უყვართ იყვნენ არასწორნი და ძნელად აღიარებენ თავიანთ შეცდომებს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ხედავენ იმას, რისი დანახვაც უნდათ, ამიტომ არ უყვართ გადაწყვეტილებების შეცვლა, ხშირად არიან კატეგორიულები და უმეტესწილად, იქცევიან თავისებურად. თუმცა, ისინი საკმაოდ კარგად სწავლობენ იმას, რაც შეესაბამება მათ პრაგმატულ ორიენტაციას, ხელს უწყობენ მთავარი მიზნების მიღწევას და ისრუტავენ სასარგებლო ინფორმაციას.

სამკუთხედები პატივმოყვარენი არიან. თუ კვადრატისთვის ღირსების საქმეა შესასრულებელი მაშინ ხდება სამუშაოს უმაღლესი ხარისხის მიღწევა, სამკუთხედი მიისწრაფვის მაღალი მდგომარეობისკენ, მაღალი სტატუსისკენ, ანუ კარიერის შექმნისკენ. საქმის დაწყებამდე ან გადაწყვეტილების მიღებამდე, სამკუთხედი ცნობიერად თუ არაცნობიერად სვამს კითხვას: „რას მივიღებ ამისგან?“ სამკუთხედებისგან დგებიან ბრწყინვალე მენეჯერები მართვის ყველაზე მაღალ დონეზე. მათ მშვენივრად შეუძლიათ ზემდგომ ხელმძღვანელობას წარუდგინონ საკუთარი სამუშაოს და ხელქვეითების სამუშაოს მნიშვნელობა, გრძნობენ ხელსაყრელ საქმეს და ამ საქმეზე ბრძოლაში შეუპოვრად ერთვებიან მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად. სამკუთხედის ფორმის მთავარი უარყოფითი თვისებაა საკუთარ თავზე მიმართული ძლიერი ეგოცენტრიზმი. სამკუთხედები ხელისუფლების მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე არ აქცევენ ზედმეტ პუნქტუალობას მორალურ ნორმებთან მიმართებაში და შეუძლიათ გადათელონ სხვებიც კი. ეს დამახასიათებელია „აფეთქებული“ სამკუთხედებისთვის, რომლებიც დროულად არ შეაჩერეს. სამკუთხედები აიძულებენ ყველას და ყველაფერს იბრუნონ მის ირგვლივ, მათ გარეშე ცხოვრება სიმწვაველე დაკარგავდა.

მართკუთხედი

არის ცვლილებისა და გადასვლის სიმბოლო. ესაა პიროვნების დროებითი ფორმა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს დანარჩენ ოთხ შედარებით მყარ ფიგურას სიცოცხლის გარკვეულ პერიოდებში. ესაა ამჟამინდელი ცხოვრების წესით უკმაყოფილო ადამიანი, რომელიც ეძებს უკეთეს მდგომარეობას,. მართკუთხა მდგომარეობის მიზეზები შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი — ცვლილებების მნიშვნელობა გარკვეული ადამიანისთვის.

მართკუთხედის ძირითად ფსიქიკურ მდგომარეობას წარმოადგენს პრობლემებში დაბნეული მეტად ან ნაკლებად გაცნობიერებული მდგომარეობა და დროის მოცემული მომენტისთვის საკუთარ თავთან მიმართებაში გაურკვეველობა.

მართკუთხედების ყველაზე სახასიათო შტრიხებია ქცევის არათანმიმდევრულობა და არაგანჭვრეტადობა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. მართკუთხედები შეიძლება შეიცვალონ ღლითიღლე და ერთი წლის ფარგლებშიც! მათ, როგორც წესი, გააჩნიათ დაბალი თვითშეფასება, ცდილობენ იყვნენ უკეთესი რაღაცაში, ეძებენ მუშაობის ახალ მეთოდებს, ცხოვრების სტილს. თუ ყურადღებით დავაკვირდებით მართკუთხედის ქცევას შეიძლება შევნიშნოთ, რომ ის მთელი პერიოდის მანძილზე იყენებს სხვა ფორმების: სამკუთხედ, მრგვალ ტანსაცმელს და ა.შ. წამიერი, დიდი და მოულოდნელი ცვლილებები მართკუთხედის ქცევაში ჩვეულებრივ აცბუნებს სხვა ადამიანებს და მათ შეუძლიათ შეგნებულად აარიდონ თავი არამყარ ადამიანთან კონტაქტებს. სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მართკუთხედებისთვის უბრალოდ აუცილებელია და ამაში მდგომარეობს გარდამავალი პერიოდის კიდევ ერთი სირთულე.

ამის მიუხედავად, სხვა ადამიანების მართკუთხედებში აღინიშნება პოზიტიური თვისებები, რაც მათ გარშემომყოფებისგან განასხვავებს. ესაა, პირველ რიგში, ცოდნისმოყვარეობა, ცნობისმოყვარეობა, ცხოველი ინტერესი ყოველივე მომხდარის მიმართ და... სიმამაცე! მართკუთხედები ცდილობენ გააკეთონ ის, რაც ადრე არ გაუკეთებიათ; სვამენ კითხვებს, რასაც უწინ არ სვამდნენ. მოცემულ პერიოდში ისინი მზად არიან მიიღონ ახალი იდეები,

ფასეულობები, აზროვნებისა და ცხოვრების ხერხებისთვის, ადვილად ითვისებენ ახალს. ამის მეორე მხარეს წარმოადგენს ზედმეტი გულუბრყვილობა, შთაგონებადობა, მიმნდობელობა. ამიტომ მართკუთხედების მანიპულირება ადვილია. მართკუთხედი ეს მხოლოდ სტატიაა. ის გაიელის!

წრე

ესაა ჰარმონიის მითოლოგიური სიმბოლო. ის, ვინც დამაჯერებლად ირჩევს მას, გულწრფელადაა დაინტერესებული კარგი პიროვნებათშორისი ურთიერთობებით. წრისთვის უმაღლესი ფასეულობაა ადამიანები, მათი კეთილდღეობა. წრე – ყველაზე კეთილსასურველია ხუთი ფორმიდან. ის წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც კრავს სამუშაო კოლექტივსაც და ოჯახსაც ანუ ახდენს ჯგუფის სტაბილიზაციას.

წრეები – ყველაზე კარგი კომუნიკატორები ხუთ ფორმას შორის იმიტომ, რომ ისინი საუკეთესო მსმენელები არიან. მათ გააჩნიათ მაღალი მგრძნობელობა, განვითარებული **ემპათია-თანაგანცდის,** თანაგრძნობის, სხვა ადამიანის განცდაზე ემოციური გამოძახილის უნარი. წრე გრძნობს სხვის სიხარულს და ტკივილს, როგორც საკუთარს. ბუნებრივია, რომ ადამიანებს იზიდავთ წრეები. წრეები ბრწყინვალედ ერკვევიან ადამიანებში და ერთ წუთში შეუძლიათ მატყუარას, ფარისეველის ცნობა. წრეები განიცდიან კოლექტივის გამო და პოპულარულები არიან კოლეგებს შორის, თუმცა ისინი სუსტი მენეჯერები და ხელმძღვანელები არიან ბიზნესის სფეროში.

ჯერ ერთი, წრეები უფრო ადამიანებზე მიმართულების გამო, ვიდრე საქმეზე, ცდილობენ ასიამოვნონ თითოეულს. ისინი ცდილობენ მშვიდობის შენარჩუნებას და ამის გამო ზოგჯერ თავს არიდებენ მყარი პოზიციის დაკავებას და არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებას. წრისთვის ყველაზე ძძიმეა პიროვნებათშორისი კონფლიქტი. წრე ბედნიერია მაშინ, როცა ყველა ერთმანეთთან კარგადაა. ამიტომ, როცა წრეს ვინმესთან კონფლიქტი აქვს, ყველაზე საალბათოა ის, რომ სწორედ წრეს დათმობს პირველი.

მეორეც, წრეები არ გამოირჩევიან სიმტკიცით, სუსტები არიან პოლიტიკურ თამაშებში და ხშირად ვერ წარმოაჩენენ თავს და თავიანთ გუნდს სათანადო სახით. ყოველივე ამას მივყავართ იქამდე, რომ წრეებს ხშირად ჯაბნიან უფრო ძლიერი პიროვნებები, მაგალითად, სამკუთხედები. წრეები დიდად არ ღელავენ იმაზე, თუ ვის ხელშია ძალაუფლება, მთავარია, ყველა იყოს კმაყოფილი და ირგვლივ სუფევდეს მშვიდობა. თუმცა, ერთში წრეები აელენ შესაშურ სიმტკიცეს, თუ საქმე ეხება მორალის საკითხებს ან სამართლიანობის დარღვევას.

წრე – არახაზოვანი ფორმა და ვინც იდენტიფიკაციას ახდენს წრესთან, უფრო განეკუთვნება მარცხენა ნახევარსფეროსმხრივ მოაზროვნეებს. მარჯვენამხრივი აზროვნება – უფრო ხატოვანი, ინტუიციური, ემოციურად შეფერილი, უფრო ინტეგრაციული, ვიდრე ანალიზებადი. ამიტომ, წრეებში ინფორმაციის გადამუშავება ხდება არა თანამიმდევრული ფორმატით, არამედ უფრო მოზაიკურად, ცალკეული რგოლების გამოტოვებით: ა...] ...]... ე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ წრეები უბრალ არიან ლოგიკასთან. უბრალოდ, ფორმალიზმები მათში არ პოულობს პრიორიტეტს ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში. მათი აზროვნების სტილის მთავარი თვისებაა ორიენტაცია პრობლემის სუბიექტურ ფაქტორებზე (ფასეულობები, შეფასებები, გრძნობები და ა.შ.) და თუნდაც საპირისპირო თვალსაზრისებში სურათის პოვნის სურვილი. შეიძლება ითქვას, რომ წრე დაბადებული ფსიქოლოგიაა. თუმცა, რომ ჩაბღეს სერიოზული, დიდი ბიზნესის სათავეში, წრეს აკლია მარცხენა ნახევარსფეროსმხრივი საორგანიზაციო ჩვევები მისივე „ხაზოვანი ძმებისა" – სამკუთხედისა და კვადრატის.

ზიგზაგი

ეს ფიგურა არის კრეატულობის, შემოქმედების სიმბოლო თუნდაც იმიტომ, რომ ის ყველაზე უნიკალური ფიგურაა ხუთ ფიგურას შორის და ამავდროულად ერთადერთი ღიაა. თუ თქვენ მტკიცედ აირჩიეთ ზიგზაგი ძირითადი ფორმის სახით, ნამდვილი მარჯვენამხრივი მოაზროვნე ხართ, რამდენადაც ხაზოვანი ფორმები რაოდენობით გჭობნიან.

ამდენად, ისევე, როგორც თქვენ უახლეს ნათესავს – წრეს, თქვენც უმეტესად გახასიათებთ ხატოვანება, ინტუიციურობა, ინტეგრაციულობა, მოზაიკურობა. მკაცრი თანამიმდევრული დედუქცია თქვენი სტილი არაა. ზიგზაგის აზრი მნიშვნელოვან ნახტომებს აკეთებს: ა-დან პო-მდე! ამიტომ, არახაზოვან, მარცხენა ნახევარსფეროსმხრივებს ეხერხებათ ზიგზაგების გაგება. მარჯვენა ნახევარსფეროსმხრივი აზროვნება არ ფიქსირდება დეტალებზე, ამიტომ ის ამარტივებს რა გარკვეულწილად სამყაროს სურათს, საშუალებას იძლევა აიგოს მთლიანი, ჰარმონიული კონცეფციები და ხატები, დაინახონ სილამაზე. ზიგზაგებს ჩვეულებრივ გააჩნიათ განვითარებული ესთეტიკური გრძნობა.

ზიგზაგის აზროვნების დომინირებად სტილს ყვე-

ლაზე ხშირად წარმოადგენს სინთეზური სტილი. აბსოლუტურად განსხვავებული იდეების კომბინირება და ამის საფუძველზე რაიმე ახლის, ორიგინალურის შექმნა — აი, რა უყვართ ზიგზაგებს. წრეებისგან განსხვავებით, ზიგზაგები სრულიადაც არ არიან დაინტერესებულნი კონსენსუსით და სინთეზის მიღწევით არა დათმობების, არამედ პირიქით — იდეების კონფლიქტის გამწვავებისა და ახალი კონცეფციის შექმნის გზით, სადაც ეს კონფლიქტი წყდება, იხსნება. ამასთან, ბუნებრივი გონებამახვილობის გამოყენებით, ისინი შეიძლება იყვნენ საკმაოდ გესლიანები, უხილავენ რა სხვებს თვალებს ახალი გადაწყვეტილების შესაძლებლობაზე. ზიგზაგები მიდრეკილნი არიან სამყარო მუდმივად ცვალებადად დაინახონ. ამ მიზეზით, მათთვის არაა უფრო მოსაწყენი რამ, ვიდრე მუდმივად უცვლელი საგნები, რუტინა, შაბლონი, წესები და ინსტრუქციები, სტატუს-კვო ან ადამიანები, რომლებიც მუდმივად ეთანხმებიან სხვას ან აქვთ იმგვარი სახე, თითქოს თანახმა არიან.

ზიგზაგებს უბრალოდ არ შეუძლიათ ნაყოფიერად იშრომონ კარგად სტრუქტურირებულ სიტუაციებში. მათ აღიზიანებთ მკაფიო ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირები, მკაფრად ფიქსირებული ვალდებულებები და მუშაობის მუდმივი ხერხები. მათ სჭირდებათ მრავალფეროვნება და სტიმულაციის მაღალი დონე სამუშაო ადგილას. მათ ასევე არ სურთ იყვნენ დამოკიდებულები სხვებზე, სამუშაოზე. მაშინ, ზიგზაგი ცოცხლდება და იწყებს ძირითადი დანიშნულების შესრულებას — ახალი იდეების გენერირებას. ზიგზაგები არასდროს არ არიან კმაყოფილნი მოცემულ მომენტში ან წარსულში განხორციელებული ხერხებით. ისინი მომავლისკენ იყურებიან და მეტად ინტერესდებიან შესაძლებლობებით, ვიდრე სინამდვილით. მათთვის იდეების სამყარო ისეთი რეალურია, როგორც ნივთების სამყარო დანარჩენებისთვის. ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ის ამ იდეალურ სამყაროში ატარებს, აქედან იღებს სათავეს მათი ისეთი თვისებები, როგორიცაა არაპრაქტიკულობა, არარეალურობა და გულუბრყვილობა.

ზიგზაგი — ყველაზე აღტაცებული, ყველაზე აგზნებადი ხუთ ფიგურას შორის. როცა მას უჩნდება ახალი და საინტერესო აზრი, ის მზადაა აცნობოს ეს მთელს სამყაროს! ზიგზაგები — თავიანთი იდეების დაუღალავი მქადაგებლებია. თუმცა მათ აკლიათ პოლიტიკურობა: არიან თავშეუკავებელნი, ძალიან ექსპრესიულები (ამბობენ სიმართლეს თვალებში), რაც მათ ექსცენტრიულობასთან ერთად ხშირად უშლის ხელს გაატარონ თავიანთი იდეები ცხოვრებაში. ამასთან, ისინი არ არიან ძლიერნი კონკრეტული დეტალების დამუშავებაში (რის გარეშეც იდეის მატერიალიზაცია შეუძლებელია) და მტკიცენი საქმის ბოლომდე მიყვანაში (რამდენადაც სიახლის დაკარგვასთან ერთად ქრება ინტერესიც იდეის მიმართ).

ტესტი „ადამიანის კონსტრუქციული ნახატი გეომეტრიული ფიგურებისგან"

ტესტის გამოყენების მიზანი: ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური განსხვავებების გამოვლენა.

ინსტრუქცია. უნდა დახატოს ადამიანის ფიგურა ათი ელემენტისგან, რომელთა შორისაა წრეები, სამკუთხედები, კვადრატები. შეგიძლიათ გაზარდოთ ან შეამციროთ ეს ელემენტები (გეომეტრიული ფიგურები) ზომებში, დაადოთ ერთმანეთს საჭიროებისამებრ. მნიშვნელოვანია, რომ სამივე ელემენტი იყოს ადამიანის გამოსახულებაში, ხოლო ფიგურების საერთო რაოდენობა უდრიდეს ათს. თუ ხატვისას გამოიყენეთ ფიგურების მეტი რაოდენობა, საჭიროა ზედმეტის გადახაზვა, თუ ნაკლები რაოდენობის ფიგურებია — ბოლომდე დაიხატოს ის.

მასალა: ცდის პირებს სთავაზობენ 10X10 სმ ზომის სამი ქაღალდის ფურცელს, თითოეული ფურცელი ინომრება და ხელმოწერილია. ერთ ფურცელზე სრულდება საცდელი ნახატი, შემდეგ შესაბამისად მე-2 ფურცელზე — მეორე, მე-3-ზე — მესამე. სამი ნახატის შესრულების შემდეგ მუშავდება მონაცემები. ინსტრუქციის დარღვევისას მონაცემები არ მუშავდება.

მონაცემთა დამუშავება შემდეგნაირად ხდება: იანგარიშება ადამიანის გამოსახულებაში დაკარგული სამკუთხედების, წრეებისა და კვადრატების რაოდენობა (თითოეულ ნახატზე ცალკ-ცალკე) და შედეგი იწერება სამნიშნა რიცხვების სახით, სადაც **ასეულები** აღნიშნავენ სამკუთხედების რაოდენობას, **ათეულები** — წრეების რაოდენობას, **ერთეულები** — კვადრატების რაოდენობას. ეს სამნიშნა ციფრები შეადგენენ ნახატის ე.წ. ფორმულას, რითიც ხდება დამხატავი პირის მიკუთვნება შესაბამის ტიპებთან და ქვეტიპებთან.

მონაცემთა ინტერპრეტაცია. ემპირიულმა კვლევებმა, რომლის დროსაც მიღებული და გაანალიზებულ იქნა 200-ზე მეტი ნახატი გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ელემენტის თანაფარდობა კონსტრუქციულ ნახატებში შემთხვევითი არაა. ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გამოიყოს რვა ძირითადი ტიპი, რომელთაც შეესაბამება ქვემოთ

აღწერილი ტიპოლოგიური მახასიათებლები.

ტესტის ინტერპრეტაცია ეფუძნება იმას, რომ ნახატებში გამოყენებული გეომეტრიული ფიგურები განსხვავდებიან სემანტიკის მიხედვით. **სამკუთხედი** ჩვეულებრივ განეკუთვნება მწვავე, შემტევ ფიგურას, რომელიც უკავშირდება მამაკაცურ საწყისს. **წრე** – გარშემოვლებული ფიგურა, უფრო შეთავსებული თანაგრძნობასთან, სირბილესთან, სიმრგვალესთან, ქალურობასთან. **კვადრატული** ფორმის ელემენტებისგან უფრო მარტივია რამის აგება, რადგანაც კვადრატი, მართკუთხედი ინტერპრეტირებულია, როგორც სპეციფიკურად ტექნიკური კონსტრუქციული ფიგურა, ტექნიკური მოდული.

გეომეტრიული ფიგურების უპირატესობაზე დაფუძნებული ტიპოლოგია საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური განსხვავებების ერთგვარი სისტემა (იხ. ცხრ. 33).

ცხრილი 33

გეომეტრიული ფიგურების უპირატესობის საფუძველზე კონსტრუქციული ნახატების შესრულებისას გამოვლენილი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური განსხვავებების სქემა

901	802	703	604	505	406	307	208	109	
910	811	712	613	514	415	316	217	118	019
	820	721	622	523	424	325	226	127	028
		730	631	532	433	334	235	136	037
			640	541	442	343	244	145	046
				550	451	352	253	154	055
					460	361	262	163	064
						370	271	172	073
							280	181	082
								190	091



გამოსახულებების სახეები ტესტთან „გეომეტრიული ფიგურებისგან ადამიანის კონსტრუქციული ნახატი“ მიმართებაში





გამოსახულებების სახეები ტესტთან - „გეომეტრიული ფიგურებისგან ადამიანის კონსტრუქციული ნახატის“ მიმართებაში

ტიპები

I ტიპი – ხელმძღვანელი. ჩვეულებრივ ესენი არიან ხელმძღვანელი და ორგანიზატორული საქმიანობისკენ მიდრეკილი, ქცევის სოციალურ-მნიშვნელოვან ნორმებზე ორიენტირებული ადამიანები. მათ შეიძლება ჰქონდეთ კარგი მთხრობელის ნიჭი, რომელიც ეფუძნება მეტყველებითი განვითარების მაღალ დონეს.

მათ გააჩნიათ კარგი ადაპტაცია სოციალურ სფეროში, დომინირება სხვებზე გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული. ასეთი ადამიანები ჩვეულებრივ ირჩევენ მწვანე ფერს (მ. ლუშერის მიხედვით) და ხატავენ ნაძვს ტესტში „ხე“.

ნახატების ფორმულები: 901, 910, 802, 811, 703, 712, 821, 730, 604, 613, 622, 631, 640.

ყველაზე მკაცრი დომინირება სხვებზე გამოხატულია ქეტიპებში 901, 910, 802, 811, 820; სიტუაციურად – 703, 712, 721; ადამიანებზე საუბრით ზემოქმედების დროს – ვერბალური ხელმძღვანელი ან პედაგოგის ქეტიპი – 604, 613, 622, 631, 640.

უნდა გვახსოვდეს, რომ მოცემული თვისებების გამოელენა დამოკიდებულია ფსიქიკური განვითარების დონეზე. განვითარების მაღალი დონის დროს განვითარების ინდივიდუალური თვისებები რეალიზებადია, საკმაოდ კარგად გაცნობიერებადია. დაბალი დონის დროს ისინი შეიძლება არც გამოელინდნენ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ სიტუაციურად არსებობდნენ (ცუდია, თუ სიტუაციების არაადექვატურად). ეს ეხება ყველა მახასიათებელს.

II ტიპი – პასუხისმგებელი შემსრულებელი – გააჩნია „ხელმძღვანელის“ ტიპის მრავალი თვისება, თუმცა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების დროს ხშირია მერყეობა. ადამიანების მოცემული ტიპი ორიენტირებულია საქმის კეთებაზე, მაღალ პროფესიონალიზმზე, სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობაზე, გააჩნია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, დიდად აფასებს სიმართლეს, ანუ, ხასიათდება სამართლისნობისადმი მაღალი მგრძნობელობით. ხშირად მათ აწუხებთ ნერვული წარმოშობის სომატური დაავადებები.

ნახატების ფორმულები: 505, 514, 523, 532, 541, 550.

III ტიპი-შეფოთვარე-იჭვნეული – ხასიათდება უნარებისა და შესაძლებლობების მრავალფეროვნებით – ფაქიზი ჩვეულებიდან ლიტერატურულ ნიჭამდე. ჩვეულებრივ, მოცემული ტიპის ადამიანებს უჭირთ ერთი პროფესიის ჩარჩოებში მოქცევა. მათ ამის შეცვლა შეუძლიათ სრულიად საპირისპიროთი და მოულოდნელით, ჰქონდეთ ჰობი, რომელიც არსებითად წარმოადგენს მეორე პროფესიას. ფსიქიკურად ვერ იტანენ უწესრიგობასა და სიბინძურეს. ჩვეულებრივ, ამის გამო კონფლიქტი აქვთ სხვებთან. გამოირჩევიან მეტისმეტი მგრძნობელობით და ხშირად ეპარებათ ეჭვი საკუთარ თავში. საჭიროებენ გამხნევებას.

ნახატების ფორმულები: 406, 415, 424, 433, 442, 451, 460. გარდა ამისა, 415 – „პოეტური ქეტიპი“ – ასეთი ნახატის ფორმულის მქონე პირებს გააჩნიათ პოეტური ნიჭი; 424 – ადამიანების ტიპი, რომელიც იცნობა ფრაზით „როგორ შეიძლება ცუდად მუშაობა? ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ეს“. ასეთი ტიპის ადამიანები გამოირჩევიან განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობაში.

IV ტიპი – სწავლული

ეს ადამიანები ადვილად ახდენენ აბსტრაგირებას რეალობისგან, გააჩნიათ კონცეპტუალური გონება, გამოირჩევიან ყველაფერზე თავიანთი თეორიის შემუშავების უნარით. ჩვეულებრივ გააჩნიათ სულიერი წონასწორობა და რაციონალურად უდგებიან ქცევას.

ნახატების ფორმულები: 307, 316, 325, 334, 343, 352, 361, 370. ქვეტიპი 316 ხასიათდება თეორიის შექმნის უნარით, ახორციელებენ დიდ ან რთულ საკოორდინაციო სამუშაოს; **325**-სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ბიოლოგიური დისციპლინების, მედიცინის შეცნობით გატაცებული **ქვეტიპი**.

ამ ტიპის წარმომადგენლები ხშირად გვხვდება ხელოვნების სინთეზური სახეებით: კინო, ცირკი, თეატრალურ-სანახაობითი რეჟისურა, მულტიპლიკაცია და ა.შ. დაკავებულ პირებს შორის.

V ტიპი – ინტუიციური

ამ ტიპის ადამიანებს გააჩნიათ ნერვული სისტემის ძლიერი მგრძნობელობა, მისი მაღალი გამოფიტვადობა. ადვილად მუშაობენ ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადართვისას, ჩვეულებრივ გამოდიან უმცირესობის ადვოკატებად. გააჩნიათ მაღალი მგრძნობელობა სიახლის მიმართ. არიან ალტრუისტები, ხშირად აელენენ ზრუნვას სხვებზე. გააჩნია კარგი ხელის ჩვევები და ხატოვანი წარმოსახვა, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას დაეუფლონ შემოქმედების ტექნიკურ სახეებს. ჩვეულებრივ ქმნიან თავიანთი მორალის ნორმებს, ფლობენ შინაგან თვითკონტროლს ანუ უპირატესობას ანიჭებენ თვითკონტროლს, უარყოფითად რეაგირებენ მათ თავისუფლებასთან დაკავშირებულ ხელყოფაზე.

ნახატების ფორმულები: 208, 217, 226, 235, 244, 253, 262, 271, 280. ქვეტიპი 235 ხშირად გვხვდება პროფესიონალ ფსიქოლოგებს ან ფსიქოლოგიისადმი დიდი ინტერესის მქონე პირებს შორის; **244** გააჩნია ლიტერატურული შემოქმედების ნიჭი; **217** – სახვითი ხელოვნების; **226** გააჩნია სიახლის დიდი მოთხოვნილება, მიზნად ისახავს მიღწევების მაღალ კრიტერიუმებს.

VI ტიპი – გამომგონებელი, კონსტრუქტორი, მხატვარი

ხშირად გვხვდება ტექნიკური სულისკვეთების პირებში. ესაა მდიდარი წარმოსახვის, სიერცითი ხედვის, ტექნიკური, მხატვრული და ინტელექტუალური შემოქმედების სხვადასხვა სახით დაკავებული ადამიანები. ხშირად ინტროვერტირებულნი არიან ინტუიციური ტიპის მსგავსად, ცხოვრობენ საკუთარი მორალური ნორმებით, არ იღებენ არანაირ ზემოქმედებას გარედან, თვითკონტროლის გარდა. ემოციურები, საკუთარი ორიგინალური იდეებით შეპყრობილნი.

ნახატების ფორმულები: **109, 118, 127, 136, 145, 019, 028, 037, 046. ქვეტიპი 019** გვხვდება იმ პირებში, რომლებიც კარგად ფლობენ აუდიტორიას; **118** – ტიპი ძლიერ გამოხატული კონსტრუქციული შესაძლებლობებით და გამოგონების უნარით.

VII ტიპი – ემოციური

გააჩნია მაღალი თანაგანცდა სხვებთან მიმართებაში, ძლიერ განიცდიან ფილმის სასტიკ კადრებს, შეიძლება დიდხანს იყვნენ წყობიდან გამოსულები და შეძრწუნებული სასტიკი მოვლენების გამო. მათში ასახვას პოულობს სხვა ადამიანების ტკივილი და ზრუნვა, თანაგანცდა და თანაგრძნობა, რაზეც ისინი ხარჯავენ დიდ ენერგიას და შედეგად უძნელდებათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

ნახატების ფორმულები: 550, 451, 460, 352, 361, 370, 253, 262, 271, 280, 154, 163, 172, 181, 190, 055, 064, 073, 082, 091.

VII ტიპს გააჩნია ემოციური ტიპის საპირისპირო ტენდენცია. ჩვეულებრივ არ გრძნობს სხვა ადამიანების განცდებს ან მათ უყურადღებოდ ეკიდება ან აძლიერებს ზეწოლას ადამიანებზე. თუ ეს კარგი სპეციალისტია, შეუძლია აიძულოს სხვები აკეთონ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. ზოგჯერ მისთვის დამახასიათებელია გულცივობა, როცა რაიმე მიზეზებით ადამიანი იკეტება საკუთარი პრობლემების წრეში.

ნახატების ფორმულები: 901, 802, 703, 604, 505, 406, 307, 208, 109.

კომენტარი ტესტისადმი

დიაგნოსტიკის ფარდობითი არასაიმედოობის მიუხედავად, მოცემული მეთოდიკა შეიძლება გახდეს კარგი შუამავალი ფსიქოლოგ-კონსულტანტის საკონტროლო პირთან ურთიერთობის პროცესში. ინდივიდუალურ-ტიპური დახასიათების მოცემით, გამოსახულების აგების თავისებურებების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი კითხვების დასმა (რომელზეც ჩვეულებრივ დამაკმაყოფილებელი პასუხებია).

1) კისრის არსებობისას: „ხართ თუ არა გულჩვილი, ხდება ისე, რომ ადვილია თქვენი წყენინება?“

2) ყურების არსებობისას: „გთელიან მოსმენის უნარის მქონე ადამიანად?“

3) თავზე კვადრატის ან სამკუთხედის სახით ქუდის არსებობისას ერთ ნახატზე: „როგორც ჩანს, თქვენ გააკეთეთ იძულებითი დათმობა და გული გწყდებათ ამაზე?“ სამიეე ნახატზე ქუდის არსებობისას: „შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად შემოჭილ მდგომარეობაში ხართ?“

4) ადამიანის სხეულზე უბის არსებობისას: „გყავთ შეილები?“

5) მთლიანად მკაფიოდ მოხაზული პირის დროს: „თვლით, თუ არა თავს გულღია ადამიანად?“

6) სახეზე მხოლოდ პირის არსებობისას: „გიყვართ, თუ არა საუბარი?“

7) მხოლოდ ცხვირის არსებობისას: „ადვილად ცნობთ სუნს, გიყვართ სუნამო?“

8) სხეულზე წრის გამოსახვისას: „თქვენს საზრუნავში შედის ვინმესთვის განკარგულების მიცემა?“

თავი IV: ტემპერამენტისა და ხასიათის შესწავლის მეთოდები

ფსიქოლოგიაში ტემპერამენტი განისაზღვრება, როგორც ადამიანის მყარი ინდივიდუალური თავისებურებების კანონზომიერი თანაფარდობა, რომლებიც ახასიათებენ ფსიქიკური მოქმედების დინამიკის სხვადასხვა მხარეს. ტემპერამენტის ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული თვისებების სხვადასხვა შეთავსებას უწოდებენ ტემპერამენტის ტიპებს. ფსიქოლოგიაში მიღებულია ტიპების პიპოკრატისეული კლასიფიკაცია. **სანგვინიკის (ცოცხალი, მოძრავი, წარმატებლობის ადვილად გადამტანი), ფლეგმატიკის (ნელი, აუღელვებელი, მტკიცე მისწრაფებებით და მეტ-ნაკლებად მუდმივი განწყობილებით), ქოლერიკი (სწრაფი, ფიცხი, საქმისთვის გულანთებული, მაგრამ გაუწონასწორებელი) და მელანქოლიკი (გულჩვილი, განცდების მქონე, მაგრამ გარემოზე უსიცოცხლოდ მარეაგირებელი).**

ხასიათი — ადამიანის მყარი ფსიქიკური თავისებურებების ინდივიდუალური თვისება, რომლებიც განაპირობებენ მოცემული სუბიექტისთვის გარკვეულ პირობებში და გარემოებებში ქცევის ტიპიურ ხერხს, ხასიათი მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის პიროვნების სხვა მხარეებს, კერძოდ, ტემპერამენტს, რომელიც განსაზღვრავს ხასიათის გამოხატულების გარეგნულ ფორმას, თავისებურ დამღას ასვამს მის ამა თუ იმ გამოვლინებას.

სტერლიაუს ტესტი

ინსტრუქცია. შემოთავაზებული იქნება კითხვები სხვადასხვა პირობებში და სიტუაციებში თქვენი ქცევის თავისებურებების შესახებ. ეს არაა გონებისა თუ უნარების გამოცდა, ამიტომ არ არსებობს კარგი ან ცუდი პასუხები. ჩვენ გვაინტერესებს სწორი პასუხები. კითხვებზე პასუხები რიგ-რიგობით უნდა გაიცეს, წინა კითხვებზე მიბრუნების გარეშე, უპასუხეთ „დიახ", „არა", „არ ვიცი", არ გამოტოვოთ რომელიმე კითხვა. დაიწყეთ!

კითხვარის ტესტი

1. განეკუთვნებით ადამიანებს, რომლებიც ადვილად ამყარებენ კონტაქტებს ადამიანებთან?
2. შეგიძლიათ თავი შეიკავოთ ამა თუ იმ მოქმედებისგან შესაბამისი განკარგების მიღებამდე?
3. საკმარისია თქვენთვის მცირედი დასვენება ძალების აღსადგენად ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ?
4. შეგიძლიათ მუშაობა არახელსაყრელ პირობებში?
5. იკავებთ თავს არასაქმიანი, ემოციური არგუმენტებისგან დისკუსიების დროს?
6. ადვილად უბრუნდებით ადრე შესრულებულ სამუშაოს ხანგრძლივი შესვენების (შეებულების, არდადეგების და ა.შ.) შემდეგ?
7. თუ სამუშაოს ასრულებთ, გავიწყდებათ დაღლილობა?
8. შეგიძლიათ გარკვეული სამუშაოს ვინმესთვის დავალების შემდეგ მოთმინებით დაელოდოთ მის დასრულებას?
9. გებინებათ ერთნაირად ადვილად დღის სხვადასხვა მონაკვეთში?
10. შეგიძლიათ საიდუმლოს შენახვა თუ ამას გთხოვენ?
11. ადვილია დაუბრუნდეთ სამუშაოს, რომელიც შეწყვიტეთ რამდენიმე კვირის ან თვის წინ?
12. შეგიძლიათ მოთმინებით აუხსნათ ვინმეს რაღაც გაუგებარი?
13. მოგწონთ სამუშაო, რომელიც მოითხოვს გონებრივ დაძაბულობას?
14. იწვევს მონოტონური სამუშაო თქვენში ძილიანობას ან მოწყენილობას?
15. ადვილად იძინებთ ძლიერი განცდების შემდეგ?
16. შეგიძლიათ საჭიროებისას თავი შეიკავოთ თქვენი უპირატესობის გამოვლენისგან?
17. იქცევით ჩვეულებრივ უცნობი ადამიანების გარემოცვაში?

18. გიძნელდებათ სიბრაზისა და გაღიზიანების მოთოკვა?

19. შეგიძლიათ მოერიოთ თავს მძიმე წუთებში?

20. შეგიძლიათ საჭიროებისას შეუსაბამოთ ქცევა გარშემომყოფთა ქცევას?

21. სიამოვნებით იწყებთ საპასუხისმგებლო სამუშაოების შესრულებას?

22. ახდენს ჩვეულებრივი გარემოცვა, რომელშიც იმყოფებით თქვენს განწყობილებაზე?

23. შეგიძლიათ გადაიტანოთ წარუმატებლობა?

24. იმის თანდასწრებით, ვისზეც ხართ დამოკიდებული, საუბრობთ ისევე თავისუფლად, როგორც ჩვეულებრივ?

25. იწვევს თქვენში გაღიზიანებას მოულოდნელი ცვლილებები დღის წესრიგში?

26. გაქვთ ყველაფერზე მზა პასუხი?

27. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, როცა ელით თქვენთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას?

28. ადვილად გეგმაეთ თქვენი შვებულების, არდადეგების პირველ დღეებს?

29. გაქვთ სწრაფი რეაქცია?

30. ადვილად უსაბამებთ თქვენს სიარულის ქცევის მანერას და უფრო ნელი ადამიანების სიარულის მანერას ან ზოგადად მანერას?

31. როცა წვებით ადვილად იძინებთ?

32. სიამოვნებით გამოდიხართ შეკრებებზე, სემინარებზე?

33. ადვილია თქვენთვის ხასიათის გაფუჭება?

34. ადვილად წყდებით შესასრულებელ სამუშაოს?

35. თავს იკავებთ საუბრებისგან, თუ ის სხვებს უშლის ხელს?

36. ადვილია თქვენი პროეცირება?

37. რაიმე სამუშაოს ერთობლივი შესრულებისას ადვილად ეწყობით პარტნიორს?

38. ყოველთვის ფიქრობთ მნიშვნელოვანი საქმის შესრულების წინ?

39. თუ რაიმე ტესტს კითხულობთ, შეგიძლიათ მისდიოთ ავტორის მსჯელობას თავიდან ბოლომდე?

40. ადვილად ერთვებით თანამგზაერთან საუბარში?

41. იკავებთ თავს ვინმეს იმაში დარწმუნებისგან, რომ ის არაა მართალი, თუ ასეთი ქცევა მიზანშეწონილია?

42. სიამოვნებით იწყებთ სამუშაოს, რომელიც მოითხოვს ხელების სიმარდეს?

43. შეგიძლიათ შეცვალოს უკვე მიღებული გადაწყვეტილება სხვების აზრის გათვალისწინებით?

44. სწრაფად ეჩვევით მუშაობის ახალ სისტემას?

45. შეგიძლიათ ღამითაც მუშაობა მას შემდეგ, რაც მთელი დღე იმუშავეთ?

46. სწრაფად კითხულობთ ბელეტრისტულ ლიტერატურას?

47. ხშირად უარს ამბობთ თქვენს განზრახვებზე, თუ წარმოიქმნება დაბრკოლებები?

48. ინარჩუნებთ საკუთარი თავის ფლობას სიტუაციებში, რომლებიც ამას მოითხოვენ?

49. ჩვეულებრივ სწრაფად და ადვილად იღვიძებთ?

50. შეგიძლიათ თავი შეიკავოთ მომენტალური, იმპულსური რეაქციისგან?

51. შეგიძლიათ ხმაურიან გარემოში მუშაობა?

52. შეგიძლიათ თავი შეიკავოთ საჭიროებისას იმისგან, რომ სიმართლე უთხრათ თვალებში?

53. წარმატებით იკავებთ თავს ღელვისგან გამოცდის, უფროსთან შეხვედრის წინ და ა.შ.?

54. სწრაფად ეგუებით ახალ გარემოს?

55. მოგწონთ ხშირი ცვლილებები და მრავალფეროვნება?

56. ახდენთ ძალების სწრაფად აღდგენას ღამის დასვენების შემდეგ, თუ წინა დღით გქონდათ მძიმე სამუშაო?

57. თავს არიდებთ საქმეებს, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სხვადასხვაგვარ მოქმედებას ხანმოკლე დროის მანძილზე?

58. როგორც წესი, თქვენ დამოუკიდებლად უმკლავდებით წარმოქმნილ სირთულეებს?

59. ელოდებით ვინმეს სიტყვის დასრულებას, სანამ თავად დაიწყებთ საუბარს?

60. თუ ცურვა იცით, ჩახტებოდით წყალში, რათა გადაგერჩინათ ადამიანი?

61. შეგიძლიათ დაძაბული მუშაობა, სწავლა?

62. შეგიძლიათ თავი შეიკავოთ უადგილო შენიშვნებისგან?

63. ანიჭებთ მნიშვნელობას მუდმივ ადგილს მუშაობის დროს, ჭამისას, ლექციებზე?

64. ადვილად გადადიხართ ერთი საქმიანობიდან მეორეზე?

65. აფასებთ ყველას „დიახ" და „არა"-ს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინ?

66. ადვილად ძლევთ დაბრკოლებებს?

67. იკავებთ თავს სხვისი ნივთების, ქაღალდების დათვალიერებისგან?

68. ხართ მოწყენილი, როცა სტერეოტიპული საქმიანობით ხართ დაკავებული, რაც ყოველთვის ერთნაირად სრულდება?

69. იცავთ აკრძალვებს, ვალდებულებებს საზოგადოებრივ ადგილებში?

70. იკავებთ თავს ზედმეტი ჟესტიკულაციისგან საუბრის, გამოსვლის ან კითხვებზე პასუხის გაცემის დროს?

71. მოგწონთ ირგვლივ გაცხოველებული მოძრაობა?

72. მოგწონთ საქმიანობა (სამუშაო), რომელიც მოითხოვს დიდ ძალისხმევას?

73. შეგიძლიათ დიდი ხნის მანძილზე მოახდინოთ ყურადღების კონცენტრაცია გარკვეული ამოცანის შესრულებაზე?

74. გიყვართ დავალებები, რომლებიც მოითხოვენ სწრაფ მოძრაობებს?

75. შეგიძლიათ თაეი აიყვანოთ ხელში რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში?

76. თუ საჭიროა დგებით საწოლიდან გაღვიძებისთანავე?

77. შეგიძლიათ თქვენთვის დავალებული სამუშაოს შესრულების შემდეგ მოთმინებით დაელოდოთ, როდის დაამთავრებენ სამუშაოს სხვები?

78. მოქმედებთ ისევე მკაფიოდ მას შემდეგ, რაც შენიშნეთ, რომ გახდით მოწმე რაიმე უსიამოვნო მოვლენების?

79. სწრაფად ათვალიერებთ გაზეთებს?

80. გიხდებათ ისე სწრაფად საუბარი, რომ ძნელია თქვენი გაგება?

81. შეგიძლიათ მუშაობა, თუ გტკივათ თავი, კბილი და ა.შ.?

82. შეგიძლიათ ხანგრძლივად იმუშაოთ შესვენების გარეშე?

83. შეუძლია სამუშაოს თქვენი განწყობილების შეცვლა?

84. მშვიდად აგრძელებთ სამუშაოს, რომლის დამთავრებაც საჭიროა, თუ იცით, რომ თქვენი ამხანაგები ერთობიან და გელოდებიან?

85. პასუხობთ სწრაფად დასმულ შეკითხვებს?

86. ჩვეულებრივ სწრაფად ლაპარაკობთ?

87. შეგიძლიათ იმუშაოთ მშვიდად, თუ ელოდებით სტუმრებს?

88. ადვილად იცვლით აზრს გონივრული არგუმენტების გაელენით?

89. ხართ მომთმენი?

90. შეგიძლიათ შეეგუოთ თქვენზე უფრო ნელი ადამიანის მუშაობის რიტმს?

91. შეგიძლიათ დაგეგმოთ საქმიანობა ისე, რომ ერთდროულად შეასრულოთ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული საქმე?

92. შეუძლია მხიარულ კომპანიას შეცვალოს თქვენი ნაღვლიანი განწყობილება?

93. ზედმეტი დაძაბულობის გარეშე შეგიძლიათ შეასრულოთ რამდენიმე მოქმედება ერთდროულად?

94. ინარჩუნებთ ფსიქიკურ წონასწორობას, როცა წარმოადგენთ ქუჩაში უბედური შემთხვევის მოწმეს?

95. გიყვართ სამუშაო, რომელიც მოითხოვს მრავალგვარ მანიპულაციას?

96. ინარჩუნებთ სიმშვიდეს, თუ რომელიმე ახლობელი იტანჯება?

97. ხართ დამოუკიდებელი რთულ ცხოვრებისეულ პირობებში?

98. თავისუფლად გრძნობთ თავს დიდ ან უცნობ კომპანიაში?

99. შეგიძლიათ უმალვე შეწყვიტოთ საუბარი, თუ ეს საჭიროა (მაგალითად, კინოსეანსის, კონცერტის, ლექციის დაწყების წინ)?

100. ადვილად ეგუებით სხვა ადამიანების მუშაობის მეთოდებს?

101. მოგწონთ ხშირად საქმიანობის ცვლილება?

102. ხართ მიდრეკილი ხელში აიღოთ ინიციატივა, თუ ხდება რამე საგანგებო?

103. იკავებთ თავს სიცილისგან შეუსაბამო შემთხვევებში?

104. იწყებთ თაეიდანვე ინტენსიურად მუშაობას?

105. გაქვთ გაბედულება გამოხვიდეთ საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ, თუ ფიქრობთ, რომ მართალი ხართ?

106. უმკლავდებით დროებითი დეპრესიის (დათრგუნულობის) მდგომარეობას?

107. ახერხებთ ნორმალურად ჩაძინებას ძლიერი გონივრული გადაღლის შემდეგ?

108. შეგიძლიათ მშვიდად დალოდება, მაგალითად რიგში?

109. შეიკავებთ თავს ჩარევისგან, თუ წინასწარაა ცნობილი, რომ ის არაფერს მოიტანს?

110. შეგიძლიათ მშვიდად თქვენი გამონათქვამების არგუმენტირება ცხარე საუბრის დროს?

111. შეგიძლიათ მყისიერი რეაგირება უჩვეულო სიტუაციაზე?

112. იქცევით მშვიდად, თუ ამას გთხოვენ?

113. დათანხმდებით მტკივნეულ სამედიცინო პროცედურებზე განსაკუთრებული შინაგანი მერყეობის გარეშე?

114. შეგიძლიათ ინტენსიურად მუშაობა?

115. სიამოვნებით ცვლით გართობისა და დასვენების ადგილებს?

116. გიძნელდებათ ახალ დღის წესრიგთან შეგუება?

117. მიიჩქარით დახმარების გასაწევად მოულოდნელ შემთხვევაში?

118. ესწრებით რა სპორტულ შეჯიბრებებს ცირკში და სხვაგან, იკავებთ თავს მოულოდნელი წამოძახილებისა და ჟესტებისგან?

119. მოგწონთ საქმიანობა, რომელიც მოითხოვს საუბრის წარმართვას მრავალ ადამიანთან?

120. ფლობთ მიმიკას?

121. მოგწონთ საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ენერგიულ მოძრაობებს?

122. თელით თავს მამაც ადამიანად?

123. გიწყდებათ ხმა (გიძნელდებათ საუბარი) უჩვეულო სიტუაციაში?

124. შეგიძლიათ დაძლიოთ თავგზის დაბნევა, წარუმატებლობის დროს მუშაობის სურვილის არქონა?

125. შეგიძლიათ ხანგრძლივი დროით იდგეთ ფეხზე, იჯდეთ მშვიდად, თუ ამას გთხოვენ?

126. შეგიძლიათ დააშოშმინოთ მხიარულება, თუ ეს ვინმეს შეაცბუნებს?

127. ადვილად გადადიხართ მწუხარებიდან სიხარულის მდგომარეობაში?

128. ადვილად გამოდიხართ წონასწორობიდან?

129. განსაკუთრებული სირთულის გარეშე იცავთ თქვენს გარემოში საეალდებულო ქცევის წესებს?

130. მოგწონთ საჯაროდ გამოსვლა?

131. ჩვეულებრივ სამუშაოს იწყებთ სწრაფად, ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდის გარეშე?

132. მზად ხართ დაეხმაროთ სხვას, სიცოცხლის გარისკვის ფასად?

133. თქვენი მოძრაობები ენერგიულია?

134. სიამოვნებით ასრულებთ საპასუხისმგებლო სამუშაოს?

ტესტის ინტერპრეტაცია

თითოეული თვისების (აღგზნებისა და შეფერხების პროცესების ძალის), ასევე მათ მოძრაობის შეფასება ხდება კითხვებზე გაცემულ პასუხებზე მიღებული ქულების შეჯამების გზით. თუ ცდის პირის პასუხი ემთხვევა კოდს, ის ფასდება ორი ქულით, თუ არ ემთხვევა, ცდის პირი იღებს ნულოვან შეფასებას. პასუხი „არ ვიცი" ფასდება ერთი ქულით.

კოდი

1. აღგზნების პროცესების ძალა

„დიახ" – 3, 4, 7, 13, 15, 16, 19, 21, 23, 24, 32, 39, 45, 56, 60, 61, 66, 72, 73, 78, 81, 82, 83, 94, 97, 98, 102, 105, 106, 113, 114, 117, 121, 122, 124, 130, 132, 133, 134,

„არა" – 47, 51, 107, 123.

2. შეფერხების პროცესების ძალა

„დიახ" – 2, 5, 8, 10, 12, 16, 27, 30, 36, 37, 38. 41, 48, 50, 52, 53, 62, 65, 69, 70, 75, 77, 84, 87, 89, 90, 96, 99, 103, 108, 109,110, 112, 118, 120, 125, 126, 129.

„არა" – 18, 34, 36, 59, 67, 128.

3. ნერვული პროცესების მოძრაობა.

„დიახ" – 1, 6, 9, 11, 14, 20, 22, 26, 28, 29,31, 33, 40, 42, 43,. 44, 46, 49, 54, 55, 64, 68, 71, 74, 76, 79, 80, 85, 86, 88, 91, 92,93, 95, 100, 101, 107, 111, 115, 116, 119, 127, 131.

„არა" – 25, 57, 63.

დიაგნოზი: 42 ქულა და მეტი თითოეულ თვისებაზე განიხილება, როგორც მისი გამოხატულების მაღალი ხარისხი.

მეთოდიკა „ვ-ფლო" (В-ФЛО)

ინსტრუქცია. თითოეულ თქვენგანს აქვს ბლანკი 58 დანომრილი კვადრატით. თითოეულ კვადრატში სწრაფად უნდა ჩაეწეროთ პასუხი 57 კითხვაზე. კითხვებს დაგისვამენ ზეპირი ფორმით. თუ კითხვაზე გაქვთ დადებითი პასუხი, დაწერეთ „+" კვადრატის შიგნით ციფრის ზემოთ, უარყოფითი პასუხისას – „–" კვადრატის შიგნით ციფრის ზემოთ, კითხვაზე შეგიძლიათ დაფიქრდეთ 3 წთ. კანდიდატების გამოკვლევის დასრულების შემდეგ ბლანკებს აგროვებენ მათზე სამო ამოშიფრული ტრაფარეტით „ე-ი", „ს-ნ", „ს" დადების გზით. იანგარიშება ამოშიფრულ ტრაფარეტში პლიუსებისა და მინუსების ღიობებთან თანხვედრის საერთო რაოდენობა. პლიუსების ოდენობა თითოეულ ფაქტორზე იანგარიშება ცალკე.

კითხვები „ვ-ფლო" ექსპერიმენტული მეთოდიკის მიხედვით

1. ხშირად გიწევთ გული ახალი შთაბეჭდილებებისკენ, რათა გამოეფხიზლდეთ, აინთოთ?

2. ხშირად გრძნობთ, რომ გჭირდებათ მეგობრები, რომლებიც გაგიგებენ, დაგეთანხმებიან ან დაგამშვიდებენ?

3. თელით თავს უწყინარ ადამიანად?

4. გიძნელდებათ უარი თქვათ განზრახვებზე?

5. თქვენს საქმეებზე აუჩქარებლად ფიქრობთ, ანიჭებთ უპირატესობას ლოდინის მოქმედებას?

6. ყოველთვის ასრულებთ დანაპირებს თუნდაც, თუ ეს თქვენთვის არახელსაყრელია?

7. ხშირად გაქვთ დაწეული და ამაღლებული განწყობილება?

8. საერთოდ მოქმედებთ და საუბრობთ სწრაფად დაფიქრების გარეშე?

9. გქონიათ ოდესმე გრძნობა, რომ უბედური ადამიანი ხართ, თუმცა ამისათვის არანაირი მიზეზი არ გქონიათ?

10. მართალია, რომ თითქმის ყველაფერზე შეგეძლოთ წასვლა, თუ საქმე სადავო გახდებოდა?

11. ცბუნდებით, როცა გსურთ საუბრის დაწყება სიმპათიურ უცნობ გოგონასთან?

12. ხდება ისე, რომ გამოდიხართ წყობიდან?

13. ხშირად ხდება ისე, რომ მოქმედებთ წუთიერი გავლენით?

14. ხშირად გაწუხებთ აზრები იმის შესახებ, რომ ეს არ უნდა გეთქვათ ან გაგეკეთებინათ?

15. ანიჭებთ უპირატესობას წიგნებს,ადამიანებთან შეხვედრებს?

16. მართალია, რომ ადვილია თქვენი წყობიდან გამოყვანა?

17. გიყვართ ხშირად კომპანიაში ყოფნა?

18. გაქვთ ისეთი აზრები, რომ არ გსურთ მათზე სხვებმაც იცოდნენ?

19. მართალია, რომ ზოგჯერ ენერგიით ისე ხართ სავსე, რომ ყველაფერი გამოგდით, ზოგჯერ კი სრულიად უსიცოცხლო ხართ?

20. უპირატესობას ანიჭებთ გყავდეთ ნაკლები რაოდენობის მეგობრები?

21. ზოგჯერ ოცნებობთ?

22. როცა გიყვირიან, იმაეთი პასუხობთ?

23. ხშირად გქენჯნით სინდისი?

24. ყველა თქვენი ჩვევა კარგი და სასურველია?

25. შეგიძლიათ თავისუფლება მისცეთ გრძნობებს და ბოლომდე იმხიარულოთ კომპანიაში?

26. შეიძლება ითქვას თქვენზე, რომ ნერვები დაძაბული გაქვთ უკიდურესად?

27. ითვლებით მხიარულ და ცოცხალ ადამიანად?

28. მას შემდეგ, რაც საქმე გაკეთდა, ხშირად უბრუნდებით აზრებით მას და ფიქრობთ, რომ შეგეძლოთ უკეთ გაგეკეთებინათ?

29. თავს ჩვეულებრივ გრძნობთ ნერვიულად, როცა კომპანიაში ხართ?

30. ხდება ისე, რომ ავრცელებთ ხმებს?

31. ხდება ისე, რომ არ გეძინებათ სხვადასხვა აზრების გამო?

32. თუ გსურთ გაიგოთ რამე, ანიჭებთ უპირატესობას ამის შესახებ წაიკითხოთ წიგნში, ვიდრე პკითხოთ მეგობრებს?

33. გაქვთ ძლიერი გულისცემა?

34. მოგწონთ სამუშაო, რომელიც მოითხოვს დაჟინებულ ყურადღებას?

35. გაქვთ ნერვული კანკალის შეტევები?

36. რომ გცოდნოდათ თქვენს მიერ თქმული არ იქნებოდა გამჟღავნებული, ყოველთვის იქნებოდით საყოველთაოდ მიღებული აზრის გამომხატველი?

37. თქვენთვის არასასიამოვნოა კომპანიაში ყოფნა, სადაც ერთმანეთზე ხუმრობენ?

38. თქვენ გამაღიზიანებელი ხართ?

39. მოგწონთ სამუშაო, რომელიც მოითხოვს მოქმედებების სისწრაფეს?

40. მართალია, რომ ხშირად სიმშვიდეს გაკარგვინებთ აზრები სხვადასხვა უსიამოვნოებებისა და საშინელებების შესახებ, რომლებიც შეიძლება მომხდარიყო, თუმცა ყველაფერი კარგად დასრულდა?

41. თქვენ ნელი და მოუქნელი ხართ მოძრაობებში?

42. ხშირად გესიზმრებათ კოშმარები?

43. ოდესმე დაგიგვიანიათ პაემანზე, სამუშაოზე, მეცადინეობებზე?

44. მართალია, რომ ისე გიყვართ საუბარი, რომ არასდროს არ უშვებთ ხელიდან უცნობ ადამიანთან გასაუბრების შემთხვევას?

45. გაწუხებთ რაიმე ტკივილი?

46. თავს უბედურად იგრძნობდით, თუ დიდი ხანი ვერ ნახავდით ნაცნობებს?

47. შეგიძლიათ უწოდოთ თქვენს თავს ნერვული ადამიანი?

48. არიან თქვენს ნაცნობ ადამიანებში ისეთები, რომლებიც აშკარად არ მოგწონთ?

49. შეგიძლიათ თქვათ საკუთარ თავზე, რომ თვითდაჯერებული ადამიანი ხართ?

50. თქვენი წყენინება ადვილია, თუ გააკრიტიკებენ თქვენს და თქვენი სამუშაოს ნაკლოვანებებს?

51. თვლით, რომ ძნელია მიიღო ნამდვილი სიამოვნება წვეულებისგან?

52. გაწუხებთ გრძნობა, რომ სხვებზე უფრო ცუდი ხართ?

53. არ გიძნელდებათ სიცოცხლის შეტანა საკმაოდ მოსაწყენ კომპანიაში?

54. ხდება ისე, რომ საუბრობთ ისეთ რამეებზე, რომლებშიც საერთოდ არ ერკვევით?

55. ღელავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე?

56. გიყვართ სხვებზე ხუმრობა?

57. გაწუხებთ უძილობა?

ბლანკის ნიმუში

ს.გ.მ. _____

დრო _____ ადგილი _____

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38
39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57

3- ფაქტორული პიროვნული კითხვარი საშუალებას იძლევა განისაზღვროს სამი მაჩვენებელი:
ექსტრავერსია – ინტროვერსია;
სტაბილურობა – ნევროტიზმი;
პატიოსნება – სიცრუე.

დამუშავების შემდეგ მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია ხდება პროფესიული გამოსადეგობის ჯგუფების მიხედვით.

ტრაფარეტ-ამოშიფვრა
„ე-ი“

+0		+0		−0			+0		+0			+0		−0		+0		
+0		+0			+0		+0		−0			−0		−0			−0	
		+0			+0		+0			+0		−0		+0			+0	

ტრაფარეტ-ა მოშიფვრა
„ს-ფ“

	+0		+0			+0		+0		+0			+0		+0			
	+0		+0			+0		+0			+0		+0		+0			
	+0			−0		+0		+0			+0		+0			+0		

ტრაფარეტ-ამოშიფვრა
„ს“

			+0						−0						−0			
		+0						+0						−0				
	+0						−0						−0					

შენიშვნა: „0“ – ღიობი ბლანკში

პროფესიული გამოსადეგარობის ჯგუფების განსაზღვრა

პირველი ფაქტორი ექსტრავერსია-ინტროვერსია.

ის განისაზღვრება „ე-ი“ ტრაფარეტის მეშვეობით. ტრაფარეტის განაჭერის მქონე კანდიდატის ბლანკზე პლიუსებისა და მინუსების საერთო ოდენობა შეესაბამება პროფესიული გამოსადეგობის ოთხი ჯგუფიდან ერთ-ერთს ერთი ფაქტორის მიხედვით.

I ჯგუფი. პლუსებისა და მინუსების 24-დან 19-მდე დამთხვევა. კანდიდატი ძალიან გულღიაა, კომუნიკაბელურია, კოლექტივის ინტერესებს პირად ინტერესებზე მაღლა აყენებს.

II ჯგუფი. 18-დან 16-მდე დამთხვევა. კანდიდატი ძალიან გულღიაა, კომუნიკაბელურია, აქტიეისტია.

III ჯგუფი. 15-დან 11-მდე დამთხვევა, კანდიდატში ვლინდება გულღიაობისა და ჩაკეტილობის, კოლექტივიზმისა და ეგოიზმის ორმაგობა.

მეორე ფაქტორი სტაბილურობა – ნევროტიზმი.

I ჯგუფი. 6-დან 0 დამთხვევა. კანდიდატი სიცოცხლისუნარიანია, ოპტიმისტურია.

II ჯგუფი. 10-დან 7-მდე დამთხვევა. კანდიდატი გაწონასწორებულია, დადებითი ემოციები სჭარბობს უარყოფითს.

III ჯგუფი. 18-დან 11-მდე დამთხვევა. კანდიდატს აღენიშნება განწყობილების ხშირი ცვლა.

IV ჯგუფი. 24-დან 19-მდე დამთხვევა. კანდიდატში უარყოფითი ემოციები სჭარბობს დადებითს.

მესამე ფაქტორი პატიოსნება – სიცრუე.

ის განისაზღვრება ამოშიფრული „ს“ ტრაფარეტის მეშვეობით. ტრაფარეტის განაჭერის მქონე კანდიდატის ბლანკზე პლიუსებისა და მინუსების საერთო ოდენობა შეესაბამება პროფესიული გამოსადეგობის IV ჯგუფიდან ერთ-ერთს მესამე ფაქტორის მიხედვით.

I ჯგუფი. 0-დან 1-მდე დამთხვევა. კანდიდატი უკიდურესად პატიოსანია.

II ჯგუფი. 2-დან 3-მდე დამთხვევა. კანდიდატი პატიოსანია.

III ჯგუფი. 4-დან 6-მდე დამთხვევა. კანდიდატი ტყუის სიტუაციის მიხედვით.

IV ჯგუფი. 7-დან 9-მდე დამთხვევა. კანდიდატი მატყუარაა.

3-ფაქტორიანი მეთოდიკის მიხედვით პროფესიული გამოსადეგობის საერთო ჯგუფი განისაზღვრება სამიეე ფაქტორზე საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის საფუძველზე. დავუშვათ, რომ თითოეულს პირველ ფაქტორზე გააჩნია 17 დამთხვევა, მეორეზე – 10, მესამეზე – 2. ადრე აღწერილი კრიტერიუმების შესაბამისად, კანდიდატი პირველი ფაქტორის მიხედვით განეკუთვნება პროფესიული გამოსადეგობის II ჯგუფს, მეორეს მიხედვით – III ჯგუფს, მესამეს მიხედვით – II ჯგუფს. ახლა კი, ყალიბდება ყველა ჯგუფი (3+3+2), განვსაზღვრავთ ჯამს (მოცემულ შემთხვევაში ის უდრის 8) და ჯამს ვყოფთ ფაქტორების რაოდენობაზე ანუ 3-ზე. შედეგად განვსაზღვრავთ, რომ I ექსპერიმენტული მეთოდიკის მიხედვით, პროფესიული გამოსადეგობის ზოგად ჯგუფზე კანდიდატი განეკუთვნება II ჯგუფს.

გასაღებები

1. ე – ი „დიახ“: 1, 3, 8, 10, 13, 17, 22, 25, 27, 44, 49, 53, 56;

„არა“: 5, 15, 20, 29, 32, 34, 37, 41, 46, 51.

2. ს – ნ „დიახ“: 2, 4, 7, 9, 11, 14, 16, 19, 21, 23, 26, 28, 31.33, 35,38,40, 3.

„არა“: 45, 50, 52, 55, 57.

ვ. ს. „დიახ“: 4, 22, 28;

„არა“: 10, 16, 34, 40, 46, 52.

აიზენკის ტესტ-კითხვარი

თუ ვინმეს აზრად მოუვიდოდა ფსიქოლოგიური მეთოდიკების გამოყენების შედარება, უეჭველი იქნებოდა ის, რომ მასში პირველ ადგილს (გამოყენების სიხშირის მიხედვით) დაიკავებდა EPI ტესტ-კითხვარი. შექმნილი ინგლისელი ფსიქოლოგის გ. აიზენკის მიერ მოცემული ავტორი, რომელიც გაანალიზა 700 ჯარისკაცი-ნევროტიკის გამოკვლევის მასალები მივიდა დასკვნამდე, რომ ადამიანის მთელი აღწერითი თვისებების ერთობლიობა შეიძლება წარმოვიდგინოთ **2 მთავარი ფაქტორის: ექსტრავერსიისა (ინტროვერსიის) და ნევროტიზმის** მეშვეობი. პირველი ფაქტორი ბიპოლარულია და წარმოადგენს ადამიანის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური წყობის მახასიათებელს, რომლის უკიდურესი პოლუსები შეესაბამებიან პიროვნების ორიენტაციას ან გარეშე ობიექტების სამყაროს (ექსტრავერსია) ან სუბიექტურ შინაგან სამყაროს (იტნროვერსია). ექსტრავერსიებს ახასიათებთ გულ-

ღიაობა, იმპულსურობა, ქცევის მოქნილობა, დიდი ინიციატივიანობა (მაგრამ ნაკლები შეუპოვრობა) და მაღალი სოციალური შეგუებითობა. ინტროვერტებს კი, პირიქით, ახასიათებთ ჩაკეტილობა, სოციალური პასიურობა (დიდი შეუპოვრობის დროს), თვითანალიზისკენ მიდრეკილება და სოციალური ადაპტაციის სირთულეები.

მეორე ფაქტორი-ნევროტიზმი – აღწერს გარკვეულ თვისება-მდგომარეობას, რომელიც ადამიანს ახასიათებს ემოციური არამდგრადობის, შფოთვის, საკუთარი თავის პატივისცემის დონის და შესაძლო ვეგეტატიური დარღვევების მხრიდან. ეს ფაქტორიც ბიპოლარულია და წარმოქმნის სკალას, რომლის **ერთ პოლუსზე** არიან საკმაოდ მტკიცე, მოწიფული და ბრწყინვალედ ადაპტირებული ადამიანები, **მეორეზე კი** – საკმაოდ ნეიროზული, არამდგრადი და ცუდად ადაპტირებული ტიპი. ადამიანების დიდი ნაწილი თავსდება ამ ორ პოლუსს შორის, უფრო ახლოს ცენტრთან (ნორმალური განაწილების თანახმად).

ამ 2 ბიპოლარული მახასიათებლის გადაკვეთა საშუალებას იძლევა მივიღოთ მოულოდნელი და საკმაოდ საინტერესო შედეგი – ადამიანის საკმაოდ მკაფიო განკუთვნება 4 ტემპერამენტიდან ერთ-ერთისთვის.

ტემპერამენტისთვის დაწერილებითი დახასიათების მიცემა წიგნის შეზღუდულ მოცულობაში უადგილოა და არცაა საჭირო – ისინი მკითხველისთვის ისედაც ცნობილია. აიზენკის 2-ფაქტორული მოდელის ზოგიერთ სიტუაციურ კორელატზე საუბარი კი, უბრალოდ აუცილებელია.

საქმე იმაშია, რომ მტკიცება თითქოს **ექსტრავერტები** მხოლოდ აგზნებადები და მოძრავნი არიან, **ინტროვერტები** – შეკავებულნი და ინერტულები, **ნევროტიზმისკენ** მიდრეკილნი – არასტაბილურნი და დეზადაპტაციურნი, **ხოლო მათი ანტიპოდები** საკმაოდ მყარნი ემოციურად და მაღალი შეგუებადობის მქონენი, ზედმეტად გამარტივებული და არასაკმარისად პროგნოზულია. ასევე აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება და მაშინ აღმოჩნდება, რომ სუსტი სტიმულების სიტუაციებში უფრო ადექვატურია ნაკლები ემოციური სტაბილურობისა და ინტროვერტირების მქონე ადამიანის ქცევა, რამდენადაც ის აკლენს აუცილებელ ფსიქოლოგიურ მგრძნობელობას. სტაბილურმა ექსტრავერტმა კი ამგვარ სიტუაციებში შეიძლება გამოაკლინოს გაღიზიანება, რაც გადადის აგრესიაში, რამეთუ ის არ გრძნობს სუსტ, მაგრამ მნიშვნელოვან ზეგაკლენებს და გარემოებებთან მისი შეუსაბამობის მიზეზებს. თუმცა, ექსტრავერტი უფრო ადაპტურია „ძლიერ გარემოში" (დაძაბულ პირობებში), რომლებშიც ინტროვერტი ადვილად ვარდება დეპრესიაში, რაც გამოწვეულია ნერვული გამოფიტვითა და უკიდურესი შეკავებით.

აიზენკის ტესტ-კითხვარის შედეგები ტრადიციულად გამოიყენება ცოლ-ქმრული შეთავსებადობის „ქეედა" ანუ კონსტიტუციონალური დონეების ანალიზის დროს.



გ. აიზენკის ტესტის კითხვების ჩამონათვალი

(დიახ – არა)

1. ხშირად გიწევთ გული ახალი შთაბეჭდილებებისკენ, რათა გაერთოთ, განიცადოთ ძლიერი შეგრძნებები? („დიახ" – „არა").

2. ხშირად გრძნობთ, რომ გჭირდებათ მეგობრები, რომლებიც გაგიგებენ, დაგეთანხმებიან, თანაგიგრძნობენ?

3. თელით თავს უდარდელ ადამიანად?

4. გიძნელდებათ უარი თქვათ განზრახვებზე?

5. ფიქრობთ საქმეებზე აუჩქარებლად და ანიჭებთ უპირატესობას დალოდებას სანამ იმოქმედებთ?

6. ყოველთვის ასრულებთ დანაპირებს თუნდაც, თუ ეს თქვენთვის არახელსაყრელია?

7. ხშირად გაქვთ დაწეული და ამაღლებული განწყობილება?

8. ჩვეულებრივ მოქმედებთ და საუბრობთ სწრაფად და არ კარგავთ დიდ დროს მოფიქრებაზე?

9. გქონდათ ოდესმე გრძნობა, რომ უბედური ხართ, თუმცა ამისათვის არ იყო არანაირი სერიოზული მიზეზი?

10. მართალია, რომ თითქმის ყველაფერზე შეგიძლიათ წასვლა, თუ საქმე სადაო გახდება?

11. უხერხულად გრძნობთ თავს, როცა გსურთ გაიცნოთ საპირისპირო სქესის ადამიანი, რომელიც გესიმპათიურებათ?

12. ხდება ისე, რომ გაბრაზებული წყობიდან გამოდიხართ?

13. ხშირად მოქმედებთ დაუფიქრებლად, მომენტის გავლენით?

14. ხშირად გაწუხებთ აზრები იმის შესახებ, რომ ეს არ უნდა გეთქვათ ან გაგეკეთებინათ?

15. ანიჭებთ უპირატესობას წიგნების კითხვას ადამიანებთან შეხვედრებს?

16. მართალია, რომ ადვილია თქვენი წყენინება?

17. გიყვართ ხშირად კომპანიაში ყოფნა?

18. გაქვთ ისეთი აზრები, რომელთა გაზიარებაც არ გსურთ სხვებისთვის?

19. მართალია, რომ ზოგჯერ ენერგიით ისე ხართ სავსე, რომ ყველაფერი გამოგდით, ზოგჯერ კი, სრულიად მოდუნებული ხართ?

20. ცდილობთ შეზღუდოთ თქვენი ნაცნობების წრე ყველაზე ახლობელი ადამიანების მცირე რაოდენობით?

21. ბევრს ოცნებობთ?

22. როცა გიყვირიან, იმაგვითი პასუხობთ?

23. ხშირად გაქვთ დანაშაულის გრძნობა?

24. ყველა თქვენი ჩვევა კარგი და სასურველია?

25. შეგიძლიათ თავისუფლება მისცეთ გრძნობებს და ბოლომდე იმხიარულოთ კომპანიაში?

26. შეიძლება ითქვას, რომ ნერვები უკიდურესად დაძაბული გაქვთ?

27. გთვლიან მხიარულ და ცოცხალ ადამიანად?

28. მას შემდეგ, რაც საქმე გაკეთდა, ხშირად უბრუნდებით მას აზრებით და ფიქრობთ, რომ შეგეძლოთ უკეთ გაგეკეთებინათ?

29. მართალია, რომ ჩვეულებრივ ჩუმი და თავშეკავებული ხართ სახლში?

30. ხდება ისე, რომ ავრცელებთ ხმებს?

31. ხდება ისე, რომ არ გეძინებათ სხვადასხვა აზრების გამო?

32. მართალია, რომ ხშირად უფრო სასიამოვნო და ადვილია წაიკითხოთ წიგნში იმაზე, რაც გაინტერესებთ, თუმცა შეიძლება ამის უფრო სწრაფად და მარტივად გაგება მეგობრებთან?

33. გაქვთ ძლიერი გულისცემა?

34. მოგწონთ სამუშაო, რომელიც მოითხოვს დაჟინებულ ყურადღებას?

35. გაქვთ კანკალის შეტევები?

36. მართალია, რომ ყოველთვის კარგს ამბობს ნაცნობებზე მაშინაც კი, როცა დარწმუნებული ხართ, რომ ისინი ამას ვერ გაიგებენ?

37. მართალია, რომ არ გსიამოვნებთ იმ კომპანიაში ყოფნა, სადაც მუდმივად ხუმრობენ ერთმანეთზე?

38. მართალია, რომ გამაღიზიანებელი ხართ?

39. მოგწონთ სამუშაო, რომელიც მოითხოვს მოქმედებების სისწრაფეს?

40. მართალია, რომ ხშირად არ გასვენებთ აზრები სხვადასხვა უსიამოვნებებისა და „საშინელებების" შესახებ, რომლებიც შეიძლება მომხდარიყო, თუმცა ყველაფერი კარგად დასრულდა?

41. მართალია, რომ მოძრაობებში ნელი ხართ?

42. ოდესმე დაგიგვიანიათ პაემანზე ან სამსახურში?

43. ხშირად გესიზმრებათ კოშმარები?

44. მართალია, რომ საუბრის ისეთი მოყვარული ხართ, რომ არასდროს არ გაუშვებთ ხელიდან უცნობ ადამიანთან გასაუბრების შემთხვევას?

45. გაწუხებთ რაიმე ტკივილი?

46. შეწუხდებოდით, თუ დიდი ხანი ვერ ნახავდით მეგობრებს?

47. შეგიძლიათ საკუთარ თავს ნერვიული ადამიანი უწოდოთ?

48. არიან თქვენს ნაცნობებში ისეთები, რომლებიც აშკარად არ მოგწონთ?

49. ადვილად გეწყინებათ თქვენი ან თქვენი სამუშაოს ნაკლოვანებების გაკრიტიკება?

50. შეგიძლიათ თქვათ, რომ თვითდაჯერებული ადამიანი ხართ?

51. ძნელია მიიღოთ ნამდვილი სიამოვნება ღონისძიებებისგან, რომლებშიც ბევრი მონაწილეა?

52. გაწუხებთ გრძნობა, რომ სხვებზე უფრო ცუდი ხართ?

53. შეძლებდით სიცოცხლის შეტანას მოსაწყენ კომპანიაში?

54. ხდება ისე, რომ საუბრობთ ისეთ რამეებზე, რომლებშიც საერთოდ არ ერკვევით?

55. ღელავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე?

56. გიყვართ სხვებზე ხუმრობა?

57. გაწუხებთ უძილობა?

კითხვარის კოდი

გულწრფელობა: პასუხები „დიახ“ კითხვებზე 6, 24, 36;

პასუხები „არა“ კითხვებზე 12, 18, 30, 42, 48, 54.

ექსტრავერსია: პასუხები „დიახ“ კითხვებზე 1, 3, 8, 10, 13, 17, 22, 27, 39, 44, 46, 49, 53, 56;

პასუხები „არა“ კითხვებზე 5, 15, 20, 29, 32, 34, 37, 41, 51.

ნევროტიზმი: პასუხები „დიახ“ კითხვებზე 2, 4, 7, 9, 11, 14, 16, 19, 21, 23, 26, 28, 31, 33, 35, 38, 40, 43, 45, 47, 50, 52, 55, 57.

გთავაზობთ გ. აიზენკის ტესტის გაფართოებულ ინტერპრეტაციას, რომელიც უნდა მოხდეს შემდეგი 2 ცხრილის მეშვეობით. კითხვარის კოდის იდენტურ თითოეულ პასუხზე ირიცხება 1 ქულა.

მაჩვენებლების ინტერპრეტაცია სკალის „გულწრფელობა“ მიხედვით

რიცხობრივი მაჩვენებელი	ინტერპრეტაცია
0 – 3	გულღია
4 – 6	სიტუაციური
7 – 9	ცრუ

ᲫᲐᲠᲐᲥᲢᲔᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘ
(კ. ლეონგარდის კითხვარი)

ეს ტესტი განკუთვნილია ხასიათის აქცენტუაციების ანუ ხასიათის გარკვეული მიმართულების გამოსავლენად. ის მოიცავს 88 კითხვას, 10 სკალას, რომლებიც შეესაბამებიან ხასიათის გარკვეულ აქცენტუაციებს. პირველი სკალა ახასიათებს პიროვნებას მაღალი ცხოვრებისეული აქტიურობით, მეორე სკალა გვიჩვენებს აღგზნებად აქცენტუაციას. მესამე სკალა მეტყველებს ცდის პირის ემოციური ცხოვრების სიღრმეზე. მეოთხე სკალა გვიჩვენებს ცდის პირის მიდრეკილებას პედანტიზმისკენ. მეხუთე სკალა მოიცავს მაღალ შფოთვას, მეექვსე – მიდრეკილებას განწყობილების ცვლილებისკენ, მეშვიდე – ცდის პირის ქცევის დემონსტრაციულობისკენ, მერვე – ქცევის გაუწონასწორებლობისკენ. მეცხრე სკალა მეტყველებს დაღლილობის ხარისხს, მეათე – ემოციური რეაგირების ძალასა და გამოხატულებას.

გამოკითხვის ჩატარების წინ ხდება ინსტრუქციის მიწოდება. პასუხების დრო არ იზღუდება.

ინსტრუქცია: „თქვენთვის შემოთავაზებული იქნება თქვენს ხასიათთან დაკავშირებული მტკიცებები. თუ ეთანხმებით მტკიცებას, მისი ნომრის გვერდით დასვით ნიშანი „+“ („დიახ“), თუ არ ეთანხმებით – „–“ („არა“), კითხვებზე დიდხანს ნუ იფიქრებთ, რადგანაც არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები.

მაჩვენებლების ინტერპრეტაცია სკალების „ექსტრავერტირებულობა“ და „ნევროტიზმი“ მიხედვით

რიცხობრივი მაჩვენებელი	0–2	3–6	7–10	11–14	15–18	19–22	23–24
ინტერპრეტაცია სკალისთვის "ექსტრავერტირებულობა"	ზეინტროვერტი	ინტროვერტირებულობა	პოტენციური ინტროვერტი	ამბივერტი	პოტენციური ექსტრავერტი	ექსტრავერტი	ზეექსტრავერტი
ინტერპრეტაცია სკალისთვის „ნევროტიზმი“	ზეკონკორდანტი	კონკორდანტი	პოტენციური კონკორდანტი	ნორმოსთენიკი	პოტენციური დისკორდანტი	დისკორდანტი	ზედისკორდანტი

კითხვარის ტესტი

1. ხშირად გაქვთ მხიარული და უდარდელი განწყობილება?

2. ხართ მგრძნობიარე შეურაცხყოფების მიმართ?

3. ხდება ისე, რომ მოგადგებათ თეალებზე ცრემლი კინოში, თეატრში, საუბრისას და ა.შ.

4. რაიმეს შესრულების შემდეგ ეჭვობთ, გააკეთეთ კი ყველაფერი სწორად და არ მშეიდდებით მანამ, სანამ არ დარწმუნდებით კიდევ ერთხელ იმაში, რომ ყველაფერი კარგადაა?

5. ბავშვობაში იყავით ისეთივე გაბედული, როგორც ყველა თქვენი თანატოლი?

6. ხშირად გეცვლებათ განწყობილება მკვეთრად უსაზღვრო მხიარულებიდან სიცოცხლისადმი, საკუთარი თავისადმი ზიზღამდე?

7. ჩვეულებრივ წარმოადგენთ ყურადღების ცენტრს საზოგადოებაში, კომპანიაში?

8. ხდება ისე, რომ უმიზეზოდ ხართ ბუზღუნის ხასიათზე და უმჯობესია არც დაგელაპარაკონ?

9. თქვენ სერიოზული ადამიანი ხართ?

10. შეგიძლიათ აღფრთოვანდეთ, აღტაცებული იყოთ რაიმესი?

11. ხართ ფხიანი?

12. სწრაფად გავიწყდებათ, თუ ვინმემ გაწყენინათ?

13. გულჩვილი ხართ?

14. უშვებთ რა წერილს საფოსტო ყუთში ამოწმებთ ყუთის ნაპრალზე ხელის მოსმით, რომ წერილი მთლიანად ჩავარდა იქ?

15. ცდილობთ იყოთ ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელი ყოველთვის?

16. ბავშვობაში შეგშინებიათ ჭექა-ქუხილის ან უცნობ ძაღლის შეფეთების დროს (შეიძლება ისეთი გრძნობა ახლაც გაქვთ მოწიფულ ასაკში)?

17. ცდილობთ ყველგან და ყველაფერში წესრიგი დაიცვათ?

18. არის თქვენი განწყობილება დამოკიდებული გარე ფაქტორებზე?

19. უყვარხართ ნაცნობებს?

20. ხშირად გაქვთ შინაგანი მღელვარების გრძნობა, შესაძლო უბედურების, უსიამოვნების შეგრძნება?

21. ხშირად ხართ დაწეულ განწყობილებაზე?

22. გქონდათ თუნდაც ერთხელ ისტერიკა ან ნერვიული შეტევა?

23. გიძნელდებათ ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა?

24. თუ თქვენ არასამართლიანად მოგექცნენ, ენერგიულად იცავთ თქვენს ინტერესებს?

25. შეგიძლიათ დაკლათ ქათამი ან ცხვარი?

26. გაღიზიანებთ, თუ სახლში ფარდა ან სურა არასწორად კიდია თუ უმალ ცდილობთ მათ გასწორებას?

27. ბავშვობაში გეშინოდათ სახლში მარტო დარჩენის?

28. ხშირად გეცვლებათ განწყობილება?

29. ყოველთვის ცდილობთ იყოთ საკმაოდ ძლიერი მუშაკი თქვენს პროფესიაში?

30. სწრაფად მოგდით გული ან სწრაფად რისხდებით?

31. შეგიძლიათ იყოთ აბსოლუტურად უდარდელად მხიარული?

32. ხდება ისე, რომ სრული ბედნიერების შეგრძნება გაქვთ?

33. როგორ ფიქრობთ, გამოვა თქვენგან წამყვანი იუმორისტულ სპექტაკლში?

34. ჩვეულებრივ გულღიად, პირდაპირ და არაორაზროვნად უზიარებთ აზრებს ადამიანებს?

35. ცუდად ხდებით სისხლის დანახვაზე? ეს არ იწვევს თქვენში უსიამოვნო შეგრძნებებს?

36. გიყვართ სამუშაო მაღალი პირადი პასუხისმგებლობით?

37. ხართ მიდრეკილი დაიცვათ პირები, რომელთაც უსამართლოდ ექცევიან?

38. გიძნელდებათ ბნელ სარდაფში ჩასელა?

39. ანიჭებთ უპირატესობას სამუშაოს, სადაც საჭიროა სწრაფად მოქმედება, მაგრამ ხარისხისადმი მოთხოვნები დაბალია?

40. ხართ გულღია?

41. სკოლაში სიამოვნებით ამბობდით ლექსებს?

42. ბავშვობაში სახლიდან გარბოდით?

43. ცხოვრება მძიმე გეჩვენებათ?

44. ხდება ისე, რომ კონფლიქტის, წყენის მერე ისე იყავით განაწყენებული, რომ სამსახურში წასელა უბრალოდ აუტანლად მოგჩვენებიათ?

45. შეიძლება ითქვას, რომ წარუმატებლობისას არ კარგავთ იუმორის გრძნობას?

46. გადადგამდით პირველ ნაბიჯს შერიგებისკენ, თუ ვინმე გაწყენინებდათ?

47. თქვენ ძალიან გიყვართ ცხოველები?

48. ბრუნდებით სახლში ან სამსახურში, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველაფერი წესრიგში დატოვეთ?

49. ზოგჯერ გაქვთ აზრი, რომ თქვენ ან თქვენს ახლობლებს რაიმე ცუდი შეგემთხვევათ?

50. თვლით, რომ ცვალებადი განწყობილება გაქვთ?

51. გიძნელდებათ მოხსენების გაკეთება (სცენაზე გამოსვლა) ბევრი ადამიანის წინაშე?

52. შეგიძლიათ დაარტყათ ვინმეს, თუ გაწყენინებთ?

53. გაქვთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დიდი მოთხოვნილება?

54. განეკუთვნებით იმათ რიცხეს, ვინც გარკვეული იმედგაცრუებისას ღრმა მწუხარებაში ვარდება?

55. მოგწონთ სამუშაო, რომელიც მოითხოვს ენერგიულ ორგანიზატორულ საქმიანობას?

56. შეუპოვრად მიიწევთ მიზნისკენ, თუ ამ გზაზე გიწევთ მრავალი დაბრკოლების გადალახვა?

57. შეუძლია ტრაგიკულ ფილმს ისე აგაღელვოთ, რომ თვალებზე ცრემლები მოგადგეთ?

58. ხშირად გიჭირთ დაძინება იმის გამო, რომ განვლილი დღის ან მომავლის პრობლემები მოსვენებას არ გაძლევთ?

59. სკოლაში ზოგჯერ კარნახობდით ან აწერინებდით ამხანაგებს?

60. გჭირდებათ დიდი ნებისყოფა, რომ მარტომ გაიაროთ სასაფლაოზე?

61. გულდასმით აკვირდებით იმას, რომ თითოეული ნივთი თქვენს ბინაში იყოს მხოლოდ ერთსა და იმავე ადგილას?

62. ხდება ისე, რომ ხართ რა კარგ განწყობილებაზე ძილის წინ, მეორე დილით დგებით დათრგუნული, რაც რამდენიმე საათს გრძელდება?

63. ადვილად ეგუებით ახალ სიტუაციებს?

64. გაქვთ თავის ტკივილები?

65. ხშირად იცინით?

66. შეგიძლიათ იყოთ თავაზიანი მასთანაც, ვისაც დიდად არ აფასებთ, არ გიყვართ, არ სცემთ პატივს?

67. მოძრავი ადამიანი ხართ?

68. ძალიან განიცდით უსამართლობას?

69. იმდენად გიყვართ ბუნება, რომ შეგიძლიათ მას უწოდოთ მეგობარი?

70. სახლიდან წასვლისას ან დაძინებისას ამოწმებთ არის თუ არა გადაკეტილი გაზი, ჩამქრალია თუ არა შუქი, ჩაკეტილია თუ არა კარი?

71. ძალიან მშიშარა ხართ?

72. გეცვლებათ განწყობილება ალკოჰოლის მიღებისას?

73. თქვენს ახალგაზრდობაში სიამოვნებით მონაწილეობდით მხატვრული თვითშემოქმედების წრეში?

74. ცხოვრებას რამდენადმე პესიმისტურად, სიხარულის მოლოდინის გარეშე აფასებთ?

75. ხშირად გიწევთ გული მოგზაურობისკენ?

76. შეიძლება თქვენი განწყობილება ისე მკვეთრად შეიცვალოს, რომ სიხარულის მდგომარეობა უცებ მოღუშული და პირქუში მდგომარეობით შეიცვალოს?

77. გიადვილდებათ მეგობრების განწყობილების ამაღლება კომპანიაში?

78. დიდხანს განიცდით წყენას?

79. დიდხანს განიცდით სხვა ადამიანების დარდს?

80. როცა მოსწავლე იყავით ხშირად ხელახლა იწერდით გვერდს, თუ მასში შემთხვევით მელანი დაგესხმებოდათ?

81. ადამიანებს უფრო უნდობლად და სიფრთხილით უყურებთ, ვიდრე მიმნდობად?

82. ხშირად გაქვთ საშინელი სიზმრები?

83. ხდება ისე, რომ გეშინიათ არ ჩაუვარდეთ მატარებელს ბორბლებში ან მრავალსართულიანი სახლის ფანჯარასთან მდგომი შიშობთ არ გადავარდეთ აქედან?

84. მხიარულ კომპანიაში ჩვეულებრივ მხიარული ხართ?

85. შეგიძლიათ მოსწყდეთ გადასაწყვეტ რთულ პრობლემებს?

86. ხდებით ნაკლებად თავშეკავებული და უფრო თავისუფალი ალკოჰოლის მიღების შემდეგ?

87. საუბრისას სიტყვაძუნწი ხართ?

88. თუ საჭირო გახდებოდა სცენაზე თამაში, შეგიძლიათ როლში იმდენად შესვლა, რომ დაივიწყოთ ის, რომ ეს მხოლოდ თამაშია?

ლეონგარდის კითხვარის თითოეულ სკალაზე ქულების დათვლისას, შედეგების სტანდარტიზაციისთვის, თითოეული სკალის მნიშვნელობა მრავლდება გარკვეულ რიცხვზე — ეს მითითებულია მეთოდიკის გასაღებში, აქცენტირებული პიროვნებები არ წარმოადგენენ პათოლოგიურს. ისინი ხასიათდებიან ხასიათის მკაფიო თვისებების გამოყოფით. გასაღებთან თითოეულ დამთხვევაზე ირიცხება ერთი ქულა.

გასაღები

1. ჯ-1. ჰიპერითმები X 3 (გავამრავლოთ 3-ზე) + : 1, 11, 23, 33, 45, 55, 67,77, — : არაა.

2. ჯ-2. აღგზნებადი X 2.

+ : 2, 15, 24, 34, 37, 56, 68, 78, 81; — : 12, 46, 59.

3. ჯ-3. მოტივაციურები X 3

+ : 3, 13, 35, 47, 57, 69, 79; — : 25

4. ჯ-4. პედანტურები X 2

+ : 4, 14, 17, 26, 39, 48, 58, 61, 70, 80, 83; — :36.

5. ჯ-5. მშფოთვარენი X 3

+ : 16, 27, 38, 49, 60, 71, 82; — : 5.

6. ჯ-6. ციკლითიმიერები X 3
+ :6, 18, 28, 40, 50, 62, 72, 84; – : არაა.
7. ჯ-7. დემონსტრაციულები X 2.
+ : 7, 19, 22, 29, 41, 44, 63, 66, 73, 85, 88; – : 51.
8. ჯ-8. გაუწონასწორებლები X 3
+ : 8, 20, 30, 42, 52, 64, 74, 86; – : არაა.
9. ჯ-9. დისთიმიურები X 3
+ : 9, 21, 43, 75, 87; – : 31, 53, 65.
10. ჯ-10. ეგზალტირებულები X 6.
+ : 10, 32, 54, 76; – : არაა.

აქცენტუაციების აღწერა ლეონგარდის მიხედვით,

1. დემონსტრაციული ტიპი. მაღალი შეფასებები ამ სკალაზე მეტყველებს განდეგინის, ქცევის დემონსტრაციულობის მაღალ დონეზე.

2. პედანტური ტიპი. მაღალი შეფასებები მეტყველებს რიგიდულობაზე, ფსიქიკური პროცესების ინერტულობაზე, მატრაემირებელი მოქლენების ხანგრძლივ განცდაზე.

3. გაჩხერილი ტიპი. ამ ტიპის ძირითადი თვისებაა აფექტის ზედმეტი სიმყარე ზეღირებულოვანი იდეების ფორმირებისადმი მიდრეკილებით.

4. აღგზნებადი ტიპი. ასეთ ადამიანებს ახასიათებთ მაღალი იმპულსურობა, კონტროლის შესუსტება მისწრაფებებსა და მსჯელობაზე.

5. ჰიპერთიმიული ტიპი. მაღალი შეფასებები მეტყველებს განწყობილების მუდმივ ამაღლებულ ფონზე მოქმედების სურვილთან, მაღალ აქტიურობასთან, ფხიანობასთან ერთად.

6. დისთიმიური ტიპი. ეს ტიპი წარმოადგენს წინამორბედი ტიპის საპირისპიროს, რომელიც ხასიათდება დაწეული განწყობილებით, ფიქსაციით ცხოვრების პირქუშ მხარეებზე, იდეამოტორული შეფერხებით.

7. შფოთვით – მშიშარა ტიპი. ძირითადი თვისებები – მიდრეკილება შიშებისადმი, მაღალი სიმორცხვე და სიმფრთხალე, შფოთვის მაღალი დონე.

8. ციკლთიმიური ტიპი. ამ სკალის მიხედვით მაღალი შეფასებების მქონე ადამიანებს შეესაბამება ჰიპერთიმიული და დისთიმიური ფაზების ცვლა.

9. აფექტურ-ეგზალტირებული ტიპი. ამ ტიპის ადამიანებს ახასიათებს ემოციური მდგომარეობის დიდი დიაპაზონი, ისინი ადვილად მოდიან აღტაცებაში სახალისო მოვლენებისგან და სრულ მწუხარებაში ვარდებიან სევდიანი მოვლენების გამო.

10. ემოციური ტიპი. ესენი არიან მგრძნობიარე და შთაბეჭდილებიანი ადამიანები, გამოირჩევიან ღრმა განცდებით ადამიანის სულიერ ცხოვრებაში.

შესაძლებელია კითხვარის, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში გამოყენება. კითხვარის გამოყენების ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტია ჯგუფში გამოყენება, მაგრამ თითოეული ცდის პირს უნდა ჰქონდეს კითხვარის ტესტი და ფურცელი პასუხებისთვის.

კითხვარი გამოიყენება, როგორც ფსიქოლოგიური კონსულტაციისთვის, ასევე პროფშერჩევისა და პროფორიენტაციის მიზნით.

პიროვნების ქარაქტეროლოგიური აქცენტუაციები და ნერვულ-ფსიქიკური არამდგრადობა

ინსტრუქცია: ამ კითხვარში არის თქვენს ჯანმრთელობასთან, შეხედულებებთან, ინტერესთან, ხასიათთან დაკავშირებული მტკიცებები და ა.შ. თუ გადაწყვეტთ, რომ ეთანხმებით მოცემულ მტკიცებებს, სარეგისტრაციო ბლანკზე მტკიცების ნომერთან დასვით „+“. თუ მას არ ეთანხმებით, დასვით ნიშანი – „–“.

პიროვნული კითხვარი

1. ყველა ღონეს ეხმარობ, რომ გაეხდე (შემდეგ პროფესიის დასახელება).
2. ნაცნობების უმრავლესობა მხიარულ თანამოსაუბრედ მთვლის.
3. ხშირად ვმოქმედებ განწყობილების და არა მრწამსის მიხედვით.
4. ხშირად გარკვეული აკვიატებული აზრი არ მაძლევს დაძინების საშუალებას.
5. ალკოჰოლის მიმართ გულგრილი ვარ.
6. ძალიან ვარ დაინტერესებული გიშნასტიკური იოგით.
7. მიყვარს გამოცდებისთვის, საკონტროლოსთვის და ამგვარი რამეებისთვის მარტო მომზადება.
8. დავიხსა ხშირად ვცდები კითხვის არსს და პიროვნებაზე გადავდივარ.
9. ძლიერ ვიბნევი, როცა მოულოდნელად ვექცევი ყურადღების ცენტრში.
10. ვცდილობ დავიცვა მორალისა და ზნეობრიობის პრინციპები.
11. ხშირად მტკივა თავი.
12. არასდროს ვსაჭიროებ გარშემომყოფთა თანაგრძნობას.
13. მატარებელში, ავტობუსში და ა.შ. ხშირად ვაბამ საუბარს უცნობ ადამიანებთან.
14. ხშირად ჩემი მისამართით თქმულ უმნიშვნელო რამეს შეუძლია მძაფრი რეაქციის გამოწვევა.
15. სხვების თანდასწრებით კრიტიკა ძალიან მთრგუნავს.
16. ხშირად ცუდ განწყობილებაზე ვარ.

17. ეჭვი მეპარება არჩეული პროფესიის სისწორეში.

18. ადვილად ვერგები ნებისმიერ საზოგადოებას.

19. დროდადრო მინდა ვინმესთან კამათში შესვლა.

20. ხშირად მიძნელდება საკუთარი თავისადმი სიბრალულის გრძნობის მოთოკვა.

21. ბავშვობაში ფსიქიატრთან ალრიცხვაზე ვიყავი.

22. ვცდილობ ისე ვიცხოვრო, რომ გარშემომყოფებმა ჩემზე თქვან: „აი, ადამიანი!".

23. ჩემი ფიზიკური განვითარება და ჯანმრთელობა საკმაოდ მაძლევს შესაძლებლობას გავხდე კარგი ოფიცერი.

24. თავს საკმაოდ გულღია ადამიანად ვთვლით.

25. ხშირად მსურს რამე საშიშის ან განსაცვიფრებელის გაკეთება.

26. თუ რამე მარცხს განვიცდი, სწრაფად ვივიწყებ კიდეც.

27. ზოგჯერ ვიღებ ბრომს, ელენიუმს და სხვა დამამშვიდებელ საშუალებებს.

28. არასდროს მივსდევ მოდას, არამედ ვიცმევ იმას, რაც ხელში მხვდება.

29. სიამოვნებით ვმონაწილეობ სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებაში.

30. ხშირად არ შემიძლია თავშეკავება და ვხდები უხეში, თუნდაც თუ ეს ზიანს აყენებს ჩემს ინტერესებს.

31. მიდრეკილი ვარ ფიქრებით დავუბრუნდე ჩემს პრობლემებს და მიძნელდება მათი თავიდან ამოგდება.

32. მეუბნებოდნენ, რომ ძილში დავდივარ.

33. მიმაჩნია, რომ ნარკოტიკების გამოყენება საკმაოდ ბუნებრივია.

34. მიყვარს სუპერმოდური და უჩვეულო ტანსაცმლის ტარება, რომელიც ყურადღებას იპყრობს.

35. მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა და იშვიათად ვუშვებ ხელიდან თუნდაც უმნიშვნელო რანგის ადამიანთან საუბრის შესაძლებლობას.

36. საკმაოდ ხშირად ვმოქმედებ წუთიერი განწყობილების გავლენით.

37. ადამიანებთან ურთიერთობაში სირთულეებს განვიცდი ჩემი სიმორცხვის გამო.

38. ვგრძნობ, რომ საკმარისი არაა ჩემი შესაძლებლობები არჩეული პროფესიის დასაუფლებლად.

39. თითქმის ყოველთვის რაღაც მტკივა.

40. ჩემთვის დამახასიათებელია ხუმრობა და სხვადასხვა ისტორიის მოყოლა.

41. როცა მიყვირიან, იგივეთი ვპასუხობ.

42. არასდროს მსიამოვნებს უცენზურო გამოთქმების გამოყენება.

43. დროდადრო არ შემიძლია თავი შევიკავო რაიმეს მოპარვისგან.

44. მე ვცხოვრობ შინაგანი აზრებით და ნაკლებად მაინტერესებს სინამდვილე.

45. ვთვლი, რომ წიგნები თანამოსაუბრეებზე უფრო საინტერესოა.

46. ხშირად ადამიანებს არ ვუთმობ უბრალოდ პრინციპის გამო.

47. რასაკვირველია, მაკლია დამაჯერებლობა.

48. სამედიცინო კომისიაზე დავმალე ჩემი სერიოზული დაავადებები.

49. ყოველთვის ვაკეთებ და ვფიქრობ ჩემებურად, ხოლო სხვების აზრი ნაკლებად მაინტერესებს.

50. ვცდილობ დავიცვა საყოფაცხოვრებო წესები და კანონები.

51. უპირატესობას ვანიჭებ მყავდეს ნაცნობების საკმაოდ ფართო წრე.

52. მიყვარს სხვებზე ხუმრობა.

53. როცა ადამიანები მაკვირდებიან, თავს უხერხულად ვგრძნობ.

54. ცუდი და მშფოთვარე ძილი მაქვს.

55. ჩემი იდეები და აზრები ისე გამოიყურება, თითქოს წინ უსწრებს დროს.

56. ადვილად შემიძლია გავესაუბრო უცნობ ადამიანს.

57. ხშირად ვიმართები ნახევარბრუნვითაც.

58. ძალიან ვცბუნდები, როცა საუბრობენ ჩემს ხასიათზე.

59. მჭონია გონების დაკარგვის შემთხვევები.

60. მე ბრალად მისაწყდომი ადამიანი ვარ.

61. მიმაჩნია, რომ ადამიანების უმრავლესობა ტყუის, თუ ეს მათ ინტერესებშია.

62. სიამოვნებით შემიძლია მარტო სეირნობა.

63. ძალიან ვღიზიანდები, თუ მაჩქარებენ.

64. გოგონებთან საუბრისას ვცდილობ თავი ავარიდო ისეთ თემებს, რომელთაც შეუძლიათ უხერხულობის გამოწვევა.

65. ჩემი ნერვული სისტემა ძლიერ მოშლილია.

66. მე არ მწამს ღმერთი.

67. ჩემზე ხშირად ამბობენ: „სიტყვა მზად აქვს".

68. ხშირად ყველაფერზე წამსველი ვარ, რათა კამათში გაეიმარჯვო.

69. ხდება ისე, რომ მაღელვებს დანაშაულის გრძნობა ან მქენჯნის სინდისი რაიმე წვრილმანის გამო.

70. პოლიციაში იძულებითი მიყვანა მჭონია.

71. მეჩვენება, რომ ვერავინ მიგებს.

72. გარშემომყოფებმა ყოველთვის იციან ჩემი თვალსაზრისი.

73. უპირატესობას ვანიჭებ ორმხრივად სასარგებლო გადაწყვეტილებებს კამათში.

74. თავს ვგრძნობ ცხოვრებაში ნაკლებად შეგუებულად მის მოთხოვნებთან, ვიდრე სხვები.

75. ვისურვებდი დროის მეტი ნაწილი ვიყოდე, არაფერი გავაკეთო და ვიოცნებო (ვიფილოსოფოსო).

76. რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში შევიდოდი მხოლოდ საზოგადოებრიობის ზეწოლით.

77. ვიმედოვნებ, რომ ცხოვრებაში რამეს მივაღწევ.

78. საერთოდ მაწუხებს საკუთარი სიმორცხვის გრძნობა.

79. მიყვარს სხვებისთვის ხრიკიანი ხუმრობების მოწყობა.

80. საზოგადოებაში მაწუხებს საკუთარი სიმორცხვის გრძნობა.

81. შემიძლია რალაც განსაკუთრებული ჩავიდინო.

82. დამითანხმეს ამ სასწავლებელში ჩამებარებინა, თავად კი, განსაკუთრებული სურვილი არ მჭონია.

83. კოლექტივში იშვიათად ვარ რაიმეს ინიციატორი.

84. ხშირად დაუშვებელი რამ მინდა.

85. თავს უფრო მეცნებე ადამიანად ვთვლი, ვიდრე პრაქტიკულად.

86. ბავშვობაში მძიმე ტრავმები და დაავადებები მქონდა.

87. ვთვლი, რომ ამერიკული ცხოვრების წესი შეგვიძლია ნიმუშის სახით ავიღოთ.

88. უცნობი ადამიანების წრეში იშვიათად ვიწყებ პირველი საუბარს.

89. ძნელია ჩემი გაბრაზება.

90. მაღელვებს გრძნობა, რომ სხვებზე ცუდი ვარ.

91. დროდადრო ეწუხვარ, რომ ამ ქვეყანაზე ეცხოვრობ.

92. ჩემი აზრი ხშირად ემთხვევა გარშემომყოფთა აზრს.

93. ზოგჯერ ძალიან უცნაური და უჩვეულო შინაგანი განცდები მაქვს.

94. ჩვეულებრივ ძალიან გულღია არა ვარ.

95. ხშირად მიძნელდება საკუთარ სურვილებთან გამკლავება.

96. ხშირად ვცდილობ ჩავიხედო საკუთარ თავში და გავარკვიოთ საკუთარი აზრების წარმოშობის მიზეზები.

97. ბავშვობაში გამალიზიანებელი და ჭირვეული ვიყავი.

98. ჩემი შესაძლებლობებით შემიძლია გავხდე კარგი ხელმძღვანელი.

99. თუ განიხილება რომელიმე საკითხი, ერთერთი პირველი გამოვხატავ საკუთარ აზრს ან მოსაზრებას.

100. საჭიროდ არ მიმაჩნია დავფარო ჩემი სიძულვილი ან უარყოფითი აზრი ვინმეზე ან რაიმეზე.

101. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ადამიანები ხვდებიან, რასაც ეფიქრობ.

102. მომწონს ცნობილი ადამიანების ბრწყინვალე ან შოკისმომგვრელი გამონათქვამების ციტირება.

103. ჩემს მიმართ ხშირად უსამართლოდ იქცევიან გარშემომყოფები.

104. მიყვარს ნელა მუშაობა.

105. ზოგჯერ მეუბნებიან, რომ ფეთქებადი ვარ.

106. ხშირად მაწუხებს აზრები იმის თაობაზე, რომ არ ვიქცევი ისე, როგორც საჭიროა.

107. ძნელად ვეგუები სწავლის, ცხოვრებისა და ყოფის ახალ პირობებს.

108. მომწონს სხვადასხვა ამოცანისა თუ საკითხის გადაწყვეტის უჩვეულო ან პარადოქსული ხერხების ძიება.

109. ხშირად რაიმე საქმის ინიციატორი ვარ.

110. ადვილად ეკარგავ მოთმინებას ადამიანებთან.

111. იშვიათად მაქვს პერიოდები, როცა ძილს ეკარგავ აღელვების გამო.

112. ძალიან იშვიათად კრიტიკა და საპირისპირო აზრი ჩემი მისამართით არის სამართლიანი.

113. კომპანიებში ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვარ.

114. ჩემი წონა ძლიერ ცვალებადია (ხან ვხდები, ხან ვისუქდები).

115. მიესდევ ანდაზას: „მოჩქარეს მოუგვიანდესო“.

116. თუ ვინმე მაღიზიანებს, დიდხანს შემიძლია ამის მოთმენა.

117. ხშირად ხელიდან ეუშვებ შესაძლებლობას გაუბედაობის გამო.

118. თითქმის ყოველთვის სიმშრალეს ვგრძნობ პირში.

119. ჩემი დაბნევა ადვილია.

120. მიყვარს აზრის გარშემომყოფებისთვის გაზიარება.

121. თანამედროვე ცხოვრებაში საკმაოდ ბევრი დაბრკოლება და შეზღუდვაა, რომელიც მაღიზიანებს.

122. ხშირად მიწევს ჩემი სიმორცხვის დაფარება დიდი ძალისხმევის ფასად.

123. მე იმ ადამიანებს განვეკუთვნები, რომელთაც შეუძლიათ ვინმეს ან რამეს წინაშე აღტაცება ან ქედის მოხრა.

124. სკოლაში მასწავლებლებთან კონფლიქტები მქონდა.

125. სკოლაში გულღია და მხიარული ადამიანი ვარ.

126. საკმაოდ ხშირად განვიცდი მძაფრი შეგრძნებების მოთხოვნილებას.

127. გამაჩნია ოცნებების სამყარო, სადაც არავის ვუშვებ.

128. მე ძნელად ვითვისებდი სასკოლო მასალას.

129. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ჩემს აზრებს ვიღაც მართავს.

130. თავს მარტოსულ ადამიანად ვგრძნობ.

131. სიამოვნებით ვეცნობი ახალ ადამიანებს.

132. ზოგჯერ თავს მარტოსულად ვგრძნობ.

133. ხშირად რაღაცაზე ვღელავ.

134. ჩემთვის დამახასიათებელია გრძნობების მძაფრი გამოხატვა.

135. ვფიქრობ, რომ განწირული ადამიანი ვარ.

136. დასვენებისთვის უპირატესობას ვანიჭებ კოლექტიურ თამაშებსა და გართობას.

137. მიდრეკილი ვარ კატეგორიული შეფასებები მივცე გარშემომყოფთა ქცევებს.

138. მწვაველ და ხანგრძლივად განვიცდი უსიამოვნებებს.

139. დროდადრო მაქვს სიცილისა და ტირილის შეტევები, რომელთაც ვერანაირად ვერ ვუმკლავდები.

140. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ახლოს ვარ ნერვულ შეტევასთან.

141. ჩვეულებრივ ვიქცევი და ვსაუბრობ სწრაფად, დიდი ფიქრის გარეშე.

142. შიგნით ყველაფერი მიდუღს, თუ რამეს ჩემებურად არ აკეთებენ.

143. ვღელავ იმაზე, თუ რა მელოდება.

144. მაქვს ისეთი თვისებები, რომლებითაც გარკვეულად განვიცდი სხვებზე უპირატესობას.

145. მომწონს ეგზოტიკური პროდუქტებისგან მომზადებული საკვები.

146. ხშირად მაწუხებს ყაბზობა.

147. მე უფრო მეტად მღუმარედ ვარ და ვუსმენ, როცა საზოგადოებაში ვარ.

148. სიამოვნებას მანიჭებს სარისკო ქცევების ჩადენა გართობის მიზნით.

149. დროდადრო თავს მოშლილად ვგრძნობ.

150. ზოგჯერ მაქვს აკვიატებული სურვილი ზიანი მივაყენო თავს ან გარშემომყოფებს.

151. მე განსაკუთრებული და გაუგებარი ადამიანი ვარ სხვებისთვის.

152. მიყვარს ბევრი საუბარი.

153. იშვიათად შეიძლება რაიმეს განხორციელება მუდმივი, ზომიერი მეთოდებით, უფრო ხშირად საჭიროა ძალის გამოყენება.

154. თავს წარუმატებელ ადამიანად ვთვლი, როცა მესმის ჩემი ნაცნობებისა და ამხანაგების წარმატებების შესახებ.

155. მე მახასიათებს გარკვეული ჭირვეულობა.

156. ვთვლი, რომ არჩეული პროფესია სრულად შემესაბამება.

157. მე აზრებს ისე გამოვხატავ, როგორც ისინი თავში გამიელის და არ ვცდილობ მათ ჩამოყალიბებას თავიდან.

158. ხშირად მიკანკალებს ხელი ან მთელი სხეული.

159. რამე სამუშაოს შესრულებისას უპირატესობას ვანიჭებ ამის დამოუკიდებლად გაკეთებას და არა კოლექტივში.

160. ადამიანები მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანად მთელიან.

161. ყველაფერი გულთან მიმაქვს.

162. ხშირად მაქვს გაღიზიანების შეტევები.

163. არასდროს არ მყოლია და ალბათ, არც მეყოლება მეგობარი.

164. მე კეთილსინდისიერად და პატიოსნად ვუპასუხე ყველა კითხვას.

ინტერპრეტაცია

ამა თუ იმ სკალის გამომწვევი მტკიცებები ასახავენ დამოკიდებულებას საკუთარი თავის, სხვა ადამიანების, შრომის, მომავლის, წარსულის, წარუმატებლობების, კრიტიკის, რისკის, წესების და ა.შ. მიმართ.

ხასიათის აქცენტუაცია უნდა განვიხილოთ, როგორც ფსიქიკური ნორმის უკიდურესი ვარიანტი. ამასთან, თვითშეფასება რჩება ადექვატური, ხოლო კონკრეტული აქცენტუაციის ტიპი მიუთითებს ხასიათის მოწყვლად ადგილებზე, რომელთაც გარკვეული პირობების დროს შეუძლიათ ფსიქოგენური რეაქციის (ქცევის სიტუაციურად განპირობებული დარღვევები) გამოწვევა, დეკომპენსაციამდე ან დეზადაპტაციამდე მიყვანა.

დიაგნოსტიკური სკალების დახასიათება
ექსტრავერსია – ინტროვერსია

კრიტერიუმები: +2 – 7 + 13 + 18 + 24 + 29 + 35 + 40 – 45 + 51 + 56 – 62 + 67 + 72 - 78 – 88 – 94 + 99 – 104 + 109 – 115 + 120 + 125 + 131 + 136 + 141 – 147 – 152 – 159.

ნიშნები: მაღალი მნიშვნელობები მოწმობს საზოგადოებისადმი ადამიანის მკაფიოდ გამოხატულ მიმართულებას, სიმორცხვის, გაუგებრობის უქონლობის პიროვნებათშორისი კონტაქტების დამყარებაში, საკუთარი შესაძლებლობების ხშირ გადაფასებაში. დაბალი მნიშვნელობები მოწმობს ჩაკეტილობას, გულჩათხრობილობას, სხვებთან ურთიერთობებში შებოჭილობას, ფლეგმატურობას.

ექსპლოზიტური ფორმა

კრიტერიუმები: +3, +8, +14, +25, +30, +36, +41, +46, +52, +57, +63, +68, –73, +79, +84, –89, +95, +100, +105, +110, –116, +121, +126, +142, +148, +153, –160.

ნიშნები: ემოციური რეაქციების შეუსაბამობა გამღიზიანებლების ძალასთან და ხარისხთან; მომატებული აღგზნებადობა, აგრესიულობა, ფეთქებადობა, მიდრეკილება მწვავე კრიტიკის მიმართ, ემოციების სუსტი კონტროლი, მოქმედებების იმპულსურობა.

ფსიქასთენიური ფორმა

კრიტერიუმები: +4, +9, +15, +20, –26, +31, +37, +42, +47, +58, +64, +69, +74, +80, +85, +90, +101, +106, +111, +117, +122, +127, +133, +138, +143, +149, +154, +161.

ნიშნები: მაღალი შფოთვა, გაუბედაობა, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, მაღალი მგრძნობელობა, გულჩვილობა, სწრაფი დაღლილობა, ფიქსაცია წარუმატებლობებზე, ეჭვებისადმი და თვითანალიზისადმი მიდრეკილება, სიმორცხვე, დაბალი აქტიურობა.

შიზოიდური ფორმა

კრიტერიუმები: +6, +12, +16, +28, +44, +49, +55, +60, +66, +71, +75, +77, +81, +91, –92, +93, +102, +107, +108, +124, +129, +130, +135, +144, +145, +150, +151, +157, +162, +163.

ნიშნები: უჩვეულო და ორიგინალური აზროვნება, ლოგიკური კავშირებისა და ასოციაციების თავისებურება, ემოციური სიცივე და უცერემონიობა, ჩაკეტილობა, კოლექტივის საქმეებისგან და სიცოცხლისგან გარიყულობა, გარემოს აღქმის უჩვეულობა.

ისტეროიდული ფორმა

კრიტერიუმები: +3, +10, +14, +22, –28, +34, +35, +40, +46, +49, +51, +61, +67, +72, +81, +87, +97, +100, +102, +113, +123, +134, +137, +139. +140, +144, +145, +148, +155, +157.

ნიშნები: ეგოცენტრიზმი, ქცევის მანერებით, გარეგნობით გამორჩევის სურვილი, ლიდერობისა და ორიგინალურობის წყურვილი, ქცევის თეატრალურობა, ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილი, განცდების გარეგნული გამოხატულება, მაღალი პრეტენზიები საკუთარი შრომის შედეგებისა და მდგომარეობის განსაკუთრებულობის შეფასების მიზნით.

მიმართულობის სკალა

კრიტერიუმები: –1, –5, +17, –23, +32, +33, +38, +39, +43, +48, –50, +59, +65, +66, +70, +76, +77, +82, +86, +87, +91, –98, +135, –156, +164.

ნიშნები: დამოკიდებულება არჩეული პროფესიის მიმართ, მისი დაუფლების სურვილი, საკუთარი ფიზიკური განვითარების, ჯანმრთელობისა და უნარების შეფასება პროფესიის დაუფლების შესაძლებლობის მხრივ, საკუთარი მორალური და ფსიქიკური ნაკლოვანებების წინ წამოწევა.

სიმედოობის სკალა

კრიტერიუმები: 3-36, 4-111, 7-159, 9-53, 13-35, 14-57, 24-125, 30-68, 37-80, 47-117, 51-131, 52-79, 74-85, 78-94, 84-95, 89-116, 90-154, 138-161, 146-152.

ნიშნები: სკალაზე მაღალი მაჩვენებლების დროს მტკიცებების 9 და მეტ წყვილში ნიშნების დაუმთხვეველობისას გამოკვლევის შედეგები უნდა ჩაითვალოს არასანდოდ.

ნერვულ-ფსიქიკური არამდგრადობა

ცნება „ნერვულ-ფსიქიკური არამდგრადობა“ მოიცავს პიროვნების თავისებურებების რიგ წინაპათოლოგიურ და ნაწილობრივ, პათოლოგიურ გამოვლინებებს, რომლებიც განაწყობენ მას ნერვული სისტემისა და ფსიქიკური მოქმედების მოშლისკენ უმნიშვნელო ფსიქიკური ან ფიზიკური დატვირთვების დროსაც კი.

ყველაზე ხშირად ნერვულ-ფსიქიკური არამდგრადობა ვლინდება ხასიათის აქცენტუაციების, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და სხვა ფსიქიკური დაავადების დროს. ნერვულ-ფსიქიკური არამდგრადობის გამოვლენის ძირითადი ფორმები უკავშირდება არაკმარის სოციალურ მოწიფულობას, მორალური

ნორმების, მოთხოვნების, ქცევის წესების დაცვის აუცილებლობას, დისციპლინის, პიროვნებათშორისი დამოკიდებულებებისა და საქმიანობის (შრომითი და სასწავლო) დარღვევებს, ავადმყოფობისწინა და ავადმყოფობის მდგომარეობებს.

ნერვულ-ფსიქიკური არამდგრადობის სკალა

კრიტერიუმები: +3, –5, +6, +8, +9, –10, +11, +12, +14, +16, +19, +20, +21, +22, +25, +27, +28, +30, +32, +33, +34, +36, +39, +43, +44, +46, +49, –50, +53, +54, +55, –49, 2-50, +57, +58, +59, +60, +61, +65, +66, +68, +70, +71, +74, +75, +76, +77, +79, +81, +84, +86, +87, +90, +91, –92, +93, +97, +100, +101, +103, +106, +107, +108, +110, +111, +112, +113, +114, +118, +119, +121, +123, +124, +127, +128, +129, +130, +132, +134, +135, +137, +138, +139, +140, +142, +144, +145, +146, +148, +149, +150, +151, +153, +154, +155, +157, +158, –160, +161, +162, +163.

ნიშნები: ხასიათის აქცენტუაცია; პიროვნებათშორისი ურთიერთობების ქცევისა და პროფესიული საქმიანობის დისციპლინარული და მორალური ნორმების დარღვევა, არასაკმარისი სოციალური მოწიფულობა, ავადმყოფური მოელენები.

კანდიდატთან საუბრის დროს არჩეული პროფესიისადმი უარყოფითი დამოკიდებულების დამტკიცებისას, მტკიცებების შესაბამისი ნომრების მიხედვით, პასუხების სახის გათვალისწინებით სპეციალისტს შეუძლია კანდიდატს წარუდგინოს IV ჯგუფი ან აცნობოს მოცემულ ფაქტზე კომისიის თავმჯდომარეს (წარმოადგინოს ფსიქოლოგიური შერჩევის ფაქტიური ჯგუფი).

ცხრილიდან ჩანს **პმა (პიროვნების მახასიათებლების) და ნფა (ნერვულ-ფსიქიკური არამდგრადობის)** სკალების კავშირები და ურთიერთდამოკიდებულებები. ინტერკორელაციათა მატრიცას ანალიზი გვიჩვენებს, რომ კითხვარის შიდა სტრუქტურა საკმაოდ შეთანხმებულია, მტკიცებების გაერთიანება ნფა სკალაში მართებულია, ხოლო პმა სკალას გააჩნია საკმარისი დამოუკიდებლობა.

გამოკვლევის შედეგების შეფასება

დასკვნის შედგენა ხდება თითოეულ აქცენტუაციაზე ცხრაქულიან სკალაში მოყვანილი მიღებული რიცხობრივი მნიშვნელობების ანალიზის საფუძველზე. ამასთან, გათვალისწინებულია სხვადასხვა მნიშვნელობის თანაფარდობა, რაც მოწმობს ხასიათის ამა თუ იმ შტრიხის გამოხატულების ხარისხს და მათ ურთიერთკავშირს. ცხრილში მოყვანილია **პმა და ნფა სკალების საორიენტაციონორმატიული შეფასებები ნორმალური განაწილების ცხრაქულიანი სკალის მიმართ.**

9 ქულა ნფა სკალის მიხედვით ფასდება, როგორც ნერვულ-ფსიქიკური არამდგრადობის მდგომარეობა და მხოლოდ სპეციალისტ-ფსიქოლოგთან მიზანმიმართული საუბრის შემდეგ, პროფშერჩევის სხვა სასების შედეგების მიუხედავად, კანდიდატს ეძლევა ფსიქოლოგიური შერჩევის IV ჯგუფი. ფსიქოლოგიური შერჩევის IV ჯგუფი ასევე წარმოდგენილია ნფა 8 ქულას და ექსპლოზიური, ფსიქასთენიური და შიზოიდური სკალებიდან ნებისმიერზე 9 ქულას დროს.

ცხრილი 34

	1	2	3	4	5	6	7
ექსტრა-ინტროვერსია	1	0,13	-0,35	-0,01	0,24	-0,07	-0,18
ექსპლოზიური ფორმა	2		0,17	0,47	0,62	0,78	0,20
ფსიქასთენია	3			0,42	0,20	0,41	0,40
შიზოიდური ფორმა	4				0,52	0,76	0,16
ისტეროიდული ფორმა	5					0.63	0,03
ნფა	6						0,25
საიმედოობის სკალა	7						

ხასიათის შტრიხების გამოხატულების ხარისხი ფასდება ცხრაქულიანი სკალით. აქცენტუირებულად ითვლება უკიდურესი მნიშვნელობები 1 და 9 ქულით, მკვეთრად გამოხატულად – 2 და 8 ქულა, გამწვავებულად – 3 და 7 ქულა.

პიროვნების ძარაძტეროლოგიური აძცენტუაციების გამოვლენის თავისებურებები

ექსტრავერსია – ამ თვისების გამოხატულება ახასიათებს ადამიანის საზოგადოებისკენ, ხალხმრაველი გარემოცვისკენ მიდრეკილებას, ასეთი ადამიანების ინტერესი გარეთაა მიმართული. ისინი სოციალურად ღია და რისკიანები არიან, ადვილად ამყარებენ პიროვნებათშორის კონტაქტებს, გამოირჩევიან გულღიაობითა და აქტიურობით.

ეს პირები ბავშვობიდან გამოირჩევიან ხმაურიანი ქცევით, გულღიაობით, დამოუკიდებლობითა და სიმამაცით. ისინი არიან მხიარულები და გულისხმიერი, უყვართ კომპანიები და მიისწრაფვიან ფაქტიური ლიდერობისკენ; გააჩნიათ მომატებული ცხოვრებისეული ტონუსი, ოპტიმიზმი, ცხოველი ინტერესი და გრძნობა სიახლის მიმართ; ურთიერთობაში არიან უბრალონი და მისაწვდომნი.

ისინი ადვილად ინტერესდებიან და უცრუდებათ იმედი, ხშირად ზედაპირულნი არიან საქმიანობაში, არ შეუძლიათ სისტემატური და მყარი მუშაობა. ისინი დარწმუნებულნი არიან თავიანთი წამოწყებების წარმატებაში, თუ მათ ვერ აღწევენ, ყოველთვის მშვიდდებიან და სწრაფად ცელიან წარუმატებელ გეგმებს ახლით, რომლის წარმატებაშიც ეჭვი არ ეპარებათ.

ისინი არიან გულისხმიერნი, მრავალმხრივნი და ხშირად ტოვებენ მანათობელი ნატურის შთაბეჭდილებას, წარმოადგენენ საზოგადოების სულს, კოლექტიური ღონისძიებების მუდმივ ორგანიზატორს.

მათთვის უცნობია სიმორცხვე უცნობების წინაშე, თუმცა აკლიათ ტაქტიკის, დისტანციის გრძნობა; ალინიშნება არადისციპლინირებულობა, მოუსვენრობა და გაფანტულობა.

სხვადასხვა მოთხოვნებს, წესებსა და კანონებს უდგებიან საკმაოდ მარტივად და ქარაფშუტულად, ადვილად კარგავენ ზღვარს ნებადართულსა და აკრძალულს შორის. ცუდად უმკლავდებიან სამუშაოს, რომელიც მოითხოვს მუყაითობას, გულდასმით შესრულებას. არ გამოირჩევიან აკურატულობით არც დანაპირების შესრულებაში, არც ფულად ოპერაციებში, უყვართ ტრაბახი, შნოს გამოჩენა. ზედმეტად ავსებენ საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებს, იციან რა საკუთარი ხასიათი, ხშირად ცდილობენ თავი წარმოაჩინონ უფრო კონფორმულად. ხშირად არიან უყურადღებონი, უდიერნი, უზრუნველნი და უდარდელნი.

ინტროვერსია – ზემოთ აღწერილის საპირისპირო. ასეთი ადამიანების ინტერესები მიმართულია შინაგან განცდებზე. ისინი არიან ჩაკეტილები, მორცხვები,. მარტოობისკენ მიდრეკილნი, შებოჭილნი სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში, აქტიურ კონტაქტებს არ ამყარებენ; მომთმენნი ტრადიციული სირთულეების მიმართ, კონსერვატიულები და პედანტურები, ფრთხილები, გონიერნი, სერიოზულები, მდუმარენი, შეუიქრიანებულნი, ფლეგმატურნი, შენელებულნი, თავშეკავებულნი, ფლობენ საკუთარ თავს, პესიმისტურნი, დისციპლინირებულნი.

აქცენტუაციების ექსპლოზიური ფორმა (აღგზნებადი ფორმა). ამ ტიპის აქცენტუანტებისთვის დამახასიათებელია ემოციური რეაქციების შეუსაბამობა მათი გამომწვევი გამაღიზიანებლების ძალასა და ხარისხთან ანუ ისინი ექცევიან შედარებით უფრო მსუბუქი ცელილებებისა და მერყეობის ქვეშ ფსიქიკურ მდგომარეობაში.

ემოციური მოქმედების დარღვევის მრავალფეროვნება ვლინდება განწყობილების მკვეთრი არამდგრადობის, გაღიზიანებადობის, ფეთქებადობის, თავშეუკავებლობის, მკაფიო სისხლძარღვოვანი და ვეგეტატიური რეაქციების (კანის საფარის სიფერმკრთალისა და გაწითლების, ზოგადი ოფლიანობის, გუგების გაფართოების, პულსის გახშირების, სუნთქვის რიტმისა და სიღრმის დარღვევების, დისპეპსიური აშლილობების და სხვ.) სახით.

ძალიან ტიპიურია მამოძრაველებელი რეაქცია – აღგზნება, სახის მუსკულატურის დაძაბუა, მიმიკური რეაქციები. ხშირად აღელვების მდგომარეობაში ირღვევა მეტყველება: ეწყება ენაბლუობა, ძნელად წარმოთქვამენ სიტყვებს, სიტყვა სკანდირებულია და სხვ.

მიზეზები აფექტური რეაქციების განვითარებისთვის საკმაოდ განსხვავებულია: უფროსების განკარგულება, თანასწორის შენიშვნა, ასევე სიტუაციები, რომელთაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ მათთან, მაგრამ შეუძლიათ მძაფრი რეაქციის გამოწვევა. ისინი მშვიდად ვერ უდგებიან კონფლიქტს გარშემომყოფებს შორის, უმალ ერევიან, იკავებენ უსამართლოდ დაჩაგრულის პოზიციას, ყვირიან ხმამაღლა, აქვთ აგრესიული მოქმედებების ტენდენცია.

აკეთებენ რა დაუფიქრებლად გესლიან შენიშვნებს, ვერ იტანენ ამგვარ რეპლიკებს, შენიშვნებს მათ მიმართ, ხოლო მარტივ წყენაზე რეაგირებენ ისე, როგორც მძიმე შეურაცხყოფაზე.

დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენს მოუსვენრობა, ლოდინის უუნარობა, მუდმივი მსუბუქი მოძრაობითი ღელვა.

მათ უხდებათ სამუშაო, რომელიც მოითხოვს მოთმინებასა და მუყაითობას, ნებისმიერ ლოდინს თან ახლავს მძიმე განცდები, აქტიური პროტესტის გამოხატვა.

აქცენტუაციის გამოხატული ფორმის მქონე პირებში, აფექტური აშლილობების გარდა, შეინიშნება სიტუაციის ინტელექტუალური ირიბი განპირობებულობისა და თავის შეკავების უნარის მოშლა. აზროვნება კონკრეტული და ზედაპირულია. ყურადღებას ახასიათებს არამდგრადობა. სხვა სიმპტომებიდან მუდმივად აღინიშნება ინტერესების სივიწროვე და ბაქიაობისკენ მიდრეკილება, სიცრუე, ყბედობა, კონცენტრაცია სექსუალურ განცდებზე. ქცევაში აღინიშნება დემონსტრაციულობა და სწრაფვა ორიგინალურობისკენ.

ისინი უგულებელყოფენ წესებსა და ვალდებულებებს. არიან თვითდაჯერებულნი, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ. ასევე დამახასიათებელია ძილის დარღვევა: ცუდი ჩაძინება და არაღრმა, ფხიზელი ძილი, სიზმრები ასახავენ დღის მოვლენებსა და კონფლიქტებს.

აქცენტუაციის ფსიქასთენიური ფორმა. აქცენტუაციის მოცემული ფორმის საფუძველს წარმოადგენს შფოთვით-იჭვნეული ხასიათი. გამოხატული ფორმის დროს ყველაზე დამახასიათებელია ისეთი თვისებები, როგორიცაა ადვილი წყენადობა, მაღალი მგრძნობელობა, სწრაფი გამოფიტვა და დაღლადობა. ესენი ჩვეულებრივ პუნქტუალური, სენტიმენტალური, დელიკატური, პატიოსანი, მორიდებული, მორცხვი, შემწყნარებელი ადამიანები არიან სხვების მიმართ, მაგრამ საკმაოდ მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ. მათ მუდმივად ეპარებათ ეჭვი საკუთარი გადაწყვეტილებებისა და ქცევის სისწორეში, მუდმივად აქცევენ ყურადღებას წარუმატებლობებს. მუდმივად ჩაკირკიტებს საკუთარ თავს, პოულობს ნაკლოვანებებს, აფერხებს მათ აქტიურობას. ასე მაგალითად, გასული დღის მოვლენების მოგონებისას აღმოაჩენს, რომ არ მოიქცა, არ თქვა, არ გადაწყვიტა ისე, როგორც საჭირო იყო. მომავალი დღის გეგმა ბუნდოვანია, რამეთუ რეალური სიტუაციიდან გამომდინარე ვალდებულებები მისთვის წარმოადგენს ეჭვისა და ტანჯვის წყაროს. მოგონებები დასრულებულ საქმეებზე შეფერილია დაუკმაყოფილებლობის მტანჯველი გრძნობით, საკუთარი უძლურების შეგნებით.

საკუთარი თავის მიმართ მუდმივი უნდობლობა აიძულებს მას ეძებოს დახმარება მეგობრებში, ახლობლებში, ექიმებშიც კი.

შფოთვით-იჭვნეული ხასიათის, საკუთარ თავში დაურწმუნებლობის ძალით, ისინი უფრო მეტად ცხოვრობენ ოცნებებში, ვიდრე ღრმა გეგმების რეალიზაციით ჩანაფიქრის მიხედვით. მდიდარი თვალსაწიერისა და ხშირად შეუდარებელი უნარების მიუხედავად, ეს ადამიანები ხშირად რჩებიან საზოგადოების აქტიური ცხოვრების მიღმა, ვერ აწყობენ პირად ცხოვრებას, არიან მარტოსულნი, ოჯახის გარეშე, ითვლებიან უცნაურებად.

ფსიქასთენიკებისთვის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მიდრეკილება თვითანალიზისკენ და რეალურის შეგრძნების დაკარგვა. ისინი თავს ხედავენ ძლიერებად, ნებისყოფიანად, გეგმებით ანთებულად მათი რეალიზაციის შესაძლებლობით ფიქრებსა და ოცნებებში.

ხშირად გარე ფაქტორების (ინფექციები, ინტოქსიკაციები, ფსიქოგენია) გავლენით მოცემულ აქცენტუაციას შეიძლება დაერთოს დეკომპენსაცია, რაც ვლინდება არა მხოლოდ ხასიათის შფოთვით-იჭვნეული თვისებების კიდევ უფრო გამწვავებაში, არამედ სხვადასხვა შინაარსის აკვიატებული მდგომარეობების (აკვიატებული აზრების — ობსესიების, შიშების — ფობიები და ა.შ.) გამოვლენაში.

როცა ეს შფოთვა და შიშები მიმართულია საკუთარ სხეულში სხვადასხვა შეგრძნებებზე, შინაგანი ორგანოებისა და სისტემების ფუნქციონირების სისწორეზე, როცა წინა პლანზე გამოდის სისუსტე, დაღლილობა, შეიძლება ვისაუბროთ ფსიქოპათიის იპოქონდრიულ ფორმაზე. ამ ფსიქოპათიის ყველაზე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მიდრეკილება იპოქონდრიული რეაქციების მიმართ ანუ უსაფუძვლო ჩივილები ჯანმრთელობაზე, ყველა აზრის აქეთკენ მიმართვა.

ფსიქასთენიურ აქცენტუაციებს შორის გვხვდება პირები, რომელთაც აღენიშნებათ მაღალი მგრძნობელობა. ასეთ შემთხვევებში შეიძლება ვისაუბროთ აქცენტუაციის სენზიტიურ ფორმაზე და(ან) მის ფსიქოპათიაში განვითარებაზე.

სენზიტიური აქცენტუაციების ხასიათის ყველაზე ტიპიური თვისებების რიცხვს განეკუთვნება მაღალი მგრძნობელობა, ზედმეტი შთამბეჭდაობა

და დაუძლურება. მათში ხაზგასმულია საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობა. ესენი არიან მორცხვი, მშიშარა და სულმოკლე ადამიანები. ისინი კრთებიან მცირედ მოულოდნელობაზეც კი, ეშინიათ სიბნელის, სისხლის დანახვაზე გონებას კარგავენ. ისინი თავს ულამაზოდ, მახინჯად, სასაცილოდაც კი თვლიან და ფიქრობენ, რომ გარშემომყოფებს ეზიზღებათ, დასცინიან მათ. ეს არაა ბოდვა, არამედ ლოგიკური დასკვნაა საკუთარი უმნიშვნელობის გრძნობიდან. ისინი უმნიშვნელო მიზეზითაც წითლდებიან, არ შეუძლიათ კრებებზე გამოსვლა. შიში და შეცბუნება არის მათი თანმხლები გამოცდის და ნებისმიერი საპასუხისმგებლო გამოსვლის დროს.

მათ ახასიათებთ ქცევის პასიურ-თავდაცვითი ფორმები. ამის ძალით ადვილად ხდება მათი დეკომპენსაცია, აწყვეტა, ერღვევათ ძილი, აქვთ თავის ტკივილები, გაღიზიანებადობა, უსიამოვნო სხეულებრივი შეგრძნებები.

ხასიათის აქცენტუაციის ფსიქიკური ფორმის მქონე პირების არასაკმარისი განვითარება წარმოადგენს ხელსაყრელ სომატურ საფუძველს, ხოლო უმაღლესი ნერვული მოქმედების სუსტი ტიპი — აუცილებელ პირობას აქცენტუაციის ამ ფორმის ფორმირებისთვის.

ცალკე უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ რთული ცხოვრებისეული სიტუაციის პირობებში, რომელიც მოითხოვს სამოქალაქო თვისებების გამოვლენას (სტიქიური უბედურებების, ომის პერიოდში), ასეთ ადამიანს შეუძლია სიმამაცის, მობილიზებულობის თვისებების გამოვლენა. ამასთან, მიუნდობლობა, გაუბედაობა უნაყოფო გრძნობასთან ერთად და სხვა თვისებები გარკვეული პერიოდი სრულად ქრება.

შიზოიდური ტიპის აქცენტუაცია. გამოხატული შიზოიდური აქცენტუაციის ძირითად თვისებას წარმოადგენს თვალშისაცემი პიროვნული თავისებურება. მათთვის დამახასიათებელია ჩაკეტილობა, ნაკლები გულღიაობა, გარიყულობა რეალობისგან, ეგოცენტრულობა, სირთულე ადამიანებთან კონტაქტის დამყარებაში. ისინი გამოირჩევიან დაბალი სოციალური ინტუიციით და გამომახილით, არ შეუძლიათ გაიგონ ჯგუფის განწყობილება, შეიგრძნონ გამოუთქმელი დამოკიდებულება, არ ძალუძთ თანაგანცდა. ინტერესი რეალური სინამდვილის მიმართ შემცირებულია და ცუდად ერკვევიან მასში, უმეტესად ცხოვრობენ შინაგანი სამყაროთი და გამოგონებებით. მათ ნაკლებად აღელვებთ გარეგნული იერი.

ისინი გამოირჩევიან ქცევაში უცნაურობებით. მათი ქცევები ხშირად არასაკმარისად მოტივირებულია უცხო პირისთვის, ქცევა უცნაურია, მოქმედებები მოულოდნელი და გაუგებარია გარშემომყოფებისთვის. შიზოთიმიკები მიდრეკილნი არიან რთული ლოგიკური მსჯელობისკენ მათთვის საინტერესო, ხშირად ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალების საფუძველზე. მათი მისწრაფებები შეიძლება იყოს მყარი და უჩვეულო. მაგრამ არასდროს — დემონსტრაციული. აზროვნების უჩვეულობა, ორიგინალურობა და არაბანალურობა ეფუძნება ლოგიკური კავშირებისა და ასოციაციების უჩვეულობას.

ემოციურად ისინი უფრო ცივები არიან, მათ ნაკლებად აინტერესებთ გარშემომყოფთა უბედურებები. ხშირად ისინი არიან ჯიუტები, სწორხაზოვანნი, გარშემომყოფთა გაელენისადმი მიუწვდომელი. ისინი ცუდად ეგუებიან ცხოვრებას, გარშემომყოფებს, ხშირად ძალებს ხარჯავენ არაპროდუქტიულ საქმიანობებზე (კოლექციონირება, უცნაური და ფანტასტიკური ნაწარმოებების წერა და ა.შ.).

ბევრი რამ დამოკიდებულია გარე პირობებსა და მათ უნარებზე. ზოგჯერ მათ გააჩნიათ კარგი უნარები, გონების მოქნილობა, გამომგონებლობა, უმეტესად ცალმხრივი (მუსიკის, ფერწერის, მათემატიკის, ლოგიკის მიმართ და სხვ.). მაშინ მათთვის არაფერი არ არსებობს საინტერესო საგნის გარდა და მათ შეუძლიათ მართლაც ფასეული პროდუქციის მოცემა და გარკვეული ადგილის დაკავება ცხოვრებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს შიზოიდური ხასიათის ცნობილი მრავალფეროვნება. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს ციეი შიზოიდური ხასიათიც და გულციეი ეგოისტებიც,პედანტებიც და ნიჭიერი მეცნიერ ნატურებიც, ფანტაზიორ-რეფორმისტებიც და ა.შ. ძირითადი, რაც მათ აერთიანებთ არის მათი დისჰარმონიულობა, საჭირო პროპორციის უქონლობა გონების, ნებელობის თანაფარდობაში, მთლიანობაში პიროვნების გაფართოება.

აქცენტუაციის ისტეროიდული ფორმა. ხასიათის მოცემული აქცენტუაციის მთავარ თვისებებს წარმოადგენს ეგოცენტრიზმი, გამორჩევის სურვილი, პოზიორობისკენ მიდრეკილება, ფაქიზი ნატურის მუდმივი თამაში, რაც გაუგებარია სხვებისთვის, დემონსტრაციული ქცევა; მისი პერსონის მიმართ მუდმივი ყურადღების წყურვილი, აღტაცების, გაოცების, პატივისცემის, თანაგრძნობის გამოწვევის მოთხოვნილება, წარუმატებლობისას ხშირია

გულისწყრომა და სიძულვილი საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ მხოლოდ პერსპექტივა არ რჩება შეუმჩნეველი.

ყველა დანარჩენი თვისება განისაზღვრება ხასიათის ამ თვისებებით. ეს პირები ერთნაირები არ არიან ხანმოკლე პერიოდის მანძილზეც კი. ქცევა, გრძნობები, განზრახვები ძირითადად განისაზღვრება გარეშე სიტუაციით. ნებისმიერ ფასად გამორჩევის, ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილი – აი, ამ ხასიათის ვნებიანი სურვილების მთავარი შინაარსი. ხშირად ეს სურვილები იწვევენ ფანტაზიებს, სიცრუეს.

წარმოსახვაზე გონების არასაკმარისი კონტროლის შედეგად, ეს პირები სუსტად განასხვავებენ ერთმანეთისაგან წარმოსახვაში განცდილს სინამდვილეში განცდილისგან და მონათხრობში უნებურად ურევენ გამონაგონ ჭეშმარიტებას.

მთლიანობაში სიცრუე და ფანტაზირება მიმართულია საკუთარი პიროვნების შელამაზებაზე, რათა კვლავაც მიიპყროს ყურადღება.

მათი მიდრეკილებები საკმაოდ ლაბილურია: უსაზღვრო სიყვარულიდან მწვავე სიძულვილზე გადასვლა შეიძლება მოხდეს რამდენიმე წუთის მანძილზე სიტუაციის გავლენით, რომელიც ეწინააღმდეგება მათ სურვილებსა და განზრახვებს. მდიდარი წარმოსახვა, ცხოველი ფანტაზია, ასოციაციების მარტივი დინება ამაღელვებელ პოემებთან ერთად, რომელთა შორისაც არის უდიდესი პოეტების ნაწარმოებები, შეიძლება საკუთარ შემოქმედებად იქნეს აღქმული.

ამასთან, მიდრეკილებების მსგავსად არამყარია ნებელობითი მოქმედებებიც. არის რა ანთებული რაიმე საქმის კეთების სურვილით, მას მალევე უნელდება სურვილები, რადგანაც არ ძალუძს ხანგრძლივი ნებელობითი დაძაბვა, განსაკუთრებით, თუ ეს არ პირდება დაუყოვნებლივ დიდებასა და აღტაცებას საზოგადოების მხრიდან. ასეთ ადამიანს ყველაზე მეტად ეშინია, რომ მას ჩათვლიან ბანალურად და მოსაწყენად სხვების მსგავსად, მას არ აკმაყოფილებს რუხი ცხოვრება, ხოლო პრესტიჟული მდგომარეობისთვის, მას არ ჰყოფნის არც უნარები და არც მთავარი – შეუპოვრობა. თვითშეფასება ძალიან შორსაა ობიექტურობისგან, ის კონტრასტულადაა გარშემომყოფთა აზრთან და რეალურ შესაძლებლობებთან. ისინი თავს ისე წარმოაჩენენ, როგორსაც მიაპყრობენ ყურადღებას ამ მომენტში.

ჯგუფში შესამჩნევი პოზიციის დაკავებას ისინი ასევე ცდილობენ წარმატებების, დამსახურებების, უნარების, ნაცნობობის შესახებ ისტორიების გამოგონების გზით. ამ მიზანს ემსახურება უჩვეულო კოლექციების შეგროვება, იოგით დაკავება და სხვ.

ცხრილი 35

სკალა „შიზოიდური ფორმა"

გ.ს.მ._____ თარიღი _____ ჯგუფის N _____

1	3	5	7	9	11	13	15	17	19	21	23	25
26	28	30	32	34	36	38	40	42	44	46	48	50
51	53	55	57	59	61	63	65	67	69	71	73	75
76	78	80	82	84	86	88	90	92	94	96	98	100
101	103	105	107	109	111	113	115	117	119	121	123	125
126	128	130	132	134	136	138	140	142	144	146	148	150
151	153	155	157	159	161	163						

1_2_3_4_5_6_7_

ცხრილი 36

სკალა „ნფა“

გ.ს.მ._____ თარიღი _____ ჯგუფის N _____

1	3	5	7	9	11	13	15	17	19	21	23	25
26	28	30	32	34	36	38	40	42	44	46	48	50
51	53	55	57	59	61	63	65	67	69	71	73	75
76	78	80	82	84	86	88	90	92	94	96	98	100
101	103	105	107	109	111	113	115	117	119	121	123	125
126	128	130	132	134	136	138	140	142	144	146	148	150
151	153	155	157	159	161	163						

1_2_3_4_5_6_7_

ცხრილი 37

სკალა „ექსპლოზიური ფორმა“

გ.ს.მ._____ თარიღი _____ ჯგუფის N _____

1	3	5	7	9	11	13	15	17	19	21	23	25
26	28	30	32	34	36	38	40	42	44	46	48	50
51	53	55	57	59	61	63	65	67	69	71	73	75
76	78	80	82	84	86	88	90	92	94	96	98	100
101	103	105	107	109	111	113	115	117	119	121	123	125
126	128	130	132	134	136	138	140	142	144	146	148	150
151	153	155	157	159	161	163						

1_2_3_4_5_6_7_

ცხრილი 38

მიმართულების სკალა

გ.ს.მ._____ თარიღი _____ ჯგუფის N _____

1	3	5	7	9	11	13	15	17	19	21	23	25
26	28	30	32	34	36	38	40	42	44	46	48	50
51	53	55	57	59	61	63	65	67	69	71	73	75
76	78	80	82	84	86	88	90	92	94	96	98	100
101	103	105	107	109	111	113	115	117	119	121	123	125
126	128	130	132	134	136	138	140	142	144	146	148	150
151	153	155	157	159	161	163						

1_2_3_4_5_6_7_

ცხრილი 39

სკალა „ფსიქასთენიური ფორმა“

გ.ს.მ._____ თარიღი _____ ჯგუფის N _____

1	3	5	7	9	11	13	15	17	19	21	23	25
26	28	30	32	34	36	38	40	42	44	46	48	50
51	53	55	57	59	61	63	65	67	69	71	73	75
76	78	80	82	84	86	88	90	92	94	96	98	100
101	103	105	107	109	111	113	115	117	119	121	123	125
126	128	130	132	134	136	138	140	142	144	146	148	150
151	153	155	157	159	161	163						

1_2_3_4_5_6_7_

ცხრილი 40

სკალა „ექსტრავერსია-ინტროვერსია

გ.ს.მ._____ თარიღი _____ ჯგუფის N _____

1	3	5	7	9	11	13	15	17	19	21	23	25
26	28	30	32	34	36	38	40	42	44	46	48	50
51	53	55	57	59	61	63	65	67	69	71	73	75
76	78	80	82	84	86	88	90	92	94	96	98	100
101	103	105	107	109	111	113	115	117	119	121	123	125
126	128	130	132	134	136	138	140	142	144	146	148	150
151	153	155	157	159	161	163						

1_2_3_4_5_6_7_

სიმკვრივის (სიცრუის) სკალა
(9 არადამთხვევის – უნდობლობის შედეგი)

გ.ს.მ._____ თარიღი _____ ჯგუფის N_____

	36	111				159				35		57									125	
1	3		5		7		9		11		13		15		17		19		21		23		25
				68						80										117			
26	28		30		32		34		36		38		40		42		44		46		48		50
113	79																					
51	53		55		57		59		61		63		65		67		69		71		73		75
	94						65					116		154								
76	78		80		82		84		86		88		90		92		94		96		98		100
101	103		105		107		109		111		113		115		117		119		121		123		125
											131										152		
126	128		130		132		134		136		138		140		142		144		146		148		150
151	153		155		157		159		161		163											

ისტეროიდული ფორმის სკალა

გ.ს.მ._____ თარიღი _____ ჯგუფის N _____

1	3	5	7	9	11	13	15	17	19	21	23	25
26	28	30	32	34	36	38	40	42	44	46	48	50
51	53	55	57	59	61	63	65	67	69	71	73	75
76	78	80	82	84	86	88	90	92	94	96	98	100
101	103	105	107	109	111	113	115	117	119	121	123	125
126	128	130	132	134	136	138	140	142	144	146	148	150
151	153	155	157	159	161	163						

1_2_3_4_5_6_7_

პათოქარაქტეროლოგიური კითხვარი

კითხვარი გათვალისწინებულია ხასიათის ტიპების განსაზღვრისთვის ფსიქოპათიების, ფსიქოპათიური განვითარებისა და ხასიათის აქცენტუაციების დროს. მეთოდიკა გამოიყენება ჯგუფური გამოკვლევისთვის (ჯგუფი 20-მდე ადამიანის შემადგენლობით). გამოკვლევა ტარდება ორ ეტაპად. დრო – 30 წუთამდე. ცხრილი გადაეცემა მხოლოდ სპეციალისტს.

ინსტრუქცია 1 ეტაპისთვის: იპოვეთ თითოეულ ცხრილში 1-3 თქვენთვის მისაღები პასუხი და შესაბამისი ნომერი აღნიშნეთ სარეგისტრაციო ფურცელში 1. არჩევანზე უარის თქმისას დასვით ნიშანი „0".

ინსტრუქცია მე-2 ეტაპისთვის: თითოეულ ცხრილში 1-3 თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი და შესაბამისი ნომერი აღნიშნეთ სარეგისტრაციო ფურცელში 2. არჩევანზე უარის თქმისას ისმის „0" (თუ ასეთი უარის რაოდენობა 7 და მეტია, ეს მეტყველებს კითხვართან მუშაობის სირთულეზე).

მიღებული მონაცემების დამუშავება და ინტერპრეტაცია

კითხვარს გააჩნია შეფასების ორი სკალა. სუბიექტური შეფასების სკალა გვეხმარება გავარკვიოთ როგორ ხედავს თავის ხასიათს ცდის პირი ან როგორის ნახვა სურს მას (დისიმულაციის დროს). ამ სკალის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რამდენად სწორია თვითშეფასება. თვითშეფასება გაცილებით უარესია ფსიქოპათიების, ხასიათის აქცენტუაციის ისტეროიდული და არამყარი ტიპების ან აქცენტუაციის სხვა ტიპების დროს, ფსიქოპათიის ტიპის ან ხასიათის აქცენტუაციის განსაზღვრა ხდება ობიექტური შეფასების სკალის მიხედვით. შედეგების დამუშავება იწყება დეკოდირებით.

კოდში თითოეულ არჩეულ ნომერს გააჩნია სიმბოლური ბგერითი აღნიშვნა:

მ- მელანქოლიური;

ჰ – ჰიპერთიმიული;

ც – ციკლოიდური;

ლ- ემოციურ-ლაბილური;

ა — ასთენონევროტული;
ს — სენზიტიური;
ფ — ფსიქასთენიური;
შ — შიზოიდური;
p — პარანოიალური;
ე — ეპილეფტოიდური;
ი — ისტეროიდული;
არ — არამდგრადი;
E — კონფორმული.

წერის მანერა ნიშნავს, რომ მოცემული არჩევანი არაინფორმაციულია. სს (სუბიექტური სკალის) 1 და 2 სარეგისტრაციო ფურცლებში აღინიშნება ასოითი სიმბოლოებით. თითოეულ ასოით სიმბოლოს შეესაბამება 1 ქულა შესაბამისი ტიპის სასარგებლოდ, დაწყვილებული ასოები უდრის 2 ქულას. ცხრილში „დამოკიდებულება სპირტიანი სასმელების მიმართ" არჩევაზე უარის თქმისთვის ირიცხება 1 ქულა კონფორმული ტიპის სასარგებლოდ. ხასიათის აქცენტუაციის ტიპი ან ფსიქოპათიები განისაზღვრება ობიექტური შეფასების სკალის მიხედვით. ამ სკალის მიხედვით ხდება იმ ტიპების დიაგნოსტირება, რითიც სუბიექტური სკალის შესაბამისად, მელანქოლიური და პარანოიალურის გარდა, ობიექტური სკალის მიხედვით დამატებითი მაჩვენებლებია:

(დ) — დისიმულაციის მაჩვენებელი;
(Г) — გულღიაობის მაჩვენებელი;
(§) — ორგანული ფსიქოპათიისთვის დამახასიათებელი ხასიათის თვისებების მაჩვენებელი;
(Е) — თვითშეფასებაში ემანსიპაციის რეაქციის ასახვის ხარისხი.

1-2 გამოკვლევებში მიღებული ორი ქულა გრაფიკის აგებისას ჯამდება არა ალგებრულად, არამედ არითმეტიკულად ანუ ისინი ერთად თავსდება გრაფიკზე ვერტიკალურად. მე-2 გრაფიკზე თავსდება დამატებითი ქულებიც. დამატებითი ქულები os (ობიექტური სკალის) მიმართ ირიცხება სუბიექტური შეფასების სკალის (=+7) მიხედვით ჰ, ა, s, p, შ, ფ ტიპების გამოყოფისას. ამასთან, გამოიყენება დამატებითი ქულების სკალაზე მოყვანილი მონაცემები.

ობიექტური შეფასების პროფილი

1 და 2 სარეგისტრაციო ფურცლებში მოყვანილი მონაცემების მიხედვით იგება გრაფიკი 1 (თვითშეფასების პროფილი), ასოები აბსცეს სკალაზე შეესაბამება ტიპებს (0 — უარი არჩევაზე). ორდინატ სკალაზე ზემოთ თავსდება ქულები პირველ გამოკვლევაში არჩევანზე, ქვემოთ — მეორე გამოკვლევისას.

თითოეული ტიპის ქულების ალგებრული ჯამი წარმოადგენს დასკვნის საფუძველს. თუ ის უდრის +7 ან ნაკლებია, ხასიათის მოცემული ტიპის თვისებები ცდის პირის მიერ უარყოფილია, თუ რომელიმე ტიპის სასარგებლოდ დაგროვებულია ქულების დიდი რაოდენობა დადებითი და უარყოფითი ნიშნებით (არანაკლებ +7 და —7) ანუ არ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ რომელ ტიპს განაკუთვნებს ცდის პირი საკუთარ თავს, კეთდება დასკვნა ამბივალენტურობაზე ანუ ორმაგობაზე, თვითშეფასების წინააღმდეგობრიობაზე. თვითშეფასების ამბივალენტურობა ყველაზე ხშირად განისაზღვრება შიზოიდებში. უტყუარად უარყოფილი ტიპი სუბიექტურ სკალაში ასევე შეიძლება იქნეს გამოყენებული დიაგნოსტიკისთვის.

გრაფიკი 2

გრაფიკი 1



სუბიექტური თვითშეფასების პროფილი

ამ პროფილის მიხედვით ხდება დასკვნის გაკეთება.

მე-2 გრაფიკის შეფასება იწყება შესაძლო მიდრეკილებისა და ხასიათის თვისებების დისიმულაციის განსაზღვრით. ხასიათის თვისებების დისიმულაციის შესაძლებლობა დასაშვებია, თუ დ-ტ=4. ამ შემთხვევაში შესაძლებელია სრულიად გამოირიცხოს კონფორმული და ციკლოიდური ტიპების ობიექტური შეფასება. დისიმულაციის ძალიან მაღალი მაჩვენებელი (D>7) დახასიათებულია არამდგრადი ტიპისთვის. ფსიქოპათიის ან აქცენტუაციის შესაძლო ორგანული ბუნების დიაგნოსტიკა ხორციელდება B(Brain-ინდექსი) ინდექსის მეშვეობით. თუ B>5, შეიძლება ვიფარაუდოთ დაავადების ორგანული ბუნება. ემანსიპაცის რეაქცია ითვლება გამოხატულად, თუ E>4. ამ შემთხვევებში არ ხდება **ს** და **ფ** ტიპების დიაგნოსტირება. E=0-1 ემანსიპაციის რეაქცია ითვლება არაგამოხატულად, E=2-3 – ზომიერად, E=4-5 – გამოხატულად, ხოლო E=6 და მეტი – ძლიერად.

ფსიქოპათიის ტიპის ან ხასიათის აქცენტუაციის დიაგნოსტიკისთვის გრაფიკი 2 ასაგებად გამოიყენება შემდეგი წესები.

წესი 0: თუ მდრ (min დიაგნოსტიკური რიცხვი) არაა მიღწეული არცერთი ტიპის მიმართ, ტიპი ჩაითვლება გაურკვეველად.

მდრ (ხასიათის სხვადასხვა ტიპისთვის)

მდრ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

წესი 1: თუ მდრ მიღწეულია ან გადამეტებულია მხოლოდ ერთი ტიპის მიმართ, ხდება ამ ტიპის დიაგნოსტირება (2,3 წესების გამორიცხვა).

მდრ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

წესი 2: თუ დ-ტ=4 ან მეტია ანუ დადგენილია დისიმულაციის შესაძლებლობა, ც და კ ტიპების დიაგნოსტირება არ ხდება, თუნდაც მდრ ამ ტიპების მიმართ მიღწეულია ან გადამეტებულია.

მდრ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები Тд ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

წესი 3: თუ E უდრის 4 ან მეტია მასზე ანუ ძლიერაა გამოხატული ემანსიპაციის რეაქცია, ს და ფ ტიპების დიაგნოსტირება არ ხდება მათ სასარგებლოდ დაგროვებული ქულების რაოდენობის მიუხედავად.

მდრ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

წესი 4: თუ მდრ მიღწეულია ან მეტია კ და სხვა ტიპების მიმართ ერთდროულად, კომფორტული ტიპის დიაგნოსტირება არ ხდება მის სასარგებლოდ შეგროვებული ქულების რაოდენობის მიუხედავად.

მდრ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

წესი 5: თუ 2-4 წესებით გათვალისწინებული გამონაკლისების შემდეგ მდრ არის მიღწეული ან გადამეტებულია ორი ტიპის მიმართ, უნდა ვისარგებლოთ წესებით 5ა, 5ბ, 5გ.

წესი 5ა: შერეული ტიპის დიაგნოსტირება ხდება იმ შემთხვევებში, როცა არსებობს შემდეგი შეთავსებები:

ჰც, ჰი, ჰარ, ცლ, ლა, ლს, ლი, ლარ, ლს, ლფ, აშ, აი, სი, სშ, ფშ, შე, ში, შარ, ეი, იარ, ეარ.

გამონაკლისს წარმოადგენს წესი 6 მიხედვით გათვალისწინებული შემთხვევა.

მდ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

წესი 5ბ: თუ შეთავსებები შეუთავსებელია, ხდება ტიპის დიაგნოსტირება, რომლის სასარგებლოდაც მიღებულია ყველაზე მეტი უპირატესობა ქულებში მის მდრ-ზე.

მდრ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

წესი 5გ: თუ ორ შეუთავსებელ შეთავსებას გააჩნია ერთნაირი გადამეტება მათ მდრ-ზე ან აღწევენ მდრ, გამოიყენება შემდეგი დომინირების პრინციპები:

მდრ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

წესი 6: თუ რომელიმე ტიპის მდრ გადამეტება მეტია სხვა ტიპების გადამეტებაზე ოთხი ქულით, ტიპების დიაგნოსტირება არ ხდება იმ შემთხვევებშიც, თუ მათი შეთავსება შეთავსებადია. მე-4 წესის თანახმად გამონაკლისს წარმოადგენს ტიპი კ (კონფორმული).

მდრ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

ცხრილი 43

დომინირების ძირითადი პრინციპები

ტიპები, რომლებმაც მიაღწიეს ან გაანიათ ერთნაირი გადამეტება მათ მდრ-ზე	დიაგნოსტირებადი ტიპი
ჰ და ლ	ჰ
ჰ და ა	ა
ჰ და ს	ჰ
ჰ და ფ	ფ
ჰ და შ	შ
ჰ და ე	ჰ
ა და შ	შ
ა და ე	ე
ა და არ	ა
ს და ე	ე
ს და ი	ი
ს და არ	არ
ფ და ი	ი
ფ და ე	ე
ფ და არ	არ
ლ და ფ	ფ
ლ და შ	შ
ლ და ე	ე
ც და ს	ს
ც და ფ	ფ
ც და შ	შ
ც და ე	ე
ც და ი	ი
ც და არ	არ
ც და ა	ა

წესი 7: თუ მდრ მიიღწევა და გადამეტებულია 3 და მეტ ტიპთან მიმართებაში, საჭიროა 2, 3, 4, 6 წესების მიხედვით ეცადოთ მათ შემცირებას 2-მდე. თუ ეს ვერ ხერხდება, ამ ტიპებიდან ირჩევენ ორ ტიპს, რომელთა სასარგებლოდაც მიღებულია ყველაზე მეტი გადამეტება ქულებში მათ მდრ-ზე, ხოლო შემდეგ, ხელმძღვანელობენ მე-5 წესით.

მდრ 7 6 5 5 6 7 5 6 6 7 8
ტიპები ჰ ც ლ ა ს ფ შ ე ი არ კ

წესი 8: თუ მდრ რამოდენიმე ტიპთან მიმართებაში მიღწეულია ან არსებობს მათი მდრ ერთნაირი სიჭარბე, არჩევანის გასაკეთებლად ვიხელმძღვანელოთ 5ა წესით და ვირჩევთ ორ ტიპს, რომელიც მეტად შეესატყვისება დანარჩენთან შესადარებელს.

მდრ	7	6	5	5	6	7	5	6	6	7	8
ტიპები	ჰ	ც	ლ	ა	ს	ფ	შ	ე	ი	არ	კ

ცხრილი 44

დამატებითი ქულების სკალა „ოს" მიმართებაში

ნიშნები	დამატებითი ქულები „ოს" მიმართ
„სს" მიხედვით ტიპების თვისებების გამოკვლევა (>7): ჰ (ჰიპერთიმიული) ა (ასთენონევროტული) ს (სენზიტიური) ფ (ფსიქასთენიური) შ (შიზოიდური) პ (პარანოიდალური)	1ბ-ჰ 1ბ-ა 2ბ-ს, 1ბ-შ ფ. 1ბ-ფ 1ბ-შ 1ბ-შ
„სს" მიხედვით ტიპების თვისებების უარყოფა (>7): ჰ (ჰიპერთიმიული) ა (ასთენონევროტული) ფ (ფსიქასთენიური) კ (კომფორტული)	1ბ-ს, შ, ე 1ბ-ჰ 1ბ—არ 2ბ-ი, 1ბ-შ
ამბივალენტური თვითშეფასებები „სს" მიხედვით (არანაკლებ +7-7 ერთდროულად ერთი ან რამდენიმე ტიპის მიმართ)	1ბ-შ
არჩევანის შეცდომა (თუ არჩევანის ერთი და იგივე ნომერი აღნიშნულია ერთ თემაზე 1 და 2 გამოკვლევებში	1ბ-ე თითოეულ შეცდომაზე
გულღიაობა	(ტ>დ) 1ბ — ც, ფ
დისიმულაციის მაღალი მაჩვენებელი (დ>7) ტ სიდიდის მიუხედავად	1ბ — ი, შ
ემანსიპაციის ძლიერი რეაქცია	

1. ჰიპერთიმიული ტიპი

ამ ტიპის ძირითად თავისებურებებს წარმოადგენს ამაღლებული განწყობილება, მაღალი ცხოვრებისეული ტონუსი, აქტიურობა და ფხიანობა. ასეთი ადამიანები უარს ამბობენ დაემორჩილონ სხვის ნებას, ცუდად იტანენ დისციპლინარულ მოთხოვნებს და ცხოვრების მკაცრად რეგლამენტირებულ წესს, წესებსა და კანონებს უდგებიან ქარაფშუტულად, ადვილად შეუძლიათ ზღვარის დარღვევა ნებადართულსა და აკრძალულს შორის.

2. ციკლოიდური ტიპი

პუბერტატამდე ამ ტიპის ბავშვები ტოვებენ ჰიპერთიმიულების ან ნორმოთიმიულების შთაბეჭდილებას. თუმცა, პუბერტატული პერიოდის დადგომასთან ერთად წარმოიქმნება 1 სუბდეპრესიული ფაზა. შემდგომში, განწყობილების ამაღლებისა და დაწევის ფაზები ერთმანეთს ცვლიან მთელი ცხოვრების მანძილზე. თავიდან, ფაზების ცვლა ხდება საკმაოდ ხშირად, მაგრამ თანდათან იზრდება პერიოდების ხანგრძლივობა. სუბდეპრესიულ ფაზაში განწყობილების ფონი დაწეულია, აღინიშნება სიფერმკრთალე, ძალების დაცემა, მომატებულია გაღიზიანებადობა და ინტროვერტირებულია. ჰიპომანიაკალურ ფაზაში თვალში გვხვდება მომატებული აქტიურობა, სიმარდე, არასერიოზულობა, სიამოვნებებისკენ მიდრეკილება.

3. ლაბილური ტიპი

ლაბილური ტიპის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს განწყობილების უკიდურესი ცვლადობა. გარემომცველი ცხოვრების ყველაზე უმნიშვნელო მოვლენები ადამიანზე ახდენენ არსებით გავლენას. უმცირეს უსიამოვნებას შეუძლია მისი პირქუშ განცდებში ჩაფლობა, ხოლო სასიამოვნო მოვლენებსა თუ მის პერსპექტივასაც კი, შეუძლია მისი განწყობილების ამაღლება, მხიარულების დაბრუნება. მიმდინარე განწყობილებაზე არის დამოკიდებული ყველაფერი: თვითშეგნება, შრომისუნარიანობა, გეგმები მომავალზე, დამოკიდებულება სხვა ადამიანების მიმართ.

4. ასთენონევროტული ტიპი

ამ დროს ადრე ვლინდება ნევროპათიის მრავალგვარი ნიშნები: ჭირვეულობა, ავადმყოფურობა, შიშები, ენაბლუობა, ენურეზი.

ამ ტიპის ადამიანების მთავარ შტრიხებს წარმოადგენს ასთენია, მომატებული დაღლადობა, დატვირთვების ან დაძაბულობის ცუდი გადატანა, ფიქსაცია ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

5. სენზიტიური ტიპი

მოცემული ტიპის ძირითად თვისებებს წარმოადგენს მომატებული შთამბეჭდაობა და არასრულფასოვნების გრძნობა. ბავშვობაში ეს გამოიხატება

სხვადასხვაგვარ ფსიქოლოგიურ შიშებში (სიბნელის, ცხოველების), მტკიცე და აქტიური ადამიანების კომპანიისთვის თავის არიდებაში, შებოჭილობასა და სიმორცხვეში, შემოწმებისა და ცდების ნებისმიერი სახის მიმართ შიშში.

6. ფსიქასთენიური ტიპი

ტიპის ძირითად თავისებურებებს წარმოადგენს მომატებული შფოთვიანობა, უნდობლობა, ეჭვებისადმი მიდრეკილება. ფსიქოსთენიკს მუდმივად ყველაფერში ეჭვი შეაქვს, მას უძნელდება გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ, ის აფასებს თითოეულ ნაბიჯს, მრავალჯერ ამოწმებს და ახდენს უკვე შესრულებული სამუშაოს გადაკეთებას.

7. შიზოიდური ტიპი

მოზარდობის ასაკში მწვავდება პიროვნების შიზოიდური თვისებები. განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ჩაკეტილობა, სულიერი სიმარტოვე, თავისებურება და უჩვეულობა საქმიანობისა და მისწრაფებების შერჩევაში.

8. ეპილეფტოიდური ტიპი

მიდრეკილება მრისხანე-სევდიანი განწყობილების პერიოდების წარმოქმნისადმი. ამ განწყობილებას მჭიდროდ უკავშირდება აფექტის დაძაბულობა, ფეთქებადობა და შეუკავებელი აგრესია. დიდი დაძაბულობით გამოირჩევა ასევე ეპილეფტოიდური ტიპის პირების მისწრაფებების სფერო. ყველა მისწრაფება ხასიათდება ზედმეტი ინტენსიობით და ძალით, მათი დაკმაყოფილება მიმდინარეობს მძიმედ და მას თან ახლავს მრავალრიცხოვანი კონფლიქტები.

9. ისტეროიდული ტიპი

უსაზღვრო egoიზმი და აღიარების სურვილი. ამ ტიპის პირები ძალიან მგრძნობიარენი არიან სხვა ადამიანების რეაქციების მიმართ, ადვილად ახერხებენ გადართვას ერთი საქმიდან მეორეზე, ირგებენ ნებისმიერ როლს, ცდილობენ ნებისმიერ ფასად მიაღწიონ ყურადღებას, აღტაცებას, გაკვირვებას, თანაგრძნობას ან სიძულვილსაც კი, ვერ იტანენ მხოლოდ გულგრილობას საკუთარი პერსონის მიმართ.

10. არამდგრადი ტიპი

ამ ტიპის პირები გამოირჩევიან სუსტი ნებისყოფით, შთაგონებადობით, ადვილად ექცევიან სხვისი გაელენის ქვეშ, განსაკუთრებით კი, ცუდი გავლენის ქვეშ. მათ არ გააჩნიათ საკუთარი დადებითი მიზნები და მისწრაფებები, ხოლო ყველა მათი ქცევა განისაზღვრება შემთხვევითი გარე გარემოებებით. შურიანები და უხასიათონი, ისინი ხშირად ხვდებიან ცუდ კომპანიებში, თავს ანებებენ სწავლას, მუშაობას, იყენებენ ალკოჰოლს.

11. კონფორმული ტიპი

მუდმივი და არამყარი ორიენტაცია უახლესი გარემოცვის ნორმებსა და ფასეულობებზე. კონფორმული ტიპის პირები სრულად ექვემდებარებიან გარემოს ზეწოლას, არ გააჩნიათ საკუთარი აზრები და ინტერესები, ძნელად აღიქვამენ ახალსა და უჩვეულოს, უარყოფითად უდგებიან ცვლილებებს ცხოვრებაში.

მეთოდიკა „ოპერატიული მეხსიერება"

მეთოდიკა გამოიყენება ხანმოკლე მეხსიერების შესასწავლად იმ შემთხვევებში, როცა ხანმოკლე მეხსიერებას გააჩნია ძირითადი ფუნქციური დატვირთვა.

ცდის პირს გადაეცემა ბლანკი, რის შემდეგაც ექსპერიმენტატორი იძლევა შემდეგ ინსტრუქციას.

ინსტრუქცია: მე წავიკითხავ რიცხვებს – 10 რიგს, თითოეულთან 5 რიცხვს. თქვენი ამოცანაა ამ 5 რიცხვის იმ წესით დამახსოვრება, როგორც იქნა წაკითხული, ხოლო შემდეგ გონებაში პირველს მიუმატო მეორე რიცხვი, მეორეს-მესამე, მესამეს-მეოთხე, მეოთხეს-მეხუთე, ხოლო მიღებული 4 ჯამი ჩაწეროთ ბლანკის შესაბამის სტრიქონში. მაგალითად, 6, 2, 1, 4, 2 (იწერება დაფაზე ან ფურცელზე). ვკრებთ 6 და 2-ვიღებთ 8 (იწერება); 2 და 1 ვიღებთ 3 (იწერება); 1 და 4 – ვიღებთ 5 (იწერება); 4 და 2 – ვიღებთ 6 (იწერება).

თუ ცდის პირს აქვს კითხვები, ექსპერიმენტატორმა უნდა უპასუხოს მათ და შეუდგეს ტესტის ჩატარებას. რიგების წაკითხვას შორის ინტერვალი 15 წმ-ია.

გასაღები

იანგარიშება სწორად ნაპოვნი ჯამების რაოდენობა (მათი მაქსიმალური რაოდენობაა 40). ზრდასრული ადამიანის ნორმაა 30 და ზემოთ.

მეთოდიკა ხელსაყრელია ჯგუფური ტესტირებისთვის. ტესტირების პროცედურას სჭირდება მცირე დრო – 4-5 წთ. ოპერატიული მეხსიერების უფრო საიმედო მაჩვენებლის მისაღებად ტესტირება შეიძლება ჩატარდეს გარკვეული დროის შემდეგ, სხვა რიცხვების რიგის გამოყენებით.

ტესტური მასალა

ბლანკის ნიმუში

რიგის №	ჯამი
1	
2	
3	
4	
5	
6	
7	
8	
9	
10	

მეთოდიკის შინაარსი

1	5, 2, 7, 1, 4
2	3, 5, 4, 2, 5
3	7, 1, 4, 3, 2
4	2, 6, 2, 5, 3
5	4, 4, 6, 1, 7
6	4, 2, 3, 1, 5
7	3, 1, 5, 2, 6
8	2, 3, 6, 1, 4
9	5, 2, 6, 3, 2
10	3, 1, 5, 2, 7

1	7, 9, 8, 5
2	8, 9, 6, 7
3	8, 5, 7, 5
4	8, 8, 7, 8
5	7, 9, 7, 8
6	6, 5, 4, 6
7	4, 6, 7, 8
8	5, 9, 7, 5
9	7, 8, 9, 5
10	1, 6, 7, 9

მეთოდიკა „მეხსიერება რიცხვებზე"

მეთოდიკა გათვალისწინებულია ხანმოკლე მხედველობითი მეხსიერების, მისი მოცულობისა და სიზუსტის შეფასებისთვის. დავალება მდგომარეობს იმაში, რომ გამოსაკვლევ პირებს 20 წმ-ის განმავლობაში ეძლევა ცხრილი 12 ორნიშნა რიცხვებით, რომელთა დამახსოვრებაც საჭიროა და მას შემდეგ, რაც ცხრილს აიღებენ, ის უნდა ჩაიწეროს ბლანკზე.

ინსტრუქცია: თქვენ წარმოგიდგენენ ცხრილს რიცხვებით. თქვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ 20 წმ-ის განმავლობაში დაიმახსოვროთ, რაც შეიძლება მეტი რიცხვი. 20 წმ-ის შემდეგ ცხრილს აიღებენ და უნდა ჩაწეროთ ყველა ის რიცხვი, რომელიც დაიმახსოვრეთ.

ცხრილი 45.

13	91	47	39
65	83	19	51
23	94	71	87

ხანმოკლე მხედველობითი მეხსიერების შეფასება ხდებოდა სწორად აღდგენილი რიცხვების რაოდენობის მიხედვით. ზრდასრული ადამიანის ნორმაა 7 და ზემოთ. მეთოდიკა ხელსაყრელია ჯგუფური ტესტირებისთვის, რამდენადაც პროცედურას არ სჭირდება დიდი დრო.

გათვალისწინებულია ხატოვანი მეხსიერების შესწავლისთვის. მეთოდიკა გამოიყენება პროფშერჩევის დროს. მეთოდიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ცდის პირს ეძლევა ცხრილი 16 ხატით 20 წმ-ის განმავლობაში. საჭიროა ხატების დამახსოვრება და 1 წთ-ის მანძილზე მათი აღდგენა ბლანკზე.

ინსტრუქცია: წარმოდგენილი იქნება ცხრილი ხატებით (მაგალითის მოყვანა). თქვენი ამოცანაა 20 წმ-ის განმავლობაში, რაც შეიძლება მეტი ხატის დამახსოვრება. 20 წმ-ის შემდეგ აიღებენ ცხრილს და თქვენ უნდა დახატოთ ან დაწეროთ (სიტყვიერად გამოხატვით) დამახსოვრებული ხატები.

ტესტირების შედეგების შეფასება ხდება სწორად აღდგენილი ხატების რაოდენობის მიხედვით. ნორმა – 6 სწორი პასუხი და მეტი. მეთოდიკა გამოიყენება ჯგუფში და ინდივიდუალურად.



მეთოდიკა „კორექტული ცდა“

(ანბანური ვარიანტი)

გამოსაკვლევ პირებს სთავაზობენ ბლანკს სხვადასხვა ასოებით 40 რიგის რაოდენობით, თითოეულში 40 ასოს განთავსებით. ცდის პირებმა უნდა გადახაზონ თითოეულ რიგში ის ასო, რომელიც პირველია. სამუშაო ტარდება მაქსიმალური სიზუსტის მოთხოვნით. მუშაობის დროს 5 წთ.

ინსტრუქცია: ასოებისგან შემდგარ ბლანკზე გადახაზეთ ასოების პირველი რიგი. თქვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რიგების მარცხნიდან მარჯვნივ დათვალიერებისას გადახაზეთ ისეთივე ასოები, როგორიც პირველია.

საჭიროა სწრაფი და ზუსტი მუშაობა. მუშაობის დრო 5 წთ-ია.

მაგალითი:

ე კ რ ნ ს ო ა რ გ ნ ე ს ა რ კ ბ რ ე

ყურადღების მოცულობა ფასდება დათვალიერებული ასოების რაოდენობით, კონცენტრაცია-დაშვებული შეცდომების რაოდენობით. ამგვარად, შემოთავაზებული მეთოდიკით ფასდება 2 მაჩვენებელი.

ყურადღების მოცულობის ნორმა — 850 ნიშანი და ზემოთ, კონცენტრაცია — 5 შეცდომა და ნაკლები. მეთოდიკა გამოიყენება ჯგუფში და ინდივიდუალურად.

სასტიმულო მასალა ტესტისადმი „კორექტული ცდა“ (1;2 მასშტაბით)

А К С Н Б Е А Н Е Р К В С О А Е Н В Р А К О Е С А Н Р К В Н Е О Р А К С В О Е С
О В Р К А Н В С А Е Р Н В К С О А Н Е О С В Н Е Р К О С Е Р В К А Н К С А Р О
К А Н Е О С В Р Е Н К С О Е Н В Р К С А Р Е С В М Е С К А О Е Н С В К Р А Е О
В Р Е С О А К В Н Е С А К В Р Е Н С О А К В Р Е Н С О К В Р А Н Е К Р В Н А С
Н С А К Р В О С А Р Н Е А О С К В Н А Р Е Н С О К В Р Е А О К С Н В Р А К С О Е
Р В О Е С Н А Р К В О К Р А Н В О Е С В Н Е А Р О К В Н Е С А О К Р Е С А В К Н
Е Н Р А Е Р G К В О К С Е Р В О С А Н О В Р К А С О А Р Н Е О Р Е С В О Е Р В И
О С К В Н Е Р А О С Е Н В С Н Р А Е О К С А Н Р А Е С В Р Н В К С Н А О Е Р С Н
В К А О В С Н Е Р К О В Н Е А Н Е С В Н О К А Н Р А Е О С Б Р В О А Н С К О К Р
С Е Н А О В К С Е А В Н Е С К Р А О В К С Е О К С В Н Р А К О К Р Е С В К О Е Н С
К О С Н А К В Н А Е С Е Р В Н С К О А Е Н С О В Н Р В К О С Н Е К О В Н С А Е
О В К Р Е Н Р Е С Н А К О К А Е Р В С А Р К В О С В Н Е Р А Н С Е О В Р А К В О
А С В К Р А С К О В Р А К Н С О К Р Е Н Г Р С Е А О К С А К Р Н Р А К А Е Р К С
Н О С К О Е О В С К О А Е О Е Р К О С К В Н А К В О В С О Е А С Н В С Р Н А К А

А К С Н Б Е А Н Е Р К В С О А Е Н В Р А К О Е С А Н Р К В Н Е О Р А К С В О Е С
О В Р К А Н В С А Е Р Н В К С О А Н Е О С В Н Е Р К О С Е Р В К А Н К С А Р О
К А Н Е О С В Р Е Н К С О Е Н В Р К С Л Р Е С В М Е С К А О Е Н С В К Р А Е О
В Р Е С О А К В Н Е С А К В Р Е Н С О А К В Р Е Н С О К В Р А П Е К Р В Н А С
Н С Л К Р В О С Л Р П Е А О С К В П А Р Е Н С О К В Р Е А О К С Н В Р А К С О Е
Р В О Е С Н А Р К В О К Р А Н В О Е С В Н Е А Р О К В Н Е С Л О К Р Е С Л В К Н
Е Н Р Л Е Р G К В О К С Е Р В О С А Н О В Р К А С О Л Р Н Е О Р Е С В О Е Р В И
О С К В Н Е Р А О С Е Н В С Н Р Л Е О К С Л Н Р А Е С В Р П В К С П А О Е Р С П
В К А О В С Н Е Р К О В Н Е А Н Е С В Н О К Л Н Р А Е О С Б Р В О А Н С К О К Р
С Е Н А О В К С Е А В Н Е С К Р А О В К С Е О К С В Н Р Л К О К Р Е С В К О Е Н С
К О С Н А К В Н А Е С Е Р В Н С К О А Е Н С О В П Р В К О С Н Е К О В Н С А Е
О В К Р Е Н Р Е С Н Л К О К А Е Р В С А Р К В О С В П Е Р Л Н С Е О В Р Л К В О
А С В К Р А С К О В Р А К П С О К Р Е Н Г Р С Е Л О К С А К Р Н Р Л К А Е Р К С
Н О С К О Е О В С К О А Е О Е Р К О С К В Н Л К В О В С О Е Л С П В С Р Н А К Л
В Н Е О С Е А В К Р Н В С Н В К Л С В К А Н А К Р Н Е О К О В С Н В О В Р С В В
С Е Р В Н Р К С Р В Н Е А Р Л Н Е Р В О А Е С Е Р А Н Е Р В О А Р Н В С А Р В
Е Р Н Е А Е О Р Н А С Р В К О В Р А Е О С Е О В Н А Е П Е О В С К О В Р Н А К С
Е Р В К О С К А О Е Н Р В О С К Р Е Н А Е О Н Л К В С Е О В К А Р Е С Н А О В К
О А О В Н Р В Н С Р Е А О К Р Е Н С Р Е А К В С Е О К Р Л Н С К В А Е О В П Р С
К А О Р Е С В Н А О Е С В О К Р П К Р К Р А Е Р К О А С Л Р П Н Л Е О С К Р В К
О К Р А Н А О Е С К О Е Р Н В К А Р С В Н Р В Н С Е О К Р А П Е С В Н К Р Л Н В
Е Р А К О К С О В Р Н А Е А С В К Л Н О С Е Н В Р А К Р Е О С О В Р А О Е С Е А
Н Е С В К Р Е А К С В Н О Е Н Е О С В Н Е О Р К А К С В Н Е О К Р О К А Н Е О С
Р Н Е G В Н Р К О В К О А Р Е О В О К С В К Л Е Р В О С П Е Л К А С Н В О Е Н
С В Н Е О В К Р А Н Р Е С К О А Н В Р К Л Н В С О Е Р А Н В О С А Р К В Н С О Е
О К Н Е К Р В С Е Н Р К А Е С В О К Л Р Е О К В Н А Р Е С К В Н Е О С Л П Н В О
К Р Н С Л О Е Р К О С Н В К О Е Р В О С К Л Е Р Н С О Л Н В Р К В Н Е Н Р А К С
Р Н В К О С Н Е А К В Р С О А Н С К В О Л С П Е В О П С К В Р П А О Е Н С Л О Р
Н С О А К В Р П С А О Е Р С К О Е Н А Р Н В О С К А О К Р Н С Е О В С Е Н В К А
Е К Р Н С О А Р В Н Е С А Р К В Р П С Е Н В Р А К В С Е О К Л Е Р К О В Н Е А С
О Е Н Р В К С Е Р В Н А О Е А С К Р Е Н В К С О Л Р Е О К С Е Р Н Е Л Р В С К В
Н С О К Р В Н Е О С К В Н Р Е О К Р А С В О Е Р Н Р К В Н Р К Л С О В Н А О К Н
Р В А К Р Н Е С О К А Р К В О А С Р Е О К Р А Н В Р Е С К Н В К О Е С А Н Е О
В Р К О А С Н А К О К В О С Е Р К В Н Е Р А К С В Н Е О К Р Е Л С О К Р Е О В Н С
С Е О В Н А Р К О С В Н Е Р А Н Р О Л С О К Р Е Л О С В Р К А К Р Е Р К О Е С В Н
О А Е Р В К С О Е Н Р А К Р Н С Е А К О В О Е П С А Н Р В О С Е Н В О К Н В Р А
Е С Н А К В О Е Р Е Н С Л К В О А Е Р К С Е Н Р Л К Р В С А Е О В Н Е С Р К В О
О К Р Е С О Л Н Е Р В Н Е С К Л О Р В Р К О С А Р К В С К А К Р Е В Н А К Р Е С
С В К О А Н Р В С К О Е Р Н А К В С Н Е Р А Е О В Р П А К В С П В О Е Р А Е О К
В Р А С Н Р К О Е А С О В Р Е С К О А Н Е С Н В С К Л Е О Р Н А К Е Р П С О К В

მეთოდიკა „შავ-წითელი ცხრილი"

მეთოდიკა გათვალისწინებულია ყურადღების გადართვის შეფასებისთვის. გამოსაკვლევმა პირებმა შეთავაზებულ ცხრილზე უნდა იპოვონ წითელი და შავი რიცხვები მონაცვლეობით და ჩაიწერონ მხოლოდ ამ რიცხვების შესაბამისი ასოები. ამასთან, წითელი რიცხვები უნდა იქნეს ნაპოვნი კლებადი წესით, ხოლო შავი — მზარდით. გამოსაკვლევ პირებს უკითხავენ შესაბამის ინსტრუქციას.

ინსტრუქცია: თქვენ შემოგთავაზებენ ცხრილს წითელი და შავი რიცხვებით. თქვენ უნდა მოძებნოთ წითელი და შავი რიცხვები მონაცვლეობით, ამასთან, წითელი — კლებადი წესით 25-დან 1 —მდე, ხოლო შავი-მზარდი — 1-დან 24-მდე. საჭიროა მხოლოდ რიცხვების გვერდით მდგომი ასოების ჩაწერა. მუშაობის დროა 5 წთ. მაგალითად, წითელი ციფრია 25, ვწერთ ასოს რ, შემდეგ შავი ციფრია 1, ვწერთ — გ, შემდეგ წითელი ციფრია 24, ვწერთ — კ, შავი ციფრია 2, ვწერთ ნ. ამგვარად, პასუხების ფურცელზე მიიღება რიგი ასოები:

რ ·	გ	კ	ნ	—	—

მეთოდიკა ფასდება სწორად აღდგენილი ასოების წყვილის რაოდენობის მიხედვით.

სასტიმულო მასალა ტესტისადმი „შავ-წითელი ცხრილი" (1:2 მასშტაბით)

ცხრილი 46

8-х	24-у	13-м	7-ф	22-б	12-и	5-ó
8-I	14-ф	14-р	17-ш	15-А	6-г	3-е
19-к	3-к	18-ч	23-к	16-р	18-[illegible]	17-р
21-р	13-а	1-р	22-ш	11-р	23-г	[illegible]
5-м	10-с	4-ф	25-р	21-ц	2-г	19-ж
12-ж	6-б	16-у	20-м	4-с	10-б	[illegible]
2-п	7-и	11-л	15-у	9-к	24-[illegible]	1-в

შენიშვნა: დამტრიხული კვადრატები შეესაბამება სიმბოლოების წითელ ფერს.

მიუნსტერბერგის მეთოდიკა

ის მიმართულია ყურადღების არჩევითობის განსაზღვრაზე.

რეკომენდირებულია იმ სპეციალობაზე პროფშერჩევის დროს გამოყენებისთვის, რაც მოითხოვს კარგ შერჩევითობას და ყურადღების კონცენტრაციას, ასევე მაღალ დაბრკოლებამედეგობას.

ინსტრუქცია: ასოით ტექსტში არის სიტყვები. თქვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად ტექსტის კითხვისას გამოყოთ ეს სიტყვები. მუშაობის დროს – 2 წთ.

მაგალითი: рюклбюсрадостьуфркшп

მეთოდიკა გამოიყენება როგორც ჯგუფში, ასევე ინდივიდუალურად. ფასდება მონიშნული სიტყვებისა და შეცდომების რაოდენობა (გამოტოვებული ან არასწორად მონიშნული)

სასტიმულო მასალა

б с о л н ц е в т р г щ о ц э р а й о н з г у ч н о в о с т ь ъ х э ь г ч я ф а т ь у э к з а м е н т р о ч я г щ
ш г ц к п п р о к у р о р г у р с е а б е т е о р и я ж е б ь а м х о к к е й т р о и ц а ф ц у й г а х т
т с л е в и з о р б о л д ж щ з з г щ ь б п а м я т ь ш о г х е ю ж и п д р г щ х щ н з д в о с п р и я т и е
й ц у к е н д ш и з х ь в а ф ы п р о л д б л ю б о в ь а б ф ь т р п л о с л а д с п е к т а л ь я ч с и ш т ь б ю н
б ю е р а д о с т ь в у ф ц и е ж ц д о р р п н а р о д ш а л д ь х э п п ц г и е р ш к у ы ф й ш р е п о р т а ж э х
ж д о р л а ф ь в ю ф б ь к о н к у р с й ф ш я ч ь г у з с к а п р л л и ч н о с т ь з ж э ь е ю д ш щ г л о д ж я н
э ц р п л а в а н и е д т л ж э з б ь т р д ш ж н п р к ы в к о м с д и я ш л д к у й ф о т ч а я н и е й ф р л н ь
я ч в т л д ж э х ь г ф т а с е н л а б о р а т о р и я г щ д щ н р у ц т р г щ ч т л р о с ш о в а н и е з х ж ь б
щ д э р к е н т а о п р у к г в с м т р п с и х и а т р и я б п л м с т ч ь й ф я с щ з а й э ъ я г ш т з х т м

цლის პირის გვარი _____

მეთოდიკა „რიცხვების გაანლაგება“

მეთოდიკა გათვალისწინებულია ნებისმიერი ყურადღების შეფასებისთვის. რეკომენდირებულია ყურადღების ფუნქციის კარგი განვითარების საჭიროების მქონე სპეციალობაზე პროფშერთევისას.

ინსტრუქცია: 2 წთ-ის შემდეგ ბლანკის ქვედა კვადრატის თავისუფალ უჯრებში მზარდი რიგით უნდა განათავსოთ რიცხვები, რომლებიც განლაგებულია შემთხვევითი წესით ბლანკის ზედა კვადრატის 25 უჯრაში.

რიცხვები იწერება სტრიქონ-სტრიქონ, არანაირი აღნიშვნის გაკეთება არ შეიძლება ზედა კვადრატში.

შეფასება ხდება სწორად ჩაწერილი რიცხვების რაოდენობის მიხედვით. საშუალო ნორმაა 22 რიცხვი და ზემოთ.

მეთოდიკა ხელსაყრელიე ჯგუფური გამოკვლევისას. ჯგუფური გამოკვლევა რეკომენდირებულია ჩატარდეს ექსპერიმენტატორის თანდასწრებით.

სასტიმულო მასალა

ცხრილი 47

16	37	98	29	54
80	92	46	59	35
43	21	8	40	2
65	84	99	7	77
13	67	69	34	18

შესავსები ბლანკი

მეთოდიკა „რიცხვობრივი კვადრატი“

მეთოდიკა გათვალისწინებულია ყურადღების განაწილებისა და გადართვის მოცულობის შეფასებისთვის.

შინაარსი . 25 უჯრედიან კვადრატში შემთხვევითი წესით განლაგებულია რიცხვები 1-დან 40-მდე. 15 რიცხვი გამოტოვებულია. გამოსაკელეემა პირმა რიცხვების რიგში ხაზი უნდა გადაუსვას კვადრატში არარსებულ რიცხვებს.

სამუშაო დროა 1, 5 წთ.

დამუშავების დროს იანგარიშება სწორი პასუხების რაოდენობა (გამოტოვება, შესწორება-შეცდომა).

აღჭურვა: ბლანკები, სადემონსტრაციო ბლაკატი, ფანქრები, წამზომი.

ინსტრუქცია: თქვენს წინაშეა კვადრატი 25 რიცხვით და 40 რიცხვისგან შემდგარი რიცხობრივი რიგი. თქვენ გჭირდებათ კვადრატში არარსებული რიცხვების გადახაზვა რიცხვების რიგში 1, 5 წმის მანძილზე.

გადახაზულია კვადრატში არარსებული რიცხვები.

შეფასება 9-ქულიანი სკალების მიხედვით
ცხრილი 48

შეფასება ქულებში	9	8	7	6	5	4	3	2	1
სწორი პასუხების რაოდენობა	18	17	15–16	13–14	10–12	8–9	6–7	5	4

სასტიმულო მასალა მეთოდიკისადმი „რიცხობრივი კვადრატი“

ბლანკი

14	5	31	27	37
40	34	23	1	20
19	16	32	13	33
2	6	8	25	9
12	26	36	28	39

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40

გასაღები

ხაზგასმულია კვადრატში არარსებული რიცხვები

14	5	31	27	37
40	34	23	1	20
19	16	32	13	33
2	6	8	25	9
12	26	36	28	39

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40

მეთოდიკა „რაოდენობრივი დამოკიდებულებები“

გათვალისწინებულია ლოგიკური აზროვნების შეფასებისთვის. გამოსაკვლევ პირებს ამოსახსნელად სთავაზობენ 18 ლოგიკურ ამოცანას. თითოეულ მათგანში არის 2 ლოგიკური გზავნილი, რომლებშიც ასოები ერთმანეთთან გარკვეულ რიცხობრივ ურთიერთდამოკიდებულებაშია. წამოყენებულ ლოგიკურ გზავნილებზე დაყრდნობით, უნდა გადაწყდეს, რა თანაფარდობაში არიან ერთმანეთთან შტრიხის ქვეშ არსებული ასოები. ამოხსნის დრო 5 წთ-ია.

ინსტრუქცია: თქვენთვის შეთავაზებულია 18 ლოგიკური ამოცანა, ხოლო თითოეულ მათგანს გააჩნია 2 გზავნილი. ამოცანის ამოხსნის დროა 5 წთ.

სასტიმულო მასალა

ცხრილი 49

1. ა მეტია ბ-ზე 9-ჯერ ბ ნაკლებია გ-ზე 4-ჯერ გ ა	5. ა ნაკლებია ბ-ზე 3-ჯერ ბ მეტია გ-ზე 7-ჯერ ა გ
2. ა ნაკლებია ბ-ზე 10-ჯერ ბ მეტია გ-ზე 6-ჯერ გ ა	6. ა მეტია ბ-ზე 9-ჯერ ბ ნაკლებია გ-ზე 12-ჯერ
3. ა მეტია ბ-ზე 3-ჯერ ბ ნაკლებია გ-ზე 6-ჯერ	7. ა მეტია ბ-ზე 6-ჯერ ბ მეტია გ-ზე 7-ჯერ

ცხრილი 49-ის გაგრძელება

4. ა მეტია ბ-ზე 4-ჯერ ბ ნაკლებია გ-ზე 3-ჯერ	8. ა ნაკლებია ბ-ზე 3-ჯერ ბ მეტია გ-ზე 5-ჯერ გ ა
9. ა ნაკლებია ბ-ზე 10-ჯერ ბ მეტია გ-ზე 3-ჯერ გ ა	14. ა ნაკლებია ბ-ზე 5-ჯერ ბ მეტია გ-ზე 2-ჯერ ა გ
10. ა ნაკლებია ბ-ზე 2-ჯერ ბ მეტია გ-ზე 8-ჯერ ა გ	15. ა მეტია ბ-ზე 4-ჯერ ბ ნაკლებია გ-ზე 3-ჯერ გ ა
11. ა ნაკლებია ბ-ზე 3-ჯერ ბ მეტია გ-ზე 4-ჯერ გ ა	16. ა ნაკლებია ბ-ზე 3-ჯერ ბ მეტია გ-ზე 3-ჯერ ა გ
12. ა მეტია ბ-ზე 2-ჯერ ბ ნაკლებია გ-ზე 5-ჯერ ა გ	17. ა მეტია ბ-ზე 4-ჯერ ბ ნაკლებია გ-ზე 7-ჯერ გ ა
13. ა ნაკლებია ბ-ზე 5-ჯერ ბ მეტია გ-ზე 6-ჯერ გ ა	18. ა მეტია ბ-ზე 3-ჯერ ბ ნაკლებია გ-ზე 5-ჯერ ა გ

შეფასება ხდება სწორი პასუხების რაოდენობის მიხედვით. ზრდასრული ადამიანის ნორმა — 10 და მეტი.

გასაღები

1. გ<ა	7. ა<გ	13. გ<ა
2. ა<გ	8. გ<ა	14. ა<გ
3. გ<ა	9. გ>ა	15. გ<ა
4. გ<ა	10. ა>გ	16. ა<გ
5. ა>გ	11. გ<ა	17. გ>ა
6. გ>ა	12. ა<გ	18. ა>გ

მეთოდიკა „რიცხობრივი რიგის კანონზომიერებები"

მეთოდიკა აფასებს აზროვნების ლოგიკურ ასპექტს. გამოსაკვლევმა პირებმა უნდა იპოვონ 8 რიცხობრივი რიგის აგების კანონზომიერებები და დაწეროს გამოტოვებული რიცხვები. შესრულების დრო – 5 წთ.

ინსტრუქცია: თქვენ გთავაზობენ 7 რიცხობრივ რიგს. თქვენ უნდა იპოვოთ თითოეული რიგის აგების კანონზომიერებები და ჩაწერეთ გამოტოვებული რიცხვები. სამუშაოს შესრულების დრო – 5 წთ.

რიცხობრივი რიგები

1) 24 21 19 18 15 13 – – 7
2) 1 4 9 6 – – 49 64 81 100
3) 16 17 15 18 14 19 – –
4) 1 3 6 8 16 18 76 78
5) 7 16 9 5 21 16 9 – 1
6) 2 4 8 10 20 22 – – 92 94
7) 24 22 19 15 – –

გასაღები

1) 23 9;
2) 25 36;
3) 13 30;
4) 36 38;
5) 13
6) 44 46
7) 10 4

შეფასება ხდება სწორად დაწერილი რიცხვების რაოდენობის მიხედვით. ზრდასრული ადამიანის ნორმაა 3 და მეტი.

მეთოდიკა „კომპასები"

მეთოდიკა გათვალისწინებულია სივრცით წარმოდგენების განსაზღვრისთვის, რამდენადაც არსებობს სივრცითი წარმოდგენის მაჩვენებლების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციები ლოგიკური აზროვნების დონესთან, მეთოდიკა რეკომენდირებულია ლოგიკური აზროვნების დონის ირიბი შეფასებისთვის. მეთოდიკა გამოიყენება პროფშერჩევის მიზნით.

მეთოდიკის შინაარსი: გამოსაკვლევ პირს ბლანკზე სთავაზობენ 25 ამოცანას, რომელთაგან თითოეულში სქემატურად გამოსახულ კომპასზე აღნიშნულია დედამიწის მხარეთა 8 მიმართულებიდან ერთ-ერთი (ჩ, ს, ა, დ, ჩ-ა, ჩ-დ, ს-ა, ს-დ) კოორდინატის ცვლად სისტემაში და სხვა მიმართულების მაჩვენებელი ისარი, რომლის განსაზღვრის ამოცანაც კოორდინატის ცვლადი სისტემასთან მიმართებაში დგას ცდის პირის წინაშე. მას შემდეგ, რაც ცდის პირი აზრობრივად განსაზღვრავს კომპასის მიმართულებას, მან უნდა დაწეროს ამ მიმართულების აღნიშვნა. გამოკვლევის დაწყების წინ, ცდის პირისთვის ამოცანის განმარტების შემდეგ, საჭიროა ერთი მაგალითის გარჩევა. ცდის პირის უნდა იყოს გაფრთხილებული, რომ ბლანკის შემობრუნება ჩ – ს ღერძზე ორიენტირებისთვის დაუშვებელია.

ამოცანის შესრულების დრო – 5 წთ.

დამუშავება

გამოკვლევის შედეგები მუშავდება გასაღების მეშვეობით. განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლები:

ნანახი კომპასების საერთო რაოდენობა – მწარმოებლურობა (P);

ამოცანის შესრულების დრო (T);

შეცდომების რაოდენობა (არასწორად აღნიშნული კომპასების რაოდენობა) (n);

არასწორი პასუხების ფარდობითი სიხშირე (n/p);

მუშაობის სიჩქარე:

$$\frac{P-n}{T} \text{ კომპ./წთ.}$$

წარმატების კოეფიციენტი (A)

$$A = \frac{C - W}{C + O} S$$

სადაც C – ცდის პირის მიერ აღნიშნული ყველა კომპასის რაოდენობა; W _არასწორად აღნიშნული კომპასების რაოდენობა; O – აღსანიშნი კომპასების რაოდენობა; S – ნანახი კომპასების საერთო რაოდენობა.

ბლანკი პასუხებისთვის



გასაღები



ქულები	1	2	3	4	5
მწარმოებლურობა	7-მდე	7–11	11–15	16–20	21–24

ქულები	1	2	3	4	5
მწარმოებლურობა	25–29	30–36	37–46	47–49	50

მეთოდიკა „რთული ანალოგიები“

მეთოდიკა გამოიყენება ლოგიკური აზროვნების შეფასების, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში.

მეთოდიკის შინაარსი: გამოსაკვლევ პირს სთავაზობენ ბლანკზე სიტყვების 20 წყვილს, რომელთა შორის დამოკიდებულება განხორციელებულია აბსტრაქტულ კაშირებზე. ამაეე ბლანკზე კვადრატში „შიფრი“ მოთავსებულია 6 წყვილი სიტყვა შესაბამისი ციფრებით 1-დან 6-მდე. მას შემდე, რაც ცდის პირი განსაზღვრავს წყვილში სიტყვებს შორის დამოკიდებულებას, მან უნდა იპოეოს სიტყვების ანალოგიური წყვილი კვადრატში „შიფრი“ და შემოხაზოს შესაბამისი ციფრი. სამუშაოს შესრულების დროა 3 წთ. შეფასება ხდება სწორი პასუხების რაოდენობის მიხედვით.

სასტიმულო მასალა

შიფრი

1. ცხვარი – ნახირი	4. შუქი – სიბნელე
2. მალინა – კენკრა	5. მოწამვლა – სიკვდილი
3. ზღვა – ოკეანე	6. მტერი – არაკეთილისმოსურნე

1. შეშინება – გაქცეეა	1 2 3 4 5 6
2. ფიზიკა – მეცნიერება	1 2 3 4 5 6
3. სწორია – მართებულია	1 2 3 4 5 6
4. კვალი – ბაღი	1 2 3 4 5 6
5. წყვილი – ორი	1 2 3 4 5 6
6. სიტყვა – ფრაზა	1 2 3 4 5 6

7. ფხიზელი – უფერული	1 2 3 4 5 6
8. თავისუფლება – ნება	1 2 3 4 5 6
9. ქვეყანა – ქალაქი	1 2 3 4 5 6
10. შექება – ძაგება	1 2 3 4 5 6
11. შურისძიება – ხანძრის გაჩენა	1 2 3 4 5 6
12. ათი – რიცხვი	1 2 3 4 5 6
13. ტირილი – ბღავილი	1 2 3 4 5 6
14. თავი – რომანი	1 2 3 4 5 6
15. სიმშვიდე – სუნთქვა	1 2 3 4 5 6
16. სიმამაცე – გმირობა	1 2 3 4 5 6
17. სიცივე – ყინვა	1 2 3 4 5 6
18. მოტყუება – უნდობლობა	1 2 3 4 5 6
19. სიმღერა – ხელოვნება	1 2 3 4 5 6
20. ტუმბო – კარადა	1 2 3 4 5 6

მეთოდიკა „არსებითი ნიშნების გამოყოფა“

მეთოდიკა ავლენს ცდის პირის უნარს გამოყოს საგნებისა თუ მოელენების არსებითი ნიშნები არაარსებითისგან, მეორე ხარისხოვანისგან. გარდა ამისა, ერთნაირი ხასიათის დავალებების არსებობა შესაძლებლობას იძლევა ვიმსჯელოთ ცდის პირის მსჯელობის თანამიმდევრობის შესახებ.

კვლევისთვის იყენებენ სპეციალურ ბლანკს ან ექსპერიმენტატორი ცდის პირს სთავაზობს ამოცანებს. წინასწარ ხდება ინსტრუქციის მიწოდება.

ინსტრუქცია: თითოეულ სტრიქონში იპოვეთ ერთი სიტყვა, რომელიც ფრჩხილების წინაა და შემდეგ-5 სიტყვა ფრჩხილებში. ფრჩხილებში არსებულ ყველა სიტყვას გარკვეული დამოკიდებულება აქვს ფრჩხილების წინ მდგარ სიტყვასთან. აირჩიეთ მხოლოდ 2 და ხაზი გაუსვით მათ.

სიტყვები ამოცანებში შერჩეულია ისე, რომ გამოსაკვლევმა პირმა მოახდინოს თავისი უნარის დემონსტრირება დაიჭიროს ამა თუ იმ ცნებების აბსტრაქტული მნიშვნელობა და უარი თქვას უფრო მარტივი, თვალშისაცემი, მაგრამ არასწორი გადაწყვეტის ხერხზე. ამათან, არსებითის ნაცვლად გამოიყოფა კერძო, კონკრეტულ-სიტუაციური ნიშნები.

სასტიმულო მასალა

1. ბაღი (მცენარეები, მებაღე, ძაღლი, ღობე, მიწა).

2. მდინარე (ნაპირი, თევზი, თევზჭერა, საფლობი, წყალი).

3. ქალაქები (ავტომობილი, შენობა, ბრბო, ქუჩა, ველოსიპედი).

4. ფარდული (სათივე, ცხენები, სახურავი, საქონელი, კედლები).

5. კუბი (კუთხეები, ნახაზი, მხარე, ქვა, ხე).

6. დაყოფა (კლასი, გასაყოფი, ფანქარი, გამყოფი, ქაღალდი).

7. ბეჭედი (დიამეტრი, ალმასი, თხოვნა, სიმრგვალე, ბეჭედი).

8. კითხვა (თვალები, წიგნი, სურათი, ბეჭედი, სიტყვა).

9. გაზეთი (სიმართლე, დანართები, დეპეშები, ქაღალდი, რედაქტორი).

10. თამაში (ბანქო, მოთამაშეები, ჯარიმები, სასჯელი, წესები).

11. ომი (აეროპლანი, ზარბაზნები, ბრძოლები, იარაღები, ჯარისკაცები).

გასაღები

1. მცენარეები, მიწა	7. დიამეტრი, სიმრგვალე
2. ნაპირი, წყალი	8. თვალები, ბეჭედი
3. შენობა, ქუჩა	9. ქაღალდი, რედაქტორი
4. სახურავი, კედლები	10. მოთამაშეები, წესები
5. კუთხეები, მხარე	11. ბრძოლები, ჯარისკაცები
6. გასაყოფი, გამყოფი	

შედეგები უნდა იყოს განხილული ცდის პირთან, გარკვეული, ჯიუტია, თუ არა ცდის პირი თავის არასწორ პასუხებში და რითი ხსნის საკუთარ არჩევანს.

მეთოდიკა „ინტელექტუალური ლაბილობა“

მეთოდიკა რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნეს წარმატების პროგნოზის მიზნით პროფესიულ სწავლებაში, საქმიანობის ახალი სახის ათვისებასა და შრომითი პრაქტიკის ხარისხის შეფასებაში.

მეთოდიკა ცდის პირისგან მოითხოვს ყურადღების მაღალ კონცენტრაციას და მოქმედებების სისწრაფეს. გამოსაკვლევმა პირებმა დროის შეზღუდულ მონაკვეთში (რამოდენიმე წამი) შეასრულონ მარტივი დავალებები, რომელთაც წაიკითხავს ექსპერიმენტატორი. გამოკვლევის ჩატარება შეიძლება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში, შესაძლებელია მაგნიტოფონის გამოყენებაც. თითოეულ ცდის პირს ეძლევა სპეციალური ბლანკი.

ინსტრუქცია: იყავით ყურადღებით, იმუშავეთ სწრაფად. ჩემს მიერ წაკითხული დავალება არ მეორდება. ყურადღება! ვიწყებთ!

მეთოდიკის შინაარსი

1. (კვადრატი) დაწერეთ სახელის სერგო პირველი ასო და წლის პირველი თვის ბოლო ასო (3 წმ).

2. (კვადრატი 4). დაწერეთ სიტყვა უთო ისე, რომ ნებისმიერი ერთი ასო დაიწეროს სამკუთხედში (3 წმ).

3. (კვადრატი 5). გაყავით ოთხკუთხედი ორი ვერტიკალური და ორი ჰორიზონტალური ხაზებით (4 წმ).

4. (კვადრატი 6). გააველეთ ხაზი პირველი წრიდან მეოთხემდე ისე, რომ ის გადიოდეს მე-2 წრეს ქვეშ და მე-3 წრეზე (3 წმ).

5. (კვადრატი 7). აღნიშნეთ პლუსი სამკუთხედში, ხოლო 1 ციფრი იმ ადგილას, სადაც სამკუთხედსა და მართკუთხედს გააჩნიათ საერთო ფართობი (3 წმ).

6. (კვადრატი 8). გაყავით მეორე წრე სამ, მეოთხე წრე კი – ორ ნაწილად (4 წმ).

7. (კვადრატი 10). თუ დღეს ოთხშაბათი არაა, დაწერეთ ჩემი სახელის ბოლოსწინა ასო (3 წმ).

8. (კვადრატი 12). პირველ მართკუთხედში აღნიშნეთ პლუსი, მესამე გადახაზეთ, მეექვსეში აღნიშნეთ 0 (4 წმ).

9. (კვადრატი 13). შეაერთეთ წერტილები სწორი ხაზით და დასვით პლუსი ნაკლებ სამკუთხედში (4 წმ).

10. (კვადრატი 15). წრით შემოხაზეთ ერთი თანხმოვანი და გადახაზეთ ხმოვნები (4 წმ).

11. (კვადრატი 17). გააგრძელეთ ტრაპეციის გვერდითი მხარეები ერთმანეთის გადაკვეთამდე და გადაკვეთის წერტილები აღნიშნეთ თქვენი ქალაქის სახელწოდების ბოლო ასოთი (4 წმ).

12. (კვადრატი 18). თუ სიტყვაში სინონიმი მეექვსე ასო ხმოვანია, მართკუთხედში აღნიშნეთ ციფრი 1 (3 წმ).

13. (კვადრატი 19). შემოხაზეთ დიდი წრეწირი და პლუსი აღნიშნეთ ყველაზე პატარაში (3 წმ).

14. (კვადრატი 20). ერთმანეთთან შეაერთეთ წერტილები 2, 4, 5, გვერდს აუვლით რა 1 და 3 (3 წმ).

15. (კვადრატი 21). თუ ორი მრავალმნიშვნელიანი რიცხვი არაა ერთნაირი, აღნიშნეთ ნიშანი მათ შორის ხაზებზე (2 წმ).

16. (კვადრატი 22). გაყავით პირველი ხაზი სამ ნაწილად, მეორე – ორად, ხოლო მესამეს ორივე ბოლო შეაერთეთ A წერტილთან (4 წმ).

17. (კვადრატი 23). შეაერთეთ პირველი ხაზის ქვედა ბოლო მეორეს ზედა ბოლოსთან, ხოლო მეორეს ზედა ბოლო – მეოთხეს ქვედა ბოლოსთან (3 წმ).

18. (კვადრატი 24). გადახაზეთ კენტი ციფრები და ხაზი გაუსვით ლუწს (5 წმ).

19. (კვადრატი 25). მოათავსეთ ორი ფიგურა წრეში და გამოყავით ისინი ერთმანეთისგან ვერტიკალური ხაზით (4 წმ).

20. (კვადრატი 26). A ასოს ქვეშ დასვით ისარი, მიმართული ქვემოთკენ B ქვეშ-ზემოთ მიმართული ისარი, C ქვეშ – ნიშანი (3 წმ).

21. (კვადრატი 27). თუ სიტყვები სახლი და სახნავი იწყება ერთსაიმავე ასოზე, რომბებს შორის აღნიშნეთ მინუსი (3 წმ).

22. (კვადრატი 28). მარცხენა მხარეს ბოლო უჯრაში აღნიშნეთ 0, მარჯვნივ განაპირა უჯრაში პლიუსი, შუაში – დიაგონალი (3 წმ).

23. (კვადრატი 29). ხაზი გაუსვით ნიშნებს, ხოლო პირველ ნიშანში ჩაწერეთ A (3 წმ).

24. (კვადრატი 30). თუ სიტყვაში საჩუქარი მესამე ასო არაა „ი", დაწერეთ 3+5-ის ჯამი (3 წმ).

25. (კვადრატი 31). სიტყვაში სალუტი წრით შემოხაზეთ თანხმოვნები, ხოლო სიტყვაში წვიმა ხაზი გაუსვით ხმოვნებს (4 წმ).

26. (კვადრატი 32). თუ რიცხვი 54 იყოფა 9-ზე, აღწერეთ წრეწირი ოთხკუთხედის ირგვლივ (3 წმ).

27. (კვადრატი 33). გაუსვით ხაზი 1 ციფრიდან ციფრამდე 7 ისე, რომ ის გადიოდეს ლუწი ციფრების ქვეშ და კენტ ციფრებზე (4 წმ).

28. (კვადრატი 34). გადახაზეთ წრეები ციფრების გარეშე. წრეებს ციფრებით კი ხაზი გაუსვით (3 წმ).

29. (კვადრატი 35). თანხმოვანი ასოების ქვეშ აღნიშნეთ ისარი, მიმართული ქვემოთკენ, ხოლო ხმოვნების ქვეშ – მარცხნივ მიმართული ისარი (5 წმ).

30. (კვადრატი 36). დაწერეთ სიტყვა მშვიდობა ისე, როპ პირველი ასო ჩაიწეროს წრეში, ხოლო მეორე-მართკუთხედში (3 წმ).

31. (კვადრატი 37). ისრებით მიუთითეთ ჰორიზონტალური ხაზების მიმართულებები მარჯვნივ, ხოლო ვერტიკალურის – ზემოთ (5 წმ).

32. (კვადრატი 39). გაყავით მეორე ხაზი შუაზე და პირველი ხაზის ორივე ბოლო შეაერთეთ მეორეს შუა ნაწილთან (3 წმ).

33. (კვადრატი 40). ვერტიკალური ხაზებით გამოყავით კენტი ციფრები ლუწისგან (5 წმ).

34. (კვადრატი 41). ხაზზე აღნიშნეთ ისარი, მიმართული ზემოთ, ხოლო ხაზის ქვეშ – მარცხნივ მიმართული ისარი (2 წმ).

35. (კვადრატი 42). მოათავსეთ ასო მ კვადრატში, კ, წრეში, ო სამკუთხედში (4 წმ).

36. (კვადრატი 43). რიცხვების 5+2 ჯამი ჩაწერეთ მართკუთხედში, ხოლო ამ რიცხვების სხვაობა – რომბში (4 წმ).

37. (კვადრატი 44). გადახაზეთ ციფრები, რომლებიც იყოფა 3-ზე და ხაზი გადაუსვით დანარჩენს (5 წმ).

38. (კვადრატი 45). აღნიშნეთ ნიშანი მხოლოდ წრეში, ხოლო ციფრი 3 – მართკუთხედში (3 წმ).

39. (კვადრატი 46). ხაზი გაუსვით ასოებს და წრე შემოავლეთ ლუწ ციფრებს (5 წმ).

40. (კვადრატი 47). აღნიშნეთ კენტი ციფრები კვადრატულ ბრჭყალებში, ხოლო ლუწი – მრგვალში (5 წმ).

საჭიროა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტატორი ტესტის ჩატარების წინ ყურადღებით უნდა გაეცნოს დავალებებს და გამოკვლევის პროცედურის დროს მკაფიოდ წარმოთქვას იმ კვადრატის ნომერი, რომელშიც მოხდება მორიგი დავალების შესრულება, რამდენადაც ცდის პირის ბლანკზე კვადრატებისა და დავალებების ნომრები ერთმანეთს არ ემთხვევა.

შეფასება ხდება შეცდომების რაოდენობის მიხედვით. შეცდომად ითვლება გამოტოვებული დავალებაც. შესრულების ნორმები: 0-4 შეცდომა – მაღალი ლაბილურობა, სწავლების კარგი უნარი; 5-9 შეცდომა – საშუალო ლაბილურობა; 10-14 შეცდომა – დაბალი ლაბილურობა, სირთულეები ხელახლა სწავლაში; 15 და მეტი შეცდომა – ნაკლებად წარმატებული ნებისმიერ საქმიანობაში.

მეთოდიკა მოითხოვს მცირე დროს ტესტირების ჩატარებისა და შედეგების დამუშავებისთვის. ამასთან, ის იძლევა პროფესიული გამოსადეგობის საკმაოდ ზუსტ პროგნოზს.

ბლანკი პასუხებისთვის

(მასშტაბი 1:4)



ადამიანის შემეცნებითი პროცესების განვითარების დონის ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა ფსიქოლოგის საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელია საზოგადოებრივი პრაქტიკის მრავალ სფეროში. თანამედროვე პროფესიების უმრავლესობა გულისხმობს მუშაკში ამა თუ იმ უნარების არსებობას. ამასთან, რიგ შემთხვევებში, შესაბამისი უნარების განვითარების დაბალი დონის დროს საქმიანობის განხორციელება უბრალოდ შეუძლებელი ხდება. ეს მეთოდები ასევე აუცილებელია ბავშვის ნიჭიერების ადრეული დიაგნოსტიკის დროს. მრავალი ტესტი საშუალებას იძლევა სწრაფად და საკმაოდ ზუსტად განისაზღვროს ბავშვის სირთულეების მიზეზი სასკოლო პროგრამების ათვისების დროს.

უნარების დიაგნოსტიკა აძლევს შესაძლებლობას ადამიანს აირჩიოს საქმიანობის სახე, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მის შესაძლებლობებსა და მიდრეკილებებს. ეს, რასაკვირველია, გაელენას ახდენს დადებითი პროფესიული მოტივაციის ჩამოყალიბებაზე, შრომით კმაყოფილებაზე და მთლიანად, როგორც შედეგი, ცხოვრებით კმაყოფილებაზე.

უნარების პრობლემას ეძღვნება კვლევების დიდი რაოდენობა. ბიბლიოგრაფია მოიცავს ცნობილი მეცნიერების მ. გ. იგნატიევის, ა. ნ. ლეონტიევის, ე. მ. მიასიშჩევის, კ. კ. პლატონოვის და სხვ. ნაშრომებს. ყველაზე მკაფიოდ უნარების, მათი ძირითადი ნიშნებისა და განვითარების ფაქტორების განსაზღვრა ჩამოყალიბებულია ბ. მ. ტეპლოვის მიერ მის ცნობილ ნაშრომში „უნარები და ნიჭიერება". ტეპლოვი გამოყოფს უნარების, როგორც ადამიანის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების 3 ძირითად ნიშანს: **პირველი** — ისინი გამოარჩევენ ერთ ადამიანს მეორისგან; **მეორე** — მათ დამოკიდებულება აქვთ გარკვეული საქმიანობის შესრულების წარმატებასთან; **მესამე** — ისინი არ დაიყვანება არსებულ ცოდნამდე, შესაძლებლობამდე, ჩვევებამდე, მაგრამ მათ შეუძლიათ ახსნან მათი შეძენის სიმარტივე და სისწრაფე.

ბუნებრივი, თანდაყოლილი ფაქტორების უნარების ფორმირებაში განიხილება სამამულო ფსიქოლოგების მიერ, როგორც უნარების ფორმირების საფუძველში მყოფი ანატომიურ-ფიზიოლოგიური წინაპირობაა თავად უნარები — კონკრეტულ საქმიანობაში განვითარების შედეგი. **ს. ლ. რუბინშტეინი წერს: „ადამიანებს შორის საწყისი, ბუნებრივი განსხვავებები წარმოადგენენ განსხვავებებს არა მხა უნარებში, არამედმათ ჩანასახებში. ჩანასახებსა და უნარებს შორის ძალიან დიდი დისტანციაა; ერთსა და მეორეს შორის პიროვნების განვითარების მთელი გზაა".**

მიღებულია ზოგადი და სპეციალური უნარების გამოყოფა. ზოგადი უნარები უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის ცოდნისა და შესაძლებლობის დაუფლებას, რომელთა რეალიზებასაც ის ახდენს მრავალი სახის საქმიანობაში. ზოგადისგან განსხვავებით, სპეციალური უნარები განიხილება საქმიანობის ცალკეული, სპეციალური დარგების მიმართ.

მეთოდიკა „ცნებების გამორიცხვა“

მეთოდიკა გათვალისწინებულია კლასიფიკაციისა და ანალიზის კვლევისთვის. გამოსაკვლევ პირებს სთავაზობენ სიტყვების 17 რიგისგან შემდგარ ბლანკს. თითოეულ რიგში 4 სიტყვა გაერთიანებულია საერთო გვარეობითი ცნებით, ხოლო მეხუთე მას არ განეკუთვნება. 3 წუთის განმავლობაში გამოსაკვლევმა პირებმა უნდა იპოვონ ეს სიტყვები და გადახაზონ.

ტესტური დავალება

1. ვასილი, თედო, სერგო, ივანოვი, პეტრე.
2. ძველი, პატარა, გაცვეთილი, მოხუცი, ძველისმველი.
3. ჩქარა, სწრაფად, ნაჩქარევად, თანდათან, აჩქარებულად.
4. ფოთოლი, ნიადაგი, ქერქი, ქერცლი, ტოტი.
5. ზიზღი, სიძულვილი, უკმაყოფილება, აღშფოთება, გაგება.
6. მუქი, ღია, ცისფერი, მკვეთრი, ფერმკრთალი.
7. ბუდე, ბუნაგი, საქათმე, სორო, სადარაჯო.
8. წარუმატებლობა, აღელვება, მარცხი, კრახი, ჩაფუშვა.
9. წარმატება, მოგება, სიმშვიდე, გამარჯვება, წარუმატებლობა.
10. ძარცვა, გაქურდვა, მიწისძვრა, ხანძარი, თავდასხმა.
11. რძე, ყველი, არაჟანი, ქონი, დო.
12. ღრმა, დაბალი, ღია, მაღალი, გრძელი.
13. ქოხი, კარავი, კვამლი, ბოსელი, ჯიხური.
14. არყი, ფიჭვი, მუხა, ნაძვი, იასამანი.
15. წამი, საათი, წელიწადი, ღამე, კვირა.
16. მამაცი, გულადი, შეუპოვარი, ბოროტი, თავგანწირული.
17. ფანქარი, კალამი, რეისფედერი, ფლომასტერი, მელანი.

განსაღები

1. ვასილი, თედო, სერგო, ივანოვი, პეტრე.

27 ძველი, პატარა, გაცვეთილი, მოხუცი, ძველისმველი.

3. ჩქარა, სწრაფად, ნაჩქარევად, თანდათან, აჩქარებულად.
4. ფოთოლი, ნიადაგი, ქერქი, ქერცლი, ტოტი.
5. ზიზღი, სიძულვილი, უკმაყოფილება, აღშფოთება, გაგება.
6. მუქი, ღია, ცისფერი, მკვეთრი, ფერმკრთალი.
7. ბუდე, ბუნაგი, საქათმე, სორო, სადარაჯო.
8. წარუმატებლობა, აღელვება, მარცხი, კრახი, ჩაფუშვა.
9. წარმატება, მოგება, სიმშვიდე, გამარჯვება, წარუმატებლობა.
10. ძარცვა, გაქურდვა, მიწისძვრა, ხანძარი, თავდასხმა.
11. რძე, ყველი, არაჟანი, ქონი, დო.
12. ღრმა, დაბალი, ღია, მაღალი, გრძელი.
13. ქოხი, კარავი, კვამლი, ბოსელი, ჯიხური.
14. არყი,ფიჭვი, მუხა, ნაძვი, იასამანი.
15. წამი, საათი, წელიწადი, ღამე, კვირა.
16. მამაცი, გულადი, შეუპოვარი, ბოროტი, თავგანწირული.
17. ფანქარი, კალამი, რეისფედერი, ფლომასტერი, მელანი.

გამოყოფილია სწორი პასუხები.

შეფასება ხდება 9 ქულიანი სისტემით, შემდეგი ცხრილის მეშვეობით:

ცხრილი 51

შეფასება ქულებში	9	8	7	6	5	4	3	2	1
სწორი პასუხების რაოდენობა	17	16	15	14	12–13	11	10	9	8

მეთოდიკა „კომბინატორული უნარები“

დანიშნულება: მეთოდიკა გათვალისწინებულია ლოგიკური აზროვნების შეფასებისთვის.

მეთოდიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოსაკვლევმა პირებმა თითოეული ციფრული შიფრისთვის იპოვონ შესაბამისი ასოთი კომბინაციები და მათგან შეადგინონ 16 ოთხასოიანი სიტყვა. დრო – 5 წთ.

მეთოდური მითითებები: ცდის პირებს უნდა განემარტოს, თუ სად უნდა დაწერონ პასუხები. მეთოდიკის სხვადასხვა ვარიანტის არსებობისას რიგებად უნდა იქნეს დარიგებული მეთოდიკები ისე, რომ ლუწმა რიგებმა შეასრულონ ლუწი ვარიანტი, ხოლო კენტმა – კენტი.

დემონსტრაციული პლაკატი

ГО	
ВК	
НЦ	5345
ГО	ОКНО

დასკვნის შედგენა. ლოგიკური აზროვნების შეფასება ხდება სწორად შედგენილი ოთხასოიანი სიტყვების რაოდენობის მიხედვით, ცხრილის შესაბამისად.

ცხრილი 52

ქულები	2	3	4	5
სწორად შედგენილი სიტყვების რაოდენობა	1–3	4–7	8–11	12 და მეტი

ინსტრუქცია: თქვენს წინაშეა ბლანკი, რომელზეც მოცემულია:

1) შიფრის გასაღები (10 ციფრი 0-დან 9-მდე, რომელთაგან თითოეულს შეესაბამება ორი ასო);

2) 16 შიფრი (ოთხნიშნა რიცხვები).

თითოეული შიფრის გვერდით უნდა ამოიწეროთ მისი ციფრების შესაბამისი ასოებით კომბინაცია. ხოლო შემდეგ შეადგინოთ მათგან ერთი ოთხასოიანი სიტყვა – არსებითი სახელი.

მაგალითად. შიფრი 5345, ასოების შესაბამისი შესაბამება: 5 – ГО; 3 – ВК; 4 – НЦ; 5 – ГО.

სიტყვა – „ОКНО".

მუშაობის დრო 5 წთ.

შიფრის გასაღები

6	3	5	4	9	1	8	0	2	7
НД	ВК	ГО	НЦ	РУ	ИГ	ПТ	СЬ	АМ	ЛЩ

ბლანკის ნიმუში

გ. ს. მ. ---------- თარიღი ----------

I

	9222

II

	8475

III

	6485

IV

	5844

V

	8574

VI

	7432

VII

	8980

VIII

	8172



მეთოდიკა „ზოგადი ცნებების გამოვლენა“

მეთოდიკა გათვალისწინებულია განზოგადების, ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარის გამოსაყვლენად.

გამოსაკვლევ პირებს სთავაზობენ სიტყვების 20 რიგისგან შემდგარ ბლანკს. თითოეულ მათგანში ნაკრები 5 სიტყვისგან შედგება, მათგან 2 ყველაზე მეტად უკავშირდება მას. გამოსაკვლევი პირის ამოცანაა თითოეულ რიგში 2 სიტყვის პოვნა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება განსაზოგადებელ ცნებას და მათი ხაზგასმა. სამუშაოს შესრულების დროა 3 წთ.

ტესტური დავალება (სწორი პასუხები ხაზგასმულია)

1. ბაღი (მცენარეები, მებაღე, ძაღლი, ღობე, მიწა).
2. მდინარე (გაპირი, თევზი, თევზჭერა, საფლობი, წყალი).
3. ქალაქი (ავტომობილი, შენობა, ბრბო, ქუჩა, ველოსიპედი).
4. ფარდული (სათივე, ცხენი, სახურავი, საქონელი, კედლები).
5. კუბი (კუთხეები, ნახაზი, გეერდები, ქვა, ხე).
6. გაყოფა (კლასი, გასაყოფი, ფანქარი, გამყოფი, ქაღალდი).
7. ბეჭედი (დიამეტრი, ალმასი, სინჯი, სიმრგვალე, ბეჭედი).
8. კითხვა (თავი, წიგნი, ბეჭედი, სურათი, სიტყვა).
9. გაზეთი (სიმართლე, დანართი, დეპეშები, ქაღალდი, რედაქტორი).
10. თამაში (ბანქო, მოთამაშეები, ჯარიმები, დასჯა, წესები).
11. ომი (თვითმფრინავები, ზარბაზნები, ბრძოლები, იარაღები, ჯარისკაცები).
12. წიგნი (ნახატები, ომები, ქაღალდები, სიყვარული, ტექსტი).
13. სიმღერა (ხმა, ხელოვნება, აპლოდისმენტები, წკრიალი, მელოდია).
14. მიწისძერა (ხანძარი, სიკვდილი, ნიადაგის რყევა, ხმაური, წყალდიდობა).
15. ბიბლიოთეკა (ქალაქი, წიგნები, ლექცია, მუსიკა, მკითხველები).
16. ტყე (ფოთოლი, ვაშლის ხე, ხე, მონადირე, მგელი).
17. სპორტი (მედალი, ორკესტრი, შეჯიბრი, გამარჯვება, სტადიონი).
18. საავადმყოფო (შენობა, ბაღი, მტერი, რადიო, ავადმყოფები).

19. სიყვარული (ვარდები, გრძნობა, ადამიანი, ქალაქი, ბუნება).

20. პატრიოტიზმი (ქალაქი, მეგობრები, სამშობლო, ოჯახი, ადამიანი).

შეფასება ხდება ცხრაქულიანი სკალის მიხედვით, **ცხრ. 53-ის მეშვეობით.**

ცხრილი 53

შეფასება ქულებში	9	8	7	6	5	4	3	2	1
სწორი პასუხების რაოდენობა	18	17	16	14-15	12-13	10-11	8-9	6-7	5

მეთოდიკა „სიტყვების მნიშვნელობა“

მეთოდიკა გათვალისწინებულია შემოქმედებითი აზროვნების შეფასებისთვის.

გამოსაკვლევ პირებს სთავაზობენ სხვადასხვა მნიშვნელობის 25 სიტყვას. 15 წუთის განმავლობაში გამოსაკვლევმა პირებმა უნდა ჩაწერონ მნიშვნელობების მაქსიმალური რაოდენობა თითოეული სიტყვისთვის.

ინსტრუქცია: თქვენს წინაშეა 25 სიტყვისგან შემდგარი სიტყვა. თქვენი ამოცანაა 15 წთ-ის განმავლობაში, რაც შეიძლება მეტი მნიშვნელობის დაწერა თითოეული სიტყვისთვის (გათვალისწინებულია მხოლოდ პრინციპულად განსხვავებული სიტყვები).

ვარიანტი

ფესვი	მეურნეობა	ბრუნვა
ჩრდილი	ენა	კულტურა
გზა	ზაზი	საზოგადოება
თავი	პირი	კავშირი
ერთეული	ნომერი	ყულფი
ბილეთი	მიღწევა	ცხოვრება
ზოლი	კლასი	როლი
შუქი	საფუძველი	
სიტყვა	სურათი	

მეთოდური მითითებები

დავალებები სრულდება ქაღალდის სუფთა ფურცლებზე.

დასკვნის შედგენა

შემოქმედებითი აზროვნების შეფასება ხდება სიტყვების პრინციპულად განსხვავებული რაოდენობის მიხედვით, მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

ცხრილი 54

ქულები	2	3	4	5
შერჩეული სიტყვების რაოდენობა	51	52-61	63-71	72...

კომუნიკაციური და საორგანიზაციო უნარების გამოვლენა და შეფასება (მეთოდიკა „სსუ – 1“)

ცდის პირს გამოკვლევის პროცესში სთავაზობენ „სსუ-1“ მეთოდიკის კითხვების ფურცელს.

ინსტრუქცია: თქვენ ყურადღებით უნდა ადევნოთ თვალი იმას, რომ კითხვისა და თქვენი პასუხის მოთავსების უჯრედის ნომრები ერთმანეთს ემთხვეოდნენ. პასუხების ფურცლის შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ კითხვები მოკლეა და არ შეიძლება შეიცავდეს ყველა აუცილებელ წვრილმანს. წარმოიდგინეთ ტიპიური სიტუაციები და არ დაფიქრდეთ დეტალებზე. დიდი დრო არ უნდა დაკარგოთ დაფიქრებაზე,. უპასუხეთ სწრაფად. შესაძლოა გაგიჭირდეთ გარკვეულ კითხვებზე პასუხის გაცემა. მოდით ვნახოთ პასუხების წესები ასეთი კითხვისას: „მართალია, რომ არ მოგწონთ მათემატიკის ვარჯიში;“ თუ მართლაც არ მოგწონთ მათემატიკის ვარჯიში, თავიდან თქვენთვის უნდა უპასუხოთ შეკითხვას ასე: „დიახ, ეს მართალია“. მაშასადამე, „პასუხების ფურცელში“ დასვით ნიშანი „+“. თუ მოგწონთ მათემატიკის ვარჯიში, კითხვაზე „მართალია, რომ არ მოგწონთ მათემატიკის ვარჯიში?“ უპასუხეთ უარყოფითად. „არა, არაა მართალი“. ასეთ შემთხვევაში პასუხების ფურცელში აღნიშნეთ „ – „. კითხვებზე პასუხის გაცემისას არ ეცადოთ წინასწარ ხელსაყრელი შთაბეჭდილების მოხდენას თქვენი პასუხებით. თავისუფლად გამოხატეთ საკუთარი აზრი. აქ, არაა ცუდი ან კარგი პასუხები. ეცადეთ უპასუხოთ ყველა კითხვას.

კითხვების ფურცელი

1. ბევრი გყავთ ისეთი მეგობარი, რომლებთანაც მუდმივი ურთიერთობა გაქვთ?

2. ხშირად ახერხებთ იმას, რომ თქვენი ამხანაგე-

ბის უმრავლესობამ მიიღოს თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

3. ხშირად გაწუხებთ რომელიმე ამხანაგისგან მიღებული წყენის გრძნობა?

4. ყოველთვის გიძნელდებათ ორიენტირება შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში?

5. გაქვთ სხვადასხვა ადამიანებთან ახალი ნაცნობობის დამყარების სურვილი?

6. მოგწონთ საზოგადოებრივი მუშაობა?

7. მართალია, რომ უფრო გიმარტივდებათ და გიადვილდებათ დროის გატარება წიგნთან ან სხვა საქმით დაკავება, ვიდრე ადამიანებთან?

8. თუ წარმოიქმნა გარკვეული დაბრკოლებები თქვენი განზრახვების განხორციელებაში, ადვილად იხევთ უკან?

9. ადვილად ამყარებთ კონტაქტებს თქვენზე უფროსი ასაკის ადამიანებთან?

10. გიყვართ თქვენს ამხანაგებთან სხვადასხვა თამაშისა და გართობის ორგანიზება და მოფიქრება?

11. გიძნელდებათ თქვენთვის ახალ კომპანიებში ჩართვა?

12. ხშირად ახერხებთ კონტაქტების დამყარებას უცნობ ადამიანებთან?

13. ადვილად ამყარებთ კონტაქტებს უცნობ ადამიანებთან?

14. ცდილობთ იმის მიღწევას, რომ თქვენი ამხანაგები მოქმედებდნენ თქვენი აზრის შესაბამისად?

15. გიძნელდებათ ახალ კოლექტივში საკუთარი ადგილის დაკავება?

16. მართალია, რომ არ გაქვთ კონფლიქტები ამხანაგებთან მათ მიერ საკუთარი დანაპირების, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო?

17. ცდილობთ ხელსაყრელი შემთხვევისას გაიცნოთ და გაესაუბროთ ახალ ადამიანს?

18. ხშირად საქმეების გადაწყვეტისას ინიციატივას საკუთარ თავზე იღებთ?

19. გაღიზიანებთ გარშემო მყოფი ადამიანები და გსურთ მარტო ყოფნა?

20. მართალია, რომ ჩვეულებრივ ცუდად ორიენტირებთ თქვენთვის უცნობ ვითარებაში?

21. მოგწონთ მუდმივად ადამიანებს შორის ყოფნა?

22. იწვევს თუ არა თქვენში გაღიზიანებას ის, რომ ვერ ასრულებთ დაწყებულ საქმეს?

23. განიცდით სირთულის, უხერხულობის გრძნობას, თუ გიწევთ ინიციატივის გამოჩენა, რათა გაიცნოთ ახალი ადამიანი?

24. მართალია, რომ იღლებით ამხანაგებთან ხშირი ურთიერთობისგან?

25. გიყვართ მონაწილეობა კოლექტიურ თამაშებში?

26. ხშირად აყენებთ ინიციატივას იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც ეხება თქვენი ამხანაგების ინტერესებს?

27. მართალია, რომ გრძნობთ თავს არადარწმუნებულად თქვენთვის ნაკლებად ნაცნობ ადამიანებს შორის?

28. მართალია, რომ იშვიათად მიისწრაფვით საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად?

29. ეარაუდობთ, რომ თქვენთვის განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს სიცოცხლის შეტანა თქვენთვის ნაკლებად ნაცნობ კომპანიაში?

30. მიგიღიათ მონაწილეობა საზოგადოებრივ მუშაობაში სკოლაში, კლასში, ჯგუფში?

31. ცდილობთ შეზღუდოთ თქვენი ნაცნობების წრე ადამიანების მცირე რაოდენობით?

32. მართალია, რომ არ ცდილობთ საკუთარი აზრის ან გადაწყვეტილების დაცვას, თუ ის უმალ არ იქნა მიღებული თქვენი ამხანაგების მიერ?

33. გრძნობთ თავს ძალდაუტანებლად ხვდებით რა თქვენთვის უცნობ კომპანიაში?

34. სიამოვნებით იწყებთ სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებას თქვენი ამხანაგებისთვის?

35. მართალია, რომ თავს საკმაოდ დარწმუნებულად და მშვიდად გრძნობთ, როცა გიწევთ საუბარი ადამიანების დიდ ჯგუფთან?

36. ხშირად აგვიანებთ საქმიან შეხვედრებზე, პაემნებზე?

37. მართალია, რომ ბევრი მეგობარი გყავთ?

38. ხშირად ხართ ყურადღების ცენტრში მეგობრებთან?

39. ხშირად ცბუნდებით, გრძნობთ თავს უხერხულად ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობისას?

40. მართალია, რომ ძალიან თავდაჯერებულად გრძნობთ თავს ადამიანების დიდი ჯგუფის გარემოცვაში?

პროფესიებში, რომლებიც შინაარსით უკავშირდებიან ადამიანის სხვა ადამიანებთან აქტიურ ურთიერთმოქმედებებს, ღერძულის სახით გამოდის საკომუნიკაციო და ორგანიზატორული უნარები, რომელთა გარეშეც არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს წარმატება სამსახურში.

ასეთი პროფესიების მუშაკების საქმიანობის მთავარი შინაარსი – კოლექტივების ხელმძღვანელობა, ადამიანების სწავლება, აღზრდა, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

იმ პროფესიებს, რომლებიც მოითხოვენ ამ თვისე-

ბების განვითარების მაღალ დონეს, განეკუთვნება მასწავლებლის, მწერთნელის, ექიმის, სხვადასხვა ქვედანაყოფების, სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელის პროფესიები. ამ მუშაკების პროფესიული საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია საკომუნიკაციო და ორგანიზატორული უნარების განვითარების დონეზე და ამის საფუძველზე ჩამოყალიბებულ უნარზე დაამყაროს ურთიერთდამოკიდებულებები ადამიანებთან და მოახდინოს მათი ორგანიზება დასმული ამოცანების შესასრულებლად.

ამგვარად, კომუნიკაციური და ორგანიზატორული უნარები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმატების მისაღწევად „ადამიანი – ადამიანი" ტიპის მრავალ პროფესიაში.

მეთოდიკა „სსუ-1" ეყრდნობა ცდის პირის მიერ სხვადასხვა სიტუაციაში საკუთარი ქცევის ასახვისა და შეფასების პრინციპს. არჩეულია ცდის პირისთვის მისი პირადი გამოცდილებით ცნობილი სიტუაციები. ამიტომ, სიტუაციისა და ქცევის შეფასება მის პირობებში ეფუძნება ცდის პირის მიერ რეალური ქცევის და მის მიერ წარსულში განცდილი რეალური დამოკიდებულების აღდგენას.

ამ პრინციპიდან გამომდინარე შეიქმნა პროექციული კითხვარი, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების მყარი მაჩვენებლები. პროექციული მეთოდის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ცდის პირი თითქოსდა ახდენს თავისი თვისებების, ქცევის თავისებურებების პროეცირებას კონსულტანტის მიერ შემოთავაზებულ სიტუაციაში.

კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების გამოვლენის შესაძლებლობები ჩადებულია კითხვების შესაბამის ჯგუფებში, რომელთა ერთობლიობაც წარმოდგენილია „კითხვების ფურცელში". მასში კითხვების სპექტრი იმდენად ფართოა, რომ ცდის პირის პასუხების შედეგების მიხედვით, ჩნდება მისი კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების თვისობრივი თავისებურებების გამოვლენის შესაძლებლობა. კითხვარის შექმნისას ასევე გათვალისწინებულ იქნა გამოკითხულთა კითხვებისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმა. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ცდის პირი შეიძლება უფრო მიდრეკილი იყოს **დადებითი პასუხებისკენ, ზოგიერთი – უარყოფითისკენ.** ამიტომ, ბლანკში კითხვები ისეა აგებული, რომ ერთ კითხვაზე დადებითი პასუხი ისეთივე აზრობრივი მნიშვნელობის იყოს, როგორც უარყოფითი პასუხი სხვა კითხვაზე. კომუნიკაციური მიდრეკილებების შესწავლის პროგრამაში შემოღებულია შემდეგი შინაარსის საკითხები:

ა) აელენს თუ არა მოსწავლე ურთიერთობისკენ სწრაფვას, ყავს თუ არა მას მეგობრები;

ბ) უყვარს თუ არა მეგობრების წრეში ყოფნა თუ უპირატესობას ანიჭებს მარტოობას;

გ) ეჩვევა თუ არა სწრაფად ახალ პირებს, ახალ კოლექტივს;

დ) რამდენად სწრაფად რეაგირებს მეგობრების, ნაცნობების თხოვნებზე;

ე) უყვარს თუ არა საზოგადოებრივი მუშაობა, გამოდის თუ არა კრებებზე;

ვ) ამყარებს თუ არა ადვილად კონტაქტს უცნობ ადამიანებთან;

ზ) უადვილდება თუ არა გამოსვლები მსმენელთა აუდიტორიაში.

ამის შესაბამისად შემუშავებულ იქნა 20 სპეციალური კითხვა რეალურ ქცევასთან და მის გამოცდილებაში განცდილ, რეალურ დამოკიდებულებასთან მიმართებაში.

მოსწავლეთა ორგანიზატორული მიდრეკილებების პროგრამა მოიცავს სხვა შინაარსის საკითხებს:

ა) ორიენტაციის სისწრაფეს რთულ სიტუაციებში;

ბ) გონებამახვილობას, შეუპოვრობას, მომთხოვნელობას;

გ) მიდრეკილებას ორგანიზატორული საქმიანობისკენ;

დ) დამოუკიდებლობას, თვითკრიტიკულობას;

ე) ამტანობას;

ვ) დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მუშაობისკენ, გულღიაობას.

ამის საფუძველზე შემუშავებულ იქნა 20 კითხვა, რომელთაგან თითოეული გარკვეულწილად ახასიათებს მოსწავლეთა ორგანიზატორულ მიდრეკილებებს.

კითხვები პასუხების ცდის პირს შეაქვს პასუხების სპეციალურ ფურცელში, რომელშიც ფიქსირდება ასევე ცდის პირის საანკეტო მონაცემები და მისი მუშაობის შედეგები.

მონაცემთა დამუშავება

მონაცემთა რაოდენობრივი დამუშავებისთვის კონსულტანტი იყენებს შიფრებს, რომლებშიც დასმულია იდეალური პასუხები და მაქსიმალურად ასახულია კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებები.

ცდის მასალების დამუშავება უკიდურესად მარტივია და ხდება შემდეგნაირად. შიფრების მეშვეობით, რომლებიც რიგ-რიგობით იდება პასუხების ფურცელზე, იანგარიშება შიფრის ანალოგიური

პასუხების რაოდენობა მეთოდიკის თითოეული ნაწილის მიხედვით. კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების შეფასებითი კოეფიციენტი (K) გამოისახება თითოეულ ნაწილზე დამთხვეული პასუხების რაოდენობის დამთხვევათა მაქსიმალურად შესაძლო რიცხვთან (20) თანაფარდობით. ამასთან, ხელსაყრელია მარტივი ფორმულის გამოყენება:

$$K = n / 20$$

სადაც **K** — შეფასებითი კოეფიციენტის ოდენობაა, **n** — შიფრთან დამთხვეული პასუხების რაოდენობა.

ამ მეთოდიკით მიღებული მაჩვენებლები შეიძლება მერყეობდეს 0-დან 1-მდე. 1-თან მიახლოებული მაჩვენებლები მოწმობს კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების მაღალ დონეს, 0-თან მიახლოებული — დაბალ დონეს.

შეფასებითი კოეფიციენტი (K) — ცდის მასალების პირველადი რაოდენობრივი დახასიათება. ცდის შედეგების თეისობრივი სტანდარტიზაციისთვის გამოიყენება შეფასებათა სკალები, რომლებშიც „K“ რაოდენობრივი მაჩვენებლების ამა თუ იმ დიაპაზონს შეესაბამება გარკვეული შეფასება.

ცხრილი 55

კომუნიკაციური მიდრეკილებების შეფასებათა სკალა

„K“	შეფასება	კომუნიკაციური მიდრეკილებების გამოვლენის დონე
0,10 — 0,45	1	დაბალი
0,46 — 0,55	2	საშუალოზე დაბალი
0,56 — 0,65	3	საშუალო
0,66 — 0,75	4	მაღალი
0,76 — 1,00	5	ძალიან მაღალი

ცხრილი 56

„K“ ორგანიზატორული მიდრეკილებების შეფასებათა სკალა

„K“	შეფასება	კომუნიკაციური მიდრეკილებების გამოვლენის დონე
0,20 — 0,55	1	დაბალი
0,56 — 0,65	2	საშუალოზე დაბალი
0,66 — 0,70	3	საშუალო
0,71 — 0,80	4	მაღალი
0,81 — 1,00	5	ძალიან მაღალი

ტესტის კლასიფიკატორი

ცდის პირები, რომლებმაც მიიღეს შეფასება 1(=1), ხასიათდება კომუნიკაციურ-ორგანიზატორული საქმიანობისკენ მიდრეკილებების გამოვლენის საკმაოდ დაბალი დონით.

ცდის პირებში, რომლებმაც მიიღეს შეფასება 2(=2), კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების განვითარება იმყოფება საშუალოზე დაბალ დონეზე. ისინი არ მიისწრაფვიან ურთიერთობისკენ, თავს შებოჭილად გრძნობენ ახალ კომპანიაში, კოლექტივში, უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავთან დარჩენას, შემოფარგლავენ ნაცნობების წრეს, განიცდიან სირთულეებს ადამიანებთან კონტაქტების დამყარებაში და აუდიტორიის წინაშე გამოსვლაში, ცუდად ახდენენ ორიენტირებას აუდიტორიის წინაშე, უცნობ სიტუაციაში, არ იცავენ საკუთარ აზრს, ძნელად ეგუებიან წყენას. ინიციატივის გამოვლენა საზოგადოებრივ საქმიანობაში საკმაოდ იშვიათია, მრავალ საქმეში ისინი უპირატესობას ანიჭებენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების თავიდან აცილებას.

ცდის პირებისთვის, რომლებმაც მიიღეს შეფასება 3(=3) დამახასიათებელია კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების გამოვლენის საშუალო დონე. გააჩნიათ რა მთლიანობაში საშუალო მაჩვენებლები, ისინი მიისწრაფვიან ადამიანებთან კონტაქტებისკენ, არ ზღუდავენ ნაცნობების წრეს, იცავენ საკუთარ აზრს, გეგმავენ თავიანთ მუშაობას. თუმცა, ამ მიდრეკილებების პოტენციალი არ განსხვავდება მაღალი სიმტკიცით. ცდის პირთა ამ ჯგუფს სჭირდება შემდგომი სერიოზული და გეგმაზომიერი აღმზრდელობითი მუშაობა მათთან, მათი კომუნიკაციური და ორგანიზატორული უნარების ფორმირებისა და განვითარების მხრივ.

ცდის პირები, რომლებმაც მიიღეს შეფასება 4(=4), განეკუთვნებიან ჯგუფის კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების გამოვლენის მაღალი დონით. ისინი არ იკარგებიან ახალ გარემოში, სწრაფად პოულობენ მეგობრებს, მუდმივად ცდილობენ გააფართოვონ ნაცნობების წრე, დაკავდნენ საზოგადოებრივი საქმიანობით, ეხმარებიან ახლობლებს, მეგობრებს, ავლენს ინიციატივას ურთიერთობაში, სიამოვნებით იღებს მონაწილეობას საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზებაში, შეუძლიათ მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება რთულ სიტუაციაში. ყველაფერი ეს კეთდება არა იძულებით, არამედ შინაგანი მისწრაფებით.

და ბოლოს, ცდის პირთა ჯგუფს, რომელმაც მიიღო შეფასება 5(=5), გააჩნია ძალიან მაღალი კომუ-

ნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების გამოვლენის დონე. ისინი განიცდიან კომუნიკაციური და ორგანიზატორული საქმიანობის მოთხოვნილებას და აქტიურად მიისწრაფვიან მისკენ. მათთვის დამახასიათებელია სწრაფი ორიენტაცია რთულ სიტუაციებში, ახალ კოლექტივში ქცევის ძალდატანებლობა. ამ ჯგუფის ცდის პირები არიან ინიციატივიანები, უპირატესობას ანიჭებენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას მნიშვნელოვან საქმეში ან შექმნილ რთულ სიტუაციაში, იცავენ საკუთარ აზრს და აღწევენ იმას, რომ ის მიიღონ ამხანაგებმაც. მათ შეუძლიათ სიხარულის შეტანა უცნობ კომპანიაში, უყვართ სხვადასხვა თამაშის ღონისძიების ორგანიზება, არიან შეუპოვარნი საქმიანობაში, რომელიც მათ იზიდავთ,. ისინი თავად ეძებენ ისეთ საქმეებს, რომლებიც დააკმაყოფილებს მათი კომუნიკაციური და ორგანიზატორული საქმიანობის მოთხოვნილებას.

მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციისას უნდა გვახსოვდეს, რომ მეთოდიკა ახდენს მხოლოდ პიროვნების განვითარების მოცემულ პერიოდში, კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების განვითარების არსებული დონის კონსტატირებას. თუ მოსწავლის გამოკვლევისას ელინდება კომუნიკაციური და ორგანიზატორული მიდრეკილებების განვითარების არა ძალიან მაღალი დონე, ისინი უცვლელი დარჩება პიროვნების შემდგომი განვითარების პროცესში. დადებითი მოტივაციის, მიზანმიმართულობისა და საქმიანობის არასათანადო პირობების დროს შეიძლება განვითარდეს მოცემული მიდრეკილებები.

გასაღებები

K

1	+	11	–	21	+	31	–
2		12		22		32	
3	–	13	+	23	–	33	+
4		14		24		34	
5	+	15	–	25	+	35	–
6		16		26		36	
7	–	17	+	27	–	37	+
8		18		28		38	
9	+	19	–	29	+	39	–
10		20		30		40	

S

1	–	11	+	21	–	31	+
2		12		22		32	
3	+	13	–	23	+	33	–
4		14		24		34	
5	–	15	+	25	–	35	+
6		16		26		36	
7	+	17	–	27	+	37	–
8		18		28		38	
9	–	19	+	29	–	39	+
10		20		30		40	

მეთოდიკა „ინტერესების რუკა“

მეთოდიკა გამოიყენება პროფორიენტაციის მიზნით და სამუშაოზე აყვანისას. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მოზარდების, ასევე უფროსების გამოკვლევისთვის. კარგი შედეგები მიიღება მოცემული მეთოდიკის გამოყენებისას იმ პირთა პროფორიენტაციის მიზნით, რომლებიც იცვლიან პროფესიას. ცდის პირის გამოკვლევის დრო შეზღუდული არაა, მაგრამ საჭიროა გაფრთხილება 40-50 წუთის განმავლობაში მუშაობის აუცილებლობის შესახებ.

შედეგების დამუშავება დაიყვანება პასუხების ბლანკის თითოეულ სვეტში „+“ და „–“ ნიშნების რაოდენობის დაანგარიშებამდე, ხოლო შემდეგ პირველ ჯამს აკლდება მეორე. ამგვარად, მიიღება 24 ციფრი ნიშნებით „+“ ან „–“, რომლებიც შეესაბამებიან საქმიანობის 24 სახეს. ხდება 2-3 სახის საქმიანობის შერჩევა, რომლებმაც დააგროვეს „+“ ნიშნების დიდი რაოდენობა.

შესაძლებელია მეთოდიკის გამარტივებული ვარიანტი, სადაც ცდის პირები სვამენ მხოლოდ „+“ ნიშანს, ხოლო არამოსაწონი საქმიანობის სახეები გამოტოვებულია, ტოვებენ რა ცარიელ უჯრას პასუხების ბლანკში. ამ შემთხვევაში იანგარიშება მხოლოდ „+“ ნიშნების რაოდენობა სვეტების მიხედვით.

რეკომენდირებულია მეთოდიკის გამოყენება 35 წლამდე ასაკის ცდის პირებისთვის. შესაძლებელია კითხვარის გამოყენება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში. უტყუარი შედეგები მიიღება იმ შემთხვევაშიც, როცა ექსპერიმენტატორი კითხვებს უკითხავს ცდის პირთა ჯგუფს, თუმცა ამ შემთხვევაში ხელოვნურად იზღუდება პასუხის დრო.

გასაღები

1. ფიზიკა
2. მათემატიკა
3. ქიმია
4. ასტრონომია
5. ბიოლოგია
6. მედიცინა
7. სოფლის მეურნეობა
8. სატყეო მეურნეობა
9. ფილოლოგია
10. ჟურნალისტიკა
11. ისტორია
12. ხელოვნება
13. გეოლოგია
14. გეოგრაფია
15 საზოგადოებრივი სამუშაო
16. სამართალი
17. ტრანსპორტი
18. პედაგოგიკა
19. სამუშაო სპეციალობები
20. მომსახურების სფერო
21. მშენებლობა
22. მსუბუქი მრეწველობა
23. ტექნიკა
24. ელექტროტექნიკა

ინსტრუქცია: თქვენ გაქვთ სწავლის გაგრძელების ან საინტერესო სამუშაოზე მოწყობის შესაძლებლობა.

იმისათვის, რომ დაგეხმაროთ პროფესიის არჩევაში, გთავაზობთ კითხვების ჩამონათვალს. დაფიქრდით ყოველ კითხვაზე პასუხის გაცემის წინ. ეცადეთ, რაც შეიძლება უფრო ზუსტი პასუხის გაცემას.

თუ არაერთხელ დარწმუნდით, რომ ძალიან გიყვართ ან ძალიან მოგწონთ დასვით „+“, თუ არ იცი, ეჭვი გეპარებათ 0; თუ არ მოგწონთ (არ გიყვართ) – „–“; თუ ძალიან არ მოგწონთ – „– – „.

უპასუხეთ თითოეულ პუნქტს, გამოტოვების გარეშე. თუ გაქვთ კითხვები, უმალ დასვით ისინი პასუხების ფურცლის შევსების დრო არ იზღუდება.

შენიშვნა. თუ მოგწონთ რაღაც ისეთი, რაც არაა გათვალისწინებული კითხვარით, ამის შესახებ დაწერეთ პასუხების ფურცლის ველზე.

კითხვარი

გიყვართ, მოგწონთ, ისურვებდით?

1. ფიზიკის გაკვეთილები.
2. მათემატიკის გაკვეთილები.
3. ქიმიის გაკვეთილები.
4. ასტრონომიის წიგნებისა და სტატიების კითხვა.
5. ცდებისა და ცხოველების შესახებ წიგნებისა და სტატიების კითხვა.
6. ექიმების ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ კითხვა.
7. სოფლის მეურნეობის, მცენარეებისა და ცხოველების შესახებ კითხვა.
8. ტყის შესახებ კითხვა.
9. მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებების კითხვა.
10. გაზეთების, ჟურნალების კითხვა, რადიოს მოსმენა, ტელევიზორის ყურება.
11. ისტორიის გაკვეთილები.
12. თეატრების, მუზეუმების, სამხატვრო გამოფენების დათვალიერება.
13. გეოლოგიურ ექსპედიციებზე ლიტერატურის კითხვა.
14. სხვადასხვა ქვეყნების, მათი ეკონომიკის, სახელმწიფო მოწყობის შესახებ კითხვა.
15. ამხანაგების ორგანიზება საზოგადოებრივი მუშაობის შესრულებაზე და მათი ხელმძღვანელობა.
16. პოლიციის მუშაობაზე კითხვა.
17. მფრინავების შესახებ კითხვა.
18. აღმზრდელის მუშაობის შესახებ კითხვა.
19. ჩარხების მოწყობილობის და სამუშაოს გაცნობა.
20. სადილების მომზადება.
21. მშენებლების შესახებ კითხვა.
22. ზრუნვა იმ შენობის სილამაზის შესახებ, რომელშიც სწავლობთ, ცხოვრობთ, მუშაობთ.
23. კითხვა ტექნიკის მიღწევების შესახებ.
24. გაცნობა საყოფაცხოვრებო ელექტრო- და რადიოხელსაწყოების მოწყობილობასთან.
25. აღმოჩენებისა და ფიზიკის შესახებ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კითხვა.
26. მათემატიკის შესახებ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კითხვა.
27. ახალი მიღწევების გაცნობა ქიმიის დარგში (ჟურნალებიდან, რადიო- და ტელეგადაცემებიდან და ა.შ.).
28. კოსმონავტების შესახებ ტელეგადაცემის ყურება.
29. ბიოლოგიის შესწავლა.
30. ავადმყოფობათა მიზეზებითა და მკურნალობის ხერხებით დაინტერესება.
31. ბოტანიკის შესწავლა.
32. ტყეში დროის გატარება.
33. ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების კითხვა.

34. აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

35. წიგნების კითხვა ისტორიული მოვლენების შესახებ.

36. სიმფონიური მუსიკის მოსმენა.

37. სასარგებლო წიაღისეულების ახალი საბადოების აღმოჩენების შესახებ ცნობის მიღება.

38. ცნობის მიღება გეოგრაფიული აღმოჩენების შესახებ.

39, მიმდინარე საქმეებისა და მოვლენების განხილვა.

40. დისციპლინის დამყარება თანატოლებს ან უმცროსებს შორის.

41. ქვეყანაში მოგზაურობა.

42. ამხანაგებისთვის განმარტების მიცემა, თუ როგორ ამოიხსნის რთული ამოცანა, სწორად დაწეროს წინადადება და სხვ.

43. სხვადასხვა ინსტრუმენტის გაცნობა.

44. მეოჯახეობის

45. ცნობების მიღება მშენებლობის დარგში ახალი მიღწევების შესახებ.

46. ფაბრიკების სტუმრობა.

47. მექანიზმების, მანქანების მოწყობილობის გაცნობა.

48. სტატიების კითხვა მიღწევების შესახებ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებში რადიოტექნიკის დარგში.

49. ფიზიკური მოვლენების თეორიაში გარკვევა.

50. რთული მათემატიკური ამოცანების ამოხსნა.

51. ქიმიაში ცდების ჩატარება, ქიმიურ რეაქციებზე დაკვირვება.

52. ციურ შუქურებზე დაკვირვება.

53. მცენარეებზე დაკვირვებების წარმოება.

54. გადახვევების გაკეთება, პირველი დახმარების აღმოჩენა და ა.შ.

55. ცხოველების გაზრდა და მათზე ზრუნვა.

56. ჰერბარიუმის შეგროვება.

57. მოთხრობებისა და ლექსების წერა.

58. ადამიანების ქცევასა და ცხოვრებაზე დაკვირვება.

59. მონაწილეობის მიღება ისტორიული წრის მუშაობაში, წარსულის მოვლენების დამადასტურებელი მასალების მოძიება.

60. დეკლამირება, გუნდში სიმღერა, სცენაზე გამოსვლა.

61. მინერალების შეგროვება, მათი წარმოშობით დაინტერესება.

62. მშობლიური მხარის ბუნების შესწავლა.

63. სკოლაში საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზება.

64. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ადამიანთა ქცევაზე.

65. აეტომობილების წრეში ჩართვა, აეტომობილის მომსახურება.

66. პატარა ბაშვებთან დროის გატარება (მათთვის წიგნების კითხვა, რაიმეს მოთხრობა, რაიმეთი დახმარება).

67. სხვადასხვა დეტალისა და საგნების დამზადება.

68. ლაშქრობების დროს კვების ორგანიზება.

69. მშენებლობებზე ყოფნა.

70. ტანსაცმლის შეკერვა.

71. ველოსიპედების, საქსოვი მანქანების, საათების და ა.შ. მექანიზმების აწყობა და რემონტი.

72. საყოფაცხოვრებო ელექტრო და რადიოხელსაწყოს რემონტი.

73. ფიზიკის წრეში მონაწილეობა.

74. მათემატიკის წრეში მონაწილეობა.

75. ხსნარების დამზადება, რეაქტივების აწონვა.

76. პლანეტარიუმის დათვალიერება.

77. ბიოლოგიის წრეში მონაწილეობა.

78. ავადმყოფებზე დაკვირვება, მათთვის დახმარების გაწევა.

79. ბუნებაზე დაკვირვება და დაკვირვებების ჩანაწერის წარმოება.

80. ხეების დარგვა და მათზე ზრუნვა.

81. ლექსიკონთან, ლიტერატურულ წყაროებთან, ბიბლიოგრაფიულ ცნობარებთან მუშაობა.

82. სწრაფი გადართვა ერთი სამუშაოდან მეორეზე.

83. ისტორიულ თემებზე მოხსენებებით გამოსვლა.

84. მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკრა, ხატვა ან ხეზე კვეთა.

85. მინერალების აღწერის შედგენა.

86. მონაწილეობა გეოგრაფიულ ექსპედიციებში.

87. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ცნობებით გამოსვლა.

88. პოლიციის თანამშრომლებისთვის დახმარება.

89. ახალგაზრდა მეზღვაურების წრეში ჩართვა.

90. აღმზრდელის სამუშაოს შესრულება.

91. შრომის გაკვეთილები.

92. ნაცნობებისთვის რჩევების მიცემა ტანსაცმლის ყიდვისას.

93. მშენებლის მუშაობაზე დაკვირვება.

94. სამკერვალო წარმოების გაცნობა.

95. თვითმფრინავების, გემების, პლანერების მოდელის შექმნა.

96. რადიომიმღებებისა და ელექტროხელსაწყოების აწყობა.

97. ფიზიკის ოლიპიადებში მონაწილეობის მიღება.

98. მათემატიკის ოლიმპიადებში მონაწილეობის მიღება.

99. ქიმიის ამოცანების ამოხსნა.

100. ასტრონომიის წრეში მონაწილეობა.

101. ცხოველებზე ცდების ჩატარება.

102. ადამიანის ორგანიზმის ფუნქციების და ავადმყოფობათა წარმოქმნის მიზეზების შესწავლა.

103. საცდელი სამუშაოს ჩატარება ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყვანის მიზნით.

104. ბუნების დაცვის საზოგადოების წევრად ყოფნა.

105. მონაწილეობა დისპუტებში, მკითხველებში კონფერენციებში.

106. ცხოვრების მოელენებისა და გარემოებების ანალიზი.

107. ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესება.

108. ინტერესის გამოჩენა ხელოვნების განვითარების თეორიისა და ისტორიის მიმართ.

109. ხანგრძლივი და რთული ლაშქრობების მოწყობა, რომელთა დროსაც ხდება დაძაბული მუშაობა მოცემული პროგრამით.

110. გეოგრაფიული რუკების შედგენა და სხვა გეოგრაფიული მასალების შეგროვება.

111. სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის შესწავლა.

112. იურისტის სამუშაო.

113. ახალგაზრდა კოსმონავტების წრეში ჩართვა.

114. მასწავლებლის სამუშაო.

115. ქარხნებში ყოფნა.

116. ადამიანებისთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევა.

117. მონაწილეობის მიღება სამშენებლო სამუშაოებში.

118. სამრეწველო საქონლის დამზადების გაცნობა.

119. ტექნიკურ ნახაზებსა და სქემებში გარკვევა.

120. ზუსტი საზომი ხელსაწყოებით სარგებლობა და ანგარიშების შედგენა მიღებული მონაცემებით.

121. ფიზიკაში ცდების ჩატარება.

122. სამუშაოს შესრულება, რომელიც მოითხოვს მათემატიკური წესებისა და ფორმულების ცოდნას.

123. პედაგოგის ასისტენტობა ქიმიაში ცდების ჩატარებისას.

124. სხვა პლანეტებზე ცნობების შეგროვება.

125. ცნობილი ბიოლოგების საქმიანობის შესახებ კითხვა.

126. სანიტარული რაზმების აქტიურ წევრად ყოფნა.

127. შრომის იარაღებსა და მანქანებზე სამუშაოს შესრულება.

128. სატყეო მეურნეობის მართვის გაცნობა.

129. სიტყვებისა და ცალკეული სიტყვათშეთანხმებების წარმოშობის შესწავლა.

130. დღიურის წარმოება, შენიშვნების ჩაწერა სკოლისა და ქალაქის გაზეთებში.

131. სხვა ქვეყნების ისტორიული წარსულის შესწავლა.

132. არაერთხელ თეატრში ერთიდა იგივე პიესის ნახვა.

133. ცნობილი გეოლოგების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ კითხვა.

134. ჩვენი პლანეტის გეოგრაფიის შესწავლა.

135. გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეების ბიოგრაფიის შესწავლა.

136. მეგობრის, ცნობილი ლიტერატურული გმირის ქცევების სწორად შეფასება და ა.შ.

137. წიგნების კითხვა გადაადგილების საშუალებების შესახებ.

138. ბაღშეების სწავლება და აღზრდა.

139. დაკვირვება კვალიფიცირებული მუშის მოქმედებებზე.

140. მუდმივი ურთიერთობა მრავალ ადამიანთან.

141. სამშენებლო ობიექტების დაპროექტება.

142. მსუბუქი მრეწველობის გამოფენაზე სტუმრობა.

143. ნახაზების გაკეთება, მანქანების დაპროექტება.

144. რადიოსქემებში გარკვევა.

მეთოდიკა „დიფერენციალურ-დიაგნოსტიკური კითხვარი“ (დდკ)

ინსტრუქცია: დაუშვათ, რომ შესაბამისი სწავლის შემდეგ შეგიძლიათ ნებისმიერი სამუშაოს შესრულება, თუმცა თუ მოგიწევდათ არჩევანის გაკეთება ორ შესაძლოს შორის, რას მიანიჭებდით უპირატესობას?

მეთოდიკის „ინტერესთა რუკა“ პასუხების ფურცელი

გ.ს.მ._____

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48
	48	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72
	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96
	97	98	99	100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120
	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144
+																								
−																								

კითხვარის ტექსტი

1ა. ცხოველების მოვლა

ან 1ბ. მანქანების, ხელსაწყოების მომსახურება (დაკვირვება, რეგულირება).

2ა. ავადმყოფებისთვის დახმარება

ან

2ბ. ცხრილების, სქემების, პროგრამების შედგენა გამომთველელი მანქანებისთვის.

3ა. წიგნის ილუსტრაციების, პლაკატების, მხატვრული ბარათების, გრამფირფიტების ხარისხზე დაკვირვება

ან

3ბ. მცენარეების მდგომარეობაზე, განვითარებაზე თვალ-ყურის დევნება.

4ა. მასალების (ხე, ქსოვილი, ლითონი, პლასტმასი და ა.შ.) დამუშავება

ან

4ბ. საქონლის მომხმარებლამდე მიტანა, რეკლამირება, გაყიდვა.

5ა. სამეცნიერო-პოპულარული წიგნების, სტატიების განხილვა

ან

5ბ. მხატვრული ნაწარმოებების (პიესების, კონცერტების) განხილვა)

6ა. მოზარდეულის (რაიმე ჯიშის ცხოველების) გაზრდა

ან

6ბ. ამხანაგების (ან უმცროსების) უარჯიში რაიმე მოქმედებების (შრომითი, სასწავლო, სპორტული) შესრულებაში.

7ა. ნახატების, გამოსახულებების კოპირება (ან მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობა)

ან

7ბ. რაიმე სატვირთო (ამწე ან სატრანსპორტო) საშუალების – ამწეს, ტრაქტორის, საწვავმზიდის და სხვ. მართვა.

8ა. აცნობოს, განუმარტოს ადამიანებს მათთვის საჭირო ცნობები (ცნობათა ბიუროში, ექსკურსიაზე და ა.შ.).

ან

8ბ. გამოფენების, ვიტრინების გაფორმება (ან მონაწილეობის მიღება პიესების, კონცერტების მომზადებაში).

9ა. ნივთების, ნაკეთობების (ტანსაცმლის, ტექნიკის), საცხოვრებელი სახლის გარემონტება

ან

9ბ. ტექსტებში, ცხრილებში, ნახატებში შეცდომების ძებნა და გამოსწორება.

10ა. ცხოველთა მკურნალობა

ან

10ბ. ანგარიშების, გამოთვლების შესრულება.

11ა. მცენარეთა ახალი ჯიშის გამოყვანა

ან

11ბ. სამრეწველო ნაწარმის (მანქანები, ტანსაცმელი, სახლები, კვების პროდუქტები და ა.შ.) ახალი სახეების კონსტრუირება, დაპროექტება.

12ა. დავების, ადამიანებს შორის უთანხმოების გარჩევა, დარწმუნება, განმარტება, დასჯა, წახალისება

ან

12ბ. ნახაზებში, სქემებში, ცხრილებში გარჩევა (შემოწმება, დაზუსტება, წესრიგში მოყვანა

13ა. მხატვრული თვითშემოქმედების წრეების მუშაობაზე დაკვირვება, შესწავლა

ან

13ბ. მიკრობების სიცოცხლეზე დაკვირვება, შესწავლა.

14ა. სამედიცინო ხელსაწყოების, აპარატების გამართვა, მომსახურება

ან

14ბ. ადამიანებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა დაჭრისას, ტრავმის მიღებისას, დამწვრობისას და ა.შ.

15ა. მოვლენების (დაკვირვებადი და წარმოდგენადი) მხატვრულად აღწერა, გამოხატვა

ან

15ბ. ზუსტი აღწერა-ანგარიშების შედგენა დაკვირვებადი მოვლენების, გასაზომი ობიექტების შესახებ და ა.შ.

16ა. ლაბორატორიული ანალიზების კეთება საავადმყოფოში

ან

16ბ. ავადმყოფების მიღება, გასინჯვა, მათთან საუბარი, მკურნალობის დანიშვნა.

17ა. შენობების ნაკეთობების, კედლების ზედაპირის შეღებვა ან მოხატვა

ან

17ბ. მანქანების, ხელსაწყოების მონტაჟი ან აწყობა.

18ა. თანატოლების ან პატარების თეატრებში, მუზეუმებში, ექსკურსიებში, ტურისტულ ლაშქრობებში და ა.შ. კულტლაშქრობების ორგანიზება

ან

18ბ. სცენაზე თამაში, მონაწილეობის მიღება კონცერტებში.

19ა. ნახაზების მიხედვით დეტალების, ნაკეთობების (მანქანა, ტანსაცმელი) დამზადება, შენობების აშენება

ან

19ბ. ხაზვა, ნახაზებისთვის, რუკებისთვის ასლის გადაღება.

20ა. მცენარეთა დაავადებებთან, ტყის, ბაღის მავნებლებთან ბრძოლის წარმოება

ან

20ბ. მუშაობა კლაეიშებიან მანქანებზე (საწერ მანქანაზე, ტელეტაიპზე, ანაწყობ მანქანაზე და სხვ.).

მეთოდიკა გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის პროფესიაზე შერჩევისთვის ეა. კლიმოვის პროფესიების ტიპების კლასიფიკაციის შესაბამისად. შესაძლებელია მოზარდებისა და უფროსების პროფორიენტაციის დროს გამოყენებისათვის.

პასუხების ფურცელი ისეა შექმნილი, რომ შესაძლებელია „+“ ნიშნების რაოდენობის დაანგარიშება თითოეულ სვეტში. თითოეული სვეტი შეესაბამება გარკვეული ტიპის პროფესიას. ცდის პირმა უნდა აირჩიოს პროფესიის ის ტიპი, რომელმაც მიიღო „+“ ნიშნების მაქსიმალური რაოდენობა.

პროფესიების ტიპების დასახელება სვეტების მიხედვით.

I. `ადამიანი – ბუნება“ – ყველა პროფესია, რომელიც უკავშირდება მემცენარეობას, მეცხოველეობას და სატყეო მეურნეობას.

II. `ადამიანი – ტექნიკა“ – ყველა ტექნიკური პროფესია.

III. `ადამიანი – ადამიანი“ – ყველა ის პროფესია, რომელიც უკავშირდება ადამიანების მომსახურებას, ურთიერთობას.

IV. `ადამიანი – ნიშანი“ – ყველა ის პროფესია, რომელიც დაკავშირებულია არა ანგარიშებთან, არამედ ციფრულ ასოით ნიშნებთან, მათ შორის, მუსიკალური სპეციალობებიც.

V. `ადამიანი – მხატვრული სახე“ – ყველა შემოქმედებითი სპეციალობა.

გამოკვლევის დრო შეზღუდული არაა. თუმცა, ცდის პირი უნდა იყოს გაფრთხილებული იმაზე, რომ კითხვებზე არაა საჭირო დიდხანს ფიქრი და ჩვეულებრივ, დავალების შესასრულებლად საჭიროა 20-30 წთ.

შესაძლებელია მეთოდიკის გამოყენება ინდივიდუალურად და ჯგუფში.

ექსპერიმენტატორმა შეიძლება წაიკითხოს კითხვები ცდის პირთა ჯგუფში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იზღუდება პასუხის დრო. ასეთი ხერხი გამოიყენება მაშინ, როცა ექსპერიმენტატორმა უნდა იმუშაოს შეზღუდული დროის ინტერვალში.

პასუხების ფურცელი

I	II	III	IV	V
1ა	1ბ	2ა	2ბ	3ა
3ბ	4ა	4ბ	5ა	5ბ
6ა		6ბ		7ა
	7ბ	8ა		8ბ
	9ა		9ბ	
10ა			10ბ	
11ა	11ბ	12ა	12ბ	13ა
13ბ	14ა	14ბ	15ა	15ბ
16ა		16ბ		17ა
	17ბ	18ა		18ბ
	19ა		19ბ	
20ა			20ბ	

ექსპერიმენტული მეთოდიკა „პიროვნების ფასეულობითი ორიენტაციები (პფო)“

ინსტრუქცია: თითოეულ თქვენგანს აქვს ბლანკები და 90 კითხვის ჩამონათვალი თითოეულ მათგანზე პასუხები აღნიშნულია A, B, C ასოებით. თქვენ გჭირდებათ კითხვის წაკითხვა და სამი პასუხიდან მხოლოდ ერთის არჩევა. თავიდან აირჩიეთ მხოლოდ ის პასუხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ჭეშმარიტებას, თქვენს შეხედულებას, რაც ყველაზე ფასეულია თქვენთვის. პასუხის შესაბამისი ასო ჩაწერეთ პასუხების ბლანკში მართკუთხედში შესაბამისი კითხვის ნომერის საპირისპიროდ სვეტში „ყველაზე მეტად“ (სვეტი გამოყოფილია ორმაგი ხაზებით). პასუხებიდან იმავე კითხვაზე უმალ აირჩიეთ ყველაზე ნაკლებად ფასეული, რომელიც ყველაზე ნაკლებად შეესაბამება პასუხების ჭეშმარიტებას. არჩეული ასო ჩაწერეთ პასუხების ბლანკში მართკუთხედში შესაბამისი კითხვის ნომერის საპირისპირო სვეტში „ყველაზე ნაკლებად“ (სვეტი გამოყოფილია ორმაგი ხაზებით). თითოეული პასუხისთვის კითხვაზე გამოიყენეთ მხოლოდ 2 ასო: ერთი – პასუხისთვის „ყველაზე მეტად“, მეორე – პასუხისთვის „ყველაზე ნაკლებად“. დარჩენილი მესამე ასო არსად არ ჩაწეროთ“.

კითხვები პფო მეთოდიკის მიმართ

1. ყველაზე მეტ კმაყოფილებას ცხოვრებაში იძლევა:

A) სამუშაოს შეფასება;

B) იმის აღიარება, რომ სამუშაო კარგადაა შესრულებული;

C) იმის გაცნობიერება, რომ იმყოფები მეგობრებს შორის.

2. მე რომ ფეხბურთს ვთამაშობდე, ვისურვებდი ვიყო:

A) მწვრთნელი;

B) ცნობილი მოთამაშე;

C) გუნდის არჩეული კაპიტანი.

3. საუკეთესო პედაგოგებს წარმოადგენენ ისინი, ვისაც

A) გააჩნია ინდივიდუალური მიდგომა მოსწავლეების მიმართ;

B) გატაცებულნი არიან თავიანთი საგნით და იჩენენ მის მიმართ ინტერესს;

C) ქმნიან კოლექტივში ატმოსფეროს, რომელშიც არავის არ ეშინია გამოხატოს თავისი შეხედულება.

4. მე ყველაზე ცუდ პედაგოგებად ვთვლი მათ, რომლებიც:

A) არ ფარავენ იმას, რომ ზოგიერთი ადამიანი არ მოსწონთ;

B) ყველაში იწვევენ მეტოქეობის სულისკვეთებას;

C) ტოვებენ შთაბეჭდილებას, რომ საგანი, რომელსაც გადმოსცემენ მათ არ აინტერესებთ.

5. მე მოხარული ვარ, როცა ჩემი მეგობრები:

A) ეხმარებიან სხვებს, როცა ეძლევათ ამის შესაძლებლობა;

B) ყოველთვის ერთგულნი და საიმედონი არიან;

C) ინტელიგენტები არიან და გააჩნიათ საერთო კულტურის მაღალი დონე.

6. საუკეთესო მეგობრებად ვთვლი მათ:

A) ვისთანაც კარგად აეწყობა ურთიერთობები;

B) რომლებმაც იციან და შეუძლიათ ჩემზე მეტი;

C) რომელთა იმედიც შეიძლება გქონდეს.

7. ვისურვებდი ვიყო ისევე ცნობილი, როგორც ისინი:

A) რომლებმაც მიაღწიეს წარმატებას ცხოვრებაში;

B) ვისაც სურს ძლიერ სიყვარული;

C) ვინც გამოირჩევა კეთილგანწყობით და მეგობრულობით.

8. ვიდრე რომ არ მქონდეს შერჩეული პროფესია, ვისურვებდი ვიყო:

A) მეცნიერ-მუშაკი;

B) საამქროს უფროსი დიდ ქარხანაში;

C) გამოცდილი მფრინავი.

9. როცა ბავშვი ვიყავი, ყველაზე მეტად მიყვარდა:

A) მეგობრებთან თამაში;

B) წარმატებები საქმეებში;

C) როცა მაქებდნენ.

10. ყველაზე მეტად არ მომწონს, როცა მე:

A) ვხედები დიდ სირთულეებს ჩემზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას;

B) როცა კოლექტივში უარესდება ამხანაგური ურთიერთობები;

C) როცა მაკრიტიკებს უფროსი.

11. სკოლების ძირითადი როლი უნდა მდგომარეობდეს:

A) სპეციალობაში შუშაობისთვის მოსწავლეების მომზადებაში;

B) ინდივიდუალური თავისებურებების და დამოუკიდებლობის განვითარებაში;

C) მოსწავლეებში იმ თვისებების აღზრდაში, რომელთა წყალობითაც მათ შეეძლებათ ადამიანებთან თანაცხოვრება.

12. არ მომწონს კოლექტივები, სადაც:

A) ყველაფერი უფროსის ძალაუფლების ქვეშაა;

B) ადამიანი კარგაეს ინდივიდუალობას საერთო მასაში;

C) შეუძლებელია საკუთარი ინიციატივის გამოყენება.

13. მეტი თავისუფალი დრო რომ მქონდეს, მას გამოვიყენებდი:

A) მეგობრებთან ურთიერთობისთვის;

B) თვითგანათლებისა და საყვარელი გატაცებისთვის;

C) დასკვნებისა და გართობისთვის.

14. მიმაჩნია, რომ შემიძლია მაქსიმუმის გაკეთება, როცა:

A) ვმუშაობ კარგ ადამიანებთან;

B) ვასრულებ იმ სამუშაოს, რომელიც მაკმაყოფილებს;

C) ჩემი სამუშაო კარგად ანაზღაურებადია.

15. მიყვარს, როცა:

A) სხვები მაფასებენ;

B) ვგრძნობ სიამოვნებას შესრულებული სამუშაოსგან;

C) სასიამოვნოდ ვატარებ დროს მეგობრებთან.

16. ჩემზე გაზეთებში რომ წერდნენ, ვისურვებდი:

A) აღენიშნათ საქმე, რომელსაც ვასრულებ;

B) შექებას ჩემს სამუშაოზე;

C) ეცნობებინათ იმის შესახებ, რომ ამირჩიეს ადგილობრივ თვითმართველობაში.

17. ყველაზე უკეთ ვისწავლიდი, როცა პედაგოგს:

A) ექნებოდა ინდივიდუალური მიდგომა ჩემს მიმართ;

B) მომცემდა სტიმულს უფრო ინტენსიური შრომისთვის;

C) გამართავდა დისკუსიას განსახილველ საკითხებზე.

18. არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე:

A) პირადი ღირსების შეურაცხყოფა;

B) წარუმატებლობები მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებისას;

C) მეგობრების დაკარგვა.

19. ყველაზე მეტად ვაფასებ:

A) პირად წარმატებას;

B) საერთო სამუშაოს;

C) პრაქტიკულ შედეგებს.

20. ძალიან მცირეა ადამიანები, რომელთაც:

A) ნამდვილად უხარიათ შესრულებული სამუშაოსი;

B) სიამოვნებით მუშაობენ კოლექტივში;

C) ასრულებენ სამუშაოს ნამდვილად კარგად.

21. ვერ ვიტან:

A) დავას და ჩხუბს;

B) ყოველიეე ახალის აუღიარებლობას;

C) ადამიანებს, რომლებიც თავს სხვებზე მაღლა აყენებენ.

22. ვისურვებდი, რომ:

A) გარშემომყოფები მთელიდნენ მეგობრად;

B) დავეხმარო სხვებს საერთო საქმეში;

C) სხვების აღტაცების გამოწვევა.

23. მიყვარს უფროსობა, როცა ის:

A) მომთხოვნია;

B) სარგებლობს ავტორიტეტით;

C) მისაწვდომია.

24. სამუშაოზე ვისურვებდი:

A) გადაწყვეტილებების კოლექტიურად მიღებას;

B) დამოუკიდებლად მუშაობას პრობლემების გადაწყვეტაზე;

C) რათა უფროსმა უმალ აღიაროს ჩემი ღირსებები.

25. ვისურვებდი წიგნის წაკითხვას:

A) ადამიანებთან კარგად თანაცხოვრების ხელოვნებაზე;

B) ცნობილი ადამიანის ცხოერებაზე;

C) სადაც მოცემულია „გააკეთე თვითონ" ტიპის რჩევები.

26. მე მუსიკალური ნიჭი რომ მქონდეს ვისურვებდი ვიყო:

A) დირიჟორი;

B) სოლისტი;

C) კომპოზიტორი.

27. თავისუფალ დროს მეტი სიამოვნებით ვატარებ დროს:

A) დეტექტიური ფილმების ყურებისას;

B) მეგობრებთან გართობისას;

C) როცა ჩემი გატაცებით (ჰობით) ვარ დაკავებული.

28. ერთნაირი მატერიალური ანაზღაურებისას სიამოვნებით:

A) მოვიფიქრებდი საინტერესო კონკურსს;

B) გავიმარჯვებდი კონკურსში;

C) მოვახდენდი კონკურსის ორგანიზებას და ეუხელმძღვანელებდი მას.

29. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა:

A) თუ რისი მიღწევა მინდა;

B) როგორ მივაღწიო მიზნებს;

C) როგორ მოვიზიდო სხვები ჩემი მიზნის მისაღწევად.

30. ადამიანი ისე უნდა იქცეოდეს, რომ:

A) სხვები კმაყოფილნი იყონ მისით;

B) პირველ რიგში, უნდა შეასრულოს თავისი სამუშაო;

C) არ გახდეს საჭირო მისი დატუქსვა სამუშაოს გამო.

პფო სარეგისტრაციო ბლანკი

გ. ს. მ. ----------

(თარიღი, ჯგუფი) ----------

	ყველაზე მეტად	ყველაზე ნაკლებად		ყველაზე მეტად	ყველაზე ნაკლებად
1			16		
2			17		
3			18		
4			19		
5			20		
6			21		
7			22		
8			23		
9			24		
10			25		
11			26		
12			27		
13			28		
14			29		
15			30		

ფ$_1$ = ფ$_2$ = ფ$_3$ =

პფო გასაღები

ფ$_1$

1		←A→		16		←B→	
2		B		17		A	
3		A		18		A	
4		A		19		A	
5		B		20		C	
6		C		21		C	
7		A		22		C	
8		C		23		B	
9		C		24		C	
10		C		25		B	
11		B		26		B	
12		B		27		A	
13		C		28		B	
14		C		29		A	
15		A		30		C	

ფ$_2$

1		←C→		16		←C→	
2		C		17		C	
3		C		18		C	
4		B		19		B	
5		A		20		B	
6		A		21		A	
7		C		22		A	
8		B		23		C	
9		A		24		A	
10		B		25		A	
11		C		26		A	
12		A		27		B	
13		A		28		C	
14		A		29		C	
15		C		30		A	

ფ$_3$

1		←B→		16		←A→	
2		A		17		B	
3		B		18		B	
4		C		19		C	
5		C		20		A	
6		B		21		B	
7		B		22		B	
8		A		23		A	
9		B		24		B	
10		A		25		C	
11		A		26		C	
12		C		27		C	
13		B		28		A	
14		B		29		B	
15		B		30		B	

გაფერადებული მონაკვეთების ამოჭრა ხდება ტრაფარეტებზე.

დამუშავების წესი

შევსებულ ბლანკზე თანმიმდევრულად ხდება ფ1, ფ2, ფ3 შიფრის ტრაფარეტების დადება. მათი მიხედვით განისაზღვრება: პიროვნების მიმართულობა საკუთარ თავზე, ურთიერთქმედებაზე, ორგანიზატორულ საქმიანობაზე. ტრაფარეტის დადებისას ჭრილში ჩანს კანდიდატის მიერ აღნიშნული ყველა ასო, რომელიც ემთხვევა შესაბამისი ტრაფარეტის ასოებს. მათ შემოხაზავენ ფერადი ფანქრებით ან ფლომასტერებით. მიზანშეწონილი ფერებია: ფ1 — წითელი, ფ2 — ლურჯი, ფ3 — მწვანე. თავიდან

ითვლება ასოების რაოდენობა სეტში „ყველაზე მეტად", შემდეგ კი – „ყველაზე ნაკლებად"-ში. შემდეგ, საერთო რაოდენობიდან გამოდის საშუალო. თუ მეტია ასოების რაოდენობა „ყველაზე ნაკლებად" შედეგი – უარყოფითი. თითოეულ სამ ფაქტორზე რიცხვების სხვაობა იწერება ბლანკის ქვეშ.

პროფესიული გამოსადეგობის ჯგუფი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე, დომინირებადი ფაქტორის მიხედვით:

– დომინირებს რიცხვების სხვაობა ფ3 მიხედვით – I ჯგუფი;

– რიცხვების სხვაობა ფ3 და ფ2 მიხედვით თითქმის ტოლია – II ჯგუფი;

– დომინირებს რიცხვების სხვაობა ფ2 მიხედვით – III ჯგუფი;

– დომინირებს რიცხვების სხვაობა,ფ1 მიხედვით – IV ჯგუფი.

პიროვნების მოკლე დახასიათება დომინირებადი ფაქტორების დროს

ფ1 – კანდიდატი უმეტესადაა დაკავებული საკუთარი თავით, თაეისი გრძნობებით, პრობლემებით; აკეთებს ნაჩქარევ, დაუსაბუთებელ დასკვნებს სხვა ადამიანების შესახებ; გარშემომყოფები თაეს შებოჭილად გრძნობენ; ცდილობს თავისი სურვილი თავს მოახვიოს სხვებს; არ გრძნობს ზომიერებას, როდის დაიწყოს საუბარი და როდის გაჩერდეს; არ ელინდება სიყვარული ადამიანების მიმართ.

ფ2 – თაეს არიდებს დასმული ამოცანის დამოუკიდებელ გადაწყვეტას, უთმობს ჯგუფის ზეწოლას; არ აელენს პირად ინიციატივას; არ გამოხატაეს ორიგინალურ იდეას; მუშაობს პასიურად, გულცივია, ყოველთვი არ ეხმარება ჯგუფს; არ იღებს ხელმძღვანელის ფუნქციას.

ფ3 – ამოცანის შესრულებაში აელენს მცირე ინიციატივას; ეხმარება ჯგუფის ცალკეულ წევრებს; კარგად შეუძლიათ სამუშაოს დაგეგმვა; მართაევენ ადამიანებს; გააჩნია კარგი იდეები სამუშაოს გაგრძელებასთან დაკაეშირებით; აზრებს გადმოსცემს მკაფიოდ და მარტივად; მუშაობს ინტენსიურად; გრძნობს, როდის ილაპარაკოს და როდის გაჩუმდეს; მისი თანდასწრებით თავს ყველა თაეისუფლად გრძნობს; თაეს არ არიდებს რთული ამოცანის გადაწყვეტას.

$ფ_3$ – I ჯგ. $ფ_2$ – III ჯგ.

(=) $ფ_1$ – IV ჯგ.

$ფ_3$ და $ფ_2$ – II ჯგ.

თავი VIII

შიდაჯგუფური ურთიერთობების შესწავლის მეთოდიკები

სოციომეტრული გაზომვების მეთოდი (სოციომეტრია)

ტერმინი „სოციომეტრია" ნიშნავს ჯგუფში პიროვნებათაშორისი ურთიერთდამოკიდებულებების გაზომვას. სოციომეტრიის ფუძემდებელმა — ცნობილმა ამერიკელმა ფსიქიატრმა და სოციალურმა ფსიქოლოგმა ჯ. მორენომ შემთხვევით როდი უწოდა ასე ამ მეთოდს. ჯ. მორენოს აზრით, ჯგუფში პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ერთობლიობას შეადგენს ის პირველადი სოციალურ-ფსიქოლოგიური სტრუქტურა, რომელიც ახასიათებს არა მხოლოდ ჯგუფს, არამედ ადამიანის სულიერ მდგომარეობასაც.

სოციომეტრული ტექნიკა გამოიყენება პიროვნებათშორისი და ჯგუფთაშორისი დამოკიდებულებების დიაგნოსტიკისთვის მათი ცვლილების, გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით. სოციომეტრიის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანთა სოციალური ქცევის ტიპოლოგიის შესწავლა ჯგუფური საქმიანობის პირობებში.

ნებისმიერ სოციალურ ჯგუფში ურთიერთობის ფორმალური და არაფორმალური სტრუქტურის გარდა, არსებობს არაოფიციალური ან არაფორმალური რიგის ფსიქოლოგიური სტრუქტურა, რაც ყალიბდება, როგორც სიმპათიებისა და ანტიპათიების სისტემა. ასეთი სტრუქტურის თავისებურებები უმეტესად დამოკიდებულია მონაწილეთა ფასეულობით ორიენტაციაზე, მათ აღქმაზე და ერთმანეთის გაგებაზე, ურთიერთშეფასებაზე. ჯგუფში არაფორმალური სტრუქტურა რამოდენიმეა (მაგალითად, ურთიერთმხარდაჭერის, ურთიერთგავლენის, პოპულარობის, პრესტიჟის, ლიდერობის სტრუქტურები და ა.შ.). არაფორმალური სტრუქტურა დამოკიდებულია ჯგუფის ფორმალურ სტრუქტურაზე იმდენად, რამდენადაც ინდივიდები თავიანთ ქცევას უქვემდებარებენ ერთობლივი საქმიანობის მიზნებსა და ამოცანებს, როლური ურთიერთქმედების წესებს. სოციომეტრიის მეშვეობით შეიძლება მისი გავლენის შეფასება. სოციომეტრული მეთოდები გულისხმობს ჯგუფში და ურთიერთობების გამოხატვას რიცხობრივი სიდიდეებისა და გრაფიკების სახით და ამგვარად, ფასეული ინფორმაციის მიღებას ჯგუფის მდგომარეობაზე.

სოციომეტრული კვლევისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ არაფორმალური ხასიათის ნებისმიერი სტრუქტურა ყოველთვის პროეცირებული იყოს ფორმალურ სტრუქტურაზე ანუ საქმიანი, ოფიციალური ურთიერთობების სისტემაზე და ამით

გავლენას ახდენდეს კოლექტივის ერთსულოვნებაზე, ნაყოფიერებაზე. ეს დებულებები შემოწმებულია ექსპერიმენტითა და პრაქტიკით.

სოციომეტრიის საერთო ამოცანას წარმოადგენს სოციალური ჯგუფის არაოფიციალური სტრუქტურული ასპექტის და მასში გაბატონებული ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შესწავლა.

სოციომეტრული პროცედურა

სოციომეტრული კვლევების დროს მოქმედებების ზოგადი სქემა მდგომარეობს შემდეგში. კვლევის ამოცანისა და გაზომვის ობიექტების არჩევის შემდეგ ყალიბდება ძირითადი დებულებები და ჰიპოთეზები, ჯგუფის წევრების გამოკითხვის შესაძლო კრიტერიუმებთან დაკავშირებით. აქ, არ შეიძლება იყოს სრული ანონიმურობა, სხვაგვარად სოციომეტრია ნაკლებად ეფექტური იქნება. სოციომეტრიის არჩეული კითხვები და კრიტერიუმები შეაქვთ სპეციალურ ბარათზე ან ზეპირი სახითაა შეთავაზებული. ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია უპასუხოს მათ, ირჩევს რა ჯგუფის წევრებს სიმპათიისა და ანტიპათიის მიხედვით, ნდობისა და უნდობლობის შესაბამისად და ა.შ.

ამასთან, სოციომეტრული პროცედურა ტარდება ორი ფორმით. **პირველი ვარიანტი** – არაპარამეტრული პროცედურა. ამ შემთხვევაში ცდის პირს სთავაზობენ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდის პირის არჩევანის რაოდენობის შეზღუდვის გარეშე. თუ ჯგუფში 12 ადამიანია, თითოეულ გამოკითხულ პირს შეუძლია 11 ადამიანის არჩევა (საკუთარი თავის გარდა). ამგვარად, თეორიულად, ჯგუფის თითოეული წევრის მიერ გაკეთებული არჩევანი ჯგუფის სხვე წევრებთან მიმართებაში იქნება (N-1) ტოლი, სადაც N – ჯგუფის წევრების რაოდენობა. ზუსტად ასევე, სუბიექტის მიერ მიღებული არჩევანის შესაძლო რიცხვი იქნება (N-1) ტოლი. აღნიშნული (N-1) წარმოადგენს სოციომეტრული გაზომვების ძირითად რაოდენობრივ კონსტანტას. ეს თეორიული კონსტანტა წარმოადგენს ერთნაირს ამრჩევი და არჩევის ობიექტად ქცეული ინდივიდუმებისთვის. ამ ვარიანტის ღირსებას წარმოადგენს თითოეული ჯგუფის წევრის ემოციური ექსპანსიურობის გამოვლენის შესაძლებლობა, ჯგუფის სტრუქტურაში პიროვნებათშორისი კავშირების მრავალფეროვნების შეპირისპირება. თუ ჯგუფის წევრების რაოდენობა გაიზარდა 12-დან 16-მდე, ეს კავშირები იმდენად მრავალია, რომ მათი გაანალიზება საკმაოდ რთულია გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების გარეშე.

არაპარამეტრული პროცედურის სხვა ნაკლოვანებას წარმოადგენს შემთხვევითი არჩევანის მიღების ალბათობა. ზოგიერთი ცდის პირი ხელმძღვანელობს რა პირადი მოტივით, კითხვარში ხშირად წერს „ვირჩევ ყველას". ასეთ პასუხს მხოლოდ 2 ახსნა აქვს: ან ცდის პირს ჩამოუყალიბდა გარშემომყოფებთან დამოკიდებულებების ასეთი ამორფული და არადიფერენცირებული სისტემა (რაც ნაკლებსავარაუდოა) ან ცდის პირს აქვს წინასწარვე ცრუ პასუხი ექსპერიმენტატორისა და გარშემომყოფებისადმი ფორმალური ლოიალურობის შენილბვით (რაც ყველაზე საალბათოა).

ამგვარი შემთხვევების ანალიზმა აიძულა ზოგიერთი მკვლევარი ეცადა შეეცვალა თავად მეთოდის გამოყენების პროცედურა და ასე შეემცირებინა შემთხვევითი არჩევანის ალბათობა. ასე დაიბადა **მეორე ვარიანტი** – პარამეტრული პროოცედურა არჩევნების შეზღუდული რაოდენობა. ცდის პირებს სთავაზობენ მკაცრად ფიქსირებული რაოდენობის არჩევას ჯგუფის ყველა წევრისგან. მაგალითად, 25 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფში უნდა იქნეს არჩეული 4 ან 5 ადამიანი. ამან მიიღო სოციომეტრული შეზღუდვის ან არჩევანის ლიმიტის სახელწოდება.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სოციომეტრული შეზღუდვის შემოღება გაცილებით სწევს მაღლა სოციომეტრული მონაცემების საიმედოობას და ამსუბუქებს მასალის სტატისტიკურ დამუშავებას. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სოციომეტრული შეზღუდვა აქეზებს ცდის პირებს უფრო ჯეროვნად მიუდგეს თავის პასუხებს და აირჩიოს ჯგუფის ლიდერის, პარტნიორის, ეროთბლიეი საქმიანობის ამხანაგობის როლებისთვის შესაბამისი წევრები.

ამჟამად, 22-25 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფებისთვის „სოციომეტრული შეზღუდვის" მინიმალური ოდენობა 4-5 ადამიანის ფარგლებშია. **მეორე ვარიანტის** არსებით განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სოციომეტრული კონსტანტა (N-1) ნარჩუნდება მხოლოდ მიღებული არჩევანის სისტემისთვის (ე.ი. ჯგუფიდან მონაწილეზე). გაკეთებული არჩევანის სისტემისთვის (ე.ი. ჯგუფში მონაწილესგან), ის იზრდება ახალი d სიდიდით (სოციომეტრული შეზღუდვა). სიდიდის შემოღებით შესაძლებელია ართევანის გარეშე პირობების სტანდარტიზირება სხვადასხვა რაოდენობის ჯგუფში. ამისათვის, საჭიროა d სიდიდის განსაზღვრა ყველა ჯგუფისთვის ერთნაირი შემთხვევითი არჩევანის ალბათობით. ეს ფორმულა თავის დროზე შემოგვთავაზეს ჯ.მორენომ და ე. ჯენინგსმა:

$$P(A) = \frac{d}{N - 1}$$

სადაც P – სოციომეტრული არჩევანის შემთხვევითი მოვლენის (A) ალბათობა; N – ჯგუფის წევრების რაოდენობა.

ჩვეულებრივ, P (A) სიდიდეს არჩევა ხდება 0, 20-0, 30 ფარგლებში. ამ მნიშვნელობის (1) ფორმულაში ჩასმისას d განსაზღვრისთვის N ცნობილი სიდიდით, ვიღებთ სოციომეტრული შეზღუდვების საძიებელ რიცხვს გაზომვისთვის არჩეულ ჯგუფში.

პარამეტრული პროცედურის ნაკლოვანებას წარმოადგენს ჯგუფში ურთიერთდამოკიდებულებების მრავალფეროვნების გამჟღავნების შესაძლებლობა. შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტურად მნიშვნელოვანი კავშირების გამოვლენა. ასეთი მიდგომის შედეგად ჯგუფის სოციომეტრული სტრუქტურა ასახავს მხოლოდ ყველაზე ტიპიურ, არჩეულ კომუნიკაციებს. სოციომეტრული შეზღუდვის შემოღება არ იძლევა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ჯგუფის წევრების ემოციური ექსპანსიურობის შესახებ.

სოციომეტრული პროცედურის მიზანია:

ა) ჯგუფში ერთსულოვნება – განცალკევების ხარისხის გაზომვა;

ბ) სოციომეტრული პოზიციების ანუ ჯგუფის წევრების ავტორიტეტის გამოვლენა სიმპათია-ანტიპათიის ნიშნებით, სადაც ეს პოლუსზე არის ლიდერი და მეორე პოლუსზე უარყოფილი;

გ) ჯგუფში და ქვესისტემების, ერთსულოვანი წარმონაქმნების გამოვლენა, რომელთა სათავეშიც არიან არაფორმალური ლიდერები.

სოციომეტრულ ბარათზე ან სოციომეტრულ ანკეტაზე ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა მიუთითოს თავისი დამოკიდებულება ჯგუფის სხვა წევრების მიმართ გამოყოფილი კრიტერიუმების მიხედვით (მაგალითად, ერთობლივი მუშაობის თვალსაზრისით, საქმიანი ამოცანის გადაწყვეტის, დასვენების მიხედვით და ა.შ.). კრიტერიუმები განისაზღვრება მოცემული კელევის პროგრამის მიხედვით. ურთირთობების შესწავლა საწარმოო ჯგუფში, დასვენების ჯგუფში, დროებით ან სტაბილურ ჯგუფში.

არჩევანის შეზღუდვის გარეშე გამოკითხვისას სოციომეტრულ ბარათში თითოეული კრიტერიუმის შემდეგ უნდა გამოიყოს სრული პასუხებისთვის საკმარისი გრაფა. შეზღუდული არჩევანით გამოკითხვისას, თითოეული კრიტერიუმისგან მარჯვნივ იხაზება მხოლოდ იმდენი ვერტიკალური გრაფა, რამდენის არჩევასაც ვაპირებთ მოცემულ ჯგუფში. არჩევნების რაოდენობის განსაზღვრა, წინასწარ მოცემული P (A) სიდიდის ჯგუფებისთვის, რაც მერყეობს 0. 14-0, 25 ფარგლებში, შეიძლება სპეციალური ცხრილის გამოყენებით (იხ. **ცხრილი „სოციომეტრული არჩევნების შეზღუდვის სიდიდეები“**).

როცა სოციომეტრული ბარათები შევსებული და შეგროვებულია, იწყება მათი მათემატიკური დამუშავების ეტაპი. რაოდენობრივი დამუშავების უმარტივეს ხერხებს წარმოადგენს ცხრილოვანი, გრაფიკული და ინდექსოლოგიური.

ცხრილი 58

სოციომეტრული ბარათი

№	ტიპი	კრიტერიუმები	არჩევნები			
1	სამუშაო	ა) ვის აირჩევდით ხელმძღვანელად? ბ) ვის არ აირჩევდით ხელმძღვანელად				
2	დასვენება	ვის მოიწვევდით ახალი წლის შეხვედრებზე?				

სოციომეტრული არჩევნების შეზღუდვის სიდიდეები

ჯგუფების წევრთა რაოდენობა	სოციომეტრული შეზღუდვა d	შემთხვევითი არჩევანის ალბათობა P (A)
5–7	1	0,20–0,14
8–11	2	0,25–0,18
12–16	3	0,25–0,19
17–21	4	0,23–0,19
22–26	5	0,22–0,19
27–31	6	0,22–0,10
32–36	7	0,21–0,19

სოციომატრიცა

თავიდან უნდა აეაგოთ უმარტივესი სოციომატრიცა. მაგალითი მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრ. „სოციომატრიცას მაგალითი"). არჩევნების შედეგები შედის მატრიცაში პირობითი აღნიშვნების მეშვეობით.

სოციომატრიცას ანალიზი იძლევა ჯგუფში ურთიერთდამოკიდებულებების საკმაოდ თვალსაჩინო სურათს. შესაძლებელია ჯამური სოციომატრიცების აგება, რომლებიც იძლევიან რამოდენიმე კრიტერიუმის მიხედვით არჩევნების სურათს და ასევე სოციომატრიცები ჯგუფთაშორისი არჩევნების მონაცემების მიხედვით.

სოციომატრიცას ძირითადი ღირსებაა არჩევანის რიცხობრივი სახით წარმოდგენის შესაძლებლობა, რაც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ჯგუფში გავლენების წესი. **სოციომატრიცას საფუძველზე იგება სოციოგრამა — სოციომეტრული არჩევნების რუკა (სოციომეტრული რუკა), ხდება სოციომეტრული ინდექსების დაანგარიშება.**

ცხრილი 59

სოციომატრიცას მაგალითი n — წევრების რაოდენობის ჯგუფისთვის

№	ვინ ირჩევს: j — წევრი ცდის პირის გვარი	j- წევრი: ვის ირჩევენ								გაკეთებული არჩევანი		სულ
1			+	+	–	–	...	...	...	2	2	4
2		+		+	–	–	...	...	...	2	2	4
3		+++	+				...	...	...	2	0	2
4		...			–	–	...	...	...	1	1	2
5		+	–	–	+		...	...	...	2	2	4
6	...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...
...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...
...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...
N	...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...
მიღებული Σ(+)		4	2	2	1	0	...	...	...	9		
არჩევნები Σ(–)		0	1	1	2	3	...	...	...		7	
სულ												16

შენიშვნა: + დადებითი არჩევანი; — უარყოფითი არჩევანი.

სოციოგრამა

სოციოგრამა – ცდის პირთა ერთმანეთზე რეაქციის სქემატური გამოხატვა სოციომეტრულ კრიტერიუმებზე პასუხების დროს. სოციოგრამა ემსახურება ჯგუფში ურთიერთდამოკიდებულებების სტრუქტურის შედარებით ანალიზს, გარკვეულ სიბრტყეზე სივრცეში სპეციალური ნიშნების მეშვეობით.



–კავშირების ობიექტი ჯგუფში (i წევრი)

–კავშირების სუბიექტი ჯგუფში (j – წევრი)

–ობიექტისა და სუბიექტის შეთავსება ერთი პიროვნების ქცევაში (ij – წევრი)

–A-წევრის მიერ გაკეთებული დადებითი არჩევანი

–B-წევრის მიერ გაკეთებული უარყოფითი არჩევანი

–A დაB წევრების ორმხრივი დადებითი კავშირი

–AდაB-წევრების ორმხრივი უარყოფითი კავშირი

–კავშირის დონე (A წევრი შერჩეულია პირველ რიგში, C წევრი – მეორეში).

სოციოგრამული ტექნიკა წარმოადგენს ცხრილოვანი მიდგომის არსებით დამატებას სოციომეტრული მასალის ანალიზში, რამეთუ ის იძლევა ჯგუფური მოვლენების თვისობრივი აღწერისა და ცხადი წარმოდგენის შესაძლებლობას.

სოციოგრამას ანალიზი იწყება ცენტრალური წევრების, შემდეგ კი, ორმხრივი წყვილებისა და დაჯგუფებების მოძიებით. დაჯგუფება შედგება ერთმანეთის არჩევისკენ მისწრაფებული ურთიერთდაკავშირებული პირებისგან. სოციომეტრულ გაზომვებში ყველაზე ხშირად გვხვდება დადებითი დაჯგუფებები 2-3 წევრისგან და იშვიათად 4 და მეტი წევრისგან.



სოციომეტრული ინდექსები

გამოყოფენ პერსონალურ სოციომეტრულ ინდექსებს (პსი) და ჯგუფურ სოციომეტრულ ინდექსებს (ჯსი). პირველი ახასიათებს პიროვნების ინდივიდუალურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს ჯგუფის წევრის როლში. მეორე – ჯგუფში არჩევანის მთლიანი კოციომეტრული კონფიგურაციის რიცხობრივ მახასიათებლებს. ისინი აღწერენ ურთიერთობის ჯგუფურ სტრუქტურების თვისებებს.

პსი წარმოადგენს:

– i-წევრის სოციომეტრული სტატუსის ინდექსი;

– j-წევრის ემოციური ექსპანსიურობის ინდექსი;

– ij-წევრის ურთიერთქმედების მოცულობის, ინტენსიობისა და კონცენტრაციის ინდექსი. i და j სიმბოლოები აღნიშნავენ ერთსა და იმავე პირს, მაგრამ სხვადასხვა როლში:

i – ასარჩევი;

j – ამრჩევია ისევე;

ij – როლების შეთავსება.

ჯგუფის i=წევრის სოციომეტრული სტატუსის-ინდექსი განისაზღვრება ფორმულით:

$$C_i = \frac{\sum_{i=1}^{N}(R_i^+ + R_i)}{N-1}$$

სადაც C_i – i – წევრის სოციომეტრული სტატუსია, Ri – i-წევრის მიერ მიღებული არჩევანი, E-i-წევრის მიღებული არჩევანების რიცხვის ალგებრული შეჯამების ნიშანი, N – ჯგუფის წევრების რაოდენობა.

სოციომეტრული სტატუსი

სოციომეტრული სტატუსი – პირის ადგილის როგორც სოციომეტრული სტრუქტურის ელემენტის თვისება დაიკავოს მასში გარკვეული სივრცითი პოზიცია (ლოკუსი). ასეთი თვისება განვითარებულია არათანაბრად ჯგუფური სტრუქტურის ელემენტებში და ის შედარებითი მიზნებისთვის იზომება სოციომეტრული სტატუსის ინდექსით. სოციომეტრული სტრუქტურის ელემენტებია – პიროვნებები, ჯგუფის წევრები. თითოეული მათგანი სხვადასხვა სახით ურთიერთქმედებს თითოეულთან, უშუალოდ ცვლიან ინფორმაციას და ა.შ. ამასთან, ჯგუფის თითოეული წევრი თავისი ქცევით ზემოქმედებს მთელის თვისებებზე. ამ ზეგავლენის სუბიექტური საზომი ხაზს უსვამს სოციომეტრული სტატუსის სიდიდეს. პიროვნებას გავლენას მოხდენა შეუძლია სხვებზე ორგვარად – ან დადებითად ან

უარყოფითად. ამიტომ, მიღებულია ვისაუბროთ დადებით და უარყოფით სტატუსზე. სტატუსი ასევე ზომავს ადამიანის ლიდერობის პოტენციურ უნარს. სოციომეტრული სტატუსის გაანგარიშება ხდება სოციომატრიცას მონაცემების გამოყენებით.

შესაძლებელია C_i- დადებითი და C_i – უარყოფითი სტატუსის გაანგარიშება მცირე რიცხობრიობის (N) ჯგუფებში.

ჯგუფის j – წევრის ემოციური ექსპანსიურობის ინდექსი იანგარიშება ფორმულით:

$$E_j = \frac{\sum_{j=1}^{N}(R_j^+ + R_j)}{N-1}$$

სადაც E_j – j-წევრის ემოციური ექსპანსიურობა, R – i-წევრის მიერ გაკეთებული არჩევანი (+, –).

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ექსპანსიურობის მაჩვენებელი ახასიათებს პიროვნების ურთიერთობის მოთხოვნილებას.

ჯსი-დან ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს:

ჯგუფის ემოციური ექსპანსიურობის ინდექსი იანგარიშება ფორმულით:

$$A_g = \frac{\sum_{j=1}^{N}[\sum_{j=1} R_i^{(+-)}]}{N}$$

სადაც A_g – ჯგუფის ექსპანსიურობა, N – ჯგუფის წევრების რაოდენობა.

ინდექსი გვიჩვენებს ჯგუფის საშუალო აქტიურობას სოციომეტრული ტესტის ამოცანის გადაწყვეტისას (ჯგუფის თითოეულ წევრზე გაანგარიშებით).

ჯგუფში ფსიქოლოგიური კავშირების („ჯგუფის ერთსულოვნობის“) ინდექსი იანგარიშება ფორმულით:

$$G_g = \frac{[\sum_{j=1}^{N}\sum_{i=1}^{N} A_{ij}^+]}{1/2 \times N(N-1)'}$$

სადაც G – ჯგუფში კავშირები დადებითი არჩევანის შედეგების მიხედვით; A_{ij}^+ – ჯგუფში დადებითი ორმხრივი კავშირების რაოდენობა; N – ჯგუფის წევრების რაოდენობა.

განხილული პროცედურის საიმედოობა დამოკიდებულია სოციომეტრიის კრიტერიუმების სწორი არჩევანზე, რაც ნაკარნახევია კვლევის პროგრამით და ჯგუფის სპეციფიკასთან წინასწარი გაცნობით.

სოციომეტრული ტესტის გამოყენება საშუალებას იძლევა გაიზომოს ფორმალური და არაფორმალური ლიდერების ავტორიტეტი ადამიანების ჯგუფში ისეთი გადანაწილებისთვის, რაცა შემცირდეს დაძაბულობა კოლექტივში.

სოციომეტრული მეთოდიკა ტარდება ჯგუფური მეთოდით, მისი ჩატარება არ მოითხოვს დიდ დროს (15 წთ-მდე). ის საკმაოდ სასარგებლოა გამოყენებით კვლევებში, განსაკუთრებით, კოლექტივში ურთიერთობების სრულყოფის ნაშრომებში. ის არ წარმოადგენს ჯგუფში და პრობლემების გადაწყვეტის რადიკალურ ხერხს, რომლის მიზეზებიც უნდა ეძებოთ არა ჯგუფის წევრების სიმპათიებსა და ანტიპათიებში, არამედ უფრო ღრმა წყაროებში.

ჯგუფგარეთა რეფერენტომეტრია

თანამედროვე ფსიქოლოგიაში დიდი ხანია გამოყოფილია რეფერენტული ჯგუფის-მნიშვნელოვანთა წრის ცნება, რომელთა აზრიც წარმოადგენს განსაზღვრულს პიროვნებისთვის. რეფერენტული წრის განსაზღვრა წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვანს ადამიანისთვის მნიშვნელოვანი ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის შეგროვების კუთხით.

ქვემოთ მოყვანილ მეთოდიკაში გთავაზობთ რეფერენტების განსაზღვრას მოსწავლეებისა და ჯგუფის-სასკოლო კლასის მასწავლებლებისთვისაც. ამისათვის, შემოთავაზებულია 10 კითხვა –სიტუაცია (1-A) და მათი გარემომცველი ადამიანების სია (1-B).

ინსტრუქცია: თითოეულ კითხვა-სიტუაციაზე არანაკლებ 2 ადამიანის არჩევა; ამასთან, მეორე პირი უნდა იყოს იმათგან, რომლებიც პირველ პირთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ტესტი

1 – A

1. ვისთან ერთად წახვალთ სამოგზაუროდ (საქმიანი მიზნით) სხვა ქალაქში?

2. თქვენ უსიამოვნება შეგემთხვათ. ვის აცნობებთ ამის შესახებ?

3. გსურთ დაბადების დღის აღნიშვნა. ვისთან ერთად გაატარებთ მას?

4. გყავთ ადამიანი,რომელთანაც ცდილობთ დიდი დროის გატარებას?

5. ვის შეუძლია მიუთითოს თქვენს ნაკლოვანებებზე?

6. შეხვდით ადამიანს, რომელიც მოგეწონათ. ვის შეუძლის დაგეხმაროთ სწორად შეაფასოს ის?

7. გსურთ ცხოვრების შეცვლა. ვის კითხავთ რჩევას?

8. ვინ შეიძლება იყოს თქვენთვის ცხოვრებაში მაგალითი?

9. ვის გინდათ ყველაზე მეტად მოეწონოთ?

10. ვისთან ხართ ყველაზე მეტად გულღია?

1 – B

1. მშობლები (მამა, დედა).
2. ნათესავები (ბაბუა, ბებია, ბიძა, ბიცოლა).
3. ძმა, და.
4. უფროსი ნაცნობი.
5. მშობლების ნაცნობი.
6. მეგობრები.
7. საუკეთესო მეგობარი.
8. კომპანია, მეგობრები.
9. ნაცნობი გოგო, ნაცნობი ბიჭი.
10. სამსახურის, სასწავლებლის ამხანაგები.
11. კლუბის, სექციის, სტუდიის ამხანაგები.
12. ისტორიული პიროვნება.
13. ყველასთვის ცნობილი ადამიანი.
14. ადამიანი, რომელზეც სხვებისგან გადმოცემით იცი.
15. ლიტერატურული პერსონაჟი.

დამუშავების წესი

არჩევანის გაკეთების შემდეგ უნდა ვთხოვოთ მას გადადოს 1-B სია და შეაფასოს 5 ქულიანი სკალით (5, 4, 3, 2, 1) თითოეული არჩეული პირი. მიღებული შედეგების დამუშავება საკმაოდ მარტივია. მოსწავლის მიერ ნახსენები ყველა პირი იწერება ცალკე სიაში, შემდეგ პირთა „შეფასებები" შეაქვთ სიაში და ჯამდება თითოეულისთვის. ყველაზე მეტი ქულის მქონე 2-3 პირი იწერება ცალკე ფურცელზე ქულების რაოდენობის შემცირების სახით. ეს ადამიანები შეადგენენ კიდეც რეფერენტულ ჯგუფს.

ფსიქოლოგიური სიახლოვის სკალა

რეფერენტულობის გარდა არსებობს კიდევ 1 პარამეტრი – ე.წ. ფსიქოლოგიური სიახლოვე. მისი ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა ადამიანისთვის ურთიერთობის ჩვეულებრივი წრიდან. ამიტომაც, მის განსაზღვრას გთავაზობთ დ. ფელდსის სიმპათიკური დისტანციის რამდენადმე მოდიფიცირებული სკალის მეშვეობით.

ბიჭებსა და გოგონებს სთხოვენ ჩამოწერონ სვეტში ის ადამიანები, რომლებთანაც ისინი ჩვეულებრივ ურთიერთობენ ბოლო რამოდენიმე თვის განმავლობაში. ამის შემდეგ, მათ უნდა შეაფასონ თავიანთი ფსიქოლოგიური სიახლოვე ამ ადამიანებთან სკალის მიხედვით. ეს სკალა შეიცავს შესაფასებელი ადამიანის სიახლოვის ამა თუ იმ ხარისხის გამომხატველ 11 ხარისხს, მისი შემცირების წესით.

ტესტი

1. ის შეიძლება ჩემი საუკეთესო მეგობარი ყოფილიყო.
2. მე მას ჩემი ახლობელი ადამიანებისგან არ განსხვავებ.
3. შემეძლო მისთვის გული გადამეშალა.
4. შემეძლო მასთან თავისუფალი დროის გატარება.
5. შემეძლო მასთან შვებულების გატარება.
6. შემეძლო მისი დაპატიჟება ჩემთან სტუმრად.
7. მე მასთან მნიშვნელოვან პრობლემებს არ განვიხილავდი.
8. მე მას არ ვანდობდი საპასუხისმგებლო დავალებების შესრულებას.
9. მე განვთავისუფლდებოდი, თუ მასთან მომიწევდა მუშაობა.
10. მე მას საზოგადოებაში არ გავუშვებდი.
11. მე მას შვილების ყოლას ავუკრძალავდი.

„სიშორას" ჯგუფური ერთსულოვნების ინდექსის განსაზღვრა

ჯგუფური ერთსულოვნება – უმნიშვნელოვანესი პარამეტრი, რომელიც გვიჩვენებს ჯგუფის ინტეგრაციის, მისი ერთ მთელად დარაზმვის ხარისხს. მისი განსაზღვრა შეიძლება 5 კითხვისგან შემდგარი მეთოდიკის მეშვეობით, რომელთაგან თითოეულზე არსებობს რამოდენიმე პასუხის ვარიანტი. პასუხების კოდირება ხდება ქულებში ფრჩხილებში მოყვანილი მნიშვნელობების თანახმად (მაქსიმალური ჯამი – 19 ქულა, მინიმალური – 5). გამოკითხვისას ქულების მითითება საჭირო არაა.

ტესტი

I. როგორ შეაფასებდით ჯგუფისადმი თქვენს მიკუთვნებულობას?

1. თავს ვგრძნობ მის წევრად, კოლექტივის ნაწილად (5).
2. ვმონაწილეობ უმრავლესი სახის საქმიანობაში (4).
3. ვმონაწილეობ ზოგიერთი სახის საქმიანობაში და ზოგიერთში – არა (3).
4. არ ვგრძნობ, რომ ჯგუფის წევრი ვარ (2).

5. ეცხოროб და ეარსებობ მისგან დამოუკიდებლად (1).

6. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა (1).

II. გადახვიდოდით სხვა ჯგუფში, თუ ამის შესაძლებლობა მოგეცემოდათ (სხვა პირობების ცვლილების გარეშე)?

1. დიახ, ვისურვებდით გადასვლას (1).

2. უფრო გადავიდოდი, ვიდრე დავრჩებოდი (2).

3. ეერანაირ განსხვავებას ვერ ეხედავ (3).

4. უფრო ჩემს ჯგუფში დავრჩებოდი (4).

5. ძალიან მინდა ჩემს ჯგუფში დარჩენა (5).

6. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა (1).

III. როგორია ურთიერთდამოკიდებულებები თქვენი ჯგუფის წევრებს შორის?

1. უკეთესი, ვიდრე კოლექტივების უმრავლესობაში (3).

2. ისეთივეა, როგორც სხვა კოლექტივებში (2).

3. უფრო უარესი, ვიდრე კლასების უმრავლესობაში (1).

4. არ ვიცი (1).

IV. როგორია თქვენი ურთიერდამოკიდებულებები ხელმძღვანელობასთან?

1. უკეთესი, ვიდრე კოლექტივების უმრავლესობაში (3).

2. ისეთივე, როგორც სხვა კოლექტივებში (2).

3. უარესი, ვიდრე კლასების უმრავლესობაში (1).

4. არ ვიცი (1).

V. როგორია საქმესთან (სწავლასთან და ა.შ.) დამოკიდებულება თქვენს კოლექტივში?

1. უკეთესი, ვიდრე კოლექტივების უმრავლესობაში (3).

2. ისეთივე, როგორც სხვა კოლექტივებში (2).

3. უარესი, ვიდრე კოლექტივების უმრავლესობაში (1).

4. არ ვიცი (1).

ჯგუფის ფსიქოლოგიური კლიმატის განსაზღვრა

ემოციონალურ დონეზე ფსიქოლოგიური კლიმატი ასახავს კოლექტივში ჩამოყალიბებულ ურთიერთდამოკიდებულებებს, საქმიანი თანამშრომლობის სახეს. ფსიქოლოგიური კლიმატი ყალიბდება ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ხარჯზე, რომელსაც აღგილი აქვს დროის მცირე მონაკვეთში და თავის მხრივ, რომელიც იქმნება კოლექტივის სიტუაციური ემოციური მდგომარეობებით.

კოლექტივის ფსიქოლოგიური კლიმატის ძირითადი გამოვლინებების შეფასებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ლ. ნ. ლუტოშკინის რუკა-სქემა. ფურცლის მარცხენა მხარეზე აღწერილია კოლექტივის ის თვისებები, რომლებიც ახასიათებენ ხელსაყრელ ფსიქოლოგიურ კლიმატს, მარჯვენაზე — კოლექტივის თვისებები არახელსაყრელი კლიმატით. ამა თუ იმ თვისების გამოხატვის ხარისხი განისაზღვრება 7-ქულიანი სკალით, რომელიც მოთავსებულია ფურცლის ცენტრში (+3-დან −3-მდე).

თავიდან უნდა წავიკითხოთ მარცხნივ მოთავსებული წინადადება, შემდეგ — მარჯვნივ მოთავსებული და ამის შემდეგ „+“ ნიშნით ფურცლის შუა ნაწილში აღინიშნოს სინამდვილესთან ყველაზე ახლოს მყოფი შეფასება.

შეფასებები ნიშნავს შემდეგს:

+3 — მარცხნივ აღნიშნული თვისება ყოველთვის ვლინდება კოლექტივში;

+2 — თვისება ვლინდება უმრავლეს შემთხვევებში;

+1 — თვისება საკმაოდ ხშირად ვლინდება;

0 — არც ეს და არც საპირისპირო (მარჯვნივ აღნიშნული) თვისება არ ვლინდება საკმაოდ მკაფიოდ ან ორივე ერთნაირად ვლინდება;

−1 — საკმაოდ ხშირად ვლინდება საპირისპირო თვისება (აღნიშნული მარჯვნივ);

−2 — თვისება ვლინდება უმრაულეს შემთხვევებში;

−3 — თვისება ყოველთვის ვლინდება.

კოლექტივის ფსიქოლოგიური სურათის მისაღებად საჭიროა ყველა დადებითი და უარყოფითი ქულების შეკრება. მიღებული შედეგი შეიძლება გახდეს ფსიქოლოგიური კლიმატის პირობითი მახასიათებელი.

თუმცა, შესაძლებელია უფრო მარტივი შეფასებაც — ემოციური მდგომარეობების პერიოდული გაზომვის მეშვეობით, ა.ი. ლუტოშკინის მიერ შექმნილი ფერთა მეთოდიკის მეშვეობით, რომელშიც მოსწავლეებს სთავაზობენ არჩევანს, თუ რომელ ფერთან ასოცირდება მოცემულ კოლექტივში ყოფნა, სიტუაციური განწყობილება და ა.შ. გამოიყენება **შემდეგი ფერები: წითელი** — აღტაცებული განწყობილება; **ნარინჯისფერი** — მხიარული; **ყვითელი** — ნათელი, სასიამოვნო; **მწვანე** — მშვიდი, გაწონასწორებული; **ისფერი** — მშფოთვარე, დაძაბული; **შავი** — სრული იმედგაცრუება, ძალების დაქანცვა.

დადებითი თავისებურებები	+3	+2	+1	0	−1	−2	−3	უარყოფითი თავისებურებები
სჭარბობს მხიარული განწყობილება								სჭარბობს დათრგუნული განწყობილება, პესიმისტური ტონი
სჭარბობს კეთილგანწყობა ურთიერთდამოკიდებულებებში, ორმხრივი სიმპათია								სჭარბობს კონფლიქტურობა ურთიერთობებში, აგრესიულობა, ანტიპათია
კოლექტივის შიგნით არსებობს ურთიერთგაგება და კეთილგანწყობა								დაჯგუფებები კონფლიქტში არიან ერთმანეთთან
კოლექტივის წევრებს მოსწონთ ერთად ყოფნა, ერთობლივი საქმიანობა, თავისუფალი დროის ერთად გატარება								კოლექტივის წევრები გულგრილობას ავლენენ უფრო მჭიდრო ურთიერთობის მიმართ, უარყოფითად უდგებიან ერთობლივ საქმიანობას
კოლექტივის ცალკეული წევრის წარმატებების ცალკეული წევრის წარმატებები ან წარუმატებლობები იწვევს თანაგანცდას								კოლექტივის წევრების წარმატებები და წარუმატებლობები დანარჩენს გულგრილს ტოვებს, ზოგჯერ კი, იწვევს შურსა და ბოლმას
სჭარბობს მოწონება და მხარდაჭერა, კრიტიკა გამოითქმის კეთილი განზრახვით								კრიტიკული შენიშვნები ატარებს აშკარა და ფარული გამოხდომების ხასიათს
კოლექტივის წევრები პატივისცემით უდგებიან სხვების აზრს								კოლექტივში თითოეულს თავისი აზრი მიაჩნია ძირითადად და უგულებელყოფს სხვებისას
კოლექტივისთვის რთულ პერიოდში ხდება ემოციური ერთიანობა პრინციპით „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისთვის“.								რთულ სიტუაციებში კოლექტივში აღინიშნება დაბნეულობა, კამათი, ურთიერთბრალდებები
კოლექტივის მიღწევები ან წარუმატებლობები ყველას მიერ განიცდება, როგორც საკუთარი.								კოლექტივის წარმატებები ან წარუმატებლობები გამოძახილს ვერ პოულობს მის ცალკეულ წარმომადგენლებში
კოლექტივი კეთილსასურველად უყურებს ახალ წევრებს, ცდილობს მათ დაეხმაროს								ახალბედები თავს ზედმეტად გრძნობენ, მათში ხშირია მტრული განწყობა

დადებითი თავისებურებები	+3	+2	+1	0	−1	−2	−3	უარყოფითი თავისებურებები
კოლექტივი აქტიურია, ენერგიით სავსეა.								კოლექტივი პასიურია, ინერტულია
კოლექტივი უმალვე იწყებს სასარგებლო საქმის კეთებას.								კოლექტივის ჩართვა შეუძლებელია ერთობლივ საქმეში, ითოეული ფიქრობს საკუთარ ინტერესებზე
კოლექტივში არსებობს სამართლიანი, დამოკიდებულება ყველა წევრის მიმართ, მხარს უჭერენ სუსტებს, იცავენ მათ.								კოლექტივი იყოფა „პრივილეგირებულად“ და „უგულებელყოფილად“. აქ, ზიზღით უყურებენ სუსტებს, დასცინიან მათ
კოლექტივის წევრებს გაჩნიათ სიამაყის გრძნობა კოლექტივის გამო, თუ ამას აღნიშნავენ ხელმძღვანელები.								კოლექტივის შექებასა და წახალისებას გულგრილად ეკიდებიან.

ატმოსფერო ჯგუფში

ჯგუფში ატმოსფეროს ანუ ფსიქოლოგიური კლიმატის დინამიკური შემადგენელის გაზომვა შეიძლება მარტივი მეთოდიკის მეშვეობით, რომელშიც მოყვანილია აზრობრივად საპირისპირო 10 წყვილი სიტყვა. ცდის პირმა უნდა დასვას ჯვარი თითოეულ წყვილს შორის ხაზზე. ამასთან, წყვილს შორის დისტანციის კოდირება ხდება 9-ქულიანი სკალით, მარცხნიდან მარჯვნივ სქემის მიხედვით:

9 8 7 6 5 4 3 2 1

რაც უფრო მაღალია ჯამური ქულა, მით უკეთესია ატმოსფერო ჯგუფში.

მეგობრულობა	მტრობა
თანხმობა	უთანხმოება
კმაყოფილება	დაუკმაყოფილებლობა
გატაცება	გულგრილობა
პროდუქტულობა	არაპროდუქტულობა
სითბო	სიცივე
თანამშრომლობა	თანამშრომლობის არქონა
ურთიერთმხარდაჭერა	არაკეთილსასურველობა
შემოქმედებითობა	მოწყენა
მოსწრება	მოუსწრებლობა

და ა.შ.

შრომით კოლექტივში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესწავლის ექსპრეს-მეთოდიკა

მეთოდიკის ავტორებს წარმოადგენს ო. ს. მიხალიუკი და ა.ი. შალიტო. მეთოდიკა შემუშავებულია სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის კათედრაზე.

ფსიქოლოგიური კლიმატის კვლევები ისახავს 2 მიზანს:

1) ჯგუფებში ფსიქოლოგიური კლიმატის თავისებურებებსა და მათში მიმდინარე პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ ჰიპოთეზის დამტკიცებას ანუ იმის დამტკიცებას, რომ საწარმოო, სოციალური ან სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს განსხვავებული ფსიქოლოგიური კლიმატის კოლექტივებში;

2) კონკრეტული რეკომენდაციების გამომუშავებას კოლექტივში ფსიქოლოგიური კლიმატის ოპტიმიზაციის თაობაზე.

თუ მეორე სახის ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა სპეციალური მეთოდიკის შექმნა ყოველი

შემთხვევის დროს, პირველ შემთხვევაში წარმოიქმნება პერიოდული გაზომვების მოთხოვნილება კოლექტივში ფსიქოლოგიური კლიმატის მდგომარეობის დიაგნოსტიკის მიზნით. ასეთი გაზომვები სასარგებლოა ახალი მუშაკების ადაპტაციის, შრომისადმი დამოკიდებულების, კადრების დენადობის, ხელმძღვანელობის ეფექტურობის, საქმიანობის ნაყოფიერების შესწავლისას.

ავტორების მიერ პირველადი შრომითი კოლექტივის ფსიქოლოგიური კლიმატი გაგებულია, როგორც კოლექტივის წევრების სოციალურად განპირობებული, მყარი ურთიერთობების სისტემა კოლექტივთან, როგორც მთელთან მიმართებაში. მეთოდიკა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კოლექტივში ურთიერთობების ემოციური, ქცევითი და კოგნიტური კომპონენტები. ემოციური კომპონენტის ნიშნის სახით განიხილება ცნებები „მომწონს – არ მომწონს", „სასიამოვნო- არასასიამოვნო". ქცევითი კომპონენტის გაზომვაზე მიმართულია კრიტერიუმები „მოცემულ კოლექტივში მუშაობის სურვილი – სურვილის არქონა", „დასვენების სფეროში კოლექტივის წევრებთან ურთიერთობის სურვილი – სურვილის არქონა". კოგნიტური კომპონენტის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს „კოლექტივის წევრთა თავისებურებების ცოდნა-არცოდნა".

ტესტური მასალა

ინსტრუქცია: გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენს თქვენს კოლექტივში ფსიქოლოგიური კლიმატის სრულყოფა.

კითხვებზე პასუხების გასაცემად საჭიროა:

1) ყურადღებით წაიკითხოთ პასუხის ვარიანტები;

2) აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს აზრს;

3) დასვით ნიშანი „+" ცარიელ უჯრაში თქვენს მიერ არჩეული პასუხის საპირისპიროდ.

1. აღნიშნეთ, ქვემოთ მოყვანილთაგან რომელ შეხედულებას ეთანხმებით ყველაზე მეტად?

თქვენი კოლექტივის წევრების უმრავლესობა კარგი, სიმპათიური ხალხია.	
თქვენს კოლექტივში ყველანაირი ადამიანია.	
თქვენი კოლექტივის წევრთა უმრავლესობა ნაკლებად სასიამოვნო ხალხია.	

2. თვლით, რომ კარგი იქნებოდა, თუ თქვენი კოლექტივის წევრები ერთმანეთთან ახლოს იცხოვრებდნენ?

რასაკვირველია, არა	
უფრო არა, ვიდრე დიახ	
არ ვიცი, არ მიფიქრია ამაზე	
რასაკვირველია, დიახ.	

3. როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ საკმაოდ სრული დახასიათების მიცემა:

	დიახ	უფრო, დიახ	არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია	ალბათ, არა	არა
კოლექტივის წევრთა უმრავლესობის საქმიანი თვისებების					
კოლექტივის წევრთა უმრავლესობის პირადი თვისებების					

4. ყურადღება მიაქციეთ ქვემოთ მოყვანილ სკალას. ციფრი 1 ახასიათებს კოლექტივს, რომელიც ძალიან მოგწონთ, ციფრი 9 კი – კოლექტივს, რომელიც ძალიან არ მოგწონთ. რომელ უჯრაში მოათავსებთ თქვენს კოლექტივს?

1	2	3	4	5	6	7	8	9

5. თუ გექნებოდათ კოლექტივის წევრებთან დასვენების შესაძლებლობა, როგორ შეხვდებოდით ამას

ეს ძალიან მაწყობს	
არ ვიცი, არ მიფიქრია	
სულაც არ მაწყობს ეს	

6. საკმარისი დამაჯერებლობით შეგიძლიათ თქვათ თქვენი კოლექტივის წევრების უმრავლესობაზე, თუ ვისთან ურთიერთობენ სიამოვნებით ისინი საქმიან საკითხებზე:

არა, არ შემიძლია	
არ შემიძლია პასუხის გაცემა, ამაზე არ მიფიქრია	
დიახ, შემიძლია	

7. როგორი ატმოსფერო სჭარბობს თქვენს კოლექტივში?

ქვემოთ მოყვანილ სკალაზე ციფრი 1 შეესაბამება არაჯანსაღ, არამეგობრულ ატმოსფეროს, ხოლო 9 – ურთიერთპატივისცემის, ურთიერთდახმარების ატმოსფეროს და ა.შ. რომელ უჯრაში მოათავსებდით თქვენს კოლექტივს?

1	2	3	4	5	6	7	8	9

8. როგორ ფიქრობთ, პენსიაზე რომ იყოთ ან დიდხანს არ მუშაობდეთ რაიმე მიზეზის გამო, ეცდებოდით თქვენი კოლექტივის წევრებთან შეხვედრებს?

რასაკვირველია, დიახ	
უფრო კი, ვიდრე არა	
მიჭირს პასუხის გაცემა	
უფრო არა, ვიდრე კი	
რასაკვირველია, არა	

შედეგების დამუშავება

მეთოდიკის გამოყენების დროს მიღებული შედეგების დამუშავება სტანდარტიზებულია და მას გააჩნია შემდეგი ალგორითმი. ხდება თითოეული ადამიანისთვის კოლექტივისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა მხარის გაანალიზება. თითოეული კომპონენტი ფასდება 3 კითხვით. ამასთან, თითოეულ მათგანზე პასუხი იღებს სამი შესაძლო ფორმიდან ერთ-ერთს: +1; −1,0. მაშასადამე, კომპონენტის მთლიანობითი დახასიათებისთვის, თითოეული ცდის პირის პასუხების მიღებული შეთავსება შეიძლება განზოგადდეს შემდეგი სახით, თითოეულ კომპონენტზე:

–დადებითი შეფასება (ამ კატეგორიას განეკუთვნება ის შეთავსება, რომელშიც დადებითი პასუხებია 3 კითხვაზე, რომელიც მოცემულ კომპონენტს განეკუთვნება ან 2 პასუხი დადებითია, მესამეს კი, სხვა ნიშანი გააჩნია);

უარყოფითი შეფასება (აქ შედის შეთავსება 3 უარყოფითი პასუხით ან 2 პასუხი უარყოფითია, მესამეს კი, სხვა ნიშანი გააჩნია);

–გაურკვეველი, წინააღმდეგობრივი შეფასება (ეს კატეგორია მოიცავს შემდეგ შემთხვევებს: 3 კითხვაზე მოცემულია გაურკვეველი პასუხი; 2 კითხვაზე პასუხი არაა განსაზღვრული, მესამე პასუხს გააჩნია სხვა ნიშანი; 1 პასუხი გაურკვეველია, 2 კი, სხვადასხვა ნიშანი აქვს).

მიღებული მონაცემების შეტანა შეიძლება შემდეგი სახის ცხრილში.

ცხრილი 61

დამოკიდებულების ცალკეული კომპონენტების ინდივიდუალური შეფასებები

გამოკითხვის მონაწილეები	ემოციური კომპონენტი	კოგნიტური კომპონენტი	ქცევითი კომპონენტი
1			
2			
3			
...			
...			
n			

ასეთი ცხრილის თითოეულ უჯრაში უნდა იყოს 3 ნიშნიდან 1: „+“; „–“; 0.

დამუშავების თითოეულ ეტაპზე თითოეული კომპონენტისთვის გამოჰყავთ საშუალო შეფასება. მაგალითად, ემოციური კომპონენტისთვის:

$$Э = \frac{\Sigma(+) - \Sigma(-)}{n}$$

სადაც $\Sigma(+)$ – დადებითი პასუხების რაოდენობა სვეტში, $\Sigma(-)$ – უარყოფითი პასუხების რაოდენობა, n – კლეტაში მონაწილე კოლექტივის წევრთა რაოდენობა. ცხადია, რომ საშუალო შეფასებები ნებისმიერი კომპონენტისთვის თავსდება −1-დან +1-მდე ინტერვალში. შემდეგ ხდება მიღებული საშუალოს კლასიფიცირება. ამისათვის, შესაძლო შეფასებების კონტინუუმი (-1-დან +1-მდე) იყოფა 3 სხვადასხვა ნაწილად: −1-დან −0,33-მდე; −0,33-დან +0, 33-მდე; +0, 33-დან +1-მდე.

პირველ ინტერვალში მოავსებული საშუალო შეფასებები უარყოფითია, მეორეში მოთავსებული – წინააღმდეგობრივი, გაურკვეველი, მესამეში კი – დადებითი.

თითოეული კომპონენტის ნიშნის გათვალისწინებით შესაძლებელია კოლექტივისადმი დამოკიდებულების ტიპის განსაზღვრა:

1) **სრულიად დადებითი;**
2) **დადებითი;**
3) **სრულიად უარყოფითი;**
4) **უარყოფითი;**
5) **წინააღმდეგობრივი, გაურკვეველი.**

პირველ შემთხვევაში კოლექტივის ფსიქოლოგიური კლიმატი განიმარტება, როგორც ძალიან ხელსაყრელი; მეორეში – როგორც ხელსაყრელი მთლიანობაში; მესამეში – დამაკმაყოფილებელი; მეოთხეში – მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელი; მეხუთეში – ტენდენციები წინააღმდეგობრივი და გაურკვეველია.

კითხვარის ფურცელზე 1, 4 და 7 კითხვები განეკუთვნება ემოციურ კომპონენტს; 2, 5, 8 – ქცევითს; 3 და 6 – კოგნიტურს, ამასთან, 3 კითხვა შეიცავს 2 კითხვას.

მოცემული მეთოდიკით გამოკვლევა შეიძლება ჩატარდეს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში. ტესტირების დრო – 5-10 წთ. შედეგების დამუშავების სიმარტივე იძლევა მათი სწრაფი მიღების შესაძლებლობას.

ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დიაგნოსტიკა

სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი – ჯგუფის ყველაზე მთლიანი ფსიქოლოგიური დახასიათება, რომელიც უკავშირდება ჯგუფის მიერ ერთობლივ ჯგუფურ საქმიანობასთან უშუალო დამოკიდებულების მქონე ცალკეული ობიექტების (მოვლენებისა და პროცესების) ასახვის თავისებურებებს. ყველაზე მნიშვნელოვანია ურთიერთდამოკიდებულებები „ჰორიზონტალურად“ და „ვერტიკალურად“, საქმიანობის შინაარსი, საქმიანობის ზოგიერთი სიტუაციური ელემენტი. ამ ობიექტების (მოვლენების, პროცესების) ჯგუფის წევრების მიერ ასახვის თავისებურებები გამოდის ფსიქოლოგიური კლიმატის ემპირიული მაჩვენებლების სახით.

ფსიქოლოგიური კლიმატის ოპტიმიზაცია წარმოადგენს ჯგუფური საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების რეზერვს. ფსიქოლოგიური კლიმატის ოპტიმიზაციის ღონისძიებების შემუშავებისთვის საჭიროა მისი განვითარებისა და თავისებურებების დონის დიაგნოსტირება, ასევე იმ ფაქტორების გამოვლენა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ფსიქოლოგიური კლიმატის კორექციისა და განვითარებისთვის. მთლიანობაში შეიძლება ფსიქოლოგიური კლიმატის ფორმირების შემდეგი ფაქტორების გამოყოფა:

1) იმ საზოგადოების საწარმოო ურთიერთობების ხასიათი, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს მოცემული ჯგუფი;

2) შრომითი საქმიანობის შინაარსი, ორგანიზება და პირობები;

3) ორგანიზაციის მართვისა და თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის თავისებურებები;

4) ხელმძღვანელობის სახე;

5) ჯგუფის ოფიციალური და არაოფიციალური სტრუქტურის დამთხვევის ხარისხი;

6) ჯგუფის წევრების სოციალურ-დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური თავისებურებები;

7) ჯგუფის რიცხობრიობა და სხვ.

მოცემული მეთოდიკით განისაზღვრება ჯგუფის ფსიქოლოგიური კლიმატის განვითარების დონე სხვა ჯგუფებთან მიმართებაში ერთი ორგანიზაციის ჩარჩოებში, ფსიქოლოგიური კლიმატის ზოგადი შეფასება და ასევე, ვლინდება მისი ფორმირების ის ფაქტორები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება მოცემული ჯგუფის ფსიქოლოგიური კლიმატის კორექციისა და სრულყოფისთვის.

მიღებული შედეგების დამუშავება და ანალიზი ხდება შემდეგი სახით.

17-23 კითხვებზე პასუხების საფუძველზე ხდება გამოკვლეული ჯგუფის მოკლე სოციალურ-დემოგრაფიული დახასიათების მიცემა, რომელშიც მითითებულია: ჯგუფის რიცხობრიობა, სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობა, ჯგუფის წევრთა რაოდენობა (პროცენტებში), რომელთაც აქვთ დაუმთავრებელი საშუალო, საშუალო, საშუალო სპეციალური, დაუმთავრებელი უმაღლესი და უმაღლესი განათლება. ასევე აღინიშნება ჯგუფის წევრთა პროფესიული შემადგენლობა, მათი დანაწილება სამუშაოს სტაჟის მიხედვით, მათი საშუალო თვიური ხელფასი და ოჯახური მდგომარეობა.

კვლევის ამოცანების მიხედვით კითხვარში შეიძლება დამატებითი კითხვების შეტანა მუშაკთა საცხოვრებელი პირობების, ბავშვების რაოდენობის თაობაზე და ა.შ.

6-13 კითხვები მიმართულია კოლექტივის წევრების მიერ ჩამოყალიბებული პიროვნებათშორისი ურთიერთობების და კოლექტივის თავისებურებების გამოვლენაზე ემოციური, კოგნიტური და ქცევითი კომპონენტების გათვალისწინებით. თითოეული კომპონენტის ტესტირება ხდება 3 კითხვით: ემოციური – 6, 8, 12; კოგნიტური: 9ა, 9ბ, 11; ქცევითი: 7, 10, 13. თითოეულ კითხვაზე პასუხი ფასდება როგორც +1, 0 ან –1. ჯგუფში მიღებული მონაცემები უნდა შევიდეს ოქმში (იხ. ქვემოთ).

თითოეული მონაწილეს პასუხების შეთავსებები ცალკეული კომპონენტის მთლიანი დახასიათებისთვის ზოგადდება შემდეგნაირად: დადებითი შეფასება მიიღება შეთავსებისას: +++, ++0, ++-; უარყოფითი შეფასება: – – -, –-+, –-0; გაურკვეველი (წინააღმდეგობრივი) შეფასება: 000, 00-, 00+. შემდეგ თითოეული კომპონენტისთვის იანგარიშება სა-

შუალო შეფასება ჯგუფში. მაგალითად, ემოციური კომპონენტისთვის:

$$Э = \frac{\Sigma(+) - \Sigma(-)}{n}$$

სადაც Σ (+) – დადებითი პასუხების რაოდენობა სვეტში „ემოციური კომპონენტი", Σ (-) – ამ სვეტში უარყოფითი პასუხების რაოდენობა, n – გამოკითხვის მონაწილეთა რაოდენობა.

ᲝᲥᲛᲘ

ცხრილი 62

ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დიაგნოსტიკა

გამოკითხვის მონაწილე	კომპონენტები		
	ემოციური	კოგნიტური	ქცევითი
1			
–			
n			
Σ			

მიღებული საშუალო შეფასებები მერყეობს −1-დან +1-მდე ინტერვალში. ეს კონტინუუმი იყოფა 3 ნაწილად: −1-დან +1-მდე. მასში შედის 3 ნაწილი: −1-დან −0,33-მდე უარყოფითი შეფასებები; −0,33-დან +0,33-მდე – წინააღმდეგობრივი ან გაურკვეველი შეფასებები; +0,33-დან +1-მდე – დადებითი. 3 კომპონენტის – ემოციურის, კოგნიტურის, ქცევითის-შეფარდება საშუალებას იძლევა დავახასიათოთ ფსიქოლოგიური კლიმატი, როგორც დადებითი, უარყოფითი და გაურკვეველი (წინააღმდეგობრივი).

1, 14, 15 და 16 კითხვებზე მიღებული მონაცემების დამუშავებისას იანგარიშება ჯგუფური შეფასების ინდექსი. ამასთან, თითოეული პასუხი ფასდება 3-დან 1 ვარიანტით: +1, 0, −1. მაგალითად, მე-14 კითხვისთვის: პასუხები „სრულიად კმაყოფილი ვარ" და „ალბათ, კმაყოფილი ვარ" ფასდება, როგორც +1, პასუხი „ძნელი სათქმელია"-0, ხოლო პასუხები „ალბათ, არა ვარ კმაყოფილი" და „სრულიად არ ვარ კმაყოფილი" – −1.

ჯგუფური შეფასების ინდექსი იანგარიშება, როგორც მოცემული ჯგუფისთვის მიღებული შეფასებების ჯამის შეფარდება მოცემული ჯგუფისთვის შეფასებების მაქსიმალურად შესაძლო შეფასებების ჯამთან. შედეგად ვიღებთ შემდეგი მხარეების ჯგუფური შეფასების ინდექსებს: მთლიანად მუშაობა, მოწყობილობის მდგომარეობა, სამუშაოთი უზრუნველყოფის თანარზომიერება, ხელფასის ოდენობა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, დამოკიდებულებები უშუალო ხელმძღვანელთან, კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, სამუშაოს მრავალფეროვნება, სამუშაოს ორგანიზების დონე. შეფასებების ხარისხი იძლევა ჯგუფის ფსიქოლოგიური კლიმატის თვისობრივ-რაოდენობრივ აღწერას და ავლენს საკორექციო ადგილებს.

1, 2 და 5 კითხვებზე პასუხების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ჯგუფები დადებითი, გაურკვეველი და უარყოფითი საწარმოო განწყობით. მე-4 კითხვაზე პასუხი იძლევა ჯგუფის ოფიციალური და არაოფიციალური სტრუქტურის თანაფარდობის გაანალიზების შესაძლებლობას ანუ ხელმძღვანელობისა და ლიდერობის თანაფარდობას. მე-3 კითხვაზე პასუხები იძლევა სახელმძღვანელოს საქმიანი და პირადი თვისებების მოკლე დახასიათებას.

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ

ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დიაგნოსტიკური კითხვარი

გთხოვთ, გამოხატოთ თქვენი აზრი თქვენს სამუშაოსთან და კოლექტივთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სანამ უპასუხებთ თითოეულ კითხვას, ყურადღებით წაიკითხეთ პასუხების ყველა ვარიანტი და აღნიშნეთ ნიშანი „X" იმ პასუხის საპირისპიროდ, რომელიც შეესაბამება თქვენს აზრს.

ანკეტა შეავსეთ დამოუკიდებლად.

1. მოგწონთ თქვენი სამუშაო?

ძალიან მომწონს.
ალბათ, მომწონს.
გულგრილი ვარ.
ალბათ, არ მომწონს.
ძალიან არ მომწონს.

2. ისურვებდით სამუშაოს შეცვლას?

დიახ.
არა.
არ ვიცი.

3. 5-ქულიანი სკალით შეაფასეთ ქვემოთ ჩამოთვლილი თვისებების განვითარების ხარისხი თქვენს უშუალო ხელმძღვანელში: 5 – თვისება ძლიერაა განვითარებული, 1 – თვისება საერთოდ არაა განვითარებული.

თვისება	შეფასება
შრომისმოყვარეობა; საზოგადოებრივი აქტიურობა; პროფესიული ცოდნა; ზრუნვა ადამიანებზე; მომთხოვნელობა; გულისხმიერება; გულღიაობა; ადამიანებში გარკვევის უნარი; სამართლიანობა; კეთილსასურველობა.	

4. ვინ სარგებლობს თქვენს კოლექტივში დიდი პატივისცემით? დაასახელეთ ერთი ან ორი გვარი: _____

5. დავუშვათ, რომ რაიმე მიზეზით დროებით არ მუშაობთ. დაუბრუნდებოდით წინა სამუშაო ადგილს?

დიახ.
არა.
არ ვიცი.

6. აღნიშნეთ, გეთაყვა, რომელ შეხედულებას ეთანხმებით ყველაზე მეტად?

ჩვენი კოლექტივის წევრების უმრავლესობა კარგი, სიმპათიური ხალხია	
ჩვენს კოლექტივში ყველანაირი ადამიანია	
ჩვენი კოლექტივის წევრების უმრავლესობა ნაკლებად სასიამოვნო ხალხია	

7. თვლით, რომ კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი კოლექტივის წევრები ერთმანეთთან ახლოს იცხოვრებდნენ?

რასაკვირველია, არა	
უფრო არა, ვიდრე კი	
არ ვიცი, არ მიფიქრია	
რასაკვირველია, დიახ	

8. ყურადღება მიაქციეთ ქვემოთ მოყვანილ სკალას. ციფრი 1 ახასიათებს კოლექტივს, რომელიც ძალიან მოგწონთ, ხოლო 9-კოლექტივს, რომელიც ძალიან არ მოგწონთ. რომელ უჯრაში მოათავსებდით თქვენს კოლექტივს?

1	2	3	4	5	6	7	8	9

9. როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ კოლექტივის წევრთა უმრავლესობის საქმიანი და პირადი თვისებების საკმაოდ სრული დახასიათების მიცემა?

	დიახ	უფრო, დიახ	არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია	ალბათ, არა	არა
კოლექტივის წევრთა უმრავლესობის საქმიანი თვისებების					
კოლექტივის წევრთა უმრავლესობის პირადი თვისებების					

10. თუ გექნებოდათ შვებულების კოლექტივის წევრებთან ერთად გატარების შესაძლებლობა, როგორ შეხედავდით ამას?

ეს სავსებით მაკმაყოფილებს.
არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია.
ეს საერთოდ არ მაწყობს.

11. შეგიძლიათ დარწმუნებით თქვათ თქვენი კოლექტივის უმრავლეს წევრებზე, ვისთან ურჩევნიათ საქმიანი ურთიერთობა?

არა, არა შემიძლია.
არ შემიძლია ვთქვა, ამაზე არ დავფიქრებულვარ.
დიახ, შემიძლია.

12. როგორი ატმოსფერო სჭარბობს ჩვეულებრივ თქვენს კოლექტივში? ქვემოთ მოყვანილ სკალაზე ციფრი 1 შეესაბამება არაჯანსაღ, არამეგობრულ ატმოსფეროს, ხოლო 9 პირიქით — ურთიერთაგების, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს. რომელ უჯრაში მოათავსებდით თქვენს კოლექტივს

1	2	3	4	5	6	7	8	9

13. როგორ ფიქრობთ, პენსიაზე რომ იყოთ ან დიდხანს არ მუშაობდეთ გარკვეული მიზეზის გამო, ეცდებოდით თქვენი კოლექტივის წევრებთან შეხვედრას, მათთან დღესასწაულების აღნიშვნას?

რასაკვირველია, კი.
უფრო კი, ვიდრე არა.
მიჭირს პასუხის გაცემა.
უფრო არა, ვიდრე კი.
რასაკვირველია, არა.

14. მიუთითეთ, გეთაყვა, რა ხარისხით გაკმაყოფილებთ თქვენი მუშაობის სხვადასხვა პირობა?

პირობები	სრულიად მაკმაყოფილებს	ალბათ, მაკმაყოფილებს	მიჭირს პასუხის გაცემა	ალბათ, არ მაკმაყოფილებს	სრულიად არ მაკმაყოფილებს
მოწყობილობის მდგმარეობა					
სამუშაოთი უზრუნველყოფის თანაბარზომიერება					
ხელფასის ოდენობა					
სანიტარულ-ჰიგიენური პირობები					
დამოკიდებულებები უშუალო ხელმძღვანელობასთან					
კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა					
სამუშაოს მრავალფეროვნება					

15. თქვენი აზრით, რამდენად კარგადაა ორგანიზებული თქვენი სამუშაო?

ჩემის აზრით, ჩვენი სამუშაო ძალიან კარგადაა ორგანიზებული.
საერთოდ ცუდად, თუმცა არის გაუმჯობესების შესაძლებლობა.
ძნელი სათქმელია.
სამუშაო ორგანიზებულია არადამაკმაყოფილებლად, ბევრი დრო იხარჯება ფუჭად.
ჩემის აზრით, სამუშაო ძალიან ცუდადაა ორგანიზებული.

16. რ ოგორ ფიქრობთ, აბდენს თქვენი ხელმძღვანელი გავლენას კოლექტივის საქმეებზე?

რასაკვირველია, კი.
ალბათ, კი.
ძნელი სათქმელია.
ალბათ, არა.
რასაკვირველია, არა.
დასასრულს შეეცადეთ ზოგიერთი ცნობა თქვენს შესახებ.

17. თქვენი სქესი: მამრობითი, მდედრობითი.

18. ასაკი — (წელი)

19. განათლება:

დაუმთავრებელი საშუალო.
საშუალო.
საშუალო სპეციალური.
დაუმთავრებელი უმაღლესი.
უმაღლესი.

20. მოცემულ კოლექტივში მუშაობის სტაჟი: წელი

21. თქვენი პროფესია.

22. თქვენი საშუალო თვიური ხელფასი ყველა პრემიალური გაცემის გათვალისწინებით: _____ლარი.

23. თქვენი ოჯახური მდგომარეობა.

უცოლო (გაუთხოვარი).
ცოლიანი (გათხოვილი).
განქორწირებული.
ქვრივი.

სამუშაოს მიმზიდველობის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ერთ-ერთი მაჩვენებლის შესწავლის მეთოდიკა

სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის (ს ფ კ) ქვეშ იგულისხმება ზოგადი ემოციურ-დინამიკური განწყობილება, რომელშიც აისახება ურთიერთდამოკიდებულებების ჩამოყალიბებული სისტემა, გაბატონებული აზრით-განწყობილება, კმაყოფილება, სამუშაოს მიმზიდველობა, კადრების ზრდა და სტაბილურობა, კოლექტიური და პირადი მიზნების ერთიანობა, ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთდამოკიდებულებების შეთავსების ხარისხი პრინციპული და საქმიან საფუძველზე.

სფკ ყალიბდება სუბიექტური აზრისა და სამუშაოზე არსებულ ვითარებასთან (ადამიანებთან, შრომის პირობებთან, ხელმძღვანელობის სტილთან, ჯგუფურ ნორმებთან და ფასეულობებთან და სხვ). ადამიანის დამოკიდებულების საფუძველზე ანუ პირადი აქტისა და შეფასებების, აზრების გაცვლის საფუძველზე. თითოეული ადამიანის მიერ სფკ განიცდება ინდივიდუალურად მოცემულ კოლექტივში, მოცემულ პირობებში სამუშაოთი დაუკმაყოფილებლობისა და მიმზიდველობის სახით.

სფკ შეფასების ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს კოლექტივში მუშაობის მიმზიდველობა ან კმაყოფილება და კოლექტივის წევრების აზრების, შეფასებებისა და დამოკიდებულებების შეთავსების ხარისხი.

სფკ შეფასება აუცილებელია მისი განვითარების გზების გამოსაყენებლად, კოლექტივის წინაშე მდგარი საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაზე გავლენის პროგნოზისთვის და ა.შ.

სფკ შესწავლა შეიძლება ანკეტირების, დაკვირვების, ინტერვიუს, სოციომეტრიის, ბუნებრივი ექსპერიმენტის მეთოდებით.

სფკ შესწავლა ანკეტირების მეთოდით შედგება 2 ნაწილისგან. პირველი ფასდება რეალურად არსებული პირობები და სამუშაოს გარემოებები. მეორეში ფასდება იგივე, რაც პირველში, მაგრამ მოპასუხეს სურვილების (მოთხოვნილებების, მიდრეკილებების) თვალსაზრისით. ამ 2 შეფასების თანაფარდობა წარმოადგენს სუბიექტური მიმზიდველობის მაჩვენებელს მოცემულ კოლექტივში ადამიანის მუშაობისთვის.

გამოკითხვა შეიძლება, როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალური ხერხით. სასურველია კოლექტივის ყველა წევრის გამოკითხვა, მაგრამ არანაკლებ 73-80%. მხოლოდ, ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ კოლექტივის და არა ადამიანთა ჯგუფის ს ფ კ შესახებ (მცირე ჯგუფები ფასდება სხვა პარამეტრებით).

კოლექტივში კადრების დენადობის პროგნოზისთვის გამოკითხვა ტარდება ინდივიდუალურად. პირველად — ადამიანის სამუშაოზე აყვანისას, მეორედ — 2-3 თვის შემდეგ. პროგნოზის საიმედოობა მაღალია, თუ ამასთან ხდება სუბიექტური შეფასების შედარება კოლექტივის შეფასებასთან.

ცდის პირებს ურიგდებათ კითხვარები და საპასუხო ფურცლები.

ოქმი

საამქრო, განყოფილება _____

უბანი, ლაბორატორია_____

სპეციალობა_____თანრიგი_____

სქესი: (კაცი, ქალი)

წლოვანება_____

განათლება_____

საშუალო თვიური ხელფასი_____

სამუშაო სტაჟი_____

როგორია იმის ალბათობა, რომ შემთხვევისთანავე წახვალთ ამ სამუშაოდან? შემოხაზეთ სათანადო ციფრი:

1 0,9 0,8 0,6 0,5 0,4 0,3 0,2 0,1 0

შედეგების დამუშავება: დამუშავებისთვის ყველა შესწავლილი მოთხოვნილება შეყვანილია 14 სკალაში და მოცემულია საპასუხო ფურცელში სტრიქონებად:

1) შემოქმედებითი და საინტერესო მუშაობის მოთხოვნილება;

2) შრომის ხელსაყრელი პირობების მოთხოვნილება;

3) კოლექტივში თბილი და სანდო ურთიერთობების მოთხოვნილება;

4) აღიარების, პიროვნული ავტორიტეტის მოთხოვნილება;

5) საკუთარი განვითარების მოთხოვნილება;

6) პირადი მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფის მოთხოვნილება;

7) კოლექტივში პრინციპული და მომთხოვნელობითი ურთიერთდამოკიდებულებების მოთხოვნილება;

8) კოლექტივის ყველა წევრის ინდივიდუალური განვითარების მოთხოვნილება;

9) კოლექტივის ყველა წევრის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მოთხოვნილება;

10) შრომის კარგი ორგანიზების მოთხოვნილება;

სასასუხო ფურცელი
ნაწილი 1

№	ქულა	№	ქულა	№	ქულა	№	ქულა	ჯამი	საშუალო
								სტრიქონზე	
1		15		29		43			
2		16		30		44			
3		17		31		45			
4		18		32		46			
5		19		33		47			
6		20		34		48			
7		21		35		49			
8		22		36		50			
9		23		37		51			
10		24		38		52			
11		25		39		53			
12		26		40		54			
13		27		41		55			
14		28		42		56			

ნაწილი 2

№	ქულა	№	ქულა	№	ქულა	№	ქულა	ჯამი	საშუალო
								სტრიქონზე	
1		15		29		43			
2		16		30		44			
3		17		31		45			
4		18		32		46			
5		19		33		47			
6		20		34		48			
7		21		35		49			
8		22		36		50			
9		23		37		51			
10		24		38		52			
11		25		39		53			
12		26		40		54			
13		27		41		55			
14		28		42		56			

11) მთელი კოლექტივის საწარმოო წარმატების მოთხოვნილება;

12) უტილიტარული მოთხოვნილება;

13) როგორც „ვერტიკალურად", ასევე „ჰორიზონტალურად" ურთიერთობის მოთხოვნილება.

1. საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობების პოვნა თითოეულ სკალაზე, დავალების პირველ და მეორე ნაწილში.

2. განისაზღვროს მოცემულ კოლექტივში ადამიანისთვის სამუშაოს სუბიექტური მიმზიდველობის ხარისხი პირველ და მეორე ნაწილებს შორის (M1-M2) საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობების სხვაობის პოვნის გზით. აქ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვაობის სიდიდეს და ნიშანს: უარყოფითი მნიშვნელობები განიმარტება, როგორც სამუშაოს ამა თუ იმ ასპექტით უკმაყოფილება; დადებითი მნიშვნელობები — როგორც მოცემული ასპექტის იმზიდველობა ადამიანისთვის.

3. ს ფ კ ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშება, რომელსაც წარმოადგენს კოლექტივში სკალების საშუალოს საშუალო არითმეტიკული. ინდივიდუალურ პასუხებში სკალების საშუალოს შეფასების განთავსების საზომი წარმოადგენს ს ფ კ განვითარების დონის დამატებით მაჩვენებელს და განიმარტება, როგორც კოლექტივში აზრების ერთიანობის ირიბი მაჩვენებელი.

რასაკვირველია, მოყვანილი სკალები არ ასახავენ ს ფ კ-ზე გაელენის მქონე წარმოების ყველა თავისებურებას, თუმცა, შესაძლებელია სკალების შეცვლა კვლევის მიზნების შესაბამისად. მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა საკმაოდ ზუსტად განისაზღვროს. თუ რითია ადამიანი უკმაყოფილო, რა მიმართულებით უნდა მოხდეს მოქმედება კოლექტივში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებისთვის.

თავი 24

პიროვნებათშორის დამოკიდებულებებზე გავლენის მქონე ინდივიდუალური თვისებების დიაგნოსტიკა

ტ. ლირის პიროვნებათშორისი დამოკიდებულებების დიაგნოსტიკის მეთოდიკა

მეთოდიკა შექმნილია 1954 წელს ტ. ლირის, გ. ლეფორჯეს, რ. საზეკის მიერ და გათვალისწინებულია საკუთარი თავისა და იდეალური მე-ს შესახებ სუბიექტის წარმოდგენების კვლევისთვის და ასევე, მცირე ჯგუფებში ურთიერთდამოკიდებულებების შესწავლისთვის. მოცემული მეთოდიკის მეშვეობით ვლინდება თვითშეფასებასა და ურთიერშეფასებაში ადამიანებისადმი დამოკიდებულებების უპირატესი ტიპი.

პიროვნებათშორისი დამოკიდებულებების კვლევისას ყველაზე ხშირად გამოიყოფა 2 ფაქტორი: **„დომინირება-დაქვემდებარება“** და **„მეგობრულობა-აგრესიულობა“**. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ ზოგად წარმოდგენას ადამიანის შესახებ პიროვნებათშორისი აღქმის პროცესში. მათ ძირითადს უწოდებს მ. არგაილი პიროვნებათშორისი ქცევის სტილის ანალიზის დროს. ისინი შინაარსობრივად შეიძლება განვაკუთვნოთ **ჩ. ოსგუდის სემანტიკური დიფერენციალის 3 მთავარი ღერძიდან 2: შეფასებას და ძალას.** ბ. ბეილზის ხელმძღვანელობით მრავალი წლის განმავლობაში ამერიკელი ფსიქოლოგების მიერ წარმოებულ კვლევებში ჯგუფის წევრის ქცევა ფასდება ორი ცვლადით, რომელთა ანალიზიც ხდება სამი ღერძის მიერ წარმოქმნილ სამგანზომილებიან სივრცეში: **„დომინირება-დაქვემდებარება“, „მეგობრულობა-აგრესიულობა“, ემოციურობა-ანალიტიკურობა“.**

ტ. ლირმა ძირითადი სოციალური ორიენტაციების წარმოდგენისთვის შეიმუშავა პირობითი სქემა სექტორებად დაყოფილი წრის სახით. ამ წრეში ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ფერძებზე აღნიშნულია ოთხი ორიენტაცია: **„დომინირება-დაქვემდებარება“, მეგობრულობა-შტრობა“**. ეს სექტორები შემდგომ იყოფა 8 – შესაბამისად უფრო კერძო დამოკიდებულებებად. წრე იყოფა 16 სექტორად, უფრო ხშირად კი, გამოიყენება ოქტანტები, ორიენტირებული 2 მთავარ ღერძთან მიმართებაში.

ტ. ლირის სქემა ეფუძნება ვარაუდს, რომ რაც უფრო ახლოსაა წრეწირის ცენტრთან ცდის პირის შედეგები, მით უფრო ძლიერია ამ 2 ცვლადის ურთიერთკავშირი, თითოეული ორიენტაციის ქულების ჯამის გადაყვანა ხდება ინდექსში, სადაც დომინირებს **ვერტიკალური („დომინირება-დაქვემდებარება“) და ჰორიზონტალური („მეგობრულობა-შტრობა“)** ღერძები. წრეწირის ცენტრიდან მიღებული მაჩვენებლების დაშორება მიუთითებს ინტერპერსონალური ქცევის ადაპტურობას ან ექსტრემალობას.

კითხვარი შეიცავს 128 შეფასებით შეხედულებას, რომელთაგან დამოკიდებულებების თითოეულ 8 ტიპში წარმოიქმნება 16 პუნქტი აღმავალი ინტენსიობით. მეთოდიკა აგებულია ისე, რომ დამოკიდებულებების ტიპები ჯგუფდება 4-4 და მეორდება განსაზღვრების თანაბარი რაოდენობის შემდეგ. დამუშავებისას იანგარიშება თითოეული

ტიპის დამოკიდებულებების რაოდენობა.

ტ. ლირმა მეთოდიკის გამოყენება შემოგვთავაზა ადამიანების დაკვირვებადი ქცევის შეფასებისთვის, თვითშეფასებისთვის, ახლობელი ადამიანების შეფასებისთვის, იდეალური მე-ს აღწერისთვის. ამ დონეების შესაბამისად იცვლება პასუხების ინსტრუქციაც.

დიაგნოსტიკის სხვადასხვა მეთოდი საშუალებას იძლევა განისაზღვროს პიროვნების ტიპი და ასევე შეაჯეროს მონაცემები ცალკეულ ასპექტებზე, მაგალითად, „სოციალური მე", „რეალური მე", „ჩემი პარტნიორები" და ა.შ.

მეთოდიკას სთავაზობენ რესპოდენტს ან სიით (ანბანის მიხედვით ან შემთხვევითი წესით) ან ცალკეულ ბარათებზე. მან უნდა მიუთითოს ის შეხედულებები, რომლებიც შეესაბამებიან მის წარმოდგენას საკუთარ თავზე, სხვა ადამიანზე ან მის იდეალზე.

დონის მაქსიმალური შეფასებაა 16 ქულა, მაგრამ ის დაყოფილია დამოკიდებულების გამოხატვის 4 ხარისხად:

ცხრილი 63

0-4 ქულა – დაბალი 5-8 ქულა – ზომიერი	ადაპტური ქცევა
9-12 ქულა – მაღალი 13-16 ქულა – ექსტრემალური	ექსტრემალური ქცევა პათოლოგიამდე

შედეგად ხდება ქულების დაანგარიშება თითოეულ ოქტანტზე კითხვარის გასაღების მეშვეობით. მიღებული შედეგების გადატანა ხდება დისკოგრამაზე, ამასთან მანძილი წრის ცენტრიდან შეესაბამება მოცემულ ოქტანტზე ქულების რაოდენობას (0-დან 16-მდე). ვექტორთა ბოლოები ერთიანდება და წარმოიქმნება პიროვნული პროფილი.

სპეციალური ფორმულებით განისაზღვრება მაჩვენებლები ძირითად ფაქტორებზე: „დომინირება" და „მეგობრულობა".

დომინირება = (I-V) + 0,7 (VIII+II-VI)

მეგობრულობა = (VII-III)+ 0,7 (VIII-II-IV+VI).

მიღებული მონაცემების თვისობრივი ანალიზი ხდება დისკოგრამების შედარების გზით. ს. ე. მაქსიმოეის მიერ მოცემულია რეფლექსის სიზუსტის, აღქმის დიფერენციაციის, ჯგუფში პიროვნების ხელსაყრელი მდგომარეობის ხარისხს, პიროვნების მიერ ჯგუფის აზრის გაცნობიერების ხარისხის, პიროვნებისთვის ჯგუფის მნიშვნელოვნობის ინდექსები.



ნახ. 64

მეთოდური ხერხი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს ფსიქოლოგიური შეთავსებადობის პრობლემა და ის ხშირად გამოიყენება ოჯახური კონსულტაციის, ჯგუფური ფსიქოთერაპიისა და სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგის პრაქტიკაში.

გარშემომყოფებისადმი დამოკიდებულების ტიპები

I. ავტორიტარული

13-16 – დიქტატორული, ძალაუფლებიანი, დესპოტური ხასიათი, ძლიერი პიროვნების ტიპი, რომელიც ლიდერობს ჯგუფური საქმიანობის ყველა სახეში. ყველას არიგებს, მოძღვრავს, ვერ იღებს სხვების რჩევებს.

9-12 – დომინანტური, ენერგიული, კომპეტენტური, ავტორიტეტული ლიდერი, საქმეებში წარმატებული, უყვარს რჩევების მიცემა, მოითხოვს პატივისცემას.

0-8 – საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი, მაგრამ არა აუცილებლად ლიდერი, მტკიცე და შეუპოვარი.

II. ეგოისტური

13-16 – ცდილობს იყოს ყველასგან გამორჩეული, მაგრამ ამავდროულად, ყველასთან გვერდით მყოფი, პატივმოყვარე, ანგარიშიანი, დამოუკიდებელი, თავკერძა. სირთულეებს სხვებს აკისრებს, ბაქია და თვითკმაყოფილია.

0-12 – ეგოისტური თვისებები, ორიენტაცია საკუთარ თავზე, მიდრეკილება პაექრობისკენ.

III. აგრესიული

13-16 – ხისტი და მტრული გარშემომყოფებისადმი, სასტიკი, მკვეთრი, აგრესიულობა შეიძლება აღწევდეს ასოციალურ ქცევამდეც კი.

9-12 – მომთხოვნი, სწორხაზოვანი, გულღია, მკაცრი და მკვეთრი სხვების შეფასებაში, შეურიგებელი, ირონიული, გამაღიზიანებელი.

0-8 – ჯიუტი, შეუპოვარი, ენერგიული.

IV. ეჭვიანი

13-16 – გაუცხოებული მტრულ და ბოროტ სამყაროსთან დამოკიდებულებაში, ეჭვიანი, წყენია, ყველაფერში ეჭვის შემტანი, გულღრძო, მუდმივად ჩივის სხვებზე (ხასიათის შიზოიდური ტიპი).

9-12 – კრიტიკული, არაგულღია, სირთულეებს განიცდის ინტერპერსონალურ კონტაქტებში ცუდი დამოკიდებულების შიშითა და ეჭვით, ჩაკეტილი, სკეპტიკური, იმედგაცრუებული ადამიანებში, თავის ნეგატივიზმს აყვლენს ვერბალურ აგრესიაში.

0-8 – კრიტიკული ყველა სოციალური მოვლენისა და გარშემომყოფი ადამიანების მიმართ.

V. დაქვემდებარებული

13-16 – დამორჩილებული, მიდრეკილი თვითდამცირებისკენ, სუსტი ნებისყოფის, უთმობს ყველას და ყველაფერში, თავს ყოველთვის ბოლო ადგილზე აყენებს, პასიური, ცდილობს საყრდენის პოვნას უფრო ძლიერში.

9-12 – მორცხვი, მშვიდი, მიდრეკილია დაექვემდებაროს უფრო ძლიერს სიტუაციის გათვალისწინების გარეშე.

0-8 – მორცხვი, დამთმობი, ემოციურად თავშეკავებული, დამორჩილების უნარის მქონე, არ გააჩნია საკუთარი აზრი, პატიოსნად ასრულებს თავის ვალდებულებებს.

VI. დამოკიდებული

13-16 – საკუთარ თავში დაურწმუნებელი, გააჩნია აკვიატებული შიშები, შფოთავს ნებისმიერი მიზეზით, ამიტომ დამოკიდებულია სხვებზე, სხვის აზრზე.

9-12 – დამჯერი, მშიშარა, უძლური, არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა, გულწრფელად სჯერა, რომ სხვები ყოველთვის მართლები არიან.

0-8 – კონფორმული, რბილი, ელოდება დახმარებასა და რჩევებს, მიმნდობი, თავაზიანი, სხვებით აღტაცებისკენ მიდრეკილი.

VII. მეგობრული

9-16 – მეგობრული და თავაზიანი ყველასთან, ორიენტირებული მიღებასა და სოციალურ მოწონებაზე, ცდილობს დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნები, იყოს კარგი ყველასთვის სიტუაციის მიუხედავად, გააჩნია განდევნის და დათრგუნვის განვითარებული მექანიზმები, ემოციურად ლაბილური (ხასიათის ისტეროიდული ტიპი).

0-8 – მიდრეკილი თანამშრომლობისკენ, მოქნილი და კომპრომისული პრობლემების გადაწყვეტისას და კონფლიქტურ სიტუაციებში, ცდილობს ჰარმონიულად იყოს გარშემომყოფების აზრებთან, გაცნობიერებულად კონფორმული, მისდევს კარგი ტონის პრინციპებს, წესებს, ინიციატივიანი ენთუზიასტი ჯგუფის მიზნების მიღწევაში, ცდილობს იყოს ყურადღების ცენტრში, დაიმსახუროს აღიარება და სიყვარული, გულღია, ავლენს სითბოს და კეთილგანწყობას ურთიერთობებში.

VIII. ალტრუისტული

9-16 – პიპერპასუხისმგებლობის უნარის მქონე, ყოველთვის სწირავს თავის ინტერესებს, ცდილობს დაეხმაროს სხვებს, საკმაოდ აქტიურია გარშემომყოფებთან, საკუთარ თავზე იღებს სხვებზე პასუხისმგებლობას არაადექვატურად (შეიძლება იყოს ნილაბი, რომელიც მალავს საპირისპირო ტიპის პიროვნებას).

0-8 – პასუხისმგებლობის უნარის მქონე ადამიანებთან მიმართებაში, დელიკატური, რბილი, კეთილი, ემოციურ დამოკიდებულებას ადამიანების მიმართ ავლენს თანაგანცდაში, სიმპათიაში, ზრუნვაში, შეუძლია სხვების გამხნევება და დამშვიდება, გულისხმიერი და უმწიკვლო.

კითხვარის ტესტი

დაუსვით ნიშანი „+“ იმ განსაზღვრებებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს წარმოდგენას საკუთარი თავის შესახებ(თუ არ ხართ სრულად დარწმუნებული, არ დასვათ ნიშანი „+“).

I

1. სხვები მასზე კეთილგანწყობით ფიქრობენ.
2. ახდენს შთაბეჭდილებას გარშემომყოფებზე.
3. შეუძლია განკარგვა, ბრძანების გაცემა.
4. შეუძლია საკუთარი აზრის დაცვა.

II

5. გააჩნია ღირსების გრძნობა.
6. დამოუკიდებელია.
7. შეუძლია იზრუნოს საკუთარ თავზე.
8. შეუძლია იყოს გულგრილი.

III

9. შეუძლია იყოს მკაცრი.
10. მკაცრია, მაგრამ სამართლიანი.
11. შეუძლია იყოს გულწრფელი.
12. კრიტიკულია სხვების მიმართ.

IV

13. უყვარს ტირილი.
14. ხშირად სევდიანია.
15. შეუძლია უნდობლობის გამოვლენა.
16. ხშირად იმედგაცრუებულია.

V

17. შეუძლია იყოს თვითკრიტიკული.
18. შეუძლია საკუთარი შეცდომის აღიარება.
19. სიამოვნებით ექცევდებარება სხვებს.
20. დამთმობია.

VI

21. კეთილშობილია.
22. აღტაცებული და მიბაძვისკენ მიდრეკილი.
23. ანგარიშგასაწევია.
24. ეძებს მოწონებას.

VII

25. მიდრეკილი თანამშრომლობისკენ.
26. ცდილობს შეეგუოს სხვებს.
27. კეთილსასურველი, მეგობრული.
28. ყურადღებიანი და ალერსიანი.

VIII

29. დელიკატური.
30. მოწონების უნარის მქონე.
31. გულისხმიერი სხვების მხრიდან დახმარების შესახებ მოწოდების მიმართ.
32. უანგარო.

I

33. შეუძლია აღტაცების გამოწვევა.
34. სარგებლობს სხვებში პატივისცემით.
35. გააჩნია ხელმძღვანელის ტალანტი.
36. უყვარს პასუხისმგებლობა.

II

37. საკუთარ თავში დარწმუნებული
38. თავდაჯერებული და ჟინიანი.
39. საქმიანი და პრაქტიკული.
40. უყვარს შეჯიბრება.

III

41. მკაცრია იქ, სადაც საჭიროა.
42. ულმობელი, მაგრამ მიუკერძოებელი.
43. გამაღიზიანებელი
44. გულღია და სწორხაზოვანი.

IV

45. ვერ იტანს, როცა მას მართავენ.
46. სკეპტიკური.
47. მასზე ძნელია შთაბეჭდილების მოხდენა.
48. წყენია და პუნქტუალური.

V.

49. ადვილად ცდუნდება.
50. არათაედაჯერებული.
51. დამთმობი.
52. მორიდებული.

VI.

53. ხშირად მიმართავს სხვების დახმარებას.
54. ძალიან სცემს პატივს ავტორიტეტებს.
55. სიამოვნებით იღებს რჩევებს.
56. მიმნდობია და ცდილობს სხვების გახარებას.

VII.

57. ყოველთვის თავაზიანი.
58. უფრთხილდება სხვების აზრს.
59. გულღია და შემგუებელი.
60. გულკეთილი.

VIII.

61. კეთილი, იმედის მომცემი
62. ნაზი და გულჩვილი.
63. უყვარს სხვებზე ზრუნვა.
64. შეუბღალავი, გულუხვი.

I.

65. უყვარს რჩევების მიცემა.
66. ახდენს მნიშვნელობის მქონე ადამიანის შთაბეჭდილებას.
67. მბრძანებლური.
68. ძალაუფლებიანი.

II.

69. ბაქია
70. ქედმაღალი და თვითკმაყოფილი.
71. ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე.
72. ეშმაკი და ანგარიშიანი.

III.

73. ვერ იტანს სხვების შეცდომებს.
74. ანგარებიანი.
75. გულღია.
76. ხშირად არამეგობრული.

IV.

77. გაბოროტებული.
78. მომჩივანი.
79. ეჭვიანი.
80. დიდხანს იღებს გულში წყენას.

V.

81. მიდრეკილი თვითგვემისკენ.
82. მორიდებული.
83. უნიციატიეო.
84. მშვიდი.

VI.

85. დამოკიდებული, არადამოკიდებული.
86. უყვარს მორჩილება.
87. სხვებს უთმობს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.
88. ადვილად ებმება ხათაბალაში.

VII.

89. ადვილად ექცევა მეგობრების გავლენის ქვეშ
90. მზადაა უნდოს ნებისმიერს.
91. კეთილგანწყობილია ყველას მიმართ.
92. ყველას მიმართ სიმპათიითაა გამსჭვალული.

VIII.

93. პატიობს ყველაფერს.
94. გააჩნია ზედმეტი თანაგრძნობის უნარი.
95. დიდსულოვანი და ნაკლოვანებების ამტანი.
96. ცდილობს მფარველობა გაუწიოს სხვებს.

I.

97. მიისწრაფვის წარმატებისკენ.
98. აღტაცებას ელის თითოეულისგან.
99. განკარგავს სხვებს.
100. დესპოტური.

II.

101. სნობი (ადამიანებზე მსჯელობს რანგისა და პირადი თვისებების მიხედვით).
102. ქედმაღალი.
103. ეგოისტური.
104. გულცივი, გულქვა.

III.

105. გესლიანი, დამცინავი.
106. ბოროტი, სასტიკი.
107. ხშირად აღშფოთებული.
108. გულგრილი, უგრძნობელი.

IV.

109. გულღრძო.
110. წინააღმდეგობებით აღსავსე.
111. ჯიუტი.
112. ეჭვიანი, მიუნდობელი.

V.

113. მშვიდი.
114. მორცხვი.
115. გამოირჩევა ზედმეტი მზადყოფნით.
116. უნიათო.

VI.

117 თითქმის არასდროს და არავის არ უწევს წინააღმდეგობას.
118. არა აბეზარი.
119. უყვარს, როცა მასზე ზრუნავენ.
120. ზედმეტად მიმნდობი.

V.

121. ცდილობს მოიპოვოს ყველას კეთილგანწყობა.
122. ეთანხმება ყველას.
123. ყოველთვის მეგობრული.
124. უყვარს ყველა.

VIII.

125. საკმაოდ შემწყნარებელი გარშემომყოფების მიმართ.
126. ცდილობს დაამშვიდოს ყველა.
127. ზრუნავს სხვებზე საკუთარი თავის საზიანოდაც კი.
128. ადამიანებს აფუჭებს ზედმეტი სიკეთით.

Q – დახარისხების" მეთოდიკა

მოცემული მეთოდური ხერხი გამოიყენება საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენების შესასწავლად. ის შემუშავებულია ვ. სტეფანსონის მიერ და გამოქვეყნდა 1958 წ.

ცდის პირს სთავაზობენ ბარათებს, სადაც აღნიშნული მტკიცებები ან პიროვნების თვისებების დასახელები. საჭიროა მათი დაჯგუფება მისთვის ყველაზე დამახასიათებლიდან ნაკლებად დამახასიათებლამდე. მეთოდიკის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მასთან მუშაობისას ცდის პირი ავლენს ინდივიდუალობას, რეალურ მე-ს და არა სხვა ადამიანების შედეგებთან და სტატისტიკურ ნორმებთან შესაბამისობა-შეუსაბამობას. შესაძლებელია ბარათების იმავე ნაკრების განმეორებითი დახარისხებაც, მაგრამ სხვა მიმართულებებით;

–სოციალური მე (როგორც მხედავენ სხვები);

–იდეალური მე (როგორიც მინდა ვიყო);

– აქტუალური მე (როგორი ვარ სხვადასხვა სიტუაციაში);

– მნიშვნელოვანი სხვები (როგორადაც ვხედავ პარტნიორს);

– იდეალური პარტნიორი (როგორიც მინდა იყოს ჩემი პარტნიორი).

მეთოდიკა განსაზღვრავს ადამიანის ქცევის 6 ძირითად ტენდენციას რეალურ ჯგუფში: დამოკიდებულება, დამოუკიდებლობა, გულღიაობა, გულჩათხრობილობა, ბრძოლის მიღება და ბრძოლისთვის თავის არიდება. ადამიანის დამოკიდებულების ტენდენცია განსაზღვრულია, როგორც ინდივიდის შინაგანი სწრაფვა ჯგუფური სტანდარტების და ფასეულობების (სოციალურის და მორალურ-ეთიკურის) მიღებისაკენ. გულღიაობის ტენდენცია მოწმობს კონტაქტურობას, როგორც ჯგუფში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. **ტენდენცია ბრძოლისკენ — პიროვნების აქტიური სწრაფვა მონაწილეობა მიიღოს ჯგუფის ცხოვრებაში, მიიღოს მაღალი სტატუსი პიროვნებათშორისი ურთიერთდამოკიდებულებების სისტემაში; ამ ტენდენციის საპირისპირო — ბრძოლისათვის თავის არიდება გვიჩვენებს ურთიერთქმედებაზე უარის თქმას, ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას ჯგუფურ დაძაბულობებსა და კონფლიქტებში,** მიდრეკილებას კომპრომისული გადაწყვეტილებებისაკენ. თითოეულ ამ ტენდენციას გააჩნია შინაგანი და გარეგანი მახასიათებელი ანუ დამოკიდებულება, გულღიაობა და ბრძოლა შეიძლება იყოს ნამდვილი, პიროვნებისთვის შინაგანად მახასიათებელი და ასევე გარეგანი — თავისებური ნიღაბი, რომელიც მალავს ადამიანის ნამდვილ სახეს. თუ დადებითი პასუხების რიცხვი თითოეულ წყვილში (დამოკიდებულება-დამოუკიდებლობა, გულღიაობა-გულჩათხრობილობა, ბრძოლის მიღება — ბრძოლისთვის თავის არიდება უახლოვდება 20, ჩვენ ვსაუბრობთ ამა თუ იმ ტენდენციის ნამდვილ უპირატესობაზე ინდივიდში.

კვლევა ტარდება შემდეგნაირად, ცდის პირს სთავაზობენ შეხედულებების ბარათს და თუ ის პასუხობს „დიახ“, ის შეესაბამება მის წარმოდგენას საკუთარი თავის, როგორც მოცემული კონკრეტული ჯგუფის წევრის შესახებ. თუ ის პასუხობს „არა“, ის ეწინააღმდეგება მის წარმოდგენას. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია ნებადართული „ეჭვი მეპარება“ პასუხის გაცემა ანუ ბარათები უნდა დაიყოს პასუხების 3 ჯგუფად. ცდის პირის პასუხები ჯამდება გასაღების მიხედვით. რამდენადაც ერთი თვისების უარყოფა წარმოადგენს პოლარული თვისების აღიარებას, პასუხების „დიახ“ რაოდენობა ჯამდება „არა“ პასუხების რაოდენობასთან საპირისპირო ტენდენციით.

შედეგად ვიღებთ ჯამურ რაოდენობრივ განსაზღვრას თითოეული ჩამოთვლილი ტენდენციისთვის. +1-დან —1-მდე საზღვრებში შედეგების მოთავსებისთვის მიღებულ რიცხვს ვყოფთ 10-ზე. პასუხს „დიახ“ გააჩნია დადებითი ნიშანი, პასუხს „არა“ — უარყოფითი. 3-4 პასუხი „ეჭვი მეპარება“ ცალკეულ ტენდენციებზე ფასდება, როგორც გაუბედაობის, ასთენიურობის, თავის არიდების ნიშანი. თუმცა, სხვა შემთხვევებში ის ადასტურებს ცნობილ არჩევითობას ქცევაში, ტაქტიკურ მოქნილობას, სტენიურობას.

შესაძლებელია ნულოვანი შეფასებაც, როცა პასუხები „დიახ“ და „არა“ ჯამი ერთმანეთს ემთხვევა. სწორედ ასეთი მდგომარეობა შეიძლება იყოს პიროვნების შინაგანი კონფლიქტის წყარო.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს მოცემული მეთოდიკის გამოყენების ურთიერთშეფასების სახით, საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენების ჯგუფის შიგნით თითოეულის შესახებ თითოეულის აზრთან შედარებისთვის.

კითხვარის ტესტი

1. კრიტიკულია გარშემო მყოფი ამხანაგების მიმართ.
2. წარმოიქმნება შფოთვა, როცა ჯგუფში იწყება კონფლიქტი.
3. ასრულებს ლიდერის რჩევებს.
4. არაა მიდრეკილი დაამყაროს საკმაოდ ახლო ურთიერთობები ამხანაგებთან.
5. მოსწონს ჯგუფში მეგობრობა.
6. მიდრეკილია წინააღმდეგობა გაუწიოს ლიდერს.
7. განიცდის სიმპათიას ჯგუფის 1-2 წევრის მიმართ.
8. თავს არიდებს შეხვედრებსა და შეკრებებს ჯგუფში.
9. მოსწონს ლიდერის შექება.
10. დამოუკიდებელია მსჯელობაში და ქცევის მანერაში.
11. მზადაა დავაში რომელიმე მხარი დაიკავოს.
12. მართავს ამხანაგებს.
13. უხარია ურთიერთობა ერთ-ორ მეგობართან.
14. გარეგნულად მშვიდია ჯგუფის წევრების მხრიდან მტრობის გამოვლენისას.
15. ინარჩუნებს ჯგუფის განწყობილებას.
16. მნიშვნელობას არ ანიჭებს ჯგუფის წევრების პირად თვისებებს.
17. ჯგუფს აშორებს მისი მიზნებისგან.
18. განიცდის კმაყოფილებას, როცა უპირისპირდება ლიდერს.
19. სურს დაახლოება ჯგუფის ზოგიერთ წევრთან.
20. ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს დავაში.
21. მოსწონს, როცა ლიდერი აქტიურია და კარგად მართავს.
22. უპირატესობას ანიჭებს უთანხმოების ციცი გონებით განხილვას.

23. არასაკმარისად თავშეკავებულია გრძნობების გამოხატვაში.

24. ცდილობს ირგვლივ შემოიკრიბოს თანამოაზრეები.

25. უკმაყოფილოა საკმაოდ ფორმალური ურთიერთობებით.

26. როცა ბრალს სდებენ, იბნევა და ჩუმადაა.

27. უპირატესობას ანიჭებს ძირითად მიმართულებებთან დათანხმებას.

28. მთლიანად ჯგუფთან უფრო მიჯაჭვულია, ვიდრე გარკვეულ ამხანაგებთან.

29. შეუძლია დავის გაჭიანურება და გამწვავება.

30. ცდილობს იყოს ყურადღების ცენტრში.

31. სურს იყოს უფრო ეიწრო დაჯგუფების წევრი.

32. მიდრეკილია კომპრომისებისკენ.

33. განიცდის შინაგან შთოფვას, როცა ლიდერი მისი მოლოდინების საპირისპიროდ იქცევა.

34. მტკივნეულად განიცდის ამხანაგების შენიშვნებს.

35. შეუძლია იყოს ეშმაკი და შეპარვითი.

36. მიდრეკილია საკუთარ თავზე აიღოს ჯგუფში ხელმძღვანელობა.

37. ჯგუფში გულღიაა.

38. განიცდის ნერვულ დაძაბულობას ჯგუფური უთანხმოების დროს.

39. უპირატესობას ანიჭებს იმას, რომ ლიდერმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს სამუშაოების დაგეგმვისას.

40. იგივეთი არ პასუხობს კეთილმეგობრულ გამოვლინებას.

41. მიდრეკილია გაბრაზდეს ამხანაგებზე.

42. ცდილობს სხვები განაწყოს ლიდერის წინააღმდეგ.

43. ადვილად აბამს ნაცნობობას ჯგუფის ფარგლებს გარეთ.

44. ცდილობს თავი აარიდოს დავაში ჩართულობას.

45. ადვილად ეთანხმება ჯგუფის სხვა წევრების ვარაუდებს.

46. წინააღმდეგობას უწევს ჯგუფში დაჯგუფებების წარმოქმნას.

47. დამცინავი და ირონიულია, როცა გაღიზიანებულია.

48. განიცდის ზიზღს იმათ მიმართ, ვისაც სურს გამორჩეული იყოს.

49. უპირატესობას ანიჭებს მცირე, მაგრამ უფრო ინტიმურ ჯგუფს.

50. ცდილობს არ აჩვენოს თავისი ნამდვილი გრძნობები.

51. დგება ლიდერის მხარეს ჯგუფური უთანხმოებისას.

52. ინიციატივიანია ურთიერთობაში კონტაქტების დამყარებაში.

53. თავს არიდებს ამხანაგების გაკრიტიკებას.

54. უფრო მიმართავს ლიდერს, ვიდრე სხვებს.

55. არ მოსწონს, რომ ჯგუფში დამოკიდებულებები საკმაოდ ფამილარულია.

56. უყვარს დავის წამოწყება.

57. ცდილობს ჯგუფში შეინარჩუნოს თავისი მაღალი მდგომარეობა.

58. ერევა ამხანაგთა კონტაქტებში და არღვევს მათ.

59. მიდრეკილია აყალ-მაყალისკენ, შარიანია.

60. მიდრეკილია გამოხატოს ლიდერით უკმაყოფილება.

გასაღები

1. დამოკიდებულება	**3, 9, 15, 21, 27, 33, 39, 45, 51, 54**
2. დამოუკიდებლობა	**6, 12, 18, 24, 30, 36, 42, 48, 57, 60**
3. გულღიაობა	**5, 7, 13, 19, 25, 31, 37, 43, 49, 52**
4. გულჩათხრობილობა	**4, 10, 16, 22, 28, 34, 40, 46, 55, 58**
5. ბრძოლის მიღება	**1, 11, 17, 23, 29, 35, 41, 47, 56, 59**
6. ბრძოლისთვის თავის არიდება	**2, 8, 14, 20. 26, 32, 38, 44, 50, 53**

კ. ტომასის ძალვის ალწერის ტესტი

კონფლიქტური მოვლენების შესწავლისას კ. ტომასმა აქცენტი გააკეთა კონფლიქტებისადმი ტრადიციული დამოკიდებულების ცვლილებაზე. ფართოდ იყენებდა რა ტერმინს „კონფლიქტების გადაწყვეტა“, ის ხაზს უსვამდა იმას, რომ კონფლიქტის გადაჭრა შეიძლება და აუცილებელია. კონფლიქტების გადაწყვეტის მიზანი იყო გარკვეული იდეალური უკონფლიქტო მდგომარეობა, სადაც ადამიანები მუშაობენ სრულ ჰარმონიაში. **თუმცა, ბოლო ხანებში მოხდა არსებითი ცვლილება ამ ასპექტთან მიმართებაში. ის კ. ტომასის აზრით, გამოწვეული იყო ორი გარემოებით: კონფლიქტების სრული ელიმინაციის (გადაწყვეტა) ძალისხმევის ამაოების გაცნობიერებით და კონფლიქტების პოზიტიურ ფუნქციებზე მიმთითებელი კვლევების რაოდენობის ზრდით.** ამდენად, აქცენტი კონფლიქტების

ელიმინაციიდან უნდა გადავიტანოთ მათ მართეაზე. კ. ტომასი საჭიროდ თელის ყურადღების კონცენტრირებას კონფლიქტების შესწაელის შემდეგ ასპექტებზე: კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის რა ფორმებია დამახასიათებელი ადამიანებისთვის, რომელი მათგანია ნაყოფიერი ან დესტრუქციული; როგორაა შესაძლებელი ნაყოფიერი ქცევის სტიმულირება.

კ. ტომასი კონფლიქტურ სიტუაციებში ადამიანის ქცევის ტიპების აღწერისთვის მისაღებად მიიჩნევს კონფლიქტების რეგულირების ორგანზომილებიან მოდელს, სადაც ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს კოოპერაცია, დაკავშირებული კონფლიქტში ჩართული სხვა ადამიანების ინტერესებისადმი ადამიანის ყურადღებასთან და შეუპოვრობა საკუთარი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით. კ. ტომასი ამ ორი ძირითადი განზომილების შესაბამისად გამოყოფს კონფლიქტების რეგულირების შემდეგ ხერხებს:

1) შეჯიბრება (კონკურენცია), როგორც საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების სურვილი სხვების საზიანოდ;

2) შეგუება, რაც პაექრობის საპირისპიროდ ნიშნავს საკუთარი ინტერესების გაწირვას სხვების გამო;

3) კომპრომისი;

4) თავის არიდება, რომლისთვისაც დამახასიათებელია, როგორც კოოპერაციის სურვილის ასევე საკუთარი მიზნების მიღწევისკენ ტენდენციის არქონა;

5) თანამშრომლობა, როცა სიტუაციის მონაწილეები მიდიან ალტერნატივამდე, რაც სრულად აკმაყოფილებს ორივე მხარის ინტერესებს.



კ. ტომასი თელის, რომ კონფლიქტისთვის თავის არიდებით არც ერთი მხარე არ აღწევს წარმატებას ქცევის ისეთი ფორმების დროს, როგორიცაა კონკურენცია, შეგუება და კომპრომისი ან ერთ-ერთი მონაწილე მოგებულია, ხოლო მეორე წაგებული ან ორივე აგებს, როცა მიდიან კომპრომისულ დათმობებზე. მხოლოდ თანამშრომლობის სიტუაციაშია ორივე მხარე მოგებული.

კ. ტომასი ქცევის ტიპიური ფორმების გამოვლენის კითხვარში აღწერს კონფლიქტურ სიტუაციაში ინდივიდის ქცევის შესახებ 12 შეხედულების ხუთი შესაძლო ვარიანტიდან თითოეულს. ისინი 30 წყვილადაა დაჯგუფებული, რომელთაგან თითოეულში რესპონდენტმა უნდა აირჩიოს ის შეხედულება, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ტიპიურს მისი ქცევის დახასიათებისთვის.

კითხვარი

1.

A. ზოგჯერ სხვებს ვუთმობ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობას სადავო საკითხის გადაწყვეტაზე.

B. ვცდილობ ყურადღება მივაქციო იმას, რასაც ორივე არ ეთანხმებით, ვიდრე იმას, რაშიც ვერ ეთანხმებით.

2.

A. ვცდილობ ვიპოვო კომპრომისული გადაწყვეტილება.

B. ვცდილობ საქმის მოგვარებას სხვებისა და ჩემი ინტერესების გათვალისწინებით.

3.

A. ჩვეულებრივ შეუპოვრად ვიბრძვი ჩემი მიზნების მისაღწევად.

B. ვცდილობ დავამშვიდო სხვა და ძირითადად შევინარჩუნო ჩვენი ურთიერთობები.

4.

A. ვცდილობ მივიღო კომპრომისული გადაწყვეტილება.

B. ზოგჯერ ვწირავ საკუთარ ინტერესებს სხვა ადამიანის ინტერესების გამო.

5.

A. ვაგვარებ სადავო სიტუაციას, ყოველთვის ვცდილობ მხარდაჭერის პოვნას სხვაში.

B. ვცდილობ გავაკეთო ყველაფერი, რათა თავიდან ავიცილო დაძაბულობა.

6.

A. ვცდილობ თავიდან ავიცილო უსიამოვნებები.

B. ეცდილობ ყველაფერს მივაღწიო.

7

A. ვცდილობ სადავო საკითხის გადაწყვეტა გადავდო, რათა ის დროთა განმავლობაში გადავჭრა საბოლოოდ.

B. შესაძლებლად მიმაჩნია რაღაცაში დათმობა, რათა მეორე რამეს მივაღწიო.

8.

A. ჩვეულებრივ შეუპოვრად მივისწრაფვი მიზნის მისაღწევად.

B. პირველად ვცდილობ მკაფიოდ განვსაზღვრო ის, თუ რაში მდგომარეობს ყველა წამოწეული საკითხი და ინტერესი.

9.

A. ვფიქრობ, ყოველთვის არ ღირს აღელვება უთანხმოებების გამო.

B. ვიყენებ ძალისხმევას, რათა მივაღწიო მიზანს.

10.

A. მტკიცედ ვცდილობ ყველაფრის მიღწევას.

B. ვცდილობ ვიპოვო კომპრომისული გადაწყვეტილება.

11.

A. პირველ რიგში ვცდილობ მკაფიოდ გავარკვიო ის, თუ რაში მდგომარეობს ყველა წამოწეული საკითხი და ინტერესი.

B. ვცდილობ დავამშვიდო სხვა და ძირითადად, შევინარჩუნო ჩვენი ურთიერთობები.

12.

A. ხშირად თავს ვარიდებ იმ პოზიციის დაკავებას, რომელიც გამოიწვევს დავას.

B. სხვას ვაძლევ შესაძლებლობას რაღაცაში დარჩეს თავის აზრზე, თუ ისიც მოდის ჩემთან შეხვედრაზე.

13.

A. მე ვაყენებ საშუალო პოზიციას.

B. დაჟინებით მოვითხოვ, რომ გაკეთდეს ისე, როგორც მე მინდა.

14.

A. სხვას ვაცნობ ჩემს აზრს და ვეკითხები მათ შეხედულებებზე.

B. ვცდილობ სხვას დავანახო ჩემი შეხედულებების ლოგიკა და უპირატესობა.

15.

A. ვცდილობ დავამშვიდო სხვა და ძირითადად, შევინარჩუნო ჩვენი ურთიერთობები.

B. ვცდილობ ყველაფერი გავაკეთო დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად.

16.

A. ვცდილობ არ შევეხო სხვის გრძნობებს.

B. ვცდილობ სხვა დავარწმუნო ჩემი პოზიციის უპირატესობებში.

17.

A. ჩვეულებრივ დაჟინებით ვცდილობ ჩემი მიზნის მიღწევას.

B. ვცდილობ ყველაფერი გავაკეთო, რათა ავიცილო თავიდან უსარგებლო დაძაბულობა.

18.

A. თუ ეს სხვას ბედნიერს გახდის, მას მივცემ შესაძლებლობას იდგეს თავის პოზიციაზე.

B. სხვას ვაძლევ შესაძლებლობას რაღაცაში დარჩეს საკუთარ აზრზე, თუ ისიც მოდის ჩემთან შეხვედრაზე.

19.

A. პირველ რიგში ვცდილობ მკაფიოდ განვსაზღვრო ის,თუ რაში მდგომარეობს ყველა წამოწეული სადაო საკითხი და ინტერესი.

B. ვცდილობ გადავდო სადაო საკითხის გადაწყვეტა, რათა დროთა განმავლობაში საბოლოოდ გადავჭრა ის.

20.

A. ვცდილობ დაუყოვნებლივ დაეძლიო ჩვენი ურთიერთობები.

B. ვცდილობ ვიპოვო ყველასთვის სარგებლისა და დანაკარგის საუკეთესო შეთავსება.

21.

A. მოლაპარაკებებისას ვცდილობ ვიყო ყურადღებით სხვების სურვილების მიმართ.

B. ყოველთვის ვიხრები პრობლემის პირდაპირი განხილვისკენ.

22.

A. ვცდილობ ვიპოვო პოზიცია,რომელიც საშუალოა ჩემს პოზიციასა და სხვა ადამიანის თვალსაზრისს შორის.

B. ვიცავ საკუთარ სურვილებს.

23.

A. ვფიქრობ თითოეულის სურვილის დაკმაყოფილებაზე.

B, ზოგჯერ სხვებს ვაძლევ შესაძლებლობას აიღონ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის სადაო საკითხის გადაწყვეტაზე.

24.

A. თუ სხვისი პოზიცია მას ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვცდილობ გაეითვალისწინო მისი სურვილები.

B. ვცდილობ დავარწმუნო სხვა მივიდეს კომპრომისამდე.

25.

A. ვცდილობ დავუმტკიცო სხვას ჩემი შეხედულების ლოგიკა და უპირატესობები.

B. მოლაპარაკებებისას, ვცდილობ ყურადღებით მივუდგე სხვის სურვილებს.

26.

A. მე ვაყენებ საშუალო პოზიციას.

B. თითქმის ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, რომ დავაკმაყოფილო თითოეული ჩვენგანის სურვილი.

27.

A. ვცდილობ თავი ავარიდო პოზიციის დაკავებას, რომელსაც შეუძლია დავის წარმოქმნა.

B. თუ ეს სხვას გახდის ბედნიერს, მიეცემ მას შესაძლებლობას დაიცვას საკუთარი აზრი.

28.

A. ჩვეულებრივ, შეუპოვრად მივისწრაფვი საკუთარი მიზნის მისაღწევად.

B. სიტუაციის მოგვარებისას, ჩვეულებრივ ვცდილობ ვიპოვო მხარდაჭერა სხვაში.

29.

A. მე ვაყენებ საშუალო პოზიციას.

B. ვფიქრობ, რომ ყოველთვის არ ღირს აღელვება რაღაც უთანხმოების გამო.

30.

A. ვცდილობ არ შევეხო სხვის გრძნობებს.

B. ყოველთვის ვიკავებ ისეთ პოზიციას სადავო საკითხში, რათა სხვა დაინტერესებულ ადამიანთან ერთად შევძლოთ წარმატების მიღწევა.

გასაღები

№	პაექრობა	თანამშრომლობა	კომპრომისი	თავის არიდება	შეგუება
1				A	B
2		B	A		
3	A				B
4			A		B
5					
6	B			A	
7			B	A	
8	A	B			
9	B			A	
10	A		B		
11	A				B
12				B	A
13	B		A		
14	B	A			
15				B	A
16	B				A
17	A			B	
18			B		A
19		A		B	
20		A	B		
21		B			A
22	B		A		
23		A		B	
24			B		A
25	A				B
26		B	A		
27				A	B
28	A	B			
29			A	B	
30			A	B	

ინდივიდის მიერ თითოეულ სკალაზე შეგროვებული ქულების რაოდენობა იძლევა წარმოდგენას მასში, კონფლიქტურ სიტუაციებში, ქცევის შესაბამისი ფორმების გამოელენის ტენდენციის გამოხატულების შესახებ.

აგრესიის მდგომარეობის დიაგნოსტიკა („ბასა-დარკის“ კითხვარი)

ტერმინი „აგრესია“ საკმაოდ ხშირად გამოიყენება ფართო კონტექსტში და ამიტომაც, საჭიროებს სერიოზულ გადახალისებას მთელი რიგი შრეების და ცალკეული აზრების მოცილების მხრივ.

სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად განსაზღვრავს აგრესიასა და აგრესიულობას: როგორც ადამიანის თანდაყოლილ რეაქციას „დაკავებული ტერიტორიის დაცვისთვის“ (ლორენდი; არდრი); როგორც სწრაფვას ბატონობისკენ (მორისონი); პიროვნების რეაქციას ადამიანის გარემომცველ მტრულ სინამდვილეზე (ხორნი, ფრომი). დიდი გავრცელება ჰპოვა აგრესიისა და ფრუსტრაციის დამაკავშირებელმა თეორიებმა (მალერი, დუმი, დოლარდი).

აგრესიულობის ქვეშ შეგვიძლია ვიგულისხმოთ პიროვნების თვისება, რომელიც ხასიათდება დესტრუქციული ტენდენციების არსებობით სუბიექტურ-ობიექტური დამოკიდებულებების სფეროში. როგორც ჩანს, დესტრუქციული კომპონენტი წარმოადგენს აუცილებელს შემოქმედებით საქმიანობაში, რამდენადაც ინდივიდუალური განვითარების მოთხოვნილებები ადამიანში აყალიბებს დაბრკოლებების აღმოფხვრისა და მოშლის უნარს.

აგრესიულობას გააჩნია თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები. ასევე, მას გააჩნია გამოხატვის სხვადასხვა ხარისხი სრული არარსებობიდან მის უკიდურეს განვითარებამდე. თითოეულ პიროვნებას უნდა ჰქონდეს აგრესიულობის გარკვეული ხარისხი. მისი უქონლობა იწვევს პასიურობას, კონფორმულობას და ა.შ. მისი ზედმეტად განვითარება განსაზღვრავს პიროვნების მთელ სახეს, რაც შეიძლება

იყოს კონფლიქტური, შეგნებული კოოპერაციის უნარის არმქონე და ა.შ. თავისთავად, აგრესიულობა არ ხდის სუბიექტს შეგნებულად საშიშს, რამდენადაც არსებითი კავშირი აგრესიულობასა და აგრესიას შორის არ წარმოადგენს მკაცრს. ყოველდღიურ ცხოერებაში აგრესიულობა წარმოადგენს ბოროტი ზრახვით აქტიურობის სინონიმს. თუმცა, თავისთავად, დესტრუქციულ ქცევას არ გააჩნია ბოროტი განზრახვა. ასეთს მას ხდის ის ფასეულობები, რომლის მიღწევისთვისაც იყენებს ის აქტიურობას.

აგრესიული გამოვლინებები იყოფა ორ ძირითად ტიპად: **პირველი – მოტივაციური აგრესია, როგორც თვითფასეულობა, მეორე – ინსტრუმენტული, როგორც საშუალება.** პრაქტიკულ ფსიქოლოგებს უფრო აინტერესებთ მოტივაციური აგრესია, როგორც პიროვნებისთვის დამახასიათებელი დესტრუქციული ტენდენციების რეალიზაციის პირდაპირი გამოვლენა. ასეთი დესტრუქციული ტენდენციების დონის განსაზღვრისას დიდი ალბათობით ხდება ღია მოტივაციური აგრესიის გამოვლენის შესაძლებლობის პროგნოზი. ერთ-ერთ ასეთ დიაგნოსტიკურ პროცედურას წარმოადგენს ბასა-დარკის კითხვარი.

ა. ბასმა გამოყნა აგრესიისა და მტრობის ცნებები და ეს უკანასკნელი ასე განსაზღვრა: „... რეაქცია, რომელიც ანვითარებს ადამიანებისა და მოვლენების ნეგატიურ შეფასებებსა და ნეგატიურ გრძნობებს". ა. ბასმა და ა. დარკმა აგრესიისა და მტრობის დიფერენციაციისას გამოყვეს შემდეგი სახის რეაქციები:

1) ფიზიკური აგრესია – ფიზიკური ძალის გამოყენება სხვა პირის წინააღმდეგ;

2) ირიბი აგრესია – აგრესია, რომელიც შემოვლითი გზითაა მიმართული სხვა პირზე ან ეისზეც არაა მიმართული;

3) გაღიზიანება – მცირედი გაღიზიანებისას ნეგატიური გრძნობების გამოვლენის მზადყოფნა;

4) ნეგატივიზმი – ოპოზიციური მანერა ქცევაში პასიური წინააღმდეგობიდან აქტიურ ბრძოლამდე ჩამოყალიბებული ჩვევებისა და კანონების წინააღმდეგ;

5) წყენა – სიძულვილი და შური გარშემომყოფების მიმართ ნამდვილ და გამოგონილ ქმედებებზე;

6) ეჭვიანობა – უნდობლობიდან და სიყვარულიდან ადამიანების მიმართ იმაში დარწმუნებამდე, იმ დიაპაზონში, რომ სხვა ადამიანები გეგმაენ და იწვევენ ზიანს;

7) ვერბალური აგრესია – ნეგატიური გრძნობების, როგორც ფორმების (ყვირილი, წივილ-კივილი), ასევე სიტყვიერი პასუხების შინაარსის (წყევლა, მუქარა) მეშვეობით;

8) დანაშაულის გრძნობა, რომელიც გამოხატავს სუბიექტის შესაძლო დარწმუნებას იმაში, რომ ის წარმოადგენს ცუდ ადამიანს, რომ ბოროტად იქცევა, ასევე სინდისის ქენჯნის შეგრძნება.

კითხვარი შედგება 75 მტკიცებისგან, რომლებზეც ცდის პირი პასუხობს „დიახ" ან „არა".

კითხვარი

	დიახ	არა
1. დროდადრო არ შემიძლია გავუმკლავდე სხვებისთვის ზიანის მიყენების სურვილს.		
2. ზოგჯერ ვეჭორაობ ადამიანებზე, რომლებიც არ მიყვარს.		
3. ადვილად ვღიზიანდები, მაგრამ სწრაფად ვმშვიდდები.		
4. თუ არ მთხოვენ, მაშინ არ ვასრულებ.		
5. ყოველთვის არ ვიღებ იმას, რაც მისაღებია.		
6. არ ვიცი, რომ ადამიანები ჩემზე ზურგს უკან საუბრობენ		
7. თუ არ მომწონს მეგობრების ქცევა, მათ ამას ვაგრძნობინებ		
8. როცა მიხდებოდა ვინმეს მოტყუება, სინდისის ქენჯნას განვიცდიდი.		
9. ვფიქრობ, რომ არ შემიძლია ხელი გავარტყა ადამიანს.		
10. არასდროს ვღიზიანდები იმდენად, რომ საგნები ვისროლო.		
11. ყოველთვის შემწყნარებელი ვარ სხვისი ნაკლოვანებების მიმართ.		
12. თუ არ მომწონს დადგენილი წესი, მისი დარღვევა მინდა.		
13. სხვებს თითქმის ყოველთვის შეუძლიათ ხელსაყრელი გარემოებებით სარგებლობა.		
14. ფრთხილი ვარ იმ ადამიანებთან, რომლებიც უფრო მეგობრულად მეპყრობიან, ვიდრე მოველოდი.		
15. ხშირად არ ვეთანხმები ადამიანებს.		
16. ზოგჯერ თავში სამარცხვინო აზრები მომდის.		
17. თუ ვინმე დამარტყამს პირველი, პასუხს არ გავცემ.		

18. როცა ვღიზიანდები, კარებს ვიჯახუნებ.		
19. მე უფრო გამაღიზიანებელი ვარ, ვიდრე ეს ჩანს.		
20. თუ ვინმე თავს უფროსად წარმოსახავს, ყოველთვის საწინააღმდეგოდ ვიქცევი.		
21. ჩემი ბედით რამდენადმე შეწუხებული ვარ		
22. ვფიქრობ, რომ ბევრ ადამიანს არ ვუყვარვარ.		
23. თავს ვერ ვიკავებ კამათისგან, თუ ადამიანები არ მეთანხმებიან.		
24. საშუაოსთვის თავის ამრიდებელი პირები სინდისის ქენჯნას უნდა გრძნობდნენ.		
25. ვინც შეურაცხყოფას მაყენებს მე და ჩემს ოჯახს, ჩხუბის მიზეზს ეძებს.		
26. არ შემიძლია უხეში ხუმრობები.		
27. ვცოფდები, როცა დამცინიან.		
28. როცა ადამიანები უფროსობას იწყებენ, ვცდილობ ისინი არ გაყოყოჩდნენ.		
29. თითქმის ყოველ კვირას ეხვდები ვინმეს, ვინც არ მომწონს.		
30. საკმაოდ ბევრს შურს ჩემი.		
31. ვითხოვ, რომ ადამიანები პატივს მცემდნენ.		
32. მთრგუნავს ის, რომ მცირედს ვუკეთებ ჩემს მშობლებს.		
33. ადამიანები, რომლებიც მუდმივად ტრაბახობენ, ღირსი არიან მიიღონ სათანადო.		
34. არასდროს არ ვარ სიბრაზისგან პირქუში.		
35. თუ უფრო უარესად მეპყრობიან, ვიდრე ამას ვიმსახურებ, ამაზე არ ვწუხვარ.		
36. თუ ვინმეს წყობიდან გამოვყავარ, ამას ყურადღებას არ ვაქცევ.		
37. შემიძლია შემთხვევების გახსენება, როცა იმდენად გაბოროტებული ვიყავი, რომ ვტეხდი იმ ნივთს, რომელიც ხელში მომხვდებოდა.		
38. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ მზად ვარ პირველმა წამოვიწყო ჩხუბი.		
39. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ცხოვრება უსამართლოდ მექცევა.		
40. ადრე ვფიქრობდი, რომ ადამიანების უმრავლესობა სიმართლეს ამბობდა, მაგრამ ახლა ამის არ მჯერა.		
41. მე მხოლოდ ბოროტებასთან ვიბრძვი.		
42. როცა არასწორად ვიქცევი, სინდისი მაწუხებს.		
43. თუ საკუთარი უფლებების დაცვისთვის საჭიროა ფიზიკური ძალის გამოყენება, ამასაც ვიყენებ.		
44. ზოგჯერ მრისხანებას მაგიდაზე მუშტების ბრახუნით გამოვხატავ.		
45. უხეში ვარ იმ ადამიანებთან, რომლებიც არ მომწონს.		
46. არ მყავს მტრები, რომელთაც ზიანი შეუძლიათ მომაყენონ.		
47. არ შემიძლია თავისი აზრი მივუჩინო ადამიანს, თუნდაც, თუ ის ამას იმსახურებს.		
48. ხშირად ვფიქრობ, რომ არასწორად ვცხოვრობდი.		
49. ვიცნობ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ ჩხუბამდე მიმიყვანონ.		
50. წერილმანების გამო არ ვბრაზდები.		
51. იშვიათად მომდის თავში აზრად, რომ ადამიანები ცდილობენ ჩემს გაბრაზებას ან შეურაცხყოფას.		
52. მე ხშირად ვემუქრები ადამიანებს, მაგრამ არ ვაპირებ მუქარის სისრულეში მოყვანას.		
53. ბოლო ხანებში მოსაწყენი ადამიანი გავხდი.		

54. კამათის დროს ხშირად ვუწევ ხმას.		
55. ჩვეულებრივ ვცდილობ დავმალო ცუდი დამოკიდებულება ადამიანებთან.		
56. მე უფრო დავეთანხმები რამეზე, ვიდრე დავიწყებ კამათს.		

კითხვარის შედარებისას შემდეგი პრინციპები გამოიყენებოდა:

1. საკითხი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ აგრესიის ერთ ფორმას;

2) კითხვები ისეა ფორმირებული,რომ უმეტესად ასუსტებენ კითხვაზე პასუხის საზოგადოებრივი მოწონების გაელენას.

პასუხები ფასდება 8 სკალის მიხედვით შემდეგნაირად:

1. ფიზიკური აგრესია:
„დიახ“ = 1, „არა“ = 0:1, 25, 31, 41, 48, 55, 62, 68;
„არა“ = 1, „დიახ“ = 0:97;

2) ირიბი აგრესია:
„დიახ“ = 1, „არა“ = 0:2, 10, 18, 34, 42, 56, 63;
„არა“ = 1, „დიახ“ = 0, 26, 49;

3) გაღიზიანება:
„დიახ“ = 1; „არა“ = 0:3, 19, 27, 43, 50, 57, 64, 72;
„არა“ = 1, „დიახ“ = 0:11, 35, 69;

4) ნეგატივიზმი:
„დიახ“ = 1, „არა“ = 0:4, 12, 20, 28 „არა“ = 1; „დიახ“ = 0:36.

5) წყენა:
„დიახ“ = 1, „არა“ = 0:5, 13, 21, 29, 37, 44, 51, 58;

6) ეჭვიანობა:
„დიახ“ = 1, „არა“ = 0:6, 14, 22, 30, 38, 45, 52, 59;
„არა“ = 1, „დიახ“ = 0:33, 66, 74, 75;

7) ვერბალური აგრესია:
„დიახ“ = 1, „არა“ = 0:7, 15, 23, 31, 46, 53, 60, 71, 73;
„არა“ = 1, „დიახ“ = 0:33, 66, 74, 76;

8) დანაშაულის გრძნობა:
„დიახ“ = 1, „არა“ = 0:8, 16, 24, 32, 40, 47, 54, 61, 67.

მტრობის ინდექსი მოიცავს 5.და 6 ინდექსებს, ხოლო აგრესიულობის (პირდაპირი და მოტივაციური) ინდექსი მოიცავს 1, 3, 7 სკალებს.

აგრესიულობის ნორმას წარმოადგენს მისი ინდექსის სიდიდე, რომელიც ულრის 21+4, ხოლო მტრული დამოკიდებულების – 6,5-7+3. ამასთან, ყურადღება ექცევა აგრესიულობის გამოვლენის ხარისხის მაჩვენებელი გარკვეული სიდიდის მიღწევის შესაძლებლობას.

მოცემული მეთოდიკის გამოყენებისას უნდა გეახსოვდეს,რომ აგრესიულობა როგორც პიროვნების თვისება და აგრესია, როგორც ქცევის აქტი შეიძლება გაგებულ იქნეს პიროვნების მოტივაციურ-მოთხოვნილებათა სფეროს ფსიქოლოგიური ანალიზის კონტექსტში. ამიტომ,ბასა-დარკის კითხვარი უმჯობესია გამოვიყენოთ სხვა მეთოდიკებთან – ფსიქიკური მდგომარეობების პიროვნული ტესტები (კეტელი, სნილბერგერი), პროექციული მეთოდიკები (ლუშერი) და ა.შ. ერთად.

ა. ასინგერის ტესტი (აგრესიულობის შეფასება ურთიერთობებში)

ფლეგმატური ადამიანი იშვიათად აელენს თავს, როგორც საინტერესო თანამოსაუბრე, მაგრამ ზედმეტად აგრესიულ, ვეფხვეიით ადამიანთან ურთიერთობა არასასიამოვნოა.

ა. ასინგერის ტესტი განსაზღერაეს, თუ რამდენად კორექტულია ადამიანი გარშემომყოფებთან მიმართებაში და ადვილია თუ არა მასთან ურთიერთობა. პასუხების მეტი ობიექტურობისთვის შესაძლებელია ურთიერთშეფასება,როცა კოლეგები კითხვებზე ერთმანეთის ნაცელად სცემენ პასუხს. ამით შეგვიძლია გაეიგოთ, რამდენად მართებულია მათი თვითშეფასება.

ხაზი გაუსვით პასუხს

I. ხართ მიდრეკილი ეძებოთ შერიგების გზა მორიგი სამსახურებრივი კონფლიქტის შემდეგ?

1. ყოველთვის.
2. ზოგჯერ.
3. არასდროს.

II. როგორ იქცევით კრიტიკულ სიტუაციაში?

1. შინაგანად ბობოქრობთ.
2. ინარჩუნებთ სრულ სიმშვიდეს.
3. კარგავთ საკუთარი თავის ფლობის უნარს.

III. როგორ გთვლიან კოლეგები?

1. თვითდაჯერებულად და შურიანად.
2. მეგობრულად.
3. მშვიდად და არაშურიანად.

IV. როგორ რეაგირებთ, თუ შემოგთავაზებენ საპასუხისმგებლო თანამდებობას?

1. მიიღებთ მას გარკვეული შიშით.
2. დათანხმდებით მერყეობის გარეშე.
3. სიმშვიდის გამო უარს ვიტყვი მასზე.

V. როგორ მოიქცევით, თუ რომელიმე კოლეგა უნებართვოდ აიღებს თქვენი მაგიდიდან ქაღალდს?

1. პირველივე შემთხვევისთანავე მიუზღავთ სათანადოს.
2. ვაიძულებ დაბრუნებას.
3. კითხავთ, ხომ არ სჭირდება კიდევ რამე.

VII. რა სიტყვებით შეხვდებით ქმარს (ცოლს), თუ ის სამსახურიდან ჩვეულებრივზე უფრო გვიან დაბრუნდა?

1. რამ დაგაყოვნა ასე?
2. სად დაეხეტები ასე გვიანობამდე?
3. უკვე ვღელავდი.

VII. როგორ იქცევიან საჭესთან?

1. ცდილობთ გაუსწროთ მანქანას, რომელმაც კუდი გიჩვენათ?
2. თქვენთვის სულერთია, რამდენმა მანქანამ გაგასწროთ.
3. ისეთი სიჩქარით წახვალთ, რომ ვერავინ დაგეწევათ.

VIII. როგორი შეხედულებები გაქვთ ცხოვრებაზე?

1. ბალანსირებული.
2. ქარაფშუტული.
3. საკმაოდ მკაცრი.

IX. რას აკეთებთ, თუ ყველაფერი არ გამოგდით?

1. ცდილობთ სხვას გადააბრალოთ წარუმატებლობა.
2. ურიგდებით ბედს.
3. უფრო ფრთხილი ხდებით შემდგომში.

X. როგორ რეაგირებთ თანამედროვე ახალგაზრდებში ალკოჰოლიზმის შემთხვევების შესახებ ფელეტონებზე?

1. დროა ავუკრძალოთ ასეთი სახის გართობა.
2. მათ უნდა შეეუქმნათ ორგანიზებულად და კულტურულად დასვენების საშუალება.
3. ამდენ ხანს რატომ ვითმენთ ამას?

XI. რას გრძნობთ, თუ ის ადგილი, რომელიც გინდოდათ, სხვას ერგო?

1. რატომ დავხარჯე ამაზე ნერვები?
2. როგორც ჩანს, მისი ფიზიონომია უფრო მოსწონს შეფს.
3. შესაძლოა, შემდეგში გამიმართლოს.

XII. როგორ უყურებთ საშინელ ფილმს?

1. მეშინია.
2. მოწყენილი ვარ.
3. გულწრფელ სიამოვნებას ვიღებ.

XIII. თუ საგზაო საცობის გამო აგვიანებთ მნიშვნელოვან თათბირზე?

1. ინერვიულებთ სხდომის დროს.
2. ეცდებით პარტნიორების მხრიდან შეწყალებას.
3. შეწუხდებით.

XIV. როგორ უდგებით თქვენს სპორტულ წარმატებებს?

1. აუცილებლად ცდილობთ მოგებას.
2. აფასებთ სიამოვნებას თავი კვლავ ახალგაზრდად იგრძნობთ.
3. ძალიან წუხთ, თუ არ გიმართლებთ.

XV. როგორ მოიქცევით, თუ რესტორანში ცუდად მოგეშსახურნენ?

1. მოითმინეთ, რადგან ერიდებით სკანდალს.
2. მოითხოვეთ ზედამხედველის მოსვლას და შენიშვნას მისცემთ.
3. საჩივრით გაემართებით რესტორნის დირექტორთან.

XVI. როგორ მოიქცევით, თუ თქვენს ბავშვს სკოლაში აწყენინეს?

1. დაელაპარაკებით მასწავლებელს.
2. სკანდალს მოუწყობთ მცირეწლოვანი დამნაშაეის მშობლებს.
3. ბავშვს ურჩევთ ხურდა დაუბრუნოს.

XVII. თქვენი აზრით, როგორი ადამიანი ხართ?

1. საშუალო.
2. თავდაჯერებული.
3. ადვილად გასატეხი.

XVIII. რას უპასუხებთ ხელქვეითს, რომელსაც დაწესებულის კარებში შეეჯახეთ, თუ ის ბოდიშის მოხდას იწყებს?

1. მაპატიეთ, ჩემი ბრალია.
2. არაფერია, ნუ წუხართ.
3. უფრო ყურადღებიანი, რომ იყოთ არ შეგიძლიათ?

XIX. როგორ რეაგირებას მოახდენთ გაზეთში ახალგაზრდებს შორის ხულიგნობის შემთხვევების შესახებ სტატიაზე?

1. როდის მიიღებენ ბოლოს და ბოლოს, კონკრეტულ ზომებს?
2. საჭიროა დასჯა.
3. ყველაფერი ახალგაზრდებს არ უნდა გადავაბრალოთ, დამნაშაეები არიან აღმზრდელებიც.

XX. წარმოიდგინეთ, რომ ხელახლა უნდა დაბადოთ, მაგრამ ცხოველად. რომელი ცხოველი გირჩევნიათ?

1. ვეფხვი ან ჯიქი.
2. კატა.
3. დათვი.

ახლა ყურადღებით დაათვალიერეთ ხაზგასმული პასუხები. შეაჯამეთ პასუხების ნომრები.

შედეგები

45 და მეტი ქულა. ზედმეტი აგრესიული ხართ, ხშირად გაუწონასწორებელი და მკაცრი სხვების მიმართ. იმედოვნებთ წარმატების მიღწევას, უმაღლეს საფეხურზე ასვლას სხვა ინტერესების უგულებელყოფით. ამიტომაც, ნუ გაგიკვირდებათ თანამოსამსახურეთა სიძულვილი, თუმცა უმცირესი შესაძლებლობისთანავე ცდილობთ მათ დასჯას ამის გამო.

36-44 ქულა. ზომიერად აგრესიული ხართ, წარმატებით მიიწევთ წინ, რამდენადაც საკმარისად გაქვთ ჯანსაღი პატივმოყვარეობა და დამჯერებლობა.

35 და ნაკლები ქულა. ზედმეტად მშვიდობისმოყვარე ხართ, რაც განპირობებულია საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დაურწმუნებლობით. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქარის ნებისმიერ რხევაზე თრთით ბალახიივით. სულაც არ გაწყენდათ მეტი თავდაჯერებულობა!

თუ 7 ან მეტ კითხვაზე დააგროვეთ 3 ქულა ან 7 კითხვაზე – 1-1 ქულა, თქვენი აგრესიულობა უფრო ატარებს დამანგრეველ ხასიათს, ვიდრე კონსტრუქციულს. მიღრეკილი ხართ დაუფიქრებელი ნაბიჯებისა და გაცხარებული დისკუსიისკენ.

თუ 7 და მეტ კითხვაზე მიიღეთ 1-1 ქულა და ნაკლები, ვიდრე 7 კითხვაზე – 3-3 ქულა, თქვენ საკმაოდ ჩაკეტილი ხართ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ გახასიათებთ აგრესიულობა, მაგრამ მას თრგუნავთ სათანადოდ.

სათამაშო მეთოდიკა „ტუსაღის დილემა“.

დილემური ურთიერთქმედების შესასწავლად ფართოდ გამოიყენება თამაში „ტუსაღის დილემა“. ის მდგომარეობს იმაში, რომ ორ ტუსაღის ერთობლივ დანაშაულში ადანაშაულებენ. ისინი მოთავსებულია ცალკე კამერებში. თითოეულს აქვს შესაძლებლობა აცნობოს მეორეს დანაშაულის შესახებ ნაკლები სასჯელის მიღების იმედით. თუ არც ერთი არ იტყვის მეორეს მიერ ჩადენილ დანაშაულზე, ორივე იღებს უმნიშვნელო სასჯელს; თუ ერთი იტყვის, მეორე-არა, თაერსუფლებაზე გავა ის, ვინც თქვა, მეორე კი მიიღებს მკაცრ სასჯელს; თუ ორივე იძლევა ინფორმაციას, მაშინ ორივე მცირე სასჯელს იღებს, მაგრამ ის იმაზე მეტი იქნება მაშინ, თუ ორივე ჩუმად იქნებოდა. თამაშის დასასრული შეიძლება წარმოვიდგინოთ ცხრილში, რომელსაც ჩვეულებრივ აცნობენ მონაწილეებს თამაშის წინ **(იხ. ცხრილი).**

„ტუსაღის დილემის“ სიტუაციაში მოთამაშეებმა არჩევანი უნდა გააკეთონ კოოპერაციულ (ბ) და კონკურენტულ ქცევას (დ) შორის. A მოთამაშის ინდივიდუალური შედეგის თვალსაზრისით, მისთვის ყოველთვის უმჯობესია აცნობოს მეორეზე (დ). საქმე იმაშია, რომ, თუ ბ მოთამაშე ამრეა იმავე პოზიციიდან, ორივე შედარებით მცირე ქულებს მიიღებს. ხოლო ორმხრივი შედეგის მაქსიმუმიდან გამომდინარე, მათ ორივემ უნდა აირჩიონ მდუმარება (ბ), მაგრამ მაშინ მეორესთვის ტოვებს ნდობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.

ცხრილი

		ბ მონაწილეს არჩევანი	
		ბ (დუმილი)	A (თქმა)
ა მონაწილეს არჩევანი	ბ	3, 3	–1, 5
	დ	5, –1	1, 1

მოთამაშეებმა არჩევანი ერთდროულად უნდა გააკეთონ: ზოგჯერ, კონტაქტში შესვლის გარეშე, ზოგჯერ – ნებადართულია ურთიერთობა (ხდება სწორედ არჩევანზე კომუნიკაციის ზემოქმედების შესწავლა). თამაში შეიძლება ბევრჯერ განმეორდეს და თითოეული ტურის შემდეგ მოთამაშეებს აცნობენ შედეგებს, რომელზეც ისინი იღებენ პრიზებს ან სასჯელს. მოთამაშეს როლში გამოდის არა ერთი ადამიანი, არამედ გუნდი ლიდერით ან მის გარეშე.

ექსპერიმენტი ორ ვარიანტად ტარდება:

1) 2 მონაწილეთა;

2) მონაწილეთა 2 ჯგუფი.

მეორე ვარიანტში კვლევის საგნში შედის ჯგუფის ქცევა გადაწყვეტილების მიღების სიტუაციაში. პირველი ვარიანტის განსხვავება მეორისგან მდგომარეობს იმაში, რომ პირველი ვარიანტი ცდის პირისგან მოითხოვს ხმამაღლა აზროვნებას და შემდგომ ინტროსპექციას; მეორეში მკვლევარს შეუძლია უშუალო დაკვირვება ჯგუფში ურთიერთქმედებაზე. ექსპერიმენტის დაწყებისას მონაწილეებს აცნობებენ, რომ ერთ-ერთი მათგანი (განისაზღვრება-

ვინ) იქნება ტუსაღი, მეორე კი – მცველი. შემდეგ, ტუსაღი თავსდება კამერაში, რომელსაც შემდეგი ფორმა აქვს.



კამერას ყველა კუთხე ისევე, როგორც გვერდები ერთნაირია. მცველი გარეთ იმყოფება.

ინსტრუქცია ტუსაღისთვის

თქვენი ამოცანაა, გაქცევისათვის ამოირჩიოთ ერთ-ერთი კუთხე. გაქცევა ჩაითვლება წარმეტებულად, თუ მცველი ვერ მიხვდება, რომელი კუთხე ამოირჩიეთ გაქცევისათვის. ჩაწერეთ არჩევანი და მისი განმარტება ოქმში.

ინსტრუქცია მცველისთვის

თქვენი ამოცანაა მიხვდეთ, თუ რომელ კუთხეში ეცდება ტუსაღი გაქცევას და ხელი შეუშალოთ ამას. ჩაწერეთ თქვენი არჩევანი და დაასაბუთეთ ის ოქმში.

პირველი ჩანაწერების შემდეგ, მათ ამოწმებს ექსპერიმენტატორი მონაწილეების მიერ შედეგების გამოცხადებით. შემდეგ ხდება არჩევანის საფუძველის გაანალიზება. თუ ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე მონაწილეები ფორმალური საფუძვლებიდან ამოდიოდნენ და არ ითვალისწინებდნენ მოწინააღმდეგეს პერსონას, ექსპერიმენტატორი ხაზს უსვამს ამას განხილვისას და იწყებს მეორე ეტაპს.

მეორე ეტაპზე ექსპერიმენტი მეორდება (მონაწილეებმა შეიძლება შეცვალონ ადგილები).

ექსპერიმენტატორმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ მონაწილეთა ნებისმიერი გადაწყვეტილება არადამაკმაყოფილებელია ფორმალური რაციონალობის თვალსაზრისით. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია კითხვების ფორმულირება ჰიპოთეზის შექმნისას, კერძოდ კი: ვის წინაშე დგას დილემა? ხშირად დილემას, რომელსაც მონაწილე – მოთამაშეს წინაშე დგება ურევენ მკვლევარის ამოცანასთან, რომელიც ოპტიმალური გადაწყვეტის რეკომენდაციას იძლევა. მოცემულ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილება არაა, გამოსავალი კონფლიქტიდან კი, მდგომარეობს მოწინააღმდეგეს ქცევის მოდელირებისთვის საკმარისი საფუძვლების მიღებაში. ექსპერიმენტი შეიძლება იყოს დიდაქტიკური ფუნქციის მქონე.

„ტუსაღის დილემის“ თამაშის მეშვეობით სიტუაციის შექმნა ლიდერობის სტილის დიაგნოსტიკისთვის, კონკურენციის ან ურთიერთდამოკიდებულებებში კოოპერაციის სწრაფვის დიაგნოსტიკისთვის და ა.შ.

ეს სიტუაციური ტესტი წარმოადგენს მხოლოდ მეთოდურ ხერხს გარკვეული პიროვნებათშორისი დამოკიდებულებების მოდელირებისთვის და არა ზუსტ სტანდარტულ გაზომვით პროცედურას.

შრომითი კოლექტივის მართვის სტილის განსაზღვრის მეთოდიკა

ის შემუშავებულია ვ.პ. ზახაროვის მიერ ა.ლ. ჟურავლიოვის კითხვარის საფუძველზე. ძირითადი მეთოდიკა შედგება მტკიცებების 27 ჯგუფისგან, რომლებიც ასახავენ ხელმძღვანელობისა და კოლექტივის ურთიერთქმედების სხვადასხვა ასპექტებს. მეთოდიკა მიმართულია შრომითი კოლექტივის მართვის სტილის განსაზღვრაზე. ტესტირების წესი მოცემულია ინსტრუქციაში.

ინსტრუქცია: კითხვარში შედის მტკიცებათა 16 ჯგუფი, რომლებიც ახასიათებენ ხელმძღვანელის საქმიან თვისებებს. თითოეული ჯგუფი შედგება ა, ბ, გ ასოებით აღნიშნული 3 მტკიცებისგან. ყურადღებით წაიკითხეთ სამივე მტკიცება და აირჩიეთ მხოლოდ ერთი, რომელიც მეტად შეესაბამება თქვენს აზრს ხელმძღვანელის შესახებ. აღნიშნეთ არჩეული ვარიანტი „+“ ნიშნით კითხვარის ფურცელზე შესაბამისი ასოს ქვეშ. თუ ერთდროულად აფასებთ 2 ხელმძღვანელს ან მეტს, შეადარეთ ისინი ერთმანეთთან მოყვანილი 3 მტკიცების მიხედვით. აირჩიეთ ჯითო-თითო მტკიცება, რომელიც ახასიათებს თითოეულ ხელმძღვანელს (ან 1 მტკიცება დამახასიათებელი ორივე ხელმძღვანელისთვის) და აღნიშნეთ თქვენი აზრი თითოეულ მათგანზე კითხვარის ფურცელზე ნიშნებით: „*“, „+“, „–“, ნუ აღნიშნავთ ამას კითხვარზე! აღნიშვნები მხოლოდ პასუხების ფურცელზე მოათავსეთ.

კითხვარის ტესტი

1.

ა. ცენტრალური ხელმძღვანელობა მოითხოვს, რომ ყველა საქმე მას მოახსენონ.

ბ. ცდილობს ყველაფერი ხელქვეითებთან ერთად გადაწყვიტოს, ერთპიროვნულად წყვეტს მხოლოდ ყველაზე სასწრაფო და ოპერატიულ საკითხებს.

გ. ზოგიერთი მნიშვნელოვანი საქმე წყდება ფაქტიურად ხელმძღვანელის მონაწილეობის გარეშე, მის ფუნქციას სხვები ასრულებენ.

2.

ა. ყოველთვის რაღაც ბრძანებას იძლევა, განკარგავს, მაგრამ არასდროს არა აქვს ამას თხოვნის ფორმა.

ბ. ბრძანებას ისე იძლევა, რომ შესრულების სურვილი გაქვს.

გ. არ შეუძლია ბრძანება.

3.

ა. ცდილობს, რომ მისი მოადგილეები კვალიფიცირებული სპეციალისტები იყვნენ.

ბ. ხელმძღვანელისთვის სულერთია, ვინაა მისი მოადგილე, დამხმარე.

გ. ის ცდილობს მოადგილეების, დამხმარეების სრულ მორჩილებას და შესრულებას.

4.

ა. მას აინტერესებს მხოლოდ გეგმის შესრულება და არა ადამიანების ერთმანეთთან დამოკიდებულება.

ბ. საქმეს ფორმალურად უდგება, სამუშაო არ აინტერესებს.

გ. საწარმოო ამოცანების გადაწყვეტისას ცდილობს კარგი დამოკიდებულებების შექმნას კოლექტივში.

5.

ა. ალბათ, ის კონსერვატიულია, რამდენადაც ეშინია სიახლის.

ბ. ხელქვეითთა ინიციატივას ხელმძღვანელი არ აღიარებს.

გ. ხელს უწყობს იმას, რომ დამოუკიდებლად მუშაობდნენ.

6.

ა. ხელმძღვანელს ჩვეულებრივ კრიტიკა არ სწყინს, ყურს უგდებს კიდეც მას.

ბ. არ უყვარს, როცა აკრიტიკებენ და ამას არც მალავს.

გ. უსმენს კრიტიკას, მაგრამ არანაირ ზომებს არ მიმართავს.

7.

ა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელმძღვანელს ეშინია პასუხი აგოს თავის ქმედებებზე, სურს პასუხისმგებლობის შემცირება.

ბ. პასუხისმგებლობას ანაწილებს ხელქვეითებსა და მას შორის.

გ. ხელმძღვანელი ერთპიროვნულად იღებს ან აუქმებს გადაწყვეტილებებს.

8.

ა. რეგულარულად ეთათბირება ხელქვეითებს, გამოცდილ მუშაკებს.

ბ. ხელქვეითებს შეუძლიათ არა მარტო ურჩიონ, არამედ მიუთითონ კიდეც ხელმძღვანელს.

გ. არ უშვებს, რომ ხელქვეითებმა რჩევა მისცენ, მით უფრო წინააღმდეგობა გაუწიონ.

9.

ა. ჩვეულებრივ ეთათბირება მოადგილეებს და ქვემდგომ ხელმძღვანელებს, მაგრამ არა რიგით ხელქვეითებს.

ბ. რეგულარულად ურთიერთობს ხელქვეითებთან, საუბრობს კოლექტივში საქმის ვითარებაზე, დასაძლევ სირთულეებზე.

გ. სამუშაოს შესასრულებლად ხშირად უწევს ხელქვეითთა დარწმუნება.

10.

ა. ყოველთვის მიმართავს ხელქვეითებს პატივისცემით, კეთილსასურველად.

ბ. ხშირად აელენს გულგრილობას ხელქვეითებთან ურთიერთობაში.

გ. ხელქვეითებთან უტაქტოა და უხეშიც კი.

11.

ა. კრიტიკულ სიტუაციებში ხელმძღვანელი ცუდად უმკლავდება თავის ვალდებულებებს.

ბ. კრიტიკულ სიტუაციებში ხელმძღვანელი გადადის მართვის უფრო მკაცრ მეთოდებზე.

გ. კრიტიკული სიტუაციები არ ცვლიან მისი მართვის სტილს.

12.

ა. თავად წყვეტს იმ საკითხებს, რომელთაც კარგად არ იცნობს.

ბ. თუ რაღაც არ იცის, არ ეშინია ამის ჩვენების და დახმარებისთვის სხვებს მიმართავს.

გ. მას არ შეუძლია თავად მოქმედება, არამედ ელოდება ბიძგის მიცემას.

13.

ა. ის ძალიან მომთხოვნი არაა.

ბ. ის მომთხოვნია, მაგრამ ამასთან სამართლიანიც.

გ. ის საკმაოდ მკაცრია და შარიანიც.

14.

ა. შედეგების კონტროლის დროს, ყოველთვის ხედავს დადებით მხარეს, აქებს ხელქვეითებს.

ბ. ძალიან მკაცრად აკონტროლებს მთლიანად კოლექტივის მუშაობას.

გ. სამუშაოს შემთხვევიდან შემთხვევამდე აკონტროლებს.

15.

ა. ხელმძღვანელს შეუძლია დისციპლინისა და წესრიგის დაცვა.

ბ. ხშირად აძლევს შენიშვნებს ხელქვეითებს.

გ. არ შეუძლია დისციპლინის დაცვა.

16.

ა. ხელმძღვანელის თანდასწრებით ხელქვეითებს სულ უწევთ მუშაობა დაძაბულ რეჟიმში.

ბ. ხელმძღვანელთან მუშაობა საინტერესოა.

გ. ხელქვეითები მიშვებულები არიან.

კითხვარის ფურცელი

ფასდება:

1. ა ბ გ	9. ა ბ გ
2. ა ბ გ	10. ა ბ გ
3. ა ბ გ	11. ა ბ გ
4. ა ბ გ	12. ა ბ გ
5. ა ბ გ	13. ა ბ გ
6. ა ბ გ	14. ა ბ გ
7. ა ბ გ	15. ა ბ გ
8. ა ბ გ	16. ა ბ გ

ინტერპრეტაცია

დირექტიული კომპონენტი — დ

ორიენტაცია საკუთარ აზრზე და შეფასებებზე. ძალაუფლებისკენ სწრაფვა, თავდაჯერებულობა, მიდრეკილება მკაცრი ფორმალური დისციპლინის მიმართ, დიდი დისტანცია ხელქვეითებთან, საკუთარი შეცდომების აღიარების სურვილი არქონა. იგნორირება ადამიანების ინიციატივის, შემოქმედებითი აქტიურობის. გადაწყვეტილებების ერთპიროვნული მიღება. კონტროლი ხელქვეითთა მოქმედებებზე.

პასიური ჩარევის ნებაზე მიშვების კომპონენტი — ნ

მუშაკებისადმი შემწყნარებლობა. მომთხოვნელობის და მკაცრი დისციპლინის არარსებობა, ლიბერალურობა, გადაწყვეტილებების მიღებაში პასუხისმგებლობის სხვაზე დაკისრების მიდრეკილება.

კოლეგიალური კომპონენტი — კ

მომთხოვნელობა და კონტროლი ერწყმის ინიციატივიან და შემოქმედებით მიდგომას შესასრულებელი სამუშაოს მიმართ და დისციპლინის შეგნებულ დაცვას. უფლებამოსილებების დელეგირების და პასუხისმგებლობის გამიჯვნის სურვილი. დემოკრატიულობა გადაწყვეტილებების მიღებაში.

მეთოდიკის გამოყენება არ მოითხოვს ინდივიდუალური ტესტირებას. შესაძლებელია ტესტებთან ერთად გამოყენება, განსაკუთრებით სოციომეტრიასთან ერთად კოლექტივში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ოპტიმიზაციის მიზნით.

გასაღები

№	ა	ბ	გ	№	ა	ბ	გ
1	დ	კ	ნ	9	დ	კ	ნ
2	დ	კ	ნ	10	კ	ნ	დ
3	კ	ნ	დ	11	ნ	დ	კ
4	დ	ნ	კ	12	დ	კ	ნ
5	ნ	დ	კ	13	ნ	კ	დ
6	კ	დ	ნ	14	კ	დ	ნ
7	ნ	კ	დ	15	კ	დ	ნ
8	კ	ნ	დ	16	დ	კ	ნ

ხელმძღვანელის პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლების საესპერტო შეფასება

პიროვნული მახასიათებლების შესაბამისობა შინაარსთან წარმოადგენს მისი წარმატებული განხორციელების აუცილებელ პირობას. ასევე მნიშვნელოვანია ასეთი შესაბამისობა პასუხისმგებლობის მაღალი დონის საქმიანობისთვის. ასეთს განეკუთვნება ხელმძღვანელის (ორგანიზატორის) საქმიანობა. ხელმძღვანელების შერჩევის, კადრების რეზერვის ფორმირების საკითხების გადაწყვეტისას არსებითი დახმარება შეგვიძლია გაგვიწიოს მონაცემებმა ხელმძღვანელის პიროვნების ორგანიზატორული უნარებისა და მიმართულობის დონის შესახებ. ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ფსიქოლოგის მიერ ხელმძღვანელის პიროვნების გარკვეული ფსიქოლოგიური მახასიათებლების შეფასება (ხ პ ფ მ) საფუძველზე.

საექსპერტო შეფასების ბლანკში მოთავსებულია ხელმძღვანელის პიროვნების 9 ფსიქოლოგიური მახასიათებელი, რომელთა დიაგნოსტირებაც ხდება თითოეული მახასიათებლის 7 ნიშნის გამოვლენის მიხედვით:

1) გარკვეულობა ხსნის ინტერესთა სტრუქტურას საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის მიმართ;

2) გაცნობიერებულობა — ორგანიზატორული საქმიანობის მიზნების გაცნობიერება;

3) მიზანსწრაფულობა — ორგანიზატორული საქმიანობის მოტივთა პრიორიტეტი;

4) არჩევითობა — კოლექტიეის ფსიქოლოგიური თავისებურებების ღრმად და სრულად ასახვის უნარი;

5) ტაქტიკურობა — ზომიერების გრძნობის

დაცვის და ურთიერთდამოკიდებულებათა საუკეთესო ფორმის პოვნის უნარი;

6) ქმედითობა – ადამიანების გააქტიურების, ემოციურ-ნებელობითი ზემოქმედებების საუკეთესო საშუალებების პოვნის და მათი სწორად გამოყენების უნარი;

7) მომთხოვნელობა – სხვადასხვა სფეროში მომთხოვნელობის გამოვლენის უნარი კონკრეტული მმართველობითი სიტუაციის თავისებურებების მიხედვით;

8) კრიტიკულობა – საქმიანობისთვის დადგენილი ნორმებიდან გადახრების აღმოჩენის და გამოხატვის უნარი;

9) პასუხისმგებლობა – საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარი საკუთარი და კოლექტივის საქმიანობის შედეგებზე.

ფსიქოლოგ-მკვლევარი განსაზღვრავს ექსპერტთა ჯგუფს. ჯგუფი შეიძლება წარადგინოს მთელმა კოლექტივმა ან მისმა წარმომადგენელმა.

კვლევის კონკრეტული პირობების მიხედვით კვლევა შეიძლება ჩატარდეს ექსპერტთა შეკრებაზე აუდიტორიის ტიპის შენობაში ან ფსიქოლოგ-მკვლევარი თითოეულ ექსპერტს ხვდება ინდივიდუალურად.

ექსპერტი განმარტავს, რომ ბლანკში მითითებული თვისებები მათ მიერ უნდა შეფასდეს კონკრეტულ ხელმძღვანელთან მიმართებაში 5-ქულიანი სკალის მიხედვით: ყველაზე დაბალი შეფასება – 1, უმაღლესი – 5. ექსპერტები გამოდიან ანონიმურად და ხელს არ აწერენ საექსპერტო შეფასების ბლანკს.

კვლევის შედეგების დამუშავება და ანალიზი. მას შემდეგ, რაც ექსპერტები შეფასებებს წარადგენენ, ფსიქოლოგ-მკვლევარი საექსპერტო შეფასების ბლანკში ქულები უნდა დაითვალოს, ხოლო მიღებული შედეგები გადადის საექსპერტო შეფასებების ცხრილში და გამოითვალოს:

1) თითოეული ექსპერტის მიერ 9 მაჩვენებელზე მიცემული ქულების ჯამი;

2) ხპფმ საშუალო ქულა თითოეული ექსპერტის მუშაობის შედეგები;

3) თითოეული ექსპერტის მიერ 9 მაჩვენებელზე მიცემული ქულების ჯამი;

4) საშუალო ქულა თითოეულ 9 მაჩვენებელზე ყველა ექსპერტის მუშაობის შედეგებით;

5) ხპფმ ქულების საერთო ჯამი ყველა ექსპერტის მუშაობის შედეგებით.

დასაქმების ოქმი

საკვლევი პირი ---------

ხელმძღვანელი ---------- თარიღი ----------

ცხრილი 64

ხპფმ შეფასების განზოგადებული ექსპერტები

ექსპერტი	ხპფმ შეფასება, ქულების ჯამი									Σ	საშუალო ქულა
	1	2	3	4	5	6	7	8	9		
1											
—											
n											
Σ											
საშუალო ქულა											

თუ შედეგების დამუშავებისას ვლინდება, რომ მაქსიმალური და მინიმალური საექსპერტო შეფასებები მკვეთრად განსხვავდება დანარჩენისგან, მიზანშეწონილია ამ ექსპერტთა მუშაობის შედეგების გამორიცხვა საერთო ანგარიშიდან, დიდი ვარიაციულობა ექსპერტთა შეფასებებში შეიძლება იყოს საექსპერტო ჯგუფის არაერთგვაროვნობის, ექსპერტთა კომპეტენტურობის სხვადასხვა დონის მაჩვენებელი.

ხპფმ შეფასების საშუალო ქულით ხდება დასკვნის გაკეთება ხელმძღვანელის თვისებების დონეზე შემდეგ მაჩვენებლებზე ორიენტაციით:

ცხრილი 65

შეფასება, ქულები	დახასიათება
< 21	პრაქტიკული გამოუსადეგარობა ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულებისადმი
21-27	დაბალი დონე
28-36	საშუალო დონე
> 36	მაღალი დონე

ხელმძღვანელის პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლების საექსპერტო შეფასების ბლანკი

ნიშანის ნომერი	ნიშანის შინაარსი	შეფასება, ქულა
1, 1.	ვლინდება ინტერესი ხელმძღვანელის საქმიანობისადმი	
1, 2.	დამოუკიდებლად ერთვება ორგანიზატორულ მუშაობაში	

ნიშანის ნომერი	ნიშანის შინაარსი	შეფასება, ქულა
1, 3.	ავლენს ინტერესს კოლექტივის (ჯგუფის) საქმიანობის დაგეგმვის მიმართ	
1, 4.	ავლენს ინტერესს ხელმძღვანელის საქმიანობის საორგანიზაციო მხარის მიმართ	
1, 5.	ავლენს ინტერესს კოლექტივის (ჯგუფის) წევრების ურთიერთობების რეგულირების მიმართ	
1, 6.	ავლენს ინტერესს კოლექტივის (ჯგუფის) წევრების საქმიანობაზე კონტროლის მიმართ	
	საშუალო ქულა	
2, 1.	თვლის,რომ მთავარია შედეგი და შრომის ხარისხი	
2, 2.	თვლის, რომ ხელმძღვანელი პასუხისმგებელია კოლექტივის (ჯგუფის) საქმიანობის შედეგებზე	
2, 3.	აუცილებლად თვლის დისციპლინის შენარჩუნებას	
2, 4.	თვლის, რომ ნაშრომში თანაბრადაა მნიშვნელოვანი, როგორც ორგანიზაციული, ასევე აღმზრდელობითი ასპექტები	
2, 5.	თვლის, რომ ხელმძღვანელი ვალდებულია ხელი შეუწყოს კოლექტივის (ჯგუფის) წევრთა ინიციატივიან და დამოუკიდებელ მუშაობას.	
2, 6.	თვლის, რომ ურთიერთობები არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.	
2, 7.	თვლის, რომ ხელმძღვანელის შრომა მნიშვნელოვანია კოლექტივისთვის (ჯგუფისთვის).	
	საშუალო ქულა	
3, 1.	თვლის, რომ ხელმძღვანელის შრომა მნიშვნელოვანია კოლექტივისთვის (ჯგუფისთვის).	
3, 2.	ცდილობს მოიპოვოს სოციალური აღიარება	
3, 3.	ცდილობს სრულად გამოამჟღავნოს თავისი ორგანიზატორული შესაძლებლობები	
3, 4.	ცდილობს იმუშაოს ისე, რომ თავიდან აიცილოს პრეტენზიები კოლექტივის (ჯგუფის მხრიდან)	
3, 5.	ცდილობს ინიციატივით და პასუხისმგებლობით შეასრულოს თავისი ვალდებულებები	
3, 6.	ცდილობს კმაყოფილება მიიღოს ორგანიზატორული მუშაობისგან	
3, 7.	ცდილობს კოლექტივთან (ჯგუფთან) პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებებს.	
	საშუალო ქულა	
4, 1.	შეუძლია ზუსტი დახასიათების მიცემა.	
4, 2.	შეუძლია სწრაფად შეაფასოს სხვა ადამიანის თავისებურებები და მდგომარეობა	
4, 3.	შეუძლია თავი წარმოიდგინოს სხვა ადამიანის სიტუაციაში	
4, 4.	შეუძლია გაანალიზოს სხვა ადამიანთა ქცევის თავისებურებები	
4, 5.	შეუძლია თანაგანცდა და თანაგრძნობა	
4, 6.	შეუძლია ინტერესისა და ყურადღების გამოვლენა ამხანაგების მიმართ	
4, 7.	შეუძლია ორიენტაცია ურთიერთდამოკიდებულებებში	
5, 1.	შეუძლია სწორი ტონის შერჩევა ურთიერთდამოკიდებულებებში	
5, 2.	შეუძლია ინდივიდუალური მიდგომის პოვნა ადამიანებთან	
5, 3.	შეუძლია დახმარების გაწევა	
5, 4.	შეუძლია საერთო ენის პოვნა სხვადასხვა ადამიანთან სხვადასხვა გარემოებაში.	
5, 5.	შეუძლია შეფასებებში ზომიერების დაცვა.	

ნიშანის ნომერი	ნიშანის შინაარსი	შეფასება, ქულა
5, 6.	შეუძლია ადამიანებთან ურთიერთობა ხელოვნურობისა და თამაშის გარეშე.	
5, 7.	შეუძლია ადამიანებთან ურთიერთობა უხერხობის გარეშე	
	საშუალო ქულა	
6, 1.	შეუძლია ზეგავლენის მოხდენა დასაბუთებით	
6, 2.	შეუძლია ნებელობითი ზეგავლენის მოხდენა	
6, 3.	შეუძლია ემოციური ზემოქმედება	
6, 4.	შეუძლია ზეგავლენის მოხდენა პირადი მაგალითით (მოქმედებით)	
6, 5.	შეუძლია საქმის წარმატებაში დამაჯერებლობის გამოწვევა	
6, 6.	შეუძლია სიტყვით წააქეზოს კოლექტივის ჯგუფი მოქმედების საქმისკენ.	
6, 7.	შეუძლია სწორად შეარჩიოს მომენტი ზემოქმედებისთვის	
	საშუალო ქულა	
7, 1.	შეუძლია თამამად წამოაყენოს მოთხოვნები	
7, 2.	შეუძლია დამოუკიდებლობის გამოვლენა მოთხოვნების წამოყენებაში.	
7, 3.	შეუძლია მოქნილობა მოთხოვნებში	
7, 4.	შეუძლია სიმტკიცის გამოვლენა მოთხოვნებში	
7, 5.	შეუძლია მუდმივობის გამოვლენა მოთხოვნებში	
7, 6.	შეუძლია მოთხოვნის გამოხატვა სხვადასხვა ფორმით (ხუმრობიდან ბრძანებამდე)	
7, 7.	შეუძლია სათანადო სახის მოთხოვნის განსაზღვრა	
	საშუალო ქულა	
8, 1.	შეუძლია დამოუკიდებლობის გამოელენა სხვა ადამიანების შეფასებებში	
8, 2.	შეუძლია გამოავლინოს პირდაპირობა და კრიტიკის სითამამე, მაგრამ შარიანობის გარეშე	
8, 3.	შეუძლია კეთილსასურველი კრიტიკა	
8, 4.	შეუძლია ლოგიკურად და არგუმენტირებულად გააკეთოს კრიტიკული შენიშვნები	
8, 5.	შეუძლია გამოავლინოს სიღრმე და არსი კრიტიკულ შენიშვნებში	
8, 6.	შეუძლია ზუსტად მოახდინოს ადამიანების მოქმედებების და ქცევის დიფერენცირება	
8, 7.	შეუძლია თვითკრიტიკულობა საკუთარი ქცევის შეფასებებში	
	საშუალო ქულა	
9, 1.	შეუძლია ობიექტურად შეაფასოს თავისი წარმატებები და წარუმატებლობები	
9, 2.	შეუძლია იმუშაოს მთელი ძალებით	
9, 3.	შეუძლია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა	
9, 4.	შეუძლია საინტერესო საქმეები პირად ინტერესებზე მაღლა დააყენონ	
9, 5.	შეუძლია კოლექტივის შეცდომებში, პირველ რიგში, დაინახოს საკუთარი, როგორც ხელმძღვანელის შეცდომები	
9, 6.	შეუძლია აღიაროს საკუთარი გადაწყვეტილებების სიმცდარე	
9, 7.	შეუძლია პასუხისმგებლობით შეასრულოს ნებისმიერი საქმე	
	საშუალო ქულა	

20 ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲢᲔᲡᲢᲘ

როგორც არ უნდა იყოს, უნიკალურები ვართ ჩვენს ინდივიდუალობაში, საზოგადოების წინაშე კი, იმ როლში გამოვდივართ, რომლის თამაშისთვისაც ვარ მოწოდებული. როლი, პირველ რიგში, ესაა გარკვეული პოზიციის დაფიქსირება, რომელიც უკავია ადამიანს დამოკიდებულებების სისტემაში, შემდგომ-ფუნქციაა, რომელიც მან უნდა შეასრულოს ამ პოზიციაზე ყოფნისას და მესამე — ქცევის ნორმატიულად მოსაწონი ნიმუში, რომელიც მოსა-

ლოდნელია ამ როლის შემსრულებელი თითოეული ადამიანისგან.

როლები იყოფა სოციალურად (უფროსი, დედა, ქმარი და ა.შ.), ჯგუფშიდად (ლიდერი, მარიონეტი, მასხარა), პიროვნებათშორისად (მფარველი, პარტნიორი, საყვარელი) და ინდივიდუალურად. შესაძლებელია, უფრო მეტადაც დაყოფა, მაგრამ წარმოდგენილი დაყოფაც საკმარისია იმისთვის, რომ შეუდგეთ კონკრეტული ადამიანის როლური ნაკრების ანალიზს.

ეს ხდება შესასრულებლად მარტივი, მაგრამ დამუშავებისა და ინტერპრეტაციის მხრივ საკმაოდ რთული 20 კითხვის ტესტის მეშვეობით. ამ ტესტში ცდის პირს სთხოვენ 12 წთ-ის განმავლობაში პასუხი გასცეს 20 კითხვას. მაგალითად: „ვინ ვარ მე?“ პასუხები იმ რიგით უნდა იქნეს გაცემული, რომლითაც თავში მოდის თანმიმდევრობის, გრამატიკისა და ლოგიკის მიუხედავად. მიღებული ნუსხა განიხილება შეხედულებების 2 კატეგორიის მიხედვით: შემაერთებელი, რომლითაც ცდის პირი თავს გარკვეულ ჯგუფს განაკუთვნებს ან ნუსხის სათავეში მყოფი შეხედულებები და დიფერენცირებადი, სადაც ის მიუთითებს თავის სპეციფიკურ, სხვებისგან განმასხვავებელ ნიშნებს. გარდა ამისა, პასუხები იყოფა სოციალურ ჯგუფებად (და შესაბამისად როლებად) — სქესის, ასაკის, ნაციონალობის, პროფესიის და ა.შ. მიხედვით; იდეოლოგიური შეხედულებებად — ფილოსოფიური, პოლიტიკური, მორალური გამონათქვამები და ასევე ინტერესები, მისწრაფებების, მიზნების და თვითშეფასების მიხედვით. ყველაზე ხშირ კატეგორიებს წარმოადგენს შემდეგი: პროფესიული იდენტურობა, ოჯახური როლი და სტატუსი, სქესი და ასაკი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა პასუხებს, რომლებიც გადმოსცემენ ადამიანის როლების გარკვეულ კატეგორიებს ანუ იმათ, რომლებიც მან არა მარტო უნდა შეასრულოს, არამედ მიისწრაფვის კიდეც მათი შესრულებისკენ.

ლ. ნ. ლუტოშკინის ექსტრავერსია – ინტროვერსიის სკალა

ინსტრუქცია იცნობთ თუ არა საკუთარ თავს? ეცადოთ შეამოწმოთ ეს. სვეტებში მარჯვნივ და მარცხნივ მოცემულია სხვადასხვა ადამიანის ქცევის აღწერა. ცხოვრებაში ისინი არაერთგვაროვნად იქცევიან. ვის უფრო ჰგავხართ? ყურადღებით წაიკითხეთ წინადადება მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ და შუაში, ერთ-ერთ გრაფაში ნიშნით აღნიშნეთ რამდენად ჰგავს თქვენი თვისებები ამა თუ იმ ადამიანის თვისებებს. თუ მარჯვნივ აღწერილი ადამიანის ქცევა თქვენსას ჰგავს, ნიშანი უნდა დაისვას ერთერთ გრაფაში მარჯვნივ. თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ უფრო ჰგავხართ მარცხნივ მითითებულ თვისებებს, აღნიშნა ამ მხარეს გააკეთეთ. თუ გიძნელდებათ პასუხის გაცემა, აღნიშნა შუაში გააკეთეთ: „ვგავარ ერთსაც და მეორესაც“.

ბლანკი-კითხვარი

2 — ძალიან ვგავარ;

3 — ძირითადად ვგავარ;

4 — ერთსა და მეორესაც ვგავარ;

5 — ძირითადად ვგავარ;

6 — ძალიან ვგავარ

1	2	3	4	5	6	7
მას ყოველთვის კარგი განწყობილება აქვს, ბევრს იღიმება და სხვებსაც ამხიარულებს.						თავს ხშირად უბედურად გრძნობს, იშვიათად იღიმება, მცირედს ხუმრობს.
ყურადღების ცენტრში მყოფი თავს დამაჯერებლად გრძნობს.						როცა მას ყურადღებას აქცევენ, უხერხულადაა.
მისი განწყობილება ხშირად იცვლება, ეთქებადია.						ჩვეულებრივ ერთნაირი განწყობილება აქვს, ძნელია მისი წყობიდან გამოყვანა.
ის სწრაფია, მკვეთრია მოძრაობებში, ჟესტებში, ჩქარობს საუბრისას.						მოძრაობები, ჟესტები, მეტყველება შენელებული აქვს, ხმა-მშვიდი.
სწრაფად ივიწყებს წარუმატებლობებს და ენერგიულად იწყებს საქმეს						წარუმატებლობებს ძლიერ განიცდის, ღელავს, დიდხანს ვერ იწყებს საქმეს.
ადვილად აბამს ნაცნობობას, ჰყავს ბევრი მეგობარი, ნაცნობი						ძნელად შედის კონტაქტში, ჰყავს ცოტა მეგობარი.
მას გააჩნია ბევრი გეგმა და ჩანაფიქრი (არაფერია, თუ ზოგი ხორციელდება, ზოგი არა).						დიდხანს უნდება ერთი ამოცანის გადაწყვეტას, ცდილობს ჩაწვდეს არსს, აუცილებლად იპოვოს გადაწყვეტა.

1	2	3	4	5	6	7
მუდმივად ცდილობს იყოს ვინმესთან ერთად, როცა მარტო რჩება.						არ ელის ხალხთან შეხვედრებს, მარტოობაში უკეთესად გრძნობს თავს, ვიდრე სხვებთან ერთად.
მას სურს, რომ მისი სიხარული სხვებმაც დაინახონ.						ყველა გრძნობა მარტოობაში გადააქვს.
როცა შენიშვნებს იღებს, აუცილებლად კამათობს, ხმაურობს.						ისმენს შენიშვნებს გარეგნულად მშვიდად, ცდილობს არ იკამათოს.
ძნელი ამოცანის შესრულების შემდეგ უცებ იწყებს მეორეს.						ის სწრაფად იღლება და თავს დიდხანს გრძნობს დაღლილად.
სწრაფად ივიწყებს წყენას და დარდს.						წარუმატებლობის შემდეგ დიდხანს ვერ მოდის გონზე.
უყვარს მეგობრებზე ხუმრობა, ხშირად დაუფიქრებლადაც.						ის იშვიათად ხუმრობს და ხშირად თავად ბრაზობს მასზე.
უყვარს სწრაფად შეუდგეს საქმეს, იმის დაფიქსირების გარეშე, თუ რა მოჰყვება ამას.						ყველაფრის წინასწარ მოფიქრება უყვარს, დაგეგმეა და გათვლა.
სწრაფად პოულობს გამოსავალს ძნელი მდგომარეობიდან.						ის დიდხანს ფიქრობს, აზროვნებს, ღელავს, სანამ რამეს გადაწყვეტს.
მუდმივად ელოდება ახალ ამბებს, ღელავს, თუ ტელევიზორს არ უყურებს, ჩუმადაა რადიო, როცა არ საუბრობენ მეგობრები.						ის არ ცდილობს გაიგოს ახალი ამბები, თვლის, რომ მათ გარეშე უფრო მშვიდადაა, შეიძლება რამეზე ფიქრი.

დამუშავებისას მონაცემების კოდირება შემდეგნაირად ხდება. გრაფების კვანტიფიკაციის თანამიმდევრობა მარცხნიდან მარჯვნივ ქულებში: +2..., +1..., −1..., −2...

ექსტრავერტულობა-ინტროვერტულობის დონე განისაზღვრება ფორმულით:

$$K = \frac{(ე+ი)}{32}$$

სადაც K − ექსტრავერტულობის კოეფიციენტი; ე − ყველა დადებითი მნიშვნელობის ჯამი; ი − უარყოფითი მნიშვნელობის ჯამი.

ემპათიური ტენდენციების დონის კვლევა

ქვემოთ წარმოდგენილია ემპათიის (თანაგანცდის) ანუ საკუთარი თავის სხვა ადამიანის ადგილას დაყენების და სხვა ადამიანების განცდაზე თვითნებური ემოციური გამოძახილის უნარის კვლევის მეთოდიკა. თანაგანცდა − იმ გრძნობების მიღება, რომელთაც განიცდის სხვა, საკუთარის სახით.

ემპათია ხელს უწყობს პიროვნებათაშორისი ურთიერთობების დაბალანსებას. ის ადამიანის ქცევას სოციალურად განპირობებულს ხდის. ადამიანში განვითარებული ემპათია ამა თუ იმ საქმიანობაში წარმატების მთავარი ფაქტორია.

ინსტრუქცია: ემპათიური ტენდენციების დონის გამოსაელენად საჭიროა 36 შეხედულებიდან თითოეულზე შემდეგი ქულების მიწერა: თუ უპასუხეთ „არ ვიცი" − 0, პასუხს „არა, არასდროს" − 1; „ზოგჯერ" − 2, „ხშირად" − 3, „თითქმის ყოველთვის" − 4, „დიახ, ყოველთვის" − 5. პასუხი უნდა გაეცეს ყველა პუნქტს.

კითხვარის ტესტი

1. უფრო მომწონს წიგნები მოგზაურობებზე, ვიდრე წიგნები სერიიდან „შესანიშნავი ადამიანების ცხოვრება".

2. უფროს ბავშვებს აღიზიანებს მშობელთა ზრუნვა.

3. მომწონს მსჯელობა სხვა ადამიანების წარმატებებისა და წარუმატებლობების შესახებ.

4. ყველა მუსიკალურ გადაცემას შორის უპირატესობას ვანიჭებ თანამედროვე მუსიკაზე გადაცემებს.

5. ავადმყოფის ზედმეტი გაღიზიანებადობა და არასამართლიანი შენიშვნები უნდა მოვითმინოთ, თუნდაც ის წლობით გრძელდებოდეს.

6. ავადმყოფს შეიძლება სიტყვითაც დაეხმარო.

7. უცხო ადამიანები არ უნდა ჩაერიონ ორი პირის კონფლიქტში.

8. როგორც წესი, მოხუცები უმიზეზოდ ბრაზდებიან.

9. როცა ბავშვობაში სეულიან ისტორიას ეუსმენდი, თვალებზე ცრემლი მადგებოდა.

10. მშობლების გაღიზიანებული მდგომარეობა გავლენას ახდენს თემს განწყობილებაზე.

11. ჩემი მისამართით გამოთქმული კრიტიკის მიმართ გულგრილი ვარ.

12. უფრო მომწონს პორტრეტების დათვალიერება, ვიდრე პეიზაჟების.

13. ყოველთვის ვპატიობდი მშობლებს, მაშინაც, თუ ისინი არასწორები იყვნენ.

14. თუ ცხენი ცუდად აჭენებს, მათრახი უნდა გადაკრა.

15. როცა ვკითხულობ ადამიანთა ცხოერებაში დრამატულ მოვლენებზე, ვგრძნობ, რომ თითქოს ყოველიეე მე მემართება.

16. მშობლები ბავშვებს სამართლიანად ექცევიან;

17. ვერევი მოზარდებისა თუ უფროსების ჩხუბში.

18. ყურადღებას არ ვაქცევ ჩემი მშობლების ცუდ განწყობილებას.

19. დიდხანს ვაკვირდები ცხოველთა ქცევას, საქმეების გადადებაც რომ მომიწიოს.

20. ფილმებსა და წიგნებს ცრემლების მოგვრა მხოლოდ არასერიოზულ ადამიანებში შეუძლიათ.

21. მიყვარს უცნობი ადამიანების ქცევაზე და სახეების გამომეტყველებაზე დაკვირვება.

22. ბავშვობაში სახლში ძაღლები და კატები მომყავდა.

23. ყველა ადამიანი უსაფუძვლოდ გაბოროტებულია.

24. უცხო ადამიანის შეხედვისას მსურს გავიგო, როგორ აეწყობა მისი ცხოვრება.

25. ბავშვობაში ასაკით უმცროსები კუდში დამდევდნენ.

26. დასახიჩრებული ცხოველის დანახვისას ვცდილობ მას რამეთი დავეხმარო.

27. ადამიანს მოეშვება, თუ ყურადღებით მოვუსმენთ მის ჩივილებს.

28. ქუჩაში უბედური შემთხვევის დანახვისას, ვცდილობ არ მოვხვდე მოწმეთა რიცხვში.

29. უმცროსებს მოსწონთ, როცა ჩემს იდეას, საქმეს ან გასართობს ვთავაზობ მათ.

30. ადამიანები აჭარბებენ ცხოველთა უნარს იგრძნონ თავიანთი პატრონის განწყობილება.

31. რთული კონფლიქტური სიტუაციიდან ადამიანი დამოუკიდებლად უნდა გამოვიდეს.

32. თუ ბავშვი ტირის, ამის მიზეზიც არსებობს.

33. ახალგაზრდობა უნდა აკმაყოფილებდეს მოხუცების ნებისმიერ თხოვნას და ახირებას.

34. მინდა გაეერკვე, რატომ იყო ზოგიერთი ჩემი თანაკლასელი ჩაფიქრებული.

35. უპატრონო შინაური ცხოველები უნდა დაიჭირონ და გაანადგურონ.

36. თუ ჩემი მეგობრები პირადი პრობლემების განხილვას იწყებენ ჩემთან, ვცდილობ საუბარი სხვა თემაზე გადავიტანო.

შედეგების დაანგარიშება

სანამ შეაჯამებთ მიღებულ შედეგებს, შეამოწმეთ გულწრფელობის ხარისხი, რომლითაც გაეცით პასუხი კითხვებს. ხომ არ უპასუხეთ „არ ეიცი" ზოგიერთ მტკიცებას შემდეგი ნომრებით: 3, 9, 11, 13, 28, 36, ხოლო ასევე, ხომ არ აღგინიშნავთ 11, 13, 15, 27 პუნქტები პასუხებით „დიახ, ყოველთეის"? თუ ეს ასეა, მაშინ არ მოისურეეთ ყოფილიყაით გულწრფელი საკუთარ თაეთან, ზოგიერთ შემთხვეევაში ცდილობდით საუკეთესო სახით წარმოჩენას. ტესტირების შედეგები სანდოა, თუ ყეელა მტკიცებაზე გაეცით არაუმეტეს სამი არაგულწრფელი პასუხი, ოთხი არაგულწრფელი პასუხისას ღირს დაეჭეება მათ უტყუარობაში, ხუთის დროს ჩათეალეთ, რომ სამუშაო ტყუილად შეასრულეთ. ახლა შეაჯამეთ შემდეგ პუნქტებზე აღნიშნული პასუხების ქულები: 2, 5, 8, 9, 10, 12, 13, 15, 16, 19, 21, 22, 24, 25, 26, 27, 29 და 32. შედეგი შეადარეთ ემპათიური ტენდენციების განვითარების სკალას.

ტესტის კლასიფიკატორი

თუ დააგროვეთ 82-დან 90-მდე ქულა, ეს ემპათიურობის ძალიან მაღალი დონეა. თქვენში თანაგანცდა ავადმყოფურადაა განვითარებული. ურთიერთობაში, როგორც ბარომეტრი ფაქიზად რეაგირებთ თანამოსაუბრეს განწყობილებაზე, რომელსაც ჯერ სიტყეაც არ უთქეამს. თავს ცუდად გრძნობთ „მძიმე" ადამიანების გარემოცეაში, რადგანაც ისინი თქვენთან ახდენენ განტვირთვას. უფროსები და ბავშვები სიამოენებით განდობენ საიდუმლოებებს და გეკითხებიან რჩევებს. ხშირად განიცდით დანაშაულის გრძნობას, შიშობთ რა ადამიანებისთვის უსიამოენების მოტანას. ამავე დროს, ძალიან გულჩვილი ხართ. გული გეწურებათ დასახიჩრებული ცხოველის დანახვისას ან ადგილს ვერ პოულობთ შეფის შემთხვევითი ციცი სალამის გამო. თქვენი შთამბეჭდაობა ზოგჯერ ვერ გაძინებთ. ხართ რა გრძნობებში იმედგაცრუებული, საჭიროებთ ემოციურ მხარდაჭერას გეერდიდან. ასეთი დამოკიდებულებით ცხოერების მიმართ უფრო ნეეროტულ ფეთქებისკენ ხართ მიდრეკილი. იზრუნეთ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

63-დან 81 ქულამდე – მაღალი ემპათიურობა. მგრძნობიარე ხართ გარშემომყოფებთა პრობლემებისა და საჭიროებების მიმართ, დიდსულოვანი, შეგიძლიათ ბევრი რამის პატიება. მოგწონთ ადამიანების სახის გამომეტყველების წაკითხვა და მათ მომაელის განჭვრეტა. ხართ ემოციურად გულისხმიერი, გულღია, სწრაფად ამყარებთ კონტაქტებს გარშემომყოფებთან და პოულობთ საერთო ენას. ბავშვებს თქვენც იზიდავთ. გარშემომყოფები აფასებენ თქვენს სულიერებას. ცდილობთ არ დაუშვათ კონფლიქტები და იპოვოთ კომპრომისული გადაწყვეტილებები. კარგად იტანთ კრიტიკას თქვენი მისამართით. მოელენების შეფასებაში უფრო ენდობით გრძნობებს და ინტუიციას, ვიდრე ანალიტიკურ დასკვნებს. უპირატესობას ანიჭებთ ადამიანებთან მუშაობას, მარტოდ მუშაობასთან შედარებით. მუდმივად გჭირდებათ თქვენი მოქმედებების სოციალური მოწონება. დიდ სირთულეს არ წარმოადგენს თქვენი წონასწორობიდან გამოყვანა.

37-დან 62 ქულამდე – ემპათიის ნორმალური დონე, რომელიც ახასიათებს ადამიანების უმრავლესობას. თქვენ არ ხართ სქელკანიანი, მაგრამ არც განსაკუთრებით მგრძნობიარე ადამიანების რიცხვს განეკუთვნებით. პიროვნებათაშორის ურთიერთობებში სხვებზე მსჯელობთ მათი ქცევების მიხედვით და არ ენდობით პირად შთაბეჭდილებებს. თქვენთვის უცხო არაა ემოციური გამოელინებები, მაგრამ ის ძირითადად კონტროლის ქვეშაა. ცდილობთ გაიგოთ იმაზე მეტი, რაც სიტყვებით ითქვა. ცდილობთ არ გამოხატოთ თქვენი შეხედულება, რადგან შიშობთ, რომ ის არ იქნება მიღებული. მხატვრული ნაწარმოებების კითხვისას და ფილმების ყურებისას უფრო აკვირდებით გმირების მოქმედებებს, ვიდრე მათ განცდებს. გიძნელდებათ ადამიანთა შორის ურთიერთობების განვითარების პროგნოზი, ამიტომაც, მათი ქცევები მოულოდნელი ხდება თქვენთვის.

12-36 ქულა – ემპათიურობის დაბალი დონე. სირთულეებს განიცდით ადამიანებთან კონტაქტის დამყარებაში, თავს უხერხულად გრძნობთ დიდ კომპანიაში. გარშემომყოფთა ქცევებში ემოციური გამოელინებები გეჩვენებათ გაუგებრად და აზრს მოკლებულად. გირჩევნიათ განმარტოებით მუშაობა კონკრეტულ საქმეზე. ვიდრე ადამიანებთან ერთად. თქვენ ზუსტი ფორმულირებების და რაციონალური გადაწყვეტილებების მომხრე ხართ. როგორც ჩანს მცირე მეგობარი გყავთ და მათ აფასებთ საქმიანი თვისებებისა და ნათელი გონების გამო. ადამიანებიც ასევე გექცევიან. ზოგჯერ, თავს გაუცხოებულად გრძნობთ, როცა გარშემომყოფები არ გაქცევენ სათანადო ყურადღებას. თუმცა, ეს გამოსწორებადია, უფრო მეტად ჩაწვდით ახლობლების ქცევის არსს და იგივეს მიიღებთ პასუხადაც.

11 ქულა და ნაკლები – ძალიან დაბალი დონე. პიროვნების ემპათიური ტენდენციები განვითარებული არაა. გიჭირთ საუბრის წამოწყება, კონტაქტი ბავშვებთან და უფროსი ასაკის ადამიანებთან. ხშირად ვარდებით უხერხულ მდგომარეობაში. გიყვართ მძაფრი შეგრძნებები, სპორტული შეჯიბრებები კი, გირჩევნიათ ხელოვნებას. საქმიანობაში ზედმეტად ხართ ცენტრირებული საკუთარ თავზე. ძალიან ნაყოფიერი შეგიძლიათ იყოთ ინდივიდუალურ მუშაობაში, სხვებთან კი, ყოველთვის არ ხართ საუკეთესო მხრიდან წარმოდგენილი. მტკივნეულად განიცდით კრიტიკას თქვენი მისამართით. გჭირდებათ გრძნობების გიმნასტიკა.

გულღიაობის ღონის შეფასება (ვ. შ. რიასკოვსკის ტესტი)

ტესტი იძლევა ადამიანის კომუნიკაბელურობის განსაზღვრის შესაძლებლობას. კითხვებზე პასუხის გაცემა უნდა მოხდეს პასუხების **3 ვარიანტის გამოყენებით: „დიახ", „ხანდახან" და „არა".**

ინსტრუქცია: თქვენ ყურადღებას იქცევს რამოდენიმე მარტივი კითხვა. უპასუხეთ სწრაფად, ერთმნიშვნელოვნად: „დიახ", „არა", „ხანდახან".

კითხვარის ტესტი

1. გელოდებათ ორდინარული ან საქმიანი შეხვედრა. ამის მოლოდინს გამოყავხართ მდგომარეობიდან?

2. გაცბუნებთ მოხსენებით, შეტყობინებით, ინფორმაციით გამოსვლა რაიმე სახის კრებაზე, თათბირზე ან სხვა ღონისძიებაზე?

3. ექიმთან ვიზიტს ბოლო მომენტამდე დებთ?

4. გთავაზობენ მიელინებით იმ ქალაქში წასვლას, სადაც არასდროს ყოფილხართ. ყველა ღონეს იხმართ ამ მივლინების თავიდან ასაცილებლად?

5. გიყვართ თქვენი განცდების სხვისთვის გაზიარება?

6. გაღიზიანებთ, თუ ქუჩაში უცნობი ადამიანი მოგმართავთ თხოვნით (აჩვენოთ გზა, უთხრათ დრო, პასუხი გასცეთ შეკითხვაზე)?

7. გჯერათ, რომ არსებობს მამებისა და შვილების პრობლემა და რომ სხვადასხვა თაობის ადამიანებს უჭირთ ერთმანეთის გაგება?

8. შეგრცხვებათ შეახსენოთ ნაცნობს, რომ მას დააგვიწყდა რამოდენიმე თვის წინ ნასესხები თანხის დაბრუნება?

9. რესტორანში ან კაფეში მოგართვეს აშკარად უხარისხო კერძი. გაჩუმდებით და მხოლოდ თეფშს გასწევთ გვერდზე?

10. უცნობ ადამიანთან პირისპირ დარჩენილი, არ დაიწყებთ საუბარს და დაელოდებით, სანამ ის წამოიწყებს საუბარს. მართალია ეს?

11. გაწუხებთ ნებისმიერი გრძელი რიგი, სადაც არ უნდა იყოს ის (მაღაზიაში, ბიბლიოთეკაში, კინოთეატრის სალაროში). უარს იტყვით თქვენს განზრახვაზე თუ ჩადგებით რიგის ბოლოში და დაელოდებით?

12. გეშინიათ მონაწილეობა მიიღოთ კონფლიქტური სიტუაციების განმხილველ ნებისმიერ კომისიაში?

13. თქვენ გაქვთ ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის ნიმუშების შეფასების ღრმა ინდივიდუალური კრიტერიუმები და არანაირ სხვა აზრს არ მიიღებთ. მართალია ეს?

14. მოისმინეთ რა აშკარად მცდარი თვალსაზრისი თქვენთვის კარგად ნაცნობ საკითხზე, გაჩუმდებით და არ ჩაერევით საუბარში?

15. გაწუხებთ ვინმეს თხოვნა დაეხმაროთ გაერკვეს ამა თუ იმ სამსახურებრივ საკითხში ან სასწავლო თემაში?

16. სიამოვნებით გადმოსცემთ თქვენს შეხედულებას (აზრს, შეფასებას) წერილობითი ფორმით, ვიდრე ზეპირით?

პასუხების შეფასება: „დიახ" — 2 ქულა; „ხანდახან" — 1 ქულა; „არა" — 0 ქულა.

მიღებული ქულები ჯამდება და კლასიფიკატორის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება ცდის პირი.

ტესტის კლასიფიკატორი

30-31 ქულა. თქვენ არაკომუნიკაბელური ხართ და ეს თქვენი უბედურებაა, რამდენადაც ამის გამო ყველაზე მეტად თქვენ იტანჯებით. არც თქვენს ახლობლებს ადგათ კარგი დღე. ძნელია საქმეში თქვენზე იმედის დამყარება. ეცადეთ იყოთ უფრო გულღია, აკონტროლეთ თავი.

25-29 ქულა. გულჩათხრობილი, სიტყვაძუნწი, მარტოობის მოყვარული ხართ, ამიტომ არ გყავთ ბევრი მეგობარი. ახალი სამუშაო და ახალი კონტაქტების აუცილებლობა პანიკაშით თუ არ გაგდებთ,

წონასწორობიდან მაინც გამოყავხართ დიდხანს. თქვენთვის უცნობია ხასიათის ეს თავისებურება და უკმაყოფილო ხართ საკუთარი თავით. ნუ დაკმაყოფილდებით მხოლოდ ამ უკმაყოფილებით – თქვენს ხელთაა ხასიათის ამ თავისებურების შეცვლის შესაძლებლობა. მხოლოდ უნდა მოინდომოთ.

19-24. თქვენ გულღია ადამიანი ხართ და უცნობ გარემოში თავს დამაჯერებლად გრძნობთ. ახალი პრობლემები არ გაშინებთ. და მაინც, ახალ ნაცნობებთან ფრთხილი ხართ, კამათსა და დისპუტებში სიამოვნებით როდი მონაწილეობთ. თქვენს გამონათქვამებში საკმაოდ ბევრი სარკაზმია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ეს ნაკლოვანებები გამოსწორებადია.

14-18 ქულა. გახასიათებთ ნორმალური კომუნიკაბელურობა. სიამოვნებით უსმენთ საინტერესო თანამოსაუბრეს, ხართ მომთმენი სხვებთან ურთიერთობაში, იცავს თქვენს აზრს აფეთქების გარეშე. უსიამოვნო განცდების გარეშე მიდიხართ ახალ ადამიანებთან შეხვედრაზე. არ გიყვართ ხმაურიანი კომპანიები; ექსტრავაგანტური საქციელი და მრავალსიტყვაობა თქვენში გაღიზიანებას იწვევს.

9-13 ქულა. საკმაოდ გულღია ხართ, ცნობისმოყვარე, ენაწყლიანი, გიყვართ აზრების გამოთქმა სხვადასხვა საკითხზე, რაც გარშემომყოფებში იწვევს გაღიზიანებას. სიამოვნებით ეცნობით ახალ ადამიანებს. გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა, არაეის ეუბნებით უარს თხოვნაზე, მაგრამ ყოველთვის არ შეგიძლიათ მათი შესრულება. ფეთქებადი ხართ, მაგრამ ადვილად მშვიდდებით. რაც გაკლიათ, ესაა მოთმენის უნარი, ნებისყოფა, რათა გაუმკლავდეთ სერიოზულ პრობლემებს. თუმცა, სურვილის ქონისას, შეგიძლიათ თავს აიძულოთ არ დაიხიოთ უკან.

4-8 ქულა. თქვენ გულღია ადამიანი ხართ. ყოველთვის ყველა საქმის კურსში ხართ. გიყვართ მონაწილეობის მიღება ყველა დისკუსიაში, თუმცა სერიოზულ თემებს შეუძლია თქვენში შაკიკის გამოწვევა. სიამოვნებით გამოთქვამთ აზრს ნებისმიერ საკითხზე, თუნდაც მასზე გქონდეთ ზედაპირული წარმოდგენა. თავს ყველგან თავისუფლად გრძნობთ. ხელს კიდებთ ნებისმიერ საქმეს, თუმცა ყოველთვის ვერ ასრულებთ ბოლომდე. ამ მიზეზების გამო ხელმძღვანელი და კოლეგები გეკიდებიან გარკვეული სიფრთხილით და ეჭვით. დაფიქრდით ამ ფაქტებზე.

3ქულა და ნაკლები. თქვენი კომუნიკაბულურობა ავადმყოფურ ხასიათს ატარებს. ხართ ენაწყლიანი, ერევით ისეთ საქმეებში, რომელთანაც კავშირი არ გაქვთ. მსჯელობთ პრობლემებზე, რომლებშიც სრულიად არაკომპეტენტური ხართ. ნებსით თუ უნებლიედ ხშირად ხართ კონფლიქტის მიზეზი თქვენს გარემოცვაში. ხართ ფეთქებადი, წყენია, ხშირად არაობიექტური. სერიოზული სამუშაო თქვენთვის არაა. ადამიანებს – სამსახურშიც და სახლშიც, საერთოდ ყველგან – უჭირთ თქვენთან. უნდა იმუშაოთ საკუთარ თავზე და ხასიათზე! თავიდან, აღზარდეთ მოთმენის უნარი და თავშეკავებულობა, პატივიცემით მიუდექით ადამიანებს და ბოლოს იზრუნე ჯანმრთელობაზე – ცხოვრების ასეთი სტილი უკვალოდ არ ქრება.

კომუნიკაციური საქმიანობის ტესტური რუკა

ადამიანის აუდიტორიასთან ურთიერთობის სტილის შესაფასებლად შეავსეთ ა. ა. ლეონტიევის ანკეტის საფუძველზე შემუშავებული კომუნიკაციური საქმიანობის ტესტური რუკა. ამისათვის, საჭიროა აუდიტორიასთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე 4-5 პირის ექსპერტად გამოსვლა. შეფასება ხდება შემოთავაზებული სკალის მიხედვით, ხოლო განხილვისას უნდა ვეცადოთ დასაბუთდეს, ლექტორის რა თვისებებმა გამოიწვია ესა თუ ის შეფასება.

ტესტის კლასიფიკატორი

თუ ექსპერტთა გასაშუალებული შეფასება მერყეობს 45-49 ქულის ფარგლებში, კომუნიკაციური საქმიანობა ძალიან დაძაბულია და ახლოსაა აქტიური ურთიერთზემოქმედების მოდელთან. ორატორმა მიაღწია თავისი ოსტატობის მწვერვალებს, თავისუფლად ფლობს აუდიტორიას, როგორც დირიჟორი, ბრწყინვალედ ანაწილებს ყურადღებას, ურთიერთობის ყველა საშუალება ორგანულადაა დაკავშირებული მოსწავლეებთან ურთიერთქმედებასთან: უცნობისთვის ისე ჩანს, თითქოს შეიკრიბა ნაცნობების კომპანია ბოლო მოვლენების განხილვისთვის. თუმცა, ამასთან ყველა საერთო საქმითაა დაკავებული და აღწევენ დასახულ მიზანს.

35-44 ქულა – მაღალი შეფასებაა. აუდიტორიაში ფასობს მეგობრული, ძალდაუტანებელი ატმოსფერო. ყველა მონაწილე დაინტერესებულად აკვირდება წამყვანს ან განიხილავს დასმულ საკითხს. აქტიურად გამოითქმის აზრები, შემოთავაზებულია პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები. არ არის სტიქიურობა. წამყვანს კორექტულად მიჰყავს საუბრის მსვლელობა, სათანადოდ აღნიშნავს რა შეკრებილთა იუმორსა და გონებამახვილობას. სათანადო წინადადებას უმალ იტაცებენ და წახალისება ხდება ზომიერი შექებით. მეცადინეობა ნაყოფიერია მხარეთა აქტიური ურთიერთქმედებით.

ხასიათის დადებითი თვისებები	ქულები	ხასიათის უარყოფითი თვისებები
1. კეთილსასურველობა	7 6 5 4 3 2 1	არაკეთილსასურველობა
2. დაინტერესებულობა	7 6 5 4 3 2 1	გულგრილობა
3. ინიციატივის წახალისება	7 6 5 4 3 2 1	ინიციატივის დათრგუნვა
4. გულღიაობა (გრძნობების თავისუფალი გამოხატვა, ნიღბის არქონა)	7 6 5 4 3 2 1	ჩაკეტილობა (სოციალური როლის ჩაჭიდების სურვილი, ნაკლოვანებების შიში, შიში პრესტიჟის გამო)
5. აქტიურობა (ურთიერთობაშია მუდამ, მსმენელები ტონუსში ჰყავს)	7 6 5 4 3 2 1	პასიურობა (არ მართავს ურთიერთობის პროცესს, უშვებს თვითდინებაზე)
6. მოქნილობა (ადვილად გრძნობს და წყვეტს წარმოქმნილ პრობლემებს, კონფლიქტებს)	7 6 5 4 3 2 1	სიხისტე (არ ამჩნევს ცვლილებებს აუდიტორიის განწყობილებაში)
7. დიფერენცირებულობა (ინდივიდუალური მიდგომა)	7 6 5 4 3 2 1	დიფერენცირებულობის არქონა ურთიერთობაში (არ გააჩნია ინდივიდუალური მიდგომა).

20-34 ქულა წამყვანს ახასიათებს, როგორც ურთიერთობების ხერხების დამაკმაყოფილებლად მცოდნეს. მისი კომინიკაციური საქმიანობა ფორმით საკმაოდ თავისუფალია, ის ადვილად შედის კონტაქტში აუდიტორიასთან, თუმცა ყველა არ ხვდება მისი თვალთახედვის არეში. იმპროვიზირებულ დისკუსიებში ეყრდნობა შეკრებილთა ყველაზე აქტიურ ნაწილს, დანარჩენები კი, დამკვირვებლების როლში გამოდიან. მეცადინეობა მიმდინარეობს ცოცხლად, მაგრამ ყოველთვის არ აღწევს დასახულ მიზანს. შესაძლებელია დიფერენცირებული ყურადღების და არამოქნილი რეაგირების მოდელების ელემენტთა გამოელინებები.

11-19 ქულა – აუდიტორიაში ადამიანის კომუნიკაციური საქმიანობის დაბალი შეფასება. ადგილი აქვს ზემოქმედების ცალმხრივ მიმართულობას. აუდიტორია პასიურია, ინიციატივა ითრგუნება წამყვანის დომინირებით. მისი სტილი ჰგავს ავტორიტარულს ან არაკონტაქტურს.

ძალიან დაბალი შეფასებების (7-10 ქულა) დროს აუდიტორიასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვეტილია. ურთიერთობა ვითარდება დიქტორის ან ჰიპორეფლექსური სტილის მოდელების მიხედვით. ის ფსიქოლოგიური შინაარსით ანონიმურია და პრაქტიკულად არაფრით გამოირჩევა რადიოში მაუწყებლობისგან. ყველა ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ საინფორმაციო შინაარსით.

ურთიერთობაში მყოფი ადამიანების ეფექტურ ურთიერთქმედებას შეუძლია ხელი შეუშალოს სხვადასხვა ფაქტორმა, რომელთაც ეუწოდებთ ურთიერთობის ბარიერებს. ასეთი ობიექტური ფაქტორებია – მანძილი, ხილულობისა და სმენადობის არარსებობა – ფიზიკოსებისა და ინჟინრების ანალიზის საგანი. ჩვენ კი განვიხილავთ იმ სუბიექტურ ფაქტორებს, რომლებიც უკავშირდებიან ურთიერთობაში მყოფ პიროვნებებს და ურთიერთობის თანმხლებ გარემოებებს.

ტესტი ურთიერთობაში თვითკონტროლის შეფასებაზე

ტესტი შემუშავებულია ამერიკელი ფსიქოლოგის მ. სნაიდერის მიერ.

ყურადღებით წაიკითხეთ 10 წინადადება, რომელიც აღწერს რეაქციებს ზოგიერთ სიტუაციაზე. თითოეული მათგანი უნდა შეაფასოთ, როგორც მართებული ან უმართებულო თქვენთან მიმართებაში. თუ წინადადება მიგაჩნიათ სწორად ან უპირატესად მართებულად, რიგითი ნომრის გვერდით აღნიშნეთ ასო „მ“, თუ არასწორია ან უპირატესად არამართებული – „ა“.

ტესტი

1. ძნელად მეჩვენება სხვა ადამიანების ჩვევების მიბაძვის ხელოვნება.
2. შემიძლია თავი გავისულელო, რათა მივიპყრო გარშემომყოფთა ყურადღება ან გავამხიარულო ისინი.
3. ჩემგან კარგი მსახიობი დადგებოდა.
4. სხვა ადამიანებს ზოგჯერ ეჩვენება, რომ რაღაც უფრო მეტს განვიცდი, ვიდრე ეს სინამდვილეშია.
5. საზოგადოებაში ყურადღების ცენტრში იშვიათად ვარ.
6. სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობაში განსხვავებულად ვიქცევი.

7. ვიცავ მხოლოდ იმას, რაშიც გულწრფელად დარწმუნებული ვარ.

8. საქმეებში და ადამიანებთან ურთიერთობებში წარმატების მისაღწევად, ვცდილობ ვიყო ისეთი, როგორის მოლოდინიც აქვთ.

9. შემიძლია კეთილმეგობრული ვიყო ადამიანებთან, რომელთაც ვერ ვიტან.

10. ყოველთვის არ ვარ ისეთი, როგორიც ჩანს.

სნაიდერის მიხედვით, მაღალი საკომუნიკაციო კონტროლის მქონე ადამიანები მუდმივად აკვირდებიან საკუთარ თავს, კარგად იციან, სად და როგორ მოიქცნენ, მიმართავენ ემოციების გამოხატვას. ამასთან, მათ უძნელდებათ თვითგამოხატვის სპონტანურობა, მათ არ უყვართ არაპროგნოზირებადი სიტუაციები. მათი პოზიციაა: „ისეთი ვარ, როგორც მოცემულ მომენტში". დაბალი კომუნიკაციური კონტროლის მქონე ადამიანები უფრო უშუალონი და გულღიები არიან, მათ უფრო მყარი მე აქვთ, ნაკლებად ექცევიან ცდილობების ქვეშ სხვადასხვა სიტუაციაში.

შედეგების დათვლა: 1 ქულა ირიცხება პასუხზე „ა", 1, 5 და 7 კითხვებზე და პასუხზე „ბ" ყველა დანარჩენზე. დაითვალეთ ქულები. თუ გულწრფელად უპასუხეთ კითხვებს, თქვენზე შემდეგის თქმა შეიძლება.

ტესტის კლასიფიკატორი

0-3 ქულა – გაქვთ დაბალი კომუნიკაციური კონტროლი. თქვენი ქცევა მტკიცეა და საჭიროდ არ თელით შეცვლას სიტუაციის მიხედვით. ურთიერთობაში გულწრფელი ხართ. ზოგიერთი თავს თქვენთან ურთიერთობაში უხერხულად გრძნობს, თქვენი სწორხაზოვნების მიზეზით.

4-6 ქულა – საშუალო კომუნიკაციური კონტროლი, გულწრფელი ხართ, მაგრამ თავშეკავებული ემოციურ გამოვლინებებში, ანგარიშს უწევთ ადამიანებს ქცევაში.

7-10 ქულა – გაქვთ მაღალი კომუნიკაციური კონტროლი. ადვილად შედიხართ ნებისმიერ როლში, მოქნილად რეაგირებთ სიტუაციის ცვლილებაზე, შეგიძლიათ განჭვრიტოთ კიდეც ის შთაბეჭდილება, რომელსაც მოახდენთ გარშემომყოფებზე.

კომუნიკაციური უნარების შეფასების ტესტი

ცნება „კომუნიკაციური უნარები" მოიცავს არა მხოლოდ თანამოსაუბრეს შეფასებას, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას, არამედ მეგობრული ატმოსფეროს შექმნის, თანამოსაუბრეს პრობლემების გაგების უნარს და ა.შ. ამ თვისებების შემოწმებისთვის გთავაზობთ შემდეგ ტესტებს.

ვარიანტი 1

ინსტრუქცია: აღნიშნეთ სიტუაციები, რომლებიც იწვევენ უკმაყოფილებას ან წყენას და გაღიზიანებას ნებისმიერ ადამიანთან საუბრის დროს, იქნება ეს, ამხანაგი, თანამოსამსახურე, უშუალო ხელმძღვანელი ან შემთხვევითი თანამოსაუბრე.

სიტუაციების ვარიანტები	წყენის გამომწვევი სიტუაციები
1. თანამოსაუბრე არ მაძლევს შანსს გამოვთქვა აზრი, მაქვს სათქმელი, მაგრამ სიტყვის ჩართვის შესაძლებლობა კი, არა.	
2. თანამოსაუბრე მუდმივად მერთევება საუბარში.	
3. თანამოსაუბრე არასდროს მიყურებს სახეში, ამიტომ არ ვარ დარწმუნებული, რომ მისმენს.	
4. ასეთ პარტნიორთან საუბარი ხშირად იწვევს დროს ფუჭი დაკარგვის გრძნობას.	
5. თანამოსაუბრე მუდმივად წრიალებს, მას უერო აღელვებს ფანქარი და ფურცელი, ვიდრე ჩემი სიტყვები.	
6. თანამოსაუბრე არასდროს არ იღიმის. მაქვს უკმაყოფილებისა და შფოთვის გრძნობა.	
7. თანამოსაუბრე მუდმივად მისვამს კითხვებს და აკეთებს კომენტარებს.	
8. რაც არ უნდა ვთქვა, თანამოსაუბრე მუდმივად მასხამს ციე წყალს.	
9. თანამოსაუბრე ყოველთვის ცდილობს დაამტკიცოს საპირისპირო.	
10. თანამოსაუბრე ამახინჯებს ჩემი სიტყვების აზრს და მათში სხვა შინაარსს დებს.	
11. როცა კითხვას ვსვამი, თანამოსაუბრე მაიძულებს თავი დავიცვა.	

სიტუაციების ვარიანტები	წყენის გამომწვევი სიტუაციები
12. ზოგჯერ თანამოსაუბრე ხელახლა მამეორებინებს სიტყვებს, თითქოს ვერ გაიგო, რა ვთქვი.	
13. თანამოსაუბრე ბოლომდე არ მისმენს, მაწყვეტინებს სიტყვას, რათა დამეთანხმოს.	
14. თანამოსაუბრე საუბრისას კონცენტრირებულია სხვა რამეზე (წმინდავს მინას, ათამაშებს სიგარეტს და ა.შ.) და ამასთან დარწმუნებული ვარ, რომ ის ყურადღებით მისმენს.	
15. თანამოსაუბრე დასკვნებს ჩემს მაგიერად აკეთებს.	
16. თანამოსაუბრე მუდმივად ცდილობს სიტყვა ჩაურთოს ჩემს მონათხრობში.	
17. თანამოსაუბრე ყოველთვის ყურადღებით მისმენს.	
18. თანამოსაუბრე შემფასებლურად მიყურებს. ეს მაღელვებს.	
19. როცა ახლა რამეს ვთავაზობ, თანამოსაუბრე ამბობს, რომ ისიც ასე ფიქრობს.	
20. თანამოსაუბრე მათამაშებს, მაჩვენებს, რომ აინტერესებს საუბარი, საკმაოდ ხშირად მიჭნევს თავს, მიკრავს კვერს.	
21. როცა სერიოზულ თემაზე ვსაუბრობ, თანამოსაუბრე ურთავს სასაცილო ისტორიებს, ხუმრობებს, ანეკდოტებს.	
22. თანამოსაუბრე ხშირად უყურებს საათს საუბრისას.	
23. როცა კაბინეტში შევდივარ, ის თავს ანებებს ყველა საქმეს და ყურადღებას მაპყრობს.	
24. თანამოსაუბრე ისე იქცევა, თითქოს ხელს ვუშლი მნიშვნელოვან რამეში.	
25. თანამოსაუბრე მოითხოვს, რომ ყველა დაეთანხმოს მას. მისი ნებისმიერი გამოთქმა სრულდება კითხვით: „თქვენც ასევე ფიქრობთ?“ ან „თქვენ არ ეთანხმებით?“.	

შედეგების დამუშავება: დაითვალეთ უკმაყოფილებისა და გაღიზიანების გამომწვევი სიტუაციების პროცენტი.

ტესტის კლასიფიკატორი

70-100% – ცუდი მოსაუბრე ხართ. გჭირდებათ საკუთარ თავზე მუშაობა და მოსმენის უნარის განვითარება.

40-70% – გახასიათებთ გარკვეული ნაკლოვანებები. კრიტიკულად უდგებით გამონათქვამებს. ასევე გაკლიათ კარგი თანამოსაუბრეს ზოგიერთი ღირსება. ნუ გააკეთებთ ნაჩქარევ დასკვნებს, ნუ გაამახვილებთ ყურადღებას საუბრის მანერაზე, ნუ განმეორდებით, არ ეძებოთ ნათქვამის ფარული აზრი, ნუ მოახდენთ საუბრის მონოპოლიზებას.

10-40% – კარგი თანამოსაუბრე ხართ, მაგრამ ზოგჯერ მთელ ყურადღებას ვერ აქცევთ პარტნიორს. მიეცით მას დრო გამოაყენოს თავისი აზრი სრულად, თქვენი აზროვნების ტემპი შეუსაბამეთ მის მეტყველებას და დარწმუნდებით, რომ თქვენთან ურთიერთობა უფრო სასიამოვნო იქნება.

0-10% – ბრწყინვალე თანამოსაუბრე ხართ. შეგიძლია მოსმენა. თქვენი ურთიერთობის სტილი მაგალითია გარშემომყოფებისთვის.

ვარიანტი 2

ინსტრუქცია: 10 კითხვაზე უნდა გაიცეს შემდეგი სახით შეფასებული პასუხები:

1) „თითქმის ყოველთვის“ – 2 ქულა;
2) „უმეტეს შემთხვევაში“ – 4 ქულა;
3) „ზოგჯერ“ – 6 ქულა;
4) „იშვიათად“ – 8 ქულა;
5) „თითქმის არასდროს“ – 10 ქულა.

კითხვების ნუსხა

1. ცდილობთ საუბრის შეკვეცას იმ შემთხვევებში, როცა თემა (ან თანამოსაუბრე) არ გაინტერესებთ?

2. გაღიზიანებთ ურთიერთობაში თქვენი პარტნიორის მანერები?

3. შეიძლება სხვა ადამიანის წარუმატებელმა გამოთქმამ გამოიწვიოს თქვენში სიუხეშე ან სიმკვეთრე?

4. ერიდებით საუბარს უცნობ ან ნაკლებად ნაცნობ ადამიანთან?

5. გაქვთ მოსაუბრესთვის საუბრის შეწყვეტის ჩვევა?

6. იღებთ სახეს, რომ ყურადღებით უსმენთ, ხოლო თქვენ სხვაზე ფიქრობთ?

7. ცვლით ტონს, ხმას, სახის გამომეტყველებას იმის მიხედვით, თუ ვინაა თქვენი თანამოსაუბრე?

8. ცვლით საუბრის თემას, თუ ის შეეხო თქვენთვის არასასიამოვნო თემას?

9. უსწორებთ ადამიანს, თუ მის მეტყველებაში არასწორად წარმოითქმის სიტყვები, სახელწოდება, არის ვულგარულობა?

10. გაქვთ ზოგჯერ შემწყნარებელ-მენტორული ტონი მოსაუბრესადმი ირონიისა და უგულებელყოფის ელფერით?

დამუშავება და ინტერპრეტაცია

რაც უფრო მეტია ქულები, მით მეტადაა განვითარებული მოსმენის უნარი. თუ დაგროვდა 62 ქულაზე მეტი, მსმენელი „საშუალოზე მაღალი დონისაა". მსმენელებში საშუალო ქულაა 55.

არავერბალური კომუნიკაციის საექსპერტო შეფასების მეთოდიკა

ფსიქოლოგები ურთიერთობის პროფესიის სტრუქტურაში ჩვეულებრივ გამოყოფენ კომუნიკაციის **2 დონეს — ვერბალურს და არავერბალურს**. ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც მოცემული პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი. არავერბალური ურთიერთობის სფეროს განეკუთვნება ადამიანთა ჟესტები, მიმიკა და სხვა მამოძრავებელი გამოვლინებები, მათი სივრცითი განლაგება ერთმანეთთან მიმართებაში, ხმისა და ინტონაციის გამოყენება, ურთიერთქმედების საერთო დრო.

დიდი მნიშვნელობა გააჩნია კომუნიკაციის მონაწილეთა **ოლფაქტორულ და ტაქტილურ** გამოვლინებებს. ი. ნ. ემელიანოვი აღნიშნავს, რომ ეს კოდები წარმოადგენენ ურთიერთობისა და პიროვნებათშორისი დამოკიდებულებების საშუალებებს.

ურთიერთობის არავერბალური საშუალებების ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს მოძრაობა, სივრცე და დრო. სხეულის ფიზიკური ორგანიზება, აგებულება და დინამიკა წარმოქმნის სხეულის ენას. ამ უკანასკნელს ქვესტრუქტურებს წარმოადგენს **კინესიკა, ტაქესიკა, პროსოდიკა და ექსტრალინგვისტიკა**. სხეულის ენის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს სტატისტიკური ექსპრესია, რომელიც ეფუძნება ადამიანის გარეგნობის ფიზიკურ მახასიათებლებს და გარეგნობის წარმოჩენის თავისებურებებს.

ხმის მახასიათებლები წარმოადგენენ ურთიერთობის მნიშვნელოვან საშუალებებს. მათ განეკუთვნება **პროსოდიკული და ექსტრალინგვისტური** მოვლენები. **პროსოდიკაში** შედის მეტყველების რიტმულ-ინტონაციური მხარეები: ტემპი, ხმის ტემბრი, სიმაღლე, ხმამაღლობა, ფაზური და ლექსიკური მახვილი, აქცენტი. **ექსტრალინგვისტიკა** — მეტყველებაში პაუზების, დახველების, ტირილის, სიცილის, ამოხერის ჩართვა და ა.შ. ურთიერთობის პროცესში ადამიანის ტაქტილური გამოვლინებების ერთობლიობა (შეხება, ჩახუტება, კოცნა და სხვ.) წარმოქმნის ურთიერთობის არავერბალური საშუალებების კიდევ ერთ ქვესტრუქტურას — **ტაქესიკას**.

ქვემოთ წარმოდგენილი არავერბალური კომუნიკაციის საექსპერტო შეფასების მეთოდიკა შემუშავებულია ა. მ. კუზნეცოვას მიერ. რამოდენიმე ექსპერტი მოყვანილი კითხვარის მეშვეობით აფასებს ადამიანის არავერბალურ გამოვლინებებს. თითოეულ კითხვას გააჩნია პასუხის 4 ვარიანტი და თითოეულს ეწერება გარკვეული ქულა (1-დან 4-მდე). მეთოდიკა საშუალებას იძლევა დიაგნოსტირებულ იქნეს არავერბალური ურთიერთობის 3 პარამეტრი.

ქულების დაანგარიშება

1. ადამიანის არავერბალური რეპერტუარის ზოგადი შეფასება მისი მრავალფეროვნების, პარმონიულობის, დიფერენცირებულობის თვალსაზრისით — კითხვები 1,5,8,12,15,17. რაოდენობრივი შეფასება მოცემული პარამეტრისა შეიძლება ვარირებდეს +9-დან −9 ქულამდე.

2. ადამიანის მგრძნობიარობა, სენზიტიურობა სხვისი (ექსპერტ-დამკვირვებლის) არავერბალური ქცევისადმი, ადექვატური იდენტიფიკაციის უნარი — კითხვები 2, 4, 7, 11, 14, 18, 20.

რაოდენობრივი შეფასება მერყეობს 28-დან 7 ქულამდე.

3. საკუთარი არავერბალური რეპერტუარის ურთიერთობის სიტუაციისა და მიზნის ადექვატურად ფლობის უნარი — კითხვები 3, 6, 9, 10, 13, 16, 19.

რაოდენობრივი შეფასება მერყეობს 23-დან 2 ქულამდე.

თითოეული აღწერილი უნარის განვითარების დონე იანგარიშება, როგორც შესაბამის კითხვებზე პასუხების ქულების ჯამი (მე-5, მე-8, მე-12, მე-19 კითხვებზე პასუხებზე მიღებული ქულები აკლდება თითოეული 3 პარამეტრიდან მიღებულ საერთო ქულას). თითოეული ცდის პირისთვის იღებენ სამი ექსპერტის შეფასებას. თითოეულ შესაფასებელ პარამეტრზე არის 3 საექსპერტო შეფასების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა. ეს შეფასებები განიხილება, როგორც არავერბალური კომუნიკაციისადმი სუბიექტის 3 ზემოთ აღწერილი უნარის განვითარების დონის მაჩვენებელი. 3 გასაანალიზებელ პარამეტრზე, ჯამური შეფასებების საფუძველზე, განისაზღვრება ადამიანის პერცეფციულ-კომუნიკაციური შესაძლებლობების განვითარების დონის საერთო მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი შეიძლება მერყეობდეს 0-დან 60 ქულამდე. შემდეგ

ხდება ცდის არსის არავერბალური კომუნიკაციის სტრუქტურის თვისობრივი ანალიზი.

მეთოდიკა

ინსტრუქცია: ეცადეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებზე გამოხატოთ თქვენი აზრი თქვენთან ურთიერთობაში ადამიანის ქცევის ზოგიერთი თავისებურების შესახებ. თითოეულ კითხვაზე პასუხის 4 ვარიანტია. უნდა აირჩიოთ ის, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მოცემული ადამიანის დახასიათებას. პასუხების ბლანკში შემოხაზეთ ის ასო, რომელიც შეესაბამება თქვენს მიერ არჩეულ პასუხს.

კითხვები

1. თქვენით, რომ მას შეუძლია კარგად დაამატოს სიტყვების შინაარსს არამეტყველებითი საშუალებებით (მიმიკით, ჟესტებით, პრიზით და ა.შ.)?

2. ესმის მას თქვენი ემოციების სახის გამომეტყველების მიხედვით?

3. შეუძლია მას იპოვოს შესაბამისი ხმის ინტონაცია სხვა ადამიანების მიმართ თავისი გრძნობების და დამოკიდებულებების გამოსახატავად?

4. თვლით, რომ მას შეუძლია სწორად გაიგოს თქვენი მზერის მნიშვნელობა (სიმპათიის, ინტერესის გამოვლენა, ყურადღების მიპყრობა, ღელვის გამოვლენა და სხვ)?

5. თვლით, რომ მას აქვს ზედმეტი ჟესტები და მოძრაობები, როცა ის ცდილობს გამოხატოს თავისი აზრები და გრძნობები?

6. შეუძლია მას მოთოკოს უარყოფითი ემოციებისა და დამოკიდებულებების გამოვლენა?

7. როგორ მიგაჩნიათ, რეაგირებს ის თქვენი ხმის ცვლილებაზე (ირონიის, ღელვის გამოვლენაზე და ა.შ.)?

8. ხდება ისე, რომ მისი არამეტყველებითი ქცევა არ შეესაბამება იმას, რასაც ის ამბობს?

9. თქვენი აზრით, შეუძლია მას თვალების გამომეტყველებითა და მზერით გამოავლინოს ყურადღება სხვა ადამიანების მიმართ, თაყვანისცემა, დაინტერესებულობა?

10. როგორ მიგაჩნიათ, შეუძლია მას მართოს მიმიკა კონფლიქტური სიტუაციის დროს?

11. გამოირჩევა მისი მიმიკა გამომხატველობით, მრავალფეროვნებით, ჰარმონიით?

12. აქვს მას თქვენი აზრით არამიმზიდველი მოძრაობები და პოზა?

13. იყენებს ის რბილ, მიმნდობ ინტონაციებს, რათა დაძაბულობა მოუხსნას სხვებს, განაწყონ ისინი მისადმი?

14. შეუძლია მას თქვენი სიარულის მანერის, პოზის ცვლილების მიხედვით განსაზღვროს თქვენი მდგომარეობა, განწყობილება?

15. შეუძლია მას გადმოსცეს თავისი გრძნობების, ემოციების ნიუანსები, ელფერი ქცევის სხვადასხვა არამეტყველებითი საშუალების მიხედვით?

16. შეუძლია მას მიმიკის მეშვეობით გასაგებად და ფაქიზად გამოავლინოს სხვებისადმი თავისი კეთილგანწყობა?

17. შეიძლება ითქვას, რომ მისი გამომხატველობითი ქცევით ადვილია გაიგო, თუ რა გრძნობებს განიცდის ის გარშემომყოფების მიმართ?

18. შეუძლია მას გაიგოს თქვენი მისადმი დამოკიდებულება, თუნდაც ამის დემონსტრირებას არ ახდენდეთ სპეციალურად?

19. ხდება ისე, რომ ის შებოჭილია მოძრაობებსა და ჟესტებში, როცა ხედება უჩვეულო, უცნობ სიტუაციაში?

20. როგორ თვლით, ხედება ის, როცა ნაწყენი ხართ, არ გსურთ ურთიერთობა?

პასუხების ბლანკი

თარიღი ----------

გ. ს. მ. ----------

ა — „ყოველთვის“;
ბ — „ხშირად“;
გ — „იშვიათად“;
დ — „არასდროს“.

1	ა	ბ	გ	დ
2	ა	ბ	გ	დ
3	ა	ბ	გ	დ
4	ა	ბ	გ	დ
5	ა	ბ	გ	დ
6	ა	ბ	გ	დ
7	ა	ბ	გ	დ
8	ა	ბ	გ	დ
9	ა	ბ	გ	დ
10	ა	ბ	გ	დ
11	ა	ბ	გ	დ
12	ა	ბ	გ	დ
13	ა	ბ	გ	დ
14	ა	ბ	გ	დ
15	ა	ბ	გ	დ
16	ა	ბ	გ	დ
17	ა	ბ	გ	დ
18	ა	ბ	გ	დ
19	ა	ბ	გ	დ
20	ა	ბ	გ	დ

თავი 44. შიდაოჯახური ურთიერთობების შესწავლის მეთოდიკა

PARI მეთოდიკა

პრაქტიკოსი ფსიქოლოგის მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მუშაობა ოჯახთან (მეუღლეებთან, მშობლებთან, ოჯახთან და ბავშვებთან). ამ მუშაობაში მთავარი მომენტია სრული ინფორმაციის მიღება. ქვემოთ **გთავაზობთ ორ მეთოდიკას: პირველი — ოჯახზე შეხედულება ბავშვის თვალებით (რენე ჟილის პროექციული მეთოდიკა) და მეორე — ოჯახური ცხოვრება დედის თვალით (PARI მეთოდიკა).**

PARI (parental attitude research unstrument) მეთოდიკა გათვალისწინებულია ოჯახური ცხოვრების სხვადასხვა მხარისადმი (ოჯახური როლისადმი) მშობლების (პირველ რიგში, დედის) დამოკიდებულების შესწავლისთვის. აეტორები არიან ამერიკელი ფსიქოლოგები ე. ს. შეფერი და რ. კ. ბელი. ეს მეთოდიკა ფართოდ გამოიყენებოდა პოლონეთში (რემბოუსკი) და ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში (კოტასტოვა). მეთოდიკაში გამოყოფილია ბავშვისა და ოჯახში ცხოვრებისადმი მშობლების დამოკიდებულების სხვადასხვა მხარესთან დაკავშირებული 23 ასპექტი-ნიშანი. მათგან 8 ნიშანი აღწერს დამოკიდებულებას ოჯახური როლის მიმართ და 15 ეხება მშობლებისა და ბავშვების დამოკიდებულებებს. **ეს 15 ნიშანი იყოფა 3 ჯგუფად: 1 — ოპტიმალური ემოციური კონტაქტი, 2 — ბავშვთან ზედმეტი ემოციური დისტანცია; 3 — ზედმეტი კონცენტრაცია ბავშვზე.**

დამოკიდებულება ოჯახური როლის მიმართ

აღიწერება 8 ნიშნის მიხედვით, მათ ნომრებია კითხვარის ფურცელში 3, 5, 7, 11, 13, 17, 19, 23:

1) ქალის ინტერესთა შემოფარგვლა ოჯახის ჩარჩოებით, მხოლოდ ოჯახზე ზრუნვით (3);

2) დედის როლში თავგანწირვის შეგრძნება (5);

3) ოჯახური კონფლიქტები (7);

4) მშობლების ზეავტორიტეტი (11);

5) დიასახლისის როლით დაუკმაყოფილებლობა (13);

6) ქმრის ჩაურთველობა ოჯახის საქმეებში (17);

7) დედის დომინირება (19);

8) დედის დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება (23).

ბავშვისადმი მშობლების დამოკიდებულება

1. ოპტიმალური ემოციური კონტაქტი (შედგება 4 ნიშნისგან, მათი ნომრებია 1, 14, 15, 21):

1) სიტყვიერი გამოვლინებების, ვერბალიზაციის სურვილი (1);

2) პარტნიორული დამოკიდებულება (14);

3) ბავშვის აქტიურობის განვითარება (15);

4) თანასწორი დამოკიდებულება მშობლებსა და ბავშვს შორის (21).

2. ზედმეტი ემოციური დისტანცია ბავშვთან (შედგება 3 ნიშნისგან, მათი ნომრებია 8, 9, 16):

1) გაღიზიანებადობა, ფეთქებადობა (8);

2) სიმკაცრე (9);

3) თავის არიდება ბავშვთან კონტაქტისთვის (16).

3. ზედმეტი კონცენტრაცია ბავშვზე (აღიწერება 8 ნიშნის მიხედვით, მათი ნომრებია 2, 4, 6, 10, 12, 18, 20, 22);

1) ზედმეტი ზრუნვა, დამოკიდებულების ურთიერთობის დამყარება (2);

2) წინააღმდეგობის დაძლევა, ნების დათრგუნვა (4);

3) უსაფრთხოების შექმნა, წყენის შიში (6);

4) არაოჯახური გაელენის გამორიცხვა (10);

5) აგრესიულობის დათრგუნვა (12);

6) სექსუალურობის დათრგუნვა (18);

7) ზედმეტი ჩარევა ბავშვის სამყაროში (20);

8) ბავშვის განვითარების დაჩქარების სურვილი (22).

თითოეული ნიშანი იზომება 5 შეხედულების მეშვეობით. მთელი მეთოდიკა შედგება 115 შეხედ-

ულებისგან. შეხედულებები გარკვეული თანამიმდევრობითაა მოთავსებული და მოპასუხემ უნდა გამოხატოს მათ მიმართ დამოკიდებულება აქტიური ან ნაწილობრივი თანხმობის ან დაუთანხმებლობის სახით. პასუხების ქულებში ასახვის სქემა მოცემულია მეთოდიკის გასაღებში. ციფრული მნიშვნელოვნობის ჯამი განსაზღვრავს 20 ნიშნის გამოხატულებას, მინიმალური 5,8,19,20 – მაღალი შეფასებებია, შესაბამისად –8, 7, 6, 5 – დაბალი.

აზრი აქვს, პირველ რიგში, მაღალი და დაბალი შეფასებების გაანალიზება.

ინსტრუქცია: „თქვენს წინაშეა კითხვები, რომლებიც დაგეხმარებათ გაარკვიოთ, თუ რას ფიქრობენ მშობლები ბავშვის აღზრდაზე. არასწორი და სწორი პასუხები არ არსებობს. ეცადეთ უპასუხოთ ზუსტად და გულღიად.

ზოგიერთი კითხვა შეიძლება ერთნაირად მოგეჩვენოთ. თუმცა, ეს ასე არაა. არის მსგავსი, მაგრამ არა ერთნაირი კითხვები. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ შენიშნულ იქნეს, თუნდაც მცირე განსხვავებები ბავშვის აღზრდაზე შეხედულებებში“.

კითხვარის შესავსებად საჭიროა დაახლოებით 20 წთ.

ნუ იფიქრებთ დიდხანს, უპასუხეთ სწრაფად, ეცადეთ გასცეთ სწორი პასუხი, რომელიც თავში მოგივათ.

თითოეული დებულების გვერდით არის ასოები A, a, B, b, საჭიროა მათი არჩევა შემდეგი სახით:

A – თუ მოცემულ დებულებას ეთანხმებით სრულად;

a – თუ ამ დებულებას უფრო ეთანხმებით, ვიდრე არ ეთანხმებით;

b – თუ მოცემულ დებულებას უფრო არ ეთანხმებით, ვიდრე ეთანხმებით;

B – თუ მოცემულ დებულებას საერთოდ არ ეთანხმებით.

მიუთითეთ თქვენი:

ასაკი ---------- სქესი ----------

განათლება ---------- პროფესია ----------

ბავშვების რაოდენობა და ასაკი ----------

ტესტი

1. თუ ბავშვები თავიანთ შეხედულებებს სწორად თვლიან მათ შეუძლიათ არ დაეთანხმონ მშობლების შეხედულებებს.

Aa Bb

2. კარგმა დედამ უნდა თავისი შვილები დაიცვას ჰატარა სირთულეებისა და წყენისგან.

Aa Bb

3. კარგი დედისთვის სახლი და ოჯახი ყველაზე მინიშნელოვანია ცხოვრებაში.

Aa Bb

4. ზოგიერთი ბავშვი იმდენად ცუდია, რომ მათივე კეთილდღეობისთვის საჭიროა ვასწავლოთ მათ უფროსების შიში.

Aa Bb

5. ბავშვებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ მშობლები მათ ბევრ რამეს უკეთებენ.

Aa Bb

6. პატარა ბავშვს ყოველთვის მაგრად უნდა მოკიდო ხელი ბანაობისას, რათა არ დაეცეს.

Aa Bb

7. ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კარგ ოჯახში არაა გაუგებრობა, ცდებიან.

Aa Bb

8. ბავშვი, როცა გაიზრდება მშობლებს მადლობას ეტყვის მკაცრ აღზრდაზე.

Aa Bb

9. ბავშვთან მთელი დღე ყოფნამ შეიძლება ნერვიული გადაღლა გამოიწვიოს.

Aa Bb

10. უმჯობესია, თუ ბავშვი არ დაფიქრდება იმაზე, სწორია თუ არა მისი მშობლების შეხედულებები სწორი.

Aa Bb

11. მშობლებმა ბავშვებში უნდა აღზარდონ ნდობა მის მიმართ.

Aa Bb

12. ბავშვს უნდა ვასწავლოთ ჩხუბის თავიდან აცილება გარემოებების მიუხედავად.

Aa Bb

13. ყველაზე ცუდი დიასახლისი დედისთვის ისაა, რომ მისთვის ძნელია ვალდებულებებისგან განთავისუფლება. Aa Bb

14. მშობლებს უფრო უადვილდებათ ბავშვებთან შეგუება, ვიდრე პირიქით.

Aa Bb

15. ბავშვმა ცხოვრებაში ბევრი რამ უნდა ისწავლოს, ამიტომაც არ უნდა დაკარგოს ძვირფასი დრო.

Aa Bb

16. თუ ერთხელ დაეთანხმები ბავშვს დაბეზღებაში, ის ამას სულ გაიმეორებს.

Aa Bb

17. ბავშვების აღზრდაში მამები რომ არ უშლიდნენ ხელს, დედები უკეთ გაართმევდნენ ამას თავს.

Aa Bb

18. ბავშვის თანდასწრებით არაა საჭირო სქესზე საუბარი.
Aa Bb

19. დედა რომ არ ხელმძღვანელობდეს სახლს, ქმარს და ბავშვებს, ყველაფერი ნაკლებად ორგანიზებულად იქნებოდა.
Aa Bb

20. დედამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ იცოდეს, რას ფიქრობენ ბავშვები.
Aa Bb

21. მშობლებს მეტად რომ აინტერესებდეთ თავიანთი შვილების საქმეები, ბავშვები უფრო ბედნიერები და უკეთესები იქნებოდნენ.
Aa Bb

22. ბავშვების უმრავლესობა დამოუკიდებლად უნდა უმკლავდებოდეს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს უკვე 15 თვიდან.
Aa Bb

23. ყველაზე ძნელი ახალგაზრდა დედისთვის არის მარტო დარჩენა ბავშვის აღზრდის პირველ წლებში.
Aa Bb

24. ხელი უნდა შევუწყოთ იმას, რომ ბავშვებმა გამოთქვან თავიანთი აზრი ცხოვრებასა და საკუთარ თავზე, თუნდაც თუ მათ მიაჩნიათ, რომ ოჯახში ცხოვრება არასწორია.
Aa Bb

25. დედამ უნდა დაიცვას შვილი ცხოვრებისეული უსიამოვნებისგან.
Aa Bb

26. ქალები, რომლებიც უდარდელ ცხოვრებას ეწევიან, ცუდი დედები არიან.
Aa Bb

27. ბავშვებმა უნდა აღმოეფხვრათ შენიშნული იქედნურობა.
Aa Bb

28. დედამ თავისი ბედნიერება უნდა გაწიროს შვილის ბედნიერებისთვის.
Aa Bb

29. ყველა ახალგაზრდა დედას ეშინია გამოუცდელობის ბავშვთან ურთიერობაში.
Aa Bb

30. მეუღლეებმა დროდადრო უნდა იჩხუბონ, რათა დაამტკიცონ თავიანთი უფლებები.
Aa Bb

31. ბავშვისადმი მკაცრი დისციპლინა მასში ძლიერ ხასიათს ანვითარებს.
Aa Bb

32. დედებს სწორად აწუხებთ ბავშვების სიახლოვე, თითქოს მათ არ შეუძლიათ მეტის ატანა.
Aa Bb

33. მშობლები ბავშვების წინაშე ცუდად არ უნდა წარდგნენ. Aa Bb

34. ბავშვმა თავის მშობლებს სხვებზე უფრო მეტი პატივი უნდა სცეს.
Aa Bb

35. ბავშვმა დახმარებისთვის ყოველთვის უნდა მიმართოს მშობლებს ან მასწავლებლებს, იმის ნაცვლად, რომ ჩხუბით გაარკვიოს გაუგებრობა. Aa Bb

36. ბავშვებთან მუდმივი ყოფნა არწმუნებს დედას იმაში, რომ მისი აღმზრდელობითი შესაძლებლობები მის უნარებზე ნაკლებია (შეეძლო, მაგრამ...)
Aa Bb

37. მშობლებმა თავიანთი ქცევებით უნდა მოიპოვოს ბავშვების კეთილგანწყობა.
Aa Bb

38. ბავშვებმა, რომლებიც არ ცდიან ძალებს წარმატების მიღწევაში, უნდა იცოდნენ, რომ შემდგომ შეიძლება შეხვდნენ უსიამოვნებებს.
Aa Bb

39. მშობლებმა, რომლებიც ბავშვს ესაუბრებიან მის პრობლემებზე, უნდა იცოდნენ, რომ უმჯობესია ბავშვს თავი დაუანებოთ და არ ჩაერიოთ მის საქმეებში.
Aa Bb

40. ქმრებმა, თუ არ სურთ იყვნენ ეგოისტები, მონაწილეობა უნდა მიიღონ ოჯახურ ცხოვრებაში.
Aa Bb

41. დაუშვებელია ბიჭებმა და გოგონებმა ერთმანეთი შიშველი ნახონ.
Aa Bb

42. თუ ცოლი საკმარისადაა მომზადებული პრობლემების დამოუკიდებელი გადაწყვეტისთვის, ეს კარგია ბავშვებისთვისაც და ქმრისთვისაც.
Aa Bb

43. ბავშვს არ უნდა ჰქონდეს მშობლებისგან საიდუმლოებები.
Aa Bb

44. თუ მიღებულია თქვენთვის, რომ ბავშვები ანეკდოტებს გიყვებიან, თქვენ კი — მათ, ბევრი საკითხი შეიძლება გადაწყდეს მშვიდად და უკონფლიქტოდ.
Aa Bb

45. თუ ადრე ვასწავლით ბავშვს სიარულს, ეს ხელსაყრელად მოქმედებს მის განვითარებაზე.
Aa Bb

46. ცუდია, როცა დედა მარტო სძლევს ყველა სირთულეს, რაც უკავშირდება ბავშვის მოვლას და მის აღზრდას.
Aa Bb

47. ბავშვს უნდა ჰქონდეს თავის აზრები და მათი თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.
Aa Bb

48. ბავშვი უნდა დავიცვათ მძიმე სამუშაოსგან.
Aa Bb

49. ქალმა უნდა გააკეთოს არჩევანი სახლის მოვლასა და გართობას შორის.
Aa Bb

50. ჭკვიანმა მამამ ბავშვს უნდა ასწავლოს უფროსობის პატივისცემა.
Aa Bb

51. ძალიან მცირე ქალი იღებს შვილების აღზრდაზე დახარჯულ შრომაზე მადლიერებას.
Aa Bb

52. თუ ბავშვს უბედურება შეემთხვევა, დედა ყოველთვის გრძნობს თავს დამნაშავედ.
Aa Bb

53. ახალგაზრდა მეუღლეებს ძლიერი გრძნობის მიუხედავად ყოველთვის აქვთ უთანხმოებები, რომლებიც გაღიზიანებას იწვევს.
Aa Bb

54. ბავშვები, რომელთაც შთააგონეს პატივისცემა ქცევის ნორმების მიმართ, ხდებიან კარგი, მტკიცე და პატივსაცემი ადამიანები.
Aa Bb

55. იშვიათია, რომ დედა, რომელიც მთელი დღე ზრუნავს ბავშვზე იყოს ალერსიანი და მშვიდი.
Aa Bb

56. ბავშვებმა სახლის გარეთ არ უნდა ისწავლონ ის, რაც ეწინააღმდეგება მათი მშობლების შეხედულებებს.
Aa Bb

57. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ არ არიან მათ მშობლებზე უფრო ბრძენი ადამიანები.
Aa Bb

58. გამართლება არა აქვს ბავშვს, რომელიც მეორეს სცემს.
Aa Bb

59. ახალგაზრდა დედები უფრო მეტად წუხან მათ სახლში ჩაკეტილობაზე, ვიდრე სხვა რამეზე.
Aa Bb

60. ბავშვების იძულება თქვან უარი და შეეგუონ აღზრდის ცუდი მეთოდია.
Aa Bb

61. მშობლებმა უნდა ასწავლონ ბავშვებს იპოვონ საქმე და არ დაკარგონ თავისუფალი დრო.
Aa Bb

62. ბავშვები მშობლებს მცირე პრობლემებით აწუხებენ, თუ ამას თავიდან მიეჩვევიან.
Aa Bb

63. როცა დედა ცუდად ასრულებს თავის ვალდებულებებს ბავშვებთან მიმართებაში, ეს ალბათ ნიშნავს იმას, რომ მამა კარგად ვერ ინახავს ოჯახს.
Aa Bb

64. სექსუალური შინაარსის ბავშვურმა თამაშებმა შეიძლება ბავშვები სექსუალურ დანაშაულამდე მიიყვანონ.
Aa Bb

65. მხოლოდ დედამ უნდა დეგეგმოს, რამდენადაც მან იცის, როგორ უნდა მართოს სახლი.
Aa Bb

66. ყურადღებიანმა დედამ უნდა იცოდეს, რაზე ფიქრობს მისი ბავშვი.
Aa Bb

67. მშობლები, რომლებიც მოწონებით ისმენენ ბავშვების გულღია საუბრებს მათ განცდებზე პაემანზე, შეხვედრებზე, ცეკვებზე და სხვაგან, ეხმარება მათ უფრო სწრაფ სოციალურ განვითარებაში.
Aa Bb

68. რაც უფრო სწრაფად სუსტდება ბავშვების ოჯახთან კავშირი, მით უფრო სწრაფად სწავლობენ ბავშვები თავიანთი პრობლემების გადაწყვეტას.
Aa Bb

69. ჭკვიანი დედა ყველაფერს აკეთებს, რათა ბავშვი დაბადებამდე და დაბადების შემდეგ იყოს კარგ პირობებში.
Aa Bb

70. ბავშვებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მნიშვნელოვანი ოჯახური საკითხების გადაწყვეტაში.
Aa Bb

71. მშობლებმა უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ, რათა ბავშვები ძნელ სიტუაციაში არ აღმოჩნდნენ.
Aa Bb

72. საკმაოდ ბევრი ქალი ივიწყებს იმას, რომ მათ სათანადო ადგილს წარმოადგენს სახლი.
Aa Bb

73. ბავშვები საჭიროებენ დედის ალერსს, რომლის ნაკლებობასაც ზოგჯერ განიცდიან.
Aa Bb

74. ბავშვები უფრო მზრუნველები და მადლიერები უნდა იყვნენ დედის მიერ გაწეულ შრომაზე.
Aa Bb

75. დედების უმრავლესობა შიშობს ბავშვის დატანჯვას, თუ მას მცირე დავალებებს მისცემს.
Aa Bb

76. ოჯახურ ცხოვრებაში არსებობს მრავალი საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც არ შეიძლება მშვიდი განხილვის გზით.
Aa bb

77. ბავშვების უმრავლესობა უფრო მკაცრად უნდა აღიზარდოს, ვიდრე ეს სინამდვილეში ხდება.
Aa Bb

78. ბავშვების აღზრდა მძიმე, ნერვიული სამუშაოა.
Aa Bb

79. ბავშვებს ეჭვი არ უნდა ეპარებოდეთ მათი მშობლების აზროვნების უნარში.
Aa Bb

80. ყველაზე მეტად ბაშვებმა მშობლებს უნდა სცენ პატივი.
Aa Bb

81. ხელი არ უნდა შევუწყოთ იმას, რომ ბავშვები გატაცებულები იყვნენ ჭიდაობით ან კრივით, რამდენადაც ამან შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის სერიოზული დარღვევები და სხვა პრობლემები.
Aa Bb

82. ერთ-ერთი ცუდი მოვლენა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც წესი, დედას არა აქვს დრო საყვარელი საქმიანობისთვის.
Aa Bb

83. მშობლებს შეილები სწორუფლებიანად უნდა მიაჩნდეს ყველა საკითხთან დაკავშირებით.
Aa Bb

84. როცა ბავშვი იმას აკეთებს, რაც უნდა გააკეთოს, ის სწორ გზაზე დგას და ბედნიერი იქნება.
Aa Bb

85. თუ ბავშვი მოწყენილია, თავი უნდა დავანებოთ და მიეუშვათ.
Aa Bb

86. ნებისმიერი დედის ყველაზე დიდი სურვილია ქმარმა გაუგოს.
Aa Bb

87. ბავშვების აღზრდაში ერთ-ერთი ყველაზე რთული მომენტია სექსუალური პრობლემები. Aa Bb

88. თუ დედა მართავს სახლს და ყველაფერზე ზრუნავს, მთელი ოჯახი თავს კარგად გრძნობს.
Aa Bb

89. რამდენადაც ბავშვი დედის ნაწილია, მას უფლება აქვს ყველაფერი იცოდეს მის ცხოვრებაზე.
Aa Bb

90. ბავშვები, რომელთაც შეუძლიათ ხუმრობა და სიცილი მშობლებთან ერთად, ადვილად იღებენ მათ რჩევებს.
Aa Bb

91. მშობლებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ რაც შეიძლება ადრე ასწავლონ ბავშვს ფიზიოლოგიური საჭიროებებთან გამკლავება.
Aa Bb

92. ქალების უმრავლესობა საჭიროებს მეტ დროს ბავშვის დაბადების შემდეგ დასვენებისთვის, ვიდრე მათ ეძლევათ.
Aa Bb

93. ბავშვი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მას არ დასჯიან, თუ ის მშობლებს თავის პრობლემებს გაუმხელს.
Aa Bb

94. ბავშვი არ უნდა მიეჩვიოს სახლში მძიმე სამუშაოს, რათა მან არ დაკარგოს სურვილი ნებისმიერი სამუშაოს მიმართ.
Aa Bb

95. კარგი დედისთვის საკმარისია ურთიერთობა საკუთარ ოჯახთან.
Aa Bb

96. ზოგჯერ მშობლები იძულებულნი არიან იმოქმედონ ბავშვის ნების წინააღმდეგ.
Aa Bb

97. დედები ბევრს სწირაულენ ბავშვების კეთილდღეობისთვის.
Aa Bb

98. დედის ყველაზე მთავარი საზრუნავია ბავშვის კეთილდღეობა და უსაფრთხოება.
Aa Bb

99. ბუნებრივია, რომ ორი საპირისპირო შეხედულების მქონე ადამიანი ცოლ-ქმრობაში ჩხუბობს.
Aa Bb

100. ბავშვების აღზრდა მკაცრი დისციპლინით მათ უფრო ბედნიერს ხდის.
Aa Bb

101. ბუნებრივია, რომ დედა გიჟდება, როცა მისი ბავშვები ეგოისტები და ძალიან მომთხოვნი არიან.
Aa Bb

102. ბავშვმა არასდროს არ უნდა მოისმინოს კრიტიკული შენიშვნები მშობლებზე.
Aa Bb

103. ბავშვების პირდაპირი ვალდებულებაა მშობლებისადმი ნდობა.

Aa Bb

104. როგორც წესი, მშობლები უპირატესობას ანიჭებენ მშვიდ ბავშვებს მოჩხუბრებთან შედარებით.

Aa Bb

105. ახალგაზრდა დედა თავს უბედურად გრძნობს, რადგანაც იცის, რომ ბევრი ნიეთი მისთვის ხელმისაწვდომი არაა.

Aa Bb

106. არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ მშობლებს უფრო მეტი უფლებები და პრივილეგიები ჰქონდეს, ვიდრე ბავშვებს.

Aa Bb

107. რაც უფრო ადრე გაიგებს ბავშვი იმას, რომ დროის დაკარგვას აზრი არა აქვს, მით უკეთესი მისთვის.

Aa Bb

108. ბავშვები ყველაფერს აკეთებენ, რომ მშობლები თავიანთი პრობლემებით დააინტერესონ.

Aa Bb

109. ბევრ მამაკაცს როდი ესმის, რომ მათი შვილების დედასაც სჭირდება სიხარული.

Aa Bb

110. ბავშვს რაღაც სჭირს, თუ ის ბევრს კითხულობს სექსუალურ საკითხებზე.

Aa Bb

111. გათხოვებისას ქალმა უნდა გააცნობიეროს, რომ იძულებული იქნება გაუძღვეს საოჯახო საქმეებს.

Aa Bb

112. დედის ვალდებულებაა ბავშვის ფარული აზრების ცოდნა.

Aa Bb

113. თუ ბავშვს ჩავრთავთ საოჯახო საქმეებში, ის ხდება კიდევ უფრო დამოკიდებული მშობლებზე და ადვილად ანდობს მათ პრობლემებს.

Aa Bb

114. ბავშვს, რაც შეიძლება ადრე უნდა შეეუწყვიტოთ ძუძუთი კვება და ბოთლიდან კვება (ვასწავლოთ ბავშვს დამოუკიდებლად კვება).

Aa Bb

კითხვარის ფურცელი

პასუხი№	Aa Bb		Aa Bb		Aa Bb		Aa Bb		Aa Bb
1		24		47		70		93	
2		25		48		71		94	
3		26		49		72		95	
4		27		50		73		96	
5		28		51		74		97	
6		29		52		75		98	
7		30		53		76		99	
8		31		54		77		100	
9		32		55		78		101	
„0		33		56		79		102	
11		34		57		80		103	
12		35		58		81		104	
13		36		59		82		105	
14		37		60		83		106	
15		38		61		84		107	
16		39		62		85		108	
17		40		63		86		109	
18		41		64		87		110	
19		42		65		88		111	
20		43		66		89		112	
21		44		67		90		113	
22		45		68		91		114	
23		46		69		92		115	

115. დედას არ უნდა მოვთხოვოთ ბავშვებისადმი პასუხისმგებლობის საკმაოდ დიდი გრძნობა.

Aa Bb

საწარმოო კოლექტივში მომუშავე ფსიქოლოგისთვის საინტერესოა ოჯახური როლისადმი მშობლების დამოკიდებულებების გამოვლენაზე მიმართული სკალების ბლოკი.

მეთოდიკა საშუალებას იძლევა შეფასდეს შიდაოჯახური ურთიერთობების სპეციფიკა, ოჯახური ცხოვრების ორგანიზების თავისებურებები.

ოჯახში უნდა გამოიყოს დამოკიდებულებათა ცალკეული ასპექტები:

1) სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, ოჯახის ყოფის ორგანიზება (მეთოდიკაში ესაა 3, 13, 19, 23 სკალები);

2) ცოლ-ქმრული, რაც უკავშირდება მორალური, ემოციურ მხარდაჭერას, დასვენების ორგანიზებას, გარემოს შექმნას პიროვნების განვითარებისთვის (მეთოდიკაში ესაა 17 სკალა);

3) დამოკიდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვების აღზრდას, პედაგოგიური ურთიერთობებს (5, 11 სკალები).

ციფრული მონაცემების მიხედვით შესაძლებელია ოჯახის წინასწარი პორტრეტის შექმნა. ძალიან მნიშვნელოვანია მე-7 სკალა (ოჯახური კონფლიქტები). ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლები მოწმობს კონფლიქტურობას, ოჯახური კონფლიქტის გადატანა საწარმოო ურთიერთობებზე.

ფსიქოლოგიური დახმარება მიმართულია ოჯახური კონფლიქტების გადაწყვეტაზე და დამოკიდებულებების გაუმჯობესებაზე საწარმოო კოლექტივში.

მე-3 სკალაზე მაღალი მაჩვენებლები მოწმობს ოჯახური პრობლემების პრიორიტეტს საწარმოო პრობლემებზე „საქმის", ინტერესების მეორადობას. მე-13 სკალაზე მაღალი შეფასებები ახასიათებს ოჯახზე დამოკიდებულებას, დაბალ შეთანხმებას სამეურნეო ფუნქციების განაწილებაში. ოჯახის ცუდ ინტეგრირებას მოწმობს შეფასებები მე-17, მე-19, მე-23 სკალების მიხედვით.

გასაღები

პასუხის№	Aa Bb		Aa Bb		Aa Bb		Aa Bb		Aa Bb	ნიშანის მნიშვნელობა
1		24		47		70		93		
2		25		48		71		94		
3		26		49		72		95		
4		27		50		73		96		
5		28		51		74		97		
6		29		52		75		98		
7		30		53		76		99		
8		31		54		77		100		
9		32		55		78		101		
„0		33		56		79		102		
11		34		57		80		103		
12		35		58		81		104		
13		36		59		82		105		
14		37		60		83		106		
15		38		61		84		107		
16		39		62		85		108		
17		40		63		86		109		
18		41		64		87		110		
19		42		65		88		111		
20		43		66		89		112		
21		44		67		90		113		
22		45		68		91		114		
23		46		69		92		115		

ოჯახური როლისადმი დამოკიდებულების ანალიზი ფსიქოლოგს დაეხმარება უკეთ გაიგოს გამოსაკელევი პირის ოჯახური ურთიერთობების სპეციფიკა, გაუწიოს მას ფსიქოლოგიური დახმარება.

მშობლებისა და ბავშვების დამოკიდებულებები წარმოადგენს ანალიზის ძირითად საგანს მეთოდიკაში.

ძირითადი დასკვნა, რომელიც შეიძლება უმალ გაკეთდეს — შეფასდეს მშობლებისა და ბავშვების კონტაქტი მისი ოპტიმალობის თვალსაზრისით. ამისათვის, ხდება საშუალო შეფასებების შედარება სკალების პირველი 3 ჯგუფის მიხედვით. ოპტიმალური კონტაქტი, ემოციური დისტანცია, კონცენტრაცია.

სპეციალურ ინტერესს იწვევს ცალკეული სკალების ანალიზი, რაც წარმოადგენს ბავშვსა და მშობლებს შორის არამიმდგარი დამოკიდებულებების თავისებურებების გაგების გასაღებს.

მეთოდიკას შეუძლია დახმარების გაწევა ფსიქოდიაგნოსტიკური საუბრის მომზადებასა და ჩატარებაში.

A- 4 ქულა;
a — 3 ქულა;
b — 2 ქულა;
B — 1 ქულა
ნიშნები:

1) ვერბალიზაცია;
2) ზედმეტი ზრუნვა;
3) ოჯახზე დამოკიდებულება;
4) ნების დათრგუნვა;
5) თვითგანწირვის შეგრძნება;
6) წყენის შიში;
7) ოჯახური კონფლიქტები;
8) გალიზიანებადობა;
9) ზედმეტი სიმკაცრე;
10) შიდაოჯახური გავლენების გამორიცხვა;
11) მშობლების ზეავტორიტეტი;
12) აგრესიულობის დათრგუნვა;
13) დაისახლისის როლით უკმაყოფილება;
14) პარტნიორული ურთიერთობები;
15) ბავშვის აქტიურობის განვითარება;
16) კონფლიქტისთვის თავის არიდება;
17) ქმრის გულგრილობა;
18) სექსუალობის დათრგუნვა;
19) დედის დომინირება;
20) ზედმეტი ჩარევა ბავშვის სამყაროში;
21) გაწონასწორებული დამოკიდებულებები;
22) ბავშვის განვითარების დაჩქარების სურვილი;
23) დედის არადამოკიდებლობა.

მშობლების დამოკიდებულების ტეს-კითხვარი (ა. ი. ეარგა, ვ. ვ. სტოლინი)

მშობლების დამოკიდებულების ტეს-კითხვარი (მდკ) წარმოადგენს იმ პირებში მშობლის დამოკიდებულების გამოვლენაზე ორიენტირებულ ფსიქოდიაგნოსტიკურ ინსტრუმენტს, რომელთაც ფსიქოლოგიური დახმარება სურთ ბავშვების აღზრდისა და მათთან ურთიერთობის საკითხებზე.

კითხვარის სტრუქტურა 1. მიღება — უარყოფა. სკალა ასახავს ბავშვისადმი ინტეგრალურ ემოციურ დამოკიდებულებას. სკალის ერთი პოლუსის შემადგენელი: მშობელს ბავშვი ისეთი მოსწონს, როგორიცაა ის სინამდვილეში. მშობელი პატივს სცემს ბავშვის ინდივიდუალობას. ცდილობს დიდი დრო გაატაროს ბავშვთან, იწონებს მის ინტერესებს და გეგმებს. სკალის მეორე პოლუსზე: მშობელი ბავშვს ცუდად, წარუმატებლად აღიქვამს. მას ეჩვენება, რომ ბავშვი წარმატებას ვერ მიაღწევს ცხოვრებაში დაბალი შესაძლებლობების, ცუდი მიდრეკილებების, მცირე ჭკუის გამო. ბავშვისადმი მშობელი განიცდის გულგატეხილობას, გაბრაზებას, გალიზიანებას, წყენას. ის არ ენდობა და პატივს არ სცემს ბავშს.

2. კოოპერაცია — მშობლის დამოკიდებულების სოციალურად სასურველი სურათი. შინაარსობრივად ეს სკალა ასე განიმარტება: მშობელს აინტერესებს ბავშვის საქმეები და გეგმები, ცდილობს ყველაფერში დაეხმაროს მას და თანაუგრძნობს. მშობელი მაღალ შეფასებას აძლევს ბავშვის ინტელექტუალურ და შემოქმედებით უნარებს, განიცდის სიამაყის გრძნობას მის გამო. ის ცდილობს წაახალისოს ბავშვის ინიციატივა, იყოს მასთან თანასწორი. მშობელი ბავშვს ენდობა, ცდილობს მისი თვალსაზრისი დაიცვას სადაო საკითხებში.

3. სიმბიოზი. სკალა ასახავს პიროვნებათაშორის დისტანციას ბავშვთან ურთიერთობაში. ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლები მოწმობს იმას, რომ მშობელი მიისწრაფვის ბავშვთან სიმბიოზურ დამოკიდებულებისკენ. ეს ტენდენცია შინაარსობრივად აღიწერება ასე: მშობელი ბავშვთან ერთად თავს ერთიან მთელად გრძნობს, ცდილობს დააკმაყოფილოს მისი ყველა მოთხოვნილება, აარიდოს სირთულეები და უსიამოვნებები. მშობელს ბავშვი მიაჩნია პატარად და დაუცველად, ამიტომაც, მუდმივად შფოთავს მასზე. შფოთვა ძლიერდება, როცა ბავშვი იწყებს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას, რამდენადაც მშობელი მას არასდროს მისცემს დამოუკიდებლობას.

4. ავტორიტარული ჰიპერსოციალიზაცია. ასახავს ბავშვის ქცევაზე კონტროლის ფორმასა და

მიმართულებას. ამ სკალაზე მაღალი შეფასებისას აღინიშნება მშობლის ავტორიტარიზმი. მშობელი ბავშვისგან მოითხოვს უსიტყვო მორჩილებას და დისციპლინას.

ის ცდილობს ბავშვს თავს მოახვიოს თავისი ნება, არ შეუძლია მისი აზრის გაზიარება, თვითნებობაზე კი-სჯის მკაცრად. მშობელი მთელი გულისყურით აკვირდება ბავშვის სოციალურ წარმატებებს, მის ინდივიდუალურ თავისებურებებს, ჩვევებს, აზრებს, გრძნობებს.

5. პატარა ხელმოცარული. ასახავს ბავშვის მშობლის მიერ აღქმასა და გაგებას. ამ სკალაზე მაღალი მნიშვნელობების დროს არის სწრაფვა მოცემულ მშობელში მოახდინოს ბავშვის ინფანტილიზაცია, მიაწეროს მას პირადი და სოციალური უსუსურობა. მშობელს ბავშვი რეალურ ასაკთან შედარებით პატარად ეჩვენება, ბავშვის ინტერესები, აზრები და გრძნობები კი — ბავშეურად, არასერიოზულად.

მშობელი არ ენდობა ბავშვს, წუხილს გამოხატავს მის წარუმატებლობაზე და უუნარობაზე. ამასთან დაკავშირებით, ის ცდილობს ბავშვს აარიდოს ცხოვრების სირთულეები და მკაცრად აკონტროლოს მისი მოქმედებები.

ამდენად, ცდის პირთა მონაცემების ფაქტორიზაციის შედეგად მივიღეთ 4 მნიშვნელოვანი ფაქტორი: „მიღება-უარყოფა", „კოოპერაცია", „სიმბიოზი" და „ავტორიტარული ჰიპერსოციალიზაცია". ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში ასევე მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი ფაქტორები: 3 — ექსპერიმენტულში; 4 — საკონტროლოში და 2 ფსიქოლოგიური დახმარებისთვის მიმართულ პირთა არჩევანის ქვეშ — „პატარა ხელმოცარული".

ზოგადად არჩევანის მნიშვნელოვანი ფაქტორების და მაქსიმალურად დისკრიმინაციული ფაქტორის საფუძველზე აგებულ იქნა მოცემული კითხვარის სტრუქტურა.

კითხვარის ვალიდობა განისაზღვრა ცნობილი ჯგუფების მეთოდით.

. 5ფაქტორიდან 4 აღმოჩნდა დისკრიმინაციული ანუ მნიშვნელოვნად იყო განსხვავებული არჩევანი.

ნაჩვენები იქნა, რომ მოცემული კითხვარი ნამდვილად ითვალისწინებს ბავშვების აღზრდაში სირთულეების მქონე პირების მშობლისეული დამოკიდებულებების თავისებურებებს.

გარდა ამისა, ჩატარდა ცდის პირთა მონაცემების ფაქტორიზაცია მნიშვნელოვანი ფაქტორების შემდგომი ბრუნვით.

მან გვიჩვენა აპრიორული და ემპირიული ჯგუფების დამთხვევა; ფაქტორიზაციის შედეგად გამოყოფილდა სუბიექტურად ბედნიერი მშობლების ჯგუფი (საკონტროლო ჯგუფი) და იმ ადამიანთა არჩევანი, რომელთაც დახმარებისთვის მიმართეს ფსიქოლოგს.

ეს მონაცემებიც ასევე ამტკიცებენ კითხვარის ვალიდობას.

კითხვარის ტესტი

1. ყოველთვის თანაუგრძნობ ჩემს შვილს.
2. ჩემს მოვალეობად მივიჩნევ ვიცოდე ყველაფერი, რაც ჩემს ბავშვს ეხება.
3. მე პატივს ვცემ ჩემს შვილს.
4. ვფიქრობ, რომ ჩემი შვილის ქცევა მნიშვნელოვნადაა გადახრილი ნორმიდან.
5. საჭიროა ბავშვი განვარიდოთ ცხოვრებისეულ პრობლემებს, თუ ისინი მას ტრამვას აყენებენ.
6. შვილისადმი კეთილგანწყობას ვგრძნობ.
7. კარგი მშობლები შვილს არიდებენ ცხოვრების სირთულეებს.
8. ჩემი შვილი ხშირად არასასიამოვნოდ მეჩვენება.
9. ყოველთვის ვცდილობ დავეხმარო ჩემს შვილს.
10. არის შემთხვევები, როცა დამცინავი დამოკიდებულება ბავშვის მიმართ მეტ სარგებელს იძლევა.
11. საკუთარი შვილის მიმართ წყენას ვგრძნობ.
12. ჩემი შვილი ვერაფერს მიაღწევს ცხოვრებაში.
13. ვფიქრობ, რომ ბავშვები მასხრად იგდებენ ჩემს შვილს.
14. ჩემი შვილი ხშირად ისე იქცევა, რომ მხოლოდ ზიზღს იმსახურებს.
15. მისი ასაკისთვის შესაფერისად მოწიფული არაა ჩემი შვილი.
16. ჩემი შვილი სპეციალურად იქცევა ცუდად, რათა მაწყენინოს.
17. ჩემი ბავშვი ყველაფერს ცუდს ისრუტავს.
18. ნებისმიერი ცდის მიუხედავად ძნელია კარგი მანერები ასწავლო ჩემს შვილს.
19. ბავშვი მკაცრ ჩარჩოებში უნდა იზრდებოდეს და მისგან წესიერი ადამიანი დადგება.
20. მიყვარს, რომ ჩემი შვილის მეგობრები მოდიან ჩვენთან სტუმრად.
21. მე მონაწილეობას ვიღებ შვილის აღზრდაში.
22. ყველაფერი ცუდი ჩემს შვილზე აისახება.
23. ჩემი შვილი ვერ მიაღწევს წარმატებას ცხოვრებაში.
24. როცა ნაცნობების საზოგადოებაში ბავშვებზე

საუბრობენ, მრცხვენია, რომ ჩემი შვილი არაა ისეთი ჭკვიანი და უნარიანი, როგორსაც ვისურვებდი.

25. მეცოდება ჩემი შვილი.

26. როცა ჩემს შვილს თანატოლებს ვადარებ, ისინი უფროსებად მიმაჩნია ქცევითაც და მსჯელობითაც.

27. ბავშვთან ერთად სიამოვნებით ვატარებ მთელ თავისუფალ დროს.

28. ხშირად ვწუხვარ იმაზე, რომ ჩემი შვილი იზრდება და სინაზით ვიხსენებ მის პატარაობას.

29. ხშირად ვიჭერ თავს ბავშვისადმი მტრულ დამოკიდებულებაზე.

30. ვოცნებობ იმაზე, რომ ჩემმა შვილმა მიაღწიოს ყოველივე იმას, რასაც მე ვერ მივაღწიე.

31. მშობლები უნდა შეეგუონ ბავშვს და არ მოითხოვონ ეს მხოლოდ მისგან.

32. ვცდილობ შევასრულო ჩემი შვილის ყველა თხოვნა.

33. ოჯახური გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის აზრი.

34. მე ძალიან მაინტერესებს შვილის ცხოვრება.

35. ბავშვთან კონფლიქტში ხშირად შემიძლია ვაღიარო, რომ ის თავისებურად მართალია.

36. ბავშვები ადრე იგებენ, რომ მშობლებიც ცდებიან.

37. ყოველთვის ეუწევ ანგარიშს ბავშს.

38. შვილისადმი მეგობრულ გრძნობებს განვიცდი.

39. ჩემი შვილის ჭირვეულობის ძირითადი მიზეზებია ეგოიზმი, სიჯიუტე და სიზარმაცე.

40. შეუძლია ნორმალურად დასვენება, თუ შვებულებას ბავშვთან ერთად ატარებენ.

41. მთაეარია, რომ ბავშვს ჰქონდეს მშვიდი და უდარდელი ბავშობა.

42. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემს შვილს არაფერი კარგი არ შეუძლია.

43. მე ვიზიარებ ჩემი შვილის გატაცებებს.

44. ჩემი შვილი ნებისმიერს გამოიყვანს წყობიდან.

45. მესმის ჩემი შვილის დარდის.

46. ხშირად მალიზიანებს ჩემი შვილი.

47. ბავშვის აღზრდა ნერვების ფასად გიჯდება.

48. ბავშვობაში მკაცრი დისციპლინა ძლიერ ხასიათს ანეითარებს.

49. მე არ ვენდობი შვილს.

50. მკაცრი აღზრდის გამო შვილები მადლობას შემდეგ იხდიან.

51. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ვერ ვიტან ჩემს შვილს.

52. ჩემს შვილში უფრო მეტია ნაკლოვანება, ვიდრე ღირსება.

53. მე ვეთანხმები შვილის ინტერესებს.

54. ჩემს შვილს არაფრის გაკეთება არ შეუძლია დამოუკიდებლად და თუ გააკეთებს, მაინც — არასათანადოდ.

55. ჩემი შვილი ცხოვრებასთან შეუგუებელი იქნება.

56. ჩემი შვილი ისეთი მომწონს, როგორიცაა.

57. გულისყურით ვაკვირდები შვილის ჯანმრთელობას.

58. ხშირად აღტაცებული ვარ ჩემი შვილით.

59. შვილს არ უნდა ჰქონდეს საიდუმლოება მშობლისგან.

60. მე ცუდი აზრისა ვარ ჩემი შვილის შესაძლებლობებზე და არც ვმალავ ამას.

61. სასურველია, რომ ბავშვი მეგობრობდეს ისეთ ბავშვებთან, რომლებიც მოსწონათ მის მშობლებს.

კითხვარის გასაღები

1. მიღება-უარყოფა: 3, 4, 8, 10, 12, 14, 15, 16, 18, 20, 24, 26, 27, 29, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 45, 46, 47, 49, 52, 53, 55, 56, 60.

2. სოციალურად სასურველი ქცევის სახე: 6, 9, 21, 25, 31, 34, 35, 36.

3. სიმბიოზი: 1, 5, 7, 28, 32, 41, 58.

4. ავტორიტარული ჰიპერსოციალიზაცია: 2, 19, 30, 48, 50, 57, 59.

5. პატარა ხელმოცარული: 9, 11, 13, 17, 22, 28, 54, 61.

ტესტური ქულების დათვლის წესი

ყველა სკალის მიხედვით ტესტური ქულების დათვლისას გათვალისწინებულია პასუხი „სწორია".

შესაბამის სკალებზე მაღალი ტესტური ქულა განიმარტება, როგორც:

1) უარყოფა;

2) სოციალური სასურველობა;

3) სიმბიოზი;

4) ჰიპერსოციალიზაცია;

5) ინფანტილიზაცია (ინვალიდიზაცია).

ტესტური ნორმები მოყვანილია ტესტური ქულების საპროცენტო რანგების ცხრილების სახით შესაბამისი სკალების მიხედვით.

სკალა 1

„ცოცხალი“ ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8
საპროცენტო რანგი	0	0	0	0	0	0	0,63	3,79	12,02
„ცოცხალი“ ქულა	9	10	11	12	13	14	15	16	17
საპროცენტო რანგი	31,0	53,79	68,35	77,21	84,17	88,60	90,50	92,40	93,67
„ცოცხალი“ ქულა	18	19	20	21	22	23	24	25	26
საპროცენტო რანგი	94,30	95,50	97,46	98,10	98,73	98,73	99,36	100	100
„ცოცხალი“ ქულა	27	28	29	30	31	32			
საპროცენტო რანგი	100	100	100	100	100	100			

სკალა 2

„ცოცხალი“ ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9
საპროცენტო რანგი	1,57	3,46	5,67	7,88	9,77	12,29	19,22	31,19	48,82	80,93

სკალა 3

„ცოცხალი“ ქულა	0	1	2	3	4	5	6	7
საპროცენტო რანგი	4,72	19,53	39,06	57,96	74,97	86,63	92,93	96,65

სკალა 4

„ცოცხალი“ ქულა	0	1	2	3	4	5	6
საპროცენტო რანგი	4,41	13,86	32,13	53,87	69,30	93,79	95,76

სკალა 5

„ცოცხალი“ ქულა	0	1	2	3	4	5	6	7
საპროცენტო რანგი	14,55	45,57	70,25	80,19	30,04	96,83	99,37	100

რენე ჟილის მეთოდიკა

ბავშვის პიროვნებათაშორისი ურთიერთობების სფეროსა და მის მიერ შიდაოჯახური ურთიერთობების აღქმის კვლევისთვის გათვალისწინებულია რენე ჟილის საბავშვო პროექციული მეთოდიკა. მეთოდიკის მიზანია შეისწავლოს ბავშვის სოციალური ადაპტაცია და ასევე მისი ურთიერთდამოკიდებულებები გარშემომყოფებთან. მეთოდიკა წარმოადგენს ვიზუალურ-ვერბალურს, შედგება 42 სურათისგან ბავშვის და ბავშვებისა და უფროსების გამოსახულებით,ასევე დავალებებისგან. მისი მიმართულებაა ქცევის თავისებურებების გამოვლენა ბავშვისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. მეთოდიკის დაწყების წინ ბავშვს აცნობებენ, რომ მისგან ელიან პასუხებს კითხვებზე სურათების მიხედვით. ბავშვი ათვალიერებს სურათებს,უსმენს შეკითხვებს ან კითხულობს მათ და პასუხობს. ბავშვმა უნდა აირჩიოს თავისი ადგილი გამოსახულ ხალხს შორის ან მოახდინოს საკუთარი თავის რომელიმე პერსონაჟთან იდენტიფიკაცია. მან შეიძლება აირჩიოს გარკვეულ პირთან ახლოს ან შორს მყოფი ადგილი. ტექსტურ დავალებებში ბავშვმა უნდა აირჩიოს ქცევის ტიპიური ფორმა,ამასთან, ზოგიერთი მათგანი შერჩეულია სოციომეტრიის ტიპის შესაბამისად. მეთოდიკა საშუალებას იძლევა მივიღოთ ინფორმაცია ბავშვის მხრიდან სხვადასხვა მოელენისა და გარემომცველი ადამიანების (ოჯახური წრის) მიმართ დამოკიდებულების შესახებ. რ. ჟილის მეთოდიკა სხვებისგან გამოირჩევა სიმარტივითა და სქემატურობით, რაც არა მხოლოდ ხდის მას უფრო მსუბუქს ცდის პირისთვის – ბავშვისთვის, არამედ იძლევა საშუალებას მოხდეს მისი მეტად ფორმალიზაცია და კვანტიფიკაცია. ბავშვის პიროვნული ურთიერთობების სისტემის

დამახასიათებელი ფსიქოლოგიური მასალა შეიძლება დაიყოს ცვალებადის 2 დიდ ჯგუფად:

1) ცვლადები, რომლებიც ახასიათებენ ბავშვის კონკრეტულ-პიროვნულ დამოკიდებულებებს: დამოკიდებულება ოჯახური წრის (დედის,მამის,ბებიის,დის, და ა.შ.) მიმართ,დამოკიდებულება მეგობრის მიმართ, ავტორიტეტული უფროსის მიმართ და ა.შ.

2) ცვლადები, რომლებიც ახასიათებენ თავად ბავშვს და ვლინდებიან სხვადასხვა ურთიერთობაში: გულღიაობაში, განყენებულობაში, დომინირებისკენ სწრაფვაში, ქცევის სოციალურ ადექვატურობაში. სულ ავტორებმა,რომლებმაც მოახდინეს მეთოდიკის ადაპტაცია გამოყვეს შემდეგი ნიშნები:

ა) დამოკიდებულება დედის მიმართ;

ბ) დამოკიდებულება მამის მიმართ;

გ) დამოკიდებულება დედისა და მამის, როგორც ოჯახური წყვილის მიმართ;

დ) დამოკიდებულება ძმებისა და დების მიმართ;

ე) დამოკიდებულება ბებიისა და ბაბუის მიმართ;

ვ) დამოკიდებულება მეგობრის მიმართ;

ზ) დამოკიდებულება მასწავლებლის მიმართ;

თ) ცნობისმოყვარეობა, დომინირებისკენ სწრაფვა;

ი) გულღიაობა, განყენებულობა, ადექვატურობა.

გარკვეული პირისადმი დამოკიდებულება გამოიხატება მოცემული პირის არჩევის რაოდენობით, შესაბამისი დამოკიდებულების გამოვლენაზე მიმართული დავალებების მაქსიმალური რიცხვიდან გამომდინარე.

რენე ჟილის მეთოდიკა არ შეიძლება განეკუთვნოთ პროექციულს. ის წარმოადგენს გარდამავალ ფორმას ანკეტასა და პროექციულ ტესტებს შორის. ამაშია სწორედ მისი უპირატესობა. ის შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც პიროვნების სიღრმისეული შესწავლის ინსტრუმენტი და ასევე სტატისტიკურად დასამუშავებელ კვლევებშიც.

გასაღები

№	სკალების დასახელება	დავალებების №	დავალებების საერთო რაოდენობა
1	დამოკიდებულება დედის მიმართ	1-4, 8-15, 17-19, 27, 38, 40-42	20
2	დამ. მამის მიმართ	1-5, 8-15, 17-19, 37, 40-42	20
3	დამ. დედისა და მამის, როგორც მშობლების მიმართ	1-4, 6-8, 14, 17, 19	10
4	დამ. ძმებისა და დების მიმართ	1, 2, 3, 4, 5, 6, 8-19, 30, 40, 42	20
5	დამ. ბაბუისა და ბებიის მიმართ	1, 4, 7-13, 17-19, 30, 40, 41	15
6	დამ. მეგობრის მიმართ	1, 4, 8-19, 25, 30, 33-35, 40	20
7	დამ. ავტორიტეტული უფროსის მიმართ	1, 4, 5, 9, 11, 13, 17, 19, 26, 28-30, 32, 40	15
8	ცნობის მოყვარეობა	5, 22-24, 26, 28-32	10
9	დომინანტურობა	20-22, 39	4
10	გულღიაობა	16, 22-24	4
11	ჩაკეტილობა, განყენებულობა	9, 10, 14-17, 19, 22-24, 29, 30, 40-42	15
12	ქცევის სოციალური ადექვატურობა	9, 25, 28, 32-38	10

რენე ჟილის მეთოდიკის სასტიმულო მასალა

1. აი, მაგიდა, რომელსაც უსხედან ადამიანები. აღნიშნე ჯვარით, სად დაჯდები შენ.



2. აღნიშნე ჯვარით, სად დაჯდები



3. აღნიშნე ჯვარით, სად დაჯდები.



4. ახლა კი განათავსე რამოდენიმე ადამიანი და შენი თავი ამ მაგიდის ირგვლივ. აღნიშნე მათი ნათესაური ურთიერთობები (მამა, დედა, ძმა, და ან მეგობარი, ამხანაგი, თანაკლასელი).



5. აი, მაგიდა, რომლის თავშიც ზის შენი ნაცნობი ადამიანი. სად დაჯდებოდი შენ? ვინაა ეს ადამიანი.



6. შენ ოჯახთან ერთად გაატარებ არდადეგებს იმ სახლის პატრონებთან ერთად, რომელთაც დიდი სახლი აქვთ. შენმა ოჯახმა დაიკავა რამოდენიმე ოთახი. აირჩიე ოთახი შენთვის.

ძმა				მამა და დედა
და				

7. შენ დიდი ხანია სტუმრობ ნაცნობებთან. ჯვარით აღნიშნე ოთახი, რომელიც აირჩიე.

მამა და დედა				
ბაბუა და ბებია				

8. კიდევ ერთხელ ნაცნობებთან. აღნიშნე სხვადასხვა ადამიანის ოთახები და შენი ოთახი.

9. გადაწყდა ერთი ადამიანისთვის სიურპრიზის გაკეთება. გინდა, რომ ეს გაკეთდეს?

ვისთვის?
შენთვის სულერთია?
დაწერე ქვემოთ.

10. გაქვს შესაძლებლობა რამოდენიმე ღლით გაემგზავრო დასასვენებლად, მაგრამ იქ, სადაც მი-

დიხარ მხოლოდ ორი თავისუფალი ადგილია: ერთი შენთვის, მეორე სხვა ადამიანისთვის.

ვის წაიყვანდი?

დაწერე ქვემოთ.

11. რადაც დაკარგე, რაც ძალიან ძვირი ღირს. ვის ეტყვი პირველად ამ უსიამოვნების შესახებ?

დაწერე ქვემოთ

12. გტკივა კბილი და სტომატოლოგთან უნდა წახვიდე კბილის ამოსაღებად.

მარტო წახვალ თუ ვინმესთან ერთად?

თუ ვინმესთან ერთად წახვალ, ვინაა ეს ადამიანი?

დაწერე.

13. შენ გამოცდა ჩაბარე. ვის ეტყვი პირველად ამის შესახებ?

დაწერე ქვემოთ.

14. სასეირნოდ ქალაქგარეთ ხარ წასული. ჯვარით აღნიშნე, სადა ხარ?

15. სხვა დროს სეირნობა. აღნიშნე, ამჯერად სად ხარ.

16. ახლა სად ხარ?



17. ახლა ამ ნახატზე რამოდენიმე ადამიანი და საკუთარი თავი განათავსე. დახატე ან აღნიშნე ჯვრებით.

მიუწერე ვინ არიან ეს ადამიანები



18. შენ და რამოდენიმე ადამიანს საჩუქრები გადმოგეცათ. რომელიღაცას სხვებზე უკეთესი საჩუქარი შეხვდა. ვის ისურვებდი მის ადგილას? იქნებ შენთვის სულერთია?

დაწერე

19. შორს მიდიხარ, შენი ახლობლებისგან შორს. ყველაზე მეტად ვინ მოგენატრება?

დაწერე ქვემოთ.

20. მეგობრები სასეირნოდ მიდიან. ჯვრით აღნიშნე, სადა ხარ შენ.

21. ვისთან გიყვარს თამაში:

1) შენი ასაკის მეგობრებთან;

2) უმცროსებთან;

3) უფროსებთან.

გახაზე ერთ-ერთი შესაძლო პასუხი.

22. ეს სათამაშო მოედანია.

აღნიშნე, სად ხარ შენ.

23. აი, შენი ამხანაგები. ისინი ჩხუბობენ შენთვის უცნობი მიზეზის გამო.

კვერით აღნიშნე, სად იქნები შენ.

24. ეს შენი ამხანაგებია, რომლებიც თამაშის წესების გამო ჩხუბობენ.

აღნიშნე, სად ხარ შენ.

25. ამხანაგმა ძალით გკრა ხელი და წაგაქცია. რას გააკეთებ:

1) იტირებ;
2) უჩიელებ მასწავლებელთან;
3) დაარტყამ მას;
4) მისცემ მას შენიშვნას;
5) არაფერს ეტყვი.

გახაზე ერთ-ერთი პასუხი

26. აი, ადამიანი, რომელსაც კარგად იცნობ. ის რაღაცას ეუბნება მსხლომებს. შენც მათ შორის ხარ.

აღნიშნე ჯვრით, სად ხარ შენ.



27. შენ ბევრს ეხმარები დედას?

ცოტას?

იშვიათად?

ხაზი გასუეი ერთ-ერთ პასუხს.

28. ეს ადამიანები მაგიდის გარშემო დგანან, ერთ-ერთი მათგანი რაღაცას ხსნის. შენ მსმენელთა შორის ხარ. აღნიშნე, სად ხარ შენ.



29. შენ და შენი ამხანაგები სასეირნოდ ხართ, ერთ-ერთი ქალი რაღაცას გიხსნით.

აღნიშნე ჯვრით, სად ხარ შენ.

30. სეირნობის დროს ცეცხლა მინდორზე გან-თავსდა.

აღნიშნე, სად ხარ შენ.



31. ეს ადამიანები სპექტაკლს უყურებენ. აღნიშნე ჯერით, სად ხარ შენ.



32. ეს ცხრილის ჩვენებაა.
აღნიშნე ჯერით, სად ხარ შენ.



33. ერთ-ერთი ამხანაგი დაგცინის. რას გააკეთებს:

1) იტირებს;
2) მხრებს აიჩეჩავ;
3) თავად მას დაცინებ;
4) გალანძღავ, ცემ.

ხაზი გაუსვი ერთ-ერთ პასუხს.

34. ერთ-ერთი ამხანაგი შენს მეგობარს დასცინის. რას გააკეთებ:

1) იტირებს;
2) მხრებს აიჩეჩავ;
3) თავად მას დაცინებ;
4) გალანძღავ, ცემ.

ხაზი გაუსვი ერთ-ერთ პასუხს.

35. ამხანაგმა შენი კალამი უნებართვოდ აიღო. რას გააკეთებ;

1) იტირებ;
2) იწუწუნებ;
3) იყვირებ;
4) ეცდები წაართვა;
5) დაიწყებ მის ცემას.

ხაზი გაუსვი ერთ-ერთ პასუხს.

36. თამაშობ ლოტოს (ან შაშს ან სხვა თამაშს) და ზედიზედ ორჯერ წააგე. უკმაყოფილო ხარ?
რას გააკეთებ:

1) იტირებ;
2) თამაშს გააგრძელებ;
3) არაფერს იტყვი;
4) გაბრაზდები.

ხაზი გაუსვი ერთ-ერთ პასუხს.

37. მამა არ გრთავს ნებას სასეირნოდ წახვიდე. რას გააკეთებ:

1) არაფერს უპასუხებ;
2) გაიბუტები;
3) ტირილს დაიწყებ;
4) გააპროტესტებ;
5) აკრძალვის საპირისპიროდ წასვლას ეცდები.

ხაზი გაუსვი ერთ-ერთ პასუხს.

38. დედა არ გრთავს ნებას სასეირნოდ წახვიდე, რას გააკეთებ:

1) არაფერს უპასუხებ;
2) გაიბუტები;
3) ტირილს დაიწყებ;
4) გააპროტესტებ;
5) აკრძალვის საპირისპიროდ წასვლას ეცდები.

ხაზი გაუსვი ერთ-ერთ პასუხს.

39. მასწავლებელი გავიდა და კლასზე ზედამხედველობა შენ დაგავალა. შეგიძლია შეასრულო დავალება?

დაწერე ქვემოთ.

40. კინოში ოჯახთან ერთად წახვედი. კინოთეატრში ბევრი თავისუფალი ადგილია. სად დაჯდები? სად დასხდებიან შენთან ერთად მყოფნი?



41. კინოთეატრში ბევრი ცარიელი ადგილია. შენმა ნათესავებმა უკვე დაიკავეს ადგილები. აღნიშნე ჯვრით, სად დაჯდები შენ.



42. კვლავ კინოთეატრში ხარ. სად დაჯდები?



ᲫᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲡᲢ-ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘ

ქორწინებით კმაყოფილების ტესტ-კითხვარი (ქ კ კ) შემუშავებულია ვ. ვ. სტოლინის, ტ. ლ. რომანოვას, გ. პ. ბუტენკოს მიერ და გათვალისწინებულია ქორწინებით კმაყოფილება-უკმაყოფილების ხარისხის ექსპრეს-დიაგნოსტიკისთვის.

კითხვარი წარმოადგენს ერთგანზომილებიან სკალას, რომელიც შედგება 24 მტკიცებისგან და რომლებიც ეხება სხვადასხვა სფეროს: საკუთარი თავისა და პარტნიორის აღქმას, აზრებს, შეფასებებს, განწყობას და ა.შ.

თითოეულ მტკიცებას შეესაბამება პასუხის 3 ვარიანტი:

ა) სწორია;
ბ) ძნელი სათქმელია;
გ) არაა სწორი.

ინსტრუქცია: ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მტკიცება და აირჩიეთ 3 პასუხიდან ერთ-ერთი.

ეცადეთ თავი აარიდოთ შუალედურ პასუხებს, როგორიცაა ,,ძნელი სათქმელია'',,,მიჭირს პასუხის გაცემა'' და ა.შ.

ტესტ-კითხვარი

1. როცა ადამიანები ისე ახლოს ცხოვრობენ, როგორც ეს ოჯახურ ცხოვრებაში ხდება, ისინი აუცილებლად კარგავენ ურთიერთგაგებას და სხვა ადამიანის აღქმის სიმწვავეს:
ა) სწორია;
ბ) არ ვარ დარწმუნებული;
გ) არაა სწორი.

2. თქვენს ცოლ-ქმრულ ურთიერთობას თქვენთვის მოაქვს:
ა) უფრო ღელეა და ტანჯვა;
ბ) მიჭირს პასუხის გაცემა;
გ) უფრო სიხარული და კმაყოფილება.

3. ნათესავები და მეგობრები თქვენს ქორწინებას აფასებენ:
ა) როგორც იღბლიანს;
ბ) რაღაც საშუალოს;
გ) როგორც უიღბლოს.

4. რომ შეგეძლოთ, მაშინ:
ა) ბევრს შეცვლიდით თქვენი მეუღლის ხასიათში;
ბ) ძნელი სათქმელია;
გ) არაფერს შეეცვლიდი.

5. თანამედროვე ქორწინების ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი, მათ შორის, სექსუალური ურთიერთობებიც მობეზრდებადია:
ა) სწორია;
ბ) ძნელი სათქმელია;
გ) არაა სწორი.

6. როცა თქვენს ოჯახურ ცხოვრებას ადარებთ მეგობრებისა და ნაცნობების ოჯახურ ცხოვრებას, გეჩვენებათ, რომ:
ა) სხვებზე უფრო უბედური ხართ;
ბ) ძნელი სათქმელია;
გ) სხვებზე უფრო ბედნიერი ხართ.

7. ცხოვრება ოჯახის, ახლობელი ადამიანის გარეშე საკმაოდ ძვირი ფასია სრულ დამოუკიდებლობისთვის:
ა) სწორია;
ბ) ძნელი სათქმელია;
გ) არაა სწორი.

8. თქვენ მიგაჩნიათ, რომ თქვენს გარშე მეულლის ცხოვრება არასრულფასოვანი იქნებოდა:
ა) დიახ, მიმაჩნია.
ბ) ძნელი სათქმელია;
გ) არა, ასე არ მიმაჩნია.

9. ადამიანების უმრავლესობა ქორწინებასთან მიმართებაში გარკვეულწილად იმედგაცრუებული რჩება:

ა) სწორია;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არაა სწორი.

10. შხოლოდ ბევრი სხვადასხვა გარემოება გიშლით ხელს დაფიქრდეთ განქორწინებაზე:

ა) სწორია;

ბ) არ ვიცი;

გ) არაა სწორი.

11. დრო რომ დაბრუნოს, თქვენი ქმარი (ცოლი) იქნებოდა:

ა) სხვა ვინმე, ოღონდ არა ამჟამინდელი მეუღლე;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) შესაძლოა, რომ ამჟამინდელი მეუღლე.

12. გეამაყებათ, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც თქვენი მეუღლეა, თქვენს გვერდითაა:

ა) სწორია;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არაა სწორი.

13. სამწუხაროდ, თქვენი მეუღლის ნაკლოვანებები ალემატება მის ღირსებებს:

ა) სწორია;

ბ) მიჭირს პასუხის გაცემა;

გ) არაა სწორი.

14. ძირითადი დაბრკოლებები ბედნიერი ცოლ-ქმრული ცხოვრებისთვის იმალება:

ა) უფრო თქვენი მეუღლის ხასიათში;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) უფრო თქვენში.

15. გრძნობები, რომლითაც დაქორწინდით:

ა) გაძლიერდა;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) განელდა.

16. ქორწინება აცურებს ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობებს:

ა) სწორია;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არაა სწორი.

17. შეიძლება ითქვას, რომ მეუღლეს ისეთი ღირსებები გააჩნია, რომლებიც ფარავენ ნაკლოვანებებს:

ა) გეთანხმებით;

ბ) რაღაც საშუალო;

გ) არ გეთანხმებით.

18. სამწუხაროდ, თქვენს ქორწინებაში ყველაფერი კარგად არაა ერთმანეთის ემოციურად მხარდაჭერის მხრივ:

ა) სწორია;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არაა სწორი.

19. გეჩვენებათ, რომ თქვენი მეუღლე ხშირად ჩადის სისულელეებს, ლაპარაკობს უადგილოდ, უკბილოდ ხუმრობს:

ა) სწორია;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არაა სწორი.

20. როგორც გეჩვენებათ, ოჯახში ცხოვრება არაა დამოკიდებული თქვენს ნებაზე:

ა) სწორია;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არაა სწორი.

21. თქვენმა ოჯახურმა ურთიერთობებმა არ შეიტანეს ცხოვრებაში ის წესი და ორგანიზებულობა, რომელსაც ელოდით:

ა) სწორია;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არაა სწორი.

22. არაა მართალი ის, ვინც თვლის, რომ სწორედ ოჯახში უნდა ჰქონდეს ადამიანს ყველაზე ნაკლები იმედი პატივისცემაზე:

ა) ეთანხმები;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არ ეთანხმები.

23. როგორც წესი, თქვენი მეუღლის საზოგადოება სიამოვნებს განიჭებთ:

ა) სწორია;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არაა სწორი.

24. სიმართლე, რომ ვთქვათ, თქვენს ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში არაა და არც იყო არც ერთი ნათელი მომენტი:

ა) სწორია;

ბ) ძნელი სათქმელია;

გ) არაა სწორი.

გასაღები

1გ, 2გ, 3ა, 4გ, 5გ, 6გ, 7ა, 8ა, 9გ, 10გ, 11გ, 12ა, 13გ, 14გ, 15ა, 16გ, 17ა, 18გ, 19გ, 20გ, 21გ, 22ა, 23ა, 24გ.

დათვლის წესი

თუ ცდის პირის მიერ არჩეული პასუხის ვარიანტი (ა, ბ, გ) ემთხვევა გასაღებში მოყვანილს, ირიცხება 2 ქულა; თუ შუალედური პასუხია (ბ) –

1 ქულა; პასუხზე,რომელიც გასაღებს არ ემთხვევა – 0 ქულა.

შემდეგ ჯამდება ქულები. ტესტური ქულის შესაძლო დიაპაზონია 0-დან 48 ქულამდე. მაღალი ქულა მეტყველებს ქორწინებით კმაყოფილებაზე.

ნორმები

განსხვავება საშუალო მნიშვნელობებს შორის განქორწინების მსურველთა და იღბლიანებს შორის არის 0,01 მნიშვნელობის დონეზე სტუდენტის კრიტერიუმის მიხედვით (t=10, 835).

სანდო ინტერვალები 0, 95 კოეფიციენტით საშუალო ჯამური ქულებისთვის უდრის:

1) განქორწინების მსურველთათვის (20, 76; 23, 36);

2) იღბლიანებისთვის (30, 92; 33, 34).

ფიშერის კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება თანაბრად ჩაითვალოს ორივე არჩევანის დისპერსია 0, 05 მნიშვნელობის დონით.

ქსქ ტესტის ნორმების პრაქტიკული გამოყენებისთვის მიზანშეწონილია ავიღოთ საშუალო მნიშვნელობები და დისპერსიები მათი სანდო ინტერვალებიდან. დავუშვათ, რომ

x (H)=32, ხოლო **x (p)=22,**

ამასთან, მათი საშუალო კვადრატულები უდრის 8.

მიღებული განაწილების ნორმალობის გათვალისწინებით შეიძლება ხელსაყრელი ცხრილის აგება ცდის პირის ექსპრეს-დიაგნოსტიკის ჩატარებისთვის.

ტესტის ჯამური ქულების მთელი ღერძი იყოფა 7 კატეგორიად:

1) აბსოლუტურად უიღბლოები – 0-16 ქულა;
2) უიღბლოები – 17-22 ქულა;
3) უფრო უიღბლოები – 23-26 ქულა;
4) გარდამავალი – 27-28 ქულა;
5) უფრო იღბლიანები – 29-32 ქულა;
6) იღბლიანები – 33-38 ქულა;
7) აბსოლუტურად იღბლიანები – 39-48 ქულა.

ტესტი „კონფლიქტურ სიტუაციებში მეუღლეების ურთიერთქმედების ხასიათი“

მეთოდიკა წარმოადგენს საბლანკო ტესტ-კითხვარს,რომელიც შეიცავს მეუღლეთა ურთიერთქმედების 32 სიტუაციის აღწერას, რომლებიც ატარებენ კონფლიქტურ ხასიათს.

პასუხის სახით რესპოდენტებს (ცდის პირებს) სთავაზობენ შესაძლო რეაქციების სკალას გარკვეულ სიტუაციაზე, რომელშიც 2 ნიშანია ჩადებული: რეაქციის აქტიურობა ან პასიურობა და პარტნიორთან თანხმობა ან უთანხმოება.

სკალის მარცხენა პოლუსი – უთანხმოების აქტიური გამოხატვა, თანხმობის პასიური გამოხატვა და მარჯვენა პოლუსი – თანხმობის აქტიური გამოხატვა.

სკალის დაყოფას შეესაბამება მნიშვნელობები ქულებში „-2“-დან „+2“-მდე.

სკალას შემდეგი სახე აქვს

−2 კატეგორიულად არ ეთანხმები იმას, რასაც ის აკეთებს და ამბობს მოცემულ სიტუაციაში; აქტიურად გამოვხატავ უთანხმოებას და ჩემს პოზიციაზე ვდგავარ;

−1 არ ეთანხმები იმას, რასაც ის აკეთებს და ამბობს მოცემულ სიტუაციაში,ვახდენ საკუთარი უკმაყოფილების დემონსტრირებას,მაგრამ თავს ვარიდებ განხილვას;

0 არაფერს ვაკეთებ და არ გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას, ველოდები მოვლენების განვითარებას;

+1 მთლიანობაში ეთანხმები იმას,რასაც ის ამბობს, მაგრამ საჭიროდ არ ეთვლი ჩემი დამოკიდებულების გამოხატვას;

+2 სრულიად ეთანხმები იმას, რასაც ის ამბობს და აკეთებს მოცემულ სიტუაციაში, აქტიურად ეუჭერ მას მხარს.

კითხვარის შევსების წინ ცდის პირებს ეძლევა შემდეგი ინსტრუქცია: „მეუღლეებს შორის ხშირად არის გაუგებრობა, ინტერესთა დაპირისპირება. ქვემოთ წარმოდგენილია საკმაოდ ტიპიური სიტუაციები, რომელთაც ალბათ თქვენთანაც ჰქონია ადგილი. გთხოვთ, აირჩიოთ პასუხების ის ვარიანტი (იხ. სკალა), რომელიც ყველაზე მეტად ახლოსაა იმასთან,როგორც იქცევით ამგვარ სიტუაციებში. არ ღირს დიდხანს დაფიქრება პასუხებზე, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს სწორი და არასწორი პასუხები. პასუხების ფურცელზე აღნიშნეთ იმ ვარიანტის ნომერი, რომელიც ყველაზე შესაბამისად მოგეჩვენათ და გადადით შემდეგ სიტუაციაზე. ყველა პასუხი შენახული იქნება საიდუმლოდ.

მეთოდიკის ტექსტი

ვარიანტი ქალებისთვის

1. ნათესავები სტუმრად მოიწვიეთ. ქმარმა ეს იცოდა, მაგრამ სახლში გვიან დაბრუნდა. ამან შეგაწუხათ და სტუმრებს წასვლის შემდეგ ქმარს ეტყვით უკმაყოფილების მიზეზს, მან კი შეიძლება ვერ გაიგოს უკმაყოფილების მიზეზი. თქვენ...

2. ქმარი დიდი ხანია გპირდებათ სახლში რაღაცის გაკეთებას, მაგრამ უშედეგოდ. თქვენ...

3. თქვენ დიდი ხანი იდექით მაღაზიაში რიგში. გამყიდველი მყიდველებს ეუხეშებოდა. როცა თქვენმა რიგმა მოაწია, ქმარმა, თქვენი აზრით, მკვახედ დაუწყო საუბარი მას. თქვენ გაგიკვირდათ მისი ტონი. თქვენ...

4. უკვე გვიანია, ბავშვის დაძინების დროა, მაგრამ მას ძილი არ უნდა, ქმარი კი, ცდილობს მის გასტუმრებას დასაძინებლად. თქვენ ერევით და ბავშვს ნებას რთავთ კიდევ ითამაშოს, ხვალ ხომ დასვენების დღეა. ქმარი თავისას არ იშლის. თქვენ...

5. თქვენ შეთანხმდით გამოსასვლელი დღე ერთად გაგეტარებინათ. მოულოდნელად მშობლებმა დაგირეკეს და თავისთან გიხმეს. თქვენც უმალ დაიწყეთ მომზადება. ქმარი უკმაყოფილოა, რომ გეგმები ჩაგეშალათ. თქვენ...

6. ქმარი ცუდ ხასიათზეა. ხვდებით, რომ სამსახურში უსიამოვნებები აქვს, თუმცა, ის არაფერს ამბობს. ცდილობთ ის საუბარში აიყოლიოთ, მაგრამ ქმარი თავს არიდებს საუბარს, თქვენ...

7. თქვენ ქმართან ერთად მეგობრის დაბადების დღეზე ხართ მიწვეული, საჩუქრის ფული არ გაქვთ. მიგაჩნიათ, რომ ამ თვეში ქმარმა საკმაოდ ბევრი თანხა დახარჯა. თქვენ...

8. თქვენი მეგობარი (ქალი) თქვენ და თქვენს მეუღლეს გიყვებათ პრობლემებსა და განცდებზე. ქმრის ერთ-ერთი შენიშვნა (თქვენი აზრით) სცილდება ზოგადად საუბრის ტონს და საწყენია თანამოსაუბრესთვის. თქვენ...

9. თქვენ ორივეს სამსახურში გიწვეთ დაყოვნება. ბავშვთან დამრჩენი არავინაა. თვლით, რომ თქვენი საქმეები უფრო მნიშვნელოვანია და ბავშვთან ქმარი უნდა დარჩეს, მაგრამ ის არაა თანახმა. თქვენ...

10. თქვენ ბინის რემონტი დაიწყეთ. მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ეს უფრო ძვირი გიჯდებათ, ვიდრე ვარაუდობდით. ქმარი თავიდანვე სკეპტიკურად მოუდგა თქვენს გეგმებს, ახლა კი ბრაზობს გაუთვალისწინებელი ხარჯების გამო. თქვენ...

11. თქვენ გაქვთ საყვარელი საქმე. ქმარი გირჩევთ ამ საქმეს ბავშვიც შეუსამაბოთ. თვლით, რომ ბავშვი ხელს შეგიშლით, ქმარი კი, თავისას არ იშლის. თქვენ...

. 12. სახლიდან საქმეებზე გასვლას აპირებთ, ქმარს კი საუბარი სურს თქვენთან და უკმაყოფილოა, რომ უარს ამბობთ რამოდენიმე წუთით დაყოვნებაზე. თქვენ...

13. ახალგაზრდობიდან ბევრი მეგობარი კაცი შემოგრჩათ. თქვენ სიამოვნებით ურთიერთობთ მათთან, ისინი სტუმრად მოდიან ხოლმე. ქმარს ეს ვიზიტები არ მოსწონს. თქვენ...

14. ქმარს სამსახურში ესტუმრეთ. ის ადგილზე არ აღმოჩნდა და სანამ ელოდებოდით აშკარად დაიმსახურეთ მისი კოლეგა მამაკაცების სიმპათია. თქვენ გაგაკვირვათ ქმრის უარყოფითმა რეაქციამ. თქვენ...

15. ფიქრობთ, რომ ქმარი ფულს უყაირათოდ ხარჯავს. აი, მან კლავე იყიდა არა საჭირო (თქვენი აზრით) ნივთი, მაგრამ ქმარი თელის, რომ ის სახლში საჭიროა. თქვენ...

167 თქვენ ქმარს სთხოვეთ დახმარებოდა ბავშვს გაკვეთილების მომზადებაში, რადგანაც ცუდად იცით ეს საგანი, ქმარი კი, თავის საქმეებს განაგრძობს, ბავშვს თქვენთან აგზავნის ეუბნება რა, რომ არ სცალია. თქვენ...

17. ბოლო ხანებში სამსახურში ბევრს ურთიერთობს ერთ-ერთ კოლეგასთან. თქვენ ხშირად ურეკავთ ერთმანეთს, ახსენებთ მას ქმართან საუბარში. ქმარს ეს არ მოსწონს. თქვენ...

18. თქვენ შემთხვევით შეხვდით ძველ მეგობარს (ქალს), ესაუბრეთ მას და მან დაგითანხმათ სახლში მისულიყავით მასთან. თქვენ მთელი საღამო გაატარეთ მასთან და სახლში გვიან დაბრუნდით. ქმარი ღელავდა და როცა დაბრუნდით, უკმაყოფილება გამოხატა. თქვენ...

19. ხელფასამდე რამოდენიმე დღით ადრე კვლავ საუბრობთ იმაზე, რომ ფული არ გყოფნით. ქმარი თვლის, რომ თქვენ არასაკმარისად ზრუნავთ ოჯახის უზრუნველყოფაზე. თქვენ...

20. საღამო ახალ მეგობრებთან ერთად გაატარეთ, რომლებიც ქმარს მოსწონს, მაგრამ თქვენ არ გესიმპათიურებათ. თქვენი აზრით, მათთან მოსაწყენი იყო, მაგრამ ცდილობდით არ გეჩვენებინათ ეს, გზად სახლისკენ ქმარმა მოულოდნელად გამოხატა უკმაყოფილება იმაზე, თუ როგორ იქცეოდით მის მეგობრებთან. თქვენ...

21. თქვენი ქმარი სტუმრად მიდის ძველ მეგობრებთან. თქვენც გსურთ წასვლა, მაგრამ ის არ გთავაზობთ. თქვენ...

22. თქვენ გაქვთ გატაცება, რომელსაც თავისუფალ დროს უთმობთ. ქმარი ამ ინტერესს არ იზიარებს და ღია უკმაყოფილებასაც გამოხატავს. თქვენ...

23. ქმარმა ბავშვი დასაჯა, მაგრამ გეჩვენებათ, რომ მისი ქცევა არ იყო ესოდენ სერიოზული და ბავშვთან თამაშს იწყებთ. ქმარი ამით უკმაყოფილოა. თქვენ...

24. მეგობრებთან გაიცანით მიმზიდველი ქალი. ქმარი მთელი საღამო მის გვერდით იყო, ცეკვავდა მასთან და რაღაცაზე გამალებით ესაუბრებოდა. ამან შეგაცბუნათ. თქვენ...

25. თქვენ კვირის გატარებას სახლში აპირებდით, მაგრამ ქმარმა მეგობრებს პირობა მისცა, რომ მათ ესტუმრებოდა. თქვენ წასვლა არ გინდათ. თქვენ...

26. დაქალს ოჯახური პრობლემების შესახებ მოუყვეთ. ქმარმა ეს გაიგო და ძალიან უკმაყოფილო იყო, რამდენადაც თელის, რომ არ ღირს ამაზე ყველას მოუყვე. თქვენ...

27. ქმარმა ცოტა ხნის წინ გთხოვათ შარვლის ამოკემსვა. დღეს მას უნდა მისი ჩაცმა, მაგრამ შარვალი არ იყო ამოკემსილი. მან უკმაყოფილება გამოხატა იმის მიუხედავად, რომ იცის ამისთვის არ გეცალათ. თქვენ...

28. თქვენმა ნაცნობმა უკვე მერამდენედ გაგაცურათ და საჭიროდ თვლით, აცნობოთ ეს მას. ქმარი ამბობს, რომ არ ღირს ამისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება. თქვენ...

29. ცუდ ხასიათზე ხართ და გსურთ გაუზიაროთ ქმარს განცდები, ეჭვები. ცდილობთ მას დაელაპარაკოთ, მაგრამ ის ვერ ამჩნევს მდგომარეობას და გპასუხობთ, რომ მოგვიანებით დაგელაპარაკებათ, რადგან ახლა არ სცალია. თქვენ...

30. ქმრის ნაცნობმა დაგირეკათ და გთხოვათ მისთვის რაღაც გადაგეცათ, როგორც კი, ქმარი სახლში დაბრუნდებოდა. თქვენ ბევრი საქმე გქონდათ და ეს მხოლოდ გუიან ღამით გაგახსენდათ. ქმარი გაბრაზდა და მკვახედ გითხრათ, რომ თქვენი უყურადღებობა უკვე მერამდენედ აგდებს მას უხერხულ მდგომარეობაში. თქვენ...

31. საღამოს ქმართან ერთად ტელევიზორის ყურებას აპირებთ, თუმცა თქვენი ინტერესები არ ემთხვევა ერთმანეთს: სხვადასხვა პროგრამის ყურება გსურთ. თითოეული თქვენსას არ იშლით. თქვენ...

32. მეგობრებთან ერთად განიხილავთ ერთობლივი დასვენების გეგმებს. ქმარი მოულოდნელად გამოდის თქვენი წინადადების საწინააღმდეგოდ. თქვენ...

ვარიანტი მამაკაცებისთვის

1. ნათესავები სტუმრად მოიწვიეთ. ცოლმა ეს იცოდა, მაგრამ სახლში გვიან დაბრუნდა. ამან შეგაწუხათ და სტუმრების წასვლის შემდეგ ცოლს ეტყვით უკმაყოფილების მიზეზს, მან კი შეიძლება ვერ გაიგოს უკმაყოფილების მიზეზი. თქვენ...

2. ცოლი დიდი ხანია შეგპირდათ სახლში რაღაცის გაკეთებას, მაგრამ უშედეგოდ. თქვენ...

3. თქვენ დიდი ხანი იდექით მაღაზიაში რიგში. გამყიდველი მყიდველებს ეუხეშებოდა. როცა თქვენმა რიგმა მოაწია ცოლმა, თქვენი აზრით, მკვახედ დაუწყო საუბარი მას. თქვენ გაგიკვირდათ მისი ტონი. თქვენ...

4. უკვე გვიანია, ბაშვის დაძინების დროა, მაგრამ მას ძილი არ უნდა, ცოლი კი, ცდილობს მის გასტუმრებას დასაძინებლად. თქვენ ერევით და ნებას რთავთ ბაშვს კიდევ ითამაშოს, ხვალ ხომ დასვენების დღეა. ცოლი თავისას არ იშლის. თქვენ...

5. თქვენ შეთანხმდით გამოსასვლელი დღე ერთად გაგეტარებინათ. მოულოდნელად მშობლებმა დაგირეკეს და თავისთან გიხმეს. თქვენც უმალ დაიწყეთ მომზადება. ცოლი უკმაყოფილოა, რომ გეგმები ჩაგეშალათ. თქვენ...

6. ცოლი ცუდ ხასიათზეა. ხვდებით, რომ სამსახურში უსიამოვნებები აქვს, თუმცა, ის არაფერს ამბობს. ცდილობთ ის საუბარში აიყოლიოთ, მაგრამ ცოლი თავს არიდებს საუბარს. თქვენ...

7. თქვენ ცოლთან ერთად მეგობრის დაბადების დღეზე ხართ მიწვეული, საჩუქრის ფული არ გაქვთ. მიგაჩნიათ, რომ ამ თვეში ცოლმა საკმაოდ ბევრი თანხა დახარჯა. თქვენ...

8. თქვენი მეგობარი (მამაკაცი) თქვენ და თქვენს მეუღლეს გიყვებათ პრობლემებსა და განცდებზე. ცოლის ერთ-ერთი შენიშვნა (თქვენი აზრით) სცილდება ზოგადად საუბრის ტონს და საწყენია თანამოსაუბრესთვის. თქვენ...

9. თქვენ ორიეს სამსახურში გიწვევთ დაყოვნება. ბაშვთან დამრჩენი არავინაა. თელით, რომ თქვენი საქმეები უფრო მნიშვნელოვანია და ბაშვთან ცოლი უნდა დარჩეს, მაგრამ ის არაა თანახმა. თქვენ...

10. თქვენ ბინის რემონტი დაიწყეთ. მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ის უფრო ძვირი გიჯდებათ, ვიდრე ვარაუდობდით. ცოლი თავიდანვე სკეპტიკურად მიუდგა თქვენს გეგმებს, ახლა კი ბრაზობს გაუთვალისწინებელი ხარჯების გამო. თქვენ...

11. თქვენ გაქვთ საყვარელი საქმე. ცოლი გირჩევთ ამ საქმეს ბაშვიც შეუსაბამოთ. თელით, რომ ბაშვი ხელს შეგიშლით, ცოლი კი, თავისას არ იშლის. თქვენ...

12. სახლიდან საქმეებზე გასვლას აპირებთ, ცოლს კი საუბარი სურს თქვენთან და უკმაყოფილოა, რომ უარს ამბობთ რამოდენიმე წუთით დაყოვნებაზე. თქვენ...

13. ახალგაზრდობიდან ბევრი მეგობარი ქალი შემოგრჩათ. თქვენ სიამოვნებით ურთიერთობთ მათთან, ისინი სტუმრად მოდიან ხოლმე. ცოლს ეს ვიზიტები არ მოსწონს. თქვენ...

14. ცოლს სამსახურში ესტუმრეთ. ის ადგილზე არ აღმოჩნდა და სანამ ელოდებოდით აშკარად დაიმსახურეთ მისი კოლეგა ქალების სიმპათია. თქვენ გაგაკვირვათ ცოლის უარყოფითმა რეაქციამ. თქვენ...

15. ფიქრობთ, რომ ცოლი პერიოდულად ფულს უყაირათოდ ხარჯავს. აი, მან კვლავ იყიდა არა

საჭირო (თქვენი აზრით) ნიეთი, მაგრამ ცოლი თვლის, რომ ის სახლში საჭიროა. თქვენ...

16. თქვენ ცოლს სთხოვეს დახმარებოდა ბავშვს გაკვეთილების მომზადებაში, რადგანაც ცუდად იცით ეს საგანი, ცოლი კი, თავის საქმეებს განაგრძობს, ბავშვს თქვენთან აგზავნის და ეუბნება, რომ არ სცალია. თქვენ...

17. ბოლო ხანებში სამსახურში ბევრს ურთიერთობთ ერთ-ერთ კოლეგასთან. თქვენ ხშირად ურეკავთ ერთმანეთს, ახსენებთ მას ცოლთან საუბარში. ცოლს ეს არ მოსწონს. თქვენ...

18. თქვენ შემთხვევით შეხვდით ძველ მეგობარს (კაცს), ესაუბრეთ მას და მან დაგითანხმათ სახლში მისულიყავით მასთან. თქვენ მთელი საღამო გაატარეთ ერთად და სახლში გვიან დაბრუნდით. ცოლი ღელავდა და როცა დაბრუნდით, უკმაყოფილება გამოხატა. თქვენ...

19. ხელფასამდე რამოდენიმე დღით ადრე კვლავ საუბრობთ იმაზე, რომ ფული არ გყოფნით. ცოლი თვლის, რომ თქვენ არასაკმარისად ზრუნავთ ოჯახის უზრუნველყოფაზე. თქვენ...

20. საღამო ახალ მეგობრებთან ერთად გაატარეთ, რომლებიც ცოლს მოსწონს, მაგრამ თქვენ არ გესიმპათიურებათ. თქვენი აზრით, მათთან მოსაწყენი იყო, მაგრამ ცდილობდით არ გეჩვენებინათ ეს, გზად სახლისკენ ცოლმა მოულოდნელად გამოხატა უკმაყოფილება იმით, თუ როგორ იქცეოდით მის მეგობრებთან. თქვენ...

21. თქვენი ცოლი სტუმრად მიდის ძველ მეგობრებთან. თქვენც გსურთ წასვლა, მაგრამ ის არ გთავაზობთ. თქვენ...

22. თქვენ გაქვთ გატაცება, რომელსაც თავისუფალ დროს უთმობთ. ცოლი ამ ინტერესს არ იზიარებს და ღია უკმაყოფილებასაც გამოხატავს. თქვენ...

23. ცოლმა ბავშვი დასაჯა, მაგრამ გეჩვენებათ, რომ მისი ქცევა არ იყო ესოდენ სერიოზული და ბავშვთან თამაშს იწყებთ. ცოლი ამით უკმაყოფილოა. თქვენ...

24. მეგობრებთან გაიცანით მიმზიდველი მამაკაცი. ცოლი მთელი საღამო მის გვერდით იყო, ცეკვაედა მასთან და რაღაცაზე გამალებით ესაუბრებოდა. ამან შეგაცბუნათ. თქვენ...

25. თქვენ კვირის გატარებას სახლში აპირებდით, მაგრამ ცოლმა მეგობრებს პირობა მისცა, რომ მათ ესტუმრებოდა. თქვენ წასვლა არ გინდათ. თქვენ...

26. მეგობარს ოჯახური პრობლემების შესახებ მოუყევით. ცოლმა ეს გაიგო და ძალიან უკმაყოფილო იყო, რამდენადაც თვლის, რომ არ ღირს ამაზე ყველას მოუყვე. თქვენ...

27. ცოლმა დიდი ხანია გთხოვათ უთოს შეკეთება. დღეს მას უნდოდა მისი გამოყენება, მაგრამ უთო არ იყო შეკეთებული. მან უკმაყოფილება გამოხატა იმის მიუხედავად, რომ იცის ამისთვის არ გეცალათ. თქვენ...

28. თქვენმა ნაცნობმა უკვე მერამდენედ გაგაცურათ და საჭიროდ თვლით, აცნობოთ ეს მას. ცოლი ამბობს, რომ არ ღირს ამისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება. თქვენ...

29. ცუდ ხასიათზე ხართ და გსურთ გაუზიაროთ ცოლს განცდები, ეჭვები. ცდილობთ დაელაპარაკოთ მას, მაგრამ ის ვერ ამჩნევს თქვენს მდგომარეობას და გპასუხობთ, რომ მოგვიანებით დაგელაპარაკებათ, რადგან ახლა არ სცალია. თქვენ...

30. ცოლის ნაცნობმა დაგირეკათ და გთხოვათ მისთვის რაღაც გადაგეცათ, როგორც კი, ცოლი სახლში დაბრუნდებოდა. თქვენ ბევრი საქმე გჭონდათ და ეს მხოლოდ გვიან ღამით გაგახსენდათ. ცოლი გაბრაზდა და მკვახედ გითხრათ, რომ თქვენი უყურადღებობა უკვე მერამდენედ აგდებს მას უხერხულ მდგომარეობაში. თქვენ...

31. საღამოს ცოლთან ერთად ტელევიზორის ყურებას აპირებთ, მაგრამ თქვენი ინტერესები არ ემთხვევა ერთმანეთს: სხვადასხვა პროგრამის ყურება გსურთ. თითოეული თქვენსას არ იშლით. თქვენ...

32. მეგობრებთან ერთად განიხილავთ ერთობლივი დასვენების გეგმებს. ცოლი მოულოდნელად გამოდის თქვენი წინადადების საწინააღმდეგოდ. თქვენ...

ცოლქმრულ წყვილებში კონფლიქტების შესწავლა საშუალებას აძლევს მეთოდიკის ავტორებს გამოყოს 8 სფერო, რომლებშიც ყველაზე ხშირია დაპირისპირება:

1) ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობების პრობლემები;

2) ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები;

3) ავტონომიისადმი მისწრაფების გამოვლენა;

4) როლური მოლოდინების დარღვევა;

5) ქცევის ნორმების დაუმთხვეველობა;

6) რომელიმე მეუღლის დომინირების გამოვლენა;

7) ეჭვიანობის გამოვლენა;

8) ფულთან დამოკიდებულებაში განსხვავებები.

ყველა სიტუაცია 8 ბლოკად ეგუფდება შემდეგი სახით:

ბლოკის ნომერი	სიტუაციების ნომრები
1	1, 5, 8, 20
2	4, 11, 16, 23
3	6, 18, 21, 22
4	2, 12, 27, 29
5	3, 26, 28, 30
6	9, 25, 31, 32
7	13, 14, 17, 24
8	7, 10, 15, 19

გარდა ამისა, სიტუაციები შეიძლება დაიყოს 2 ზგუფად კონფლიქტში დამნაშავის მიხედვით.

სიტყვას „დანაშაული" ბრჭყალებში ვსვამთ, რამდენადაც საუბარია არა რეალურ დანაშაულზე, არამედ ჩხუბის მიზეზზე. სიტუაციებში 4, 5, 9, 10, 11, 13, 14, 17, 18, 19, 22, 23, 26, 27, 31 უმეტესწილად კონფლიქტის წარმოქმნაში „დამნაშავეა" რესპოდენტი, ხოლო სიტუაციებში 1, 2, 3, 6, 7, 8, 12, 15, 16 20, 21, 24, 25, 28, 29, 32 ასეთ მიზეზს წარმოადგენს მეუღლე.

კვლევის შედეგებს იღებენ ზოგადი ინდექსის გაანგარიშების გზით (საშუალო არითმეტიკული თითოეულ ბლანკზე).

ინდექსების მნიშვნელობა იცვლება −2-დან +2-მდე.

ინდექსის უარყოფითი მნიშვნელობა მეტყველებს რესპოდენტის ნეგატიურ რეაქციაზე კონფლიქტურ სიტუაციებში, დადებითი — პოზიტიურ რეაქციებზე.

1-თან (ან-1) მიახლოებული მნიშვნელობები ხაზს უსვამს ქცეიის პასიურ ხასიათს ოჯახური გაუგებრობების დროს, ხოლო 2-თან (-2) მიახლოებული — აქტიურ პოზიციას მოცემულ სიტუაციაში.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ წყვილში კონფლიქტურობის საერთო დონეზე. რაც უფრო ახლოსაა ზოგადი ინდექსის მნიშვნელობა 2-თან, მით უფრო კონფლიქტურ ხასიათს ატარებს მეუღლეთა ურთიერთქმედება.

ამდენად, მეთოდიკის შედეგები გვაძლევს შესაძლებლობას დავახასიათოთ წყვილი რიგი პარამეტრების მიხედვით: მეუღლეთა დამოკიდებულებების ყველაზე კონფლიქტური სფეროები, თანხმობის (ან უთანხმოების) ხარისხი კონფლიქტის სიტუაციებში, წყვილში კონფლიქტურობის დონე.

ეს მახასიათებლები სასარგებლოა, როგორც მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულებების სხვადასხვა მხარის კვლევებში, ასევე დიაგნოსტიკის დროს შემდგომი კორექციის მიზნით.

ცოლ-ქმრული დამოკიდებულებების ტესტი

1. გაქვთ გრძნობა, რომ საჭიროა დამოკიდებულებათა სერიოზული გარკვევა:

ა) დიახ — 1 ქულა;

ბ) არა, არაა დამოკიდებულებათა გარკვევის აუცილებლობა — 0;

გ) ასეთი გარკვევა უაზრობაა — 2.

2. როცა გსურთ დელიკატური კითხვის დასმა, შეგიძლიათ ამის პირდაპირი დასმა:

ა) დიახ — 0 ქულა

ბ) დიახ, მაგრამ ამისათვის ხელსაყრელი გარემო მჭირდება — 1;

გ) ამაზე საუბარიც არ შეიძლება იყოს — 2.

3. თვლით, რომ თქვენი პარტნიორი დუმს იმაზე, რაც აწუხებს;

ა) დიახ — 1 ქულა;

ბ) არ მაქვს წარმოდგენა — 2;

გ) მე ყველა პრობლემის კურსში ვარ — 0.

4. შეგიძლიათ თქვენს პარტნიორს უთხრათ ნებისმიერი რამის შესახებ ნებისმიერ დროს:

ა) დიახ — 1 ქულა;

ბ) ყოველთვის არა, საჭიროა შესაბამისი მომენტის შერჩევა — 1;

გ) უმეტეს შემთხვევაში არა, რადგან მას დრო არა აქვს — 2.

5. როცა ერთმანეთს ესაუბრებით, თვალი ადევნეთ იმას, რომ თქვენი ფორმულირებები იყოს ზუსტი:

ა) დიახ, მე ვეფიქრობ, ვარჩევ სიტყვებს — 1 ქულა;

ბ) არა, ჩვენ პირდაპირ ვსაუბრობთ, როგორც მეგობრები — 2;

გ) გამოვხატავ ჩემს აზრს, მაგრამ ვიზიარებ სხვის აზრსაც — 0.

6. როცა პარტნიორს პრობლემებს უზიარებთ ხომ არ გაქვთ გრძნობა, რომ ამით ტვირთავთ მას:

ა) დიახ, ასე ხშირად ხდება — 2 ქულა;

ბ) ის უბრალოდ არ ეღრმავდება ჩემს პრობლემებს — 1;

გ) ის ყოველთვის აქცენს ყურადღებას — 0.

7. იღებს რომელიმე თქვენგანი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელიც მას ეხება, მეორესთან რჩევის გარეშე:

ა) ასეთ ხდება ხოლმე – 2 ქულა;

ბ) ჩვენ ერთად ვიხილავთ ამას, მაგრამ ბოლო სიტყვა მასზეა – 1;

გ) ჩვენ ყველაფერს ერთად ვწყვეტთ – 0.

8. ხომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ უპირატესობას ანიჭებთ მეგობრებთან გულის გადაშლას, ვიდრე ცხოვრების თანამგზავრთან:

ა) ზოგჯერ ასეც ხდება – 1 ქულა;

ბ) არა, ჩემს პრობლემებს მეუღლესთან ვიხილავ – 0;

გ) მეგობრები უკეთ მიგებენ – 2.

9. ხომ არ ხდება ისე, რომ როცა პარტნიორი გესაუბრებათ, თქვენ სხვა რამეზე ფიქრობთ:

ა) ასეც ხდება – 2 ქულა;

ბ) არა, ყურადღებით ვუსმენ – 0;

გ) თუ ვგრძნობ, რომ დაფანტული ვარ, ვცდილობ ყურადღების კონცენტრაციას – 1.

10. საუბრისას, პირველ რიგში, ცდილობთ თქვენ გამოხატოთ აზრი:

ა) აუცილებლად – 2 ქულა;

ბ) ჩვეულებრივ პარტნიორს ვაძლევ შესაძლებლობას გამოეხატოს ყველაფერი, რაც მაღელვებს – 0;

გ) ვთვლი, რომ ორივემ უნდა გაეუზიაროთ ერთმანეთს პრობლემები – 1.

პასუხების კლასიფიკაცია

ახლა ორივემ მეუღლემ უნდა დაითვალოს ქულები. ასე რომ...

0-დან 10 ქულამდე: თქვენს ოჯახში მიღებულია პრობლემებზე საუბარი. თითოეული ამბობს იმას, რაც აწუხებს, პარტნიორი კი, ყურადღებით უსმენს. არ გაქვთ მოთხოვნილება გული სხვას გადაუშალოთ, რადგანაც სახლში ყველაზე უკეთ გიგებენ.

11-დან 20 ქულამდე: არ შეიძლება ითქვას, რომ თქვენს ოჯახში ერთმანეთს არ უზიარებენ პრობლემებს. თუმცა, არის ისეთი რამეები, რაზეც უნდა და შეიძლება ისაუბროთ. არსებობს საკითხები, რომელთა თაობაზეც არაფერს ამბობთ და ორივე ვერ წყვეტთ მათ. ეს კი გაუცხოებას იწვევს, რადგანაც თითოეულს სურს გეერდით ჰყავდეს გამგები ადამიანი და ასეთ ადამიანს ეძებენ...

ᲕᲘᲡᲐᲑᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲗᲔᲠᲐᲞᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲗᲔᲠᲐᲞᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ (WIPPF)

მეთოდიკა წარმოდგენილია ნ. პეზეშკიანის მიერ ხ. დაიდენბახთან თანამშრომლობით

ფორმა ა

გ. ს. მ. ---------- კოდი ----------

ქვემოთ მოთავსებულია მტკიცებები და გამოთქმები სხვადასხვა წარმომაელობის, ასაკისა და სქესის ადამიანებთან საუბრებიდან. ამასთან, ასახული იქნება სრულიად განსხვავებული განწყობა, გრძნობა და მოქმედების სახე.

ეს კითხვარი არ წარმოადგენს ტესტს ჩვეულებრივი გაგებით; თქვენ უფრო საკუთარ თავს ასახავთ მასში. ამიტომაც, ამ გამონათქვამების შეფასებისას არ შეგიძლიათ რამე არასწორად გააკეთოთ, თითოეულ ადამიანს ხომ აქვს პირადი აზრის ქონების უფლება.

გთხოვთ შეაფასოთ ეს გამონათქვამები. ამასთან, გაქვთ 4 შესაძლებლობა პასუხის გასაცემად:

თუ ეთანხმებით რომელიმე მტკიცებას, ჯვარი დასვით მარცხნივ „დიახ“ სიტყვის ქვეშ:

დიახ არა

☒ ☐ ☐ ☐

თუ არ ეთანხმებით რომელიმე მტკიცებას, ჯვარი აღნიშნეთ მარჯვნივ „არა“ სიტყვის ქვეშ

დიახ არა

☐ ☐ ☐ ☒

შეიძლება ისე მოხდეს, რომ გაგიჭირდეთ პასუხის გაცემა, რადგან არც ეთანხმებით და არც უარყოფთ შესედულებას. ასეთ შემთხვევაში არის კიდევ ორი შესაძლებლობა: თუ უფრო იქითკენ იხრებით, რომ უფრო ეთანხმებით ამას, ვიდრე არ ეთანხმებით, ჯვარი აღნიშნეთ „დიახ“-ის გვერდით:

დიახ არა

☐ ☒ ☐ ☐

თუ უფრო არ ეთანხმებით ამ შესედულებას, ვიდრე ეთანხმებით, ჯვარი აღნიშნეთ „არა“-ს გვერდით:

დიახ არა

☐ ☐ ☒ ☐

აირჩიეთ ერთი ვარიანტი, ნუ იფიქრებთ დიდხანს, სწრაფად, ერთმანეთის მიყოლებით აღნიშნეთ ნიშნები.

სიტყვები „მშობლები“, „მამა“ და „დედა“, პირველ რიგში, გულისხმობს ნამდვილ მშობლებს. თუ ნათესავებთან იზრდებოდით ან ბავშვთა სახლში ან ნაშვილები ხართ, ამ სიტყვების ქვეშ იგულისხმება

ის აღმზრდელები, რომლებიც მშობლების როლს თამაშობდნენ.

ახლა კი, შეუდექით სამუშაოს.

გარწმუნებთ, პასუხები არ გამჟღავნდება (საიდუმლოდ დარჩება).

ტესტი-კითხვარი	დიახ	არა
1. მე წაიკითხე ინსტრუქცია და მზად ვარ გულწრფელად შევაფასო თითოეული გამონათქვამი.	☐	☐
2. მე ყოველთვის ისე ვგეგმავ დროს, რომ არასდროს მიხდება დღის ღამედ გადაქცევა.	☐	☐
3. ადამიანის ურთიერთობის ფორმით შეიძლება იმსჯელო, ვინაა ის.	☐	☐
4. ნაცნობები საიმედო ადამიანად მთვლიან.	☐	☐
5. ბავშვმა,რომელიც მისადმი მშვიდი დამოკიდებულების დროსაც არ აკეთებს იმას, რასაც თხოვენ უნდა გამოსცადოს მშობლების სიმკაცრე.	☐	☐
6. ხშირად ვარ მოდუნებული, დაუძლურებული.	☐	☐
7. დედა ჩემთვის მაგალითი იყო.	☐	☐
8. მოთმინება და ატანა ჩემთვის წარმოადგენს შინაგანი ძალის მაჩვენებლებს.	☐	☐
9. კაცობრიობის ერთიანობა ჩემთვის მნიშვნელოვანი მიზანია.	☐	☐
10. როცა ყველაფერი უკუღმა მიდის, შეიძლება გაგიჟება.	☐	☐
11. მინდა ბევრ ადამიანთან ვიყო ნაზი და არა ერთ ადამიანთან.	☐	☐
12. ჩემს მსოფლმხედველობას (რელიგიას, მრწამსს) ვინარჩუნებ, ნებისმიერი გარეშე გავლენის მიუხედავად.	☐	☐
13. ჩემი მშობლები (მამა და (ან) დედა) ჩემთან ერთად ლოცულობენ.	☐	☐
14. ყიდვის დროს განსაკუთრებით ვაქცევ ყურადღებას ფასს.	☐	☐
15. ხშირად მეჩვენება, რომ უსამართლოდ მომექცნენ.	☐	☐
16. ხშირი ხელის ჩამორთმევა საშიშია, რადგანაც შეიძლება ბაქტერიების გადაცემა.	☐	☐
17. შეიძლება ადამიანს ჩემი იმედი ჰქონდეს.	☐	☐
18. თავიდან სამუშაო, ხოლო შემდეგ სიამოვნება.	☐	☐
19. სამსახურში პირადი კონტაქტები დაკავებულობის მიუხედაავად, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.	☐	☐
20. მამა ძალიან შემწყნარებელია ჩემს მიმართ.	☐	☐
21. ზოგჯერ ვყლაპავ წყენას და არ ვიმჩნევ, თუმცა შემდეგ ძალიან ვბრაზობ ჩემს თავზე.	☐	☐
22. ადამიანთა უმრავლესობა, რომლებთანაც მაქვს ურთიერთობა, გულწრფელია.	☐	☐
23. მე უფრო მომწონს ერთ ადამიანთან მყარი ურთიერთობები, ვიდრე ხანმოკლე, ცელადი კონტაქტები.	☐	☐
24. როცა პრობლემა მექმნება, ყოველთვის ვპოულობ კარგ გადაწყვეტას.	☐	☐
25. ხშირად ყურადღების გადატანას საქმეში თავით გადაშვებით ვახერხებ.	☐	☐
26. სანამ რამეს გავაკეთებ (სამსახურში ან ოჯახში), ყოველთვის ყველაფერს ვგეგმავ.	☐	☐
27. ჩემმა მშობლებმა იცოდნენ მათ შორის წარმოქმნილი უთანხმოების აღმოფხვრა.	☐	☐
28. ჩემი მშობლები (მამა და (ან) დედა) კეთილგანწყობილნი იყვნენ უცნობ ადამიანებთან.	☐	☐
29. მე ნაცნობების ფართო წრე მყავს.	☐	☐
30. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას არ ეჩქარობ, რათა კარგად გავიაზრო ყველაფერი.	☐	☐
31. სახლშიც და სამსახურშიც ხარისხით ვმუშაობ.	☐	☐
32. ვმოქმედებ პრინციპით „დრო ფულია“.	☐	☐
33. ეცდილობ შინაგანად მიეიღო ის ადამიანებიც,რომელთაც ჩემგან განსხვავებული შეხედულებები აქვთ.	☐	☐
34. ჩემს მშობლებს აწუხებდა საკითხი ცხოვრების არსის შესახებ.	☐	☐
35. როცა ვინმე დანიშნულ დროს არ მოდის, წყობიდან გამოვდივარ.	☐	☐

36. მე ღიად გამოვხატავ ჩემს მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ☐☐☐☐

37. დედა ძალიან შემწყნარებელი იყო ჩემს მიმართ. ☐☐☐☐

38. ჩემს მიმართ უსამართლობას ყოველთვის ავაღმყოფობამდე მივყავარ (მაქვს ტკივილები მუცლის არეში, თავის ტკივილები და სხვ.) ☐☐☐☐

39. ყველაზე რთულ სიტუაციებშიც ჩვეულებრივ სიმშვიდეს ვინარჩუნებ. ☐☐☐☐

40. ალერსი და ფიზიკური კონტაქტები ძალიან სასიამოვნოა. ☐☐☐☐

41. ერთგულება (სიყვარულში და მეგობრობაში) ჩემთვის აბსოლუტურ ფასეულობას წარმოადგენს. ☐☐☐☐

42. ჩემი მშობლები მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში. ☐☐☐☐

43. თუნდაც ყველა ჩემს წინააღმდეგ იყოს განწყობილი, მაინც არ ვნებდები. ☐☐☐☐

44. პროფესიული პრობლემების წარმოქმნისას კოლეგებს მივმართავ, ნაცელად იმისა, რომ შევურიგდე წარუმატებლობას. ☐☐☐☐

45. ჩემი მშობლები კარგად ეწყობოდნენ ერთმანეთს. ღიახ არა ☐☐☐☐

46. ჩემი ორგანიზმი ძალიან რეაგირებს, როცა არ შემიძლია პრობლემის გადაწყვეტა. ☐☐☐☐

47. მე მაშინ ვგრძნობ თავს კარგად, როცა სრულად ვარ ჩართული საქმეში. ☐☐☐☐

48. მაღიზიანებს, როცა ბინაში უწესრიგობაა. ☐☐☐☐

49. ცხოვრების აზრს მაშინაც ეხედავ, როცა პრობლემები მაქვს. ☐☐☐☐

50. ვერ წარმომიდგენია ადამიანთა საზოგადოება პუნქტუალობის გარეშე. ☐☐☐☐

51. მომწონს ადამიანები, რომლებიც ღიად საუბრობენ, რასაც ფიქრობენ, თუნდაც სხვა აზრი მქონდეს მე. ☐☐☐☐

52. მე ყოველთვის ღიად ვამბობ ჩემს აზრს, თუნდაც ეს საშიში იყოს ჩემთვის. ☐☐☐☐

53. როცა ბავშვი ვიყავი, მშობლები მესაუბრებოდნენ რელიგიურ და მსოფლმხედველობით თემებზე. ☐☐☐☐

54. ურთიერთგანდობის გარეშე არ შემიძლია სხვა ადამიანებთან ცხოვრება ან მუშაობა. ☐☐☐☐

55. თუ ერთხელ რამეს პირობა დავდე, აუცილებლად შევასრულებ. ☐☐☐☐

56. მნიშვნელოვანია ეიცოდე არსებობს თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ☐☐☐☐

57. ყველა ადამიანს ერთნაირად უნდა მოექცე, სხვაგვარად უსამართლობა გამეფდება. ☐☐☐☐

58. ბინაში სისუფთავის მიხედვით შეიძლება იმსჯელო ადამიანის სისუფთავეზეც. ☐☐☐☐

59. როცა სამსახურში პრობლემები მაქვს, მივმართავ კოლეგებს და (ან) უფროსობას. ☐☐☐☐

60. მამა ჩემთვის მაგალითი იყო, როცა პატარა ვიყავი. ☐☐☐☐

61. დროს სიამოვნებით ვატარებ სახლის გარეთ (რესტორანი, კინოში, თეატრში, კაფეში, ცეკვებზე და ა.შ.), რადგანაც მომწონს ახალი ადამიანების გაცნობა. ☐☐☐☐

62. მშობლებთან ხშირად დადიოდნენ მეგობრები ან მათ იწვევდნენ სტუმრად. ☐☐☐☐

63. მე შრომისმოყვარე, ბეჯითი ადამიანი ვარ. ☐☐☐☐

64. იმედი მაქვს, რომ ცხოვრებაში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევ. ☐☐☐☐

65. მე ძალიან თავაზიანი ვარ, რათა სხვებმა მაღიარონ. ☐☐☐☐

66. სექსუალური სიყვარული საუკეთესოა, რაც კი დედამიწაზე არსებობს. ☐☐☐☐

67. დედას ყოველთვის ჰქონდა დიდი დრო ჩემთვის. ☐☐☐☐

68. ვეძებ ხანგრძლივ კონტაქტებს, რათა მარტოობაში არ ვიყო. ☐☐☐☐

69. ეკონომიას ვეწევი მაშინაც, როცა ამის საჭიროება არაა. ☐☐☐☐

70. როცა ადამიანებს ვეცნობი, თავიდან ვცდი მათ. ☐☐☐☐

71. როცა მაკრიტიკებენ, კუჭი (ნაღვლის ბუშტი) მტკივა ან მამცივნებს. ☐☐☐☐

72. მამა ყოველთვის დიდ დროს მითმობდა. ☐☐☐☐

73. ის, რასაც თითოეული ჩვენგანი გრძნობების ქვეშ გულისხმობს, სინამდვილის ნაწილია მხოლოდ. ☐☐☐☐

74. პრობლემების დროს მთელი ჩემი ენერგია მიმართულია გადაწყვეტილების ძიებაზე და ყოველთვის ვპოულობ გამოსავალს. ☐☐☐☐

75. ვთვლი, რომ ჩემი გადაწყვეტილებები (სამსახურში ან პირად ცხოვრებაში) უნდა შესრულდეს შეპასუხების გარეშე. ☐☐☐☐

76. ჩემთვის სულერთია, რას ფიქრობენ სხვები ჩემს აზრზე. ☐☐☐☐

77. სამუშაო ჩემი ცხოვრების შინაარსია. ☐☐☐☐

78. სტუმრები ჩემთვის სულერთი არაა, მე ყოველთვის ვპოულობ მათთვის დროს. ☐☐☐☐

79. მე საკუთარ თავზე ვბრაზობ, თუ ყველაფერი არეულია (ჭურჭელი, ცარიელი ბოთლები, ნაგავი). ☐☐☐☐

80. რთულ სიტუაციებში ჩემს მშობლებს ღიად შეეძლოთ ერთმანეთთან საუბარი. ☐☐☐☐

81. ძალიან უხერხულად ვარ, როცა სტუმრები მოდიან და ბინაკი, სისუფთავით არ ბრწყინავს. ☐☐☐☐

82. არსებობენ ადამიანები, რომლებიც მომწონს იმის მიუხედავად, რომ მათ განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ☐☐☐☐

83. ძალიან ენერვიულობ (ვღელავ, ვბრაზობ), თუ ვინმე მალოდინებს. ☐☐☐☐

84. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ცხოვრებაში კიდევ მეტის მიღწევა შეიძლება. ☐☐☐☐

85. როცა პრობლემა არ შეიძლება გადაწყდეს მაშინათვე, შემიძლია ლოდინი, სანამ სხვა შესაძლებლობა არ გამოჩნდება. ☐☐☐☐

ფორმა ბ

გვარი, სახელი ---------- კოდი ----------

ქვემოთ მოთავსებული მტკიცებები და გამოთქმები სხვადასხვა წარმომაელობის, ასაკისა და სქესის ადამიანებთან საუბრებიდან. ამასთან, ასახული იქნება სრულიად განსხვავებული განწყობა, გრძნობა და მოქმედებების სახე.

ეს კითხვარი არ წარმოადგენს ტესტს ჩვეულებრივი გაგებით; თქვენ უფრო საკუთარ თავს ასახავთ მასში. ამიტომაც, ამ გამონათქვამების შეფასებისას არ შეგიძლიათ რამე არასწორად გააკეთოთ, თითოეულ ადამიანს ხომ აქვს პირადი აზრის ქონების უფლება.

გთხოვთ შეაფასოთ ეს გამონათქვამები. ამასთან, გაქვთ 4 შესაძლებლობა პასუხის გასაცემად:

თუ ეთანხმებით რომელიმე მტკიცებას, ჯვარი დასვით მარცხნივ „დიახ" სიტყვის ქვეშ:

დიახ			არა
☒	☐	☐	☐

თუ არ ეთანხმებით რომელიმე მტკიცებას, ჯვარი აღნიშნეთ მარჯვნივ „არა" სიტყვის ქვეშ:

დიახ			არა
☐	☐	☐	☒

შეიძლება ისე მოხდეს, რომ გაგიჭირდეთ პასუხის გაცემა, რადგან არც ეთანხმებით და არც უარყოფთ შეხედულებას. ასეთ შემთხვევაში არის კიდევ ორი შესაძლებლობა: თუ უფრო იქითკენ იხრებით, რომ უფრო ეთანხმებით ამას, ვიდრე არ ეთანხმებით, ჯვარი აღნიშნეთ „დიახ"-ის გვერდით:

დიახ			არა
☐	☒	☐	☐

თუ უფრო არ ეთანხმებით ამ შეხედულებას, ვიდრე ეთანხმებით, ჯვარი აღნიშნეთ „არა"-ს გვერდით:

დიახ			არა
☐	☐	☒	☐

აირჩიეთ ერთი ვარიანტი, ნუ იფიქრებთ დიდხანს, სწრაფად, ერთმანეთის მიყოლებით აღნიშნეთ ნიშნები.

სიტყვები „მშობლები", „მამა" და „დედა" პირველ რიგში, გულისხმობს ნამდვილ მშობლებს. თუ ნათესავებთან იზრდებოდით ან ბავშვთა სახლში ან გიშვილეს, ამ სიტყვების ქვეშ იგულისხმება ის აღმზრდელები, რომლებიც მშობლების როლს თამაშობდნენ.

ახლა კი, შეუდექით სამუშაოს.

გარწმუნებთ, პასუხები არ გამჟღავნდება (საიდუმლოდ დარჩება).

ტესტ-კითხვარი

	დიახ	არა
1. მე წავიკითხე ინსტრუქცია და მზად ვარ გულწრფელად შევაფასო თითოეული გამოთქმა.	☐☐	☐☐
2. თუ გაღიზიანებული ან განაწყენებული ვარ, ამას მთელი სხეულით ვგრძნობ.	☐☐	☐☐
3. სამუშაოს ადგილს (საწერი მაგიდა, ჭიქა) მხოლოდ წესრიგის მოყვანის შემდეგ ვტოვებ.	☐☐	☐☐

4. ჩემი მშობლები საზოგადოებრივი ან პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ. ☐☐☐☐

5. კონფლიქტები აუცილებელია: ისინი გეხმარება დაეძლიო ძველი ჩვევები. ☐☐☐☐

6. ნებისმიერ სამუშაოს ვასრულებ ზუსტად, ადრე შედგენილი განრიგით. ☐☐☐☐

7. თუ რამე გადაწყვეტილებამდე მივედი, ჩემსას ვიჩემებ ნებისმიერ ფასად. ☐☐☐☐

8. მე ორჯერ მაინც დავფიქრდები თითოეულ თეთრზე, სანამ მას დავხარჯავ. ☐☐☐☐

9. ჩემთვის გულღიაობა და გულწრფელობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე პატივისცემა. ☐☐☐☐

10. თუნდაც უიმედოდ ჩანდეს ყველაფერი, სიმამაცეს არ ეკარგავ. ☐☐☐☐

11. ჩემი მშობლები ერთმანეთის მიმართ წყენას არ იდებდნენ გულში, არამედ ცდილობდნენ ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას. ☐☐☐☐

12. სამუშაო ჩემთვის ყველაზე მთავარია, მაშინაც კი, როცა პრობლემები მაქვს. ☐☐☐☐

13. ძალიან მომწონს ადამიანები, რომლებიც აფასებენ კარგ მანერებს. ☐☐☐☐

14. მე ყოველდღე უნდა მივიღო შხაპი, სხვაგვარად თავს ცუდად ვგრძნობ. ☐☐☐☐

15. არსებობს ძალიან მცირე რამ, რასაც წყობიდან გამოვყავარ. ☐☐☐☐

16. საჭიროა მიჰყვე ავტორიტეტული პირის განკარგულებებს. ☐☐☐☐

17. მე სიამოვნებით გავცემ სინაზეს და ასევე ვიღებ მას სიამოვნებით. ☐☐☐☐

18. როცა მსურს სხვა ადამიანებთან კონტაქტის დამყარება, წინასწარ ვენდობი მათ. ☐☐☐☐

19. მამა ძალიან შემწყნარებელი იყო ჩემთან, როცა ბაშვი ვიყავი. ☐☐☐☐

20. როცა რამეზე ვფიქრობ ან ვწუხვარ, ვეძებ სხვა ადამიანებთან ურთიერთობას. ☐☐☐☐

21. მეგობრებთან (კოლეგებთან) სასაუბროდ დრო ყოველთვის მაქვს. ☐☐☐☐

22. მაინტერესებს საკითხი, არის თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ☐☐☐☐

23. ჩემი მოთმინების ფიალა უცბად არ ივსება, თუნდაც ვინმე რომ მიყეიროდეს. ☐☐☐☐

24. ვიმედოვნებ, რომ ცხოვრებაში (პროფესიაში, პირად სფეროში) ბევრს მივაღწევ. ☐☐☐☐

25. მაშინაც, როცა საკმარისი ფული მაქვს, მათ ეკონომიურად ვიყენებ. ☐☐☐☐

26. მშობლები ჩემთან განიხილავდნენ რელიგიურ და მსოფლმხედველობით საკითხებს, როცა ბავშვი ვიყავი. ☐☐☐☐

27. ყველა ადამიანს ერთი საზომით უნდა მიუდგე. ☐☐☐☐

28. თუნდაც ვრისკავდე დავრჩე იმედგაცრუებული, მე მჯერა ადამიანების გულწრფელობის. ☐☐☐☐

29. უსაქმურობა ყველა უბედურების საფუძველია. ☐☐☐☐

30. პროფესიულ საქმიანობაშიც პირადი კონტაქტები აუცილებლად მიმაჩნია ☐☐☐☐

31. ჩემი დამოკიდებულება ადამიანის მიმართ არაა დამოკიდებული მის შეხედულებებზე და ქცევაზე. ☐☐☐☐

32. ჩემი მშობლების ქორწინება იყო ქორწინება სიყვარულით. ☐☐☐☐

33. სირთულეები ფანტაზიას აღვიძებს ჩემში, რათა ვიპოვო ახალი გადაწყვეტილება. ☐☐☐☐

34. დედა ძალიან შემწყნარებელი იყო ჩემს მიმართ. ☐☐☐☐

35. თუ წარმოვიდგენ, რომ პარტნიორი დამტოვებს, ჩემი ცხოვრება ყოველგვარ აზრს დაკარგავს. ☐☐☐☐

36. მე მაინტერესებს საკითხი ჩემი ცხოვრების არსის შესახებ. ☐☐☐☐

37. პუნქტუალობის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია. ☐☐☐☐

38. როცა მაკრიტიკებენ მაშინაც კი, შემიძლია მშვიდად მოვისმინო ის. ☐☐☐☐

39. ჩემი მშობლები შემწყნარებლები იყვნენ სხვაგვარი შეხედულებების (რელიგიური, მსოფლმხედველობითი, პოლიტიკური) მიმართ. ☐☐☐☐

40. თუ ყველაფერი კარგად არაა, მზად ვარ გავგიჟდე. ☐☐☐☐

41. ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რას ფიქრობენ ჩემზე ადამიანები. ☐☐☐☐

42. მე ყოველთვის ვასრულებ დანაპირებს, თუნდაც გამიჭირდეს მისი შესრულება. ☐☐☐☐

43. მე ვფიქრობ, რომ ჩემი მშობლები ყოველთვის იყვნენ სამართლიანები ერთმანეთის მიმართ. ☐☐☐☐

44. მე ღიად გამოვხატავ ჩემს აზრს, თუნდაც ეს ჩემთვის საზიანო იყოს. ☐☐☐☐

45. შემიძლია თავი დავახასიათო, როგორც შრომისმოყვარე და ქმედითი ადამიანი. ☐☐☐☐

46. ბავშვებს არ უნდა მისცე ზედმეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ☐☐☐☐

47. მე საკმარისი დრო მრჩება გართობისთვის (ჭამა, ცეკვა, თეატრი, კინო, დისკოთეკა). ☐☐☐☐

48. უმჯობესია ათი წუთით ადრე, ვიდრე ნახევარი წუთით გვიან. ☐☐☐☐

49. მამა ჩემთვის მაგალითი იყო. ☐☐☐☐

50. ნებისმიერი ღელვა ჩემში ელინდება დაძაბულობის და(ან) ფიზიკური დარღვევების სახით. ☐☐☐☐

51. სამსახურში ან სახლში სირთულეების დროს „გაერბიავარ" სხვა ადამიანებთან ურთიერთობისთვის, სულერთია ვისთან. ☐☐☐☐

52. როცა პრობლემები მაქვს, სამუშაოს ვუღრმავდები. ☐☐☐☐

53. ერთგულების ხასიათის საჭალდებულო თვისებად ვთვლი. ☐☐☐☐

54. ჩემი რწმენა ცხოვრებას გარკვეულ მიმართულებას აძლევს. ☐☐☐☐

55. ჩემი მშობლები (მამა/დედა) რელიგიურები არიან. ☐☐☐☐

56. თავს კარგად ვგრძნობ მხოლოდ სუფთა ბინაში. ☐☐☐☐

57. დაგვიანება მაცოფებს. ☐☐☐☐

58. მე ვფიქრობ სიცოცხლის არსზე, როცა პრობლემები მექმნება. ☐☐☐☐

59. პარტნიორულ ურთიერთობებს სინაზისა და სექსუალობის გარეშე, ყველაზე მნიშვნელოვანი აკლია. ☐☐☐☐

60. სამსახურში და ოჯახში უნდა იყოს დისციპლინა, სხვაგვარად არ გამოვა. ☐☐☐☐

61. ჩემი სიმპათია ადამიანის მიმართ არაა დამოკიდებული იმაზე, ხასიათის რა თვისებები გააჩნია მას. ☐☐☐☐

62. მე ხშირად ვიწვევ სტუმრებს ან ჩემთან ვინმე მოდის (მეგობრები, კოლეგები). ☐☐☐☐

63. მე გულღია ვარ უცნობი ადამიანისთვისაც. ☐☐☐☐

64. დედა დიდ დროს მითმობდა, როცა ბავშვი ვიყავი. ☐☐☐☐

65. მე ძალიან მგრძნობიარე ვარ უსამართლობის მიმართ. ☐☐☐☐

66. მე ეკონომიას ვეწევი, რადგან ვზრუნავ სიცოცხლის ბოლოზე. ☐☐☐☐

67. ვერ ვიტან უსუფთაობას გარეგნულად არც ჩემში და არც სხვებში. ☐☐☐☐

68. თუ ვინმეს რამე ვუთხარი, ეს ნიშნავს იმას, რომ შევასრულებ კიდეც. ☐☐☐☐

69. მე მაქვს გეგმები ჩემს პროფესიულ და(ან) პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით. ☐☐☐☐

70. ძალიან მიჭირს „არა"-ს თქმა. ☐☐☐☐

71. სამუშაოში ჩაფლობილი ძალიან ადვილად ვარიდებ თავს პრობლემებს. ☐☐☐☐

72. ბინა ყოველთვის უნდა ბრწყინავდეს სისუფთავით. ☐☐☐☐

73. ჩემი პროფესიული და(ან) ოჯახური ვალდებულებების მიუხედავად, საკმარისი დრო მაქვს საკუთარი ინტერესებისა და პობისთვის. ☐☐☐☐

74. მშობლების სახლი ყოველთვის ღია იყო სტუმრებისთვის. ☐☐☐☐

75. მამა ბავშვობაში დიდ დროს მითმობდა. ☐☐☐☐

76. მე მესმის ადამიანების მაშინაც კი, როცა ისინი სხვაგვარად იქცევიან, ვიდრე მოველოდი. ☐☐☐☐

77. მე ხშირად ვსარგებლობ წამლებით. ☐☐☐☐

78. მე ადვილად ვამყარებ კონტაქტებს ადამიანებთან. ☐☐☐☐

79. ჩემს მშობლებს აინტერესებდათ საკითხი ცხოვრების არსის შესახებ. ☐☐☐☐

80. ვერ წარმომიდგენია ცხოვრება სამუშაოს გარეშე. ☐☐☐☐

81. თავიდან ყოველთვის უნდა გაირკვეს ქცევის მოტივები, პირების მიუხედავად, ხოლო შემდეგ მოხდეს მსჯელობა მასზე. ☐☐☐☐

82. როცა მექმნება პროფესიული ან პირადი პრობლემები, საჭიროა ბევრი მეგობარი მყავდეს ირგვლივ, რათა გადავერთო. ☐☐☐☐

84. ვისურვებდი ინტიმურ სიახლოვეს პარტნიორთან, რომელიც მიყვარს. ☐☐☐☐

85. დედა ჩემთვის მაგალითი იყო ახალგაზრდობაში. ☐☐☐☐

86. იმის ნაცვლად, რომ ყველაფერი გულში მქონდეს, უმჯობესია ღიად გამოვხატო ჩემი აზრი. ☐☐☐☐

WIPPF სკალების აღწერა

ამ სკალებში წარმოდგენილი ყველა უნარი ან კონფლიქტებზე რეაგირების მექანიზმები წარმოადგენენ კონსტრუქციებს ანუ „მიღებულ ან გამოვლენილ თეისებებს, რომლებიც იმალება აღსაქმელი ტექსტური კითხვების უკან" (Lienert 1967. S. 261).

აქტუალური უნარები წარმოადგენენ პიპოთეზურ კონსტრუქტებს აბსტრაგირების საშუალო დონეზე... ამ გაგებით, ისინი აღნიშნავენ იმას, რომ ქცევა შედგება არა მხოლოდ ცალკეული ქცევების ერთობლიობისგან, არამედ განსაზღვრული კანონზომიერებებისგან, რომლებიც მათ მართავენ" (Peseschkianm 1977, S.99).

აქტუალური უნარები წარმოადგენენ „სოციალურ და საზოგადოებრივ ნორმებს, სოციალიზაციის ცვლადებს, როლურ სტაბილიზატორებს, ჯგუფურ ნიშნებს" (Peseschkian, 1977, S. 100).

ფსიქოლოგიურ და სამედიცინო ლიტერატურაში ვპოულობთ მითითებას ისეთ კონსტრუქციებზე, როგორციაა სისუფთავე, სიფაქიზე, პუნქტუალობა და სხვ. განსაკუთრებით ქცევის დარღვევისას, ფსიქოსომატური აშლილობების, ნეიროზების და ფსიქოზების დროს" (Peseschkian, 1977, S. 94): შეიძლება დავასახელოთ ისეთი სახელები, როგორიცაა ზ. ფროიდი, კ.გ. იუნგი, ე. ფრომი, ა. მიტჩერლიხი, ე.ხ. ერიქსონი.

სკალები 1-27 წარმოადგენს ბიპოლარულს. პასუხებს, რომლებიც ახასიათებენ მათ საფუძველში მყოფ კონსტრუქტებს, გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა: სრული თანხმობისას – დიახ, უარყოფისას – არა, ასევე არსებობს ორი შუალედური ვარიანტიც (ალბათ კი, ალბათ არა).

ყურადღება! ყველა პასუხი ქულებს შეესაბამება: დიახ – 4 ქულა, ალბათ კი – 3 ქულა, ალბათ არა – 2 ქულა, არა – 1 ქულა.

თითოეულ კონსტრუქტს მათ პოლუსებზე შეესაბამება სინონიმური არსებითი სახელები, ზედსართავები, ზმნები და გამოხატულება. სკალების ქვემოთ მოყვანილი აღწერა მოყვანილია Peseschkian, 1977 S. 54 (სკალები 1-19) და Peseschkian, 1982, S. 94 (სკალები 20-23) და S. 106 (სკალები 24-27) მიხედვით.

1. სისუფთავე. სისუფთავე, წესრიგის სიყვარული თითოეული ნიეთის თავის ადგილთან სრულ შესაბამისობაში ვლინდება, არც ერთი საგანი არ უშლის მეორეს, ნებისმიერი საჭირო ადგილასაა.

პოლუსები და მათი სინონიმები

10-12 ქულა – პედანტურობა, სტერილურობა, წესრიგი.

3-5 ქულა – უწესრიგობა, დაუდევრობა, ნივთების უწესრიგოდ მიყრა და მათი დაულაგებლობა.

მტკიცებები:

ფორმა ა:10, 48, 79.

ფორმა ბ: 3, 40, 72.

2. სიფაქიზე. სიფაქიზის ქვეშ იგულისხმება სხეულის, ტანსაცმლის, ყოველდღიური გამოყენების საგნების მოპყრობა, ოთახებისა და გარემოს სისუფთავე.

10-12 ქულა – მოწესრიგებული ბინა, მოვლილი, ირგვლივ სისუფთავე, თავიდან ფეხებამდე მოვლილი.

3-5 – დაუბანელი, ცუდი სუნი, უწესრიგობა.

მტკიცებები:

ფორმა ა: 16, 58, 81;

ფორმა ბ: 14, 56, 67.

3. პუნქტუალობა. პუნქტუალობის ქვეშ იგულისხმება დათქმული ან სავარაუდო დროს მკაცრი დაცვა.

10-12 ქულა – სიზუსტე წუთებამდე.

3-5 ქულა – არაპუნქტუალობა, დაგვიანება.

მტკიცება:

ფორმა ა: 35, 50, 83;

ფორმა ბ : 37, 48, 57.

4. თავაზიანობა – თავაზიანობა გაგებულია, როგორც აგრესია სოციუმზე.

10-12 ქულა – ძალიან მეგობრული, ფარისევლობა, გალანტურობა, კარგი მანერები, უარის თქმის შესაძლებლობა.

3-5 ქულა – უყურადღებობა, უტაქტობა, სიმკაცრე.

მტკიცებები:
ფორმა ა : 3, 21, 65;
ფორმა ბ : 13, 41, 70.

5. პატიოსნება – პირდაპირობა. ამის ქვეშ იგულისხმება საკუთარი აზრის ღიად გამოხატვა გარემოს შესაძლო გავლენებზე ყურადღების მიქცევის გარეშე.

10-12 ქულა – სიმართლისადმი ფანატიკური სწრაფვა, გულღიაობა, კეთილსინდისიერება, საკუთარი აზრის გამოხატვა ღიად, ამბობს, რასაც ფიქრობს.

3-5 ქულა – არაგულწრფელობა, ჩაკეტილობა, სიცრუე, თავს არიდებს განმარტებებს.

მტკიცებები:
ფორმა ა : 36, 52, 76;
ფორმა ბ : 8, 44, 85.

6. სიბეჯითე – ქმედითობა. ბეჯითობის ქვეშ იგულისხმება მზადყოფნა ხანგრძლივი დროის მანძილზე იმუშაოს დაძაბულად და მონდომებით გარკვეული მიზნის მისაღწევად.

10-12 ქულა – კარიერიზმი, წარმატებისკენ სწრაფვა, შრომობს ფუტკარივით, ცდა, თავგამოდება.

3-5 ქულა – სიზარმაცე, სამუშაოში ჩავარდნები, უქმად ყოფნა.

მტკიცებები:
ფორმა ა : 18, 31, 63
ფორმა ბ : 29, 45, 80.

7. ვალდებულება, სიზუსტე, სინდისიანობა. ვალდებულების თაობაზე ვსაუბრობთ მაშინ, როცა შეიძლება რაღაცაში დაეყრდნო ადამიანს, ის ჩვენს გარეშეც შეასრულებს დანაპირებს, სიზუსტის ქვეშ იგულისხმება ისეთი განწყობა ან ქცევა, რომელიც მიმართულია სამუშაოს უფრო უშეცდომო, ბრწყინვალე შესრულებაზე. სინდისიანობის შესახებ ვსაუბრობთ, როცა ნებისმიერი სამუშაო სრულდება სიზუსტის, კეთილსინდისიერების და კორექტულობის შინაგანი მოთხოვნების შესაბამისად.

10-12 ქულა – პრინციპულობა, სრულყოფილება, ანგარიშიანობა, საფუძვლიანობა.

3-5 ქულა – უზუსტობა, გულგრილობა, დაუდევრობა, დღეს ერთია, ხვალ მეორე.

მტკიცებები:
ფორმა ა :4, 17, 55;
ფორმა ბ : 6, 42, 68.

8. ყირათიანობა. ყირათიანობის ქვეშ იგულისხმება ეკონომიური დამოკიდებულება ფულთან და საგნებთან.

10-12 ქულა – მომჭირნეობა, თავს ყველაფერზე ეუბნება უარს, ითვლის ყოველ თეთრს.

3-5 ქულა – მფლანგველობა, ფულის ფანტვა.

მტკიცებები:
ფორმა ა : 14, 32, 68.
ფორმა ბ : 8, 25, 66.

9. მორჩილება. მორჩილების ქვეშ იგულისხმება თხოვნების, დავალებების, აეტორიტეტის ბრძანებების შესრულება (პასიური) და სხვებისგან ამგვარი ქცევის (აქტიური) მოთხოვნა.

10-12 ქულა – ბრმა მიბაძვა, მძიმე სიმკაცრე, ავტორიტეტის ერთგულება.

3-5 ქულა – დაუმორჩილებლობა, შეუპოვრობა, ბუნტი, ანტიავტორიტეტულობა.

მტკიცებები:
ფორმა ა : 5, 26, 75;
ფორმა ბ : 16, 46, 60.

10. სამართლიანობა. სამართლიანობის ქვეშ იგულისხმება ქცევა, რომლის დროსაც ხელმძღვანელობენ გონიერული შეხედულებები და არა პირადი მიჯაჭვულობითა და მიდრეკილებებით.

10-12 ქულა – სამართლიანობის წყურვილი, ზემგრძნობელობა, მკაცრი სამართლიანობა.

3-5 ქულა – უსამართლობა, უპირატესობის მინიჭება.

მტკიცებები:
ფორმა ა : 15, 38, 57;
ფორმა ბ : 27, 65, 81.

11. ერთგულება. ერთგულების ქვეშ იგულისხმება თაეისთავად ნაგულისხმევი ქეეცნობიერი და გაცნობიერებული ნორმებისა და კონცეფციების დაცვა., პირველადად – სექსუალურ, მეორადად – სხვა სფეროებში.

10-12 ქულა – რიგიდულობა, გამოუსწორებლობა, შეუპოვრობა, ურყეობა, განუყოფელი, სანამ სიკვდილი არ დაგეაშორებს.

3-5 ქულა – მერყეეი, არა ერთგული.

მტკიცებები:
ფორმა ა : 12, 23, 41;
ფორმა ბ : 7, 35, 53.

12. მოთმინება. მოთმინება ნიშნავს ლოდინს, სურვილების შესრულების გადადების უნარს, ასევე საკუთარ თავსა და სხვებში უნარების განვითარების მხარდაჭერა ეჭვისა და ლოდინის მიუხედავად.

10-12 ქულა – მოთმინება, დალოდების უნარი.

3-5 ქულა – მოუთმენლობა, აგრესიულობა, ვინმეზე ზეწოლის მოხდენა, არ სურს ლოდინი, გაკრიტიკება, შარიანობა.

მტკიცებები:
ფორმა ა : 8, 39, 85.
ფორმა ბ : 15, 23, 38.

13. დრო. დროის ქვეშ იგულისხმება საკუთარი თავისა და სხვისთვის საკმარისი დროის დათმობის უნარი, სხვებისთვის ყურადღების განაწილება და რაიმეს გაკეთების ნაბართვა საკუთარი თავისთვის.

10-12 ქულა – საკუთარი თავისთვის (სხვებისთვის) დროის დათმობა, დროის შეგრძნება, დროის მოწესრიგებული განაწილება.

3-5 ქულა – გადატვირთვა, სტრესი, დრო ფულია.

მტკიცებები:
ფორმა ა : 2, 30, 78;
ფორმა ბ : 21, 47, 73

14. კონტაქტები. კონტაქტების ქვეშ იგულისხმება საკუთარი თავის სხვებისთვის მიძღვნის უნარი, თუნდაც, თუ ისინი ავლენენ სხვა აქტუალურ უნარებს და ამიტომ არ იწვევდეს მოწონებას.

10-12 ქულა – ურთიერთობის ძიება, კავშირი, სიახლოვე, დამოკიდებულებები, მიჯაჭვულობა, ინტიმურობა.

3-5 ქულა – სიმორცხვე, მორიდებულობა, შებოჭილობა, არადამაჯერებლობა, დაძაბულობა.

მტკიცებები:
ფორმა ა : 19, 29, 61.
ფორმა ბ : 30, 62, 78.

15. ნდობა. ნდობის ქვეშ იგულისხმება მიიღოს საკუთარი თავი ან სხვა ადამიანები განუმეორებელი სახით ისე, როგორც არიან სინამდვილეში, ნდობა არის პოზიტიური განწყობა ქცევის გარკვეული ხერხების მიმართ, რომელთაც ფლობს ადამიანი ან მოსალოდნელია მისგან.

10-12 ქულა – მიმნდობი, გულუბრყვილო.

3-5 ქულა – უნდობლდობა, ეჭვიანობა, დაქვემდებარება, უნდობლობა საკუთარი თავის მიმართ, არასრულფასოვნების კომპლექსი.

მტკიცებები:
ფორმა ა : 22, 54, 70;
ფორმა ბ : 18, 28, 63.

16. იმედი. იმედი – განვითარებისთვის შემდგომი შესაძლებლობების აღიარების და ამგვარად, დღევანდელი დღის წარმატებების ფარდობითად გადაქცევის უნარი.

10-12 ქულა – ოპტიმიზმი, ვარდისფერი სათვალეები, ორიენტაცია მომავალზე.

3-5 ქულა – ეჭვი, იმედგაცრუება, უიმედობა, უაზრობა.

მტკიცებები:
ფორმა ა : 43, 64, 84;
ფორმა ბ : 10, 24, 69.

17. სექსუალობა – სინაზე. სექსუალობისა და სინაზის ქვეშ იგულისხმება დამოკიდებულება ფიზიკური კონტაქტისადმი, ეროგენული ზონების სტიმულაციისადმი.

10-12 ქულა – დამოკიდებული, იყებს და გასცემს ფიზიკურ კონტაქტებს.

3-5 ქულა – შეხების შიში, შებოჭილობა, სიცივე.

მტკიცებები:
ფორმა ა : 11, 40, 66;
ფორმა ბ : 17, 59, 83.

18. სიყვარული. სიყვარული გაგებულია, როგორც ემოციური დამოკიდებულება, რომელიც არაა დამოკიდებული სხვა ადამიანის ქცევის სახეზე ან თვისებებზე და მას იღებს, როგორც პიროვნებას. რიგ ობიექტებს ის უდგება სხვადასხვა გრადაციით (მაგალითად, შეუძლია მიიღოს პიროვნება იმის მიუხედავად, პუნქტუალურია ის თუ არა, მოწესრიგებულია თუ არა, თუ შესაძლებელია ამ გრძნობის უარყოფა). სიყვარული (მიღება) და უარყოფა (სიძულვილამდე) ამ კითხვარში შინაარსობრივად უკავშირდებიან სხვა ადამიანის მეორად (სკალები 1-11) და პირველად უნარებს (სკალები 12-17 და 19).

10-12 ქულა – მიმღები, პირადად დაინტერესებული, გამანებივრებელი.

3-5 ქულა – უარყოფა, სიცივე, გულგრილობა, დასჯა, იმედგაცრუება, პესიმიზმი, მომთხოვნელობა, სიძულვილი.

მტკიცებები:
ფორმა ა : 33, 51, 82;
ფორმა ბ : 31, 61, 76.

19. რწმენა, რელიგია. ეკლესია. პირველის ქვეშ იგულისხმება საკუთარ თავში, გარე სამყაროში და არამიწიერში (ღმერთი) შეუცნობელისადმი დამოკიდებულება, ასევე დაინტერესება ცხოვრების არსით. რელიგია წარმოადგენს წესებთან და რიტუალებთან დაკავშირებულ, რწმენის გამოხატვის ფორმას. ეკლესია წარმოადგენს ინსტიტუტს, რომელიც აერთიანებს ერთი რელიგიის მიმდევრებს.

10-12 ჭულა – რწმენა, კითხვები „საიდან" და „სად", ფანტიკურობა.

3-5 ჭულა – ურწმუნოება, მწამს იმის, რასაც ვხედავ, ყოფა, ინდიფერენტულობა, ტაბუ.

მტკიცებები:
ფორმა ა : 9, 56, 73;
ფორმა ბ : 22, 36, 54.

20. სხეულებრივი შეგრძნებები. პირველ პლანზე გამოდის სხეულის – მე-ს შეგრძნება. როგორ განიცდება სხვადასხვა შეგრძნება და ინფორმაცია და გარემომცველი სამყაროდან? რას უქადის თავის სხეულს ადამიანი და რას აკეთებს საკუთარი სხეულისთვის?

10-12 ჭულა – ფსიქოსომატური დარღვევები, არააქტიურობა, „გაქცევა" საკუთარ სხეულში.

3-5 ჭულა – აქტიურობა, სპორტით დაკავება, ლაშქრობები, მოღუნება და ა.შ.

მტკიცებები:
ფორმა ა : 6, 46, 71;
ფორმა ბ : 2, 50, 77.

21. ქმედითობა. საქმიანობის ნორმების გახანგრძლივების სახე და ხერხი, როგორაა ისინი მოქცეული მე-კონცეფციაში, როგორ გაელენას ახდენს მათზე პრობლემები.

10-12 ჭულა – პრობლემის აქტიური საქმიანობით (მაგალითად, დალაგების, გაწმენდის, სწაელაში ჩაღრმაების) დავიწყების მცდელობა; ლოგიკური აზროვნების აქცენტირება, „გაქცევა" საქმეში.

3-5 ჭულა – ერთის მხრივ, მიღწევის მოთხოვნების თავიდან აცილება, მეორეს მხრივ – უარის თქმა საზოგადოებრივად მოთხოვნილ მიღწევებზე, „გაქცევა" უმოქმედობაში.

მტკიცებები:
ფორმა ა : 25, 47, 77;
ფორმა ბ : 12, 52, 71

22. კონტაქტები. ურთიერთობის დამყარების და შენარჩუნების უნარი პრობლემების წარმოქმნისას.

10-12 ჭულა – ქცევის ხერხები, რომელთა მეშვეობითაც პრობლემები წყდება ურთიერთობაში „გაქცევით".

3-5 ჭულა – „გაქცევა" მარტოობაში.

მტკიცებები:
ფორმა ა: 44, 59. 68;
ფორმა ბ: 20, 51, 82.

23. ფანტაზიები – მომავალი, ინტუიციური განსჯა, შთაგონება, შემოქმედება, როგორც პრობლემების გადაწყვეტის საშუალება, ფანტაზიებში „გაქცევა".

10-12 ჭულა – პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა შემოქმედებითი მიდგომის მეშვეობით.

3-5 ჭულა – ნეგატიურ (პრობლემების მაპროდუცირებელ) აზრებში და თვითაღზრდის კონცეფციებში გადაშვება, როგორც პრობლემების გადაწყვეტის ხერხი.

მტკიცებები:
ფორმა ა: 24, 49, 74;
ფორმა ბ: 5, 33, 58.

24-27. სკალებში 24-27 მოცემულია კითხვები პაციენტის ბავშვობასა და სიყმაწვილეში ახლობლებთან და ნათესავებთან მიმართებაში და როგორ აღიქვამს ის მათ დღეს.

24. მე. დამოკიდებულება მშობლებთან (აღმზრდელებთან), ძმებთან და დებთან.

10-12 ჭულა – პაციენტის დღევანდელ აღქმაში უფრო პოზიტიური, თბილი ურთიერთობებია, შესაძლოა, პიპერმზრუნველობაც.

3-5 ჭულა – უფრო გულციობა, უარყოფა, ინდიფერენტულობა.

მტკიცება:
ფორმა ა: 24ა (დედა) 7, 37, 67;
ფორმა ბ: 24ა (დედა) 34, 64, 84;
ფორმა ბ: 24ა (მამა) 20, 60, 72;
ფორმა ბ: 24ბ (მამა) 19, 49, 75.

25. შენ. დამოკიდებულება მშობლებს შორის.

10-12 ჭულა – უფრო პოზიტიური, ყურადღებიანი, პრობლემების დამძლევი.

3-5 ჭულა – უფრო ნეგატიური, ცივი, სკანდალთან მიახლოებული, ზოგჯერ განიცდებოდა, როგორც ფარული პრობლემები.

მტკიცებები:
ფორმა ა: 27, 45, 80;
ფორმა ბ: 11, 32, 43.

26. ჩვენ. მშობლების გარესამყაროსთან დამოკიდებულება.

10-12 ჭულა – უფრო ღია, ყურადღებიანი, მომთმენი, გულისხმიერი, გულღიაობა.

3-5 ჭულა – უფრო ჩაკეტილობა, მოუთმენლობა, დაცვა, არა გულღიაობა.

მტკიცებები:
ფორმა ა: 28, 42, 62;
ფორმა ბ: 4, 39, 74.

27. პრა-ჩვენ. მშობლების დამოკიდებულება მსოფლმხედველობის, რელიგიის საკითხებთან, აზრები მომავალთან დაკავშირებით.

10-12 ქულა – უფრო ოპტიმისტური, საიმედო, მოტივირებადი, გარკვეულწილად ფანატიკურიც ზოგიერთ საკითხში.

3-5 ქულა – უფრო პესიმისტური, დაცვითი, განმდევნელი, ინდიფერენტული განწყობილება.

მტკიცებები:
ფორმა ა: 13, 34, 53;
ფორმა ბ: 26, 55, 79.
ბლანკი
სახელი/კოდი ----------

x _———— x პაციენტის 0 ——— 0 პარტნიორი

ფორმა აბ

ქულები	min	საშუალო										max
		3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
1. სისუფთავე	დაუდევრობა											პედანტურობა
2. სიფაქიზე	ფეთხუმი											სუფთა
3. პუნქტუალობა	არაპუნქტუალური											პუნქტუალური
4. თავაზიანობა	უკერემონიალობა											ზრდილობიანი
5. გულწრფელობა პატიოსნება	გულჩათხრობილი											გულწრფელი
6. გულმოდგინება ქმედითობა	ზარმაცი											ძალიან გულმოდგინე
7. სავალდებულოობა	არავალდებული											ვალდებული
8. ყაირათიანობა	მფლანგავი											ხუნწი
9. მორჩილება	მორჩილი											დამოუკიდებელი
10. სამართლიანობა	უსამართლობა											სამართლიანი
11. ერთგულება	არაერთგული											ერთგული
12. მოთმინება	მოუთმენელი											მომთმენი

13. დრო	მომსწრეები											ნელი
14. კონტაქტები	ჩაკეტილი											გულღია
15. ნდობა	ეჭვიანობა											მიმნდობი
16. იმედი	უიმედო											იმედიანი
17. სინაზე	უარმყოფელი											დამოუკიდებელი
18. სიყვარული	მომთხოვნი											გამანებივრებელი
19. რწმენა (რელიგია), არსი	გულგრილი											მორწმუნე
20. სხეული (შეგრძნება)	კანმრთელობა											ფსიქოსომატური დარღვევები
21. პროფესია (საქმიანობა)	დეზორგანიზაცია											სამუშაოში „გაქცევა“
22. კონტაქტები	ჩაკეტილობა											„გაქცევა“ ურთიერთობაში
23. ფანტაზია (მომავალი)	არარსებობა											ოცნებებში „გაქცევა“
24ა. მე – დედა	უარყოფა											მიღება
24ბ. მე – მამა	უარყოფა											მიღება
25. შენ	გაუცხოება											ერთიანობა
26. ჩვენ	ჩაკეტილობა											გულღიაობა
27. პრა-ჩვენ	გულგრილობა											ფანატიზმი

4 რეაქცია კონფლიქტებზე

	3-5	6-9	10–12
20. სხეულებრივი შეგრძნებები	–	0	+
21. საქმიანობა პროფესია	–	0	+
22. კონტაქტები	–	0	+
23. ფანტაზიები-მომავალი	–	0	+

20. სხეული-შეგრძნებები



4 მოდელი მიბაძვისთვის

24. მე: მშობლები – ბავშვები, ძმები – დები

	3-5	6-9	10–12
ა. დედა			
ბ. მამა	–	0	+

		დედა		მამა	
		დის	ძმა	დის	ძმა
მოთმინება	ფორმა ა	37 □□	□□	20 □□	□□
	ფორმა ბ	34 □□	□□	19 □□	□□
	ფორმა ა	67 □□	□□	72 □□	□□
	ფორმა ბ	64 □□	□□	75 □□	□□
	ფორმა ა	7 □□	□□	60 □□	□□
	ფორმა ბ	84 □□	□□	49 □□	□□

24. მე



მეთოდიკა „როლური მოლოდინები და მიზიდულობები ძორწინებაში“ (რმმ)

მეთოდიკა როლური მოლოდინები და მიზიდულობები საშუალებას იძლევა განისაზღვროს.

1. მეუღლეთა წარმოდგენები ოჯახურ ცხოვრებაში სექსუალური ურთიერთობების მნიშვნელობის, ცოლისა და ქმრის ერთიანობის, მშობელთა ვალდებულებების, თითოეული მეუღლის პროფესიული ინტერესების, მორალური და ემოციური მხარდაჭერის, პარტნიორთა გარეგნული მიმზიდველობის შესახებ. ეს მაჩვენებლები შეადგენენ **ოჯახური ღირებულებების სკალას (ოღს).**

2. მეუღლეთა წარმოდგენები ქმარსა და ცოლს შორის როლების სასურველი განაწილების შესახებ ოჯახური ფუნქციების რეალიზაციისას, რომელთაც აერთიანებს როლური მოლოდინებისა და მიზიდულობების სკალა (რმმს).

კვლევის ჩასატარებლად საჭიროა:

1) 36 ბარათისგან შემდგარი 2 ნაკრები. თითოეულ სტრიქონზე აღინიშნება ნომერი და შეხედულების ტექსტი;

2) 2 ნაკრები კლასიფიკატორის 4-4 ბარათით, რომლის ერთ მხარეზეც არის წარწერა „სრულიად ვეთანხმები“, „ზოგადად, ეს არასწორია“, „ეს მთლად ასე არაა“, „ეს არასწორია“.

მუშაობის წესი

მეუღლეები დამოუკიდებლად უნდა გაეცნონ მათი სქესის შესაბამის მტკიცებების ნაკრებს და შემდეგ წერილობით ინსტრუქციას.

ინსტრუქცია: შემოთავაზებულ ბარათებზე აღნიშნულია სხვადასხვა მტკიცება ოჯახის, ქორწინების, ქმრისა და ცოლის დამოკიდებულებების შესახებ. თქვენს წინაშე არის 4 ბარათი პასუხების ვარიანტებით: „სრულიად ვეთანხმები", „ზოგადად, ეს არასწორია",„ეს მთლად ასე არაა",„ეს არასწორია". ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მტკიცება და გაანაწილეთ თითოეული მათგანი პასუხების 4 ვარიანტის შესაბამისად. თუ სრულად ეთანხმებით მტკიცებას,მოათავსეთ ის ბარათის ქვეშ „სრულიად ვეთანხმები". თუ თვლით, რომ მტკიცება სწორია, მაგრამ მცირეოდენი შენიშვნებითა და დამატებებით, მოათავსეთ ის ბარათის ქვეშ, ზოგადად, ეს სწორია". თუ მტკიცება თქვენთვის მიუღებელია,მაგრამ მასში არის რაღაც, რასაც ეთანხმებით, მოათავსეთ ის ბარათის ქვეშ „ეს მთლად ასე არაა". თუ კატეგორიულად არ ეთანხმებით მტკიცებას,მოათავსეთ ის ბარათის ქვეშ „ეს არასწორია". ბარათების 4 ჯგუფზე განაწილებისას ეცადეთ გამოხატოთ თქვენი პირადი აზრი და არა ის, რაც მიღებულია თქვენს მეგობრებსა და ახლობლებს შორის. წინასწარ გიხდით მადლობას ფიქოლოგიურ გამოკვლევაში მონაწილეობისთვის.

მეუღლეების მიერ დავალების შესრულების შემდეგ კონსულტანტი აფიქსირებს ქმრისა და ცოლის პასუხებს საკონსულტაციო გამოკვლევის ოქმში: **მტკიცება, რომელიც განაკუთვნეთ ჯგუფს „სრულიად ვეთანხმები" ფასდება 3 ქულით, თუ განაკუთვნეთ ჯგუფს, „ზოგადად, ეს სწორია" – 2 ქულით, „ეს მთლად ასე არაა" – 1 ქულა და „ეს არასწორია" – 0 ქულა.**

აქვე კონსულტანტი ოქმში აჯამებს ქულებს ოჯახური ღირებულებების სკალის თითოეული მაჩვენებლის მიხედვით.

პირველი 2 მაჩვენებლის მიხედვით ეს შედეგები იქნება საბოლოო და გადატანილი ხდება ოქმის შემდეგ სვეტში.

დანარჩენი მაჩვენებლების ჯამური ქულები იანგარიშება, როგორც ქულების ჯამის ნახევარი ქვესკალებზე „მოლოდინი" და „მიზიდულობა".

ოქმი

გ. ს. მ. ----------

თარიღი ----------

ასაკი ----------

ოჯახური სტატი ----------

ბავშვების რაოდენობა ----------

ოჯახური ფასეულობების საკონსულტაციო კვლევა

ოჯახური ღირებულებების სკალა	ბარათის ნომერი	ქულები	ბარათის ნომერი	ქულები	საერთო მაჩვენებელი, ქულები
ინტიმურ-სექსუალური	1				
	2				
	2				
	Σ-				
პიროვნული იდენტიფიკაცია მეუღლესთან	4				
	5				
	6				
	Σ-				
სამეურნეო-საყოფაცხოვრებო	მოლოდინი				
	7		22		
	8		23		
	9		24		
	Σ-		Σ-		
მშობლების-აღმზრდელობითი	10		25		
	11		26		
	12		27		
	Σ-		Σ-		

ოჯახური ღირებულებების სკალა	ბარათის ნომერი	ქულები	ბარათის ნომერი	ქულები	საერთო მაჩვენებელი, ქულები
სოციალური აქტიურობა	13		28		
	14		29		
	15		30		
	Σ-		Σ-		
ემოციურ-ფსიქოთერაპიული	16		31		
	17		32		
	18		33		
	Σ-		Σ-		
გარეგნული მიმზიდველობა	19		34		
	20		35		
	21		36		
	Σ-		Σ-		

ოჯახური ღირებულებების სკალების ინტერპრეტაცია

1. ცოლ-ქმრობაში სექსუალური ურთიერთობების მნიშვნელობის სკალა.

მაღალი შეფასებები **(7-9 ქულა)** ნიშნავს, რომ მეუღლე სექსუალურ ჰარმონიას თვლის წყვილის ბედნიერების მნიშვნელოვან პირობად, მეუღლესთან დამოკიდებულება არსებითად დამოკიდებულია მისი, როგორც სექსუალური პარტნიორის შეფასებაზე. დაბალი შეფასებები (3 ქულაზე ნაკლები) განიმარტება, როგორც ქორწინებაში სექსუალური ურთიერთობების დაუფასებლობა.

2. სკალა, რომელიც ასახავს ქმრის (ცოლის) განწყობის პარტნიორთან პიროვნულ იდენტიფიკაციაზე: ინტერესთა, მოთხოვნილებათა, ფასეულობითი ორიენტაციების, დროის გატარების ხერხების ერთობლიობის მოლოდინი. დაბალი შეფასებები **(3 ქულაზე ნაკლები)** გულისხმობს პირად ავტონომიაზე განწყობას.

3. სკალა, რომელიც ზომავს მეუღლის განწყობას ოჯახის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საჭიროებების რეალიზაციაზე. ამ სკალას, როგორც შემდგომ სკალებს გააჩნია **2 ქვესკალა ქვესკალაში „როლური მოლოდინები“**. შეფასებები განიხილება, როგორც პარტნიორისგან საყოფაცხოვრებო საკითხების აქტიური შესრულების მოლოდინის ხარისხი. რაც უფრო მაღალია შეფასებები როლური მოლოდინების სკალაზე, მეტ მოთხოვნებს უყენებს ქმარი (ცოლი) მეუღლეს საყოფაცხოვრებო საკითხების ორგანიზებაში. ქვესკალა „როლური მიზიდულობები“ ასახავს განწყობას საოჯახო მეურნეობის მართვაში საკუთარ აქტიურ მონაწილეობაზე. სკალის ზოგადი შეფასება განიხილება, როგორც ქმრის (ცოლის) მიერ ოჯახის საყოფაცხოვრებო ორგანიზების მნიშვნელობის შეფასება.

4. სკალა, რომელიც ასახავს მეუღლის დამოკიდებულებას მშობლის ვალდებულებების მიმართ. ქვესკალა „როლური მოლოდინები“ გვიჩვენებს მეუღლის განწყობის გამოხატულებას ქორწინების პარტნიორის აქტიური მშობლის პოზიციაზე. ქვესკალა „როლური მიზიდულობები“ ასახავს ქმრის (ცოლის) ორიენტაციას საკუთარ ვალდებულებებზე ბავშვების აღზრდის თაობაზე. სკალის ზოგადი შეფასება განიხილება, როგორც მეუღლისთვის მშობლის ფუნქციების მნიშვნელობის მაჩვენებელი. რაც უფრო მაღალია სკალის შეფასება, მით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ქმარი (ცოლი) მამის (დედის) როლს, მით უფრო მეტად თვლის ის მშობლად ყოფნას ძირითად ფასეულობად.

5. სკალა, რომელიც ასახავს მეუღლის განწყობას გარე სოციალური აქტიურობის (პროფესიული, საზოგადოებრივი) მნიშვნელოვნობაზე ოჯახური ურთიერთობების სტაბილურობისთვის. ქვესკალა „როლური მოლოდინები“ ზომავს ქმრის (ცოლის) იმაზე ორიენტაციის ხარისხს, რომ ქორწინებაში პარტნიორს უნდა ჰქონდეს სერიოზული პროფესიული ინტერესები, თამაშობდეს აქტიურ საზოგადოებრივ როლს. სკალის ზოგადი შეფასება განიხილება, როგორც ქმრისთვის (ცოლისთვის) არაოჯახური ინტერესების მნიშვნელოვნობის მაჩვენებელი, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად ღირებულებებს

მეუღლეთა პიროვნებათშორისი ურთიერთქმედების პროცესში.

6. სკალა, რომელიც ასახავს მეუღლის განწყობას ქორწინების ემოციურ-ფსიქოთერაპიული ფუნქციის მნიშვნელოვნობაზე. ქვესკალა „როლური მოლოდინები“ ზომავს ქმრის (ცოლის) ორიენტაციას იმაზე,რომ პარტნიორი საკუთარ თავზე აიღებს ოჯახში ემოციური ლიდერის როლს ფსიქოლოგიური კლიმატის კორექციის,მორალური და ემოციური მხარდაჭერის აღმოჩენის საკითხებში.

ქვესკალა „როლური მიზიდულობები“ გვიჩვენებს ქმრის (ცოლის) სწრაფვას იყოს ოჯახის ფსიქოლოგი. სკალის ზოგადი შეფასება განიხილება,როგორც მეუღლისთვის ორმხრივი მორალური და ემოციური მხარდაჭერის მნიშვნელოვნობის მაჩვენებელი,ორიენტაცია ქორწინებაზე იმ გარემოს სახით,რომელიც ხელს უწყობს ფსიქოლოგიურ განტვირთვასა და სტაბილიზაციას.

7. სკალა, რომელიც ასახავს ქმრის (ცოლის) განწყობას გარეგნული სახის, თანამედროვე მოდის სტანდარტებთან მისი შესაბამისობის მნიშვნელოვნობაზე. ქვესკალა „როლური მოლოდინები“ ასახავს მეუღლის სურვილს ჰყავდეს გარეგნულად მიმზიდველი პარტნიორი.

ქვესკალა „როლური მიზიდულობები“ ასახავს განწყობას საკუთარ მიმზიდველობაზე,მოდურად და ლამაზად ჩაცმის სურვილს. სკალის ზოგადი შეფასება განიხილება,როგორც მეუღლის ორიენტაცია გარეგნული იერის თანამედროვე ნიმუშებზე.

შედეგების დამუშავება და ანალიზი

იგულისხმება 3 ეტაპი

1. ოჯახური ღირებულებების, ქმრის (ცოლის) როლური მოლოდინებისა და მიზიდულობების სკალის ინდივიდუალი მაჩვენებლების ანალიზი. ხორციელდება ქულების დაანგარიშების საფუძველზე საკონსულტაციო კვლევის ოქმში. ამის შედეგად კონსულტანტს გააჩნია მონაცემები, რომლებიც:

1) ახასიათებენ ქმრის (ცოლის) წარმოდგენებს ოჯახური ღირებულებების იერარქიის შესახებ. რაც უფრო მეტია ქულა, მით უფრო მნიშვნელოვანია მეუღლისთვის ოჯახის ცხოველქმედების მოცემული სფერო;

2) ასახავენ ქმრის (ცოლის) ორიენტაციას პარტნიორის აქტიურ როლურ ქცევაზე („როლური მოლოდინები“), საკუთარ აქტიურ როლზე ოჯახში ოჯახური ფუნქციების რეალიზაციის თაობაზე („როლური მიზიდულობები“).

2. ქმრისა და ცოლის როლური განწყობისა და ოჯახური ღირებულებების შესახებ წარმოდგენების შედარებითი ანალიზი. ამისათვის საჭიროა ცხრილის შედგენა,რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება მეუღლეთა ოჯახური ღირებულებების შეთანხმების ხარისხი. ოჯახური ფასეულობების შეთავსება ხასიათდება ქმრისა და ცოლის ოჯახური ღირებულებების სკალების მაჩვენებელთა ქულების სხვაობით. რაც უფრო ნაკლებია სხვაობა,მით მეტია მეუღლეთა წარმოდგენების შეთავსება ოჯახის ცხოველქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ.

მეუღლეთა ოჯახური ღირებულებების შეთავსება

ოჯახური ღირებულებები	ინტიმურ-სექსუალური	პიროვნული	სამეურნეო-საყოფაცხოვრებო	მშობლისეულ-ალმზრდელობითი	სოციალური აქტიურობა	ემოციურ ფსიქოთერაპიული	გარეგნული მიმზიდველობა
ქოლს							
ცოლს							
ოლშ							

შენიშვნა: ქოლს და ცოლს — შესაბამისად, ქმრისა და ცოლის ოჯახურ ღირებულებების სკალების მაჩვენებლებია, ოლშ-მეუღლეთა ოჯახური ღირებულებების შეთავსებადობა.

სხვაობა 3 ქულამდე არ გამოიწვევს პრობლემურ ურთიერთდამოკიდებულებებს, 3 ქულაზე მეტი კი, მოწმობს მეუღლეთა კონფლიქტურობის საკმაოდ მაღალ ხარისხს.

3. ცოლ-ქმრის წყვილის როლური ადექვატურობის ხარისხის განსაზღვრა ოჯახში პიროვნებათაშორისი ურთიერთქმედების 5 სფეროში (ოღს 3-7 მაჩვენებლები).

ამისათვის საჭიროა ცხრილის შედგენა, რომელშიც ქმრის როლური ადექვატურობა იქნება ქმრის როლური მოლოდინებისა და ცოლის როლური მიზიდულობების შეფასებათა ქულების სხვაობის ტოლი; მაშასადამე, ცოლის როლური ადექვატურობა იქნება ცოლის როლური მოლოდინებისა და ქმრის როლური მიზიდულობების შეფასებათა ქულების სხვაობის ტოლი (ცხრ. 2.). რაც უფრო ნაკლებია სხვაობა, მით მეტია მეუღლის როლური ადექვატურობა და მაშასადამე, ქმრის (ცოლის) ორიენტაცია გარკვეული ფუნქციის პირად შესრულებაზე შეესაბამება ქმრის (ცოლის) განწყობას ოჯახში პარტნიორის აქტიურ როლზე.

მეთოდიკის შედეგების მიხედვით ხდება საკონსულტაციო დასკვნის შედგენა და მოცემულია კონკრეტული კონსულტაციები წყვილისთვის. ქმრისა და ცოლის ოჯახური ღირებულებების შეთავსების ხარისხის განალიზებისას კონსულტანტი აქცენტს აკეთებს მეუღლეთა კონცენტრაციაზე იმ ოჯახურ ღირებულებებზე, რომლებიც ხასიათდებიან ყველაზე ნაკლები დამთხვევით, რამდენადაც უთანხმოება წარმოადგენს წყვილში როლური შეუსაბამობის ერთ-ერთ მიზეზს.

ცოლ-ქმრის წყვილის როლური ადექვატურობა

ოჯახური ღირებულებები	რ.გ.: ცოლის მიზ.-ქმრის მოლ.	ქმრის რა.: ცოლის მიზ.-ქმრის მოლ.	რ.გ.:ქმრის მიზ.– ცოლის მოლ.	ცოლის რა.: ქმრის მიზ.– ქმრის მოლ.
სამეურნეო-საყოფაცხოვრებო				
მშობლისმიერ-აღმზრდელობითი				
სოციალური აქტიურობა				
ემოციურ-ფსიქოთერაპიული				
გარეგნული მიმზიდველობა				
		∑ ქმრის რა.		∑ ცოლის რა.

შენიშვნა: რ.გ.–როლური განწყობა, რა.–როლური ადექვატურობა, მიზ.–მიზიდულობა, მოლ.–მოლოდინი

მეუღლეთა ოჯახური ღირებულებებისა და როლური განწყობის შესახებ წარმოდგენების ანალიზი (ახალგაზრდა მეუღლეების მაგალითზე).

მეუღლეთა ოჯახური ღირებულებების შეთავსებადობა

ოჯახური ღირებულებები	ინტიმურ-სექსუალური	პიროვნული	სამეურნეო-საყოფაცხოვრებო	მშობლისეულ-აღმზრდელობითი	სოციალური აქტიურობა	ემოციურ-ფსიქოთერაპიული	გარეგნული მიმზიდველობა
ქმ.ოჯ.ღირ. სკალა	4	9	5	6,5	5	6,5	6
ცოლ.ოჯ.ღირ. სკალა	3	9	6,5	8	8	6	7
ოჯახური ღირებულებების შეთავსება	1	0	1,5	1,5	3	0,5	1

ქმრისა და ცოლის ოჯახური ღირებულებების სკალის ინდივიდუალური მაჩვენებლები საშუალებას იძლევა გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: მოცემული წყვილისთვის დამახასიათებელია გარკვეული წარმოდგენების შეთავსებადობა ოჯახური ღირებულებების შესახებ. მნიშვნელოვან სფეროებზე მეუღლეთა განწყობაში არსებული განსხვავება არ აღემატება დასაშვებ ნორმას (სხვაობის დასაშვები ნორმა – არა უმეტეს 3 ქულა). ახალგაზრდა მეუღლეები ოჯახურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად თვლიან ინტერესების, მოთხოვნილებების, წარმოდგენების, ცხოვრებისეული მიზნების ერთიანობას. მათი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია მშობლის ეალდებულებები; ყურადღებიანი, მზრუნველი და თბილი ურთიერთდამოკიდებულებები; მიმზიდველი და მოდური გარეგნობა (საკუთარიც და პარტნიორის), პროფესიული ინტერესების რეალიზება; ოჯახის ყოფითი პრობლემების გადაწყვეტის მზადყოფნა.

ახალდაქორწინებულთა აზრით, ინტიმურ-სექსუალური ურთიერთობების სფერო ნაკლებად მნიშვნელოვანია ოჯახურ ცხოვრებაში. ეს დამახასიათებელია ახალგაზრდა მეუღლეებისთვის, რამდენადაც მეუღლების მიერ ინტიმური ურთიერთობების ფასეულობის გაგება ყალიბდება ოჯახური ცხოვრების პროცესში, ქმრისა და ცოლის ფსიქოსექსუალური შეთავსებადობის მიღწევის მიხედვით.

გააანალიზებს რა მეუღლეთა წარმოდგენების სპეციფიკას, კონსულტანტი უნდა გამოვიდეს იქიდან, რომ ქმრისა და ცოლის განწყობა ოჯახის ცხოველქმედების უმნიშვნელოვანეს სფეროებთან მიმართებაში შეიძლება იყოს იდეალური, მაგრამ არ შეესაბამებოდეს მეუღლეთა რეალურ როლურ ქცევას.

ცოლისა და ქმრის როლური ქცევის ადექვატურობა დამოკიდებულია მეუღლეთა როლური მიზიდულობებთან როლური მოლოდინების შესაბამისობაზე.

წყვილის როლური ადექვატურობა

ოჯახური ღირებულებები	როლური განწყობა		ცოლის როლური ადექვატურობა	როლური განწყობა		ცოლის როლური ადექვატურობა
	ცოლის მიზ.	ქმრის მოლ.	ცმიზ.–ქმოლ.	ცოლის მიზ.	ქმრის მოლ.	ცმიზ.–ქმოლ.
სამეურნეო-საყოფაცხოვრებო	6	7	1	3	7	4
მშობლისეულ - ალმზრდელობითი	8	8	0	5	8	3
სოციალური აქტიურობა	8	3	5	7	8	1
ემლციურ-ფსიქოთერაპიული	4	9	5	4	8	4
გარეგნული მიმზიდველობა	7	7	0	5	7	2
			∑ქმრა.=11			∑ცრა.=14

დასკვნა

1. ახალგაზრდა მეუღლეებისთვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ოჯახური ღირებულებების შესახებ წარმოდგენების გარკვეული შეთავსებადობა.

2. ქმარი და ცოლი ახდენს ახალგაზრდა წყვილისთვის ტიპიური მოლოდინებისა და მიზიდულობების დაუმთხვეველობის დემონსტრირებას: ცოლი ორიენტირებულია საკუთარი პროფესიული ინტერესების რეალიზაციაზე, ელოდება რა ქმრისგან ოჯახში ფუნქციების აქტიურ შესრულებას, მაშინ, როცა ქმარი ინარჩუნებს ტრადიციულ წარმოდგენას ოჯახურ ურთიერთქმედებაში ქალის როლის შესახებ.

3. მოცემული წყვილისთვის დამახასიათებელია მეუღლეთა იდეალური წარმოდგენების შეუსაბამობა ქმრისა და ცოლის როლურ განწყობასთან მათი რეალიზაციის თაობაზე.

ასე მაგალითად, ახალდაქორწინებულები გამოყოფენ რა მნიშვნელოვანწილად ინტერესების, მოთხოვნილებების, შეხედულებებისა და წარმოდგენების ერთიანობის უდიდეს მნიშვნელობას ერთობლივი ცხოვრებისთვის, ორიენტირებულნი არიან ოჯახში პიროვნებათშორისი ურთიერთქმედების ინდივიდუალურ სტილზე, რაც წარმოადგენს სერიოზულ კონფლიქტურ ფაქტორს.

დასკვნითი საუბრის წინ კონსულტანტმა უნდა გაარკვიოს მეუღლეებში, გამოკვლევის შედეგების მიღების შესახებ ინფორმაციის რა ფორმაა მათთვის მისაღები ცალ-ცალკე თუ ერთად შედეგების განხილვა. ოჯახური ფასეულობებისა და როლური ადექვატურობის შეთავსებადობის შესახებ მონაცემების თვალსაჩინოებისთვის კონსულტანტს შეუძლია მაჩვენებლები მეუღლეებს წარუდგინოს სურათ-დიაგრამებზე.

მეუღლეთა ფსიქოლოგიური ინფორმირების შემდეგ კონსულტანტმა საუბარი უნდა წარმართოს ისე, რომ ცოლმა და ქმარმა მათი წარმოდგენების მიხედვით მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილება ოჯახური ფუნქციების ოპტიმალური განაწილების აუცილებლობის შესახებ, როგორც ქმრის, ასევე ცოლის ინდივიდუალური მოთხოვნილებებისა და ინტერესების აუცილებელი გათვალისწინებით.

დანართი

მეთოდიკა „როლური მოლოდინები და მიზიდულობები ქორწინებაში“

ქალის ვარიანტის	მამაკაცის ვარიანტი
1. ადამიანის განწყობილება დამოკიდებულია მისი სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.	1. ადამიანის განწყობილება დამოკიდებულია სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.
2. ქორწინებაში ბედნიერება დამოკიდებულია მეუღლეთა სექსუალურ ჰარმონიაზე.	2. ქორწინებაში ბედნიერება დამოკიდებულია მეუღლეთა სექსუალურ ჰარმონიაზე.
3. სექსუალური ურთიერთობები მთავარია ქმრისა და ცოლის დამოკიდებულებებში	3. სექსუალური ურთიერთობები მთავარია ქმრისა და ცოლის დამოკიდებულებებში
4. ქორწინებაში მთავარია, რომ ცოლს და ქმარს ბევრი საერთო ინტერესი ჰქონდეთ.	4. ქორწინებაში მთავარია, რომ ცოლს და ქმარს ბევრი საერთო ინტერესი ჰქონდეთ.
5. ქმარი მეგობარია, რომელიც იზიარებს ჩემს ინტერესებს, აზრებს, გატაცებებს.	5. ცოლი მეგობარია, რომელიც იზიარებს ჩემს ინტერესებს, აზრებს, გატაცებებს.
6. ქმარი ეს, პირველ რიგში, მეგობარია, რომელსაც შეგიძლია ესაუბრო შენს საქმეებზე.	6. ცოლი ეს, პირველ რიგში მეგობარია, რომელსაც შეგიძლია ესაუბრო შენს საქმეებზე.
7. ქმრის ყველაზე მთავარი საზრუნავი ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა და ყოფითი კომფორტის შექმნაა.	7. ცოლის მთავარი საზრუნავია, რომ ოჯახში ყველა იყოს გამოკვებილი და მოვლილი.
8. ქმარმა საოჯახო მეურნეობას უნდა მიხედოს ცოლთან ერთად თანასწორად.	8. ქალი ბევრს კარგავს ჩემს თვალში, თუ ის ცუდი დიასახლისია.

ქალის ვარიანტის	მამაკაცის ვარიანტი
9. ქმარს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის მომსახურება და არ ელოდოს იმას,რომ ცოლი ყველაფერს საკუთარ თავზე აიღებს.	9. ქალს შეუძლია იამაყოს, თუ ის კარგი დიასახლისია.
10. ქმარმა ბავშვებს არანაკლებ უნდა დაუთმოს დრო, ვიდრე ცოლმა.	10. მე ვისურვებდი,რომ ცოლს უყვარდეს ბაშვები და იყოს კარგი დედა.
11. მინდა, რომ ქმარს უყვარდეს ბავშვები.	11. ქალი, რომელსაც დედობა ამძიმებს, არასრულფასოვანი ქალია.
12. კაცზე ემსჯელობ იმის მიხედვით, თუ როგორი კარგი ან ცუდი მამაა ის.	12. ქალში ჩემთვის მთავარია ის, რომ იყოს კარგი დედა.
13. მომწონს ენერგიული და საქმიანი კაცები.	13. მომწონს ენერგიული და საქმიანი ქალები.
14. ძალიან ვაფასებ თავისი საქმით სერიოზულად გატაცებულ კაცებს.	14. ძალიან ვაფასებ თავისი საქმით სერიოზულად გატაცებულ ქალებს.
15. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ აფასებენ სამსახურში ჩემი ქმრის საქმიან და პროფესიულ თვისებებს.	15. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ აფასებენ სამსახურში ჩემი ცოლის საქმიან და პროფესიულ თვისებებს.
16. ქმარს უნდა შეეძლოს ოჯახში თბილი, ნდობით აღსავსე გარემოს შექმნა.	16. ცოლმა,პირველ რიგში,უნდა შექმნას და შეინარჩუნოს ოჯახში თბილი, ნდობით აღსავსე გარემო.
17. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ქმარმა კარგად გამიგოს და მიმიღოს ისეთი, როგორიც ვარ.	17. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია,რომ ცოლმა კარგად გამიგოს და მიმიღოს ისეთი, როგორიც ვარ.
18. ქმარი ესაა, უპირველეს ყოვლისა, მეგობარი, რომელიც ყურადღებიანია და ზრუნავს ჩემს განცდებზე, განწყობილებაზე, მდგომარეობაზე.	18. ცოლი ესაა, უპირველეს ყოვლისა, მეგობარი, რომელიც ყურადღებიანია და ზრუნავს ჩემს განცდებზე, განწყობილებაზე, მდგომარეობაზე.
19. მომწონს, როცა ქმარს კარგად და მოდურად აცვია.	19. მომწონს, როცა ცოლს კარგად და მოდურად აცვია.
20. მომწონს წარმოსადეგი, ახოვანი მამაკაცები.	20. მომწონს ქალები, რომელთაც შეუძლიათ ლამაზად ჩაცმა.
21. მამაკაცი უნდა გამოიყურებოდეს ისე, რომ გესიამოვნოს შეხედვა.	21. ქალი ისე უნდა გამოიყურებოდეს, რომ ყურადღებას აქცევდნენ.
22. ქალის მთავარი საზრუნავია, რომ ოჯახში ყველა იყოს მოწესრიგებული.	22. მე ყოველთვის ვიცი რა ეყიდო ოჯახისთვის.
23. მე ყოველთვის ვიცი, რა უნდა ვიყიდო ოჯახისთვის.	23. მიყვარს საოჯახო საქმეები.
24. ვაგროვებ დიასახლისის სასარგებლო რჩევებს: როგორ მოვამზადოთ გემრიელი კერძები, დავაკონსერვოთ ხილი, ბოსტნეული.	24. არ შემიძლია ბინის რემონტის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება.
25. ბავშვის აღზრდაში მთავარი როლი ყოველთვის უჭირავს დედას.	25. ბავშვებს უყვართ ჩემთან თამაში, ურთიერთობა.

ქალის ვარიანტის	მამაკაცის ვარიანტი
26. არ მეშინია ბავშვის დაბალანსებასთან და აღზრდასთან დაკავშირებული სირთულეების.	26. მე ძალიან მიყვარს ბავშვები და შემიძლია მათი მოვლა.
27. მე მიყვარს ბავშვები და სიამოვნებით ვუვლი მათ.	27. მე აქტიურ მონაწილეობას მივიღებ ბავშვის აღზრდაში, თუნდაც გავშორდე ცოლს.
28. ვცდილობ მივაღწიო მიზანს, ადგილი ვიპოვო ცხოვრებაში.	28. ვცდილობ ჩემი ადგილი ვიპოვო ცხოვრებაში.
29. მინდა ჩემი საქმის კარგი სპეციალისტი გამოვიდე.	29. მინდა ჩემი საქმის კარგი სპეციალისტი გამოვიდე.
30. ვამაყობ, რომ მავალებენ რთულ და საპასუხისმგებლო სამუშაოს	30. ვამაყობ, რომ მავალებენ რთულ და საპასუხისმგებლო სამუშაოს
31. ახლობლები და მეგობრები ხშირად მომმართავენ რჩევისთვის, დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.	31. ახლობლები და მეგობრები ხშირად მომმართავენ რჩევისთვის, დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.
32. გარშემომყოფები ხშირად მანდობენ თავიანთ პრობლემებს.	32. გარშემომყოფები ხშირად მანდობენ თავიანთ პრობლემებს.
33. მე ყოველთვის გულწრფელად და თანაგრძნობით ვამშვიდებ და ვზრუნავ იმათზე, ვისაც ეს სჭირდება.	33. მე ყოველთვის გულწრფელად და თანაგრძნობით ვამშვიდებ და ვზრუნავ იმათზე, ვისაც ეს სჭირდება.
34. ჩემი განწყობილება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოვიყურები.	34. ჩემი განწყობილება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოვიყურები.
35. მე მიყვარს ლამაზი ტანსაცმელი, ვატარებ სამკაულებს, ვიყენებ კოსმეტიკას.	35. ვცდილობ ჩავიცვა ისეთი ტანსაცმელი, რომელიც მიხდება.
36. მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, თუ როგორ გამოვიყურები.	36. ყოველთვის ვარჩევ პიჯაკის შეკერილობას, პერანგის ფასონს, ჰალსტუხის ფერს.

თავი 12

მეთოდიკები პიროვნების ინტერესების და ტიპოლოგიური თავისებურებების გამოვლენისთვის

იუნგის კითხვარი

მოცემული მეთოდიკა შემოთავაზებულია კ. უნგის მიერ პიროვნების ტიპოლოგიური თავისებურებების გამოსავლენად.

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე არის 2 შესაძლო პასუხი, საჭიროა ერთის არჩევა, რომელიც უფრო მეტად შეგესატყვისებათ და ამ პასუხის აღმნიშვნელი ასოს აღნიშნვა.

1. რას ანიჭებთ უპირატესობას:
ა) ახლო მეგობრების მცირე წრეს;
ბ) დიდ, ამხანაგურ კომპანიას.
2. როგორი წიგნების კითხვა გირჩევნიათ:
ა) საინტერესო სიუჟეტით;
ბ) გმირების განცდების გამომჟღავნებით.
3. რას უფრო დაუშვებთ საუბრისას:
ა) დაგვიანებას;
ბ) შეცდომებს.
4. თუ ცუდ საქციელს ჩადიხართ, მაშინ:
ა) მწვაველად განიცდით;
ბ) არ გაქვთ მწვავე განცდები.
5. როგორ უახლოვდებით ადამიანებს:
ა) სწრაფად, ადვილად;
ბ) ნელა, ფრთხილად.
6. თავს ბუტიად თვლით:
ა) დიახ;
ბ) არა.
7. გიყვართ ხარხარი, გულით სიცილი:
ა) დიახ;
ბ) არა.
8. თავს თვლით:
ა) სიტყვაძუნწად;
ბ) ლაპარაკის მოყვარულად.
9. გულღია ხართ ჩაკეტილი:
ა) გულღია;
ბ) ჩაკეტილი.
10. გიყვართ საკუთარი განცდების ანალიზი:
ა) დიახ;
ბ) არა.
11. საზოგადოებაში ყოფნისას, უპირატესობას ანიჭებთ:
ა) საუბარს;
ბ) მოსმენას.
12. ხშირად ხართ საკუთარი თავით უკმაყოფილო:
ა) დიახ;
ბ) არა.
13. გიყვართ რაიმეს ორგანიზება:
ა) დიახ;
ბ) არა.
14. გსურთ გქონდეთ ინტიმური დღიური:
ა) დიახ;
ბ) არა.
15. სწრაფად გადადიხართ გადაწყვეტილებიდან შესრულებაზე:
ა) დიახ;
ბ) არა.
16. ადვილად იცვლება თქვენი განწყობილება:
ა) დიახ;
ბ) არა.

17. გიყვართ სხვების დარწმუნება, საკუთარი აზრის თავს მოხვევა:

ა) დიახ;

ბ) არა.

18. თქვენი მოძრაობები:

ა) სწრაფია;

ბ) ნელია.

19. ძლიერ ღელავთ შესაძლო უსიამოვნებებზე:

ა) ხშირად;

ბ) იშვიათად.

20. რთულ სიტუაციებში:

ა) იჩქარით მიმართოთ სხვებს დახმარებისთვის;

ბ) არ გიყვართ სხვისთვის მიმართვა

შედეგების დამუშავება

ექსტრავერსიის მაჩვენებლები: 1ბ, 2ა, 3ბ, 4ბ, 5ა, 6ბ, 7ა, 8ბ, 9ა, 10ბ, 11ა, 12ბ, 13ა, 14ბ, 15ა, 16ა, 17ა, 18ა, 19ბ, 20ა.

ქულები: 0-35 – ინტროვერსია; 36-65 – ამბოვერსია; 66-100 – ექსტრავერსია.

ექსტრავერტები ურთიერთობაში მარტივები არიან, მათ გააჩნიათ აგრესიულობის მაღალი დონე, ლიდერობის ტენდენცია, უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა, ადვილად ამყარებენ კონტაქტებს, იმპულსურები, კონტაქტურები, გულღია; ადამიანებზე მსჯელობენ გარეგნულად, შინაგან ბუნებაში ჩაწვდომის გარეშე; ქოლერიკები, სანგვინიკები.

ინტროვერტები მიმართულნი არიან საკუთარი განცდების სამყაროზე, ნაკლებად კონტაქტურები, სიტყვაძუნწები, ძნელად აბამენ ნაცნობობას, არ უყვართ გარისკვა, განიცდიან ძველი კავშირების გაწყვეტას, შფოთვისა და რიგიდულობის მაღალი დონე; ფლეგმატიკები, მელანქოლიკები.

თავი 24. ტესტები იმპულსურობისა და რიგიდულობის გაზომვაზე

ტესტი იმპულსურობის გაზომვაზე

იმპულსურობა – პიროვნების თვისება, მიზანსწრაფულობის საპირისპირო, რომელიც განსაზღვრავს არასაკმარის თვითკონტროლს საქმიანობაში, ცხოვრებისეული მიზნების გაურკვეველობა, ორიენტაციებისა და ინტერესების არამდგრადობა.

ამ მეთოდიკის თითოეულ კითხვას გააჩნია პასუხების 4 ქულიანი სკალა, რომელთაგან ცდის პირი ირჩევს მისთვის ყველაზე მისაღებ ერთ პასუხს. პასუხის ნომერი (1,2,3,4) ნიშნავს ქულას, რომლითაც ის ფასდება. ქულები ჯამდება და განიმარტება ისე, რომ რაც უფრო მეტია მათი ჯამი, მით მეტია იმპულსურობა.

კითხვარი

1. თუ რამეს ხელს ჰკიდებთ, ბოლომდე მიგყავთ ის?

1) ცალსახად, კი;
2) ალბათ, კი;
3) ალბათ, არა;
4) ცალსახად, არა.

2. ყოველთვის მშვიდად რეაგირებთ მკვეთრ ან წარუმატებელ შენიშვნებზე თქვენი მისამართით?

1) ცალსახად, კი;
2) ალბათ, კი;
3) ალბათ, არა;
4) ცალსახად, არა.

3. ყოველთვის ასრულებთ დანაპირებს?

1) ცალსახად, კი;
2) ალბათ, კი;
3) ალბათ, არა;
4) ცალსახად, არა.

4. ხშირად ამბობთ და მოქმედებთ წუთიერი განწყობილების გავლენით?

1) ძალიან ხშირად;
2) საკმაოდ ხშირად;
3) საკმაოდ იშვიათად;
4) თითქმის არასდროს.

5. კრიტიკულ, დაძაბულ სიტუაციებში, კარგად ფლობთ თავს?

1) ცალსახად, კი;
2) ალბათ, კი;
3) ალბათ, არა;
4) ცალსახად, არა.

6. ხშირად თვალსაჩინო ან საკმაოდ მკაფიო მიზეზების გამო გეცვლებათ განწყობილება?

1) ასეთი რამ ძალიან ხშირად ხდება;
2) ხდება დროდადრო;
3) ასეთი რამ იშვიათად ხდება;
4) ასეთი რამ საერთოდ არ ხდება.

7. შეეწვიეთ ბევრი რამის ნაჩქარევად შესრულებას, როცა დრო არ ითმენს?

1) ცალსახად, კი;
2) ალბათ, კი;
3) ალბათ, არა;
4) ცალსახად, არა.

8. თქვენს თავს შეგიძლიათ უწოდოთ მიზანსწრაფული ადამიანი?

1) დიახ, შემიძლია;
2) ალბათ, შემიძლია;
3) ალბათ, არ შემიძლია;
4) არა, არ შემიძლია.

9. სიტყვებსა და ქცევებში ეშხრობით ანდაზას: „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“?

1) დიახ, ყოველთვის;
2) ხშირად;
3) იშვიათად;
4) არა, თითქმის არასდროს.

10. ხაზგასმით გულგრილი ხართ იმათ მიმართ, ვინც უსამართლოდ ბუზღუნებს და გეხებათ თქვენ, მაგალითად ავტობუსში ან ტრამვაიში;

1) ასე ვრეაგირებ თითქმის ყოველთვის;
2) ასე საკმაოდ ხშირად ვრეაგირებ;
3) მე იშვიათად ვრეაგირებ ასე;
4) არასდროს არ ვიქცევი ასე.

11. ეჭვი გეპარებათ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში?

1) დიახ, ხშირად;
2) ზოგჯერ;
3) იშვიათად;
4) თითქმის არასდროს.

12. ადვილად გიტაცებთ ახალი საქმე, მაგრამ შეგიძლიათ სწრაფადვე გაცივდეთ?

1) ცალსახად, კი;
2) ალბათ, კი;
3) ალბათ, არა;
4) ცალსახად, არა.

13. შეგიძლიათ თავშეკავება, თუ რომელიმე უფროსობიდან დაუშსახურებლად გაძლევთ შენიშვნას?

1) ცალსახად, კი;
2) ალბათ, კი;
3) ალბათ, არა;
4) ცალსახად, არა.

14. გეჩვენებათ, რომ ჯერაც ვერ გიპოვიათ საკუთარი თავი?

1) გეთანხმებით, ეს ზუსტად ასეა;
2) ალბათ, ასეა;
3) ალბათ, არ დაგეთანხმებით ამაში;
4) ამას არ ვეთანხმები.

15. შეიძლება ახალი გარემოებების გავლენით შეიცვალოს რამდენიმეჯერ თქვენი აზრი საკუთარ თავზე?

1) ალბათ ასეა;
2) საკმაოდ შესაძლებელია;
3) ნაკლებად სავარაუდოა;
4) თითქმის შეუძლებელია.

16. ჩვეულებრივ ძნელია თქვენი წყობიდან გამოყვანა?

1) ცალსახად, კი;
2) ალბათ, კი;
3) ალბათ, არა;
4) ცალსახად, არა.

17. გიჩნდებათ ისეთი სურვილები, რომლებიც განუხორციელებელია სხვადასხვა გარემოების გამო?

1) ასეთი სურვილები ხშირად მაქვს;
2) ასეთი სურვილები დროდადრო მიჩნდება;
3) ასეთი სურვილები იშვიათად მიჩნდება;
4) განუხორციელებელი სურვილები არ მიჩნდება.

18. ვინმესთან მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული პრობლემების განხილვისას შეგინიშნავთ, რომ თქვენი საკუთარი შეხედულებები ჯერაც არ განისაზღვრება სრულად?

1) დიახ, ხშირად შემინიშნავს;
2) ზოგჯერ ვამჩნევ;
3) საკმაოდ ხშირად შემინიშნავს;
4) თითქმის არასდროს შემინიშნავს.

19. ხდება, რომ რაღაც საქმე ისე მოგბეზრდათ, რომ მის დასრულებამდე ახალს იწყებთ?

1) ხშირად ხდება ასე;
2) დიახ, ხდება ხოლმე;
3) იშვიათად ხდება ასე;
4) თითქმის არასდროს არ ხდება ასე.

20. თქვენ რამდენადმე გაუწონასწორებელი ადამიანი ხართ?

1) ცალსახად, კი;
2) ალბათ, კი;
3) ალბათ, არა;
4) ცალსახად, არა.

პასუხების კოდი:

1, 2, 3, – 4, 5, – 6, 7, 8, 9, 10, –11, –12, 13, –14, –15, –16, –17, –18, –19, –20.

„–“ ნიშანი კითხვის ნომერის წინ ნიშნავს, რომ ქულების დათვლა ამ კითხვაზე პასუხზე ხდება უკუწესით (მეოთხე პასუხი – 1 ქულა, მესამე პასუხი 2 ქულა და ა.შ.). გაითვალისწინეთ, რომ იმპულსურობის გარდა ამ მეთოდიკის მიხედვით, შეიძლება შეფასდეს კიდევ 2 თვისება: ურთიერთობაში თავდაჯერებულობა (კითხვები 2, 4, 5, 9,

12, 16, 20) და მიზანსწრაფულობა (კითხვები 1, 3, 8, 11, 14, 15, 18).

ტესტი რიგიდულობის გაზომვაზე

რიგიდულობა წარმოადგენს პიროვნების თვისებას, რომელიც ფსიქოლოგების მიერ ერთსულოვნადაა განკუთვნილი უმნიშვნელოვანესთან კატეგორიაში. ის წარმოადგენს ფსიქოლოგიურ სირთულეებს ადამიანის მიერ მოხაზული პროგრამის, პირობების ცვლილებაში, რაც ობიექტურად მოითხოვს მის გარდაქმნას.

რიგიდულობის განსაზღვრა არ წარმოადგენს სირთულეს. ამისათვის გამოიყენება ტესტი, რომელიც შედგება 50 მტკიცებისგან, რაც მოითხოვს ერთმნიშვნელოვან რეაქციებს („დიახ" ან „არა"). თითოეული პასუხი, რომელიც ემთხვევა გასაღებს, ფასდება 1 ქულით.

სავარჯიშოების შინაარსი

1. სასარგებლოა ისეთი წიგნების კითხვა, რომლებშიც არის ჩემი აზრების საპირისპირო აზრები.

2. მაღიზიანებს, როცა ძირითადი სამუშაოსგან მწყვეტენ (მაგალითად, მთხოვენ რჩევას).

3. დღესასწაულები ნათესავებთან ერთად უნდა აღნიშნო.

4. შემიძლია მეგობრულ ურთიერთებებში ვიყო ადამიანებთან, რომელთა ქცევებსაც არ ეიწონებ.

5. თამაშში უპირატესობას ვანიჭებ გამარჯვებას.

6. როცა სადმე ვაგვიანებ, სხვა რამეზე ფიქრი არ შემიძლია, გარდა სწრაფად დანიშნულ ადგილას მოხვედრისა.

7. მე სხვებზე უფრო მეტად მიძნელდება კონცენტრაცია.

8. მე დიდ დროს ვუთმობ იმას, რომ ყველა ნივთი თავის ადგილზე იდოს.

9. მე ძალიან დაძაბულად ემუშაობ.

10. უხამსი ხუმრობები იშვიათად იწვევს ჩემში სიცილს.

11. დარწმუნებული ვარ, რომ ზურგს უკან ჩემზე ლაპარაკობენ.

12. ჩემი კამთაში დაჯაბვნა ადვილია.

13. მირჩევნია ნაცნობი მარშრუტებით ვიარო.

14. მთელი ცხოვრება მკაცრად ვიცავ მოვალეობის გრძნობაზე დამყარებულ პრინციპებს.

15. დროდადრო თავში აზრები უფრო სწრაფად მომდის, ვიდრე მათ გამოთქმას ვახერხებ.

16. ხდება ხოლმე, რომ ვიღაცის ბრმა შეცდომა სიცილს მგვრის.

17. ხდება ხოლმე, რომ თაში ცუდი სიტყვები მომდის, ხშირად გინებაც და ეერანაირად ვერ ვიშორებ მათ.

18. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს არყოფნაში ჩემზე საუბრობენ.

19. მშვიდად გავდივარ სახლიდან, არ ვღელავ იმაზე, დაკეტილია თუ არა კარი, გამორთულია თუ არა შუქი, გაზი და ა.შ.

20. ნებისმიერ საქმეში ჩემთვის დაწყება ყველაზე ძნელია.

21. პრაქტიკულად ყოველთვის ვასრულებ დანაპირებს.

22. არ შეიძლება მკაცრად განვსაჯო ადამიანი, რომელიც არღვევს ფორმალურ წესებს.

23. ხშირად მიხდებოდა ჩემზე ნაკლებად მცოდნე ადამიანებისგან მიღებული დავალებების შესრულება.

24. მე ყოველთვის არ ვამბობ სიმართლეს.

25. მე მიძნელდება რომელიმე ამოცანაზე ან სამუშაოზე კონცენტრირება.

26. ვიღაც ჩემს წინააღმდეგაა განწყობილი.

27. მიყვარს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

28. ყოველთვის ეცდილობ არ გადავდო ხვალისთვის ის, რისი გაკეთებაც დღეს შეიძლება.

29. როცა მივდივარ ქუჩაში, ხშირად ვამჩნევ ცვლილებებს გარშემო – შეჭრილი ბუჩქები, ახალი სარეკლამო ფარები და ა.შ.

30. ზოგჯერ ისე ვდგავარ ჩემს აზრზე, რომ ადამიანები მოთმინებას კარგავენ.

31. ზოგჯერ ნაცნობები დამცინიან პედანტურობის გამო.

32. თუ მართალი არ ვარ, არ ვბრაზობ.

33. ჩვეულებრივ მაღელვებს ადამიანები, რომლებიც უფრო მეგობრულად მექცევიან, ვიდრე ამას მოველოდი.

34. მე მიჭირს დაწყებული სამუშაოსგან მოწყვეტა, თუნდაც მცირე ხნით.

35. როცა ეხედავ, რომ ვერ მიგებენ, ადვილად ვამბობ უარს რაიმეს დამტკიცების განზრახვაზე.

36. რთულ მომენტებში შემიძლია ვიზრუნო სხვებზე.

37. რთულ მომენტებში მიჩნდება ადგილის შეცვლის სურვილი და ბედნიერი ვარ, როცა ეხეტიალობ სადმე ან ვმოგზაურობ.

38. ჩემთვის ადვილი არაა გადავერთო ახალ საქმეზე, მაგრამ შემდგომ, სხვებზე უკეთ ვართმევ მას თავს.

39. მიყვარს იმის დეტალურად შესწავლა, რასაც ვაკეთებ.

40. დედა და მამა მაიძულებდნენ დამორჩილებას

მაშინაც, როცა ამას არაგონიერულად ვთვლიდი.

41. მე შემიძლია ვიყო მშვიდი და ოდნავ გულგრილიც, სხვისი უბედურების დანახვისას.

42. მე ადვილად გადავდივარ ერთი საქმიდან მეორეზე.

43. სადაო საკითხზე ყველა აზრიდან მხოლოდ ერთია სწორი.

44. მიყვარს ჩემი ჩვევებისა და უნარების ავტომატიზმამდე მიყვანა.

45. ჩემი გატაცება ახალი წამოწყებებით ადვილია.

46. მე ვცდილობ მივაღწიო ჩემსას გარემოებების მიუხედავად.

47. მონოტონური სამუშაოს შესრულებისას ვცვლი მოქმედების სახეს, თუნდაც, თუ ეს აუარესებს შედეგს.

48. ადამიანებს ზოგჯერ შურთ ჩემი მოთმინებისა და ამტანობის.

49. ქუჩაში, ტრანსპორტში ხშირად ვათვალიერებ ადამიანებს.

50. ადამიანები ჩემს წინააღმდეგ რომ არ იყვნენ განწყობილნი, ცხოვრებაში გაცილებით მეტს მივაღწევდი.

პასუხების კოდი

რიგიდულობა

„არა“

1, 4, 6, 8, 9, 11, 13, 14, 18, 20, 23, 26, 27, 30, 31, 33, 34. 38, 39, 40, 43, 44, 46, 48, 50.

„დიახ“

2, 3, 7, 12, 15, 19, 22, 25, 29, 35, 37, 42, 45, 47, 49.

სიცრუე

(შეგახსენებთ: ეს არაა სიცრუე, როგორც პიროვნული თვისება)

„დიახ“

21, 28, 32, 36;

„არა“

5, 10, 16, 17, 24, 41.

თავი 34

ტემპერამენტის სტრუქტურის კითხვარი

ვ. მ. რუსალოვის კითხვარი გათვალისწინებულია ტემპერამენტის ისეთი თვისებების დიაგნოსტიკისთვის, როგორიცაა ენერგიულობა, ტემპი, პლასტიკურობა და ემოციურობა.

ცდის პირის ინსტრუქცია: პასუხი უნდა გასცეთ 105 კითხვას. კითხვები მიმართულია თქვენი ჩვეული ქცევის ხერხის გამოვლენაზე. ეცადეთ, წარმოიდგინოთ ტიპიური სიტუაციები და გაეცით პირველი ბუნებრივი პასუხი, რაც თავში მოგივათ. უპასუხეთ სწრაფად და ზუსტად. გახსოვდეთ, არაა კარგი ან ცუდი პასუხები. თუ აირჩიეთ პასუხი „დიახ" აღნიშნეთ ჯვარი (ან ნიშანი) „დიახ" გრაფაში პასუხების ბლანკზე, კითხვის შესაბამისი ნომრის გვერდით. თუ აირჩიეთ პასუხი „არა", აღნიშნეთ ჯვარი (ნიშანი) შესაბამისად გრაფაში „არა".

კითხვარი

1. მოძრავი ადამიანი ხართ?

2. ყოველთვის მზად ხართ დაუფიქრებლად ჩაერთოთ საუბარში?

3. დიდ კომპანიას განმარტოება გირჩევნიათ?

4. განიცდით მოქმედების მუდმივ წყურვილს?

5. თქვენი მეტყველება ჩვეულებრივ ნელი და აუჩქარებელია?

6. გულჩვილი ადამიანი ხართ?

7. ხშირად არ გეძინებათ იმის გამო, რომ მეგობრებს ეჩხუბეთ?

8. თავისუფალ დროს ყოველთვის გსურთ რაიმეთი დაკავდეთ?

9. სხვა ადამიანებთან საუბრისას თქვენი მეტყველება წინ უსწრებს თქვენს აზრს?

10. გაღიზიანებთ თანამოსაუბრეს სწრაფი მეტყველება?

11. თავს უბედურ ადამიანად იგრძნობდით, თუ დიდი ხნის მანძილზე არ გექნებოდათ ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობა?

12. ოდესმე დაგიგეიანიათ შეხვედრაზე ან სამსახურში?

13. მოგწონთ სწრაფი სირბილი?

14. ძლიერ განიცდით უსიამოვნებებს თქვენს სამუშაოსთან დაკავშირებით?

15. ადვილად ასრულებთ სამუშაოს, რომელიც მოითხოვს ხანგრძლივ ყურადღებას და დიდ კონცენტრაციას?

16. გიძნელდებათ სწრაფად საუბარი?

17. ხშირად განიცდით შეფოთვას, რომ ვერ შეასრულეთ სამუშაო ისე, როგორც ძყო საჭირო?

18. ხშირად თქვენი აზრები ერთი საქმიდან მეორეზე გადადის საუბრის დროს?

19. მოგწონთ თამაშები, რომლებიც მოითხოვენ სისწრაფესა და სიმარდეს?

20. ადვილად შეგიძლიათ იპოვოთ ცნობილი ამოცანის გადაწყვეტის სხვა ვარიანტები?

21. განიცდით წუხილს, რომ არასწორად გაგიგეს საუბრის დროს?

22. სიამოვნებით ასრულებთ რთულ, საპასუხისმგებლო სამუშაოს?

23. ხდება ისე, რომ საუბრობთ საგნებზე, რომლებშიც არ ერკვევით?

24. ადვილად აღვიქვამთ სწრაფ მეტყველებას?

25. ადვილად ასრულებთ ერთდროულად რამოდენიმე სამუშაოს?

26. გაქვთ კონფლიქტები მეგობრებთან იმის გამო, რომ მათ უთხარით ისეთი რამ, რაზეც წინასწარ არ გიფიქრიათ?

27. უპირატესობას ანიჭებთ მარტივ საქმეებს, რომელიც თქვენგან არ მოითხოვს დიდ ენერგიას?

28. ადვილად ღიზიანდებით, როცა აღმოაჩენთ უმნიშვნელო ნაკლოვანებებს თქვენს სამუშაოში?

29. გიყვართ მჯდომარე სამუშაო?

30. ჩვეულებრივ გიადვილდებათ ურთიერთობა სხვადასხვა ადამიანთან?

31. ჩვეულებრივ უპირატესობას ანიჭებთ დაფიქრებას, აწონ-დაწონვას და მხოლოდ შემდეგ გამოხატვას?

32. ყველა თქვენი ჩვევა სასურველი, კარგია?

33. თქვენი ხელების მოძრაობა სწრაფია?

34. ჩვეულებრივ ჩუმად ხართ და არ შედიხართ კონტაქტში, როცა ნაკლებად ნაცნობი ადამიანების საზოგადოებაში ხართ?

35. ადვილად გადაერთვებით ამოცანის გადაწყვეტის ერთი ვარიანტიდან მეორეზე?

36. ზოგჯერ შეგიძლიათ თქვენს წარმოსახვაში გადაამეტოთ თქვენი ახლობელი ადამიანების ნეგატიური დამოკიდებულება?

37. თქვენ მოსაუბრე ადამიანი ხართ?

38. ჩვეულებრივ გიადვილდებათ იმ საქმის შესრულება, რომელიც წამიერ რეაქციებს მოითხოვს?

39. ჩვეულებრივ თავისუფლად, ბორძიკის გარეშე საუბრობთ?

40. გაწუხებთ შიში, რომ თავს ვერ გაართმევთ სამუშაოს?

41. ადვილად ბრაზდებით, როცა ახლობელი ადამიანები მიგითითებენ პირად ნაკლოვანებებზე?

42. განიცდით მიდრეკილებას დაძაბული, საპასუხისმგებლო საქმიანობის მიმართ?

43. თქვენს მოძრაობებს აუჩქარებლად და ნელად თვლით?

44. გაქვთ აზრები, რომელთა დამალვაც გსურთ სხვებისგან?

45. დიდი ფიქრის გარეშე შეგიძლიათ სხვა ადამიანს საჩოთირო კითხვა დაუსვათ?

46. სიამოვნებას განიჭებთ სწრაფი მოძრაობები?

47. ადვილად ახდენთ ახალი იდეების გენერირებას?

48. საპასუხისმგებლო საუბრის წინ გული გელევათ?

49. შეიძლება ითქვას, რომ სწრაფად ასრულებთ თქვენთვის დავალებულ საქმეს?

50. გიყვართ შეეჯიდოთ დიდ საქმეს დამოუკიდებლად?

51. საუბრისას მდიდარი მიმიკა გაქვთ?

52. თუ რამის შესრულების პირობა დადეთ, ყოველთვის ასრულებთ დანაპირებს იმის მიუხედავად, ხელსაყრელია ეს თუ არა თქვენთვის?

53. განიცდით წყენას იმის გამო, რომ გარემომცველი ადამიანები უფრო ცუდად გეპყრობიან, ვიდრე ეს უნდა იყოს?

54. ჩვეულებრივ გირჩევნიათ ერთდროულად მხოლოდ ერთი ოპერაცია შეასრულოთ?

55. გიყვართ თამაშები სწრაფ ტემპში?

56. თქვენს მეტყველებაში ბევრია ხანგრძლივი პაუზა?

57. ადვილად შეგაქვთ მხიარულება კომპანიაში?

58. ჩვეულებრივ გრძნობთ ძალების სიჭარბეს და გსურთ შეასრულოთ რაიმე ძნელი საქმე?

59. ჩვეულებრივ გიძნელდებათ ყურადღების გადატანა ერთი საქმიდან მეორეზე?

60. ხდება ისე, რომ განწყობა გიფუჭდებათ დაგეგმილი საქმის ჩაშლის გამო?

61. ხშირად ვერ იძირებთ იმის გამო, რომ პრობლემები გაქვთ სამუშაოსთან დაკავშირებით?

62. გიყვართ დიდ კომპანიაში ყოფნა?

63. ღელავთ მეგობრებთან ურთიერთობების გარკვევისას?

64. განიცდით ისეთი სამუშაოს მოთხოვნილებას, რომელიც თქვენგან მოითხოვს მთელი ძალების გაცემას?

65. ზოგჯერ გამოდიხართ წყობიდან, ბრაზდებით?

66. შეგიძლიათ ერთდროულად ბევრი ამოცანა შეასრულოთ?

67. თავი თავისუფლად გიჭირავთ დიდ კომპანიაში?

68. ხშირად გამოხატავთ თქვენს პირველ შთაბეჭდილებას დაფიქრების გარეშე?

69. გაწუხებთ დაურწმუნებლობის გრძნობა სამუშაოს შესრულების პროცესში?

70. ნელია თქვენი მოძრაობები, როცა რამეს აკეთებთ?

71. ადვილად გადაერთვებით ხოლმე ერთი სამუშაოდან მეორეზე?

72. სწრაფად კითხულობთ ხმამაღლა?

73. ზოგჯერ ლაყბობთ?

74. მეგობრების კომპანიაში ჩუმი ხართ?

75. გჭირდებათ ადამიანები, რომლებიც გაგამხნევებენ და დაგამშვიდებენ?

76. სიამოვნებით ასრულებთ ერთდროულად ბევრ განსხვავებულ დავალებას?

77. სიამოვნებით ასრულებთ სამუშაოს სწრაფ ტემპში?

78. თავისუფალ დროს ჩვეულებრივ გიწევთ გული ადამიანებთან ურთიერთობისკენ?

79. ხშირად გაწუხებთ უძილობა სამსახურში წარუმატებლობისას?

80. ხშირად გიოფლიანდებათ ხელები ჩხუბის დროს?

81. დიდხანს ემზადებით ფიქრში იმის წინ, სანამ აზრს გამოთქვამთ?

82. არის თქვენს ნაცნობებში ადამიანები, რომლებიც არ მოგწონთ?

83. ჩვეულებრივ უპირატესობას ანიჭებთ მარტივ სამუშაოს?

84. ადვილია თქვენი წყენინება საუბრისას წვრილმანების გამო?

85. ჩვეულებრივ პირველი იწყებთ საუბარს კომპანიაში?

86. გიწევთ გული ადამიანებისკენ?

87. თავიდან ფიქრობთ და მერე საუბრობთ?

88. ხშირად ღელავთ სამუშაოს გამო?

89. ყოველთვის გადაიხდით ტვირთის ატანაზე ტრანსპორტში, შემოწმების რომ არ გეშინოდეთ?

90. საღამოებსა და წვეულებებზე ჩვეულებრივ განმარტოებულად ხართ?

91. თქვენს წარმოსახვაში ამეტებთ ხოლმე სამუშაოსთან დაკავშირებულ წარუმატებლობებს.

92. მოგწონთ სწრაფად საუბარი?

93. ადვილად იკავებთ თავს მოულოდნელად გაჩენილი იდეის გამოთქმისგან?

94. უპირატესობას ნელა მუშაობას ანიჭებთ?

95. განიცდით მცირე წვრილმანებს სამსახურში?

96. უპირატესობას ნელ, მშვიდ საუბარს ანიჭებთ?

97. ხშირად ღელავთ სამუშაოში დაშვებული შეცდომების გამო?

98. შეგიძლიათ წარმატებით შეასრულოთ ხანგრძლივი შრომითი საქმიანობა?

99. დიდი დაფიქრების გარეშე შეგიძლიათ თხოვნით მიმართოთ სხვა ადამიანს?

100. ხშირად გაწუხებთ საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გრძნობა ადამიანებთან ურთიერთობისას?

101. ადვილია თქვენთვის დიდხანს საუბარი?

102. იღლებით, როცა დიდხანს საუბრობთ?

103. უპირატესობას ანიჭებთ მუშაობას განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე?

104. მოგწონთ მრავალფეროვანი სამუშაო, რომელიც მოითხოვს ყურადღების გადართვას?

105. გიყვართ საკუთარ თავთან დიდხანს მარტოდ დარჩენა?

თითოეული კითხვა განეკუთვნება 9 სკალიდან ერთ-ერთს:

1) საგნობრივი ერგიულობა;
2) სოციალური ერგიულობა;
3) პლასტიკურობა;
4) სოციალური პლასტიკურობა;
5) ტემპი ან სიჩქარე;
6) სოციალური ტემპი;
7) ემოციურობა;
8) სოციალური ემოციურობა;
9) საკონტროლო „ს“ (პასუხების სოციალური სასურველობის სკალა).

8 სკალა შეიცავს 12 კითხვას, მეცხრე სკალა – 9 კითხვას.

საგნობრივი ერგიულობა ახასიათებს ადამიანის მოთხოვნილების დონეს აითვისოს საგნობრივი სამყარო, საქმიანობის სურვილს, გონებრივი და ფიზიკური შრომისკენ სწრაფვას, ჩართულობის ხარისხს და შრომით საქმიანობას.

სოციალური ერგიულობა ასახავს სოციალური კონტაქტების მოთხოვნილების დონეს, მოწმობს საქმიანობის სოციალური ფორმების ათვისებაზე მიმართულობას, ლიდერობისკენ სწრაფვას, გულღიაობასა და სოციალურ საქმიანობაში ჩართულობას.

პლასტიკურობა ასახავს სიმსუბუქის ან სირთულის ხარისხს ერთი საგნიდან მეორეზე გადართვასთან დაკავშირებით, აზროვნების ერთი ხერხიდან საგნობრივ სამყაროსთან ურთიერთქმედების პროცესში მეორეზე გადასვლის სისწრაფეს, სწრაფვას საგნობრივი საქმიანობის ფორმების მრავალფეროვნებისკენ.

სოციალური პლასტიკურობა გვეხმარება გავიგოთ ურთიერთობის პროცესში ერთი ადამიანიდან მეორეზე ყურადღების გადატანის სიმარტივისა და სირთულის ხარისხი, მიდრეკილება მრავალგვარი

კომუნიკაციური პროგრამებისა და სოციალური კონტაქტის მზა ფორმების მიმართ.

ტემპი გვაცნობს ადამიანის სიჩქარის თავისებურებებს. ის მოწმობს ცალკეული ოპერაციების შესრულებას, მოტორულ-მამოძრავებელი აქტების სისწრაფეზე საგნობრივი საქმიანობის შესრულებისას.

სოციალური ტემპის მეშვეობით შეიძლება დადგინდეს ურთიერთობის პროცესში მეტყველებით-მამოძრავებელი აქტების სისწრაფის მახასიათებლები.

ემოციონალობის სკალა აფასებს ემოციურ მგრძნობელობას რეალური საგნობრივი მოქმედების შედეგების ჩაფიქრებულის, მოსალოდნელის, დაგეგმილის დაუმთხვეველობას, მგრძნობელობას წარუმატებლობებისადმი სამსახურში.

სოციალური ემოციურობა ასახავს მგრძნობელობას კომუნიკაციის სფეროში: მგრძნობელობას ურთიერთობაში წარუმატებლობების,გარემომცველი ადამიანების შეფასებათა მიმართ.

სკალა „ს" – პასუხების გულწრფელობის მაჩვენებელი – ავლენს საკუთარ თავზე ინფორმაციის დამახინჯების ხარისხს. რაც მეტია „ს" მაჩვენებელი, მით ნაკლებია გულწრფელობა ქულებში და პირიქით, რაც ნაკლებია ის,მით მეტია პასუხების სანდოობა. ითვლება,რომ პასუხები გულწრფელია, თუ „ს" არ აღემატება 5 ქულას. საკონტროლო სკალაზე მაღალი (7 და მეტი) ქულების მქონე ცდის პირების შედეგები განხილვას არ ექვემდებარება.

კითხვარის მონაცემთა დამუშავება.

დამუშავება ხდება ცდის პირის პასუხების გასაღებთან შედარების გზით. თითოეული დამთხვევა ფასდება 1 ქულით. ჯამდება ქულების რაოდენობა თითოეულ სკალაზე. ტემპერატურის თითოეული საკვლევი თვისების დონე ცალ-ცალკე ფასდება. 3 ქულაზე ნაკლები მაჩვენებლი მოწმობს დაბალ დონეზე, 4-8 საშუალოზე, ხოლო 9-12 – მაღალ დონეზე.

გასაღები

1. სკალა საგნობრივი ერგიულობა.

პასუხი „დიახ" – კითხვები 4, 8. 15, 22, 42, 50, 64, 96.

პასუხი „არა" – 27, 83. 103.

2. სკალა სოციალური ერგიულობა

პასუხი „დიახ" – კითხვები 11, 30, 57, 62, 67, 78, 86.

პასუხი „არა" – 3, 34, 74, 90, 105.

3. სკალა პლასტიკურობა

პასუხი „დიახ" – კითხვები 20, 25, 35, 38, 47, 66, 71, 76, 101, 104.

პასუხი „არა" – 54, 59.

4. სკალა სოციალური პლასტიკურობა

პასუხი „დიახ" – კითხვები 2, 9, 18, 26, 45, 68, 85, 99.

პასუხი „არა" – 31, 81, 87, 93.

5. სკალა ტემპი ან სიჩქარე

პასუხი „დიახ" – კითხვები 1, 13, 19, 33, 46, 49, 55, 77.

პასუხი „არა" – 29, 43, 70, 94.

6. სკალა სოციალური ტემპი

პასუხი „დიახ" – კითხვები 24. 37, 39, 51, 72, 92.

პასუხი „არა" – 5, 10, 16, 56, 96, 102.

7. სკალა ემოციურობა

პასუხი „დიახ" – კითხვები 14, 17, 28, 40, 60, 61, 69, 79, 88, 91, 95, 97.

8. სკალა სოციალური ემოციურობა

პასუხი „დიახ" – კითხვები 6, 7, 21, 36, 41, 48, 53, 63, 75, 80, 84, 100.

9. სკალა „ს"

პასუხი „დიახ" – კითხვები 32, 52, 89.

პასუხი „არა" – 12, 23, 44, 65, 73, 82.

ამ ნაწილში შერჩეული იქნება სამოყვარულო ტესტები. ამის მიუხედავად, ისინი დაგეხმარებიან უკეთ გამოავლინოთ თქვენი პიროვნების მრავალი თავისებურება, რაც უეჭველად დაგეხმარებათ პროფესიის არჩევაში, კოლექტივში ურთიერთობების მოგვარებაში, სამსახურებრივ წინსვლაში.

ამასთან, ტესტირების შედეგებს ნუ აღვიქვამთ საკმაოდ სერიოზულად. ის უფრო განსჯის საგანს წარმოადგენს.

ტესტი შემწყნარებლობაზე

უგდებთ ყურს სხვის აზრს? ეკიდებით მას პატივისცემით, ხართ შემწყნარებელი? თქვენს წინაშეა ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ მიახლოებით განსაზღვროთ თქვენი შემწყნარებლობის ხარისხი. უპასუხეთ სწრაფად, დაფიქრების გარეშე.

1. თვლით, რომ საინტერესო იდეა გაგიჩნდათ, მაგრამ მას შხარი არ აუბეს. გეწყინებათ?

ა) დიახ;

ბ) არა.

2. თქვენ ხვდებით მეგობრებს და რომელილაცამ წამოიწყო თამაში. რას მიანიჭებ უპირატესობას?

ა) მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ იმათმა, რომლებიც კარგად თამაშობენ;

ბ) ითამაშონ იმათმაც, ვინც ჯერაც არ იცის წესები;

3. მშვიდად მიიღებთ თქვენთვის უსიამოვნო ახალ ამბავს?

ა) დიახ;

ბ) არა.

4. გაღიზიანებენ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში არაფხიზელ მდგომარეობაში ჩნდებიან?

ა) თუ ისინი არ სცილდებიან დასაშვებ ზღვარს, ეს სულაც არ მაღელვებს;

ბ) ყოველთვის მაღიზიანებენ ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ თავის გაკონტროლება.

5. შეგიძლიათ ადვილად დაამყაროთ კონტაქტი სხვა პროფესიის, მდგომარეობის, რეცეპის მქონე ადამიანებთან?

ა) ამის გაკეთება გამიძნელდებოდა;

ბ) ასეთ რამეებს ყურადღებას არ ვაქცევ.

6. როგორ რეაგირებთ ხუმრობაზე, რომლის ობიექტი თქვენ ხართ?

ა) არ მომწონს არც ხუმრობები, არც ხუმარა ადამიანები;

ბ) თუ ხუმრობა თუნდაც არ მესიამოვნება, შეეცდები იმავე მანერით გავცე პასუხი.

7. ეთანხმებით აზრს, რომ ბევრი ადამიანი თავის ადგილზე არაა, არ აკეთებს თავის საქმეს?

ა) დიახ;

ბ) არა.

8. კომპანიაში მიგყავთ მეგობარი, რომელიც ხდება საყოველთაო ყურადღების ობიექტი. როგორ რეაგირებთ ამაზე?

ა) ნამდვილად არ მსიამოვნებს, როცა ყურადღების ცენტრში სხვა ვინმეა;

ბ) მე მხოლოდ მიხარია მის გამო.

9. სტუმრად ხანდაზმულ ადამიანს ეხვდები, რომელიც აკრიტიკებს ახალგაზრდა თაობას, ადიდებს წარსულ დროებას. როგორ რეაგირებთ ამაზე?

ა) ადრე ტოვებთ იქაურობას კეთილშობილური მიზეზით;

ბ) შეეხიზართ მასთან კამათში.

ახლა დათვალეთ ქულები. 2 ქულა დაწერეთ პასუხებზე: 1ბ; 2ბ; 3ბ; 4ა; 5ბ; 6ბ; 7ბ; 8ბ; 9ა.

0-დან 4 ქულამდე. თქვენ ჯიუტი ადამიანი ხართ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცდილობთ ყველას მოახვიოთ საკუთარი აზრი. ხშირად უწევთ ხმას. თქვენი ხასიათით ძნელია ნორმალური ურთიერთობის დამყარება სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებთან.

6-დან 12 ქულამდე. შეგიძლიათ მტკიცედ დაიცვათ თქვენი შეხედულებები. თუმცა, შეგიძლია დიალოგის წარმოებაც, აზრის შეცვლაც, თუ ეს საჭიროა. ზოგჯერ გახასიათებთ ზედმეტი სიმკვახე, უპატივცემულობა თანამოსაუბრის მიმართ. ასეთ მომენტში ნამდვილად დაჯაბნით კამათისას უფრო სუსტი ხასიათის მქონე ადამიანს. ღირს კი კისერში ხელის წაჭერა მაშინ, როცა შეიძლება უფრო ღირსეულად გამარჯვებაც?

14-დან 18 ქულამდე. თქვენი შეხედულებების სიმტკიცე ბრწყინვალედ შეესაბამება თქვენი გონების მოქნილობას, შეგიძლიათ მიიღოთ ნებისმიერი იდეა, გაგებით მოეკიდოთ ერთი შეხედვით საკმაოდ პარადოქსულ ქცევას, თუნდაც მათ არ იწონებდეთ. საკმაოდ კრიტიკულად ეკიდებით თქვენს აზრს და შეგიძლიათ პატივისცემითა და ტაქტით თანამოსაუბრისადმი, უარი თქვათ ამ შეხედულებებზე, რომლებიც მცდარი აღმოჩნდა.

ტესტი დაკვირვებულობის გამოვლენაზე

დაკვირვებულ ადამიანს ბევრი რამის თქმა შეუძლია ადამიანებზე გარეგნული ნიშნების მიხედვით. გახსოვთ, როგორ ახერხებდა ამას შერლოკ ჰოლმსი? ვიმედოვნებთ, ეს ტესტი დაგეხმარებათ შეამოწმოთ, რამდენად დაკვირვებული ადამიანი ხართ.

1. შედისართ რომელიმე ორგანიზაციაში:

ა) ყურადღებას აქცევთ მაგიდებისა და სკამების განლაგებას;

ბ) ყურადღებას აქცევთ საგნების ზუსტ განლაგებას;

გ) ათვალიერებთ, რა კიდია კედლებზე.

2. ხედებით ადამიანს, თქვენ:

ა) უყურებთ მას მხოლოდ სახეში;

ბ) შეუმჩნეველად ათვალიერებთ მას თავიდან ფეხებამდე;

გ) ყურადღებას აქცევთ მხოლოდ სახის გარკვეულ ნაწილებს.

3. რა გამახსოვრდებათ დანახული პეიზაჟიდან?

ა) ყვავილები;

ბ) ცა;

გ) გრძნობა, რომელმაც მაშინ მოგიცვათ.

4. როცა დილით იღვიძებთ:

ა) უმალ იხსენებთ, რა უნდა გააკეთოთ;

ბ) იხსენებთ, რა გესიზმრათ;

გ) აანალიზებთ იმას, რაც გუშინ მოხდა.

5. როცა საზოგადოებრივ ტრანსპორტში შედისართ:

ა) მიდიხართ წინ, არ უყურებთ რა არავის;

ბ) ათვალიერებთ, ვინ დგას გვერდით;

გ) სიტყვას გადაუკრავ იმათ, ვინც ჩემთან ყველაზე ახლოსაა.

6. ქუჩაში:

ა) აკვირდებით ტრანსპორტს;

ბ) უყურებთ სახლების ფასადს;

გ) აკვირდებით გამვლელებს.

7. უყურებთ ვიტრინას:

ა) გაინტერესებთ მხოლოდ ის, რაც გამოგადგებათ;

ბ) ათვალიერებთ იმას, რაც ამჟამად არ გჭირდებათ;

გ) ყურადღებით აკვირდებით თითოეულ საგანს.

8. თუ სახლში რაიმეს პოვნა გინდათ, თქვენ:

ა) იმ ადგილას ახდენთ კონცენტრაციას, სადაც სავარაუდოდ დატოვეთ ეს საგანი;

ბ) ეძებთ ყველგან;

გ) სთხოვთ სხვებს დაგეხმარონ.

9. ხსნით რა თქვენი მეგობრების ძველ ჯგუფურ სურათს, თქვენ:

ა) ღელავთ;

ბ) ცდილობთ ამოიცნოთ ისინი, რომლებიც გადაღებულია.

10. წარმოიდგინეთ, რომ შემოგთავაზეს აზარტულ თამაშში მონაწილეობის მიღება, რომელიც არ იცით. თქვენ:

ა) ცდილობთ ისწავლოთ თამაში;

ბ) უარს ამბობს ამ წამოწყებაზე გარკვეული დროის შემდეგ;

გ) საერთოდ არ თამაშობთ.

11. პარკში ვიღაცას ელოდებით და:

ა) ყურადღებით აკვირდებით იმათ, ვინც თქვენს გვერდითაა;

ბ) კითხულობთ გაზეთს;

გ) ფიქრობთ რამეზე.

12. ვარსკვლავებიან ღამეს, თქვენ:

ა) ცდილობთ დაინახოთ თანავარსკვლავედი;

ბ) უბრალოდ ცას უყურებთ;

გ) საერთოდ არ უყურებთ მას.

13. წიგნის კითხვისას, თქვენ:

ა) ფანქრით აღნიშნავთ იმ ადგილს, სადამდეც მიხვედით;

ბ) ტოვებთ სანიშნეს;

გ) ენდობით თქვენს მეხსიერებას.

14. მეზობლების შესახებ გახსოვთ:

ა) მათი სახელები და მამის სახელები;

ბ) მათი გარეგნობა;

გ) არ გახსოვთ არც ერთი და არც მეორე.

ცხრილში შეამოწმეთ თქვენი შედეგები, შემდეგ კი, შეკრიბეთ ისინი.

კითხვა	1	2	3	4	5	6	7
ა	3	5	10	10	3	5	3
ბ	10	10	5	3	5	3	5
გ	5	3	3	5	10	10	10

კითხვა	8	9	10	11	12	13	14
ა	10	5	10	10	10	10	15
ბ	5	3	5	5	5	5	3
გ	3	10	3	3	3	3	5

150-დან 100 ქულამდე. უდავოდ დაკვირვებული ადამიანი ხართ. ამასთან, შეგიძლიათ გააანალიზოთ თქვენი თავიც და თქვენი ქცევებიც.

99-დან 74 ქულამდე. საკმაოდ განვითარებული გაქვთ დაკვირვების უნარი, მაგრამ შეფასებისას ზოგჯერ ხელს გიშლით წინასწარ შექმნილი ცუდი აზრი.

74-დან 45 ქულამდე. ძალიან არ გაინტერესებთ ის, რაც იმალება სხვების გარეგნობის, ქცევის მანერის უკან. თუმცა, ურთიერთობაში არ გაქვთ რაიმე სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემა.

45 ქულაზე ნაკლები. აბსოლუტურად არ გაინტერესებთ თქვენს გვერდით მყოფი ადამიანების ფარული აზრები. საკმაოდ დაკავებული ხართ, არ გაქვთ დრო გააანალიზოთ საკუთარი ქცევებიც კი, არა თუ სხვისი, არ გეწყინებათ, თუ ეგოისტად ჩაგთვლიან?

ტესტი „ადამიანებში გარკვევის უნარი“

თითოეულ ჩვენგანს უწევს სხვების შეფასება, ბუნებრივია, ადვილი არაა ამის ობიექტურად გაკეთების შესწავლა.

ვფიქრობთ, მოცემული ტესტი დაგეხმარებათ გაარკვიოთ, გაქვთ თუ არა შესაძლებლობები ფსიქოლოგიის დარგში, ადამიანების რეალურად შეფასების უნარი თუ ხშირად სცოდავთ ამასთან დაკავშირებით.

ნუ იფიქრებთ დიდხანს, აირჩიეთ ერთ-ერთი ვარიანტი, ჩაწერეთ ქულები და შეაჯამეთ.

კითხვები და გასაღები

1. თქვენი აზრით, ვინც ყოველთვის იცავს კარგი ტონის წესებს:

–თავაზიანი, სასიამოვნო ადამიანები არიან ურთიერთობაში – 2 ქულა;

– მკაცრად არიან აღზრდილები – 4 ქულა;

– უბრალოდ მალავენ თავიანთ ნამდვილ ხასიათს – 1 ქულა.

2. იცნობთ ცოლ-ქმარს, რომელიც არასდროს ჩხუბობს. თქვენის აზრით:

– ისინი ბედნიერები არიან – 2 ქულა;

– ერთმანეთისადმი გულგრილნი არიან – 1 ქულა;

– ერთმანეთს არ ენდობიან – 4 ქულა.

3. პირველად ხედავთ ადამიანს და ის მყისვე იწყებს ანეკდოტების მოყოლას, ხუმრობას, მიიჩნევთ, რომ ის:

– ხუმარაა – 1 ქულა;

– თაყვანისმცემლად მიიჩნევს და ამგვარად ცდილობს ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან გამოსვლას – 2 ქულა;

– სურს თქვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვოს – 4 ქულა.

4. ვიღაცასთან საინტერესო თემაზე საუბრობთ. თქვენი თანამოსაუბრე საუბრისას ტუსტიკულაციას იყენებს, თვლით, რომ ის:

– ღელავს – 4 ქულა;

– არაგულწრფელია – 1 ქულა.

5. გადაწყვიტეთ უკეთ გაიცნოთ რომელიმე თქვენი ნაცნობი,. თვლით, რომ საჭიროა:

–მისი მიწვევა რომელიმე წვეულებაზე – 1 ქულა;

– დააკვირდეთ მას საქმეში – 2 ქულა.

6. რესტორანში ვიღაცა დიდი ფულის ქირას იძლევა. დარწმუნებული ხართ, რომ:

– მას სურს შთაბეჭდილების მოხდენა – 4 ქულა;

– სურს კეთილად განაწყოს ოფიციანტი – 2 ქულა;

– ეს მისი გულუხვობიდან მოდის – 1 ქულა.

7. თუ ადამიანი არასდროს არ იწყებს პირველი საუბარს, თვლით, რომ:

— ის მორცხვობს ან საუბარი არ სურს — 2 ქულა;

— საკმაოდ მორცხვია — 4 ქულა;

— ეშინია ვერ გაუგონ — 1 ქულა.

8. თქვენი აზრით, ადამიანის დაბალი შუბლი ნიშნავს:

— სიყრუეს — 1 ქულა;

— სიჯიუტეს — 2 ქულა;

— არ შეგიძლიათ რაიმე კონკრეტული თქვათ ადამიანზე — 4 ქულა.

9. რას ფიქრობთ ადამიანზე, რომელიც სხვას თვალებში არ უყურებს:

— მას არ გააჩნია არასრულფასოვნების კომპლექსი — 1 ქულა;

— ის არაა გულწრფელი — 4 ქულა;

— ის არაა ძალიან გაფანტული — 2 ქულა.

10. დიდი შეძლების მქონე ადამიანი ყოველთვის ცდილობს იაფ საგნებს. ფიქრობ, რომ:

— ის მომჭირნეა — 4 ქულა;

— ის მორიდებულია — 2 ქულა;

— ის წუწურაქია — 1 ქულა.

დათვალეთ ქულები.

35 და მეტი ქულა. ძალიან გიადვილდებათ აზრის შექმნა ადამიანის შესახებ. საკმარისია შეხედოთ მხოლოდ ვინმეს და იცით, თუ ვინაა ის. გარდა ამისა, შეგიძლიათ ამცნოთ მას თქვენი აზრი, რადგანაც დარწმუნებული ხართ, რომ არ ცდებით. თუნდაც ასე იყოს ეს დაფიქრდით: გონივრულია უთხრათ ყველას, რასაც მათზე ფიქრობთ? ამით, რამე არ შეიცვლება, უფრო გაღიზიანებას გამოიწვევთ. გსურთ ყველას აჩვენოთ, რომ ვერავინ გაგაცურებთ? ეს არაა ძალიან გონივრული გამოსავალი.

26-დან 34 ქულამდე. შეგიძლიათ ობიექტურად შეაფასოთ სიტუაცია და გარშემომყოფები. მართლაც გაქვთ ადამიანების შეცნობის ალღო და თქვენთვის სირთულეს არ წარმოადგენს ადამიანის ხასიათის გამოცნობა. თქვენგან ბრწყინვალე ფსიქოლოგი დადგებოდა,. თქვენ არ ფიქრობთ, რომ ადამიანის შეფასება თქვენს მიერ არაა ერთადერთი მართებული. ეს ძალიან კარგი თვისებაა პედაგოგებისა და ხელმძღვანელებისთვის. თუ მიხვდებით, რომ შეცდით, არც გეშინიათ ამის აღიარების.

16-დან 25 ქულამდე.

როგორც წესი, დარწმუნებული ხართ საკუთარ აზრში, ადვილად იღებთ სხვების თვალსაზრისს. ამგვარად, თქვენი დაკვირვებულობა გადადის უკანა პლანზე და საბოლოოდ ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ საერთოდ ვერ შეძლებთ დამოუკიდებელი აზრის ფორმირებას. ეცადეთ, თქვენც ერთხელ თქვენებურად შეაფასოთ სხვა ადამიანი.

15 და ნაკლები ქულა. ხშირად მზად ხართ ნებისმიერს ენდოთ. საერთოდ მიმნდობი ხართ და ადამიანებზე მხოლოდ გარეგნული ნიშნებით მსჯელობთ. როცა აღმოჩნდება, რომ თქვენი აზრი მცდარი იყო, გიკვირთ და გწყინთ. შეცდომები მხოლოდ ერთი მიზეზით მოგდით — ადამიანების არასწორი შეფასების გამო.

ტესტი დამოუკიდებლობის ხარისხის განსაზღვრაზე

ეს ტესტი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად შეგიძლიათ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება. არსებობენ იმდენად გაუბედავი ადამიანები, რომ ისინი თავიანთ პრობლემებს სხვებს აბრალებენ. ეფიქრობთ, რომ თქვენ არ განეკუთვნებით მათ რიცხვს.

თითოეულ „ა“ პასუხზე დაიწერეთ 4 ქულა, „ბ“-ზე — 2, „გ“-ზე — 1.

1. სკოლის დამთავრებისას, როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება შემდგომი სამუშაოს, მომავალი პროფესიის შესახებ?

ა) გადაწყვიტე დამოუკიდებლად თქვენი მისწრაფებებისა და მონაცემების მიხედვით?

ბ) ვენდეთ მშობლების, ნათესავების აზრს;

გ) ანგარიში გაუწიე მხოლოდ ახლობელი ადამიანების რჩევას.

2. რისი იმედი გქონდათ, როცა არჩეულ სასწავლო დაწესებულებაში აპირებდით ჩაბარებას?

ა) მხოლოდ საკუთარი ძალების;

ბ) გამოცდების სასურველი დასასრულის;

გ) მხოლოდ კავშირების.

3. სწავლის დროს როგორ ემზადებოდით გამოცდებისთვის, სწავლისთვის?

ა) შრომისმოყვარეობის იმედი მქონდა;

ბ) ზოგჯერ ვთხოვდი პედაგოგებსა და თანაკლასელებს;

გ) მხოლოდ სხვისი დახმარების იმედი მქონდა.

4. როგორ მოეწყეთ სამსახურში?

ა) განაწილებით;

ბ) პირველ რიგში, გამოვიყენე ნაცნობების, მცოდნე ადამიანების გამოყენება;

გ) მოვეწყე კავშირების წყალობით.

5. სამსახურში რთული სიტუაციების დროს როგორ იღებთ გადაწყვეტილებას?

ა) მხოლოდ საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის იმედით;

ბ) ხანდახან კონსულტაციას ვთხოვ კოლეგებს;

გ) ყოველთვის ვიღებ რჩევას მათგან.

6. რითი ხარ ნაკარნახევი თქვენი არჩევანი დაქორწინების წინ?

ა) თავად მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება;

ბ) ენდეთ ახლობლების აზრს;

გ) პირველ რიგში, თქვენი რჩეული წარუდგინეთ ახლობლებს, ეთათბირეთ მათ.

7. თუ თქვენი ქმარი (ცოლი) მივლინებაშია, შეგიძლიათ აირჩიოთ საცხოვრებელი სახლი, აეკეკი, მიიღოთ სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება?

ა) დიახ;

ბ) რასაკვირველია, შემიძლია, მაგრამ უმჯობესია გადადოთ გადაწყვეტილების მიღება;

გ) არა.

8. რამდენად ჯიუტად იცავდით თქვენს აზრს მოზარდობის ასაკში?

ა) ყოველთვის ვიცავდი, ამის თაობაზე მშობლებთანაც კი მქონდა კონფლიქტები;

ბ) ვიცავდი, მაგრამ ვინარჩუნებდი პატივისცემას მშობლების აზრის მიმართაც?

გ) თავად არ შემეძლო რამის დაცვა.

9. ამჟამად, რამდენად ჯიუტად იცავთ თქვენს აზრს სამსახურში, სახლში, მეგობრებთან?

ა) რასაკვირველია ვიცავ გარემოებების მიუხედავად;

ბ) უმეტესად ვიცავ;

გ) იშვიათად.

10. როგორ ვითარდებით, როგორც პიროვნება სამსახურებრივ, საზოგადოებრივ, ინტელექტუალურ სფეროებში?

ა) სრულად ვიხარჯები ჩემს პროფესიაში?

ბ) ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეუღლის და ახლობლების აზრი;

გ) სრულად ვენდობი მათ აზრს.

11. თუ ხედავთ, რომ ქმარი (ცოლი) ან ახლობლები რაიმე საზიანოს აკეთებენ ჯანმრთელობისთვის:

ა) ვაიძულებ მას ან ახლობლებს აკონტროლონ თავი;

ბ) ტაქტიკურად ვეუბნები, რისი გაკეთებაა საჭირო;

გ) ეცდილობ მივანიშნო, მაგრამ ყოველთვის არ გამომდის.

შედეგების შეჯამება

30-დან 40 ქულამდე. ზედმეტად დამოუკიდებელი ხარ ყველა ურთიერთობაში. ვერ იტანთ არა მხოლოდ ჩარევას თქვენს საქმეებში, არამედ არ შეგიძლიათ სხვისი აზრის გათვალისწინება. დარწმუნებული ხართ, რომ ყოველთვის ზუსტად შეაფასებთ რაიმე გადაწყვეტილების პლიუსებსა და მინუსებს, ხომ არ ავლენთ ზედმეტ სიჯიუტეს რაიმე მიზნის მიღწევაში? გახსოვდეთ, რომ თავდაჭერილობა მხოლოდ ზომიერადაა კარგი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ნაკლოვანებად იქცევა.

15-დან 29 ქულამდე. ძლიერი ხასიათი გაქვთ, კარგად იტანთ სტრესს. საიმედო მეგობარი ხართ, თავდაჯერებული, დამოუკიდებელი, მაგრამ ყოველთვის უგდებთ ყურს გარშემომყოფთა აზრს, რის გამოც ისინი გაფასებენ.

0-დან 14 ქულამდე. ძალიან გაუბედავი ხართ, იმდენადაც კი, რომ ეს სულმოკლეობასთანაა ახლოს, შეიძლება ამიტომაც უგულებელყოფენ ხანდახან? რატომ არ ეცდებით მეტ დამოუკიდებლობას? შეიძლება ისე მოახერხოთ, რომ ეს გაუბედაობა სახეზე მაინც არ გეწეროთ? გახდით დამოუკიდებელი და მოიპოვებთ საკუთარი ძალების რწმენას, რაც ასე გაკლიათ.

ტესტი
დამწყები მეწარმისთვის

გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებს.

1. როგორ ვარაუდობთ გამდიდრებას ახლო ხანებში?

ა) კარიერის გაკეთებით, ხელმძღვანელ საფეხურზე ზემოთ ასვლით;

ბ) ფულის საქმეში ჩადებით, გარისკვით;

გ) ლატარეაში ბედის ცდით.

2. რომ გქონდეთ შესაძლებლობა გამოხვიდეთ მსახიობის როლში, ვის როლს ითამაშებდით ყველაზე უკეთ?

ა) ოსტაპ ბენდერის;

ბ) „ანა კარენინა“-დან ლევინის როლს;

გ) შტირლიცის როლს კინოფილმიდან „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“.

3. წარმოიდგინეთ, რომ მილიონი გამოიმუშავეთ. რას გააკეთებთ შემდგომ?

ა) ფულს ბანკში შევინახავ და პროცენტებს დაველოდები ანაბრებისგან;

ბ) გაერისკავ მომგებიან საქმეში დაბანდებას;

გ) ფულის ნაწილს ახალ საქმეში დავაბანდებ,

ნაწილს კი — სოლიდურ ბანკში საიმედოობისთვის.

4. თქვენი აზრით, რას მოგიტანთ ფული?

ა) ძალაუფლებას;

ბ) ცხოვრებაში სიამოვნებას;

გ) ბევრ ახალ საზრუნავს და შურს.

5. თუ გამდიდრდებით, გაქვთ სურვილი ამის შესახებ გაზეთებში დაწერონ?

ა) არა;

ბ) დიახ;

გ) ჩემზე ხანდახან ისედაც წერენ.

6. პროფესიების ამ სამი ჯგუფიდან რომელი შეგესაბამებათ ყველაზე მეტად?

ა) მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი;

ბ) ადვოკატი, ექიმი, პოლიტიკოსი;

გ) ფირმის, ინსტიტუტის ხელმძღვანელი, გამომცემლობის დირექტორი.

7. თქვენი ფირმის შექმნისას, სამუშაოზე მიიღებთ პირებს, რომლებიც ადრე თქვენი მეგობრები იყვნენ?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) ამ კითხვაზე საფუძვლიანად უნდა დავფიქრდე.

8. წარმოიდგინეთ, რომ მილიონი გამოიმუშავეთ. როგორ მოიქცევით?

ა) ჩემს ცხოვრებაში შეიცვლება მხოლოდ ბინა, მანქანა, აეროკი და სხვა გარემო;

ბ) თავს მეტი მოგზაურობის უფლებას მივცემ;

გ) კარდინალურად შევცვლი ცხოვრების წესს.

9. წარმოიდგინეთ, რომ ფირმის დირექტორი ხართ. რითი დაიწყებთ საქმიანობას?

ა) იმ ადამიანების შესწავლით, რომლებთანაც მომიწევს მუშაობა;

ბ) განსაზღვრავ ფირმის მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

გ) შევეცდები საიმედო დამხმარეების პოვნას.

10. რომელი შეხედულება მიგაჩნიათ უფრო მიმზიდველად, თუ დაწინაურდებით და ფირმის დირექტორი გახდებით?

ა) ჩემს მუშაობაში შემცირდა პროფესიულ-ტექნიკური ჩვევების მნიშვნელობა და გაიზარდა კონცეპტუალური ცოდნის როლი;

ბ) რაც უფრო მაღალია მართვის რანგი, მით უფრო მნიშვნელოვანია კომუნიკაციური უნარები და შესაძლებლობები პროფესიულ-ტექნიკურთან შედარებით;

გ) თანაბრად შეიცვალა მოთხოვნები პიროვნების ყველა თვისების მიმართ.

11. თქვენს ფირმაში ერთ-ერთ ბრიგადაში კონფლიქტური სიტუაციაა, როგორი იქნება თქვენი, როგორც ფირმის დირექტორის მოქმედებები?

ა) საჭიროა მოვისმინო ორივე მხარის აზრი და დავარწმუნო ისინი იპოვონ კომპრომისული გადაწყვეტილება;

ბ) საჭიროა ყველას აზრის მოსმენა, მაგრამ კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტა მივანდოთ ბრიგადას;

გ) გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მცირე კონფლიქტი არ გაღვივდეს, დიდ კონფლიქტში არ გადაიზარდოს.

12. რამდენად ძლიერ განიცდით დიდი ფულის ჭირნის მოთხოვნილებას?

ა) მუდმივად;

ბ) პერიოდულად;

გ) უფრო არა.

13. მილიონი რომ გქონდეთ და მოგეცეთ შესაძლებლობა დადოთ ახალი გარიგება, რომელს აირჩევდით? იმას, რომლის მოგებაც იქნება:

ა) მეოთხედი მილიონი;

ბ) ნახევარი მილიონი;

გ) მილიონი.

შემდეგ ცალკე ფურცელზე უნდა ჩაწეროთ კითხვების ნომრები და არჩეული პასუხის ვარიანტები. ამის შემდეგ შეგიძლიათ დათვალოთ ქულების ჯამი.

ქულები შემდეგნაირად ფასდება:

კითხვა	პასუხი
1	ა) 6; ბ) 3; ბ) 0.
2	ა) 3; ბ) 0; გ) 6.
3	ა) 0; ბ) 6; გ) 3.
4	ა) 6; ბ) 0; გ) 3.
5	ა) 0; ბ) 3; გ) 6.
6	ა) 0; ბ) 3; გ) 6.
7	ა) 0; ბ) 3; გ) 6.
8	ა) 6; ბ) 3; გ) 0.
9	ა) 3; ბ) 6; გ) 0.
10	ა) 6; ბ) 0; გ) 3.
11	ა) 3; ბ) 6; გ) 0.
12	ა) 6; ბ) 3; გ) 0.
13	ა) 0; ბ) 6; გ) 3

შემდეგ შეაჯამეთ ქულები და 9-ქულიანი სკალის მიხედვით განსაზღვრეთ თქვენი უნარების დონე კომერციულ საქმიანობაში რისკის მიმართ.

1, ძალიან დაბალი დონე (0-დან 11 ქულამდე).

2. დაბალი დონე (12-დან 19 ქულამდე).

3. საშუალოზე ძალიან დაბალი (20-დან 27 ქულამდე).

4. საშუალოზე ოდნავ დაბალი (28-დან 25 ქულამდე).

5. საშუალო (36-დან 43 ქულამდე).

6. საშუალოზე ოდნავ მაღალი (44-დან 51 ქულამდე).

7. საშუალოზე მაღალი (52-დან 59 ქულამდე).

8. მაღალი დონე (60-დან 67 ქულამდე).

9. ძალიან მაღალი დონე (68-დან 78 ქულამდე).

შედეგების ინტერპრეტაცია

თუ განსაზღვრეთ, რომ გაქვთ რისკის უნარი კომერციულ საქმიანობაში და ის **1-3 დონეების** ფარგლებშია თქვენთვის გამდიდრების საუკეთესო ხერხია მტკიცედ მუშაობა მენეჯერის, ხელმძღვანელის კარიერისთვის თავის არიდებით.

თუ ის მე-4-მე-6 დონეებზეა, თქვენ გაქვთ გამდიდრების შანსი, მაგრამ აუცილებლად უნდა განავითაროთ თქვენში კომერსანტის შესაძლებლობები.

თუ მე-7-მე-8 დონეებზე ხართ, თქვენ გაქვთ მენეჯერის პროფესიის დაუფლების შანსი.

თუ დააგროვეთ 68-დან 78 ქულამდე ანუ ხართ მე-9 დონეზე, რეალური შანსი გაქვთ გახდეთ მილიონერი, თუ უკვე არ ხართ!

ტესტი
თვითშეფასების დონის გამოვლენაზე

კითხვარი გასალებით

1. რამდენად ხშირად გაწუხებს აზრები, რომ არ უნდა გაგაკეთებინა ან გეთქვა რალაც?

ა) ძალიან ხშირად – 1 ქულა;

ბ) ხანდახან – 3 ქულა.

2. თუ ურთიერთობთ ბრწყინვალე და გონებამახვილ ადამიანთან, თქვენ:

ა) ეცდებით გონებამახვილობაში აჯობოთ – 5 ქულა;

ბ) არ ეპაექრებით, დაფასებთ სათანადოდ და თამაშიდან გახეალთ – 1 ქულა.

3. აირჩიეთ თქვენთვის ყველაზე ახლოს მყოფი აზრი:

ა) ის, რაც ბევრს გამართლებად ეჩვენება, სინამდვილეში დიდი შრომის შედეგია – 5 ქულა;

ბ) წარმატებები ხშირად დამოკიდებულია გარემოებების ბედნიერ დამთხვევაზე – 1 ქულა;

გ) რთულ სიტუაციაში მთავარია არა შეუპოვრობა ან გამართლება, არამედ ადამიანი, რომელიც შესძლებს მოწონებას ან ნუგეშისცემას – 3 ქულა.

4. გიჩვენეს თქვენზე პაროდია ან შარჟი. თქვენ:

ა) გაიცინებთ და გაგიხარდებათ ის, რომ თქვენში არის რაღაც ორიგინალური – 3 ქულა;

ბ) თქვენც ეცდებით რაღაც სასაცილოს პოვნას პარტნიორში და მის დაცინვას – 4 ქულა;

გ) გეწყინებათ, მაგრამ არ შეიმჩნევეთ – 1 ქულა.

5. თქვენ ყოველთვის გეჩქარებათ, არ გაქვთ დრო ან იღებთ სამუშაოს, რომლის შესრულებაც აღემატება ერთი ადამიანის შესაძლებლობებს?

ა) დიახ – 1 ქულა;

ბ) არა – 5 ქულა;

გ) არ ვიცი – 3 ქულა.

6. თქვენ სუნამოს არჩევთ მეგობარი გოგონასთვის. იყიდით:

ა) სუნამოს, რომელიც თქვენ მოგწონთ – 5 ქულა;

ბ) სუნამოს, რომელიც თქვენი აზრით, მოეწონება მეგობარს, მაგრამ პირადად არ მოგწონთ – 3 ქულა;

გ) სუნამოს, რომელსაც რეკლამას უკეთებდნენ ახლახანს ტელეგადაცემაში – 1 ქულა.

7. გიყვართ სხვადასხვა სიტუაციის წარმოდგენა, რომლებშიც სრულიად სხვაგვარად იქცევით, ვიდრე ცხოვრებაში?

ა) დიახ – 1 ქულა;

ბ) არა- 5 ქულა;

გ) არ ვიცი – 3 ქულა.

8. გეხამუშებათ, როცა თქვენი კოლეგები (განსაკუთრებით, ახალგაზრდები) თქვენზე მეტ წარმატებას აღწევენ?

ა) დიახ – 1 ქულა;

ბ) არა – 5 ქულა;

გ) არ ვიცი – 3 ქულა.

9. სიამოვნებას განიჭებთ ვინმესთვის წინააღმდეგობის გაწევა?

ა) დიახ – 5 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) არ ვიცი – 3 ქულა.

10. დახუჭეთ თვალები და ეცადეთ წარმოიდგინოთ სამი ფერი:

ა) ცისფერი – 1 ქულა;

ბ) ყვითელი – 3 ქულა;

გ) წითელი – 5 ქულა.

ქულების დათვლა

50-38 ქულა. თავდაჯერებული და საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი ხართ. გაქვთ სხვა ადამიანებზე დომინირების დიდი მოთხოვნილება. გიყვართ ხაზი გაუსვათ საკუთარ მე-ს, გამოყოთ თქვენი აზრი. არ გაინტერესებთ რას ამბობენ თქვენზე, მაგრამ თავად სხვებს აკრიტიკებთ. რაც უფრო მეტი ქულა გაქვთ, მით უფრო შეგესაბამებათ განსაზღვრა: „თქვენ გიყვართ საკუთარი თავი, მაგრამ არ გიყვართ სხვები".

თქვენ არ იღებთ არანაირ კრიტიკას. თუნდაც, თუ ტესტის შედეგები არ მოგეწონებათ, იტყვით, რომ ის შეცდა. სამწუხაროა...

37-42 ქულა. საკუთარ თავთან თანხმობაში ხართ, იცნობთ საკუთარ თავს და ენდობით. გაგაჩნიათ ღირებული უნარი გამოხვიდეთ რთული სიტუაციებიდან. თქვენი საკუთარი თავისა და სხვებისადმი დამოკიდებულების ფორმულა შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით: „კმაყოფილი ვარ ჩემი თავით და სხვებით". გაქვთ ჯანსაღი თვითშეფასება, შეგიძლიათ იყოთ თქვენთვისვე მხარდაჭერისა და ძალის მიმცემი.

23-10 ქულა. ცხადია, უკმაყოფილო ხართ საკუთარი თავით, გქენჯნით სინდისი და არ გაკმაყოფილებთ თქვენი ინტელექტი, შესაძლებლობები, მიღწევები, გარეგნობა, ასაკი, სქესი... შეჩერდით! ვინ თქვა, რომ ვისაც თავი უყვარს ცუდია? ვინ შთაგაგონათ, რომ მოაზროვნე ადამიანი მუდმივად უკმაყოფილო იყოთ თქვენი თავით? რასაკვირველია, არავინ არ მოითხოვს თქვენგან თვითკმაყოფილებას, მაგრამ პატივი უნდა სცეთ საკუთარ თავს და მიიღოთ ის.

ტესტი
რისკისადმი დამოკიდებულებაზე

ტესტი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ მათგანში ტესტირების ქვეშ მყოფმა პირმა **პასუხი უნდა გასცეს 14 კითხვას, პასუხების 4 კატეგორად დაყოფით: ხშირად, ზოგჯერ, იშვიათად და არასდროს.**

1. მიყვარს ისეთი სამუშაო, სადაც მუდამ მიწევს ახალი ვარიანტების გამოცდა.

2. მიყვარს თავის გამოჩენა იმ შემთხვევებშიც, როცა ეს არაა გამართლებული.

3. ვცდილობ თავი ავარიდო ისეთ სიტუაციებს, სადაც თავს სიმაღლეზე ვგრძნობ.

4. მიყვარს წესების დარღვევა და მოულოდნელი სახით მოქცევა.

5. ვზრუნავ შთაბეჭდილებაზე, რომელსაც სხვებზე ვახდენ და მაინტერესებს, თუ რას ფიქრობენ ისინი ჩემზე.

6. ყოველთვის სერიოზულად ვფიქრობ ჩემი ქმედებების შედეგებზე.

7. რაღაც სიახლის შეგრძნებისას, ყოველთვის ვნერვიულობ.

8. მიყვარს ახალ სიტუაციებში მოხვედრა, რომლებშიც შეიძლება ახალი შესაძლებლობების განცდა.

9. ვცდილობ თავიდან ავიცილო სიტუაციები და საქმეები, რომლებიც მაშფოთებს.

10. ვიწყებ რა ახალ საქმეს, ყოველთვის ველავ წარმატებაზე.

11. არ მრცხვენია ეესაუბრო უცნობებს.

12. არ მინდა, რომ გარშემომყოფებმა აღმიქვან, როგორც უცნარი ადამიანი.

13. ჩვეულებრივ ვღელავ, თუნდაც ვთქვა ან გავაკეთო რაღაც სხვაგვარად.

14. არ მიყვარს დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა.

მეორე ჯგუფი შედგება 18 კითხვისგან და თითოეულ კითხვაზე საჭიროა პასუხები „თანახმა ვარ" ან „არა ვარ თანახმა".

1. მე არ მიყვარს მოულოდნელი მოვლენები.

2. ვაგზალზე წასვლისას, ყველაზე გონივრული და უსაფრთხო ვადაზე 10-15 წთ-ით ადრე გავდივარ.

3. არ მიყვარს ხელი მოკიდო სამუშაოს, რომელშიც შეიძლება ბევრი გაუთვალისწინებელი სირთულე აღმოჩნდეს.

4. რისიც ყველაზე მეტად მეშინია, ეს წარუმატებლობაა.

5. მიყვარს მოქმედება ზეშთაგონებით, წარმატების იმედით.

6. ხშირად მიყვარს არატრადიციული შეხედულებების გამოხატვა და მოქცევა არატრადიციული სახით.

7. ცხოვრება ბრძოლაა და თუ გსურთ გადარჩენა, არასდროს დაკარგოთ სიფხიზლე.

8. დაბრკოლებებს აღვიქვამ უფრო, როგორც შესაძლებლობას გამოვცადო და გამოვაელინო თავი, ვიდრე საწყენ დაბრკოლებად.

9. ჩვენს რთულ დროში სიფრთხილე აუცილებელია, როგორც არასდროს.

10. ცხოვრება მოგზაურობაა, ნებისმიერ მოგზაურობას კი თავგადასავლები ახლავს.

11. მინდა, რომ ცხოვრება მშვიდად და გაუთვალისწინებელი შედეგებით მიდიოდეს.

12. მომწონს სხვადასხვა ამოცანასთან დაკავშირებული სამუშაო, სადაც შეიძლება შეხვდე მოულოდნელ რთულ პრობლემებს, ახალ ძერებს, გარკვეულ საშიშროებასაც კი.

13. თუ მუშაობის დროს ვინმეს არაკომპეტენტურად მოეჩვენები, ეს არ მაღელვებს.

14. ზოგჯერ ისეთ აზრს გამოვხატავ, რომელიც ყველას არ მოსწონს.

15. მსურს ვცადო პარაშუტიდან გადმოხტომა.

16. თუ შემომთავაზებენ შესანიშნავ ახალ სამუშაოს, რომლისთვისაც არ მყოფნის ცოდნა ან გამოცდილება, ყოველთვის ვცდილობ ვცადო მისი შესრულება.

17. უკან მოხედვისას ვხედავ, რომ ჩემი ცხოვრება სავსე იყო რისკითა და თავდაგადასავლებით.

18. არჩევანი რომ მქონდეს ცხოვრების სიმშვიდეში, სიამოვნებაში გატარებასა თუ ბევრი რამის განცდას შორის ბობოქარ ცხოვრებაში, მე მეორეს ავირჩევდი.

შედეგების დათვლა

პირველი ნაწილი

კითხვა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ხშირად	5	5	1	5	1	1	1	5	0	1	4	1	1	1
ზოგჯერ	3	4	2	4	2	2	2	4	2	2	3	2	2	2
იშვიათად	2	2	3	2	3	3	3	2	3	3	2	3	3	3
არასდროს	1	0	4	0	4	3	4	0	4	4	1	4	4	4

მეორე ნაწილი

კითხვა	1	2	3	4	5	6	7	8	9
თანახმა ვარ	1	2	2	0	4	4	1	5	1
არა ვარ თანახმა	4	4	4	1	0	4	0	4	4

კითხვა	10	11	12	13	14	15	16	17	18
თანახმა ვარ	4	1	5	5	5	5	4	4	4
არა ვარ თანახმა	1	4	0	1	0	1	1	0	0

ინტერპრეტაცია

109-137 ქულა. გიყვართ რისკი და უპირატესობას ანიჭებთ ისეთ სამუშაოს, ისეთ სიტუაციებს, რომელთაც ხალხის უმრავლესობა თავს არიდებს. გიყვართ ცვლილებები ცხოვრებაში, საშიში სპორტის სახეობები, სარისკო წამოწყებები. თქვენ თავიდან მოქმედებთ, შემდეგ კი — ფიქრობთ და გიწევთ წუხილი. მოწყენილი ხართ, როცა ცხოვრებაში არაა რისკი, საშიშროება, ცვლილებები. კოლეგებს ხშირად აგრესიულად ეჩვენებით, მათ თქვენი ეშინიათ.

63-108 ქულა. ცხოვრებასა და მუშაობაში ყველაფერი უჩვეულო გიყვართ. უპირატესობას ანიჭებთ სპორტის ენერგიულ სახეობებს. რისკი ახდენს თქვენს სტიმულირებას, გაძლევთ ძალას. მრავალი თქვენი წარმატება და მიღწევა ეფუძნება სარისკო გადაწყვეტილებებს. თუმცა, ზოგიერთ სიტუაციაში უპირატესობას ანიჭებთ სიმშვიდეს და სიმედროვეს. გაურკვეველ სიტუაციაში თავიდან იკლევთ მას, ხოლო შემდეგ იღებთ გადაწყვეტილებას,. შეგიძლიათ საშიში სიტუაციიდან ციეი გონებით გამოსავლის პოვნას. გადაწყვეტილებებს იღებთ დამოუკიდებლად და მზად ხართ პასუხისმგებლობა აიღოთ მათზე. იშვიათად უგდებთ ყურს სხვის რჩევებს.

22-62 ქულა. თქვენ მორიდებული, თავშეკავებული და ფრთხილი ადამიანი ხართ, უპირატესობას ანიჭებთ მშვიდ და წყნარ ცხოვრებას. გიყვართ მოულოდნელობების გარეშე მიმდინარე ცხოვრება. ფრთხილი ხართ, თავს არიდებთ რისკს, ახალ სიტუაციებს. ხშირად გეშინიათ წარუმატებლობის, პირების დაკარგვის, ახალი პრობლემის დროს, პირველ რიგში, ფიქრობთ კატასტროფულ შედეგებზე, რომლებიც დადგება, თუ მას არ გაუმკლავდებით. თქვენ ფიქრობთ: „ეს ჩემს ძალებს აღემატება". ამიტომაც, ხშირად თავს არიდებთ გადაწყვეტილებების მიღებას მწვავე სიტუაციებში. თქვენ ბევრს კარგავთ, რაც გაამდიდრებდა თქვენს ცხოვრებას და ხელს შეუწყობდა კარიერის შექმნას. ბევრ ძალას კარგავთ საკუთარ ძალებში ეჭვის შეტანაში. ზედმეტად აფასებთ სიტუაციის სირთულეს და საშიშროებას. უნდა ისწავლოთ იყოთ უფრო თავდაჯერებული, უფრო უდარდელი, უფრო მამაცი.

მხატვარი თუ მოაზროვნე?

მხატვრული თუ მოაზროვნე ტიპისადმი მიკუთვნებულობა შეიძლება გამოვლინდეს ზოგიერთი ბიოლოგიური ნიშნის მიხედვითაც. ჩავატაროთ მარტივი ექსპრეს-ანალიზი.

1. გადააჭდეთ ხელის თითები. ზემოთ აღმოჩნდა მარცხენა (მარც.) თუ მარჯვენა (მარჯ.) ხელის დიდი თითი? პასუხი ჩაიწერეთ.

2. ქაღალდის ფურცელზე მცირე ზომის ხელი გაავლეთ და მასზე ორიენ თვალით გახედეთ რაიმე საგანს, რიგრიგობით დახუჭეთ ხან ერთი, ხან მეორე თვალი. საგანი გადაადგილდება, თუ დახუჭავთ მარჯვენა ან მარცხენა თვალს?

3. დადექით ნაპოლეონის პოზაში, ხელები გულზე დაიკრიფეთ. რომელი ხელია ზემოთ?

4. ეცადეთ გამოხატოთ მხურვალე აპლოდისმენტები. რომელი ხელის გულია ზემოთ? ახლა ნახეთ, რა მიიღეთ.

მარჯ. მარჯ. მარჯ. მარჯ. — ასეთი მახასითებლის მფლობელი კონსერვატიულია, უპირატესობას ანიჭებს ქცევის საყოველთაოდ მიღებულ ფორმებს.

მარჯ. მარჯ. მარჯ. მარცხ — ტემპერამენტი სუსტია, სჭარბობს გაუბედაობა.

მარჯ. მარჯ. მარცხ. მარცხ. — ჰგავს წინამორბედ ტიპს, მაგრამ უფრო რბილია, კონტაქტურია, ნელა ეჩვევა ახალ გარემოს.. გვხვდება საკმაოდ იშვიათად.

მარჯ. მარცხ. მარჯ. მარჯ. — ანალიტიკური გონება, ძირითადი თვისებებია სირბილე, სიფრთხილე. თავს არიდებს კონფლიქტს, შემწყნარებელი და ანგარიშიანია, ურთიერთობებში უპირატესობას ანიჭებს დისტანციას.

მარჯ. მარცხ. მარჯ. მარცხ. — სუსტი ტიპი, გვხვდება მხოლოდ ქალებში. ახასიათებს სხვადასხვა გავლენის ქვეშ მოქცევა, დაუცველობა, ამასთან, შეუძლია კონფლიქტზე წასვლა.

მარჯ. მარცხ. მარცხ. მარჯ. — არტისტიზმი, არამუდმივობა, ახალი შთაბეჭდილებებისკენ მიდრეკილება. ურთიერთობაში მამაცია, შეუძლია კონფლიქტებისთვის თავის არიდება და გადართვა ქცევის ახალ ტიპზე. ქალებში ორჯერ უფრო ხშირია, ვიდრე კაცებში.

მარჯ. მარცხ. მარცხ. მარცხ. — ეს ტიპი, პირიქით, მამაკაცებისთვისაა დამახასიათებელი. გამოირჩევა დამოუკიდებლობით, არამუდმივობით, ანალიტიკური გონებით.

მარცხ. მარჯ. მარჯ. მარჯ. — ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპი. ის ემოციურია, ადვილად ამყარებს კონტაქტს პრაქტიკულად ყველასთან. თუმცა, არასაკმარისად შეუპოვარია, ექცევა გავლენის ქვეშ.

მარცხ. მარჯ. მარჯ. მარცხ. — ჰგავს წინამორბედ ტიპს, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებადაა შეუპოვარი, რბილი და გულუბრყვილოა. მოითხოვს მისადმი განსაკუთრებით ფრთხილ დამოკიდებულებას.

მარცხ. მარჯ. მარცხ. მარჯ. — ხასიათის ყველაზე ძლიერი ტიპი. შეუპოვარინ ენერგიული, რამდენადმე კონსერვატული იმის გამო, რომ ხშირად უგულებელყოფს სხვის აზრს.

მარცხ. მარჯ. მარცხ. მარცხ. — ძლიერი ხასიათი, მაგრამ არა აბეზარი. შინაგანი აგრესიულობა შენიღბულია გარეგნული სირბილით. შეუძლია სწრაფი ურთიერთქმედება, მაგრამ ამ დროს ჩამორჩება ურთიერთგაგება.

მარცხ. მარცხ. მარჯ. მარჯ. — სულმოკლეობა, სირბილე, ნდობა — აი, ხასიათის ძირითადი თვისებები. ძალიან იშვიათი ტიპი, მამაკაცებში პრაქტიკულად არ გვხვდება.

მარცხ. მარცხ. მარცხ. მარჯ. — ემოციურობა გაბედულებასთან ერთად იწვევს შედეგად დაუფიქრებელ ქცევებს. ენერგიულია.

მარცხ. მარცხ. მარცხ. მარცხ. — გააჩნია უნარიახლებურად შეხედოს საგნებს. მკაფიოდ გამოხატული ემოციურობა ერწყმის ინდივიდუალობას, სიჯიუტესა და გარკვეულ ჩაკეტილობას.

თუ სხვადასხვა ადამიანის ტესტირების შედეგები ერთმანეთს ემთხვევა, ეს მეტყველებს პიროვნებათა ფსიქოლოგიური შეთავსებადობის შესახებ, მაშინ, როცა სრული ანტიპოდები ძალიან იშვიათადაა შეთავსებადი.

როგორც ნახეთ, მარჯ. მარჯ. მარჯ. მარჯ. ახასიათებს მოაზროვნეებს. თუმცა, რამდენადაც სუფთა სახით ეს ტიპები გვხვდება იშვიათად, დანარჩენი შეთავსებებიც გარკვეულწილად ასახავენ ფსიქოლოგიური სტრუქტურების არსებულ მრავალფეროვნებას.

ტესტი ასერტულობაზე

ადამიანების უმრავლესობა ოცნებობს, რომ მათი ურთიერთობა გარშემომყოფებთან იყოს მშვიდობიანი და ურთიერთგაგების საფუძველზე, კონფლიქტების გარეშე.

ხშირად ადამიანები ცდილობენ ჩვენთვის უინტერესო საქმეებში ჩაგვრთონ. ხშირად ვხედებით სიტუაციებში, როცა თავად გვსურს რაიმეს მიღწევა.

თუ მოვლენები იღებს არასასურველ სახეს, ხასიათის თუ განწყობილების გავლენით ვიკეტებით საკუთარ თავში ან ზედმეტი თავგანწირვით ერთვებით ბრძოლაში. შესაბამისად, ან უკან ვიხევთ ან ვიძენთ მტრებს, ვიდრე ვაღწევთ ჩვენი მოთხოვნილებების ან სურვილების დაკმაყოფილებას.

გარშემომყოფებთან შეთანხმება არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ მოწინააღმდეგეებისთვისაც სარგებლის მოტანით, ისეთი ქცევის ხერხია, რომელსაც ასერტული ეწოდება. ის გულისხმობს, რომ ადამიანმა იცის, რა სურს და რა არ სურს (ყოველ შემთხვევაში, მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში) და შეუძლია ამის მკაფიოდ ფორმულირება — შიშის, დაძაბულობის, არათავდაჯერებულობის,

ირონიის, სარკაზმის და თავდასხმის ნებისმიერი სხვა ფორმის გარეშე მოწინააღმდეგეს მიმართ.

ასერტულად მოქმედი ადამიანები არ მოქმედებენ ვინმეს საზიანოდ, პატივს სცემენ სხვა ადამიანებს, მაგრამ არც თავს იჩაგრავენ. ასეთი ადამიანი მიზანს აღწევს გარშემომყოფებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. მას შეუძლია განაწყოს სხვები გაუწიონ მას დახმარება. არ იკეტება საკუთარ თავში. ინტერესთა შეჯახებისას მას შეუძლია შეთანხმება და კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება,რომელიც ორივე მხარეს აკმაყოფილებს.

ინსტრუქცია. წრით შემოხაზეთ თქვენს მიერ არჩეული პასუხები ქვემოთ მოყვანილ პოზიციებში.

1. მაღიზიანებს სხვა ადამიანების შეცდომები: დიახ, არა.

2. მე შემიძლია შევახსენოთ მეგობარს ვალზე: დიახ, არა.

3. დროდადრო ვტყუი: დიახ, არა.

4. მე შემიძლია ვიზრუნო საკუთარ თავზე: დიახ, არა.

5. ხშირად ნემსის ყუნწშიც გამძვრალვარ: დიახ, არა.

6. პაექრობა თანამშრომლობაზე უკეთესია: დიახ, არა.

7. ხშირად ვიტანჯავ თავს წერილმანებზე: დიახ, არა.

8. მე საკმაოდ დამოუკიდებელი და გაბედული ადამიანი ვარ: დიახ, არა.

9. მიყვარს ყველა, ვისაც ვიცნობ: დიახ, არა.

10. მე მჯერა საკუთარი თავის. მყოფნის ძალები, რომ გავუმკლავდე მიმდინარე პრობლემებს: დიახ, არა.

11. ვერაფერს იზამ, ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს მზად დაიცვას საკუთარი ინტერესები: დიახ, არა.

12. არასდროს ვიცინი უხამს ხუმრობებზე: დიახ, არა.

13. მე ვაღიარებ და პატივს ვცემ აეტორიტეტებს: დიახ, არა.

14,არასდროს ვიჩაგრავ თავს,ყოველთვის ვაპროტესტებ: დიახ, არა.

15. მე მხარს ვუჭერ ნებისმიერ კარგ წამოწყებას: დიახ, არა.

16. არასდროს ვტყუი: დიახ, არა.

17. მე პრაქტიკული ადამიანი ვარ: დიახ, არა.

18. ძალიან ის ფაქტიც კი,რომ შეიძლება წარუმატებლობა განვიცადო: დიახ, არა.

19. მე ვეთანხმები გამოთქმას: „ხელები გაუსვი და ნაშველიც იჭნებიო“: დიახ, არა.

20. მეგობრებს ჩემზე დიდი გავლენა აქვთ: დიახ, არა.

21. ყოველთვის მართალი ვარ, თუნდაც სხვები სხვაგვარად ფიქრობდნენ: დიახ, არა.

22. ვეთანხმები იმას, რომ მნიშვნელოვანია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა: დიახ, არა.

23. სანამ რამეს წამოვიწყებ, კარგად ეფიქრობ, როგორ აღიქვამენ ამას სხვები: დიახ, არა.

24. არასდროს არ მშურს არავისი: დიახ, არა.

ახლა დაითვალეთ დადებითი პასუხების რაოდენობა შემდეგ პოზიციებში:

ანგარიში A = 1, 6, 7, 11, 13, 18, 20, 23;
ანგარიში B = 2, 4, 8, 10, 14, 17, 19, 22;
ანგარიში C = 3, 5, 9, 12, 15, 16, 21, 24.

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიღებულია A-ანგარიშში: თქვენ წარმოდგენა გაქვთ ასერტულობაზე, მაგრამ არ იყენებთ მას ხშირად ცხოვრებაში. ხშირად უკმაყოფილო ხართ საკუთარი თაეით და გარშემომყოფებით.

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიღებულია B-ანგარიშში: თქვენ სწორ გზაზე ხართ და შეგიძლიათ დაეუფლოთ ასერტულობას. პრინციპში, ახლაც შეგიძლიათ იმოქმედოთ საჭირო მიმართულებით. დროდადრო თქვენი მცდელობა იმოქმედოთ ასერტულად აგრესიულობაში ვლინდება. თუმცა, ეს არაა მნიშვნელოვანი,რომელ მოსწავლეს არ ჰქონია თავზე კოპი?

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიღებულია C-ანგარიშში: 2 წინამორბედი ტიპის შედეგებისგან განსხვავებით,თქვენ გაქვთ კარგი შანსი დაეუფლოთ ასერტულობას. მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ გაქვთ ჩამოყალიბებული აზრი საკუთარი თავისა და ქცევის შესახებ,თავს რეალისტურად აფასებთ,ეს კი კარგი ბაზაა ისეთი ჩვევის შესაძენად,რომელიც აუცილებელია გარშემომყოფებთან კონტაქტის დროს.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიღებულია A-ანგარიშში: ის, რომ ცხოვრების ბევრ შანსს ვერ იყენებთ,ტრაგედია არაა. მნიშვნელოვანია ისწავლოთ

საკუთარ თავთან თანხმობაში ცხოვრება და იცოდეთ, თუ რა უნდა გააკეთოთ.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიღებულია B-ანგარიშში: ასერტულობა შესწავლადია, როგორც ს. ლეკმა თქვა: ,,ვარჯიში ყველაფერია, ფერადი კომბოსტოც კი, კარგად გაწაფული თეთრი კომბოსტოს თავია".

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიღებულია C-ანგარიშში: ეს უკვე პრობლემაა, თავს გადამეტებულად აფასებთ და არაგულწრფელად იქცევით. საქმე ეხება არა იმდენად თავის მოტყუებას, რამდენადაც იმას, რომ საკუთარ თავს საუკეთესო მხრიდან ხედავთ. ცუდი არ იქნებოდა გემუშავათ საკუთარ თავზე.

მოთხოვნილებათა საილუსტრაციო ჩამონათვალი მერეის მიხედვით

მოთხოვნილება	მოკლე განსაზღვრება
თვითდამცირება	**პასური მორჩილება გარეშე ძალებისადმი.** მზადყოფნა მიიღოს წყენა, ბრალდება, კრიტიკა, სასჯელი, დაყაროს ფარ-ხმალი, შეეგუოს ბედს,. საკუთარი „მეორეხარისხოვნების" დაშვება, მარცხის აღიარება, საკუთარ ითავის ბრალდების, დამცირების, უარესი სახით წარმოჩენის, ტკივილის, უბედურების ძიების და ამით კმაყოფილების მოთხოვნილება.
მიღწევის	**რაიმე რთულის შესრულება.** მართვა, მანიპულირება, ორგანიზება — ფიზიკური ობიექტების, ადამიანების ან იდეების მიმართულებით. ამის შეძლებისდაგვარად სწრაფად და დამოუკიდებლად გაკეთება. დაბრკოლებების დაძლევა და მაღალი მაჩვენებლების მიღწევა. თვითსრულყოფა, სხვების დამარცხება, ტალანტის რეალიზება და ამით თვითპატივისცემის ამაღლება.
აფილიაციის	**მჭიდრო კონტაქტი და ურთიერთქმედება ახლობლებთან** (ან იმათთან, ვინც ჰყავს თავად სუბიექტს ან უყვარს ის). სიამოვნების მინიჭება კატექტირებადი ობიექტისთვის და მისი მიჯაჭვულობის მოპოვება. მეგობრობაში ერთგულება.
აგრესიის	**ძალით წინააღმდეგობის დაძლევა.** ბრძოლა. წყენისთვის სამაგიეროს გადახდა. თავდასხმა, შეურაცხყოფა, მოკვლა.
ავტონომიის	**შეზღუდვებისგან განთავისუფლება.** იძულებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. დესპოტური ავტორიტარული ფიგურების მიერ მითითებული საქმიანობისთვის თავის არიდება ან შეწყვეტა. იყო დამოუკიდებელი და შესაბამისად მოქმედებდე საკუთარი ზრახვებით. არ იყო არანაირად შებოჭილი, პირობითობის უგულებელყოფა.
წინააღმდეგობის გაწევის	**ბრძოლაში სიტუაციის ფლობა და წარუმატებლობის კომპენსირება,** განმეორებითი მოქმედებით დამცირებისგან თავის დახსნა. სისუსტის დაძლევა, შიშის დათრგუნვა. სირთულეების და დაბრკოლებების ძიება, საკუთარი თავის პატივისცემა და ამით ამაყობა.
დაცვის	**თავდასხმისგან, კრიტიკისგან, ბრალდებისგან დაცვა.** შეცდომებზე, წარუმატებლობებზე დუმილი ან გამართლება. ეგოს დაცვა.
პატივისცემის	**ზემდგომით აღფრთოვანება და მისი მხარდაჭერა.** აღფრთოვანება, პატივის დადება, განდიდება. ახლობელთა გაულენისადმი დამორჩილების მზადყოფნა. მიბაძვისთვის მაგალითის ყოლა. ჩვეულებისადმი დაქვემდებარება.
დომინირების	**გარემოცვის კონტროლი. გავლენის მოხდენა** ან სხვების ქცევის მართვა შთაგონებით, ცდუნებით, დარწმუნებით, მითითებით. გადარწმუნება, შეზღუდვა, აკრძალვა.
ექსგიბიციის	**შთაბეჭდილების მოხდენა. იყოს მოსმენილი და დანახული.** გაკვირვება, აღგზნება, გართობა, შოკის მოგერა, დაინტრიგება, ცდუნება.
ზიანისთვის თავის არიდება	**ტკივილისთვის, ავადმყოფობისთვის, სიკვდილისთვის თავის არიდება.** საშიში სიტუაციების თავიდან აცილება, წინასწარი ზომების მიღება.

სირცხვილისთვის თავის არიდება	**დამცირებისთვის თავის არიდება.** იმ სირთულეების ან სიტუაციების აცილება, რომლებშიც შესაძლებელია დამცირება, სიძულვილი, დაცინვა, სხვების უგულებელყოფა. მოქმედებებისგან თავის შეკავება წარუმატებლობის თავიდან აცილების მიზნით.
ზრუნვის	**თანაგრძნობისა და დახმარების გამოვლენა დაუცველთათვის მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში** – ბავშვისთვის ან იმისთვის, ვინც სუსტია, მარტოსულია, ავადმყოფია, დამცირებულია, გაჭირვებაშია, საშიშროებისას დახმარების გაწევა. გამოკვება, მხარდაჭერა, დამშვიდება, დაცვა, მზრუნველობა, მკურნალობა.
წესრიგის	**ცველაფრის წესრიგში მოყვანა.** სისუფთავის, ორგანიზებულობის, წონასწორობის, წესრიგის, სიზუსტის მიღწევა.
თამაშის	**მოქმედება „გართობისთვის“** – სხვაგვარი მიზნების გარეშე, სიცილი, ხუმრობა. მოდუნების ძიება სიამოვნებებში სტრესის შემდეგ. თამაშებში, სპორტულ ლაშქრობებში, ცეკვებში, საღამოებში, აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღება.
უარყოფის	**ნეგატიურად კატექტირებული ობიექტის მოშორება.** ქვემდგომის თავიდან მოცილება, უარყოფა, იგნორირება. ობიექტის უგულებელყოფა ან მისი მოტყუება.
გრძნობითი შთაბეჭდილებების	**გრძნობითი შთაბეჭდილებების ძიება და მისთვის სიხარულის მიღება.**
სექსის	**ეროტიკული ურთიერთდამოკიდებულებების შექმნა და განვითარება. სექსუალური ურთიერთობების ქონა.**
მხარდაჭერის	**მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ახლობელის თანაგრძნობითი დახმარების წყალობით.** იყოს ის, ვისზეც იზრუნებენ, მხარს დაუჭერენ, დაიცავენ, უყვართ, ვისაც ურჩევენ, მართავენ, პატიობენ, ამშვიდებენ. გვერდით ჰყავდეს ის, ვინც მას დაიცავს.
გაგების	**კითხვების დასმა ან მათთვის პასუხის გაცემა. თეორიით დაინტერესება., მსჯელობა, ფორმულირება, გაანალიზება, განზოგადება.**

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საფუძვლების განხილვა მოთხოვნილებათა ტიპების გამოკვეთისათვის. უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა პირველადი და მეორადი მოთხოვნილებები. **პირველადი** ანუ ვისცეროგენული მოთხოვნილებები უკავშირდება დამახასიათებელ ორგანულ მოელენებსა და ფიზიკურ დაკმაყოფილებას. მაგალითები – ჰაერის, წყლის, საკვების, სექსის, ლაქტაციის, შარდის გამოყოფისა და დეფეკაციის მოთხოვნილება. **მეორადი** ანუ ფსიქოგენური მოთხოვნილებები საერაუდოდ გამომდინარეობს პირველადიდან და ხასიათდება რომელიმე სპეციფიკურ, ორგანულ პროცესთან ან ფიზიკურ დაკმაყოფილებასთან ცხადი კავშირის არარსებობით. მაგალითებად გამოდგება შეძენის, კონსტრუირების, მიღწევის, აღიარების, ექსგიბიციის, დომინირების, ავტონომიის, პატივისცემის მოთხოვნილება.

მეორეც, გამოიყოფა ღია და ფარული მოთხოვნილებები, ანუ გამოვლინებადი და ლატენტური. საქმე ეხება იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც მეტნაკლებად ცხადდებიან უშუალოდ და იმათაც, რომლებიც ზოგადად შეკავებულია ან განდევნილია. ღია მოთხოვნილებები ჩვეულებრივ ვლინდება მოტორულ ქცევაში მაშინ, როცა ფარული მოთხოვნილებები – ფანტაზიებისა და სიზმრების სამყაროში. ფარული მოთხოვნილებების არსებობა უმეტესად არის სწორი ან მისაღები ქცევის განმსაზღვრელი ინტერნალიზებული სტრუქტურების (სუპერეგო) წარმოქმნის შედეგი. ზოგიერთი მოთხოვნილებები არ შეიძლება უშუალოდ გამოიხატოს საზოგადოების მიერ მშობლების მეშვეობით ჩამოყალიბებული პირობითობებისა და სტანდარტების დარღვევის გარეშე და ეს მოთხოვნილებები ხშირად ფარულ დონეზე მოქმედებს.

მესამე, არსებობს ფოკალური მოთხოვნილებები და დიფუზური მოთხოვნილებები. ზოგიერთი მოთხოვნილება მჭიდროდ უკავშირდება გარემოს გარკვეულ ობიექტებს მაშინ, როცა სხვა მოთხოვნილებები წარმოადგენენ იმდენად ზოგადს, რომ ისინი თითქმის ნებისმიერ სიტუაციას შეესაბამებიან. მერეი აღნიშნავს, რომ ფიქსაციის ზოგიერთი შემთხ-

ვეის გარდა, მოთხოვნილების ობიექტი შეიძლება შეიცვალოს ისევე, როგორც დაკმაყოფილების ხერხიც ანუ მოთხოვნილებასთან დაკავშირებული სფერო შეიძლება გაფართოვდეს ან შევიწროვდეს, ხოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ინსტრუმენტალური აქტების რაოდენობა კი, გაიზარდოს ან შემცირდეს. თუ მოთხოვნილება მჭიდროდ უკავშირდება არაადექვატურ ობიექტს, ამას ეწოდება ფიქსაცია და ჩვეულებრივ ფასდება, როგორც პათოლოგია. ამავე დროს, მერეი აღნიშნავს, რომ მოთხოვნილების უუნარობა ობიექტის შედარებით სტაბილური „უპირატესობის მინიჭების" მიმართ და „გადახტომა" ობიექტიდან ობიექტზე შეიძლება იყოს ისევე პათოლოგიური, როგორც ფიქსაცია.

მეოთხე, არსებობს პროაქტიური და რეაქტიური მოთხოვნილებები. პროაქტიური მოთხოვნილებები უპირატესად დეტერმინირებულია შიგნიდან, როცა ადამიანი ხდება „სპონტანურად მოქმედი" პიროვნებაში და არა გარემოში მიმდინარე პროცესების შედეგად. რეაქტიური მოთხოვნილებები კი აქტივირებულია, როგორც გარემოში გარკვეული მოვლენების შედეგად, ასევე როგორც მათზე რეაქცია. ამ ცნებებს მერეი ასევე იყენებს ორი ან მეტი ადამიანის ურთიერთქმედების აღსაწერად, როცა ერთი ინდივიდი გამოდის, როგორც პროაქტორი (ახდენს ურთიერთქმედების ინიცირებას, სვამს კითხვებს, იწვევს სტიმულებს, რომლებიც მოითხოვენ სხვის რეაქციას), ხოლო მეორე, როგორც რეაქტორი (რეაგირებს სტიმულებზე, რომელთა პროდუცირებასაც ახდენს პროაქტორი).

მეხუთე, გამოიყოფა პროცესუალური აქტიურობა, მოდალური და ეფექტური მოთხოვნილებები. ამერიკელი ფსიქოლოგები, რომლებიც ტრადიციულად ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რაა ფუნქციური და სასარგებლო, მუდმივად გამოყოფდნენ ეფექტურ მოთხოვნილებებს — მოთხოვნილებებს, რომლებიც მიმართულია გარკვეულ სასურველ მდგომარეობაზე ან შედეგზე.

ტემპერამენტის სკალა

	ვისცეროტონია	სომატოტონია	ცერებროტონია
1	მოდუნება პოზასა და მოძრაობებში	დამაჯერებლობა პოზასა და მოძრაობებში	თავშეკავება პოზასა და მოძრაობებში
2	სიყვარული ფიზიკური კომფორტის მიმართ	ფიზიკური თავგადასავლების სიყვარული	ფიზიოლოგიური ზერეაქტიულობა
3	ნელი რეაქციები	ენერგეტიულობა	ზესწრაფი რეაქციები
4	საჭმლისადმი სიყვარული	ვარჯიშების მოთხოვნილება და მათგან სიხარულის მიღება	განმარტოების სიყვარული
5	კვების სოციალიზაცია	დომინირების სიყვარული. ძალაუფლებისკენ სწრაფვა.	მენტალური დაძაბულობა. ზეყურადღება. გასაგებობა.
6	სიამოვნება საჭმლის მონელებისგან	რისკისადმი სიყვარული	გრძნობებში გულჩათხრობილობა. ემოციური შეკავებულობა.
7	ზრდილობიანობისადმი სიყვარული	მანერების თამამი პირდაპირობა	მორცხვობა, რაც გამოიხატება მიმიკაში და თვალების მოძრაობებში.
8	სოციოფილია	ფიზიკური სიმამაცე ბრძოლაში	სოციოფობია
9	განსხვავების არმქონე კეთილმეგობრულობა	შეჯიბრებითი აგრესიულობა	აკრძალვა სოციალურ მიმართვაზე
10	სწრაფვა მიჯაჭვულობისა და მოწონებისადმი	ფსიქოლოგიური სიუხვე	ჩვევებისა და რუტინისადმი წინააღმდეგობა
11	ორიენტაცია ადამიანებზე	კლაუსტროფობია	აგორაფობია
12	ემოციური გაწონასწორებულობა	უმოწყალობა, თავისუფლება პედანტურობისგან	დამოკიდებულების განუჭერეტაობა

13	ტოლერანტობა	ხმოვანი თავშეკავებულობის არარსებობა	ფოკალური თავშეკავება და საერთოდ, ხმოვანი თავშეკავებულობა
14	დიდსულოვნება	სპარტანული გულგრილობა ტკივილის მიმართ	პიპერსენზიტიურობა ტკივილის მიმართ
15	ღრმა ძილი	ზოგადი ხმაურიანობა	ცუდი ძილი, ქრონიკული დაღლილობა
16	არაზომიერება	ზემომწიფებულობა გარეგნობაში (გამოელინებებში)	ახალგაზრდული შეუპოვრობა მანერებსა და გამოვლინებებში
17	მსუბუქი, მარტივი კომუნიკაცია, ექსტრავერსია, ეისცეროტონია	ჰორიზონტალური მენტალური დაშრევება, ექსტრავერსია, სომატოტონია	ვერტიკალური მენტალური დაშრევება, ინტროვერსია
18	რელაქსაცია და სოციოფილია ალკოპოლის გავლენის ქვეშ	თავდაჯერებულობა და აგრესია ალკოპოლის გავლენის ქვეშ	ალკოპოლისადმი და სხვა დეპრესანტებისადმი წინააღმდეგობის გაწევა
19	აშლილობების (პრობლემების) დროს ადამიანების მოთხოვნილება	პრობლემების დროს მოქმედების მოთხოვნილება	პრობლემების დროს მარტოობის მოთხოვნილება
20	ორიენტაცია ბავშვობასა და ოჯახურ ურთიერთობებზე	ორიენტაცია მიზნებზე და სიყმაწვილის აქტიურობაზე	ორიენტაცია ცხოვრების გვიანდელ პერიოდებზე

ამდენად, დაკვირვებების შემდეგ 1-დან 7-მდე მნიშვნელობა მკელევარმა მიაწერა სამოც სპეციფიკურ თვისებას, რომელთაგან თითოეული შელდონის მიერ დეტალურადაა განსაზღვრული. ოც-ოც თვისებაზე ზოგადი შეფასება იანგარიშება ინდივიდუალური შეფასებების შეკრების გზით და შემდეგ ხდება შეფასებათა გასაშუალება, განსაკუთრებული ანალიზისთვის შეიძლება სანახევრო შეფასებების გამოყენება, რასთან დაკავშირებითაც შეიდქულიანი სკალა ცამეტქულიანი ხდება.

სარჩევი

შესავალი 3
წინასიტყვაობა 5

ნაწილი I. პიროვნება, მოტივაცია, მოთხოვნილება

თავი 1. ფსიქოდიაგნოსტიკა: ზოგადი დებულებები 8
1. ფსიქოდიაგნოსტიკური პროცედურების კლასიფიკაცია 8
2. ფსიქოდიაგნოსტიკური ამოცანები 10
3. მოთხოვნები ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკებისა და მათი გამომყენებლების მიმართ 13
4. ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტირების თავისებურებები 15

თავი 2. ფსიქოდიაგნოსტიკური პრაქტიკა 20
1. პიროვნების მოტივაციური სფეროსა და მიმართულობის კვლევა 20
მიზნის მიღწევის მოთხოვნილების შეფასების სკალა 21
მოწონების მოტივაციის შეფასების სკალა 22
მეთოდი „დაუსრულებელი წინადადებები" 23
იუმორისტული ფრაზების ტესტი (ა. გ. შმელევი, ა. ს. ბაბინა) 25
მეთოდიკა „ფასეულობითი ორიენტაციები" (მ. როკიჩი) 28
პიროვნების მიმართულების განსაზღვრა 29
ემოციების მნიშვნელობის შეფასების სკალა 32
რეაქტიული და პიროვნული შფოთვის დონის შეფასების სკალა 33

2. პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობებისა და თვისებების დიაგნოსტიკა 35
დეპრესიის სკალა 35
ბლანკი პასუხებისთვის 35
„შ და დ" მეთოდიკა 36
„გაგ" (CAH) კითხვარი 37
ტესტ-კითხვარი „განწყობილების შეფასება" 39
მეთოდიკა „ემოციონალური მდგომარეობების თვითშეფასება" 39
ლუშერის ტესტი 41
შფოთვის გამოვლენის პიროვნული სკალა (ჯ. ტეილორი, 1953) 48
„PEN" კითხვარი (ჰანს და სიმბილა აიზენკი) 51
კეტელის ტესტი (16 PF – კითხვარი) 54
მინესოტას მრავალგანზომილებიანი პიროვნული კითხვარი (MMPI) 66
მინი-შულტ კითხვარი 77
სუბიექტური კონტროლის დონის (სკდ) კვლევის ტესტი 81
ექსპერიმენტული მეთოდიკები. „მიზიდულობათა დონე" და „მოყირჭების პროცესი" 85
პიროვნული დიფერენციალი 88

3. რეპერტუარული პიროვნული მეთოდიკები 90
დ. კელის როლური კონსტრუქტების რეპერტუარული ტესტი 94
სარანგო გისოსი 98
შეფასებითი გისოსის 105
იმპლიკაციური გისოსები 109

4. მოტივაციური, ინტელექტუალური, პიროვნებათშორისი ასპექტები 121
პიროვნების კვლევის პროექციული მეთოდები 121
თემატური აპერცეპტული ტესტი (თატ) 122
როршახის ტესტი 127
ტესტი „არარსებული ცხოველი" 130

ტესტი „სახლი, ხე, ადამიანი" 134
ტესტი „ავტორიტეტი" 145
ტესტი „თავისუფალი ნახატი" 147
ტესტი „სამყაროს ხატი" 150
პიროვნების ფსიქოკორექციის მეთოდიკა (როზენცვეიგი) 151
ნახატოვანი ტესტი „საქმიანი სიტუაციები" 159
მოთხრობების სერია ბავშვთა სამყარო 169
ტესტი „ოჯახის ნახატი" 172
ფსიქოგეომეტრიული ტესტი 174
ტესტი „ადამიანის კონსტრუქციული ნახატი გეომეტრიული ფიგურებისგან" 178

ნაწილი II. ტემპერამენტი, ხასიათი, შემეცნებითი პროცესები

თავი 1. ტემპერამენტისა და ხასიათის შესწავლის მეთოდები 181
მეთოდიკა „ე-ფლო" (З-ФЛО) 186
აიზენკის ტესტ-კითხვარი 189
ქარაქტეროლოგიური კითხვარი (კ. ლეონგარდის კითხვარი) 192
პიროვნების ქარაქტეროლოგიური აქცენტუაციები და ნერვულ-ფსიქიკური არამდგრადობა 195
პათოქარაქტეროლოგიური კითხვარი 208

თავი 2. მეხსიერების შესწავლის მეთოდიკა 214
მეთოდიკა „ოპერატიული მეხსიერება" 214

თავი 3. მეთოდიკები ყურადღების შესასწავლად 216
მეთოდიკა „კორექტული ცდა" 216
მეთოდიკა „შავ-წითელი ცხრილი" 217
მიუნსტერბერგის მეთოდიკა 218
მეთოდიკა „რიცხვების განლაგება" 218
მეთოდიკა „რიცხვობრივი კვადრატი" 219

თავი 4. მეთოდიკები აზროვნების ლოგიკის შეფასებისთვის 220
მეთოდიკა „რაოდენობრივი დამოკიდებულებები" 220
მეთოდიკა „რიცხობრივი რიგის კანონზომიერებები" 221
მეთოდიკა „კომპასები" 221
მეთოდიკა „რთული ანალოგიები" 222
მეთოდიკა „არსებითი ნიშნების გამოყოფა" 223
მეთოდიკა „ინტელექტუალური ლაბილობა" 223

თავი 5. უნარების ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა 226
მეთოდიკა „ცნებების გამორიცხვა" 227
მეთოდიკა „კომბინატორული უნარები" 227
მეთოდიკა „ზოგადი ცნებების გამოვლენა" 229
მეთოდიკა „სიტყვების მნიშვნელობა" 230
კომუნიკაციური და საორგანიზაციო უნარების გამოვლენა და შეფასება (მეთოდიკა „სსუ – I") 230
მეთოდიკა „ინტერესების რუკა" 234
მეთოდიკა „დიფერენციალურ-დიაგნოსტიკური კითხვარი" (დდკ) 236
ექსპერიმენტული მეთოდიკა „პიროვნების ფასეულობითი ორიენტაციები (პფო)" 240

ნაწილი III. ურთიერთობა, ლიდერობა, პიროვნებათშორისი ურთიერთობები

თავი 1. შიდაჯგუფური ურთიერთობების შესწავლის მეთოდიკები 244
სოციომეტრული გაზომვების მეთოდი (სოციომეტრია) 244
ჯგუფგარეთა რეფერენტომეტრია 249

ფსიქოლოგიური სიახლოვის სკალა 250
„სიმორას" ჯგუფური ერთსულოვნების ინდექსის განსაზღვრა 250
ჯგუფის ფსიქოლოგიური კლიმატის განსაზღვრა 251
ატმოსფერო ჯგუფში 253
შრომის კოლექტივში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესწავლის ექსპრეს-მეთოდიკა 253
ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დიაგნოსტიკა 256
საშუშაოს მიმზიდველობის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის
ერთ-ერთი მაჩვენებლის შესწავლის მეთოდიკა 260

თავი 2. პიროვნებათშორის დამოკიდებულებებზე გავლენის მქონე ინდივიდუალური თვისებების დიაგნოსტიკა 263

ტ. ლირის პიროვნებათშორისი დამოკიდებულებების დიაგნოსტიკის მეთოდიკა 263
Q – დახარისხების" მეთოდიკა 267
კ. ტომასის ქცევის აღწერის ტესტი 269
აგრესიის მდგომარეობის დიაგნოსტიკა („ბასა-დარკის" კითხვარი) 272
ა. ასინგერის ტესტი (აგრესიულობის შეფასება ურთიერთობებში) 275
სათამაშო მეთოდიკა „ტუსაღის დილემა" 277
შრომითი კოლექტივის მართვის სტილის განსაზღვრის მეთოდიკა 278
ხელმძღვანელის პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლების საესპერტო შეფასება 280
20 კითხვის ტესტი 283
ლ. ნ. ლუტოშკინის ექსტრავერსია – ინტროვერსიის სკალა 284
ემპათიური ტენდენციების დონის კელეკა 285

თავი 3. ურთიერთობაში კომპეტენტურობის შესწავლის მეთოდიკა 288

გულღიაობის დონის შეფასება (ვ. ფ. რიახოვსკის ტესტი) 288
კომუნიკაციური საქმიანობის ტესტური რუკა 289
ტესტი ურთიერთობაში თვითკონტროლის შეფასებაზე 290
კომუნიკაციური უნარების შეფასების ტესტი 291
არავერბალური კომუნიკაციის საექსპერტო შეფასების მეთოდიკა 293

თავი 4. შიდაოჯახური ურთიერთობების შესწავლის მეთოდიკა 295

PARI მეთოდიკა 295
შშობლების დამოკიდებულების ტესტ-კითხვარი (ა. ი. ვარგა, ვ. ვ. სტოლინი) 302
რენე ჟილის მეთოდიკა 305
ქორწინებით კმაყოფილების ტესტ-კითხვარი 311
ტესტი „კონფლიქტურ სიტუაციებში მეუღლეების ურთიერთქმედების ხასიათი" 312
ცოლ-ქმრული დამოკიდებულებების ტესტი 317
ვისბადენის კითხვარი პოზიტიური
ფსიქოთერაპიისა და ოჯახური ფსიქოთერაპიის მეთოდის მიმართ (WIPPF) 318
მეთოდიკა „როლური მოლოდინები და მიზიდულობები ქორწინებაში" (რმმ) 330

ნაწილი IV. პროფესიული კონსულტაცია

თავი 1. მეთოდიკები პიროვნების ინტერესების და ტიპოლოგიური თავისებურებების გამოვლენისთვის 339

იუნგის კითხვარი 339

თავი 2. ტესტები იმპულსურობისა და რიგიდულობის გაზომვაზე 341

ტესტი იმპულსურობის გაზომვაზე 341
ტესტი რიგიდულობის გაზომვაზე 343

თავი 3. ტემპერამენტის სტრუქტურის კითხვარი 345

თავი 4. საკუთარი თავის ფსიქოლოგია 349
ტესტი შემწყნარებლობაზე 349
ტესტი დაკვირვებულობის გამოვლენაზე 350
ტესტი „ადამიანებში გარკვევის უნარი“ 351
ტესტი დამოუკიდებლობის ხარისხის განსაზღვრაზე 352
ტესტი დამწყები მეწარმისთვის 353
ტესტი თვითშეფასების დონის გამოვლენაზე 355
ტესტი რისკისადმი დამოკიდებულებაზე 356
მხატვარი თუ მოაზროვნე? 357
ტესტი ასერტულობაზე 358

მოთხოვნილებათა საილუსტრაციო ჩამონათვალი მერეის მიხედვით

მოთხოვნილებათა საილუსტრაციო ჩამონათვალი მერეის მიხედვით 360
ტემპერამენტის სკალა 362

ფსიქოლოგიური ტესტების დიდი ენციკლოპედია

ტესტები მოიძია და შეადგინა
სოლომონ თეზელიშვილმა